ზურაბ პაპასქირი

საქართველო

ისტორიული წარსული და თანამედროვეობა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია

ზურაბ პაპასქირი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ისტორიული წარსული და თანამედროვეობა

გამომცემლობა *„მერიდიანი“*
თბილისი – 2016

უაკ (UDC) 94(479.22)+34(479.22)+32(479.22)+271.22(479.22)
პ-182

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებში (მხოლოდ ქართულ ენაზე) გამოქვეყნებული ნაშრომები. ესაა პუბლიკაციები ქართული პოლიტიკური სამყაროს სახელმწიფოებრივ და საგარეო-პოლიტიკურ იერ-სახეზე; აფხაზეთისა და აფხაზთა ეთნოკულტურული ისტორიის საკითხებზე; ისტორიოგრაფიული ნარკვევები და რეცენზიები; გამოჩენილ მეცნიერთა და მამულიშვილთა პორტრეტები. ჟანრობრივად და ფორმატით, ეს არის გაგრძელება 2009 წელს გამოცემული წიგნისა *(„და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“)*, რომელიც წარმოადგენდა წინა პერიოდის (1976-2008 წწ.) ნაფიქრალის ერთგვარ შეჯამებას საქართველოს ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობაზე.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორ-შემდგენლები:

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **თეიმურაზ პაპასქირი**

ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, **კახა კვაშილავა**

© ზურაბ პაპასქირი

ISBN 978-9941-25-233-4

ავტორისაგან

ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაკავებულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით, უჩნდება სავსებით ჯანსაღი სურვილი, თავი მოუყაროს მრავალწლიანი კვლევის შედეგებს და ერთიანად მიაწოდოს ის მკითხველს. რასაკვირველია, ეს უმეტესწილად ხდება მაშინ, როდესაც კვლევა მიდის რომელიმე ერთი კონკრეტული პრობლემის ირგვლივ და მისი შეჯამება და მონოგრაფიის სახით გამოცემა სრულიად ბუნებრივი და აუცილებელიც კია. მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით არანაკლებ საშური და გამართლებულია მეცნიერმა შეკრიბოს, ერთ წიგნში მოაქციოს და ფართო მკითხველისათვის, პირველ რიგში, კოლეგა-ისტორიკოსებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მის მიერ სხვადასხვა დროს სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში დაბეჭდილი თემატურად ერთმანეთისგან დაშორებული ნაშრომებიც. გარდა იმისა, რომ ამით სამეცნიერო სივრცეში კიდევ ერთხელ მოხდება ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე ფოკუსირება, ეს არის ავტორის მხრიდან თვითანგარიშის მეტად მოხერხებული ფორმაც.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ჩემს მიერ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში მხოლოდ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული სტატიების კრებულს. ეს ამ ტიპის მესამე წიგნია. პირველი გამოიცა 1998 წელს და ის მთლიანად ეძღვნებოდა აფხაზეთის თემატიკას.[1] მეორე გამოვიდა 2009 წელს და იყო 35-წლიანი ნაფიქრალის ერთგვარი შეჯამება (მასში რუსულენოვანი წერილებიც იყო შეტანილი).[2] ამჯერად კრებულში შევიდა 2009 წლის შემდგომი პუბლიკაციები, თუმცა მასში შევიტანეთ რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც, მართალია, დაიწერა 2008-2009 წლებში, მაგრამ ვერ მოხვდა 2009 წელს გამოცემულ წიგნში.[3]

---

[1] **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. გამომცემლობა *„აღმაშენებელი“*. თბ., 1998.

[2] **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. გამომცემლობა *„მერიდიანი“*. თბ., 2009.

[3] **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2008, გვ. 436-460; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო IXს. I მეოთხედში. *ტაო-კლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა. – საქართველო და მსოფლიო.* ისტორია და თანამედროვეობა. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2009, გვ. 74-80; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო *„ბიზანტიურ თანამეგობრობაში“. X ს. I ნახევარი. – ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული მიძღვნილი *როინ მეტრეველის* დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 158-180.

თავდაპირველად ვფიქრობდით 2015 წლით შემოვფარგლულიყავით, მაგრამ იმის გამო, რომ 2016 წელი ჩემი დიდი მასწავლებლისა და სამეცნიერო ასპარეზზე გზისგამკვალავის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. შოთა მესხიას საიუბილეო წელია (მას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა), მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კრებულში ღვაწლმოსილი მეცნიერის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ერთი წერილიც, რომელიც 2016 წელს დაიბეჭდა,[1] შეგვეტანა. ამას გარდა, კრებულში შევიდა მემუარული ხასიათის ნარკვევიც, მიძღვნილი კიდევ ერთი ღირსეული პიროვნების (მას ასევე დიდი ამაგი აქვს ჩემზე), ცნობილი ისტორიკოსის, აფხაზეთის ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლის პროფ. ირაკლი ახალაიასადმი, რომლის გამოქვეყნება წინამდებარე წიგნის პუბლიკაციამდე, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო.[2]

წიგნში გამოქვეყნებული მასალები თემატურად და ქრონოლოგიურად საკმაოდ განსხვავებულია. ესაა სტატიები ქართული პოლიტიკური სამყაროს სახელმწიფოებრივ და საგარეოპოლიტიკურ იერ-სახეზე; აფხაზეთისა და აფხაზთა ეთნოკულტურული ისტორიის საკითხებზე; ისტორიოგრაფიული ნარკვევები და რეცენზიები; გამოჩენილ მეცნიერთა და მამულიშვილთა პორტრეტები. წიგნში შესული მასალები იბეჭდება იმ სახით, როგორც გამოქვეყნდა თავის დროზე, მცირეოდენი რედაქციული (ტექნიკური ხასიათის) კორექტივებით. პირველ რიგში, ეს შეეხო რუსულ ციტატებს, რომლებიც ითარგმნა ქართულად. გარდა ამისა, დაიხვეწა, ოდნავ შეივსო და ერთიან სისტემაში მოექცა სამეცნიერო აპარატი. ძირითად ტექსტს არავითარი აზრობრივი ცვლილება არ განუცდია, ჩასწორდა მხოლოდ ზოგიერთი კორექტურული და სტილისტური უზუსტობა.

ავტორი შორსაა იმ აზრისაგან, რომ წიგნში განხილული საკითხების ანალიზი და დასკვნები სრულიად უნაკლო და უპირობოდ მისაღებია, მაგრამ, იმედს იტოვებს, რომ ის უთუოდ აღძრავს ჯანსაღ ინტერესს და ერთგვარ სტიმულს მისცემს დასმული პრობლემების შემდგომი კვლევის გააქტიურებას.

---

[1] **ზ. პაპასქირი.** დიდგორის ეპოპეის პირუთვნელი მატიანე. *შოთა მესხიას „ძლევაჲ საკვირველი“.* – წგნ.: **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. თბ., 2016, გვ. 5-36.

[2] იბეჭდება პროფ. ირაკლი ახალაიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: *„ირაკლი ახალაია – 100“*, რომელიც უკვე წარმოებაშია და საცაა გამოვა კიდეც.

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო

„აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხისათვის*

VIII-X საუკუნეებში ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების, მათ შორის აფხაზთა სამეფოს წარმოქმნა-განვითარების ისტორია ფუნდამენტალურადაა დამუშავებული ისტორიოგრაფიაში. ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, ზურაბ ანჩაბაძის, მარიამ ლორთქიფანიძის, დავით მუსხელიშვილის, ნოდარ ლომოურის, გივი წულაიას და სხვა მკვლევართა შრომებში ძირფესვიანადაა გამოკვლეული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა კარდინალური საკითხი და დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების როლი და ადგილი საერთოქართულ პოლიტიკურ სამყაროში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში.

ფაქტობრივად ყველა ანგარიშგასაწევი მეცნიერი, მათ შორის წამყვანი უცხოელი მკვლევრები, ერთნიშნად მიიჩნევენ „აფხაზთა“ სამეფოს ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებად. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც დიდ ბრიტანეთში მოღვაწე გამოჩენილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის, ვლადიმირ მინორსკის კომენტა-

---

* წარმოდგენილი ნაშრომი არის ქართული ვარიანტი ჯერ კიდევ 2006 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომისა (იხ.: **З. Папаскири.** «Абхазское» царство – грузинское государство. – *საისტორიო ძიებანი*, VIII-IX, წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 2006, გვ. 68-106. იგივე პუბლიკაცია იხ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 24-55 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf). იხ. აგრეთვე: **З. Папаскири.** «Абхазское» царство – западногрузинское государство, правопреемник Колхидского и Лазского царств (http://iberiana2.wordpress.com/abkhazia/papaskiri/), რომელიც მოგვიანებით მთლიანად შევიდა წიგნში: „აფხაზეთი. გაუყალბებელი ისტორია“ /რუსულ ენაზე/ (**З. Папаскири Абхазия**. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 26-51 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhaziaIstoriaBezFalsifikacii.pdf). 2012 წელს გამოქვეყნდა ნაშრომის შესავალი ნაწილის ქართული ვერსიაც (**ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახის სეპარატისტული ხედვის კრიტიკისათვის. – *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები*. I. თბ., 2012, გვ. 155-172). სტატია ამ სახით სრულად გამოქვეყნდა კრებულში: *გივი წულაია – 80*. თბ., 2014, გვ. 151-186. ამჯერად იბეჭდება მცირეოდენი ჩასწორებებით.

რები, რომელიც ერთვის მის შირვან-დერბენდის ისტორიისადმი მიძღვნილ კაპიტალურ გამოკვლევას. ასე მაგალითად, ძველი ქართული ქალაქის მცხეთის განმარტებისას, მეცნიერი მიუთითებს, რომ *„მცხეთა.., ალბათ, უფრო ეკუთვნოდა სამხრეთ-დასავლეთ ბაგრატიდებს, ვიდრე* ***დასავლელ ქართველთა ე.წ. „აფხაზურ“ დინასტიას“***.[1]

ვ. მინორსკის შემთხვევით არ მოჰყავს დინასტიის სახელწოდება ბრჭყალებში და სრულიად ნათლად განმარტავს, თუ რომელ ეთნოპოლიტიკურ სამყაროს წარმოადგენდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტია. ანალოგიურად იქცევა მეცნიერი თავისი ნაშრომის სხვა მონაკვეთებზეც. კერძოდ, ეხება რა IX-X საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კონფიგურაციას, ის აღნიშნავს: *„გარდა კახეთის კვირიკიანელთა დინასტიისა, არსებობდა ბაგრატიდების ძირითადი დინასტია საქართველოს ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში და ე.წ.* ***აფხაზური დინასტია დასავლეთ საქართველოში“***.[2] და ეს მაშინ, როდესაც ავტორმა მშვენივრად იცის, რომ საკუთრივ აფხაზები *(„მცირერიცხოვანი ხალხი“)*, ამჟამად ცხოვრობენ *„შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (სოხუმთან ახლოს)“*.[3]

თავისი ნაშრომის სხვა ადგილას ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ *„X ს. I ნახევარში ქართლი შემოიერთეს ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის მმართველებმა“*.[4] გარდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტიისა, მეცნიერს ბრჭყალებში აქვს მოქცეული აგრეთვე სიტყვები: „აფხაზეთი“ (*«Абхазия»*), „აფხაზური“ *(«Абхазский»)* და ა.შ. მაგალითად, X ს. არაბი ავტორის მასუდის ცნობის კომენტირებისას, ვ. მინორსკი წერს: *„მასუდი ანსხვავებს მტკვრის სათავეს, რომელსაც ის ათავსებს ჯურზანის ქვეყანაში ჯურჯინის სამეფოში და მის შემდგომ დინებას* ***აფხაზთა სამფლობელოებში (თბილისის ზემოთ)“***.[5]

---

[1] *«Мцхет (лежащий на западе от Тифлиса) мог принадлежать скорее юго-западным Багратидам, чем* ***так называемой «Абхазской» династии западных грузин****».* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда. Москва, 1963, გვ. 210, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Помимо Квириканской династии Кахетии, существовали основная династия Багратидов в центральной и южной части Грузии и* ***так называемая Абхазская династия в Западной Грузии»****.* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда**,** გვ. 117, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *«****В настоящее время абхазцы*** *— небольшой народ, живущий* ***на восточном побережье Черного моря (около Сухуми)****».* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда**,** გვ. 117 ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] *«В первой половине X в. Картлия была присоединена правителями* ***так называемой «Абхазской» династии****».* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда**,** გვ. 114, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[5] *«Масуди проводит различие между истоками Куры, которые он помещает в*

სხვაგან, მიუთითებს რა, რომ ბაგრატიონები თავიანთ თავს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად მიიჩნევდნენ, განმარტავს: *„**საქართველოს** (ჯურზ) **ეს მეფეები იწოდებოდნენ „აფხაზთა“ მეფეებად** აფხაზეთის მმართველ სახლთან მათი კავშირის გამო“.*[1] კახეთის მეფის აღსართანის მოღვაწეობაზე თხრობისას, ვ. მინორსკი აღნიშნავს, რომ *„მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა **დასავლეთ საქართველოს** (აფხაზეთის, როგორც მას უწოდებდნენ მუსლიმები, მისი დინასტიის წარმომავლობიდან გამომდინარე) **მეფესთან**. **აფხაზეთის*** (ანუ საქართველოს – **ზ.პ.**) ***იმჟამინდელი მმართველი*** *იყო ენერგიული ბაგრატი (1027–1072 წწ.), გიორგი I-ის (1014–1027) ძე“.*[2] და ბოლოს, მასუდი ბენ ნამდარის ცნობის კომენტირებისას, რომლის თანახმად, თითქოს შირვანშაჰმა ფარიბურზმა *„დაიპყრო აფხაზები («покорил **абхазцев**»),* ვ. მინორსკი აზუსტებს, რომ ამ შემთხვევაში „აფხაზების“ ქვეშ იგულისხმებიან ქართველები.[3]

თანამედროვე რუსი ისტორიკოსები, რომლებიც იკვლევენ აღმოსავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით კავკასიის ისტორიულ წარსულს ასევე აღიარებენ „აფხაზთა“ სამეფოს ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იერსახეს. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის, ამიერკავკასიის ქვეყნების აღიარებული მკვლევრის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ანატოლი ნოვოსელცევის[4] გამონათქვამები. მისი განმარტებით VIII ს. წარმოქმნილი „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც *„თავდაპირ-*

---

*стране Джурзан в царстве Джурджина, и ее последующим течением через **«Абхазские» владения (выше Тифлиса)**».* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда**,** გვ. 114, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] *«**Эти цари Грузии** (Джурз) **назывались «абхазскими» царями** ввиду их связей с правящим домом Абхазии».* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда**,** გვ. 223, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Он... находился в плохих отношениях с царём **Западной Грузии (Абхазии, как ее называли мусульмане,** имея в виду происхождение её династии). Современным **правителем «Абхазии» был** энергичный **Баграт (1027-72гг.),** сын Георгия I...».* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда..**,** გვ. 94, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *«В поэме, которую Мас'уд б. Намдар посвятил Фарибурзу, он перечисляет его завоевания: Муган до моря, Гумик и ... Шандан до страны аланов; он покорил **абхазцев (т. е. грузин)** и завоевал Арран и Джан-зу (Ганджу)».* იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда**,** გვ. 96, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] ამ მეცნიერის ღვაწლზე საქართველო-კავკასიის ისტორიის შესწავლაში დაწვრილ. იხ. **Р. В. Метревели, З. В. Папаскири.** Видный учёный, большой друг Грузии. *К 70-летию Анатолия Петровича Новосельцева. – ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. 11. თბ., 2004. პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 601-606.

ველად მოიცავდა ძირითადად აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიებს, IX ს. (ცენტრის დასავლეთ საქართველოში გადატანის შემდეგ), არსებითად გადაიქცა დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში".[1]

თითქმის ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდა მეორე გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი ლევ გუმილიოვი, რომელიც აღნიშნავდა რა აფხაზეთის ერისთავის მიერ ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ხაზართა დახმარებით, მიუთითებდა, რომ *„მისმა მემკვიდრეებმა პრეტენზია განაცხადეს დასავლეთ საქართველოზე და თანდათანობით ის დაიქვემდებარეს. ეს მოხდა მოგვიანებით — **IX-X საუკუნეებში. აფხაზეთის სახელმწიფო**, მას მერე, რაც (მან) განავრცო თავისი ძალაუფლება ეთნიკურ ქართველთა მიწებზე, სადაც გადატანილ იქნა სახელმწიფოს ცენტრიც (ქუთაისში), **თანდათანობით გარდაიქმნა ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებად**".*[2]

არანაკლებ ინტერესს იწვევს კავკასიის კიდევ ერთი ცნობილი მკვლევრის ვლადიმირ კუზნეცოვის ხედვა. აღნიშნავს რა VIII ს. მიწურულს აღმოცენებული „აფხაზთა" სამეფოს მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ფაქტს ***„დედაქალაქით ქუთაისში" («со столицей в Кутаиси»)*** მიზანშეწონილად მიიჩნევს საგანგებოდ აღნიშნოს, რომ „აფხაზეთის სამეფოს ყველა ხალხის საერთო ენად იქცა ქართული ენა".[3] კი-

---

[1] *«Первоначально охватывало территории, преимущественно населенные абхазами, **но в IX в. Абхазское царство**, центр которого был перенесен в Западную Грузию, **стало, по сути дела, западногруринрким государством,** игравшим важную роль в истории Грузии»* (**Константин Багрянородный.** Об управлении империей. Греческий текст, перевод, комментарии. Под. ред. ***Г. Г. Литаврина, А. П. Новосельцева***. Москва, 1989, комментарий 17 к главе 42, გვ. 401, в соавторстве с ***М. В. Бибиковым***, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Эристав Абхазии с помощью хазар добился независимости от империи. Его преемники стали претендовать и на западную Грузию, постепенно её подчинив. Это случилось позже, **в IX-X вв., а возникшее первоначально Абхазское государство,** распространив свою власть на этнически картвельские земли, куда затем был перенесен и центр государства (в Кутаиси), **постепенно превратилось в грузинское политическое объединение»*** (იხ.: **Л. Н. Гумилёв**. История Востока (Восток в средние века). – http://gumilevica.kulichki.net/HE2/he2103.htm. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *«К концу VIII в. сложилось Абхазское царство **объединившее всю Западную Грузию со столицей в Кутаиси**. **Общим языком для всех народов Абхазского царства становится грузинский язык»*** (იხ.: **В. А. Кузнецов.** Введение в Кавказоведение. Владикавказ, 2004, გვ. 16 (http://www.ossetia.ru/caucasus/abx-adig), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

დევ უფრო საგნობრივად მსჯელობს „აფხაზთა“ სამეფოზე მეცნიერული კავკასიოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი სერგეი არუთიუნოვი. მისი დასკვნით: *„**აფხაზეთი ყოველთვის იყო დასახლებული აფხაზებით, მაგრამ ქართველებითაც**. ... იქ ქართველები ზოგჯერ მეტნი იყვნენ, ზოგჯერ ნაკლებნი, მაგრამ **არასოდეს ყოფილა ისე, რომ იქ ეცხოვრათ მხოლოდ აფხაზებს, ან მხოლოდ ქართველებს.** ასეთი არამ არ ყოფილა. **ეს ხალხები ცხოვრობდნენ ერთად, მინიმუმ, ორი ათასწლეულის მანძილზე... საქართველოს ისტორიაში აფხაზები იგივეა, რაც რუსეთის ისტორიაში რუს-ვარიაგები. და აფხაზეთის სამეფო იქცა ქართული მიწების შემკრებად**...“*.[1]

ზემოხსენებულ ავტორიტეტულ მეცნიერთა აქ მოყვანილ დასკვნებში, რასაკვირველია, ყველაფერი არ არის უკრიტიკოდ გასაზიარებელი,[2] მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარია, რომ მათ ოდნავადაც არ აეჭვებთ „აფხაზთა“ სამეფოს ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი იერსახე. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსები და მათი მოსკოველი მფარველები (ძირითადად კონსტანტინე ზატულინის ტიპის ვაი პოლიტიკოსები) ყოველნაირად ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება საპირისპიროში. სხვადასხვა პუბლიკაციებში მუდმივად მიდის სპეკულიაცია სამეფოს სახელწოდებით და გაუთვითცნობიერებელ მკითხველს აჯერებენ, რომ „აფხაზთა“ სამეფო თითქოს იყო წმინდა აფხაზური (თანამედროვე გაგებით) ეთნოპოლიტიკური გაერთიანება.

„აფხაზთა“ სამეფოზე, როგორც აფხაზურ-აფსუურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე პირველად 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდგომ არენაზე გამოსულმა აფხაზეთის „ეროვნული“ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა განაცხადეს. მათ შორის პირველთაგანი იყო 1917-1937 წლების სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აფხაზი მოღვაწე მიხეილ თარნავა, რომელმაც 1917 წელს გამოაქვეყნა ბროშურა აფხაზეთის „ეროვნული“ ეკლესიის ისტორიისა – ერთგვარი „მეცნიერული“ დასაბუთება „დამოუკიდებელი“ (ქართული მართლმადიდებლური

---

[1] *«**Абхазия была населена** всегда абхазами, **но всегда и грузинами**. Т.е. иногда было грузин там больше, иногда меньше, **но никогда не было так, чтобы на территории Абхазии жили только абхазы или только грузины.** Такого не бывало. **Эти народы жили совместно в течение двух тысячелетий, как минимум. ...В грузинской истории абхазы выступили так, как, может быть, русы-варяги выступили в России. И Абхазское царство стало собирателем грузинских земель...**»* იხ.: *«Суть событий»,* радиостанция *«Эхо Москвы»*, 13.VIII. 2004 (http://www.echo.msk.ru/programs/sut/26630/, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაჯერებლად გამოიყურება მტკიცება იმის შესახებ, თითქოს „აფხაზთა“ სამეფო „თავდაპირველად“ (დინასტიის ქუთაისში გადაბარგებამდე) შეიძლება ყოფილიყო აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო.

ეკლესიისაგან) აფხაზეთის საეკლესიო ორგანიზაცის შექმნისა.[1] მასში ავტორმა „აფხაზთა“ სამეფო თანამედროვე აფხაზების წინაპრების მიერ შექმნილ სახელმწიფოდ გამოაცხადა. მისი მტკიცებით, *„აფხაზეთის* (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო – **ზ.პ**.) *ძლიერება და აყვავება იწყებს დაქვეითებას მას მერე, რაც დასრულდა მისი დამოუკიდებელ მმართველთა მეფობა“* და „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე – ქუთაისში – ავიდა ბაგრატ უფლისწული, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III, რომლის შემდეგაც თითქოს ***„აფხაზეთის ბედი დაუკავშირდა საქართველოს ბედს“***.[2]

ამ ტენდენციამ შემდგომი გაგრძელება ჰპოვა XX ს. 20-30-იანი წლების აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობის გამოჩენილ წარმომადგენელთა პუბლიკაციებში. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სემიონ აშხაცავა, რომლის ფანტასტიკური წარმოსახვა შორს იდგა ჯანსაღი აზრისგან. ასე მაგალითად: ს. აშხაცავა მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ „აფხაზეთის სამეფო“ *(Абхазское царство)* – იყო აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო, რომელიც არსებობდა XV საუკუნემდე, როდესაც ის დაიშალა სამ (ქართლის, კახეთის, იმერეთის) სამეფოდ და 5 სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი). XVI-XVII საუკუნეები ს. აშხაცავასთვის არის *„ყოფილი **აფხაზეთის სამეფოს დაქუცმაცებული რეგიონების** დაცემის ხანა ცხოვრების ყველა სფეროში“*, რაც *„**მძიმე გამოცდა აღმოჩნდა ეროვნული*** (მისი აზრით, რასაკვირველია, აფხაზური) ***თვითშეგნებისათვის**“*. ამიტომაც *„მოწინავე მოღვაწეებში გაიღვიძა ქართის ტომთა გაერთიანების იდეამ უკვე არა აფხაზეთის, არამედ საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდების ქვეშ“*.[3] უფრო მეტიც, თურმე *„XV საუკუნეში აფხაზეთის სამეფოს და-*

---

[1] **М. И. Тарнава.** Краткий очерк истории Абхазской церкви. Сухуми, 1917.

[2] *«Могущество и расцвет Абхазии приходят в упадок с прекращением Царствования ее самостоятельных правителей, последовавшего в 985 году: последний Царь Абхазский, Феодосии Слепой.., не имея наследников, по старанию Грузинского куропалата Давида, назначил преемником себе царственного юношу (сына Грузинского царя Гургена), нареченного еще в малолетстве Грузинским Царем под именем Баграта III … из династии Артонуджских Багратидов.* ***С этого времени судьба Абхазии сливается с судьбой Грузии****»* (იხ.: **М. И. Тарнава.** Краткий очерк истории Абхазской церкви, გვ. 9, ხაზგასმა ავტორისაა (ინტერნეტვერსია: http://georgia.orthodoxy.ru/index.php?cat=_history&ii=0&jj=10).

[3] *«После взятия Константинополя турками и падения Византийской империи,* ***в конце XV в., произошло распадение Абхазского царства*** *на три царства: Кахетинское, Карталинское и Имеретинское и на пять княжеств: Самцхе-Саатабего, Гурию, Мингрелию, Сванетию и Абхазию. Таким образом,* ***Абхазское царство распалось и измельчало*** *… XVI и XVII в.в. являются эпохой наибольшего па-*

ცემის შედეგი“ ყოფილა *„**ნაციონალური მონეტის მოჭრის შეწყვეტა**“*.[1]

ს. აშხაცავასა და მისი თანამოაზრეების გავლენის ქვეშ მოექცნენ ცალკეული რუსი ისტორიკოსებიც, რომლებიც ამ დროს იკვლევდნენ აფხაზეთის ისტორიას. მათ შორის უნდა გამოვყოთ თავისი ანტიქართული სულისკვეთებით ცნობილი კ. კუდრიავცევი, რომელიც VIII-X სს. „აფხაზთა“ სამეფოს ერთნიშნად აფსუა-აფხაზთა ეროვნულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად აცხადებდა. მისი მტკიცებით *„თევდოსე II უსინათლოს დამხობის მომენტიდან აფხაზეთის ტახტი დაიკავა ახალმა **არანაციონალურმა, უცხო დინასტიამ**“*.[2]

მეორე რუსი ისტორიკოსი ანატოლი ფადეევი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სოხუმში, მართალია, ღიად არ საუბრობდა „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ „ეროვნულ“ პერიოდზე, თუმცა ბაგრატ III-ის ერთიან ქართულ სახელმწიფოს *„სამოკავშირეო სახელმწიფოდ“ – «союзным государством»* (ანუ აფხაზურ-ქართულ – **ზ.პ.**) აცხადებდა, ხოლო ბაგრატ მეფეს – ამ *„სამოკავშირეო სამეფოს ხელმწიფედ“ («союзным государем»)* მოიხსენიებდა.[3] აქედან აშკარად ჩანს, რომ საკუთრივ „ლეონიდების“ სამეფოს იგი მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა სახელმწიფოდ მოიაზრებდა. დაახლოებით იგივე შეხედულებას იზიარებდა აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია, რომელმაც XX ს. 20-იან წლებში შექმნა ნაშრომი აფხაზეთის ისტორიის შესახებ.[4] თუმცა, მოგვიანებით, მან გადასინჯა თავისი მოსაზრება „აფხაზთა“ სამეფოს შესახებ და იგი ერთმნიშვნელოვნად აღიარა დასავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად.[5]

---

*дения во всех сферах жизни **этих разрозненных частей бывшего Абхазского государства**. **За** этим **острым испытанием национального самосознания,** –* в умах передовых *деятелей начинает пробуждаться **идея объединения Картских племен под общим названием уже не Абхазского, а Грузинского государства»***. იხ.: **С. М. Ашхацава.** Пути развития абхазской истории. Издание Наркомпроса Абхазии, 1925, გვ. 21. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] *«Распадение Абхазского царства в XV в. повело **к превращению чеканки национальной монеты»***. იხ.: **С. М. Ашхацава.** Пути развития абхазской истории, გვ. 28. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«С момента свержения Тевдосе II Слепого на престол Абхазии... вступает новая, **не национальная, чуждая ей династия»*** (იხ.: **К. Кудрявцев.** Сборник материалов по истории Абхазии. Сухуми, 1922, გვ. 120-121, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] **А. В. Фадеев.** Краткий очерк истории Абхазии. Ч. I. Сухуми, 1934, გვ. 84, 86.

[4] **Д. И. Гулиа**. История Абхазии. Тифлис, 1925, გვ. 191-222.

[5] **Д. И. Гулиа.** О моей книге «История Абхазии». Сухуми, 1951. რეპრინტული გამოცემა (Тб., 1998), გვ. 14-16 (http://www.amsi.ge/istoria/div/gulia1.html).

ზემოაღნიშნული აშკარად ტენდენციურად განწყობილი ავტორების გარდა (მოგვიანებით მათ შეუერთდა ი. ვორონოვი), რომლებიც „აფხაზთა“ სამეფოს მიიჩნევდნენ არა ქართულ, არამედ აფხაზურ (თანამედროვე ეთნიკური გაგებით) პოლიტიკურ გაერთიანებად, თვალსაზრისს ბაგრატ III-ის გამეფებით „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის შეწყვეტის შესახებ ავითარებდა ისეთი კომპეტენტური და მიუკერძოებელი მკვლევარი, როგორიც იყო გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ზურაბ ანჩაბაძე.[1] იმავე პოზიციაზე იდგა შალვა ინალ-იფა.[2]

მოგვიანებით, სამეცნიერო წრეებში და მათ შორის აფხაზ ისტორიკოსებშიც თითქოს არ იყო სადავო „აფხაზთა“ სამეფოს ქართული შინაარსი, რაც, პირველ რიგში, ზ. ანჩაბაძის დამსახურება იყო,[3] რომელმაც ერთმნიშვნელოვნად აღიარა „აფხაზთა“ სამეფო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად,[4] რომლის ***„კულტურული და საეკლესიო პოლიტიკა***.., *ისევე როგორც* ***სოციალური და სახელმწიფო პოლიტიკა ნაკარნახევი იყო საერთოქართული ინტერესებით“***.[5]

მიუხედავად ამისა, აფხაზეთში დრო და დრო ქვეყნდებოდა ნაშრომები, რომელშიც VIII-X საუკუნეების „აფხაზთა“ სამეფო წარმოდგენილი იყო, როგორც აფხაზური ეროვნული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. XX ს. 60-იან წლებში ამ მიმართულების წარმომადგენლებს შორის გამოირჩეოდა რაულ ხონელია.[6] მოცემული შეხედულება ნაწილობრივ გვხვდება ცნობილი აფხაზი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის შალვა ინალ-იფას ნაშრომებშიც. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ იგი მაინც უშვებდა საკუთრივ აფხაზური ეროვნული პერიოდის არსებობას ლეონ II-ის მიერ შექმნილი სამეფოს დედაქალაქის

---

[1] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 166, 171.

[2] **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976, გვ. 412.

[3] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, გვ. 95-158.

[4] აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. – *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ. საქართველოს სსრ, თბ., 1981, გვ. 313; Абхазская Автономная Социалистическая Советская Республика. Исторический очерк. – *Грузинская Советская Энциклопедия*, т. **Грузинская ССР**. Тб., 1981, გვ. 324.

[5] ***«Культурная и церковная политика..,*** *также как* ***его социальная и государственная политика, диктовалась общегрузинскими интересами»***. იხ.: **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, გვ. 153, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[6] **Р. А. Хонелия.** Некоторые вопросы политической истории Абхазии VI-VIII вв. по данным армянских источников. – *Сборник научных работ аспирантов Абхазского института языка, литературы и истории*. Сухуми, 1967; **Р. А. Хонелия.** Политические взаимоотношения Абхазского царства и царства Армянских Багратидов в IX-X веках. *Автореф. канд. дисс.* Ереван, 1967.

ქუთაისში გადატანამდე, რომლის შემდეგაც, მეცნიერის თქმით, **„აფხაზთა“ სამეფო** უკვე ***„არსებითად გადაიქცა ქართულ სახელმწიფოდ“*, რომლის ტერიტორიას ძირითადად ქართული მიწები, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას ქართველი ტომები შედგენდნენ, თვით სახელმწიფო კი საერთოქართულ პოლიტიკას** ატარებდა.[1]

„აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ-ეროვნული იერსახის პროპაგანდას ეწეოდნენ თავიანთ პუბლიკაციებში ე.წ. „აფხაზი ხალხის მეგობრები“ – იმპერიულად განწყობილი რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ შორის პირველობა ეკუთვნის რუსული ფაშიზმის იდეოლოგიურ ბელადს ვადიმ კოჟინოვს, რომელიც მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ „აფხაზთა“ სამეფოში საეკლესიო ღვთისმსახურება და სახელმწიფო მართვა-გამგეობა აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა[2] გიორგი ტურჩანინოვის მიერ „გაშიფრული“ აფხაზური დამწერლობის მეშვეობით.[3] ყოვლისმცოდნე ვ. კოჟინოვის „აღმოჩენებიდან“ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ *„1931 წლამდე აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს ნაწილი. არასოდეს თავისი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე. მაგრამ იყო დრო, როდესაც საქართველოს ნაწილი შედიოდა აფხაზეთის სამეფოში“*.[4]

XX ს. 80-იანი წლების II ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 1988 წლიდან, სეპარატისტული მოძრაობის მორიგი ესკალაციის ფონზე, აფ-

---

[1] *«Абхазское царство... вскоре после своего образования...* ***превратилось*** *по существу* ***в грузинское государство по своей основной территории, составу преобладающего населения... и осуществлявшейся... общегрузинской политике»* (**Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной..**,** გვ. 403, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] *Современная жизнь традиций*. Размышления об абхазской литературе. – *Дружба народов,* №4, 1977, გვ. 256.

[3] ჯერ კიდევ XX ს. 60-იან წლებში რუსმა მეცნიერმა-ლინგვისტმა პროფ. გიორგი ტურჩანინოვმა გააკეთა სენსაციური „აღმოჩენა“ – თანამედროვე აფხაზურ ენაზე გაშიფრა ე.წ. „მაიკოპის ფილის წარწერები“ და ეს, არც მეტი არც ნაკლები, მაიკოპის ფილის წარწერა მსოფლიო ცივილიზაციის უდიდეს მიღწევად – ანბანური დამწერლობის უძველეს ძეგლად გამოაცხადა (**Г. Ф. Турчанинов.** Памятники письма и языки народов Кавказа и Восточной Европы, Л., 1971). გ. ტურჩანინოვის „აღმოჩენების“ შესახებ დაწვრილებით იხ.: **Г. Г. Гиоргадзе.** Истина превыше всего. – გაზ. *«Заря Востока»*, 9 апреля, 1989г.; **Э. В. Хоштария-Броссе.** История и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте. Тб., 1996, გვ. 6-16. იქვე იხ. სათანადო ლიტერატურა.

[4] ***«До 1931 года Абхазия никогда не была частью Грузии. Никогда, за всю свою тысячелетнюю историю. Зато были времена, когда часть Грузии входила в Абхазское царство»*** (იხ.: **В. Кожинов.** Шеварднадзе в Абхазии продолжает дело Берии. – *Литературная Россия,* 8 января 1993 г. (http://abhazia.com/book/?page=book&cat=wb_41, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ხაზმა მეცნიერებმა უფრო აგრესიულად დაიწყეს მტკიცება „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზ-აფსუური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კუთვნილების შესახებ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემად იყო დემონსტრირებული ცნობილი აფხაზი არქეოლოგისა და ისტორიკოსის მიხეილ გუნბას მონოგრაფიაში.[1] ასევე აფხაზეთის ისტორიის საკითხებით გატაცებული ფილოლოგის ალექსი პაპასკირის პუბლიკაციებში.[2]

ამავე დროს აღვირახსნილი ანტიქართული ისტორიოგრაფიული კამპანია წამოიწყო სეპარატისტული მოძრაობის ოდიოზურმა წარმომადგენელმა, არქეოლოგმა იური ვორონოვმა, რომლის ნაშრომებმა ამ მიმართულებით ყურადღება ჯერ კიდევ XX ს. 70-იანი წლებიდან მიიქცია. თუ იგი იმჟამად ვერ ბედავდა თავისი ინსინუაციებისთვის პოლიტიკური მიმართულების მიცემას და არ გამოდიოდა აკადემიური ჩარჩოებიდან, 90-იანი წლების დასაწყისიდან მის „შემოქმედებაში“ საბოლოოდ წაიშალა ზღვარი მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის და იგი მთლიანად ჩადგა აფხაზურ-სეპარატისტულ მოძრაობის სამსახურში. ეს ნათლად გამოვლინდა მის მიერ გაზეთ *„აფხაზეთში“ («Абхазия»)* გამოქვეყნებულ ფრიად არაქკორექტულ რეცენზიაში მ. ლორთქიფანიძის წიგნზე *„აფხაზები და აფხაზეთი“*,[3] ასევე ე.წ. „ექსპრეს-ნარკვევში“ *„აფხაზები. ვინ არიან ისინი?“ («Абхазы. – Кто они?»),* რომელიც აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ გამოაქვეყნა.[4] ამ პუბლიკაციებში საქარ-

---

[1] **М. М. Гунба.** Абхазия в первом тысячелетии н. э. *Социально-экономические и политические отношения.* Сухуми, 1989, გვ. 232-249.

[2] **А. Л. Папаскири.** Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей. – *Труды АГУ*, т. VI. Сухуми, 1988, გვ. 114-129.

[3] **Ю. Н. Воронов.** Ядовитые уроки госпожи Мариам. – გაზ. *«Абхазия»,* 16.07. 1991. ი. ვორონოვის ამ პასკვილს ღირსეული პასუხი გასცა მ. ლორთქიფანიძემ გაზ. (*«Заря Востока»,* 7.08.1991, 8.08.1991). თავის დროზე ამ სტრიქონების ავტორიც ოპერატიულად გამოეხმაურა და შეძლებისდაგვარად მოიგერია მისი თავდასხმები ქართულ ისტორიოგრაფიაზე. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“, ანუ იმის შესახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი“. – გაზ.: *„აფხაზეთის ხმა“,* 16.08.1991, 17.08.1991; **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998 (https://iberiana2.wordpress.com/abkhazia/zpapaskiri/).

[4] **Ю. Н. Воронов.** Абхазы. – кто они? Гагра, 1992; *Белая Книга Абхазии.* Документы, материалы, свидетельства. 1992-1993. Москва, 1993 (http://psou.narod.ru/history/wb/wb_06.html). აღნიშნულ პუბლიკაციაში გადმოფრქვეული „სიბრძნეების“ შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** „უმეცრობის ფართი-ფურთი“, ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდომა. – გაზ.: *„აფხაზეთის ხმა“*, 21.11.1992, 26.11.1992; **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998; **З. Папаскири.** Парад невежества. *Или очередной вымысел известного фальсификатор.* – გაზ.: *«Демократическая Абхазия»,* 26.02.1993, 3.03.1993, 7.03. 1993; იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე:

თველო-აფხაზეთის ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად, ტენდენციურად იყო გაშუქებული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია, და რაც მთავარია, ადგილი ჰქონდა უხეშ ფაქტოლოგიურ დაუდევრობას. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ფაქტი – მან გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე – ბაგრატ III *„სამხრეთ საქართველოს ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი“ («представителя рода южногрузинских Багратидов»),* არც მეტი არც ნაკლები, **საკუთარ დედაზე – გურანდუხტზე** *„აფხაზეთის ტახტის მემკვიდრეზე“ («наследница абхазского престола»)* დააქორწინა.[1]

სეპარატისტული ისტორიოგრაფიის „მონაპოვრები“ „აფხაზთა“ სამეფოს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი იერსახის „შესწავლაში“ ერთგვარად შეჯამდა ე.წ. აფხაზეთის ისტორიის „დამხმარე სახელმძღვანელოში“, რომელიც გამოიცა სოხუმში 1991 წელს.[2] მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზთა“ სამეფოს შესახებ ქვეთავის ავტორი ი. ვორონოვი ყოველნაირად შეეცადა დაემალა აღნიშნული გაერთიანების ქართული შინაარსი, იგი ძალაუნებურად იძულებული გახდა ეღიარებინა ქართველებისა და აფხაზების ისტორიული ერთობა და მათი თანაარსებობა საერთო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში იმ საკითხების გაშუქებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა VIII საუკუნეში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ი. ვორონოვი ვერ გაექცა ეჩვენებინა ქართველი ლიდერების წამყვანი როლი. ზემოაღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს მისი მხრიდან კონსტატაცია (ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულების ცნობაზე დაყრდნობით), ანაკოფიასთან („აფხაზეთის ერისთავ“ ლეონის რეზიდენცია) არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამედის (იგივე მურვან „ყრუ“) წინააღმდეგ მებრძოლ ქართლელთა და აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრის სათავეში, ქართლის „მეფეთა“ – მირისა და არჩილის ყოფნის ფაქტისა.[3] სხვა ადგილას ი. ვორონოვი ხაზგასმით მიუთითებს ბიზანტიის როლზე დასავლეთ საქართველოში ლეონ I-ის პოზიციის განმტკიცებაში და აღნიშნავს, რომ იმპერია ხელს უწყობდა *„ქართლის მეფის მირის კუთვნილი სამეფო ღირსების ნიშნების ლეონ I-ისთვის გადაცემას“*.[4]

ზ. პაპასქირი. და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 224-246; **З. Папаскири.** Моя Абхазия.., გვ. 241-264 (https://iberiana.wordpress.com/afxazeti/nevejestva).

[1] **Ю. Н. Воронов.** Абхазы. – кто они? გვ. 21; *Белая Книга Абхазии..,* გვ. 28.

[2] *История Абхазии.* Учебное пособие. Гл. редактор ***С. З. Лакоба.*** Сухуми, 1991, გვ. 68-88.

[3] *История Абхазии..,* 1991, გვ. 70.

[4] «Передача ему **знаков царского достоинства, принадлежавших картлийскому**

თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ი. ვორონოვისთვის ემტკიცებინა, რომ ლეონ II-ის მოქმედებები, რომლებიც, *„ჩვეულებრივ, განიხილება რაღაც საერთოქართული პოლიტიკის გამოვლინებად“ («обычно рассматриваются в качестве проявления некоей его «общегрузинской» политики»)*, სინამდვილეში მიმართული იყო საკუთარი სამფლობელოების გაფართოებისათვის *„რაც დამახასიათებელია ნებისმიერი ფეოდალური დესპოტისთვის“ («в рамках стремлений, характерных для каждого феодального деспота»). „ამასთან,* – ასკვნის ავტორი, – *განუწყვეტლივ მიმდინარე“ («**беспрерывно продолжавшаяся»**)* ბრძოლა და მეტოქეობა ***„მეზობელ სამეფოებთან და სამთავროებთან ქართლის დაუფლებისათვის... ობიექტურად... დროთა განმავლობაში დასრულდა ყველა ქართის ენოვანი (ქართველი) ტომების გაერთიანებით და აფხაზეთის სამეფომ ამ პროცესში ... პოზიტიური როლი შეასრულა“***).[1]

ცოტა ქვემოთ აღნიშნულია, რომ *„X ს. მიწურულისათვის **აფხაზეთის სამეფოს აღმოსავლური პოლიტიკა,** რომელსაც ობიექტურად მიჰყავდა (ქვეყანა) დასავლეთ და ცენტრალური ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანებამდე, **დასრულდა ახალი სახელმწიფოს: „აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“, მოგვიანებით ცნობილი, როგორც ერთიანი ქართული სამეფო“*** შექმნით.[2] *„975–978 წლების მოვლენები,* – აგრძელებს ი. ვორონოვი, – *განხილულ უნდა იქნას, ერთი მხრივ, როგორც წარმატება მეზობელი ტერიტორიების მიტაცებისა და აფხაზეთის სამეფოს გაძლიერების საქმეში, ხოლო მეორე მხრივ – როგორც **პირველი ნაბიჯები თვისობრივად ახალი ფეოდალური სახელმწიფოს შესაქმნელად, რომელიც მოგვიანებით ცნობილი გახდა, როგორც ქართული**“*.[3]

царю Миру» (იხ.: *История Абхазии*.., 1991, გვ. 74, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] ***«С соседними царствами и** княжествами, особенно за владение Картлией. **Объективно ...со временем привела к объединению всех картоязычных (грузинских) племен,** и Абхазское царство сыграло в этом процессе основную позитивную роль»*. იხ.: *История Абхазии*.., 1991, გვ. 76, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«...К концу X века **восточная политика Абхазского царства,** объективно ведущая к объединению значительной части западного и центрального Закавказья, **завершилась созданием нового государства – «царства абхазов и картвелов», позднее известного как объединенное грузинское царство**»*. იხ.: *История Абхазии*.., 1991, გვ. 89, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *«События 975-978 гг. следует расценивать, с одной стороны, как удачу в деле захвата соседних территорий и укрепления Абхазского царства, а с другой – **как первые шаги к образованию качественно нового** феодального **государства, позже ставшего известным как «Грузинское».*** იხ.: *История Абхазии*, გვ. 89.., 1991, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

რამდენადმე დაბნეული იმის კონსტანტაციით, რომ „აფხაზთა“ სამეფო **მაინც ტრანსფორმირდებოდა ქართულ სახელმწიფოდ**, ი. ვორონოვი ყოველნაირად ცდილობს „გადაფაროს“ ეს შემდეგი განცხადებით: *„აფხაზეთის მეფეები, აფართოებდნენ რა ზოგჯერ ძალით, ზოგჯერ ინტრიგებით საკუთარი სამფლობელოების საზღვრებს,* ***პირველ რიგში ზრუნავდნენ თავიანთ კეთილდღეობაზე და ძლიერებაზე. მათ არ აღელვებდათ ნაციონალური (თანამედროვე გაგებით) პრიორიტეტის საკითხი, ხოლო შესაბამისი მომენტები*** *(ოფიციალური დოკუმენტების ენა, საეკლესიო დაქვემდებარება, არქიტექტურული სკოლები და ა.შ.)* – ***როგორც რეალური ცხოვრების გამოვლინებანი... გამომდინარეობდა კონკრეტული სიტუაციიდან“***.[1]

ამრიგად, გამოდის, რომ ლეონ II-სა და მისი მემკვიდრეების აშკარად გამოკვეთილი ქართული პოლიტიკა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სფეროში, საეკლესიო პოლიტიკასა და ა. შ. (ი. ვორონოვის მიერ უნებლიედ აღიარებული) იყო არა „ნაციონალური პრიორიტეტი“, არამედ მხოლოდ ***„რეალური ცხოვრების გამოვლინება“***. და ეს მაშინ, როცა სხვა შემთხვევაში ქვეყნის განვითარებას *„ბიზანტიური კულტურულ-პოლიტიკური სისტემის ფარგლებში“ («в рамках византийской культурно-политической системы»)*, რატომღაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია არა მარტო აბაზგიისა და აფსილიისათვის, არამედ „აფხაზთა“ სამეფოსთვისაც. *„რომ არ ყოფილიყო VIII–X საუკუნეებში პოლიტიკურად დამოუკიდებელი, მაგრამ ქრისტიანული, ამასთან, უკვე ბიზანტიზირებული აფხაზეთის სამეფო,* – წერს „სახელმძღვანელოს“ ავტორი, – *XI–XII საუკუნეებში ვერ წარმოიქმნებოდა ამჟამად საერთოქართული სამყაროს სახელით ცნობილი... კულტურულ-ისტორიული ერთობა“*.[2]

თუ ბიზანტიის კულტურულ-პოლიტიკური გავლენა აბაზგიაზე და აფსილიაზე სრულიად აშკარა იყო, იგივეს ვერ ვიტყვით „აფხაზთა“ სამეფოზე. „აფხაზი“ მეფეების სტრატეგიული საგარეო პოლიტიკის წყა-

---

[1] *«Абхазские цари, расширяя то силой, то с помощью политических интриг границы своих владений, заботились,* ***прежде всего, о своем личном благе и могуществе. Их ещё не волновали вопросы национального*** *(в современном смысле слова)* ***приоритета, а соответствующие моменты*** *(язык официальных документов, церковная соподчинённость, архитектурные школы и т.д.)* ***– как проявления реальной жизни, обращенной больше в настоящее, зависели от конкретной ситуации****».* იხ.: *История Абхазии*.., 1991, გვ. 90, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Не будь в VIII-X вв. политически независимого, но христианского, и в этом уже византизирующего Абхазского царства, не сложилось бы в XI-XII веках тяготевшего к тому же христианскому миру культурно-исторического единства, ныне называемого общегрузинским».* იხ.: *История Абхазии*.., 1991, გვ. 90.

ლობით მოპოვებული დამოუკიდებლობა ბიზანტიის იმპერიის კულტურულ-იდეოლოგიური ზეგავლენისგან დამოუკიდებლობას ნიშნავდა, რომელიც, რა თქმა უნდა, დრო და დრო არ გამორიცხავდა თანასწორ პარტნიორულ ურთიერთობას ქუთაისსა და კონსტანტინოპოლს შორის.[1]

ი. ვორონოვის რამდენადმე ფრთხილი პოზიცია[2] „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის განსაზღვრისას (აფხაზეთის „სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ) უკვე არ „შეეფერებოდა“ სეპარატისტების გაზრდილ ამბიციებს. მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ მხოლოდ „ლეონიდების“ სამეფოს გამოცხადება აფხაზურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ გაერთიანებად და, არც მეტი არც ნაკლები, მას XI-XII საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოც მიაყოლეს. თუ ი. ვორონოვი ზემოთაღნიშნულ სახელმძღვანელოში XI-XIII სს. ერთიანი ქართული სახელმწიფოს განსაზღვრებისთვის იყენებდა ფორმულირებას: „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“[3] და აღიარებდა რა ამ სახელმწიფოს ქართულ იერსახეს, მიუთითებდა აფსუა-აფხაზების როლზე, ზოგიერთ პუბლიკაციებში სრულიად უაპელაციოდ საუბრობენ იმაზე, რომ „აფხაზთა“ სამეფო (მათი ავტორების აზრით აფსუა-აფხაზების ეროვნული სახელმწიფო) არსებობდა 1259 წლამდე.[4]

მოცემული შეხედულება მკვიდრდება ბოლო დროს გამოცემულ მთელ რიგ პუბლიკაციებში. პირველ რიგში ეს არის სტატიები ზოგიერთ რუსულ ენციკლოპედიებსა და ცნობარებში, რომელიც აშკარად მიწოდებულია სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსების მიერ.[5] აზრი, „აფხაზთა“ სამეფოს არსებობაზე XIII ს. შუა ხანებამდე გვხვდება ასევე სერგეი შამბას სტატიებში. ავტორი თვლის, რომ ლეონ II-ის მიერ შექმნილი „აფხაზთა“ სამეფო მხოლოდ აფხაზურ ეროვნული სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო, რომელშიც VIII-XIII საუკუნეებში

---

[1] **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. VI. თბ., 1999, გვ. 325-335; იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 184-195.

[2] რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს პოზიცია დღემდე შენარჩუნებულია თვითაღიარებული რესპუბლიკის ოფიციალურ პოლიტიკურ ხედვაში (იხ.: *Абхазское царство.* – Официальный сайт Президента Республики Абхазия, http://www.abkhaziagov.org/state/history/abk).

[3] *История Абхазии..*, 1991, გვ. 98.

[4] სხვათა შორის, ამ თარიღს იზიარებდა ი. ვორონოვიც, რომლის მიხედვით, სწორედ ამ დროს „აფხაზთა და ქართველთა სამეფო“ გამქრალა ისტორიის არენიდან *(«царство абхазов и картвелов» ушло с исторической арены»*. იხ.: *История Абхазии..*, 1991, გვ. 98).

[5] *Страноведение – все о странах мира* (http://maxpj.ru/state.php/796).

დომინირებდა აფხაზური მოსახლეობა.[1] მაგრამ ყველაზე აგრესიულად „აფხაზთა“ სამეფოს, როგორც აფხაზთა „ნაციონალური სახელმწიფოს“ – არსებობაზე 1259 წლამდე საუბრობს ერმოლაი აჯინჯალი.[2]

ლეონ II-ის მიერ ახლად შექმნილი სამეფოს დედაქალაქის ანაკოფიიდან (ახლანდელი ახალი ათონი) ქუთაისში გადატანის ფაქტის აღნიშვნისას, ს. შამბა აკეთებს სრულიად დაუსაბუთებელ განცხადებას იმის შესახებ თითქოს ლეონმა ახალ დედაქალაქს მისცა „აფხაზური სახელწოდება „ქუთაში“, რომელიც აფხაზურ ენაში დღესაც ხმარებაშია და აღნიშნავს „ქათმის გორას“. ამავე დროს, ს. შამბა იმოწმებს ანტიკურ ტრადიციას, რომელიც თანახმადაც ამ მხარეში იყო ხოხბების სიმრავლე.[3]

ს. შამბას – ბოლო დრომდე სეპარატისტული აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის, დიდი ხნის მანძილზე ე.წ. „საგარეო საქმეთა მინისტრის“, ხოლო მოგვიანებით „პრემიერ-მინისტრის“, რომელიც სხვათა შორის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მანტიითა შემოსილი – ინსინუაციები ამით არ მთავრდება. აღნიშნავს რა, რომ *„978 წელს აფხაზეთის მეფეთა გვირგვინი დედის ხაზით გადავიდა“* ბაგრატ უფლისწულზე, ამ უკანასკნელს მოიხსენიებს როგორც ***„ბაგრატუნთა სომხური საგვარულოს სამხრეთ საქართველოს შტოს“*** წარმომადგნელს (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).[4] ამასთანავე, ს. შამბა სხვა პუბლიკაციაში იძულებულია აღიაროს, რომ **„აფხაზთა“ სამეფო** – *„იმ დროისათვის უძლიერესი სახელმწიფო“ («**могущественное** по тем временам **государство**»),* რომელიც *„შექმნა აფხაზმა ხალხმა“* **XI საუკუნეში,** *„დინასტიური ქორწინებების შედეგად **ტრანსფორმირდა ქართულ სამეფო**დ, რომელმაც იარსება XIII საუკუნემდე“ («в результате династических браков **трансформировалось в Грузинское царство,** просуществовавшее до XIII века»).*[5]

---

[1] **С. М. Шамба.** К вопросу о правовом, историческом и моральном обосновании права Абхазии на независимость. – *Международное право,* №4, Москва, 1999. – http://www.apsny.ru/history/history.php?page=content/nov_hist/k_voprosu.htm.

[2] **Е. К. Аджинджал.** Из истории Абхазской государственности. Сухуми, 1996, გვ. 12-15.

[3] *«Абхазское название Кутышь, которое в абхазском языке употребляется и сегодня (означает «куриная гора»)».* იხ.: **С. М. Шамба.** К Вопросу о правовом, историческом и моральном обосновании права Абхазии на независимость...

[4] **С. М. Шамба.** К Вопросу о правовом, историческом и моральном обосновании права Абхазии на независимость... როგორც ჩანს, სწორედ ასეთი სახის განცხადებისთვის მიენიჭა ს. შამბას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი არა სადმე სხვაგან, არამედ ერევანში.

[5] **С. М. Шамба.** Абхазия: право на независимость. – *Новая политика*. Интернет-журнал. – http://www.novopol.ru/article2350.html. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

შამბას გვარის კიდევ ერთი წარმომადგენლის, სეპარატისტული აფხაზეთის ყოფილი „პრემიერ მინისტრის“ ძმის ტარას შამბას (თავის დროზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პარტიული „ბოსი“ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი) მტკიცებით, აფხაზეთის *„სახელმწიფო* (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო – **ზ.პ**.) *აფხაზებმა შექმნეს დამოუკიდებლად თავიანთ ძირძველ მიწაზე და ორი საუკუნის მანძილზე აფხაზეთის სახელმწიფო იყო უძლიერესი მეზობლებს შორის“*.[1] რაც შეეხება „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოებს, მისი სახელწოდება *„აფხაზთა და ქართველთა სამეფო“* ***(«Абхазо-Картвельское царство»)***, ტ. შამბას და მისი იდეური თანამებრძოლისა და თანაავტორის, რუსული შოვინისტური კორპუსის ერთ-ერთი წარმომადგენლის, მანამდე ყველასთვის უცნობი ეთნოპოლიტოლოგის ვინმე ა. ნეპროშინის აზრით, *„ფაქტობრივად, პირობითია, რადგანაც მის მმართველობაში მოსული ბაგრატ III იყო არა ქართველი, არამედ სომხური (კიდევ ადრე სპარსული) საგვარეულოს წარმომადგენელი ტაო-კლარჯეთიდან, რომლის დედაც იყო აფხაზი, ანუ არაფერი ჰქონდა საერთო ქართველურ ტომებთან“*.[2]

სხვა პუბლიკაციაში ტ. შამბა თავის განუყოფელ თანაავტორთან ერთად კიდევ უფრო შორს მიდის. *„რეგიონის ისტორიაში,* – წერენ ისინი, – *დადასტურებულია აფხაზეთის სამეფოს არსებობა VIII–X საუკუნეებში და აფხაზთა და ქართველთა სამეფოს არსებობა XIII ს. დამდეგამდე. აფხაზეთი ამ ცნობებზე დაყრდნობით აცხადებს პრეტენზიას საკუთარ სუვერენიტეტზე, მაგრამ საქართველო ამ სამეფოს განიხილავს, როგორც ქართულ სახელმწიფოს (?), რომელშიც გაბატონებული იყო ქართული ენა და კულტურა“*.[3] არადა, თურმე „აფხაზურ ვერსიას“, ადა-

---

[1] *«... **Государство абхазы создали самостоятельно на своей исконной земле** и на протяжении двух веков **абхазское государство** было сильнейшим среди соседей»*. იხ.: **Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин.** Абхазия. *Правовые основы государственности и суверенитета.* Москва, 2003. ინტერნეტსაიტი: *„Абхазия – страна души“* (http://abkhazia.narod.ru/SH/chap-41.html).

[2] *«Было фактически **условным, поскольку пришедший на его правление Баграт III был не картвел, а представитель армянского** (а еще ранее персидского) **рода из Тао-Кларджети, мать которого была абхазка, т.е. не имел ничего общего с племенем картвелов**»*. იხ.: **Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин.** Абхазия. *Правовые основы государственности и суверенитета*.., ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *«В истории региона, подтверждено существование Абхазского царства в период между VIII-Xвв. и Абхазско-Картвельского царства до начала XIIIв. **Абхазия представляет эти сведения как претензию на собственный суверенитет,** но **Грузия это же самое царство характеризует как... Грузинское государство (?)**, в котором преобладают грузинский язык и культура»*. იხ.: **Т. М. Шамба, А. Ю. Не-**

სტურებენ ***„აფხაზთა მეფეთა დივანი“ „ქართლის ცხოვრება“, შუა საუკუნეების აფხაზეთის სამეფოს ისტორიკოსთა შრომა“ («Диван Абхазских царей»., «Картлис Цховреба», труд средневековых историков Абхазского царства»)***.[1] ამასთან, როგორც ამას ბოლო დროის ისტორიის მეცნიერების ახლად მოვლენილი „კორიფეები“ აცხადებენ, *„აფხაზეთი არასდროს არ თვლიდა თავს საქართველოდ, უფრო ამიერკავკასიის სამთავროები, მათ შორის ქართლი და კახეთი უნდა ჩაითვალოს აფხაზეთის ტერიტორიულ და ადმინისტრაციულ კუთვნილებად“*.[2]

როგორც ვხედავთ, *„აფხაზ მეფეთა დივანი“* და *„ქართლის ცხოვრება“* ჩვენი „ჭკუის კოლოფების“ მიერ ფაქტობრივად გამოცხადებულია „აფხაზთა“ სამეფოს (მათი გაგებით აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს) წერილობით ძეგლად ქართლი და კახეთი კი – ამიერკავკასიის სამთავროებად და არა ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნად. ამასთანავე, მათი „გენიალური“ მიგნებით თურმე *„მტკიცებებს საქართველოს არსებობის შესახებ 26 საუკუნის განმავლობაში არაფერი არა აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან…“*, რადგან თურმე ***„1918 წლის მაისამდე სახელმწიფო „საქართველო“, როგორც მისი ტერიტორია არ არსებობდა!*** *მხოლოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული დამოუკიდებელი სამთავროების, რომელთაგან არცერთი არ ატარებდა სახელს „საქართველო“, გაერთიანების შედეგად შექმნილი ერთიანი სახელმწიფოსა და მისთვის ამ სახელწოდების მინიჭების შემდეგაა გამართლებული იურიდიულად ასეთი სახელმწიფოს წარმოქმნა და არა ამაზე ადრე“*.[3]

прошин. Постсоветское пространство после Беловежья. *Абхазия – DeFacto и DeJure.* – *Гражданин*. Периодический политический журнал, №2, 2004 (http://www.grazhdanin.com/grazhdanin.phtml?var=Vipuski/2004/2/statya7&number=%B92%A02004%E3).

[1] **Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин.** Абхазия. *Правовые основы государственности и суверенитета*.., ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Абхазия никогда не считала себя Грузией, скорее княжества Закавказья, в том числе Картли и Кахетия, должны считаться принадлежащими территориально и административно Абхазии»*. იხ.: **Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин.** Постсоветское пространство после Беловежья. *Абхазия – DeFacto и DeJure.*

[3] *«Домыслы о существовании Грузии на протяжении 26 веков не имеют ничего общего с исторической действительностью... **До мая 1918 г. государство «Грузия», как и ее территория, не существовало!** Только с объединением нескольких отдельных независимых княжеств, располагавшихся на территории Закавказья, из которых ни одно не носило самоназвание «Грузия», в единое государство и присвоением этому объединению указанного наименования юридически правомерно возникновение такой страны, с этого момента – и не ранее!»*. იხ.: **Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин.** Постсоветское.., ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

და ეს მაშინ, როცა საკუთრივ, ***„აფხაზეთი VIII-XI საუკუნეებში და მოგვიანებითაც XVIII საუკუნემდე იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო“, რომელიც (VIII-XIII სს.) „პრაქტიკულად მთელ ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიას მოიცავდა, ამ ტერიტორიებზე არსებული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების ჩათვლით. ქართველ პოლიტიკოსთა მითითებები იმის თაობაზე, რომ ყველა ეს ტერიტორია ეკუთვნოდა საქართველოს – სრული უაზრობაა, რადგან ასეთი სახელმწიფო 1918 წლის 26 მაისამდე არ არსებობდა“***.[1]

ზემოთ მოყვანილი „შედევრების“ გაცნობის შემდეგ ნებისმიერ ნაკლებად ინფორმირებულ მკითხველს შეუძლია გააკეთოს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტად სენსაციური დასკვნა: დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სახელმწიფო და ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებული *„ქართლის ცხოვრება“* (საინტერესოა რატომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა *„ვეფხისტყაოსანი“* არა?!) არის არა ქართველების, არამედ აფხაზი ერის (სხვათა შორის, მათ არ გააჩნდათ დამწერლობა XIX ს. ბოლომდე) ისტორიული მონაპოვარი. აი, როგორი თეორიული „სიბრძნით“ კვებავენ სეპარატისტებს იურისტი ტ. შამბა და მისი ძმობილი ა. ნეპროშინი – ს. აშხაცავას და ვ. კოჟინოვის იდეური მემკვიდრეები.

რა თქმა უნდა, სრულიად უაზროა ისტორიული მეცნიერებისაგან ასე შორს მდგარი „ექსპერტების“ ამგვარი აბსურდული დასკვნების კომენტირება. სამწუხაროა, რომ ასეთი სახის „აღმოჩენები“ ზოგჯერ ჩნდება პროფესიონალ ისტორიკოსთა პუბლიკაციებშიც. ასე, მაგალითად, ზემოთ ნახსენები ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი და არქეოლოგი მ. გუნბა „აფხაზების“ (აბაზგების) მიერ შექმნილ „აფხაზთა“ სამეფოს უწოდებს საერთოკავკასიურ სახელმწიფოს, რომელიც არსებობდა X-XV საუკუნეებში.[2]

თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ არა მხოლოდ VIII-X საუკუნეების „აფხაზთა“ სამეფო, არამედ ბაგრატ III-ისა და მისი მემკვიდრეების სამეფო *„მონგოლთა შემოსევებამდე“ («до нашествия монголов»)* რჩე-

---

[1] ***«Абхазия... в VIII-XIвв. и позже, до XVIIIв., была государством независимым», «охватывало практически все Центральное и Западное Закавказье, включая в себя все государственные образования, находившиеся на этой территории. Ссылки грузинских политиков на то, что все эти территории в XI-XIIIвв. принадлежали Грузии, – полная бессмыслица, поскольку такого государства до 26 мая 1918г. не было»***. იხ.: **Т. М. Шамба, А. Ю. Непрошин.** Постсоветское пространство после Беловежья. *Абхазия – DeFacto и DeJure.* ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **М. М. Гунба.** Об автохтонности абхазов в Абхазии. – *Абхазия – страна души.* – http://www.abkhaziya.org/server-articles/article-67b29ce2daa13cbacb983efe16775a02.html.

ბოდა აფხაზურ პოლიტიკურ წარმონაქმნად, აქტიურად უჭერს მხარს კიდევ ერთი დილეტანტი ისტორიული მეცნიერების სფეროში, ფილოლოგი ა. პაპასკირი.[1] VIII-X საუკუნეების „აფხაზთა“ სამეფო აფხაზურ სახელმწიფოდ მიაჩნია ირინე აგრბას.[2] გურამ გუმბას აზრით, „აფხაზთა“ სამეფო VIII-X საუკუნეებში იყო მხოლოდ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო, მაშინ როცა გაერთიანებული საქართველოს სამეფო XI-XV საუკუნეებში თურმე იყო არა საქართველო, არამედ მხოლოდ *„ამიერკავკასიის ხალხების ფედერაციული სახელმწიფო“ («федеративное государство закавказских народов»)*.[3]

2006 წელს სოხუმში გამოიცა აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „სახელმძღვანელო“ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებისათვის *(«для общеобразовательных учебных учреждений»)*.[4] მასში (ჩვენთვის საინტერესო თავების ავტორი არის ი. ვორონოვის მეგობარი და თანამებრძოლი, ცნობილი არქეოლოგი ოლეგ ბღაჟბა) პრაქტიკულად შენარჩუნებულია VIII-X საუკუნეების ი. ვორონოვისეული ხედვა, თუმცა ზოგიერთ ადგილებში მაინც იგრძნობა თანამედროვე პოლიტიკური კონიექტურის კვალი. ეს პირველ რიგში, ეხება მურვან იბნ-მუჰამმადის ლაშქრობას დასავლეთ საქართველოში. ახალი „სახელმძღვანელოს“ ავტორი ანაკოფიის ბრძოლის პერიპეტიებზე თხრობისას (ი. ვორონოვისგან განსხვავებით) არაფერს ამბობს ქართლის ერისმთავრების მირის და არჩილის წარმმართველ როლზე.[5]

---

[1] **А. Л. Папаскир.** Начало абхазо-русских взаимоотношений. – *Непризнанные государства Южного Кавказа и этнополитические процессы на юге России*, вып. 29. 2005 – http://kavkazonline.ru/csrip/elibrary/uro/uro_29/uro_29_07.htm). სხვათა შორის, სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1984 წლის დასაწყისში გამართულ ა. პაპასქირის მოხსენების „მოსმენაზე“ მთელი მისი დილეტენტური „მიგნებების“ – მათ შორის „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ-აფსუურ იერსახეზე – აბსურდულობა მკაფიოდ აჩვენა თვით ზ. ანჩაბაძემ.

[2] **И. Ш. Агрба.** Взаимоотношения Абхазского царства и Византии (Конец VIII – Хвв). *Автореферат на соиск. уч. степ. канд. историч. наук.* Москва, 1989, გვ. 17. ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა ი. აგრბას საკანდიდატო დისერტაციის სრული ტექსტი, რომელშიც უფრო მკვეთრადაა ხაზგასმული „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზური ნაციონალური იერსახე (**И. Ш. Агрба.** Абхазское царство и Византия (VIII-X вв.). Сухуми, 2011, გვ. 82-87 (http://apsnyteka.org/file/agrba_i_abkhazskoe_tsarstvo_i_vizantia_VIII_X_vv.pdf).

[3] **Г. Гумба.** Значение терминов «Грузия» и «Сакартвело»в средневековых источниках. Сухуми, 1994, გვ. 4-5.

[4] **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней.* 10-11 классы. Сухуми, 2006.

[5] **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии.., გვ. 118.

ასეთია, მთლიანობაში, „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის აფხაზური (სეპარატისტული) ხედვა. როგორც ვხედავთ, ზემოთ ხსენებული ავტორები ყველანაირად ცდილობენ დაარწმუნონ მთელი სამყარო იმაში, რომ VIII საუკუნის ბოლოს ლეონ II-ის მიერ შექმნილი „აფხაზთა“ სამეფო, რომელიც მინიმუმ ორი საუკუნის განმავლობაში (ბაგრატ III-ის „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებამდე) წარმოადგენდა მხოლოდ აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სხვა პუბლიკაციების მოყვანაც, რომელშიც ტირაჟირებულია მოცემული თვალსაზრისი, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილი მასალა სრულიად საკმარისია იმის საჩვენებლად თუ რა ისტორიოგრაფიულ ბურანში ამყოფებენ თავიანთ თანამემამულეებს ჩვენი აფხაზი კოლეგები.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ? ერთ ცალკე აღებულ სტატიაში, რასაკვირველია, შეუძლებელია „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის შესახებ აქ მოყვანილი ნაბოდვარის სერიოზული კრიტიკა და ყველა ე.წ. „სადავო“ საკითხზე ამომწურავი კომენტარის გაკეთება. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდებით კიდევ ერთხელ[1] გავარკვიოთ, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს „აფხაზთა“ სამეფოს სახელით ცნობილი პოლიტიკური გაერთიანება, არა საკუთრივ აფსუა-აფხაზთა ნაციონალურ სახელმწიფოდ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად. მაგრამ თავდაპირველად ამ სახელმწიფოს წარმოქმნის დროსა და გარემოებების შესახებ.

---

[1] ამ საკითზე ჩვენი დაკვირვებების პუბლიკაცია დაიწყო 2002 წელს (იხ.: **З. Папаскири.** Политическая ситуация в Грузии накануне образования „Абхазского“ царства. – გაზ. *„Свободная Грузия“*, 23.VIII.2002; **З. Папаскири.** Образование „Абхазского“ царства и его национально-государственный облик. – გაზ. *„Свободная Грузия“*, 12.IX.2002, 31.X.2002), შემდეგ კი წიგნებში **З. В. Папаскири.** О национально-государственном облике Абхазии/Грузия. Тб., 2003, გვ. 17-25 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29930/1/OnacionalnoGosudarstvennomOblikeAbxazii.pdf) და **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროდან 1917 წლამდე. თბ., 2004, გვ. 37-55 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29913/1/Narkvevebi_I.pdf). ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე ჩვენი პუბლიკაცია XI-XV საუკუნეების ამჟამინდელი აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ იერსახეზე XI-XV საუკუნეებში (**ზ. პაპასქირი**. აწინდელი აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან (XI-XV საუკუნეები). – წგნ.: ***ზ. პაპასქირი.*** *აფხაზეთი საქართველოა*. თბ., 1998, გვ. 121-161; **З. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XVвв. – *Разыскания по истории Абхазии/ Грузия*. Тб., 1999, გვ. 177-202. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. გამომც.: *„მერიდიანი“*. თბ., 2009, გვ. 65-95 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf).

დავიწყოთ იმით, რომ VIII ს. მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა. უძველესი ქართული სახელმწიფოების – კოლხეთი, ლაზიკა-ეგრისისა და ქართლი-იბერიის – ნანგრევებზე აღმოცენდნენ ცალკეული სამეფო-სამთავროები: კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, „აფხაზთა“ სამეფო. ცალკე ჩამოყალიბდა თბილისის საამირო. ეს ცვლილებები უმთავრესად საგარეო პოლიტიკური ფაქტორებით, კერძოდ, ამიერკავკასიაში ბიზანტია-არაბთა სახალიფოს დაპირისპირებით იყო განპირობებული. აპოგეას ამ კონფრონტაციამ VIII ს. 30-იან წლებში მიაღწია, როდესაც მთელი საქართველო მრისხანე არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამმადის (მურვან „ყრუს“) დამანგრეველი ლაშქრობების არენად იქცა. ვინაიდან ამ მოვლენის შემდეგ არსებითად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა, რომელმაც ხელსაყრელი ფონი შექმნა აფხაზეთის ერისთავის შემდგომი პოლიტიკური აღზევებისათვის მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასზე შედარებით ვრცლად შეჩერება.

ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, ჯუანშერ ჯუანშერიანის მატიანემ და *„დავითისა და კონსტანტინეს წამებამ“* შემოგვინახეს დასავლეთ საქართველოში მურვან „ყრუს“ ლაშქრობის საკმაოდ დაწვრილებითი აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამხედრო კამპანიის შესახებ არაფერს გვატყობინებენ არაბული წყაროები, რომლებიც საზოგადოდ კარგად იცნობენ მურვან იბნ-მუჰამმადის მოღვაწეობას კავკასიაში, მკვლევართა უმრავლესობას (მათ შორის უკლებლივ ყველა აფხაზ ისტორიკოსს) სავსებით საფუძვლიანად არ შეაქვს ეჭვი ქართული წყაროების მონაცემების სანდოობაში და აღიარებს მურვან „ყრუს“ დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის რეალურობას. ამ ლაშქრობის დროს არაბმა სარდალმა, ჯუნშერ ჯუანშერიანის ცნობით, *„შევლო... **კლისურა,** რომელი **მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა**... შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფიისასა“* – „აფხაზეთის ერისთავის“ ლეონის რეზიდენციას, რომელსაც თავი შეაფარეს ქართლიდან გამოქცეულმა ერისმთავრებმა მირმა და არჩილმა.[1]

ანაკოფიის ციხის მისადგომებთან მოხდა შეტაკება მურვან „ყრუს“ 35-ათასიან ლაშქარსა და ქართლელთა და აფხაზთა გაერთიანებულ მხედრობას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებულ ქართულ წყაროებში არ არის ერთიანი აზრი ანაკოფიის ბრძოლის შედეგზე, თუმცა ორივე წყარო აღნიშნავს, რომ მურვან „ყრუს“ ანაკოფია არ

[1] **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***სიმონ ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. გამომცემლობა: *განათლება*. თბ., 1955, გვ. 235, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

დაუკავებია, ხოლო მესამე წყარო – *„არჩილის წამება“* – ცალსახად მხარს უჭერს ჯუანშერ ჯუანშერიანს და ასევე აფიქსირებს *„დაცემასა* (ე.ი. დამარცხებას – **ზ.პ.**) *მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა“*.[1] ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, მურვან „ყრუს“ ლაშქრობამ ვერ განამტკიცა არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში და მათ, როგორც ჩანს, მოუხდათ იქიდან აყრა. ანაკოფიის ბრძოლის პერიპეტიებთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ერთ ფაქტზეც. არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართლელთა და აფხაზთა გაერთიანებულ ლაშქარს (რომელშიც 2000 აფხაზი და მხოლოდ 1000 ქართლელი იყო) ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი სარდლობდნენ, „აფხაზეთის ერისთავი“ ლეონი კი, როგორც ჯუნშერ ჯუანშერიანი მიუთითებს, ამ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა ანაკოფიაში და *„შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“*.[2] სავარაუდოა, რომ ლეონის იქ ყოფნა საერთო სამხედრო გეგმის ნაწილი იყო. როგორც ჩანს, აფხაზეთის ერისთავს კავკასიონის გადმოსასვლელების დაცვა ჰქონდა დავალებული.[3]

მურვან „ყრუს“ ლაშქარზე გამარჯვებას ქართული საისტორიო ტრადიცია, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ უკავშირებს გარკვეულ ცვლილებებს ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. ამ დროს ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის სახლი ოფიციალურად აღიარა საერთოქართული პოლიტიკური სამყაროს მეთაურად და ამის ნიშნად *„წარმოსცა* (ბიზანტიის კეისარმა – **ზ.პ.**) *ორი გვირგვინი... მირსა და არჩილს“* და ისინი გაერთიანებული ქართლი-ეგრისის მეფეებად გამოაცხადა.[4] „ერისთავს კეისრისა“ ლეონს კი იმპერატორმა აფხაზეთი მემკვიდრეობით მფლობელობაში გადასცა და ამასთან, უბრძანა მას, *„კეთილად პატივს სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნუღარამცა ჴელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა. მათთა ეგრისათა,*

---

[1] **ლეონტი მროველი.** არჩილის წამება. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 247.

[2] **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 239.

[3] ამასთან დაკავშირებით ძალზე ხელოვნურად გვეჩვენება ი. ვორონოვის მცდელობა (რომელსაც იმეორებს ო. ბღაჟბაც), ლეონ აფხაზეთის ერისთავის სობღისში ყოფნა ახსნას მისი სურვილით სამოკავშირეო ურთიერთობები დაემყარებინა ოვსებთან, რათა ამ უკანასკნელთ დახმარება აღმოეჩინათ არაბი სარდლის წინააღმდეგ ბრძოლაში. იხ.: **Ю. Н. Воронов.** Древнеабхазские племена в римско-византийскую эпоху. – *История Абхазии..*, 1991, გვ. 70; **О. Х. Бгажба**. Абхазия в эпоху феодализма. – *История Абхазии...*, 2006, გვ. 124.

[4] **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 239.

ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით“.[1]

ბიზანტიის იმპერატორის ეს ბრძანება გახდა საფუძველი ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ შემდგომი დაახლოებისა ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლთან, რომლის სათავეში ანაკოფიის ბრძოლაში დაჭრილი მირის გარდაცვალების შემდეგ მისი უმცროსი ძმა არჩილი მოექცა. ეს ალიანსი დინასტიური ქორწინებით დაგვირგვინდა. ლეონი დაქორწინდა მირის ერთ-ერთ ასულ გუარანდუხტზე და ამით ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მაგრამ აფხაზეთის ერისთავი უფრო შორს წავიდა, მან დიპლომატიურად უარი თქვა არჩილის მიერ საჩუქრად შემოთავაზებულ ტერიტორიულ შენაძენზე და თავი მის ვასალად გამოაცხადა *(„შემრთე მეცა მონათა შენთა თანა“)*. უფრო მეტიც, ლეონმა თავისი სამკვიდრებელიც (ე. ი. აფხაზეთი) არჩილს გადასცა *(„არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“)*. ამის სანაცვლოდ შორსმჭვრეტელმა „აფხაზეთის ერისთავმა“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპენსაცია მიიღო: მას გადაეცა „სამეფო გვირგვინი“, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა მის სიმამრს მირს გამოუგზავნა. ამით ლეონ ერისთავი ერთბაშად იქცა წამყვან პოლიტიკურ ფიგურად საერთოქართული მასშტაბით, ფაქტობრივად მეორე პირად სახელმწიფოში. ასე დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი აფხაზეთის ლიდერის პოლიტიკურ კარიერაში.

ამრიგად, VIII ს. 30-იანი წლებიდან საქართველოში იქმნება სრულიად ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ამ დროიდან მაინც, მთელი აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, მდ. კელასურს იქითა მხარის – აფხაზეთის – ჩათვლით, იურიდიულად ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექცა, რომლის სათავეში ქართლის ერისმთავრის სახლი იდგა. „აფხაზეთის ერისთავი“ ლეონი ნებაყოფლობით შევიდა ამ საერთოქართულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროში[2] თავისი სიმამრის – ქართლის „მეფის“ მირის პოლიტიკური მემკვიდრის სტატუსით.[3]

---

[1] **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 240.

[2] ამ თვალსაზრისით არაა შემთხვევითი, რომ შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ტრადიცია (ჯუანშერ ჯუანშერიანი) ტერმინ „საქართველოს“ პირველად მაინც და მაინც ქართლის ერისმთავართა სტეფანოზ-არჩილის სახელმწიფოს მიმართ ხმარობს. ეს რატომღაც ავიწყდება, ზემოთნახსენებ აფხაზ ისტორიკოსს გ. გუმბას, რომელიც აღნიშნავს, რა რომ ცნება „საქართველო“ პირველად ჩნდება XI ს. ქართულ წერილობით ძეგლებში: *„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“* და *„მედიოლანელის ცხოვრება“*, არ ახსენებს ჯუანშერის ქრონიკას. იხ.: **Г. Гумба.** Значение терминов.., გვ. 10-11.

[3] ამის შესახებ უფრო დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია,* წელიწდეული, თსუ გამომცემ. ტ. IV. თბ., 1997, გვ.

შემდგომ ლეონის სახლმა მოხერხებულად გამოიყენა რა თავისი ხელსაყრელი ლეგიტიმური მდგომარეობა, დაიწყო ბრძოლა მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით თავისი ჰეგემონობის დასამყარებლად და სულ მალე მიაღწია კიდეც დასახულ მიზანს. VIII ს. 80-იანი წლებისათვის, იოვანე საბანისძის დოკუმენტური დამოწმებით, აფხაზეთის მთავარი (და არა ერისთავი) უკვე მთელი დასავლეთ საქართველოს სრულუფლებიანი ხელმწიფე იყო, ხოლო თვით ეს ქვეყანა (უწინდელი ეგრისი) საერთოდ „აფხაზეთად“ იწოდებოდა.[1]

ისტორიოგრაფიაში ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება „აფხაზეთის ერისთავის“ მიერ მთავრის სტატუსის მიღების დროისა და გარემოებების დაზუსტება. ბოლო დროს ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ეს შესაძლებელია მომხდარიყო „მეფე“ არჩილის ძის იოვანეს გარდაცვალების შემდეგ (რაც სულ ცოტა 760 წლამდე მაინც არაა მოსალოდნელი), თუნდაც VIII ს. 60-იან წლებში, მაშინ როდესაც ჯუანშერი (7 წლის განმავლობაში)[2] „საპატიო ტყვეობაში“ ჰყავდა ხაზართა ხაკანს.[3] იქნებ, სწორედ იოვანეს გარდაცვალებითა და ჯუანშერის ტყვეობით გამოწვეული ვაკუუმით ისარგებლა „აფხაზეთის ერისთავმა“ (არაა გამორიცხული ეს ყოფილიყო ლეონ I) და, როგორც „ხოსროიანთა“ სახლის ლეგიტიმურმა წარმომადგენელმა (სიძემ) დაიკავა იოვანეს ადგილი.[4]

VIII ს. მიწურულს „აფხაზეთის ერისთავთა“ სახლის წარმომადგენელმა ლეონ II-მ, ლეონ I-ის ძმისწულმა, რომელიც ამავე *დროს „ასულისწული იყო ხაზართა მეფისა“*, ისარგებლა რა *„ბერძენთა მოუძლურებით“*, განუდგა მათ (ეს მოხდა ხაზართა მხარდაჭერით) *„და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“* და *„სახელ-იდვა მეფე აფხაზ-*

300-308; **ზ. პაპასქირი.** დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიიდან. – წგნ.: ***ზ. პაპასქირი.*** *აფხაზეთი საქართველოა.* თბ., 1998, გვ. 114-120; **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2008, გვ. 449-451 (http://sou.edu.ge/files/samecniero%20mushaobis%20koordinacia/ssu_shromebi_5_%282008%29.pdf).

[1] *წამებაჲ ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლსა შინ, ქალაქსა ტფილისს, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი.* – იხ.: *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* ***ილ. აბულაძის*** რედაქტორობით. ტ. I. თბ., 1963, გვ. 59-60.

[2] ივ. ჯავახიშვილის გამოთვლით, 764-771 წწ. იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებენი თორმეტ* ტომად. ტ. II. თბ., 1965, გვ. 80-81.

[3] *მატიანე ქართლისა.* – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 250.

[4] **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის.– *შოთა მესხია – 90.* საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი. თბ., 2006, გვ. 204. ეს პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 174.

თა“.[1] ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ დასავლურქართულ სახელმწიფოს, რომელიც მმართველი დინასტიის წარმომავლობის გამო „აფხაზთა“ („აფხაზეთის“) სამეფოს სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.

პირველი, რაც ამ საკითხზე მსჯელობისას იქცევს მკვლევართა საგანგებო ყურადღებას, არის ის გარემოება, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია *(„მატიანე ქართლისაჲ“)* ამ მოვლენას ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლი-ეგრისის „სამეფო“ (სტეფანოზ-არჩილის) სახლში შექმნილ დინასტიურ კრიზისს. *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორის ცნობით, ლეონ II-ის მიერ მეფის ტიტულის მიღება განაპირობა იმან, რომ იმ დროისათვის *„მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებული-ყო ჯუანშერი. და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა“*.[2] სრულიად აშკარაა, რომ ამით ქართული მატიანე, რომელიც, სხვათა შორის, წარმოადგენს ამ მოვლენის ამსახველ ერთადერთ წერილობით წყაროს, თითქოს ცდილობს ხაზი გაუსვას ლეონ II-ის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური დინასტის, გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლის კანონიერებას.

მაგრამ ეგრის-აფხაზეთის ახალი ლიდერის მიერ მეფის ტიტულის მიღება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ შინაპოლიტიკური აქტი, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობდა ქართლი-ეგრისის მმართველი საგვარეულოს შიგნით შექმნილი დინასტიურ-პოლიტიკური სიტუაციიდან. ეს, პირველ რიგში, და უმეტესწილადაც, ხელსაყრელმა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა. შემთხვევითი არ არის, რომ ლეონ II-ის მიერ მეფის ტიტულის მიღებას ქართველი მემატიანე ბიზანტიის იმპერატორთან ურთიერთობის გაწყვეტას და მისგან განდგომას უკავშირებს.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შუა საუკუნების ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს ზედმიწევნით ზუსტად ესმოდათ, რომ ამა თუ იმ ქართველი მოღვაწის მიერ მეფის ტიტულის მიღება განპირობებული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური სტატუსით და რომ საერთაშორისო კონიუნქტურა ყოველთვის არ აძლევდა მათ უფლებას, ეტარებინათ ეს ტიტული. ყველაზე მკაფიოდ ეს ასახულია ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში, რომელშიც ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ I-ის სტატუსი შემდეგნაირად არის განსაზღვრული: *„მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ჴადოდეს“*.[3] ე. ი. მეფის ტიტულის მიღება უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნის მიერ საგარეო პოლი-

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 251.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 251; **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 98.

[3] **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 222.

ტიკური სუვერენიტეტის მოპოვებას. სწორედ ამიტომაა, რომ ლეონ II-მ მხოლოდ მას შემდეგ გამოაცხადა თავი მეფედ, როდესაც ხაზართა დახმარებით ის „გაადგა ბერძენთა“ და სუვერენულ დინასტად იქცა.

ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ზუსტადაა გამორკვეული „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის საგარეო პოლიტიკური ფონი. აკად. სიმონ ჯანაშიას სავსებით არგუმენტირებული დაკვირვებით, ლეონ II-ის მიერ ბიზანტიის სიუზერენიტეტზე უარის თქმა და მეფის ტიტულის მიღება დაემთხვა პოლიტიკურ კრიზისს იმპერიაში, რომელიც გამოწვეული იყო VIII ს. მიწურულს კონსტანტინოპოლში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალებით. 797 წლის ახლო ხანებში შეთქმულების შედეგად ტახტიდან ჩამოაგდეს იმპერატორი კონსტანტინე VI – ხაზართა ხაკანის შვილიშვილი (თუ დისწული). აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ამ ფაქტს ნეგატიური გამოხმაურება უნდა მოჰყოლოდა ხაზარეთში.[1] არაა გამორიცხული, რომ ხაზართა ხაკანმა სწორედ ამის გამო დაუჭირა მხარი (თუ საერთოდ ინსპირირება არ მოახდინა) „აფხაზეთის ერისთავის“, ასევე თავისი შვილიშვილის (თუ დისწულის) და ამავე დროს ჩამოგდებული იმპერატორის ახლო ნათესავის – ლეონ II-ის ანტიბიზანტიურ დემარშს.

იმის გამო, რომ ლეონ II „აფხაზეთის ერისთავმა“ თავი იწოდა „მეფედ აფხაზთა“, მისდამი დაქვემდებარებულ ქვეყანას (სახელმწიფოს), როგორც ქვეყნის შიგნით ისე, მის ფარგლებს გარეთ, როგორც წესი, „აფხაზი“ („აფხაზეთის“) მეფის ქვეყნად, „აფხაზეთის სამეფოდ“, ანუ უბრალოდ „აფხაზეთად“ მოიხსენიებდნენ. მაგრამ ქვეყნის სახელწოდების შეცვლა სულაც არ ნიშნავდა ახლად შექმნილი გაერთიანების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის შეცვლასაც და დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ახალი, საკუთრივ აფხაზურ-აფსუური ნაციონალური შექმნას, რომლის სამართალმემკვიდრე თითქოს იყოს არა ქართული სახელმწიფო ზოგადად, არამედ დღევანდელი თვითგამოცხადებული „აფხაზეთის რესპუბლიკა“.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ისტორიაში გვაქვს არაერთი პრეცედენტი, როდესაც ქვეყნის (სახელმწიფოს) სახელწოდება გამომდინარეობს ერთი ეთნოსის სახელწოდებიდან, ხოლო პოლიტიკურ-კულტურულად ეს სახელმწიფო მთლიანად სხვა ეთნოსის კუთვნილებაა. ასე მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელწოდება „ბულგარეთი“ დღევანდელმა ბულგარეთის სახელმწიფომ მიიღო მისი ფუძემდებლის, ე.წ. „ვოლგის ბულგარეთიდან“ წამოსული (თურქული მოდგმის ეთნოსის) ხანის ასპარუხისაგან,[2] მაგრამ განა ვინ-

---

[1] **С. Н. Джанашия.** О времени и условиях возникновения Абхазского царства.– *შრომები,* ტ. II. თბ., 1952, გვ. 331-333.

[2] ამის შესახებ იხ.: **С. Никитин.** Аспарух**.** Образование болгарского народа и возникновение болгарского государства. – *Вестник МГУ,* 1952, № 1.

მეს თავში მოუვა სერიოზულად ამტკიცოს, რომ ასპარუხის მიერ შექმნილი სახელმწიფო იყო (და დღესაც არის) არა სლავური, არამედ თურქული სახელმწიფო?![1]

ან ავიღოთ, ძველი რუსეთის მაგალითი. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ძველი რუსული სახელმწიფოს სახელწოდების მიმცემი „რუსთა“ ტომი ნორმანულ-სკანდინავიურ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნებოდა და თვალსაზრისი ამ ტომის ვითომ სლავური წარმომავლობის შესახებ თვით წამყვანი რუსი მკვლევრების მიერ გამოცხადებულია „ისტორიოგრაფიულ მითად“.[2] მაგრამ **ე.წ „ნორმანული თეორიის“ ყველაზე თავგამოდებული მომხრეც კი ვერ უარყოფს, რომ ვარიაგი კონუნგების რიურიკისა და ოლეგის მიერ შექმნილი კიევის რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ სლავური სახელმწიფო იყო** და არა ნორმანულ-სკანდინავიური. იგივე შეიძლება ითქვას „ესპანურ პრეცენდენტზეც“. განა საფრანგეთის დიდი მეფის ლუი XIV-ის შვილიშვილის, ანჟუს ჰერცოგის ესპანეთის სამეფო ტახტზე (ფილიპე V-ის სახელით)[3] ასვლით ესპანური სახელმწიფო ფრანგული გახდა?!

ის, რომ მმართველი დინასტიის ეთნოტომობრივი წარმომავლობა არაა გადამწყვეტი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის

---

[1] აღსანიშნავია, რომ ეს მაგალითი „აფხაზთა“ სამეფოს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საჩვენებლად თავის ლექციებსა და საჯარო გამოსვლებში მოჰყავდა გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსს ზურაბ ანჩაბაძეს.

[2] ***«Историографический миф об «исконно славянском» племени русь в Среднем Поднепровье перестает играть роль «исторического факта» и становится уделом историографии. Напротив, реальную историческую основу обретают летописные известия о присутствии*** *там наряду со славянами хазар и* ***варягов, именовавших себя русью»*** (იხ.: **В. Я. Петрухин.** Славяне, варяги и хазары на юге Руси. К проблеме формирования территории древнерусского государства. – *Древнейшие государства Восточной Европы.* 1992-1993. Москва, 1995 (http://norse.ulver.com/articles/petruhin/slavs.html , ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ეთნონიმ „რუსის“ სწორი ინტერპრეტაციისათვის იხ.: **Г. А. Хабургаев.** Этнонимия «Повести временных лет» в связи с задачами реконструкции восточнославянского глоттогенеза. Москва, 1979; **Е. А. Мельникова, В. Я Петрухин.** Название «Русь» в этнокультурной истории Древнерусского государства (IX-X вв.). – *Вопросы истории,* № 8, 1989, გვ. 24-38 (http://janaberestova.narod.ru/mp.htm); **Д. А. Авдусин.** Современный антинорманнизм. – *Вопросы истории,* № 7, 1988; **Е. В. Пчелов.** Происхождение династии Рюриковичей. – *Труды Историко-архивного института,* т. 34. Москва, 2000, გვ. 139-183 (http://www.auditorium.ru/books/6107/text.pdf); **И. Н. Данилевский.** Киевская Русь глазами современников и потомков (IX-XII вв.). *Несколько лекций из курса.* Москва, 2000 (http://www.lants.tellur.ru:8100/history/danilevsky/index.htm) და ა.შ.

[3] *Испанские короли.* Под ред. ***В. Л. Бернекера.*** Ростов-на-Дону, 1998 (ინტერნეტ-ვერსია იხ.: http://www.world-history.ru/persons_about/46.html).

განსაზღვრისას დასტურდება საკუთრივ ქართული პოლიტიკური პრაქ-ტიკიდანაც. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ „რანთა და კახთა მეფის“ კვირიკე III-ის გარდაცვალების (დაახლ. 1039 წ.) შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა მისმა დისწულმა ტაშირ-ძორაკეთის სომხური დინასტიის წარ-მომადგენელმა გაგიკმა,[1] მაგრამ ამის გამო კახეთის ქართული სამეფო სულაც არ გადაქცეულა სომხურ სახელმწიფოდ.

არანაკლებ საგულისხმოა ის გარემოება, რომ საკუთრივ ქარ-თულმა საისტორიო ტრადიციამ მოგვცა ზუსტი განმარტება, თუ რო-დის და რატომ ეწოდა ისტორიულ ეგრისს აფხაზეთი. აი, რას წერს ამის შესახებ შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნების გი-განტი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის ნაშრომში – *„აღწერა სა-მეფოსა საქართველოსა“*: *„ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი, რამე-თუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმა-თა შორის თჳსთა ხუდა წილად ქუეყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ* (ე. ი. სტეფანოზ-არჩილის სახლის – **ზ.პ.**) *გარდავლინებამდე. ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი შემდ-გომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს... ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თჳსსა, და* ***მოი-ღო საერისთოსა*** *თჳსსა* ***სახელი ეგრისსა ზედა***“.[2]

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვახუშტი ბატონიშვი-ლის ამ განმარტებიდან გამომდინარე, „აფხაზთა“ სამეფოს ხშირად „ეგ-რის-აფხაზეთის“ სამეფოსაც უწოდებენ. პირველად ამგვარი ცნება გაჩნდა აკად. ნიკო ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოცემულ *სა-ქართველოს ისტორიის* დამხმარე სახელმძღვანელოში (შესაბამისი ნაწი-ლის ავტორი თვით ნ. ბერძენიშვილი),[3] მაგრამ ყველაზე თანმიმდევრუ-ლად ამ სახელწოდებას იცავს მ. ლორთქიფანიძე.[4] ჩვენი აზრით, ეს მთლად გამართლებული არ არის, ვინაიდან გაუთვითცნობიერებელმა მკითხველმა იგი შეიძლება გაიაზროს არა როგორც „ეგრისი“=„აფხა-

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 297; **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა სა-ქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 562.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა.., გვ. 742, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *საქართველოს ისტორია*. დამხმარე სახელმძღვანელო. ტ. I. თბ., 1958, გვ. 135-137.

[4] **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართ-ველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II, თბ., 1973, გვ. 421; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, гв. 285.

ზეთს“, ანუ ახალ ერთიან დასავლურქართულ სახელმწიფოს, არამედ ორი ქვეყნის („ეგრისი“+„აფხაზეთი“) შერწყმის შედეგად მიღებულ რაღაც ქართულ-აფხაზურ „ფედერაციულ“ გაერთიანებას.

„აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის შემდეგ სახელწოდებების „აფხაზეთი“ და „ეგრისი“ ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა იმჟამინდელი სომხური საისტორიო ტრადიცია. ირკვევა, რომ ზოგიერთ სომხურ საისტორიო ძეგლში (მაგ. X ს. სომეხი ისტორიკოსის იოვანე დრასხანაკერტცის თხზულებაში) „აფხაზთა“ მეფე „ეგრისის“ („ეგერთა“) მეფედაც მოიხსენიება,[1], რაც იმის მანიშნებელია, რომ მეზობელ ქვეყნებში იმ პერიოდში საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანას ეწოდა VIII ს. მიწურულიდან „აფხაზეთი“.

ის ფაქტი, რომ ლეონ II-მ თავის თავს „აფხაზთა“ მეფე უწოდა, ხოლო აქედან გამომდინარე, მის სახელმწიფოსაც „აფხაზთა“ სამეფო ანუ „აფხაზეთი“ დაერქვა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „აფხაზეთის ერისთავმა“ სამხედრო გზით დაიპყრო ეგრისი, შეუერთა ის „თავის აფხაზეთს“ და შექმნა ახალი აფსუა-აფხაზთა ნაციონალური სახელწიფო, რომელსაც თითქოს არაფერი არ აკავშირებდა ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, როგორც ეს წარმოუდგენიათ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევრებს.[2]

თუ ე.წ. „აფხაზური“ დინასტია ისტორიული ლაზიკა-ეგრისის სამეფოში მართლაც მოვიდა, როგორც „გარეშე დამპყრობელი“, რომელმაც ძალით დაიკავა მეზობელი ქვეყნის ტერიტორია და იქაურ ქართულ მოსახლეობას თავს მოახვია მისთვის „უცხო“ აფხაზურ-აფსუური სახელმწიფოებრიობა, მაშინ სრულიად გაუგებარი რჩება, რატომ მიიღო შუა საუკუნეების ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცნობიერებამ „აგრესიის“ ეს ფაქტი ასე მშვიდად და უმტკივნეულოდ? ხომ საყოველთაოდ ცნობილია (ამისთვის ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ზედაპირული გაცნობაც კი კმარა), თუ როგორ მოწიწებასა და კეთილგანწყობას ამჟღავნებს ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის წარმომადგენლების მიმართ უკლებლივ ყველა ქართველი მწერალი და მემატიანე, რომელსაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია „აფხაზ“ მეფეებთან.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ჩვენს მიერ უკვე ზემოთ ნახსენები *„მატიანე ქართლისაჲდ“* წოდებული ქრონიკა, რომელიც ფაქ-

---

[1] **იოანე დრასხანაკერთელი.** სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა.*** თბ., 1965, გვ. 38, 64, 109, 111, 119, 257; **Ованес Драсханакертци.** История Армении. Перевод с древнеармянского ***М. О. Дарбинян-Меликян.*** Ереван, 1984, XLI თავი.

[2] **М. М. Гунба.** Абхазия в первом тысячелетии.., გვ. 234-244.

ტობრივად წარმოადგენს ერთადერთ წერილობით წყაროს, რომელშიც გადმოცემულია „აფხაზთა“ სამეფოს მეტ-ნაკლებად სრული ისტორია. განა ვინმე შეიძლება დაეჭვდეს იმაში, რომ *„მატიანე ქართლისაჲ“*, გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი (XI ს. 70-იანი წლები) თხზულება, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ხაზს ვუსვამთ – **ქართული** (და არა აფსუურ-აფხაზური), კონიუნქტურის ამსახველი ნაწარმოებია, დაუშვებდა იმ „აფხაზ“ მეფეთა „ქებათა-ქებას“, რომლებიც ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსის (მ. გუნბა და სხვ.) სრულიად უსაფუძვლო მტკიცებით, თურმე კი არ აერთიანებდნენ საქართველოს, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, იპყრობდნენ მას.

ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ის მაღალფარდოვანი შეფასებები, რომელსაც არ იშურებს *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორი იმ „აფხაზთა“ მეფეების – გიორგი II (922-957 წწ.), ლეონ III (957-967 წწ.) – მიმართ, რომლებმაც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ქართლისათვის ბრძოლაში (ანუ ქართლის „დაპყრობის“ საქმეში) და, ფაქტობრივად, მთელი აღმოსავლეთი საქართველო მოაქციეს თავიანთ კონტროლქვეშ. აი რას წერს ისტორიკოსი გიორგი „აფხაზთა“ მეფის შესახებ: *„იყო იგი სრული ყოველთა სიკეთითა, სიმჴნითა და ახოვნებითა; ღმრთის მოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა ეკლესიათა მაშენებელი, მოწყალე გლახაკთა, უხჳ და მდაბალი, და ყოველთა კეთილთა და სათნოებითა სრული სრული. ამან განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ; და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმინდათა მარტჳლთათა “.*[1]

„მეზობელი ქართული“ ტერიტორიების „დამპყრობი“ გიორგი II განსაკუთრებული პატივითაა მოხსენიებული *„მატიანე ქართლისაჲს“* იმ პასაჟშიც, რომელშიც მოთხრობილია ბაგრატ III-ის გონივრულ საქმიანობაზე „აფხაზეთში“. *„მატიანის“* ავტორის თქმით, ახალგაზრდა მეფემ *„იწყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა მსგავსად* ***პაპისა მისისა დიდისა გიორგი მეფისა,*** *გინა უმეტადრე ვთქუა, რამეთუ ყოვლითურთ მიემსგავსებოდა ქცევასა გამზრდელისასა თჳსისა,* ***დიდისა მეფისა დავით კურაპალატისა,*** *და იხილვებოდა მისთანა ყოველი საქმე კეთილისა“.*[2] ე.ი. ჩვენი ისტორიკოსი ახალგაზრდა მეფეს, პირველ რიგში, უდარებს მის პაპას – **დიდ გიორგი „აფხაზთა“ მეფეს** და მხოლოდ ამის შემდეგ გამზრდელს – დავით კურაპალატს.

არანაკლებ შთამბეჭდავად ახასიათებს ავტორი ლეონ III-საც, რომლის მეფობა ისევე *„განადიდა უფალმან ღმერთმან“*, როგორც მისი მამისა, რადგან *„იყო იგიცა ღმრთისა მოყუარე და სავსე ყოვლითა კეთი-*

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 265.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 275, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ლითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქჯსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“.[1]

ერთადერთი ახსნა ქართველ მწერალთა და მემატიანეთა სრული ლოიალობისა და კეთილგანწყობისა „აფხაზი“ მეფეების ე.წ „დამპყრობლური“ პოლიტიკისადმი შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რომ ისინი მათში „უცხოელ დამპყრობლებს“ კი არ ხედავდნენ, არამედ ისეთივე ქართველ ლიდერებს, როგორადაც მიაჩნდათ, მაგალითად, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრიობა „აფხაზთა“ სამეფოს ცალსახად განიხილავდა, როგორც საერთო ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს ნაწილს, რომელშიც დაწინაურდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტია.

„აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის განსაზღვრისას ასევე არასწორია მტკიცება, თითქოს „აფხაზეთის ერისთავის“ ლეონ II-ის სახელმწიფოს ერთადერთი შემქმნელები ყოფილიყვნენ არაქართული მოდგმის აფხაზური (აფსუა) ტომები. ასევე მიუღებელია, თავის დროზე ზ. ანჩაბაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ დროისათვის დასრულდა ცალკეული აფხაზური ტომების აფსილებისა და აბაზგების ეთნიკური კონსოლიდაციისა და ე.წ. ერთიანი *„აფხაზი ფეოდალური ხალხის“ («абхазская феодальная народность»)* ფორმირების პროცესი, რისი ერთგვარი ლოგიკური დაგვირგვინება თურმე ყოფილა საკუთრივ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა.[2]

ჩვენ, რასაკვირველია, სულაც არ უარვყოფთ, რომ VIII ს. შუა ხანებისათვის ნამდვილად ჰქონდა ადგილი თანამედროვე აფხაზეთში მოსახლე ტომების გარკვეულ ეთნიკურ კონსოლიდაციას აბაზგ-აფხაზების ირგვლივ. ამ მხრივ, მეტად ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დროიდან (VIII ს. 30-იანი წლების შემდეგ) წყაროებში ქრება აფსილია-აფსილების ხსენება, რაც, ეტყობა, ამ ტომების აბაზგ-აფხაზებთან შერწყმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდა და შეიქმნა ერთიანი „აფხაზი ფეოდალური ხალხი“ თავისი ეთნოკულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, პირველ რიგში აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომებში, მთელი სისრულითაა ნაჩვენები, თუ რატომ გახდა შე-

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 273-274.

[2] იხ.: **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии.., გვ. 69; **З. В. Анчабадзе.** Процесс консолидации абхазской народности в раннефеодальную эпоху. – *Очерки истории Абхазской АССР*, т. I. Сухуми, 1960, გვ. 63-64; **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, გვ. 51-52.

უძლებელი ერთიანი „აფხაზი ფეოდალური ხალხის“ ფორმირება.[1] ბოლო დროს ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პროფ. ნოდარ ლომოური, რომელმაც დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე არ იყო ობიექტური პირობები აფხაზური ტომების ერთიან აფხაზ ხალხად კონსოლიდაციისა და რომ ამ პერიოდში სახეზეა ყველა პირობა ამ ტომების ერთიან ქართველ ფეოდალურ ხალხში ინტეგრაციისათვის.[2] ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ყველაზე მკაფიო დადასტურებას იმისა, რომ აფხაზურმა ტომებმა ვერ შეძლეს, ან უკიდურეს შემთხვევაში ვერ მოასწრეს კონსოლიდირება ერთიან ხალხად საკუთარი წერილობითი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციით, წარმოადგენს სწორედ ე.წ. „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია, რომელიც იმთავითვე იყო არა აფხაზურ-აფსუური ნაციონალური პოლიტიკური გაერთიანება, არამედ ქართული სახელმწიფო, რომელშიც იმავე ზ. ანჩაბაძის მოსწრებული გამოთქმით დაირწა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი.[3]

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი ლეონ II-ისა და მისი წინაპრების ეთნოტომობრივი წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით. თავის დროზე ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, მართალია, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პირველი „აფხაზი“ მეფეები ბერძნულ სახელებს ატარებდნენ, მაგრამ მათი ეთნიკური წარმომავლობის საკითხი უპასუხოდ დატოვა.[4] კავკასიის სიძველეთა ცნობილმა რუსმა მკვლევარმა პ. უვაროვამ კი ლეონ II-ის წინაპრები ერთმნიშვნელოვნად „ბერძენ არქონტებად“ გამოაცხადა.[5] „ლეონიდების“ დინასტიის ბერძნულ წარმომავლობას აღიარებდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულიაც.[6] განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გამოჩენილ რუს ელინისტს ვ. ლატიშევს, რომელიც „ლეონიდებს“ ბაგრატიონთა საგვარეულოს აკუთვნებდა.[7] ქართველურ ეთ-

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 590-593, 604-605.

[2] **Н. Ю. Ломоури.** Абхазия в позднеантичную и раннесредневековую эпохи. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 103-105.

[3] მართალია, წერილობით ეს აზრი არსად არაა დაფიქსირებული, მაგრამ თავის ლექციებსა და გამოსვლებში ზ. ანჩაბაძე ამას ხშირად ამბობდა.

[4] **დ. ბაქრაძე.** ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე, ნაწ. I. ტფ., 1889, გვ. 273-274.

[5] **П. Уварова.** Христианские памятники Кавказа. – *Материалы археологии Кавказа.* IV. Москва, 1894, გვ. 8.

[6] **Д. И. Гулия.** История Абхазии.., გვ. 208.

[7] **В. В. Латышев.** К истории христианства на Кавказе. Греческие надписи из Ново-Афонского монастыря. – *Сборник в Честь графа А. А. Бобринского.* СПб., 1911, გვ. 10-11.

ნიკურ სამყაროს უკავშირებდა „ლეონიდებს“ პავლე ინგოროყვაც, რომელიც ლეონ II-ს ეგრისის მეფეთა მიერ აფხაზეთში დანიშნულ ლაზ მოხელეთა შთამომავლად მიიჩნევდა.[1] მეცნიერთა ერთი ნაწილი (ზ. ანჩაბაძე, შ. ინალ-იფა და სხვ.) კი დარწმუნებულია „ლეონიდების“ აფხაზურ (აფსუურ) წარმოშობაში.[2]

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია გამოკვეთილი პასუხი დასავლეთ საქართველოს „აფხაზ“ მეფეთა ეთნოტომობრივ წარმომავლობაზე, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამას აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან **ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ „აფხაზთა“ მეფეები ეთნოტომობრივად** (თუნდაც ისინი მართლაც იყვნენ აფხაზურ-აფსუური წარმოშობისა, რაც, ჩვენი აზრით, ნამდვილად არ არის გამორიცხული), **ისინი თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდნენ საერთოქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს – აშენებდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს „საქართველოს“ და არა აფსუა-აფხაზთა ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას – „აფსნის“**.

ის, რომ ლეონ II და მისი მემკვიდრენი აშენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ, და არა აფხაზურ (აფსუურ) სახელმწიფოს, ყველაზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა „აფხაზ“ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ „ლეონიდები“, როგორც ცნობილია, აქტიურად შეუდგნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყვანისათვის ზრუნვას. სრულიად ნათელი იყო, რომ ბიზანტიის გავლენის სფეროდან საბოლოოდ გამოსვლა შეუძლებელი იქნებოდა მანამ, სანამ არ მოხდებოდა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო-იდეოლოგიური მარწუხებიდან თავის დაღწევა და ჭეშმარიტად ეროვნული-იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა. „აფხაზთა“ მეფეთა ეს თანმიმდევრული ბრძოლა საეკლესიო სუვერენიტეტის მოსაპოვებლად წარმატებით დაგვირგვინდა დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის – „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს შექმნით.[3]

---

[1] **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 192.

[2] **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 76-79; **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной истории.., გვ. 407.

[3] ის, რომ „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს სახელის მქონე საეკლესიო ორგანიზაცია, მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს ხანაში შეიძლებოდა შექმნილიყო ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც, რომელიც ამ „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს შექმნას უკავშირებს სამეფოს დამმარსებელს ლეონ II-ს: *„ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა;* ***და ამ***

აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა, როგორც ცნობილია, დღემდე რჩება ქართული ისტორიოგრაფიის გადაუჭრელ პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მეცნიერი შეეცადა ნათელი მოეფინა აღნიშნული საკითხისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო მიზანი ჯერჯერობით მიღწეული არ არის. ყველაზე დასაბუთებულად ჩვენ მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსება უნდა მომხდარიყო IX ს. 80-90-იან წლებში.[1] ჩვენი აზრით, „აფხაზთა“ სამეფოს მიერ საეკლესიო სუვერენიტეტის მოპოვება მოხდა „აფხაზური“ მხარის „თხოვნით“ IX ს. 80-იან წლებში – „აფხაზთა“ სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის დამყარებული კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების[2] ფონზე და ეს იყო ოფიციალურ ქუთაისსა და კონსტანტინოპოლს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი რეალური ნაყოფი.

თუ „აფხაზ“ მეფეებს ჩაფიქრებული ჰქონდათ აფსუა-აფხაზთა ნაციონალური სახელმწიფოს აშენება, მაშინ ისინი უბრალოდ ვალდებულნი იყვნენ, ეზრუნათ საკუთრივ აფხაზური (აფსუური) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაზე, რაც, პირველ რიგში, სათანადო აფხაზური (აფსუური) წერილობითი ტრადიციისა და წიგნიერი კულტურის შექმნას გულისხმობდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამგვარი მიზანი „აფხაზ“ მეფეებს არ დაუსახავთ. მათ ბერძნულ-ბიზანტიურ იდეოლოგიას რატომღაც ქართული ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც ქართული ეკლესია განასახიერებდა, დაუპირისპირეს. აი, რატომ მიჰყვეს ხელი დიდ საეკლესიო აღმშენებლობას „აფხაზმა“ მეფეებმა დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რითაც რეგიონში ქართული

ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, *ვინაჲთგან* ***სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა*** *და არა ეგრისისასა და იმერეთისასა“* (**ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 746, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. *ჭყონდიდელ–მწიგნობართუხუცესი.* – წგნ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III. თბ., 1966, გვ. 45; **ბ. კუდავა.** კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.) – *ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული. მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი. თბ., 2000, გვ. 47; **ბ. კუდავა.** აფხაზთა საკათოლიკოსოს ისტორიიდან (IX-XIII სს.). – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 9. თბ., 2002, გვ. 565; **თ. ქორიძე.** აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორია (IX-XVI სს.). *ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის* ***ავტორეფერატი.*** თბ., 2003, გვ. 9-10.

[2] ამის შესახებ დაწვრილ იხ.: **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 6. თბ., 1999, გვ. 325-335.

წერილობითი კულტურისა და ქართული ქრისტიანული წიგნიერების ფართოდ დანერგვის პირობები შექმნეს.

დასავლეთ საქართველოში, მათ შორის საკუთრივ აფხაზეთში,[1] ამ პროცესს თან სდევდა ძველი ბერძნული ეპარქიების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული საეპისკოპოსო კათედრების დაფუძნება, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითება გვაქვს ქართულ მატიანეებსა[2] და სხვა წერილობით ძეგლებში. სწორედ საეკლესიო სფეროში „აფხაზთა“ მეფეების ამგვარი მტკიცე ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი იყო ის, რომ უკვე X ს. დამდეგისათვის დასავლეთ საქართველო ანუ „აფხაზთა“ სამეფო მთლიანად ქართული წერილობითი კულტურისა და წიგნიერების ქვეყნად იქცა, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კი ორგანიზაციულად მცხეთის საკათალიკოსოს შეერწყა[3].

ერთადერთი ახსნა, თუ რატომ მოიქცნენ ასე ე.წ. „აფხაზი“ მეფეები, შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ **ჯერ კიდევ გამეფებამდე დიდი ხნით ადრე ლეონ II და მისი წინაპრები** (რომ არაფერი ვთქვათ მემკვიდრეებზე) **ეთნოტომობრივი წარმომავლობის მიუხედავად, თავს ერთმნიშვნელოვნად საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ.**[4] **მათთვის ქართის ენა,**

---

[1] ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ყველაზე ადრინდელი ქართული წარწერა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არა სადმე ზემო იმერეთში, არამედ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე – გუდაუთის რაიონში. ესაა მსიგხუას ეკლესიის ასომთავრული წარწერა, აღმოჩენილი აფხაზი მეცნიერის ანატოლი კაციას მიერ (იხ.: **А. К. Кация.** Памятники архитектуры в долине Цкуара. – *Материалы по археологии Абхазии.* Сухуми, 1967), რომელსაც სპეციალისტები IX-X საუკუნეების მიჯნით ათარიღებენ (*ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIIIსს.), შეადგინა და გამოსაცემად მომაზადა ***ვ. სილოგავამ.*** თბ., 1980, გვ. 31-32; **ვ. სილოგავა.** აფხაზეთისა და სამეგრელოს ეპიგრაფიკა. თბ., 2004, გვ. 258-259; **Л. В. Ахаладзе.** Эпиграфические памятники Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тб., 1999, გვ. 364; **ლ. ახალაძე.** აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I. *ლაპიდარული და ფრესკული წარწერები.* თბ., 2005, გვ. 140-146.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 265, 270.

[3] **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 146; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств, გვ. 289.

[4] ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა იმ გარემოებას, რომ საკუთრივ „აფხაზეთის საერისთავოს“ ტერიტორია და მისი მოსახლეობა მანამდე თითქმის 1500 წლის მანძილზე მოქცეული იყო ერთიან დასავლურ ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში და ჰქონდა ქართულ სამყაროსთან ისტორიული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. თავდაპირველად ეს იყო კოლხეთის სამეფო, რომლის დაცემის შემდეგ ახ. წ. I-II საუკუნეებში აღმოცენდნენ რომის იმპერიისადმი უშუალოდ დაქვემდება-

რომელიც საფუძვლად დაედო ლიტერატურულ ქართულს, და ქართული ქრისტიანული კულტურა ისეთივე მშობლიური გახდა, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართული მოსახლეობისათვის, მათ შორის მეგრულ-ჭანური და სვანური ტომებისათვის, რომლებიც, როგორც ცნობილია, მეტყველებდნენ (და დღესაც მეტყველებენ) **ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ ენა-დიალექტებზე.**

და მაინც, წმინდა ჰიპოთეტურად რომც დავუშვათ, „აფხაზი“ მეფეების თვითშეგნებაში თუნდაც საწყის ეტაპზე ვიწრო აფხაზური (აფსუური) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის არსებობა, სრულიად აშკარაა, რომ შორს მიმავალი პოლიტიკური ამბიციები მათ უსათუოდ აიძულებდა, ანგარიში გაეწიათ ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის და კურსი ქართული ეროვნული (და არა აფხაზურ-აფსუური) სახელმწიფოს აშენებაზე აეღოთ.

ის, რომ „აფხაზთა“ სამეფოში სწორედ ქართველური ტომები წარმოადგენდნენ ეთნიკურ უმრავლესობას, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ვახუშტი ბატონიშვილის, ჩვენი აზრით, სრულიად უტყუარი ცნობის თანახმად, „აფხაზთა“ სამეფო ჯერ კიდევ ლეონ II-მ დაყო რვა საერისთავოდ,[1] რომელთაგან, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი, საკუთრივ „აფხაზეთის საერისთავო“ (უკეთეს შემთხვევაში, მდ. გუმისთის ჩრდილოეთი ტერიტორია ნიკოფსიამდე) იყო დასახლებული აფხაზური ტომებით (თუმცა არაა გამორიცხული, აფხაზური ტომების ერთ ნაწილს ეცხოვრა ცხუმის საერისთავოს ფარგლებშიც). დანარჩენი შვიდი საერისთავოს (მათ შორის, ცხუმის საერისთავოს) მოსახლეობა უდავოდ მთლიანად ქართული იყო.

ქართული ეთნიკური ელემენტი, განსაკუთრებით მისი ქართიზირებული ნაწილი, რომელიც VIII ს. მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოში რიცხობრივად მნიშვნელოვნად მომრავლდა, გამოჩენილი აფხაზი მეცნიერის ზურაბ ანჩაბაძის სწორი დასკვნით, აღმოჩნდა ყველაზე განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და რაც მთავარია, კულტურული თვალსაზრისით.[2] ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ „აფხაზთა“ სამეფოს სახელმწიფო ენად სწორედ „ქართის“ ანუ ქართული ლიტერატურული ენა გადაიქცა. ამ დროისათვის მას ერთადერთს, სხვა ქართველურ ენებს შორის, გააჩნდა წერილობითი ტრადიცია და უკვე

რებული აფსილიისა და აბაზგიის „სამეფოები“. IV საუკუნის მიწურულიდან ეს რეგიონი კვლავ მოექცა ერთიანი დასავლური ქართული სახელმწიფოებრიობის (ამჯერად უკვე გაძლიერებული ლაზიკა-ეგრისი სამეფოს) არეალში. ამის შესახებ იხ.: **З. Папаскири.** О национально-государственном облике.., გვ. 13-16.

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 796.

[2] **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 106-108.

დიდი ხნის მანძილზე ასრულებდა სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის ფუნქციას აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურქართული („ქართის“) ელემენტის კულტურულ-პოლიტიკური წონის განუხრელი ზრდის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ „აფხაზთა“ მეფეებმა სატახტო ქალაქად არა ლაზიკა-ეგრისის მეფეთა ძველი რეზიდენცია – ციხე-გოჯი – არჩიეს, არამედ ქუთაისი, რომლის დაწინაურებას საისტორიო ტრადიცია ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლის საერისმთავრო სახლის (სტეფანოზ-არჩილის) დამკვიდრებას ამ ქალაქში VIII ს. 30-იან წლებში. ამასთან, ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ „ლეონიდები“ თავიანთ თავს სტეფანოზ-არჩილის სახლის კანონიერ მემკვიდრეებად მოიაზრებდნენ. მართლაც, ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ანაკოფიიდან – „აფხაზეთის ერისთავთა“ რეზიდენციიდან – მაინცდამაინც ქუთაისში ქართლი-ეგრისის „მეფეთა“ სატახტო ქალაქში გადასვლით „ლეონიდებმა“ ნამდვილად ხაზი გაუსვეს თავიანთ უშუალო ლეგიტიმურ კავშირს სტეფანოზ-არჩილის „სამეფო“ სახლთან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ცხადი ხდება, რომ „აფხაზთა“ სამეფო იმთავითვე იყო ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც აღმოცენდა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ნანგრევებზე. ის წარმოადგენდა ძველი კოლხეთის და ლაზიკის სახელმწიფოთა პირდაპირ სამართალმემკვიდრეს. უფრო მეტიც, **„აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა თვისებრივად ახალი ეტაპი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ლაზიკა-ეგრისის სამეფოსაგან** (რომ არაფერი ვთქვათ ძველ კოლხეთზე) **განსხვავებით, რომლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესი შორს იყო დასრულებისაგან** (რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლაზიკა-ეგრისში სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა ბერძნული იყო), **„აფხაზთა“ სამეფო თავისი შინაარსით იყო ფაქტობრივად პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფო დასავლეთ საქართველოში, ქართული ეროვნული ქრისტიანული იდეოლოგიით და ქართული სახელმწიფო ენით. ქართული იყო „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკური მიზანსწრაფვაც. ის განუხრელად იდგა საერთოქართული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე.** სწორედ „აფხაზთა“ მეფეების თავდაუზოგავმა ზრუნვამ, მიმართულმა თავიანთი სახელმწიფოს შემდგომი ტერიტორიული განვრცობისა და გაძლიერება-განმტკიცებისაკენ, შექმნა მყარი საფუძველი ქუთაისის ტახტის ეგიდით ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნისათვის XI ს. დამდეგს.

და ბოლოს, სანამ დავასრულებდეთ მსჯელობას „აფხაზთა“ სამეფოს ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ იერსახეზე,

არ შეიძლება უპასუხოდ დავტოვოთ თვალსაზრისი იმის შესახებ თითქოს 978 წელს ქუთაისის ტახტზე ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლის ბაგრატ III-ის ასვლით „აფხაზთა“ სამეფოს არსებობა შეეწყვიტოს და ის აფხაზური ნაციონალური გაერთიანებიდან გარდაქმნილიყოს ქართულ სახელმწიფოდ.[1] ეს არის ძირშივე მცდარი დებულება, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან ბაგრატ III-ის დასავლეთ საქართველოში გამეფება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს დინასტიის ცვლად. ხომ ცხადზე უცხადესია, რომ **ბაგრატმა დასავლეთ საქართველოს ტახტი დაიკავა** არა როგორც ბაგრატიონმა, არამედ **როგორც „ლეონიდთა“ დინასტიის კანონიერმა** (დედის ხაზით) **წარმომადგენელმა – შვილიშვილმა** (ქალიშვილის ვაჟი) ყველაზე ცნობილი **„აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ისა** (922-957 წწ.), **რომელმაც,** სხვათა შორის, **საერთოქართული მასშტაბით ჰეგემონობისათვის ბრძოლაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია**.

გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს პირველი მეფის ტიტულატურა იწყებოდა სიტყვებით: „მეფე აფხაზთა“... ეს იყო გამოხატულება იმ ხელმძღვანელი როლისა, რომელიც ითამაშა „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) სამეფომ ქვეყნის გაერთიანების პროცესში.[2] სწორედ ქუთაისის ტახტის ირგვლივ ხდებოდა ყველა ქართული მიწის შემოკრება და საერთოქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირება. და ეს სულაც არ იყო დაკავშირებული „დინასტიის ცვლასთან**“. „აფხაზთა“ სამეფო,** როგორც უკვე ზემოთ ვაჩვენეთ, **თავიდანვე იყო ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, ხოლო „აფხაზი“ მეფეები ე.წ. „ლეონიდების“ დინასტიიდან, აფხაზური (აფსუური) „ეროვნული ისტორიის“ ზოგიერთი თავგამოდებული ქომაგის მტკიცების მიუხედავად, ისეთივე ქართველი ლიდერები იყვნენ, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები.**

ქუთაისში ბაგრატ III-ის გამეფებით „აფხაზთა“ სამეფოს არ განუცდია არანაირი ცვლილებები როგორც ეთნოპოლიტიკურ, ისე სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით. სინამდვილეში 978 წლიდან დაიწყო „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრების შემდგომი გაფართოება და დასავლურ ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებიდან ის ტრანსფორმირდა საერთოქართულ სახელმწიფოდ, რომელშიც მოექცა, ფაქტობრივად, მთელი საქართველო (თბილისის საამიროსა და ბიზანტიის იმპერიის მიერ 1001 წელს მიტაცებული იმიერტაოს გამოკლებით). სწორედ ამიტომაა, რომ პრაქტიკულად ყველა ქართველი მემატიანე XI-XII საუკუნეებში – ერთიანი ქართული მონარქიის აყვავების ხანაში –

---

[1] **Ю. Н. Воронов.** Царство Багратидов. – *История Абхазии..,* 1991, გვ. 89; **С. М. Шамба.** Абхазия: право на независимость…

[2] **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 175-177.

ქვეყანას – ე.ი. მთლიანად საქართველოს, მოიხსენიებს „აფხაზეთად.“ ზემოაღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენენ *„მატიანე ქართლისა-ჲს“*,[1] სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის,[2] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების,[3] ლაშა-გიორგის ხანის მემატიანის,[4]თამარ მეფის ისტორიკოსისა[5] და სხვ. წყაროთა მონაცემები.

რაც შეეხება მოსაზრებას იმის შეეხება, თითქოს „აფხაზთა“ სამეფო გაუქმებულიყოს XIII ს. შუა ხანებში, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, ეს საერთოდ სრული აბსურდი და უაზრობაა. თუნდაც დავუშვათ, რომ დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლით, მართლაც, საფუძველი ჩაეყარა ახალ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას,[6] თანაც იმავე „აფხაზთა“ სამეფოს VIII-X საუკუნეების საზღვრებში, განა ეს უფრო „აფხაზთა“ სამეფოს ხელახალი რესტავრაცია არ იქნებოდა და არა მისი გაუქმება. სხვათა შორის სწორედ ასე ესმის ეს ქართველ მემატიანეს, რომელიც არა თუ არ გამორიცხავს ამ პროცესიდან საკუთრივ აფხაზებს, არამედ ასახელებს მათ დავით რუსუდანის ძის მაინც და მაინც „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე აღზევების ინიციატორებს შორის: *„ხოლო ვითარცა ცნეს **აფხაზთა,** სუანთა, დადიანმან, ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულად ლიხთ-იმერელთა, **შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე**“.*[7]

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 295.

[2] **სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონი**. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 382.

[3] *ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 358.

[4] *ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. – ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 369.

[5] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II. თბ. 1959, გვ. 38.

[6] სინამდვილეში, დავით ნარინი და მისი უახლოესი მემკვიდრენი სრულებითაც არ თვლიდნენ თავს მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფეებად და არასოდეს არ ივიწყებდნენ თავიანთ ლეგიტიმურ უფლებებს ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე. დასავლეთ საქართველოს ფარგლებში ახალი სახელმწიფოს ფორმირებაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ XV ს. მიწურულიდან, როდესაც საბოლოოდ გაფორმდა იმერეთის სამეფო. ამის შესახებ იხ.: **ე. გვენეტაძე.** იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან. თბ., 2003.

[7] **ჟამთააღმწერელი**. ასწლოვანი მატიანე. – *ქართლის ცხოვრება*. მთ. რედაქტორი ***როინ მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 575, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერმინი „აფხაზეთი“, აქტიურად გამოიყენებოდა მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად XIII საუკუნის შემდეგაც. ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს ლიდერებმა – ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-მ და სამეგრელო-ოდიშის ხელისუფალმა შამადავლე დადიანმა, მათი ინიციატივით შექმნილ მცხეთის საპატრიარქოდან დამოუკიდებელ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციას მაინც და მაინც „აფხაზეთის“ საკათალიკოსო უწოდეს.

ასეთია ისტორიული სიმართლე VIII ს. მიწურულს წარმოქმნილი დასავლურ-ქართული გაერთიანების – „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იერსახეზე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ ნებისმიერი ინსინუაციები ამ დასავლურ-ქართული სახელმწიფოს სახელწოდების ირგვლივ თავიდან ბოლომდე იაფფასიანი სპეკულაციებია, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ჭეშმარიტ მეცნიერებასთან. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **„აფხაზთა“ სამეფო იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული სახელმწიფო, რომლის სამართალმემკვიდრე არის ერთიანი ქართული სახელმწიფო მთლიანად, ბუნებრივია ამჟამინდელი აფხაზეთის ჩათვლით,** რომელიც როგორც „ლეონიდების“ მმართველობის ხანაში, ისე ბაგრატიონების დროს (XI საუკუნიდან) წარმოადგენდა ამ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ერთეულს – საერისთავოს (თანაც არაერთს), XVII საუკუნიდან კი – სამთავროს.

გურანდუხტ დედოფლის როლის შეფასებისათვის გამაერთიანებელ მოძრაობაში*

XI ს. ანონიმი ისტორიკოსის *„მატიანე ქართლისაჲდ“* წოდებული *„ქართლის ცხოვრების“* ქრონიკაში – იქ სადაც მემატიანე მოგვითხრობს დავით კურაპალატის მოთხოვნით კახელების მიერ დატყვევებული ბაგრატ უფლისწულისა და მისი დედ-მამის განთავისუფლების შესახებ – გვხვდება ერთი შეხედვით მეტად უცნაური ცნობა: *„მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გუარანდუხტ დედოფალსა“.*[1] აღნიშნულ ცნობაში გადმოცემული ფაქტის უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ იმავე მატიანეში დაფიქსირებული მოვლენათა მსვლელობის ლოგიკით, რაც საყოველთაოდაა გაზიარებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში იმჟამად ქართლის მმართველი უნდა ყოფილიყო არა გურანდუხტ დედოფალი, არამედ მისი ვაჟი ბაგრატი. არავითარი კონკრეტული მითითება იმის თაობაზე, თითქოს მომხდარიყო 775 წელს ქართლის ერისთავის იოანე მარუშის ძის ინიციატივითა და იმიერტაოს ძლევამოსილი ხელმწიფის დავით III დიდი კურაპალატის უშუალო ჩარევით განხორციელებული აქტის – ბაგრატ უფლისწულის ქართლის მმართველად დასმის – ერთგვარი რევიზია და ამჯერად ეს პოზიცია თვით გურანდუხტ დედოფალს დაეკავებინოს, წყაროში არ მოგვეპოვება.

აქედან გამომდინარე, ან ეს ცნობაა უადგილოდ ჩასმული მატიანეში და ის ასახავს ბაგრატ უფლისწულის დასავლეთ საქართველოში გამეფების (978 წ.) შემდგომ შექმნილ კონიუნქტურას, როდესაც, შესაძლებელია, ბაგრატ „აფხაზთა“ მეფემ შიდა ქართლი – ქუთაისის ტახტის „სამეფისნაცვლო“ – სამართავად დედამისს, „აფხაზთა“ სამეფო სახლის ლეგიტიმურ წარმომადგენელს, გიორგი II „აფხაზთა“ მეფის ასულს – გურანდუხტს ჩააბარა; ან არადა ამ ცნობის უკან იმალება რაღაც საიდუმლო, რომლის ახსნასაც ბოლო დრომდე გაურბოდნენ ისტორიკოსები და რომელიც პრინციპულად ცვლის ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის მსვლელობის აქამდე მიღებულ სქემას.

ჯერ კიდევ 1990 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ჩვენ შევეცადეთ ნათელი მოგვეფინა ამ საიდუმლოსათვის და გამოგვეთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს 975 წელს მიღებული გადაწყვეტილების – ბაგრატ უფლისწულის ქართლის

---

* დაიბეჭდა *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. XI. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2013-2014, გვ. 352-380 (http://sou.edu.ge/files/samecniero%20mushaobis%20koordinacia/Proceedings_of_SSU_(Humanities...),_XI.pdf). ამჯერად ქვეყნდება მცირეოდენი ჩასწორებით.

[1] *მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 275.

მმართველად გამოცხადების – გადასინჯვასთან. ჩვენი ვარაუდით, ქუთაისის ტახტის მიმართ სეპარატისტულად განწყობილი შიდა ქართლის აზნაურთა და მათი მოკავშირის კახეთის ქორეპისკოპოსის გამომწვევმა სამხედრო დემარშმა, რომლის შედეგადაც მათ მოახერხეს უფლისციხის დალაშქვრა და ბაგრატ უფლისწულისა და მისი დედ-მამის შეპყრობა, მიზანს ნაწილობრივ მაინც მიაღწია. მართალია, დავით კურაპალატმა შეძლო დატყვევებულთა გამოხსნა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმიერტაოს ძლევამოსილმა მმართველმა სტატუსქვოს აღდგენა – ბაგრატის ხელისუფლების აღდგენა ქართლში ვერ მოახერხა. დავით კურაპალატს, შესაძლებელია, ერთგვარ დათმობაზე წასვლა მოუხდა ქართლის აზნაურებისა და მათი კახელი მფარველების მიმართ და იძულებული გახდა ქართლის მმართველად დაეტოვებინა არა უფლისწული ბაგრატ, არამედ მისი დედა „აფხაზთა“ სამეფო სახლის ლეგიტიმური წარმომადგენელი გურანდუხტი.[1]

ეს თვალსაზრისი, თუ არ ჩავთვლით აკად. რ. მეტრეველის გამოხმაურებას, რომელმაც ჯერ კიდევ 1991 წელს, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის[2] შეფასებისას (ოფიციალური ოპონენტის რანგში) ეჭვი შეიტანა 975 წლის ახლო ხანების მოვლენების ამგვარ გააზრებაში,[3] ბოლო დრომდე, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი რჩებოდა სპეციალისტებისთვისაც კი. ასე, მაგალითად, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, გ. გაბუნია, საკმაოდ დაწვრილებით მსჯელობს რა 975 წლის მოვლენებზე,[4] სრულიად უკომენტა-

---

[1] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 67-71.

[2] **З. В. Папаскири.** Международное положение средневековой Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада. Тб., 1991.

[3] აკად. რ. მეტრეველმა ძნელად დასაჯერებლად მიიჩნია გურანდუხტის კავშირი შიდა ქართლის სეპარატისტულ ძალებთან და ამ ძალების მიერ მისი ქართლის მმართველად დასმა, თუმცა არც ის გამორიცხა, რომ „სეპარატისტულად განწყობილ ქართლის აზნაურებს გურანდუხტი ერჩიათ მმართველად, ვიდრე ბაგრატი“, ვინაიდან „ქალის მმართველობის ქვეშ უფრო კარგად გრძნობდნენ თავს“ (იხ.: **რ. მეტრეველი.** რეცენზია ზურაბ ვალერიანის ძე პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომზე *„შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“*. – წგნ.: *ზურაბ პაპასქირი – 60*. ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს. თბ., 2010-2013, გვ. 81-82). სამწუხაროდ, აკად. რ. მეტრეველის ეს გამოხმაურება მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა, რის გამოც მეცნიერის დასკვნა ამ საკითხზე სპეციალისტების ფართო წრისათვის აქამდე ხელმისაწვდომი არ იყო.

[4] **გ. გაბუნია.** საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის დასაწყისში. ქუთაისი, 1997, გვ. 75-80.

როდ ტოვებს *„მატიანე ქართლისაჲს“* ზემოთმოყვანილ პასაჟს.[1] ასევე არ ამახვილებს ყურადღებას მასზე გ. მჭედლიძეც, თუმცა ეს უკანასკნელი, ასე თუ ისე, მაინც აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას გურანდუხტ დედოფლის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტის ჩვენეული ხედვისადმი.[2]

ბოლო ხანს ამგვარი „გულგრილი“ დამოკიდებულება ერთგვარად შეიცვალა. ასე მაგალითად, აკად. მ. ლორთქიფანიძე ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ ნაშრომში, კონკრეტულად შეეხო *„მატიანის“* აღნიშნულ ფრაგმენტს. მეცნიერმა თითქოს არ გამორიცხა *„ამ საკმაოდ უცნაური ცნობის სხვაგვარად ახსნის შესაძლებლობა“* და, ჩვენის აზრით, სავსებით სწორად შენიშნა, *„რომ კახეთის და ქართლის აზნაურთა მოთხოვნით დავით კურაპალატი იძულებული შეიქნა, გაეწვია ბაგრატ უფლისწული და შიდა ქართლის გამგებლობა მისი დედის – გურანდუხტისათვის ჩაებარებინა“*, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს მაინც საეჭვოდ მიიჩნია.[3] გურანდუხტ დედოფლის „უფლისციხის მპყრობელად“ გამოცხადების ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას მ. ლორთქიფანიძე ახლახან გამოცემული საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის შესაბამის მონაკვეთშიც და ამას ხსნის იმით, რომ ბაგრატის წინააღმდეგ რაღაც ძალები მოქმედებდნენ და ამიტომაც ჩქარობდნენ მის გამეფებას დასავლეთ საქართველოში.[4] მეცნიერი, სამწუხაროდ, არ აკონკრეტებს, თუ ვინ არიან ეს ძალები, რომლებიც „ბაგრატის წინააღმდეგ“ გამოდიან, მაგრამ ლოგიკურად უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შიდა ქართლის აზნაურობა ჰყავს მხედველობაში.

975 წელს ბაგრატ უფლისწულის შიდა ქართლის მმართველად გამოცხადების პერიპეტიებსა, შიდა ქართლის კრიზისზე 975-982 წლებში და გურანდუხტ დედოფლის როლზე ამ მოვლენებში საგანგებო მსჯე-

---

[1] იგივე მეორდება გ. გაბუნიას სადოქტორო დისერტაციაში. ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე. რეცენზია გურამ გაბუნიას სადოქტორო დისერტაციაზე: *„საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI ს. დასაწყისში* (საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრობლემური საკითხები)“. სპეციალობა 07.00.01 – *საქართველოს ისტორია*, 2002. – *საისტორიო ძიებანი* VI. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 2003, გვ. 320 (http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2003). იგივე პუბლიკაცია იხ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 490-508 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf).

[2] **გ. მჭედლიძე.** ბაგრატ მესამის საქართველო. ქუთაისი, 1996, გვ. 461.

[3] **მ. ლორთქიფანიძე.** მეფე ბაგრატ მესამე. ქუთაისი, 2002, გვ. 29-30.

[4] **მ. ლორთქიფანიძე.** ქართული მონარქიის შექმნა. — *საქართველოს ისტორია.* ტ. II. საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე. თბ., 2012, გვ. 244.

ლობა აქვს ჯ. სამუშიას ბაგრატ III-ისადმი მიძღვნილ უაღრესად საინტერესო მონოგრაფიაში.[1] მეცნიერი ასევე უცნაურად მიიჩნევს *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობას *უფლისციხისა* და ქართლის გურანდუხტის „მპყრობელობასთან“ დაკავშირებით და სავსებით მართებულად ამახვილებს ყურადღებას ამ უკანასკნელის „განსხვავებულ“ (გურგენისაგან) სტატუსზე. ჯ. სამუშიას განმარტებით, გურგენი *„შიდა ქართლს და შესაბამისად უფლისციხეს მართავდა თავისი შვილის – ბაგრატის მიერ მონიჭებული უფლებით, მაშინ როცა გურანდუხტი ამ რეგიონის ლეგიტიმური მემკვიდრე იყო“*.[2]

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ასეა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ გურგენი „შიდა ქართლს და ...უფლისციხეს მართავდა“ არა „ბაგრატის მიერ მონიჭებული უფლებით“ (ეს უფლება გურგენს დავით III კურაპალატმა მიანიჭა) არამედ მისი სახელით – ეს კი სხვადასხვა რამაა. მაგრამ ეს არაა მთავარი. ამ შემთხვევაში ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის, რომ ისეთი დაკვირვებული მკვლევარი, როგორიც ჯ. სამუშიაა, რატომღაც არც კი შეეცადა აეხსნა, თუ ვის და რატომ დასჭირდა გურგენის „შეცვლა“ უფრო „ლეგიტიმური“ მმართველით. ასევე გაუგებარია, რატომ აუარა გვერდი მეცნიერმა ამასთან დაკავშირებით ჩვენს კომენტარებს, რომელთაც ის უეჭველად კარგად იცნობს (ამაზე მეტყველებს თუნდაც მის წიგნში მოყვანილი ცალკეული პასაჟები ჩვენი მონოგრაფიიდან).[3] დამაჯერებელი არ არის ჯ. სამუშიას მცდელობა კატეგორიულად გამორიცხოს რაიმე წინააღმდეგობა ბაგრატ III-სა და დედამისს შორის 980-981 წლების[4] კრიზისისას. ყოველი შემთხვევისათვის, ამის ხელაღებით მტკიცებისათვის ნამდვილად არაა საკმარისი მხოლოდ ის ფაქტი, რომ *„შემდგომ პერიოდში... დედა–შვილს შორის ყოველთვის ჰარმონიული ურთიერთობა“* იყო.[5]

ყოველივე ამაზე ჩვენ მაინცდამაინც არ გავამახვილებდით ყურადღებას და არ წამოვწევდით წინა პლანზე XI ს. 70-80-იანი წლების პოლიტიკურ პროცესებში გურანდუხტ დედოფლის მონაწილეობის თემას, რომ არა სულ უფრო მზარდი მისწრაფება გამოიყვანონ ბაგრატ უფლისწულის დედა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის მთავარ

---

[1] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III. თბ., 2012, გვ. 24-71.

[2] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 38.

[3] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 42-43.

[4] ბაგრატ III-ის ქართლში გადმოსვლას და ადგილობრივ დიდაზნაურთა სეპარატისტული ამბოხის ჩახშობას ჯ. სამუშია სწორედ 980-981 წლებით ათარიღებს (**ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 60), თუმცა ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ამ მოვლენის ზ. ალექსიძისეული დათარიღება (იხ.: **ზ. ალექსიძე.** ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978, გვ. 56).

[5] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 70.

იდეურ სულისჩამდგმელად და ბურჯად, რომელიც თითქოს ყოველთვის გვერდში ედგა თავის გვირგვინოსან ვაჟიშვილს გამაერთიანებელ მოძრაობაში – ჯ. სამუშიას მიერ დახატული იდილიური სურათი ბაგრატისა და დედამისის ურთიერთობებისა ამის ერთ-ერთი მაგალითია.

გარდა იმისა, რომ დასკვნა გურანდუხტ დედოფლის განსაკუთრებული როლის შესახებ გამაერთიანებელ მოძრაობაში ასე ხელაღებით გასაზიარებელი არაა და მას უფრო საფუძვლიანი არგუმენტაცია სჭირდება (და არა მხოლოდ ზოგადი კონსტატაცია იმისა, რომ „შემდგომ პერიოდში... დედა-შვილს შორის ყოველთვის ჰარმონიული ურთიერთობა“ იყო), გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება – ცალკეული აფხაზი მკვლევრები გურანდუხტ დედოფლის პიროვნების ამგვარ „განდიდებას“ იყენებენ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სეპარატისტული ხედვის „გასამყარებლად“. ხაზს უსვამენ რა ბაგრატ III-ის დედის „აფხაზურ“ ეთნიკურ (თანამედროვე გაგებით) წარმომავლობას, ისინი ყოველნაირად ცდილობენ, გამოიყვანონ ის „აფხაზთა“ სამეფოს (მათი მტკიცებით, საკუთრივ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს) მიერ „მეზობელი“ საქართველოს ტერიტორიების „დაპყრობის“ მთავარ „იდეოლოგად“ და მებაირახტრედ. აი, რას წერენ, მაგალითად, გურანდუხტ დედოფლის ღვაწლზე ამ მიმართულებით *„აფხაზეთის ისტორიის“* ე.წ. „სასკოლო სახელმძღვანელოს“ ავტორები: *„მისი* (იგულისხმება „აფხაზთა“ მეფე თეოდოსი „უსინათლო“ – **ზ.პ.**) *სამწლიანი მმართველობის განმავლობაში „განირყუნა ქუეყანაჲ იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგებაჲ, პირველთა მეფეთაგან განწესებული“... და მაშინ პოლიტიკურ თამაშში ჩაერთო* ***თეოდოსის და, გურანდუხტი, აფხაზეთის გამოჩენილი მეფის გიორგი II-ის ასული. ეს ჭკვიანი, მტკიცე ნებისყოფის ქალი, აფხაზეთის (სამეფო) კარისა და და მისადმი*** (ანუ სამეფო კარისადმი — **ზ.პ.**) ***ერთგული ფეოდალების ინიციატივით, პირველად გახდა ქართლის მმართველი. შემდეგ მან შეასრულა მნიშვნელოვანი როლი „აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“ ფორმირებაში.*** *ამის გამოხატულება ის, რომ ბედიის საკურთხევლის ოქროს ბარძიმის წარწერაში* ***გურანდუხტის — ლეონიდების სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლის — სახელი ფიგურირებს მისი ვაჟის ბაგრატის გვერდით...*** *ასე რომ,* ***ბაგრატმა ტახტი მემკვიდრეობით მიიღო აფხაზი დედის ხაზით,*** *რისი ხაზგასმის სურვილიც ჰქონდა* (ბაგრატს — **ზ.პ.**) *მის მიერვე შედგენილ „აფხაზთა მეფეთა დივანში“. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა ძალაუფლების ერთი დინასტიიდან მეორე დინისტიის ხელში მშვიდობიან გადასვლას. შედეგად, ქართლი უმტკივნეულოდ შეუერთდა აფხაზეთის სამეფოს, რადგან ბაგრატ III იყო „მკჳდრი ... ქართლისა და აფხაზეთისაჲ“.*[1]

---

[1] *«... За три года его правления «разорилась страна и изменились система и порядок управления, учреждённые первыми царями»... И вот тогда в политичес-*

კიდევ უფრო შორს მიდის დ. ჩაჩხალია, ისტორიის „მოყვარული“ და თავისი ანტიქართული განწყობილებებით ცნობილი აფხაზი პოეტი, რომელიც ასევე იძლევა გურანდუხტ დედოფლის, როგორც მასშტაბური პოლიტიკოსის მეტად შთამბეჭდავ დახასიათებას: *„გიორგი II-ის ასული, აფხაზეთის მეფეების — ლეონ III-ის, დიმიტრი III-ისა და თეოდოსი III (უსინათლოს) და. ...* ***ჯერ კიდევ 963-964 წლებში, როდესაც ახალდაბადებული უნდა ყოფილიყო მისი და ტაოს მეფის გურგენის ძე ბაგრატი, გურანდუხტი თადარიგს იკავებდა მისი*** (ანუ ბაგრატ უფლისწულის — **ზ.პ.**) ***აფხაზეთის ტახტზე გასამეფებლად...*** *თავისი ძმის ლეონ III-ის მეფობისას გურანდუხტმა სამსახური გაუწია მას ჯავახეთის დამორჩილებაში, ხელი შეუწყო ამ მხარის გამგებლად ზვიად მარუშიანის დანიშვნას, რომლის შვილი, თუ ახლო ნათესავი ივანე მარუშიანი მოგვიანებით ცდილობდა მისი ვაჟის* (ბაგრატის — **ზ.პ.**) *ხელისუფლებაში მოყვანას. ნიშანდობლივია, რომ კუმურდოს ტაძარში, რომელიც, როგორც ჩანს, აგებულია ლეონ III-ის ჯავახეთში დამკვიდრებისა და ბაგრატის დაბადების აღსანიშნავად, — გამოსახულია ლეონ აფხაზი, მისი და —* ***ტაოს დედოფალი გურანდუხტი, ქართლში აფხაზეთის მეფისნაცვალი*** *და მისი ჩვილი ვაჟი ბაგრატი, აფხაზეთის მეფეების მომავალი მემკვიდრე...* ***გურანდუხ-***

кую игру вмешалась ***сестра Феодосия, Гурандухт, дочь выдающего абхазского царя Георгия II. Эта умная и волевая женщина, по инициативе абхазского двора и верных ему феодалов, впервые становится правительницей Картли. Затем она сыграла важную роль в становлении «царства абхазов и картлийцев».*** *Так, на золотой напрестольной Бедийской чаше имя* ***Гурандухт из царского рода Леонидов*** *фигурирует рядом с именем сына Баграта... Словом, Баграт унаследовал престол* ***по абхазской материнской линии,*** *что и хотел подчеркнуть в составленном им самим «Диване абхазских царей». Всё это способствовало мирному переходу власти от одной царской династии к другой. В результате Картли присоединился к Абхазскому царству безболезненно, так как Баграт III «являлся наследником Абхазии и Картли».* იხ.: **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней*. 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухуми, 2006, გვ. 147 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამის შესახებ და *„აფხაზეთის ისტორიის“* ე.წ. „სასკოლო სახელმძღვანელოში“ გადმოფრქვეულ სხვა „სიბრძნეებზე“ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ცრუ ისტორია. რეცენზია ოლეგ ბღაჟბას და სტანისლავ ლაკობას *„აფხაზეთის ისტორიის“* სახელმძღვანელოზე. – *შრომათა კრებული.* აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. ტ. 2. თბ., 2010, გვ. 18-48 (http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia/); **З. Папаскири.** Так не пишется история. *Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» «Истории Абхазии»* О. Х. *Бгажба и С. З. Лакоба*. – *Кавказ и мир*. Международный научный журнал. №8, 2010, გვ. 69-90 (http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia-ru/); **З. Папаскири.** Моя Абхазия: Воспоминания и размышления. Тб., 2012, გვ. 321-362 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf).

ტი იყო თავისი მცირეწლოვანი ვაჟის თანამმართველი. კერძოდ, ამაზე მეტყველებს მათი ერთობლივი წარწერა ოქროს ბარძიმზე, რომელიც უბოძეს აფხაზეთში ბაგრატის გამეფების აღსანიშნავად აგებულ ბედიის ტაძარს. ტაძარი აკურთხეს ზეციური დედოფლის — მარიამ ღვთისმშობლის სადიდებლად და დედის, მიწიერი დედოფლის — გურანდუხტისადმი მადლიერების ნიშნად“.[1]

ერთი სიტყვით, აფხაზი ისტორიკოსების მხრიდან საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიის სერიოზულ გაყალბებასთან, რომლის პროვოცირებას უნებლიედ სწორედ თვალსაზრისი – თითქოს გურანდუხტ დედოფალი ყოფილიყოს ბაგრატ III-ის ცენტრალიზატორული პოლიტიკის იდეური სულისჩამდგმელი და ბურჯი – უწყობს ხელს. ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ მოვბრუნებოდით მეოთხედი საუკუნის წინ წამოჭრილ პრობლემას და კიდევ ერთხელ მოგვეყვანა ის არგუმენტები, რომლებიც აშკარად მიუთითებენ, რომ გამაერთიანებელი მოძრაობის ტრადიციული სურათი მთლად უალტერნატივო არ არის. აქვე გვინდა გავაკეთოთ ერთი განმარტება: ჩვენ სულაც არ ვართ მოწადინებული, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვეძიოთ წინააღმდეგობანი გურანდუხტ დედოფალსა და მის გვირგვინოსან ვაჟიშვილს შორის მხოლოდ იმის გამო, რომ ამით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეკულირებენ ჩვენი აფხაზი ოპონენტები. მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ X ს. 70-იანი წლების მიწურულისა და 80-იანი წლების წლების დამდეგის მოვლენების გაშუქებისას *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორისეული ნარატივი (განსაკუთრებით გურანდუხტ დედოფლის ქართლის „მპყრობელობასთან“ დაკავშირებით)

---

[1] *«Дочь Георгия II, сестра царей Абхазских – Леона III, Дмитрия III и Феодосия III (Слепого). Очевидно* ***еще в 963-964 годах, когда едва родился сын ее Баграт, сын тайского царя Гургена, Гурандухт беспокоилась о будущем его воцарении на абхазском престоле.*** *... В правление своего брата Леона III Гурандухт оказала своему брату услугу в подчинении Джавахети, способствовала назначению в эту область наместником Звиада Марушидзе, сын или близкий родственник которого Иванэ Марушиани позже будет хлопотать о введении во власть её сына Баграта. Знаменательно, что в храме Кумурдо, построенном едва ли не в честь утверждения Леона III в Джавахети и рождения Баграта – выбиты изображения царя Леона Абхазского, сестры его –* ***царицы тайской Гурандухт, наместницы абхазского царя в Картли*** *и ее сына – младенца Баграта, будущего преемника абхазских царей...* ***Гурандухт была соправительницей своему несовершеннолетнему сыну. На это, в частности, указывает их совместная надпись на золотой чаше, подаренной Бедийскому собору, построенному в честь воцарения Баграта в Абхазии. Храм был освящен во славу Царицы Небесной – Марии, в благодарность матери, царице земной – Гурандухт»*** იხ.: **Д. Чачхалиа.** Хроника абхазских царей». Москва, 2000 (http://www.abaza-duney.ru/usadba_d_ch/iskusstvo_nauka/hronika_abkhaz_tsarey.php), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ნამდვილად ბადებს გარკვეულ ეჭვებს და ამას, როგორც ზემოთ დავინახეთ, პრინციპში, თვით ის მკვლევრებიც (რ. მეტრეველი, მ. ლორთქიფანიძე, ჯ. სამუშია) არ უარყოფენ, რომლებიც გამორიცხავენ გურანდუხტ დედოფლის კავშირს შიდა ქართლის სეპარატისტულ ძალებთან. მივყვეთ ყოველივეს თანმიდევრულად.

დავიწყოთ იმით, რომ გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ბაგრატ უფლისწულის ლეგიტიმური უფლებები როგორც საკუთრივ ქართლზე (შიდა ქართლი), ისე მთლიანად „აფხაზთა“ სამეფოზე, რომლის იურისდიქციაში შედიოდა ეს რეგიონი, ნამდვილად იყო მისი დედის – გურანდუხტ დედოფლის, „აფხაზთა“ მეფის გიორგი II (922-957) ასულის წარმომავლობა და აქ არაფერი მიუღებელი არ არის. ასევე არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ისიც, რომ X ს. 70-იანი წლებისთვის პატრიოტულად განწყობილ ქართულ პოლიტიკურ წრეებში ზოგადად (და არა მხოლოდ იოანე მარუშის ძის გარემოცვაში) აქტიურად მუშავდებოდა მაინცდამაინც ბაგრატ უფლისწულის – გურგენ ბაგრატიონის ძის, მამის ხაზით პაპამისის ბაგრატ II „რეგვენის“ კუთვნილი „ქართუელთა“ სამეფო ტახტის მემკვიდრის, რომელსაც დედის ხაზით, ქუთაისის ტახტზე გარკვეული ლეგიტიმური უფლებები გააჩნდა, – სკიპტრის ქვეშ ქართული მიწების გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის გეგმა.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ სწორედ ბაგრატ უფლისწული იშვილა და თავის ერთადერთ მემკვიდრედ გამოაცხადა იმდროინდელი საქართველოს უდავო ლიდერმა – იმიერტაოს ხელისუფალმა დავით კურაპალატმა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დავით კურაპალატის მიერ მაინცდამაინც ბაგრატის მიშვილება, რომელსაც ასეთი ვრცელი დინასტიურ-ლეგიტიმური არეალი გააჩნდა, იყო წინასწარგამიზნული აქტი, რომელიც მიმართული იყო, პირველ რიგში, ტაო-კლარჯეთის, ხოლო შემდგომ სრულიად საქართველოს ერთი ტახტის ქვეშ გაერთიანებისაკენ – ამის უარყოფა ალოგიკურად და უაზრო აკვიატებად მიგვაჩნია. თავის დროზე ამგვარი მცდელობა (თუმცა წარუმატებელი) ჰქონდა აკად. გ. მელიქიშვილს, რომელმაც დავით კურაპალატი არათუ ბაგრატ უფლისწულის „აფხაზეთში“ გამეფების და შემდგომ მის გარშემო სხვა ქართული მიწების შემოკრების ინიციატორად და მოთავედ, არამედ, პირიქით, ამგვარი გაერთიანების („აფხაზეთი“+ქართლი+ტაო-კლარჯეთი) პრინციპულ მოწინააღმდეგედ გამოაცხადა.[1]

---

[1] **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 19-24, 195. ამ მცდელობის კრიტიკა იხ.: **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა.., გვ. 20-26.

ამასთან დაკავშირებით, ცოტა უცნაურად გვეჩვენება ჯ. სამუშიას რეპლიკაც იმის შესახებ, თითქოს მცდარი იყოს *„იმ მეცნიერთა აზრი, ვინც ფიქრობს, რომ 975 წლისთვის დავით კურაპალატი, ივანე მარუშის ძე და სხვა ქართველი მოღვაწეები ისხდნენ და ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ გაერთიანდებოდა საქართველო“*.[1] მეცნიერის ეს დასკვნა მით უფრო იწვევს გაკვირვებას, რომ მთელი შემდგომი მისი მსჯელობა გამაერთიანებელ პროცესებზე სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. კერძოდ, ოდნავ ქვემოთ ჯ. სამუშიას სავსებით სწორი შენიშვნით, *„საუბარი იმაზე, რომ **დავით კურაპალატმა** ბაგრატის ქართლში კურთხევის დროს **არ იცოდა ის, რომ ახლო მომავალში ეს უკანასკნელი აფხაზთა**[2] **მე-***

---

[1] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 30.

[2] ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია აფხაზთა მეფის ამ ფორმით (უკომენტაროდ) დაფიქსირება, რადგან გაუთვითცნობიერებელი მკითხველი ამ შემთხვევაში ცნებას – აფხაზთა მეფე – გაიაზრებს, როგორც ეთნიკური აფხაზების მეფეს (სწორედ ასე აღიქვამენ ამას არა მხოლოდ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსები, არამედ საქართველოს ისტორიაში ჩაუხედავი უცხოელი მკვლევრებიც). ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში (განსაკუთრებით სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში) უნდა შევეცადოთ, საგანგებოდ მივუთითოთ, რომ ცნება აფხაზთა მეფეში იგულისხმება არა საკუთრივ აფხაზები (დღევანდელი გაგებით), არამედ ქართველი პოლიტიკური ლიდერები – „აფხაზთა“ სამეფოდ წოდებული დასავლურქართული სახელმწიფოს მმართველები [ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხისათვის. – *გივი წულაია – 80*. თბ., 2014, გვ. 151-186; **З. Папаскири.** „Абхазское“ царство – грузинское государство. – *საისტორიო ძიებანი*. წელიწდეული. VIII-IX. თბ., 2006, გვ. 68-106 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006). იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 24-54. აღნიშნული მასალა მთლიანად შესულია აგრეთვე წგნ.: **З. Папаскири.** Абхазия: *История без фальсификации.* Второе издание, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 26-51 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhazialstoriaBezFalsifikacii.pdf)]. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ გარკვეული სიფრთხილე გვმართებს ზოგადად გამოთქმა – აფხაზთა მეფის ხმარებისას სხვა კუთხითაც. კერძოდ, არ მიგვაჩნია გამართლებულად ამ სიტყვათა შეთანხმების – „აფხაზთა მეფე“ მთლიანად ბრჭყალებში მოქცევა. თავის დროზე ამგვარი მიდგომა ერთგვარად „დააკანონა“ *„ქართულმა საბჭოთა ენციკლოპედიამ“*, რომლის შესაბამის ტომში „აფხაზთა“ სამეფოსადმი მიძღვნილი სტატიის (ავტორი: **ზ. ანჩაბაძე)** დასახელება მოცემულია შემდეგნაირად: „აფხაზთა სამეფო“ (იხ.: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ. 2. თბ., 1977, გვ. 32), ანუ ბრჭყალებშია მოქცეული არა სიტყვა – აფხაზთა, არამედ მთლიანად „აფხაზთა სამეფო“, რაც, ჩვენი აზრით, შეცდომაა. ამით უნებლიედ კითხვის ნიშნის ქვეშ ვაქცევთ ამ დასავლურქართული პოლიტიკური გაერთიანების **სამეფო** სტატუსს. აქ ბრჭყალები სჭირდება სიტყვას – **აფხაზთა,** რადგან ის ამ შემთხვევაში ნიშნავს არა ეთნიკურ აფხაზებს, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას (ეს არის

ფის ტახტს დაეუფლებოდა, არ მიგვაჩნია მართებულად. მთელი ეს გეგმა განხორციელდა იმისათვის, რომ ბაგრატი ქუთაისში ჩაეყვანათ და ტახტზე დაემტკიცებინათ“.[1]

მართლაც რა ფიცი-მტკიცი სჭირდება იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ 975 წელს, როდესაც დავით კურაპალატმა ბაგრატ უფლისწული ქართლის მმართველად დასვა, მას სრულიად ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი შვილობილის კარიერული წინსვლის პერსპექტივები. განა ამის პირდაპირი დადასტურება არ არის ის ოფიციალური განცხადება, რომლის დეკლარირება მოახდინა იმჟამინდელი საქართველოს აღიარებულმა ლიდერმა ქართლის აზნაურების წინაშე ბაგრატ უფლისწულის, *„რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“* წარდგენისას – *„ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე“.*[2] ასე რომ, იმიერტაოს ხელმწიფის ამ განცხადებაში, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს აკად. დ. მუსხელიშვილი, ნამდვილად ასახულია ერთიანი ქართული სახელმწიფოს – ***„საქართველოს“ მშენებლობის მკაფიოდ გაცნობიერებული პროგრამა*** *იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსებისა, რომელთა შორის დავით კურაპალატი უცილობლად პირველთაგანი“* იყო.[3]

აქ დგება ერთი პრინციპული საკითხი – რამდენად იყო იოანე მარუშის ძის ინიციატივა და დავით კურაპალატის მიერ ბაგრატ უფლისწულის შიდა ქართლის მმართველად დასმა შეთანხმებული ოფიციალურ ქუთაისთან და რა როლს თამაშობდა ამ ისტორიაში „აფხაზთა“ მეფე თეოდოსი „უსინათლო“. ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის მანძილზე თითქმის უალტერნატივოდ იყო მიჩნეული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იოანე მარუშის ძე მოქმედებდა „აფხაზთა“ სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების სანქციით.[4] ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ შევეცადეთ გადაგვესინჯა აღნიშნული დებულებაც და დაგვესაბუთებინა, რომ იოანე

ერთგვარი განმარტების ფორმა) და არამც და არამც სიტყვებს – **სამეფო, მეფე.** მართალია, ბოლო დროს თითქოს სწორდება 70-იან წლებში დამკვიდრებული მიდგომა, მაგრამ ცალკეულ პუბლიკაციებში მაინც ვხვდებით ფორმას „აფხაზთა მეფე“ (მაგ. იხ.: **დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი.** საქართველოს ისტორია. *უძველესი დროიდან 2009 წლამდე.* თბ., 2012, გვ. 169, 172-178). სწორედ ამითაა გამოწვეული აღნიშნულ თემაზე ჩვენი ყურადღების გამახვილება.

[1] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 32, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *მატიანე ქართლისა,* გვ. 272.

[3] **დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი.** საქართველოს ისტორია. *უძველესი დროიდან 2009 წლამდე.* თბ., 2012, გვ. 179, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**.

[4] **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 135; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии,* т. II. Тб., 1988, გვ. 375.

მარუშის ძის გეგმა ნამდვილად არ იყო ინიციირებული ქუთაისიდან და ის სინამდვილეში თეოდოსი „აფხაზთა“ მეფის ზურგს უკან შემუშავდა. მაგრამ ჩვენი ეს დასკვნაც (რომელიც პირველად წარმოდგენილი იყო 1998 წელს ქართული დიპლომატიის ისტორიისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ გამოცემაში),[1] ფაქტობრივად, შეუმჩნეველი დარჩა სპეციალისტებისათვის.[2]

უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს ჯ. სამუშიამ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში ერთგვარად გამოაცოცხლა ტრადიციული ხედვა და „აფხაზთა“ მეფე თეოდოსი „უსინათლო“, არც მეტი არც ნაკლები, 975 წლის უფლისციხის მოვლენების აქტიურ თანამონაწილედ და დავით კურაპალატის თანამოაზრედ გამოაცხადა. ამის ირიბი მინიშნებაა თუნდაც მისი მცდელობა შიდა ქართლის პოლიტიკურ პროცესებში დავით კურაპალატის ჩართვა მხოლოდ და მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს სისუსტით ახსნას;[3] აგრეთვე დასკვნა იმის შესახებ თითქოს *„კახელებისათვის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის* (იგულისხმება ბაგრატ უფლისწული და მისი დედ-მამა – **ზ.პ.**) *ტყვედ აყვანა მხოლოდ სავაჭროდ იყო საჭირო, უპირველესად, დავით კურაპალატთან* და ***აფხაზთა მეფესთან***“.[4] „აფხაზთა“ სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება გამოჰყავს ჯ. სამუშიას ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტად 975-976 წლებში შიდა ქართლში განვითარებულ მოვლენებში, როდესაც საუბრობს ე.წ. *„976 წელს დადებულ“* ზავზე *„აფხაზეთისა და კახეთის სამეფოებს შორის“*, დავით კურაპალატი კი რატომღაც მხოლოდ და მხოლოდ ამ ზავის გარანტად მიაჩნია.[5]

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* მონაცემები არა თუ არ ადასტურებენ, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავენ ქუთაისის ტახტის რაიმე მონაწილეობას ბაგრატ უფლისწულის შიდა ქართლის მმართველად დასმის პროცედურაში. *„მატიანის“* მთელი ეს მონათხრობი უფრო იმაზე მიუთითებს, რომ „აფხაზთა“ სამეფოს ცენტრალური ხელისუფლება იმჟამად მთლიანად გამოთიშული იყო ქართლში განვითარებული პროცესებიდან და იოანე მარუშის ძე ოფი-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998, გვ. 211-212; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი საერთაშორისო დიპლომატიური უზრუნველყოფა. – *ქართული დიპლომატიის ისტორია.* თბ., 2003, გვ. 136.

[2] ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ არის მ. ბახტაძის ნარკვევი (იხ.: **მ. ბახტაძე.** საქართველო IX საუკუნიდან XI საუკუნის 70-იან წლებამდე. – წგნ. **ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, ო. ჯანელიძე.** საქართველო და ქართველები. *საკითხავი წიგნი.* ***ზ. აბაშიძის*** რედაქციით. თბ., 2013, გვ. 114.

[3] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 29.

[4] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 37, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[5] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 38.

ციალური ქუთაისისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა. ეს კი, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ თავის დროზე „აფხაზთა“ მეფის (აშკარად დემეტრე III-ის) მიერ ქართლის ერისთავად დანიშნული მოხელე ეჭვის თვალით უყურებდა დასავლეთ საქართველოში ახლად გამეფებული თეოდოსის „განსაკუთრებულ“ ურთიერთობებს კახეთის მმართველ კვირიკესთან. რომელ „განსაკუთრებულ“ ურთიერთობებზეა საუბარი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მცირე ექსკურსის გაკეთება კახეთის ხელისუფალთა ჰეგემონისტურ მისწრაფებებსა და შიდა ქართლის ადგილზე ამ მისწრაფებების რეალიზაციის გზაზე.

როგორც ცნობილია, კახეთის სამთავრო წარმოქმნის დღიდან აქტიურად ჩაება საქართველოში პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებისათვის ბრძოლაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქორეპისკოპოსმა გრიგოლმა, ისარგებლა რა ქართლის ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონის ტაო-კლარჯეთში გადასვლით, უმალ მიიტაცა შიდა ქართლი.[1] ამ დროიდან, კახელები არ ეხსნებოდნენ ამ ოლქს და დროდადრო ახერხებდნენ კიდეც მის ხელში ჩაგდებას. მას მერე, რაც „აფხაზთა“ მეფეები გაძლიერდნენ (დაახლოებით IX ს. II ნახევრიდან), ისტორიული ქართლის ეს ნაწილი ძირითადად მათი კონტროლის ქვეშ მოექცა. სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ტრადიციას, რომლის მიხედვითაც შიდა ქართლის მმართველად „აფხაზთა“ მეფეები ტახტის მემკვიდრეს ნიშნავდნენ. პირველი ასეთი მმართველი, იყო გიორგი I „აღწეფელად“ წოდებული „აფხაზთა“ მეფის (861-868) ძმისწული, რომელიც უშვილო გიორგი მეფის მემკვიდრედ მოიაზრებოდა.[2] ესაა ე.წ. „ერისთავი ჩიხისა“,[3]

---

[1] *მატიანე ქართლისა,* გვ. 252-253.

[2] ამასთან დაკავშირებით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს 2006 წელს სოხუმში გამოცემული *„აფხაზეთის ისტორიის“* ე. წ. „დამხმარე სახელმძღვანელოში“ განვითარებული აზრი იმის შესახებ, თითქოს ქართლის **პირველი** მმართველი „აფხაზთა“ სამეფო დინასტიიდან გურანდუხტ დედოფალი ყოფილიყოს *(«Гурандухт... **впервые** становится правительницей Картли».* იხ.: **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии., გვ. 147, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). გურანდუხტი სულაც არ იყო შიდა ქართლის (და არა ზოგადად – ქართლის, როგორც ამას შეცდომით წერენ ე. წ. „დამხმარე სახელმძღვანელოს“ ავტორები) პირველი „აფხაზი“ მმართველი. ეს რეგიონი, როგორც უკვე აღინიშნა, „აფხაზთა“ სამეფო დინასტიის კოტროლქვეშ პირველად ჯერ კიდევ IX ს. 60-იან წლებში მოექცა, როდესაც გიორგი I-მა ის სამართავად ჩააბარა ტახტის მემკვიდრედ გამზადებულ თავის ძმისწულს. მოგვიანებით კი ქუთაისის ტახტის ხელისუფლებას შიდა ქართლში ახორციელებდნენ სხვა „აფხაზი“ უფლისწულები, პირველ რიგში, სამეფო ტახტის მემკვიდრეები: კონსტანტინე და ლეონი.

[3] ასე იმიტომ იწოდება, რომ მისი რეზიდენცია იყო არა საკუთრივ შიდა ქართლში, არამედ დასავლეთ საქართველოში – ჩიხაში (ამჟამ. საჩხერის რ-ნის ტერიტორიაზე), საიდანაც ახორციელებდა თავის ფუნქციას.

რომელიც მოაკვლევინა გიორგი I-ის ქვრივმა.[1] მაგრამ საკმარისი იყო

[1] *მატიანე ქართლისა,* გვ. 258. ისტორიოგრაფიაში (იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ* ტომად. ტ. II. თბ., 1983, გვ. 100; **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 354; **მ. ლორთქიფანიძე.** ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973, გვ. 517. იგივე აზრია გატარებული ამ ნაშრომის რუსულ გამოცემაშიც. იხ.: **М. Д. Лордкипанидзе.** Образование грузинской феодальной монархии. – *Очерки истории Грузии,* т. II. Тб., 1988, გვ. 358; **მ. ბახტაძე.** ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 127; **შ. გლოველი.** აფხაზთა სამეფო. *დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.* თბ., 2004, გვ. 77; **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 31 და სხვ.) ძირითადად გაზიარებულია *„მატიანე ქართლისაჲს“* აღნიშნული ცნობის ანა დედოფლისეული ნუსხის ვერსია, რომლის მიხედვითაც გიორგი „აფხაზთა“ მეფის მიერ *„ერისთავად ჩიხას“* დატოვებული *„ძე დიმიტრისი“ იყო „ბაგრატ, რომელი იცნობ(ებ)ის ექსორია ქმნილობით“* (ქართლის *ცხოვრება.* ანა დედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ***ს. ყაუხჩიშვილის*** რედაქციით. თბ., 1942, გვ. 164. დაახლოებით ამავე რედაქციით გვხვდება ეს ფრაგმენტი მარიამისეულ ნუსხაშიც (ქართლის *ცხოვრება.* მარიამ დედოფლის ვარიანტი. ***ე. თაყაიშვილის*** გამოც. ტფ., 1906, გვ. 223-224). მაგრამ *„ქართლის ცხოვრების“* მაჩაბლისეული ნუსხის მიხედვით აღდგენილ ტექსტსა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში გვხვდება გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ქვრივის მიერ განხორციელებული სასახლის გადატრიალების ამსახველი ცნობის განსხვავებული ვერსია, რომელშიც ფიგურირებს არა მხოლოდ ერთი ბაგრატ უფლისწული, თითქოს თავისი ბიძის მიერ ჩიხის ერისთავად დანიშნული, რომელიც ჯერ მოკლეს, შემდეგ კი *„შთააგდეს ზღუასა“*, არამედ **დემეტრე „აფხაზთა“ მეფის ერთბაშად ორი ძე**, რომელთაგან ერთი – *„ტინინე,* ***ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა“*** მოკლულ იქნა, ხოლო მეორე – *„უმრწემესი* ***ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჰასაკითა... შთააგდეს ზღვასა შინა“*** (ქართლის *ცხოვრება* დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის თარგმნილი და გამოცემული **უ. ბროსე,** წევრისა საიმპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა. ნაწ. I. სანკტპეტერბურღს, 1849, გვ. 191-192; იხ. აგრეთვე: *ქართლის ცხოვრება* დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის გამოცემული ღვაწლითა ***უ. ბროსე,*** წევრისა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა. ნაწ. პირველი. ჴელმეორედ დაბეჭდილი აკადემიკოს ***ნიკო მარრის*** თვალმიდევნებით. პეტროგრადს, 1923, გვ. 191-192; **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება,* ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. თბ., 1973, გვ. 131, 797, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.).** ისტორიკოსთა ნაწილი უპირატესობას სწორედ ამ უკანასკნელ რედაქციას ანიჭებს და თვლის, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* ჩვენთვის საინტერესო პასაჟში „ერისთავი ჩიხისა“ უნდა იყოს უფროსი ძმა (ის უნდა ყოფილიყო ტახტის მემკვიდრე), რომელსაც ერქვა ტინენ, ხოლო „უმრწემესი“ – ბაგრატ, რომელიც *„შთააგდეს* ***ზღვასა შინა“*** (**მ. ბროსე.** საქართველოს ისტორია. *ორ ნაწილად. მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით.* ნათარგმნი და განმარტებული ***სიმ. ღოლობერიძის*** მიერ. გამოცემული ***ნიკ. ღოლობერიძის*** მიერ. ტფ., 1895, გვ. 94; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Аб-

„აფხაზთა“ სამეფოს რაიმე სიძნელეები შექმნოდა, რომ კახეთი ეგრევე გადადიოდა შეტევაზე და ცდილობდა შიდა ქართლის „აფხაზთა“ სამეფოსაგან ჩამოცილებას.

X ს. შუა ხანებში „აფხაზთა“ სამეფო ჯერ გიორგი II-ის, შემდეგ კი მისი მემკვიდრის ლეონ უფლისწულის აქტიური მეცადინეობით გადავიდა ტოტალურ შეტევაზე კახეთ-ჰერეთის მიმართულებით და სერიოზული საფრთხე შეუქმნა კახეთის ქორეპისკოპოსის სუვერენიტეტს. ლეონ III-ის, რომელმაც გამეფებისთანავე *„კუალად იწყო მტერობად კჳ რიკესა და ძებნად კახეთისა“*,[1] გარდაცვალების შემდეგ კახეთმა ერთგვარად ამოისუნთქა. უფრო მეტიც, მალე კვირიკე II-ს (929-976) თვითონ მიეცა საშუალება ჩარეულიყო ლეონ III-ის ძმებს – დემეტრესა და თეოდოსის შორის ქუთაისის ტახტის დაუფლებისათვის ატეხილ ბრძოლაში და ეფიქრა გარკვეულ გამორჩენაზე. მან პოლიტიკური თავშესაფარი მისცა თეოდოსის, რომლის პირველი მცდელობა დაეკავებინა ტახტი მარცხით დამთავრდა. კახეთის ქორეპისკოპოსი, როგორც ჩანს, ძალზე დაინტერესებული იყო დასავლეთ საქართველოში თეოდოსის გამეფებით. ამიტომაც ენთუზიაზმით მიიღო დემეტრე „აფხაზთა“ მეფის წინადადება *„სიტყჳთა კაცთათა; აწ შუა-მდგომელობითა შენითა* (ე. ი. კვირიკესი – **ზ.პ.) ორივე** ძმის *„სწორად უფალმამულსა“* ერთობლივი მეფობის შესახებ. კვირიკემ პირობა დადო თეოდოსის წინაშე, რომ დემეტრე მეფის მხრიდან ღალატის შემთხვევაში თვითონ იქნებოდა *„მეძიებელი სისხლისა“* და დაიყოლია ის ძმის წინადადებაზე. მცხეთაში *„სუეტსა ცხოველსა“* შედგა დაფიცების ცერემონიალი, რომელსაც ესწრებოდნენ: *„კათალიკოსი, მღდელთ-მოძღუარნი და დიდებულნი ყოველნი“.*[2]

დემეტრესა და თეოდოსის ერთობლივი მეფობა, როგორც ცნობილია, ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე *„დემეტრე მეფემან დაივიწყა შუა-*

хазии. Сухуми, 1959, გვ. 123; **Г. В. Цулая.** Абхазия и абхазы в контексте истории Грузии. *Домонгольский период*. Краткие очерки. Москва, 1995, გვ. 74). აღსანიშნავია, რომ ზ. ანჩაბაძესა და გ. წულაიას გამორჩათ მ. ბროსეს გამოცემებსა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში დაფიქსირებული „ჩიხის ერისთავის“ სახელი – ტინინე (ტინენ) და თვლიან, რომ მემატიანისთვის ბაგრატ უფლისწულის უფროსი ძმის სახელი უცნობია. ამ ბოლო დროს ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ ამ საკითხს და მხარი დავუჭირეთ *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობის ვახუშტი ბაგრატიონისა და მარი ბროსესეულ გაგებას. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ვინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. *„მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში ერთი კონიექტურის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ. – ქართული წყაროთმცოდნეობა.* XI. თბ., 2006, გვ. 64-71. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წიგნში: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 371-380.

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 270.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 271.

მდგომლობა ღმრთისა და კაცთა, და შემართა ფიცთა გატეხა: შეიპყრა თეოდოსი და დასწუნა თუალნი“.[1] მაგრამ არც მისმა ერთპიროვნულმა ხელმწიფობამ გასტანა დიდხანს. არაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ რამდენად აღასრულა კვირიკე II-მ თავისი პირობა შურისძიების თაობაზე და რამდენად უკავშირდება დემეტრე მეფის სიკვდილი მის ამ დანაქადნს, მაგრამ, უსინათლო თეოდოსის გამეფებაში, როგორც ჩანს, კახეთის ქორეპისკოპოსს რაღაც წვლილი ნამდვილად უნდა მიუძღოდეს. ამ თვალსაზრისით, უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ უმალვე, მას შემდეგ რაც *„აღესრულა დემეტრე მეფე, იხილეს ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა, რომელ არღარა დარჩა მკჳდრი აფხაზეთისა და ქართლისა, გამოიყვანეს თეოდოსი, და დასუეს მეფედ... მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა“.*[2]

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ თეოდოსისა და კვირიკეს შორის დადებულა ფარული გარიგება, რომლის თანახმადაც თეოდოსი თავის მოკავშირეს, მისთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, ქართლს დაჰპირდა. ეტყობა, სწორედ ამ გარიგების წინააღმდეგ გამოვიდა იოანე მარუშის ძე, რომელმაც ქუთაისში კი არ აფრინა კაცი დამხმარე ძალის მოსახმობად (არადა ყველა ლოგიკით მას სწორედ „ცენტრისთვის“ უნდა მიემართა), არამედ იმიერტაოში – დავით კურაპალატთან. განსაკუთრებით ხაზგასასმელია შემდეგი მომენტი: იოანე მარუშის ძეს ბაგრატ უფლისწული აინტერესებს არა უბრალოდ ქართლის მმართველის სტატუსში, არამედ ის საერთოდ მთელი „აფხაზეთის“ მეფედ ესახება. *„ესევე ივანე მარუშის-ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ“* – წერს მემატიანე.[3] ე.ი. ბაგრატი ჯერ ქართლში არ დაუსვამთ და იოანე მარუშის ძე კი მის „აფხაზეთში“ გამეფებაზე ფიქრობს. აქ მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ქართლის ერისთავისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო თეოდოსი-კვირიკეს გარიგება და მან იმთავითვე დაიწყო არა მხოლოდ ქართლის შენარჩუნებისათვის ზრუნვა, არამედ „აფხაზეთში“ მომავალი სახელმწიფო გადატრიალებისათვის თადარიგიც დაიჭირა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იოანე მარუშის ძის გეგმა თეოდოსი „აფხაზთა“ მეფის ზურგს უკან შემუშავდა და ქუთაისის ოფიციალურ ხელისუფლებას მასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

მაგრამ მოვუბრუნდეთ გურანდუხტ დედოფალს. მართალია, მემატიანე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბაგრატ უფლისწულს *„ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“*, მაგრამ ის არავითარ მინიშნებას არ იძლევა ბაგრატის ქართლის მმართველად დასმის აქტში საკუთრივ გუ-

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 272.
[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 272.
[3] *მატიანე ქართლისა*, გვ. 272.

რანდუხტ დედოფლის რაიმე განსაკუთრებული პიროვნულ წვლილზე. უფრო მეტიც, *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მცირეწლოვან ბაგრატს დავით კურაპალატმა რატომღაც *„თანა-- განმგებელად დაუტევა მამა მისი გურგენ“* და არა, მაინც და მაინც, დედა – ქუთაისის ტახტის (ანუ „მეტროპოლიის“) ლეგიტიმური წარმომადგენელი. ასე რომ მტკიცება იმისა, თითქოს გურანდუხტ დედოფალი მცირეწლოვნობის ჟამს რაიმე რეალურ გავლენას ახდენდა თავისი ვაჟის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და რეგენტის ფუნქციასაც კი ასრულებდა, როგორც ამას თავის დროზე ფიქრობდა ანტიქართული გამოხდომებით ცნობილი რუსი ისტორიკოსი კ. კუდრიავცევი,[1] სრულიად უსაფუძვლოა.

სეპარატისტულად განწყობილი ქართლის აზნაურებისათვის ბაგრატის მმართველობა პრინციპულად მიუღებელი იყო. საქმე იმაშია, რომ იმ დროიდან, როდესაც ქართლის უკანასკნელმა ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა დატოვა თავისი რეზიდენცია თბილისში და სამხრეთ საქართველოში გაიხიზნა, მან დაკარგა კონტროლი შიდა ქართლზეც. აქედან მოყოლებული თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში, შიდა ქართლი იყო მთავარი რეგიონი, რომლის, როგორც „ქვეყნის შუაგულის“ – ისტორიულად ქართლის მეფეებისა და ერისმთავრების დომენის – დაუფლება ერთგვარ ლეგიტიმაციას აძლევდა ცალკეული ქართველი მეფე-მთავრების ლიდერობას საერთო-ქართული პოლიტიკური სამყაროს ჰეგემონობისათვის ბრძოლაში.[2] ამიტომაც თითოეული მათგანი

---

[1] **К. Д. Кудрявцев.** Сборник материалов по истории Абхазии. Сухуми, 1922, გვ. 119 (http://apsnyteka.org/file/kudriavtsev_k_materialy_po_istorii_abkhazii.pdf). აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს იმანაც, რომ კ. კუდრიავცევი 975 წ. მოვლენების გაშუქებისას მეტად საეჭვოდ არ ახსენებს გურგენს, ხოლო გურანდუხტი, საერთოდ, დავით კურაპალატის მეუღლედ, ბაგრატი კი გერად მიაჩნია *(«**Отчим Баграта куропалат Давид** двинулся со своими войсками в Кахетию для освобождения **жены и пасынка**».* იხ.: **К. Д. Кудрявцев.** Сборник материалов.., გვ. 119, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დ. ჩაჩხალიას გურანდუხტი მცირეწლოვანი ბაგრატის თანამმართველად («соправительницей») მიაჩნია (იხ.: **Д. Чачхалиа.** «Хроника абхазских царей»...).

[2] ჯ. სამუშია თავის ნაშრომში, სავსებით სწორად გამოყოფს რა „რამდენიმე ფაქტორს“, რომელიც განაპირობებდა შიდა ქართლის მნიშვნელობას (1. ეკონომიკური პოტენციალი; 2. მასზე გამავალი „საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები: დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი, ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსავლელი მაგისტრალი“; 3. რეგიონის „ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა“...), სამწუხაროდ, არაფერს ამბობს მთავარ პრიორიტეტზე – შიდა ქართლის როგორც ისტორიულად სამეფო დომენის პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსზე (**ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 27).

ცდილობდა ამ ოლქის ხელში ჩაგდებას და მის ინტეგრირებას საკუთარ ტახტთან. ასეთ ვითარებაში ქართლის აზნაურობა მაქსიმალურად ცდილობდა თავი აერიდებინა ამა თუ იმ ამბიციური ლიდერის მორჩილებისაგან და რეგიონი ნებისმიერი სამეფო („აფხაზთა“ თუ „ქართველთა“) ხელისუფლების კონტროლიდან გამოეყვანა.

ქართლის აზნაურთა პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა ადგილობრივი მარიონეტი დინასტის ყოლა. ანუ, ქართლში შექმნილი იყო განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ისეთი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც ფეოდალურ არისტოკრატიას, ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ნაცვლად, სურს ჰყავდეს ადგილობრივი მარიონეტული მთავრობა, რათა *„თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“.*[1] პირველად ეს მკაფიოდ გამოვლინდა X ს. 20-იან წლებში, როდესაც ქართლის არისტოკრატია აუმხედრდა გიორგი „აფხაზთა“ მეფეს, გადაიბირა ქართლის მმართველად დანიშნული გიორგი II-ის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე. *„და ვითარ დაყო სამი წელიწადი* (ე.ი. კონსტანტინემ ქართლში მმართველად – **ზ.პ.**) *იწყო მტერობად მამისა თვისისა* და ***ძებნად მეფობისა.*** *და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს* და ***შეუდგეს თანა ტბელნი და სხვანი მრავალნი აზნაურნი“.***[2] ამ ბრძოლის მიზანი კი უნდა ყოფილიყო ქუთაისის ტახტისაგან შიდა ქართლის ჩამოცილება და აქ თავიანთი მარიონეტული სამეფო ხელისუფლების შექმნა.[3] ე.ი. ისეთივე სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბება, როგორიც იყო სხვა ქართული სამეფო-სამთავროები („აფხაზთა“ და

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 276.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 267-268, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ**.

[3] ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი ამახვილებდა ყურადღებას შიდა ქართლის აზნაურთა „ანტიაფხაზურ“ განწყობილებებზე და მიუთითებდა, რომ *„დიდებული აზნაურები, უმეტესი ნაწილი მაინც, საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ; თითოეული კუთხის აზნაურები თავიანთ მეფისა და მთავრის დამოუკიდებელი არსებობის მონატრულნი იყვნენ იმიტომ, რომ გაერთიანების შემდეგ მათ კვლავინდებური ძალა და გავლენა დაეკარგებოდათ და მეფეს წინანდებურად თავის ნებაზე ველარ ათამაშებდნენ. თუ აქამდის საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების უმთავრეს მოვლენად ქართველ მეფეთა ერთიერთმანეთთან ბრძოლა იყო ბატონობისა და მეთაურობის მოსაპოვებლად,* ***ამიერითგან, როცა გამარჯვება აფხაზთა მეფეებს*** *ერგოთ, ამ მეფეთა შორის ბრძოლაში დიდებული აზნაურებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ,* ***განსაკუთრებით უმეფობას მიჩვეული ქართლის აზნაურები, და უმეტეს შემთხვევაში აფხაზთა მეფეების გაერთიანების პოლიტიკის წინააღმდეგ და ადგილობრივი მეფის დამოუკიდებელი არსებობის დასაცავად ირჯებოდნენ“*** (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. 2. თბ., 1983, გვ. 106, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ**.) ივ. ჯავახიშვილის ამ თვალსაზრისს მთლიანად იზიარებდა ზ. ანჩაბაძე (იხ.: **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой.., გვ. 129, 131-133).

„ქართველთა“ სამეფოები, კახეთი, ჰერეთი), საკუთარი სამეფო დინასტიით.[1] მაგრამ ქართლის აზნაურთა ამ მისწრაფებებს განხორციელება არ ეწერათ. გიორგი „აფხაზთა“ მეფემ შეძლო განხეთქილების შეტანა აჯანყებულთა რიგებში და მკაცრად ჩაახშო ეს გამოსვლა. მამის მოღალატე უფლისწული *„შეიპყრეს და მოჰგუარეს მეფესა, და მეფემან გააპატიჟა ბოროტად: პირველად თუალნი დასწუნეს და მერმე გამოყუერეს, და მოკუდა“.*[2]

ქართლის აზნაურებმა არც 975 წელს უღალატეს ტრადიციებს და *„ვითარ წარჴდეს ამას შინა ჟამნი რა-ოდენნი-მე, იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩუეულება ქართლისა აზნაურთა: შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა, და მოიყვანნეს ლაშქარნი კახეთით; და გასცეს უფლისციხე, და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, წარიყვანეს კახეთად“.*[3]

დავით კურაპალატისთვის, როგორც ჩანს, მოულოდნელი აღმოჩნდა ქართლის აზნაურთა და კახეთის მესვეურთა ვერაგული ქმედება. მანაც არ დაახანა *„გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა, მოვიდა*

---

[1] ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე ამ მოვლენების საოცრად მსგავს სურათს ვხედავთ მოგვიანებით (XII საუკუნეში) კიევის რუსეთში, როდესაც საბოლოოდ გაფორმდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა, როგორც პოლიტიკური სისტემა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მომენტი ძველი რუსული (კიევის) სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებიდან. მხედველობაში გვაქვს ცნობილი რუსი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის „გაქცევა“ კიევიდან, მამამისის, კიევის დიდი მთავრის იური დოლგორუკის დაუკითხავად და მისი ვლადიმირში დამკვიდრება. ისტორიოგრაფიაში მიღებულია აზრი, რომ ანდრია ბოგოლუბსკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რუსეთში დაფუძნება მოხდა ადგილობრივ ბოიართა ინიციატივითა და სურვილით და რომ ამით იქაური ფეოდალური წრეები *„ესწრაფვოდნენ სხვა რეგიონების მსგავსად ყოლოდათ თავიანთი მთავარი, საკუთარი დინასტიური შტოთი…“* (*«желали* ***наравне с другими землями обзавестись своим князем, своей династической ветвью,*** *чтобы прекратить перемещения князей, не связанных с интересами данной земли».* იხ.: **Б. А. Рыбаков.** Русь в эпоху «Слова о полку Игореве». Обособление самостоятельных русских княжеств в XII начале XIII в. – *История СССР*. С древнейших времен до наших дней. В двух сериях, в двенадцати томах, т. I. Москва, 1966, გვ. 617 /ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ./**. იხ. აგრეთვე: **Б. Д. Греков.** Киевская Русь. – *Избранные труды*, т. II, Москва, 1950, გვ. 419). აშკარაა, რომ ანდრიას „გაქცევა“ და ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბება ძლიერ ჩამოჰგავს „აფხაზთა“ მეფის ძის – კონსტანტინეს სურვილს „მეფობის ძიებისა“ ქართლში, და რომ ამ საქმის ინიციატორი ქართლის აზნაურობისა და ვლადიმირ-სუზდალის ქვეყნის ბოიართა მისწრაფებები დაახლოებით ერთნაირია.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 267-268.

[3] *მატიანე ქართლისა*, გვ. 274.

თრიალეთს შთასლვად კახეთად“. კახელები დაფრთხნენ და ძლევამოსილ კურაპალატთან დაზავება არჩიეს *„განუტევნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე“.*[1] მაგრამ დავით კურაპალატმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. ამ დროს ვერ მოხერხდა ბაგრატის ხელისუფლების აღდგენა ქართლში. დავით კურაპალატს, შესაძლებელია, ერთგვარ დათმობაზე წასვლა მოუხდა ქართლის აზნაურებისა და მათი კახელი მფარველების მიმართ და იძულებული გახდა ქართლის მმართველად დაეტოვებინა არა უფლისწული ბაგრატ, არამედ მისი დედა, „აფხაზთა“ სამეფო სახლის უშუალო წარმომადგენელი – გურანდუხტი. აი ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს მემატიანე, როდესაც წერს, რომ *„მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტ დედოფალსა“,*[2] აგრეთვე, ისიც, რომ კახელებმა ქართლისა და უფლისციხის დათმობის სანაცვლოდ *„წირქუალის ციხე და გრუი... დაიჭირეს“.*[3]

სწორედ ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ყველა პირობა არსებობს, დღემდე ისტორიოგრაფიაში ერთგვარ აქსიომად მიჩნეული დასკვნის, თითქოს ბაგრატ უფლისწული 975 წლიდან 978 წლამდე – აფხაზეთში გამეფებამდე რჩებოდა ქართლის გამგებლად, გადასასინჯად.

ჩვენს ამ დასკვნას ამყარებს ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფების შემდგომ განვითარებული მოვლენები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ბაგრატ უფლისწულის გურანდუხტ დედოფლით შეცვლა იძულებითი ნაბიჯი იყო და ეს უშუალოდ სეპარატისტულად განწყობილ ქართლის აზნაურთა მოთხოვნით მოხდა.[4] აშკარაა, რომ მათთვის გურანდუხტ დედოფალი უფრო მისაღები პოლიტიკური ფიგურა იყო, ვიდრე ბაგრატი. ეს ნათლად გამოვლინდა X ს. დამდეგს, როდესაც უკვე სრულწლოვანებაში შესულ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფეს მოუწია უმკაცრესი ზომების გატარება ქართლის აზნაურთა მორიგი „ანტიაფხაზური“ გამოსვლის ჩასახშობად. *„შემდგომად ამისა გარდამოვიდა* (ბაგრატ – **ზ.პ.**) *ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თიღუას. ხოლო მას ჟამსა* ***აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არ ენება გარდამოსვლა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლი-***

---

[1] *მატიანე ქართლისა,* გვ. 274-275.

[2] *მატიანე ქართლისა,* გვ. 275.

[3] *მატიანე ქართლისა,* გვ. 275.

[4] ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ჯ. სამუშიას დასკვნას იმის შესახებ, თითქოს გურანდუხტის ქართლის მმართველად დასმა მისი ძმის – „აფხაზთა“ მეფე თეოდოსის ხელდასხმით მოხდა (**ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 70). სრულიად აშკარაა (და ეს ზემოთაც ვაჩვენეთ), რომ თეოდოსის შიდა ქართლის ამბებს არავინ ეკითხებოდა და აქ მთავარი ფიგურანტი დავით კურაპალატი იყო.

სათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტისა.[1] *იწინამძღურეს ქავთარ ტბელი,*[2] *მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს. იოტნეს ქართველნი: რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს. მოვიდა* (ე.ი. ბაგრატი – **ზ.პ.**) *უფლისციხეს* ***აღილო ციხე დე-***

---

[1] თავის დროზე, *„მატიანე ქართლისაჲს“* მოყვანილი ცნობის პასაჟის: *„აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არ ენება გარდამოსვლა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა,* ***დაღაცათუ*** *იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტისა“* თარგმნისას აკად. მ. ლორთქიფანიძეს გაეპარა მცირე უზუსტობა – სიტყვა ***„დაღაცათუ“*** მან რატომღაც გაიაზრა, როგორც ***«вряд ли»***, რის გამოც რუსული ტექსტი მთლად ადექვატურად ვერ გადმოსცემს ქართული ორიგინალის შინაარსს: *«... некоторые азнауры Картли не желали впускать его в Картли, т. к. каждый из них по-своему управлял делами Картли,* ***и вряд ли*** *подчинялись они воле Гуарандухт»* (*Матиане Картлиса*. Перевод, введение и примечания ***М. Д. Лордкипанидзе***. Тб., 1976, გვ. 39, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). რუსული თარგმანის ეს ხარვეზი შეუმჩნეველი არ დარჩა და მასზე სათანადო რეაგირება გააკეთა ცნობილმა სომეხმა ქართველოლოგმა პ. მურადიანმა (**П. Мурадян.** Нововыявленная армянская надпись Атенского Сиона. – *Вестник общественных наук*, № 3, 1979, გვ. 220 /სომხურ ენაზე/). მართლაც დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ სიტყვა ***„დაღაცათუ“,*** კონტექსტიდან გამომდინარე, უნდა გავიაზროთ, როგორც ***„თუმცა“***, რომლის რუსული ანალოგი არის ***«хотя»*** და არამც და არამც ***«вряд ли»***. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასე ესმის ეს *„მატიანე ქართლისაჲს“* კიდევ ერთ მთარგმნელს გ, წულაიას: *«... в ту пору некоторые азнауры картлийские не желали прихода его, ибо розно правили делами картлийскими,* ***хотя и*** *пребывали в повиновении у Гурандухт»* (*Летопись Картли.* Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая***, Тб., 1982, გვ. 59, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). აქვე არ შეიძლება წუხილი არ გამოვთქვათ იმის გამოც, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტის მ. ლორთქიფანიძისეული თარგმანი უცვლელადაა დატოვებული *„ქართლის ცხოვრების“* რუსული თარგმანის უახლეს გამოცემაში (*Летопись Картли («Матиане Картлиса»). – Картлис Цховреба (История Грузии)*. Главный редактор, академик ***Роин Метревели***. Тб., 2008, გვ. 148).

[2] ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ქართლის არისტოკრატიის ბრძოლას „აფხაზთა“ სამეფოსაგან სუვერენიტეტის მოსაპოვებლად სწორედ ტბელთა საგვარეულო ედგა სათავეში. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **მ. ლორთქიფანიძე.** ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა.., გვ. 524-528; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II. თბ., 1980, გვ. 216-217; **ნ. შოშიაშვილი.** V-X სს. ქართული ლაპიდარული წარწერების ისტორიულ-პალეოგრაფიული მიმოხილვა. – *ქართული წარწერების კორპუსი.* ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ***ნ. შოშიაშვილმა.*** თბ., 1980, გვ. 59-60.

დისაგან თჳსისა, *დაყვნა დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი;* ***წარიყვანა დედა თჳსი და წარვიდა ქუეყნად აფხაზეთისა***“.[1]

როგორც ვხედავთ, ქართლის აზნაურობა წინააღმდეგია ქართლში უშუალოდ ბაგრატ აფხაზთა მეფის ხელისუფლების დამყარებისა და ამიტომ ყველანაირად ებღაუჭება აქ გურანდუხტის გამგებლობის შენარჩუნებას. მართალია, მოტანილ ნაწყვეტში პირდაპირ არაა ნათქვამი, რომ გურანდუხტი ამბოხებულთა კრეატურას წარმოადგენს და ამდენად უპირისპირდება თავის ვაჟს, მაგრამ არსებობს კონკრეტული მასალა, რომელიც აშკარად მეტყველებს გურანდუხტის უშუალო კავშირზე „ანტიაფხაზურ“ ოპოზიციასთან. მხედველობაში გვაქვს ატენის სიონის ერთ-ერთი სომხური წარწერა, რომელშიც ვკითხულობთ: *„ეს მე გერგიუმ ერჰასანის ძე, ვინც ამას კითხულობს, ღმრთის მქანდაკებელი (მოიხსენიეთ). ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა* ***დედოფალს ქართველთა შეედავა და (სატახტო) უფლისციხე დაიკავა“.***[2] ამ ცნობაზე დაყრდნობით ზ. ალექსიძემ სავსებით ლოგიკურად დაასკვნა, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორი მაინც და მაინც არ უნდა იყოს პირუთვნელი ბაგრატ III-ის წინააღმდეგ ქართლის აზნაურთა ამ გამოსვლაზე საუბრისას, რომ ის რატომღაც ცდილობს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს გურანდუხტის ნების გარეშე მოხდა ეს კონფლიქტი.[3] სინამდვილეში კი ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ქართლის აზნაურობა და გურანდუხტი ერთ ბანაკში არიან. ზ. ალექსიძემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ წარწერაში გურანდუხტი მოხსენიებულია არა როგორც „დედოფალი“ ზოგადად, არამედ როგორც *„ქართველთა* ***დედოფალი“.*** მეცნიერის აზრით, „იმ ოთხიოდე წლის მანძილზე, როცა ბაგრატი აფხაზეთში იმყოფებოდა, გუარანდუხტს დიდი უფლებები მოუპოვებია და თვითონაც „ქართველთა დედოფლის“ ტიტული მიუღია“.[4]

ჯ. სამუშიას, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ყოველნაირად ცდილობს მოხსნას ყოველგვარი წინააღმდეგობა გურანდუხტ დედოფალსა და მის გვირგვინოსან ვაჟს შორის, ეჭვი შეაქვს გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის ზემოთ მოყვანილ წაკითხვაში და უპირატესობას ანიჭებს ზ. ალექსიძის თარგმანის მეორე (სავარაუდო) ვარიანტს, რომლის თანახმადაც სიტყვა „შეედავას“ ნაცვლად შეიძლება იყოს „თან წაიყვანა“. მკვლევრის აზრით, ეს პრინციპულად ცვლის წარწერის შინაარსს, რომელიც ამ შემთხვევაში შემდეგნაირად გამოიყურება: *„ბაგრატ*

---

[1] *მატიანე ქართლისა,* გვ. 276, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **ზ. ალექსიძე.** ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978, გვ. 52, (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] **ზ. ალექსიძე.** ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 56.

[4] **ზ. ალექსიძე.** ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 57.

აფხაზთა მეფემ ქართლის დედოფალი თან წაიყვანა და ... უფლისციხე დაიკავა“.[1] აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. სამუშია ასკვნის, რომ ატენის სიონის სომხური წარწერის ზ. ალექსიძისეული წაკითხვა (ძირითადი ვერსია, რომლის მიხედვითაც უპირატესობა ენიჭება „შეედავა“ ფორმას) „ლოგიკურად ვერ ჯდება“ იმ „ჰარმონიულ ურთიერთობებში“, რომელიც არსებობდა დედა-შვილს შორის „შემდგომ პერიოდში“.[2]

მაგრამ ეს პრობლემა მთლად ასე მარტივად გადასაწყვეტი არ არის. საქმე იმაშია, რომ გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტის ზ. ალექსიძისეულ გაგებას ფაქტობრივად ამყარებს სომხური წერილობითი ძეგლების მეორე არანაკლებ კომპეტენტური მკვლევარი პ. მურადიანი. მისი წაკითხვით: *„აფხაზთა მეფე ბაგრატმა **აიძულა** ქართველთა დედოფალი **ჩამოშორებოდა** შეთქმულებას“.*[3] სომეხი მეცნიერი უფრო შორსაც მიდის და პირდაპირ მიუთითებს, რომ გურანდუხტ დედოფალი და ბაგრატ III შიდა ქართლის სეპარატისტულად განწყობილ აზნაურთა ამბოხისას საპირისპირო ბანაკებში იყვნენ.[4]

მართალია, ატენის სიონის სომხური წარწერის პ. მურადიანისეული წაკითხვა არ გაიზიარა მეორე ცნობილმა სომეხმა მეცნიერმა

---

[1] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 69.

[2] **ჯ. სამუშია.** ბაგრატ III, გვ. 69-70.

[3] *«Сие [написал] я – Герджиум сын Ephacana. Кто прочтет это, в то лето, когда царь абхазов Баграт **заставил царицу грузинскую отстать [от сговора]**, а в следующий год занял Уплисцихе, дабы...».* იხ.: **П. Мурадян.** Нововыявленная армянская надпись Атенского.., გვ. 223. იხ. აგრეთვე: **П. М. Мурадян.** Армянская эпиграфика Грузии. Картли н Кахети. Ереван, 1985, გვ. 107, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] *«Благодаря этой надписи не только подтверждаются сообщения «Летописи Картли», но и становятся известны некоторые подробности имевшей место борьбы. Так, выражение ... «заставил царицу грузинскую отстать» **недвусмысленно указывает на то, что Баграт и его мать находились в разных, противоположных лагерях; мать поддерживала азнауров Картли, выступавших против Баграта в его политике создания объединенного грузинского царств**».* იხ.: **П. Мурадян.** Армянская эпиграфика Грузин, გვ. 107-108 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზოგადად გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის წაკითხვის საკითხში ზ. ალექსიძესა და პ. მურადიანს შორის სრული თანხვედრაა. პირიქით, როგორც ქართველი მეცნიერის საპასუხო წერილიდან (იხ.: **ზ. ალექსიძე.** გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერა. – წგნ.: **ზ. ალექსიძე.** ატენის სიონის ოთხი წარწერა. თბ., 1983, გვ. 21-36) ჩანს, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ნიუანსებში ისინი პრინციპულად განსხვავებულ მიდგომებს ამჟღავნებენ და ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისზე დგანან, თუმცა, ჩვენთვის ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან გურანდუხტ დედოფალთან დაკავშირებული პასაჟის შინაარსი (მიუხედავად მცირეოდენი რედაქციული განსხვავებისა) მათ ერთნაირად ესმით.

რ. ბარტიკიანმა, რომელმაც ტექსტში საერთოდ ვერ ნახა „ქართველთა დედოფალი“,[1] მაგრამ მის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია (ძირითადად ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ დაკვირვებებზე აგებული), როგორც ეს აჩვენა თვით პ. მურადიანმა სრულიად არადამაჯერებელია.[2] ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, ბუნებრივია, ვერ ჩავერევით უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალი არმენისტის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ძიებებში და ვერ დავადგენთ რ. ბარტიკიანის კონიექტურის სისწორე-მცდარობას, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სომეხი მეცნიერის ერთ ფრიად აბსურდულ არგუმენტს – მას ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება „აფხაზთა“ მეფის დედა ყოფილიყო *„ქართველთა დედოფალი“ (**«царицей «грузинской»**)* და თანაც დედა შვილს დაპირისპირებოდა (ამგვარი დაპირისპირება მას „არაბუნებრივად“ მიაჩნია).[3]

რ. ბარტიკიანის – უდავოდ ავტორიტეტული (საკუთრივ სომხეთის ფარგლებს გარეთაც) მეცნიერი-ისტორიკოსის, შუა საუკუნეების სპეციალისტის, რომელიც, თუ მის სხვა ნაშრომებს გავითვალისწინებთ, საკმაოდ ჩახედული იყო საქართველოს ისტორიაშიც, ეს გულუბრყვილო

---

[1] გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის ტექსტი რ. ბარტიკიანის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: *«В ту годину, когда царь абхазов Баграт отвоевал («взял обратно») у картлийцев Тиг[в]и, в следующем же году он взял Уплисцихе...».* იხ.: **Р. Бартикян.** Мнимое упоминание «картлийской царицы» в армянской надписи из Атенского Сиона. – *Вестник общественных наук*, АН Арм. ССР. № 2. Ереван, 1986, გვ. 79.

[2] **П. Мурадян.** По поводу статьи Р. Бартикяна «Мнимое упоминание „Картлийской царицы” в армянской надписи Атенского Сиона» – *Вестник общественных наук*, АН Арм. ССР. Ереван, № 7, 1986, გვ. 75-76. რ. ბარტიკიანმა უპასუხოდ არ დატოვა პ. მურადიანის განმარტებები და შეეცადა ახალი არგუმენტები მოეძებნა გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის ტექსტის მისეული ვერსიის გასამყარებლად (**Р. Бартикян.** Еще раз об армянской надписи из Атенского Сиона – *Вестник общественных наук*, АН Арм. ССР. №8, 1986, გვ. 68-74), მაგრამ სომეხი მეცნიერის არც ეს მცდელობა აღმოჩნდა წარმატებული, რაზეც ამჯერად უკვე აკად. ზ. ალექსიძემ მიუთითა (**З. Алексидзе.** «Мнимое упоминание» одного топонима в армянской надписи Атенского Сиона. – *ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. 327, აღმოსავლეთმცოდნეობა. თბ., 1998, გვ. 77-79. იხ. აგრეთვე: **Z. Aleksidze.** La Mention imaginare d'un toponime dans l'Inscriptions Armenienne de Sioni d'At'eni. – *Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes*, #5, 1989. Association de la Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes. Paris. გვ. 227-230).

[3] *«В чтении ... П. Мурадяна **противопоставление противоестественно**. **Если Баграт – «царь «абхазов», как могла его мать быть царицей «грузинской»?*** იხ.: **Р. Бартикян.** Мнимое упоминание «картлийской царицы» в армянской надписи.., გვ. 79, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

მსჯელობა (რბილად ნათქვამია) გაკვირვებას იწვევს. ისტორიაში (და არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნებისაც) ძალზე ხშირი იყო დაპირისპირება პოლიტიკურ ნიადაგზე მამა-შვილს, დედა-შვილს, ძმებსა და ა.შ. შორის, რომელიც არც თუ იშვიათად ტრაგიკულადაც მთავრდებოდა. განა ამის მკაფიო მაგალითი არაა თუნდაც კონსტანტინე უფლისწულის ამბოხი საკუთარი მამის, „აფხაზთა“ მეფის გიორგის II-ის წინააღმდეგ, რომელზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება და რომელიც ტრაგედიით დასრულდა – მამამ შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა.

გარდა ამისა, გაუგებარია, რატომ მოეჩვენა რ. ბარტიკიანს უცნაურად „აფხაზთა“ მეფე ბაგრატის დედის მოხსენიება „ქართველთა დედოფლად“. ნუთუ ამისთვის არ კმაროდა თუნდაც ის, რომ გურანდუხტი „ქართველთა“ სამეფო სახლის რძალი – იმჟამინდელი „ქართველთა“ მეფე ბაგრატ II-ის („რეგუენის“) ვაჟის გურგენის თანამეცხედრე იყო (არა გვგონია ეს მისთვის უცნობი ყოფილიყო). თუმცა ატენის სიონის წარწერაში მის „ქართველთა დედოფლობაზე“ ხაზგასმას, როგორც უკვე აღინიშნა, ნამდვილად სხვა დატვირთვა უნდა ჰქონოდა. კერძოდ, ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, წარწერის ავტორი ხაზს უსვამდა ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის დედის დედოფლობას არა საკუთრივ „ქართველთა“ სამეფოში (სამეფო სახლის რძლის სტატუსიდან გამომდინარე), არამედ სწორედ ამბოხებულ ქართლში (შიდა ქართლში), რომელიც იმ დროს საერთოდ არ შედიოდა „ქართველთა“ სამეფოს შემადგენლობაში და „აფხაზთა“ სამეფოს ნაწილი იყო.[1]

---

[1] ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ დასანან უზუსტობას, რომელსაც ვხვდებით აკად. ზ. ალექსიძის სტატიაში. ესაა მეცნიერის განმარტება იმის შესახებ, თითქოს გურანდუხტი იმიტომ უნდა ყოფილიყო „ქართლის დედოფალი“, რომ ის იყო მეუღლე ***«царя Картли Гургена»*** (**З. Алексидзе.** «Мнимое упоминание» одного топонима.., გვ. 79, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) – **«du roi de Kartli»** ფრანგულ ტექსტში (**Z. Aleksidze.** La Mention imaginare d'un toponime.., გვ. 229, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). გურგენი არასოდეს ყოფილა ქართლის მეფე (ამ პერიოდში არავითარი ქართლის სამეფო არ არსებობდა). გურგენი იყო **„ქართველთა“** (და **არა ქართლის) მეფის ძე** და მოგვიანებით, მამის – ბაგრატ II-ის – გარდაცვალების (994 წ.) შემდეგ, როგორც ცნობილია, **„მეფეთამეფედ“ იწოდა,** რადგან მანამდე მისი ძე *„ბაგრატ, დედით აფხაზთა მეფისა დისწული, დემეტრესი და თევდოსესი... მეფე იქმნა აფხაზეთს...“* (**სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. – *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 369). ჩვენ ოდნავადაც არ გვეეჭვება, ვინ, ვინ და აკად. ზ. ალექსიძემ ეს ყოველივე მშვენივრად იცის და არც გავამახვილებდით ყურადღებას მეცნიერის ამ უნებლიე გადაცდომაზე, რომ არა ცნებების: „ქართველთა სამეფო“ და „ქართლის (იბერიის) სამეფო“ აღრევა ცალკეულ (ძირითადად არაქართველ) მკვლევართა (მათ შორის მეტად ავტორიტეტულ კავკასიოლოგთა) პუბლიკაციებში. მაგალითისათვის მოვიყვანთ კირილე თუმანოვის მიერ კემბრიჯის შუა საუკუნეების ისტორიისათვის დაწერილ თავს

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ არსებობს სერიოზული არგუმენტი გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერის შინაარსის ზ. ალექსიძე-პ. მურადიანისეული ვერსიის უარსაყოფად და სრული დამაჯერებლობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქართლის აზნაურთა ამ მორიგი სეპარატისტული გამოსვლის მედროშეს თუ არა კრეატურას მაინც სწორედ გურანდუხტ დედოფალი წარმოადგენდა. ამიტომაც მოაშორა იგი ქართლს ბაგრატ მეფემ დემოსტრაციულად აჯანყების ჩახშობის შემდეგ. რასაკვირველია, ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რა მოტივაცია ჰქონდა გურანდუხტ დედოფლის პოზიციას. რასაკვირველია, სულაც არაა გამორიცხული, რომ მას იმ ეტაპზე გასჩენოდა პიროვნული ამბიცია პოლიტიკურ ლიდერობაზე, რომლის რეალიზაციას უკავშირებდა შიდა ქართლში ქუთაისის ტახტისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფორმირების პერსპექტივას. თუმცა უფრო რეალურად გვეჩვენება, რომ გურანდუხტ დედოფალი უბრალოდ სიტუაციის მძევალი იყო და საკუთარი შვილის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფნა შეიძლება მთლად მისი სურვილითაც არ მომხდარა.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, გურანდუხტ დედოფალი, როგორც „აფხაზთა“ სამეფო სახლის „ღვიძლი შვილი“, ნამდვილად არ ყოფილა (ამ ეტაპზე მაინც) იდეური სულისჩამდგმელი და მთავარი შემოქმედი „აფხაზთა“ სამეფოს ირგვლივ დანარჩენი საქართველოს ტერიტორიების გაერთიანებისა. ამ დასკვნას სულაც არ უშლის ხელს ის გარემოება, რომ ქუთაისში ჩაყვანის შემდეგ გურანდუხტ დედოფალი მხარში

„სომხეთი და საქართველო“, რომელშიც, სწორედ 975-978 წლების მოვლენების განხილვისას, ავტორი გურგენს ასევე უწოდებს „იბერიის (ანუ ქართლის) მეფეს“ – *«Gurgen … **King of Iberia»***, ხოლო ქართლის (შიდა ქართლის) ერისთავს იოანე მარუშისძეს „იბერიის ვიცემეფედ“ მოიხსენიებს *(«John Marushidze, **viceroy of Iberia»)***, რომელმაც თურმე დავით კურაპალატს „იბერია გადასცა“ *(«**Bagrat was** the son of Gurgen and **the grandson of the titular King of Iberia, Bagrat II** the Simple; his mother was Gurandukht, sister of Theodosius III, king of Abasgia and (de facto) **of Iberia**. The boy was thus the potential heir of three crowns. As Theodosius III was unpopular with the nobility, John Marushidze, **viceroy of Iberia**, came to an understanding with David and with Smbat II in 975, and ceded **Iberia to** David. Since Bagrat was under age and **his grandfather in his dotage**, it was the boy's father **Gurgen who became King of Iberia»***. იხ.: **C. Toumanoff.** Armenia and Georgia. – *The Cambridge Medieval History,* vol. IV. The Byzantine Empire, part I. Chapter XIV. Cambridge, 1966, გვ. 617, http://rbedrosian.com/Ref/cmh3.htm, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ყველა ამ წინადადებაში ტერმინი „იბერია“ გამოყენებულია უკომენტაროდ, რაც დიდ გაუგებრობას იწვევს. გამოდის, რომ ბაგრატ II იყო „იბერიის მეფე“, ხოლო „იბერიის ვიცემეფე“ იოანე მარუშის ძე – მისი ქვეშევრდომი, რაც სრული აბსურდია. ამასთან, „იბერიის ვიცემეფე“ იოანე მარუშის ძე გადასცემს იგივე „იბერიას“ დავით კურაპალატს, რომლის მეფე ხდება გურგენი!!!

ედგა თავის გვირგვინოსან ვაჟიშვილს მის აღმშენებლობით საქმიანობა-ში, რის დადასტურებად მოჰყავთ დედა-შვილის ერთად დაფიქსირება ცალკეულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ გავხადოთ აქვს თუ არა ამ ეპიგრაფიკულ მასალას რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა გურანდუხტ დედოფლის პოლიტიკური იერ-სახის დადგენის საკითხისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული წარწერების ტექსტების მოყვანა:

დავიწყოთ ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ერთ-ერთი წარწერით, რომელშიც ბაგრატ III მოხსენიებულია მამასთან და დედასთან ერთად: *„მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფჱ, თანა: მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამენ“.*[1] დედასთან ერთადაა მოხსენიებული გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატის ტაძრის მეორე წარწერაზეც: *„შეწევნითა ღმრთისათა, ბაგრატისაგან ნებითა ღმრთისაჲთა* ***აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა გუარანდუხტ დედოფლისა,*** *აღეშენა წმიდაჲ ესე საყდარი ჴელითა...“.*[2] გურანდუხტ დედოფალი თავის გვირგვინოსან ვაჟთან ერთად იხსენიება აგრეთვე ხცისის იოანე ნათლისმცემლის 1002 წლით დათარიღებული ეკლესიის დასავლეთის ფასადზე გვერდი-გვერდ მოთავსებულ წარწერაშიც: *„წმიდაო ნათლისმცემელო* ***შეიწყალე და ადიდე გურანდუხტ დედოფალი ორთავე შინა ცხოვრებათა“;*** *„ქ. უფალო იესო ქრისტე შეიწყალე და ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ* ***აფხაზთა... და ყოველი კურაპალატი*** *მოეც ძლევაჲ მტერთა ზედა ხილულთა და უხილველთა“.*[3] მკვლევართა აზრით, კიდევ ერთ წარწერაში იხსენიებიან ერთად ბაგრატ III და დედამისი. ესაა ახალი სოფლის (თეთრი წყაროს რნი, მანგლისიდან 7 კმ. მანძილზე) ეკლესიის წარწერა, რომელშიც ვკითხულობთ: *„წმიდაო მოწამეო ბაგრატ,* ***ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და სული გურანდუხტ დედოფლისაჲ*** *წინაშე ღმრთისა. დაუტკბე თუალნი ბაგრატისნი მიწასა მათსა მირიანს“.*[4]

---

[1] *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მომაზადა ***ვ. სილოგავამ.*** თბ., 1980, გვ. 54.

[2] *ქართული ლაპიდარული წარწერების*, II, გვ. 53, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] **Р. О. Шмерлинг.** Древний Цвимоетский храм близ сел. Хциси. – *ქართული ხელოვნება (Ars Georgica)*. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 4. თბ., 1955, გვ. 155.

[4] *ქართული წარწერების კორპუსი*. ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ***ნ. შოშიაშვილმა***. თბ., 1980, გვ. 259. სხვა წაკითხვით: *„ქ. წმიდაო მოწამეთა ბაგრატ, ადიდე ბაგრატ მეფეთა-მეფე და სული გურანდუხტ დედოფლისა“* (*საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი*. შედ-

და ბოლოს, ბედიის ტაძრისადმი შეწირული ოქროს ბარძიმის წარწერა: *„წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა* ***ბაგრატ აფხაზთა მეფესა*** *და* ***დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა*** *– ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმიდისა საყდრისა აღმშენებელთა, ამენ“.*[1]

როგორც ვხედავთ, ამ წარწერებში დაფიქსირებულია მხოლოდ და მხოლოდ გურანდუხტის საქველმოქმედო მოღვაწეობა – ეკლესია-მონასტრების მიმართ დედა-დედოფლის ზრუნვა (ეს შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი პრაქტიკაა), რაც იმას ნიშნავს, რომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ეპიგრაფიკულ წარწერებში გურანდუხტ დედოფლის თავისი გვირგვინოსანი ვაჟის გვერდით მოხსენიება რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად ჩავთვალოთ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მასალა ნამდვილად არ შეიცავს რაიმე ისეთ ხელმოსაკიდ ინფორმაციას, რომელიც მაინც და მაინც ადასტურებდეს ბაგრატ მეფის გამიზნულ მოქმედებას – დასავლეთ საქართველოში თავისი ლეგიტიმური უფლებების განმტკიცების მიზნით „აფხაზი“ დედის პიროვნული ავტორიტეტისა და დინასტიური წარმომავლობის წინ წამოწევას.

ამ საკითხებზე მსჯელობისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ერთი მეტად არაჯანსაღი ტენდენცია, რომელიც შეიმჩნევა ზოგიერთ პუბლიკაციაში. მხედველობაში გვაქვს ბედიის ბარძიმის წარწერაში საკუთრივ „აფხაზური“ (ეთნიკური) მოტივების ძიება, ანუ იმის მტკიცება თითქოს ბედიაზე ზრუნვა და გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის საძვალედ მისი გადაქცევა და წარწერაში მეფის გვერდით გურანდუხტ დედოფლის მოხსენიება ბაგრატის მხრიდან მისი „აფხაზური“ ფესვების წინწამოწევის ერთგვარი დემონსტრირება იყო. ამგვარი მიდგომის ნიშნები შეიმჩნევა არა მხოლოდ აფხაზი ავტორების ნაშრომებში, არამედ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის პუბლიკაციაშიც. მაგ. გივი წულაია ეხება რა ბაგრატ III-ის მიერ ე.წ. *„აფხაზთა მეფეთა დივანის“* შექმნის პერიპეტიებს, საგანგებოდ შენიშნავს: *„ის გარემოება, რომ თავისი გენეალოგიის ჩვენებისას, ბაგრატი მიზანმიმართულად მიჰყვება დედის ხაზით წარმომავლობას... უნდა ადასტურებდეს გაერთიანებული საქართველოს – ქუთაისით ცენტრში – პირველი მმართველის ეთნიკური მენტალიტეტის ტენდენციას“.*[2]

გენილია და დასაბეჭდად მომზადებული ***ა. ბაქრაძისა*** და ***ს. ბოლქვაძის*** მიერ. ***ილ. აბულაძის*** ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ., 1953, გვ. 28).

[1] **ლ. ახალაძე.** თანამედროვე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები (V). (http://expertclub.ge/portal/cnid__7084/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx).

[2] *«То обстоятельство, что в своей генеалогии Баграт целенаправленно прослеживает* ***матрилинейную, т.е. абхазскую сторону своего происхождения****...*

მეცნიერის აზრით, ბაგრატ III-ის „ეთნიკური მენტალიტეტის“ ირიბ მინიშნებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველმა გვირგვინოსანმა თავის სამუდამო განსასვენებელ ადგილად აირჩია არა ტაო, სადაც დაიბადა და მიიღო მამის ხაზით თავისი პაპის – ბაგრატ II-ის სახელი, არა ქუთაისი თავისი სამეფოს დედაქალაქი და არა ანაკოფია, არამედ ბედია, რომელიც მდებარეობდა *„ძველი აფხაზური და ქართველური ტომების შესაყარზე“ («... **на стыке древнеабхазских и картвельских племён»)**.*[1] სხვა ნაშრომში გ. წულაია ბედიას პირდაპირ მოხსენიებს *„შუა საუკუნეების ქართულ-აფხაზურ ქალაქად“ («**Бедиа** – средневековый **грузино-абхазский город»)**.*[2]

უფრო შორს მიდის გიორგი ანჩაბაძე, რომელსაც ბედია *„აფხაზურ-ქართული პოლიტიკური ერთობის სიმბოლოდაც“* მიაჩნია *(«**символ политического единства абхазских и грузинских связей** тоже»)* და ამას ხსნის იმით, რომ *„დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, აფხაზეთის ჩათვლით, პოლიტიკურად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ბედიის ტაძარი კი იყო ერთ-ერთი საკვანძო მომენტი... კულტურულ-ისტორიული მისიისა, რომელიც დაკისრებული ჰქონდა ყოფილ აფხაზეთის სამეფოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში“*.[3]

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. აფხაზურ „ეთნიკურ მენტალიტეტსა“ და „ქართულ-აფხაზური ურთიერთობების“ განმტკიცებას ბედიის ტაძართან არავითარი კავშირი არა აქვს. „აფხაზთა“ სამეფოდ წოდებული სახელმწიფოებრივი გაერთიანება X ს. 70-იან წლებში (უფრო ადრეც, ფაქტობრივად, წარმოქმნის დღიდან) მთლიანად დაცლილი იყო ე.წ. „აფხაზური ეთნიკური მენტალიტეტისაგან“ და ის მხოლოდ და მხოლოდ ქართულ პოლიტიკურ სახელმწი-

---

*должно свидетельствовать о тенденции **этнического менталитета** первого правителя объединённой Грузии с центром в Кутаиси»*. იხ.: **Г. В. Цулая.** Абхазия и абхазы в контексте.., გვ. 108, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] **Г. В. Цулая.** Абхазия и абхазы в контексте.., გვ. 108, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **Мровели Леонти.** Жизнь картлийских царей. *Извлечение сведений об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана*. Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии ***Г. В. Цулая***. Москва, 1979, გვ. 46.

[3] *«Долгое время территория Западной Грузии, **в том числе Абхазия, политически играла большую роль... Бедийский храм – один из ключевых моментов ... культурно-исторической миссии, которую бывшее Абхазское царство играло в составе единого Грузинского царства».*** იხ.: **Андрей Бабицкий.** Георгий Анчабадзе – о судьбе Бедийского храма. – *Эхо Кавказа*. 04.02.2012 (http://ekhokavkaza.mobi/a/24473008.html).

ფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა. ე.წ. *„აფხაზთა მეფეთა დივანიც“*, პირველ რიგში, ერთგვარი „პოლიტიკური მანიფესტი“ იყო, რომელიც **ტაოელ ბაგრატ ბაგრატიონს** დასჭირდა **ქუთაისის ქართულ** (და არა ეთნიკურ აფხაზთა) **სამეფო ტახტზე** მისი პოზიციების ლეგიტიმაციისათვის.

გარდა ამისა, ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნევს გ. წულაია „შუა საუკუნეების ქართულ-აფხაზურ ქალაქად“. განა ის წყარო (*„ქართლის ცხოვრების“* დასაწყისი მატიანე), რომელსაც დართული აქვს მეცნიერის ეს კომენტარი, პირდაპირ არ მიუთითებს, რომ **ბედია იყო ეგროსის წილხვედრ ქვეყანაში:** *„ეგროსს მისცა ქუეყანაჲ ზღუსყურისაჲ და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით – მთაჲ მცირე, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი, დასავლით – ზღუაჲ; მდინარე მცირისა ხაზარეთისაჲ, სადა წარსწუდების წუერი კავკასიისაჲ. ხოლო ამან* ***ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია“.***[1] საინტერესოა, როდიდან გახდა ეს ეგრის-ბედია ქართულ-აფხაზური ქალაქი? იმ დროიდან ხომ არა, როდესაც გვიან შუა საუკუნეებში პირველყოფილი თემური წყობილების წიაღიდან გამოსულმა „ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელმა ჯიქ-აფხაზებმა **„დაიპყრეს“** ოდიში **„ვიდრე ეგრისის მდინარემდე“,**[2] პირწმინდად გაანადგურეს და ნანგრევებად აქციეს აქაური ქრისტიანული სიწმინდეები, მათ შორის ბედიის ტაძარიც.[3]

მიზეზი იმისა, თუ რამ განაპირობა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წმინდა სალოცავის, რომელიც შემდგომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლის საძვალედ იქცა, მაინცდამაინც ბედიაში აშენება, სხვა რამეში უნდა ვეძიოთ და არა იმაში, რომ ეს „შუა საუკუნეების ქართულ-აფხაზური ქალაქი“, „ძველი აფხაზური და ქართველური ტომების შესაყარზე“ მდებარეობდა და „აფხაზურ-ქართული

---

[1] **ლეონტი მროველი.** ცხორება ქართველთა მეფეთა. –*ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 26, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 845 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). გვიან შუა საუკუნეებში ოდიშ-აფხაზეთის ეთნიკურ-ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილებების შესახებ დაწვრილ. იხ.: **კ. კვაშილავა.** როდის გახდა მდ. ენგური ოდიშ-აფხაზეთის საზღვარი. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი შრომები.* V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2008, გვ. 461-487 (http://sou.edu.ge/files/samecniero%20mushaobis%20koordinacia/ssu_shromebi_5_%282008%29.pdf).

[3] ჯიქ-აფხაზთა ექსპანსიის შესახებ ოდიშის მიმართულებით და ამ მოვლენის არსზე დაწვრილ იხ.: **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი. I. *უძველესი დროდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 87-103; **З. Папаскири.** Этнодемографический, политико-государственный и социально-культурный облик современной Абхазии в XVI-XVII вв. – *საისტორიო ძიებანი.* წელიწდეული. X-XI. თბ., 2008, გვ. 61-85 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2007-2008).

პოლიტიკური ერთობის სიმბოლო“ იყო. სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით სწორედ ბედია ითვლებოდა ისტორიული ეგრისის პოლიტიკურ ცენტრ-სიმბოლოდ, რომელზედაც ერთნიშნად მიუთითა ქართველმა მემატიანემ. *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყისი მატიანის ზემოთმოყვანილი ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ აქ მთავარი მაინც ისაა, რომ მასში მოხაზულია ეგრისის სახელმწიფოს ტერიტორია, რომლის ცენტრად სწორედ ბედიაა მიჩნეული.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა: რატომ ბედია და არა თუნდაც ციხე-გოჯი – საუკუნეების მანძილზე ეგრისის ხელისუფალთა რეზიდენცია, რომელიც ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ამ ქართული პოლიტიკური გაერთიანების მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან ცენტრადაა მიჩნეული? გარდა ამისა, ის ვითარება, რომელშიც წარმოიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, თითქოს მოითხოვდა იმასაც, რომ „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III ბაგრატიონს, რომელიც ქუთაისის ტახტზე „აფხაზი“ ლეონიდების უშუალო მემკვიდრედ თვლიდა თავს, აქცენტი გაეკეთებინა თუნდაც ლეონ II-ის წინაპრების თავდაპირველ რეზიდენციაზე – ანაკოფიაზეც (დღევანდელი ახალი ათონი) და წამოეწია სწორედ ამ ცენტრის მნიშვნელობა საერთო-ქართული მასშტაბით, მაგრამ, როგორც ვნახეთ, საქართველოს გამაერთიანებელმა მეფემ ერთსაც და მეორესაც გვერდი აუარა და არჩევანი მაინცდამაინც ბედიაზე შეაჩერა.

ბაგრატ III-ის ეს არჩევანი, ჩვენი აზრით, უდავოდ ადასტურებს იმას, რომ **მიუხედავად „აფხაზთა“ მეფეთა გადამწყვეტი როლისა ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, მაშინდელი საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ეგროს-ქუჯის წვლილი უფრო დიდი მნიშვნელობის იყო და სწორედ ისინი მოიაზრებოდნენ დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლებად, ხოლო „აფხაზ“ მეფეთა „აფხაზთა“ სამეფო ამ სამყაროს მემკვიდრის როლში განიხილებოდა.** სწორედ ამაზე მიუთითებს დიდი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში დაცული თანამიმდევრობაც: *„აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“*.[1] გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის არჩევანი ბედიაზე ნიშნავდა სწორედ ეგრის-ბედიის პირველსაწყისისაკენ მობრუნებას და იქნებ ეს იყო სიმბოლური კავშირის გამოხატულება ახალ ერთიან საქართველოს სახელმწიფოსა და უძველეს ბერძნულ მითებში ჩაკარგულ ეგრის-კოლხეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროს შორის.[2]

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ.

[2] **ზ. პაპასქირი.** ბედიის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. – *საისტორიო ძიებანი.* წელიწდეული, III. თბ., 2000, გვ. 6-7; აღნიშნული პუბლიკაციის შევსებული და განახლებული რუსული ვერსია იხ.: **З. Па-**

ასეთია ჩვენი დაკვირვებები 975-982 წლების მოვლენებზე, რომლებიც იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

1. 975 წელს ბაგრატ უფლისწულის ქართლის (შიდა ქართლის) მმართველად დასმა არ ყოფილა შეთანხმებული ქუთაისის ტახტთან და ის „აფხაზთა“ მეფე თეოდოსი „უსინათლოს“ ზურგს უკან მოხდა. უფრო მეტიც, ეს იყო საპასუხო რეაქცია თეოდოსი-კვირიკეს გარიგებაზე, რომლის მიხედვით თეოდოსი შიდა ქართლს უთმობდა თავის მოკავშირე კახეთის ქორეპისკოპოსს.
2. 975 წელს ქართლის მმართველად დანიშნული ბაგრატ უფლისწული 978 წლამდე (დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლამდე) მუდმივად არ ყოფილა ამ სტატუსში და ის ქართლის აზნაურთა და მათი მოკავშირე კახეთის მესვეურთა მოთხოვნით ამ თანამდებობაზე შეცვალა დედამისმა გურანდუხტმა.
3. წყაროთა პირდაპირი (გერგიუმ ერჰასანის ძის წარწერა), თუ ირიბი *(„მატიანე ქართლისაჲ“)* მონაცემები ერთნიშნად ადასტურებენ, რომ X ს. 80-იანი წლების დამდეგის კრიზისისას ქართლის მმართველი გურანდუხტ დედოფალი ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის წინააღმდეგ ამბოხებული ქართლის აზნაურების კრეატურას წარმოადგენდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გურანდუხტ დედოფლის გამაერთიანებელი მოძრაობის (პირველ ეტაპზე – 975-980 წლებში – მაინც) ერთ-ერთ ბურჯად და მებაირახტრედ გამოცხადება საფუძველს მოკლებულია.
4. სრულიად გაუმართლებელი და აბსურდულია მცდელობა ბედიის ბარძიმის წარწერაში თავისი გვირგვინოსანი ვაჟის გვერდით გურანდუხტის მოხსენიება ავხსნათ მეფის სურვილით ხაზი გაესვა თავისი „აფხაზური“ (ეთნიკური) წარმომავლობისათვის და ამით განემტკიცებინა საკუთარი ხელისუფლების ლეგიტიმურობა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. ბედიას იმ დროს არაფერი არ აკავშირებდა თანამედროვე აფსუა-აფხაზურ ეთნიკურ სამყაროსთან და იგი ბაგრატის სახელმწიფოსა და ეგრის-ბედიის პირველსაწყისს შორის ერთგვარი სიმბოლური კავშირის გამოხატულება იყო.

паскири. Бедийский храм – символ единой грузинской государственности. – წგნ.: **З. Папаскири.** Моя Абхазия.., გვ. 417-428.

საბჭოთა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ 1921–1922 წლებში.

ანუ იმის შესახებ თუ როგორ მოუღეს ბოლო ლენინმა და სტალინმა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს[*]

ბოლო პერიოდში საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ სწრაფვა სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება მოსკოვურ ორბიტაზე მყოფი ანტიდასავლური ძალების მხრიდან, რომელთა გააქტიურება განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლების ცვლის შემდეგ. მიდის დასავლური ორიენტაციის ღია და შეფარული კრიტიკა; იმის მტკიცება, თუ როგორი მიუღებელია მენტალურად ქართველი ხალხისათვის დასავლური ცხოვრების წესი და რა ახლოა მისთვის რუსული მართლმადიდებლური სამყარო. ყოველივე ამას თან ახლავს თავიდან ბოლომდე გაყალბებული ინფორმაციულ-ისტორიოგრაფიული პროპაგანდა. ხალხს უნერგავენ აზრს თითქოს რუსეთს საქართველოსათვის სიკეთის მეტი არასოდეს არავითარი ზიანი არ მოეტანოს და რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სივრცეში ყოფნითაა შესაძლებელი. ამ ფონზე მიმდინარეობს კომუნისტური ეპოქის ბელადების, პირველ რიგში კი *„ყველა ხალხის მამის“ («отца всех народов»),* დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს „მესაფლავის“ — იოსებ სტალინის პოლიტიკური რეანიმაცია და ხელახალი გაკერპება. ეს, არც მეტი არც ნაკლები, არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების სრული დეგრადაცია, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ განთავისუფლდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის „უკვდავი“ იდეებისაგან.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩვენი თანამემამულეების ერთი ნაწილი ვერაფრით ვერ გამოდის უტოპიური ილუზიებისაგან და აბსოლუტურად არადექვატურად აფასებს ქვეყნის ისტორიის ცალკეულ მოვლენებს არის ისტორიული ცოდნის დეფიციტი. მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ქართულ ისტორიოგრაფიას მოეხსნა ყოველგვარი იდეოლოგიური ბარიერები და საქართვე-

[*] გამოქვეყნდა პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში. იხ. *ელდარ მამისთვალიშვილი — 75*. თბ., 2015, გვ. 385-420. ამჟამად იბეჭდება ოდნავ შევსებული და დაზუსტებული სახით.

ლოს ახალი და უახლესი ისტორია მთლიანად განთავისუფლდა ანტიერ-ოვნული კომუნისტური პოლიტიკური კონიუნქტურისაგან, როგორც ჩანს, ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ისტორიული სიმართლის ბოლომდე მიტანა თითოეულ მოქალაქემდე და საზოგადოების გამოყვანა იმ ისტორიოგრაფიული „ბურანიდან", რომელშიც ის მოაქცია ბოლშევიკურმა რეჟიმმა. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ ის გაუგონარი მკრეხელობა, რომ ქართველი კაცი ძეგლს უდგამს დამპყრობელს, გადაგვარებულ მარიონეტს, ყველაზე დიდ მოღალატეს საქართველოს ისტორიაში, რომელმაც, როგორც იტყვიან, „საკუთარი ხელებით მოაშთო" თავისივე სამშობლოს სახელმწიფოებრიობა.

წარმოდგენილი სტატია კიდევ ერთი ცდაა, ნათელი მოჰფინოს ამ დიდ ეროვნულ ღალატს, რომლის ანალოგი ძნელად თუ მოიძებნება 3 ათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში და რომლის მთავარი შემოქმედი თავის „დიდ მასწავლებელთან", „მსოფლიო პროლეტარიატის ბელადთან" ვლადიმირ ლენინთან ერთად სწორედ რენეგატი ქართველი იოსებ ჯუღაშვილი იყო. რასაკვირველია, სტატიის ფორმატი არ იძლევა აღნიშნული პრობლემის სრულად და ამომწურავად გაშუქების საშუალებას, ჩვენ არც გვაქვს ამის პრეტენზია. უბრალოდ შევეცადეთ ცალკეული დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე გვეჩვენებინა კრემლის ბოლშევიკური რეჟიმის იმპერიული პოლიტიკის არსი საქართველოს მიმართ, რომლის მიზანი იყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს საბოლოო გაქრობა და მისი რუსეთის კომუნისტური იმპერიის ფარგლებში მოქცევა, რაც მიღწეულ იქნა კიდეც 1922 წლის მიწურულს. მაგრამ მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად.

კრემლის ბოლშევიკურმა რეჟიმმა, მას შემდეგ, რაც გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია სამოქალაქო ომში, უკვე სერიოზულად დაიწყო ფიქრი „განდგომილი" ამიერკავკასიის შემომტკიცებაზე. 1920 წ. გაზაფხულზე რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების პირდაპირი მითითებებითა და ბრძანებით წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ბაქო და აზერბაიჯანი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. 1920 წ. ოქტომბერში იმავე მეთოდებით მოხდა სომხეთის გასაბჭოება, რის შემდეგ ჯერი საქართველოზე მიდგა. 1921 წ. თებერვალში წითელი არმიის ნაწილები რამდენიმე მიმართულებით დაიძრნენ საქართველოსკენ და 1921 წ. 25 თებერვალს „გამარჯვების დროშა" ააფრიალეს თბილისის თავზე, 4 მარტს საბჭოთა ხელისუფლება უკვე სოხუმშიც გამოცხადდა, მარტის შუა რიცხვებისთვის კი წითელმა არმიამ „ძლევამოსილად" დაასრულა სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა.

თუმცა ეს არ იყო ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან საქართველოს „გასაბჭოების" პირველი მცდელობა. მუშაობას ამ მიმართულებით

ვ. ლენინი და მისი თანამებრძოლები ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების ე.წ. „ტრიუმფალური სვლის“ (1918 წ.) პერიოდში შეუდგნენ. მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბოლშევიკ ავანტიურისტთა გამოხდომები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1917 წ. მიწურულსა და 1918 წ. I ნახევარში, უშუალოდ იყო ინსპირირებული ვ. ლენინისა და მისი გარემოცვის მიერ. ამ თვალსაზრისით, უთუოდ საყურადღებო ფაქტია ის, რომ, ჯერ კიდევ 1918 წ. იანვარში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ვ. ლენინის უშუალო ინიციატივით გამოჰყო ნახევარი მილიონი მანეთი ოქროთი ამიერკავკასიაში ბოლშევიკური გადატრიალების მოსაწყობად და გადასცა ის ამ უაღრესად „საპატიო“ მისიის შესასრულებლად ცნობილ ბოლშევიკს სტეფანე შაუმიანს.[1] მკვლევართა ყურადღება (ჯერ კიდევ კომუნისტურ-ტოტალიტარული მმართველობის პერიოდში) მიიპყრო აგრეთვე იმავე 1918 წ. დამდეგს პირადად ვ. ლენინის დავალებით სამხედრო სპეციალისტის გამოგზავნის ფაქტმა საქართველოში, რომელსაც უშუალოდ უნდა ეხელმძღვანელა პუტჩისათვის თბილისში.[2]

რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლებისა და უშუალოდ „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ „ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი“ საქართველოში, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა აფხაზეთში 1918 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე მიმდინარე ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებისას. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც თვით აფხაზი ბოლშევიკების ლიდერის ნესტორ ლაკობას აღიარება იმის თაობაზე, რომ იმ პერიოდში აფხაზეთში ბოლშევიკური პუტჩის ორგანიზატორები თურმე იღებდნენ ლიტერატურას და „ყოველნაირ ინსტრუქციებს“ რსდმპ ცკ-საგან /რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი/, და ხელმძღვანელობდნენ ამ „ინსტრუქციებით“.[3]

თავის მხრივ, ნ. ლაკობა, რომელიც მაშინ გუდაუთის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, თანამებრძოლებთან ერთად ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდა (1918 წ.

---

[1] **ა. სურგულაძე.** საქართველო ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის პერიოდში /1917 წ. ოქტომბერი, 1918 წ. მაისი/. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. VI. თბ., 1972, გვ. 540

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ს. კვაჭაძე.** თბილისის ბოლშევიკები 1917 წელს. თბ., 1967, გვ. 338-339; **ა. სურგულაძე.** საქართველო ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის.., გვ. 552.

[3] *«…аккуратно **получали** литературу.., а также **всякие инструкции** от ЦК РСДРП (затем РКП). В них мы черпали все, что надо было»*. მასალა მოყვანილია: **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки и проведения Великой Октябрьской социалистической революции. Борьба за победу советской власти в Абхазии в 1918 г. – *История Абхазской АССР*. Сухуми, 1983, გვ. 26, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

16 იანვარს) მათ განზრახვაზე, „ხელთ ეგდოთ“ ძალაუფლება სოხუმში და ამ გეგმის რეალიზაციისათვის ითხოვდნენ, ცენტრალური კომიტეტი დახმარებოდა შავი ზღვის ფლოტთან კავშირის დამყარებაში. აფხაზი ბოლშევიკების აზრით, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის გამოჩენას აფხაზეთის სანაპიროებზე გუდაუთის ორგანიზაციისათვის ექნებოდა *„უდიდესი მნიშვნელობა ყველა მიმართულებით“* (***«громадное значение... во всех отношениях»)***. არანაკლებ საინტერესოა ვ. ლენინის დასტური აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერის ეფრემ ეშბას 1918 წ. 11 მაისის თხოვნაზე (ამ უკანასკნელმა უშუალოდ ვ. ლენინსა და გ. ორჯონიკიძეს მიმართა): *„დაუყოვნებლივ მიეცეს განკარგულება ნოვოროსიისკში შავი ზღვის ფლოტის სარდალს საბლინს სოხუმის ფრონტზე საბრძოლო ხომალდების გადასხმის თაობაზე“* ***(«срочно дать распоряжение (в) Новороссийск командующему Черноморским флотом Саблину о высадке на Сухумский фронт боевых судов»)***. როგორც ირკვევა, ლენინი გულისყურით მოჰკიდებია ამბოხებული სოხუმიდან მოსულ თხოვნას და საბლინისადმი გაცემული ბრძანების არშიაზე შემდეგი შენიშვნა გაუკეთებია *„ჩემი აზრით,* ***ბრესტის ხელშეკრულებას არ შეუძლია აგვიკრძალოს ჩვენ ვებრძოლოთ მემაბოხე-მეკობრეებს“*** *(«По-моему* ***Брестский договор на может нам запретить боротсья против мятежников – пиратов»)***.[1]

„მეამბოხე-მეკობრეებს“ ვ. ლენინი უწოდებდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ვ. ლენინის ამ მითითება-შენიშვნის შესრულების მიზნით, ბოლშევიკური რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი ბერლინში დიპლომატიურ წარმომადგენელს ავალებდა, შეეთანხმებინა გერმანიის მთავრობასთან შავი ზღვის ფლოტის აფხაზეთში გაგზავნის საკითხი „ამიერკავკასიის უზურპატორების“ წინააღმდეგ მებრძოლი აფხაზების დასახმარებლად.[2] აღნიშნული მასალები (რომლის პროპაგანდას, სხვათა შორის, აქტიურად ეწეოდნენ საბჭოთა პერიოდში და იყენებდნენ მათ იმის მკაფიო დადასტურებად, თუ როგორ „ძმურ“ სოლიდარობას უცხადებდა ბოლშევიკური რუსეთი თავის აფხაზ და ქართველ „თანამოძმეებს“, რომელთაც მოაწყვეს სამხედრო პუტჩი აფხაზეთში) ნათლად მეტყველებს მოსკოვის „წამყვან“ და „წარმმართველ“ როლზე საქართველო-აფხაზეთში 1918 წ. გაზაფხულზე განვითარებულ მოვლენებში.

პროლეტარიატის „დიდმა ბელადმა“ რუსეთის კპ(ბ) VII ყრილობა-

---

[1] **В. И. Ленин.** Г. В. Чичерину. – *ПСС*, Издание пятое, т. 50. М., 1970, გვ. 76; **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки .., გვ. 40, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**.

[2] **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки и проведения.., გვ. 40.

ზე (1918 წ. 6-8 მარტი) ნათლად ჩამოაყალიბა ბოლშევიკური რეჟიმის დაპყრობითი გეგმები და ღიად განაცხადა: *„მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჩვენი რევოლუცია მოხვდა იმ ბედნიერ მომენტში, როცა მტაცებელთა ორი გიგანტური ჯგუფის არცერთ მხარეს არ შეეძლო დაუყოვნებლივ დასხმოდნენ თავს ერთიმეორეს, არც შეერთებულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ, — საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მხოლოდ ამ მომენტით შეეძლო ესარგებლნა და ისარგებლა ჩვენმა რევოლუციამ, რათა მოეხდინა ეს* ***ბრწყინვალე ტრიუმფალური მსვლელობა ევროპულ რუსეთში, შეჭრილიყო ფინეთში, დაეწყო კავკასიის, რუმინეთის დაპყრობა“***.[1] მაგრამ იმ პერიოდში რუსეთი, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი სამოქალაქო ომის ალში გაეხვია, რამაც ვ. ლენინსა და მის თანამებრძოლებს არ მისცა საშუალება სისრულეში მოეყვანა რკპ(ბ) VII ყრილობაზე გაჟღერებული „კავკასიის დაპყრობის“ იდეა. ამისთვის კრემლმა მხოლოდ 1920 წ. გაზაფხულიდან მოიცალა, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას თავს მოახვია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება.

როგორც ცნობილია, სწორედ ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, კომუნისტურ ორგანიზაციებს საქართველოში ლეგალური საქმიანობის უფლება მიეცა. თუმცა ეს ნამდვილად არ აღმოჩნდა საკმარისი საქართველოს „შიგნიდან ასაფეთქებლად“, ანუ ფართო მასშტაბის მუშურ-გლეხური შეიარაღებული გამოსვლების ინსპირირებისათვის. ამიტომ ვ. ლენინი და მისი გარემოცვა ყოველნაირად ცდილობდნენ „რევოლუციურ ბრძოლაში“ ჩაერთოთ მენშევიკური მთავრობის მიერ „დაჩაგრული“ ეროვნული უმცირესობანი. აი, რას წერდნენ ამასთან დაკავშირებით, 1921 წ. 2 იანვარს სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალურ კომიტეტს: ***„არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს შიგნით მოხდება გადამწყვეტი აფეთქება.., ჩვენი დახმარების გარეშე მისი გასაბჭოება შეუძლებელია... საქართველოს საქმეებში ამგვარი ჩარევის***

---

[1] **ვ. ი. ლენინი.** თხზულებანი. მეოთხე გამოცემა. ტ. 27. *1918 თებერვალი — ივლისი.* თბ., 1952, გვ. 95 (*«Только благодаря тому, что наша революция попала в этот счастливый момент, когда ни одна из двух гигантских групп хищников не могла немедленно ни броситься одна на другую, ни соединиться против нас, – только этим моментом международных политических и экономических отношений могла воспользоваться и воспользовалась наша революция, чтобы проделать это* ***свое блестящее триумфальное шествие в Европейской России, перекинуться в Финляндию, начать завоевывать Кавказ, Румынию****»*. იხ.: **В. И. Ленин.** Политический отчет Центрального Комитета (7 марта, 1918 г.). – *ПСС*, т. 36. М., 1974, გვ. 9, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

საბაბი არსებობს. ამისთვის არაა საჭირო გარედან ღია თავდასხმა. არის შესაძლებლობა დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთში, აჭარაში, ბორჩალოს მაზრაში“.[1]

1921 წ. 11 თებერვალს, როგორც ცნობილია, „იფეთქა“ აჯანყებამ ბორჩალოს მაზრაში. ასე დაიწყო სპექტაკლი, რომელიც შემდგომ მონათლულ იქნა „სოციალისტურ რევოლუციად საქართველოში“ და რომლის მთავარ მოქმედ გმირებად, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ლევან თოიძის მოსწრებული თქმით, მოგვევლინნენ „გადაცმული წითელარმიელები“.[2] საბჭოურ ხანაში, კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური დოგმების ერთგული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ყოველმხრივ ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის — დამოუკიდებელი სახელმწიფოს, რომლის სუვერენიტეტი როგორც ცნობილია, ოფიციალურად აღიარა (1920 წ. 7 მაისს) თვით ბოლშევიკურმა რუსეთმა, ანექსია წარმოეჩინა როგორც „სოციალისტური რევოლუცია“. სინამდვილეში კი, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ე.წ. „სოციალისტურმა რევოლუციამ“ საქართველოში „გაიმარჯვა“ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წითელი არმიის ხიშტების წყალობით.

დოკუმენტურად არის დადასტურებული ისიც, რომ ე.წ. „რევოლუციის“ დაწყების შესახებ არაფერი იცოდნენ თვით ქართველ ბოლშევიკთა ლიდერებმა. აი რას წერდა ამის შესახებ მოსკოვის მიერ საქართველოს რევკომის თავმჯდომარედ (ბოლშევიკური საქართველოს „სახელმწიფოს“ პირველ პირად) ხელდასხმული ფილიპე მახარაძე. *„1921 წლის დამდეგს, ე.ი. საქართველოს გასაბჭოების მომენტში, აქ* (ანუ სა-

---

[1] ***«Нельзя надеяться, что внутри Грузии произойдет решающий взрыв.., без нашей помощи её советизация невозможна... повод для нашего вмешательства в дела Грузии имеется. Для этого не нужно открытое нападение на Грузию. Имеется возможность начать движение в Абхазии, Аджарии, Борчалинском уезде».*** იხ.: *Российский центр хранения и изучения документов новейшего времени*, ф. 85, оп. 4, д. 115, л. 2. მითითებულია: *И снова агрессия, интервенция и оккупация Грузии с целью ликвидации суверенитета и территориальной целостности страны.* Заявление Института международного права юридического факультета Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили. – *საერთაშორისო სამართლის ჟურნალი.* ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი. №2, 2008, გვ. 186 (http://library.law.tsu.ge/files/Publications/Journal_2_2008.pdf); **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 293, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **ლ. თოიძე.** რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, მისი დარღვევა რუსეთის მიერ და საქართველოს ფაქტობრივი ანექსია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1998, გვ. 404.

ქართველოში — **ზ.პ.**) *ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა უაღრესად სავალალო იყო ... და მოხდა ისე, რომ როცა* ***წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევის მიზნებსა და განზრახვაზე საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმაც სრულიად არაფერი იცოდა*** *... ამრიგად, გამოვიდა შემდეგი: ჯერ ერთი,* ***საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შესვლამ*** *და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ* ***გარედან დაპყრობის ხასიათი მიიღო, რადგან ამ ქვეყანაში ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს, მეორე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს ადგილებზე არც ერთი პარტიული უჯრედები აღმოჩნდა და არც ისეთი პარტიული ცალკეული წევრები, რომელთაც უნარი ექნებოდათ მოეწყოთ ხელისუფლება და ცხადია ამ საქმისათვის ხელი უნდა მოეკიდათ საეჭვო ან პირდაპირ დანაშაულებრივ ელემენტებს. აი სად არის ჩვენი პირველი ცოდვა, აი სად არის ფესვი ბოროტებისა...“.***[1]

ე.წ. „რევკომი“ (რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, მამია ორახელაშვილი[2] და სხვ.) არათუ არ იყო დაკავებული შეიარაღებული აჯანყების მომზადებით, არამედ საერთოდ შეიქმნა საქართველოს ფარგლებს გარეთ 16 თებერვალს, აჯანყების დაწყებიდან (1921 წ. 11 თებერვალი) რამდენიმე დღის შემდეგ. უფრო მეტიც, რევკომის თავმჯდომარედ გამოცხადებული ფილიპე მახარაძე იმჟამად სულაც მოსკოვში იმყოფებოდა, საიდანც მხოლოდ 6 მარტს ჩამოსულა.[3] ადგილზე არ ყოფილა ქართველ ბოლშევიკთა კიდევ ერთი აღიარებული ლიდერი — ბუდუ მდივანი (რომლის კანდიდატურა ასევე განიხილებოდა რევკომის თავმჯდომარის პოსტზე). ის თურქეთში იყო მივლინებული, სადაც უშუალოდ ლენინის დავალებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქემალ ათა-თურქის მთავრობასთან. რევკომის შემადგენლობაში მისი შეყვანის ამბავი ბ. მდივანმა პირველად შეიტყო ს. ორჯონიკიძის დეპეშიდან 1921 წ. 30 მარტს.[4]

იმის გასარკვევად, თუ რა გამომწვევად იქცეოდა კრემლი საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს დამხობის ოპერაციის მომზადებისას ნათლად ჩანს საქართველოს დაპყრობის სულისჩამდგმელის, „დიდი ქართველის“ სტალინის მიმოწერიდან თავის ემისრებთან საქართველოში. ასე მაგალითად, აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის რენეგატ ისაკი ჟვანიას თხოვნის — დაუყოვნებლივ შემოეყვანათ წითელი არმიის

---

[1] მითითებულია წიგნიდან: **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია. *1921–1923 წლები.* თბ., 1999, გვ. 15, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] ფილიპე მახარაძის არ ყოფნაში ის ასრულებდა რევკომის თავმჯდომარის მოვალეობას (**ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია. გვ. 24).

[3] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 24.

[4] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია. გვ. 22.

ნაწილები აფხაზეთში — პასუხად ს. ორჯონიკიძემ მიიღო დეპეშა იოსებ სტალინისაგან, რომელშიც ეს უკანასკნელი რკპ (ბ) ცკ-ის დავალებით ს. ორჯონიკიძეს — წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის უშუალო ორგანიზატორს, აძლევდა შემდეგ მითითებას: *„არ დაივიწყოთ აფხაზები, რომლებიც ასევე აჯანყდნენ და რომელთა ახლოსაც დგას მე-9 არმია“.*[1] ს. ორჯონიკიძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ღირსეულად“ შეასრულა ზემდგომი პარტიული ხელმძღვანელობის ეს დავალება და უბრძანა მეცხრე არმიის სარდლობას დაუყოვნებლივ შესულიყო აფხაზეთში. *„წითელი არმია,* — წერდა ს. ორჯონიკიძე მოგვიანებით, — *უღალატებდა თავის თავს, რომ არ დახმარებოდა აფხაზეთის აჯანყებულ მუშებსა და გლეხებს“.*[2]

1921 წ. 19 თებერვალს IX არმიის 31-ე დივიზიის 91-ე ბრიგადის ნაწილებმა სოჭისა და ტუაფსეს წითელარმიელთა დახმარებით მოახდინეს მდ. ფსოუს ფორსირება და დაიძრნენ გაგრისა და სოხუმისაკენ. მანამდე კი, 15 თებერვალს, არ დაელოდა რა საქართველოს ე.წ. „რევკომის“ ოფიციალურ თხოვნას დახმარების თაობაზე (ასეთი „თხოვნა“ შეთითხნილ იქნა მხოლოდ 16 თებერვალს, მას მერე, რაც შეიქმნა ე.წ. „რევკომი“), მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა ფეხქვეშ გათელეს 1920 წ. 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან. ასე დაიწყო რუსი ოკუპანტების „ტრიუმფალური სვლა“, რომელიც „ძლევამოსილად“ დასრულდა 25 თებერვალს თბილისის თავზე „გამარჯვების“ დროშის აფრიალებით.

1921 წ. თებერვალ-მარტში დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ძალადობრივი გზით დამხობისა და ქვეყნის ოკუპაციის დასრულების შემდეგ, მოსკოვი ყოველნაირად ცდილობდა შეენიღბა თავისი იმპერიული ზრახვები და საქმის ვითარება ისე მოეჩვენებინა, თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ხელუხლებელი რჩებოდა. სინამდვილეში, კრემლის ბოლშევიკურმა რეჟიმმა და მისმა ლიდერმა იმთავითვე დაიწყეს ერთგვარი „დამოუკიდებლობანას“ თამაში, ანუ ფორმალურად საქართველო გამოცხადდა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. ამ ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს, ერთი შეხედვით, ადგილობრივი პოლიტიკური ძალა — რომელიც ოფიციალურად საქართვე-

---

[1] *«Не забудьте абхазцев, которые тоже восстали и в близи которых стоит 9-я армия»*. იხ.: **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки.., გვ. 70.

[2] *«Красная Армия изменила бы себе, если она на пришла на помощь восставшим рабочим и крестьянам Абхазии»*. იხ.: **Г. А. Дзидзария.** Абхазия в период подготовки и проведения.., გვ. 70.

ლოს კომუნისტური პარტიად იწოდებოდა. ე.ი გარეგნულად თითქოს უბრალოდ მოხდა ხელისუფლების ცვლა — ერთი სოციალისტური მიმართულების პარტია — საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია შეცვალა მეორე ასევე სოციალისტური მიმართულების პოლიტიკურმა ორგანიზაციამ — საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ. ერთია მხოლოდ, ე.წ. **„საქართველოს კომუნისტური პარტია“** სულაც **არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციას** და ის **არამარტო დე-ფაქტო, არამედ ოფიციალურადაც იყო მეზობელი სახელმწიფოს — რსფსრ-ის** (რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკა) **მმართველი პოლიტიკური ძალის — რკპ/ბ/-ს** (რუსეთის კომუნისტური პარტიის /ბოლშევიკებისა/) **ადგილობრივი ორგანიზაცია.**

უფრო მეტიც, „სუვერენული“ საქართველოს სახელმწიფოს მმართველი პოლიტიკური ძალის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავისი უფლებებით, სულაც რუსეთის გუბერნიების კომიტეტებზე დაბლაც იდგა და მხოლოდ ამ გუბერნიებში შემავალი ცალკეული ოლქების კომიტეტებსღა უტოლდებოდა. სხვათა შორის, ამის შესახებ 1921 წ. 3 ივლისს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ წარმოადგენდა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ანუ მისი სუვერენიტეტი არ იყო შეზღუდული არც ამიერკავკასიის ფედერაციისა და არც სსრ კავშირის სუბიექტობით, რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს თბილისში გამართულ გაფართოებულ პლენუმზე ღიად და დაუფარავად განაცხადა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით რუსეთის კპ(ბ)-ს ერთ-ერთმა ლიდერმა, 1922 წლიდან მისი უმაღლესი მუშა ორგანოს — ცენტრალური კომიტეტის — გენერალურმა მდივანმა იოსებ სტალინმა. მან, არც მეტი არც ნაკლები, დამსწრე თანაპარტიელებს, მათ შორის, „სუვერენული“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტ ხელმძღვანელებს, მენტორული ტონით პირში მიახალა, რომ *„**საქართველოს ცკ-ს** (ცენტრალური კომიტეტი) **უფლებები უთანაბრდება არა გუბერნიის კომიტეტის უფლებებს, არამედ საოლქო კომიტეტის**, ეს კი სხვა რამეა“*[1] და მიუწოდა მათ სრული მორჩილებისაკენ. ვერაფერს იტყვი, საქმე მართლაც რომ პოლიტიკური ცინიზმის იშვიათ ნიმუშთან გვაქვს. სავალალო და ტრაგიკული ისაა მხოლოდ, რომ ამ მოღალატურ პოლიტიკურ კონინქტურას და იდეოლოგიას თავის ისტორიულ სამშობლოს თავს ახვევდა არა ვინმე რუსი „დერჟიმორდა“, არამედ ბედკრული საქართველოს ღვიძლი შვილი — სოსო ჯუღაშვილი.

---

[1] ***«Права ЦК Грузии приравниваются не к губкому, а областному,*** *а это нечто другое»*. იხ.: **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 153, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

კრემლის ბოლშევიკური რეჟიმი თავის იმპერიულ პოლიტიკას ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ მიმართ რეგიონის ეკონომიკური გაჯანსაღებაზე ფარისევლური ზრუნვით ნიღბავდა და ყოველნაირად ცდილობდა ფორსირებულად განეხორციელებინა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთიან სამეურნეო სივრცეში ინტეგრირება და მისი საერთო რუსულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ არეალში მოქცევა. ამის დირექტივა უშუალოდ ვ. ლენინისაგან მოდიოდა.[1] სწორედ პროლეტარიატის „დიდმა ბელადმა“ უკარნახა ამიერკავკასიის კომუნისტებს ერთიანი „საოლქო სამეურნეო ორგანოს“ შექმნა. ***„კატეგორიულად მოვითხოვ,*** — წერდა „მეზობელი სახელმწიფოს“ ლიდერი, თავის პარტიულ „ამხანაგს“, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელს, „დეფაქტო“ კი კავკასიის „გენერალ-გუბერნატორს“, სერგო ორჯონიკიძეს, — ***შეიქმნას საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის, მთელი ძალებით მივაწვეთ კონცესიებს, განსაკუთრებით საქართველოში“***.[2]

ამ შემთხვევაში, ვ. ლენინს, რასაკვირველია, ნაკლებად აღელვებდა საკუთრივ ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური გაჯანსაღება. მისთვის მთავარი იყო რეალური მექანიზმების ამოქმედება აქ არსებულ ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დასამყარებლად, რათა ეს რესურსები მაქსიმალურად გამოეყენებინა საერთორუსული ეკონომიკის ჩიხიდან გამოსაყვანად. პროლეტარიატის „დიდი ბელადი“ არც კი მალავდა, თავის ამ ინტერესს, რისი მკაფიო დადასტურებაა თუნდაც მისი დასკვნითი სიტყვა სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა კონცესიების საკითხს. ეხებოდა რა უცხოური კონცესიებთან თანამშრომლობის საკითხს, ვ. ლენინი აცხადებდა, რომ *„ალბათ, მოგვიწევს დიდი მსხვერპლის გაღება, თუ ჩვენ კონცესიების სანაცვლოდ მივცემთ წიაღისეულს, ან ტყეს,*

---

[1] თავის დროზე, საქართველო-ამიერკავკასიის პარტიული ლიდერი ლ. ბერია არა თუ არ მალავდა, არამედ ერთგვარი სიამაყით აცხადებდა, რომ **ლენინი** 1921 წ. 9 აპრილს **იძლეოდა პირდაპირ დირექტივას ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნის თაობაზე (*«Ленин** 9 апреля 1921 г.* ***давал прямую директиву о создании областного хозяйственного органа для республик Закавказья»***. იხ.: **Л. П. Берия.** К вопросу об истории большевистских организаций в Закавказье. Тифлис, 1935 (ინტერნეტვერსია: http://www.proriv.ru/articles.shtml/beria?beria).

[2] ***Настоятельно требую, создать областной хозяйственный орган для всего Закавказья, налечь изо всех сил на концессии, особенно в Грузии»***. იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Г. К. Орджоникидзе. – *ПСС,* т. 52. М., 1982, გვ. 136. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ისეთი ნედლეულის მიცემა, რომელიც საზღვარგარეთ ძალზე სჭირდებათ, მაგალითად როგორც მარგანეცია“.[1]

ეძებდა რა გამოსავალს (რუსეთისათვის) ამ მიმართულებით, ლენინი ერთგვარი სიამაყით აუწყებდა აუდიტორიას: ***„ახლა საქართველო გასაბჭოვდა. საუბარი მიდის კავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, — ერთიან სამეურნეო ცენტრად გაერთიანების შესახებ.*** *ნავთობს აწარმოებს აზერბაიჯანი, ის უნდა გაიტანონ ბათუმიდან საქართველოს ტერიტორიაზე გავლით, ასე რომ იქნება ერთიანი სამეურნეო ცენტრი. ერთი ცნობის მიხედვით, საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ადრე დაუდია კონცესია, რომელიც* ***ზოგადად მისაღებია ჩვენთვის…*** *უცხო ზესახელმწიფოების — იტალიის, გერმანიის — ორი წარმომადგენელი ყოფილა* ***საქართველოში საბჭოური გადატრიალების მომენტში*** *და (ქვეყანა) არ დაუტოვებია, გარემოებები მეტად საგანგებოა, რადგან ამ ზესახელმწიფოებთან სასურველია ურთიერთობების განვითარება… კონცესიების მეშვეობით. იტალიას საქართველოსთან საკონცესიო ხელშეკრულებაც კი გააჩნია, ხოლო გერმანია ისეთ მდგომარეობაშია, რომ ცალკეულ გერმანელ კაპიტალისტებს ეკუთვნით ჭიათურის მარგანეცის ძალზე დიდი %.* ***საუბარია იმაზე, რომ ეს საკუთრების უფლება გადაყვანილ იქნას იჯარაზე ან კონცესიაზე, ანუ იმავე გერმანელ კაპიტალისტებს გადაეცეთ საბადოები, რომელიც მათ საკუთრებაში იყო იჯარით ან კონცესიით.*** *პოლიტიკური ვითარების შეცვლის წყალობით კავკასიაში შეიძლება ჩამოყალიბდეს საკონცესიო ურთიერთობები“.*[2]

---

[1] *«Вероятно, придется нести большие жертвы, если* ***мы*** *на концессии* ***будем отдавать руду или лес, отдавать такое сырье, в котором за границей нуждаются до зарезу, как, например, марганцевая руда»***. იხ.: **В. И. Ленин.** Заключительное слово по докладу о концессиях. – *ПСС*, т. 43. М., 1982, გვ. 186, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] ***«Теперь стала советской Грузия. Речь идет об объединении Кавказских республик в один хозяйственный центр: Грузинской, Азербайджанской и Армянской.*** *Нефть производит Азербайджан, её нужно возить через Батум, через территорию грузинскую, так что будет единый хозяйственный центр. По одному сообщению грузинским меньшевистским правительством раньше была заключена концессия,* ***которая в общем приемлема для нас...*** *Два представителя иностранных держав были в Грузии и не уехали* ***в момент советского переворота*** *– итальянский и германский, обстоятельство чрезвычайно важное, так как с этими державами желательно развить сношения, между прочим, при помощи концессий. Италия имеет даже концессионный договор с Грузией, а Германия находится в таком положении, что некоторым немецким капиталистам принадлежит громадный % чиатурских марганцевых копей.* ***И речь идет о том, чтобы это право собственности перевести на аренду или концессию, т. е. тем же***

როგორც ვხედავთ, ვ. ლენინი ფაქტობრივად განკარგავს მეზობელი „სუვერენული სახელმწიფოს“ — საქართველოს ბუნებრივ რესურსებს და იძლევა ინსტრუქციას, თუ რა უნდა მოიმოქმედონ „კონცესიურ ურთიერთობებთან“ დაკავშირებით. უფრო მეტიც, სხვა დოკუმენტში, ის „თხოვდა“ (30 მარტი 1921 წ.) ს. ორჯონიკიძესა და საქართველოს რევკომს სერიოზული ყურადღება მიეაქციათ საკითხისათვის *„არმიისა და კონცესიების შესახებ საქართველოში. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დადო რიგი კონცესიები.* ***საჭიროა ძალისხმევა არ დავიშუროთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღდგენილ იქნას ყველა ეს ძველი კონცესია და ყოველნაირად ვეცადოთ დაიდოს ახალი, რათა ამ კონცესიების სანაცვლოდ მივიღოთ სურსათი“***.[1]

უფრო კატეგორიული იყო ვ. ლენინი ამ საკითხთან დაკავშირებით ს. ორჯონიკიძისადმი 5 აპრილს გაგზავნილ დეპეშაში: *„თქვენი პასუხი არასრული და გაურკვეველია. ვითხოვ საქართველოს რევკომისაგან დეტალებს. პირველი,* ***დაადასტურა თუ არა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ კონცესია იტალიელებთან ტყვარჩელის საბადოზე,***[2] *როდის, რა პი-*

немецким капиталистам передать на правах аренды те копи, которыми они владели на правах собственности. *Благодаря изменению политического положения на Кавказе могут сложиться концессионные отношения».* იხ.: **В. И. Ленин.** Заключительное слово по докладу.., გვ. 186-187, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] *«...обратить серьезнейшее внимание на ... вопрос об армии и концессиях в Грузии. Грузинское правительство меньшевиков заключило ряд концессий.* ***Надо изо всех сил постараться возобновить эти старые концессии, как можно скорее и всячески постараться заключить новые, чтобы достать за концессии продовольствие».*** იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Г. К. Орджоникидзе. – *ПСС,* т. 52. М., 1982, გვ. 118-119, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] სხვათა შორის, დეპეშის ეს ფრაგმენტი ნათლად მიუთითებს, რომ ამ დროს აფხაზეთს ლენინი აშკარად საქართველოს ნაწილად განიხილავდა და სულაც არ მიიჩნევდა საჭიროდ ტყვარჩელის საბადოების საკითხი შეეთანხმებინა „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის სსრ-ის რევკომთან. ტყვარჩელის საბადოებზე ყურადღებას ლენინი ამახვილებდა თავის ცნობილ მიმართვაში (1921 წ. 14 აპრილი) კავკასიის (აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, მთის რესპუბლიკისა და დაღესტნის) კომუნისტებისადმი (იხ.: **В. И. Ленин.** Товарищам коммунистам Азербайджана, Грузии, Армении, Дагестана, Горской Республики. – *ПСС*, т. 43. М., 1982, გვ. 198-200). ნიშანდობლივია, რომ ამ წერილშიც რატომღაც ცალკე არ არის დასახელებული ე.წ. „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის სსრ და მისი კომუნისტები, საიდანაც ჩანს, რომ ტყვარჩელის საბადოების საკითხს ბელადი ქართველ კომუნისტებთან არკვევდა, რითაც აღიარებდა საქართველოს სსრ-ის სუვერენიტეტს თანამდროვე აფხაზეთზე. ე.წ. აფხაზეთის სსრ-ის სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით დაწვრილ. იხ. **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии, გვ. 291-312; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტო-

რობებში, გვაცნობეთ მოკლედ ტელეგრაფით, დაწვრილებით წერილით. მეორე, ჭიათურის მარგანეცის საბადოების შესახებ: გადაიყვანეს თუ არა გერმანელი მესაკუთრენი არენდატორებისა და კონცესიონერების მდგომარეობაში, როდის, როგორია პირობები. ***უკიდურესად მნიშვნელოვანია,*** *რომ ამ და ამგვარ საკითხებზე* ***გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას უსწრაფესად. ამას აქვს გიგანტური მნიშვნელობა საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც, რადგან კონცესიები, განსაკუთრებით იტალიასთან და გერმანიასთან, აუცილებელია უპირობოდ, როგორც საქონელგაცვლა ნავთობის (სფეროში), დიდი მასშტაბით ამ ქვეყნებთან****, შემდგომ კი სხვებთანაც.* ***ვითხოვ, მამყოფოთ საქართველოს რევკომის ღონისძიებების საქმის კურსში****“.*[1]

ერთი შეხედვით, რა უნდა ყოფილიყო იმაში ცუდი თუ ლენინი თავისი რჩევებით „უანგაროდ“ ეხმარებოდა კავკასიელ „ამხანაგებს“ და ნიადაგ იმის ფიქრში იყო, რომ უზრუნველეყო მეზობელი „სახელმწიფოების“ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. მაგრამ ფაქტები ახალი რუსული იმპერიის ფუძემდებლის სრულიად სხვა მერკანტილურ — „მშობლიური რუსეთისთვის“ სასიცოცხლო — ინტერესებზე მეტყველებენ. არის არაერთი დოკუმენტი ხელმოწერილი ლენინის მიერ, რომელშიც ერთნიშნად ჩანს თუ როგორ მოურიდებლად ერეოდა პროლეტარიატის „დიდი ბელადი“ ამიერკავკასიის „სუვერენული“ სახელმწიფოების, აგრეთვე უკრაინისა და ბელორუსიის „დამოუკიდებელი“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების „საშინაო საქმეებში“ და პარტიული ხაზით ავალდებულებდა „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ მთავრობებს შეესრულებინათ მისი მითითებები სხვადასხვა ეკონომიკური

რიული წარსულიდან, ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007, გვ. 80-108 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29915/1/Nakveti_II.pdf); **З. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 230-251 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhaziaIstoriaBezFalsifikacii.pdf).

[1] *«Ваш ответ неполон и неясен. Прошу узнать у Грузинревкома подробности. Первое,* ***подтвердило ли совправительство Грузии концессию итальянцам на ткварчельские копи,*** *когда, каковы условия, сообщите кратко телеграфом, подробнее письмом. Второе, насчет чиатурских марганцевых копей: перевели ли немцев-собственников на положение арендаторов или концессионеров, когда, какие условия.* ***Крайне важно, чтобы*** *по этим и подобным вопросам* ***решения были самые быстрые****.* ***Это имеет гигантское значение*** *и для Грузии и* ***для России, ибо концессии, особенно с Италией и Германией, необходимы безусловно, как и товарообмен за нефть, в большом масштабе с этими странами,*** *а потом и с другими.* ***Прошу извещать меня о мерах Грузинревкома****».* **В. И. Ленин.** Телеграмма Г. К. Орджоникидзе. – *ПСС,* т. 52. М., 1982, გვ. 126-127, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ხასიათის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს: *„ცკ-ს პოლიტბიურო* (იგულისხმება **რუსეთის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო — **ზ.პ.**) ***მიუთითებს უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს,*** — იძლეოდა დირექტივას ვლადიმირ ილიას ძე 1921 წ. 9 ნოემბერს, – *რომ* ***სურსათის მთლიან შეგროვებას უკრაინაში, ანუ 100%-ით, აქვს რსფსრ-სათვის აბსოლუტურად ფუნდამენტური მნიშვნელობა.*** *ასევე 57 მილიონი ფუთის მოწოდებას“.*[1] კიდევ უფრო თავხედურია (როგორც შინაარსით, ისე ტონით), ლენინის დეპეშა „დამოუკიდებელი“ უკრაინის სახელმწიფოს მთავრობის მეთაურის — რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის (ანუ უშუალოდ ვ. ლენინის „კოლეგის“) ხრისტიან რაკოვსკისადმი (დათარიღებული 1921 წ. 23 თებერვლით): *„მოწოდებული პურის ყველაზე გამოწვლილვითი დაანგარიშება, ციმბირთან კავშირის გაჭიანურებული შეფერხების გათვალისწინებით,* ***ცენტრში სასურსათო კრიზისის ნაწილობრივი შემსუბუქების მიზნით, გვაიძულებს კატეგორიულად მოვითხოვოთ უკრაინის სურსათის სახალხო კომისარიატისაგან, უზრუნველყოს რეგულარული სურსათით დატვირთული ორმოცი ვაგონის გამოგზავნა ყოველდღიურად ცენტრისთვის. გამოვთქვამ დაბიჯითებით სურვილს, გაგზავნილ იქნას სამოცი ვაგონი...*** *დარწმუნებული იმაში, რომ უკრაინის სურსათის სახალხო კომისარიატი მხურვალედ გამოეხმაურება ამ მიმართვას, ჩემი მხრიდან ვთხოვ უკრაინის სურსათის სახალხო კომისარიატს გამოიჩინოს მაქსიმალური მონდომება და დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა დასაშვები ზომა, რათა* ***შეასრულოს ეს ახალი დავალება*** *და ამით შეამსუბუქოს ჩვენი სასურსათო მდგომარეობა ჩვენთვის ყველაზე მძიმე მომენტში — ფაქტობრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით ცენტრალურ რუსეთში პურის გამოგზავნის საქმეში —* ***სახკომსაბჭოს თავმჯდომარე*** *ლენინი“.*[2]

---

[1] *Политбюро* ***указывает ЦК КПУ****, что* ***полный сбор продовольствия на Украине, т. е. 100%, имеет для РСФСР абсолютно коренное значение****. Также и доставка нам 57 миллионов пудов».* იხ.: **В. И. Ленин.** Записка В. М. Михайлову с проектом постановления Политбюро ЦК РКП(б) о продовольственной работе на Украине. – *ПСС*, т. 44. М., 1982, გვ. 241. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Самый тщательный подсчет ожидаемого поступления хлеба, учитывая затянувшийся перерыв сообщения с Сибирью,* ***в целях хотя бы некоторого смягчения продовольственного кризиса в центре заставляет самым категорическим образом потребовать от Укрнаркомпрода выполнять регулярную отправку сорока вагонов продовольствия ежедневно с назначением – центру. Выражаю настоятельное желание отправки шестидесяти вагонов...*** *Уверен-*

იგივე პრობლემაა დასმული აგრეთვე ლენინის მიერ იმავე ხ. რაკოვსკისადმი უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და და უკრაინის სსრ-ის სასურსათო საქმეების სახალხო კომისარ მ. ვლადიმიროვისათვის 1921 წ. 28 ივნისს გაგზავნილ დეპეშაში: *„დაწყებული ოცდაორი ივნისიდან,* — წერდა ილიჩი, — ***თქვენი მხრიდან ცენტრისათვის პურის გაგზავნა სრულიად შეწყდა***“, რის გამოც, თუ დაუყოვნებლივ არ განახლდა პურის *„გამოგზავნა უკრაინიდან არანაკლებ ერთი მარშრუტისა დღე-ღამის განმავლობაში“* ის **(ცენტრი) *„სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში“* აღმოჩნდება. *„გარდაუვალია ხანგრძლივი და მძიმე შეფერხება დედაქალაქების მომარაგებაში... ამიტომაც გთავაზობთ დაუყოვნებლივ განაახლოთ პურის გაზავნა ჩრდილოეთში, არანაკლებ დღეში ოცდაათი ვაგონისა“*.**[1]

როგორც ვხედავთ, ლენინი თავის „უკრაინელ[2] კოლეგას“, სხვა ოფიციალური სტრუქტურის ხელმძღვანელებს უბრალოდ კი არ თხოვს დახმარებას მის ქვეყანაში — რუსეთში სასურსათო კრიზისის დასაძლევად, არამედ კატეგორიულად მოითხოვს მისგან ყოველდღიურად სურსათის გამოგზავნას **„ცენტრისათვის“** და ამას **„ახალი დავალების“** (რასაკვირველია, **ცენტრის**) კვალიფიკაციას აძლევს. როგორც იტყვიან კომენტარები ზედმეტია. კიდევ უფრო დამამცირებელია ლენინის მითითება (5.10.1921) უკრაინის „სუვერენული სახელმწიფოს“ „პრემიერ“ ხ. რაკოვსკისადმი იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელმა მოიწვიოს სპეციალური თათბირი უკრაინისათვის ცარიელი ვაგონების გამოყოფისა და ტვირთების გადაგზავნის გეგმის საკითხზე. ლენინი თვითონ ადგენს

ный, что Укрнаркомпрод горячо откликнется на это обращение, со своей стороны прошу Укрнаркомпрод проявить максимальные усилия и немедленно принять все доступные меры, чтобы ***выполнить это новое задание*** *и тем самым облегчить наше продовольственное положение в крайне тяжелый для нас момент в целях оказания фактической помощи в деле отправки хлеба в Центральную Россию. –* ***Предсовнарком*** *Ленин».* იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Х. Г. Раковскому. – *ПСС*, т. 52. М., 1982, გვ. 308, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] *«Начиная с двадцать второго июня* ***отправка хлеба центру вами совершенно прекращена****. В дополнение к телеграмме Брюханова* ***указываю на полную безвыходность положения центра, если немедленно не будет возобновлена отправка с Украины не менее одного маршрута в сутки. Без этого неизбежен длительный и тяжкий перерыв в снабжении столиц...*** *Поэтому* ***предлагаю немедленно возобновить отправку хлеба на север, не менее тридцати вагонов в день».*** იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Х. Г. Раковскому, М. К. Владимирову, ЦК КП(б)У. – *ПСС*, т. 53. М., 1982, გვ. 3-4, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] სინამდვილეში ხ. რაკოვსკი საერთოდ არ ყოფილა უკრაინელი, ის ბულგარული წარმოშობის „საბჭოთა“ ბოლშევიკი იყო.

თათბირის ფორმატს და მონაწილეთა სიას და ა.შ.[1]

ასევე ვ. ლენინის „ბრძნული ხელმძღვანელობის“ ქვეშ მუშაობდნენ „სუვერენული“ ბელორუსიის სსრ-ის სახელისუფლებო სტრუქტურები, რომლებიც სისტემატიურად იღებდნენ დირექტივებს კრემლიდან. ასე, მაგალითად, ბელორუსიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი (რომლის გვარი რატომღაც არ სახელდება) გაგზავნილ (10.X.1921) დეპეშაში, ლენინი საყვედურობს თავის ადრესატს იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობის (სახალხო კომისართა საბჭოს) საქმეთა მმართველის დეპეშებზე ბელორუსიის ეკონომიკური თათბირი აგზავნის გაურკვეველ არადამაკმაყოფილებელ პასუხებს და ფაქტობრივად ავალებს დაუყოვნებლივ გამოითხოვონ გაგზავნილი დეპეშები, ***„გამოიძიონ საქმე, გაჯანჯლებაში და საბოტაჟში დადანაშაულებული პირები მიცემულ იქნენ პასუხისგებაში“***. მოთხოვნილი ანგარიში კი, ეკონომიკური თათბირის თავმჯდომარის ხელმოწერით, დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ.[2]

ამ ფონზე თითქოს ერთგვარად მორიდებულად მოჩანს ვ. ლენინის მითითებები გაცემული საქართველოსთან დაკავშირებით. რაც ნიშანდობლივია, აქ ძირითადად მთავარ ფიგურანტად, როგორც დავინახეთ, მოჩანს არა იმდენად „სუვერენული“ საქართველოს სახელისუფლებო ორგანოები, რამდენადაც რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის სტრუქტურული დანაყოფი — ე.წ. „კავკასიის ბიურო“, რომლის მეშვეობით კრემლი და პირადად ვ. ლენინი ახორციელებდა თავის დიქტატს ამიერკავკასიის „სუვერენულ სახელმწიფოებზე“.

1921 წ. 2 მაისს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მიიღო დადგენილება,

---

[1] *«Прошу Вас* ***организовать под Вашим председательством совещание по вопросу о порожняке для Украины и о плане перевозок*** *с участием НКПС, Наркомпрода, также т. Чубаря, а также Главтопа, Богданова. Ввиду крайней важности и неотложности вопроса очень прошу* ***явиться наркомам или их замам лично, не посылая второстепенных работников****.* ***Пред. Совнаркома*** *Ульянов (Ленин)»*. იხ.: **В. И. Ленин.** Х. Г. Раковскому. – *ПСС*, т. 53. М., 1982, გვ. 242-243, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«На телеграммы управделами Совнаркома 01090 8 сентября, 01134 14 сентября, 01161 19 сентября, 01204 1 октября, 01220 5 октября* ***экономсовещание Белоруссии*** *присылает или отписки или неудовлетворительные ответы. Прошу* ***немедленно затребовать в экономсовещании все указанные номера, расследовать дело, виновных в волоките и саботаже отдать под суд. Требуемый отчет, подписанный председателем экосо, должен быть выслан немедленно.*** იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Председателю Совнаркома Белорусской ССР. – *ПСС*, т. 53. М., 1982, გვ. 254, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმების შესახებ და **საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს დაავალა სათანადო ღონისძიებათა გატარება საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გასაუქმებლად**.[1] იმპერიული სტრუქტურის ეს მოთხოვნა ძირს უთხრიდა საქართველოს ეკონომიკურ სუვერენიტეტს, სპობდა რა იმ პრივილეგიებს, რაც საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნდა.[2] საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტურ"[3] პოზიციაზე იდგა არ დაემორჩილა ცენტრის ამ მითითებას და არ გააუქმა საბაჟოები და საკონტროლო პუნქტები. ამის პასუხად, რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა[4] 1922 წ. 20 აგვისტოს უკვე კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს, 24 საათის განმავლობაში მოეხსნა ყოველგვარი საკონტროლო პუნქტები, ყოველგვარი შეზღუდვანი საქონლის გატანა-შემოტანაზე,[5] მაგრამ ეს მოთხოვნა ამჯერადაც არ შესრულდა.[6]

არანაკლებ დისკრიმინაციული იყო გადაწყვეტილებები ფულად-საკრედიტო სფეროში, რომლებიც საქართველოს რევკომმა უშალოდ ზემდგომი პარტიული ორგანოების კარნახით მიიღო. კერძოდ, ჯერ კი-

---

[1] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921-1925 წწ.). – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, VII. თბ., 1976, გვ. 172.

[2] საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. დასავლეთთან გაცხოველებულმა სავაჭრო ურთიერთობებმა კიდევ უფრო გაზარდა მისი როგორც „სატრანზიტო სახელმწიფოს" მნიშვნელობა, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ საბაჟოებს (ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, ახალციხის, ახალქალაქისა. თბილისის) დიდძალი მოგება მოჰქონდა საქართველოსათვის (**ლ. კარბელაშვილი.** ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობა 1922. – გაზ.: *„ტრიბუნა"* 4.VII. 1923.; **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 182.

[3] სახელწოდება „ნაციონალ-უკლონისტები" მომდინარეობს რუსული სიტყვებიდან «Национальный уклон» – „ეროვნული გადახრა".

[4] რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ერთგვარი სამართალმემკვიდრე, რომელიც შეიქმნა 1922 წ. თებერვალში ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრილობაზე.

[5] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 172.

[6] საბოლოოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების ლიკვიდაცია მოხდა მხოლოდ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაციონალ-უკლონისტური შემადგენლობის გადადგომის შემდეგ.

დევ საქართველოს რევკომმა 1921 წ. 27 თებერვალს სახელდახელოდ „გამოაცხო“ დეკრეტი, რომლითაც „დააკანონა“ საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების მიმოქცევა საქართველოში გაცილებით უფრო მაღალი კურსის მქონე ქართული ბონების პარალელურად.[1] კრემლმა საქართველოს მეტ-ნაკლებად სტაბილური ფულად-საკრედიტო სისტემის მოსაშლელად ესეც არ იკმარა და მოგვიანებით (1921 წ. 30 მარტს) საქართველოს „ოფიციალურ ხელისუფლებას“ ამჯერად უკვე კიდევ უფრო დაბალი კურსის მქონე საბჭოთა აზერბაიჯანისა და საბჭოთა სომხეთის ფულის ნიშნებიც დააკანონებინა.[2]

საქართველოს ეკონომიკური დაკაბალების გზაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო მისი სუვერენიტეტის ლიკვიდაცია საბანკო სფეროსა და საგარეო ვაჭრობის სფეროში, რაც უშუალოდ ვ. ლენინის მითითებით მოხდა. *„მიღებული ცნობების თანახმად,* – წერდა ლენინი ს. ორჯონიკიძეს 1921 წ. 18 აპრილს, — *საქართველოში დარჩა საქართველოს სახელმწიფო ბანკი კვალიფიციურ მოსამსახურეთა მთელი შტატით და უცხოეთის წარმომადგენლობების შენატანებით. თუ ეს ასეა, აუცილებელია შენარჩუნდეს ბანკი როგორც კრედიტის საშუალება საგარეო ვაჭრობისათვის და, იქნებ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაგეგმილი ეკონომიკური გაერთიანების გათვალისწინებით, გადაიქცეს ის მთელი ამიერკავკასიის ბანკად.*[3] ერთი დღით ადრე კი ბელადი ს. ორჯონიკიძის ყურადღებას მიაპყრობდა საგარეო ვაჭრობის ერთიანი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობას და მოითხოვდა მისგან შემდეგ ინფორმაციას: ვინ განაგებდა საგარეო ვაჭრობის სფეროს და გაერთიანებული იყო თუ არა ამ კუთხით საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის შესაბამისი სტრუქტურები.[4]

---

[1] *Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти* (февраль 1921 г.-март 1922 г.). Сборник документов и материалов. Составитель ***И. Д. Ахалаия.*** Сухуми, 1963, გვ. 315; **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა.., გვ. 164-165.

[2] *Революционные комитеты Грузии..*, გვ. 319; **ი. კაჭარავა.** საბჭოთა.., გვ. 165.

[3] *«По полученным сведениям, в Грузии остался Грузинский государственный банк с полным штатом квалифицированных служащих и с вкладами от иностранных представительств. Если это верно**, необходимо сохранить банк как аппарат кредита для внешней торговли и, быть может, превратить его в банк всего Закавказья в связи с проектируемым экономическим объединением республик Закавказья»*** იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Г. К. Орджоникидзе. – *ПСС*, т. 52. М., 1982, გვ. 153, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] *«...кто у вас заведует Внешторгом,* ***объединены ли в этом отношении Грузия, Армения, Азербайджан»***. იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Г. К. Орджоникидзе. – *ПСС*, т. 52. М., 1982, გვ. 150, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

როგორც ირკვევა, ლენინის „ზრუნვა“ ამიერკავკასიის ქვეყნების, პირველ რიგში, საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგებაზე, პირდაპირ კავშირში იყო რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებთან. ასე მაგალითად, ბოლშევიკური რუსეთის ლიდერი, მის მიერ მომზადებულ რუსეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროექტში, პირდაპირ აძლევს (1921 წ. 9 თუ 10 მაისი) დირექტივას „ქართველ ამხანაგებს“ ყურადღება მიაქციონ *„**საქართველოსა და მისი იტალიასთან და გერმანიასთან ვაჭრობის სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას მთელი რუსეთისათვის,** მით უფრო ამერიკისა და საფრანგეთის მხრიდან უცხოეთთან ყველა ჩვენი სავაჭრო ურთიერთობების გაწყვეტის მცდელობების გათვალისწინებით“*.[1] გარდა იმისა, რომ ვ. ლენინი მოცემულ კონტექსტში „სუვერენულ“ საქართველოს აშკარად „მთელი რუსეთის სფსრ“-ის ***(«всей РСФСР»)*** ნაწილად მოიაზრებს, ის არც მეტი არც ნაკლები, იმუქრება, რომ ***„დაუდევრობა ცკ-ის*** (იგულისხმება რკპ/ბ ცენტრალური კომიტეტი — **ზ.პ.**) ***... ამ დირექტივის შესრულებაში მიჩნეული იქნება როგორც დანაშაული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“***.[2] ამ თვალსაზრისით არანაკლებ ინტერესს იწვევს ვ. ლენინის ბარათი მიწერილი ანდრია ლეჟავასადმი (იმჟამად რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე) 1921 წ. აპრილის ბოლო რიცხვებში: ***„საქართველო არქიმნიშვნელოვანია, როგორც რუსეთის საგარეო ვაჭრობის შენიღვბის*** *(საშუალება). ეს მოხერხებულია იტალიისთვის, გერმანიისთვის და ამერიკისთვისაც“*.[3]

რუსეთის მთავრობის მეთაურის დავალებით, 1921 წ. 2 ივნისს ხელი მოეწერა შეთანხმებას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ,[4] რასაც მოჰყვა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შექმნა და სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია.[5] ცენტრის ამ მორიგ ანტიქართულ ეკონომიკურ პროექტს ასევე შეეწინააღმდეგნენ ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც ამ დრო-

---

[1] ***«на исключительно важное значение Грузии и её торговли с Италией и Германией для всей РСФСР**, особенно ввиду попыток Америки и Франции сорвать все наши торговые сношения с заграницей»*. იხ.: **В. И. Ленин.** Проект Постановления ЦК РКП(б). – *ПСС*, т. 43. М., 1982, გვ. 257, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] ***«Нерадение в выполнении всей настоящей директивы ЦК будет считать преступлением против Соввласти»***. იხ.: **В. И. Ленин.** Проект Постановления ЦК РКП(б), გვ. 257, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] ***«Грузия архиважна, как прикрытие внешней торговли России**. Это удобно и Италии, и Германии, и Америке»*. იხ.: **В. И. Ленин**. А. М. Лежаве. – ПСС, т. 52. М., 1982, გვ. 172, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] გაზ.: *«Правда Грузии»*, 25.VI.1921; **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული.., გვ. 172.

[5] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 172.

ისთვის სულ უფრო ხვდებოდნენ, თუ საითკენ მიჰყავდა საქართველო ლენინის „ბრძნული დამოძღვრით“ მის „საამაყო შვილებს“ სტალინსა და ორჯონიკიძეს. ნაციონალ-უკლონისტების კონტროლქვეშ მყოფმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაბლოკა საქართველოს სავალუტო ფონდის გადაცემა გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისათვის.[1] უფრო მეტი, საქართველოს კპ ცკ-ს მითითებით საქართველოს სახელმწიფო ბანკმა, ფარულად დაიწყო ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუტის შეძენა, რაც მაღლა სწევდა ვალუტის ფასს და ძირს უთხრიდა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობას.[2]

საბჭოური პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით „სამართლიანადაა“ შენიშნული, რომ *„ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ... პოლიტიკა საგარეო ვაჭრობის დარგში... ნაციონალ-უკლონისტების მიერ დასავლეთის კაპიტალზე აღებული ორიენტაცია, რომ მას წარმატება ჰქონოდა, მოშლიდა და დააუძლურებდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ეკონომიურ კავშირს, გააძლიერებდა პოლიტიკური სეპარატიზმის ტენდენციებს* და, *მაშასადამე, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ კავშირს, პირველ რიგში ამიერკავკასიის ფედერაციას“*.[3] ერთი სიტყვით, კრემლს სულაც არ აწყობდა ეკონომიკურად ძლიერი საქართველო, რომელიც არ იქნებოდა მორჩილი და ძნელად თუ დათმობდა თავის სუვერენიტეტს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სფეროში. ვ. ლენინისა და მისი თანამებრძოლების უმთავრესი მიზანი კი სწორედ რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენა და ახალი მოდერნიზებული კომუნისტური იმპერიის შექმნა იყო.

1921 წ. 16 აგვისტოს რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ მორიგ „საბრძოლო“ ამოცანად *დასახა „ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ეკონომიური ღონისძიებების შემდგომი გაერთიანება“* და ამ მიზნით ამიერკავკასიის „დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“ ამჯერად უკვე თავს მოახვია *„გადაწყვეტილება კავკასიის ეკონომიური ბიუროს დაარსების შესახებ“*.[4] ამის ფონზე, ი. სტალინის ცნობილი განცხადება, თითქოს *„ეს და ამგვარი აქტები კი არ ასუსტებენ, არამედ განამტკიცებენ ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას“* (***«эти и подобные им акты не ослабляют, а укрепляют независимость этих государств»***),[5]

---

[1] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 172.
[2] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 173.
[3] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 173.
[4] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 85.
[5] **ი. სტალინი.** კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე. 1921 წ. 6 ივლისი. — **ი. ბ. სტალინი.** თხზულებანი. ტ. 5. 1921-1923. თბ., 1955, გვ. 106; **И. В. Сталин.** Об очередных задачах коммунизма в Гру-

არც მეტი, არც ნაკლები, პოლიტიკურ ცინიზმად გამოიყურებოდა. რუსული იმპერიული პოლიტიკის მთავარი გამტარებლის — რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსა და მისი ლიდერის ს. ორჯონიკიძის ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ნაციონალ-უკლონისტებად მონათლული ქართველი კომუნისტები, რომლებიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა იმ პერიოდში მთლიანად აკონტროლებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მათ ერთგვარი საპროტესტო წერილით მიმართეს რუსეთის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ვ. ლენინსა და ი. სტალინს,[1] რომელშიც ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობის წინააღმდეგ და აცხადებდნენ მას ზევიდან თავსმოხვეულ მოძრაობად. ამასთან, ისინი უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კავშირის დამყარებას კონვენციის საფუძველზე.[2] საქართველოს კომუნისტური პოლიტიკური ელიტის ეს მოთხოვნა კრემლმა, ბუნებრივია, არაფრად ჩააგდო და ფორსირებულად შეუდგა უკვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის „ლენინური გეგმის“ განხორციელებას.

1921 წ. 3 ნოემბერს რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა გამოიტანა ვერდიქტი, რომელშიც პირდაპირ გაცხადდა *„გადაუდებელად და აუცილებლად“* იქნა მიჩნეული *„რესპუბლიკებს შორის ფედერაციული კავშირის შეკვრა. უწინარეს ყოვლისა, სამხედრო, სამეურნეო საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში“*. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა საქართველოს „ოფიციალური ხელისუფლების“ მეთაური ბუდუ მდივანი,

---

зии и Закавказье: Доклад общему собранию тифлисской организации коммунистической партии Грузии. 6 июля 1921 г. – *Сочинения.* Т. 5. М., 1947, გვ. 98 (http://grachev62.narod.ru/stalin/t5/t5_09.htm).

[1] წერილს ხელს აწერდნენ ნაციონალ-უკლონისტთა აღიარებული ლიდერი, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარე და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი ბუდუ მდივანი, რევკომის პრეზიდიუმისა და ცენტრლური კომიტეტის წევრი, იუსტიციის სახალხო კომისარი სერგო ქავთარაძე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ კვირკველია, ცენტრალური კომიტეტის წევრი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე, ცენტრალური კომიტეტის წევრი და სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ელიავა, რევკომისა და ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კოტე ცინცაძე, რევკომის წევრი, ფინანსთა სახალხო კომისარი ალექსანდრე სვანიძე და სურსათის საქმეთა სახალხო კომისარი ალექსანდრე ერქომაიშვილი. **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 86.

[2] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 86.

რომელმაც სასწრაფოდ აფრინა საპროტესტო დეპეშა რუსეთის კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, მაგრამ მოსკოვი შეუვალი იყო, რის შემდეგ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 25 ნოემბერს გამართულმა პლენუმმა დაადასტურა რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს 3 ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების შესახებ და მიიღო ის **„სავალდებულო შესასრულებლად“**.[1]

ნაციონალ-უკლონისტები გულუბრყვილოდ მიიჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანების იდეა არ მოდიოდა ვ. ლენინიდან და ის მთლიანად სტალინისა და ორჯონიკიძის „შემოქმედება“ იყო. სინამდვილეში კი, სრულიად ცხადი იყო, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატივა სწორედ ვ. ლენინს ეკუთვნოდა. ეს თვალსაზრისი ურყევი იყო საბჭოური პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში,[2] თუმცა ამ ბოლო დროს შეინიშნება ამ თვალსაზრისის გადასინჯვის მცდელობა. ასე მაგალითად, ზემოხსენებული ქართველი ისტორიკოსის ლ. თოიძის აზრით, ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების იდეა არ ეკუთვნოდა ვ. ლენინს და ის პირველად თვით ამიერკავკასიელ ბოლშევიკებში იშვა.[3] ამის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მკვლევარს მოჰყავს აზერბაიჯანის სსრ-ის საგანგებო სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბეიბუთ შახტატინსკის ჯერ კიდევ 1921 წ. 1 მარტით დათარიღებული წერილი ვ. ლენინისადმი, რომელშიც ავტორი ამიერკავკასიაში ტერიტორიულ-ეკონომიკური და სხვა ტიპის დავების გადაჭრის ყველაზე მისაღებ ფორმად მიიჩნევდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და აგრეთვე დაღესტნის გაერთიანებას ერთიან კავკასიის რესპუბლიკაში და მის შესვლას რუსეთის ფედერაციაში.[4]

თავისი დასკვნის გასამყარებლად, ლ. თოიძე გარდა აღნიშნული დოკუმენტისა, იშველიებს სხვა უფრო გვიანდელი (ამიერკავკასიის ერთიანი სამეურნეო ორგანოს შექმნის აუცილებლობაზე ლენინის მითითებების შემდგომი) პერიოდის ფაქტებსაც, მაგრამ ეს მასალები ნაკლებად გამოდგება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეისაგან ლენინის დისტანცირების საჩვენებლად. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით გადამწყვე-

---

[1] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და.., გვ. 87.

[2] იხ.: **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის.., გვ. 89.

[3] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 121-127.

[4] *«... из всех возможных форм разрешения территориально-экономических и других споров Закавказья* ***наиболее выгодной, приемлемой и целесообразной во всех отношениях было объединение всех закавказских республик включая сюда и Дагестан с горцами в одну Кавказскую республику и вступление в Российскую федерацию****»*. იხ.: **С. В. Хармандарян.** Ленин и становление Закавказской федерации. 1921-1923. Ереван, 1969, გვ. 96-97; **ლ. თოიძე.** საქართველოს.., გვ. 122.

ტი მნიშვნელობა აქვს წინადადებათა პროექტს ამიერკავკასიის რესპუბ-ლიკების ფედერაციული გაერთიანების შესახებ (1921 წ. 28 ნოემბერი), რომელიც შეიმუშავა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით „მეზობელი სახელ-მწიფოს“ ლიდერმა და დაამტკიცა იმავე სახელმწიფოს უმაღლესმა პო-ლიტიკურმა ორგანომ — რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პო-ლიტბიურომ 1921 წ. 29 ნოემბერს. უფრო მეტიც, თუ დავაკვირდებით ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებს, სრულიად აშკარა ხდება, რომ სწორედ ლენინს მიჰყავდა ნაბიჯ-ნაბიჯ ამიერკავკასიის რესპუბლი-კები ფედერაციული გაერთიანებისკენ. უბრალოდ, ლენინი უფრო თვალ-თმაქცობდა და მოუწოდებდა თავის „პარტიულ ამხანაგებს“ არ ეჩქარათ და საქმე ისე აეწყოთ, რომ ფედერირება მომხდარიყო არა „ზემოდან“, არამედ „ქვემოდან“, ამიერკავკასიის „მშრომელთა სურვილით“.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ბელადის ბარათი (1921 წ. 28 ნოემბერი) სტალინისადმი, რომელსაც ერთვოდა რუსეთის კპ (ბ) ცენ-ტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების პროექტი, რომელ-შიც ის ძირითადად ეთანხმებოდა სტალინს და ასევე მიაჩნდა ***„ამიერკავ-კასიის რესპუბლიკების ფედერაცია აბსოლუტურად სწორად და უპირობოდ განსახორციელებლად“,*** მაგრამ, ამასთან, თავს იკავებდა მისი ფორსირე-ბულად აღსრულებისაგან. ლენინის აზრით, საჭირო იყო დრო გარკვეუ-ლი პერიოდი „ქვემოდან პროპაგანდისა“ და ცალკეული რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებზე „გასატარებლად“.[1]

ამგვარი პოლიტიკური თვალთმაქცობა საქართველო-ამიერკავკა-სიის საკითხებში ვ. ლენინისთვის ნამდვილად არ იყო ახალი. ის ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოების წინ აკეთებდა სრულიად გაუგებარ, ცინიკურ განცხადებებს. მხედველობაში გვაქვს, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით ბელადისაგან წამოსული ცნობილი დირექტივა გა-ცემული XI წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოსადმი რო-

---

[1] *«Тов. Сталин!* ***Я согласен с Вами в основном****. Но думаю, что надо формулировать чуточку иначе. 1)* ***Признать федерацию закавказских республик принципиально абсолютно правильной и безусловно подлежащей осуществлению****, но в смысле немедленного практического осуществления преждевременной, т. е. требующей известного периода времени для обсуждения,* ***пропаганды и советского проведения снизу****; 2) предложить Центральным комитетам Грузии, Армении и Азербайджана (через Кавбюро) поставить вопрос о федерации пошире на обсуждение партии и рабочих и крестьянских масс, энергично вести пропаганду за федерацию и провести её через съезды Советов каждой республики;* ***в случае большой оппозиции точно и своевременно донести Политбюро ЦК РКП****».* იხ.: **В. И. Ленин**. Записка И. В. Сталину с проектом постановления Политбюро ЦК РКП(б) По Вопросу Об Образовании Федерации Закавказских Республик. – *ПСС*, т. 44. М., 1982, გვ. 255, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

მელშიც ლენინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით არც მეტი, არც ნაკლები იძლეოდა თბილისის დაკავების სანქციას *„საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით“ («при соблюдении международных норм...»*[1] და, რომელსაც მკვლევრები, სავსებით მართებულად პოლიტიკურ-სამართლებრივ კურიოზად მიიჩნევენ.[2] ვ. ლენინი და მისი გარემოცვა იმთავითვე სრულიად მოურიდებლად ცდილობდნენ საქართველოს ანექსიის იურიდიულ გამყარებას. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1921 წ. 10 დეკემბერს თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომამ აირჩია სრულიად **რუსეთის** საბჭოების IX ყრილობის 15 დელეგატი,[3] რაც იმას ნიშნავდა, რომ **„სუვერენული“ საქართველოს** დედაქალაქი **„მეზობელი“ ქვეყნის — რუსეთის** უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორუმზე **აგზავნიდა** არა საპატიო „უცხოელ სტუმრებს“, არამედ **სრულუფლებიან დელეგატებს**. ეს კი, არც მეტი არც ნაკლები, ღია დადასტურება იყო იმისა, რომ საქართველოს „სუვერენული“ სახელმწიფო და მისი დედაქალაქი ჯერ კიდევ სსრ კავშირის შექმნამდე 1 წლით ადრე ოფიციალურადაც რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებოდა.[4] დავიჯეროთ, რომ ეს ვ. ლენინისგან დამალულად ხდებოდა?!

ის რომ ლენინი არასოდეს შერიგებია აზრს რუსეთის იმპერიის ცალკეული რეგიონების გამოყოფის შესახებ ნათლად ჩანს თუნდაც მის მიერ ჯერ კიდევ 1920 წ. 21 დეკემბერს რსფსრ-ის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობისათვის გაგზავნილი ბარათიდან, რომელშიც ის მოითხოვდა რუსეთის სქემატურ **ადმინისტრაციულ** რუკაზე *„ჩაეხატათ... თუნდაც მწვანე ხაზებით... **ახლანდელი საზღვრები**: ა) დასავლეთის ფრონტი /ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი/ ყირიმი, **საქართველო**, აზერბაიჯანი, სომხეთი, შუა აზია, ბუხარა, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა...“*.[5] ე.ი. ლენინი იმას კი არ ამბობდა, რომ ეს ქვეყნები (ფინეთი, ესტონეთი, პოლონეთი, რუმინეთი...), როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, საერთოდ ამოეღოთ მეზობელი სახელმწიფოს — რუსეთის „სქემატური **ადმინისტრაციული** რუკიდან“, არამედ განსხვავებული ფერით აღენიშნათ ***«границы теперешние»***. ამას-

---

[1] **В. И. Ленин**. Телеграмма Реввоенсовету 11 армии. – *ПСС*, т. 52. М., 1970, გვ. 71.

[2] **Р. Такер.** Сталин. Путь к власти. М., 1991, გვ. 211

[3] გაზ. *„კომუნისტი“*, 16.XII.1021; **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 52.

[4] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 52.

[5] *«...дорисовать... хотя бы зелёными чертами и зелёной штриховкой **границы теперешние**: (а) Западный «фронт» (Финляндия, Эстляндия, Латвия, Польша, Румыния) Крым Грузия, Азербайджан, Армения Средняя Азия, Бухара Дальвостреспублика»*. იხ.: **В. И. Ленин.** В управление делами СНК. – *ПСС*, т. 52. М., 1982, გვ. 35-36, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

თან დაკავშირებით, უადგილოდ გვეჩვენება ლ. თოიძის მცდელობა აღ-ნიშნული დოკუმენტი გამოიყენოს იმის ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომ ლენინი ზოგადად საუბრობდა ამიერკავკასიის ქვეყნებზე და არ უთითებდა მათ ერთიან ფედერაციაში გაერთიანებაზე.[1] ლენინი ამ ბა-რათში, რასაკვირველია, ნამდვილად არ საუბრობს ამიერკავკასიის რაი-მე ფედერაციულ გაერთიანებაზე (მას ამ შემთხვევაში სხვა რამ აინტე-რესებდა), მაგრამ სრულიად ნათელია (და სწორედ ესაა მთავარი), რომ ჩამოთვლილ ქვეყნებს ახლო მომავალში (ალბათ, მაშინ, როდესაც დას-რულდებოდა ჯერ კიდევ 1918 წ. 7 მარტს რუსეთის კპ(ბ) VII ყრილობაზე თვით ლენინის მიერ ღიად გაცხადებული „კავკასიისა და რუმინეთის დაპყრობა“, რომელზეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება) რსფსრ-ის ფარგლებში მოიაზრებდა.

ასე რომ, ლენინის „წარმმართველი და ხელმძღვანელი როლი“ ამი-ერკავკასიის ფედერაციის იდეის შემუშავებასა და მის განხორციელებაში სრულიად ცხადია და ქართველი კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერისა და საბჭოთა საქართველოს „სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის“ ლიკ-ვიდაციის „შემოქმედის“ მამია ორახელაშვილის „ავტორიტეტული დას-კვნა“: *„ამიერკავკასიის ფედერაციის მშობლის უფლებები ეკუთვნის ლენინს... ამიერკავკასიის ფედერაცია არის ლენინის პირმშო“*,[2] — ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს. ამ შემთხვევაში ვითარებას არ ცვლის ის, რომ იგივე მ. ორახელაშვილი 1923 წ. პარტიის XII ყრილობაზე აცხადებდა: *„მოსკოვი არ აყენებდა ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხს, ეს იყო ჩვენი ამიერკავკასიის ორგანიზაციების, — და მხოლოდ შემდგომ იქნა ყველა ეს ადგილებზე სტიქიურად მიღებული გადაწყვეტილება სანქცი-ონირებული მოსკოვის მიერ...“*.[3] აქაც ხომ მთავარია, რომ ამიერკავკასი-

---

[1] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 129-130.

[2] *«**Родительские права** Закавказской федерации **принадлежать Ленину** ... Закавказская федерация **является детищем Ленина**».* იხ.: **М. Д. Орахелашвили.** В. И. Ленин и ЗСФСР (материалы). Тифлис, 1925, გვ. 13. ამ მხრივ არანაკლებ საინტე-რესოა ლ. ბერიას აღიარება: *„**ამიერკავკასიის ფედერაციის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები არიან ლენინი** და სტალინი“ («**вдохновителями и орга-низаторами Закавказской федерации являются Ленин** и Сталин».* **Л. П. Берия.** К вопросу об истории большевистских организаций, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** (ინ-ტერნეტ-ვერსია: http://www.proriv.ru/articles.shtml/beria?beria).

[3] *«Москва не ставила вопроса о Закфедерации, – эта была инициатива наших закавказских организаций, – и **Москва** только потом **санкционировала все эти решения**, возникшие стихийно на месте, в процессе работы в своеобразных условиях Советского Закавказья»Двенадцатый съезд РКП(б).* 17-25 апреля 1923 года. Стенографический отчёт. М., 1968, გვ. 167; **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტი-კური ისტორია.., გვ. 127, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ის ფედერაციის შექმნისათვის გადამწყვეტი იყო **მოსკოვის სანქცია,** და რომ ამ შემთხვევაში ინიციატივა ქვემოდან მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

ერთი სიტყვით, ამიერკავკასიის ფედერაციის იდეა ფორმალურად ცალკეული ამიერკავკასიელი კომუნისტებიდან მომდინარედ რომც ჩავთვალოთ, დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ ეს პროექტი, სინამდვილეში მთლიანად ცენტრიდან იყო ინიცირებული და მისი მთავარი მიზანი ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების — ჯერ კიდევ ოფიციალურად „სუვერენული სახელმწიფოების“ დამოუკიდებლობის მოშთობა იყო. ეს საფრთხე ცხადად დაინახეს ქართველმა კომუნისტებმა, რომლებიც ზემდგომი პარტიული სტრუქტურების — რუსეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროსა და თვით ცენტრალური კომიტეტისათვის მოულოდნელად მწვავედ გამოვიდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ.

აქ პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან სწორედ საქართველო აღიზიანებდა ყველაზე მეტად კრემლის იმპერიული პოლიტიკის გამტარებლებს. ამ მხრივ ძალზე ნიშანდობლივია ს. ორჯონიკიძის მიერ რუსეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს გაფართოებულ პლენუმზე (ჯერ კიდევ 1921 წ. 3 ივლისს) საგანგებოდ წამოწევა ერთ-ერთ მთავარ სამსჯელო თემად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისა, რომელმაც მისი განმარტებით *„პრაქტიკული განხორციელებისას შვა მთელი რიგი გაუგებრობანი...“*. კავკასიის კომუნისტების პირველი პირის განცხადებით, *„თათბირმა პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: 1) როგორ გვესმის ჩვენ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. 2) უნდა განვიხილოთ დამოუკიდებლობა ბურჟუაზიული გაგებით. 3) შეუძლიათ თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს იყვნენ დამოუკიდებლები რსფსრ-ისაგან. 4) შეუძლიათ თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს იყვნენ დამოუკიდებლები ერთმანეთისაგან“*.[1] დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ს. ორჯონიკიძის მიერ საკითხის დასმა და მით უფრო მთელი ეს რიტორიკა, სხვა არაფერია თუ არა დაცინვა და აბუჩად აგდება საქართველოს დამოუკიდებლობისა.

ქართველი კომუნისტების გაუბედავი პროტესტები და მცდელობა

---

[1] *«...**выяснить вопрос о независимости Грузинской республики,** который при практическом осуществлении породил ряд недоразумений и недоговорённостей. Совещание должно дать ответ на вопросы: 1. В каком смысле мы понимаем независимость Кавказских республик. 2. **Можно ли рассматривать независимость в буржуазном понимании**. 3. **Могут ли быть Закавказские советские республики независимы от РСФСР**. 4. Могут ли быть Закавказские советские республики незавысимы друг от друга»*. იხ.: **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 149-150; **Ю. Н. Жуков.** Первое поражение Сталина. М., 2011, გვ. 503, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

როგორმე შეეჩერებინათ (უარეს შემთხვევაში დროში გაეწელათ) ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა უშედეგოდ დასრულდა და „სათანადო პროცედურების“ (კერძოდ, ლენინის მიერ შემოთავაზებული რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებზე საკითხის „მოწონების“) გავლის შემდეგ 1922 წ. 12 მარტს თბილისში შეიკრიბა რესპუბლიკების საბჭოების ყრილობების მიერ არჩეული „სრულუფლებიანი წარმომადგენლების“ კონფერენცია, რომელმაც დაამტკიცა ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ.

სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად იქმნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამოკავშირეო ხელისუფლების ორგანოები. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა რესპუბლიკათა მიერ თანასწორი რაოდენობით არჩეული — „სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია“. აღმასრულებელ ხელისუფლებად კი სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ შექმნილი „სამოკავშირეო საბჭო“. რესპუბლიკათა სამეურნეო ორგანოების კურირების ფუნქცია დაეკისრა „უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს“, რომელიც მოქმედებდა, როგორც „სამოკავშირეო საბჭოს“ მუდმივი კომისია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე კარგა ხანია გადაისინჯა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მიზანშეწონილობის კომუნისტური ახსნა და დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ *„ამიერკავკასიის ფედერაცია ფაქტობრივად სამი არარუსული რესპუბლიკისაგან შემდგარი ერთი რუსული პროვინციის შექმნის მცდელობა იყო“*.[1] ყველა „არგუმენტი“ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობის სასარგებლოდ მაშინაც[2] და მით უფრო დღეს სრულიად უსუსურად გამოიყურება. ეს მკაფიოდ აჩვენა ლ. თოიძემ,[3] რომელმაც სავსებით მართებულად დაასკვნა, რომ *„ამიერკავკასიის ფედერაცია არც ქართული იყო, არც სომხური,[4] არც აზერბაიჯანული.* ***მისი დაარსებით სერიოზული***

---

[1] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 164.

[2] ამიერკავკასიის ფედერაციის მომხრეთა არგუმენტების ყოვლისმომცველი კრიტიკა მოცემულია პოლიტიკური პატიმრების: კალისტრატე გოგუას, ზაქარია გურიელის, ალექსანდრე დგებუაძისა და ვლადიმერ ჯიბლაძის წერილში, რომელიც მათ სუზდალის საგანგებო ბანაკის საპყრობილიდან გაუგზავნიათ (1925 წ. 1 მაისს) სსრ კავშირის ოფიციალური ხელისუფლების მეთაურის – სრულიად საკავშირო საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) თავმჯდომარის მიხეილ კალინინის სახელზე. ამის შესახებ იხ. **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 169.

[3] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 164-170.

[4] აღსანიშნავია, რომ არსებულ სიტუაციაში, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა ეკონომიკური თვალსაზრისით სომხეთისათვის მეტად მომგებიანი ჩანდა. ამი-

***ნაბიჯი გადაიდგა ამიერკავკასიის რუსიფიკაციის გზაზე**. ფაქტობრივად სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული გაერთიანება“.*[1]

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ, საქართველოს სსრ-ის ისედაც კუდშეკვეცილი სუვერენიტეტი საერთოდ არარაობად იქცა. სხვათაშორის, ამას ფაქტობრივად აღიარებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურები და თვით ი. სტალინი. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა ი. სტალინის დეპეშა ს. ორჯონიკიძისადმი (1923 წ. მარტი): *„მე გავიგე კუიბიშევისაგან და კამენევისაგან, რომ (შენ) ამიერკავკასიის მხარის რესპუბლიკებისა და ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს ორგანიზაციისას, ნაციონალურ სახკომსაბჭოებს ჩამოართვი თითქმის ყველა კომისარიატი ხუთი თუ ექვსი საყოფაცხოვრებო კომისარიატის გამოკლებით. მე, კუიბიშევთან და კამენევთან ერთად ვთვლი ამ კომბინაციას არასწორად და უკანონოდ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია უნდა შეიქმნას ისე, რომ ნაციონალურ სახკომსაბჭოებს დარჩეს, გარდა 6 საყოფაცხოვრებოსი, კიდევ 5 ხუთი სამეურნეო (კომისარიატი), მუშურ-გლეხური ინსპექციის ჩათვლით.* ***არ შეიძლება ამიერკავკასიის ნაციონალური რესპუბლიკები ჩაყენებულ იქნენ ყირიმისა და იაკუტიის (რესპუბლიკებზე) უარეს მდგომარეობაში.*** *ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს დაუყოვნებლივ“.*[2] ე.ი. გამოდის, რომ საქართველოს არათუ არ

ტომაც სომეხი ბოლშევიკები (ისევე როგორც აზერბაიჯანელებიც) არათუ არ ეწინააღმდეგებოდნენ ფედერაციის შექმნა, არამედ, შეიძლება ითქვას გარკვეულ ენთუზუაზმსაც კი იჩენდნენ ამ მიმართულებით. თავის მხრივ, მოსკოვი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას განიხილავდა, როგორც ერთგვარ საჩუქარს სომხეთისათვის კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების „ტრიუმფალურ სვლაში“, პირველ რიგში კი საქართველოს გასაბჭოებაში შეტანილი წვლილისათვის. ამასთან დაკავშირებით, მეტად მრავლისმთქმელ ინფორმაციას გვაწვდის ცნობილი ქართველი ბოლშევიკი ლიდერი სერგო ქავთარაძე, რომელიც იგონებს რა ერთ-ერთ პრივატულ საუბარს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორთან და „შემოქმედთან“ ი. სტალინთან აღნიშნავდა, რომ მან (იგულისხმება ი. სტალინი – **ზ.პ.**) *„ცბიერად ჩაიღიმა, შემომხედა და თქვა სომხებმა სულ ცოტა* ***ფედერაცია გამოიმუშავეს“ («он, лукаво улыбнувшись,*** *посмотрел на меня и сказал: «**А армяне** малость **на федерацию заработали**»).* იხ.: **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 137, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 170.

[2] *«Я узнал от Куйбышева и Каменева, что [ты] при организации Заккрайреспублик и ЗакСНК отобрал у национальных СНК почти все комиссариаты кроме пяти или шести бытовых комиссариатов. Я считаю эту комбинацию вместе с Каменевым и Куйбышевым неправильной и незаконной. Федерацию Закреспублик надо составить так, чтобы у национальных СНК остались кроме шести бытовых ещё пять хозяйственных вместе с РКИ.* ***Нельзя ставить национальные республики Закавказья в худшее положение, чем Крымскую или Якутскую****.*

ჰქონდა ე.წ. „სუვერენული“ საბჭოთა რესპუბლიკის უფლებები, არამედ ის ამ მხრივ თვით რუსეთის ფედერაციაში შემავალ ყირიმისა და იაკუტიის ავტონომიურ რესპუბლიკებზე დაბლა იდგა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიდერები ფილიპე მახარაძისა და ბუდუ მდივნის ხელმძღვანელობით, რომლებიც ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ მონათლეს ნაციონალ-უკლონისტებად, მაინც არ ყრიდნენ ფარ-ხმალს და განაგრძობდნენ პოლიტიკურ ბრძოლას ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ **რუსეთის** კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში ახალ-ახალი საჩივრების გაგზავნის გზით, მაგრამ ამაოდ. ამ დროისათვის სიტუაციას ცენტრალურ კომიტეტში აკონტროლებდა იოსებ სტალინი — ლენინის მიერ გენერალურ მდივნად ხელდასხმული (1922 წ. 3 აპრილი), რომელიც ამასთან, როგორც ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისარი სათავეში ჩაუდგა მოძრაობას „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით გაერთიანებისათვის.

1922 წ. 5 აპრილს **რუსეთის** კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო (უკვე მეორედ) დადგენილება, რომელიც ავალდებულებდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას „უყოყმანოდ“ გაეტარებინა ცხოვრებაში ცკ-ს გადაწყვეტილება.[1] დაპირისპირებამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ამიერკავკასიის პარტიულ ლიდერ ს. ორჯონიკიძეს შორის აპოგეას მიაღწია 1922 წ. შემოდგომაზე, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანებისათვის მოძრაობა დასკვნით სტადიაში შევიდა. საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეყვანისა და მოდერნიზებული რუსული იმპერიის სტალინისეულმა (ე.წ. „ავტონომიზაციის“) პროექტმა სრული მხარდაჭერა ჰპოვა უკლებლივ ყველა „სუვერენულ“ საბჭოთა რესპუბლიკაში. ერთადერთი გამონაკლისი აღმოჩნდა საქართველოს სსრ, რომლის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ღიად გაილაშქრა ავტონომიური რესპუბლიკის (ისიც ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით) სტატუსით რუსეთის ფედერაციაში გაერთიანების სტალინისეული გეგმის წინააღმდეგ. ამ გზაზე უდავოდ საეტაპო მოვლენა იყო 1922 წ. 15 სექტემბერს ჩატარებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილება, რომელშიც უარყოფილი იყო ე.წ. „ავტონომიზაციის“ პროექტი.[2]

ამის საპასუხოდ, უკვე მეორე დღეს, ზემდგომმა პარტიულმა ორ-

Эту ошибку надо исправить и немедленно». იხ.: **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 176, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა.., გვ. 92-93.

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ლ. თოიძე.** საქართველოს.., გვ. 221-230.

განომ — **რუსეთის კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა**[1] დემონსტრაციულად მოიწონა „ავტონომიზაციის“ იდეა და **ოფიციალურად აუკრძალა „სუვერენული“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას** (პერსონალურად კი ფ. მახარაძეს, ს. ქავთარაძეს და პ. საბაშვილს) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 15 სექტემბრის დადგენილების შინაარსის გაცნობა პარტიული მასებისათვის.[2] 1922 წ. 22 სექტემბერს საკითხით დაინტერესებულა ვ. ლენინი,[3] რომელსაც სტალინისაგან მოუთხოვია, ეცნობებინა მისთვის, თუ როგორი იყო რკპ(ბ) ცკ-ს დამოკიდებულება საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხისადმი. სტალინმა იმავე დღეს ოპერატიულად უპასუხა ბელადს. იმის გამო, რომ სტალინის ეს წერილი მეტად შთამბეჭდავ ინფორმაციას იძლევა იმჟამად ცენტრსა და ე.წ. „სუვერენულ“ რესპუბლიკებს შორის რეალურად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი დოკუმენტის თითქმის სრულად მოყვანა:

„ამხანაგო ლენინ! ჩვენ მივედით ისეთ მდგომარეობამდე, როდესაც ***ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის არსებული ურთიერთობები, ანუ არავითარი წესრიგის არ არსებობა და სრული ქაოსი მოუთმენელი ხდება.*** *კონფლიქტები, წყენა და გაღიზიანება,* ***ფიქციად აქცევენ ე.წ. ერთიან ფედერაციულ სახალხო მეურნეობას,*** *ამუხრუჭებენ და პარალიზებას ახდენენ ყოველნაირი სამეურნეო მოღვაწეობისა* ***საერთორუსული მასშტაბით.*** *ორიდან ერთი:* ***ან ნამდვილი დამოუკიდებლობა და მაშინ — ცენტრის არჩარევა, თავისი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი, თავისი საგარეო ვაჭრობა, თავისი საკონცესიო კომიტეტი, თავისი რკინიგზა... საერთო საკითხები წყდება მოლაპარაკებების გზით — თანასწორი თანასწორთან, შეთანხმებით, ხოლო სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, რუსეთის სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის კომიტეტის გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის.*** *ან საბჭოთა რესპუბლიკების* ***ნამდვილი გაერთიანება ერთიან სამეურნეო ორგანიზმში, დამოუკიდებელი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებსა, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ეკონომიკურ საბჭოებზე რუსეთის სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის კომიტეტისა და რუსეთის საბჭოების ცენტრალუ-***

---

[1] როგორც უკვე აღინიშნა, ეს იყო ყოფილი რუსეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ერთგვარი სამართალმემკვიდრე, რომელიც შეიქმნა 1922 წელს ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრილობაზე.

[2] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 231.

[3] ვარაუდობენ, რომ ამ დროისათვის ლენინმა გაიგო ამიერკავკასიაში არსებული წინააღმდეგობის შესახებ. იხ.: **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 232.

რი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებების ფორმალური გავრ-ცელებით. ანუ ფიქტიური დამოუკიდებლობის შეცვლა ნამდვილი შინაგა-ნი ავტონომიით ენის, კულტურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, მიწათ-მოქმედების და სხვ. კუთხით.

გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ:

1. ***ფორმალურად რუსეთის სახკომსაბჭოს, შრომისა და თავ-დაცვის კომიტეტისა და რუსეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები არ არის სავალდებულო დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის, ეს მაშინ, როდესაც ეს უწყებები ერთმანეთის მიყოლებით აუქ-მებენ დამოუკიდებელი რესპუბლიკების ცენტრალური უწ-ყებების გადაწყვეტილებებს, ეს კი იწვევს პროტესტს ამ უკა-ნასკნელთა მხრიდან და განაწყობს მათ მოსკოვის ცენტრა-ლური უწყებების „უკანონო ქმედებების“ წინააღმდეგ.***
2. *ამ შემთხვევებში* ***რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომი-ტეტის ჩარევა ხდება*** *იმის შემდეგ, რაც* ***განაპირა მხარეების*** *ცენტრალურმა უწყებებმა უკვე გამოსცეს თავიანთი დეკ-რეტები, რომლებიც* ***გააუქმეს მოსკოვის ცენტრალურმა უწ-ყებებმა.*** *ეს იწვევს საქმის გაჯანჯლებასა და სამეურნეო სა-ქმეების დამუხრუჭებას, იწვევს გაოცებას* ***განაპირა მხარე-ებში*** *უპარტოებს შორის და კომუნისტების გაღიზიანებას.*
3. *სამოქალაქო ომის ოთხ წელიწადში, როდესაც ინტერვენ-ციის გამო* ***იძულებული ვიყავით მოგვეხდინა მოსკოვის მხრიდან ნაციონალურ საკითხში ლიბერალიზმის დემონსტ-რირება,*** *ჩვენ, სურვილის საწინააღმდეგოდ, მოვასწარით კომუნისტებს შორის აღგვეზარდა ნამდვილი და თანმიმ-დევრული სოციალ-დამოუკიდებლები, რომლებიც ითხო-ვენ რეალურ დამოუკიდებლობას ყველა თვალსაზრისით* და ***რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარე-ვას აფასებენ, როგორც მოტყუებას და ფარისევლობას მოს-კოვის მხრიდან.***
4. *ჩვენ განვითარების ისეთ ფაზაში ვართ, როდესაც ფორმა, კანონი, კონსტიტუცია არ შეიძლება იგნორირებულ იქნას, როდესაც* ***განაპირა მხარეებში კომუნისტების ახალი თაობა უარს ამბობს დამოუკიდებლობანას თამაში გაიგოს, რო-გორც თამაში და ჯიუტად ღებულობს სიტყვებს დამოუკი-დებლობის შესახებ რეალურ ფაქტად*** *და* ***დაჟინებით მოით-ხოვს დამოუკიდებელი რესპუბლიკების კონსტიტუციების ცხოვრებაში რეალურად გატარებას.***
5. *თუ ჩვენ ახლავე არ შევეცდებით* ***შევუხამოთ ცენტრსა და***

განაპირა მხარეებს შორის ურთიერთოებების ფორმა ფაქტობრივ ურთიერთობებს, რომლის ძალითაც განაპირა მხარეები ყველაფერში ძირითადად უყოყმანოდ უნდა დამორჩილდნენ ცენტრს, ანუ თუ ჩვენ ახლავე არ შევცვლით ფორმალურ (ფიქტიურ) დამოუკიდებლობას ფორმალური (და ამასთან რეალური) ავტონომიით, *მაშინ ერთი წლის შემდეგ ბევრად უფრო რთული იქნება საბჭოთა რესპუბლიკების ფაქტობრივი ერთიანობის შენარჩუნება.*

ახლა საუბარი მიდის იმაზე, რომ როგორმე არ „გავაბრაზოთ“ ნაციონალები; ერთი წლის შემდეგ, ალბათ, უკვე ილაპარაკებენ იმაზე, რომ როგორმე არ გამოვიწვიოთ განხეთქილება პარტიაში ამ ნიადაგზე, რადგან ***„ნაციონალური“ სტიქია განაპირა მხარეებში მუშაობს არა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანობაზე, ხოლო ფორმალური დამოუკიდებლობა ხელს უწყობს ამას****. მრავალთაგან ერთი მაგალითი: აღმოჩნდა, რომ ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან ფარულად, ნება დართო ოტომანთა ბანკს (ინგლისურ-ფრანგული კაპიტალი) გაეხსნა თავისი განყოფილება თბილისში, რაც უცილობლად გამოიწვევდა ამიერკავკასიის ფინანსურ დაქვემდებარებას კონსტანტინოპოლისადმი (ბათუმსა და თბილისში თურქულმა ლირამ უკვე გამოდევნა ქართული და რუსული ფული და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა), ამასთან* ***კატეგორიულ აკრძალვას ცენტრალური კომიტეტის (რუსეთის*** *კომპარტიის —* ***ზ.პ)*** *მხრიდან (მიღებულს ამხანაგ სოკოლნიკოვის დაჟინებული მოთხოვნით),* ***ქართველი ნაციონალ კომუნისტების უკიდურესი აღშფოთება გამოუწვევია.***

ჩემი გეგმა:

1. *ბუხარის, ხივისა და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის (რომელიც ჯერ კიდევ არ არის გასაბჭოებული) საკითხი ჯერჯერობით ღიად დარჩეს,* ***ანუ არ მოხდეს მათი ავტონომიზაცია****.*
2. *სხვა ხუთი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (უკრაინის, ბელორუსიის,* ***საქართველოს,*** *აზერბაიჯანის, სომხეთის) მიმართ,* ***მიზანშეწონილად ჩაითვალოს ავტონომიზაცია იმის გათვალისწინებით, რომ სრულიად რუსეთის საბჭოების მომდევნო ყრილობისათვის ამ რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა თვითონვე ნებაყოფლობით განაცხადონ მოსკოვთან უფრო მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობების დამყარების სურვილი ავტონომიურ საწყისებზე*** *(მე უკვე მაქვს აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების განცხადებები ავტონომიზაციის თა-*

ობაზე, აგრეთვე ***საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც გამოთქმულია დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილი“.***[1]

---

[1] «Тов. Ленин! Мы пришли к такому положению, когда **существующий порядок отношений между центром и окраинами, т.е. отсутствие всякого порядка и полный хаос, становятся нестерпимыми,** создают конфликты, обиды и раздражение, **превращают в фикцию т.н. единое федеративное народное хозяйство**, тормозят и парализуют всякую хозяйственную деятельность в **общероссийском масштабе**. Одно из двух: **либо действительная независимость и тогда – невмешательство центра, свой НКИД, свой Внешторг, свой Концессионный комитет, свои железные дороги, причём вопросы общие решаются в порядке переговоров равного с равным, по соглашению, а постановления ВЦИК, СНК и СТО РСФСР не обязательны для независимых республик;** либо действительное объединение советских республик в одно хозяйственное целое **с формальным распространением власти СНК, СТО и ВЦИК РСФСР на СНК, ЦИК и экономсоветы независимых республик,** т.е. **замена фиктивной независимости действительной внутренней автономией республик в смысле языка, культуры, юстиции, внудел, земледелия и прочее.**

Следует иметь в виду, что:

1. **Формально решения СНК, СТО и ВЦИК РСФСР необязательны для независимых республик,** причем **эти учреждения сплошь и рядом отменяют постановления центральных учреждений независимых республик, что вызывает протесты последних против «незаконных действий» центральных учреждений Москвы.**
2. **Вмешательство Цека РКП в таких случаях происходит обычно после того, как центральные учреждения окраин уже дали свои декреты, отменяемые потом центральными учреждениями Москвы,** что создает волокиту и тормоз в хозяйственных делах и вызывает **на окраинах** недоумение среди беспартийных и раздражение среди коммунистов.
3. За четыре года гражданской войны, когда **мы ввиду интервенции вынуждены были демонстрировать либерализм Москвы в национальном вопросе, мы успели воспитать среди коммунистов, помимо своей воли, настоящих и последовательных социал-независимцев, требующих настоящей независимости во всех смыслах и расценивающих вмешательство Цека РКП, как обман и лицемерие со стороны Москвы.**
4. Мы переживаем такую полосу развития, когда форма, закон, конституция не могут быть игнорированы, когда молодое поколение коммунистов на окраинах **игру в независимость отказывается понимать как игру,** упорно принимая **слова о независимости за чистую монету и также упорно требуя от нас проведения в жизнь**

როგორც ვხედავთ, სტალინის ამ წერილში ყველაფერს თავისი სახელი აქვს დარქმეული. კერძოდ, რსფსრ, მოსკოვი არის **ცენტრი**, ხოლო „სუვერენული“ საბჭოთა რესპუბლიკები — მხოლოდ **განაპირა მხა-**

буквы конституции независимых республик.

5. Если мы теперь же не постараемся приспособить форму взаимоотношений **между центром и окраинами** к фактическому взаимоотношению, **в силу которых окраины во всем основном безусловно должны подчиняться центру, т.е. если мы теперь же не заменим формальную (фиктивную) независимость формальной же (и вместе с тем реальной) автономией,** то через год **будет несравненно труднее отстоять фактическое единство советских республик.**

Сейчас речь идёт о том, как бы не «обидеть» националов; через год, вероятно, речь пойдёт о том, как бы не вызвать раскол в партии на этой почве, **ибо «национальная» стихия работает на окраинах не в пользу единства советских республик, а формальная независимость благоприятствует этой работе.** Один из многих примеров: **недавно грузинский ЦК,** оказывается, **решился без ведома Цека РКП разрешить оттоманскому банку** (англо-французский капитал) **открыть своё отделение в Тифлисе**, что несомненно повело бы к финансовому подчинению Закавказья Константинополю (уже теперь в Батуми и Тифлисе турецкая лира является господствующей, вытесняющей с рынка грузинские и русские деньги), **причём решительное запрещение со стороны ЦК** (принятое по настоянию т. Сокольникова), **вызвало, оказывается, бурю возмущения среди грузинских национал-коммунистов.**

Мой план:

1. *Вопрос о Бухаре, Хиве и Дальневосточной республике (которая еще не советизирована) оставить пока открытым, т.е.* ***пока их не автономизировать****.*
2. ***В отношении остальных пяти независимых республик (Украина, Белоруссия, Грузия, Азербайджан и Армения) признать целесообразным автономизацию с тем, чтобы к Всероссийскому Съезду Советов ЦИК и этих республик сами добровольно изъявили свое желание вступить в более тесные хозяйственные отношения с Москвой на началах автономии*** *(я имею уже заявление Азербайджанского и Армянского Цека Компартии о желательности автономизации и* ***заявление Грузинского Цека Компартии о желательности сохранения независимости****...».*

იხ.: *Известия ЦК КПСС.* 1989. #9, გვ. 198-200; **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 234-236; *Из докладной записки Сталина Ленину по вопросу автономизации*. 22 сентября 1922 г. (http://his95.narod.ru/doc18/dc16.htm), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

რე – *«окраина»*. ის ბელადს უხატავს უმძიმეს ვითარებას, რომელიც ახდენს სამეურნეო საქმიანობის პარალიზებას მთელი რუსეთის (რომელშიც ის, რასაკვირველია, მოიაზრებს ე.წ. „ოკრაინებს“ — ანუ „სუვერენულ“ საბჭოთა რესპუბლიკებს) მასშტაბით. მას კატეგორიულად მიღებლად მიაჩნია ლიბერალიზმი ნაციონალურ საკითხში. ის თვლის, რომ დროა შეწყდეს ე.წ. „დამოუკიდებლობანას“ თამაში „ოკრაინების“ კომუნისტების მხრიდან და ა.შ.

სტალინს რასაკვირველია არაფერი ახალი არ უთქვამს ლენინისთვის, ამ უკანასკნელმა ყოველივე ეს ისედაც მშვენივრად იცოდა და არც თუ იშვიათად თვითონაც ღიად გმობდა „სუვერენული“ სახელმწიფოების (უკრაინის, ბელორუსიის) ხელმძღვანელთა ურჩობას ცენტრის მიმართ (სხვათაშორის, ამ მხრივ ლენინისა და სტალინის ტერმინოლოგია სრულიად იდენტური იყო), ემუქრებოდა კიდეც მათ (ამის მაგალითები ზემოთ უკვე მოვიყვანეთ) პარტიული სანქციებით. სტალინი არ დაელოდა ბელადის რეაქციას და 23-24 ოქტომბერს მოიწვია რუსეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის[1] სხდომა, რომელმაც ერთხმად მიიღო საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ ი. სტალინისეული პროექტი.[2] ამის შემდეგ სტალინი 1922 წ. 26 სექტემბერს პირადად ეახლა ლენინს გორკაში და მოახსენა მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მაგრამ, ამჯერად ბელადმა, მოულოდნელად, დაიწუნა სტალინის პროექტი და საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაცვით გამოვიდა.

ვ. ლენინის პროტესტმა ნამდვილი პოლიტიკური დემარშის სახე მიიღო. დღეს უკვე სრულიად ნათელია, რომ, ამ შემთხვევაში, ლენინის პოზიციის ასეთი მკვეთრი შეცვლა, უმეტესწილად განაპირობა არა იმდენად ბელადის ზრუნვამ ზოგადად „ინოროდცების“ (ლენინი ხშირად ხმარობდა ამ ტერმინს რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების აღსანიშნავად)[3] ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, არამედ პირადმა შუღლმა სტალინთან, რომელიც თვალშისაცემი გახდა 1922 წ. შემოდგომისათვის. ის, რომ ე.წ „ქართული ინციდენტი“[4] მხოლოდ საბაბი იყო

---

[1] აღსანიშნავია, რომ ამ კომისიის თავმჯდომარე ოფიციალურად იყო ვ. კუიბიშევი, მაგრამ თვით ლენინი მას მაინც სტალინის კომისიად მოიხსენიებდა (იხ. **В. И. Ленин.** Об образовании СССР. Письмо Л. Б. Каменеву для членов Политбюро ЦК РКП(б) – *ПСС*, т. 45. М., 1982, გვ. 212; **ლ. თოიძე.** საქართველოს.., გვ. 242.

[2] **ლ. თოიძე.** საქართველოს პოლიტიკური ისტორია.., გვ. 237.

[3] ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს მის ცნობილ წერილში: *«К вопросу о национальностях или об «автономизации»* (იხ.: **В. И. Ленин**. К вопросу о национальностях или об «автономизации». – *ПСС*, т. 45. М., 1970, გვ. 357-362).

[4] ასე აღნიშნავენ კონფლიქტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის საბჭოთა რესპუბ-

ლენინისათვის „ზომაზე მეტად“ მოძლიერებულ სტალინთან დასაპირისპირებლად, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენილა.[1] სწორადაა შენიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ ლენინის დაჟინებული ინტერესი „ქართული საქმისადმი“ მოწმობს იმას, რომ მისი აზრი სტალინზე სულ უფრო ნეგატიური ხდებოდა.[2]

„პროლეტარიატის დიდ ბელადს“, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის პრობლემა სულაც არ აწუხებდა ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სტალინისა და ორჯონიკიძის კრიტიკისას მას ერთხელაც არ გახსენებია მთავარი პრობლემა — საქართველოს სსრ-ის უშუალო გაწევრიანება სსრ კავშირში (და არა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში), რის გამოც იყო ძირითადად ატეხილი სკანდალი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობასა და რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს შორის. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, ლენინმა მკაცრად გაკიცხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა და მოუწოდა მათ ეხელმძღვანელათ რკპ(ბ) ცკ-ის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებით. *„გაკვირვებული ვარ ბარათის უხამსი ტონით* – წერდა ბელადი კ. ცინცაძისა და ს. ქავთარაძისადმი გაგზავნილ დეპეშაში, — *რომელიც მე რატომღაც გადმომცა ბუხარინმა და არა ცენტრალური კომიტეტის რომელიმე მდივანმა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველანაირი უთანხმოება ამოიწურა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციებით ჩემი ირიბი მონაწილეობით და მდივანის პირდაპირი მონაწილეობით. ამიტომ მე გადაჭრით ვგმობ შეურაცხყოფას ორჯონიკიძის მიმართ და მოვითხოვ თქვენი კონფლიქტის მისა-*

ლიკების გაერთიანების საკითთან დაკავშირებით, რომელიც მწვავე ფაზაში შევიდა 1922 წ. შემოდგომაზე. ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **Р. Такер.** Сталин. Путь к власти, გვ. 232-253; **В. З. Роговин.** Была ли альтернатива? М., 2008 (http://trst.narod.ru/rogovin/t1/ix.htm).

[1] ამაზე მეტყველებს თუნდაც ფრაგმენტი ლ. ტროცკის მოგონებიდან: *„ლენინის ზრახვები ახლა ჩემთვის სრულიად გასაგები გახდა: სტალინის პოლიტიკის მაგალითზე მას სურდა პარტიისათვის ხილული გამხდარიყო... დიქტატურის ბიუროკრატიული გადაგვარების საფრთხე“ («Намерения Ленина стали мне теперь совершенно ясны: на примере политики Сталина он хотел вскрыть перед партией, и притом беспощадно,* ***опасность бюрократического перерождения диктатуры».*** იხ.: **Л. Д. Троцкий**. Моя жизнь. *Опыт автобиографии*. М., 1991. გვ. 459-460 (http://www.magister.msk.ru/library/trotsky/trotl026.htm); **В. З. Роговин.** Была ли альтернатива? М., 2008 (http://trst.narod.ru/rogovin/t1/ix.htm), ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

[2] *«Настойчивый интерес Ленина к «грузинскому делу» свидетельствовал о том, что его мнение о Сталине всё более менялось к худшему»*. იხ.: **В. З. Роговин.** Была ли альтернатива? (http://trst.narod.ru/rogovin/t1/ix.htm).

ღებ და ლოიალურ ტონში რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსათვის გადაცემას“.[1]

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ანუ, ვ. ლენინი სულაც არ იყო „ფრთიანი ანგელოზი“, რომელიც თითქოს „დღენიადაგ ზრუნავდა“ „დამოუკიდებელი“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უზრუნველყოფაზე. სინამდვილეში, სწორედ ის იყო რუსეთის იმპერიის ომამდელ საზღვრებში აღდგენისა და შემდგომი გაფართოების („მსოფლიო რევოლუციის“ ქიმერული ლოზუნგის მეშვეობით) მთავარი იდეოლოგი. ლენინმა უბრალოდ თავისი ყალბი „ლიბერალური“ ფრაზეოლოგიით მოინდომა რეალური მიზნების „შელამაზება“.

სხვათა შორის ლენინის ამ „ახლებურ“ მიდგომებს მწარედ განიცდიან რუსული იმპერიის აპოლოგეტები, რომლებიც თვლიან, რომ განსხვავებით 1918 წლისა, როდესაც ლენინმა თავი გამოიჩინა *„თავისი პრაგმატიზმით ბრესტის ზავის ირგვლივ გაჩაღებული დავისას“ (**«своим прагматизмом во время споров о Брестском мире»**)*, ამჯერად *„ის გაიტაცა დოკტრინიორობამ (რომლის მეშვეობითაც) ცდილობდა ყველასთვის დაენახვებინა თუ ვინ იყო პარტიაში ლიდერი“ (**«увлекся доктринёрством, решив ещё раз всем показать, кто в партии лидер»**)*. ისინი წუხან იმის გამო, რომ სტალინის მარტივ და ლოგიკურ სქემას *„მინიჭებოდა ერთიანი სახელმწიფოს ყველა ნაციონალურ რესპუბლიკას ერთნაირი ავტონომიური უფლებები — „ენის, კულტურის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედების და სხვ. კუთხით“ («наделения **всех национальных республик единого государства одинаковыми автономными правами – «в смысле языка, культуры,** юстиции, внутренних дел, земледелия и прочее),* ლენინმა დაუპირისპირა *„დეკლარატიულ-ფედერაციული სახელმწიფოებრივ მოწყობის ზედმეტად გართულებული იდეოლოგიზირებული ვარიანტი“ («чрезмерно усложненный вследствие своей идеологизированности вариант декларативно-федеративного государственного устройства»).*[2] უახლეს რუსულ ისტორიოგრაფიაში, ასევე აღნიშნავენ,

---

[1] *«Удивлен неприличным тоном записки, ... переданной мне почему-то Бухариным, а не одним из секретарей Цека. **Я был убежден, что все разногласия исчерпаны резолюциями пленума Цека** при моем косвенном участии и при прямом участии Мдивани. Поэтому **я решительно осуждаю брань против Орджоникидзе** и настаиваю на передаче вашего конфликта в приличном и лояльном тоне на разрешение Секретариата ЦК РКП...».* იხ.: **В. И. Ленин**. Телеграмма К. М. Цинцадзе и С. И. Кавтарадзе – *ПСС*, т. 54. М., 1975, გვ. 299-300, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **М. Смелый.** Россия нуждается в новой реформе государственного устройства. –

რომ გაერთიანების თაობაზე ლენინის პოზიცია იყო გაურკვეველი.[1]

ერთი შეხედვით, ეს შეიძლება ასეც იყო, თუმცა „სუვერენულ“ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობის ბელადისეული გამოცდილების გათვალისწინებით, რომელზეც ზემოთ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება, ჩვენ მაინც იმ აზრზე ვრჩებით, რომ ლენინის ეს „მოულოდნელი აღშფოთება“ სტალინის „ავტონომიზაციის“ პროექტის გამო, მხოლოდ და მხოლოდ დემაგოგია და პოლიტიკური თვალთმაქცობა იყო და სხვა არაფერი. სინამდვილეში სტალინს ახალი არაფერი მოუგონია, მან მხოლოდ ხორცი შეასხა და რეალობად აქცია ახალი რუსული იმპერიის შექმნის ლენინური იდეა.

ქართული სახელმწიფოებრიობის დასამარების მთელი ეს „ეპოპეა“ დასრულდა 1922 წლის 30 დეკემბერს, როდესაც „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკების „სრულუფლებიანმა“ წარმომადგენლებმა საბჭოების I ყრილობაზე შექმნეს ახალი ფედერაციული გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც „სუვერენული“ საქართველოს სსრ შევიდა არა როგორც ცალკე სახელმწიფოებრივი სუბიექტი, არამედ ლენინის „პირმშოს“ — ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის — შემადგენლობაში.

ასე მოუღეს ბოლო დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს ლენინმა, სტალინმა და რუსულ-ქართული ბოლშევიკური ელიტის სხვა „ღირსეულმა“ წარმომადგენლებმა.

Русский Журнал (http://old.nasledie.ru/politvnt/19_1/article.php?art=4), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] *«Позиция Ленина по поводу объединения была неясной, недостаточно определенной»*. იხ.: **А. Н. Боханов, М. М. Горинов, В. П. Дмитренко.** История России. XX век. М., 2001, გვ. 64 (http://litrus.net/book/read/158715?p=64).

კიდევ ერთხელ აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ყალბი ისტორიოგრაფიული პოსტულატის შესახებ:

*1921-1931 წლებში აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხისათვის**

ამ რამდენიმე ხნის (სადღაც ორი თუ სამი წლის) წინ გერმანიიდან Facebook-ით დამიკავშირდა მიუნსტერის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტი ალექსანდრე აბესაძე, რომელმაც მიმითითა ცნობილი გერმანელი სამართალმცოდნის პროფ. **ანგელიკა ნუსბერგერის** (Angelika Nußberger) წიგნში დაშვებულ უხეშ უზუსტობაზე აფხაზეთის სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით და მთხოვა, სათანადო რეაგირება მომეხდინა მასზე. მოგვიანებით ანალოგიური თხოვნით მომმართა უკვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ა. აბესაძემ იქაც გააგზავნა თავისი შეტყობინება).

ბუნებრივია, გავეცანი გერმანიიდან გამოგზავნილ მასალას, რომელშიც იყო ცალკეული ფრაგმენტები ცნობილი გერმანელი სამართალმცოდნის, საერთაშორისო სამართლის აღიარებული სპეციალისტის, კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორის ანგელიკა ნუსბერგერის რუსულ-საბჭოური სამართლის ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფიიდან. კერძოდ, გერმანელი მეცნიერის ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც განვითარებული იყო აბსოლუტურად მცდარი თვალსაზრისი იმის თაობაზე, თითქოს 1924 წელს საბჭოთა რეჟიმის ხელმძღვანელს იოსებ სტალინს „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩამოექვეითებინოს ავტონომიურ რესპუბლიკად და მიეერთებინოს ის საქართველოს სსრ-ისათვის: *„რატომ ჩამოაქვეითა სტალინმა აფხაზეთი, რომელიც 1924 წლამდე დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო, ავტონომიურ რესპუბლიკად და შეუერთა ის საქართველოს რესპუბლიკას“*.[1]

მე ყურადღებით მოვეკიდე ამ თხოვნას და ოპერატიულად მოვამზადე (ქართულ ენაზე) ერთგვარი დასკვნა, რომელიც მივაწოდე საგარეო საქმეთა სამინისტროს „შემდგომი მსვლელობის მისაცემად“, რაც ითვალისწინებდა ამ მასალის გერმანულ ენაზე თარგმნას და მის პუბლიკაციას. სამწუხაროდ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღემდე ვერ მოახერხა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა და გერმანული აუდიტორიისათ-

---

* გამოქვეყნებულია: *აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*. შრომათა კრებული. ტ. 3. თბ., 2014, გვ. 7-38. იბეჭდება მცირეოდენი ჩასწორებებით.

[1] *„Warum hatte Stalin Abchasien, das bis 1924 eigenständige Republik war, zu einer autonomen republik zurückgestuft und der Republik Georgien einverleibt?“*. იხ.: **Angelika Nußberger.** Das Volkerrecht. *Geschichte. Institutionen. Perspektiven*. Bonn, 2010, გვ. 45.

ვის საჭირო მასალის მიწოდება. ჩვენი წერილის თარგმნა და დაბეჭდვა ვერ შეძლო აგრეთვე გერმანიაში გამომავალმა ჟურნალმა *„Einblick Georgien“*-მა (გამოცემის შეწყვეტის გამო), თუმცა ჟურნალის რედაქციის ინიციატივით, ჩვენს მიერ გაგზავნილი სტატიის ქართული ორიგინალის ელექტრონული ვერსია დაიდო სოლომონ ლაფაურის არქივის ინტერნეტპორტალში.[1] ამასობაში აღნიშნული მასალა წარდგენილ იქნა კავკასიის კონფლიქტებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე[2] და წინასწარ დაიბეჭდა რუსულ[3] და ინგლისურ[4] ენებზე.

ამგვარი ინფორმაციული უზრუნველყოფის შემდეგ, თითქოს არც არის აუცილებლობა მასალის ქართულად დაბეჭდვისა, მით უფრო, რომ მას საფუძვლად დაედო ჩვენი დაკვირვებები 1921-1931 წლების აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსის ირგვლივ, რომელიც უკვე ცნობილია დაინტერესებული მკითხველისათვის 2007 წელს გამოცემულ წიგნიდან.[5] მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტად ავტორიტეტულ მეცნიერთან, რომლის სიტყვას უჯერებენ სხვადასხვა ევროპულ სამართლებრივ ინსტიტუტებში. (საკმარისია ითქვას, რომ პროფ. ანგელიკა ნუსბერგერი არის ვენეციის კომისიის სახელით ცნობილი ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო

---

[1] **ზ. პაპასქირი.** 1921-1931 წლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოწყობის საკითხისათვის. – http://www.scribd.com/doc/171370596/1921-1931.

[2] *Конфликты на Кавказе:* История, современность и перспективы урегулирования. Международная конференция. 08-11.07. 2013. Баку /Азербайджан/-Тбилиси /Грузия/).

[3] **З. Папаскири.** Ещё раз об одном ложном историографическом постулате абхазской сепаратистской идеологии. *К вопросу о политико-государственном статусе Абхазии в 1921-1931 гг. – Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press®, Швеция. 2012. Т. 6. Вып. 2, გვ. 191-204 (http://cyberleninka.ru/article/n/esche-raz-ob-odnom-lozhnom-istoriograficheskom-postulate-abhazskoy-separatistskoy-ideologii-k-voprosu-o-politiko-gosudarstvennom).

[4] **Z. Papaskiri.** Another Look at One of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology. *On the Question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931*. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden. 2012. Vol. 6. Issue 2, გვ. 168-180 (http://cyberleninka.ru/article/n/another-look-at-one-of-the-false-historical-postulates-of-the-abkhazian-separatist-ideology-on-the-question-of-abkhazias-political-state).

[5] იხ.: **ზ. პაპასქირი,** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007, გვ. 70-108 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29915/1/Nakveti_II.pdf).

ორგანოსა */European Commission for Democracy through Law/* და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს */The European Court of Human Rights/* წევრი, მონაწილეობდა საქართველო-რუსეთის ომის გამომწვევი მიზეზების დამდგენი ევროკავშირის საბჭოს დამოუკიდებელი კომისიის /ე.წ. „ტალიავინის კომისია"/ მუშაობაში), ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი კიდევ ერთხელ წარმოვადგინოთ სწორი თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით.

1921-1931 წლებში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი-სამართლებრივი სტატუსის საკითხი, როგორც ცნობილია, დიდი ხანია არის აფხაზი სეპარატისტების პოლიტიკური სპეკულაციის თემა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემაზე ქართველმა ისტორიკოსებმა (ლევან თოიძე, ავთანდილ მენთეშაშვილი, ჯემალ გამახარია, ზურაბ პაპასქირი და სხვ.) მისცეს სავსებით დასაბუთებული და ამომწურავი განმარტებები (სხვათა შორის, რუსულ და ინგლისურ ენებზეც) და ნათელი მოჰფინეს ამ ვითომ „გაუგებრობას", აფხაზეთში, რუსეთში და, როგორც ა. ნუსბერგერის ზემოთმოყვანილი რეპლიკიდან ჩანს, გერმანიაშიც კი, ჯერ კიდევ არასწორად და ტენდენციურად შუქდება ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის" სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი 1921-1931 წლებში. ამასთან, თუ აფხაზი და რუსი „ანალიტიკოსები" დაჟინებით „ამტკიცებენ", რომ ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის" 1921-1931 წლებში ნამდვილად იყო „დამოუკიდებელი" საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, გერმანელი მეცნიერი, რატომღაც თვლის, რომ „დამოუკიდებელი" აფხაზეთის რესპუბლიკის ტრანსფორმაცია ავტონომიურ რესპუბლიკად (საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში) მოხდა 1924 წელს, რაც სრული აბსურდია.

და მაინც, როგორია ისტორიული სიმართლე ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის" სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ 1921-1931 წლებში?

1921 წლის მარტში საბჭოთა ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამყარების შემდეგ უპირველეს ამოცანად იქცა აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის (1918-1921 წწ.) პერიოდში, როდესაც ოფიციალურმა თბილისმა მოაგვარა ურთიერთობა სოხუმთან და მიაღწია საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი ერთიანობის (რომელშიც აფხაზეთი წარმოადგენდა ავტონომიურ ერთეულს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში) ოფიციალურ აღიარებას თვით უკიდურესად სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ნაციონალისტების მხრიდანაც კი,[1] კრემლის ბოლშევიკური რეჟიმი და მი-

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი,** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული.., ნაკვ. II. გვ. 3-69; **З. В. Папаскири.** Абхазия. *История без фальси-*

სი ქართველი და აფხაზი დამქაშები აფხაზეთში ეწეოდნენ მკვეთრად გამოხატულ ანტიქართულ პროპაგანდას. ამ აღვირახსნილი ანტიქართული კამპანიის ტონისმიმცემნი იყვნენ ი. სტალინი (ჯუღაშვილი) და ს. ორჯონიკიძე (თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი რენეგატები), რომლებიც თავიანთი პუბლიკაციებით, კონკრეტული მოქმედებებით ახდენდნენ პროვოკაციული სეპარატისტული გამოხდომების ინსპირირებას „მშობლიური" საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, მათ შორის, პირველ რიგში, აფხაზეთში.

ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც რსფსრ-ის ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისრის ი. სტალინის მიერ გაზ. *„პრავდაში"* (1918 წ. 23 მაისი) გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ის აღფრთოვანებით წერდა *„თბილისის მთავრობის შავი ბანდების"* წინააღმდეგ მებრძოლ *„გმირ აფხაზეთზე"*, რომელიც *„იარაღით ხელში"* იცავს სოხუმს.[1] მოგვიანებით, უკვე 1921 წ. 10 თებერვალს, უშუალოდ ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის დაწყების წინ, ი. სტალინი იმავე გაზ. *„პრავდაში"* ღიად ადანაშაულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას აფხაზების, ოსების და სომხების ჩაგვრაში[2] და ამით ფაქტობრივად უმხედრებდა ამ ხალხებს საქართველოს სახელმწიფოს.

ბოლშევიკების ანტიქართული პროპაგანდა მთლიანად ეფუძნებოდა ყბადაღებული ლოზუნგის – *„ერთა თვითგამორკვევის უფლების"* – ცხოვრებაში განხორციელებას.[3] ლენინური პარტიის ამ ცრუ და დემაგოგი-

---

фикации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 177-223 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhaziaIstoriaBezFalsifikacii.pdf).

[1] *«... о героической Абхазии, единодушно восставшей против черных банд Тифлисского правительства и с оружием в руках отстаивающей против них Сухум»*. იხ.: **И. В. Сталин.** Положение на Кавказе. – *Сочинения,* т. 4. М., 1947, გვ. 96; **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 297.

[2] *«Грузия, угнетающая осетин, абхазцев, армян...»*. იხ.: **И. В. Сталин.** Об очередных задачах партии в национальном вопросе: Тезисы к X съезду РКП(б), утвержденные ЦК партии. – *Сочинения,* т. 4. М., 1947, გვ. 18; **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии.., გვ. 297.

[3] ამ ლოზუნგისა და საქართველო-სამხრეთ კავკასიის მიმართ ბოლშევიკური რუსეთის მიერ გატარებული იმპერიული პოლიტიკის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** საბჭოთა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ 1921-1922 წლებში. *ანუ იმის შესახებ თუ როგორ მოუღეს ბოლო ლენინმა და სტალინმა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს. – კრებ.: ელდარ მამისთვალიშვილი – 75*. თბ., 2015, გვ. 385-420; **З. В. Папаскири.** О т. н. «Праве нации на самоопределение» и имперской политике большевистской России на Южном Кав-

ური იდეოლოგიური თეზისით შეიარაღებულმა აფხაზმა ბოლშევიკებმა, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით, ზემდგომი პარტიული ინსტანციების წინაშე უმალვე დააყენეს საქართველოსაგან დამოუკიდებელი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი. აფხაზი კომუნისტების მოთხოვნა მოტივირებული იყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი თქმით, როგორც „უფრო პროგრესულს“, ვიდრე მენშევიკების „დიქტატორული რეჟიმი“ იყო, აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა უფრო „დემოკრატიულად“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თუ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში აფხაზეთს გააჩნდა ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას, არც მეტი, არც ნაკლები, მისთვის „დამოუკიდებლობა“ უნდა მიეცა. აღსანიშნავია, რომ აფხაზ ბოლშევიკთა ამ მოთხოვნას ერთგვარი ბიძგი მისცა, ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე, 1921 წ. 16 თებერვალს შექმნილი საქართველოს რევოლუციური კომიტეტის (რევკომი) მიმართვამ საქართველოს მშრომელებისადმი. ამ მიმართვაში ქართველი ბოლშევიკები საზეიმოდ აღუთქვამდნენ მოსახლეობას, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ: *„აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის მოძმე ხალხები თვითონვე წყვეტენ თავიანთ ბედს“*.[1]

ჯერ კიდევ 1921 წ. მარტის დასაწყისში შედგა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელთა და, რაც მთავარია, **რუსეთის** IX წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და **რუსეთის** კპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ.[2] ამ გადაწყვეტილების მიღების კატეგორიული მოთხოვნით პირველ რიგში გამოდიოდნენ ყოფილი აფხაზეთის სახალხო საბჭოს, სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი დეპუტატები ე.წ. *„დამოუკიდებლების“* (*«независимц»*-ების) ჯგუფიდან: მიხეილ ტარნავა, მიხეილ ცაგურია,

---

казе (1921г.). – *Южный Кавказ: Истоки сепаратизма, разрешение конфликтов, долговременный мир.* Материалы международной научно-практической конференции, посвящённой 90-летию Дипломатической службы Азербайджана (Тбилисский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили, 20 ноября 2009 года). Тб., 2009, გვ. 97-112 (http://azembassy.ge/files/file/1.pdf; აგრეთვე: http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri).

[1] *«... братские народы Аджарии, Абхазии и Осетии сами определяют свою судьбу»).* იხ.; **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение органов государственной власти. Образование ССР Абхазии. – *История Абхазской АССР*. Сухуми, 1983, გვ. 101.

[2] **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение органов государственной власти.., გვ. 101.

სამსონ ჭანბა და სხვები, რომლებიც შევიდნენ რევკომის შემადგენლობაში.[1]

მაგრამ მალე აფხაზმა ბოლშევიკებმა, ალბათ IX წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ზეწოლის შედეგად, „დაივიწყეს“ აფხაზი ხალხის ეროვნული ინტერესები და უკვე აფხაზეთის **რუსეთის** სფსრ-ის **შემადგენლობაში** შესვლის თეზისი წამოაყენეს. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა 1921 წ. 26 მარტს აფხაზეთის რევკომის წევრების: ეფრემ ეშბას, ნესტორ ლაკობას, პეტრე აღნიაშვილისა და ნიკოლოზ აქირთავას მიერ მოსკოვში ვ. ლენინთან და ი. სტალინთან გაგზავნილი შეკითხვა. ამ დოკუმენტში ისინი ინტერესდებოდნენ, თუ როგორი იქნებოდა პარტიის ხელმძღვანელთა აზრი აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხზე – *„იქნება თუ არა საბჭოთა აფხაზეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, თუ ადმინისტრაციული ერთეული და როგორი იქნება ზოგადი პოლიტიკა“*.[2] აფხაზეთის რევკომის წევრები იქვე სთავაზობდნენ ამ პრობლემის გადაჭრის თავიანთ ვარიანტს: *„საბჭოთა **აფხაზეთი უნდა შევიდეს უშუალოდ საერთო რუსულ ფედერაციაში**“*.[3] როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ვაი-პატრიოტები მოექცნენ მაშინ აფხაზეთის სათავეში.

კრემლმა აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხის გადაწყვეტა ამიერკავკასიაში თავის მთავარ ემისარს **რუსეთის** კპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს მდივანს სერგო ორჯონიკიძეს დაავალა, რომელმაც, როგორც ჩანს, პირველად გააცნობიერა, თუ რა სავალალო შედეგი მოიტანა თავის დროზე მის და სხვა ქართველი და აფხაზი ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულმა აღვირახსნილმა ანტიქართულმა პროპაგანდამ აფხაზეთში. ს. ორჯონიკიძე იძულებული შეიქმნა პირდაპირი ხაზით სასწრაფოდ დალაპარაკებოდა (1921 წ. 27 მარტს) ე. ეშბას და მოეწოდებინა მისთვის, გადაესინჯა პოზიცია აფხაზეთის **რუსეთის** სფსრ-ის **შემადგენლობაში შესვლის** შესახებ. ს. ორჯონიკიძესთან საუბარში აფ-

---

[1] **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 60.

[2] *«... будет ли советская Абхазия самостоятельной республикой или административной единицей и какова будет общая политика»).* იხ.: **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии. 1921-1938 гг. Сухуми, 1981, გვ. 41-42.

[3] *«Советская **Абхазия должна непосредственно входить в общероссийскую федерацию»).* იხ.: **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии. 1921-1938 гг. Сухуми, 1981, გვ. 41-42, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ხაზი ბოლშევიკების ხელმძღვანელი შეეცადა თავი ემართლებინა იმის გამო, რომ მან გადაუხვია ადრე (ს. ორჯონიკიძისა და ე. ეშბას შეხვედრა შედგა მოსკოვში, ჯერ კიდევ საქართველო-აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) მიღწეულ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც აფხაზეთი ავტონომიის სახით უნდა დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში: *„ჩვენ ვფიქრობდით,* – აღნიშნავდა ე. ეშბა, – *რომ აფხაზეთი იქნება საბჭოთა საქართველოს შემადგენელი ნაწილი, მაგრამ როდესაც აქ ჩამოვედით და გავერკვიეთ, თუ როგორ ატმოსფეროში მოვხვდით... ჩვენ ერთსულოვნად შევჯერდით, რომ ეროვნული შუღლის აღმოფხვრის მიზნით აუცილებლია თუნდაც დროებით, საბჭოების ყრილობამდე გამოგვეცხადებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა“*.[1] ს. ორჯონიკიძემ გამორიცხა აფხაზეთის რსფსრ-ის შემადგენლობაში შესვლის შესაძლებლობა, ვინაიდან **მსოფლიო თანამეგობრობა ამას შეაფასებდა როგორც ანექსიას რუსეთის სფსრ-ის მხრიდან**. ამიტომ მან აფხაზეთის რევკომის ხელმძღვანელებს ურჩია: *„აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარირებისას აევლოთ გვერდი ამა თუ იმ ფედერაციაში მისი შესვლის საკითხისათვის“*,[2] რასაც დაეთანხმა კიდეც ე. ეშბა.

1921 წ. 28-29 მარტს ბათუმში შედგა საგანგებო თათბირი მიძღვნილი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის სტრუქტურების საკითხისადმი. თათბირს ესწრებოდნენ ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და **რუსეთის** კპ(ბ) ცკ კავბიუროს წევრი სერგო ორჯონიკიძე; საქართველოს რევკომის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და XI წითელი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი შალვა ელიავა; ბათუმის ოლქის რევკომის თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მალაქია ტოროშელიძე; აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე, **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) აფხაზეთის ორგბიუროს წევრი ეფრემ ეშბა; აფხაზეთის რევკომისა და **რუსეთის** კპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროს წევრი, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ნესტორ ლაკობა. თათბირზე, მართალია გარკვეული პირობით, დააკმაყოფილეს „აფხაზი ამხანაგების“ თხოვნა და დაადგი-

---

[1] *«Мы думали, что Абхазия будет существовать как составная часть Советской Грузии, но когда мы сюда приехали и разобрались, в какую атмосферу попали... мы единодушно остановились на том, что для изживания национальной розни необходимо,* ***хотя бы временно,*** *до съездов советов объявить независимость Абхазии»).* იხ.: **Б. Е. Сагария.** Образование и укрепление.., გვ. 28; **А. Ментешашвили.** Исторические предпосилки.., გვ. 59, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«... при декларировании независимости Абхазии обойти вопрос о ее включении в ту или иную федерацию».* იხ.: **А. Ментешашвили.** Исторические.., გვ. 59.

ნეს: *„აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე საბჭოთა აფხაზეთის რუსეთის სფსრ-სთან და საქართველოს სსრ-სთან ფედერირების საკითხი დარჩეს ღიად... აფხაზეთი ცხადდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად. პარტიული ორგანიზაცია კონფერენციამდე იწოდება რუსეთის კომპარტიის ორგბიუროდ აფხაზეთში და მუშაობს რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს დირექტივების მიხედვით. საქართველოს რევკომის დეკრეტები უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ არ იყოს წინააღმდეგობანი ორივე რევკომის ქმედებებში“.*[1]

როგორც ვხედავთ, **ქართულმა მხარემ მაინც მოახერხა დაეფიქსირებინა, რომ აფხაზეთი ე.წ. „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ცხადდებოდა მხოლოდ დროებით, და რომ საბჭოების პირველსავე ყრილობაზე უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი, რომელ სახელმწიფოს – რუსეთის სფსრ-ს, თუ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დაუკავშირებდა თავის ბედს აფხაზეთი. სხვა ალტერნატივას აფხაზ ბოლშევიკებს არავინ არ სთავაზობდა.**

ბათუმის თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე 1921 წ. 31 მარტს აფხაზეთის რევკომმა ოფიციალურად გამოაცხადა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა და ამის შესახებ იმავე დღეს საზეიმოდ აუწყა ვ. ლენინს. ამასთან, ე. ეშბასა და მის თანამებრძოლებს არ დავიწყნიათ „ძლევამოსილი“ წითელი არმიის „დიდი გამათავისუფლებელი როლი“.[2] 1921 წ. 21 მაისს უკვე საქართველოს რევკომი მიესალმა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას და „ოფიციალურად ცნო“ ის. თუმცა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების „უმაღლესმა ორგანომ“ გამოთქვა რწმენა, რომ ***„აფხაზეთის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება*** *როგორც აფხაზეთის ისე* ***საქართველოს*** *მუშათა და გლეხთა საბჭოების I ყრილობაზე“.*[3]

საქართველოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, იძულებული შეიქნა, შეესრულებინა თავისი ადრინდე-

---

[1] *«До съезда Советов Абхазии вопрос о федерации Советской Абхазии с РСФСР и ССРГ оставляется открытым... Абхазия объявляется социалистической советской Республикой. Партийная организация до конференции носит название оргбюро РКП в Абхазии и работает по директивам Кавбюро ЦК РКП. Декреты ревкома Грузии должны служить для ревкома материалом, чтобы не было противоречии в действиях обоих ревкомов»* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 469.

[2] **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение.., გვ. 102.

[3] *«**вопрос Абхазии окончательно будет решен** на первом съезде Советов рабочих и крестьянских депутатов как Абхазии, так и **Грузии**».* იხ.: **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение.., გვ. 102, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ლი დაპირება „აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის მოძმე ხალხებისათვის“ მეტი თავისუფლების მინიჭების თაობაზე და 1921 წ. 21 მაისს „ოფიციალურად ცნო“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის „დამოუკიდებლობა“. სინამდვილეში კი არც კრემლის ხელძღვანელობას, არც ქართველ კომუნისტებს და არც თვით აფხაზ ბოლშევიკებსაც კი არასოდეს მოსვლიათ თავში მოსკოვისაგან დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნა. აფხაზეთისათვის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ ბოძება მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაცია იყო და მიზნად ისახავდა აფხაზური მოსახლეობის სეპარატისტულად განწყობილი ფენების მომხრობას. აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების ნამდვილი მოტივაცია ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ამიერკავკასიის ბოლშევიკების მაშინდელმა ხელმძღვანელმა სერგო ორჯონიკიძემ. აი, რას აცხადებდა ის 1921 წ. 12 აგვისტოს **რუსეთის** კპ(ბ) კავკასიის სამხარეო თათბირზე: *„როდესაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოითხოვა, ჩვენ მივუთითეთ აფხაზეთის კომუნისტებს, რომ ასეთი ერთი ციცქნა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა შეუძლებელია, მაგრამ მაინც დავთანხმდით ამას. ჩვენ ვამბობდით: თუ აფხაზი ხალხი უნდობლობას უცხადებს ქართველებს, მაშინ დაე აფხაზეთი იყოს დამოუკიდებელი, დაე მან მოიშუშოს თავისი ჭრილობები, მიყენებული მენშევიკებისაგან,* ***მაგრამ შემდგომ აფხაზები თვითონვე დარწმუნდებიან მეზობელ საბჭოთა საქართველოსთან მჭიდრო გაერთიანების აუცილებლობაში“***.[1]

ამ თვალსაზრისით არანაკლებ შთამბეჭდავი იყო აფხაზი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერის ნესტორ ლაკობას გამოსვლა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის პირველ სამხარეო კონფერენციაზე 1922 წ. იანვარში: *„როდესაც ჩვენ, აფხაზეთის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, განვუცხადეთ უფროს პარტიულ ამხანაგებს, იმისათვის, რომ მცირე ხალხებს, როგორიც აფხაზებია, შევუნარჩუნოთ საბჭოთა ხელისუფლების იდეა (და ეს მნიშვნელოვანია),* ***საჭიროა აფხაზეთი ერთი წუთით გამოცხადდეს დამოუკიდებელ რესპუბლიკად, ოღონდაც ეს დაეხმაროს საბჭოთა იდეის შენარჩუნებას, საბჭოთა წყობილების განმტკიცებას ამ ერთ ციცქნა აფხაზეთში.*** *საბჭოთა აფხაზეთი კი მას მერე რაც იარსება დამოუკიდებელ რესპუბლიკად, აცხადებს: ისტორიული და ეკონომიკური პირობები*

---

[1] *«Когда Абхазия потребовала независимость,* ***мы указали*** *коммунистам Абхазии, что* ***независимость такого крошечного государства невазможна****, но все же мы на это согласились. Мы говорили: если абхазский народ питает недоверие к грузинам то пусть Абхазия будет независима, пусть она излечит свои раны, нанесенные меньшевиками,* ***но в дальнейшем абхазы самы убедятся в необходимости тесного объединения с советской соседкой – Грузией»****.* იხ.: **А. Ментешашвили.** Исторические.., გვ. 64, ხაზგასმა ჩვენია **– ზ.პ.**

ითხოვენ, რომ ***აფხაზეთი და საქართველო უნდა შეადგენდნენ ერთ მთელს****“.*[1] როგორც ვხედავთ, სულ რაღაც რამდენიმე თვე ეყო ნ. ლაკობას, რომ „მომწიფებულიყო“ აფხაზეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების „ისტორიული აუცილებლობის“ აღიარებისათვის.

საქართველო-აფხაზეთის ახლადმოვლენილი „ბელადების“ ზემოთმოყვანილი გამონათქვამები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი ცრუ და ცინიკური იყო მათ მიერ გატარებული ე.წ. „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“, რომლის მთავარ მიზანს არა მცირე ერების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პერსპექტივაზე ზრუნვა, არამედ ახალი კომუნისტური იმპერიის შექმნა წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დაეთანხმო აფხაზ ისტორიკოსს სტანისლავ ლაკობას, როცა წერს: *„ილიჩი* (იგულისხმება ვ. ლენინი – **ზ.პ.**) *აღტკინებული იყო მსოფლიო რევოლუციის იდეით და აზროვნებდა არა „საქართველოებით“ და „აფხაზეთებით“, არამედ კონტინენტებითა და „აზიებით“.*[2] თუმცა, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ იგივე ს. ლაკობა თავისი ნაშრომის სხვა ადგილას მოდის წინააღმდეგობაში საკუთარ თვალსაზრისთან და რატომღაც ცდილობს ვ. ლენინი წარმოაჩინოს (ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის საპირისპიროდ, რომლებმაც მისი აზრით „მოახრჩვეს“ „აფხაზთა დამოუკიდებლობა“) აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ სულისჩამდგმელად.

ამასთან, ს. ლაკობა გვათავაზობს სრულიად ფანტასტიკურ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ვ. ლენინმა თითქოს აღუთქვა ეფრემ ეშბას აფხაზეთისათვის დამოუკიდებლობის ბოძება *„თურქეთში „აფხაზური მისიის“ წარმატებით დასრულების შემთხვევაში“.*[3] აქ იგულისხმება ე.წ. „დიპლომატიური დავალება“, რომელიც ვ. ლენინმა თითქოს მისცა ე. ეშბასა და ნ. ლაკობას თურქეთში ქემალ ათათურქის მთავრობასთან მოლაპარაკებისას. 1921 წ. 16 მარტს მოსკოვში დაიდო რუსეთ-თურქე-

---

[1] *«Когда мы, ответственные работники Абхазии, сказали нашим старшим товарищам по партии, что для того чтобы среди малых народностей, как например абхазской, сохранить идею советской власти (а это очень важно),* ***нужно на одну минуту объявить Абхазию независимой республикой, лишь бы это помогло сохранению советской идеи, укреплению советского строя в этой крошечной Абхазии****. А советская Абхазия просуществовав как независимая республика, говорит: Исторические и экономические условия требуют того, чтобы* ***Абхазия и Грузия составляли одно целое****».* იხ.: **Л. Тоидзе.** К вопросу.., გვ. 302, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Ильич был одержим идеей мировой революции и мыслил не «грузиями», «абхазиями», а континентами и «азиями».* იხ.: **С. З. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси. *Документы и факты.* Сухуми, 2001, გვ. 90.

[3] **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси.., გვ. 90.

თის ხელშეკრულება. ს. ლაკობას აზრით, ვ. ლენინმა „აჩუქა“ აფხაზეთს „დამოუკიდებლობა“ იმ ღვაწლის გამო, რომელიც თითქოს გასწიეს ამ მოლაპარაკებების დროს ე. ეშბამ და ნ. ლაკობამ ბათუმის საკითხზე შეთანხმების მიღწევისათვის.[1] ანუ აფხაზი მკვლევრის მტკიცებით ის, რომ თურქეთის მთავრობამ უარი თქვა ბათუმსა და მის შემოგარენზე, თურმე აფხაზი ბოლშევიკი ლიდერების დამსახურება ყოფილა, რის სანაცვლოდ მათ მიეცათ უფლება გამოეცხადებინათ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. ე.ი. გამოდის, რომ ვ. ლენინი ყველა გზებით ცდილობდა ბათუმის შემომტკიცებას, მაგრამ რატომღაც ამავე დროს, თმობდა აფხაზეთს.

რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ამ შემთხვევაში ს. ლაკობა შეგნებულად აბრიყვებს მკითხველს. მას შესანიშნავად ესმის, რომ ვ. ლენინს სულაც არ აინტერესებდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“. ამას ადასტურებს თუნდაც „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის“ ის პოლიტიკური ამბიციები, რომელზედაც, როგორც დავინახეთ, ყურადღება გაამახვილა თვით ს. ლაკობამ. მან არ შეიძლება არ იცოდეს ისიც, რომ ისეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნა, როგორიც იყო საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – ოფიციალურად სუვერენული სახელმწიფოები, – რომელთა სათავეში იდგნენ **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტისა და რკპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, მხოლოდ პოლიტიკური თამაში და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო. ამით რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი, არც მეტი არც ნაკლები, ცდილობდა დაეფარა ამიერკავკასიის ოკუპაცია და ანექსია.

რომელ დამოუკიდებლობაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როდესაც საქართველოს, სომხეთისა აზერბაიჯანის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველა საკითხი წყდებოდა მხოლოდ და მხოლოდ კრემლისა და პირადად ვ. ლენინის ოფიციალური დირექტივების მიხედვით. ამ კუთხით რად ღირს თუნდაც ვ. ლენინის ყბადაღებული წერილი: *„აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“*, დაწერილი 1921 წ. 14 აპრილს.[2] განა ს. ლაკობამ არ უნდა იცოდეს, რომ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ იღებდნენ არა ამ ე.წ. „სუვერენული სახელმწიფოების“ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოები, არამედ ზემდგომი პარტიული

---

[1] **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси.., გვ. 88.

[2] **В. И. Ленин**. Товарищам коммунистам Азербайджана, Армении, Грузии, Горской республики. – *Полное собрание сочинений* (შემდგომ – *ПСС*), 5-ое издание, т. 43. М., 1970, გვ. 198-200.

ინსტანციები, პირველ რიგში კი **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოსკოვში, ხოლო ამ გადაწყვეტილებების უშუალო რეალიზაცია ევალებოდა **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს.

ასე რომ, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის (რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთზე) საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გამოცხადებისას, არც ვ. ლენინსა და არც „პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს“ სხვა ხელმძღვანელებს გონებაშიც კი არ გაუვლიათ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსკოვისაგან ჩამოცილებული სუვერენული სახელმწიფოების შექმნა. ეს იყო მხოლოდ შირმა, რომლითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინიღბებოდა რუსეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის იმპერიული ზრახვები. ერთი სიტყვით, აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სპოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების ორგანიზატორები და ინსპირატორები აწყობდნენ შორს მიმავალ გეგმებს, რომლის საბოლოო მიზანი აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოცილება იყო.

ის, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება მხოლოდ დანარჩენი საქართველოსაგან მისი მოწყვეტის (რასაც ესწრაფვოდნენ აფხაზი ბოლშევიკები და მათი მფარველები საბჭოთა რუსეთის ოფიციალური წრეებიდან) საშუალება იყო, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური მოსკოვის ჭეშმარიტ ზრახვებზე ზუსტ და არაორაზროვან წარმოდგენას გვიქმნის საქართველოში რსფსრ საელჩოს სამხედრო ატაშის გენერალ პ. სიტინის მოხსენება საბჭოთა მთავრობისადმი, შედგენილი 1921 წ. 22 აპრილს.

გამოთქვამდა რა თავის შეშფოთებას „მცირე ერების“ (იგულისხმება ქართველობა – **ზ.პ.**) შოვინიზმის გამო, გენ. პ. სიტინი *„ერთ-ერთ პრევენციულ ღონისძიებად ადგილობრივი შოვინისტების წინააღმდეგ“* მიიჩნევდა *„საქართველოს საზღვრებში რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წითელი არმიის საკმაოდ ძლიერი ნაწილების დატოვებას“*. *„ქართული შოვინიზმის მატერიალურად და მორალურად შესასუსტებლად“* გამიზნულ მეორე ღონისძიებად კი გენერალი თვლიდა საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფას და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრის *„ბზიფის მარჯვენა სანაპირომდე... აფხაზეთთან უშუალო მეზობლად“* დაუყოვნებლივ გადაწევას. *„თუ ამის შემდეგ აფხაზ ხალხს,* – აცხადებდა პ. სიტინი, – *მაგალითად პლებისციტის ფორმით (მისი ჩატარება შეიძლება უმოკლეს დროში), შევეკითხებით... სახელმწიფოებრივი არსებობის რო-*

გორ ფორმას მოისურვებდა, ***უეჭველია, რომ აფხაზი ხალხი მოისურვებს სრულ შეერთებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან.*** *რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისათვის უდიდესი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ეს აქტი კი რუსეთს გადასცემს... უდიდეს ბუნებრივ სიმდიდრეებს... თვით საქართველო, საბჭოთაც კი (მით უმეტეს, აფხაზეთი) ვერასოდეს გაართმევს თავს ამ ქვეყნის ტყეების და მთების უზარმაზარი სიმდიდრეების ათვისებას და მეთამბაქოების და მეთევზეობის სწორად დაყენების ამოცანას... ამრიგად,* – ასკვნის პ. სიტინი, – ***საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფა ნაკარნახევია ყველა მოსაზრებით და ამის განხორციელების დაყოვნებამ, შესაძლებელია ძალზე არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს“.***[1]

გენ. პ. სიტინი არ სჯერდება აფხაზეთის ჩამოცილებას საქართველოსაგან და რუსეთის ხელისუფლებას სთავაზობს ყურადღება მიაქციოს სამეგრელოს, რომელიც *„ენგურის გასწვრივ უშუალოდ ესაზღვრება აფხაზეთს და სამხრეთით გადაჭიმულია მდინარე რიონამდე...* ***თუ კი მეგრელებსაც აფხაზების მსგავსად მიეცემა ავტონომია სტრატეგიული თვალსაზრისით ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე ტერიტორიაც შეიძლება უშუალოდ მოექცეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გავლენის ქვეშ“.*** პ. სიტინი არ მალავს, რომ ყოველივე ეს არის: ***„საქართველოს რესპუბლიკის რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის გავლენას დაქვემდებარებულ ავტონომიურ***

---

[1] *«Одной из предупредительных мер против местных шовинистов» «оставление достаточно сильных отрядов Красной Армии РСФСР в пределах Грузии... Второй мерой, ослабляющей грузинский шовинизм и территориально и материально... отделение Абхазии... Надо немедленно продвинуть границу РСФСР до правого берега р. Бзыби, т.е. непосредственного соседства Абхазией. Если засим абхазскому народу будет поставлен, например, путьем плебисцита, вопрос о желательной форме государственного бытия, то нет никакого сомнения (можно взятсья провести это в кратчайший срок),* ***абхазский народ вынесет решение о полном присоединении к РСФСР****, а такой акт, кроме огромного его стратегического и политического значения для РСФСР, передаст в руки ВСНХ (РСФСР) значительнейшие народные богатства этой страны... Самой Грузии, хотя и советской (ни тем более одной Абхазии) никогда не справится с задачей правильной эксплуатации огромных лесных и горных богатств этой страны, ни даже с правильной постановкой тобаководства, рыболовства и т.д. ...Таким образом,* ***отделение Абхазии от Грузии диктуется всеми соображениями, и замедление осуществления этого может быть чревато самыми нежелательными последствиями****...».* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 470-472, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ერთეულებად დანაწევრების გზა“ და იქვე უთითებს, რომ *„ეს ავტონომიური ერთეულები ნაკლებ ყურადღებას მოითხოვენ“*.[1]

აი, როგორ იდეებს ქადაგებდნენ საბჭოთა რუსეთის მაღალი ჩინის რუსი სამხედრო მოხელეები საქართველოს მიმართ. აი, როგორ ზრუნავდნენ ისინი აფხაზთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პერსპექტივებზე და როგორი „დამოუკიდებლობით“ უბნევდნენ თავგზას აფხაზეთის რიგით მოქალაქეებს კომუნისტური „სამოთხის“ მშენებელები. მხოლოდ ბრმას არ შეუძლია დაინახოს იმ „მოღვაწეთა“ ჭეშმარიტი სახე, რომლებიც უბიძგებდნენ აფხაზებს „დამოუკიდებლობისაკენ“. დასანანია, რომ აფხაზური ნაციონალ-სეპარატიზმის თანამედროვე იდეოლოგები დღემდე უმალავენ სიმართლეს თავიანთ თანამემამულეებს და ყოველნაირად ცდილობენ დაარწმუნონ ისინი, რომ 1921 წ. მარტში აფხაზეთმა თითქოს მოიპოვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

1921 წ. მარტში აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება რომ ფორმალური აქტი იყო და რომ აფხაზეთს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში (ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სახით) შესვლამდეც (1921 წ. დეკემბერი) კი არავინ არ განიხილავდა როგორც „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკას, ნათლად ჩანს იმ პერიოდის ოფიციალური დოკუმენტებიდან. ამ მხრივ მკვლევრები პირველ რიგში უთითებენ ვ. ლენინის ზემოთნახსენებ წერილს: *„აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“*. ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერს თავისი კავკასიელი თანამებრძოლებისადმი „რჩევა-დარიგებების“ მიცემისას რატომღაც „დაავიწყდა“ კიდევ ერთი „სუვერენული“ რესპუბლიკა – აფხაზეთის სსრ. მოგვიანებით (1921 წ. 28 ნოემბერს), ვ. ლენინმა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის (რკპ/ბ/ ცკ-ის) პოლიტბიუროს წარუდგინა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერირების პროექტი (ეს პროექტი მცირეოდენი ცვლილებებით პოლიტბიურომ მიიღო 1921 წ. 29 ნოემბერს). პოლიტბიუროსადმი წარდგენილ პროექტში ვ. ლენინი აყენებდა წინადადებას: ***„შეეთავაზებინათ***

---

[1] *«**Вслед за Абхазией надо обратить внимание на Мингрелию...** Мингрелия непосредственно граничит по р. Ингури с Абхазией и простирается к югу до р. Риони. Эта территория ... чрезвичайно большая в стратегическом отношении... также может быть подчинена непосредственному влиянию РСФСР, **если и мингрельцам, как абхазцам будет дана автономия... путь расчленения Грузинской республики на ряд автономных единиц**... **подчиненных влиянию РСФСР**... Эти единицы меньше заслуживают большего внимания...»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 470-472, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

საქართველოს, სომხეთისა *და* ***აზერბაიჯანის*** *ცენტრალური კომიტეტებისათვის* ***კავბიუროს მეშვეობით*** *დაეყენებინათ საკითხი ფედერაციის შესახებ უფრო ფართოდ... ენერგიულად ეწარმოებინათ პროპაგანდა ფედერაციის მხარდასაჭერად... მიეღოთ გადაწყვეტილება თითოეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობაზე".*[1] ე.ი. უშუალოდ ვ. ლენინის მიერ მომზადებულ ამ დოკუმენტშიც რატომღაც კვლავ „გამორჩენილია" აფხაზეთი და ამიერკავკასიის ფედერაციის სუბიექტებად მოიხსენიება მხოლოდ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

აფხაზეთის რეალური სახელმწიფოებრივი სტატუსის გასარკვევად (1921 წ. 16 დეკემბრამდე) საყურადღებოა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მთავარი სამმართველოს უფროსის ნ. სოკოლოვის მიერ ხელმოწერილი ცირკულიარი დევნილების შესახებ, რომელიც დაეგზავნა: *„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და* ***აფხაზეთისა*** *და აჭარის* ***ავტონომიური რესპუბლიკების*** *ქალაქებისა და მაზრების რევკომების თავმჯდომარეებს".*[2] ასევე ცნობილია ფაქტები საქართველოს რევკომისა და ცალკეული სახალხო კომისარიატების მხრიდან ოფიციალური სადირექტივო მასალების გაგზავნისა აფხაზეთის რევკომისათვის *„ცნობისათვის და შესასრულებლად" («для сведения и исполнения»), „ზუსტად შესასრულებლად" («точного исполнения»,), „ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ და დაუყოვნებლივ შესასრულებლად" («для сведения и руководства и срочного исполнения»)*[3] და ა.შ.

მკვლევრები აქცევენ ყურადღებას აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საქართველოს რევკომი აფხაზეთის ასსრ ე.წ „ცნობის" შემდეგაც თავის სხდომებზე არაერთხელ იხილავდა აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებს – მისთვის კრედიტების გამოყოფის, ტყვარჩელის მაღაროების, ბზიფის კონცესიის დადების შესახებ[4] და ა.შ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ

---

[1] *«**Предложить** центральным комитетам **Грузии, Армении** и **Азербайджана** (**через Кавбюро**) поставить вопрос о федерации пошире... энергично вести пропаганду за федерацию, провести ее через съезд Советов каждой Республики...»*. იხ.: **В. И. Ленин.** Записка И. В. Сталину с проектом постановления политбюро ЦК РКП(б) по вопросу об образовании федерации Закавказских республик. – *ПСС*, т. 44. М., 1970, გვ. 255; **А. Ментешашвили.** Исторические предпосилки.., გვ. 67, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«...председателям ревкомов уездов и городов Грузинской советской социалистической республики и **Абхазской** и Аджарской **автономных республик**»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая.., გვ. 117, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии.., გვ. 117.

[4] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии.., გვ. 117.

1921 წ. 21 მაისს – საქართველოს რევკომის მიერ აფხაზეთის სსრ-ის „ცნობის“ დღეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა **ბზიფის კონცესიის** შექმნის შესახებ ხელშეკრულების დადების საკითხი და დაადგინა: *„არ გაეწიოს წინააღმდეგობა **საქართველოს მთავრობის მიერ ამ კონცესიის ხელის მოწერას,** თუ ის სოლიდური და სასარგებლოა“*.[1]

ტყვარჩელის საბადოებთან დაკავშირებით, არანაკლებ მრავლისმეტყველია ვ. ლენინის დირექტივა ს. ორჯონიკიძისადმი დათარიღებული ჯერ კიდევ 1921 წ. 5 აპრილით: *„„თქვენი პასუხი არასრული და გაურკვეველია. **ვითხოვ საქართველოს რევკომისაგან** დეტალებს. პირველი, **დაადასტურა თუ არა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ კონცესია იტალიელებთან ტყვარჩელის საბადოზე**, როდის, რა პირობებში, გვაცნობეთ მოკლედ ტელეგრაფით, დაწვრილებით წერილით. მეორე, ჭიათურის მარგანეცის საბადოების შესახებ: გადაიყვანეს თუ არა გერმანელი მესაკუთრენი არენდატორებისა და კონცესიონერების მდგომარეობაში, როდის, როგორია პირობები. **უკიდურესად მნიშვნელოვანია,** რომ ამ და ამგვარ საკითხებზე **გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას უსწრაფესად. ამას აქვს გიგანტური მნიშვნელობა** საქართველოსთვისაც და **რუსეთისთვისაც,** რადგან კონცესიები, განსაკუთრებით იტალიასთან და გერმანიასთან, აუცილებელია უპირობოდ, როგორც საქონელგაცვლა ნავთობის (სფეროში), დიდი მასშტაბით ამ ქვეყნებთან, შემდგომ კი სხვებთანაც. **ვითხოვ, მამყოფოთ საქართველოს რევკომის ღონისძიებების საქმის კურსში**“*.[2]

ეს ფრაგმენტი ნათლად მიუთითებს, რომ ამ დროს (არადა, 1921 წ. 31 მარტიდან აფხაზეთი თითქოს ითვლებოდა „დამოუკიდებელ“ საბ-

---

[1] *«Не возражать против **подписания э**той концессии **Правительством Грузии** если она является солидной и полезной»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 117, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Ваш ответ неполон и неясен. Прошу узнать **у Грузинревкома** подробности. Первое, **подтвердило ли совправительство Грузии концессию итальянцам на ткварчельские копи,** когда, каковы условия, сообщите кратко телеграфом, подробнее письмом. Второе, насчет чиатурских марганцевых копей: перевели ли немцев-собственников на положение арендаторов или концессионеров, когда, какие условия. **Крайне важно, чтобы** по этим и подобным вопросам **решения были самые быстрые**. **Это имеет гигантское значение** и для Грузии и **для России,** ибо концессии, особенно с Италией и Германией, необходимы безусловно, как и товарообмен за нефть, в большом масштабе с этими странами, а потом и с другими. **Прошу извещать меня о мерах Грузинревкома»**.* იხ.: **В. И. Ленин.** Телеграмма Г. К. Орджоникидзе. – *ПСС,* т. 52. М., 1982, გვ. 126-127, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ჭოთა რესპუბლიკად) აფხაზეთს ლენინი აშკარად საქართველოს ნაწილად განიხილავდა და სულაც არ მიიჩნევდა საჭიროდ ტყვარჩელის საბადოების საკითხი შეეთანხმებინა „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის სსრ-ის რევკომთან. ტყვარჩელის საბადოებზე ყურადღებას ლენინი ამახვილებდა თავის მიმართვაში (1921 წ. 14 აპრილი) კავკასიის (აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, მთის რესპუბლიკისა და დაღესტნის) კომუნისტებისადმი.[1]

ასევე იქცევს ყურადღებას ის ფაქტიც, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი არ ფიგურირებდა კავკასიის ეკონომიკურ კავშირში, რომელიც შეიქმნა 1921 წ. აგვისტოში. ამ კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, აგრეთვე: დაღესტანი, მთის რესპუბლიკა, ყაბარდო და ნახიჭევანი. აფხაზეთი ასევე არ შედიოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „ეკონომიკურ ბიუროში“, რომელიც შექმნა **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ 1921 წ. 16 აგვისტოს.[2] აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თვით **რუსეთის** კპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს პლენუმებსა და სხდომებში აფხაზეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვა ავტონომიების წარგზავნილებთან ერთად, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით.

აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი (1921 წ. 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში „ხელშეკრულებით“ შესვლამდე) ხაზგასმულია კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა კანცელარიიდან გამოსულ რიგ დოკუმენტებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა განმარტება, რომელიც მოცემულია რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (რსფსრ) ეროვნებათა საქმეთა სახალხო კომისრისა და ამავე დროს მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისრის ი. სტალინის მითითებაში რუსეთის სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) მდივნის აბელ ენუქიძისადმი: ***„აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ავტონომიური ნაწილი,*** *აქედან გამომდინარე* ***რუსეთის სფსრ-ში დამოუკიდებელი წარმომადგენელი არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს.*** *ამიტომ* ***მას არ შეუძლია რსფსრ-ისაგან კრედიტის მიღება“.***[3] უფრო კატეგორიული იყო ი. სტალინის დეპეშა გაგზავნილი იმავე ა. ენუქიძი-

---

[1] **В. И. Ленин**. Товарищам коммунистам Азербайджана, Армении.., გვ. 199.

[2] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 118.

[3] ***«Абхазия является автономной частю независимой Грузии,*** *отсюда* ***самостоятельных представителей при РСФСР не имеет и не должна иметь****. Поэтому* ***кредит от РСФСР она не может получит»****.* იხ.: **А. Ментешашвили.** Исторические предпосилки.., გვ. 67, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

სადმი 1921 წ. სექტემბერს: *„**ვიზა აფხაზებისათვის ფულის გაცემის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანხმობის გარეშე ბათილია...** აფხაზებმა ევროპელებს მიჰყიდეს რამდენიმე მილიონი ფუთი თამბაქო... ისე, რომ **ანგარიში არ წარუდგენიათ** არც **საქართველოსათვის** და არც რუსეთის სფსრ-სთვის“.*[1]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კრემლის ხელმძღვანელობა ი. სტალინის სახით იმთავითვე განიხილავდა აფხაზეთს, როგორც საქართველოს ავტონომიურ ერთეულს. და ეს იყო მოსკოვის ხელისუფლების ოფიციალური თვალსაზრისი და არა „მძლეთამძლე ქართველის“ ი. სტალინის ხრიკები, როგორც ეს წარმოუდგენია აფხაზ ისტორიკოსს ს. ლაკობას. სულ ტყუილად ცდილობს ჩვენი აფხაზი კოლეგა მოახდინოს ი. სტალინის, თითქოს თავისი სამშობლოს – საქართველოსათვის თავგადაკლული „პატრიოტის“ რეაბილიტაცია. მას ავიწყდება, რომ სწორედ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე თავიანთ თანამებრძოლ ქართველ კომუნისტ-ინტერნაციონალისტებთან ერთად იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის „მესაფლავენი“. ავიწყდება, რომ სწორედ ი. სტალინმა და ს. ორჯონიკიძემ მოაწყვეს „ძლევამოსილი“ წითელი არმიის „ტრიუმფალური ლაშქრობა“ საქართველოში, ხოლო მოგვიანებით მათვე ძალით „შეათრიეს“ საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში, რითაც ფაქტობრივად წაართვეს მას სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარეგნული ატრიბუტებიც კი.

შევეხოთ ოფიციალურ დოკუმენტებს, რომლებშიც არაორაზროვნად დასტურდება თბილისის ბოლშევიკური რეჟიმის მიერ აფხაზი კომუნისტებისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ „მედგარი ბრძოლის“ სანაცვლოდ ბოძებული აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ დროებითი ხასიათი. როგოც უკვე ზემოთ აღინიშნა, აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული ლიდერი ნესტორ ლაკობა უკვე 1921 წ. იანვარში ხაზს უსვამდა, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ 1921 წ. მარტში გამოცხადდა მხოლოდ დროებით, *„ერთი წუთით“*. უფრო ადრე, 1921 წ. მარტში, აფხაზი კომუნისტების მეორე ლიდერი ეფრემ ეშბა ასევე ითხოვდა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას *„დროებით, საბჭოების ყრილობამდე“*.[2] და ეს სულაც არ რჩებოდა დეკლარაციულ განცხადებად, მას თან ახლდა როგორც საკუთრივ აფხაზეთის, ისე საქართველოს ოფიციალურ უწყებათა, აგრეთვე, ზემდგომი

---

[1] ***«Виза... о выдаче денег абхазцам без согласия Наркомфина Грузии недействительна**... Абхазцы продали европейцам несколько млн. пудов табаку... не представив отчета ни **Грузии,** ни РСФСР»*. იხ.: **А. Ментешашвили.** Исторические предпосилки.., გვ. 67, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии.., გვ. 303.

პარტიული ინსტანციების კონკრეტული ნაბიჯები. ასე მაგალითად, 1921 წ. 5 ივლისს **რუსეთის** კპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ი. სტალინმა, სპეციალურად განიხილა აფხაზეთის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება პარტიული მუშაობის წარმართვის შესახებ *„**ავტონომიური ფორმით საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და საქართველოს გაერთიანების** მიმართულებით“*.[1]

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ცალკეული აფხაზი ლიდერები სულაც არ იყვნენ აღფრთოვანებულნი ზემდგომი პარტიული ინსტანციების ამგვარი რეკომენდაციებით. ეს ნათლად გამომჟღავნდა 1921 წ. 15 ოქტომბერს **რუსეთის** კპ(ბ) აფხაზეთის ორგბიუროსა და აფხაზეთის რევკომის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოსა და აფხაზეთს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების შესახებ: *„ორ მოკავშირე რესპუბლიკას შორის ოფიციალური ხელშეკრულების საფუძველზე“*.[2] უფრო მეტიც, ე. ეშბამ თავის წერილში კავბიუროსადმი (1921 წ. 14 ნოემბერი) ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთის უშუალოდ (საქართველოსაგან დამოუკიდებლად) გაწევრიანების საკითხიც კი დააყენა.[3] მაგრამ **რუსეთის** კპ(ბ) ცკ კავბიუროს პრეზიდიუმმა 1921 წ. 16 ნოემბერს სპეციალურად განიხილა რა საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობების საკითხი, ე. ეშბას მონაწილეობით სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო: *„1. **დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა** ეკონომიკურად და პოლიტიკურად **მიჩნეულ იქნას მიზანშეუწონლად**. 2. ამხანაგ ეშბასთვის შეთავაზებულ იქნას წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა **აფხაზეთის შესვლის შესახებ საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ხელშეკრულებით საფუძველზე, ან რუსეთის სფსრ-იში ავტონომიური ოლქის საწყისებზე**“*.[4]

ერთი სიტყვით, კავკასიის უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ გამოიტანა საბოლოო ვერდიქტი, რომლითაც ფაქტობრივად წერტილი დაუსვა აფხაზეთის მოჩვენებით „დამოუკიდებლობას“. აღნიშ-

---

[1] *«... в направлении **объединения Абхазии и Грузии в форме автономной республики входящей в состав Грузии»*. იხ.: **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом.., გვ. 299, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«... путем официального договора двух союзных республик»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии.., გვ. 481.

[3] **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии.., გვ. 301.

[4] *«1. Считать экономически и политически **нецелесообразным существование независимой Абхазии**. 2. Предложить тов. Эшба представить свое окончательное заключение **о вхождении Абхазии в состав Федерации Грузии на договорных началах, или на началах автономной области – в РСФСР»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая.., გვ. 482, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ნულმა დოკუმენტმა მკლევართა ყურადღება მიიპყრო იმის გამოც, რომ მასში შემოთავაზებული იყო აფხაზეთის მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის ორი ვარიანტი. პირველ შემთხვევაში, აფხაზეთს აძლევდნენ ე.წ. „ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“ სტატუსს საქართველოს სსრ-ის ფარგლებში, ხოლო მეორე შემთხვევაში ხდებოდა რუსეთის სფსრ-ის ნაწილი, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსით, რაც „ხელშეკრულებით რესპუბლიკაზე“ ორი საფეხურით დაბლა იყო. როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ლ. თოიძე, ამ დადგენილებაში აშკარად გამოიკვეთა „საქართველოს ერთგვარი დისკრიმინაცია“.[1]

1921 წ. 24 ნოემბერს **რუსეთის** კპ(ბ) კავბიუროს გადაწყვეტილებით რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ორგბიურო აფხაზეთში დაუქვემდებარეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო ე. ეშბა შეყვანილ იქნა საქართველოს კპ ცკ-ის შემადგენლობაში. საბოლოოდ კი, აფხაზეთის სსრ-ის ე.წ. „სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას“ წერტილი დაესვა 1921 წ. 16 დეკემბერს, როდესაც თბილისში ხელი მოეწერა ე.წ. *„სამოკავშირეო ხელშეკრულებას“* საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. ამ ხელშეკრულებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ე.წ. *„ხელშეკრულებითი რესპუბლიკის“* სტატუსით.

ის, რომ აფხაზეთი 1921 წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიულად საქართველოს სსრ-ის ნაწილი გახდა, საყოველთაოდ აღიარებული, უდავო ფაქტია, რომელიც ადრე არასოდეს დამდგარა ეჭვის ქვეშ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ნაწყვეტები 1983 წელს სოხუმში გამოჩენილი აფხაზი იტორიკოსის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. გიორგი ძიძარიას ხელმძღვანელობით მომზადებული 1917-1937 წწ. აფხაზეთის ისტორიის ამსახველი განმაზოგადებელი ფუნდამენტალური ნაშრომიდან *(«История Абхазской АССР (1917-1937) »*. ამ გამოცემის შესაბამისი თავი დაწერილია ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის **ბაჯგურ საღარიას** მიერ. აი, რას წერდა ბ. საღარია 1983 წელს (XX ს. 90-იანი წლებიდან ის, მთლიანად ჩადგა რა სეპარატისტული იდეოლოგიის სამსახურში, სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდა): ***„აფხაზეთის შესვლას საქართველოს შემადგენლობაში*** *ხელშეკრულებით საწყისებზე* ***უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“***.[2] ან კი-

---

[1] **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом статусе Абхазии.., გვ. 301.

[2] ***«Вхождение Абхазии*** *на договорных началах* ***в состав*** *советской* ***Грузии, несомненно имело большое значение».*** იხ.: **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение.., გვ. 106, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

დევ, *„**აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის** შექმნა და ... **შესვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში** ხელშეკრულებით საწყისებზე **და მისი მეშვეობით ამიერკავკასიის სფსრ-სა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში** – იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ლენინური იდეების სიცოცხლისუნარიანობის დადასტურება“.*[1]

მაგრამ ამ უცილობელ ჭეშმარიტებას – აფხაზეთის შესვლას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში 1921 წ. 16 დეკემბერს – უკანასკნელ წლებში სრულიად უაპელაციოდ უარყოფენ აფხაზი ისტორიკოსები და, პირველ რიგში, ს. ლაკობა. მათი აზრით, ამ დროს ადგილი ჰქონდა არა აფხაზეთის შემოყვანას ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში, არამედ ორი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაერთიანებას. ს. ლაკობას მტკიცებით, სწორედ ეს ფორმა – გაერთიანება არის დაფიქსირებული საქართველოს სსრ-ის 1922 და 1927 წლების კონსტიტუციებში. შესაბამის მუხლებს აფხაზი ისტორიკოსის მიერ ნახსენები საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციებიდან, აგრეთვე აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციიდან, ჩვენ მოგვიანებით აუცილებლად მივუბრუნდებით, ამჯერად კი შევეხებით თვით 16 დეკემბრის ხელშეკრულებას, რომლის ცალკეული მუხლები ერთნიშნად მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთი რაღაც თანასწორუფლებიანი ფედერაციის სუბიექტი კი არ გამხდარა, არამედ ხელშეკრულებით საწყისებზე ნამდვილად შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

ასე, 1921 წ. 16 დეკემბრის ხელშეკრულებით გაერთიანებულად ცხადდებოდა: სამხედრო, ფინანსთა, სახალხო მეურნეობის, ფოსტისა და ტელეგრაფის, იუსტიციის სახალხო კომისარიატები, აგრეთვე საგანგებო კომისია, მუშურ-გლეხური ინსპექცია და ა.შ. საგარეო საქმეები *„**მთლიანად რჩებოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განმგებლობაში**“.*[2] ძალიან მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების მე-4 მუხლი, რომლის თანახმად აფხაზეთი უნდა შესულიყო *„ყველა სამხარეო გაერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში **საქართველოს მეშვეობით**“ («во все краевые объединения, в частности в Федерацию Закавказских республик... **через Грузию**»)*, რომელიც გამოყოფდა მისთვის *„თავისი ადგილების ერთ მესამედს“.*[3]

---

[1] *«**Образование ССР Абхазии и вхождение ее в состав ССР Грузии** на договорных началах и **через нее** в **ЗСФСР и СССР** – свидетельство жизненности ленинских идей национальной политики КПСС»*. იხ.: **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение.., გვ. 106, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«...**целиком в введении Социалистической Республики Грузии**»)* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая.., გვ. 483-484, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 483-484, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში დადასტურებული იყო როგორც აფხაზეთის, ისე სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობების ყველა ოფიციალურ დოკუმენტში. ასე მაგალითად, თვით ბ. საღარიაც კი აღიარებს, რომ *„აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ საკანონმდებლო დონეზე განამტკიცა* ***საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მდგომარეობის ფორმა“***.[1] რაც შეეხება 1922 წლის საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას, რომლისკენაც იშვერს თითს ს. ლაკობა, მასში ჩვენი აფხაზი კოლეგის სურვილის საწინააღმდეგოდ, პირდაპირაა მითითებული, რომ *„**საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის **შემადგენლობაში შედიან** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი* და ***აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,*** *რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაერთიანებულია ამ რესპუბლიკებს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე“*.[2]

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ **ყველა დასახელებული ერთეული,** მიუხედავად მათი განსხვავებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსისა, **შედიოდა ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელსაც ერქვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.**

1921 წ. 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის სსრ-ის შორის დადებული ე.წ. *„სამოკავშირეო ხელშეკრულების“* საფუძველზე აფხაზეთის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შესვლის ფაქტს, როგორც უკვე აღინიშნა, არ ცნობს სეპარატისტული „ისტორიოგრაფია“. უფრო მეტიც, XX ს. 80-იან წლებში ეს იქცა პოლიტიკურ-იდეოლოგიური სპეკულაციის საგნად სეპარატისტ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა მხრიდან. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ შესაბამისი ჩანაწერი საქართველოს სსრ-ის 1922 წლის კონსტიტუციიდან, რომელშიც ერთნიშნადაა დაფიქსირებული, რომ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სსრ შედიან საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. დავუშვათ,

---

[1] *«Первый съезд Советов Абхазии законодательно* ***закрепил форму государственного-правового положения Абхазии в составе Грузии****»*. იხ.: **Б. Е. Сагария.** Создание и упрочение.., გვ. 106, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«**В состав** Социалистической Советской Республики **Грузия входят** ... Автономная Социалистическая Советская Республика Аджарии, автономная область Южной Осетии и **Социалистическая Советская Республика Абхазии**, которая объединяется с Социалистической Советской Республикой Грузии на основе особого союзного между этими республиками договора»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 485, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

წარმოვიდგინოთ, რომ აფხაზეთის სსრ პარიტეტულ საწყისებზე ერთიანდებოდა დანარჩენ საქართველოსთან და ამ გზით მართლაც ქმნიდა ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტისაგან შემდგარ ფედერაციას, ანუ როგორც ამჟამად ამბობენ *„სამოკავშირეო სახელმწიფოს“*, მაშინ რასაკვირველია, ეს აუცილებლად უნდა ასახულიყო ამ ე.წ. „ახალი სახელმწიფოს“ სახელწოდებაში.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში თანასწორუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა „სამოკავშირეო სახელმწიფოები“, რომლებმაც მიიღეს ახალი სახელწოდებები. თავდაპირველად ეს იყო ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელშიც გაერთიანდა სამი სუვერენული სუბიექტი: საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ, ხოლო მოგვიანებით უკვე ამ ახლადშექმნილმა სახელმწიფომ ამიერკავკასიის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა, სამოკავშირეო ხელშეკრულება დადო რსფსრ-სთან, უკრაინის სსრ-თან და ბელორუსიის სსრ-თან და შექმნა ახალი სამოკავშირეო სახელმწიფო – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სსრკ-ის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში საგანგებოდ იყო განმარტებული, რომ ამიერკავკასიის სფსრ თავის მხრივ წარმოადგენდა სამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას: საქართველოს სსრ-ს, სომხეთის სსრ-ს და აზერბაიჯანის სსრ-ს. რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთს, ის არა თუ არ იყო ამ ახალი გაერთიანების – სსრ კავშირის – დამოუკიდებელი სუბიექტი (ასეთი საქართველოს სსრ-ც კი არ იყო), არამედ ის საერთოდ ფიგურირებდა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის.

უფრო მეტიც, სამოკავშირეო ხელშეკრულების მე-15 მუხლის მე-4 თავის მიხედვით *„აჭარისა* და ***აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკები“*** *(«**автономные республики** Аджария и **Абхазия**»)* დე-ფაქტო უთანაბრდებოდნენ რუსეთის სფსრ-ის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ოლქებს. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ რუსეთის სფსრ-ის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ეროვნებათა საბჭოში აგზავნიდნენ 5 წარმომადგენელს (სხვათა შორის, იმდენივეს, რამდენსაც ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკები“), აჭარასა და აფხაზეთს ჰქონდათ მხოლოდ თითო წარმომადგენლის (ანუ იმდენივესი, რამდენიც ჰყავდა რუსეთის სფსრ-ის ავტონომიურ ოლქებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და ნახიჭევანის ავტონომიურ ოლქებს) ყოლის უფლება.[1]

---

[1] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 489, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ..**

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, ოფიციალურადაა დაფიქსირებული სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში: *„აჭარისა და **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები** სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბახის და ნახიჭევნის ავტონომიური ოლქები აგ ზავნიან ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს“*.[1] ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ჩანაწერმა შეიყვანა შეცდომაში ა. ნუსბერგერი და ამიტომ ჩათვალა მან „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის რესპუბლიკა გაუქმებულად სტალინის მიერ მაინცდამაინც **1924 წელს**. არადა, პატივცემულ კოლეგას ნადვილად არ აწყენდა მეტი ყურადღების გამოჩენა და იმის დადგენა თუ საიდან იღებდა სათავეს 1924 წლის კონსტიტუციის ეს ჩანაწერი, რომელიც მთლიანად და უცვლელად გადმოტანილია ჯერ კიდევ **1922 წ. 30 დეკემბერს** სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობაზე დამტკიცებული *„სამოკავშირეო (სსრ კავშირის შექმნის შესახებ) ხელშეკრულებიდან“*. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკად მოიხსენიება იმავე 1922 წელს მიღებულ არაერთ ოფიციალურ პარტიულ დოკუმენტშიც. ასე მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაში: *„ავტონომიური რესპუბლიკების, არმიის ... მიერ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ცენტრისთვის წარსადგენი რაოდენობის შესახებ“ («О числе мест в ЦИК, предоставляемом Центру, автономным Республикам, армии...»* /1922 წ. 27 თებერვალი/) გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი: *„წარედგინოს: ცენტრს 35, **აფხაზეთისა** და აჭარის **ავტონომიურ რესპუბლიკებს**... 3-3 ადგილი“ («Предоставить: Центру 35, **автономным республикам Абхазии**, Аджарии... по 3 места»)*.[2]

ის, რომ აფხაზეთის სსრ იმთავითვე იყო საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური ერთეული, ჩანს იქიდანაც, რომ მისი ბიუჯეტი იყო საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი, ხოლო აფხაზეთის სამთავრობო უწყებები და პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, პარტიული სტრუქტურები კი – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ **რუსეთის** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) აფხაზეთის ორგანიზაციამ თავის პირველსავე საოლქო კონფერენციაზე (1922 წ. 7-12 იანვარი) მიიღო გადაწყვეტილება სახელწოდების შეცვლის შესახებ და ამიერიდან მას

---

[1] *«...**автономные республики** Аджарии и **Абхазии**, Юго-Осетинская, Нагорно-Карабахская и Нахичеванская автономные области посылают в Совет Национальностей по одному представителю»*. იხ.: **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом.., გვ. 303, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом.., გვ. 303, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ეწოდა **საქართველოს** კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) აფხაზეთის ორგანიზაცია. კონფერენციაზე არჩეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატები.[1] ოდნავ მოგვიანებით, 1922 წ. 12-18 თებერვალს, შედგა აფხაზეთის საბჭოების I ყრილობა, რომელმაც აირჩია საქართველოს საბჭოების I ყრილობის დელეგატები.[2]

იმ ოფიციალურ მასალებს შორის, რომლებიც **ერთნიშნად ადასტურებენ აფხაზეთის ავტონომიურ სტატუსს საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში**, უაღრესად საინტერესოა ნაწყვეტი ამიერკავკასიის კომუნისტების მაშინდელი ლიდერის სერგო ორჯონიკიძის გამოსვლიდან თბილისის საბჭოს სხდომაზე 1924 წ. 5 სექტემბერს: *„რაც შეეხება **აფხაზეთსა** და აჭარას, სწორედ **იმ ნაწილს ჩვენი რესპუბლიკისა*** (იგულისხმება საქართველო – **ზ.პ.**), *რომელიც არაერთხელ აჯანყებულა მენშევიკებისა და მათი ტირანიის წინააღმდეგ, ამ **ავტონომიურმა რესპუბლიკებმა...** არ დაუჭირეს მხარი მენშევიკების ავანტიურას...“.*[3] როგორც ირკვევა, **აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელობა** 1924 წლის აჯანყების მსვლელობისა და მისი ჩახშობის დროს მართლაც დამდგარა „მოწოდების სიმაღლეზე“ და წარმატებით *„**ასრულებდა გადაწყვეტილებებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმისა,** რომელმაც 1924 წ. ოქტომბერში განიხილა საკითხი მენშევიკების აგვისტოს ავანტიურის შესახებ“.*[4]

ერთი სიტყვით, ჩვენს მიერ აქ მოტანილი მასალები სრულიად უეჭველს ხდის იმ ფაქტს, რომ, როგორც აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება 1921 წ. მარტში, ისე მისი „გაერთიანება“ საქართველოს სსრ-სთან 1921 წლის 16 დეკემბერს, მხოლოდ ფორმალური აქტი იყო. სინამდვილეში კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, აფხაზეთი თავიდანვე განიხილებოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ერთეულად. ბუნებრივია, ყოველივე ეს აღიზიანებდა იმ ძალებს, რომლებიც თავის დროზე დემაგოგიურად ჰპირდებოდნენ სეპარატისტულად განწყობილ

---

[1] **А. Э. Куправа.** Абхазия в начале восстановительного периода. Первые мероприятия Советской власти. – *История Абхазской АССР.* Сухуми, 1983, გვ. 92-93.

[2] **А. Э. Куправа.** Абхазия в начале восстановительного периода.., გვ. 93.

[3] *«Что касается Абхазии и Аджаристана, как раз **той части нашей республики** которая не раз восставала против меньшевиков и их тирании, то **эти автономные республики...** не поддержали меньшевистскую авантюру...».* იხ.: **А. Э. Куправа.** Борьба с трудностями в восстановлении и развитии народного хозяйства. – *История Абхазской АССР.* Сухуми, 1983, გვ. 121, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] *«... **выполняла постановления расширенного пленума ЦК КП (б) Грузии**, обсудившего в октябре 1924 г. вопрос об августовской меньшевистской авантюре».* იხ.: **А. Э. Куправа.** Борьба с трудностями.., გვ. 121, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

აფხაზობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას. სწორედ ამ ძალებმა მოინდომეს თბილისსა და სოხუმს შორის 1921-1925 წლებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის ერთგვარი რევიზია. მათი ზეწოლით მომზადდა აფხაზეთის სსრ-ის I კონსტიტუციის პროექტი. მის შექმნაში სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი-ს) მაშინდელმა თავმჯდომარემ, თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილმა მოღვაწემ სამსონ ჭანბამ.

1925 წ. 26 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით სოხუმში მიმდინარეობდა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა კიდეც აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუცია. როგორც ცნობილია, აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგების მიერ აღნიშნული კონსტიტუცია მიჩნეულია „სუვერენული აფხაზეთის“ კონსტიტუციად[1] და მიდის მისი ფართო პროპაგანდა მოსახლეობაში. უფრო მეტიც, XXს. 90-იანი წლების დამდეგს ეს კონსტიტუცია იქცა უმთავრეს „კონსტიტუციურ-სამართლებრივ იარაღად“ სეპარატისტების პოლიტიკურ-იდეოლოგიურ არსენალში. სწორედ ამ კონსტიტუციის რეანიმირება მოახდინა (რეგლამენტის უხეში დარღვევით, კონსტიტუციური უმრავლესობის არარსებობის პირობებში) აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სეპარატისტულად განწყობილმა ფრთამ 1992 წ. 23 ივლისს. ამ კონსტიტუციური განუკითხაობის შედეგად სეპარატისტებმა მოინდომეს აფხაზეთის გამოყვანა საქართველოს კონსტიტუციური სივრციდან და ფაქტობრივად „აფხაზეთის რესპუბლიკის“ საქართველოსაგან „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური სეპარატიზმის ბელადების ეს დემარში იქცა ბოლო წვეთად, რომელმაც აავსო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მოთმინების ფიალა და რამდენიმე დღის შემდეგ მიიყვანა კიდეც ქვეყანა ძმათამკვლელ კონფლიქტამდე.

ორიოდე სიტყვით იმის შესახებ თუ რას წარმოადგენდა 1925 წლის აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუცია და რითი იყო ის მიუღებელი ქართული მხარისათვის? უკანასკნელ პერიოდში ქართველმა მეცნიერებმა (ლ. თოიძე, ჯ. გამახარია, ა. მენთეშაშვილი, ზ. პაპასქირი და სხვ.) მოგვცეს ამ სამართლებრივი დოკუმენტის საკმაოდ ამომწურავი ანალიზი და მიუთითეს მის იურიდიულ გაუმართავობაზე. პირველი, რასაც მიაქციეს ყურადღება ქართველმა მკვლევრებმა, არის წინააღმდეგობა კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებს შორის. ასე, კონსტიტუციის I თავის მე-4 მუხლში ვკითხულობთ: *„**აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველ–*

[1] **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси.., გვ. 93.

ზე ***გაერთიანებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში და ამ უკანასკნელის შემადგენლობაში – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში****“*.[1]

მაგრამ კონსტიტუციის II თავის მე-5 მუხლში რატომღაც მის შემდგენლებს „დაავიწყდათ“ აფხაზეთის შესვლა ამიერკავკასიის ფედერაციაში და სსრკ-ში საქართველოს სსრ-ის მეშვეობით და მიუთითეს, რომ *„აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი, ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ნებაყოფლობითი შესვლის გამო, – შეზღუდულია ამ კავშირების კონსტიტუციებით განსაზღვრულ სფეროებში... აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეები, ინარჩუნებენ რა რესპუბლიკის მოქალაქეობას, არიან ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეები“*.[2]

როგორც ვხედავთ, ამ მუხლებში არ არის მოხსენიებული საქართველოს სსრ, რომლის ნაწილსაც (იმავე კონსტიტუციის განმარტებით) *„განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე“* წარმოადგენდა აფხაზეთის სსრ. ე.ი. გამოდის, რომ ამიერკავკასიის ფედერაციასა და სსრკ-ში აფხაზეთი შედიოდა საქართველოს სსრ-ის მეშვეობით, ხოლო აღნიშნული გაერთიანებებიდან გამოსვლა შეეძლო დამოუკიდებლად. სრულიად აშკარაა, რომ, არც მეტი არც ნაკლები, აქ საქმე გვაქვს იურიდიულ ლაფსუსთან. საქართველოს სსრ არ არის მოხსენიებული აგრეთვე კონსტიტუციის მუხლში „სახალხო კომისართა საბჭოს“ შესახებ, რომელშიც ჩამოთვლილია სახკომსაბჭოს (აფხაზეთის მთავრობა) შემავალი უწყებების ხელმძღვანელები.

ამრიგად, ე.წ. *„1925 წლის აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციის“* აქ მოტანილი დებულებებით აფხაზ „კანონმდებლებს“ ფაქტობრივად გამოჰყავდათ აფხაზეთი საერთო-ქართული სამართლებრივი სივრციდან.

---

[1] *«**СССР Абхазия, объединившись** на основе особого союзного договора **с ССР Грузией, через нее входит в Закавказскую Социалистическую Федеретивную Советскую Республику и в составе последной – в Союз Советских Социалистических Республик**»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии.., გვ. 490, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«Суверенитет ССР Абхазии, в виду добровольного ее вхождения в ЗСФСР и Союз ССР, – ограничен лишь в пределах и по предметам указанным в конституциях этих союзов... Граждане ССР Абхазии, сохраняя республиканское гражданство, являются гражданами ЗСФСР и Союза ССР»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии.., გვ. 490.

მაგრამ ისინი ამაზეც არ ჩერდებოდნენ და „კონსტიტუციის“ ზემოთნახსენები I თავის მე-4 მუხლში პირდაპირ აცხადებდნენ აფხაზეთის სსრ-ის *„სრულ მზადყოფნას შევიდეს* (იგულისხმება დამოუკიდებლად – **ზ.პ.**) *ერთიანი საერთაშორისო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც კი შეიქმნება მისი წარმოქმნის პირობები“*.[1]

არანაკლებ გამომწვევია კონსტიტუციის მუხლი, რომლის თანახმადაც: „სუვერენული“ აფხაზეთის სახელმწიფო ენად *(«языком государственных учреждений»)* ცხადდებოდა – რუსული *(«язык русский»)*.[2] ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, თუ როგორ „ზრუნავდნენ“ აფხაზი „პატრიოტები“ მშობლიურ აფხაზურ ენაზე და თუ რეალურად რომელი სახელმწიფოს ინტერესებს იცავდნენ ისინი. ამის შემდეგ განა უნდა გაგვიკვირდეს, თუ როგორ ცინიკურად მოიხსენიებდა აფხაზურ ენას აფხაზი ხალხის „სათაყვანო“ შვილი ნესტორ ლაკობა. *„რა ჯანდაბადაა საჭირო აფხაზური ენის კვლევა,* – ამბობდა აფხაზ ბოლშევიკთა ბელადი აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე (1931 წ. 6 თებერვალი), – *როდესაც ამ ენაზე უნდა გადასცე ის, რისი გადმოცემაც მას არ შეუძლია“*.[3]

საქართველოსა და ამიერკავკასიის ზემდგომ პარტიულ ინსტანციებს არ შეეძლოთ თვალი დაეხუჭათ 1925 წლის აფხაზეთის სსრ-ის „კონსტიტუციის“ „ნაკლოვანებებზე“. მალე, როგორც ჩანს, ზემოდან სათანადო „დამუშავების“ შედეგად აფხაზეთის საბჭოთა და პარტიულმა ხელმძღვანელობამ ოფიციალურად „აღიარა“ თავისი „შეცდომები“ და პირობა დადო, შეეტანა შესწორებები აფხაზეთის სსრ-ის ძირითად კანონში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნესტორ ლაკობას გამოსვლა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის VII კონფერენციაზე (1925 წ. 26 ნოემბერი), რომლის დროსაც მან პირდაპირ აღიარა, რომ ***„კონსტიტუცია დავწერეთ სულელურად“***.[4] აღნიშნულ საკითხზე უფრო გამოკვეთილად ლაპარაკობდა ნ. ლაკობა საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე (1925 წ. 2 დეკემბერი): *„ამხანაგი კახიანი* (საქართველოს მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელი – **ზ. პ.**) *მართალი იყო, როდესაც ლაპარაკობდა, რომ ცალკეულ პასუხისმგებელ მუშაკებს*

---

[1] *«... о твердой готовности войти в состав единой международной Социалистической Советской Республики, как только создадутся условия для ее возникновения»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 490.

[2] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 490.

[3] *«Какого черта нужно заниматься исследованием абхазского языка, когда надо передать на этом языке то, что он не может дать»*. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии.., გვ. 503.

[4] ***«Конституцию написали глупейшим образом»***. იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 491, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

შორის მუსირებდა აზრი აფხაზეთის უშუალოდ ამიერკავკასიის ფედერაციაში და ა.შ. შესვლის შესახებ. ასეთივე აზრი მუსირებდა ჩემშიც და ბევრ სხვა პასუხისმგებელ მუშაკშიც. ამ აზრისაგან ჩვენ განვთავისუფლდით ერთხელ და სამუდამოდ არა იმიტომ, რომ ამხანაგი კახიანი სადმე დაგვემუქრა... აფხაზეთში საკითხის დაყენება ისე, რომ ის რეალურად დამოუკიდებელია და საქართველოსაგან სადღაც წავა, მიგვიყვანს იქამდე, რომ აფხაზეთი ისე დაიშლება, როგორც ცელქი ბავშვის ხელით აგებული ხუხულა".[1]

კონსტიტუციურ საკითხებზე ნ. ლაკობას პიროვნებაში მომხდარი მეტამორფოზის შესახებ მსჯელობისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის გამოსვლას საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – **სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიაზე, რომელიც** რატომღაც **ჩატარდა** არა სხვაგან სადმე, არამედ **აფხაზეთის სსრ-ის დედაქალაქ სოხუმში** 1926 წ. 13 ივნისს. „*თავიდანვე,* – აცხადებდა ნ. ლაკობა, – *ზოგი ვინმე, რეალურ ვითარებაში არც თუ ჩახედული, და ზოგიც ჩვენი მოწინააღმდეგეთაგან, მუდამ აგებენ აფხაზეთის რესპუბლიკაში ხელისუფლების მორყევის თავიანთ ტაქტიკას შემდეგზე: აფხაზეთს მოუნდება – გავა საქართველოდან, მოუნდება – დარჩება საქართველოსთან... აქვს ამას რაიმე საფუძველი? იმისათვის, რომ ამის ირგვლივ ყოველგვარი გაუგებრობა მოიხსნას, საჭიროა მტკიცედ გაცხადდეს, რომ* ***აფხაზეთს საქართველოსაგან წასვლა არ შეუძლია, ის ამას არ აპირებს და ეს არ სურს.*** *საბჭოთა* ***საქართველოსაგან*** *საბჭოთა* ***აფხაზეთი არსად არ აპირებს წასვლას****, მაგრამ* ***მასთან ერთად,*** *საბჭოთა* ***საქართველოს შემადგენლობაში კი, აფხაზეთი წავა,*** *თუ გნებავთ, საიქიოში...* ***აფხაზეთის ბედი საქართველოსთან ერთიანია... თვით აფხაზეთმა მოაქცია თავისი თავი საქართველოს შემადგენლობაში... გაუმარჯოს*** *საბჭოთა* ***საქართველოს და 100 %-ით მის ერთგულ,*** *ვინ რასაც*

---

[1] *«Тов. Кахиани был прав, когда говорил, что у некоторых ответственных работников бродила мысль о непосредственном вхождении Абхазии в Закфедерацию и т.д.* ***Такая мысль бродила и у меня****, и у многих других ответственных товарищей. От этой мысли мы отказались раз навсегда и не потому, что тов. Кахиани где-нибудь нам пригрозил...* ***В Абхазии постановка вопроса о том, что она действительно независима и куда-то хочет уйти от Грузии, приведет к тому, что Абхазия, как карточный домик, построенный шаловливой рукой мальчика, распадется****».* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая.., გვ. 491, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** თარგმნისას გამოყენებულია ნოე რამიშვილის პუბლიკაცია: *„ეროვნული კითხვა საბჭოთა საქართველოში"*, გამოქვეყნებული პარიზში გამომავალ გაზეთ *„ბრძოლაში"* (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს ორგანო, 1926, თებერვალი №8, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/94823/1/Brdzola_1926_N8.pdf).

არ მიედ-მოედებოდეს, ***აფხაზეთის მშრომელ მასებს****“.*[1]

ეს ამონარიდები აფხაზეთის სსრ-ის 1925 წლის კონსტიტუციის შექმნის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის ნესტორ ლაკობას ერთგვარი მონანიებითი გამოსვლებიდან ერთნიშნად მეტყველებს პარტიულ-პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლაზე, რაც, მართლაც, შესაძლებელია გამოწვეული იყო აფხაზეთში ლევ ტროცკისა და მის თანამოაზრეთა პოზიციების შესუსტებით და იოსებ სტალინის გავლენის გაძლიერებით პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში, როგორც ამას ფიქრობს აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა.[2]

ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ინსტანციების, პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) მიერ ჩატარებული „აღმზრდელობითი მუშაობის“ შედეგები შეჯამდა 1926 წ. 27 ოქტომბერს აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიაზე. **იხელმძღვანელა რა საქართველოს ცაკის III სესიის პირდაპირი მითითებით, აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია,** რომელიც საბოლოოდ დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ 1927 წ. მარტში.

აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციის ახალი რედაქცია პრინციპულად განსხვავდებოდა 1925 წელს მიღებული „კონსტიტუციისგან“. ახალი კონსტიტუციის I თავში გაცხადებული იყო, რომ *„აფხაზეთის რესპუბლიკა არის* ***სოციალისტური*** *სახელმწიფო“* (ნაცვლად 1925 წლის „კონსტიტუციაში“ დაფიქსირებული „სუვერენული სახელმწიფოსი“ – *«****суверенное*** *государство») მუშებისა და მშრომელი გლეხობისა, რომელიც* ***განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე შედის საქართველოს*** *საბჭოთა სოციალისტურ* ***რესპუბლიკაში*** *და* ***მისი მეშ-***

---

[1] *«С самого начала, кое-кто из не совсем хорошо усвоивших действительное положение вещей и кое-кто из наших противников все время строят свою тактику по расшатыванию власти Республики Абхазии вот на чем: Абхазия захочет – уйдет от Грузии, захочет – останется с Грузией… Имеет ли это под собой почву? Для того, чтобы на этот счет не было никаких недоразумении, надо со всей решительностью заявить, что* ***Абхазия от Грузии уйти не может, не собирается и этого не хочет. От*** *советской* ***Грузии*** *советская* ***Абхазия никуда не собирается уйти, но вместе с*** *советской* ***Грузией, в составе*** *советской* ***Грузии, Абхазия пойдет,*** *если даже угодно и на тот свет****…. Судьба Абхазии с Грузией едина****…* ***Сама Абхазия включила себя в состав Грузии****…* ***Да здравствует*** *Советская* ***Грузия и ей преданные на все 100%,*** *невзирая не все кривотолки,* ***трудящиеся массы Абхазии****!»* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 494-495, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **С. Лакоба.** Ответ историкам из Тбилиси.., გვ. 93-94.

ვეობით ამიერკავკასიის *სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა* ***რესპუბ-ლიკაში... აფხაზეთის*** *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის* ***მოქალაქეე-ბი****, ინარჩუნებენ რა რესპუბლიკის მოქალაქეობას, ამასთან* ***არიან საქარ-თველოს*** *საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის* ***მოქალაქეებიც****".*[1] ამას გვერდს უვლიდა 1925 წლის „კონსტიტუცია".

კორექტირება განიცადა მუხლმა სახელმწიფო ენის შესახებ. 1925 წლის „კონსტიტუციისაგან" განსხვავებით, რომელშიც სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ რუსულ ენას, *„აფხაზეთის საბ-ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებების ენად («Языком государственных учреждении социалистической советской ре-спублики Абхазии»)* ამჯერად ერთბაშად ცხადდებოდა სამი ენა: აფხა-ზური, ქართული და რუსული. კონსტიტუციის I თავის მე-10 მუხლის თანახმად საქართველოს სსრ მიეკუთვნებოდა იმ სუბიექტთა რიცხვს (სსრკ, ამიერკავკასიის სფსრ, აფხაზეთის სსრ), რომლებიც თავიანთი კონსტიტუციებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში სარგებ-ლობდნენ აფხაზეთის სახელმწიფო სიმდიდრეთა (მიწა, ტყეები, წყლები, წიაღისეული და ა.შ) ექსპლოატაციის უფლებით.[2]

კონსტიტუცია განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფოს მარ-თვაში აფხაზეთის მოსახლეობის მონაწილეობის დონესა და წესს. ***„სრუ-ლიად საქართველოს საბჭოების ყრილობაზე,*** – აღნიშნული იყო კონსტი-ტუციის II თავის მე-18 მუხლში, – ***მონაწილეობას იღებენ აფხაზეთის*** *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის* ***წარმომადგენლები*** *შემდეგი კვოტით : ერთი დეპუტატი ყოველი 10 000 მცხოვრებიდან"*,[3] ხოლო ამავე თავის მე-19 მუხლის თანახმად: ***„სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომი-ტეტის შემადგენლობაში აფხაზეთის*** *საბჭოთა სოციალისტური რესპუბ-ლიკის* ***წარმომადგენლებიდან ირჩევს წევრებს****, რომელთა რაოდენობა*

---

[1] *«Республика Абхазия есть* ***социалистическое*** *государство рабочих и трудового крестьянства,* ***входящее, в силу особого договора в*** *Социалистическую Советскую Республику* ***Грузию*** *и* ***через нее в Закавказскую*** *Социалистическую Федеративную Советскую* ***Республику****...* ***Граждане*** *Социалистической Советской Республики* ***Абхазии****, сохраняя республиканское гражданство,* ***являются*** *тем самым* ***гражданами*** *Социалистической Советской Республики* ***Грузии****».* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 497, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 498.

[3] *«**Во всегрузинском съезде советов, принимают участие представители** съезда советов социалистической советской республики **Абхазии** в количестве депутатов по расчету: один депутат на каждые 10 000 населения».* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 498.

განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის მიერ“.[1] ანუ **საქართველოს სახელმწიფოს** (და არა რაღაც **„სამოკავშირეო“ სახელმწიფოს**) უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთს არ გააჩნდა პარიტეტულ საწყისებზე თავისი კვოტა და მის წარმომადგენელთა მონაწილეობის დონეს მთლიანად საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო განსაზღვრავდა.

კონსტიტუციის II თავის 21-ე მუხლი: შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედების, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები ფუნქციონირებდნენ *„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესაბამისი სახალხო კომისარიატების დამოუკიდებლად“* (*«самостоятельно и независимо от соответственных народных комиссариатов социалистической советской республики Грузии»)*, მაგრამ უცვლიდნენ ერთმანეთს ინფორმაციას თავიანთი მუშაობის შესახებ.[2] გარეგნულად თითქოს დამოუკიდებელი იყო აგრეთვე აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მაგრამ ეს სტრუქტურა ვალდებული იყო თავიანთ საქმიანობაში გაეთვალისწინებინა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დირექტივები.[3] რაც შეეხება ფინანსების, შრომისა და მუშურ-გლეხური ინსპექციის უწყებებს, აფხაზეთში ეს უწყებები წარმოდგენილი იყო მხოლოდ საქართველოს შესაბამისი სახალხო კომისარიატების დაქვემდებარებაში მყოფი რწმუნებულებით *(«являясь органами подлежащих народних комиссариатов ... Грузии непосредственно им подчинёнными»),* რომლებიც ამასთან ანგარიშვალდებულნი იყვნენ აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშეც.[4]

კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთი რჩებოდა საერთოქართულ სამართლებრივ სივრცეში, რასაც პირდაპირ ადასტურებდა კონსტიტუციის II თავის 22-ე მუხლი, რომლის თანახმადაც *„**სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული კოდექსები, დეკრეტები და გადაწყვეტილებები,** რომლებიც ვრცელდებოდა **საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის **მთელს ტერიტორიაზე, სავალდებულო იყო აფხაზეთის** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი–*

---

[1] *«**Всегрузинский съезд советов избирает в состав Всегрузинского Центрального исполнительного комитета представителей от** социалистической советской республики **Абхазии**... членов, **определяемом Всегрузинским съездом советов»**.* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия.., გვ. 498, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 499.

[3] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 499.

[4] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 499.

კის ***ტერიტორიაზეც****“.*[1] ამავე თავის 24-ე მუხლში კი ხაზგასმული იყო, რომ *„****სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობასა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ეძლევათ უფლება გააუქმონ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საბჭოების ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებები,*** *რომლებიც წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდნენ წარმოდგენილი კონსტიტუციის II თავის დებულებებთან“.*[2]

დაბოლოს, ყველაზე თვალსაჩინო დადასტურება იმისა, რომ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ ნამდვილად არ წარმოადგენდა საქართველოს სსრ-ისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს იყო კონსტიტუციის IV თავის 92-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც *„****აფხაზეთის*** *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის* ***სახელმწიფო ბიუჯეტი წარმადგენს საქართველოს*** *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის* ***სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს და მტკიცდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მიერ****“.*[3]

ამრიგად, ჩვენს მიერ აქ მოტანილი ნაწყვეტები 1927 წ. მარტში აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობაზე დამტკიცებული კონსტიტუციიდან, ცალსახად აჩვენებენ სრულ უსაფუძვლობას მტკიცებისა იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთი იყო სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც საქართველოსთან დაამყარა *„თანასწორუფლებიანი ფედერაციული სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობები“ («равноправные федеративные государственно-правовые взаимоотношения»),* როგორც ამას აღნიშნავდა მაშინდელი აფხაზური ინტელიგენციის ერთ-ერთი წამყვანი

---

[1] *«...* ***кодексы, декреты и постановления, принятые Всегрузинским Центральным Исполнительным Комитетом с распространением их действия на всю территорию Социалистической Советской Республики Грузии, имеют объязательную силу и на территории*** *Социалистической Советской Республики* ***Абхазии****».* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область.., გვ. 500, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«****Всегрузинскому Съезду Советов и Всегрузинскому Центральному Исполнительному Комитету принадлежит право отмены постановлений Съезда Советов, Центрального Исполнительного Комитета и Совета Народных Комиссаров Социалистической Советской Республики Абхазии*** *противоречащих положениям главы II настоящей конституции».* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 500, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *«****Государственный бюджет Социалистической Советской Республики Абхазии входит составной частью в общегосударственный бюджет Социалистической Советской Республики Грузии и утверждается Всегрузинским Центральным Исполнительным Комитетом****».* იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 502, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ფიგურა, თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი სიმონ ბასარია და როგორც ამას საქვეყნოდ გაჰკივიან თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის იდეური „ბელადები“. სინამდვილეში არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სსრ თავიდანვე (1921 წ. 16 დეკემბრიდან მაინც, როდესაც აფხაზეთის სსრ ე.წ. *„სამოკავშირეო ხელშეკრულების“* საფუძველზე შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში), განიხილებოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შემადგენელ ნაწილად.

XX ს. 20-იანი წლების მიწურულს, როგორც ამას აღნიშნავს ზემოთნახსენები აფხაზი ისტორიკოსი ბ. საღარია, სრულიად ცხადი გახდა, *რომ „ათწლეულის განმავლობაში* ***აფხაზეთის, ისევე როგორც მთლიანად საქართველოს*** *პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა... მოითხოვა მათ შორის კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ფორმების გადასინჯვა“*.[1] როგორც აღნიშნული იყო აფხაზეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობა) სპეციალურ ცნობარში: *„1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებამ რეალური ძალა დაკარგა“* (***«Договор 16 декабря 1921 года... потерял реальное значение»***), *ვინაიდან, „იმდროისათვის შექმნილი ურთიერთობები ზუსტად იყო განსაზღვრული ამ რესპუბლიკების კონსტიტუციებში“* (***«действительные... взаимоотношения этих республик точно определены в их конституциях»***). აქედან გამომდინარე, აფხაზეთის სახკომსაბჭო თვლიდა, რომ *„სახელწოდებამ სახელშეკრულებო აფხაზეთის სსრ რეალური შინაარსი დაკარგა“* (***«наименование договорной ССР Абхазии не имеет реального содержания»***).[2]

1930 წ. აპრილში აფხაზეთის ცაკის III სესიამ ნესტორ ლაკობას მოხსენების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციიდან ცნება *„სახელშეკრულებო რესპუბლიკის“* (***«Договорная республика»***) ამოღებისა და მის ნაცვლად ძირითად კანონში ცნება *„ავტონომიური რესპუბლიკის“* (***«Автономная Республика»***) ჩაწერის თაობაზე. 1931 წ. აპრილში კი უკვე აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ მოიწონა რა აფხაზეთის ცაკის III სესიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, სათანადო შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში. ამიერიდან აფ-

---

[1] *«Происшедшие за десятилетие изменения в политической, хозяйственной и культурной жизни* ***Абхазии, как и Грузии в целом****, требовали... пересмотра форм государственных конституционных взаимоотношении между ними».* იხ.: **Б. Е. Сагария.** Преобразование договорной ССР Абхазия в автономную республику. – *История Абхазской АССР.* Сухуми, 1983, გვ. 249, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.ბ.**

[2] **Б. Е. Сагария.** Преобразование договорной ССР Абхазия.., გვ. 250.

ხაზეთი უკვე ოფიციალურადაც გახდა ავტონომიური საბჭოთა სოციალ-ისტური რესპუბლიკა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

ასეთია ისტორიული სიმართლე ე.წ. „სუვერენული“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ 1921-1931 წლებში, რომელიც ფორმალურად იწოდებოდა რა *„სახელშეკრულებო რესპუბ-ლიკად“*, სინამდვილეში კი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოფიცია-ლურად შედიოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და „დე-ფაქ-ტო“ (რამდენადმე „დე იურედაც“) უკვე მაშინ წარმოადგენდა მის ავტო-ნომიურ ერთეულს. ასე რომ, ყოველგვარი მტკიცება იმის შესახებ თით-ქოს აფხაზეთის სსრ 1921-1931 წლებში იყო საქართველოსგან დამოუ-კიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც მან დაკარგა 1931 წელს (მით უფრო 1924 წელს) „ყოვლისშემძლე ქართველების“ ი. სტალინისა და ლ. ბერიას ვერაგული ქმედებების შედეგად, თანამედ-როვე აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა უხამსი პოლიტიკური ინ-სინუაციაა. ამით ისინი ცდილობენ კიდევ ერთი „ისტორიული არგუმენ-ტით“ შეამაგრონ თავიანთი სეპარატისტული ზრახვები და გააღვივონ ანტიქართული განწყობილებანი აფხაზურ მოსახლეობაში. **სამწუხაროა, რომ სეპარატისტთა ამ ანკესზე წამოეგო ზოგიერთი ჩვენი გერმანელი კო-ლეგა და ავრცელებს ყალბ ინფორმაციას აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ სტატუსზე XX ს. 20-იან წლებში.**

პროფ. ანგელიკა ნუსბერგერის პუბლიკაცია კიდევ ერთხელ შეგ-ვახსენებს თუ რამდენად საშურია სახელმწიფო დონეზე ისტორიოგრა-ფიულ-სამართლებრივი კონტრპროპაგანდის წარმოება და საერთაშო-რისო სამეცნიერო წრეებისათვის (ძირითად ევროპულ ენებზე, პირველ რიგში, რასაკვირველია, ინგლისურად), კვალიფიციური, მეცნიერულად დასაბუთებული ანალიზის მიწოდება საქართველოში არსებული კონ-ფლიქტების ისტორიულ და პოლიტიკურ-სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით.

ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის კვლევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარდა იმისა, რომ არის ეროვნული უმაღლესი განათლების უპირველესი კერა, ქართული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ცენტრიცაა. უფრო მეტიც, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებამდე სწორედ უნივერსიტეტი იყო ქართული მეცნიერული აზრის ერთადერთი და მთავარი გენერატორი. თავისი არსებობის 85 წლის მანძილზე უნივერსიტეტმა მიაღწია უდიდეს წარმატებებს მეცნიერების სხვადასხვა სფეროში, საყოველთაო აღიარება მოიპოვა ქართულმა მათემატიკურმა და ფიზიოლოგიურმა სკოლებმა. ასევე თვალსაჩინოა წარმატებები მეცნიერების სხვა დარგებშიც, მათ შორის ისტორიოგრაფიაში. მაგრამ უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა ქართველოლოგიურ მეცნიერებებს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი ქართველოლოგიური კვლევების უმთავრესი ცენტრია. აქ მიმდინარეობს ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ქართული ხელოვნების, ზოგადად ქართული კულტურის, თანმიმდევრული და მიზანმიმართული მეცნიერული კვლევა.

უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე უდიდესი წარმატებებია მოპოვებული ქართველოლოგიის უკლებლივ ყველა დარგში, მათ შორის, საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. დაწყებული დიდი ივანე ჯავახიშვილიდან, უნივერსიტეტში მოღვაწე არაერთი თაობის მეცნიერთა თავდადებული შრომის შედეგად მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილი და გამოკვლეულია ქვეყნის ისტორიული განვითარების ყველა მიმართულება. ამ მხრივ გამონაკლისი არაა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხები.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის მეცნიერული შესწავლა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ XIX ს. შუა ხანებში დაიწყო და

---

* ნაშრომი შესრულებულია 2005 წელს. გამოქვეყნდა წიგნში: *საქართველოს ისტორიის კათედრა*. თბ., 2010, გვ. 193-208, თანაავტორი: აკადემიკოსი ***როინ მეტრეველი.*** იბეჭდება უცვლელად, მხოლოდ ოდნავ შეივსო და დაიხვეწა ბიბლიოგრაფია.

ის უკავშირდება დიდი ფრანგი მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნის, ევროპული ქართველოლოგიის ფუძემდებლის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მარი ბროსეს სახელს, რომელმაც 1861 წელს რუსულ ენაზე გამოსცა ქართველ და რუს ხელმწიფეთა მიმოწერა.[1]

საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის შესწავლას სათანადო ყურადღება ექცეოდა XIX ს. ქართველ ისტორიკოსთა (პლატონ იოსელიანი, სულხან ბარათოვი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი) შრომებში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ა. ცაგარლის მოღვაწეობა, რომელმაც XIX ს. მიწურულსა და XX ს. დამდეგს გამოსცა საქართველო-რუსეთის, რუსეთ-კავკასიის ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტები.[2]

ამავე პერიოდში დაიწყო თავისი მეცნიერული მოღვაწეობა ცნობილმა ქართველმა იურისტმა და ისტორიკოსმა, პროფესიონალმა დიპლომატმა ზურაბ ავალიშვილმა, რომელმაც 1901 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავზე გამოაქვეყნა უაღრესად საინტერესო მონოგრაფია ამ მოვლენაზე.[3]

თვისებრივად ახალი ეტაპი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელთან. მან ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაარსებამდე გამოცემულ ნაშრომებში, პირველ რიგში, *„ქართველი ერის ისტორიის“* I და II ტომებში,[4] იმ პერიოდისათვის არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის სრული გათვალისწინებით, გააშუქა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, დააზუსტა პოლიტიკური მოვლენების ქრონოლოგია, გაამახვილა ყურადღება ამა თუ იმ ქვეყანასთან ქართული პოლიტიკური სამყაროს ურთიერთობების დიპლომატიურ ასპექტებზე. ამ მხრივ, თუნდაც, რად ღირს მის მიერ არაბ ავტორებთან მოძიებული ე.წ. ჰაბიბ იბნ-მასლამას *„დაცვის სიგელის“*, ანუ როგორც მას თვითონ მეცნიერი უწოდებდა, *„არაბ-ქართველთა ხელშეკრულების“* გამოწვლილვითი ანალიზი,[5]

---

[1] **M. Броссе.** Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 год. СПб, 1861.

[2] **А. Цагарели.** Переписка грузинских царей и владетельных князей с государями российскими в XVIII столетии. СПб., 1890; **А. Цагарели.** Сношения России с Кавказом в XVI-XVII столетиях. СПб., 1891; **А. Цагарели.** Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. III, вып. II. СПб., 1902.

[3] **З. Авалов.** Присоединение Грузии к России. СПб., 1901.

[4] უახლესი გამოცემა იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. I. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. I. თბ., 1979; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II. თბ., 1983.

[5] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 73-76.

ან კიდევ საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების ხასიათის შეფასება[1] და სხვ.

მოგვიანებით, უკვე XX ს. 20-30-იან წლებში ი. ჯავახიშვილმა ქართული დიპლომატიის არაერთი საკითხი გააშუქა *„ქართველი ერის ისტორიის“* მომდევნო წიგნებშიც. კერძოდ, მას საგანგებოდ აქვს გაანალიზებული საქართველო-მონღოლების, საქართველო-ბიზანტიის, საქართველო-ეგვიპტის, საქართველო-დასავლეთ ევროპის, საქართველო-ირანის, საქართველო-ოსმალეთისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ამსახველი მასალები და გამოტანილი აქვს უაღრესად საყურადღებო დასკვნები, რომელთა უმრავლესობა დღესაც გაზიარებულია ისტორიოგრაფიაში. ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილი სპეციალურად იკვლევდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს XVII-XVIII საუკუნეებში. მეცნიერის ნააზრევი ამ მიმართულებით შეჯამებულია მის მიერ ჯერ კიდევ 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში.[2]

იმ მეცნიერთა შორის, რომლებმაც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამდე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის შესწავლაში, სრულიად განსაკუთრებულია მიქელ თამარაშვილის ღვაწლი. მის სახელს უკავშირდება საქართველო-დასავლეთ ევროპის დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი დოკუმენტების მოძიება და უნიკალური კორპუსის გამოცემა[3] მეტად საყურადღებო კომენტარებით, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ ისტორიოგრაფიული ღირებულება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ იწყება ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიის პრობლემების, მათ შორის ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის შესწავლის საქმეში. იმ მკვლევართა შორის, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის შესწავლაში, პირველ რიგში, იყვნენ ივ. ჯავახიშვილის სახელოვანი მოწაფეები, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეები – აკად. სიმონ ჯანაშია და აკად. ნიკო ბერძენიშვილი. ს. ჯანაშიამ თავის განმაზოგადებელ შრომებში, უწინარესად, მისივე რედაქტორობით გამოცემულ *„საქართველოს ისტორიის“* სახელმძღვანელოში[4]

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 109-112.

[2] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის, ტფ., 1919. უახლესი გამოცემა იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII. თბ., 1978.

[3] **მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. თბ., 1902.

[4] **ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია.** საქართველოს ისტორია. თბ., 1946.

შესულ თავებსა და პარაგრაფებში[1] გაამახვილა ყურადღება და მოგვცა საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის კუთხით საინტერესო არაერთი მოვლენის შეფასება. მანვე საგანგებოდ შეისწავლა არაბობის ხანა საქართველოში,[2] რომელშიც შეეხო ქართულ-არაბული დიპლომატიური ურთიერთობის ცალკეულ ასპექტებსაც. უაღრესად ფასეულია მეცნიერის დაკვირვებები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებზე, რომელიც მოცემულია კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში.[3]

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის არაერთი საკითხია გაშუქებული ნ. ბერძენიშვილის შრომებში. ამასთან, მეცნიერმა საგანგებოდ გამოიკვლია საქართველო-რუსეთის ურთიერთობები XVI-XVII სს. მიჯნაზე და შექმნა უაღრესად საინტერესო მონოგრაფია,[4] რომელიც XX ს. 40-იანი წლების დამდეგს წარმოადგინა სადოქტორო დისერტაციად. აღსანიშნავია, რომ ეს იყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია. იმავე პერიოდში შესრულდა კიდევ ერთი ნაშრომი ამ პრობლემატიკით. ეს იყო შემდგომში თბილისის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის იასე ცინცაძის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს X-XVI საუკუნეებში.[5]

მოცემული მიმართულებით მიღწეული წარმატებები არ იყო შემთხვევითი. ეს იყო შედეგი იმ გეგმაზომიერი და მიზანმიმართული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა, რომელიც ფართოდ გაიშალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში XX ს. 20-იანი წლებიდან. ამ საქმის მოთავე იყო ცნობილი რუსი ისტორიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი მიხეილ პოლიევქტოვი. ის საფუძვლიანად იკვლევდა ქართულ-რუსულ დიპლომატიურ ურთიერთობებს XVII საუკუნეში.[6] გარდა

---

[1] იხ.: **ს. ჯანაშია.** შრომები, ტ. V. თბ., 1987, გვ. 35-164.

[2] **ს. ჯანაშია.** არაბობა საქართველოში. – *შრომები*, ტ. II. თბ., 1952, გვ. 342-411.

[3] **ს. ჯანაშია.** კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. – თსუ *შრომები*, ტ. XVIII. თბ., 1941, გვ. 69-85. იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **ს. ჯანაშია.** შრომები, ტ. V. თბ., 1987, გვ. 246-266.

[4] **ნ. ბერძენიშვილი.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვ. I. თბ., 1944. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. IV. თბ., 1971.

[5] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVI სს.). თბ., 1956.

[6] **М. Полиевктов.** К вопросу о сношениях Ростома Карталинского с Москвой. – *ენიმკის მოამბე,* ტ. V-VI. თბ., 1940; **М. Полиевктов.** Посольство столника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию в 1650-1652 гг. Тиф., 1926; **М. Полиевктов.** Посольство князя Мышецкого дьяка Ключарева в Кахетию 1640-1643 гг., Тиф.,

ამისა, მ. პოლიევქტოვმა შექმნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიის შემსწავლელი სკოლა. ამ სკოლის წარმომადგენლები იყვნენ იასე ცინცაძე, გიორგი პაიჭაძე, ვალერიან მაჭარაძე, ნოდარ ნაკაშიძე და სხვ.

იასე ცინცაძე ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრაზე. მან, ზემოთ ნახსენები სადოქტორო დისერტაციის გარდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა.[1] მანვე, შ. მესხიასთან ერთად, რუსულ ენაზე გამოაქვეყნა განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი, რომელშიც ერთგვარად შეჯამებულია ორ მეზობელ ქვეყანას შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები.[2] ამასთან, ი. ცინცაძემ გამოსცა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ამსახველი არაერთი წყარო.[3] არანაკლებ საინტერესოა ი. ცინცაძის ნაშრომი საქართველო-პოლონეთის ურთიერთობებზე.[4]

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიის შესწავლას დიდი ამაგი დასდო თსუ სსრ კავშირის ისტორიის კათედრის პროფესორმა ვალერიან მაჭარაძემ. მან რუსეთის არქივებსა და წიგნსაცავებში მოიძია და გამოამზეურა XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი მასალები.[5] უაღრესად საინტერესოა ვ. მაჭა-

---

1928; **М. Полиевктов.** Материалы по истории грузино-русских взаимоотношений в 1615-1640 гг., Тб., 1937; **М. Полиевктов.** Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, Тб., 1932.

[1] **ი. ცინცაძე.** ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-1754 წწ.). – *საისტორიო მოამბე*, №7-8, 1952; **ი. ცინცაძე.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არქივიდან (XVII ს.). – *მიმომხილველი*, №2, 1951; **ი. ცინცაძე.** საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან. – *მნათობი*, №6, 1955.

[2] **Ш. Месхиа, Я. Цинцадзе.** Из истории русско-грузинских взаимоотношений. Тб., 1958.

[3] **ი. ცინცაძე.** ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1965; *ალექსი იევლიევის 1650–1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა.* რუსული ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ***იასე ცინცაძემ***, თბ., 1969; *ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა.* 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ***იასე ცინცაძემ***, თბ., 1970; **ი. ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბ., 1960.

[4] **ი. ცინცაძე.** მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბ., 1966.

[5] **ვ. მაჭარაძე.** მასალები XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. I. თბ., 1967; ნაწ. II. თბ., 1968; ნაწ. III. თბ., 1988; ნაწ. IV. თბ., 1994.

რაძის გამოკვლევა ცნობილი ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკი) დიპლომატიურ მოღვაწეობაზე,[1] აგრეთვე ნაშრომი ერეკლე II-ის ურთიერთობებზე ქურთებთან და ასირიელებთან.[2] პარალელურად XVIII ს. საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიას იკვლევდა გიორგი პაიჭაძე, რომელმაც გამოაქვეყნა მონოგრაფიები საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე XVIII ს. I ნახევარში.[3] მანვე შეისწავლა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ცალკეული საკითხები XVII საუკუნეში.[4] უაღრესად დიდია მეცნიერის მიერ სამ ტომად გამოცემული რუსული მასალების კრებულის[5] წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ღირებულება.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს იკვლევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის პროფესორი ნოდარ ნაკაშიძეც, რომელმაც მონოგრაფიულად დაამუშავა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები XVII ს. I ნახევარში.[6] საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის ცალკეული პრობლემებს იკვლევდნენ თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზეც. ამ მხრივ აღსანიშნავია კათედრის გამგის (1959-1972 წწ.) შ. მესხიას,[7]

---

[1] **ვ. მაჭარაძე.** ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბ., 1968.

[2] **ვ. მაჭარაძე.** ერეკლე II-ის ურთიერთობა ქურთებთან და ასირიელებთან XVIII ს.-ის 60-70-იან წლებში. – *მნათობი*, №2, 1981.

[3] **გ. პაიჭაძე.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს.-ის I მეოთხედი). თბ., 1960; **Г. Паичадзе.** Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века. Тб., 1970.

[4] **გ. პაიჭაძე.** მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658 წწ.). – *საისტორიო მოამბე*, ტ. 19-20. თბ., 1965; **გ. პაიჭაძე.** მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.). – *საისტორიო მოამბე*, ტ. 23-24. თბ., 1970; **გ. პაიჭაძე.** რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVII ს-ის მეორე ნახევარში. – *საისტორიო მოამბე*, ტ. 27-28. თბ., 1973; **გ. პაიჭაძე.** ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს.-ის 50-60-იან წლებში. – *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, ტ. II. თბ., 1973.

[5] *Материалы по истории русско-грузинских отношении (80-90-е годы XVII века)*. Документы к печати подготовил, предисловием и комментариями снабдил **Г. Паичадзе**. Тб., 1974.

[6] **Н. Накашидзе.** Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тб., 1968.

[7] **Ш. Месхиа, Я. Цинцадзе.** Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тб., 1958; **შ. მესხია.** შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (პროფ. იასე ცინცაძის წერილის გამო). – *მნათობი*. №1, 1970. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1986, გვ. 172-219.

ნ. ასათიანის,[1] დ. კაჭარავას[2] ნაშრომები. აქვე საგანგებოდ უნდა გამოვყოთ თვალსაჩინო ქართველი სამართალმცოდნის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგის, აკად. ლევან ალექსიძის ნაშრომი საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებზე.[3]

XX ს. 60-80-იან წლებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიის შესწავლა თბილისის უნივერსიტეტის გარდა სხვა სამეცნიერო ცენტრებშიც მიმდინარეობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია: ოლეგ ჟუჟუნაძის,[4] თამარ ტივაძის,[5] ზურაბ პაპასქირის[6] ნაშრომები.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიის შესწავლა არ მიმდინარეობს ადრინდელი მასშტაბებით, ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა. ამაში თავისი წვლილი შეაქვთ თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწე ახალგაზრდა მეცნიერებს გოჩა საითიძეს,[7] გიორგი ჟუჟუნაშ-

---

[1] **ნ. ასათიანი.** მასალები XVIIს.-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973.

[2] **დ. კაჭარავა.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს.-ის 50-იან წლებში. – *მაცნე*, №1, 1968; **დ. კაჭარავა.** ვახტანგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის. – *ქართული სამეფო–სამთავროების საგარეო–პოლიტიკის ისტორიიდან*, ტ. I. თბ., 1970; **დ. კაჭარავა.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ხასიათი (XVII-XVIII სს.). თბ., 1997.

[3] **ლ. ალექსიძე.** საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII სს.-ში. თბ., 1983.

[4] **ო. ჟუჟუნაძე.** საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XII საუკუნეში. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 267-280; **О. Г. Жужунадзе.** Из истории взаимоотношений Киевской Руси и Грузии в XII в. – *Из истории украинско-грузинских связей.* Тб., 1968, გვ. 25-37.

[5] **თ. ტივაძე.** ერთი ეპიზოდი XVII ს-ის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, – *ქართული სამეფო–სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, ტ. I. თბ., 1970; **თ. ტივაძე.** საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII ს-ის 60-იან წლებში, – *ქართული სამეფო–სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, ტ. II. თბ., 1973; **თ. ტივაძე.** ქართლის მეფე როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის. – *მაცნე*, №3, 1973; **თ. ტივაძე.** საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში. თბ., 1977; **თ. ტივაძე.** XVI ს-ის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის. – *მაცნე*, №3, 1983.

[6] **З. В. Папаскири.** Эпизод из истории русско-грузинских взаимоотношений. – *История СССР*, №1, 1977, გვ. 135-143; **З. В. Папаскири.** „Варанги“ грузинской „Летописи Картли“ и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI в. – *История СССР,* №3, 1981, გვ. 164-172; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982.

[7] **გ. საითიძე.** საქართველო და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა (XVI ს.-ის 90-

ვილს.[1]

თბილისის უნივერსიტეტი აქტიურად იყო ჩართული უძველეს პერიოდში ქართული პოლიტიკური სამყაროს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. საქართველოს ისტორიის, ძველი მსოფლიო ისტორიისა და აღმოსავლეთის ისტორიის კათედრებთან აქტიურად თანამშრომლობდა გამოჩენილი მეცნიერი, აკად. გიორგი მელიქიშვილი, რომელმაც ძველი საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ კაპიტალურ ნაშრომში[2] მოგვცა უძველესი ქართული გაერთიანებების: დაიაენი-დიაოხი, კოლხა – ძველაღმოსავლურ სამყაროსთან პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების ანალიზი. ამავე ნაშრომში სკრუპულოზურადაა გაშუქებული აგრეთვე კოლხეთ-ლაზიკისა და იბერია-ქართლის ურთიერთობები ძველ საბერძნეთთან, რომთან, ირანთან, კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან და ტომებთან.

ძველ საბერძნეთთან, რომთან, მოგვიანებით კი ბიზანტიის იმპერიასთან საქართველოს ურთიერთობების ისტორიის შესწავლის საქმეში სრულიად განსაკუთრებულია აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის ღვაწლი. მან და მისმა მოწაფეებმა გამოსცეს ძველ ბერძენ, რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ, რითაც შექმნეს მყარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მოცემული მიმართულებით შემდგომი მეცნი-

---

იანი – XVII ს.-ის 60-იანი წწ.). – *განთიადი*, №11-12, 1993; **გ. საითიძე.** ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (XVII ს.-ის 50-იანი წლები). – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 3. თბ., 1996; **გ. საითიძე.** რუსეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის დიპლომატიური კავშირურთიერთობის დამყარების ძირითადი ფაქტორები (XVII ს-ის 40-50-იანი წლები). – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 7. თბ., 2000; **გ. საითიძე.** მასალები რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს-ის 50-იან წლები). – *მაცნე*, №4, 1992; **გ. საითიძე.** ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წლები). – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 2. თბ., 1995; **გ. საითიძე.** მასალები საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს-ის 50-იანი წლები). – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 5. თბ., 1998; **გ. საითიძე.** საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წლები). – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 6. თბ., 1999.

[1] **გ. ჟუჟუნაშვილი.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII ს.-ის 40-იანი წლების შუახანებში. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 2. თბ., 1995; **გ. ჟუჟუნაშვილი.** უცხოელ ელჩთა მიღების წესები XVI-XVII სს.-ის ქართულ სამეფო-სამთავროებში. თბ., 1996.

[2] **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии, Тб., 1959. იხ. აგრეთვე მეცნიერის მიერ *„საქართველოს ისტორიის ნარკვევებისათვის“* დაწერილი თავები: *(საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1970; *Очерки истории Грузии*, т. I. Тб., 1988).

ერული კვლევის ფართოდ გაშლისათვის. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს შესახებ ს. ყაუხჩიშვილის მიერ ბიზანტიელ მწერალთა ცნობების უნიკალური კორპუსის – *„გეორგიკის“* მრავალტომეულის გამოცემა.

საქართველო-ძველი საბერძნეთისა და საქართველო-რომის სახელმწიფოს ურთიერთობების არაერთ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება აკად. თინათინ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული ძველი ბერძნული წყაროებისადმი დართულ კომენტარებში.[1] კოლხეთისა და ქართლის ურთიერთობები ანტიკურ სამყაროსთან შესწავლილი აქვს აკად. ოთარ ლორთქიფანიძეს.[2]

საქართველო-რომის ურთიერთობებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, თავის დროზე თბილისის უნივერსიტეტის ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგემ, პროფ. ნოდარ ლომოურმა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ რუსულ ენაზე გამოცემული ფუნდამენტური მონოგრაფია საქართველო-რომის ურთიერთობებზე.[3] ამავე კათედრაზე მოღვაწეობდა პროფ. გიორგი გოზალიშვილიც, რომელიც ასევე იყო აღნიშნული კათედრის გამგე. მისი პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია წიგნი პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორზე,[4] აგრეთვე ნაშრომი ლაზიკა-ეგრისის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე VI საუკუნეში.[5]

საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ისტორიის კვლევა მიმდინარეობდა თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ კათედრის თანამშრომლის, პროფ. ვასილ კოპალიანის ღვაწლი, რომელმაც შექმნა საეტაპო ნაშრომები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებზე.[6] ასევე ნაყო-

---

[1] **თ. ყაუხჩიშვილი**. ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1960; **თ. ყაუხჩიშვილი**. სტრაბონის გეოგრაფია: ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957; **აპიანე.** მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი, ქართული თარგმანი გამოსცა, შესავალი და კომენტარები დაურთო ***თ. ყაუხჩიშვილმა.*** თბ., 1959 და სხვ.

[2] **ო. ლორთქიფანიძე.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1966; **ო. ლორთქიფანიძე.** ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო. თბ., 1968.

[3] **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981; იხ. აგრეთვე მისი პუბლიკაციები: **ნ. ლომოური.** საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, I. თბ., 1994; **ნ. ლომოური.** დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ.წ. II-III საუკუნეებში. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 6. თბ., 1999 და სხვ.

[4] **გ. გოზალიშვილი.** მითრიდატე პონტოელი. თბ., 1962.

[5] **გ. გოზალიშვილი.** ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში. თბ., 1973.

[6] **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969; **ვ. კოპალიანი.** საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI–XII საუკუნეთა მიჯნაზე). – *მეთორმეტე საუკუნ-*

ფიერ მოღვაწეობას საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესწავლის სფეროში ეწეოდა პროფ. შოთა ბადრიძე, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნაშრომი ამ პრობლემატიკაზე.[1] საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ცალკეულ საკითხებზე ყურადღება გაამახვილა თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ (1972-1997 წწ.) აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ.[2]

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა დამუშავებული საქართველო-აღმოსავლური სამყაროს პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობები შუა საუკუნეებში. თითქმის ყველა მეცნიერი, რომელიც იკვლევდა საქართველოს საგარეო ურთიერთობებს ამ მიმართულებით, დაკავშირებული იყო თბილისის უნივერსიტეტთან. კვლევის ერთგვარ ცენტრს წარმოადგენს თსუ აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა. სწორედ ამ კათედრაზე მომზადდა და 1957 წელს გამოიცა უაღრესად საჭირო წიგნი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე, რომელშიც სათანადო ადგილი დაეთმო აღმოსავლურ სამყაროსთან საქართველოს პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობის საკითხებსაც.[3] ამ გამოცემის სულისჩამდგმელი იყო გამოჩენილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. ვალერიან გაბაშვილი. ვ. გაბაშვილს ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო პუბლიკაციები შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიის ისტორიის არაერთ პრობლემაზე.[4] საქართველო-აღმოსავლური სამყაროს ურთიერთობების ცალკეული საკითხები გაშუქებულია თსუ აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ამჟამინდელი გამგის, პროფ. დავით კაციტაძის შრომებში.[5]

ის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968.

[1] **შ. ბადრიძე.** „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. – *თსუ შრომები*. ტ. 113. თბ., 1965, **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984.

[2] **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских взаимоотнощении (70-е годи X в.). – *Საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის ნარკვევები*, II. თბ., 1972; **М. Д. Лордкипанидзе**. Из истории византийско-грузинских взаимноотношений (70-в годы XI в.). – *Византийский временник*. т. 40. М., 1979, გვ. 92-95 და სხვ.

[3] *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან*. თბ., 1957.

[4] **ვ. გაბაშვილი.** ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვ. 31. თბ., 1954; **ვ. გაბაშვილი.** სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. – წგნ.: *სულხან–საბა ორბელიანი. 1658–1958*. საიუბილეო კრებული. თბ., 1959.

[5] **დ. კაციტაძე.** XVI-XVII სს-ის სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის. – *კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული*, ტ. II. თბ., 1962; **დ. კაციტაძე.** საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 1975 და ა.შ.

წარმატებები საქართველო-აღმოსავლური სამყაროს ურთიერთობების შესწავლის სფეროში მნიშვნელოვნად განაპირობა სათანადო წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნამ, რაც შესაძლებელი გახდა აღმოსავლური (არაბულ-სპარსული და ოსმალური) მასალების მოძიებისა და გამომზეურების შედეგად. ამ მიმართულებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგი წერეთლის,[1] ვლადიმერ ფუთურიძის,[2] სერგი ჯიქიას,[3] ეთერ სიხარულიძის,[4] ოთარ ცქიტიშვილის,[5] რევაზ კიკნაძის,[6] გიორგი ფუთურიძის,[7] კარლო ტაბატაძის,[8] ბენიამინ სილაგაძის,[9] მაგალი თოდუას,[10]

---

[1] **გ. წერეთელი.** არაბული ქრესტომათია, თბ., 1962.

[2] *ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალაჰ ყაზვინი.* თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ***ვ. ფუთურიძისა.*** თბ., 1937; *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ.* **ვ. ფუთურიძის** გამოცემა. თბ., 1969; *მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ.* **ვ. ფუთურიძის** გამოცემა. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.* ნაკვ. 30, 1954; *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ.* სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ***ვ. ფუთურიძემ.*** შენიშვნები დაურთო ***რ. კიკნაძემ***. თბ., 1966.

[3] **ს. ჯიქია.** ხონთქარის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. – *ენიმკის მოამბე*, ტ. XIII. თბ., 1942; **ს. ჯიქია.** ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, – *ენიმკის მოამბე*, ტ. XIII. თბ., 1942; **ს. ჯიქია.** ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან. – *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები.* თბ., 1966; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. **ს. ჯიქიას** გამოცემა. თბ., 1964.

[4] **ე. სიხარულიძე.** არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, – *თსუ შრომები*, ტ. 73. თბ., 1959; **ე. სიხარულიძე.** ალ-ფარიკი საქართველოში. – *სემიტოლოგიური ძიებანი*, II. თბ., 1985.

[5] **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის პერიოდში. – *მაცნე*, №4, 1968; **ო. ცქიტიშვილი.** სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. – *თსუ შრომები*, ტ. 118. თბ., 1967; **ო. ცქიტიშვილი.** ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბეიდას თხზულებაში. – *მაცნე*, №2, 1976.

[6] **რ. კიკნაძე.** XI-XII სს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით). – *ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, I, ნაკვ. I. თბ., 1960.

[7] *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“.* თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო ***გ. ფუთურიძემ***. ნაკვ. I. თბ., 1971; ნაკვ. II. თბ., 1973.

[8] **კ. ტაბატაძე.** შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ. – *კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული*, ტ. II. თბ., 1962; **კ. ტაბატაძე.** რაშიდ ადდინის ცნობები საქართველოს შესახებ. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, II, თბ., 1968 და სხვ.

[9] **ბ. სილაგაძე.** მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, II. თბ., 1968; **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X ს.-ის ბოლო მეოთხედსა და XI საუკუნის პირველ მეოთხედში. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VI. თბ., 1986 და სხვ.

[10] **მ. თოდუა.** XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები. – *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, III, ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო ***მ. თოდუამ***. თბ., 1979.

კარლო კუციას,[1] ნოდარ შენგელიას,[2] გიული ალასანიას,[3] ნანა გელაშვილისა[4] და სხვ. პუბლიკაციები. შედეგად, სადღეისოდ კაპიტალურადაა გამოკვლეული საქართველოს ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთან. კერძოდ, XVI-XVII სს. ირან-ოსმალეთის დაპირისპირების ფონზე საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის ცალკეულ პრობლემებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა თსუ აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის თანამშრომელმა, პროფ. ვიტალი ჩოჩიევმა.[5] არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ხსენებული კათედრის წევრის, ცნობილი მეცნიერის, წლების მანძილზე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ნოდარ შენგელიას ნაყოფიერი მოღვაწეობა. მას ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომი საქართველო-სელჩუკების ურთიერთობებზე XI საუკუნეში[6] და სტატიები საქართველოს ურთიერთობებზე სელჩუკურ სამყაროსთან XII-XIII საუკუნეებში.[7] უკანასკნელ პერიოდში მეცნიერი წარმატებით იკვლევს ოსმალური პერიოდის მასა-

---

[1] **კ. კუცია.** „აჰსან ათ-თავარიხის“ ცნობები XV საუკუნის შესახებ. – *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, II. თბ., 1979, გვ. 75-86 და სხვ.

[2] **ნ. შენგელია.** სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. – *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. თბ., 1976; მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. **ნ. შენგელიას** გამოცემა. თბ., 1979 და სხვ.

[3] *ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ***გიული ალასანიამ***. თბ., 1978.

[4] **ისქანდერ მუნში.** აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება: ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ***ნ. გელაშვილმა***. თბ., 1981; *სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ.* სპარსულიდან თარგნმა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ნ. გელაშვილმა***. თბ., 1990.

[5] **ვ. ჩოჩიევი.** ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. – *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან*. თბ., 1957; **ვ. ჩოჩიევი.** მარტყოფის 1625 წლის გამოძახილი ოსმალეთში. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ. III. თბ., 1971; **ვ. ჩოჩიევი.** ირან-ოსმალეთის 1554 წლის დროებითი ზავი. – *აღმოსავლური ფილოლოგია*, ტ. III. თბ., 1973; **ვ. ჩოჩიევი.** ოსმალეთის 1548-1549 წლების ლაშქრობა სამცხე-საათაბაგოსა და ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე. – თსუ *შრომები*, ტ. 180. თბ., 1976; **ვ. ჩოჩიევი.** მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI ს-ის I ნახევრის ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის მიხედვით. – თსუ *შრომები*, ტ. 186. თბ., 1978; **ვ. ჩოჩიევი.** იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის II ნახევარში. – თსუ *შრომები*, ტ. 250. თბ., 1985.

[6] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1968.

[7] **ნ. შენგელია.** სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIII ს.-ის უკანასკნელი მეოთხედი). – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 2. თბ., 1995 და სხვ.

ლებსაც.[1] საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობების არაერთი საკითხია გაშუქებული პროფ. მიხეილ სვანიძის ნაშრომებში.[2] საქართველო-აღმოსავლური სამყაროს ურთიერთობებს ნაყოფიერად იკვლევს თბილისის უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, პროფ. გოჩა ჯაფარიძე.[3]

თბილისის უნივერსიტეტში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა კავკასიის ქვეყნებთან და ხალხებთან საქართველოს ურთიერთობების მეცნიერულ კვლევას. პირველ რიგში, ეს ეხება სომხურ სამყაროსთან ურთიერთობებს. ქართულ-სომხური ურთიერთობების კვლევა მიმდინარეობდა შუა საუკუნეების სომხური საისტორიო თხზულებებისა და სხვა წერილობითი წყაროების საგულდაგულო შესწავლის ფონზე. ქართველმა არმენისტებმა თარგმნეს და გამოსცეს არაერთი სომხური საისტორიო ძეგლი. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ ლაზარ ფარპეცის,[4] მოვსეს ხორენაცის,[5] მოსე კალანკატუაცის,[6] ეპისტოლეთა წიგნის,[7] იოანე დრასხანაკერტელის,[8] არისტაკეს ლასტივერტცის,[9] მათეოს ურჰაე-

---

[1] **მუსტაფა ნაიმა.** ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ***ნ. შენგელიამ***, თბ., 1979, და სხვ.

[2] **მ. სვანიძე.** საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 1971 და სხვ.

[3] **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIIIს.-ის პირველ მესამედში. თბ., 1995; **გ. ჯაფარიძე.** დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით, – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 1. თბ., 1994; **გ. ჯაფარიძე.** ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონღოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 2. თბ., 1995; **გ. ჯაფარიძე.** XIV ს.-ის არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ. – *მაცნე* (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, 1985; **გ. ჯაფარიძე.** „აჯა“ იბ ად-დუნ؟ა აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ერთი ეპიზოდის შესახებ. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 6. თბ., 1999 და სხვ.

[4] **ლ.-ნ. ჯანაშია.** ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1962.

[5] **მოვსეს ხორენაცი.** სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო **ა. აბდალაძემ**. თბ., 1984.

[6] **მოვსეს კალანკატუაცი**. ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა***. თბ., 1985.

[7] *ეპისტოლეთა წიგნი*. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ***ზ. ალექსიძემ***, თბ., 1968.

[8] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა***. თბ., 1965.

[9] **არისტაქეს ლასტივერტელი**. ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა***. თბ., 1974.

ცის,[1] მხითარ გოშის,[2] გრიგოლ აკანეცის,[3] თომა მეწოფეცის,[4] არაქელ დავრიჟეცისა,[5] ვარდან დიდის[6] და სხვა თხზულებები. თითოეული ამ წყაროს ქართული თარგმანისადმი დართულ კომენტარებსა და გამოკვლევებში გაშუქებულია საქართველო-სომხეთის ურთიერთობების საკვანძო საკითხები. ამასთან, გარდა საკუთრივ ქართულ-სომხური ურთიეთობებისა, სომხური წყაროები იძლევიან უაღრესად საინტერესო ცნობებს საქართველო-ბიზანტიის, საქართველო-ოსმალეთის, საქართველო-ირანის ურთიერთობებზე. ქართულ-სომხურ პოლიტიკურ ურთიერთობებს მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია[7] და სპეციალური წერილი, მათ შორის აკად. მ. ლორთქიფანიძის პუბლიკაციები.[8]

თბილისის უნივერსიტეტში მიმდინარეობდა საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესწავლა. ჯერ კიდევ XX ს. 50-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის პრობლემებზე სალექციო კურსი მოამზადა და წლების მანძილზე ამ კურსს კითხულობდა ცნობილი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ზურაბ ანჩაბაძე. 60-70-იან წლებში სწორედ ზ. ანჩაბაძის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის ნარკვევების I და II ტომები, რომლებშიც სათანადო ადგილი ეკავა საქართველოს ურთიერთობებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და სახელმწიფოებრივ გაერთიანებებთან.[9]

---

[1] **ლ. დავლიანიძე.** მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966.

[2] **ლ. დავლიანიძე.** მხითარ გოში, „ალბანეთის ქრონიკა“, – *„ქართული წყაროთმცოდნეობა“*, ტ. II, თბ., 1968.

[3] **გრიგოლ აკანელი.** მოისართა ტომის ისტორია (სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით გამოსცა ***ნ. შოშიაშვილმა***. თბ., 1961.

[4] **თომა მეწოფეცი.** ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ***კ. კუციამ***. თბ., 1987.

[5] *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ.* თარგმანი შესავალი და კომენტარები ***კ. კუციასი***. თბ., 1975.

[6] ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია ძველი სომხურიდან თარგმნეს ***ნოდარ შოშიაშვილმა*** და ***ეკა კვაჭანტირაძემ.*** შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ***ეკა კვაჭანტირაძემ***. თბ., 2002.

[7] **გ. მაისურაძე.** სომეხი და ქართველი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს.-ში. თბ., 1982; **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988 და სხვ.

[8] **მ. ლორთქიფანიძე.** ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XII ს. საქართველოში. – *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*, I. თბ., 1970; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან. – *მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები – თსუ შრომები*, ტ. 125. თბ., 1968.

[9] **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე.** ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1969; ტ. II, თბ., 1978.

სადღეისოდ ამ მიმართულებით ქართველ ისტორიკოსებს თვალსაჩინო შედეგები აქვთ. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გიორგი თოგოშვილის,[1] მარინე ცინცაძის,[2] აბრამ შავხელიშვილის,[3] ჯემალ სტეფნაძის,[4] ზურაბ პაპასქირის[5] პუბლიკაციები.

საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების მიზანმიმართული კვლევის ერთგვარ ცენტრს წარმოადგენს თსუ კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრა, რომლის პირველი გამგე, პროფ. თეიმურაზ ბოცვაძე არის ავტორი ფუნდამენტური შრომებისა საქართველო-დაღესტნისა[6] და ზოგადად საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის[7] ურთიერთობების საკვანძო პრობლემებზე.

დამუშავებულია საქართველო-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ურთიერთობების პრობლემებიც. ამ მხრივ საინტერესო პუბლიკაცია აქვს თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორს, ნოდარ ასათიანს, რომელმაც შეისწავლა საქართველოს ურთიერთობები შარვანთან XII საუკუნეში.[8] საქართველო-შარვანის ურთიერთობებს შეეხო ჯ. სტეფნაძეც.[9] საქართველოს ურთიერთობები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს პ. თოფურიას.[10]

---

[1] **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს-ის დამდეგამდე). სტალინირი, 1958; **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1969; **გ. თოგოშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბ., 1977 და სხვ.

[2] **მ. ცინცაძე.** საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1982.

[3] **А. И. Шавхелишвили.** Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушскими народами (С древнейших времен до XV века). Грозный, 1963.

[4] **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XI საუკუნეში, თბ., 1974.

[5] **З. В. Папаскири.** К вопросу о международной роли Грузии в XI – первой половине XII вв.– *Проблемы истории СССР*, V. Изд. МГУ. М., 1976, გვ. 15-128; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982.

[6] **თ. ბოცვაძე.** საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.). თბ., 1968.

[7] **თ. ბოცვაძე.** ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XV-XVIII სს.-ში. თბ., 1990.

[8] **ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. – *მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები – თსუ შრომები*, ტ. 125. თბ., 1968.

[9] **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XI საუკუნეში. თბ., 1974.

[10] **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირფესვიანად არის დამუშავებული საქართველოს პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან. ამ მიმართულებით მეცნიერულ კვლევას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სათავე დაუდო მ. თამარაშვილმა, რომელმაც საგანგებოდ მოიძია და გამოამზეურა საქართველო-დასავლეთ ევროპის ურთიერთობების ამსახველი მასალები. ჩვენს დროში ამ მიმართულებით კოლოსალური სამუშაო ჩაატარა ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფ. ილია ტაბაღუამ, რომელიც წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობდა თსუ ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრასთან. მან გამოსცა დასავლეთ ევროპული მასალების კორპუსი 3 ტომად.[1] კათოლიკურ ევროპასთან საქართველოს ურთიერთობების ამსახველი მასალები გამოაქვეყნეს აგრეთვე თსუ შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგემ, პროფ. გივი ჟორდანიამ და ზურაბ გამეზარდაშვილმა.[2] საინტერესო პუბლიკაციები ამ სფეროში აქვთ ჯუანშერ ვათეიშვილსა[3] და პროფ. ელგუჯა ხინთიბიძეს.[4] საქართველო-დასავლეთ ევროპის ურთიერთობების ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ცნობილი უნგრელი ქართველოლოგის, თსუ საპატიო დოქტორის ლაიოშ ტარდის ღვაწლი. აღსანიშნავია, რომ მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომი საქართველო-უნგრეთის ურთიერთობებზე XVI საუკუნეში[5] ავტორმა წარმოადგინა სადოქტორო დისერტაციად და წარმატებით დაიცვა სწორედ თბილისის უნივერსიტეტში. საქართველო-დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებზე საინტერესოა ოლეგ ჟუჟუნაძის,[6] ელდარ მამისთვალიშვილისა[7] და დავით პაიჭაძის[8] პუბლიკაციები.

---

[1] **ი. ტაბაღუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. (XIII-XVI სს.), I. თბ., 1984; II. თბ., 1986; III. თბ., 1987.

[2] **Г. Жордания, З. Гамезардашвили.** Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тб., 1994.

[3] **ჯ. ვათეიშვილი.** ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე. – *მაცნე*, №2, 1991.

[4] **ე. ხინთიბიძე.** ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ. – *ცისკარი*, №3,1986.

[5] **ლ. ტარდი.** საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI ს-ში, თბ., 1980.

[6] **ო. ჟუჟუნაძე.** XVს. პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. – *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან*, I. თბ., 1970.

[7] **ე. მამისთვალიშვილი.** ოდიშის ისტორიიდან, – თსუ *შრომები*, ტ. 310, თბ., 1992; **ე. მამისთვალიშვილი.** საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს.-ის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით). თბ., 1981 და სხვ.

[8] **დ. პაიჭაძე.** ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო. თბ., 1989.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპ-ლომატიის ისტორიის საკითხები განხილულია შოთა მესხიას,[1] მამია დუმ-ბაძის,[2] მარიამ ლორთქიფანიძის,[3] დავით მუსხელიშვილის,[4] თსუ საქართ-ველოს ისტორიის კათედრის გამგის (1997 წლიდან) როინ მეტრეველის,[5]

---

[1] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. – წგნ.: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986; **შ. მესხია.** საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითა-რება რუსთაველის ეპოქაში. – *საისტორიო ძიებანი*, ტ. III. თბ., 1986.

[2] **მ. დუმბაძე.** ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან, – *სა-ქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბაძე.** ბრძოლა და-მოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბაძე.** ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბაძე.** ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება 70-80-იან წლებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბაძე.** პოლიტიკურ წინააღმდეგობათა კვანძი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბაძე.** საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბაძე, ზ. ცქი-ტიშვილი.** საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ირანელთა შემოსე-ვა 1795წ. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბა-ძე.** ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. – *სა-ქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974; **მ. დუმბაძე.** იმერეთის სა-ხელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. IV. თბ., 1974.

[3] **მ. ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარ-მოქმნა, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973; ; **მ. ლორთქი-ფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III. თბ., 1979; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III. თბ., 1979.

[4] **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკით-ხები, I. თბ., 1977; II. თბ., 1980.

[5] **რ. მეტრეველი.** და მოვიდეს ვარანგნი... (ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვე-ვები). თბ., 1988; **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი. თბ., 1990; **რ. მეტრე-ველი.** მეფე თამარი. თბ., 1991; **Р. В. Метревели.** Внешняя политика Грузии в средние века. *XII век*. Тб., 1995; **R. Metreveli**. Foreign Policy of Georgia in the middle Ages. *12th Century*. Tbilisi, 1997; **R. Metreveli.** Der byzantinisch-bulgarische Krieg 1014-1018 und Georgien. – *Georgica*, Heft 11, Yena-Tbilisi, 1988; **R. Metreveli.** Die byzan-tinisch-georgischen Beziechungen im 11. Jahrhundert. – *Georgica*, Heft 17. Universitat-sverlag. Konstanz, 1994; **R. Metreveli.** Les relations de la Georgie avec la Byzance et les croises au XII-ieme siecle. – *Caucasica. The Journal of Caucasian Studies, Vol.* 3. Tb., 1998 და სხვ.

ზურაბ პაპასქირის[1] შრომებში, რომლებშიც საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონკრეტული პრობლემების ანალიზის ფონზე დაზუსტებულია ქართული დიპლომატიის ისტორიის არაერთი საკითხი, ნაჩვენებია ქართული პოლიტიკური სამყაროს როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის მეცნიერული შესწავლის სფეროში თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო XX ს. 90-იან წლებში, როდესაც საქართველომ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარმა ამ დიდმა ცვლილებამ და საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლამ, წარმოშვა საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სფეროში ქართული პოლიტიკური სამყაროს მთელი ისტორიული მემკვიდრეობის წარმოჩენის აუცილებლობა და მეცნიერულად დასაბუთებული, ობიექტური სურათის შექმნა საქართველოს საგარეო ურთიერთობებზე, მის როლსა და ადგილზე საერთაშორისო ურთიერთობებში მთელი ისტორიის მანძილზე.

ამ პროგრამის რეალიზაციის მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1992 წელს გაიხსნა სპეციალური უჯრედი – *„ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია“*, რომელიც მოგვიანებით *„ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრად“* გადაკეთდა. ლაბორატორია-ცენტრი იმთავითვე შეუდგა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხების გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ კვლევას. ამ კვლევის შედეგები აისახა ცენტრის შრომების წელიწდეულ კრებულებში: *„ქართული დიპლომატია“*, რომლის 10 ტომი უკვე გამოიცა. მასში დაბეჭდილია როგორც ცენტრის თანამშრომლების (რ. მეტრეველის, ნ. ბურჯანაძის, ზ. პაპასქირის, გ. ქავთარიას, დ. ნინიძის, თ. დუნდუას, გ. იობაშვილის, დ. ლეთოდიანის, დ. კაჭარავას, ნ. ჯავახიშვილის, გ. ბოლოთაშვილის, გ. საითიძის, ჯ. სამუშიას, ბ. კუპატაძის, ე. ასტახიშვილის, ბ. კუდავას, გ. აღსიაშვილის და სხვ.), ისე თსუ სხვადასხვა კათედრებზე მოღვაწე მეცნიერთა (ვ. მაჭარაძე, გ. ზედგინიძე, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ასათიანი, ლ. ალექსიძე, დ. კაციტაძე, მ. სვანიძე, ნ. შენ-

---

[1] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990; **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში.* თბ., 1991; **З. В. Папаскири**. От Давида до Давида. *Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001 და სხვ.

გელია, გ. გიორგაძე, ნ. გელაშვილი, ა. რონდელი, ქ. პავლიაშვილი, ე. ხოშტარია-ბროსე, დ. შველიძე, ვ. გურული, გ. გელაშვილი, გ. ცხოვრებაძე, მ. გეგუჩაძე, შ. დარჩიაშვილი, მ. გურამიშვილი, მ. სტეფნაძე, ზ. დავითაშვილი, ვ. კობალაძე და სხვ.), აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებში მომუშავე მკვლევართა (ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, გ. ფიფია, ლ. თოიძე, ლ. მარშანია, გ. გასვიანი, ნ. ლომოური, მ. ინაძე, დ. მუსხელიშვილი, ე. მამისთვალიშვილი, ჯ. სტეფნაძე, ა. აბდალაძე, გ. მაისურაძე, ა. ჩხეიძე, რ. გაჩეჩილაძე, გ. ბუაჩიძე, ა. მიქაბერიძე, დ. პაიჭაძე, გ. კაციტაძე და სხვ.) სტატიები საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კრებულში სისტემატურად იბეჭდება სტატიები მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხებზეც (იხ. გ. ქავთარიას, ი. მენთეშაშვილის, ნ. გომართელის, მ. კალანდაძის, გ. კუკუტარიას, თ. პაპასქირის და სხვ. მასალები). კრებული სისტემატურად აქვეყნებს აგრეთვე საქართველოს საგარეო პოლიტიკური ცხოვრებისა და დიპლომატიური პრაქტიკის ამსახველ სხვადასხვა დოკუმენტებს, აგრეთვე მემუარულ მასალებს.

თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაწეული ნაყოფიერი მუშაობის ერთგვარ შეჯამებად იქცა პირველი *„ქართული დიპლომატიური ლექსიკონის“* (ტ. I, თბ., 1998, ტ. II, თბ., 1999) შექმნა, რომელშიც შესულია როგორც ცენტრის თანამშრომლების (როინ მეტრეველი, ალექსანდრე აბდალაძე, ერეკლე ასტახიშვილი, გიორგი ახსიაშვილი, გივი ბოლოთაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ნოდარ გიოშვილი, თედო დუნდუა, თეა თევდორაშვილი, ირინა თევდორაშვილი, გულივერ იობაშვილი, დევი კაჭარავა, ბუბა კუდავა, ბონდო კუპატაძე, დიმიტრი ლეთოდიანი, მაია მეგრელიძე, გივი ნარსია, დავით ნინიძე, ზურაბ პაპასქირი, გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია, გრანი ქავთარია, ვასიკო შალამბერიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნიკო ჯავახიშვილი, გოჩა ჯაფარიძე), ისე მოწვეულ ავტორთა (შოთა ბადრიძე, რუსუდან დაუშვილი, ზურაბ ვანიშვილი, სიმონ კილაძე, დავით კობახიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, თეიმურაზ პაპასქირი, გიორგი ტაბატაძე, იაკობ ფუტკარაძე) მიერ მომზადებული მასალები.

მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელიც ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა შეასრულა, იყო საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომი – *„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“* ორტომეული (თბ., 1998). აღნიშნულმა ნაშრომმა (მთ. რედაქტორი – როინ მეტრეველი, ავტორები: ერეკლე ასტახიშვილი, გრანი ქავთარია, ნოდარ ლომოური, ნოდარ შოშიაშვილი, დიმიტრი ლეთოდიანი, ზაზა ალექსიძე, მარი-

ამ ლორთქიფანიძე, ზურაბ პაპასქირი, როინ მეტრეველი, დავით ნინიძე, დევი კაჭარავა, ნოდარ ასათიანი, გოჩა საითიძე, დავით კაციტაძე, ილია ტაბაღუა, ვალერიან მაჭარაძე, გულივერ იობაშვილი, ავთანდილ მენთეშაშვილი) იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება და ის იქცა სამაგიდო წიგნად საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპ-ლომატიის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის. ნაშრომმა დაიმსახურა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ *„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარ-კვევებმა“* გარკვეულ ეტაპზე, ფაქტობრივად, შეასრულა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს ფუნქციაც, თუმცა არც ფორმით და არც მოცულობით ის არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმძღვანელოდ. ამიტო-მაც თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა გადადგა ნაბიჯები უშუალოდ სასწავ-ლო-მეთოდური ლიტერატურის შესაქმნელად.

2001 წელს ცენტრმა გამოსცა პირველი სასწავლო პროგრამა *„ქართული დიპლომატიის ისტორიაში“* (შემდგენლები: პროფ. ზურაბ პაპასქირი და დოც. გოჩა საითიძე, რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი). სულ ახლახან გამოიცა *„ქართული დიპლომატიის ისტორიის“* პირ-ველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (მთ. რედაქტორი – აკად. როინ მეტრეველი, ავტორები: ერეკლე ასტახიშვილი, გრანი ქავთარია, დიმიტრი ლეთოდიანი, მარიამ ლორთქიფანიძე, ზურაბ პაპასქირი, როინ მეტრეველი, დავით ნინიძე, დევი კაჭარავა, ჯაბა სამუშია, გულივერ იობაშვილი, ვახტანგ გურული, გივი ბოლოთაშვილი). გამოსაცემად მზა-დაა *„ქართული დიპლომატიის ისტორიის“* ქრესტომათია (შემდგენლები: გოჩა საითიძე, ჯაბა სამუშია და ბონდო კუპატაძე. მასალები მოამზა-დეს: როინ მეტრეველმა, გრანი ქავთარიმ, დიმიტრი ლეთოდიანმა, თე-დო დუნდუამ, ზურაბ პაპასქირმა, ჯაბა სამუშიამ, ბუბა კუდავამ, ვალე-რი სილოგავამ, დავით ნინიძემ, დევი კაჭარავამ, გოჩა საითიძემ, ბონდო კუპატაძემ, ნიკო ჯავახიშვილმა, ირინე თევდორაშვილმა, თეა თევდო-რაშვილმა, გივი ნარსიამ, ლელა ჯავახიშვილმა; მთ. რედაქტორი როინ მეტრეველი).

თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორი-ის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აქტიურად იყო ჩართული ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემის შექმნაში, როგორიცაა ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი (თბ., 2002). ამ ნაშრომში შესულია ათე-ულობით სტატია საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე.

უკანასკნელ პერიოდში, გარდა თსუ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა ქართული დიპლომატიის ისტორიის პრობლემებზე საინტერესო ნაშრო-

მები შესრულდა სხვა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში თსუ სხვა კათედრებზე. ამ მხრივ პირველ რიგში გამოვყოფდით აწგანსვენებული მკვლევრის ლოვარდ ტუხაშვილის მონოგრაფიას,[1] აგრეთვე მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის,[2] ვახტანგ გურულისა და აპოლონ სილაგაძის,[3] ნესტან კირთაძის,[4] მამია დღვილავას[5] პუბლიკაციებს. ნაყოფიერად იღწვის პროფესორი ილია ტაბაღუა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა კრებულის – *„საქართველოს ურთიერთობები ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“* – 5 ტომი.[6] საქართველო-ინგლისისა და საქართველო-იტალიის ურთიერთობებზე 1918-1921 წწ. გამოსცეს რამაზ ცუხიშვილმა[7] და დაზმირ ჯოჯუამ.[8]

ასეთია ზოგადი, ძალზე სქემატური სურათი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ნაწილობრივ მის ფარგლებს გარეთაც) მიღწეული შედეგებისა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის სფეროში.

---

[1] **ლ. ტუხაშვილი.** ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. წ. 1. *ბაგრატ III-დან გიორგი V ბრწყინვალემდე.* თბ., 1994.

[2] *აჭარა რუსი დიპლომატის თვალით, 1921–1922.* კ. იუსტის მოხსენება. მიმდინარე მომენტი აჭარაში (თეზისები). ტექსტი გამოსაც. მოამზადეს ***მერაბ ვაჩნაძემ*** და ***ვახტანგ გურულმა.*** თბ., 1998; **ვ. გურული.** საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921). თბ., 1998; **მ. ვაჩნაძე, ვ. გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. *ისტორია. შედეგები. გაკვეთილები* თბ., 2001.

[3] **ვ. გურული, ა. სილაგაძე.** საქართველო და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა. – *ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები.* თბ., 2001, გვ. 92-127.

[4] **ნ. კირთაძე.** ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წწ). თბ., 1997; **ნ. კირთაძე.** საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები. თბ., 1997.

[5] **მ. დღვილავა.** საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1996; **მ. დღვილავა.** გერმანიის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. თბ., 1997.

[6] *საქართველოს ურთიერთობები ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან.* რედაქტორი ***ილია ტაბაღუა***. ტ. 1. თბ., 1994; ტ. 2. თბ., 1995; ტ. 3. თბ., 1996; ტ. 4-5. თბ., 1999.

[7] **რ. ცუხიშვილი.** ინგლის-საქართველოს ურთიერთობა, 1918-1921 წწ. თბ., 1995; **რ. ცუხიშვილი.** ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობებში (1918-1921 წწ.). ნაკვ. 1. თბ., 1996.

[8] **დ. ჯოჯუა.** საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში. თბ., 1997; **დ. ჯოჯუა.** ფრანჩესკო ნიტის „რუსული პოლიტიკა“ და საქართველო (1919 წ. ივნისი – 1920 წ. ივნისი). თბ., 2001.

კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში*

საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე, მისი როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო მსოფლიოში (უპირატესად წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში) განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე. ასე მაგალითად, სრულიად აშკარაა, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე ქართლი-იბერიის სამეფოს ფორმირება-აღზევება ძირითადად განსაზღვრა იმ პერიოდში საქართველოს სამხრეთით მომხდარმა დიდმა კატაკლიზმებმა, კერძოდ კი, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის უძლეველი იმპერიის – აქემენიდური ირანის დამხობისა და მოგვიანებით (ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ) მის ადგილზე შემდგომ ახალი ელინისტური გაერთიანებების წარმოქმნის შედეგად შექმნილმა საერთაშორისო კონიუნქტურამ, რაც ასე მკაფიოდ დაფიქსირა ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ.[1]

ამ თვალსაზრისით არანაკლებ თვალსაჩინოა ლაზიკა-ეგრისის მაგალითი ახ. წ. II-IV საუკუნეებში. ამ პერიოდში ლაზიკა-ეგრისის ძლიერი სამეფოს წარმოქმნა-დაწინაურების უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი უდავოდ იმჟამად (ახ. წ. III-IV სს.) რომი-სასანიდური ირანის ურთიერთობაში არსებული ძალთა ბალანსი იყო. ამ შემთხვევაში, რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს ეს, ლაზ მეფეთა აღზევებასა და მათი კვერთხის ქვეშ მთელი დასავლეთ საქართველოს (ისტორიული კოლხეთის) გაერთიანებას ხელს მისი სიუზერენი – რომის იმპერია უწყობდა, რაც, პირველ რიგში, თვით რომის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. როგორც ცნობილია, ახ. წ. III-IV საუკუნეებში გაძლიერების გზაზე მდგარმა სასანიდურმა ირანმა რეალური საფრთხე შეუქმნა რომის მფლობელობას აღმოსავლეთში. ამავე პერიოდში გახშირდა ჩრდილოეთ კავკასიიდან სხვადასხვა ტომთა (გუთების, ჰუნების) ამაოხრებელი შემოსევები. ასეთ ვითარებაში რომს დაქსაქსული წვრილი „სამეფოების“ ნაც-

---

* დაიბეჭდა: *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2008, გვ. 436-460 (http://sou.edu.ge/files/samecniero%20mushaobis%20koordinacia/ssu_shromebi_5_%282008%29.pdf).

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **გ. მელიქიშვილი.** ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. *ქართლის სამეფოს წარმოქმნა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. I. თბ., 1970, გვ. 422-444; **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 277-279: **Г. А. Меликишвили.** Образование Картлийского (Иберийского) царства. – *Очерки истории Грузии*, т. I. Тб., 1989, გვ. 245-258.

ვლად დასჭირდა ძლიერი ვასალი-მოკავშირე[1] – აკად. დ. მუსხელიშვილის მოსწრებული შენიშვნით, „ძლიერი მოკავშირე.., ვიდრე სუსტი ვასალი“,[2] რომელიც გადაიქცეოდა მთავარ დასაყრდენად ამიერკავკასიაში. სწორედ ეს ფუნქცია ეკისრებოდა ლაზიკა-ეგრისის სამეფოს ახ.წ. III-IV საუკუნეებში.[3]

წარმოდგენილ სტატიაში, ჩვენ შევეცადეთ კავკასია-ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების ფონზე გაგვეშუქებინა ქართული პოლიტიკური სამყაროს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა VIII საუკუნეში და გვეჩვენებინა იმჟამინდელი საერთაშორისო კონიუნქტურის გავლენა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე. აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ესაა ერთგვარი გაგრძელება და უფრო სიღრმისეული შესწავლა იმ საკითხებისა, რომლებიც ნაწილობრივ განხილული იყო ჩვენს ადრინდელ პუბლიკაციებში.[4]

VIII ს. მთელ მანძილზე სამხრეთ კავკასია რჩებოდა ბიზანტია-არაბებისა და აგრეთვე ხაზართა ხაკანატის სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ჭიდილის არენად.[5] ბიზანტია-არაბების კონფრონტაცია საქართველო-კავკასიის ირგვლივ, როგორც ცნობილია, დაიწყო ჯერ კი-

---

[1] **ნ. ლომოური.** დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973, გვ. 162; გვ. 114. **Н. Ю. Ломоури.** Западная Грузия – Эгриси (Лазика) в IV-V вв. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988.

[2] **დ. მუსხელიშვილი.** საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003, გვ. 106.

[3] დაწვრ. იხ.: **გ. მელიქიშვილი.** საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში. – წგნ.: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. I. თბ., 1970, გვ. 556-557; **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 382-384; **Г. А. Меликишвили.** Население исторической Колхиды в первые века н. э. Возникновение и укрепление Лазского царства. – *Очерки истории Грузии*, т. I. Тб., 1989, გვ. 341; **ნ. ლომოური.** დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, გვ. 161-163; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველო IV-VIII საუკუნეებში.., გვ. 105-106.

[4] იხ.: **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია,* წელიწდეული, 4. თბ., 1997, გვ. 291-308; **ზ. პაპასქირი.** დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიიდან. VIII საუკუნის I ნახევარი. – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 102-120; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე VIII ს-ში. – *ქართული დიპლომატიის ისტორია.* თბ., 2003, გვ. 98-109.

[5] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ს. ჯანაშია.** არაბობა საქართველოში. – *შრომები*, ტ. II. თბ., 1952, გვ. 365-367; **М. И. Артамонов.** История хазар. Л., 1962, გვ. 202-252; **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат. Ереван, 1977, გვ. 85-88; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные Грузинские государства в VI-VIIIвв. – *Очерки истории Грузии,* т. II. Тб., 1988, გვ. 173-185; **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა საქართველოში. *არაბული ცნობების მიხედვით.* თბ., 1991, გვ. 66-87.

დევ VII ს. 40-იანი წლებიდან, როდესაც ირანის დაკავების შემდეგ სახალიფოს ჯარები სამხრეთ კავკასიას მოადგნენ. ამ დროიდან დაწყებული, ბიზანტია და არაბები პერიოდულად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. 686 წელს ბიზანტია-არაბების მორიგი შეხლა-შემოხლა ერთგვარი კომპრომისული ზავით დასრულდა, რომლის თანახმადაც სომხეთსა და ქართლში აკრეფილ ხარკს ბიზანტია და სახალიფო შუაზე იყოფდნენ.[1]

ჯერ კიდევ VII ს. მიწურულს – ხალიფა აბდ ალ-მალიქის მმართველობის (685-705 წწ.) დროს – თანდათანობით გამოიკვეთა არაბების უპირატესობა და მათ არა მარტო ფეხი ამოუკვეთეს ბიზანტიელებს ქართლში, არამედ დასავლეთ საქართველოდანაც კი გააძევეს ისინი. ბიზანტიელი ავტორის თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, 697 წ. ახლო ხანებში ლაზიკის ხელისუფალმა სერგი ბარნუკის ძემ, რომელიც პატრიკიოზის ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს ატარებდა, უარი თქვა კონსტანტინოპოლის მორჩილებაზე და თავისი ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა.[2] VIII ს. დამდეგს კი არაბებმა ფეხი მოიკიდეს ლაზიკა-ეგრისის განაპირა მხარეებში, კერძოდ, მათი გარნიზონები ჩადგნენ კოდორის ხეობის ციხეებში.[3] სახალიფოს უზენაესობა ცნო აბაზგია-აფხაზეთმაც,[4] რომელიც ამ

---

[1] *თეოფანეს ქრონოგრაფი. – გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941, გვ. 104; **ს. ჯანაშია.** არაბობა საქართველოში, გვ. 366; **ა. ბოგვერაძე.** ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973, გვ. 287.

[2] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 105; **ს. ჯანაშია.** არაბობა.., გვ. 368.

[3] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 106; **ს. ჯანაშია.** არაბობა.., გვ. 368.

[4] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 107; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. *VI-XVII вв.* Сухуми, 1959, გვ. 89-90; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные Грузинские государства.., გვ. 174; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები.., გვ. 292; აღსანიშნავია, რომ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი ნამდვილად იყო თუ არა აბაზგია-აფხაზეთი მოქცეული არაბთა გავლენის ქვეშ. მაგ., მ. კანარი, ალანიაში ლეონ ისავრიელის ვოიაჟის შესახებ თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობის კომენტირებისას, საუბრობდა მხოლოდ ლაზიკის მხრიდან არაბთა ბატონობის აღიარებაზე იმპერატორ ლეონტის (695-698) მმართველობის პერიოდში, რაც შეეხება აბაზგებსა და აფშილებს, მეცნიერის აზრით, ისინი უბრალოდ განუდგნენ ბიზანტიის იმპერიას, ლეონ ისავრიელის ექსპედიციის მიზანი კი ლაზიკაში იუსტინიანე კეისრის ლაშქრობამდე აბაზგებზე ალანთა თავდასხმის პროვოცირება იყო (**M. Canard.** L'aventure caucasienne du spathaire Léon le futur empereur Léon III. – *Revue des Etudes arméniennes*, 8. 1971, p. 354. მითითებულია წიგნიდან: **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения. М., 1980, 389-ე კომენტარი, გვ. 137). არაბთა ყოფნას აბაზგია-აფხაზეთში კატეგორიულად უარყოფს ს. ზეტეიშვილი (**С. Г. Зетейшвили.** Сведения об аланах в *«Хронографии» Феофана. – Древнейшие государства на территории СССР*. М.,

დროისათვის მოიცავდა ტერიტორიას მდ. გუმისთის ჩრდილოეთით – მდ. ბზიფის შესართავამდე. ამრიგად, VIII ს. 10-იანი წლების დასაწყისისათვის არაბები, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს დაეპატრონნენ. აღსანიშნავია, რომ ეს მათ მოახერხეს არა ფართომასშტაბიანი სამხედრო ექსპედიციების მოწყობის გზით, არამედ მოქნილი დიპლომატიის წყალობით. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს იმდროინდელი ლიდერის, ლაზიკის პატრიკიოზის სერგი ბარნუკის ძის გადმობირებას, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვითონ ჩააბარა ქვეყანა არაბებს. ყოველივე ეს ბიზანტიური დიპლომატიის სრული კრახი იყო.

ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება, ცხადია, ვერ შეეგუებოდა მოვლენების ამგვარ განვითარებას და მან უმალვე გადადგა საპასუხო დიპლომატიური ნაბიჯები დასავლეთ საქართველოში შერყეული პოზიციების აღსადგენად. იმპერიის მესვეურებმა „ღალატისათვის“ ლაზთა და აბაზგთა სამაგალითო დასჯა გადაწყვიტეს.[1] ამ მიზნით კონსტანტინოპოლმა საგანგებო დიპლომატიური მისიით კავკასიაში მოავლინა საიმპერატორო კარის მაღალი რანგის მოხელე (სპათარი), ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე (მომავალი იმპერატორი), მოქნილი დიპლომატი ლეონ ისავრიელი, რომელსაც ალანთა მოსყიდვა და მათი აბაზგ-ლაზების წინააღმდეგ ამხედრება დაევალა.[2] ლეონ ისავრიელის მოგზაურობამ კავკასიაში ძირითადად მიაღწია დასახულ მიზანს. რამდენადმე შეირყა არაბთა გავლენა დასავლეთ საქართველოში – ლეონ ისავრიელის დიპლომატიური მისიის შედეგად აბაზგიისა და აფშილეთის მესვეურებმა ცნეს ბიზანტიის იმპერიის უზენაესობა და ამიერიდან, როგორც ჩანს, აბაზგია-აფხაზეთს „ერისთავი კეისრისა“ მართავდა.[3]

ამ ბოლო დროს, მ. სანაძის მხრიდან ადგილი აქვს სრულიად დაუსაბუთებელ მცდელობას, ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში დაფიქსირებული „ერისთავი კეისრისა“ ლეონი, რომელიც, როგორც ცნობილია, მხარში ედგა მურვან ყრუს მიერ დევნილ ქართლის ერისმთავრებს მირსა

1976, გვ. 85). მათგან განსხვავებით ი. ჩიჩუროვს სრულიად დამაჯერებლად მიაჩნია თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობა და ასევე თვლის, რომ აბაზგია-აფხაზეთი აღიარებდა არაბთა უზენაესობას (**И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, 389-ე კომენტარი, გვ. 137).

[1] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой.., გვ. 85; **Т. Г. Папуашвили.** Взаимоотношения грузин и абхазов на фоне политической обстановки в Эгриси Абхазии в VII-VIII вв. – წგნ.: **Г. А. Амичба, Т. Г. Папуашвили.** Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей (VI-VIII вв). Тб., 1985, გვ. 75.

[2] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 106-107; **ს. ჯანაშია.** არაბობა საქართველოში, გვ. 368; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные Грузинские государства.., გვ. 174.

[3] **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური.., გვ. 295-296.

და არჩილს, გაიგივებულ იქნას თვით ლეონ ისავრიელთან.[1] ეს თვალსაზრისი აგებულია ძალზე საეჭვო დაშვებაზე, თითქოს გვიანდელმა კომპილატორმა მექანიკურად გააერთიანა მირისა და არჩილის ცხოვრების სხვადასხვა (VIII ს. 10-იანი წლების დამდეგისა და VIII ს. 30-იანი წლების შუა ხანების) ეპიზოდები და ის მოაქცია მურვან ყრუს ლაშქრობის (735-738 წწ.) პერიპეტიებში.[2] სინამდვილეში კი მირი და არჩილი ანაკოფიაში იმყოფებოდნენ არა მურვან ყრუს შემოსვლის ჟამს – 735-738 წლებში, არამედ 712 წლის ახლო ხანებში, როდესაც, მოვსეს კაღანკატვაცის ცნობით, დასავლეთ საქართველო დალაშქრა მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა.[3] მ. სანაძის (აგრეთვე თ. ბერაძის) მტკიცებით, მირისა და არჩილის ანაკოფიაში ყოფნისას *„აფხაზთა ლაშქარი, ეჭვგარეშეა,* ***თავისი ერისთავითურთ“*** ანაკოფიაში იმყოფებოდა,[4] ხოლო *„ერისთავი კეისრისა ლეონ“*, რომელიც *„შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“*,[5] აუცილებლად უნდა ყოფილიყო არა სხვა ვინმე, არამედ თვით ლეონ ისავრიელი, ვინაიდან *„ქართლის ცხოვრება“ სამხედრო მისიით გამოგზავნილ უცხო სახელმწიფოთა მოხელეებს... ერისთავს უწოდებს“*.[6]

მ. სანაძე[7] და, მასთან ერთად, თ. ბერაძე უფრო შორსაც მიდიან და, არც მეტი, არც ნაკლები, თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულებაში დაფიქსირებულ *„აფსილთა შორის უპირველეს“* მარინეს, რომელიც, როგორც ცნობილია, დაეხმარა ლეონ ისავრიელს თავისი მისიის წარმატებით შესრულებაში,[8] თვით ქართლის ერისმთავარ მირად აცხადებენ.[9] მათ ამ აზრს სრულიად უკრიტიკოდ ეთანხმება ზოგიერთი სხვა მკვლევარი.[10] ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ლეონ ისავრიელი სულაც არ ყო-

---

[1] **მ. სანაძე.** ერისმთავრები მირი და არჩილი და „ქართლის ცხოვრება“. – *მესხეთი.* საისტორიო კრებული, №4. თბ.-ახალციხე, 2001, გვ. 76-78. იხ. აგრეთვე: **მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, X. თბ., 2004, გვ. 74-75.

[2] **მ. სანაძე.** ერისმთავრები მირი და არჩილი.., გვ. 71; **მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და.., გვ. 71.

[3] **მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და.., გვ. 72.

[4] **მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის.., გვ. 74, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[5] **ჯუანშერ ჯუანშერიანი**. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 235.

[6] **მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და.., გვ. 74.

[7] **მ. სანაძე.** ერისმთავრები მირი და არჩილი.., გვ. 77-78.

[8] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 113.

[9] **მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და.., გვ. 75-76.

[10] **ჯ. გამახარია.** თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე. – *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან.* აფხაზეთი. *უძველესი დროიდან დღემდე.* თბ., 2007, გვ. 86.

ფილა მარტო – მას გვერდში ედგნენ ქართლის ერისმთავრები: მირი და არჩილი, რომლებიც ანაკოფიაში გამაგრდნენ ბიზანტიის მოკავშირე აბაზგია-აფხაზეთის ერისთავთან ერთად, ყველა ისინი ერთად წარმატებით უმკლავდებიან არაბ სარდალს მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქს.[1] ჯ. გამახარია საერთოდ თვლის, რომ ანაკოფიის გახმაურებული ეპოპეა სწორედ მასლამაზე მოპოვებული (მისი აზრით 714 წ.) გამარჯვებაა, ანაკოფიასთან გამართული მეორე ბრძოლა (738 წ.) კი მურვან ყრუს გამარჯვებით დასრულებულა.[2]

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს VII ს. მიწურულისა და VIII ს. I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პრინციპული საკითხების სერიოზული გადასინჯვის მცდელობასთან, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს შემაგრებული იყოს დამაჯერებელი არგუმენტებით. პირველი, რაც თვალში საცემია მთელს ამ ძიებებში არის ის, რომ ის მთლიანად ეწინააღმდეგება, მეტად სანდო ბიზანტიელი ავტორის – თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულებაში (სხვათაშორის, ერთადერთი წყაროს, რომელშიც თითქმის დოკუმენტურადაა აღწერილი იმპერიისაგან ლაზიკის მმართველის სერგი ბარნუკის ძის განდგომისა და კავკასიაში ლეონ ისავრიელის დიპლომატიური მისიის პერიპეტიები) ასახულ ვითარებას. ბიზანტიელი მემატიანის მონაცემებით, გამორიცხულია, რომ იმპერიას VIII ს. დამდეგისათვის უკვე ჰყოლოდა დასჯილი ლაზიკა-ეგრისის მმართველი ელიტა და დასავლეთ საქართველო იურიდიულად ბოძებული ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის სახლისათვის, როგორც ამას ფიქრობენ მ. სანაძე და თ. ბერაძე.[3]

თეოფანე ჟამთააღმწერელი სრულიად ნათლად აჩვენებს, რომ ლეონ ისავრიელს არავითარი დასაყრდენი არ ჰქონდა ლაზიკა-ეგრისში და რომ იმჟამად (როდესაც იმპერიის ემისარი ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოში)[4] *„სარკინოზებს ეპყრათ* ***აბაზგიაც, ლაზიკეც*** *და იბერიაც“*.[1] უფ-

---

[1] მ. სანაძის აზრით, მასლამამ დასავლეთ საქართველოში ორჯერ ილაშქრა: პირველად – 713-714 წლებში, როდესაც ის ანაკოფიიდან უკუაქციეს ციხე-ქალაქში გამაგრებულმა მირმა, არჩილმა და მათთან მყოფმა აფხაზეთის ერისთავმა და მეორედ – 729-731 წლებში, როდესაც სასიკვდილოდ დაიჭრა მირი. მკვლევარი თვლის, რომ სწორედ მასლამას ეს სადამსჯელო ექსპედიცია იგულისხმება ჯუანშერ ჯუანშერიანის მიერ აღწერილი მურვან ყრუს ლაშქრობაში დას. საქართველოში (**მ. სანაძე.** ერისმთავრები მირი და არჩილი.., გვ. 81-85).

[2] **ჯ. გამახარია.** თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან.., გვ. 86-87.

[3] მ. სანაძის აზრით, სტეფანოზ ერისმთავარმა ეგრისის პატრიკიოზობა მიიღო იმპერატორ ვარდან-ფილიპიკოსისაგან (711-713). **მ. სანაძე.** ერისმთავრები მირი და არჩილი.., გვ. 71-72; **მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის.., გვ. 70-71.

[4] ისტორიოგრაფიაში არაა ერთი აზრი ლეონ ისავრიელის კავკასიაში ვოიაჟის დათარიღებასთან დაკავშირებით. მკვლევართა ერთი ნაწილი მხოლოდ იმის

რო მეტიც, როგორც ბიზანტიელი ქრონოგრაფის მასალებიდან ირკვევა, ლეონ ისავრიელისათვის მიცემული ამ დავალების უკან იმპერატორ იუსტინიანეს მზაკვრული ჩანაფიქრი იმალებოდა. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ მოშურნეს ლეონ ისავრიელი იუსტინიანე კეისართან დაუბეზღებია – *„სამეფო ძალაუფლებისაკენ მიისწრაფისო“*. იმპერატორს *„არ სურდა მისთვის აშკარად ევნო, მაგრამ* ***უსიამოვნო გრძნობა გულში მაინც ჰქონდა ჩარჩენილი და ამიტომ გაგზავნა ის ალანიაში“***.[2] როგორც ვხედავთ, იუსტინიანე II წაუგებელ აქციაზე მიდიოდა. იმ შემთხვევაში თუ სპათარი ლეონი წარმატებით გაართმევდა დაკისრებულ მისიას და ალან-ოვსების მეშვეობით მოახერხებდა აბაზგთა დასჯას და ამით დასავლეთ საქართველოში არაბთა ბატონობის მორყევას, ხომ კარგი, თუ არადა, არც მისიის კრახის შემთხვევაში იქნებოდა იმპერატორი უკმაყოფილო, ვინაიდან ის, ამ გზით, უმტკივნეულოდ მოიცილებდა თავიდან მეტად სახიფათო მეტოქეს.

მართლაც, იმპერატორმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ლე-

აღნიშვნით იფარგლება, რომ ბიზანტიელი ემისრის მისია კავკასიაში რამდენიმე წელი გაგრძელდა (**K. Schenk.** Kaiser Leon's Walten. – *Bizantinische Zaitschrift*, V, 1896, გვ. 285. მითითებულია წიგნიდან: **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, 417-ე კომენტარი, გვ. 140). ანალოგიურ თვალსაზრისზე იდგა მ. არტამონოვიც (**М. И. Артамонов.** История хазар, გვ. 361). აკად. თ. უსპენსკი ამ მოვლენას 711-713 წლებით ათარიღებდა (იხ. **Ф. И. Успенский.** История Византийской империи. М., 1996 (http://www.sedmitza.ru/text/442832.html). მ. კანარი ასევე თვლიდა, რომ ლეონ სპათარის მისია დასრულდა 713 წელს (**M. Canard.** L'aventure caucasienne du spathaire Léon, გვ. 357. მითითებულია: **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, 417-ე კომენტარი, გვ. 140-141). პრინციპში, ამავე თვალსაზრისს იზიარებენ მ. სანაძე და თ. ბერაძე (**მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 73). ს. ზეტეიშვილის აზრით, ლეონმა თავისი ექსპედიცია იუსტინიანე კეისრის ჩამოგდებამდე (711 წ.) დაასრულა (**С. Г. Зетейшвили.** Сведения об аланах в *«Хронографии»..,* გვ. 84). ა. ბოგვერაძე, როგორც ჩანს, ვ. ობოლენსკისა და თ. ტერნოვსკის თარგმანის გავლენით (*Летопись Византийца Феофана от Диоклетиана до царей Михаила и сына его Феофилакта*. В переводе с греческого ***В. И. Оболенского*** и ***Ф. А. Терновского***; С предисловием ***О. М. Бодянского***. М., 1884, გვ. 286 (http://www.bashtina.org/?page_id=262), ასახელებს 709 წელს (**А. А. Богверадзе.** Раннефеодальные Грузинские государства.., გვ. 174-175) ი. ჩიჩუროვი, თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულების შესაბამისი ფრაგმენტის გამოწვლილვითი წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებლად ათარიღებს ლეონ ისავრიელის მისიას 708-711 წლებით (**И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, 417-ე კომენტარი, გვ. 140-141).

[1] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 107, ხაზგასმა ჩვენია –**ზ.პ.**

[2] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 107, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ონ ისავრიელს ვერ შეესრულებინა დასახული ამოცანა. *„**რადგან იუსტი-ნიანეს სურდა მისი*** (სპათარ ლეონის – **ზ.პ.**) ***მოსპობა**,* – წერს თეოფანე ჟამთააღმწერელი, – *ამიტომ მან კაცი გაუგზავნა და წამოაღებინა ფაზი-სიდან ის ფული“*, რომელიც ალანიისკენ მიმავალმა ლეონ ისავრიელმა *„ფაზისში დასტოვა შესანახავად“*.[1] მიუხედავად კეისრის ვერაგობისა, ლეონმა აფსილიის გავლით მაინც მოახერხა ალანიაში გადასვლა, სადაც ალანებმა ის *„დიდის პატივით მიიღეს, დაუჯერეს მის ნათქვამს, შეიჭრ-ნენ აბაზგიაში და წარტყვევნეს ეს ქვეყანა“*.[2] „აბაზგების მთავარმა“[3] ლე-ონის სანაცვლოდ ფული შესთავაზა ალანებს, მაგრამ მათ პირდაპირ განუცხადეს აბაზგთა ელჩებს, რომ *„მეფის* (ბიზანტიის იმპერატორის – **ზ.პ.**) *სიყვარულის“* გამო არ წავლენ ამგვარ გარიგებაზე. მაშინ აბაზ-გებმა ორჯერ მეტი თანხა შესთავაზეს ალანებს. ამჯერად, ალანებმა მოატყუეს აბაზგები, ლეონთან შეთანხმებით აიღეს ფული და ეს უკა-ნასკნელი აბაზგებს გადასცეს, შემდეგ კი *„ალანები იტაზის მეთაურო-ბით უკანიდან დაეწივნენ აბაზგებს და ამოჟლიტეს ისინი, სპათარი კი დამალეს. იტაზმა შეკრიბა ჯარი, დაიძრა აბაზგიის წინააღმდეგ, მოუ-ლოდნელად შეიჭრა კლისურებში, დიდძალი ნატყვენავი ჩაიგდო ხელთ და დაარბია აბაზგები“*.[4]

ერთგვარად გაწბილებული იმპერატორი, მიხვდა რა, რომ მის მიერ წარგზავნილმა ემისარმა *„დავალება უფულოდაც“* შეასრულა, *„წერილი გაუგზავნა აბაზგებს“*, რომელშიც სპათარის უვნებლად გამოტარება

---

[1] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 107, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 107.

[3] აკად ს. ყაუხჩიშვილი ბერძნულ “**κύριος**” თარგმნის როგორც **„მთავარს“** (*თეო-ფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 107). ვ. ობოლენსკი და თ. ტერნოვსკის მიხედვით “**κύ-ριος**” ნიშნავს “**Владетель**”-ს (*Летопись византийца Феофана..*, გვ. 287), ი. ჩიჩუ-როვით კი – “**властитель**”-ს (**И. С. Чичуров.** Византийские исторические сочине-ния, გვ. 65). ს. ზეტეიშვილის თარგმანში ვხვდებით: “**владика**”-ს (***С. Г.* Зетейшви-ли.** Сведения об аланах в *«Хронографии» Феофана,* გვ. 82). ირკვევა, რომ ფორ-მით “**κυροῦ**” – “**κύριος**” („ბატონი“) როგორც წესი, მიმართავდნენ თვით იმპერა-ტორს (**F. Dölger**. Byzantinische Diplomatik. Ettal, 1956, გვ. 131. მითითებულია წიგნიდან: **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, 266-ე კომენტარი, გვ. 112). უცხო ქვეყნების ლიდერთა მიმართ ყველაზე მიღებული ფორმა იყო „არქონტი“. **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, 266-ე კომენტა-რი, გვ. 112). აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ აბაზგიის მმართველის რეიტინგი ბიზანტიაში, ყოველ შემთხვევაში იმ დროს მაინც, როდესაც თეოფანე ჟამთააღმწერელი წერდა თავის თხზულებას – მკვლევართა აზრით 811-814 წლებში (**И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, 266-ე კომენტარი, გვ. 18) – საკმაოდ მაღალი იყო.

[4] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 107-109.

მოსთხოვა და ამის სანაცვლოდ *„შეცოდებების პატიება“* აღუთქვა. აბაზგებმა „სიხარულით“ მიიღეს იმპერატორის წინადადება და სასწრაფოდ აფრინეს მოციქულები ალანიაში, რათა მათთვის სპათარი გადაეცათ. მაგრამ ლეონ ისავრიელი არ ენდო აბაზგებს და მხოლოდ მას შემდეგ დატოვა ალანია, როდესაც აცნობეს, რომ იუსტინიანე კეისრის მიერ გამოგზავნილი *„რომაელები და არმენიელები*[1] *ლაზიკეში შეიჭრნენ და არქეოპოლისს ალყა შემოარტყეს“*. მაგრამ ლეონ ისავრიელს მაინც გაუჭირდა სამშვიდობოს გასვლა, ვინაიდან არაბებმა სასწრაფო ზომები მიიღეს და რომაელები არქეოპოლისიდან ფაზისისაკენ უკუაქციეს. რომაელთა ლაშქრიდან მხოლოდ ორასი მეომარი, რომელიც, როგორც ჩანს, ძირითად რაზმს გამოეყო და *„კავკასიის მთებში“* ყაჩაღობით ირჩენდა თავს, აღმოჩნდა სპათარის განკარგულებაში.[2]

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ლეონ ისავრიელი *„რკინის ციხედ“* წოდებულ ციხე-სიმაგრეს მიადგა, რომლის *„მცველად იჯდა ვინმე ფარასმანი, სარკინოზთაგან დაყენებული“*. ამ ფარასმანს *„მშვიდობიანი ურთიერთობა“* ჰქონია არმენიელებთან. ამ გარემოების გამოყენება სცადა ლეონმა, რომელმაც ფარასმანს დაზავება და ციხის რომაელებისათვის გადაცემა შესთავაზა. მაგრამ ფარასმანმა ეს წინადადება არ მიიღო. მაშინ *„სპათარმა გაგზავნა მასთან რამდენიმე თავისი კაციც და არმენიელებიც“* და მათ მიპარვით ციხეში შესასვლელი კარების დაკავება დაავალა. ეს დავალება წარმატებით შესრულდა. მიუხედავად ამისა, *„რადგან ციხე მაგრად იყო დაცული, სპათარმა ვერ შესძლო მისი აღება“*.[3]

ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში, ლეონს დახმარება აღმოუჩინა *„მარინემ, აფსილთა უპირველესმა კაცმა“*, რომელიც *„სამასი კაცით“*

---

[1] 2001 წელს გამოქვეყნებულ წერილში მ. სანაძე, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, თეოფანე ჟამთააღმწერლის (ან მისი წყაროს) შეცდომად აცხადებდა ცნობას ლაზიკაში „რომაელებთან“ ერთად „არმენიელების“ შეჭრის შესახებ და „არმენიელებში“ იბერიელებს მოიაზრებდა (**მ. სანაძე.** ერისმთავრები მირი და არჩილი და „ქართლის ცხოვრება“, გვ. 75, 77). მოგვიანებით, მან ეს თვალსაზრისი გადასინჯა და გაიზიარა, თავის დროზე, მაქსიმე ბერძნიშვილის მიერ წამოყენებული შეხედულება (**მაქ. ბერძნიშვილი.** ლევონდის ცნობა ფოთის შესახებ. – *თსუ შრომები*, XXVIB. თბ., 1944, გვ. 218) იმის შესახებ, რომ თეოფანეს „არმენიელები“ იყვნენ სომეხი ისტორიკოსის ლევონდის მიერ დაფიქსირებული (*История халифов вардапета Гевонда, писателя VIII века.* Перевод с армянского ***К. Патканова.*** СПб, 1862, გვ. 24 (http://www.vostlit.info/Texts/rus11/Gewond/frametext1.htm) იუსტინიანე II-ის მოკავშირე სუმბატ კურაპალატი და სხვა სომეხი დიდებულები, რომლებიც მან შეიფარა და რომელთაც მისცა „ქალაქი ფუითი ეგერთა ქვეყნებში“, სადაც უცხოვრიათ 6 წელი (**მ. სანაძე. თ. ბერაძე.** VIII ს-ის I ნახევრის.., გვ. 71-72).

[2] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 110-111.

[3] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 111-112.

ეახლა მას და სამშვიდობოს გაყვანას შეპირდა.[1] თეოფანე ჟამთააღმწერ-ლის განცხადებით, თურმე ეს მან გააკეთა ბიზანტიელთა შიშით,[2] რაც ნაკლებად დასაჯერებელია. უფრო სავარაუდოა, რომ მარინეს ეს ნაბიჯი მისი შორსმიმავალი გეგმის ნაწილი იყო. როგორც ცნობილია, აფსილია-აფშილეთი ჯერ კიდევ VI ს. შუა ხანებიდან ლაზიკის ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც ლაზიკის ცენტრალური ხელისუფ-ლების მიერ წარგზავნილი მოხელე მართავდა.[3] აშკარაა, რომ სწორედ ამის წინააღმდეგ გამოდიოდა *„აფსილთა უპირველესი კაცი“* (არა მთავა-რი), რომელიც ამ გზით ცდილობდა ლაზიკისაგან დამოუკიდებელი აფსი-ლიის (აფშილეთის) სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შექმნას და მისი („სახელმწიფოს“) ოფიციალური მეთაურის სტატუსის მიღებას. როგორც ირკვევა, მარინემ მიაღწია კიდეც დასახულ მიზანს. ბიზანტიის იმპერიამ დააკმაყოფილა „აფსილთა უპირველესის“ პოლიტიკური ამბიციები, აღია-რა ის აფსილიის „სუვერენულ“ მმართველად და პატრიკიოზის ტიტული უბოძა მას.[4] ლეონ ისავრიელმა მოტყუებით შეძლო ციხეში შეჭრა, ცეცხლს მისცა იქაურობა და *„ციხის კედლები მიწასთან გაასწორა“*, რის შემდეგ *„ჩავიდა აფსილიაში, თან ახლდა მარინე, აფსილთა შორის უპირ-ველესი: აფსილებმა ის დიდის პატივით მიიღეს“*.[5]

როგორც ვხედავთ, თეოფანე ჟამთააღმწერელი იმდენად თანმიმ-დევრულად და დამაჯერებლად გვიყვება ლეონ ისავრიელის ვოიაჟის პე-რიპეტიებს, რომ რაიმე ეჭვის შეტანა მის ფაქტოლოგიურ მონაცემებში ძალზე გაჭირდება.[6] საკითხავია, რატომ არ უნდა დავუჯეროთ ბიზანტი-ელი ავტორის ვერსიას და უარვყოთ, რომ აბაზგები იმ პერიოდში ერთ-ნიშნად უპირისპირდებოდნენ ბიზანტიის იმპერიას? ან რანაირად მოხდა,

---

[1] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 112.

[2] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 112.

[3] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, გვ. 66; **ნ. ლომოური.** დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, გვ. 166; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 117, 129-131; **Т. Г. Папуашвили.** Взаимоотношения грузин и абхазов.., გვ. 50, 59-60; **Н. Ю. Ломоури.** Западная Грузия.., გვ. 118; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные Грузинские государства.., გვ. 183-184: **ზ. პაპასქი-რი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკ. I. *უძ-ველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 34.

[4] **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные Грузинские государства.., გვ. 184; **ზ. პაპას-ქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური.., გვ. 295-296.

[5] *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 113.

[6] თამამად შეიძლება ითქვას, რომ თეოფანე ჟამთააღმწერლის ფაქტოლოგიური მონაცემების სანდოობის მაღალი ხარისხი (განსაკუთრებით VIII საუკუნის მოვ-ლენების გაშუქებისას) საყოველთაოდ აღიარებულია ისტორიოგრაფიაში. ამის შესახებ იხ.: **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, გვ. 15, 18-19.

რომ თეოფანე ჟამთააღმწერელმა, რომელმაც საკმაოდ კარგად იცის ქართული პოლიტიკური სამყარო: იბერია, ლაზიკა, აბაზგია, სვანეთი, იცის იბერიის მმართველთა ვინაობა და მათი საქმიანობა,[1] ამჯერად ვერ გაარკვია მირის – ქართული საისტორიო ტრადიციით არა მარტო ქართლის, არამედ ეგრისის უმაღლესი ხელისუფლის, რომელიც, სხვათა შორის, იმპერიამ „სამეფო გვირგვინით“ შეამკო, ვინაობა და რატომღაც ის მხოლოდ „აფსილთა უპირველეს კაცად“ გამოაცხადა?

ვის უფრო უნდა დავუჯეროთ, თეოფანე ჟამთააღმწერელს, თითქმის ამავე მოვლენების თანამედროვეს,[2] რომელიც ფაქტობრივად დოკუმენტური სიზუსტით აღწერს ლეონ ისავრიელის ვოიაჟს კავკასიაში და ოდნავ მინიშნებასაც არ აკეთებს ქართლის ერისმთავრებზე, თუ თანამედროვე ისტორიკოსს, რომელიც სრულ იგნორირებას უწევს ერთადერთი წყაროს ცნობას? პასუხი, ალბათ, დიდ დაფიქრებას არ მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. სანაძისა და თ. ბერაძის მიერ მოტანილი არგუმენტაციის საფუძველზე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება და VIII ს. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე არსებული ტრადიციული შეხედულებების ძირეული რევიზია, რბილად რომ ვთქ-

---

[1] იბერიას, იბერიელებს თეოფანე ჟამთააღმწერელი თავის თხზულებაში რამდენიმეჯერ ახსენებს და, რაც მთავარია, განასხვავებს მათ ლაზებისა და აბაზგებისაგან. ასე, მაგალითად, ის მიუთითებს იმ უთანხმოებაზე, რომელიც გაჩნდა ჰერაკლე კეისარსა და მის მოკავშირე ლაზებს, აბაზგებსა და იბერიელებს შორის, რომლის შემდეგ ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადეს საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე (იხ.: *თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 95). უფრო მეტიც, ბიზანტიელმა მემატიანემ იცის ქართველ ლიდერთა – ლაზიკის მეფე წათეს (*თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 77-80) და იბერიის მეფის ძამანარძეს (*თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 80) მოღვაწეობა; იცის, თუ როგორ მოუყვა იბერიის მეფე ბაკურმა ისტორიკოს რუფინუსს, იბერიელთა „მოქცევის“ ამბავი კონსტანტინე იმპერატორის მმართველობის პერიოდში (*თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 75); იცის „არქონტის იოანეს (ბიზანტიელი სტრატეგოსი იოანე ციბე – **ზ.ჰ.**) ვერცხლისმოყვარეობისა და უსამართლო მოქმედების“ შესახებ, რომლის გამოც ლაზები „რომაელებს გადაუდგნენ და სპარსელებთან გაიქცნენ“ (*თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 85); აფიქსირებს ჰერაკლე კეისრის ჯარის მიერ „სპარსელების ქვეშევრდომ იბერიელთა“ მთავარ ვარსამუსეს დატყვევებას (*თეოფანეს ქრონოგრაფი*, გვ. 101) და ა.შ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია სრული ნდობით ეკიდება თეოფანე ჟამთააღმწერლის თითოეულ ამ და სხვა ცნობას და უყოყმანოდ ეყრდნობა მათ საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის კვლევისას.

[2] მიღებული თვალსაზრისით ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 760-818 წლებში (*თეოფანე ჟამთააღმწერელი. – გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941, გვ. 70; **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, გვ. 17-18).

ვათ, ნაჩქარევად მიგვაჩნია.[1]

ლეონ ისავრიელის მისია, როგორ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, წარმატებული აღმოჩნდა და ბიზანტიის იმპერიამ VIII ს. 10-იანი წლების დამდეგისათვის, ჩამოაცილა რა ლაზიკა-ეგრისს აბაზგია და აფშილეთი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ შეძლო თავისი გავლენის აღდგენა დასავლეთ საქართველოში. კონსტანტინოპოლის ამგვარმა რევანშმა უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს შორის. ამ დაპირისპირებაში ბიზანტიის იმპერიის მთავარი მოკავშირე და სატელიტი იყო ხაზართა ხაკანათი, რომელსაც, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესები გააჩნდა კავკასიაში. ამ კონფრონტაციაში აქტიურად აღმოჩნდა ჩართული ქართლის ერისმთავრის სახლი. ქართლის პოლიტიკურ ლიდერთა ანტიარაბული საქმიანობის გააქტიურება გამოწვეული იყო იმით, რომ სახალიფომ, თავის მხრივ, გააძლიერა ზეწოლა მათზე. მას მერე, რაც არაბებმა ლაზიკა-ეგრისი დაიკავეს და ამით დაასრულეს მთელი საქართველოს დაპყრობა, მათ თავიანთი რეჟიმი ქართლში კიდევ უფრო გაამკაცრეს. VIII ს. 20-იან წლების მიწურულს სახალიფოს მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის ახალმა გამგებელმა ჯარაჰ იბნ-აბდალაჰმა განაახლა ე.წ. *„დაცვის სიგელი“*, რომლის თანახმადაც, ქართლის მოსახლეობას ახალი ვალდებულებები დაეკისრა.[2] ამან უკიდურესად დაძაბა ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში.

ქვეყნის ხელისუფლება არაბთა დიქტატის წინააღმდეგ სერიოზული ზომების მიღებისათვის მზადებას შეუდგა. 730 წლის ახლო ხანებში, „ქართველი მალიქი“ გამოვიდა სათანადო დიპლომატიური ინიციატივით, წარავლინა თავისი ელჩი ხაზართა ხაკან ხაკასრთან და მას სამხრეთ კავკასიაში არაბთა წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობის მოწყობა შესთავაზა. ხაზარები გამოეხმაურნენ ქართლის ლიდერის ამ ინიციატივას და გამოგზავნეს დიდი ლაშქარი ხაკანის ძის ბარჯიკის სარდლობით. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა 730 წელს აზერბაიჯანში, ქ. არდებილთან. ხაზარებმა გაანადგურეს არაბთა ჯარი. არაბთა დამარცხებაში დიდი წვლილი შეუტანია „ქართველთა მალიქს“, რომელიც თავისი „ჭკვიანური რჩევებით“ დიდად დახმარებია ხაზართა სარდალს.[3]

ბიზანტიის იმპერიამ, რომელიც არაბთა სახალიფო-ხაზარეთის და-

---

[1] მ. სანაძის, აგრეთვე მ. სანაძისა და თ. ბერაძის ერთობლივ პუბლიკაციებში წამოჭრილ საკითხებს VII-VIII საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, განსაკუთრებით კი ქართლის ერისმთავართა ვინაობასა და რიგთან დაკავშირებით, ჩვენ საგანგებოდ უახლოეს ხანებში მოვუბრუნდებით, ამჯერად კი ამით შემოვიფარგლებით.

[2] **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა საქართველოში.., გვ. 75-85.

[3] **М. И. Артамонов.** История хазар.., გვ. 213; **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა საქართველოში.., გვ. 85.

პირისპირებისას აშკარად ხაზარებს უმაგრებდა ზურგს,[1] თავის სასარგებლოდ გამოიყენა ქართლის მმართველი დინასტიის მზარდი ავტორიტეტი და აქტიურად დაუჭირა მხარი მის შემდგომ აღზევებას სრულიად საქართველოს მასშტაბით. ამ დროიდან დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, მდ. კელასურს იქითა მხარის – აფხაზეთის, რომელიც „საბერძნეთის“ (ე.ი. ბიზანტიის იმპერიის) ფარგლებში შედიოდა, გამოკლებით, ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების ქვეშ მოექცა. ეს მოხდა ბიზანტიის იმპერიის აქტიური დიპლომატიური მხარდაჭერით. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ამით ერთგვარად შური იძია „მოღალატე“ ლაზიკის პატრიკიოზის სერგი ბარნუკის ძის საგვარეულოზე და დასავლეთ საქართველოში მისთვის სასურველი რეჟიმი დაამყარა.

ამრიგად, VIII ს. 30-იან წლებისათვის აშკარად გამოიკვეთა ბიზანტია-ქართლის ერისმთავართა ალიანსი, რომელიც, პირველ რიგში, მიმართული იყო არაბთა სახალიფოს მხარდამჭერი ძალების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. უფრო მეტიც, ამ დროს, როგორც ჩანს, ბიზანტიამ და ქართლმა მოახდინეს ლაზიკა-ეგრისის ერთგვარი გადანაწილება. იმპერიის ხელისუფლებამ „დააკმაყოფილა“ აბაზგია-აფხაზეთის ლიდერთა სწრაფვა, ჩამოშორებოდნენ ლაზიკა-ეგრისს და თავისთვის დაიტოვა ეს მხარე (მდ. კელასურამდე), ხოლო ლაზიკის დანარჩენ ნაწილში ქართლის ერისმთავრის მფლობელობა სცნო. ამით ბიზანტიამ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვა ლაზიკა-ეგრისის, როგორც ცალკე სახელმწიფოებრივი გაერთიანების, არსებობას. ეგრისის დიდი ნაწილის ქართლისათვის მიერთებითა და ბიზანტიის ერთგული ქართლი-ეგრისის ერთიანი სახელმწიფოს („საქართველოს“) შექმნით იმპერია იურიდიულად განავრცობდა თავისი გავლენის სფეროებს და ფაქტობრივად ცდილობდა იმ ვითარების აღდგენას, რომელიც შეიქმნა 628 წელს – ჰერაკლე კეისრისა და ხაზარების მიერ თბილისის აღების შემდეგ. ამ თვალსაზრისით, ნამდვილად არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, მაინცდამაინც ამ პერიოდის (VIII ს. 30-იანი წლები) მოვლენების აღწერისას აფიქსირებს პირველად ცნებას „საქართველო“, რომელიც მოიცავს ქართლ-ეგრისს და რომლის საზღვარი „საბერძნეთთან“ (ანუ ბიზანტიასთან) გადის მდ. კელასურზე.[2]

არაბთა სახალიფო, ბუნებრივია, ასე იოლად ვერ დათმობდა თავის პოზიციებს საქართველო-კავკასიაში. VIII ს. 30-იანი წლების შუა ხანებში არაბებმა მოაწყვეს გრანდიოზული სამხედრო ექსპედიცია ცნობილი სარდლის მურვან იბნ-მუჰამმადის მეთაურობით, რომლის დროსაც დალაშქ-

---

[1] **А. П. Новосельцев.** Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. М., 1990, გვ. 178; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის.., გვ. 298-299.

[2] იხ.: **ჯუანშერ ჯუანშერიანი**. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 235.

რეს როგორც ამიერ, ისე იმიერკავკასიაც და სერიოზული დარტყმა მიაყენეს ხაზართა გავლენას რეგიონში. ამ ლაშქრობის დროს არაბებმა სასტიკად იძიეს შური „ურჩ“ ქართველებზე. ჯერ იყო და ააოხრეს აღმოსავლეთ საქართველო, შემდეგ კი ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის ძეთა – მირისა და არჩილის დევნის მოტივით გადავიდნენ ლაზიკა-ეგრისშიც და იქაურობაც მოაოხრეს. მაგრამ დასახული ამოცანა არაბებმა ბოლომდე მაინც ვერ შეასრულეს, მათ ვერ შეიპყრეს მირი და არჩილი, ხოლო ანაკოფიის (ახალი ათონი) ციხის კედლებთან განცდილი მარცხის შემდეგ საერთოდ იძულებულნი შეიქნენ დასავლეთ საქართველო დაეტოვებინათ. ბიზანტიის დიპლომატიამ მარჯვედ გამოიყენა მირისა და არჩილის მიერ აფხაზეთში მოპოვებული სამხედრო წარმატება და ქართლის ერისმთავრები კონსტანტინოპოლის მფარველობის ქვეშ აიყვანა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მურვან-„ყრუს“ ლაშქარზე გამარჯვებისთანავე მირმა და არჩილმა, აგრეთვე ლეონ „აფხაზეთის ერისთავმა“ საგანგებო ელჩობა წარგზავნეს კონსტანტინოპოლს, რომელმაც ბიზანტიის იმპერატორს საზეიმოდ ამცნო არაბებზე მოპოვებული გამარჯვების ამბავი.[1]

იმპერიის ხელისუფლებამ სწორად შეაფასა დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები და მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინა არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ლიდერებს. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ოფიციალურად სცნო მირისა და არჩილის სამეფო უფლებები ქართლ-ეგრისში და მათ ამის დამადასტურებელი ორი სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა. ამავე დროს, იმპერატორმა განსაზღვრა ლეონის სტატუსიც და დაუმტკიცა მას „აფხაზეთის ერისთავობა“ მემკვიდრეობით, თან გააფრთხილა ის, რომ ამიერიდან არ ევნო ქართლის „მეფეთათვის“.[2] ერთი სიტყვით, ბიზანტიის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში, ფაქტობრივად, ახალი წესრიგი დაამყარა. მან განამტკიცა ქართლის მმართველი დინასტიის

---

[1] **ჯუანშერ ჯუანშერიანი**. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა.., გვ. 239; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია.., გვ. 301-302; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., გვ. 104. მკვლევართა ერთ ნაწილს ეჭვი შეაქვს იმაში, რომ ანაკოფიის ეპოპეას ადგილი ჰქონდა მურვან იბნ მუჰამმადის ლაშქრობის დროს და ეს ბრძოლა VIII ს. 10-იან წლებში გადმოაქვთ (**გ. აბრამიშვილი.** სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, გვ. 26-32; *ფრესკული წარწერები*. I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ***გ. აბრამიშვილმა*** და ***ზ. ალექსიძემ.*** თბ., 1989, გვ. 35; **მ. სანაძე.** ერისმთავრები მირი და არჩილი.., გვ. 81-85; **ვ. გოილაძე.** რატომ გადავიდა ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II ოჯახით ეგრისში. – *ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, VIII. თბ., 2008, გვ. 85).

[2] **ჯუანშერ ჯუანშერიანი**. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა.., გვ. 240; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები.., გვ. 302-303; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., გვ. 105.

ლეგიტიმური უფლებები ეგრისზე, ხოლო „აფხაზეთის ერისთავს“ უბრძანა, ლოიალობა გამოეჩინა ქართლ-ეგრისის ხელმწიფეთა მიმართ.[1]

ბიზანტიის იმპერატორის ეს „ბრძანება“ გახდა ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ შემდგომი დაახლოების საფუძველი ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლთან, რომლის სათავეში მირის გარდაცვალების შემდეგ, მისი უმცროსი ძმა არჩილი ერთპიროვნულად მოექცა, რაც დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა. ლეონი დაქორწინდა მირის ერთ-ერთ ასულზე და ამით ქართლი-ეგრისის „სამეფო“ სახლის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მაგრამ აფხაზეთის ერისთავი უფრო შორსაც წავიდა. მან დიპლომატიურად უარი თქვა არჩილის მიერ საჩუქრის სახით შემოთავაზებულ ტერიტორიულ შენაძენზე, თავი არჩილის ვასალად გამოაცხადა და თავისი სამკვიდრებელიც (ე. ი. აფხაზეთი) მას გადასცა. ამის სანაცვლოდ შორსმჭვრეტელმა „აფხაზეთის ერისთავმა“ ლეგიტიმური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპენსაცია მიიღო: მას ერგო ბიზანტიის იმპერატორის მიერ მირისა და არჩილისათვის გამოგზავნილ ორ „გვირგვინთაგან“ ერთი (მირისათვის განკუთვნილი) „სამეფო გვირგვინი“.[2]

ამრიგად, VIII ს. 30-იანი წლების მიწურულისათვის საქართველოში შეიქმნა სრულიად ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარება. მთელი ამერ-იმერი, კელასურს იქითა მხარის (მაშინდელი აფხაზეთის) ჩათვლით, იურიდიულად გაფორმდა ერთიან სახელმწიფოში, რომლის სათავეში იდგა ქართლის ერისმთავრის – არჩილის სახლი.[3] „აფხაზეთის ერისთავმა“ ლეონმა უარი თქვა „საბერძნეთზე“, ნებაყოფლობით შემო-

---

[1] **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., გვ. 105.

[2] **ჯუანშერ ჯუანშერიანი**. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა.., გვ. 242-243.

[3] ისტორიოგრაფიაში სულ უფრო პოპულარული ხდება აზრი იმის შესახებ, რომ ჯუანშერის თხზულებაში დაფიქსირებული ქართლი-ეგრისის ერთიანობა და სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლის ეგიდით საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნა ახლოს უნდა იყოს ისტორიულ რეალობასთან. ამის შესახებ იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 270, 579; **ზ. ალექსიძე.** ქართული და სომხური წყაროები VII ს-ის დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ. – წგნ.: *ეპისტოლეთა წიგნი.* სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ***ზ. ალექსიძემ.*** თბ., 1967, გვ. 173, 181-186; **გ. აბრამიშვილი.** სტეფანოზ მამფალის წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, გვ. 36-37; **ა. ბოგვერაძე**. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ., 1979, გვ. 98-100; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. II. თბ., 1980, გვ. 76-77; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველო.., გვ. 376-383; **Т. Г. Папуашвили.** Взаимоотношения грузин и абхазов на фоне политической обстановки.., გვ. 64-65; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები.., გვ. 297-300.

ვიდა საერთოქართულ პოლიტიკურ სამყაროში და თავისი ახალი – ქართლი-ეგრისის „მეფის“ მირის ერთ-ერთი პოლიტიკური მემკვიდრის – სტატუსით, ზოგადქართული პოლიტიკური ელიტის წამყვან ფიგურად იქცა. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია, ჩვენი აზრით, სავსებით საფუძვლიანი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ლეონის ნებაყოფლობითი შემოსვლა საერთოქართულ სამყაროს სანქცირებული იყო კონსტანტინოპოლის მიერ.[1] ამ დროიდან იწყება „აფხაზეთის ერისთავის“ პოლიტიკური კარიერის ახალი ეტაპი, რომელიც მოგვიანებით (VIII ს. 70-იან წლებში), არჩილის მემკვიდრეთა (იოვანე, ჯუანშერი) პოლიტიკური არენიდან წასვლის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში მისი ერთპიროვნული მმართველობის დამყარებით დასრულდა.[2]

ქართლი-ეგრისის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება ქართლის ერისმთავრის არჩილის მესვეურობით, რომელიც ბიზანტიის იმპერიის დასტურითა და დიპლომატიური მხარდაჭერით განხორციელდა, მხოლოდ ფორმალური აქტი აღმოჩნდა. რეალურად ასეთი სახელმწიფო არც არსებობდა, ვინაიდან მურვან იბნ მუჰამმადის სადამსჯელო ექსპედიციის შედეგად არჩილის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად ნომინალური იყო. ფაქტობრივად, ის მხოლოდ კახეთ-ჰერეთს (ისიც პირველ ეტაპზე) აკონტროლებდა. უფრო მეტიც, ამ დროიდან (არაბთა სახალიფოში აბასიდების დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლის /749 წ./ – შემდეგ) არაბთა საოკუპაციო რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა, რაც სახალიფოს ახალი ადმინისტრაციული ერთეულის – თბილისის საამიროს შექმნით იყო გამოწვეული.

ისტორიოგრაფიაში ამ ბოლო დრომდე თითქმის ერთსულოვნად იყო მიჩნეული, რომ თბილისის საამიროს შექმნა მოჰყვა უშუალოდ მურვან ყრუს ლაშქრობას საქართველოში და ამ მოვლენას ძირითადად VIII ს. 30-იანი წლების მეორე ნახევრით ათარიღებდნენ.[3] პირველი, ვინც შეეცა-

---

[1] **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 73; **Т. Г. Папуашвили.** Взаимоотношения грузин и абхазов на фоне политической обстановки.., გვ. 66.

[2] **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები.., გვ. 302-308; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., გვ. 105-106.

[3] **მ. ლორთქიფანიძე.** თბილისის საამიროს ისტორიიდან. – *მიმომხილველი*. II. თბ., 1951, გვ. 186; **მ. ლორთქიფანიძე.** არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*. ნაკვ. 35. თბ., 1963, გვ. 82; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 494; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии,* т. II. Тб., 1988, გვ. 343; **ა. ბოგვერაძე.** ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ., 1979, გვ. 97; **ა. ბოგვერაძე.** ადრეფეოდალური ქართული.., გვ. 290; **А. А. Богверадзе.** Ран-

და ამ თვალსაზრისის გადასინჯვას, იყო ა. ნოვოსელცევი, რომელმაც არაბთა საამიროს დაარსება VIII ს. 80-90-იან წლებში გადაიტანა.[1] ამ საკითხს საგანგებო წერილი მიუძღვნა გ. ალასანიამ, რომელმაც არ გაიზიარა ა. ნოვოსელცევის თვალსაზრისი, თუმცა რუსი მეცნიერის მიდგომა ზოგადად მოიწონა. გ. ალასანიამ თბილისის საამიროს დაარსება ივარაუდა VIII ს. 70-იანი წლების დამდეგს და ის უშუალოდ დაუკავშირა 770-772 წლებში მიმდინარე წანარ-კახთა აჯანყებას არაბების წინააღმდეგ.[2]

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ გ. ალასანიას ამ დასკვნას და ასევე მივიჩნევთ, რომ სწორედ VIII ს. 70-იანი წლების დამდეგს უნდა მიეღო გადაწყვეტილება არაბთა ხალიფას თბილისში პირდაპირი არაბული მმართველობის შემოღების შესახებ და ის უკავშირდება იმ ანტიარაბულ კამპანიას, რომელსაც ეწეოდა ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ქართლის ერისმთავარი ნერსე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება, რომლის გამოც ძნელი წარმოსადგენია, რომ სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება წასულიყო ასეთ მკვეთრ ნაბიჯზე VIII ს. 30-იანი წლების II ნახევარში, თუნდაც მურვან ყრუს სადამსჯელო ექსპედიციის ფონზე.

აქ უთუოდ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მრისხანე არაბმა სარდალმა ვერ მოახერხა ქართლის ოფიციალური ხელისუფლების მეთაურთა – მირისა და არჩილის ხელში ჩაგდება, უფრო მეტიც, ანაკოფიასთან მოპოვებულმა წარმატებამ ქართლის „მეფეების“ ავტორიტეტი უფრო აამაღლა და არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო არენაზე, რის დადასტურებად ბიზანტიის იმპერატორის მიერ მირისთვის და არჩილისთვის სამეფო გვირგვინის გამოგზავნა უნდა მივიჩნიოთ, რაზედაც ზემოთ გამახვილდა ყურადღება.

ასეთ ვითარებაში, არაბებმა, როგორც ჩანს, უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიეს ერისმთავრის ტახტზე სხვა საგვარეულოს წარმომადგენლის ადარნასე ბაგრატიონის აღზევება. მართალია, იოვანე საბანისძე,

---

нефеодальные Грузинские.., გვ. 178; *Летопись Картли.* Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая***, Тб., 1982, შენ. 6, გვ. 80; **ო. ცქიტიშვილი.** არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან. *აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობათა მიხედვით. – მაცნე*, ისტორიის... სერია, №1, 1986, გვ. 75; **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა.., გვ. 107 და სხვ.

[1] **А. П. Новосельцев.** Хазарское государство и его роль в истории.., გვ. 190.

[2] **გ. ალასანია.** თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის. – *ანალები.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟურნალი. I. თბ., 1999, გვ. 21-26 (აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წიგნში: **გ. ალასანია.** საისტორიო კრებული. თბ., 2007, გვ. 9-14); **გ. ალასანია.** „ქართველთა სამეფოს“ შექმნის სათავეებთან. – *ქართული წყაროთმცოდნეობა.* XI. თბ., 2006, გვ. 29.

რომელიც იძლევა ერთადერთ ცნობას ამ ლიდერის შესახებ, არაფერს ამბობს მის ბაგრატიონობაზე,[1] მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოგვიანებით სწორედ ადარნასე-ნერსე-სტეფანოზის ხაზით დაეუფლა ერისმთავრის ტახტს აშოტ დიდი, რომლის ბაგრატიონობაში ძნელია ეჭვის შეტანა, სავარაუდოა, რომ ადარნასეც ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია, რომ იმავე მურვან იბნ მუჰამმადმა სომხეთში ხელისუფლების სათავეში სწორედ ბაგრატიონები (აშოტ ბაგრატუნი) მოიყვანა.[2] მიუხედავად იმისა, რომ სომეხ ბაგრატიონებს მანამდეც ეპყრათ სომხეთის მმართველის (იშხანის) თანამდებობა, მათი პოლიტიკური აღმასვლის თვისობრივად ახალი ეტაპი, რომელიც მოგვიანებით ამ საგვარეულოს წარმომადგენლის გამეფებით (886 წ.) დამთავრდა, სწორედ მურვან ყრუს ყოფნას კავკასიაში უკავშირდება.[3] გარდა ამისა, არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს სახელმა „ადარნასე", რომელიც ძალზე პოპულარული იყო სწორედ ბაგრატიონთა საგვარეულოში.[4]

ბიზანტიის იმპერიას საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე ამ პერიოდში, აქცენტები, როგორც ჩანს, სხვა მიმართულებით ჰქონდა გადატანილი. მართალია, იმპერატორმა კონსტანტინე V კოპრონიმმა (741-775 წწ.). თავისი მმართველობის I ეტაპზე (VIII ს. 40-იან წლებში) ენერგიულად შეუტია არაბებს ჩრდილოეთ სირიასა და შუამდინარეთში და დაათმობინა მათ პოზიციები,[5] მაგრამ, მოგვიანებით (VIII ს. 50-იან წლებში), მისი ყუ-

---

[1] *წამებაჲ ჰაბოჲსი, რომელი იწამა ქართლსა შინ, ქალაქსა ტფილისს, გამოთქმული იოვანე ძისა საბანისი* – იხ.: *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* ***ილ. აბულაძის*** რედაქტორობით. ტ. I. თბ., 1963, გვ. 55.

[2] *История халифов вардапета Гевонда..,* გვ. 81; **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат, გვ. 89.

[3] ამის შესახებ იხ.: **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат, გვ. 89-91.

[4] ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრის, აგრეთვე მისი ძის ნერსე II-ის ბაგრატიონობა ჩვენ დავაფიქსირეთ 2003 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (**ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., გვ. 107-108). ეს დასკვნა ყოველგვარი კომენტარის გარეშე შეცდომად მიიჩნია გ. ალასანიამ (**გ. ალასანია.** „ქართველთა სამეფოს" შექმნის სათავეებთან, გვ. 40). ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდ გვინდა შევნიშნოთ: აზრი იმის შესახებ, რომ ადარნასე-ნერსე II ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები არიან არახალია, ამას საკმაო დამაჯერებლობით ასაბუთებდა გ. აბრამიშვილი (იხ.: **გ. აბრამიშვილი.** სტეფანოზ მამფალის წარწერა ატენის სიონში, გვ. 51-52). ამ ბოლო დროს იგივე თვალსაზრისს ანვითარებს ვ. გოილაძეც (**ვ. გოილაძე.** ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში. თბ., 2008, გვ. 61, 68).

[5] *Константин V Копроним. – Византийская империя*. Рубрики хроноса. Страны и государства (http://www.hrono.ru/biograf/bio_k/kostantin5.html). იხ. აგრეთვე: **С. Б. Дашков**. Императоры Византии. М., 1997.

რადღება მთლიანად ბულგარეთისკენ აღმოჩნდა გადართული,[1] რის გამოც, ეტყობა, კონსტანტინოპოლმა კავკასიისთვის ჯეროვნად ვერ მოიცალა. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ბიზანტიელები მთლიანად იყვნენ გამოთიშულნი საქართველო-კავკასიაში მიმდინარე პროცესებიდან. სავარაუდოა, რომ VIII ს. 60-იანი წლებიდან სამხრეთ კავკასიის მიმართულებით ხაზარების სამხედრო-პოლიტიკური გააქტიურების უკან სწორედ ბიზანტიის საიმპერატორო კარი და უშუალოდ ხაზართა ხაკანის სიძე კონსტანტინე V კოპრონიმი[2] იდგა.

ეს უნდა ყოფილიყო ერთგვარი საპასუხო რეაქცია რეგიონში არაბთა გავლენის განმტკიცების საპირისპიროდ, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სახალიფოს სათავეში აბასიდების დინასტიის მოსვლის (749 წ.) შემდეგ. საფიქრებელია, რომ ხაზართა გააქტიურება მოხდა საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, კერძოდ, კახეთის მთის რაიონებში, ანტიარაბული წინააღმდეგობის ესკალაციის ფონზე. ხაზარეთის მმართველი წრეები და მათ ზურგს უკან ბიზანტიის იმპერია, ეტყობა, ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ანტიარაბული განწყობილებები საქართველოში და მოემზადებინათ ნიადაგი სახალიფოს წინააღმდეგ ფართო ფრონტით შეტევისათვის.

ალბათ, ამას ისახავდა მიზნად ხაზართა ხაკანის დიპლომატიური ინიციატივა, დაკავშირებოდა კახეთში დამკვიდრებულ არჩილ „მეფის“ სახლს, რომელიც საქართველოში ანტიარაბული ფრონტის წინამძღოლად ითვლებოდა და მასთან ახლო დინასტიურ-ნათესაური ურთიერთობების დამყარებით სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შეკვრას შეეცადა, მაგრამ ხაზართა ელჩობა კახეთში უშედეგოდ დასრულდა. ჯუანშერ არჩილის ძის გარემოცვამ არ მიიღო ხაკანის წინადადება დამოყვრების თაობაზე (ხაკანს ჯუანშერის დის, შუშანის ცოლად შერთვა სურდა), რითაც გააანაწყენა პოტენციური მოკავშირე. ხაზართა ელჩობიდან 3 წლის შემდეგ

---

[1] ამ დროს კონსტანტინე V-მ რამდენიმე წარმატებული კამპანია მოაწყო ბულგართა წინააღმდეგ (ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ის „პირველ ბულგართმმუსვრელადაც“ კი შეიძლება იწოდოს (**A. Lombard.** Etudes d'histoire byzantine: Constantin V, empereur des Romains. Paris, 1902, p. 59. მითითებულია წიგნიდან: **А. А. Васильев**. История византийской империи. Т. I. *Время до крестовых походов до 1081 г.* – იხ. ინტერნეტვერსია: http://pstgu.ru/download/1262093214.vasiliev1.pdf), თუმცა საბოლოო შედეგს მაინც ვერ მიაღწია. იხ.: **А. А. Васильев**. История византийской империи, т. I.

[2] ეს დინასტიური ქორწინება ჯერ კიდევ უფლისწულ კონსტანტინესა და ხაზართა ხაკანის ასულ ირინეს შორის შედგა 732 წელს, იმპერატორ ლეონ III ისავრიელის ინიციატივით. იხ.: *Хронография» Феофана*. – წგნ.: **И. С. Чичуров.** Византийские исторические сочинения, გვ. 68; **А. А. Васильев**. История Византийской империи. т. I..; **А. П. Новосельцев.** Хазарское государство.., გვ. 182.

კი 764 წელს ხაკანმა გამოგზავნა დიდი ლაშქარი, რომელიც დარუბანდის გზით[1] შემოიჭრა სამხრეთ კავკასიაში, დაესხა კახეთს, შეიპყრო ჯუანშერი და მისი და შუშანი, შემდეგ ააოხრა თბილისი, მთლიანად ქართლი და დარიალის გზით უკან გაბრუნდა.[2] გზაში შუშანმა თავი მოიწამლა და, ამდენად, დინასტიური ქორწინება ხაზართა ხაკანსა და არჩილ „მეფის“ სახლს შორის, რასაც გარკვეული სარგებლობის მოტანა შეეძლო არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველებისათვის, არ შედგა. მიუხედავად ამისა, ხაზარეთის მეფემ ჯუანშერს კარგი მიღება მოუწყო, 7 წლის განმავლობაში ის პატივში ჰყავდა და ბოლოს დიდი საჩუქრებით სამშობლოში გამოისტუმრა.[3]

ჯუანშერის საქართველოში არყოფნაში (თუ მანამდე არა), შესაძლებელია, გარდაიცვალა მისი ძმა იოვანე – დასავლეთ საქართველოს მმართველი. სწორედ იოვანეს გარდაცვალებითა და ჯუანშერის ტყვეობით გამოწვეული ვაკუუმით ისარგებლა, ალბათ, „აფხაზეთის ერისთავმა“ (არაა გამორიცხული, ეს მართლაც ყოფილიყო ლეონ I) და, როგორც „ხოსროიანთა“ სახლის ლეგიტიმურმა წარმომადგენელმა (სიძემ)

---

[1] მკვლევართა შორის არაა ერთი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მარშრუტი იგულისხმება *მატიანე ქართლისაჲს* „გზა ლეკეთისა“-ში. ი. ჯავახიშვილის მიხედვით, „გზა ლეკეთისა“ უეჭველად დაღესტანზე გადიოდა (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II. თბ., 1983, გვ. 70), მ. ლორთქიფანიძე კი თვლის, რომ, „ლეკეთის გზა“ „დარიალის გზასთან“ უნდა იქნეს გაიგივებული (*Матиане Картлиса.* Перевод, введение и примечания ***М. Д. Лордкипанидзе***, Тб., 1976, გვ. 63, შენ. 6.), რაც საეჭვოდაა მიჩნეული (*Летопись Картли*, გვ. 79; **ი. ჯიჭონაია.** „მატიანე ქართლისა“-ს მასალები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ (VIII-XI სს.). – *საისტორიო ძიებანი*, წელიწდეული, II. თბ., 1999, გვ. 46). როგორც სავსებით სწორად მიუთითებს გ. წულაია, ქართული წერილობითი წყაროები იმდენად კარგად იცნობენ „დარიალის გზას“, რომ ძნელი დასაჯერებელია, მათ ის არეოდათ „ლეკეთის გზაში“ (*Летопись Картли..*, გვ. 79). ამასთან, ძნელი გასაზიარებელია გ. წულაიას მტკიცება იმის შესახებ, რომ „გზა ლეკეთისა“ არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო „დარუბანდის გზა“ (*Летопись Картли..*, გვ. 79). მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ნამდვილად არ არის გამოსარიცხი დარუბანდის გასასვლელისაგან განსხვავებული „გზა ლეკეთისას“ არსებობაც, უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ ა. ბოგვერაძის დასკვნა ბლუჩანის ლაშქრის „დარუბანდის გზით“ მოსვლის შესახებ (**А. А. Богверадзе.** Раннефеодальные грузинские.., გვ. 180), რომელსაც იზიარებს ი. ჯიჭონაია (**ი. ჯიჭონაია.** „მატიანე ქართლისა“-ს.., გვ. 46).

[2] *მატიანე ქართლისა..*, გვ. 249-250; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1965, გვ. 80-81. **ი. ჯიჭონაია.** „მატიანე ქართლისა“-ს მასალები გვ. 44-46.

[3] *მატიანე ქართლისა..*, გვ. 250; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., გვ. 106-107.

დაიკავა იოვანეს ადგილი.[1] ამ დროიდან, აფხაზეთის ერისთავმა ოფიციალურად მთავრის სტატუსი მიიღო და მისი ხელისუფლების ქვეშ მთელი დასავლეთ საქართველო მოექცა. როგორც ჩანს, ეს აქტიც ბიზანტიის საიმპერატორო კარის სანქციით უნდა მომხდარიყო.

წყაროებიდან არ ჩანს, თუ რა ბედი ეწია „ხაზართა ტყვეობიდან“ დაბრუნებულ ჯუანშერს და დაიბრუნა თუ არა მან ხელისუფლება. ამ ფონზე მეტად ნიშანდობლივია ნერსე ქართლის ერისმთავრის მამის ადარნასეს მოხსენიება კურაპალატის ტიტულით, რაც უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ ბიზანტიის იმპერიას იმჟამად ახალი პარტნიორი გამოუჩნდა, რომელსაც დაეკისრა არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება.[2] ანუ ის ფუნქცია, რომელსაც ადრე ასრულებდა არჩილის სახლი, ამჯერად ქართლის ერისმთავრის ტახტზე მისი მოქიშპე საგვარეულოს წარმომადგენელმა ადარნასე კურაპალტმა იტვირთა.

ძნელი სათქმელია, თუ რამდენად წარმატებული იყო ადარნასე კურაპალატის ბრძოლა არაბების წინააღმდეგ, მაგრამ ერთი რამ ცხადია – მისმა მემკვიდრემ ნერსე ერისმთავარმა, რომელიც ფაქტობრივად სათავეში ჩაუდგა ანტიარაბულ მოძრაობას საქართველოში,[3] იმდენად შეაწუხა სახალიფოს ხელისუფლება, რომ ამ უკანასკნელს მოუწია საგანგებო დამსჯელი ზომების მიღება ქართლის გაურჩებული ლიდერის მიმართ. 772 წელს ის დაბარებულ იქნა ბაღდადს, სადაც დააპატიმრეს და სამი წლით საპყრობილეში ჩასვეს.[4] აი სწორედ ის პერიოდი უნდა ყოფილიყო, მართლაც, ყველაზე ხელსაყრელი ქართლში უშუალო არაბული მმართველობის შემოსაღებად, რაც თბილისში ამირას დასმით განხორციელდა.

ამ დასკვნას ნამდვილად არ უშლის ხელს ის, რომ თავის დროზე აკად. მ. ლორთქიფანიძემ თითქოს დაადგინა თბილისის პირველ ამირათა სია. მეცნიერის დაკვირვებით, ხალიფა ალ-მანსორის მმართველობის პე-

---

[1] **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის. – *შოთა მესხია – 90.* საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი. თბ., 2006, გვ. 204.

[2] თავის დროზე, აკად. კ. კეკელიძე ამახვილებდა რა ყურადღებას ერისმთავარ ადარნასეს კურაპალატობაზე, სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ კურაპალატის ტიტულს *„მას არაბთა მოსისხლე მტერი ბიზანტია, სრულიად უანგაროდ არ მიანიჭებდა“.* იხ.: **კ. კეკელიძე.** ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. ***კ. კეკელიძის*** რედაქციითა და გამოკვლევით. ტფ., 1935, გვ. 32.

[3] **ო. ცქიტიშვილი.** ქართლის ერისმთავრის ნერსეს პოლიტიკური მოღვაწეობის საკითხისათვის. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,* ტ. 129, №1, 1988, გვ. 205-207.

[4] *წამებაჲ ჰაბოჲსი*, გვ. 55-56. კ. კეკელიძე ნერსე ერისმთავრის დასმენას ხალიფას წინაშე ხაზარეთიდან მობრუნებულ ჯუანშერს აბრალებდა, რომელმაც მეცნიერის აზრით, ინტრიგების „მთელი ქსელი“ გააბა (**კ. კეკელიძე.** ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 32), რაც ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია.

რიოდში (754-775 წწ.) არმინიის ვალის თანამდებობაზე გამწესებული იაზიდ იბნ უსეიდ ას-სულამი, რომელმაც დაიმორჩილა წანარები, მოქმედებდა როგორც ამირა.[1] ასევე თბილისის ამირად მიიჩნევს მ. ლორთქიფანიძე არმინიის არაბული პროვინციის, კიდევ ერთ მმართველს ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას, რომელმაც მკვლევრის აზრით, 765-766 წლებში ასევე ჩაახშო წანართა ამბოხი.[2]

ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ ამ მოვლენების ამსახველ არაბულ მასალებში (რომელსაც ეყრდნობა მეცნიერი) არაფერია ნათქვამი ზემოთ დასახელებული პირების ამირობაზე.[3] ამასთან, როგორც დაადგინა ო. ცქიტიშვილმა ალ-ჰასან იბნ კაჰტაბა ორჯერ ყოფილა არმინიის ვალი: პირველად 753-754 წლებში, ხოლო მეორედ 770-775 წლებში.[4] უფრო მეტიც, ალ-ქუფის ცნობით, ამ დროს (მეორე მმართველობის პერიოდში), ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას ჯურზანის, თბილისისა და მომიჯნავე ტერიტორიების მმართველად თავისი ვაჟი იბრაჰიმი დაუნიშნავს.[5] სწორედ ო. ცქიტიშვილის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოტანილ ალ-ქუფის ამ ცნობაზე დაყრდნობით, გ. ალასანია იბრაჰიმს თბილისის პირველ ამირად მიიჩნევს და, ჩვენი აზრით სავსებით მართებულად, თბილისის საამიროს დაარსებას ამ პერიოდით ათარიღებს.[6]

775 წელს ხალიფა მაჰდიმ ნერსე შეიწყალა და კვლავ დააბრუნა ტახტზე.[7] მაგრამ ნერსე არც ამის შემდეგ იჩენდა საჭირო ლოიალობას არაბთა სახალიფოს ხელისუფლებისადმი, რის გამოც კვლავ დაიბარეს ბაღდადს. ამჯერად ნერსე ერისმთავარი არ ეახლა ხალიფას და არაბთა წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებების დაწყებისათვის მზადებას შეუდგა. თავდაპირველად მან ოჯახი დასავლეთ საქართველოში, „სარკინოზთაგან კრძალულ“ ქვეყანაში, რომელსაც უკვე აფხაზეთის მთავარი განაგებდა, გახიზნა, თვითონ კი სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღების იმედით ხაზართა ხაკანის კარს მიაშურა. ხაზარებმა ის მაღალ დონეზე მიიღეს და კარგა ხანს ქართლის ერისმთავარი და მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალა დიდ პატივშიც ჰყავდათ.[8] მაგრამ დიპლომატიური მოლაპარაკებები ხაზართა ხაკანთან უმაღლეს დონეზე უშედეგო აღ-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე.** თბილისის საამიროს ისტორიიდან, გვ. 187.

[2] **მ. ლორთქიფანიძე.** თბილისის საამიროს ისტორიიდან, გვ. 187.

[3] სხვათა შორის, ამას თვით მ. ლორთქიფანიძეც აღნიშნავს. იხ.: **მ. ლორთქიფანიძე.** თბილისის საამიროს ისტორიიდან, გვ. 187.

[4] **ო. ცქიტიშვილი.** არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ.., გვ. 74.

[5] **ო. ცქიტიშვილი.** არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ.., გვ. 78, 81; იხ. აგრეთვე: **ო. ცქიტიშვილი.** ქართლის ერისმთავრის ნერსეს.., გვ. 205.

[6] **გ. ალასანია.** თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის, გვ. 10-12.

[7] *წამებაჲ ჰაბოჲსი*, გვ. 56.

[8] *წამებაჲ ჰაბოჲსი*, გვ. 58.

მოჩნდა. იმ ეტაპზე ხაზარებმა თავი შეიკავეს სამხედრო კამპანიისაგან აღმოსავლეთ საქართველოში. განბილებული ერისმთავარი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ხაზარეთი და თავი აფხაზეთისათვის (დასავლეთ საქართველო) შეეფარებინა.

ის, რომ აფხაზეთის მთავარი – ხოსროვანთა სახლის წევრი (სიძე), რომელსაც ლოგიკურად უნდა დაეცვა არჩილის მემკვიდრეთა ინტერესები, არათუ არ მტრობს ადარნასე-ნერსეს სახლს (ხოსროვანთა თვალსაზრისით, ქართლის ერისმთავართა ტახტის მიმტაცებელს), არამედ პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს არაბებისგან დევნილ ქართლის ერისმთავარს, აშკარად მეტყველებს შეცვლილ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. როგორც ჩანს, არჩილის სახლმა 764 წელს ხაზარებთან განცდილი კატასტროფის შემდეგ ამოწურა თავისი შესძლებლობები და ასპარეზი საბოლოოდ ადარნასე კურაპალატის სახლს დაუთმო (ან დაათმობინეს). არაა გამორიცხული, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში აფხაზეთის ერისთავმა მხარიც კი დაუჭირა ქართლის სახელმწიფოს ახალ ლიდერს, რომელმაც ამის სანაცვლოდ აღიარა ლეონ I-ის ლეგიტიმური უფლებები დასავლეთ საქართველოზე.

ნერსეს ურჩობით გაბრაზებულმა არაბებმა, როგორც ჩანს, აარიდეს თავი სიტუაციის გამწვავებას ქართლში, არ გააუქმეს ერისმთავრის ინსტიტუტი და ამ თანამდებობაზე ნერსეს სახლიკაცი, მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე დასვეს, ხოლო თვით ნერსეს დართეს ნება, ოჯახთან ერთად ქართლში დაბრუნებულიყო და, როგორც კერძო პირს, თავისუფლად ეცხოვრა. ეს იყო გარკვეული კომპრომისი არაბების მხრიდან, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ამ დროისათვის (VIII ს. 80-იანი წლების) არაბთა სახალიფოს ძლიერება რამდენადმე შერყეული იყო და უწინდებურად არ შესწევდა უნარი, ვასალების მიმართ დაპყრობილ მხარეებში რადიკალური ზომები გაეტარებინა, რასაც ის ასე თუ ისე ახერხებდა ჯერ კიდევ VIII ს. შუა ხანებში.[1]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, VIII ს. მთელ მანძილზე ქართული პოლიტიკური სამყარო ურთულესი საგარეოპოლიტიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მთავარ საფრთხეს ამ ეტაპზე არაბთა სახალიფო წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ არაბებმა ერთი პერიოდი (VIII ს. დამდეგს) მოახერხეს მთელი საქართველოზე სრული კონტროლის დამყარება, IX ს. დამდეგისათვის მათ ხელი რეალურად მხოლოდ ისტო-

[1] VIII ს. 50-იან წლებში, როგორც ცნობილია, არაბთა სარდალმა ასიმ-იბნ-აბდალაჰმა თავი მოჰკვეთა საქართველოში ანტიარაბული ფრონტის აღიარებულ თავკაცს არჩილ „მეფეს“. იხ.: **ლეონტი მროველი.** წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი-იგი იყო მეფე ქართლისა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 247-248.

რიული ქართლის ერთი ნაწილზე თუ მიუწვდებოდათ. ქართველი პოლიტიკური ლიდერები ყოველნაირად ცდილობდნენ და, უმეტეს შემთხვევაში, წარმატებით ახერხებდნენ კიდეც გზებისა და საშუალებების მოძებნას, მათ შორის, აქტიური დიპლომატიური საქმიანობით, არაბთა სახალიფოს ზეწოლის გასაუვნებელყოფად და ქვეყნის სუვერენიტეტის რაღაც დოზით მაინც შესანარჩუნებლად.

ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობის“ არსისა და ამ თანამეგობრობაში ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ადგილის გარკვევის საკითხისათვის*

როგორც ცნობილია, მსოფლიო ბიზანტინისტიკაში უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა დამკვიდრდა ცნება *"The Byzantine Commonwealth" – „ბიზანტიური თანამეგობრობა“*. ამ ფორმულის ავტორია დიდ ბრიტანეთში მოღაწე, გამოჩენილი რუსი ბიზანტინოლოგი დიმიტრი ობოლენსკი (1918-2001). მან ჯერ კიდევ 1971 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური და ამავე დროს განმაზოგადებელი მონოგრაფია სახელწოდებით: *"The Byzantine Commonwealth. Eastern Europe 500-1453"* (New York: Praeger Publishers, 1971) – *„ბიზანტიური თანამეგობრობა. აღმოსავლეთ ევროპა 500–1453*“.[1] მეცნიერის აზრით, ე.წ. *„ბიზანტიური თანამეგობრობა“* – ესაა ვასალურ და ბიზანტიაზე ორიენტირებულ სახელმწიფოთა წრე, რომლებიც ქმნიდნენ ერთგვარ კულტურულ-პოლიტიკურ ერთობას. ეს ერთობა შორს იყო როგორც შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ვასალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პრინციპებისა, ისე სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულების თანამედროვე წარმოდგენებისაგან. დ. ობოლენსკის განმარტებით "commonwealth" („თანამეგობრობა“ – «Содружество») წარმოადგენდა „ზეეროვნულ ერთობას“ («наднациональная общность»), რომელიც ეფუძნება იმპერატორის უზენაესი ხელისუფლების აღიარებას მთელი ქრისტიანული სამყაროს მიერ. ბიზანტიური კულტურისა და სამართლებრივი სისტემის არეალში ყოფნას.[2]

აღსანიშნავია, რომ ბიზანტოლოგთა ერთი ნაწილი იმთავითვე გამოვიდა ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისეულ გაგებაში გარკვეული კორექტივების შეტანის ინიციატივით. მაგალითად, ა. კაჟდანი არ დააკმაყოფილა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპით შემოფარგლვამ და მოითხოვა მასში იტალიის, კავკასიის, და თვით ევფრატისპირეთის ჩართვა. ამასთან, მეცნიერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ *„შუა საუკუნეების იდეურ-პოლიტიკურ ვითარებას* (იმპერიისადმი) *დამოკიდებულების შესახებ ტერმინებით გამოხა-*

---

* დაიბეჭდა: *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული*, №7. თბ., 2014, გვ. 116-134.

[1] 1998 წელს გამოვიდა ამ ნაშრომის რუსული თარგმანი. იხ.: **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов. Москва, 1998.

[2] **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций.., გვ. 11,13. იხ. აგრეთვე: **А. Войтенко.** Д. Оболенский. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов. Отзыв. – http://old.russ.ru/journal/kniga/99-03-04/voit.htm.

ტულსაც კი, არაფერი ჰქონდა საერთო რეალურ დამოკიდებულებასთან“, და რომ *„ბიზანტიური თანამეგობრობის“ იერარქია უფრო თვითშეგნების ფაქტორს წარმოდგენდა, ვიდრე პოლიტიკური დაქვემდებარებისა“*.[1]

აკად. გ. ლიტავრინის (ის პირველი გამოეხმაურა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისეულ ფორმულას[2]) აზრით „თანამეგობრობის“ წევრი ქვეყნების რეალური ინტერესები ძალზე დაშორებული იყო ერთმანეთისაგან. ამ ქვეყნების მიერ ეს ერთობა განიხილებოდა როგორც კულტურულ-კონფესიური ერთობა, ხოლო პოლიტიკურ მხარეზე ყურადღებას მხოლოდ ბიზანტია ამახვილებდა.[3] იგივე მკვლევარი სხვა პუბლიკაციაში ავითარებდა აზრს, რომ *„ბიზანტიური თანამეგობრობის“ შექმნა უპირველეს ყოვლისა გამოვლინდა კულტურული ურთიერთობების გამყარებაში ბიზანტიასა და „თანამეგობრობაში“ შემავალ ქვეყნებსა და თვით ამ ქვეყნებს შორის“*. თუმცა *„რელიგიურ-ეკლესიური ერთობა ზოგჯერ შესამჩნევ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ ურთიერთობებზე „თანამეგობრობის“ სახელმწიფოებს შორის“*.[4]

გ. ლიტავრინმა ამ ბოლო დროს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი „ბიზანტიური თანამეგობრობის“ კონცეფციის ახლებური გააზრების აუცილებლობას. კერძოდ, მეცნიერის აზრით საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვებს: *„გააჩნდა თუ არა სინამდვილეში ფართო აღმოსავლურ-ქრისტიანულ არეალს, გადაჭიმულს წმინდა მიწიდან ბალტიისპირეთამდე რაიმე პოლიტიკური და იურიდიული სტრუქტურა? თუ არსებობდა რაიმე კონკრეტული ხელშეკრულებითი, გარდა საეკლესიოსი, ურთიერთობები ამ ქვეყნებისა არეალის ცენტრთან (ბიზანტიასთან) და თვით ამ ქვეყნებს*

---

[1] *«Идейно-политическая действительность средневековья, даже оформляемая в терминах зависимости, не имела ничего общего с реальной зависимостью... Иерархия «Византийского содружества» была скорее фактором самосознания, нежели политического подчинения...»*. იხ.: **А. П. Каждан.** D. Obolensky. The Byzantine Commonwealth. Eastern Europe 500-1453. London, Weidenfeld and Nicolson, 1971. Аннотация/отзыв. – *Византийский временник*, т. 35. Москва, 1973, გვ. 262.

[2] **Г. Г. Литаврин.** Д. Оболенский. Византийское сообщество государств. Восточная Европа. 500-1453. – *Вопросы истории*, № 2, 1972, გვ. 180-185.

[3] **Г. Г. Литаврин.** Византия, Болгария, Древняя Русь (IX – начало XII вв.). СПб, 2000, გვ. 355.

[4] *«Образование указанного сообщества выразилось прежде всего в упрочении именно культурных связей между Византией и входящими в сообщество странами, как и между самими этими странами. Церковно-религиозное единство оказывало иногда заметное влияние и на политические отношения между государствами сообщества»*. იხ.: **Г. Г. Литаврин.** Введение. – *Культура Византии.* вторая половина VII-XII в. Москва, 1989, გვ. 8-9.

შორის? და ბოლოს, რამდენად ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა საიმ-პერატორო კარის მიერ კულტივირებულ ფიქტიურ-ოჯახურ-ნათესაური კავშირების სისტემას ბასილევსებსა და იმ აღმოსავლურ-ქრისტიანული ქვეყნების მმართველებს შორის (ახლობლობის სხვადასხვა ხარისხით), რომლებიც გარს ერტყა იმპერიას? ხომ არ იყო ეს სისტემა ერთ-ერთი ცერემონიალურ-დიპლომატიური მეთოდი, არეალში იმპერიის გავლენის შემდგომი გაზრდისკენ გამიზნული?“.[1] ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და თვლის, რომ ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობა“ სულაც არ წარმოადგენდა „რეალურ კონსტრუქციას“ და ის მხოლოდ თავისმოტ-ყუება (იმპერიის მხრიდან) იყო.[2]

„ბიზანტიური თანამეგობრობის“ თავისებური მოდელი წარმოადგინა ამერიკელმა მკვლევარმა გ. ფოუდენმა (G. Fowden). მან განავრცო „ბიზან-ტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისეული არეალი და მასში კავკასი-აც მოაქცია. გარდა ამისა, გ. ფოუდენმა ბიზანტიური თანამეგობრობის ორი პერიოდი გამოყო, რომელთაგან პირველი იმპერატორ კონსტანტინეს გაქრისტიანებიდან და მსოფლიო IV საეკლესიო კრების მიერ დიოფიზიტო-ბის აღიარების შემდგომ პერიოდში მოაქცია, ხოლო მეორე ბალკანეთის ხე-ლახალ გაქრისტიანებას დაუკავშირა.[3] ამასთან, მეცნიერის აზრით, კავკა-სია ბიზანტიურ თანამეგობრობაში გარკვეულ როლს თამაშობდა მხოლოდ პირველ პერიოდში, მეორე პერიოდში კი იგი საერთოდ ვერ ხედავს კავკა-სიის, კერძოდ, საქართველოს ადგილს ბიზანტიურ თანამეგობრობაში.[4]

---

[1] *«Имел ли в действительности обширный восточнохристианский ареал, простиравшийся от Святой Земли до Балтики, какую-либо политическую и юридическую структуру? Существовали ли какие-нибудь определённые договорные, помимо церковных, связи этих стран с центром ареала (Византией) и между собой? Имела ли, наконец, какое-либо практическое значение культивируемая императорским двором система фиктивных псевдо-родственных семейных связей василевса (с разной степенью близости к нему) с правителями окружающих империю восточнохристианских стран? Не была ли эта система не более чем одним из церемониально-дипломатических приёмов с целью ещё более упрочить в ареале влияния империи?»*. იხ.: **Г. Г. Литаврин.** Предисловие. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 4.

[2] **С. А. Иванов.** Византийское миссионерство: можно ли сделать из «варвара» христианина? Москва, 2003, გვ. 343.

[3] **G. Fowden.** Empire to Commonwealth: Consequences of Monotheism in Late Antiquity. Princeton University Press, 1993, გვ. 169.

[4] **G. Fowden.** Empire to Commonwealth.., გვ. 104-109; **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა: გაბიზანტიელება, კოსმოპოლიტობა და ქართველი მთაწმინდელები. – *ლოგოსი.* სამეცნიერო ჟურნალი. №6, 2011, გვ. 61.

საქართველო-კავკასიისადმი გ. ფოუდენის ამ მიდგომის მცდარობა მკაფიოდ აჩვენა სტ. რაპმა (Stephen H. Rapp).[1] ამასთან ამერიკელი ქართველოლოგი შეეცადა წარმოეჩინა საკუთრივ ქართული სამყაროს როლი და ადგილი ე.წ. „ბიზანტიურ თანამეგობრობაში". მისი დაკვირვებით, *„მიუხედავად იმისა, რომ კავკასია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ჯერ კიდევ აქემენიდთა დროიდან მოყოლებული, ირანული სამყაროს წევრი იყო,* ***აღმოსავლეთ საქართველომ, სომხეთმა და კავკასიის ალბანეთმა შეიტანეს წვლილი"*** ჯერ კიდევ ***„პირველი ბიზანტიური თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში"***.[2] სტ. რაპის შეხედულებით IX-X საუკუნეებში – *„ბიზანტიური თანამეგობრობის კრისტალიზაციის"* ხანაში – ადგილი ჰქონდა *„კავკასიის რელიგიური და პოლიტიკური კულტურის"* ინტენსიურ *„გაბიზანტიელებას". „მეორე თანამეგობრობის ჩამოყალიბება,* – აღნიშნავს მკვლევარი, – *ზუსტად ისევეა დავალებული კავკასიისაგან, როგორც აღმოსავლეთ ევროპის სლავებისაგან. ორივე შემთხვევაში, არაბერძნულმა საზოგადოებებმა არა მარტო შეითვისეს, არამედ თავისი წვლილიც შეიტანეს იმპერიასა და თანამეგობრობაში".*[3]

მეცნიერის დასკვნით, თუ პირველი თანამეგობრობის კავკასიელი მონაწილეებიდან *„უფრო სომხები და სხვადასხვა სომხური მიწები დომინირებდნენ... მეორე თანამეგობრობაში უკვე ქართული სამეფო-სამთავროები ეუფლებიან წამყვან როლს".* ამ მხრივ სტ. რაპი განსაკუთრებით გამოჰყოფს ტაო-კლარჯეთს, ანუ როგორც ის უწოდებს ამ ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას – „ნეო-ქართლს".[4] მისი სავსებით მართებუ-

---

[1] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., გვ. 61-62.

[2] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., გვ. 62

[3] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., გვ. 62-63. იხ. აგრეთვე: **Stephen H. Rapp, Jr., Paul Crego**. Languages and Cultures of Eastern Christianity: Georgian. (The Worlds of Eastern Christianity, 300-1500, 5.) Farnham, UK: Ashgate, 2012.

[4] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., გვ. 63. ავტორმა ეს ტერმინი პირველად იხმარა ნაშრომში: **Stephen H. Rapp, Jr.** Imagining history at the crossroads: Persia, Byzantium, and the architects of the written Georgian past. By Stephen Harold Rapp, Jr. vol. 1, unpublished Ph.D. dissertation (Ann Arbor, 1997). იხ. აგრეთვე: **Stephen H. Rapp, Jr.** Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts. – *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*, vol. 601; T. 113. Lovanil in Aedibus Peeters, 2003, გვ. 14-15 და ა.შ. ტაო-კლარჯეთის „ნეო-ქართლად" წარმოსახვა მიუღებლად მიაჩნია ნ. ნიკოლოზიშვილს. მისი აზრით, სტ. რაპს *„აბსოლუტურად უმართებულოდ შემოაქვს ხმარებაში ტერმინები „ქართლი ლტოლვილებაში" (Kartli-in-exile) და „ნეო-ქართლი" (neo-Kartli) ტაოს რეგიონის მიმართ. ამ შემთხვევაში იგი ბრმად ქმნის კ. თუმანოვის ტერმინის ანალოგს, რომელმაც კილიკიის სომხური სამეფოს მიმართ შემოიღო ტერმინი „არმენია ლტოლვილებაში" (Armenia-in-exile) და „ნეო-არმენია" (neo-Armenia).*

ლი შენიშვნით, სწორედ *„ტაო-კლარჯეთი აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი, რომლის მეშვეობითაც მოხდა ბიზანტიური კულტურის შეღწევა საქართველოს მიწა-წყალზე“*. უფრო მეტიც, სტ. რაპი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც *„სომეხი ბაგრატიდებისა და არწრუნის სამეფოები დანებდნენ ბასილი II-ს ექსპანსიონისტურ პოლიტიკას“*. მათგან განსხვავებით *„ქართველებმა მოახერხეს ტაო-კლარჯეთში რელიგიური და პოლიტიკური ძალების კონსოლიდირება და საფუძველი ჩაუყარეს ბაგრატ III-ის მიერ გაერთიანებული ქართული სამეფოს დაარსებას, რომელიც მომავალში პანკავკასიურ იმპერიად“ მოგვევლინა „დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ხანაში“*.[1]

ამერიკელი მკვლევრის დაკვირვებით, *„მეცხრე-მეათე საუკუნეებში და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მოხდა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს კულტურის უპრეცედენტო ხარისხით „გაბიზანტიელება“, თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ სელექციის, ადაპტაციისა და სინკრეტიზმის მექანიზმები. შემდგომში, „გაბიზანტიელების“ პროცესი ორმხრივი მოძრაობის ქუჩას დაემსგავსა. ქართველები არა მარტო ითვისებდნენ ბიზანტიურ კულტურას, არამედ, თავის მხრივ ამდიდრებდნენ მას ქართული და კავკასიური კულტურის ასპექტების შეტანით, და ამ გზით, მონაწილეობდნენ თავად ბიზანტიური კულტურის არსებითი ბუნების ჩამოყალიბებაში“*.[2]

სწორედ ამ ჭრილში განიხილავს სტ. რაპი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობას. მის შეხედულებით, *„გიორგი და ექვთიმე ქართველები და კავკასიელები იყვნენ, მაგრამ ამასთანავე – ბიზანტიე-*

თუმანოვის მიერ შემოღებულ ტერმინს თავისი ლოგიკური საფუძველი აქვს, რადგან კილიკია არასოდეს ყოფილა სომხური ქვეყანა და, მით უმეტეს, არც სომეხთა ისტორიული სამშობლო, მაგრამ ტაოში ქართველური ტომების სახლობა უხსოვარი დროიდან დღემდე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. ამდენად, გაუმართლებელია ტაოს ეწოდოს „ნეო-ქართლი“ ან „ქართლი ლტოლვილებაში“ (**ნ. ნიკოლოზიშვილი.** Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts. – *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*, Vol. 601; T. 113. Lovanil in Aedibus Peeters, 2003, რეცენზია. – *კადმოსი*, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. №2, 2010, გვ. 298, http://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/article/viewFile/70/60). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც მიგვაჩნია, რომ პარალელი კ. თუმანოვისეულ – „არმენია ლტოლვილებაში“ /Armenia-in-exile/ და „ნეო-არმენია“ /neo-Armenia/ რამდენადმე უადგილოა, სტ. რაპის მიერ შემოთავაზებული ტერმინის – „ნეო-ქართლის“ /neo-Kartli/ (და არა „ქართლი ლტოლვილებაშის“ /Kartli-in-exile/, რომელიც ნამდვილად ქმნის გარკვეულ უხერხულობას) გამოყენება შეიძლება და არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც.

[1] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., გვ. 63.

[2] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., გვ. 63.

ლებიც, რა თქმა უნდა, ათონელები დიდი სიფრთხილით ეპყრობოდნენ ქართულ მემკვიდრეობას. ამავე დროს, ისინი მცდელობას არ აკლებდნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ის გარემოება, რომ საქართველო ქრისტიანობის უძველესი წარმომადგენელი იყო კავკასიაში და ამ გზით კიდევ უფრო მყარად ჩაერთოთ თავიანთი სამშობლო ბიზანტიურ სივრცეში". სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ სურდათ მსოფლიო ორთოდოქსულ, და საერთოდ, თანამეგობრობის სფეროში საქართველო უფრო სრული ინტეგრაციით ჩაერთოთ და უფრო ვრცელის, უფრო მნიშვნელოვნის ნაწილად ექციათ.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი,[2] ბოლო დრომდე „ბიზანტიური თანამეგობრობის" დ. ობოლენსკისული ფორმულა არ გამხდარა საგანგებო მსჯელობის საგანი და არც არავის უცდია საქართველო-ბიზანტიის ურთი-

---

[1] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., გვ. 66.

[2] **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969. იხ. აგრეთვე: **ვ. კოპალიანი.** საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა). – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები.* თსუ შრომები. ტ. 125. თბ., 1968, გვ. 83-121; **მ. კახაძე.** ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. თბ., 1954; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984; **Н. Ю. Ломоури.** К истории восстания Варды Склира. – *თსუ შრომები*, ტ. 67. თბ., 1957; **И. М. Нодия.** Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии. – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები.* ეძღვნება აკად. ***სიმონ ყაუხჩიშვილის*** დაბადებიდან 80 წლისთავს. თბ., 1978; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. III. თბ., 1979; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии,* т. II. Тб., 1988; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских взаимоотношении (70-е годы X в.). – *Византийский Временник.* Т. 40. Москва, 1979, გვ. 92-95; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990; **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60–80-იან წლებში.* თბ., 1991, გვ. 37-40; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001; **გ. ბუაჩიძე.** ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში". – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 96-116; **ჯ. სამუშია.** ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – „იბერიის თემის" დაარსების თარიღისათვის. – *სამეცნიერო პარადიგმები.* კრებული მიძღვნილი ***ნათელა ვაჩნაძის*** 70 წლისთავისადმი. თბ., 2009 და სხვ.

ერთობები განეხილა აღნიშნული „თანამეგობრობის“ ფაქტორის გათვალისწინების ფონზე.[1] და ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ დ. ობოლენსკის მონოგრაფიის გამოცემამდე დიდი ხნით ადრე ქართული ბიზანტინისტიკის ფუძემდებელმა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ბიზანტინიზმზე, როგორც თავისებურ ფენომენზე. მეცნიერის განსაზღვრებით ბიზანტინიზმს ოთხი რამ აერთიანებდა: *„ელინიზმი, რომანიზმი, ქრისტიანობა და აღმოსავლური ელემენტები“*.[2] ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, საქართველო არა მხოლოდ კულტურულად შედიოდა *„ბიზანტიურ ორბიტში“*,[3] არამედ ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაც *„აშკარად ... ბიზანტიურ დაღს“* ატარებდა.[4]

მართალია, ქართველმა მეცნიერებმა ბევრი რამ გააკეთეს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების სიღრმისეული კვლევის მიმართულებით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათ შრომებში სათანადო ასახვა ჰპოვა „ბიზანტიური კულტურული წრის“ დ. ობოლენსკისეულმა ფორმულამ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ XX ს. 80-90-იან წლებში გამოცემულ ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა[5]

---

[1] საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ცალკეული ეტაპების ამ კუთხით გააზრების პირველი მცდელობა მოცემულია ჩვენს ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). – *ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ***როინ მეტრეველის*** დაბადების 70 წლისთავისადმი. გამომც. *„არტანუჯი“*. თბ., 2009, გვ. 158-180; **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2011. Т. 5. Вып. 3-4, გვ. 147-168 (http://cyberleninka.ru/article/n/vizantiyskoe-sodruzhestvo-natsiy-i-mezhdunarodnoe-polozhenie-gruzinskih-politicheskih-obrazovaniy-v-pervoy-polovine-x-stoletiya); **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden, 2011. Vol. 5, Issue 3-4, გვ. 126-144 (http://cyberleninka.ru/article/n/the-byzantine-commonwealth-and-the-international-status-of-the-georgian-political-units-in-the-first-half-of-the-10th-century).

[2] **ს. ყაუხჩიშვილი.** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. IV-VII საუკუნეები. თბ., 1948, გვ. 27; *ბიზანტია ქართულ წყაროებში*. რედაქტორები: ***ნელი მახარაძე, ნოდარ ლომოური.*** თბ., 2010, გვ. 3.

[3] **ს. ყაუხჩიშვილი.** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან.., გვ. 32.

[4] **ს. ყაუხჩიშვილი.** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან.., გვ. 33.

[5] **ე. ხინთიბიძე.** ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის. თბ., 1982; **ვ. ასათიანი.** ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბ., 1996 და სხვ.

და შემაჯამებელ სტატიებში,[1] არაფერია ნათქვამი არც „ბიზანტიური კულტურული წრის“ ფორმულაზე და არც ქართული სამყაროს ადგილზე ამ სივრცეში.

გ. წულაია ალბათ პირველი იყო ქართველ მეცნიერთაგან, რომელმაც წამოსწია ეს პრობლემა და შეეცადა დაედგინა ქართული სამყაროს ადგილი და მნიშვნელობა „ბიზანტიური კულტურული წრის“ ქვეყნებს შორის. მისი დაკვირვებით, ქართველთა კულტურის ელინისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, ისინი ბუნებრივად ეზიარებოდნენ ელინიზირებულ ტერიტორიებზე წარმოქმნილ ბიზანტიურ სამყაროს.[2] სხვა ადგილას მკვლევარი მსჯელობს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული პოტენციალის ზრდაზე „ბიზანტიური სამყაროს ფარგლებში“ *(«в пределах «византийского мира»),* რომლის შედეგადაც საქართველო – „პატარა ქვეყანა“ უკვე VIII საუკუნეში იმპერიის სერიოზულ მეტოქეს წარმოადგენდა *(«маленькая страна* ***уже с VIII в. выступала здесь серьезным соперником самой империи»).***[3]

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრის ეს დასკვნა რამდენადმე გაუგებარია. ჯერ ერთი, ამ პერიოდში საქართველო რეალურად ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა[4] და მეორეც, VIII საუკუნის მთელ მან-

---

[1] **ე. ხინთიბიძე.** უახლესი ტენდენციები ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით. – *ბიზანტინოლოგია საქართველოში.* რედაქტორები: ***ნელი მახარაძე, თინა დოლიძე.*** თბ., 2007.

[2] *«Эллинистические традиции культуры грузин способствовали естественному процессу приобщения их к образовавшемуся на эллинизированных территориях византийскому миру».* იხ. **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса в раннефеодальной Грузии (V-X вв.). – *Кавказский этнографический сборник.* IX. Москва, 1989, გვ. 38.

[3] **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект.., გვ. 44 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[4] მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი, რომ ჯუანშერის თხზულებაში დაფიქსირებული ქართლი-ეგრისის ერთიანობა (VIII ს. I მესამედში) და სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლის ეგიდით საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნა ახლოს უნდა იყოს ისტორიულ რეალობასთან (ამის შესახებ იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 270, 579; **ზ. ალექსიძე.** ქართული და სომხური წყაროები VII ს-ის დამდეგს ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ. – *ეპისტოლეთა წიგნი.* სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ***ზ. ალექსიძემ.*** თბ., 1967, გვ. 173, 181-186; **გ. აბრამიშვილი.** სტეფანოზ მამფალის წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, გვ. 36-37; **ა. ბოგვერაძე**. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ., 1979, გვ. 98-100; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. II. თბ., 1980, გვ. 76-77; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003, გვ. 376-

ძილზე ქართული პოლიტიკური ერთეულები ძირითადად არაბთა სახალიფოს უპირისპირდებოდნენ და ამ დაპირისპირებაში ბიზანტიის იმპერია მათ მოკავშირედ გამოდიოდა. მხოლოდ VIII ს. მიწურულიდან თუ შეიძლება საუბარი გარკვეულ ანტიბიზანტიურ ტენდენციებზე და ისიც არა მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ დროს, როგორც ცნობილია, იმპერიას განუდგა დასავლეთ საქართველოს ლიდერი „აფხაზეთის ერისთავი" ლეონ II, რომელმაც თავი „აფხაზთა" მეფედ გამოაცხადა. რაც შეეხება დანარჩენ საქართველოს, ის მკვეთრად ადგა ანტიარაბულ კურსს, რომლის უკან უდავოდ ოფიციალური კონსტანტინოპოლი იდგა.[1] ეს მკაფიოდ გამოვლინდა თუნდაც არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონისათვის სულ ცოტა დიპლომატიური მხარდაჭერით, რომელიც გამოიხატა მისთვის კუროპალატის ტიტულის მინიჭებაში.[2]

სათანადო არგუმენტაციას საჭიროებს გ. წულაიას სხვა დებულებაც, თითქოს ადრე შუა საუკუნეებში ქართველურ ტომთა კულტურული განვითარების პროცესი საქართველო-ბიზანტიის საკონტაქტო ზონებში მაინცდამაინც მიმდინარეობდა ქართულ-ბიზანტიური მეტოქეობის პირობებში ***(«в обстановке византийско-грузинского соперничества в контактных зонах Грузии и Византии»)***.[3] მართალია, ჩვენ, პრინციპში,

---

383; **Т. Г. Папуашвили.** Взаимоотношения грузин и абхазов на фоне политической обстановки в Эгриси Абхазии в VII-VIII вв. – წგნ.: **Г. А. Амичба, Т. Г. Папуашвили.** Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей (VI-VIII вв.). Тб., 1985, გვ. 64-65; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია,* წელიწდეული, თსუ გამომცემ. ტ. IV. თბ., 1997, გვ. 297-300; **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლ. თბ., 2008, გვ. 451-452), მაგრამ ისიც ცხადია, რომ რეალურად ასეთი სახელმწიფო არ არსებობდა, ვინაიდან მურვან იბნ მუჰამმადის სადამსჯელო ექსპედიციის შედეგად არჩილის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად ნომინალური იყო. **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს.., გვ. 452.

[1] ქართული პოლიტიკური სამყაროს საგარეო-პოლიტიკური იერ-სახის შესახებ VIII საუკუნეში დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური.., გვ. 436-460.

[2] **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო IX ს. I მეოთხედში. *ტაო-კლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა.* – კრებ.: *საქართველო და მსოფლიო.* ისტორია და თანამედროვეობა. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2009, გვ. 74-80.

[3] **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект.., გვ. 44 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მეცნიერის მომდევნო დასკვნისა იმის შესახებ, რომ ეს არ იყო ბრძოლა ბიზანტიური კულტურული გავლენის წინააღმდეგ, არამედ ამ ზონების ადგილობრივი *„აბორიგენი, გენეტიკურად ქართველური მოსახლეობა“ («аборигенное, генетически картвельское /грузинское/ население»)* იბრძოდა მხოლოდ „ბიზანტიის ხელისუფალთა ანექსიონისტური გეგმების“ წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქართული ტერიტორიების ინკორპორაცია,[1] მაგრამ არ მიგვაჩნია მართებულად ამ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენებზე აქცენტირება. წყაროთა (კონსტანტინე პორფიროგენეტი)[2] მონაცემებით, მართლაც დასტურდება მწვავე სასაზღვრო კონფლიქტების არსებობა იმპერიასა და ქართველ ბაგრატიონებს შორის და ისიც მხოლოდ X საუკუნეში[3] (და არა ადრეულ შუა საუკუნეებში ზოგადად).

უდავოდ სწორია გ. წულაიას დებულება, რომ ქრისტიანობის განსაკუთრებულობის იდეა, ქართველებისა და „ბიზანტიური კულტურული წრის“ სხვა ხალხების „რომეიზაციის“ საფრთხეს ქმნიდა.[4] ამას ვერ ვიტყვით მეცნიერის სხვა თეზისზე, რომლის თანახმადაც იოანე საბანის ძის შემდგომი ეპოქის წერილობითი წყაროები თითქოს ირიბად ადასტურებდნენ, რომ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის იდეამ შეაღწია ხალხის ფართო მასებში, რომლის გამოც მოსახლეობის *„დემოკრატიული ქვედა ფენები“ («демократические низы населения»)* გადაიქცნენ

---

[1] *«Борьба была направлена лишь против аннексионистских планов византийских правителей, стремившихся инкорпорировать в свое государство стратегически важные и природно богатые части прилегавших к империи территорий расселения картвельских племен».* იხ.: **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса.., გვ. 44 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1952, გვ. 265-266; 280-287.

[3] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **შ. ბადრიძე.** „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. – *თსუ შრომები*, 113, 1965, გვ. 255-261; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., გვ. 158-180; **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований.., გვ. 160-164; **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First.., გვ. 137-141.

[4] *«Идея исключительности христиан ... как показал исторический опыт грузинам, как и прочим народам «византийского культурного круга», не дала ничего положительного, но лишь подводила к опасности растворения в ромеях...».* იხ.: **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического.., გვ. 50.

რომეიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად რეზერვად.[1]

ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში არა გვაქვს არავითარი მინიშნება იმის თაობაზე, რომ ქართული მოსახლეობის „დემოკრატიულ ქვედა ფენებში“ შეაღწია ანტიბიზანტიურმა განწყობილებებმა და მით უფრო, რომ ის იქცა იმპერიის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის „ძირითად რეზერვად“. პირიქით, ოფიციალური კონსტანტინოპოლი, როგორც წესი, ურჩი ქართველი პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ ამხედრებდა სწორედ სოციალური სიდუხჭირით შეწუხებული საზოგადოების „ქვედა ფენებს“. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა თუნდაც XI ს. 30-იან წლებში განვითარებული მოვლენები, როდესაც იმპერიის ხელისუფლებამ მის მიერვე ორგანიზებულ ბაგრატ IV-ის გადასაყენებლად მიმართულ სამხედრო აქციებში აქტიურად ჩართო სწორედ დაბალი ფენების წარმომადგენლები *„... მას ჟამსა გაგზავნა პარკიმანოზმან და პროედროსმან იოვანე, ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანგი ლაშქრითა დიდითა და მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ძე სუმბატისი, რეცა შესატყუევნელად ქუეყანისა კაცთათჳს, და ამით მიზეზითა მოიქცეს* ***მრავალნი კაცნი*** *მის ქუეყანისანი* ***წურილისა ერისაგან****“*.[2]

გ. წულაია იმდენად გაიტაცა „დემოკრატიული ქვედა ფენების“ როლის წინა პლანზე წამოწევის სურვილმა, რომ მას, ფაქტობრივად, ეჭვი შეაქვს ქართველ აგიოგრაფთა მიერ აღწერილი „ისტორიების“ მთავარ პერსონაჟთა სოციალურ წარმომავლობაში. ასე მაგალითად, მეცნიერის დასკვნით *„დავითისა და კონსტანტინეს წამების“* მთავარი გმირები სულაც არ უნდა ყოფილიყვნენ ფეოდალური არისტოკრატიის ელიტის წარმომადგენლები და ავტორის მიერ მათი არგვეთის მთავრებად გამოცხადება მხოლოდ ეპოქისათვის დამახასიათებელი მეფე-მთავართა და წარჩინებულ ფეოდალთა „თუალახმით“ – ზღვარგადასული ქება-დიდებითაა გამოწვეული.[3] სხვა რაიმე ხელმოსაკიდი არგუმენტი, რომლის გამოც შე-

---

[1] **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса.., გვ. 50.

[2] *მატიანე ქართლისაჲ – ქართლის ცხოვრება*. მთ. რედაქტორი. ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 279 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ**). ის რომ უცხოელი დამპყრობლები თავიანთი იმპერიული პოლიტიკის გატარებისას არც თუ ისე იშვიათად ეყრდნობოდნენ ქვედა ფენებს ჩანს ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებიდანაც. *„ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი მცხეთელთაჲ, რომელი იყო სპარსი ცეცხლისმსახური, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა, არამედ არა ვინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა* ***წულილისა ერისაგანი*** *მოაქცია ცეცხლისმსახურებასა, და შეერია ქართლსა შინა* ***ერსა წულილსა*** *ცეცხლისმსახურებაჲ“* (**ჯუანშერი.** ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა. *ქართლის ცხოვრება*. მთ. რედაქტორი. ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 157, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] *«...ничем не сдерживаемого славословия грузинских писателей и поэтов представителям феодальной верхушки и их царственным сюзеренам...».* იხ.: **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект.., გვ. 61-62.

იძლება ეჭვის შეტანა დავითისა და კონსტანტინეს სოციალურ წარმომავლობაში მკვლევარს არ მოჰყავს.

ასეთია, ზოგადად მდგომარეობა ქართულ ისტორიულ ბიზანტინისტიკაში. როგორც ვხედავთ, ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ აქტიურად ჩავრთულიყავით მეცნიერული ბიზანტინისტიკისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული პრობლემის ირგვლივ მიმდინარე დებატებში. არადა, ზოგადად დ. ობოლენსკის კონცეპტუალური მიდგომა, მთლიანობაში, ასახავს ისტორიულ რეალობას. ანუ ბიზანტიის იმპერია მისი არსებობის მთელ მანძილზე[1] ნამდვილად მოიაზრებოდა (და არა მხოლოდ იმპერიის მესვეურთა,[2] არამედ მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების მხრიდანაც), ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრად, ლიდერად.[3] უფრო მეტიც, არათუ მართლმადიდებლური ქვეყნე-

---

[1] დ. ობოლენსკის აზრით, 1180-1240 წლების კრიზისის მიუხედავად „ბიზანტიური თანამეგობრობა“ არათუ შენარჩუნდა, როგორც *«целостное общество»*, არამედ გვიან შუასაუკუნეებში ის კიდევ უფრო განმტკიცდა. **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов, გვ. 218; **В. А. Золотовский.** Военные аспекты внешней политики Византии при первых Палеологах (К уяснению специфики «Византийского содружества наций»). – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов. Москва, 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 56.

[2] ამის შესახებ იხ.: **Ю. Г. Соколов.** К проблеме «Византийского содружества государств»: страны византийского круга глазами ромеев в первой половине XIII в. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов. Москва, 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 120-126.

[3] ამ თვალსაზრისით, უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ X ს. არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში „ბიზანტიური თანამეგობრობა“ განიხილებოდა, როგორც გეოპოლიტიკური რეალობა (იხ.: **И. Г. Коновалова.** Представление о Византийском содружестве государств в арабской географической литературе X в. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов. Москва, 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 76). კერძოდ, ალ-ისტახრი და იბნ ჰაუკალი გამოყოფდნენ 4 იმპერიას („მამლაქათ“-ს), რომლებიც, მათი აზრით, „წარმოადგენდნენ მსოფლიო წესრიგის ბურჯს“ *(«Ал-Истахри и Ибн Хаукал выделяют четыре империи (мамлакат), являющиеся, по их мнению, столпами миропорядка»).* ესენია: *„სახალიფო“, რომელსაც ბაღდადიდან განაგებს „მართლმორწმუნეთა უფალი“; ბიზანტია, მის სათავეში დგას მეფე, რომელიც ცხოვრობს კონსტანტინოპოლში“*, აგრეთვე ჩინეთი და ინდოეთი *(«Халифат /мамлакат ал-ислам/, которым управляет из Багдада повелитель правоверных /амир ал-муминин/;* ***Византия /мамлакат ар-Рум/, во главе которой сто-***

ბი, არამედ გრიგორიანული სომხეთიც განიხილებოდა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ წევრად. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს ცნობილი სომეხი მკვლევრის ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის შენიშვნა იმის შესახებ, რომ *„ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნებთან იმპერიის ურთიერთოებების იდეოლოგიური და დიპლომატიური ასპექტები ქმედით გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებზე ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ადგილი ჰქონდა შემხვედრ გავლენას მეზობელი ქვეყნებისა საკუთრივ ბიზანტიაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია სომხეთისა და ბიზანტიის ისტორიული პოზიციები“*.[1]

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის ეს დასკვნა არის მორიგი ტირაჟირება (ერთგვარად შეფარვით) სომხური ისტორიოგრაფიის (როგორც შუა საუკუნეების, ისე თანამედროვე) „ისტორიული მითისა“ სომხეთისა და სომხების განსაკუთრებული როლის შესახებ ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ ფონზე, ვფიქრობთ, შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური იერ-სახის გააზრებისას, ამ მიმართულებით კვლევის გააქტიურება და ე.წ. „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს როლისა და ადგილის უფრო მკაფიოდ წარმოჩენა მეტად საშური საქმეა.

ит царь (малик), живущий в Константинополе; *Китай (мамлакат ас-Син), правитель (сахиб) которого проживает в городе Кайфэн; Индия (мамлакат ал-Хинд) во главе с царем (малик), живущим в городе Канаудж»* (**И. Г. Коновалова.** Представление о Византийском содружестве.., გვ. 77, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[1] *«Идеологический и дипломатический аспекты взаимоотношений империи со странами византийского культурного круга действенно влияли на политические, административные и экономические реалии в отношениях контрагентов, в особенности там и тогда, где и когда активно проявлялось встречное влияние соседних стран на империю. Особенно наглядны в этом отношении исторические позиции Армении и Византии».* იხ.: **В. А. Арутюнова-Фиданян.** Контактные зоны в системе «Византийского содружества государств». – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов. Москва, 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 16.

ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო IX ს. I მეოთხედში. *ტაო-კლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა**

როგორც ცნობილია, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ქართული პოლიტიკური სამყაროს სახელმწიფოებრივ იერ-სახეს, მისი როლსა და ადგილს საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა გეოპოლიტიკური გარემო, პირველ რიგში, რეგიონში (კავკასია-წინა აზია-მახლობელი აღმოსავლეთი) განვითარებული პოლიტიკური პროცესები.

საერთაშორისო კონიუნქტურამ იქონია გადამწყვეტი გავლენა VIII-IX ს. დამდეგს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებულ პროცესებზე, როდესაც არსებითად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა. უძველესი ქართული სახელმწიფოების იბერია-ქართლისა და ლაზიკა-ეგრისის ნანგრევებზე წარმოიქმნენ ახალი სამეფო-სამთავროები: კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამთავრო (შემდგომ სამეფო), ტაო-კლარჯეთის სამთავრო (შემდგომ „ქართველთა“ სამეფო), თბილისის საამირო, „აფხაზთა“ სამეფო. თითოეული ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების ფორმირება მოხდა კონკრეტულ საგარეო-პოლიტიკურ გარემოში.

IX ს. დამდეგისათვის, როდესაც ძირითადად დასრულდა ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნის პროცესი, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში საერთო პოლიტიკურ კლიმატს უწინდებურად ბიზანტიის იმპერია და არაბთა სახალიფო ქმნიდნენ. სწორედ ამ ორი იმპერიის დაპირისპირების ფონზე მოხდა სამხრეთ საქართველოში ახალი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების – ტაო-კლარჯეთის სამთავროს დაფუძნება ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონის მიერ.

აშოტ კურაპალატის მოღვაწეობის შესახებ საისტორიო წყაროებში არც თუ მრავალრიცხოვანი ცნობები გაგვაჩნია. გარდა *„მატიანე ქართლისაჲსა“*[1] და სუმბატ დავითის ძის ქრონიკისა,[2] ამ პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრების შესახებ, როგორც ცნობილია, ინფორმაციას გვაწ-

---

* დაიბეჭდა კრებულში: *საქართველო და მსოფლიო.* ისტორია და თანამედროვეობა. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2009, გვ. 74-80. იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებით.

[1] *მატიანე ქართლისა.* – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 252-253.

[2] **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, 376-377.

ვდის X ს. აგიოგრაფი გიორგი მერჩულე.[1] ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ამომწურავად არის გაშუქებული ტაო-კლარჯეთის პირველი ხელისუფლის სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა.[2] ამ შემთხვევაში ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს აშოტ ბაგრატიონის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ზოგადად და მხოლოდ იმ საერთაშორისო ვითარების ანალიზით შემოვიფარგლებით, რომელმაც განაპირობა ახალი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანების ჩამოყალიბება სამხრეთ საქართველოში.

IX ს. დამდეგს ბიზანტიის იმპერია უმძიმესი შინაპოლიტიკური კრიზისით შეეგება, რასაც სათავე დაუდო დედოფალ ირინეს მიერ მოწყობილმა სახელმწიფო გადატრიალებამ 797 წელს. ამან გარკვეული გავლენა მოახდინა იმპერიის საგარეო-პოლიტიკურ პოტენციალზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად უკავშირებენ ბიზანტიაში შექმნილ ვითარებას დასავლეთ საქართველო-აფხაზეთზე გავლენის შესუსტებას, რასაც, როგორც ცნობილია, მოჰყვა ლეონ „აფხაზეთის ერისთავის“ მიერ იმპერიისაგან განდგომა და თავისი თავის სუვერენულ ხელმწიფედ „აფხაზთა მეფედ“ გამოცხადება.[3]

მეტ-ნაკლებად არასტაბილური იყო იმპერიის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა მთელი IX ს. I მეოთხედის მანძილზე – იმპერატორების: ნიკიფორე გენიკის (802-811), მიხეილ I რანგავეს (811-813), ლეონ V სომეხის (813-820) მიხეილ II ტრავლის (820-829) მმართველობის პერიოდში.[4] ცნობილი ბიზანტინისტის ალ. ვასილიევის მართებული შენიშვნით, მართალია, შეტაკებები აღმოსავლეთის საზღვრებზე მთელი IX ს. მანძილზე შედარებით იშვიათად აღწევდა ქვეყნის სიღრმეს და ამდენად საფრთხეს ვერ უქმნიდა იმპერიის არსებობას, მაგრამ ამ შეტა-

---

[1] **გიორგი მერჩულე.** გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. – *ქართული პროზა.* წ. I. თბ., 1982, 229, 234-235, 238-239, 304.

[2] **თ. ლომოური.** სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები IX-X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. – *არილი.* ტფ., 1925, გვ. 48-49; **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე – მწერალი X საუკუნისა. თბ., 1954, გვ. 43-45; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973, გვ. 446-452, 456-458, 460, 462-463, 467, 469-471 და სხვ.

[3] **С. Н. Джанашия.** О времени и условиях возникновения Абхазского царства.– *შრომები,* ტ. II. თბ., 1952, გვ. 331-333.

[4] ამ ეპოქის ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ იხ. **Ф. И. Успенский**. История Византийской империи. VI-IX вв. Сост. ***Т. В. Мальчикова***. М., 1996 (http://www.sedmitza.ru/index.html?did=48982); **А. А. Васильев.** История византийской империи. Т. I. *Время до крестовых походов до 1081 г.* (http://www.krotov.info/libr_min/v/vasilyev/VAA151.htm#vaa151para02); **М. Я. Сюзюмов**. Второй период иконоборчества. – *История Византии.* т. 2. М., 1967, гз. 65-79 (http://historic.ru/books/item/f00/s00/z0000048/st007.shtml).

კებებს მაინც მნიშვნელოვანი ზიანი მოჰქონდა სახელმწიფოსათვის, რადგან ძირს უთხრიდა სასაზღვრო რაიონების კეთილდღეობას, რითაც ამცირებდა აღნიშნული რაიონების საგადასახადო შესაძლებლობებს, ნადგურდებოდა მოსახლეობა...[1] მიუხედავად ამისა, ბიზანტიის იმპერია, როგორც ჩანს, დროდადრო, მაინც იჩენდა სულ ცოტა დიპლომატიურ აქტიურობას საქართველო-კავკასიის მიმართულებით. ამის გამოხატულება უნდა იყოს თბილისის საამიროს არაბული ადმინისტრაციისაგან განდგომილი აშოტ ბაგრატიონის იმპერიის მფარველობაში აყვანა და მისთვის კურაპალატის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის მინიჭება.

წყაროებში არ მოგვეპოვება კონკრეტული ინფორმაცია თუ როდის მოხდა აშოტ ბაგრატიონის დაახლოება ბიზანტიის იმპერიასთან. *„მატიანე ქართლისაჲ“* ამასთან დაკავშირებით რამდენადმე დამაბნეველ ორიენტირებს იძლევა. ანონიმი მემატიანის მიხედვით *„შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა. რამეთუ* ***მათვე ჟამთა შესრულ იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძლურებული და განწბილებული. მაშინ ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტ, და განდიდნა აშოტ კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი თჳნიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლი მთავრობდა კახეთს“.***[2]

ე.ი. გამოდის, რომ ერთი მხრივ, აშოტ ბაგრატიონს ქართლის ერისმთავრის ტახტი დაუკავებია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც *„შესრულ* ***იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძლურებული და განწბილებული“,*** ანუ 717-718 წლების ახლო ხანებში.[3] ხოლო მეორე მხრივ, ის ყოფილა თანამედროვე გრიგოლ კახეთის ქორეპისკოპოსისა, რომლის მო-

---

[1] *...«Сравнительно редко в IX веке столкновения на восточной границе принимали вид настоящих походов вглубь страны. Во всяком случае, по мере постепенного политического упадка и ослабления халифата в IX веке, с его сильными внутренними смутами и с получением в нем преобладающего значения сначала персов, а позднее турок, постоянные нападения мусульман на Византию с востока уже не грозили, как в VII-VIII веках, самому существованию империи; но сосредоточиваясь, большей частью, в близких к границам областях, эти нападения продолжали наносить сильный вред государству, подрывая благосостояние пограничных провинций, уменьшая их податную силу, уничтожая население»*. იხ.: **А. А. Васильев.** История византийской империи. т. I...

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 252, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] იგულისხმება არაბთა დიდი ლაშქრობა იმპერიის წინააღმდეგ ცნობილი არაბი სამხედრო მოღვაწის, დიდი ხნის მანძილზე არმინია-აზერბაიჯანის ვალის მასლამა იბნ მუჰამმადის სარდლობით, რომელიც დაიწყო 717 წ. ზაფხულში და დასრულდა 718 წ. 15 აგვისტოს. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **Ф. И. Успенский**. История Византийской империи. VI-IX вв...

ღვაწეობა VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზეა სავარაუდო.[1] ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანადაა შენიშნული, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* ამ ფრაგმენტში ადგილი უნდა ჰქონდეს აშკარა ანაქრონიზმს ანუ VIII ს. დასაწყისის მოვლენა გადატანილი უნდა იყოს IX ს. დამდეგს.[2]

XI ს. მეორე მემატიანე – სუმბატ დავითის ძე თითქოს რამდენადმე აზუსტებს თუ რა ვითარებაში მიიღო აშოტ ბაგრატიონმა კურაპალატის ტიტული, თუმცა კონკრეტულ თარიღს არც ის უთითებს. მისი განმარტებით *„... აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა. და მაშინ გაძლიერდა ჴელმწიფება აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინა-აღდგომად მათდა აშოტ. და ივლტოდა მათგან.* ***და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად*** *და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩჳლნი, უხუცესი ადარნასე და შედეგი ბაგრატ“.*[3]

რასაკვირველია, ამგვარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის (სამწუხაროდ სხვა მასალა არ გაგვაჩნია) პირობებში აშოტ ბაგრატიონის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღების ზუსტი დროის განსაზღვრის არავითარი შანსი არ არსებობს, თუმცა საეჭვოა, რომ ეს თომა სლავის აჯანყებამდე (821-823 წწ.) მომხდარიყო. ამის თქმის საშუალებას ჩვენ გვაძლევს ის გარემოება, რომ ბიზანტიური წყაროების თანახმად მათ შორის ვინც აჯანყებულებს ეხმარებოდნენ ლაზები, აბაზგები და იბერებიც ყოფილან.[4] ჩვენ უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ აშოტ კურაპალატის ჩასვლა კონსტანტინოპოლში IX ს. 10-იან წლებში, სულაც იმპერატორ ლეონ V „სომეხის“ მმართველობის პერიოდში (813-820) მოხდებოდა.

ასეა თუ ისე, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ ვენდოთ ქართული წყაროების სრულიად კონკრეტულ ინფორმაციას და სავსებით დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ბიზანტიური კვალის არსებობა აშოტ ბაგრატიონის ფართო ანტიარაბული კამპანიის უკან. ბიზანტიის კეისართან ურთიერთობაში აშოტ ბაგრატიონი არ იყო თანასწორუფლებიანი მხარე, ოფიციალურად ის იმპერიის ვასალობას აღიარებდა. რის გამოხა-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 386.

[2] *Летопись Картли.* Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая***. Тб., 1982, გვ. 88 (http://www.pseudology.org/Georgia/LetopisKartli.pdf).

[3] **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა.., გვ. 377, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] **იოსებ გენესიოსი.** მეფობათა. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 305; **თეოფანეს გამგრძელებელი.** – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 326.

ტულებასაც საიმპერატორო კარის საკარისკაცო ტიტულის (კურაპალატის) მიღება წარმოადგენდა. ამიერიდან, ბიზანტიის იმპერიას იურიდიული საფუძველი ეძლეოდა, საჭიროების შემთხვევაში აქტიურად ამოდგომოდა მხარში თავის ვასალსა და მოკავშირეს. ამასთან აშოტ ბაგრატიონი აქტიურად ეძებდა მოკავშირეებს ქვეყნის შიგნითაც. მან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეკრა „აფხაზთა“ მეფესთან, რომელიც დინასტიური ქორწინებით განამტკიცა – „აფხაზთა“ მეფე დაქორწინდა აშოტ ბაგრატიონის ასულზე.[1]

ეს ტაო-კლარჯეთის მმართველის საშინაო დიპლომატიის დიდი წარმატება იყო. ამგვარი დიპლომატიური სამზადისის შემდეგ მან აქტიურად შეუტია თავის მოწინააღმდეგეებს: თბილისის ამირას, მის მოკავშირეს კახეთის ქორეპისკოპოს გრიგოლს და შიდა ქართლი დაიბრუნა. შიდა ქართლი არ იყო რიგითი პროვინცია. ის, როგორც ქართლის მეფეთა დომენი, ისტორიულად ქვეყნის ცენტრალურ ოლქს – მის პოლიტიკურ ცენტრს – წარმოადგენდა და ამდენად, ამ რეგიონის დაუფლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში ჰეგემონობის მოპოვებისათვის ბრძოლაში, რომელსაც ამ ეტაპზე ერთმანეთს აშოტ ბაგრატიონი და კახეთის ქორეპისკოპოსი გრიგოლი ეცილებოდნენ.

შიდა ქართლის დაკავების შემდეგ აშოტ კურაპალატმა არაბებს ფართო ფრონტით შეუტია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და თავისი გავლენა ბარდავამდე განავრცო,[2] რითაც სერიოზული პრეტენზია განაცხადა ამიერკავკასიის მასშტაბით ლიდერობაზე. ტაო-კლარჯეთის ლიდერის წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური აქციების უკან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლი უნდა მდგარიყო, რომლისთვისაც ამ პერიოდში სწორედ აშოტი იყო ყველაზე სანდო პარტნიორი და მთავარი დასაყრდენი ძალა ამიერკავკასიაში. IX ს. რომელიღაც მონაკვეთზე, როგორც ჩანს, დარეგულირდა ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასა და „აფხაზთა“ სამეფოს შორისაც. ამით აიხსნება ქუთაისის ტახტის აქტიური მონაწილეობა აშოტ ბაგრატიონის იმ აქციებში, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ბიზანტიის გავლენის სფეროების შემდგომ გაფართოებას ემსახურებოდა. ბიზანტია-„აფხაზთა“ სამეფოს შერიგება, რომელშიც არაა გამორიცხული გარკვეული როლი აშოტ ბაგრატიონის დიპლომატიურმა ჩარევამ შეასრულა, სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობაში გადაიზარდა.

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 252; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. VI-XVIIвв. Сухуми, 1959, გვ. 122.

[2] **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა.., გვ. 377; **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე.., გვ. 50-52; **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 140.

ქართული პოლიტიკური სამყარო *„ბიზანტიურ თანამეგობრობაში“*. X ს. I ნახევარი*

ბიზანტიის იმპერია, როგორც ცნობილია, თითქმის ათასი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ზესახელმწიფოს, რომელიც ქმნიდა კლიმატს წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ჯერ სასანიდურ ირანთან, ხოლო შემდგომ არაბთა სახალიფოსთან პერმანენტული დაპირისპირების პროცესში ბიზანტია ყოველნაირად ცდილობდა და ცალკეულ შემთხვევებში წარმატებითაც ახერხებდა მეზობელი ქრისტიანი ხალხებისა და ქვეყნების მომხრობას და საერთოქრისტიანული სამყაროს ჰეგემონის როლში გამოსვლას. თანდათანობით, იმპერიის ირგვლივ იკვრებოდა ვასალურ და ბიზანტიაზე ორიენტირებულ სახელმწიფოთა წრე, რომლებიც ქმნიდნენ ერთგვარ კულტურულ-პოლიტიკურ ერთობას, რომელიც ცნობილი რუსი ბიზანტოლოგის დ. ობოლენსკის მართებული განსაზღვრებით „ბიზანტიურ თანამეგობრობად“[1] შეიძლება აღქმულ იქნეს. მეცნიერის აზრით, ეს ერთობა შორს იყო როგორც შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ვასალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პრინციპებისა, ისე სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და ეკო-

---

* პირველად დაიბეჭდა: *ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ***როინ მეტრეველის*** დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 158-180. გამოქვეყნებულია აგრეთვე ნაშრომის ინგლისური და რუსული ვერსიები. იხ.: **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden, 2011. Vol. 5, Issue 3-4, გვ. 126-144 (http://cyberleninka.ru/article/n/the-byzantine-commonwealth-and-the-international-status-of-the-georgian-political-units-in-the-first-half-of-the-10th-century); **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция, 2011. Т. 5, вып. 3-4, გვ. 147-168 (http://cyberleninka.ru/article/n/vizantiyskoe-sodruzhestvo-natsiy-i-mezhdunarodnoe-polozhenie-gruzinskih-politicheskih-obrazovaniy-v-pervoy-polovine-x-stoletiya). იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებებით.

[1] ეს ცნება მეცნიერებაში შემოვიდა მას შემდეგ, რაც 1971 წელს დ. ობოლენსკიმ გამოსცა უაღრესად საინტერესო წიგნი: *“The Byzantine Commonwealth. Eastern Europe 500-1453”* (London, 1971). 1998 წელს გამოვიდა ამ ნაშრომის რუსული თარგმანი. იხ.: **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов. Москва, 1998.

ნომიკური დამოკიდებულების თანამედროვე წარმოდგენებისაგან. დ. ობოლენსკის განმარტებით "commonwealth" („თანამეგობრობა"-«Содружество») წარმოადგენდა ზეეროვნულ ერთობას («наднациональная общность»), რომელიც ეფუძნება იმპერატორის უზენაესი ხელისუფლების აღიარებას მთელი ქრისტიანული სამყაროს მიერ, ბიზანტიური კულტურისა და სამართლებრივი სისტემის არეალში ყოფნას.[1]

აღსანიშნავია, რომ ბიზანტოლოგთა ერთი ნაწილი იმთავითვე გამოვიდა ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობის" დ. ობოლენსკისეულ გაგებაში გარკვეული კორექტივების შეტანის ინიციატივით. მაგალითად, ა. კაჟდანი არ დააკმაყოფილა „ბიზანტიური თანამეგობრობის" მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპით შემოფარგვლამ და მოითხოვა მასში იტალიის, კავკასიის და თვით ევფრატისპირეთის ჩართვა.[2] ამასთან, მეცნიერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ *„შუა საუკუნეების იდეურ-პოლიტიკურ ვითარებას* (იმპერიისადმი) *დამოკიდებულების შესახებ ტერმინებით გამოხატულსაც კი, არაფერი ჰქონდა საერთო რეალურ დამოკიდებულებასთან"*, და რომ *„ბიზანტიური თანამეგობრობის" იერარქია უფრო თვითშეგნების ფაქტორს წარმოდგენდა, ვიდრე პოლიტიკური დაქვემდებარებისა"*.[3]

აკად. გ. ლიტავრინის აზრით „თანამეგობრობის" წევრი ქვეყნების რეალური ინტერესები ძალზე დაშორებული იყო ერთმანეთისაგან. ამ ქვეყნების მიერ ეს ერთობა განიხილებოდა როგორც კულტურულ-კონფესიური ერთობა, ხოლო პოლიტიკურ მხარეზე ყურადღებას მხოლოდ ბიზანტია ამახვილებდა.[4] არის მოსაზრება, რომ ე.წ. „ბიზანტიური თა-

---

[1] **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций. Шесть..., გვ. 11,13.

[2] **А. П. Каждан.** D. Obolensky. The Byzantine Commonwealth. Eastern Europe 500-1453. London, Weidenfeld and Nicolson, 1971. Аннотация/отзыв. – *Византийский временник*, т. 35. Москва, 1973, გვ. 262.

[3] *«Идейно-политическая действительность средневековья, даже оформляемая в терминах зависимости, не имела ничего общего с реальной зависимостью... Иерархия «Византийского содружества» была скорее фактором самосознания, нежели политического подчинения...»*. **А. П. Каждан.** D. Obolensky. The Byzantine Commonwealth. Eastern Europe 500-1453. London, Weidenfeld and Nicolson, 1971. Аннотация/отзыв. – *Византийский временник*, т. 35. Москва, 1973, გვ. 262.

[4] **Г. Г. Литаврин.** Византия, Болгария, Древняя Русь (IX – начало XII вв.). СПб., 2000, გვ. 355. გ. ლიტავრინი იყო პირველი მეცნიერი, რომელიც გამოეხმაურა „ბიზანტიური თანამეგობრობის" დ. ობოლენსკისეულ ფორმულას (იხ.: **Г. Г. Литаврин.** Д. Оболенский. Византийское сообщество государств. Восточная Европа. 500-1453. – *Вопросы истории*, № 2, 1972, გვ. 180-185 /რეცენზია/). მისი დასკვნით, „ბიზანტიური თანამეგობრობის" არსებობა *„პირველ რიგში გამოიხატებოდა ბიზანტიასა და თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებსა და თვით ამ ქვეყნებს შორის კულტურული კავშირების განმტკიცებაში. რელიგიურ-ეკლესიური ერთობა*

ნამეგობრობა“ სულაც არ წარმოადგენდა „რეალურ კონსტრუქციას“ და ის მხოლოდ თავისმოტყუება (იმპერიის მხრიდან) იყო.[1]

ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს პრეტენზია აქტიურად ჩავერთოთ მეცნიერული ბიზანტინისტიკისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული პრობლემის ირგვლივ მიმდინარე დებატებში,[2] თუმცა ზოგადად ვიზიარებთ დ. ობოლენსკის კონცეპტუალურ მიდგომას და მიგ-

---

ზოგჯერ ახდენდა შესამჩნევ გავლენას თანამეგობრობის სახელმწიფოების პოლიტიკურ ურთიერთობებზეც“ («выразилось прежде всего в упрочении именно культурных связей между Византией и входящими в сообщество странами, как и между самими этими странами. Церковно-религиозное единство оказывало иногда заметное влияние и на политические отношения между государствами сообщества»). **Г. Г. Литаврин.** Введение. – *Культура Византии.* Второя половина VII-XII вв. Москва, 1989, გვ. 8-9 (http://ir.nmu.org.ua/bitstream/handle/123456789/72898/c5090fa2d27459313cd8dbc04d1b31ee.pdf?sequence=1&isAllowed=y).

[1] **С. А. Иванов.** Византийское миссионерство: можно ли сделать из «варвара» христианина? Москва, 2003, გვ. 343.

[2] ამ ბოლო დროს კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი „ბიზანტიური თანამეგობრობის“ კონცეფციის ახლებური გააზრების აუცილებლობას. კერძოდ, აკად. გ. ლიტავრინის აზრით საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვებს: *„გააჩნდა თუ არა სინამდვილეში ფართო აღმოსავლურ-ქრისტიანულ არეალს, გადაჭიმულს წმინდა მიწიდან ბალტიისპირეთამდე რაიმე პოლიტიკური და იურიდიული სტრუქტურა? თუ არსებობდა რაიმე კონკრეტული ხელშეკრულებითი, გარდა საეკლესიოსი, ურთიერთობები ამ ქვეყნებისა არეალის ცენტრთან (ბიზანტიასთან) და თვით ამ ქვეყნებს შორის? და ბოლოს, რამდენად ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა საიმპერატორო კარის მიერ კულტივირებულ ფიქტიურ-ოჯახურ-ნათესაური კავშირების სისტემას ბასილევსებსა და იმ აღმოსავლურ-ქრისტიანული ქვეყნების მმართველებს შორის (ახლობლობის სხვადასხვა ხარისხით), რომლებიც გარს ერტყა იმპერიას? ხომ არ იყო ეს სისტემა ერთ-ერთი ცერემონიალურ-დიპლომატიური მეთოდი, არეალში იმპერიის გავლენის შემდგომი გაზრდისკენ გამიზნული?“ («Имел ли в действительности обширный восточнохристианский ареал, простиравшийся от Святой Земли до Балтики, какую-либо политическую и юридическую структуру? Существовали ли какие-нибудь определённые договорные, помимо церковных, связи этих стран с центром ареала (Византией) и между собой? Имела ли, наконец, какое-либо практическое значение культивируемая императорским двором система фиктивных псевдо-родственных семейных связей василевса (с разной степенью близости к нему) с правителями окружающих империю восточнохристианских стран? Не была ли эта система не более чем одним из церемониально-дипломатических приёмов с целью ещё более упрочить в ареале влияния империи?»*. იხ.: **Г. Г. Литаврин.** Предисловие. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 4.

ვაჩნია, რომ მთლიანობაში, ის ასახავს ისტორიულ რეალობას. ანუ ბიზანტიის იმპერია მისი არსებობის მთელ მანძილზე[1] ნამდვილად მოიაზრებოდა (და არა მხოლოდ იმპერიის მესვეურთა,[2] არამედ მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების მხრიდანაც), ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრად, ლიდერად.[3] უფრო მეტიც, არათუ მართლმადიდებლური ქვეყნები, არამედ გრიგორიანული სომხეთიც განიხილებოდა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ წევრად.[4] წარმოდგენილ სტატიაში, ჩვენ

---

[1] დ. ობოლენსკის აზრით, 1180-1240 წლების კრიზისის მიუხედავად „ბიზანტიური თანამეგობრობა“ არათუ შენარჩუნდა, როგორც «целостное общество», არამედ გვიან შუასაუკუნეებში ის კიდევ უფრო განმტკიცდა (**Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов, გვ. 218; **В. А. Золотовский.** Военные аспекты внешней политики Византии при первых Палеологах (К уяснению специфики «Византийского содружества наций»). – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 56.

[2] ამის შესახებ იხ.: **Ю. Г. Соколов.** К проблеме «Византийского содружества государств»: страны византийского круга глазами ромеев в первой половине XIII в. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 120-126.

[3] ამ თვალსაზრისით, უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ X ს. არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში „ბიზანტიური თანამეგობრობა“ განიხილებოდა, როგორც გეოპოლიტიკური რეალობა (იხ.: **И. Г. Коновалова.** Представление о Византийском содружестве государств в арабской географической литературе X в. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 76). კერძოდ, ალ-ისტახრი და იბნ ჰაუკალი გამოყოფდნენ 4 იმპერიას („მამლაქათ“-ს), რომლებიც, მათი აზრით, „წარმოადგენდნენ მსოფლიო წესრიგის ბურჯს“ *(«Ал-Истахри и Ибн Хаукал выделяют четыре империи (мамлакат), являющиеся, по их мнению, столпами миропорядка»)*. ესენია: *„სახალიფო“, რომელსაც ბაღდადიდან განაგებს „მართლმორწმუნეთა უფალი“; ბიზანტია, მის სათავეში დგას მეფე, რომელიც ცხოვრობს კონსტანტინოპოლში“*, აგრეთვე ჩინეთი და ინდოეთი *(«Халифат /мамлакат ал-ислам/, которым управляет из Багдада повелитель правоверных /амир ал-муминин/;* ***Византия /мамлакат ар-Рум/, во главе которой стоит царь (малик), живущий в Константинополе;*** *Китай (мамлакат ас-Син), правитель (сахиб) которого проживает в городе Кайфэн; Индия (мамлакат ал-Хинд) во главе с царем (малик), живущим в городе Канаудж»* (**И. Г. Коновалова.** Представление о Византийском содружестве.., გვ. 77, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[4] ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს ცნობილი სომეხი მკვლევრის

შევეცადეთ თვალი გაგვედევნებინა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკისათვის ქართული (ნაწილობრივ სომხური) სახელმწიფოებრივი გაერთიანებების მიმართ X ს. I ნახევარში და იმის დადგენას, თუ რამდენად შეიძლება მოვიაზროთ ქართული პოლიტიკური სამყარო ე.წ. „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ განსახილველ პერიოდში.

IX-X სს. მიჯნაზე, ბიზანტიის იმპერია, როგორც ირკვევა, ერთგვარ სიფრთხილეს იჩენდა სომხური და ქართული გაერთიანებების მიმართ და მაქსიმალურად ცდილობდა მათ გადმობირებას. ეს გამოწვეული იყო ბიზანტიის იმპერიის საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალის შესუსტებით ლეონ VI ბრძენის იმპერატორობის (886-912 წწ.) პერიოდში, როდესაც იმპერიას საერთაშორისო არენაზე ნაკლებად ჰქონდა წარმატებები და უფრო პოზიციების შენარჩუნებაზე ზრუნვა უხდებოდა.[1] პირველად ეს მკაფიოდ გამოვლინდა ჯერ კიდევ ბასილი I-ის მმართველობის (866-886 წწ.) მიწურულს, არაბთა სახალიფოს მიერ აშოტ ბაგრატუნის სომეხთა მეფედ დადგინების დროს (885 წ.). იმპერი-

---

ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის შენიშვნა იმის შესახებ, რომ *„ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნებთან იმპერიის ურთიერთოებების იდეოლოგიური და დიპლომატიური ასპექტები ქმედით გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებზე ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ადგილი ჰქონდა შემხვედრ გავლენას მეზობელი ქვეყნებისა საკუთრივ ბიზანტიაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია სომხეთისა და ბიზანტიის ისტორიული პოზიციები“ («идеологический и дипломатический аспекты взаимоотношений империи со странами византийского культурного круга действенно влияли на политические, административные и экономические реалии в отношениях контрагентов, в особенности там и тогда, где и когда активно проявлялось встречное влияние соседних стран на империю. Особенно наглядны в этом отношении исторические позиции Армении и Византии»* (**В. А. Арутюнова-Фиданян.** Контактные зоны в системе «Византийского содружества государств». – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. Москва, 2008, გვ. 16.

[1] მიუხედავად იმისა, რომ IXს. II ნახევარი და Xს. I ნახევარი ზოგადად მიჩნეულია ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის წარმატებების პერიოდად (**А. П. Каждан.** Внешнеполитическое положение империи в середине IX – середине X в. – *История Византии*, т. 2. Москва, 1967, გვ. 188), ამ ქრონოლოგიური ჩარჩოს შიგნით ცალკეულ მონაკვეთებში, იმპერიას სერიოზული საგარეო-პოლიტიკური ჩავრდნებიც ჰქონდა. პირველ რიგში, ეს ეხება სწორედ ლეონ VI-ის მმართველობის პერიოდს. იხ. **А. А. Васильев.** История византийской империи. т. I. *Время до крестовых походов до 1081 г.* (http://www.krotov.info/libr_min/v/vasilyev/VAA151.htm#vaa151para02); **А. П. Каждан.** Внешнеполитическое положение империи в середине IX.., გვ. 190.

ის ხელისუფლება, როგორც ჩანს, დააფრთხო ამ ფაქტმა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში იმპერატორი ბასილი I არა თუ წინ არ აღუდგა აშოტის მიერ მეფის ტიტულის მიღებას, არამედ ერთგვარად მიესალმა კიდეც. იოვანე დრასხანაკერტცის ცნობით *„ბერძენთა დიდ იმპერატორს“* სომეხთა მეფე აშოტთან დაუდვია *„არც თუ უმნიშვნელო ხელშეკრულება, ზავზე, მორჩილებასა და მეგობრობაზე“*, უწოდებია მისთვის *„საყვარელი შვილი“*[1] და უქცევია ის *„თანამონაწილედ თავისი სახელმწიფოს სამეფო საქმიანობაში“ («Великий император греческий Василий ... заключил с нашим царем Ашотом немалозначащий договор о мире, покорности и дружбе, называя его любимым сыном и поставив соучастником во всех царских [делах] государства своего»).*[2] სავსებით სწორადაა შენიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ ბიზანტიის იმპერატორი ამ გზით ცდილობდა სომხეთზე თავისი უფლებების დემონსტრირებას და აშოტზე კონსტანტინოპოლის სიუზერენიტეტის დაფიქსირებას.[3]

ანალოგიურად მოექცა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება აშოტ I-ის მემკვიდრეს – სმბატ ბაგრატუნს (890-914 წწ.), როდესაც ამ უკანასკნელმა მეგობრული წერილი გაუგზავნა იმპერატორ ლეონ VI ბრძენს (886-912 წწ.). იოანე დრასხანაკერტცის ცნობით, *„სუმბატ [მეფემ] განამტკიცა თავისი სამეფო და შეეცადა პავლეს მსგავსად ყველასთან*

---

[1] მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს იოვანე დრასხანაკერტცის მიერ დაფიქსირებულ „საყვარელ შვილს“. მათი დაკვირვებით, ფორმულა „საყვარელი შვილი“ აქტიურად გამოიყენებოდა ბიზანტიის საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში. „სულიერი შვილის“ ტიტულს სომეხ ბაგრატუნთა შტო ინარჩუნებდა აშოტ III-მდე (953-977). იხ.: **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод с древнеармянского, вступительная статья и комментарии ***М. О. Дарбинян-Меликяна.*** Ереван, 1986, XXVI თავის 140-ე კომენტარი (ინტერნეტ-ვერსია: http://www.vostlit.info/Texts/rus/Drash/primtext3.phtml). ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **К. Н. Юзбашян.** Рецензия на кн.: Константин Порфирородный. Об управлении империей. Пер., предисл. и примеч. ***Р.М. Бартикяна.*** Ереван, 1970 (на арм. яз.). – *Византийский временник.* Т. 37. 1976, გვ. 266; **К. Н. Юзбашян.** Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. Москва, 1988, გვ. 81-82.

[2] **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод с древнеармянского.., გვ. 119. ამ მოვლენის შესახებ უფრო გავრცობილი ინფორმაცია აქვს XIII ს. სომეხ ისტორიკოსს ვარდან არეველეცს: *„იმავე კეისარ ბასილისგან... მოვიდა ერთი საჭურისი სახელად ნიკიტა დიდი საჩუქრებით და სთხოვა აშოტს გვირგვინი, იმის გამო, რომ ის არშაკუნიანია, რადგან დედამისი სომეხი იყო... ბასილს სურდა, რომ მისთვის გვირგვინი ეკურთხათ ბაგრატუნებს, რაც შეასრულა აშოტმა“*. **ვარდან არეველეცი.** მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ***ნ. შოშიაშვილმა*** და ***ე. კვაჭანტირაძემ.*** შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ***ე. კვაჭანტირაძემ.*** თბ., 2002, გვ. 110.

[3] **А. Н. Тер-Гевондян**. Армения и Арабский халифат. Ереван, 1977, გვ. 237-238.

მშვიდობა დაემყარებინა. [სუმბატმა დაიცვა რა] მამისეული წესი და აღ-თქმა, არ განუდგა ბერძენთა კეისრის ლეონის სიყვარულსა და ერთგუ-ლებას, [არამედ] დიდძალი ძღვნითა და მოსაკითხ-მისართმევით პატივი სცა მას თავისი სიმშვიდითა და სათნოებით, რისთვისაც კეისარმაც არა მცირედი პატივი და ძვირფასი საჩუქარი მიაგო ***ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ კეისარი სუმბატს თავის საყვარელ შვილს უწოდებდა*** *სიყვა-რულით აღსავსე პირობის დადებით".*[1]

მიუხედავად ასეთი დაფასებისა, იმპერია მაინც ჯიუტად არ ცნობდა აშოტ და სმბატ ბაგრატუნების ბასილევსობას (მეფურ სტატუსს)[2] და მათ მხოლოდ „არქონტ ტონ არქონტონ"-ად („არქონტთა არქონტი" იმ-ჟამინდელი ქართული „ერისთავთ-ერისთავის" /უფრო „მთავართა მთავ-რის"/, სომხური „იშხანაც იშხან"-ის შესატყვისი) მოიხსენიებდა. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მეფობის პატივი მხოლოდ იმპერატორს უნდა ჰქონოდა, რადგან ხელისუფლების შესახებ ბიზანტიაში შემუშავე-ბული კონცეფციის თანახმად სწორედ იმპერატორი იყო ღმერთის მო-ადგილე დედამიწაზე და არც ერთი სხვა ქვეყნის ლიდერს არ შეეძლო

---

[1] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა***. თბ., 1965, გვ. 60-61. შდრ. *«Меж тем Смбат, окончательно утвердив [свое] царст-вование, стремился, согласно Павлу, со всеми установить мирные дружеские отношения. И прежде всего, согласно установленному [его] отцом союзу, он по кроткой скромности своей не отгородился от искренней дружбы императора ромейского Льва, почтив его множеством подношений и подобающих даров. Посему и император пожаловал ему не ничтожные, но щедрые дары и почести … Но* ***самым важным было то, что император,*** *через полюбовный союз,* ***назвал Смбата своим любимым сыном****»*. იხ.: **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод с древнеармянского.., გვ. 129. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] ეს მაშინ, როდესაც იმპერატორმა ბასილი I-მა თითქოს სამეფო გვირგვინიც კი გაუგზავნა აშოტ I ბაგრატუნის (იხ.: **А. А. Васильев.** История византийской империи. т. I..; **А. П. Каждан.** Внешнеполитическое положение империи в сере-дине IX .., გვ. 191). სხვა ქვეყნების ლიდერებისათვის სამეფო გვირგვინის გაგ-ზავნის ფაქტი დაფიქსირებულია ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაში. მხედ-ველობაში გვაქვს სამეფო გვირგვინების გამოგზავნა მურვან-ყრუს ლაშქარზე გამარჯვებული ქართლის ერისმთავრების – მირისთვის და არჩილისთვის. იხ. **ჯუანშერ ჯუანშერიანი**. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – *ქართლის ცხოვრე-ბა*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვი-ლის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 242-243; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში, – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 4. თბ., 1997, გვ. 307; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე VIII ს-ში. – *ქართუ-ლი დიპლომატიის ისტორია*. თბ., 2003, გვ. 105.

მისი თანასწორი ყოფილიყო.[1] ეს იყო ერთგვარი გამოხატულება ბიზანტიური პოლიტიკური კონცეფციისა იმპერიის სახელმწიფოებრივი უნიკალურობის შესახებ, რომელიც მან მემკვიდრეობით რომის იმპერიიდან მიიღო[2] და რომელსაც ცნობილმა ბიზანტოლოგმა გ. ოსტროგორსკიმ მოსწრებულად „თავისებური ბიზანტიური პოლიტიკური რელიგია“ უწოდა.[3]

უნდა ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება გარეგნულად ასევე მშვიდად შეხვდებოდა ადარნასე II-ის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებას. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული იქნებოდა საკმაოდ მძიმე საგარეოპოლიტიკური ფონი. თუმცა აშკარაა, რომ კონსტანტინოპოლს ნამდვილად არ მოეწონებოდა ადარნასე ბაგრატიონის ზომაზე მეტი აქტიურობა და განსაკუთრებით მის მიერ X ს. დამდეგს სმბატ ბაგრატუნის წინააღმდეგ განხორციელებული აქციები, რომელთაც თუ განვიხილავთ ბიზანტია-არაბთა სახალიფოს დაპირისპირების ფართო ასპექტში, ზოგადად უთუოდ შეჰქონდა გარკვეული დისონანსი იმპერიის შორსმიმავალ მიზნებში მოცემული მიმართულებით. შევეხოთ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით.

„ქართუელთა“ მეფე ადარნასე II უდავოდ ფართო გაქანების ძლიერი პოლიტიკური ლიდერი ჩანს, რომლის სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობის მასშტაბები გასცდა საკუთრივ ქართულ პოლიტიკურ სამყაროს და მეზობელი სომხეთიც მოიცვა. 890 წელს გარდაიცვალა სომხეთის მეფე აშოტ ბაგრატუნი, რომელსაც მოჰყვა პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა ქვეყანაში. ტახტისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ აშოტის ძმა აბასი და ვაჟი სმბატი. ამ კონფლიქტში აქტიურად ჩაერია ადარნასე II, რომელიც დაუყოვნებლივ გაემართა სომხეთს და სამეფო ტახტზე სმბატ ბაგრატუნი დასვა. ქართველი ლიდერის ეს ქმედება აშკარად აღემატებოდა ჩვეულებრივი დიპ-

---

[1] პირველი ლიდერი, რომლის საიმპერატორო უფლებამოსილების აღიარება ოფიციალურად მოუხდა (812 წ.) კონსტანტინოპოლს, იყო ფრანკთა მეფე კარლოს დიდი – *„კარლოს ავგუსტუსი, ღვთივკურთხეული დიდი და მშვიდობისმყოფელი რომის იმპერატორი“ («Карл Август, Богом венчанный великий и миротворящий римский император»)*. თუმცა ბიზანტიის იმპერატორმა ის მაინც არ ცნო თავის თანასწორად და მხოლოდ ფრანკების „ბასილევსად“ აღიარა. მოგვიანებით, 927 წელს ბიზანტიის ხელისუფლებამ ცნო ბულგარეთის მეფის „ბასილევსობა“ (**Г. Г. Литаврин.** Политическая теория в Византии с середины VII до начала XIII в. – *Культура Византии.*Вторая половина VII-XII в. Москва, 1989, გვ. 69-70; **З. В. Удальцова.** Дипломатия. – *Культура Византии.* Вторая половина VII-XII в. Москва, 1989, გვ. 250).

[2] **З. В. Удальцова.** Дипломатия.., გვ. 241.

[3] **G.Ostrogorsky.** Die byzantinische Staatenhierarchie. – *Seminarium Kondakovianum.* T. 8, 1936, გვ. 43-44; **З. В. Удальцова.** Дипломатия.., გვ. 246.

ლომატიური ეტიკეტის ფარგლებს. ამ შემთხვევაში, ადარნასე II უბრალოდ კი არ მონაწილეობდა მეზობელი სახელმწიფოს მეთაურის კორონაციაში, არამედ ის უშუალოდ ჩაერია უცხო სახელმწიფოს საშინაო საქმეებში და იქ მისთვის სასურველი რეჟიმი დაამყარა. კერძოდ, მან ერთგვარი შოკიდან გამოიყვანა რატომღაც დაბნეული უფლისწული სმბატი, შემოსა ის სამეფო ტანსაცმლით და ტახტზე აიყვანა.[1] ტაოკლარჯეთის ლიდერის ამგვარი აქტიურობა ნამდვილად არ ყოფილა ჩვეულებრივი რიტუალი და ის ადარნასე ბაგრატიონის კონკრეტული პოლიტიკური ინტერესით იყო ნაკარნახევი. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მისმა ამ ნაბიჯმა სომხური პოლიტიკური წრეების ერთი ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია. უკან გამობრუნებისას ის შეიპყრო გარდაცვლილი აშოტ ბაგრატუნის ძმამ – აბასმა და კარის ციხეში დაამწყვდია. სმბატ ბაგრატუნს დიდი ძალისხმევა დასჭირდა თავისი მფარველი ქართველი ლიდერის დასახსნელად.[2]

ამ ფაქტმა და IX ს. მიწურულის სხვა საგარეო თუ საშინაო-პოლიტიკურ მოვლენებში გამოჩენილმა აქტიურობამ ადარნასე ბაგრატიონს გარკვეული ავტორიტეტი მოუპოვა საერთაშორისო არენაზე და ის წამყვან პოლიტიკურ ფიგურად აქცია. ცალკეულ პერიოდებში ის აშკარად ამჟღავნებდა პრეტენზიას ლიდერობაზე მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. პირველად ეს ნაწილობრივ გამოვლინდა 904 წლის კრიზისის დროს, როდესაც შეეცადა, მისთვის სასურველი მიმართულებით წარემართა დასავლურქართული სამეფოსა და სომეხთა მეფე სმბატს შორის არსებული წინააღმდეგობები.

კრიზისი გამოიწვია სომეხ-„აფხაზთა“ კონფრონტაციის ახალმა ესკალაციამ. სომეხთა მეფემ სმბატ ბაგრატუნმა ვერ მოითმინა „აფხაზ-

---

[1] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა***. თბ., 1965, გვ. 43-44.

[2] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 44-47. როგორც ვხედავთ, იოანე დრასხანაკერტცის ამ ცნობაში, მკაფიოდაა დადასტურებული ადარნასე ბაგრატიონის განსაკუთრებული როლი მეზობელ სომხეთში ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარების საქმეში. სამწუხაროდ, ცალკეული სომეხი და რუსი მკვლევრები, ერთგვარად აბუქებენ რა იოანე დრასხანაკერტცის თხზულების სხვა ადგილას დაფიქსირებულ ცნობას სმბატ ბაგრატუნის მონაწილეობაზე ადარნასე II-ის „ქართველთა“ მეფედ გამოცხადებაში (**იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 89-90), რატომღაც „ვერ ამჩნევენ“ ადარნასე II-ის ღვაწლს თვით სმბატის გამეფებაში. ამ მხრივ დამახასიათებელია რუსეთში მოღვაწე ცნობილი სომეხი ბიზანტოლოგის ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის პოზიცია (იხ.: **Константин Багрянородный.** Об управлении империей. Текст, перевод, комментарии. Под. ред. ***Г. Г. Литаврина, А. П. Новосельцева***. Москва, 1989, გვ. 408, 43-ე თავის მე-15 კომენტარი.

თა“ მეფე კონსტანტინე III-ის (893-922 წწ.) მიერ შიდა ქართლის დაკავება და ალყა შემოარტყა უფლისციხეს.[1] ამ კონფლიქტში ადარნასე II, თავდაპირველად მხარს სომხებს უჭერდა.[2] კრიტიკულ სიტუაციაში მეომარი მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წავიდნენ, რომელსაც „აფხაზთა“ მხრიდან უშუალოდ კონსტანტინე III წარმართავდა. მაგრამ ადარნასე II-მ, რომელსაც არანაკლებ აფრთხობდა „აფხაზების“ გაბატონება ქართლში, ჩაშალა დაწყებული მოლაპარაკება, შეიპყრო კონსტანტინე III და სმბატ ბაგრატუნთან გაგზავნა. სომეხთა მეფემ ერთი პერიოდი თავისთან დაიტოვა კონსტანტინე, მაგრამ შემდეგ მისი გაშვება არჩია.[3] ანისსა და ქუთაისს შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სმბატმა დაუბრუნა კონსტანტინე III-ს უფლისციხე და ქართლი. სომეხ-„აფხაზთა“ ეს ალიანსი დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა.[4]

იოვანე დრასხანაკერტცი სომეხთა მეფის ამ ნაბიჯს ხსნის ვითარების შეცვლით დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმით, რომ „ეგრისელები“ ქუთაისის ტახტზე სხვა, კონსტანტინეზე ძლიერი პრეტენდენტის გამეფებას შეეცადნენ.[5] სულაც არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთ საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლას მხარს უჭერდა ადარნასე ბაგრატიონი, რომლის ინტერესებში არ შედიოდა „აფხაზთა“ სამეფოსა და სომხეთის ურთიერთობების დარეგულირება და ამდენად, მიუღებელი იყო კონსტანტინე III-ის დაბრუნება ქუთაისის ტახტზე. თავის მხრივ, შეიძლება სმბატ ბაგრატუნისთვის ცნობილი გახდა ადარნასეს საეჭვო აქტიურობა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებში და „აფხაზ“-„ქართუელთა“ კონსოლიდაციის თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ გამოუშვა საქართველოში კონსტანტინე, რითაც

---

[1] *მატიანე ქართლისა – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 262.

[2] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 109.

[3] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 109-111. ამასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ არის დამაჯერებელი იოანე დრასხანაკერტცის კომენტარი იმის თაობაზე, თითქოს სმბატ ბაგრატუნიმ კონსტანტინე ადარნასეს თხოვნით გაუშვა. ჯერ ერთი, თუ „ქართველთა“ მეფეს კონსტანტინეს დახსნა სურდა, გაუგებარია, საერთოდ რატომ დაატყვევა ის და მეორეც, თუკი სმბატმა კონსტანტინეს განთავისუფლებით ადარნასეს თხოვნა შეასრულა, მაშინ რაღამ გაანაწყენა ეს უკანასკნელი და რატომ გადაემტერა ის სომეხთა მეფეს? მოვლენების შემდგომი განვითარება აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ კონსტანტინეს გაშვება ნამდვილად არ იყო შეთანხმებული ადარნასესთან და ის ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ამბიციური „ქართველთა“ მეფის ჰეგემონისტურ მისწრაფებებს.

[4] *მატიანე ქართლისა..*, გვ. 262; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. *VI-XVIIвв.* Сухуми, 1959, გვ. 121.

[5] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 111.

ჩაფუშა ადარნასეს გეგმები.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, შეიძლება იყო კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც გამოიწვია სმბატ ბაგრატუნისა და კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის შერიგება, ესაა ბიზანტიის ფაქტორი. როგორც უკვე აღინიშნა, IX ს. 80-90-იან წლებში ბიზანტიის ხელისუფლებამ მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა სომხეთის მეფეთა გადმოსაბირებლად, კერძოდ, იმპერატორმა ლეონ VI-მ ცნო სმბატი სომხეთის ლიდერად და „საყვარელ შვილად“, რითაც, ფაქტობრივად, მასზე იმპერიის უზენაესობა დააფიქსირა. ამან, ბუნებრივია, ხალიფას გაღიზიანება გამოიწვია და ამ უკანასკნელმა თავის მოხელეს – აზერბაიჯანის მმართველს მუჰამედ იბნ აბუ-საჯი აფშინს (889-901 წწ.), სწორედ იმ აფშინს, რომელმაც თავის დროზე (992 წ.)[1] არაბთა ხალიფას სახელით სმბატი სომხეთის მეფედ გამოაცხადა,[2] სომხეთიც ჩააბარა და იქ დამსჯელი ოპერაციების ჩატარება დაავალა.[3] მართალია, პირველ ეტაპზე სმბატ ბაგრატუნიმ მოქნილი დიპლომატიის წყალობით[4] შეძლო მრისხანე არაბი სარდლის დაშოშმინება, მაგრამ მოგვიანებით აფშინმა მაინც დააწიოკა სომხეთი.[5] მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, არაბთა სახალიფომ მაინც ვერ მოახერხა სმბატ ბაგრატუნის კონსტანტინოპოლისაგან ჩამოცილება და კვლავ შემოირიგა სომეხთა ურჩი მეფე,[6] რომლის გავლენა სომხურ პოლიტიკურ სამყაროში ამ დროისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა.[7] ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ბიზან-

---

[1] **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат, გვ. 240.

[2] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 47.

[3] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 63-65.

[4] იოვანე დრასხანაკერტცის ცნობით სმბატმა წერილი გაუგზავნა აფშინს, რომელშიც ის დამამშვიდებელ კომენტარს იძლეოდა და უხსნიდა, რომ „იმპერატორთან მეგობრობა“ არაბებისთვისაც სასარგებლო იყო: *„რატომ მოემართები და მოდიხარ გაბოროტებული უმიზეზოდ.* ***თუ კი მე კეისარს სიყვარულით დავუკავშირდი,*** *ესეც თქვენი სარგებლობისათვის [გავაკეთე]“.* **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 62 (შდრ.: *«Почему без нужды обозлившись, идешь ты на нас? Если из-за того,* ***что я с императором установил дружбу****, то это и для вашей пользы...»* იხ.: **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод с древнеармянского.., გვ. 130), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[5] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 81-84.

[6] ხალიფა ალ-მუკტაფიმ (902-908 წწ.). შეუმცირა გადასახადი სმბატს აღიარა ის თავის ვასალად და ნიშნად მისი პატივისცემისა კვლავ გამოუგზავნა მას *„**სამეფო შესამოსელი** და **სამეფო გვირგვინი**“* (*«**царские одеяния, царскую корону...**».* (**Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., გვ. 149, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[7] ამის დამადასტურებლად მიიჩნევენ მის მიერ „ტიეზერაკალი“-ს *(„მსოფლიოს მბრძანებელი“)* ამბიციური ზედწოდების მიღებას. იხ. **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат, გვ. 241.

ტიის იმპერია 904 წლის ახლო ხანებისათვის, როდესაც გამწვავდა ურთიერთობა ადარნასე II-სა და სმბატ ბაგრატუნს შორის, ინარჩუნებდა გარკვეულ კონტროლს სომეხთა ლიდერზე.

ამ პერიოდში, ბიზანტიის იმპერია არანაკლებ თანამშრომლობდა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-სთან. როგორც ცნობილია, IX ს. 80-იან წლებში ბიზანტიის ხელისუფლების სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით დასავლეთ საქართველოში აღსდგა „ლეონიდების“ დინასტიის მმართველობა და ქუთაისის ტახტი იმპერიისათვის სრულიად მისაღებმა კონსტანტინოპოლში გახიზნულმა ბაგრატ უფლისწულმა დაიკავა.[1] ამ დროიდან ძირეულად შეიცვალა ბიზანტია – „აფხაზთა“ სამეფოს ურთიერთობები და ის ღია კონფრონტაციიდან (ალბათ პირველად ლეონ II-ის განდგომის შემდეგ), სულ ცოტა, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის რეჟიმში გადავიდა, რომელიც გაგრძელდა X ს. I ნახევარშიც. ეს დასტურდება როგორც ბიზანტიური,[2] ისე ქართული[3] წყაროების მონაცემებით. სწორედ ასეთ პოლიტიკურ ფონზე, სავსებით შესაძლებელია, ბიზანტიის საიმპერატორო კარი ჩარეულიყო ქართველ მეფეებსა და სმბატ ბაგრატუნს შორის ატეხილ კონფლიქტში და ამ უკანასკნელისაგან მოეთხოვა თავისი მოკავშირის კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის განთავისუფლება, რაც აღასრულა კიდეც სომეხთა მეფემ.

ადარნასე II-მ არ აპატია ამგვარი „ღალატი“ სმბატ სომეხთა მეფეს და ენერგიულად გაილაშქრა თავისი გუშინდელი პარტნიორისა და მოკავშირის წინააღმდეგ. ადარნასეს მიზანი სმბატის ტახტიდან ჩამოგდება და მოკვლა, საბოლოო ჯამში კი სომხეთის ხელში ჩაგდება იყო. ამ მიზნით მან მიიმხრო სმბატით უკმაყოფილო სომეხი დიდებულები, რომელთა მეთაურმა ჰასანმა „ქართუელთა“ მეფეს ანისის ციხეც კი ჩააბარა.

---

[1] ამის შესახებ დაწვრ. იხ. **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. VI. თბ., 1999, გვ. 332-333; **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის. – ***შოთა მესხია – 90.*** საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი. თბ., 2006, გვ. 209.

[2] ამის მაგალითია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები „აფხაზთა“ მეფეებისადმი, რომლებშიც აშკარად იგრძნობა სამოკავშირეო ურთიერთობები „აფხაზთა“ სამეფოსა და ბიზანტიას შორის IX ს. მიწურულსა და X ს. I მესამედში (იხ.: *გეორგიკა*. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განნმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** თბ., 1952, ტ. IV, ნაწ. II. გვ. 212-213).

[3] კონსტანტინოპოლისა და ქუთაისის თბილი ურთიერთობები ასახულია *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობაში გიორგი II „აფხაზთა“ მეფის მიერ თავისი ორი ვაჟის ბიზანტიაში გაგზავნის შესახებ. იხ. *მატიანე ქართლისა..,* გვ. 261; **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური.., გვ. 333.

სმბატმა შეძლო ხიფათის თავიდან აცილება. მან დაასწრო ამბოხებულ ნახარარებს და სასტიკად გაუსწორდა მათ. მაგრამ სომეხთა მეფემ ვერ გაბედა შურისძიება ადარნასეზე და იძულებული გახდა, მას დაზავებოდა.[1]

ამ მოვლენების აღწერისას მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სომეხი მემატიანე იოვანე დრასხანაკერტცი, რომელიც ჩვეულებისამებრ აზვიადებს რა სმბატ ბაგრატუნის ძლევამოსილებას და მისდამი ადარნასე ბაგრატიონის მორჩილებას, აღნიშნავს, რომ *„ადარნასემ აღიარა ცდუნება ბოროტ განმზრახველობისა და მეფეს პატიება სთხოვა. [სუმბატმა] მშვიდი და წყნარი გონებით შეიწყნარა [ადარნასე], შეურიგდა მას, მისი უფროსი ვაჟი კი მძევლად წაიყვანა. თავისი მოღალატე ნახარარები კი ზოგი მათგანი ბერძენთა მეფეს გაუგზავნა, ზოგი კი ეგრისის მეფეს“*.[2]

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, „ეგრისის“ მეფის მოხსენიება ბიზანტიის იმპერატორთან ტანდემში გარკვეული პოლიტიკური რეალიების ამსახველია და არა სმბატ ბაგრატუნისადმი „აფხაზთა“ მეფის ვასალური დამოკიდებულებისა, როგორც ამას მიიჩნევს იოვანე დრასხანაკერტცის მატიანის რუსული თარგმანის გამომცემელი მ. დარბინიანი-მელიქიანი.[3] აქ სრულ ულოგიკობასთან უნდა გვქონდეს საქმე. რაც არ უნდა დიდი იყოს სურვილი ჩვენი სომეხი კოლეგებისა, რომლებიც ბრმად ენდობიან იოვანე დრასხანაკერტცის ყველა გამონათქვამს სომეხ მეფეთა ყოვლისშემძლეობის შესახებ, „აფხაზთა“ მეფე არაფრით არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სმბატ სომეხთა მეფის ვასალად. უფრო მეტიც, იოვანე დრასხანაკერტცის მიერ „ეგერთა“ მეფის მოხსენიება ბიზანტიის იმპერატორის გვერდით სრულიად საპირისპიროზე – დასავლეთ საქართველოს ლიდერის ავტორიტეტის უპირობო აღიარებასა და მისდამი განსაკუთრებულ პატივისცემაზე – უნდა მიუთითებდეს. გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელია, ადარნასე II-ისა და სომეხ ნახარართა მიერ „კუთხეში მიმწყვდეულ“ სომეხთა მეფეს გამოექომაგა კიდეც მისი

---

[1] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 114-119.

[2] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის.., გვ. 118 (*«Атрнерсех сам покаялся в обольщении злым умыслом и попросил у царя прощение. И милосердный [царь] кроткой душой принял [его извинения] и даровал ему мир, уведя с собой как заложника старшего его сына»*. **Иованнес Драсханакертци.** История.., гв. 157).

[3] სომეხი მკვლევრის ვარაუდით, *„სმბატმა თვალდათხრილი ნახარარები ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა ნიშნად თავისი „შვილიერი“ სიყვარულისა „მშობელი მამისადმი“,* ***ხოლო აფხაზეთის მეფეს კი*** *– როგორც* ***თავის ერთგულ ვასალს“*** *(«Смбат послал своих ослеплённых нахараров к византийскому императору как знак своего «сыновнего» почтения к «отцу родному»,* ***а к царю абхазскому – как к верному вассалу»*** იხ.: (**Иованнес Драсханакертци.** История Армении, XLI თავის მე-19 კომენტარი. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

მოკავშირე კონსტანტინე III, რომელიც უდავოდ იქნებოდა დაინტერესებული ადარნასე ბაგრატიონის – ქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერობისათვის ბრძოლაში მისი მთავარი მეტოქის – დასუსტებით, სმბატმა კი თავისი მადლიერება „აფხაზთა“ მეფის მიმართ ამგვარი ფორმით (დასჯილ ნახარართა გაგზავნით) გამოხატა.

სმბატ ბაგრატუნთან შერიგება სრულებითაც არ ნიშნავდა სომეხ-„ქართუელთა“ დაპირისპირების აღმოფხვრას. მოგვიანებით (909-910 წწ.) ადარნასე II-მ კვლავ გადადგა „ანტისომხური“ ნაბიჯი და სმბატის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების ხელი გაუწოდა არმინია-აზერბაიჯანის მმართველს იუსუფ იბნ აბუ საჯს[1] ქართული წერილობითი ძეგლების აბულ-კასიმს.[2] მასთან ერთად არაბ ამირას მხარში ამოუდგნენ ვასპურაკანის მმართველი გაგიკ არწრუნი და შაპუჰ ბაგრატუნი. სმბატი დამარცხდა.[3] მალე სომეხთა მეფემ იუსუფთან დიპლომატიური ბრძოლაც წააგო. ბაღდადის ახალმა ხელისუფალმა გაწირა სმბატი და მისი ბედ-იღბალის გადაწყვეტა მარაღა-აზერბაიჯანის და არმინიის გამგებლად დაწინაურებულ იუსუფს მიანდო.[4] მართალია, თავიდან სომეხთა მეფემ თითქმის შეძლო საერთო ენის გამონახვა თავის ახალ პატრონთან, მორჩილება გამოუცხადა მას და ყოველწლიური ხარკის გადახდაც იკისრა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მრისხანე არაბი ამირას დასაშოშმინებლად. იუსუფი სომხეთში შეიჭრა, რომლის აოხრების შემდეგ საქართველოსაკენ გაემართა და მოარბია თბილისი, ქართლი, სამცხე და ჯავახეთი.

სრულიად ნათელია, რომ „ქართველთა“ მეფის ადარნასე II-ის მთელი ეს ბრძოლა სმბატ სომეხთა მეფის წინააღმდეგ, რომელიც არაბთა სახალიფოს გეგმების რეალიზაციას უწყობდა ხელს, აშკარად ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის იმპერიის ინტერესებს აღმოსავლეთში.

აბულ-კასიმის ლაშქრობამ მნიშვნელოვნად შეარყია სმბატ ბაგრატუნისა და ბიზანტიის იმპერიის მოკავშირე კონსტანტინე „აფხაზთა“ მეფის პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ საჯი ამირას ლაშქარი სამცხე-ჯავახეთსაც მისწვდა, ადარნასე „ქართუელთა“ მეფეს ამით რაიმე პოლიტიკური ზიანი არ მიყენებია. უფრო მეტიც, ამ მოვლენების შედეგად მისმა ავტორიტეტმა საქართვე-

---

[1] **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 48; **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა საქართველოში. *არაბული ცნობების მიხედვით.* თბ., 1991, გვ. 167.

[2] ამის შესახებ იხ.: *Матиане Картлиса*. Перевод, введение и примечания ***М. Д. Лордкипанидзе,*** Тб., 1976, გვ. 74, შენიშვნა 82; *Летопись Картли*. Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая.*** Тб., 1982, გვ. 51-52.

[3] **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა.., გვ. 166.

[4] **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა.., გვ. 166.

ლო-ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, კიდევ უფრო აიწია. პირველ რიგში ეს ქართლის დაუფლებაში გამოიხატა.[1]

ყველაზე მკვეთრად კი ადარნასე ბაგრატიონის ჰეგემონური როლი ამიერკავკასიაში გამოავლინა სმბატ ბაგრატუნის მოწამეობრივი სიკვდილის (914 წ.) შემდეგ სომხეთში დატრიალებულმა მოვლენებმა, როდესაც აშოტ სმბატის ძის („ერკათის") სამეფო ტახტზე აყვანა შესაძლებელი გახდა „ქართუელთა" მეფის უშუალო ჩარევის შედეგად. მართალია, იოვანე დრასხანაკერტცი ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს ტრადიციას და ყოველნაირად ცდილობს ქართველი ლიდერის აქტიური მონაწილეობა შიდა-სომხურ საქმეებში და მისი გადამწყვეტი როლი ახსნას ტაო-კლარჯეთის ხელმწიფის ვასალური დამოკიდებულებით სომეხთა სამეფო სახლისადმი,[2] მაგრამ სრულიად ცხადია, რომ ადარნასე II ამჯერადაც (ისევე როგორც, თავის დროზე აშოტის მამის სმბატ ბაგრატუნის გამეფებისას) მოქმედებდა საკუთარი ინიციატივით და ეს ადარნასე ბაგრატიონის ქართული და სომხური პოლიტიკური სამყაროს ლიდერობის შორსმიმავალი პოლიტიკური ამბიციების მორიგი დემონსტრირება იყო.

ნიშანდობლივია, რომ ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც ბიზანტიის იმპერიის საგარეო-პოლიტიკური გავლენა რეგიონზე მაქსიმალურად იყო შეზღუდული იყო.[3] როგორც იოვანე დრასხანაკერტცის ცნობიდან ირკვევა, ჯერ კიდევ ლეონ VI-ს ჰქონია განზრახვა, დახმარებოდა

---

[1] ამაზე ირიბად უნდა მიუთითებდეს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც გვაუწყებს „აფხაზთა" მეფე გიორგი II-ის მიერ ქართლის დაკავების შესახებ *„შემდგომად მეფის ადარნასე კუროპალატისა სიკვდილისა"*. იხ. **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 793.

[2] *„დაინახა რა რომ უფალი კეთილგანწყობილია აშოტის მიმართ... ვირკის მეფემ* (იგულისხმება „ქართველთა" მეფე ადარნასე II – **ზ.პ.**), *აშოტის ჯართან შეთანხმებით დაადგა მას თავზე გვირგვინი და დასვა მეფედ მამის ნაცვლად, რითაც აღიარა, რომ ის ღირსი იყო თვითმპყრობელობისა..."* (*«Видя, что Господь благоволит к Ашоту и вспомоществует, и сопутствует ему успех в благих деяниях, царь Вирка» придя в полное при том единодушие и согласие с пожеланиями войска его (Ашота), возложил на него корону и воцарил вместо отца его, признав его заслуживающим достоинства самодержца и предоставив будущее вседержителю богу».* იხ. **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., ..." გვ. 177. განსხვავებულად ესმის ეს პასაჟი ელ. ცაგარეიშვილს. ქართველი მეცნიერის წაკითხვით, **ადარნასე II-მ აშოტის ჯართან შეთანხებით** კი არ დაადგა ამ უკანასკნელს სამეფო გვირგვინი, არამედ **საკუთარ (ანუ ქართულ) ჯართან**: ***„ქართველთა მეფემ [და] მისმა ჯარმა,*** *დაინახეს რა...* ***დაადგეს აშოტს გვირგვინი და გაამეფეს იგი*** *მამამისის ნაცვლად..."* იხ.: **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 163, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] **А. П. Каждан.** Внешнеполитическое положение империи в середине IX .., გვ. 190.

სმბატს, მაგრამ მას ამაში ხელი სიკვდილმა შეუშალა, ხოლო შემდეგ გამეფებულ მის ძმას – ალექსანდრეს (ხელისუფლების სათავეში იყო 912 წ. მაისიდან 913 წ. ივნისამდე) ამის საშუალება უკვე შინაპოლიტიკურმა კრიზისმა არ მისცა.[1]

ადარნასე II-ის ერთპიროვნულ ლიდერობას რამდენადმე საფრთხე შეექმნა 918 წლიდან, როდესაც აღზევება დაიწყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს კიდევ ერთმა ძლიერმა წარმომადგენელმა გურგენ ერისთავთ-ერისთავმა. პირველად ეს თვალნათლივ გამოჩნდა უტის ალვანური ოლქის ირგვლივ ატეხილი კონფლიქტის დროს (919-920 წწ.), როდესაც „ქართუელთა მთავარი გურგენი" დაუპირისპირდა სომხეთის მეფეს აშოტ ერკათს.[2] მოგვიანებით (922-923 წწ.) გურგენი უფრო აქტიურად ჩაერთო უტის ოლქისათვის ბრძოლაში და გამოვიდა აშოტისა და ადარნასე „ქართუელთა" მეფის წინააღმდეგ, რომელიც ამ ეტაპზე გურგენის მეტისმეტი გაძლიერების საფრთხემ სომეხთა მეფესთან დააკავშირა.[3] თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დროისათვის აშოტ ბაგრატუნი ბიზანტიის იმპერიის კრეატურა იყო, სავსებით შესაძლებელია, ადარნასესა და აშოტ ერკათის ალიანსის უკან იმპერია იდგა, რომელიც თავის მხრივ შეეცდებოდა გამოეყენებინა ეს სიტუაცია ურჩი ადარნასე კურაპალატის შემოსარიგებლად.

ესაა პერიოდი, როდესაც იმპერიამ გააქტიურა დიპლომატიური კოტაქტები სომეხ და ქართველ ლიდერებთან. ამ აქტიურობის ინიციატორი კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი[4] იყო. როგორც ამ უკანასკნელის იოვანე სომეხთა კათალიკოსისადმი გაგზავ-

---

[1] **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., გვ. 171. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მკვლევართა ერთ ნაწილს ბიზანტიის ხელისუფლების ამ მცდელობების შესახებ იოვანე დრასხანაკერტცის ცნობაში არსებული ინფორმაციის რეალურობაში ეჭვი ეპარება და მიიჩნევს, რომ ამას ადგილი უნდა ჰქონოდა არა 912-913 წწ., არამედ 910 წლამდე. იხ. მ. დარბინიანი-მელიქიანის კომენტარი წიგნში: **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., XLV თავის 106-ე კომენტარი (http://www.vostlit.info/Texts/rus/Drash/primtext5.phtml).

[2] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 234-235.

[3] **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა.., გვ. 155.

[4] ნიკოლოზ მისტიკოსი – კონსტანტინოპოლის პატრიარქი (901-907 და 912-925 წლებში). საყოველთაო აღიარებით, მისი წერილები მეზობელი სახელმწიფოების საერო და სასულიერო ლიდერებისადმი იძლევიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ბიზანტიის იმპერიის საგარეო-პოლიტიკურ და საეკლესიო ურთიერთობებზე (**А. П. Каждан, Р. М. Бартикян.** Послание константинопольского патриарха Николая I. Греческий текст и английский перевод **Р. Дж. Х. Дженкинза и Л. Дж. Вестеринка.** Вашингтон, 1973, (рецензия). – *Историко-филологический журнал*. 1976, I, გვ. 277), თუმცა გარკვეული სიფრთხილე ამ მასალების გამოყენებისას მაინც საჭიროა.

ნილ წერილშია აღნიშნული, კონსტანტინოპოლის პატრიარქს წერილები გაუგზავნია ადარნასე კურაპალატისათვის და „აფხაზთა უფროსისათვის“ (იგულისხმება „აფხაზთა“ მეფე კონსტანტინე III – **ზ.პ.**) და მოუწოდებია მათთვის, *„დაევიწყებინათ მტრობა, ჩამოეგდოთ სიყვარული, ერთობა, ზავი და მშვიდობა ერთმანეთს შორის და საერთოდ სომხეთისა და ალბანეთის მთავრებს შორის, რომ შეერთებულიყვნენ და საერთო ძალით ებრძოლათ მუხანათი მტრის აბუსაჭის შვილების წინააღმდეგ [ეს იმისათვისაა საჭირო], რომ არ დაიღუპოთ თქვენ და თქვენი ქვეშევრდომნი და მახლობელმა ხალხმაც არ განიცადოს რყევა“.*[1]

როგორც ჩანს, ტაო-კლარჯეთის ლიდერის პოზიციას ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომაც სომეხთა კათალიკოსი პირადად ცდილობდა, დაეთანხმებინა „ქართველთა“ მეფე ადარნასე II *„იმავე აზრსა და ზრახვაზე.., რომ მშვიდობას, სიყვარულსა და მტკიცე ერთობას გაჰყვებოდა ყველასთან – სომეხ და ქართველ მთავრებთან და მფლობელებთან. ამის შესახებ უტყუარი ფიცის წიგნიც მოგვცა“.*[2]

---

[1] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 191-192 (შდრ. *«забыть взаимные столкновения, обратить взоры к дружбе, единству, согласию и миру друг с другом и со всеми ишханами Армении и Алванка и, объединившись, бороться против нечестивого врага – сыновей Апусеча, /146/ дабы не приключилась всем вам погибель, а с вами вместе и потрясения для сопредельных народов».* იხ.: **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., გვ. 189). ნიკოლოზ მისტიკოსის აღნიშნული წერილის კომენტირებისას, სომეხი მკვლევარი მ. დარბინიანი-მელიქიანი არ უშვებს შემთხვევას ერთხელ კიდევ დააფიქსიროს სომეხ მეფეთა პრიორიტეტი ქართველ ლიდერებზე და აღნიშნავს, რომ *„ნიკოლოზ მისტიკოსი ახსენებს რა კუროპალატს და აფხაზების მეთაურს, აგრეთვე სომხეთისა და ალბანეთის სხვა მთავრებს, სიტყვას არ ძრავს მეფე სმბატ I-ზე. თუ მან ჯერ კიდევ არაფერი იცოდა სომეხთა მეფის სიკვდილის შესახებ, მაშინ მას* ***კურაპალატამდე და აფხაზთა მეთაურამდე აუცილებლად უნდა დაესახელებინა სმბატ I, რომელსაც ბიზანტია ამიერკავკასიის სხვა მფლობელებზე მაღლა აყენებდა“*** *(«упоминая в своем послании о куропалате и начальнике абхазов и других ишханах Армении и Алванка, Николай Мистик ни слова не говорит о царе Смбате I. Если он еще ничего не знал о смерти армянского царя,* ***то обязательно прежде куропалата и начальника абхазов должен был назвать Смбата I, которого Византия ставила выше остальных феодальных владетелей Закавказья...****».* იხ. **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., LIV თავის 42-ე შენიშვნა (http://www.vostlit.info/Texts/rus/ Drash/primtext6.phtml), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **იოანე დრასხანაკერტელი.** სომხეთის ისტორია.., გვ. 193 (შდრ. *«убеждать и утверждать в этой мысли и в совете этом царя Вирка до тех пор, пока не обещал тот пойти стезею мира, дружбы и полного единодушия со всеми – с ишханами и тэрами страны нашей Армянской и Вирка, дав по этому поводу письменную клятву»* იხ.: **Иованнес Драсханакертци.** История Армении.., გვ. 189-190).

ეტყობა, მოლაპარაკებები სომხეთის კათოლიკოსსა და „ქართველთა“ მეფეს შორის, წარმატებით დასრულდა და ერთობლივი მოქმედებების გეგმაც შედგა. იქნებ სწორედ ამ გეგმის ნაწილი იყო ის აქტიური მხარდაჭერა, რომელიც ადარნასე II-მ აღმოუჩინა აშოტ ბაგრატუნს ტახტზე ასვლისას. იოანე კათოლიკოსის მეცადინეობითვე მომზადდა აშოტ ბაგრატუნის ვიზიტი (914 წ.)[1] კონსტანტინოპოლში, სადაც სომხეთის ახალ ლიდერს *„მდიდრული და საზეიმო მიღება“ («пышный и славный прием»)* მოუწყვეს[2] და დიდი პატივით გამოისტუმრეს უკან, თან მას გარკვეული სამხედრო ძალაც გამოაყოლეს. ფიქრობენ რომ ამ ბიზანტიურმა ლაშქარმა ცალკეულ ოპერაციებშიც კი მიიღო მონაწილეობა.[3] მოგვიანებით, როდესაც აშოტმა განიმტკიცა თავისი ხელისუფლება და მისი „შაჰან-შაჰის“ ამბიციური ტიტული აზერბაიჯანის ახალმა მმართველმა სუბუკმაც კი აღიარა,[4] ლავირების პოლიტიკამ აშოტი ახალი საფრთხეების წინაშე დააყენა. ბიზანტიის იმპერიამ არ მოითმინა სომეხი ლიდერის დიპლომატიური თამაშები და სომხეთში ჯარი შეიყვანა იოანე კურკუასის სარდლობით. მაგრამ აშოტმა და სუბუკმა ბიზანტიელები დვინიდან უკუაქციეს.[5]

როგორც ჩანს, ადარნასე კურაპალატს აშოტ ერკათის ანტიბიზანტიურ აქციებთან კავშირი არ ჰქონდა და ის ამ დროს კონსტანტინოპოლის მთავარ დასაყრდენად განიხილებოდა. ამას უნდა ადასტურებდეს ის ფაქტი, რომ, როდესაც ტაო-კლარჯეთის ლიდერი გარდაიცვალა (923 წ.), ბიზანტიის საიმპერატორო კარმა სწორედ მის ვაჟს – აშოტს მიანიჭა კურაპალატის ტიტული.[6] ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ

---

[1] **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., LIV თავის 82-ე შენიშნვა (http://www.vostlit.info/Texts/rus/Drash/primtext6.phtml). არსებობს ამ ვიზიტის სხვა დათარიღებაც. ცნობილი ბიზანტოლოგის აკად. გ. ლიტავრინის დაკვირვებით ეს მოხდა მას შემდეგ რაც 920 წელს ნიკოლოზ მისტიკოსმა წერილით მიმართა სომეხთა კათალიკოს იოანეს, რომელშიც მოუწოდებდა კავკასიის ყველა მმართველს შეეწყვიტათ ერთმანეთს შორის შუღლი და გაერთიანებულიყვნენ არაბთა წინაამღდეგ საბრძოლველად. ამის შემდეგ სომხეთში დიდი საჩუქრებით ჩავიდა იმპერატორის ელჩი, რომელმაც შესთავაზა აშოტ III-ს კავშირისა და მეგობრობის აღდგენა. 921 წელს თვით აშოტი ჩავიდა კონსტანტინოპოლში, სადაც ის იმპერატორმა პატივით მიიღო (**А. П. Каждан.** Внешнеполитическое положение империи в середине IX .., გვ. 191, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] **Иованнес Драсханакертци.** История Армении. Перевод.., გვ. 198.

[3] **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат, გვ. 244.

[4] **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат, გვ. 245.

[5] **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат, გვ. 245.

[6] აშოტ ადარნასეს ძის ჩასვლა კონსტანტინოპლში და იქ მისი პატივით მიღება საკმაოდ ხატოვნად აქვს აღწერილი თეოფანეს გამგრძელებლის სახელით ცნობილ ბიზანტიელ ავტორს. იხ. **თეოფანეს გამგრძელებელი.** – *გეორგიკა.* ბიზან-

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კუარაპალატი არ ატარებდა „ქართველთა“ მეფის ტიტულს და ამ სტატუსის მატარებელი მისი ძმა – დავითი იყო.[1] უფრო მეტიც, ამ დროიდან საერთოდ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია – ბიზანტიის ხელისუფლებას დაუშვებლად მიაჩნდა ტაო-კლარჯეთში ხელისუფლების კონცენტრაცია ერთი პიროვნების ხელში და ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა კურაპალატის ტიტული არ მიენიჭებინა „ქართველთა“ მეფის სტატუსის მატარებელი ლიდერისათვის.[2] ამიტომაც იყო, რომ არც ერთი მომდევნო კურაპალატი – სუმბატ I ბაგრატიონი (გარდ. 958 წ.), ადარნასე III ბაგრატიონი (გარდ. 961 წ.), ადარნასე IV ბაგრატიონი (გარდ. 983 წ.) პარალელურად „ქართველთა“ მეფე არ ყოფილა.[3]

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ კონსტანტინოპოლს იმთავითვე აღიზიანებდა სუვერენული ხელმწიფობის ეროვნული ინსტიტუტის არსებობა საქართველოში, რაც ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ტაო-კლარჯეთში ხელისუფლების ამ სტრუქტურის შემოღება, თავის დროზე, კონსტანტინოპოლის სანქციით არ მომხდარა.[4] ამიტომაც იმპერიას არასოდეს არ უცვნია „ქართველთა“ არც ერთი მეფის სტატუსი და ჯიუტად გაურბოდა ქართველი ლიდერების (საქართველოს გაერთიანების შემდეგაც კი) მეფის (ბასილევსის) სახელით მოხსენიებას.

ერთი სიტყვით, თუ ქართულ სამყაროში „ქართველთა“ მეფის ტიტულის მატარებელი პიროვნება ითვლებოდა (ფორმალურად მაინც) ბაგრატიონთა სახლის მეთაურად, იმპერიის თვალში ასეთ პიროვნებად ბაგრატიონთა ის წარმომადგენელი იყო მიჩნეული, რომელიც კურაპალატის ტიტულს ატარებდა. საერთოდ იმპერიის დიპლომატია საკმაოდ ოსტატურად მანიპულირებდა ამ ტიტულის მინიჭებით და თვითონ აწესებდა თავისებურ „ტაბელს რანგების შესახებ“. კურაპალატის ტიტულის მინიჭებით ბიზანტიის კეისრები, პირველ რიგში, ხაზს უსვამდნენ ამ ტიტულის მატარებლის მორჩილებას იმპერიის ტახტისადმი, მაგრამ,

---

ტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განნმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** თბ., 1952, ტ. IV, ნაწ. II. გვ. 329-333.

[1] **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии,* т. II. Тб., 1988, გვ. 323.

[2] **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств, გვ. 323.

[3] **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств, გვ. 323.

[4] **ზ. პაპასქირი.** „ქართველთა მეფის“ ინსტიტუტის შემოღება და ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი. – *ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალი. აკადემიკოს ილია ვეკუას საიუბილეო დღეები.* სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1995, გვ. 75; **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 6. თბ., 1999, გვ. 330.

ამავე დროს, ეს აქტი ერთგვარი მოფერების ფორმაც იყო აღნიშნული ტიტულის პრეტენდენტის მიმართ.[1]

ყოველივე ამის მიუხედავად, ბიზანტიის იმპერიას რეალური გავლენა მაინც არ ჰქონდა ქართველთა („იბერიის“) საკურაპალატოს საშინაო ცხოვრებაზე. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში, საკმაოდ მკაფიოდ ვლინდებოდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სუვერენიტეტი. ასე მოხდა, მაგალითად, რომანოზ I ლაკაპინის იმპერატორობის (919-944 წწ.) დროს, როდესაც ბიზანტიელებმა მოინდომეს ბაგრატიონთა კუთვნილი კეჯეს ციხის მიტაცება. ეს ციხე მათ სჭირდებოდათ თეოდოსიუპოლზე შეტევისათვის. თეოდოსიუპოლი (თანამედროვე არზრუმი) – იმპერატორ თეოდოსის (408-450 წწ.) მიერ აშენებული ქალაქი არაბებმა ბიზანტიას ჯერ კიდევ VII ს. შუა ხანებში წაართვეს. ამ დროიდან თეოდოსიუპოლის დაბრუნება ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენდა.[2] განსაკუთრებით აქტუალური იყო ეს საკითხი IX ს. მიწურულიდან. 895 წ. ბიზანტიელები უშედეგოდ ცდილობდნენ თეოდოსიუპოლის დაკავებას. 901-902 წწ. ბიზანტიელები კიდევ ორჯერ შეეცადნენ თეოდოსიუპოლის აღებას.[3]

სწორედ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისთვის ბრძოლაში იმპერიას ერთგვარ პლაცდარმად დასჭირდა კეჯეს ციხე.[4]

---

[1] **D. Obolensky.** The Principles and Methods of Byzantine Diplomacy. – *XII Congres Internationale* D'*Etudes Byzantines.* Ochride, 1961, Rapports II, გვ. 58; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных.., გვ. 323.

[2] ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **А. Н. Тер-Гевондян.** Первый этап образования арабской пограничной области (ас-сугур). – *Кавказ и Византия.* Ереван, 1980. Вып. 2, გვ. 21-27.

[3] **Константин Багрянородный.** Об управлении империей, გვ. 417-418, 45-ე თავის მე-16 კომენტარი,

[4] კეჯეს ციხის ადგილმდებარეობა ბოლომდე გარკვეული არ არის. მ. ბროსეს მიხედვით, ეს უნდა ყოფილიყო ქაჯთა ქალაქი (მდ. ჩაქვის წყლის პირას, გურიაში), ან არტაანი, უმეტესწილად კი წუნდა (**M. Brosset.** Additions et eclaircissements a l'Histoire de la Georgie. St.-Petersburg, 1851, გვ. 146). კეჯეს ციხეს „ქაჯის ციხესთან“ აიგიავებდა პ. ინგოროყვაც, თუმცა მისი ლოკალიზებით ის „მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ საზღვართან, დასავლეთ ევფრატის ხეობის სათავეებში, იმ თემში, რომელსაც ერქვა „ქართლის გზა“ – შემდეგდროინდელი „გურჯი ბოღაზი“-ს ზონა“ (**პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე. *ქართველი მწერალი X საუკუნისა.* თბ., 1954, გვ. 61). იმავე ზონაში („იქ, სადაც... „აშ-ყალა“ მდებარეობს“) მოიაზრებდა კეჯეს ციხეს ს. ყაუხჩიშვილიც (კონსტანტინე **პორფიროგენეტი.** De administrando imperio. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1952, გვ. 266). იბერიელი ბაგრატიდების სამფლობელოში არსებულ „ქართლის-ყელთან“ („გურჯი ბოღაზი“) აიგიავებდა კეჯეს ციხეს ე. ჰონიგმანიც. ე. დანიელიანის აზრით კი კეჯეს ციხე („კეწეონი“) მდებარეობდა არზრუმის და-

„ლეონ მეფე,[1] *ბატონი რომანოზი*[2] *და თვით ჩვენი მეუფებაც,* – წერს კონსტანტინე VII პორფიროგენეტი, – *ხშირად ცდილან აეღოთ კეჯეს ციხე და ჩაეყენებინათ მცველები, რათა იქიდან სურსათი არ მიეღო თეოდოსიუპოლს, და არწმუნებდნენ კუროპალატს და მის ძმებს, რომ თეოდოსიუპოლის აღების შემდეგ ისინი დაუბრუნებდნენ ამ ციხეს. მაგრამ იბერებმა ამას მხარი არ დაუჭირეს თეოდოსიუპოლელთადმი სიყვარულის გამო*[3] *და იმის გამო, რომ თეოდოსიუპოლის ციხე არ განადგურებულიყო“.*[4] მათ განუცხადებით: *„ეს რომ ვქნათ, უპატიობას ჩავიდენთ ჩვენი მეზობლების... აფხაზეთის მაგისტროსისა და მთავრის, ვასპარაკანელის და არმენიელთა ზემთავრების მიმართ, და იტყვიან, რომ იბერებს, კუროპალატსა*[5] *და მის ძმებს არ ენდობა მეფე... უმჯობესია მეფემ გამოაგზავნოს ტურმარქი*[6] *ან ვინმე სამეფო მოხელე, და ის იჯდეს კე-*

სავლეთით სოფ. კესთან (**Э. Даниэлян.** Локализация крепостей Кец и Маздат. – *Вестник общественных наук,* N 8, 1976, გვ. 75-76; **Константин Багрянородный.** Об управлении империей.., 45-ე თავის მე-18 კომენტარი, გვ. 418.

[1] ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI ბრძენი (886-912 წწ.).

[2] ბიზანტიის იმპერატორი რომან I ლაკაპინი (920-944 წწ.) იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913-959 წწ.) თანამმართველი.

[3] თავისი თხზულების სხვა ადგილას კონსტანტინე პორფიროგენეტი ასევე აღნიშნავს, რომ *„იბერებს მუდამ სიყვარული და მეგობრობა ჰქონდათ თეოდოსიუპოლელებთან, აბნიკელებთან, მანძიკერტელებთან და მთელ სპარსეთთან, მაგრამ ფასიანში ადგილები არასდროს არ სჭერიათ“*. იხ.: **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio., – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1952, გვ. 263.

[4] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 264.

[5] ამ ნაშრომის პირველ პუბლიკაციაში კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ აქ ნახსენებ კურაპალატად ჩვენ მივიჩნიეთ ადარნასე II *(ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ***როინ მეტრეველის*** დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 171). მოგვიანებით შევიტანეთ კორექტივი ამ თვალსაზრისში და მხარი დავუჭირეთ სხვა შეხედულებას (**Константин Багрянородный.** Об управлении империей.., გვ. 418, 45-ე თავის მე-20 შენიშვნა), რომლის მიხედვითაც ეს კურპალატი უნდა ყოფილიყო არა ადარნასე II, არამედ მისი ვაჟი – აშოტი (**З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований.., გვ. 161; **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units, გვ. 138).

[6] ტურმის (პროვინციის სამხედრო კონტინგენტის ქვედანაყოფი) მეთაური და იმ ტერიტორიის ნაწილის კომენდანტი, რომელზეც განთავსებული იყო ტურმა. ზოგ შემთხვევაში იგულისხმებოდა მთელი სამხედრო კონტინგენტის სარდალი. ამის შესახებ იხ.: **В. В. Кучма.** Обеспечение безопасности византийской армии в военных кампаниях конца X в. – წგნ.: ***В. В. Кучма.*** Военная организация Византийской Империи. СПб., 2001, გვ. 345.

ჯეს ციხეში, და იმეთვალყურეოს“.[1] როდესაც იმპერიის ხელისუფლება დარწმუნდა, რომ ქართველები უკან არ დაიხევდნენ, წერილობითი დოკუმენტითაც კი ფიცით დაუდასტურა მათ, *„რომ თეოდოსიუპოლის აღების შემდეგ ... ეს ციხე უკან დაუბრუნდებოდათ“.* მიუხედავად ამისა, *„იბერებმა არასგზით არ მოისურვეს დაერბიათ... თეოდოსიუპოლის ციხის გარშემო მდებარე ადგილები და მისი სოფლები, ან აბნიკის ციხე და მის გარშემო სოფლები, ან მანძიკერტის ციხე და მისი მიწა-წყალი“.*[2]

ამ საკითხის განხილვამ, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვა ბასიანის მხარის კუთვნილებასთან დაკავშირებით. ქართულ მხარესა და ბიზანტიის საიმპერატორო კარს შორის მწვავე დიპლომატიური პოლემიკა გაჩაღებულა. ქართველთა კურაპალატი დაჟინებით მოითხოვდა ბასიანს, აბნიკის ციხეს და საბუთად *„ნეტარი მეფის ბატონი რომანოზის* (რომანოზ I ლაკაპინი – **ზ.პ.**) *და ჩვენი მეუფების* (კონსტანტინე VII პორფიროგენეტი – **ზ.პ.**)“ მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს („ხრისობულები“-„ოქრობეჭედნი“) იშველიებდა, *„რომელთა პირები... თავისი აზატის პროტოსპათარ ზურვანელის*[3] *ხელით“* იმპერატორებისათვის გაუგზავნია.[4]

ბიზანტიურ მხარეს საგულდაგულოდ შეუსწავლია წარმოდგენილი დოკუმენტები და გამოუტანია დასკვნა, რომ ქართველებს ისინი არ გამოადგებოდათ თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად *„ვინაიდან ჩვენი სიმამრის ოქრობეჭედი,* – წერს სწავლული იმპერატორი, – *შეიცავს დაპირებას თვით კურაპალატისას, რომ ის როგორც თვითონ ფიცს დებს და ამტკიცებს საკუთარი ხელის მოწერით, დარჩება ერთგული ჩვენი მეუფებისა, ჩვენს მტრებს შეებრძოლება, ხოლო მეგობრებს დაიცავს, აღმოსავლეთს ჩვენი მეუფების ქვეშევრდომად გახდის, ციხეებს დაიპყრობს და ჩვენ დიდს სამსახურს გაგვიწევს; და მათ დაპირება მიეცა ჩვენი სიმამრისაგან, რომ თუ ის დაიცავდა ამ ერთგულებას, სამსახურს და კეთილგანწყობილებას, ისიც და მისი მემკვიდრეებიც ურყევად დარჩე-*

---

[1] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 264.

[2] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 265-266.

[3] მკვლევართა აზრით, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში მოხსენიებული ეს „ზურვანელი“ (ჩორდვანელი-ჩორჩანელი) უნდა იყოს მამა X ს. II ნახევრის ცნობილი **ქართველი** (და არა სომეხი-ქალკედონიტი, როგორც ამას ამტკიცებს ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანი) **სამხედრო და სასულიერო მოღვაწის იოანე-თორნიკესი.** ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ს. ყაუხჩიშვილის კომენტარი, რომელიც ერთვის კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების მისეულ გამოცემას (**კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 267-268), აგრეთვე ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის კომენტარი წიგნში: **Константин Багрянородный.** Об управлении империей.., გვ. 418-420.

[4] **კონსტანტინე პორფიროგენეტი**. De administrando imperio, გვ. 266-267.

ბიან ამ ძალაუფლების მქონედ, თუ არ გადალახავენ თავისი ადგილების საზღვრებს, არამედ წინანდელ მეფეებთან დადებულ შეთანხმებებს დასჯერდება და მათ არ დაარღვევს და არ შეაფერხებს მას თეოდოსიუპოლის და მტრის სხვა ციხეების განადგურებას, და ისინი ან თვით მარტო მის მიერ იქნებიან ალყაშემორტყმული, ან თვით ჩვენი ჯარის მიერ".[1]

კონსტანტინე პორფიროგენეტი თვლის, რომ რომანოზ I ლაკაპინის ოქრობეჭდის თანახმად იბერიის ხელისუფალს *„თავისი მბრძანებლობისა და ბატონობის ქვეშ"* ეკუთვნის მხოლოდ აგარიანთა ის მიწა--წყალი, რომელიც აქამდე ჰქონდა დაკავებული *„საკუთარი ძალით, ან დღეის შემდეგ დაიმორჩილებს ... და რადგან მას თავისი ძალით არ გაუნადგურებია არც თეოდოსიუპოლი, არც აბნიკი, არც მასტატი, მას არ შეუძლია ისინი ეპყრას, როგორც მდინარე ერაქსის ან ფასისის აქეთ მდებარე, რადგან აბნიკის ციხე დღემდე იყო თვითთავადი და თვითუფალი და ჰყავდა საკუთარი ამირა, და ჩვენი სამეფოს ხალხს ხშირად დაურბევია იგი ... კუროპალატს კი არასდროს არ დაურბევია იგი".* ამიტომაც აღნიშნავს იმპერატორი *„არც ამ მასტატის ციხეზე, არც აბნიკზე არ შეუძლიათ მათ უფლება მოითხოვონ".*[2]

კონსტანტინე პორფიროგენეტი მაინც მიდის ერთგვარ დათმობაზე და მიუხედავად იმისა, რომ *„არავითარი უფლება არა აქვს კუროპალატს არც მდინარის აქეთა მხარეზე, არც მდინარის იქითა მხარეზე, რადგან თეოდოსიუპოლელთა ყველა ეს სოფლები ჩვენი სამეფოს ჯარებმა ტყვევნეს და ცეცხლს მისცეს, და არასდროს იბერები ჩვენი ხალხის უიმისოდ არ შესულან თეოდოსიუპოლში და არ გაუნადგურებიათ იგი, არამედ მუდამ ჰყავდათ ისინი მეგობრებად და მათთან ერთად მოქმედებდნენ; და მხოლოდ სიტყვით სურდათ, რომ თეოდოსიუპოლი განადგურებული ყოფილიყო, გულით კი არასდროს არ სურდათ. რომ იგი აღებული ყოფილიყო"*, მიზანშეწონილად მიაჩნია *„კუროპალატის სიყვარულის გულისთვის ... მდინარე ერაქსი ანუ ფასისი"* დადგინდეს *„ორივეს საზღვრად, და ისინიც* (ე.ი. ქართველები – **ზ.პ.**) *უნდა დაკმაყოფილდნენ ამ მფლობელობით და მეტი აღარ მოითხოვონ".*[3]

როგორც ვხედავთ ქართველ ბაგრატიონთა დიპლომატიური პოლემიკა იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელიც გაჩაღდა ბასიანის მხარის ზოგიერთი ტერიტორიის მფლობელობასთან დაკავშირებით, საბოლოო ჯამში, წარმატებული აღმოჩნდა. მიუხედავად ბიზანტიური მხარის ერთი შეხედვით საკმაოდ დამაჯერებელი სამართლებრივი არგუმენტაციისა, იმპერიის

---

[1] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 267-268.

[2] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 269-270.

[3] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 271-273.

ხელისუფლება მაინც იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია იბერიის კურაპალატისათვის და ბასიანის ერთი ნაწილი მისთვის დაეთმო.

ტაო-კლარჯეთის მფლობელთა სუვერენიტეტი ყველაზე მკაფიოდ მაინც არტანუჯის ციხის ირგვლივ ატეხილი „დიპლომატიური სკანდალის“ დროს გამოვლინდა. ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აშოტ კისკასმა, ბაგრატის ძემ, რომელიც პატრიკიოზის ტიტულს ატარებდა, თავის სიძე გურგენთან მტრობის ნიადაგზე, გადაწყვიტა, არტანუჯის ციხე იმპერატორისათვის გადაეცა. იმპერატორმა „დააკმაყოფილა“ აშოტის თხოვნა და მისი აღსრულების მიზნით სათანადო განკარგულება გასცა თავის დიპლომატიურ წარმომადგენელს კონსტანტინე პატრიკიოსსა და ნაოსნობის დრუნგარს, რომელიც ამ დროს საგანგებო მისიით – გურგენ „იბერის“ მაგისტროსად აღზევების ცერემონიალთან დაკავშირებით – ტაოში იყო წარგზავნილი. კონსტანტინემ ზუსტად შეასრულა კეისრის ბრძანება და არტანუჯის ციხეზე იმპერიის დროშა ააფრიალა. ამ აქტმა ბაგრატიონთა სახლის სხვა წარმომადგენლების (გურგენ მაგისტროსის, დავით მაგისტროსის) პროტესტი გამოიწვია. მათ დაუყოვნებლივ მოითხოვეს იმპერატორისაგან არტანუჯის დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში სარკინოზების მხარეზე გადასვლით დაიმუქრნენ. ქართველ ბაგრატიონთა პროტესტმა გაჭრა და იმპერატორმა უკან წაიღო თავისი განკარგულება, ხოლო მომხდარი თავისი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის „უჭკუობას“ გადააბრალა. უფრო მეტიც, მან ქართველების დასამშვიდებლად *„ლანძღვა-გინებისა და მუქარის შემცველი ბრძანებაც“* კი გაუგზავნა კონსტანტინე პატრიკიოზს და სასწრაფოდ გაიწვია ის საქართველოდან.[1]

ამრიგად, როგორც ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, ბიზანტიის იმპერიის გავლენა ტაო-კლარჯეთში რამდენადმე შეზღუდული იყო. ჩვენის აზრით, სავსებით სწორად აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ *„ქართველთა ყმობა მხოლოდ გარეგნული ყოფილა და უფროს-უმ-*

---

[1] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 280-287. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ ფაქტს 923-944 წლებით ათარიღებდა (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. II. თბ., 1983, გვ. 112), მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მოვლენის უფრო ზუსტი თარიღის დადგენაცაა შესაძლებელი (**პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე.., გვ. 62, 102). ამის საფუძველს იძლევა კონსტანტინე პორფიროგენეტის არაერთგზის მინიშნება იმის შესახებ, რომ არტანუჯის ინციდენტის დროისათვის აშოტ ბაგრატიონი – „ქართველთა“ პირველი მეფის ადარნასეს ძე – ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული კურაპალატად და ამ უკანასკნელის შვილებს „დავა ჰქონდათ თავიანთ ბიძაშვილთან“ – გურგენთან ამ ტიტულის მოპოვებისათვის. აშოტის კონსტანტინოპოლში ჩასვლა და მისთვის კურაპალატის ტიტულის ბოძება მოხდა უშუალოდ კონსტანტინე პროტოსპათარის საქართველოდან გაწვევის შემდეგ (კონსტანტინე **პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 282-283, 286-287).

ცროს სამეფოთა კავშირს უფრო უდრიდა, ვიდრე ნამდვილ პოლიტიკურ დამოკიდებულებას“.[1] ბაგრატიონთა სახელმწიფოს სუვერენიტეტის საკმაოდ მაღალ ხარისხზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ იმპერია აქ დიპლომატიური მისიით ისეთი მაღალი წოდების მატარებელ პიროვნებებს მოავლენდა ხოლმე, როგორიც პატრიკიოზი იყო. როგორც ირკვევა, ამ რანგის მოხელეებს იმპერია ელჩებად მხოლოდ დამოუკიდებლ სახელმწიფოებში აგზავნიდა.[2]

რასაკვირველია, ყოველივე ეს მაინც არ უნდა გვაძლევდეს იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ ტაო-კლარჯეთის სრულ დამოუკიდებლობაზე კონსტანტინოპოლისაგან.[3] *„უფროს-უმცროს სამეფოთა კავშირის“* ივ. ჯავახიშვილისეული ფორმულა მართლაც ძალზე მახვილგონივრული და ადექვატურია. ჩვენი აზრით, „ქართველთა“ სამეფო, თუ მთლიანად ქართული პოლიტიკური სამყარო („აფხაზთა“ სამეფო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთი[4]) არა, განიხილებოდა ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობის“ წევრ ქვეყნად.[5]

კიდევ უფრო ფრთხილი იყო იმპერიის დიპლომატია „აფხაზთა“

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. გვ. 112. ამავე თვალსაზრისს ანვითარებდა პ. ინგოროყვაც. იხ. **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე.., გვ. 58-68.

[2] **З. В. Удальцова.** Дипломатия, გვ. 253.

[3] ამის შესახებ დაწვრილ. იხ. **შ. ბადრიძე.** „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. – *თსუ შრომები.* ტ. 113. თბ., 1965, გვ, 255-261, იქვე საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა.

[4] ამ მხრივ ნიშანდობლივია X ს. 10-იან წლებში ჰერეთის მეფის ადარნასეს მიერ პატრიკიოზის ბიზანტიური ტიტულის ტარება *(მატიანე ქართლისა,* გვ. 264; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973, გვ. 415; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств, გვ. 227). როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერატორებს პრაქტიკულად ხელი არ მიუწვდებოდათ აღმოსავლურ-ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებზე – კახეთის საქორეპისკოპოსოზე და ჰერეთის სამეფოზე, ისინი მაინც ცდილობდნენ რაღაც ფორმით მაინც დაეფიქსირებინათ თავიანთი იმპერიული ამბიციები ამ პოლიტიკური ერთეულების მიმართაც

[5] როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სომეხი მეცნიერი ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანი სომხეთს ერთნიშნად მოიაზრებს ბიზანტიურ თანამეგობრობაში. ეს თვალსაზრისი მას მკაფიოდ აქვს დაფიქსირებული კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების რუსული თარგმანის 43-ე თავისადმი დართულ კომენტარში. ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში მოქცეული სახელმწიფოები, – აღნიშნავს ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანი, – ქმნიდნენ ფედერალურ თანამეგობრობას (федеральное сообщество) – „ბასილეიას“, „ოიქუმენეს“, „პოლიტეუმას“ – “Commonwealth”-ს. სომხეთი შედიოდა ამ თანამეგობრობაში, მისი მფლობელები (владетели) და მოსახლეობა მოქცეული იყვნენ მმართველებისა და ხალხების იმპერიული ოჯახის რთულ სისტემაში. იხ.: **Константин Багрянородный.** Об управлении империей, გვ. 405.

სამეფოს მიმართ, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ეს დასავლურ ქართული სახელმწიფო, ტაო-კლარჯეთის გაერთიანებისგან განსხვავებით, ბიზანტიასთან უშუალო კონფრონტაციის ვითარებაში აღმოცენდა. თითქმის IX ს. მიწურულამდე ბიზანტიას არ ჰქონდა საშუალება, რეალური ზეწოლა მოეხდინა „აფხაზ“ მეფეთა საგარეო-პოლიტიკურ კურსზე, თუმცა, დრო და დრო, ადგილი ჰქონდა კონსტანტინოპოლისა და ქუთაისის ინტერესების თანხვედრას, რაც ცალკეულ შემთხვევებში თანამშრომლობის საფუძველს იძლეოდა. ვითარება მნიშვნელოვანწილად უნდა შეცვლილიყო IX ს. 80-იანი წლებიდან, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, დასავლეთ საქართველოს ხელისუფლების სათავეში ბიზანტიის საიმპერატორო კარის უშუალო ხელშეწყობით ბაგრატ უფლისწული მოვიდა. ბაგრატ „აფხაზთა“ მეფისა და მისი მემკვიდრის – კონსტანტინე III-ის ხანაში რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას იმპერიასთან ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ამ პერიოდში ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობა უნდა ყოფილიყო, რისი გამოვლინებაც ალბათ იყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მიერ სუვერენიტეტის მოპოვება („აფხაზეთის“ საკათალიკოსოს შექმნა) „თხოვნითა **ბერძენთაგანვე“,** ანუ კონსტანტინოპოლის დასტურით.[1]

კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობები ბიზანტიის იმპერიასა და „აფხაზთა“ სამეფოს შორის, ეტყობა, კიდევ უფრო გაღრმავდა გიორგი II „აფხაზთა“ მეფის მმართველობის (922-957 წწ.) პერიოდში, რაზედაც პირდაპირ მიგვანიშნებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები „აფხაზთა“ მეფეებისადმი.[2] მკვლევრები საგანგებოდ უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართველი მეფე-მთავრებიდან სწორედ „აფხაზეთის“ ხელმწიფე მოიხსენიებოდა „ექსუსიასტის“ („მთავარი“, „მფლობელი“) და „ბრწყინვალე ექსუსიასტის“ სახელით. „ექსუსიასტი“ თავისი ღირსებით „არქონტზე“ მაღლა იდგა და იმპერიასთან განსაკუთრებული დამოკიდებულების გამომხატველი იყო, ის ბიზანტიის

---

[1] ამის შესახებ იხ. **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ საკათალიკოსოს.., გვ. 201-213..

[2] **ნიკოლოზ მისტიკოსი.** – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 212-218. წერილების შინაარსიდან ისე ჩანს, რომ მათი ადესატი მხოლოდ გიორგი II „აფხაზთა“ მეფეა (922-957 წწ.), მაგრამ არაა გამორიცხული ერთ-ერთი (№51) წერილის ადრესატი მისი მამა – კონსტანტინე III ყოფილიყო. ამის შესახებ იხ. **C. Toumanoff.** Chronology of the KIng of Abasgia. – *Le Museon* 69 (1956), გვ. 81; **Nicholas I Patriarch of Constantinople.** Letters. Washington. Text and Translation, ***R . J. H. Jenkins*** & ***L. G. Westerinck***. – *Corpus Fontium Historiae Byzantinae*, VI, Washington, 1973, გვ. 547-549; **И. Ш. Агрба.** Взаимоотношения Абхазского царства и Византии (конец VIII-X вв.). Автореф. на соиск. уч. ст. к. и. н. Москва, 1989, გვ. 7; **Е. К. Аджинджал.** Из истории Абхазской государственности. Сухум, 1996, გვ. 31.

კეისართა უშუალო წარმომადგენლად ითვლებოდა.[1] ამასთან, ბიზანტიური პოლიტიკურ-დიპლომატიური კონიუნქტურა ცალკეულ შემთხვევებში მაინც აღიარებდა გიორგი II-ის „მეფურ“ ღირსებებსაც.[2]

დასავლეთ საქართველოს მეფეთა საკმაოდ მაღალი რანგის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარის ოფიციალურ დიპლომატიურ დოკუმენტებში – *„კელეუსებში“* („ბრძანება“ – ეპისტოლეებში), რომელსაც ბიზანტიის ხელისუფლება უგზავნიდა მეზობელი ქვეყნების ლიდერებს, აბაზგია-აფხაზეთის „ბრწყინვალე ექსუსიასტს“ იმპერატორი უგზავნიდა ორი სოლიდის ღირებულების ბულას[3] და მას შემდეგნაირად მიმართავდა: *„ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან **ბრწყინვალე მთავარს*** (“ἐξουσιαστήν”-„ექსუსიასტს“) ***აბაზგიისას“.*** ასეთივე ღირებულების ბულა ეგზავნებოდა „ქართველთა“ სამეფოს („იბერიის“) ლიდერს, რომელსაც *„უდიდებულეს (“ἐνδοξότατον”) **კურაპალატად“*** მოიხსენიებდნენ.[4] ამ მხრივ ბიზანტიის ხელისუფლება ქართველ მეფე-მთავრებზე მაღლა მხოლოდ ხაზართა,[5] „დიდი არმენიისა“ და ვასპურაკანის მმართველებს აყენებდნენ. მათ სამი სოლიდის ღირებულების ბულები ეგზავნებოდათ.[6]

როგორც ვხედავთ, ბიზანტიის ხელისუფლება დაახლოებით თანაბარ პატივს მიაგებდა ორი წამყვანი ქართული სახელმწიფოს ლიდერებს და იმის თქმა, თითქოს კონსტანტინოპოლის თვალში *„ქართულ სახელმწიფოთა შორის ეგრის-აფხაზეთის მეფეს“* **პრინციპულად სხვა ფასი ჰქონდა** და ტაო-კლარჯეთის ლიდერთან შედარებით *„ის ... მაინც დამოუკიდებელ ხელისუფლად“* ითვლებოდა,[7] ცოტა გაზვიადებულად გვეჩვენება. ყოველი შემთხვევისათვის, ამ დასკვნის შესამაგრებლად ვერ გამოდგება ის ფაქტი, რომ ბაგრატიონ ხელისუფლებს *„იმპერატორები ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით ამკობდნენ“.*[8]

ჩვენის აზრით, კურაპალატობა არა თუ არ ამცირებდა „ქართველთა“ სამეფოს ლიდერების ავტორიტეტს, არამედ, პირიქით, მაღლა სწევდა მათ პრესტიჟს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზეც. თანაც, შეიძლება დოკუმენტურად დადასტურებულად ჩაით-

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. გვ. 110.

[2] **ნიკოლოზ მისტიკოსი.** – *გეორგიკა..*, გვ. 217.

[3] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De Caerimoniis. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 292.

[4] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De Caerimoniis, გვ. 291.

[5] **კონსტანტინე პორფიროგენეტი**. De Caerimoniis, გვ. 293-294.

[6] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De Caerimoniis, გვ. 290-291.

[7] **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 435.

[8] **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, გვ. 435.

ვალოს, რომ არც „აფხაზთა“ მეფეები გაურბოდნენ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს, მაგრამ, რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს ეს, მათ კურაპალატობის ხარისხისათვის ვერ მიუღწევიათ. ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც ის, რომ ამ სამეფო სახლის ყველაზე ძლევამოსილი წარმომადგენელი – გიორგი II მხოლოდ მაგისტროსად არის მოხსენიებული.[1] ამასთან, არა გვგონია, რომ „აფხაზთა“ მეფის ეპითეტი „ბრწყინვალე მთავარი“ რითიმე აღემატებოდა ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლის „უდიდებულეს კურაპალატს“.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის ტახტი უდავოდ მეტი სუვერენიტეტით სარგებლობდა, იმპერიის ხელისუფლება ბაგრატიონთა საგვარეულოს მაინც უფრო ავტორიტეტულ დინასტიად მიიჩნევდა და ოფიციალურად სწორედ მას თვლიდა ქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერად, რაც კურაპალატის ტიტულის მინიჭებით იყო განმტკიცებული. ჩვენ ამ საკითხზე ყურადღებას არც გავამახვილებდით, რომ არა ზოგიერთი ჩვენი აფხაზი კოლეგის სპეკულირება ამ თემით. ასე მაგალითად, თავისი ანტიქართული გამოხდომებით ცნობილი აფხაზი მკვლევარი ე. აჯინჯალი, ცალსახად თვლის რა „აფხაზთა“ სამეფოს აფხაზურ ნაციონალურ სახელმწიფოდ, ჰოლანდიელი მეცნიერის ა. კოლაუტცის დასკვნაზე დაყრდნობით, წერს, რომ აბაზგიის მეფეები რანგით რამდენადმე მაღლა იდგნენ იბერიის მმართველებზე (***«цари Абазгии были рангом несколько выше владетелей Иберии»)***.[2]

ყოველივე ზემო აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვუარყოფთ გიორგი II „აფხაზთა“ მეფის ძლევამოსილებას. პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ის იყო ქართული პოლტიკური სამყაროს აღიარებული ლიდერი X ს. 20-50-იან წლებში. იგი აქტიურად ერეოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, არამედ მეტნაკლებად ჩრდილოეთ კავკასიასაც აკონტროლებდა. როგორც ნიკოლოზ მისტიკოსის წერილიდან ჩანს, ქუთაისის ტახტის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა ალან-ოვსების გაქრისტიანების პროცესი.[3] უფრო მეტიც, არაა გამორიცხული, რომ იმპერიის ხელისუფლება „აფხაზთა“ მეფეებთან გარკვეულ კონსულტაციებს სხვა უფრო მნიშვნელოვან (რეგიონს გარეთა) საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებითაც გადიოდა და ითვალისწინებდა მათ აზრს. ამის ირიბ მინიშნებად უნდა მივიჩნიოთ ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ გიორგი „აფხაზთა“ მეფისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი წერილის შემდეგი პასაჟი: *„რაც შეეხება იმასა, რასაც **შენ ბულგართა შესახებ იწერები,** მე არ ვიცი ღვთის რა გადაწყვეტილებით მისდევს კიდევ ბო-*

---

[1] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio, გვ. 264.

[2] **Е. К. Аджинджал.** Из истории Абхазской.., გვ. 14, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] **ნიკოლოზ მისტიკოსი.** – *გეორგიკა..*, გვ. 213.

როტ მტრობას და მშვიდობის სიკეთე არ იშუამავლა“.[1]

როგორც ცნობილია, IX ს. მიწურულიდან ბიზანტიას უკიდურესად გაურთულდა ურთიერთობა ბულგარეთთან, რომლის ამბიციურმა ლიდერმა სიმეონ I-მა დიდმა არათუ მოიპოვა სრული სუვერენიტეტი, არამედ კონსტანტინოპოლსაც შეუტია და თვით იმპერიის ტახტზეც კი განაცხადა პრეტენზია. ნიკოლოზ მისტიკოსი უშუალოდ იყო ჩართული ბიზანტია-ბულგარეთის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში და დამრიგებლურ წერილებს უგზავნიდა „გათავხედებულ“ ბულგართა მეფეს და მოუწოდებდა მას შეეწყვიტა ბრძოლა იმპერიის წინააღმდეგ და ეღიარებინა იმპერატორის უზენაესობა.[2] ბიზანტია-ბულგარეთის კრიზისი იმპერიისათვის მაშინ არც თუ სასურველი შედეგით დასრულდა. იმპერატორი რომანოზ I ლაკაპინი იძულებული გახდა არა მარტო ეღიარებინა (927 წ.) ბულგარეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტი, არამედ სიმეონ დიდის მემკვიდრე პეტრე მეფის (ბასილევსის) სტატუსშიც ეცნო.[3] როგორც ვხედავთ, გიორგი II-ისა და საყოველთაო აღიარებით ბიზანტიის იმპერიის იმჟამინდელი საგარეო-პოლიტიკური კურსის მთავარი წარმმართველის – კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის მიმოწერაში იხილებოდა იმპერიის ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური პრობლემები, რაც ნამდვილად მეტყველებს დასავლეთ საქართველოს ლიდერის დიდ პოლიტიკურ წონაზე საერთაშორისო მასშტაბით.

ამრიგად, როგორც ჩვენს მიერ მოტანილი მასალიდან ჩანს, IX ს. მიწურულსა და X ს. I ნახევარში ქართული პოლიტიკური სამყარო საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიასთან და სულ ცოტა ოფიციალური კონსტანტინოპოლის მხრიდან მაინც ნამდვილად განიხილებოდა ერთგვარი ბიზანტიური „ოიქუმენის“, ანუ ბიზანტიური „თანამეგობრობის“ ნაწილად.

---

[1] **ნიკოლოზ მისტიკოსი.** – *გეორგიკა..*, გვ. 216-217, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] ნიკოლოზ მისტიკოსის მტკიცებით, დასავლეთის (პირველ რიგში ბულგარეთის) მიწები ეკუთვნის „რომაელთა სახელმწიფოს“, ბულგარელებმა კანონისა და სამართლიანობის უგულებელყოფით მოახდინეს მათი უზურპაცია და დროებით აწაპნეს ისინი იმპერიას. ამჟამად სიმეონი გაუგონარ თავხედობაზე წავიდა – მან აღმართა ხელი ღვთის რჩეულზე და ღვთიურ სამეფოზე. ამიტომ ის ტირანი და მეამბოხეა, რომელიც იმსახურებს მკაცრ სასჯელს და შეიძლება ითქვას განადგურებასაც, თუმცა არის ერთმორწმუნე. მიუხედავად ამისა, კონსტანტინოპოლის პატრიარქი მაინც მიიჩნევდა აუცილებლად „ძმათამკვლელი ომის“ შეჩერებას და მშვიდობის ჩამოგდებას. მაგრამ ეს მშვიდობა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო ისეთ ურთიერთობაზე ბიზანტიასა და ბულგარეთს შორის, რომლის დროსაც იმპერიის ბასილევსის ხელისუფლების უზენაესობა და პრიორიტეტი არ დაზარალდებოდა. **Г. Г. Литаврин.** Политическая теория.., გვ. 76.

[3] ამ პერიოდის ბიზანტია-ბულგარეთის ურთიერთობების პერიპეტიებზე დაწვრილ. იხ. **Г. Г. Литаврин.** Болгария и Византия в XI-XII вв. Москва, 1960, გვ. 254-255; **А. П. Каждан.** Внешнеполитическое положение империи в середине IX .., გვ. 198-200.

საქართველო-ბიზანტია, საქართველო-რუსეთი. *ერთი ისტორიული პარალელის გააზრებისათვის*[*]

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ისტორიულად ყოველთვის იყო სხვადასხვა იმპერიების სამიზნე. ფაქტობრივად არ არსებობს მსოფლიო ისტორიაში მეტ-ნაკლებად ამბიციური ზესახელმწიფო, რომლის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებში არ მოქცეულიყო კავკასიის რეგიონი და უპირველეს ყოვლისა – საქართველო. ჯერ კიდევ ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე (ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნა) უძველესი გაერთიანებები (დაიაენი-დიაოხი, კოლხა-კოლხეთი) მოჰყვნენ ასურეთისა და ურარტუს იმპერიული ინტერესების არეალში. მოგვიანებით, რეგიონში გაბატონებულ ძალად იქცა აქემენიდური ირანი, რომლის გავლენის სფეროში მოექცა, როგორც აღმოსავლეთი ისე დასავლეთი საქართველო. ალექსანდრე მაკედონელის *„აღმოსავლეთზე შეტევისა“* (ერთგვარი ბერძნული „Drang nach Osten“)[1] და აქემენიდური ირანის განადგურების შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ქართული პოლიტიკური სამყარო, თავდაპირველად ელინისტური სისტემის ნაწილი გახდა, ხოლო ძვ. წ. I საუკუნიდან უკვე რომის რესპუბლიკის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ახ. წ. III-VII ს. პირველ მესამედში საუკუნეებში საქართველო-კავკასია რომის (მოგვიანებით ბიზანტიის) იმპერიისა და სასანიდური ირანის პერმანენტული დაპირისპირების ობიექტი გახდა. შემდეგ იყო არაბთა სახალიფო, სელჩუკები, მონგოლები, ოსმალეთი და სეფევიდური ირანი და ბოლოს რუსეთის იმპერია.

ქართული პოლიტიკური ერთეულები, ერთიანი ქართული სახელმწიფო აგერ უკვე 3 ათას წელზე მეტია ჩაბმულია ამ უთანასწორო ბრძოლაში მსოფლიო იმპერიებთან და მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებს ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას. მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველო არაერთხელ მდგარა უმძიმესი განსაცდელის წინაშე. იყო პერიოდები, როდესაც არ არსებობდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა და ქვეყანა უშუალო იმპერიული მმარ-

---

[*] პირველად გამოქვეყნდა: *საქართველო და გარე სამყარო*. ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 და გარდაცვალებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორი, 2014, გვ. 153-182. ამჯერად იბეჭდება მცირეოდენი რედაქციული და ტექნიკური ხასიათის დაზუსტებებით.

[1] გერმანულ გამოთქმას „Drang nach Osten“ ქართულად თარგმნიან როგორც „აღმოსავლეთით ზეწოლა“-ს (https://ka.wikipedia.org/wiki/აღმოსავლეთით_ზეწოლა), რაც, ჩვენი აზრით, მთლად ადექვატური არ არის და შინაარსობრივად უფრო შესატყვისად მიგვაჩნია „შეტევა აღმოსავლეთზე“ ან „სვლა აღმოსავლეთისკენ“.

თველობის ქვეშ იყო მოქცეული. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ქართული სახელმწიფოებრიობა მორიგი დიდი განსაცდელი წინაშე დადგა. მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნის რუსეთის იმპერია, რომელიც აგერ 2 საუკუნეზე მეტია ჯიუტად არ ეხსნება თავის დიდმპყრობლურ იდეას და ვერაფრით ვერ ეგუება საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ. XX ს. მიწურულისა და XXI ს. დამდეგის მოვლენები – „ერთმორწმუნე“ რუსეთის „ჯვაროსნული ლაშქრობა“ საქართველოს წინააღმდეგ ბევრ ანალოგიას პოულობს I და II ათასწლეულების მიჯნაზე განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებთან, როდესაც ახლად წარმოქნილ ერთიან ქართულ სახელმწიფოს დაუპირისპირდა ასევე „ერთმორწმუნე“ ბიზანტიის იმპერია.

ანალოგია I:

X ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XI ს. დამდეგს საქართველოში განვითარდა მოვლენები, რომელთა შედეგად, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რეალურად გახდა შესაძლებელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა. ამ სახელმწიფოს მესაძირკვლე იყო დავით III დიდი კურაპალატი, რომელმაც შეამზადა სათანადო სამხედრო-პოლიტიკური ფონი და, რაც მთავარია, დიპლომატიურადაც უზრუნველყო თავისი შვილობილის – ბაგრატ ბაგრატიონის ჯერ 975 წელს ქართლის მმართველად დაყენება, ხოლო 978 წელს კი „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) მეფედ გამოცხადება. სწორედ ბაგრატ უფლისწულის ქუთაისის ტახტზე აღზევებით დაიწყო მის ირგვლივ დანარჩენი ქართული რეგიონების გაერთიანების პროცესი, რომელიც XI ს. დამდეგს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდა.[1]

ბიზანტიის იმპერიას ძალზე გაუჭირდა შეგუება უშუალოდ მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან კონსტანტინოპოლის კონტროლიდან გამოსული ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობასთან, რომელიც პერსპექტივაში უთუოდ გაუწევდა მეტოქეობას „მეორე რომს“ და, შესაძლოა, წინ აღუდგებოდა ბიზანტიის აგრესიულ გეგმებს აღმოსავლეთში. ამდენად, იმპერიის ხელისუფლება, *„რომელიც ამიერკავკასიაზე ბატონობის ძველ რომაულ ტრადიციას არ ეხსნებოდა“*[2] და, რომელსაც ქართული პოლიტიკური სამყარო, არც მეტი არც ნაკლები, ბიზანტიური „ოიქუმენის“, ანუ ბიზანტიური „თანამეგობრობის“ ნაწილად

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 14-62.

[2] **ნ. ბერძენიშვილი**. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. II. თბ., 1965, გვ. 24.

მიაჩნდა,[1] ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა გულგრილი X ს. 70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების მიმართ, მაგრამ პირველ ეტაპზე (XI ს. 70-80-იან წლებში), როგორც ჩანს, გართულებული საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო, იმპერიის ხელისუფლებას არ შეეძლო რაიმე ზეგავლენა მოეხდინა გაერთიანების გზაზე მდგარ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებზე.[2] პირიქით, როგორც ცნობილია, ამ პერიოდში იმპერიის ხელისუფლება, რომელიც ვერაფრით ვერ ახერხებდა ამბიციური სარდლის ბარდა სკლიაროსის უზურპატორული ზრახვების ალაგმვას (ბარდა სკლიაროსის აჯანყება გრძელდებოდა თითქმის 4 წლის განმავლობაში – 976-979 წწ.) იქით საჭიროებდა დახმარებას, რომელიც აღმოუჩინა კიდეც მაკედონელთა დინასტიას იმიერტაოს ძლევამოსილმა მმართველმა დავით III დიდმა კურაპალატმა.[3]

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). – *ისტორიანი*. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ***როინ მეტრეველის*** დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 158-180; **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция, 2011. Т. 5. Вып. 3-4, გვ. 147-168 (http://cyberleninka.ru/article/n/vizantiyskoe-sodruzhestvo-natsiy-i-mezhdunarodnoe-polozhenie-gruzinskih-politicheskih-obrazovaniy-v-pervoy-polovine-x-stoletiya); **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden, 2011. Vol. 5. Issue 3-4, გვ. 126-144 (http://cyberleninka.ru/article/n/the-byzantine-commonwealth-and-the-international-status-of-the-georgian-political-units-in-the-first-half-of-the-10th-century).

[2] ამასთან დაკავშირებით სრულიად მიუღებელია აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვით ბიზანტიის ხელისუფლება თურმე მთლიანად აკონტროლებდა X ს. 70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელ მოძრაობას და დავით კურაპალატის მიერ 978 წელს ბაგრატ ბაგრატიონის „აფხაზთა“ სამეფო ტახტზე დასმა, რომლითაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი გადამწყვეტ სტადიაში შევიდა, საერთოდ სანქცირებული იყო ოფიციალური კონსტანტინოპოლის მიერ (იხ.: **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 12-17). ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ.: **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 26-38.

[3] დაწვრ. იხ.: **მ. კახაძე.** ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. თბ., 1954, გვ. 38-41; **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილ-***

საქართველოს „საქმეებისთვის“ იმპერიამ მხოლოდ 1001 წელს მოიცალა, როდესაც დავით კურაპალატის გარდაცვალებისთანავე ბასილი კეისარი დიდი ლაშქრით გამოცხადდა ტაოში და 986-989 წლებში ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაში მონაწილეობის გამო იმიერტაოს ხელმწიფისათვის თავსმოხვეული „ანდერძის“ საფუძველზე, როგორც გარდაცვლილი კურაპალატის „კანონიერმა“ მემკვიდრემ „ჩაიბარა“ ამ უკანასკნელის მთელი მემკვიდრეობა. იმიერტაოს დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო გაერთიანების გზაზე შემდგარი ქართული სახელმწიფოსათვის, თუმცა „აფხაზთა“ მეფის ბაგრატ III-ისა და მისი მამის „მეფეთ-მეფე“ გურგენის ტანდემმა ამ ეტაპზე წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა და მრისხანე იმპერატორს სრული ლოიალობა გამოუცხადა. თავის მხრივ, ბასილი II-მაც არ ჩათვალა მიზანშეწონილად ურთიერთობების გამწვავება მამა-შვილთან, მიღებულით დაკმაყოფილდა და ოფიციალურად ცნო ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წესრიგი საქართველოში. იმპერატორმა ბაგრატ „აფხაზთა“ მეფეს მიანიჭა კურაპალატის ტიტული. ამით ბიზანტიის იმპერატორმა ოფიციალურად აღიარა ბაგრატ III-ის პრიორიტეტი ქართულ პოლიტიკურ სამყაროში.

ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ბიზანტიის საიმპერატორო კარის საკარისკაცო ტიტულების (კურაპალატის, მაგისტროსის თუ ანტიპათოსის) მინიჭება, პირველ რიგში, მიმართული იყო ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისაკენ, ხოლო შემდეგ იმპერიის მხრივ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე ფორმალური სიუზერენობის შენარჩუნების მიზნებს ემსახურებოდა.[1] თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ კურაპალატის ტიტულს გარკვეული პოლიტიკური დივიდენდები ტიტულის მიმღები ქართველი ლიდერებისათვისაც მოჰქონდა, რადგან, გარდა იმისა, რომ კურაპალატის მინიჭება საიმპერატორო კარის მხრიდან ზოგადად ერთგვარი მოფერების ფორმაც იყო,[2] ის მნიშვნელოვანწილად მაღლა სწევდა ამ ტიტულის მატარებლის პოლიტიკურ რეიტინგს და ამყარებ-

---

Ма, ტ. V. თბ., 1963, გვ. 32-45; **Н. Ю. Ломоури.** К истории восстания Варды Склира. – *თსუ შრომები*, ტ. 67. თბ., 1957, გვ. 29-31; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 36-39; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 19-45; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 26-31.

[1] **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური.., გვ. 14.

[2] **D. Obolensky.** The Principles and Methods of Byzantine Diplomacy. – *XII Congres Internationale D'Etudes Byzantines.* Ochride, 1961, Rapports II, გვ. 58; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии,* т. II. Тб., 1988, გვ. 323.

და ამ ტიტულის მფლობელის მემკვიდრეობით უფლებებს ტაო-კლარ-ჯეთში.[1] ანუ კურაპალატის ტიტული ერთგვარი „იარლიყი“ იყო „ქართველთა“ სამეფოში პოლიტიკური პირველობის მოპოვებისათვის.

1001 წლის შეთანხმება იმ ეტაპზე არც ქართული მხარისთვის იყო მთლად მიუღებელი. მართალია, კურაპალატის ტიტულის მიღებით ბაგრატ III ფორმალურად აღიარებდა იმპერიის უზენაესობას, რაც რამდენადმე ლახავდა აღზევების გზაზე შემდგარი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მაგრამ ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლის ამ ეტაპზე ამგვარი დიპლომატიური მანევრი ჯერ კიდევ აუცილებელი იყო, რათა ბიზანტიის იმპერიას ხელი არ შეეშალა ქვეყნის შიგნით მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესებისათვის. მართლაც, 1001 წელს ბასილი კეისართან მიღწეულმა შეთანხმებამ უზრუნველყო კონსტანტინოპოლის ნეიტრალიტეტი და საშუალება მისცა ბაგრატ III-ს, დაეგვირგვინებინა თავისი დიდი მამობილის – დავით III კურაპალატის მიერ გაკვალული საქართველოს გაერთიანების საქმე.

აღნიშნულ მოვლენებს ბევრი რამ აქვს საერთო XX-XXI ს. მიჯნის საქართველო-რუსეთის კონფრონტაციასთან. 1992-1993 წლებში რუსეთი, ისევე როგორც ბიზანტია XI ს. დამდეგს, ღიად არ გამოსულა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, კრემლმა ოფიციალურად ცნო საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტი 1991 წლის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ანუ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ჩათვლით, მაგრამ რეალურად ყველაფერი გააკეთა ამ სეპარატისტული რეგიონების დანარჩენი საქართველოსაგან მოსაწყვეტად და მათზე მოსკოვის სრული კონტროლის („მშვიდობისმყოფელის“ სტატუსით) დასამყარებლად. ამ ეტაპზე უფრო შორს რუსეთის ხელისუფლება არ წასულა. ის დაკმაყოფილდა საქართველოს გაწევრიანებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, რაც უთუოდ ნიშნავდა ურჩი საქართველოს დაბრუნებას რუსულ ორბიტაზე.

როგორც ვნახეთ, პრაქტიკულად იგივე მოიმოქმედა ბიზანტიამ, რომელმაც 1001 წელს ასევე აღიარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი (მართალია, ფორმალურად შეზღუდული, ვინაიდან კურაპალატის ტიტულის მინიჭებით ერთიანი საქართველოს მეფემ ოფიციალურად სცნო იმპერიის სიუზერენიტეტი – ეს თავისი არსით დაახლოებით იგივეა რაც საქართველოს დსთ-ში შესვლა), ოღონდ იმიერ-ტაოს ძირძველი ქართული რეგიონის გამოკლებით. თუმცა განსხვავება ამ ორ ფაქტს შორის მაინც იყო. თუ ბიზანტიის ხელისუფლება, როგორც უკვე აღინიშნა, „ლეგიტიმურად“ (დავით კურაპალატის „ანდერძის“ საფუძ-

[1] **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. III. თბ., 1979, გვ. 173.

ველზე) ისაკუთრებდა მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიას, რუსეთის ხელისუფლება ამ ეტაპზე ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას და ცნობდა თბილისის იურისდიქციას სეპარატისტულ რეგიონებზე.

ანალოგია II

XI ს. დამდეგს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის წარმატებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა აქციებმა (კახეთ-ჰერეთის შემომტკიცება, ძლევამოსილი ლაშქრობა განძაში და სხვ.) ერთი-ორად აამაღლა ახალი ქართული სახელმწიფოსა და მისი ლიდერის საერთაშორისო ავტორიტეტი და ის რეგიონის ყველაზე ძლიერ ხელისუფლად, ხოლო მისი სამეფო ყველაზე ძლევამოსილ სახელმწიფოდ აქცია.[1] ყოველივე ამან კი შექმნა საკმაოდ მყარი საფუძველი ბიზანტიასთან არსებული ურთიერთობის გადასინჯვისათვის. გაერთიანებული (ძირითადად) ქართული სახელმწიფოსათვის, რომელიც მტკიცედ დაადგა პოლიტიკური აღმავლობის გზას და თვითონ აპირებდა ჰეგემონობას რეგიონში, სულაც არ იყო მისაღები სხვა სახელმწიფოს ვასალის (თუნდაც ფორმალური) როლში დარჩენა. უკვე დადგა დრო ბიზანტიას *„ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ეღიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა“*.[2] ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭირო იყო იმპერიასთან 1001 წელს დადებული ხელშეკრულების რევიზია, რაც გულისხმობდა ბრძოლის დაწყებას დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაბრუნებისა და კონსტანტინოპოლის პროტექტორატიდან ქვეყნის გამოყვანისათვის. სწორედ ამ ამოცანის გადაჭრა იტვირთა ბაგრატ III-ის მემკვიდრემ გიორგი I-მა.

ბიზანტიასთან სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია, ბუნებრივია, მოითხოვდა საერთაშორისო ვითარების ზუსტ ანალიზს და სათანადო დიპლომატიურ სამზადისს. გიორგი I-მა სწორად განსაზღვრა გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის დრო (1014-1018 წლები, როდესაც ბასილი II-ის მთელი ყურადღება გადართული იყო ბულგარეთის კამპანიაზე), შეიჭრა იმიერ-ტაოში და დაიკავა იქაური ციხეები. მან მოიმხრო სომეხი მეფე-მთავრები და ჩართო ისინი თავისი საგარეო-პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში. ამას საქართველოს მეფე ძირითადად დიპლომატიური არხებით ახერხებდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ის სამხედრო ძალის გამოყენებასაც არ ერიდებოდა. ასე, მაგალითად: თუ ვასპურაკანის სომხური სამეფოს ანტიბიზანტიურ კოალიციაში ჩართვი-

---

[1] **C. Tumanoff.** The Background to Manzikert. – *The Proceedings of the XIII-th International Congress of Byzantine Studies.* Oxford, 1967, გვ. 425; **ა. აბდალაძე**. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა. თბ., 1982, გვ. 75.

[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. – *საისტორიო ძიებანი,* ტ. III. თბ., 1986, გვ. 22.

სათვის გიორგი I-ისათვის საკმარისი გამოდგა დინასტიური ქორწინება ვასპურაკანის მეფის სენექერიმ არწრუნის ასულ მარიამთან, ანისის სამეფო ტახტზე პროქართული ორიენტაციის პრეტენდენტის ასაყვანად (1017 წელს გაგიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ) საჭირო შეიქნა სამხედრო ჩარევა სომხეთის საშინაო საქმეებში საქართველოს მეფის მხრიდან.[1] გიორგი I უშუალოდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიაში მოქმედ ანტისახელისუფლებო ოპოზიციასთანაც.[2] გიორგი მეფის დიპლომატიის მასშტაბები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მის მიერ ეგვიპტის ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმთან დამყარებულ დიპლომატიურ კონტაქტებში,[3] რომლის მიზანი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ფართო კოალიციის შექმნა იყო.[4]

მიუხედავად ამგვარი სერიოზული დიპლომატიური მზადებისა, გიორგი I-მა მაინც ვერ შეძლო დასახული მიზნის მიღწევა და ის ბიზანტიასთან ჭიდილში დამარცხდა, თუმცა, როგორც ჩანს, გიორგი I-ს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ზრუნვა ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი სამხედრო კამპანიის მოსამზადებლად. გამოთქმულია ვარაუდი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან ბიზანტიის წინააღმდეგ გამოსვლის ახალი გეგმა შეიმუშავა, რომელშიც ოვსეთის ძლიერი სამეფოს ჩართვა იყო გათვალისწინებული.[5] მაგრამ საქართველოს მეფის ეს მცდელობაც ჩაიშალა. მან ვერც თავი გაითავისუფლა ბიზანტიის დიქტატისაგან და ვერც იმიერ-ტაო დაიბრუნა. ეს კი იყო საქართველოს სამეფო კარის ანტიბიზანტიური კურსის სრული კრახი, რომელიც იურიდიულად გააფ-

---

[1] **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა.*** თბ., 1974, გვ. 44-45; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 107-113.

[2] **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია.., გვ. 50, 54; **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა,* ტ. V, გვ. 46-47; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 118-119, 121.

[3] **ბ. სილაგაძე**. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს.-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს.-ის პირველ მეოთხედში. – *ქართული წყაროთმცოდნეობა,* ტ. V. თბ., 1986, გვ. 116; **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის პერიოდში. – *მაცნე,* №4. თბ., 1968, გვ. 121. იაჰია ანტიოქიელის ცნობები უფრო სრულად მოცემულია გ. ბუაჩიძის პუბლიკაციაში (**გ. ბუაჩიძე.** ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“. – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 96-116).

[4] სწორედ ასეთი მასშტაბური დიპლომატიური აქციების გამოა მიჩნეული გიორგი I – აღმოსავლეთში ფართო ანტიბიზანტიური ფრონტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი – პირველ ქართველ მოღვაწედ, რომელიც შეეცადა საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას. იხ.: **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს.., გვ. 125; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი.., გვ. 144.

[5] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 123-138.

ორმა კიდეც გიორგი I-ის ქვრივმა მარიამ დედოფალმა კონსტანტინოპოლში 1028/1029-1030 წლებში[1] დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით *„ერთობისა და სიყვარულისათვის“*.

ეს მოვლენებიც ძალზე წააგავს XX ს. მიწურულისა და XXI ს. დამდეგის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში შექმნილ ვითარებას. მას შემდეგ რაც დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს ვერაფერი შვება მოუტანა მოსკოვის გეოპოლიტიკურ ფარვატერში ყოფნამ, საქართველოს სახელმწიფომ ორიენტაცია ერთნიშნად დასავლეთზე აიღო და პირველი შედეგი უკვე 1999 წელს მიიღო, როდესაც ევთოს მე-6 სამიტზე სტამბოლში, რუსეთი იძულებული შეიქმნა დათანხმებულიყო საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას, რაც ძირითადად აღასრულა კიდეც 2007 წლის მიწურულისათვის.[2] ამავე დროს გააქტიურდა ქართული დიპლომატია საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიმართულებით, რაც რუსეთის ხელისუფლებისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. კრემლის ანტიქართული რიტორიკა განსაკუთრებით გამომწვევი გახდა 2008 წლის თებერვლიდან, როდესაც პრეზიდენტმა ვ. პუტინი ღიად დაიმუქრა თავისი *„საშინაო სამზადისით“* (*«домашние заготовки»)*, იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას ცნობდა. ამასთან, მან პირდაპირ ახსენა ამ კონტექსტში აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“.[3] სრულიად ცხადი იყო, რომ ამ დროიდან რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ეცდებოდა პროვოკაციების მოწყობას საქართველოს მიმართ და მოაწყო კიდეც 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ბ. ივანიშვილის სავსებით სწორი შეფასებით, განახორციელა „გაუგონარი აგრესია“[4] სუვერენული სახელმწიფოს მიმართ.[5]

---

[1] ამ ბოლო დროს ეს მოვლენა 1028/1029-1030 წლებით თარიღდება (ნაცვლად ადრინდელი 1030-1031 წლებისა). იხ.: **გ. ბუაჩიძე.** ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის.., გვ. 104-116.

[2] თუმცა, როგორც ცნობილია, მოსკოვმა ბოლომდე მაინც არ შეასრულა საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულება და არ გაიყვანა სამხედრო ბაზა გუდაუთიდან.

[3] ***Путин:*** *у России есть домашние заготовки в ответ на отделение Косово. – Новый Регион. – Российское информационное агентство.* (http://www.nr2.ru/about/403845.html).

[4] **მ ანთაძე.** ქართველი მილიარდერი სააკაშვილს გამოწვევას უგზავნის (http://foreignpress.ge/?p=18486).

[5] ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი სპეკულიაციები იმის თაობაზე, რომ საომარი ოპერაციების ინიცირება თითქოს მოხდა ქართული მხარის მიერ და 2008 წლის ომის გამჩაღებელია მ. სააკაშვილი და მისი მთავრობა, უკეთეს შემთხვევაში არის პრობლემისადმი სრულიად არაკვალიფიციური მიდგომა, ხოლო უარეს შემთხვევაში კრემლის დანაშაულებრივი ქმედებების „გათეთრების“ მცდელობა, რაც მთლიანად ვ. პუტინის აღვირახსნილ ანტიქართულ პროპაგანდისტულ კამპანიაზე ასხამს წყალს.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი თითქმის სრული ანალოგიაა 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომისა. ისევე როგორც ბიზანტიამ არ იკმარა იმიერტაოს ტერიტორია და ქვეყნის სიღრმეშიც შემოვიდა, რუსული სამხედრო შენაერთებიც გაცდნენ ცხინვალს და ფაქტობრივად მთელი შიდა ქართლი დაიკავეს. უფრო მეტიც, რუსული სამხედრო ნაწილები დაიძრნენ აფხაზეთიდანაც და სამეგრელოს დიდი ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს. 1021-1022 წლების ომის შედეგად ბასილი II-მ იმიერ-ტაო საბოლოოდ შემოიმტკიცა და იქ ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემი“ შექმნა.[1] მართალია, 2008 წლის ომში „გამარჯვების“ შედეგად რუსეთმა მთლად იგივე ვერ მოახერხა და ამ ეტაპზე მხოლოდ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს სახელმწიფოსაგან „ოფიციალურ“ ჩამოცილებას (ამ სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად აღიარების გზით) დასჯერდა, მაგრამ არის დიდი ალბათობა იმისა, რომ უახლოეს პერიოდში (სავარაუდოდ ეს სოჭის ოლიმპიადის შემდეგ ფორსირებულად მოხდება) მოსკოვი შეეცდება „რეფერენდუმის“ მეშვეობით მიიერთოს მიტაცებული ტერიტორიები.

---

[1] იბერიის თემის შექმნის თარიღთან დაკაშირებით ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ამ ადმინისტრაციული ერთეულის საბოლოო ჩამოყალიბება და იქ ოფიციალურად კატეანის დანიშვნა 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომის შემდეგ უნდა მომხდარიყო (**N. Adontz.** Études arméno-byzantines. Lisbonne, 1965, გვ. 170-172; **Р. М. Бартикян.** О феме Иверия. – *Вестник общественных наук АН Армянской ССР*. # 12, 1974, გვ. 68-79; **К. Н. Юзбашян.** Завещание Евстафия Воилы и вопросы фемной администрации «Иверии». – *Византийский временник*. Т. 36. Л.-М., 1974, გვ. 75; **В. П. Степаненко.** К дискуссии о дате образовании фемы Иверия. – *Византийский временник*. № 44, 1983, გვ. 211-214). განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ვ. არუთუნოვა-ფიდანიანს, რომელიც თვლის, რომ „იბერიის“ თემი შეიქმნა 1001 წლის ახლო ხანებში – უშუალოდ დავით კურაპალატის გარდაცვალებისა და ბასილი II-ის მიერ იმიერტაოს დაკავების შემდეგ (**В. А. Арутюнова-Фиданян.** Из истории северо-восточных пограничных областей Византийской империи в XI в. – *Историко-филологический журнал*. № 1, 1972, გვ. 91-101; **В. А. Арутюнова-Фиданян.** Византийские правители фемы «Ивирия». – *Вестник общественных наук АН Армянской ССР*. № 2, 1973, გვ. 63-78; **В. А. Арутюнова-Фиданян.** Еще раз о феме Ивирия. – *Кавказ и Византия*. Ереван, 1979, вып. 1, გვ. 36-55; **В. А. Арутюнова-Фиданян.** Армяно-халкидониты на восточных границах Византийской империи (XI в.). Ереван, 1980, გვ. 100-104, 109-122.). ბოლო დროს, ფაქტობრივად, ამავე შეხედულებას ავითარებს ჯ. სამუშიაც (იხ: **ჯ. სამუშია.** ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – „იბერიის თემის“ დაარსების თარიღისათვის. – *სამეცნიერო პარადიგმები*. კრებული მიძღვნილი ***ნათელა ვაჩნაძის*** 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ.171-183).

შესაძლო ანალოგია.

ჩვენი მსჯელობების კუთხით ძალიან საინტერესოა ის მოვლენებიც, რომლებიც განვითარდა XI ს. 30-50-იან წლებში, როდესაც ბაგრატ IV თავგამოდებით იბრძოდა ბიზანტიის იმპერიის მიერ მიტაცებული იმიერტაოს დაბრუნებისა და კონსტანტინოპოლის „მფარველობიდან" თავის დაღწევისათვის. მან დაარღვია თავისი დედის – მარიამ დედოფლის მიერ კონსტანტინოპოლში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება *„ერთობისა და სიყვარულისათვის"* და კვლავ შეუტია ბიზანტიას. ეს იმიტომ მოხდა, რომ აღნიშნული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ცნო ბიზანტიის იმპერიის უზენაესობა და დინასტიური ქორწინებით განამტკიცა „მშვიდობა და ერთობა" იმპერიასთან, არც ერთი მხარისათვის არ იყო მისაღები. ბიზანტიის იმპერია, რომლებიც აშკარად ექსპანსიონისტურ კურსს ადგა აღმოსავლეთის მიმართ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ამას მეზობელ სომხეთში, იძულებული გახდა (ეს უკვე მესამედ 1001 და 1022 წლების შემდეგ) იურიდიულად ეცნო ბაგრატიონთა მესვეურობით შექმნილი გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს არსებობა და მასზე მხოლოდ თავისი პროტექტორატის დამყარებით დაკმაყოფილებულიყო. რაც შეეხება საქართველოს სამეფოს, კონსტანტინოპოლის შეთანხმებამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ის ურთიერთობა საქართველო-ბიზანტიას შორის, რომლის წინააღმდეგ ასე ენერგიულად გამოდიოდა გიორგი I. ე.ი. „აფხაზთა" და „ქართველთა" მეფის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა კვლავ ექცეოდა იმპერიის გარკვეული კონტროლის ქვეშ და შესაბამისად საქართველო საერთაშორისო არენაზე კვლავ რჩებოდა ბიზანტიის „ქვეყნად".

ძნელია იმის დადგენა, თუ რა კონკრეტულ მიზანს ისახავდა იმპერიის ხელისუფლება საქართველოს მიმართ. შესაძლებელია, კონსტანტინოპოლი დასჯერებოდა საქართველოს მეფის მიერ იმპერატორის უზენაესობის უბრალო აღიარებას და ტაოს მიწების საბოლოო დაპატრონებას, თუმცა ისიც არ არის გამოსარიცხი, რომ იმპერიის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში უფრო აქტიურად ჩარევას და მომავალში მასაც იგივე ბედს უმზადებდნენ, რაც ეწიათ ანისის სამეფოსა და სხვა სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს, როგორც ამას უშვებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.[1] იმავე აზრისაა აკად. მ. ლორთქიფანიძეც, რომელიც ასევე თვლის, რომ ბიზანტიის ხელისუფლება ერთნაირ პოლიტიკას ადგა *„სომხურ-ქართული ქვეყნების მიმართ*

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** ქართული მიწების პოლიტიკური გაერთაინება. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. VI. თბ., 1973, გვ. 26-27; *საქართველოს ისტორია*. დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. I. თბ., 1958, გვ. 146-147.

და მათ იმპერიასთან შეერთებას ცდილობდა“.[1] მათგან განსხვავებით, ალ. აბდალაძეს, გამართლებულად არ მიაჩნია *„X-XI სს-ში საქართველოსა და სომხეთისადმი ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულებათა ერთ სიბრტყეზე დაყენება“* და ასკვნის, რომ ბიზანტიას საქართველოს დაპყრობა პრაქტიკულად არ შეეძლო და ის მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ხელში ჩაგდებას ლამობდა.[2] ჩვენ უფრო ამ თვალსაზრისკენ ვიხრებით და ასევე მიგვაჩნია, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარს საქართველოს მიმართ არ უნდა ჰქონოდა შორს მიმავალი მიზნები და მისგან მხოლოდ თავისი უზენაესობის აღიარებას სჯერდებოდა.

ამას გვაფიქრებინებს ის, რომ, როდესაც იმპერიის მესვეურებს თითქოს საქართველოს ანექსიის შესაძლებლობა მიეცათ, მათ ეს არ განახორციელეს. მხედველობაში გვაქვს საიმპერატორო კარის მიერ ბაგრატ IV-ის შემორიგება XI ს. 50-იან წლებში. იმ ბაგრატისა, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაარღვია „ერთობისა და სიყვარულის“ ხელშეკრულება და დაადგა მკვეთრად გამოხატულ ანტიბიზანტიურ კურსს, რომელსაც, დროგამოშვებით, თითქმის 20 წლის განმავლობაში ატარებდა.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მეფემ არაერთი პრობლემა შეუქმნა იმპერიას აღმოსავლეთში. მათ შორის უთუოდ ყველაზე გამომწვევი იყო ბაგრატ IV-ის აქტიური ჩარევა ე.წ. „სომხეთის საკითხის“ გადაჭრაში 1045 წელს, როდესაც ის გამოეხმაურა ანისის თავკაცთა დიპლომატიურ ინიციატივას და მოინდომა ბიზანტიის გამოძევება ანისის ქვეყნიდან.[3] მაშინ იმპერიის ხელისუფლებამ თავისი კონტრაგენტის – ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით მოახერხა ბაგრატ IV-ის ამ ჩანაფიქრის ჩაფუშვა.[4] მიუხედავად ამგვარი რუდუნებისა, ბაგრატ IV-მ მაინც ვერ მიაღწია მიზანს და ის XI ს. 50-იანი წლების დამდეგს იძულებული შეიქმნა ხლებოდა ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინოპოლში, სადაც „საპატიო ტყვეობაში“ 3 წელი გაატარა. და აი აქ მოხდა ის, რაც 20 წლიანი სამხედრო დაპირისპირების შედეგად ვერ მოახერხა საქართველოს მეფემ. მან ბიზანტიის იმპერატორთან „უმაღლეს დონეზე“ შეხვედრისას შეძლო დაერწმუნებინა იმპერიის ხელისუფლება საქართველოს მეფეს-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან.., გვ. 191.

[2] **ალ. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 265.

[3] ბიზანტიის ინტერესების შესახებ ანისის სამეფოსადმი დაწვრ. იხ.: **К. Н. Юзбашян.** Грузинские послы в Ани 1045 г. – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები.* თბ., 1978; **К. Н. Юзбашян**. Скилица о захвате Анийского царства в 1045 г. – *Византийский временник*, т. 41. М., 1980, გვ. 76-91.

[4] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 160-176; ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა.., გვ. 23-25.

თან კონფრონტაციის შემდგომი გაგრძელების სრულ უპერსპექტივობაში. ამ დროიდან პრინციპულად შეიცვალა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ხასიათი და მათ შორის ფაქტობრივად თანასწორუფლებიანი, სამოკავშირეო ურთიერთობები დამყარდა.[1]

სწორედ ბიზანტიის იმპერატორის ეს გადაწყვეტილება იწვევს გაკვირვებას. აზრი იმის შესახებ, რომ ბაგრატ IV-ის შემორიგება განაპირობა ბიზანტიის ხელისუფალთა სურვილმა, საქართველოს მეფის სახით ჰყოლოდა ძლიერი (ვიდრე ლიპარიტი იყო) მოკავშირე სელჩუკთა წინააღმდეგ, დამაჯერებელი არ არის. გასათვალისწინებელია, რომ ლიპარიტი, ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად მთელი საქართველოს ბატონ-პატრონი შეიქმნა, როგორც *„მატიანე ქართლისაჲს“* ქრონიკიდან ჩანს, მან *„ითხოვა... ძე ბაგრატისი გიორგი,* ***მეფედ, რათა*** *მისცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისა* და ***აკურთხეს მეფედ*** *და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი...“*.[2] ე. ი. ბაგრატის მიერ *„ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“* დატოვებული გიორგი უფლისწული ლიპარიტმა ამჯერად აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა და რუისს მეფედ აკურთხა, თვითონ კი გურანდუხტ დედოფალთან ერთად მას რეგენტად დაუდგა. ამით ლიპარიტმა მიაღწია დასახულ მიზანს – ქვეყნიდან გააძევა მისთვის არასასურველი მეფე – ბაგრატ IV და სახელმწიფოს სათავეში მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი მცირეწლოვანი გიორგი II დააყენა. ამით აღსრულდა ბიზანტიის საიმპერატორო კარის დიდი ხნის ოცნებაც – კონსტანტინოპოლში საპატიო ტყვეობაში მყოფი ურჩი ბაგრატ IV-ის ნაცვლად, საქართველოში იმპერიისათვის სრულიად მისაღები პოლიტიკური რეჟიმი დამყარდა, რომლის სათავეში, ფაქტობრივად, ბიზანტიის უერთგულესი ვასალი ლიპარიტ ბაღვაში დადგა.

ყოველივე ამის შემდეგ გაუგებარი ხდება ბიზანტიის მმართველი წრეების ზრუნვა ბაგრატ IV-ის ხელისუფლების აღდგენისთვის საქართველოში. სრულიად ცხადია, რომ კონსტანტინოპოლში მიღწეული ეს შეთანხმება ბაგრატ IV-ის გარკვეულ დიპლომატიურ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ და ის, ჩვენი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს *„მზაკვრულ ღონისძიებად“*, რომლიდანაც თითქოს *„კარგად ჩანდა, რომ კეისარი საქართველოსაც იმას უმზადებდა, რასაც სომ-*

---

[1] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 205-210; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, გვ. 81-84.

[2] *მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 304.

ხეთის სამეფოს შეამთხვია“ (ნ. ბერძენიშვილი).[1] თუ საიმპერატორო კარს საქართველოს მიმართ („მზაკვრულად“) იგივე ჰქონდა განზრახული, რაც სომხურ სამეფო-სამთავროებს უყო, მაშინ როგორ გავიგოთ ბაგრატის სამშობლოში გამობრუნება და სამეფო ტახტზე მისი უფლებების აღდგენა? განა უფრო ადვილი არ იყო საქართველოს მეფის დატოვება ბიზანტიაში (ანისის მეფე გაგიკ II-სავით) და ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით მთელი ქვეყნის სრულად დაპატრონება?

ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება არსებობდეს – საქართველოს სახელმწიფოს „ჩაყლაპვა“ არ იყო (თუ იმთავითვე არა, ამ ეტაპზე მაინც) ბიზანტიის იმპერიის სტრატეგიული ამოცანა და ის მართლაც სჯერდებოდა ქვეყნის გვირგვინოსანი მეფის მხრიდან უზენაესობის აღიარებას. რასაკვირველია, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო იდეალური ვარიანტი მსოფლიო ბატონობის ამბიციის მქონე იმპერიისათვის, რომლის მესვეურები ამ დროისათვის უკვე ხვდებოდნენ, თუ რა გეოპოლიტიკური სირთულეები შეუქმნა მათ სახელმწიფოს ანისის სომხური სამეფოს გაუქმებამ და ბიზანტიასთან შემოერთებამ – იმპერიას მოეშალა ერთგვარი ბუფერი და უშუალოდ აღმოჩნდა სელჩუკთა ექსპანსიის საფრთხის ქვეშ. სწორედ ეს გარემოება გახდა უმთავრესი მიზეზი იმპერიის მმართველი წრეების მხრიდან ბაგრატ IV-ის შემორიგებისა. მათ აშკარად დაინახეს, თურქ-სელჩუკთა დასავლეთის მიმართულებით ძლევამოსილი ლაშქრობების ფონზე საქართველოს სამეფოსთან – აღმოსავლეთში ერთადერთ ქრისტიანულ სახელმწიფოსთან – შემდგომი კონფრონტაციის სრული უპერსპექტივობა და მასთან კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება ამჯობინეს, რომელიც მოგვიანებით დინასტიური ქორწინებითაც (ბაგრატ IV-ის ასულის მართა-მარიამის მითხოვება მიხეილ დუკასთვის) იქნა განმტკიცებული. სწორედ მარიამ დედოფალი, რომელიც თითქმის 10 წელი იჯდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე (ჯერ როგორც იმპერატორ მიხეილ VII დუკას /1072-1078 წწ./, ხოლო შემდგომ იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიატეს /1078-1081 წწ./ თანამეცხედრე)[2] და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა იმპერიის პოლიტიკურ წრეებში, უნდა ყოფილიყო საქართველო-ბიზანტიის კეთილმეზობლური-სამოკავშირეო ურთიერთობების შემდგომი განმტკიცების მთავარი შემომქმედი.

სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა შენიშნული, რომ უცხოელი პრინცესების გამოჩენას ბიზანტიის ტახტზე თან სდევდა მათ თანა-

---

[1] *საქართველოს ისტორია..*, 1958, გვ. 147.

[2] აღსანიშნავია, რომ მარიამ ბაგრატიონი იყო ერთადერთი უცხოელი პრინცესა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე XI საუკუნეში. იხ.: **З. В. Удальцова.** Дипломатия. – *Культура Византии.* Вторая половина VII-XII вв. М., 1989, გვ. 252.

მემამულეთა გავლენის ზრდა საიმპერატორო კარზე.[1] შესაძლოა, XI ს. 70-80-იან წლებში მარიამ დედოფლის ირგვლივაც შეიკრიბა თანამემამულეთა ჯგუფი, ერთგვარი „ქართული პარტია“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო გრიგოლ ბაკურიანის ძე – პეტრიწონის ქართული სამონასტრო კომპლექსის აღმშენებელი – პიროვნება, რომლის ნამდვილი აღზევება მეტად ნიშანდობლივად ემთხვევა მიხეილ VII დუკასა და მარიამ დედოფლის მმართველობის ხანას და, რომელმაც უშუალოდ გადასცა *„კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“* გიორგი II-ს.[2]

ამრიგად, XI ს. 50-იანი წლების II ნახევრიდან სრული გარდატეხა მოხდა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებში, ამიერიდან საქართველოს სახელმწიფო, ფაქტობრივად, ბიზანტიის იმპერიის თანასწორუფლებიან პარტნიორად იქცა, რისი დადასტურებაც იყო ბაგრატ IV-ისათვის ჯერ ნოველისიმოსისა და სევასტოსის წოდებების, ხოლო მოგვიანებით გიორგი II-ისათვის უმაღლესი ბიზანტიური ტიტულის – კესაროსის მინიჭება.[3]

ასეთია ბიზანტიის იმპერიის აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ ქართული სახელმწიფოს ბრძოლის ზოგადი სურათი. როგორც დავინახეთ, მიუხედავად ოფიციალური კონსტანტინოპოლის პერმანენტული მცდელობებისა, სრული კონტროლი დაემყარებინა საქართველოზე და ექცია ის იმპერიის ყურმოჭრილ ვასალად, საბოლოოდ საიმპერატორო კარი მაინც იძულებული გახდა (საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მთლიანად უკავშირდებოდა სელჩუკთა ექსპანსიის გაძლიერებას) უკან დაეხია, ეცნო ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ტერიტორიების გარკვეული ნაწილიც (კარის ციხე-ქალაქისა მისი შემოგარენის) კი დაებრუნებინა.

ბიზანტიის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, დღევანდელი კრემლის რეჟიმი, ჯერ კიდევ შორსაა მოვლენების ადექვატური შეფასებისაგან და არაფრით არ ეხსნება თავის იმპერიულ სწრაფვას, რადაც არ უნდა დაუჯდეს კვლავ დაეუფლოს საქართველო-კავკასიას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვმა ამ მიზნის მი-

---

[1] **З. В. Удальцова.** Дипломатия, გვ. 252-253.

[2] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 318.

[3] დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში.* თბ., 1991, გვ. 37-40; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида.., გვ. 102-103.

საღწევად სრულიად მცდარი გზა აირჩია. მან ვერ გათვალა საქართველოს როლი და ადგილი რეგიონის გეოპოლიტიკურ განლაგებაში, გეზი აიღო საქართველოს როგორც სახელმწიფოს მოსპობაზე და თბილისზე კონტროლის დამყარებით დანარჩენი სამხრეთ კავკასიის შემომტკიცებაზე. სეპარატისტული ამბოხებები აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" ამ გეგმის განხორციელების საშუალებები იყო. მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ მოცემული გეგმის პირველი ნაწილი თითქოს „წარმატებით" შეასრულა – „გაიმარჯვა" მის მიერ პროვოცირებულ ომში და ურჩ საქართველოს დროებით მოწყვიტა მისი ისტორიული კუთხეები – მაგრამ ვერ მიაღწია მთავარს, ვერ დააჩოქა საქართველო, ხოლო სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარებით სრულ დიპლომატიურ ჩიხშიც მოექცა. ამიტომაა მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის გამარჯვება „პიროსის გამარჯვებად".[1]

ამჟამად რუსეთი, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაშია. მას სამხრეთ კავკასიაში ჰყავს ერთადერთი მოკავშირე – სომხეთი, იქ განთავსებული რუსული სამხედრო ბაზით, რომლის შენახვა მოსკოვს ძალზე ძვირი უჯდება. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" სატელიტი „დამოუკიდებელი სახელმწიფოები" რეგიონში ზოგადი გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით რუსეთს არა თუ არაფერს აძლევს, არამედ საერთოდ წამგებიანია, რადგან გარკვეულ პრობლემებს უქმნის ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც, ფაქტობრივად, სახეზეა რუსული სახელმწიფოებრიობის კოლაფსის ნიშნები.[2] უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში მოსკოვს სერიოზული პრობლემები შეექმნა თვით აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთშიც". აფხაზები სულაც არ აღმოჩნდნენ მორჩილნი და

---

[1] ეს ფორმულა ამ მოვლენასთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა აშშ-ის იმჟამინდელმა თავდაცვის მდივანმა რობერტ გეიტსმა. რადიოსადგურ *„თავისუფლების"* ინფორმაცია: იხ.: *The Georgian Times* (http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=14647&lang=geo); **ზ. პაპასქირი.** საქართველო-რუსეთის ომი და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივები. – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 215. აღნიშნული სტატია სრულად იხ. აგრეთვე: http://iberiana.wordpress.com/afxazeti/perspeqtiva/.

[2] ამ მხრივ მეტად საშიში ვითარებაა დაღესტანში, რომელიც ჩეჩნეთის მოჩვენებითი „მორჯულების" შემდეგ ყველაზე ცხელი წერტილია „რუსულ" კავკასიაში. კრიტიკულ ნიშნულს უახლოვდება (მოახლოებული სოჭის ოლიმპიადის ფონზე) ვნებათა ღელვა ადიღე-ჩერქეზეთშიც, სადაც მოსკოვს სულ უფრო უჭირს აუხსნას ფედერაციის 3 სუბიექტში გადანაწილებულ ერთი (ადიღურ-ჩერქეზული) მოდგმის ხალხს, თუ რატომ შეიძლება „დამოუკიდებელობა" ჰქონდეთ აფხაზებსა და ე.წ. „სამხრეთ ოსებს", ხოლო ჩერქეზებს არ ჰქონდეთ ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თუნდაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

კრემლის ნების უსიტყვო შემსრულებელნი. მათ რამდენიმე მიმართულებით განავითარეს იდეოლოგიური შეტევა[1] და აგრძნობინეს რუსეთის ხელისუფლებას, რომ არ აპირებენ საკუთარი „დამოუკიდებლობის“ დათმობას. სხვათა შორის, აფხაზთა ეს უმადურობა და გამომწვევი ანტირუსული გამოხდომები ძალზე აღიზიანებთ რუს ექსპერტებსა და ანალიტიკოსებს, რომლებიც უკვე ღიად საუბრობენ კრემლის კავკასიური პოლიტიკის კრახზე.[2] ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც ერთ-ერთი ცნობილი რუსი ჟურნალისტის ა. ეპიშევის დასკვნა: *„რა მივიღეთ ჩვენ? მხოლოდ სამხედრო ბაზები. და რისთვის გვჭირდება ისინი, საქართველოს წინააღმდეგ? გამოდის ჩვენ ვომობდით საქართველოსთან აფხაზებისა და ოსებისთვის. იქნებ შევცდით?* ***განა უფრო მომგებიანი არ იქნებოდა გვემეგობრა საქართველოსთან და მოკავშირედ გვყოლოდა მთელი კავკასია“.***[3]

რასაკვირველია, ნამდვილად უფრო მომგებიანი იქნებოდა მეგობრობა საქართველოსთან და მოკავშირედ მთელი კავკასიის ყოლა. დიახ,

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზები კრემლს ძალიან გაუთამამდნენ... – *სააგენტო პირველი.* http://www.pirweli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=85955&Itemid=1. აღნიშნული პუბლიკაციის რუსული ვერსია იხ. წიგნში: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*. Тб., 2012, გვ. 462-475 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf).

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **А. Епифанцев.** Абхазия: необъяснимая щедрость бытия. Грузинский вопрос. – http://www.apn.ru/publications/article22606.htm; **А. Епифанцев.** Опять Абхазия. Как власть делают моноэтничной. – http://konbudenogo.livejournal.com/343081.html?thread=5344041; **А. Епифанцев.** В Абхазии уже построена классическая этнократия. – http://www.iarex.ru/articles/30547.html; **А. Епишев.** Хватит кормить Абхазию! – http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html; **А. Глебов.** Записки из «Страны мертвецов». გამოქვეყნებულია ამ სერიის 7 წერილი. – იხ.: http://in-sider.org/politic/item/67-zapiski-iz-strani-mertvecov.html; http://in-sider.org/politic/item/69-zapiski-iz-strani-mertvecov-2.html; http://in-sider.org/politic/item/77-zapiski-iz-strani-mertvecov-3.html; http://in-sider.org/politic/item/81-zapiski-iz-strani-mertvecov-4.html; http://in-sider.org/politic/item/83-zapiski-iz-strani-mertvecov-5.html; http://in-sider.org/politic/item/87-zapiski-iz-strani-mertvecov-6.html; http://in-sider.org/politic/item/90-zapiski-iz-strani-mertvecov-7.html; **А. Глебов.** Абхазию по распоряжению президента Багапша «зачищают» от русскоязычного населения (http://www.iapm.ru/showpage.php?id=150&h=9) და ა.შ.

[3] *«А что имеем мы? Только лишь военные базы. А для чего они нам, против грузин?* ***Так с Грузией мы воевали из-за абхазов и осетин. Может быть мы ошиблись? Дешевле было бы дружить с Грузией и иметь в союзники весь Кавказ»***. იხ.: **А. Епишев.** Хватит кормить Абхазию! – *Новости России*. http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

უკვე რუსი ანალიტიკოსებიც მიხვდნენ ვ. პუტინის სტრატეგიულ შეცდომას. სწორედ საქართველოა მთლიანად „კავკასიის გასაღები“ (ასე იყო ისტორიულად) და არა სომხეთი, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთზე“. სამწუხაროდ, რუსეთის სახელისუფლებო ელიტა, ჯერჯერობით, ვერაფრით ვერ ითავისებს ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას და საკუთარი გაუთვლელი და უგუნური პოლიტიკური კურსის მძევლად რჩება. ოფიციალური მოსკოვის გაუთავებელი მოწოდებები მსოფლიომ აღიაროს კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილი ე.წ. „ახალი რეალობა“ პრაქტიკულად მთლიანად ბოიკოტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და ამ საკითხში რუსეთი სრულ დიპლომატიურ იზოლაციაშია მოქცეული.

არათუ წამყვანი სახელმწიფოები, არამედ თვით დსთ-ში შემავალი ისეთი სატელიტი ქვეყნებიც კი, როგორიცაა ბელორუსი და სომხეთი, არ უჭერენ რუსეთს მხარს და ის თითო-ოროლა (ფულით მოსყიდული) დოქტატორული რეჟიმებისა (ვენესუელა, ნიკარაგუა) და ოკეანეთის ჯუჯა-სახელმწიფოების (ნაურუ, ვანუატუს[1]) „დიპლომატიური თანადგომის“ იმედად რჩება. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია, მეზობელი სომხეთის მაგალითი, რომლის ლიდერმა მეტად გამომწვევი ანტიმოსკოვური ნაბიჯი გადადგა. მან 2009 წ. ივნისში განსაკუთრებული პატივით მიიღო ერევანში ვიზიტად ჩასული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც კრემლი ღიად დებდა ბრალს ე.წ. „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში“[2] და, არც მეტი არც ნაკლები, დააჯილდოვა ის სომხეთის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – ღირსების ორდენით,[3] ხოლო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართ-

---

[1] ვანუატუს მიერ რამდენიმეჯერ პოზიციის შეცვლა აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ე.წ. „აღიარების“ საკითხის ირგვლივ ნათელი დადასტურებაა იმისა თუ რა ტრაგიკომიკურ სახეს იღებს ს. ლავროვის უწყების დიპლომატიური მანიპულაციები და როგორ სწევს ყოველივე ეს დაბლა რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე.

[2] *Россия будет настаивать на привлечении М. Саакашвили к уголовной ответственности за совершенное преступление*. Заявление председателя Совета Федерации ***Сергея Миронова***. – http://www.garant.ru/news/14219.

[3] მოსკოვისათვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა „ორდენის დებულების“ ის ნაწილი, რომლის თანახმადაც აღნიშნული ჯილდო ენიჭებათ: „**მნიშვნელოვანი წვლილისათვის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში *(«за значительный вклад в дело укрепления мира между народами»)***. – *Армения наградила Саакашвили орденом* Чести. – http://news.mail.ru/politics/2689163/. აღსანიშნავია, რომ სერჟ სარგსიანის ეს დემარში რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში შეფასდა, როგორც არამეგობრული, რუსეთისადმი „შეურაცხმყოფელი“ ნაბიჯი, რომელსაც ***„შეუძლია შექმნას არაჯანსაღი ატმოსფერო რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში“ («может создать непростую атмосферу в российско-армянс-***

ველოს პრეზიდენტს საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა.[1] აი ეს არის საქართველოს მიმართ გატარებული რუსული იმპერიული პოლიტიკის სრული დისკრედიტაცია და კრახი.

ბუნებრივია, ასეთი სიტუაცია დიდ ხანს ვერ გასტანს. მართალია, კრემლში ჯერ კიდევ ეიფორიაში არიან და სჯერათ, რომ დღეს თუ ხვალ მაინც მოახერხებენ საქართველოზე სრული კონტროლის აღდგენას, მაგრამ, რაც დრო გადის, ეს იმედები სულ უფრო ილუზორული ხდება. აშკარაა, რომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც რუსეთი შეძლებს თავისი გავლენის აღდგენას საქართველო-კავკასიაში ეს ღია სამხედრო აგრესია და ქვეყნის ანექსიაა. სხვა მექანიზმები საქართველოს რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნებისა, მით უფრო სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოების არსებობის ფონზე, უბრალოდ წარმოუდგენელია. რაც არ უნდა შეცვალოს რიტორიკა საქართველოს დღევანდელმა (თუ ნებისმიერმა მომავალმა) მთავრობამ რუსეთის მიმართ და რაც არ უნდა დამთმობი გახდეს ის მოსკოვის მიმართ, პრაქტიკულად გამორიცხულია ოფიციალური თბილისი ოდესმე წავიდეს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის მოშლის იურიდიულ გაფორმებაზე.

ასეთ ვითარებაში, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთში მართლაც გონს მოეგონ და გადასინჯონ თვით რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის აბსოლუტურად საზიანო კურსი. ანუ სავსებით შესაძლებელია, რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტოს სეპარატისტული რეგიონებით მანიპულირება, გაწიროს ისინი (როგორც ეს გააკეთა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა XI ს. 50-იანი წლების მიწურულს ლიპარიტ ბაღვაშის მიმართ) და ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების გზით მეტ-ნაკლებად აღიდგინოს თავისი გავლენა კავკასიაში. ეს იქნებოდა სწორი გეოპოლიტიკური გათვლა, რომელიც რუსეთს გაცილებით მეტ პოლიტიკურ (და არა მხოლოდ პოლიტიკურს) დივიდენდებს მოუტანს, როგორც ქვეყნის შიგნით (პირველ რიგში, ჩრდილოეთ კავკასიაში), ისე საერთაშორისო არენაზე.

სხვათა შორის, ამის პირველი ნიშნები გამოჩნდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე დიპლომატიური ბატალიებისას. იმისათვის, რომ მოსკოვს

ких отношениях»). იხ.: **Владимир Гусев**: Наградив Саакашвили Орденом Чести, Армения оскорбила Россию. – *Новости федерации*. 26.06.2009. http://regions.ru/news/2223706/ (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[1] *Михаил Саакашвили стал почетным доктором Ереванского госуниверситета. – РИА НОВОСТИ* (http://ria.ru/world/20090625/175404739.html).

თანხმობა მიეღო ქართული მხარისაგან და ამით დაეძლია უკანასკნელი ბარიერი მსო-ში გაწევრიანების გზაზე, რუსეთის ხელისუფლებას მოუწია მის მიერვე „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად „აღიარებული“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „სუვერენიტეტის“ შემლახველი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, კრემლმა 2008 წ. 26 აგვისტოს (სწორედ ამ დღეს მოხდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად ცნობა) შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტში პირველად დააფიქსირა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრო პუნქტებად ფსოუ და როკი, ხოლო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. „სუვერენული სახელმწიფოების“ ტერიტორია „სავაჭრო კორიდორებად“ გამოაცხადა, რამაც აფხაზური საზოგადოების პატრიოტულად განწყობილი ნაწილის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია.

ასე მაგალითად მთავარი ოპოზიციური ძალის – რესპუბლიკური პარტიის *„აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“* ოფიციალურ განცხადებაში ღიადაა დაფიქსირებული, რომ რუსულ-ქართული შეთანხმება რუსეთის მსო-ში გაწევრიანების თაობაზე *„წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს აფხაზეთის სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, მის რეალიზაციას შეუძლია კონფლიქტის ზონაში, მთლიანად რეგიონში დაძაბულობის ესკალაციამდე მიყვანა.* ***აფხაზეთის დამოუკიდებელი სტატუსის, მისი სუვერენიტეტის ძირის გამოთხრის მცდელობა,*** *ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს,* ***უნდა შეფასდეს როგორც სერიოზული დანაშაული აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი ხალხის წინაშე. ამ შეთანხმებას შეუძლია სერიოზული დარტყმა მიაყენოს აფხაზეთ-რუსეთის განვითარებად ურთიერთობებს“***.[1]

აფხაზი ექსპერტები ღიად აცხადებენ, რომ *„რუსეთ-საქართველოს ორმხრივი შეთანხმება – არის პრეცედენტი, როდესაც პირველად 2008 წლის შემდეგ რუსეთის მიერ დადასტურებულია საქართველოს უფლება ჩვენი საზღვრების მონიტორინგზე და, აქედან გამომდინარე, იურისდიქცია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე... საქართველომ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ვაჭრობა რუსეთთან აფხაზეთის საზღვრებისა და ტერიტორიის იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით*

---

[1] *«...представляет собой серьезную угрозу национальной безопасности Абхазского государства, его реализация способна привести к эскалации напряженности в зоне конфликта, в регионе в целом.* ***Попытка подрыва,*** *от кого бы она ни исходила,* ***независимого статуса Абхазии, ее суверенитета, может быть расценена как серьезное преступление против всего многонационального народа Абхазии. Данное соглашение способно нанести серьезный ущерб развивающимся абхазо-российским отношениям****».* იხ.: *Заявление республиканской партии «Форум Народного Единства Абхазии». – Апсныпресс за 7 ноября* http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=30941 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

შესაძლებელია. პირველად აღიარების შემდეგ რუსეთი ფაქტობრივად ახდენს დეზავუირებას აფხაზეთის იურისდიქციისა მის საზღვრებსა, ტერიტორიასა და მის სუვერენიტეტზე“ (**ლეილა ტანია**).[1]

„რუსეთ-საქართველოს შეთანხმების მომზადების შედეგად ***ჩვენ გავხდით სერიოზული კოპრომისის საგანი****. რუსეთის ამ ნაბიჯმა აჩვენა, რომ კომპრომისები საერთოდ შესაძლებელია“* (**ირინა აგრბა**).[2] აფხაზური ოპოზიციის აღიარებული ლიდერი რაულ ხაჯიმბა განაწყენებულია იმით, რომ *„შეთანხმებაში* ***აფხაზეთი მოხსენიებულია „სავაჭრო დერეფნად“,*** *რითაც* ***იგნორირებულია*** *ჩვენი* ***სახელმწიფოს სახელწოდება“***.[3] კიდევ უფრო შორს მიდის ცნობილი აფხაზი საველე მეთაური, „აფხაზეთის გმირი“, ამჟამად სეპარატისტული პარლამენტის – *„აფხაზეთის სახალხო კრების“* წევრი **ასლან კობახია**, რომლის კომენტარში ღია მუქარის ტონიც კი შეინიშნება: ***„ჩვენი ქვეყანა მოხსენიებულია „სავაჭრო დერეფნად“,*** *რომელიც გადის სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე. ხომ არ დადგება ამ „სავაჭრო დერეფნის“ დაცვის საკითხი, თუ აფხაზეთი არ დაუშვებს მის არსებობას თავის ტერიტორიაზე? როგორ შეიძლება ლაპარაკი რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობაზე აფხაზეთის ტერიტორიის გავლით?* ***იქნებ განვაცხადოთ, რომ ჩვენ არავითარი დერეფანს არ დავუშვებთ?“***.[4]

---

[1] *«Двустороннее Соглашение России и Грузии – прецедент, когда* ***фактически впервые после 2008 г. Россией подтверждается право Грузии на мониторинг и контроль нашей границы, а, следовательно, и юрисдикцию над всей абхазской территорией… Грузия продемонстрировала, что торг с Россией в отношении юрисдикции над границами, а, следовательно, и над территорией Абхазии возможен. Впервые после признания Россия фактически дезавуирует юрисдикцию Абхазии над своей границей, а, следовательно, и ее суверенитет****…*. იხ.: *»Вступление России в ВТО – выгоды и риски. Абхазская точка зрения*. – http://abkhaz-auto.ru/news/6/586/ (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] *«В результате подготовки российско-грузинского соглашения* ***мы оказались предметом серьезного компромисса.*** *Этот шаг России показал, что компромиссы вообще возможны».* იხ.: *Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО.* – http://www.apsnypress.info/news/abkhazskie-eksperty-obsuzhdayut-posledstviya-dlya-respubliki-rossiysko-gruzinskogo-soglasheniya-po-v/ (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] *«В соглашении* ***Абхазию называют «торговым коридором», игнорируя название*** *нашего* ***государства****»*. იხ.: *Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО* (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[4] *«****Наша страна названа «торговым коридором»****, который проходит по железной и автомобильной дороге. Не встанет ли вопрос защиты «торгового коридора», если Абхазия не допустит на своей территории его существования?*

ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი **ინალ ხაშიგი**, აჯამებს რა აფხაზური საზოგადოების რეაქციას რუსეთის მსო-ში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით რუსულ-ქართული შეთანხმების გამო აღნიშნავს: *„ხელისუფლება ჩუმად იგინება, ხოლო* ***საზოგადოება უკიდურესად აღშფოთებულია.*** *ეს როგორ,* ***რუსეთმა არც კი გაგვაფრთხილა, თუნდაც ზრდილობისათვის, აიღო და შეუთანხმდა საქართველოს მსო-ში მიღებასთან დაკავშირებით, რითაც მის მიერვე აღიარებული აფხაზეთი, შეურაცხმოყოფელ ტერმინად „სავაჭრო დერეფანი №1“ აქცია*** *“.*[1]

ეს და სხვა პუბლიკაციები სავსებით არაორაზროვნად მიუთითებენ, რომ რუსულ-აფხაზურ „იდილიურ“ ურთიერთობებში აშკარად გაჩნდა ბზარი და რომ, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც ამას რუსეთის ეროვნული ინტერესები მოითხოვენ), მოსკოვი ნამდვილად გაწირავს აფხაზეთს (კომიკურ „სამხრეთ ოსეთზე“, რომ არაფერი ვთქვათ) და შეეცდება გადასინჯოს თავისი კონფრონტაციული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს თუ ხვალ, მოსკოვი იძულებული გახდება გადასინჯოს საქართველოსთან კონფრონტაციული კურსი, უარი თქვას ე.წ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მის მიერ დეკლარირებულ ყბადაღებულ „ახალი რეალობაზე“, აღიაროს ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და დაამყაროს მასთან კეთილმეზობლური, კონსტრუქციული ურთიერთობა, ისევე როგორც ეს გააკეთა ბიზანტიის იმპერიამ XI ს. 50-80-იან წლებში.

სწორედ მოვლენების ამ სცენარით განვითარება მიგვაჩნია ჩვენ ზემოთაღნიშნულ **შესაძლო ანალოგიად,** როდესაც ვეძებთ ერთგვარ პარალელებს XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიისა და XX ს. მიწურულისა და XXI ს. დამდეგის საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს შორის. მომავალი გვიჩვენებს რამდენად გამართლდება ჩვენი ეს პროგნოზები.

Какая речь может быть о торговле между Россией и Грузией через территорию Абхазии? ***Может, нам стоит заявить о том, что никакого коридора мы не допустим****?»* იხ.: *Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО* (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[1] *«Власть втихую матерится, а* ***общественность до предела возмущена.*** *Как же так, даже не предупредив, хотя бы приличия ради,* ***Россия взяла и согласилась в своих договоренностях с Грузией по поводу принятия ее в ВТО обезличить ею же признанную Абхазию до обидного термина «торговый коридор №1»***.**И. Хашиг.** Застенчивые «коридорные». http://www.ekhokavkaza.com/content/blog/24408769.html, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

საქართველო და ძველი რუსეთი.
IX-XI საუკუნეების I მესამედი[*]

ინფორმაცია ძველ რუსებზე საქართველოში, როგორც ჩანს, გაჩნდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდებოდა ძველი რუსული სახელმწიფო, რომელსაც ხშირად კიევის რუსეთსაც უწოდებენ. ინფორმაციები რუსულ ტომებზე საქართველოში (პირველ ეტაპზე მაინც) ძირითადად ვრცელდებოდა ბიზანტიის იმპერიიდან. ამის ერთგვარ ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ მასალა, რომელიც მოცემულია 626 წელს სკვით-რუსთა კონსტანტინოპოლში ლაშქრობის ამსახველი ერთ-ერთი ბიზანტიური თხზულების გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანში – *„ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა, სპარსთა და სკვითთა ზედა მოსვლისაგან“*.[1] გიორგი მთაწმინდელს ეს თხზულება უთარგმნია ათონის ლავრაში 1042 წელს.[2] მიაჩნიათ, რომ აღნიშნული თხზულების ორიგინალი შეიქმნა VII საუკუნეში ამ მოვლენის თანამედროვისა და უშუალო თვითმხილველის თეოდოროს სინკელის მიერ.[3] მკვლევრებმა განსაკუთრებუ-

---

[*] პირველად დაიბეჭდა: *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, XIV. თბ., 2011, გვ. 57-86 (თანაავტ.: ***როინ მეტრეველი***). იბეჭდება მცირეოდენი (ძირითადად ბიბლიოგრაფიული ხასიათის) დაზუსტებებით.

[1] იხ.: *ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა, სპარსთა და სკვითთა ზედა მოსვლისაგან*. საეკლესიო მუზეუმის გამოცემა ***პ. კარბელაშვილის*** რედ. და ბოლოთქმით. ტფ., 1903.

[2] *Осада Константинополя скифами, кой суть русские, и поход императора Ираклия в Персию. – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.* Вып. 27. Тифлис, 1900, გვ. 1. ძველი რუსული თარგმანები მოღწეულია XV-XVII საუკუნეების ხელნაწერებით (იხ.: *Сказания о Царяграде по древним рукописям.* СПб., 1868, გვ. 11-39; **К. Ф. Калайдович, П. М. Строев** Обстоятельное описание славяно-русских рукописей, хранящихся в Москве в библиотеке гр. ***Ф. А. Толстова***. Москва, 1825. გვ. 124; *Описание церковнославянских рукописных сборников ими. публичной библиотеки*. Сост. ***А. Ф. Бычков***. СПб., 1882, ч. 1. გვ. 73; **Я. Е. Боровский.** Византийские, старославянские и старогрузинские источники о походе русов в VII в. на Царьград. – *Древности славян и Руси.* Москва, 1988, გვ. 114 (http://www.russiancity.ru/fbooks/f2.htm). ვარაუდობენ, რომ ორივე (როგორც ქართული, ისე ძველი რუსული) თარგმანი შესრულებულია სწორედ VII საუკუნის ორიგინალის მიხედვით (**В. Г. Васильевский.** Авары, а не русские, Феодор, а не Георгий: Замечание на статью Х. М. Лопарева. – *Византийский временник*. 1896, т. 3, вып. 1. გვ. УО-92; **Я. Е. Боровский.** Византийские, старославянские и старогрузинские.., გვ. 114).

[3] **В. Г. Васильевский.** Авары, а не русские.., გვ. УО-92; **Я. Е. Боровский.** Византийские, старославянские и старогрузинские.., გვ. 114.

ლი ყურადღება მიაქციეს ქართულ თარგმანში დაცულ შემდეგ განმარტებას: *„მიიღო რაჲ მეფობაჲ ბერძენთაჲ ჰერაკლე, გამორჩევითა და წამებითა ყ˜თა მთავართა და ერისაჲთა, ესოდენ იყო დამდაბლებულ და მოკლებულ ყ˜ივე ძალი სამეუფოჲ საბერძნეთისა ყ˜ით კერძო და შემუსვრილ მრავალ გ ზის სპარსთა მიერ და* ***სკვთთა, ესე იგი არს რუსთა****“*.[1]

აღნიშნული ფრაგმენტის მიხედვით, ტექსტში მოხსენიებული სკვითებისა და რუსების იდენტურობა შენიშნა მ. ჯანაშვილმა. მისი განმარტებით თვით თარგმანის ტექსტშია დადასტურებული, რომ *„**სკვითები,** რომლებმაც გარემოიცვეს კონსტანტინოპოლი **იყვნენ რუსები**, მათი მეფე იწოდებოდა ხაკანად“ («осаждавшие в 626 г. Константинополь **скифы были русские**, государь которых назывался хаканом»)*.[2] ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დადგენილია, რომ ბიზანტიური წყაროების (პატრიარქი ფოტიუსი,[3] ლევ დიაკონი,[4] აგრეთვე მიხეილ ფსელოსი[5] და სხვ.) „სკვითები“ და „ტავროსკვითები“ რუსები არიან.[6]

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების ქართულმა საისტორიო ტრადიციამ ასევე შესანიშნავად იცოდა, რომ ბიზანტიური წერილობითი ძეგლების „სკვითები“, ცალკეულ შემთხვევებში (კონტექსტიდან გამომდინარე), რუსები იყვნენ. უფრო მეტიც ერთ-ერთ ქართულ მატიანეში, კერძოდ, *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“*-ში უშუალოდ ჰპოვა

---

[1] *ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა..*, გვ. 7. ხაზგასმა – ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.)**.

[2] *Осада Константинополя скифами, кой суть русские..*, გვ. 15; **М. Г. Джанашвили.** К материалам по историческим древностям Грузии и России: *Заметки. Переводы и комментарии.* Тифлис, 1912, გვ. 117, ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**

[3] *Две беседы святейшего патриарха Константинопольского Фотия по случаю нашествия россов на Константинополь*. – *Христианское чтение.* 1882, № 9/10. გვ. 419, 425, 432.

[4] **Лев Диакон.** История. Перевод ***М. М. Копыленко***. *Статья* ***М. Я. Сюзюмова***. *Комментарий* ***М. Я. Сюзюмова*, С. *А. Иванова***. Москва, 1988, გვ. 182-183 (http://fs10.www.ex.ua/get/31ee5fea9753d94cd4bd37943d78ffbe/130978415/lev_diakon_istoriya.pdf).

[5] **Михаил Пселл.** Хронография. Перевод и прим. ***Я. Н. Любарского.*** Москва, 1978, გვ. 141, 145, 266 (http://www.pseudology.org/History/Psell_Hronographiya2a.pdf).

[6] **И. Стриттер.** Известия византийских историков, объясняющих Российскую историю древних времен. Ч. 3, СПб., 1870, გვ. 83, 98, 120, 126; *Труды В. Г. Васильевского.* т. 1. СПб., 1908, გვ. 176-400; **Е. І. Соломонік.** Про значення терміна "тавроскіфи". – *Археологічні пам'ятки УРСР.* Київ. 1962, . т. 11. გვ. 110-113; **Я. Е. Боровский.** Византийские, старославянские и старогрузинские.., გვ. 117-118; **М. В. Бибиков.** Византийские источники по истории древней Руси и Кавказа. СПб., 2001, გვ. 126, 130-131, 152, 154-155 და სხვ.

ასახვა ზემოთხსენებულ ბერძნულ თხზულებაში მოთხრობილმა ამბავმა. თამარის მემატიანე, რუსი მთავრის იური ანდრიას ძის უღირს საქციელზე საუბრისას, ერთგვარ პარალელს ავლებს სკვითების კონსტანტინოპოლზე შეტევასთან და აღნიშნავს, რომ ის *„**ხაკან სკვთისა** შემსგავსებულად მოსდგომია აქაცა; მუნ თუ იგი მოადგა დედოფალსა ქალაქთასა, აქა ესე დედოფალსა დედოფალთასა და მეფეთასა“.*[1]

XII-XIII საუკუნეების ქართველ მწიგნობართათვის, რომ რუსები და სკვითები ერთი და იგივე ტომია, დასტურდება თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში მოცემული შემდეგი კომენტარიდანაც: *„და გამოაჩნდებოდეს **რუსსა სკვთურნი** ვითარ ნაღებნი **ბუნებითნი**“.*[2] ი. ცინცაძის აზრით, თამარის ისტორიკოსებს აღნიშნული პასაჟები გიორგი მთაწმინდელის თარგმანიდან უნდა ჰქონოდათ შეთვისებული,[3] თუმცა ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ თამარის მემატიანეები იცნობდნენ *„ღვთისმშობლის მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა, სპარსთა და სკვითთა ზედა მოსვლისაგან“*-ის ბერძნულ ორიგინალს.

რუსების მოხსენიების თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ასევე XI საუკუნეში (1040 წლამდე) ქართულად თარგმნილი[4] მეორე ბერძნული თხზულების *„ცხოვრებაჲ ანდრია სალოსისაჲ“*-ს (შექმნილია X საუკუნეში) ცნობა კონსტანტინოპოლზე რუსების მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.[5] მაგრამ რუსთა ტომი მოხსენიებულია XI საუკუნემდელ თარგმანებშიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაქსიმე აღმსარებლის თხზულების – *„ნეტარისა თალასეს მიმართ“* – X ს. მიწურულს ათონის წმინდა ლავრაში ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შესრულებული თარგმანი, რომელსაც დართული აქვს ხალხთა კლასიფიკაციის ამსახველი თხზულება *“Liber Generation”*. მასში ჩამოთვლილ ხალხთა შორის ვხვდებით რუსებსაც.[6] აკად. კ. კეკელიძე ვარაუდობს,

---

[1] **ბასილი ეზოსმოძღუარი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 120 (ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**).

[2] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 40 (ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**).

[3] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVI სს.). თბ., 1956, გვ. 55.

[4] **კ. კეკელიძე.** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ., 1980, გვ. 435; **ი. ცინცაძე.** ძიებანი.., გვ. 53; **რ. მეტრეველი**. „და მოვიდეს ვარანგნი“. *ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები.* თბ., 1988, გვ. 77.

[5] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების.., გვ. 53.

[6] **კ. კეკელიძე.** ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში. – *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* VII. თბ., 1923, გვ. 5; **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 56.

რომ დედანში რუსები არ ყოფილან მოხსენიებული და ის თვით მთარგმნელს შეუტანია,[1] რაც ი. ცინცაძის სავსებით საფუძვლიანი დასკვნით მეტყველებს იმაზე, რომ *„X საუკუნისათვის საბერძნეთში მოღვაწე ეფთვიმე ათონელისათვის „რუსი“ ცნობილი ხალხია“.*[2]

რუსები მოხსენიებულია შუა საუკუნეების ქართული მწერლობის ორიგინალურ ძეგლებშიც. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა გამოვყოთ სუმბატ დავითის ძის *„ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“*, რომელიც, როგორც ჩანს, იწერებოდა XI ს. I მესამედში.[3] სუმბატ დავითის ძის მიერ „რუსების“ უკომენტაროდ მოხსენიება, მკვლევართა სავსებით მართებული მოსაზრებით მიუთითებს იმაზე, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის ცნებებს „რუსნი“ და „რუსეთი“ არ სჭირდებოდა განმარტება.[4] დამატებით არგუმენტად იმისა, რომ საქართველო-კავკასიაში საკმაოდ კარგად იცნობდნენ რუსებსა და რუსეთს უკვე XI საუკუნისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ იმავე XI ს. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონაცის ცნობა დავით კურაპალატის სამფლობელოების დასაკავებლად ტაოში მოსულ (1001 წ.) იმპერატორ ბასილი II-ის ლაშქარში 6 ათასიანი რუსული რაზმის ყოფნისა და იმ დროისათვის (X ს. 80-იანი წლებიდან) ბიზანტიის იმპერიასა კიევის რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ,[5] რომელზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

---

[1] **კ. კეკელიძე.** ხალხთა კლასიფიკაციისა და.., გვ. 8-9.

[2] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების.., გვ. 56.

[3] ამ თხზულების შექმნის დროისა და ვითარების შესახებ იხ.: **ე. თაყაიშვილი.** სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით ე. თაყაიშვილმა. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 27, თბ., 1949; **გ. არახამია.** სუმბატ დავითის-ძე და მისი ისტორიული თხზულება, – წგნ.: **სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***გ არახამიამ***. თბ., 1990; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 140-149.

[4] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 9; **რ. მეტრეველი**. „და მოვიდეს ვარანგნი“.., გვ. 73.

[5] *Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия.* Перевел с армянского и объясн. ***Н. Эмин.*** Москва, 1864, გვ. 201; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982, გვ. 28. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე მეორე სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის ცნობაც (იხ.: *«Повествование» Вардапета Аристакеса Ластивертци.* Перевод с древнеармянского, вступ., статья и приложения ***К.Н. Юзбашяна.*** Москва, 1968, გვ. 56; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений.., გვ. 28-29). სომხური წერილობითი მემკვიდრეობიდან მკვლევართა ყურადღება მიიქცია აგრეთვე მოვსეს კაღანკატვაცის ნაშრომის

გარდა ბიზანტიურისა და სომხურისა, საქართველოში კარგად უნდა სცოდნოდათ რუსებისა და რუსეთის შესახებ IX-X საუკუნეებში შექმნილი არაბული წერილობითი (იბნ ხორდადბეხი, იბნ ალ-ფაკიხი, იბნ-ფადლანი, ალ-ისტაჰრი, იბნ ჰაუქალი, ალ-მასუდი და სხვ.) მემკვიდრეობაც.[1] სავარაუდოა, რომ საქართველოში ინფორმაცია ძველ რუსებზე და რუსეთზე ვრცელდებოდა უშუალო კონტაქტების მეშვეობით რუსულ სამთავროებთან. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით აქტიური უნდა ყოფილიყო X საუკუნიდან, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში გამოიკვეთა დასავლურ-ქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს გავლენა, ხოლო ძველი რუსული სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა ტამანის ნახევარკუნძული, სადაც აღმოცენდა ტმუტარაკანის რუსული სამთავრო.[2]

გამგრძელებლისა და რედაქტორის მოსე დასხურანელის თხზულებამ, რომელშიც დაფიქსირებულია რუსთა თავდასხმა ბარდავზე. ამის შესახებ იხ.: **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 19.

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **В. В. Бартольд.** Арабские известия о русских. – *Соч.* т. II, ч. I, Москва, 1963; **А. Ю. Якубовский.** Ибн-Мисхавейх о походе русов на Бердаа в, X. - 943-944 гг. – *Византийский временник*.. 1926. Т. XXIV; **В. Ф. Минорский.** Куда ездили древние русы? – *Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы.* Москва, 1964. Т. 1; **В. Ф. Минорский.** Русь и Закавказье (Новые данные). – *Acta orientalia Academiae Scientenarum Hungarikae,* т. III, ч. 3, 1953**; Б. Н. Заходер.** Каспийский свод сведений о Восточной Европе. Ч. 2. *(Булгары, мадьяры, народы Севера, печенеги, русы, славяне)*. Москва, 1967; **А. П. Новосельцев.** Восточные источники о восточных славянах и Руси VI-IX вв. – *Древнерусское государство и его международное значение.* Москва, 1965**; А. П. Новосельцев.** Восточные источники о восточных славянах и Руси VI-IX вв. – *Древнейшие государства Восточной Европы.* 1998 г. Москва, 2000; **С. М. Алиев.** О датировке набегов русов, упомянутых Ибн Исфендияром и Амоли – *Восточные источники по истории народов Юго-Восточной и Центральной Европы.* Москва, 1969; **В. М. Бейлис.** Ал-Масуди о русско-византийских отношениях в 50-гг. X в. – *Международные связи России (до XVII в.).* Москва, 1961; **Т. М. Калинина.** Сведения Ибн Хаукаля о походах Руси времен Святослава. – *Древнейшие государства на территории СССР*: Материалы и исследования. 1975. Москва, 1976; **Т. М. Калинина.** Торговые пути Восточной Европы IX века (по данным Ибн Хордадбеха и Ибн ал-Факиха) – *История СССР*. 1986. № 4 და ა.შ.

[2] ცნობილი რუსი ისტორიკოსის ა. ნასონოვის აზრით, ტმუტარაკანის ქვეყანა კიევის კონტროლქვეშ მოექცა ჯერ კიდევ 944 წლის ახლო ხანებში (იხ.: **А. Н. Насонов.** Тмутаракань в истории Восточной Европы. – *Исторические записки.* Т. 6, 1940, გვ. 91). რ. სკრინიკოვი, რომელსაც იმჟამინდელი „რუსები“ ერთნიშნად ნორმან-ვარიაგებად მიაჩნია, თვლის, რომ 943 წლის ახლო ხანებში ტმუტარაკანში არსებობდა ე.წ. «Норманнская «волость», რომელიც ჯერ კიდევ არ ემორ-

ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს (კოლხეთის, იბერიის, „აფხაზთა“ სამეფოს) შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არსებობდა საკუთრივ სლავურ ტომებში, მათ შორის რუსებშიც. ამას ადასტურებს საქართველოს, კოლხეთის მოხსენიება ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში. კერძოდ, *«Повесть временных лет»*-ის სახელით ცნობილი ძველ რუსულ მატიანეში იაფეტის შვილებს შორის მოხსენიებულია „კოლხისი“,[1] ანუ კოლხეთი.[2] მიაჩნიათ, რომ ძველი რუსული მატიანის ეს მონაკვეთი გადმოწერილია IX ს. ცნობილი ბიზანტიელი ქრონისტის გიორგი ამარტოლის თხზულებიდან,[3] ამდენად, თითქოს უცნობია,

---

ჩილებოდა კიევს (იხ.: **Р. Г. Скринников.** История Российская IX XVII вв. Москва, 1997, გვ. 19 (http://lants.tellur.ru/history/skrynnikov/skr01.htm). მკვლევართა მეორე ნაწილი ტამანის შემომტკიცებას სვიატოსლავის სამხრეთში ლაშქრობებს უკავშირებს, ხოლო სამთავროს შექმნას X ს. მიწურულით ათარიღებს (**В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси. Москва, 1968, გვ. 94). ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических.., გვ. 25.

[1] *Повесть временных лет* по Лаврентьевской летописи 1377 г. Текст и перевод. Подготовка текста ***Д. С. Лихачева,*** пер. ***Д. С. Лихачева*** и ***Б. А. Романова*** под ред. ***В. П. Адриановой-Перетц.*** М.-Л., 1950, ч. I, გვ. 9; **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 58.

[2] არსებობს ძველი რუსული მატიანის ტექსტში მოხსენიებული ამ ეთნონიმის განსხვავებული წაკითხვაც – ***«влехис»:*** *«[А]фету [А] же æша[č] [1] полунощнъæ страны и западн[ъæ] [2 Б]. Мидиæ Алъваньæ . Арвиньæ[3]. Малаæ и Великаæ Кападокиæ . Фефлагони[4]. Галатъ. Влехисъ ...[5]»* (*Повесть временных лет по Лаврентьевскому списку*. *Полное собрание русских летописей*. Томъ первый. Л., 1926-1928 (http://www.history.org.ua/JournALL/e_dzherela/Polnoe_Sobranie_Russkih_Letopisyei/tom_1/1926-1928.pdf). ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.).** მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა და პირველ რიგში ძველი რუსული ტექსტების ისეთი აღიარებული მკვლევარი, როგორიც იყო აკად. დ. ლიხაჩოვი უპირატესობას ანიჭებენ «кольхись»-სს (*Повесть временных лет* по Лаврентьевской летописи 1377 г. ч. I, გვ. 9, 205) და განმარტავენ მას, როგორც კოლხეთი /Колхида/ (იხ. დ. ლიხაჩოვის კომენტარი წგნ.: *Повесть временных лет*. Часть вторая. *Приложения*. Статьи и комментарии ***Д. С. Лихачева***. Под ред. ***В. П. Адриановой-Перетц***. М.-Л., 1950, გვ. 209). ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის განმარტებით რუსული მატიანის **«Колхис»**-ი და «Альвания» არის **«Грузия** и Албания» (იხ.: **В. А. Арутюнова-Фиданян.** Православные армяне в Северо-Восточной Руси – /http://portal-credo.ru/site/index.php?act=lib&id=614/, ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.).**

[3] *«Повесть временных лет»*-ის წყაროების შესახებ იხ.: **П. М. Строев.** О византийском источнике Нестора (Георгии Амартоле). – *Труды и летописи Общества истории и древностей российских.* Москва, 1828, ч. 4б, кн. 1. გვ. 167-183; **А. А. Шахматов.** «Повесть временных лет» и ее источники. – *Труды Отдела древнерусской литературы,* 1940, т. 4, გვ. 9-140; **Д. С. Лихачев.** Великое наследие. Клас-

ნამდვილად ჰქონდა თუ არა გააზრებული მატიანის ავტორს, რომელი ქვეყანა იგულისხმებოდა კოლხეთში.[1] არანაკლებ საინტერესოა „აფხაზებისა“ და „იბერების“ მოხსენიება სლავური ანბანის შემქმნელის კონსტანტინე-კირილეს *„ცხოვრებაში“: «...мы же роды знаемъ книгы умеюще и Богу славу въздающе своимъ езыкомъ къждо. яве же сутъ сии: армени, перси,* ***авазгы, ивери,*** *сугди, гофи, обри, турси, козари, аравляне, египти и инии мнозы».*[2] როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია ის ხალხები, რომლებსაც გააჩნიათ წერილობითი კულტურა და თავიანთ ენაზე ქადაგებენ ქრისტეს მოძღვრებას.[3]

ამრიგად, აქ მოყვანილი მასალები ნათლად მეტყველებენ იმაზე,

сические произведения литературы Древней Руси. «Повесть временных лет» (http://avorhist.narod.ru/publish/great4_5.html).

[1] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების.., გვ. 59.

[2] *Паметъ и житие блаженаго учителя нашего Константина Философа, пръваго наставника словенску езыку*. http://www.krotov.info/acts/09/konstan.html (ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**).

[3] ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი ეწევა ერთგვარ სპეკულაციას და ამ ცნობას იყენებს იმის საბუთად, რომ შუა საუკუნეებში თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს თითქოს საკუთარ (აფსუურ) ენაზე ჰქონდათ საეკლესიო ღვთისმსახურება (**А. Л. Папаскири.** Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей. – *Труды АГУ,* т. VI. Сухуми, 1988). სინამდვილეში, საყოველთაოდ ცნობილია, რომ იმდროინდელ აფხაზეთში (ანუ „აფხაზთა“ სამეფოში) X საუკუნიდან მაინც ნამდვილად იყო ღვთისმსახურება „**თავის ენაზე**“, მაგრამ **ეს ენა იყო ქართული** და არა თანამედროვე აფხაზური (აფსუური). სხვათა შორის, ეს შესანიშნავად ესმის კონსტანტინეს *„ცხოვრების“* გამომცემელს, ცნობილ რუს მკვლევარს ბ. ფლორიას, რომელიც ზემოთნახსენები თხზულების ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტს ურთავს შემდეგ კომენტარს: *„**აფხაზებს არ ჰქონდათ საკუთარი ანბანი და კონსტანტინემ ისინი შეცდომით მოათავსა თავის ჩამონათვალში... ღვთისმსახურება აფხაზებში აღისრულებოდა ქართულ ენაზე. კონსტანტინემ არ იცოდა რა კავკასიის ენები შეეძლო ეფიქრა, რომ აფხაზები,** რომელთაც, ალბათ, ის შეხვდა ხაზარეთში მოგზაურობისას, თავიანთ ენაზე ეწეოდნენ ღვთისმსახურებას“ («**Абхазы не имели собственной азбуки, и Константин ошибочно включил их в свой перечень, но причиной ошибки было то, что богослужение у абхазов совершалось на грузинском языке**. **Не зная кавказских языков, Константин,** который, вероятно, столкнулся с абхазами во время путешествия в Хазарию,* ***мог решить, что они совершают богослужение на собственном языке»*** *(Пространни жития на Кирил и Методий*. Сказания о начале славянской письменности. Вступительная статья, перевод и комментарии ***Б. Н. Флори***. Москва, 1981, გვ. 136 /http://www.inslav.ru/images/stories/pdf/1981_Skazanija_o_nachale_slavjanskoj_pismennosti.pdf/, ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**).

რომ როგორც საქართველოში, ისე ძველ რუსეთში გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია ერთმანეთზე. რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად შეიძლება ამ მასალებზე დაყრდნობით, ვივარაუდოთ უშუალო კონტაქტების არსებობა ძველ რუსეთსა და ქართულ სამყაროს შორის აღნიშნულ პერიოდში, თუმცა ამის გამორიცხვა ნამდვილად არ შეიძლება.

ძველი რუსული სახელმწიფოს ფორმირება, როგორც ცნობილია, IX საუკუნის მეორე ნახევრისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და უკვე IX-X საუკუნეების მიჯნაზე აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე გაჩნდა საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც იმთავითვე გამოამჟღავნა სწრაფვა თავისი გავლენის განვრცობისაკენ სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. ამან, ბუნებრივია, შეაშფოთა ბიზანტიის იმპერია, რომელიც შეეცადა შეეჩერებინა კიევის რუსეთის წინსვლა შავი ზღვისა და დუნაის სანაპიროების დაუფლებისაკენ. IX ს. მეორე ნახევარსა და თითქმის მთელი X ს. განმავლობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებებს ბიზანტიასა და რუს მთავრებს შორის. ჯერ კიდევ 860 წელს კონსტანტინოპოლი კინაღამ აიღო რუსთა ლაშქარმა ასკოლდისა და დირის მეთაურობით.[1] დაახლოებით ამავე ხანებში (864-884 წწ.)[2] რუსებმა მოაწყვეს მარბიელი ლაშქრობა აბესგუნზე – კასპიის ზღვის სანაპიროზე, რაც, მკვლევართა აზრით, ქრონოლოგიურად, საეჭვოდ ემთხვევა არაბების შეტევას ბიზანტიის იმპერიაზე.[3] 909-910 და აგრეთვე 912-913 წლებში

---

[1] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 58-59. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **А. Н. Сахаров.** «Дипломатическое признание» Древней Руси (860 г.). – *Вопросы истории,* №6. Москва, 1976, გვ. 33-64.

[2] **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение древнерусской дипломатии (IX – первая половина X в.). – *История СССР*. №1. Москва, 1980, გვ. 25,31.

[3] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 59; **Б. Н. Заходер.** Из истории волжско-каспийских связей Древней Руси. – *Советское востоковедетие,* №3. Москва, 1955, გვ. 113-116; **Б. Н. Заходер.** Каспийский свод сведений о Восточной Европе, ч. I. Москва, 1962, გვ. 14-25. განსხვავებულ აზრს ავითარებს ა. სახაროვი, რომელიც უარყოფს აბესგუნზე ლაშქრობის ანტიბიზანტიურ დატვირთვას და მიიჩნევს, რომ ეს ლაშქრობა იყო IX ს. 60-იან წლებში ბიზანტიასა და კიევს შორის დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – დარტყმა მიეყენებინათ ხალიფას ვასალებისათვის კასპიისპირეთში – რეალიზაცია. **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение древнерусской дипломатии.., გვ. 35. ი. კონოვალოვას დაკვირვებით კი რუსთა ეს ლაშქრობა კასპიისპირეთში *«вполне вписывается в ... схему русско-хазарских отношений»* მოცემული პერიოდში (**И. Г. Коновалова**. Походы русов на Каспий и русско-хазарские отношения. – *Восточная Европа в исторической ретроспективе.* Москва, 1999, (http://annals.xlegio.ru/hazar/rus_kasp.htm).

რუსებმა კვლავ დალაშქრეს კასპიის ზღვისპირა მხარეები, კერძოდ, გილიანის, დეილემისა და ტაბარისტანის ქალაქები.[1] უფრო მძლავრი შეტევა განახორციელეს რუსებმა კასპიისპირეთში 943 წელს, როდესაც დაიკავეს ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი ბარდა.[2]

ჯერ კიდევ XIX ს. მიწურულს მ. ტებენკოვი შეეცადა რუსების მიერ კავკასიაში მოწყობილი ლაშქრობები (მისი დათარიღებით 913-914 და 943-944 წწ.) განეხილა კიევის რუსეთ-ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობების ჭრილში. მისი აზრით, ეს ლაშქრობები განხორციელდა რუსეთ-ბიზანტიას შორის დადებული ხელშეკრულებების[3] რაღაც საიდუმ-

---

[1] ა. სახაროვმა გადასინჯა ისტორიოგრაფიაში ადრე არსებული თვალსაზრისი (**В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 99; **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда. Москва, 1963, გვ. 119; **А. Ю. Якубовский.** О русско-хазарских и русско-кавказских отношениях в IX–X вв. – *Известия АН СССР.* 1946. Т. 3. № 5, გვ. 456) და ჩვენის აზრით, სავსებით არგუმენტირებულად დაასკვნა, რომ იმჟამად ადგილი ჰქონდა ორ ლაშქრობას – 909-910 და 912-913 წლებში. **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение древнерусской дипломатии.., გვ. 26.

[2] ამის შესახებ იხ.: **А. Ю. Якубовский.** Ибн-Мисхавейх о походе русов на Бердаа в 332 г Х. – 943-944 гг. – *Византийский временник*. Т. XXIV, 1926. გვ. 88-89; **Н. Я. Половой.** О дате второго похода Игоря на греков и похода русских на Бердаа . – *Византийский временник*. 1958. Т. 14. გვ. 138-147; **Т. М. Калинина.** Древняя Русь и страны Востока в X в. *Средневековые арабо-персидские источники о Руси.* Автореферат канд. дисс. Москва, 1976, გვ. 22-26; **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение.., გვ. 40-44. გარდა არაბი ავტორისა, როგორც უკვე აღინიშნა რუსთა ამ ლაშქრობის შესახებ მასალა მოცემულია აგრეთვე სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კაღანკატვაცის თხზულებაში. მასში მოთხრობილია თუ როგორ გრიგალივით მოვარდა ჩრდილოეთიდან უცხო და უცნობი ხალხი, რომელთაც *„**რუზიკებს** უწოდებდნენ“*. მათ *„გადაიარეს მთელი კასპიის ზღვის [სანაპიროები] და სწრაფად მიაღწიეს ალვანეთის დედაქალაქს პარტავს. არავის შესწევდა ძალა მათი წინააღმდეგობისათვის. [რუზიკებმა] მახვილით გაანადგურეს ქალაქი და იქაურ მცხოვრებთა მთელ ქონებას დაეუფლნენ... უმოწყალოდ დახოცეს ქალები და ბავშვები. ისინი ექვს თვეს დარჩნენ იქ და სრულიად გაძარცული ქალაქი დატოვეს. სასწაულებრივად გადარჩენილნი ... დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში უამრავი ალაფით“* (**მოვსეს კალანკატუაცი.** ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა***. თბ., 1985, გვ. 165. შდრ. **Мовсес Каланкатуаци**. История страны Алуанк. Перевод с древнеармянского ***Ш. В. Смбатяна***. Ереван, 1984, გვ. 169 (http://www.vehi.net/istoriya/armenia/kagantv/index.html), ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**

[3] ამ ხელშეკრულებებზე საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს. ბოლო პუბლიკაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი რუსი ბიზანტინისტის მ. ბიბიკოვის ნაშრომი. იხ.: **М. В. Бибиков.** Русь в византийской дипломатии: *Договоры Руси с греками. X в.– Древняя Русь.* Вопросы медиевистики, 1 (19) 2005 (http://www.drevnyaya.ru/vyp/stat/s1_19_1.pdf).

ლო მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად.[1] უფრო ადრე, რუსების ბარდაზე გალაშქრებასა და კიევის მთავარ იგორის ბიზანტიურ ლაშქრობას შორის გარკვეულ კავშირზე მიუთითებდა ა. კუნიკიც, რომელიც მიიჩნევდა, რომ კასპიისპირეთში ილაშქრეს ბიზანტიაში არშემდგარი ლაშქრობის შემდეგ უსაქმოდ დარჩენილმა იგორის მიერ დაქირავებულმა ვარიაგებმა.[2] აკად. ვ. ბარტოლდიც დასაშვებად მიიჩნევდა გარკვეულ კავშირს 911 წლის ბიზანტია-რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებასა და კასპიისპირეთზე რუსთა თავდასხმებს შორის და ხაზს უსვამდა ამ თავდასხმების საეჭვო დამთხვევას რუსების ბიზანტიურ ლაშქრობებთან.[3] მეორე ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის ა. იაკუბოვსკის აზრით რუსების გალაშქრება ბარდაზე გარკვეულწილად დაკავშირებული იყო იგორის მეორე ლაშქრობასთან კონსტანტინოპოლზე.[4]

ამ საკითხს სპეციალურად შეეხო კიდევ ერთი ცნობილი რუსი მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე ა. ნოვოსელცევი, რომელმაც რუსების კავკასიაში ლაშქრობები განიხილა რუსეთ-ბიზანტია-არაბების ურთიერთობების ფართო ასპექტში და მივიდა დასკვნამდე, რომ 909-910 წლების ლაშქრობა კასპიისპირეთში მიმართული იყო არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ და ეხმიანებოდა კიევის მთავრის ოლეგის ბიზანტიასთან დაახლოების კურსს, 944 წლის ლაშქრობა კი პირიქით, ანტიიმპერიულ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო აღმოსავლეთში ბიზანტიის პოზიციების შესუსტებისაკენ.[5]

ძველი რუსების აღმოსავლეთში ლაშქრობები საგანგებოდ შეისწავლა ა. სახაროვმა, რომელიც ასევე მივიდა დასკვნამდე, რომ IX-X სს.

---

[1] **М. М. Тебенков.** Древнейшие сношения Руси с прикаспийскими странами и поэма «Искандер-наме» Низами как источник для характеристики этих сношений. Тифлис, 1896, გვ. 23-38.

[2] **Б. Дорн.** Поход русских во владения ширваншаха Ахситана по рассказу Хагани – *Каспий: о походах русских в Табаристан с дополнительными сведениями о других их набегах на прибрежия Каспийского моря:* (Приложения к XXVI тому Записок имп. АН). СПб., 1875. № 1, გვ. 421. ამ თვალსაზრისს საეჭვოდ მიიჩნევდა ვ. მინორსკი. იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и.., გვ. 151-152

[3] **В. В. Бартольд.** Арабские известия о русских. – *Советское востоковедетие,* №I. Москва, 1940, გვ. 24; **В. В. Бартольд.** Место Прикаспийских областей в истории мусульманского мира. – *Сочинения.* т. II, ч. I, Москва, 1963, გვ. 684.

[4] **А. Ю. Якубовский.** О русско-хазарских и русско-кавказских.., გვ. 469.

[5] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 99-103.; **А. П. Новосельцев.** Киевская Русь и страны Востока. – *Вопросы истории,* № 5, 1983 გვ. 21-22. ამ საკითხზე საგანგებო მსჯელობაა აგრეთვე ტ. კალინინას საკანდიდატო დისერტაციაში. იხ.: **Т. М. Калинина.** Древняя Русь и страны Востока გვ. 21-31.

რუსთა სამხედრო-პოლიტიკური აქციები კასპიისპირეთში გამომდინარეობდა კიევსა და კონსტანტინოპოლს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან.[1] ამ ბოლო დროს მკვლევრები უფრო შორს მიდიან და მიიჩნევენ, რომ კასპიისპირეთში რუსთა ლაშქრობების კვლევა უნდა მიმდინარეობდეს ეპოქის საერთაშორისო ურთიერთოებების მთელი კონტექსტის გათვალისწინებით. ამ კუთხით კი განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი რუსულ-ხაზარული ურთიერთობებისათვის.[2]

ვფიქრობთ, კავკასიაში ძველ რუსთა ლაშქრობების მოტივების შესახებ რუსულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ეს მოსაზრებები ნამდვილად ანგარიშგასაწევია. რუსთა ეს ლაშქრობები, როგორც ჩანს, ნამდვილად არ იყო უბრალოდ საშოვარზე გასული რაზმების სამხედრო აქცია,[3] არამედ ამ ლაშქრობებს უთუოდ გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური მოტივაცია გააჩნდა.[4] გარდა ამისა, აღნიშნული ლაშქრობები, როგორც ეს გამოარკვია ბ. ზახოდერმა, სავაჭრო-ეკონომიკური საჭიროებებითაც იყო განპირობებული.[5]

აღმოსავლეთის ქვეყნებთან ძველ რუსებს სულ ცოტა IX საუკუნიდან მაინც უნდა ჰქონოდათ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ამას ადასტურებენ როგორც აღმოსავლური წერილობითი წყაროები, ისე, ნუმიზმატიკის მონაცემები.[6] ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის კავკასიასთან ვაჭრობის მთავარ არტერიას წარმოადგენდა გზა, რომელიც ვოლგის მეშვეობით გადიოდა კასპიის ზღვაზე[7] და რომლის დაუფლება კიევის დიდი მთავრების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცა-

---

[1] **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение древнерусской дипломатии.., გვ. 44; **А. Н. Сахаров.** Дипломатия Святослава. Москва, 1982, გვ. 182-191. (http://www.hronos.km.ru/libris/saharov01.html)**;** ამ საკითხზე ლიტერატურის მიმოხილვა იხ.: **А. Н.Сахаров.** Дипломатия Древней Руси. Москва, 1980, გვ. 182-191; **А. П. Новосельцев.** Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. Москва, 1990. გვ. 211-219.

[2] **И. Г. Коновалова.** Походы русов на Каспий…

[3] ეს თვალსაზრისი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში წამოაყენა ვ. გრიგორიევმა, რომელმაც პირველად გააშუქა რუსთა ლაშქრობები კავკასიაში (იხ.: **В. В. Григорьев.** О древных походах руссов на восток. – *Россия и Азия.* СПБ., 1876, გვ. 12). ამავე აზრს ავითარებდა მ. არტამონოვიც (**М. А. Артамонов.** История Хазар, Л., 1962, გვ. 370-371).

[4] **Л. М. Меликсет-Бек.** Из истории русско-армянских отношений. – *Известия АН Армянской ССР.* Общественные науки. №4. Ереван, 1954, გვ. 22-23.

[5] **Б. Н. Заходер.** Из истории волжско-каспийских связей.., გვ. 112-118.

[6] **А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто.** Внешняя торговля Древней Руси до середины XIIIв. – *История СССР*, №3, 1967, გვ. 104.

[7] **А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто.** Внешняя торговля.., გვ. 104.

ნას წარმოადგენდა.[1] რუსი ვაჭრები, რომელთაც გაჰქონდათ სხვადასხვა სახის საქონელი (ბეწვეული, საბრძოლო იარაღი და სხვ.) ზღვით აღწევდნენ კასპიის ზღვის ნებისმიერ სანაპიროზე და იქიდან აქლემებით ჩადიოდნენ ბაღდადში.[2] არაა გამორიცხული, რომ ამ ვაჭრებს მდ. მტკვრით ჩაეღწიათ თბილისშიც,[3] რომელიც, როგორც ცნობილია, ამ დროს ამიერკავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი იყო. ამის ერთგვარ დადასტურებად მიჩნეულია თბილისის ჯაფარიდ ამირათა მიერ მოჭრილი მონეტების აღმოჩენა ისეთ შორეულ რუსულ მხარეებში, როგორიცაა მინსკისა (ამჟამინდელ ბელორუსში) და ფსკოვის ოლქები,[4] თუმცა სავსებით შესაძლებელია რუსულ-ქართული სავაჭრო კონტაქტები აღმოსავლეთის სხვა ქალაქებშიც.

X საუკუნიდან რუს და ქართველ ვაჭართა შეხვედრის ადგილად შეიძლებოდა ქცეულიყო კონსტანტინოპოლიც, სადაც, როგორც ცნობილია, რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ მთელი რიგი პრივილეგიებით,[5] რაც, როგორც ჩანს, დამატებით სტიმულს აძლევდა რუს ვაჭრებს, გაეშალათ თავიანთი საქმიანობა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე და მის ახლო-მახლო ქვეყნებში, თუნდაც საქართველოში. მაგალითად, არ უნდა გამოირიცხოს მათი ყოფნა იმიერტაოში, რომელიც X ს. მიწურულს განიცდიდა ეკონომიკურ აღმავლობას. ამ თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველ რუსეთში აღმოჩენილია დავით III დიდი კურაპალატის მონეტები.[6]

---

[1] სხვათა შორის, ე.წ. „ნორმანული თეორიის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი შვედი არქეოლოგი ტურე არნე იმჟამინდელ ვოლგის მაგისტრალს „ვარიაგთა გზად“, ხოლო ზემო ვოლგისპირეთს „სკანდინავიურ კოლონიად“ მოიხსენიებდა (**Arne T. J.** La Suede et l'Orient. Uppsala, 1914, გვ. 37, 52-54, 222. მითითებულია: **И. В. Дубов.** Спорные вопросы этнической истории северо-восточной Руси IX-XIII веков. *Вопросы истории,* № 5, 1990, გვ. 24 (http://www.russiancity.ru/fbooks/f3.htm).

[2] **А. П. Новосельцев.** Восточные источники о восточных славянах и Руси VI-IX вв.., გვ. 384-385; **Б. Н. Заходер.** Каспийский свод сведений о Восточной Европе, ч. II. Москва, 1967, გვ. 84-85.

[3] **А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто.** Внешняя торговля.., გვ. 107.

[4] **А. К. Марков.** Топография кладов восточных монет (сасанидских и куфических). СПБ., 1910, გვ. 5, 24, 38; **Д. Капанадзе.** Грузинская нумизматика. Тб., 1955, გვ. 52; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 24.

[5] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **А. Н. Сахаров.** Дипломатия Древней Руси. *IX-первая половина X в.* Москва, 1980, გვ. 75, 112-125; 240-241 და ა.შ. **Г. Г. Литаврин.** Условия пребывания древних русов в Константинополе в X в. и их юридический статус. – *Византийский временни,* т. 54, 1993, გვ. 81-92.

[6] **Д. Капанадзе.** Грузинская нумизматика. Тб., 1955, გვ. 51-52.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, კიევის დიდი მთავრები – რიურიკოვიჩები, ყოველნაირად ცდილობდნენ, გაეკონტროლებინათ ვოლგა-კასპიის ზღვის სავაჭრო მაგისტრალი და განევრცოთ თავიანთი გავლენა დონისპირეთზე, ქვემო ვოლგასა და ჩრდილოეთ კავკასიაზე. ტამანის ნახევარკუნძულის შემომტკიცებითა და იქ ტმუტარაკანის რუსული სამთავროს შექმნით ძველი რუსეთი თანდათანობით მიუახლოვდა კავკასიას. პირველი ცნობა კიევის მთავრებსა და კავკასიის ხალხებს შორის კონტაქტისა გვხვდება ძველ რუსულ მატიანეში კიევის დიდი მთავრის სვიატოსლავის ხაზართა სახაკანოზე გალაშქრების პერიპეტიებზე თხრობისას. რუსული მატიანის ცნობით სვიატოსლავმა გაიმარჯვა იასებსა და კოსოგებზე,[1] ანუ ოსებზე და ადიღებზე. მოგვიანებით, დიდი მთავრის ვლადიმირ სვიატოსლავის ძის ხანაში კიევის სახელმწიფომ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გავლენა იმიერკავკასიის გარკვეულ ნაწილზე.[2]

ამ პერიოდში კავკასიის მიმართულებით რუსების გააქტიურებას ადასტურებს ე.წ. *„ალ-ბაბვის ისტორია“* (დარუბანდის საამიროს ისტორიის ამსახველი ქრონიკა), რომლის თანახმადაც 987 წელს რუსები 18 ხომალდით[3] მიადგნენ დარუბანდის ნაპირს და დახმარება აღმოუჩინეს რაისებისაგან (ქალაქის „უხუცესები“, დარუბანდის ქალაქური არისტოკრატია) შევიწროებულ დარუბანდის ემირს მაიმუნ იბნ-მუჰამედს. დარუბანდელებთან შეტაკებისას განადგურდა რუსთა 1 ხომალდის რაზმი, ხოლო დანარჩენი – 17 გაემართა სამხრეთის მიმართულებით – შირვანისაკენ და მიადგა მუღანს.[4] მკვლევართა აზრით კასპიისპირეთში რუსების ეს ლაშქრობაც უნდა განხილულ იქნეს კიევის ხელისუფლების იმჟამინდელი ბიზანტიური პოლიტიკის ჭრილში.[5]

XI საუკუნის დასაწყისიდან ძლიერდება ტმუტარაკანის სამთავრო, რომელსაც სათავეში ედგა ვლადიმირ სვიატოსლავის ძის ვაჟი – მსტისლავი. ამ დროიდან (XI ს. 20-იანი წლებიდან) რუსთა ექსპანსიის არეალში კვლავ მოექცნენ ცალკეული კავკასიური გართიანებები. ძველი რუ-

---

[1] *Повесть временных лет*.., ч. I, გვ. 47; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика.., გვ. 94-95.

[2] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 94-95.

[3] X ს. არაბი ავტორის ალ-მასუდის გამოანგარიშებით ეს ფლოტილია შედგებოდა 1800 კაცისაგან. იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда. Москва, 1963, გვ. 153.

[4] **В. Ф. Минорский.** Русь и Закавказье. Новые данные. – *Acta orientalia Academiae Scientenarum Hungarikae,* т. III, ч. 3, 1953, გვ. 209; **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда.., გვ. 68.

[5] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 103-104; **Т. М. Калинина.** Древняя Русь и страны Востока.., გვ. 29-30; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 26.

სული მატიანე საკმაოდ ხატოვნად აღწერს ტმუტარაკანის მთავარ მსტისლავისა და კოსოგთა (ზიხ-ჯიქ-ადიღთა) ბელადის რედედიის ორთაბრძოლის ისტორიას.[1] ამ ლაშქრობის შედეგად ტმუტარაკანის მთავარმა ხარკი დაუწესა კოსოგებს. ზემოთნახსენები რუსი მეცნიერის ა. ნოვოსელცევის აზრით მსტისლავ ვლადიმირის ძე ფართო მასშტაბის მოღვაწე იყო და ის ცდილობდა რუსთა მძლავრი (კიევისგან დამოუკიდებელი) გაერთიანების შექმნას დონისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.[2]

დაახლოებით იმავე ხანებში დაფიქსირებულია რუსთა კიდევ ერთი ლაშქრობა ამიერკავკასიაში. 1030 წელს რუსთა რაზმებმა ბაქოსთან დაამარცხეს შირვანშაჰი მენუჩიჰრ იბნ-იაზიდი, მიიღეს მონაწილეობა არანში მიმდინარე შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაში, რომლის შემდეგაც რომის (იგულისხმება ბიზანტიის იმპერია) გავლით მობრუნდნენ უკან.[3] ვ. მინორსკი, ამ ცნობის კომენტირებისას, აღნიშნავს, რომ „რუმის“ ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი კავკასიის დასავლეთი ნაწილი, რომლის გავლის შემდეგ რუსები ტმუტარაკანში უნდა დაბრუნებულიყვნენ.[4] აქვე მეცნიერი აზუსტებს ამიერკავკასიაში იმდროისათვის შექმნილ სიტუაციას და აღნიშნავს, რომ 1021-1022 წლებში იმპერატორი ბასილი II ეომებოდა საქართველოს მეფე გიორგი I-ს. 1022 წელს ვასპურაკანის სომეხთა მეფემ ჩააბარა სამეფო ბიზანტიელებს... მომდევნო წელს ბიზანტიელები შეეცადნენ დაესუსტებინათ სომეხთა ჩრდილოეთის სამეფო ანისი.[5]

ამ კომენტარიდან ისე გამოდის, რომ 1030 წლისათვის ბიზანტიის იმპერია მთლიანად აკონტროლებდა ვითარებას სომხეთსა და საქართველოში და თითქოს ეს იყო ერთგვარი პირობა რუსების უსაფრთხო გატარებისა ბიზანტიის კონტროლირებად „დასავლეთ კავკასიის“ ტერიტორიაზე. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ამ შემთხვევაში „რუმის“ ქვეშ საქართველო (და არა „დასავლეთი კავკასია“) იგულისხმებოდეს და რომ

---

[1] *Повесть временных лет*.., ч. I, გვ. 9. აღსანიშნავია, რომ მსტისლავისა და რედედიის შერკინების ამბავი აისახა ყაბარდოელთა თქმულებებში. იხ.: **Ш. Б. Ногмов.** История кабардинского народа (Составленная по преданиям Кабардинцев), Нальчик, 1958, გვ. 120-122.

[2] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 104.

[3] **В. Ф. Минорский.** Русь и Закавказье.., გვ. 209; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 104; **А. Алекперов.** О походах *русов* на Каспий и в Азербайджан (http://archive.is/pRsp8#selection-203.0-1055.307).

[4] **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда..., გვ. 154-155.

[5] *«В 1021-2 гг. император Василий II воевал с грузинским царем Георгием. В 1022 г. армянский царь Васпуракана сдал царство византийцам... В следующий год византийцы старались ослабить северное армянское царство Ани»*. იხ. **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда..., გვ. 155.

არან-შირვანიდან მომავალი რუსები მართლაც შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, საიდანაც გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და გასწიეს ტმუტარაკანისკენ. მაგრამ საეჭვოა, მათ ამ გადაადგილებას რაიმე კავშირი ჰქონდეს ბიზანტიის იმპერიის გავლენასთან „დასავლეთ კავკასიაზე". მართალია, 1021-1022 წლებში გაერთიანებულმა ქართულმა სახელმწიფომ სერიოზული მარცხი იწვნია ბასილი კეისრისაგან, მაგრამ 1027 წლიდან საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები კვლავ უკიდურესად დაიძაბა და ხანგრძლივ სამხედრო კონფრონტაციაში გადაიზარდა (სიტუაცია მხოლოდ 1030-1031 წლისათვის დარეგულირდა).[1]

ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია ბიზანტიელებისთვის საკითხავი ყოფილიყო რუსთა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების საკითხი. თუ ვინმეს უნდა უზრუნველეყო რუს მოლაშქრეთა საქართველოს ტერიტორიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში უსაფრთხო გადასვლა, ეს ალბათ უნდა გაეკეთებინა ერთიანი საქართველოს მეფეს ან თუნდაც კახეთის სამეფოს ადმინისტრაციას.[2] მხოლოდ ამ ორი პოლიტიკური

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 137-148; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს.., გვ. 127-132.

[2] აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ზოგიერთი არაბული წყაროს (ალ-ბალაძური) ცნობას არაბი სარდლის მურვან იბნ-მუჰამმადის (მურვან „ყრუს") მიერ 20 ათასი საკალიბის კახეთ-სანარიაში გადასახლების შესახებ. მეორე არაბი ავტორის ალ-იაკუბის ცნობით კი, 854 წლის ახლო ხანებში საქართველოში შემოსული ბუღა-თურქის მიერ შევიწროებულ სანარიელებს დახმარებისათვის მიუმართავთ რუმის, ხაზარებისა და საკალიბას მმართველებისათვის (**В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда, გვ. 148). მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, არაბული წყაროების საკალიბას ქვეშ სლავები უნდა ვიგულისხმოთ (**А. А. Шахматов.** Древнейшие судьбы русского племени. Пг., 1919, გვ. 34- 37; **П. Н. Третьяков.** Восточнославянские племена. Москва, 1953, გვ. 252; **А. П. Новосельцев.** Восточные источники о восточных славянах и Руси VI-IX вв. – *Древнерусское государство и его международное значение*. Москва, 1965, გვ. 367-371). უფრო მეტიც, ცნობილ გერმანელ მეცნიერს ი. მარკვარტს საერთოდ მიაჩნდა, რომ აქ საქმე გვაქვს ძველი სლავური სახელმწიფოს პირველ დაფიქსირებასთან (**В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда.., გვ. 148). ლ. გუმილიოვის აზრით, საკალიბა არ უნდა იყოს კონკრეტული ეთნონიმის აღმნიშვნელი ტერმინი და მის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ აღმოსავლეთ ევროპის ყველა „ურჯულო", მათ შორის, თანამედროვე რუსების წინაპრებიც (**Л. Н. Гумилев.** Древняя Русь и Великая Степь. Москва, 1990 /http://gumilevica.kulichki.net/ARGS/args205.htm/). ი. კონოვალოვას მიხედვით კი, „საკალიბა" ეტიმოლოგიურად, მართალია, შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც სლავების აღმნიშვნელი ეთნონიმი, მაგრამ ამ ტერმინის ეთნიკური შინაარსი ზოგიერთ არაბულ-სპარსულ ცნობაში მთლად გარკვეული არ არის (*«этническое содержание этого термина в некоторых арабо-персидских известиях о народах Восточной и Центральной Европы не всегда поддаётся*

სუბიექტის წარმომადგენლებთან სათანადო მოლაპარაკებებისა და მათი მხრიდან კეთილი ნების შემდეგ შეეძლოთ გზის გაგრძელება სამშობ-ლოსკენ მიმავალ რუს მეომრებს. ამასთან, სულაც არ იყო აუცილებელი რუსები იმიეკავკასიაში გადასულიყვნენ მაინც და მაინც „დასავლეთ კავკასიაში“. უფრო რეალურად მიგვაჩნია, მათ აერჩიათ დარიალის მარშრუტი. ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია რუსთა და ალანთა სამხედრო თანამშრომლობის ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა სწორედ XI ს. 30-იანი წლების დამდეგს.

1031 წელს რუსები ისევ გამოჩნდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასია-ში. მაშინ არანის მმართველი აბუ-ლ-ფათხ მუსა იბნ ალ-ფადლან იბნ მუჰამედ იბნ შადადი, რომელიც შირვანშაჰის მეუღლის ძმა იყო, თავს დაესხა რუსებს, გაანადგურა მათი დიდი ნაწილი, ხოლო დანარჩენები განდევნა ქვეყნიდან.[1] 1032 წელს ადგილი ჰქონდა უკვე რუსთა და ალანთა ერთობლივ ლაშქრობას კასპიის ზღვის სანაპიროზე. ამჯერად მათ მოარბიეს შირვანის ცალკეული მხარეები, დახოცეს 10 ათასზე მე-ტი კაცი, მაგრამ მობრუნებულზე წააწყდნენ დარუბანდის ემირ მან-სურს, რომელმაც წაართვა მომხვდურთ ტყვეები და ალაფი.[2] 1033

одназначной трактовке». იხ.: *Древняя русь в свете зарубежных источников.* Под редакцией ***Е. А. Мельниковой.*** Часть I. Античные источники – ***А. В. Подосинов.*** Часть II. Византийские источники – ***М. В. Бибиков.*** Часть III. Восточные источники – ***И. Г. Коновалова.*** Часть IV. Западноевропейские источники – ***А. В. Назаренко***. Часть V. Скандинавские источники – ***Г. В. Глазырина, Т. Н. Джаксон, Е. А. Мельникова.*** Москва, 1999, გვ. 172). ამ საკითხზე დაწვრილ. იხ.: **Е. Мишин.** Сакалиба (славяне) в исламском мире в раннее средневековье. Москва, 2002 (აგრეთვე მ. ვასილიევის რეცენზია აღნიშნულ მონოგრაფიაზე ინტერნეტპორტალზე: *Русский архипелаг.* http://www.archipelag.ru/geoculture/langsnpeoples/slavyanstvo/sakaliba); **К. Л. Егоров.** Образование Киевской Руси. Учебное пособие (http://oldru.narod.ru/text_4_2.htm) და ა.შ. კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ თავს შევიკავებთ რაიმე დასრუ-ლებული დასკვნისაგან, თუმცა მიგვაჩნია, რომ, ამ შემთხვევაში, ნაკლებადაა სავარაუდო არაბული წყაროს „საკალიბაში“ სლავები იგულისხმებოდნენ.

[1] **С. Ашурбейли.** Государство Ширваншахов. Баку. 1983, გვ. 87; **А. Алекперов.** О походах *рус*ов на Каспий и в Азербайджан.

[2] **В. Ф**. **Минорский.** История Ширвана и Дербенда..., გვ. 70; **А. Алекперов.** О походах *русов* на Каспий и в Азербайджан. ვ. მინორსკის აზრით, რუსები და ალან-ები შირვანში ზღვით უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ შესაძლოა მათ დაკარგეს ხომალდები და ამის გამო უკან დაღესტანზე გავლით, სახმელეთო გზით მოუწ-იათ დაბრუნება (**В. Ф**. **Минорский.** История Ширвана и Дербенда..., გვ. 70). აზებაიჯანელი მკვლევარი ა. ალეკპეროვი, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ლაშ-ქრობაში რუსებთან ერთად მონაწილეობენ ალანები და სერირელები, არ გამო-რიცხავს მათ მოსვლას შირვანში სახმელეთო გზით. იხ.: **А. Алекперов.** О похо-дах *рус*ов на Каспий и в Азербайджан.

წელს რუსებმა რევანში მოინდომეს, მაგრამ ამჯერად მათ დარუბანდამდეც ვერ მიაღწიეს და დარუბანდელთაგან დამარცხებულნი უკან მობრუნდნენ.[1]

მართალია, ძველი რუსების კავკასიის მიმართულებით ჩატარებული სამხედრო აქციების შესახებ აქ მოყვანილ მასალებში არაა პირდაპირი მითითება მათი ქართულ სამყაროსთან უშუალო კონტაქტების შესახებ, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ქართული პოლიტიკური ერთეულები, XI საუკუნიდან კი – ერთიანი ქართული სახელმწიფო არ შეიძლებოდა მთლიანად იზოლირებული ყოფილიყო ამ მოვლენებისაგან. უფრო მეტიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არაა გამორიცხული, რომ 1030 წლის კამპანიის დასრულების შემდეგ რუსული რაზმები საქართველოს ტერიტორიის გავლით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში.

IX ს. II ნახევარსა და X ს. I მესამედში ძველ რუსთა მიერ განხორციელებული სამხედრო აქციებზე მსჯელობისას, ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება საკითხი იმის შესახებ თუ ვინ არიან ეს რუსები. ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის ირგვლივ არ არის ერთიანი აზრი. მეცნიერთა ნაწილი კასპიისპირეთში მოლაშქრე რუსებს მიიჩნევს არა სლავებად, არამედ ნორმან-ვარიაგებად, რომელთაც არაფერი არ აკავშირებდათ კიევის რუსეთის სახელმწიფოსთან.[2]

თავისთავად ის ფაქტი, რომ რომ ეთნონიმ „რუსის“ ქვეშ იგულისხმებიან არა სლავური წარმომავლობის ტომები, არამედ ნორმან-ვარიაგები[3] დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, თუმცა არც იმის თქმა

---

[1] **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда..., გვ. 70; **А. Алекперов.** О походах *русов* на Каспий и в Азербайджан.

[2] **А. Алекперов.** О походах *русов* на Каспий и в Азербайджан.

[3] ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებელი ჩანს ამ ბოლო დროს რუსულ ისტორიოგრაფიაში გაკეთებული დასკვნა რომ ძველი რუსული სახელმწიფოს სახელწოდების მიმცემი „რუსთა“ ტომი ნორმანულ-სკანდინავიურ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნებოდა, თვალსაზრისი კი ამ ტომის ვითომ სლავური წარმომავლობის შესახებ არის „ისტორიოგრაფიული მითი“, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენს „ისტორიულ ფაქტს“ *(«**Историографический миф об «исконно славянском» племени русь в Среднем Поднепровье перестает играть роль «исторического факта» и становится уделом историографии. Напротив, реальную историческую основу обретают летописные известия о присутствии** там наряду со славянами хазар и **варягов, именовавших себя русью»*** (იხ.: **В. Я. Петрухин.** Славяне, варяги и хазары на юге Руси. К проблеме формирования территории древнерусского государства. – *Древнейшие государства Восточной Европы.* 1992-1993. Москва, 1995, გვ. 117 /http://norse.ulver.com/articles/petruhin/slavs.html/, ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**). აქვე საგანგებოდ გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს ნორმანისტებისა და ანტინორმანისტების გაუთავებელი პოლემიკა იმის შესახებ,

შეიძლება, რომ თავის დროზე მიხეილ ლომონოსოვის მიერ ურაპატრიოტულ ნოტაზე ინიცირებული ანტინორმანული კამპანია თანამედროვე რუსულ, პოლონურ და უკრაინულ ისტოროგრაფიაში ბოლომდე დაძლეულია.[1] როგორც ეს უკვე ზემოთ იყო ნაჩვენები, ჩვენ იქითკენ ვიხრე-

---

ვინ – სკანდინავიიდან მოსული ნორმან-ვარიაგები იყვნენ კიევის რუსეთის სახელმწიფოს შემქმნელები თუ ადგილობრივი სლავური ტომები, ვინაიდან, ნორმან-ვარიაგთა გადამწყვეტი როლი კიევის რუსეთის – **შემდგომში უდავოდ სლავური სახელმწიფოს** – ფორმირებაში ცხადზე უცხადესია. სხვათა შორის, ამას აღიარებენ თვით თანამედროვე რუსი ისტორიკოსები. მაგ. ა. გორსკი აღმოსავლელ სლავებში ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს განიხილავს, როგორც „კონუნგების სახელმწიფოს, ან კონგლომერატს“ («государство или конгломерат конунгов». იხ.: **А. А. Горский.** Государство или конгломерат конунгов. – *Вопросы истории,* № 8, 1999, გვ. 43-52 /https://app.box.com/shared/8j827ikrk1/). ცნობილი რუსი ისტორიკოსი რ. სკრინიკოვი არა მარტო ხაზს უსვამს სკანდინავიური ელემენტის წამყვან როლს ძველი რუსული სახელმწიფოს მშენებლობის საწყის სტადიაზე, არამედ საუბრობს ნორმანთა სამხედრო ორგანიზაციის გადამწყვეტ გავლენაზე „რუსული საზოგადოების ევოლუციაზე“. მეცნიერის აზრით, უკვე XI საუკუნეში „რუსების (რ. სკრინიკოვის შეხედულებით, ნორმანთა – **რ.მ., ზ.პ.**) ასიმილაცია ისე შორს იყო წასული, რომ მოსული (გვიან – **რ.მ., ზ.პ.**) სკანდინავები მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც უცხოელები *(«ассимиляция русов зашла так далеко, что пришлые скандинавы воспринимались ими как чужеземцы»* იხ.: **Р. Г. Скринников.** История Российская IX-XVII вв., გვ. 67). ეთნონიმ „რუსის“ სწორი ინტერპრეტაციისათვის იხ.: **Г. А. Хабургаев.** Этнонимия «Повести временных лет» в связи с задачами реконструкции восточнославянского глоттогенеза. Москва, 1979; **Е. А. Мельникова, В. Я Петрухин.** Название «Русь» в этнокультурной истории Древнерусского государства (IX - X вв.). – *Вопросы истории,* № 8, 1989. გვ. 24-38 (http://www.krotov.info/history/10/meln1988.htm); **Д. А. Авдусин.** Современный антинорманнизм. – *Вопросы истории,* № 7, 1988, გვ. 23-34 (http://ulfdalir.ru/literature/735/3669); **Е. В. Пчелов.** Происхождение династии Рюриковичей. – *Труды Историко-архивного института*, т. 34. Москва, 2000, გვ. 139-183 (http://www.auditorium.ru/books/6107/text.pdf); **И. Н. Данилевский.** Древняя Русь глазами современников и потомков (IX-XII вв.). Курс лекций. Москва, 1998, გვ. 46-61 (http://lukashevichus.info/knigi/danilevski_drevn_rus_glazami.pdf) და ა.შ.

[1] **М. Н. Тихомиров** Происхождение названий «Русь» и «Русская земля». – *Советская этнография,* 1947, т. VI-VII. იხ. აგრეთვე წგნ.: ***М. Н. Тихомиров.*** Русское летописание. Москва, 1979, გვ. 22-48 (http://litopys.org.ua/rizne/spysok/spys05.htm); **Б. А. Рыбаков.** Древние русы. – *Советская археология.* М.,1953. №17. გვ. 23-104; **В. В. Мавродин.** Происхождение названий «Русь», «русский», «Россия». Л., 1958; **А. Г. Кузьмин.** Об этнической природе варягов. – *Вопросы истории,* № 11, 1974, გვ. 54-83; **А. Г. Кузьмин.** Варяги и Русь (http://www.sweden4rus.nu/lib/istorija/text/varjagi_i_rus); **Х. Ловмяньский.** Русь и норманны. Перевод с польского языка ***М. Е. Бычковой***. Москва, 1985 (http://ulfdalir.ulver.com/literature/Lowmianski_Rus.htm); **П. П. Толочко.** Древняя Русь. Киев, 1987, გვ. 31; **М. Ю. Брайчевский.** Русс-

ბით, რომ კასპიისპირეთში განხორციელებული სამხედრო აქციების უკან იდგა ახლად აღმოცენებული კიევის სახელმწიფო, რომელსაც განაგებდნენ სკანდინავიიდან მოსული რუს-ვარიაგი მთავრები და რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სლავური სახელმწიფო.[1]

სწორედ კიევის რუსეთის ფარგლებში დაფუძნებულ ნორმან-სკანდინავიელებს გააჩნდათ გამაგრებული პუნქტების ფართო ქსელი იმპერიის საზღვრებთან,[2] საიდანაც ახორციელებდნენ კიდეც თავიანთ თავდასხმებს კონსტანტინოპოლზე. ამასთან, ვარაუდობენ, რომ პირველ ეტაპზე აღმოსავლეთ ევროპაში არსებობდნენ მყარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული „ხანმოკლე ნორმანული ხაკანატები“ («Недолговечные норманнские каганаты»).[3] როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი ასეთი ნორმანული წარმონაქმნი («Норманнская «волость») არსებობდა ტამატარხა-ტმუტარაკანში, რომელიც საკმაოდ კარგა ხნის მანძილზე არ ემორჩილებოდა კიევს. რ. სკრინიკოვის დაკვირვებით, აქედან დაიძრა ტმუტარაკანის ნორმანი კონუნგი ჰელგი რუს-ნორმანთა რაზმებით კასპიისპირეთში 943 წელს და ააოხრა „ამიერკავკასიის ბაღდადად“ წოდებული – ბარდა.[4] სხვათა შორის, რუსი მეცნიერი უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ შავ ზღვაზე ბიზანტიასთან განცდილი მარცხის შემდეგ „რუსთა მეფე“ ჰელგი მზად იყო დაფუძნებულიყო თავის ახალ

кие названия порогов у Константина Багрянородного. – *Земли Южной Руси в IX-XIV вв.* (История и археология). Киев, 1985 (http://www.balkaria.info/library/b/braichevski/rusnames.htm).

[1] უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი მკვლევარი იქითკენაც, რომ აღნიშნული ლაშქრობები განხორციელებული იყო ძველი რუსეთის სხვა ცენტრებიდან – ჩერნიგოვიდან და აზოვისპირეთიდან. იხ.: **В. М. Бейлис.** О значении сведений средневековых арабских авторов для изучения внешней политики Древней Руси. – *Внешняя политика Древней Руси:* Юбилейные чтения, посвященные 70-летию со дня рождения чл.-корр. АН СССР В. Т. Пашуто. Москва, 19-22 апреля 1988 г. Тезисы докладов. Москва, 1988. გვ. 10; **В. Я. Петрухин.** Походы Руси на Царьград: К проблеме достоверности летописи. – *Восточная Европа в древности и средневековье:* Международная договорная практика Древней Руси. IX Чтения памяти чл.-корр. АН СССР В. Т. Пашуто. Москва, 16-18 апреля 1997 г. Материалы к конференции. Москва, 1997. გვ. 68-69.

[2] **Р. Г. Скринников.** История Российская IX-XVII вв., გვ. 16.

[3] **Р. Г. Скринников.** История Российская IX-XVII вв., გვ. 17.

[4] **Р. Г. Скринников.** История Российская IX-XVII вв., გვ. 22. მ. არტამონოვის აზრით ამ ლაშქრობის ორგანიზატორი იყო კიევის დიდი მთავრის ვოევოდა, ვარიაგი სვენელდი (**М. И. Артамонов**. Воевода Свенельд. – *Культура Древней Руси.* Москва, 1966, გვ. 17. იხ. აგრეთვე: **Г. С. Лебедев.** Эпоха викингов в Северной Европе. Л., 1985, გვ. 247.

სამფლობელოებში კასპიისპირეთში და გადაეტანა იქ თავისი „დედაქალაქი“, მაგრამ *„მცდელობა დაეარსებინა მტკვრის შესართავთან ნორმანული საჰერცოგო წარუმატებელი აღმოჩნდა... ასეთი იყო კონუნგ ჰელგის ბედი, რომელმაც დატოვა კიევი ტამატარხის გამო, ხოლო ტამატარხა ბარდის გამო“.*[1]

ქართველთა და რუსთა (არა აქვს მნიშვნელობა რუს-ვარიაგთა, თუ სლავთა) ურთიერთგაცნობის ადგილად უნდა ქცეულიყო ბიზანტიის იმპერია. ამგვარი კონტაქტები უფრო უნდა გახშირებულიყო X ს. 80-იანი წლებიდან, როდესაც კიევსა და კონსტანტინოპოლს შორის დამყარდა სამოკავშირეო ურთიერთობა და ბიზანტიის საიმპერატორო კარის სამსახურში ჩადგა კიევის დიდი მთავრის ვლადიმირ სვიატოსლავის ძის მიერ გამოგზავნილი რუს-ვარიაგთა 6000-იანი კორპუსი.[2] რუსთა ეს რაზმი დაუპირისპირდა იმპერატორ ბასილი II-ის წინააღმდეგ აჯანყებულებს, რომელთა მხარეზეც იყო იმიერტაოს მმართველის დავით III დიდი კურაპალატის მიერ წარგზავნილი მხედრიონი. როგორც ირკვევა, გადამწყვეტ შეტაკებაში ერთმანეთის პირისპირ დამდგარან ბასილი II-ის რუსები და აჯანყებული ბარდა ფოკას მხარეზე მებრძოლი ქართველები.[3]

---

[1] *«Потерпев неудачу в войне с Византией на Черном море, «царь» русов Хельг готов был осесть в своих новых владениях на Каспийском море и перенести туда свою «столицу»... Попытка основать норманнское герцогство в устье Куры закончилась неудачей... Такой была судьба конунга Хельга, покинувшего Киев ради Таматархи и Таматарху ради Бердаа»*. **Р. Г. Скринников.** История Российская IX-XVII вв., გვ. 22-23. რ. სკრინიკოვი, ამახვილებს რა ყურადღებას ჰელგას „ტმუტარაკანელობაზე“, თვლის, რომ აზრი იმის შესახებ, თითქოს დუნაიდან ამიერკავკასიამდე მთელ სივრცეზე რუსთა ქმედებები იმართებოდა ერთიანი ცენტრიდან – კიევიდან, სიმართლეს არ შეეფერება *(«всеми действиями русов на обширном пространстве от Дуная до Закавказья руководили из единого центра – Киева, не соответствует действительности»).* იხ.: **Р. Г. Скринников.** История Российская IX-XVII вв., გვ. 38.

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **В. Г. Василевский.** Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI – начале XII века. – *Труды В. Г. Василевского*, т. I, СПб, 1908, გვ. 196-210; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси, გვ. 73-78; **А. А. Поппэ.** Политический фон крещения Руси (Русско-византийские отношения в 980-989 годах). – *Как была крещена Русь.* Москва, 1988, გვ. 202-240 (http://www.rustrana.ru/article.php?nid=30733).

[3] *Всеобщая история Степаноса Таронского..*, გვ. 201; **Михаил Пселл**. Хронография. Перевод и прим. ***Я. Н Любарского.*** Москва, 1978, გვ. 10; **მიხეილ ფსელოსი.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. V. თბ., 1963, გვ. 10-12; **В. Г. Василевский.** Варяго-русская и варяго-английская.., გვ. 203.

წყაროებში არის პირდაპირი მითითება იმის თაობაზე, რომ ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის ლაშქრის შემადგენლობაში შემავალი რუსთა ეს კორპუსი იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე – იმიერტაოში. უფრო მეტიც, XI ს. სომეხ ისტორიკოსს სტეფანოს ტარონაცის მოჰყავს უაღრესად საინტერესო ცნობა რუს მეომრებსა და ტაოელ აზნაურებს შორის მომხდარი შეტაკების შესახებ.

ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა 1001 წლის ახლო ხანებში, როდესაც დავით III დიდი კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ტაოში[1] მოვიდა ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II, რათა დაუფლებოდა გარდაცვლილი კურაპალატის მიერ მისთვის „ნაანდერძევ“ იმიერტაოს. აქ შედგა მოლაპარაკებები ერთი მხრივ ბასილი კეისარსა და მეორე მხრივ „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III-სა და მამამის გურგენ „მეფეთ-მეფეს“ შორის. სომეხი ისტორიკოსის თქმით, სწორედ იმ დროს, როდესაც ქართველი მეფეები ტოვებდნენ იქაურობას, იმპერატორის ბანაკში მოხდა ინციდენტი რუს მეომრებსა და დავით კურაპალატის ქვეშევრდომ ტაოელ აზნაურებს შორის. *„ბერძენთა ბანაკში, მოხდა შეტაკება, რაღაც უმნიშვნელო მიზეზის გამო. იქ მოსული იყვნენ დავით კურაპალატის მთავრები და ვასალები, რომლებიც ბანაკიდან შორი-ახლოს იდგნენ.* ***რუზების*** *ქვეითი რაზმის ერთ-ერთ მეომარს მოჰქონდა თივა თავისი ცხენისთვის. მასთან მივიდა ერთ-ერთი ივერიელი და წაართვა მას თივა. მაშინ ამ* ***რუზს*** *წამოეშველა მეორე რუზი. ივერიელმა თავისიანებს უხმო და მათ მოკლეს პირველი* ***რუზი.*** *მაშინ მთელი* ***რუზობა*** *წამოიშალა. ისინი იყვნენ 6000 (ქვეითი), შუბებითა და ფარებით აღჭურვილი. (ისინი) იმპერატორმა ბასილიმ ითხოვა* ***რუსთა*** *მეფისაგან მაშინ, როდესაც მან თავისი და მიათხოვა ამ უკანასკნელს. იმ დროს* ***რუზებმა*** *ირწმუნეს ქრისტე. ტაოს მთავრები და ვასალები გამოვიდნენ მათ* (ე.ი. რუზების – **რ.მ. ზ.პ.**) *წინააღმდეგ და იძლივნეს მათგან. აქ დაიღუპნენ დიდი მთავართა-მთავარი პეტრიარქი, ოჩპოპინტრეს ორი ვაჟი – გაბრიელი და იოვანე, აბუჰარბის შვილიშვილი ჩორთვანელი და ბევრი სხვა. რამეთუ ღვთის რისხვა ეწია მათ თავიანთი პატივმოყვარეობისათვის“.*[2]

---

[1] სომეხი მკვლევარი ი. ატანჯიანი, როგორც ჩანს, იზიარებს რა სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ტაო სომხური პროვინციაა, ამ ფაქტის განხილვისას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უაპელაციოდ აცხადებს: *«В конце X и начале XI века русское войско из 6000 человек находилось* ***в Армении****»*. იხ.: **И. А. Атаджанян.** Из истории русско-армянских взаимоотношений с X по XVIII века. Ереван, 2006, გვ. 39. (ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**).

[2] *«В греческом лагере произошла схватка из-за ничтожной причины. Князья и вассалы Куропалата Давида, прибывшие сюда, стояли недалеко от греческого лагеря. Из пехотного отряда* ***рузов*** *какой-то воин нёс сено для своей лошади. Подошёл к нему один из* ***иверииц****ев и отнял у него сено. Тогда прибежал к* ***рузу***

რუს-ქართველთა ამ შეხლა-შემოხლის შესახებ ცნობა შემოგვინახა მეორე სომეხმა ისტორიკოსმა არისტაკეს ლასტივერტციმაც: *„გარდაიცვალა დავით კურაპალატი, კაცი ძლიერი, ქვეყნის მაშენებელი, გულუხვი და ღატაკთა მოყვარე. მან დაამყარა მშვიდობა, რადგანაც მის დროს ყოველი ადამიანი, თანახმად წინასწარმეტყველისა, განისვენებდა ვაზისა და ლეღვის ხის საფარველ ქვეშ. მისი სიკვდილის შემდეგ ჰორომთა თვითმპყრობელი მეფე ბასილი, თავისი მეფობის ოცდამეხუთე წელს, დაიძრა მძიმედ შეიარაღებული, გამოემართა და მიაღწია ეკეღეაცის გავარს [ისე, რომ] ბევრ ადგილას არც კი შეჩერებულა. ტაოელ აზნაურთა ჯარი შეეგება მას. თითოეული მათგანი ღირსეულად იყო მისგან განდიდებული უხვი ძღვენით. მიაღწიეს რა ძლევამოსილებას, პატივსა და დიდებას, ფრიად განიხარეს. მაგრამ აღსრულდა მათზე სულიწმიდის შთაგონებით მომღერლის, დავითის წინასწარმეტყველება... მეფე გადავიდა აღორის ქვეყანაში და ჰავაჭიჩის ციხის მახლობლად ღამე გაათია. არ ვიცი რა მიზეზით, დასავლეთის ჯარი, რომელსაც* ***რუზები*** *ერქვა და აზნაურთა გუნდი ერთმანეთს შეეტაკნენ... აზნაურთაგან ფრიად საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა. ეს მათ ტყუილუბრალოდ არ შემთხვევიათ, რადგანაც მათ დიდ ხუთშაბათს სასიკვდილო წამალი შეურიეს სასმელს, შეასვეს მას და მოახრჩვეს ნეტარი არსება. ასე განაშორეს [დავითი] სიცოცხლეს. მათ მობეზრდათ მისი არსებობა. [ყოველივე ეს გააკეთეს] იმ დაპირებებისათვის, რომელიც მათ მეფემ აღუთქვა. ამისათვის ღმერთმა სამართლიანად მიუზღო [აზნაურებს] სამაგიერო მათი საქმეების შესაფერისად. ამ დღეს ტაოელთაგან არცერთი აზნაური არ გადარჩენილა. მათ ბოლო მოუღო მოულოდნელმა სიკვდილმა და განაშორა სიცოცხლეს“.*[1]

на помощь другой ***руз***. ***Иверие***ц *кликнул своим, которые, прибежав, убили первого* ***руза***. *Тогда весь народ* ***рузов***, *бывший там, поднялся на бой. Их было 6000 человек пеших, вооруженных копьями и щитами, которых просил царь Василий у царя* ***Рузов*** *в то время, когда он выдал сестру замуж за последнего. В это же самое время* ***Рузы*** *уверовали в Христа. Все князья и вассалы Таикские* (ე.ი. ტაოელი – **რ.მ. ზ.პ.**) *выступили против них и были побеждены. Тут погибли: – великий князь князей, по имени Петриарх, два сына Очопинтре – Габриел и Иоанес, Чортванел внук Абухарба и многие другие: ибо гнев божий тяготел над ними за их высокомерие». Всеобщая история Степаноса Таронского..*, გვ. 201; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 28. (ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**).

[1] **არისტაკეს ლასტივერტელი.** ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა.*** თბ., 1974, გვ. 41. შდრ. *Повествование вардапета Аристакэса Ластивертци*. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарий и приложения ***К. Н. Юзбашяна***, Москва, 1968, გვ. 5 (http://www.vostlit.info/Texts/rus2/Aristakes/frametext1.htm), ხაზგასმა ჩვენია – **რ.მ., ზ.პ.**

ბიზანტიური წყაროები (სკილიცე-კედრენე, იოანე ზონარა), რომლებიც რამდენადმე ბუნდოვნად მოგვითხრობენ ბასილი კეისრის იმიერტაოში მოსვლის ამბავს, არაფერს გვაუწყებენ რუს-ქართველთა შეტაკების შესახებ. არც ქართულ მატიანეებში მოხვდა ინფორმაცია იმიერტაოში რუსთა შენაერთის (ბასილი II-ის ჯარის შემადგენლობაში) ყოფნის შესახებ, თუმცა სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ბიზანტიის იმპერატორისა და ქართველი მეფეების შეხვედრის ფაქტი.[1] ის, რომ სომეხმა ისტორიკოსებმა ჩათვალეს მიზანშეწონილად რუს-ქართველთა დაპირისპირების დაფიქსირება, ხოლო ქართველმა მემატიანეებმა რატომღაც გვერდი აუარეს მას, რამდენადმე გაუგებარია.

ზოგიერთი მკვლევარი ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ ქართული მემატიანეები ძალზე მოკლედ აღწერენ მოვლენებს და თითქოს მათ ამიტომ არ მიიჩნიეს აუცილებლად წმინდა ყოფით (და არა პოლიტიკურ) ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტზე ყურადღების გამახვილება.[2] მაგრამ, ჩვენი აზრით, ვითარება მთლად ასე მარტივად არ უნდა იყოს. სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში აღნიშნული ფაქტის შეტანა, პირველ რიგში, სწორედ რომ პოლიტიკურმა ფაქტორმა განაპირობა, კერძოდ იმან, რომ იმ დროს დაპირისპირება არსებობდა დავით კურაპალატსა და მის ხელქვეით წარჩინებულებს შორის, რომლებიც ღმერთმა დასაჯა (რუსების ხელით) მათ მიერ ჩადენილი ბოროტებისათვის – დავით კურაპალატის მოკვდინებისათვის. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველ მემატიანეებს არ სცოდნოდათ იმჟამინდელი საქართველოს ფაქტობრივი ლიდერის – დავით III დიდი კურაპალატის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია გვეფიქრა, რომ მათ (პირველ რიგში, სუმბატ დავითის ძეს) არანაკლებ ჰქონდათ საფუძველი ემხილათ დავით ბაგრატიონის მკვლელები და თუნდაც ამის გამო დაეფიქსირებინათ იმიერტაოში მომხდარი ინციდენტი. მაგრამ რატომღაც მემატიანეებმა ეს არ გააკეთეს.

სომეხ ისტორიკოსთა, განსაკუთრებით კი სტეფანოს ტარონეცის გათვითცნობიერება ბიზანტია-რუსეთის ურთიერთობებში ირიბი დადასტურებაა იმისა, რომ იმ დროს სომხეთსა და საქართველოშიც პოლიტიკური წრეები საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე და მათთვის არ იყო მოულოდნელი რუს-ვარიაგთა შენაერთის გამოჩენა ბიზანტიურ

---

[1] **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 382.

[2] ასე ფიქრობდა მაგალითად ი. ცინცაძე. იხ.: **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 14.

ლაშქარში. ამიტომაცაა, რომ ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე, ყოველ-გვარი კომენტარის გარეშე აფიქსირებს რუსული რაზმის ყოფნას ბიზანტიელთა ლაშქარში ბასილი II-ის მიერ 1021-1022 წლებში საქართველოს მეფის წინააღმდეგ წარმართული კამპანიის დროს, რაზედაც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება. *„და გამოვიდეს მიერ კერძო **ტაღმანი მეფისანი რუსნი** და არა განერა ერთიცა პირველ მოსრულთა მათ თჳნიერ მცირედთასა, რამეთუ თჳთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი არღარა მისრულ იყო ჯერეთ ყოვლადვე, და მოიკლნეს მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა-იგი მშჳდობის-ყოფა არა ენებათ და მეოტ იქმნნეს ყოველნი“.*[1]

პირველი მკვლევრები, რომლებმაც მიაქციეს ყურადღება სუმბატ დავითის ძის ამ ცნობას იყვნენ დ. ბაქრაძე და მ. ჯანაშვილი. მათ რატომღაც „ტაღმანი მეფისანი რუსნი“ „რუსთა მეფის ტაღმად“ ანუ „რუსთა მეფის რაზმებად“ გაიაზრეს.[2] არადა, სუმბატის ტექსტში, როგორც ზემოთ დავინახეთ, სრულიად გარკვევით წერია, რომ „რუსული რაზმები“ იყვნენ „მეფის“ ანუ ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის ლაშქრის შემადგენლობაში. ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სავსებით დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სუმბატის თხზულებაში დაფიქსირებული „ტაღმანი... რუსნი“ იყვნენ იმ რუს-ვარიაგთა კორპუსიდან, რომელიც 989 წელს ბიზანტია-კიევის რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად იდგა ბიზანტიის იმპერატორის სამსახურში.[3] ამ შემთხვევაში, ხელისშემშლელ გარემოებად ვერ ჩაითვლება ის, რომ ეს ფაქტი არ დასტურდება სხვა წყაროებით, კერძოდ, სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის მონაცემებით, რომელსაც საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომის პერიპეტიები[4] და, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, აფიქსირებს ბიზანტიის იმპერატორის მხარეზე მებრძოლი „ერუზების“ („რუსების“) ტაოში ყოფნას 1001 წელს და მათ შეტაკებას დავით კურაპალატის ქვეშევრდომ აზნაურებთან.

სუმბატ დავითის ძე არ განმარტავს, თუ საიდან და როგორ აღმოჩნდნენ რუსული რაზმები ბასილი კეისრის ლაშქარში, როგორც ამას აკეთებს სტეფანოს ტარონეცი, თუმცა ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ამ საკითხზე ზოგადი წარმოდგენა მასაც ჰქონდა. მ. ჯანაშვილის აზრით, სუმბატ დავითის ძის მიერ მოყვანილი ფაქტი „რუსული

---

[1] **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა.., გვ. 384.

[2] **ვახუშტი.** საქართველოს ისტორია, განმარტებული ***დ. ბაქრაძის*** მიერ. ტფ., 1885, გვ. 147-148; **М. Джанашвили.** Известия грузинских летописей о Северном Кавказе и России. – *СПОМПК*, вып. 22, Тифлис, 1897, გვ. 31.

[3] **В. Г. Василевский.** Варяго-русская и варяго-английская дружина.., გვ. 211-212.

[4] **არისტაკეს ლასტივერტელი.** ისტორია. ქართული თარგმანი.., გვ. 45-52.

რაზმების“ ტაოში ყოფნის შესახებ შეიძლება იყოს 1001 წლის ინციდენტის ანარეკლი და არა 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომის რეალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფაქტს დაადასტურებდა არისტაკეს ლასტივერტციც.[1]

ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ არისტაკეს ლასტივერტცი (ან ნებისმიერი სხვა წყარო) არ აფიქსირებს რუს-ვარიაგთა რაზმის მონაწილეობას 1021-1022 წლების ომში, არ გამოდგება მყარ არგუმენტად ამ პერიოდში საქართველოში რუს-ვარიაგთა ყოფნის უარსაყოფად. იქიდან გამომდინარე, რომ X ს. მიწურულსა და XI ს. I ნახევარში ბიზანტიის საიმპერატორო კარი აქტიურად იყენებდა რუსულ კორპუსს თავის სამხედრო აქციებში,[2] ჩვენ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია იმ მკვლევართა დასკვნა, რომელთაც არ ეეჭვებათ სუმბატ დავითის ძის ცნობის რეალურობა[3] და ასევე სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია კონსტანტინეპოლში მომსახურე რუსულ-ვარიაგული კორპუსის ნაწილების გამოყენება ბასილი II-ის მიერ 1021-1022 წწ. ომის მსვლელობისას.[4] აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით ი. ცინცაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სუმბატის „რუსნი“ შესაძლებელია ყოფილიყვნენ შავ ზღვაზე ალაფის საშოვნელად მოხეტიალე თავისუფალი რაზმებიც.[5]

რუს-ვარიაგთა რაზმის საქართველოში ყოფნასთან (1001 წ.) დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, თავის დროზე, აკად. ვ. ვასილევსკის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომელიც შემდგომ გაიმეორა ი. ცინცაძემაც. რუსი მეცნიერის აზრით, იმიერტაოში რუს-ქართველთა შეტაკების ნამდვილი მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ტაოელ ქართველებს, კერძოდ, დავით კურაპალატის ქვეშევრდომ აზნაურებს თითქოს გულში ედოთ წყენა 989 წელს ბიზანტიაში განცდილი მარცხის გამო.[6] არაა გამორიცხული, რომ ეს მართლაც ასე იყო და „თივის თემა“ მხოლოდ საბაბად იქნა გამოყენებული (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბასილი კეისრის წინააღმდეგ აჯანყებუ-

---

[1] **М. Джанашвили.** Известия грузинских летописей.., გვ. 31.

[2] ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **В. Г. Василевский.** Варяго-русская.., გვ. 196-401.

[3] **В. Г. Василевский.** Варяго-русская.., გვ. 196-210; **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების.., გვ. 10; **ი ჯიჭონაია.** ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის ცნობები საქართველო-ჩრდილოეთის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ. – *საისტორიო ძიებანი.* წელიწდეული. IV. თბ., 2001, გვ. 94.

[4] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических.., გვ. 30;

[5] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 10. შდრ. **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 30. **ი ჯიჭონაია.** ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის ცნობები.., გვ. 92-93.

[6] **В. Г. Василевский.** Варяго-русская.., გვ. 202-203; **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 11-14.

ლი ბარდა ფოკასა და მის მხარეზე მებრძოლი „იბერიელების“ დამარცხებაში, როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი სწორედ რუს-ვარიაგთა კორპუსმა ითამაშა), მაგრამ ვერ დავეთანხმებით დასკვნას, რომ კონფლიქტის მიზეზად იქცა ქართველთა განაწყენება იმის გამო, რომ რუს-ვარიაგთა კორპუსმა ბიზანტიის შეიარაღებულ ძალებში ქართველთა ადგილი დაიკავა.[1]

ამ თვალსაზრისის სისწორე სავსებით საფუძვლიანად დააყენა ეჭვქვეშ აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც საგანგებოდ მიუთითა, რომ ქართველები და რუს-ვარიაგები ბიზანტიელთა სამხედრო აქციებში სხვადასხვა სტატუსით გამოდიოდნენ.[2] მართლაც, თუ რუსთა დაქირავებული კორპუსი 988 წლის შემდეგ მუდმივად იმყოფებოდა ბიზანტიაში დისლოცირებული იყო ძირითადად კონსტანტინოპოლში (აგრეთვე სასაზღვრო ზონებშიც) და ასრულებდა გვარდიის ფუნქციებს,[3] მათგან განსხვავებით იბერიელები არ წარმოადგენდნენ დაქირავებულ ჯარს, ისინი მხოლოდ დროდადრო გამოჩნდებოდნენ იმპერიაში და, პირველ რიგში, ასრულებდნენ თავიანთი ხელისუფლის და არა იმპერატორის დავალებებს. ამის ნათელი დადასტურებაა 978-979 წლების მოვლენები, როდესაც იმიერტაოს ხელმწიფემ დავით III დიდმა კურაპალატმა 12 ათასიანი ჯარი გაუგზავნა ბიზანტიის საიმპერატორო კარს და დაეხმარა მას ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში.[4]

ამრიგად, ბიზანტიის იმპერია ნამდვილად იყო ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი ქართულ პოლიტიკურ სამყაროსა და ძველ რუსეთს შორის. რასაკვირველია, ეს კონტაქტები რამდენადმე ეპიზოდური ხასიათის იყო, მაგრამ მათ მაინც უნდა შეესრულებინა პოზიტიური როლი ორი ქვეყნის ურთიერთგაცნობის საქმეში. უფრო მეტიც, გაძლიერების გზაზე შემდგარი ერთიანი ქართული სახელმწიფოსთვის, რომელიც XI ს. 10-იანი წლებიდან მკვეთრად დაუპირისპირდა ბიზანტიის იმპერიას, არ უნდა ყოფილიყო მთლად მეორეხარისხოვანი, თუ რა ურთიერთობა

---

[1] **В. Г. Василевский.** Варяго-русская.., გვ. 203; **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან.., გვ. 15-16.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** რეცენზია ი. ცინცაძის სადოქტორო დისერტაციაზე: ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVIსს.). – *საქართველოს ისტორიის საკითხები,* ტ. V, თბ., 1971, გვ. 193.

[3] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси.., გვ. 76.

[4] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **Н. Ломоури.** К истории восстания Варды. Склира, – *Труды Тбилисского государственного университета,* № 67. Тб., 1957, გვ. 29-44; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 36-39; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1982, გვ. 19-45; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა.., გვ. 27-31.

ჰქონდა იმპერიას მეზობელ სახელმწიფოებთან, ვინ იყო მისი მოკავშირე, ან კიდევ მტერი, რათა ეს გაეთვალისწინებინა საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებისას. საქართველოს სამეფო კარი, რომ ნამდვილად სწავლობდა საგანგებოდ ბიზანტიის იმპერიის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებს ნათლად გამოჩნდა თუნდაც გიორგი I-ის მეფობის პერიოდში, როდესაც გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფე შეეცადა, შეეკრა კოალიცია იმპერიის ყველა პოტენციურ მოწინააღმდეგესთან (მათ შორის ისეთ შორეულ ქვეყანასთან, როგორიც იყო ეგვიპტე)[1] და მათთან ერთად შებმოდა ბიზანტიის მრისხანე იმპერატორს ბასილი II-ს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულაც არაა გამორიცხული, საქართველოს სამეფო კარი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ჩრდილოეთში, კერძოდ, კიევის რუსეთში არსებულ ვითარებასაც და ამ ქვეყნის ურთიერთობას ბიზანტიის იმპერიასთან. თავის მხრივ, მოსალოდნელია, რომ არც რუსი მთავრებისათვის იქნებოდა ზედმეტი, სცოდნოდათ, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერიას თავის მეზობლებთან და რომელი ქვეყნის წინააღმდეგ შეეძლო გამოეყენებინა კონსტანტინოპოლს რუს-ვარიაგთა რაზმი.

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის პერიოდში, – *მაცნე*, №4. თბ., 1968, გვ. 123-124; **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს.-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს.-ის I მეოთხედში. – *ქართული წყაროთმცოდნეობა,* VI. თბ., 1986, გვ. 108-126; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა.., გვ. 112-113; **გ. ბუაჩიძე.** ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“ – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 96-116.

მანასკერტის ბრძოლა და საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი XI ს. 60-იან წლებსა და 70-იანი წლების დამდეგს*

თურქ-სელჩუკებმა, სელჩუკურმა სამყარომ გარკვეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი, როლი შეასრულა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ოღუზ-სელჩუკთა მომთაბარე ტომებმა მას მერე რაც დატოვეს თავიანთი პირველსაცხოვრისი ცენტრალურ აზიაში და თანდათანობით გადაადგილდნენ დასავლეთის მიმართულებით, უკვე XI ს. შუა ხანებისათვის შექმნეს უძლიერესი სახელმწიფო – დიდ სელჩუკთა სასულთნო,[1] რომელიც ფაქტობრივად გაბატონდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთზე და იქცა მთავარ პოლიტიკურ მოთამაშედ რეგიონში. საქართველო მოექცა სელჩუკთა სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების არეალში იმ დროიდან,[2] როდესაც მათ მიაღწიეს კავკასიის სამხრეთ საზღვრებს.[3] XI ს. 60-იანი წლებიდან კი, სელჩუკები თანმიმდევრულად მიიწევდნენ კავკასიის სიღრმეში და სულ უფრო აძლიერებდნენ ზეწოლას

---

* გამოქვეყნდა: *საისტორიო კრებული.* ტ. I. თბ., 2011, გვ. 26-45. ამჯერად იბეჭდება მცირეოდენი ჩასწორებით.

[1] სელჩუკთა სახელმწიფოს ფორმირების შესახებ იხ.: **А. Ю. Якубовский.** Сельджукское движение и туркмены в XI в. – *Известия* АН СССР. Отд. обществ, наук, №4, 1937; **Б. Н Заходер.** Хорасан и образование государства Сельджуков. – *Вопросы истории*, 1945, №5-6; **С. Г. Агаджанов.** Очерки истории огузов и туркмен Средней Азии IX-XIII вв. Ашхабад, 1969, გვ. 211-220; **Т. Ходжаниязов.** Денежное обращение в государстве Великих Сельджуков. Ашхабад, 1977, გვ. 11-18; **Раис Тамара Т.** Сельджуки. Кочевники – завоеватели Малой Азии. Пер. с англ. ***О. И. Миловой***. Москва, 2004, გვ. 17-35; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1968, გვ. 266-302.

[2] ერთ-ერთი ქართული წყაროს მონაცემებით, ბაგრატ IV ჯერ კიდევ 1029 წლის ახლო ხანებში დასხმია თავს სელჩუკთა რაზმებს (ქრონიკები *და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა.* შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თედო ჟორდანიას მიერ, I. ტფილისი, 1892, გვ. 169), რაც მკვლევრებს რამდენადმე საეჭვოდ მიაჩნიათ. ვარაუდობენ, რომ პირველ შეტაკებას სელჩუკებსა და ქართველებს შორის ადგილი უნდა ჰქონოდა არაუადრეს 1032-1034 წლებისა (**ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ.172-173).

[3] ზოგიერთი სომხური წყაროს (მათეოს ურჰაეცი, ვარდან არეველცი) თანახმად სელჩუკები თითქოს პირველად შემოიჭრნენ კავკასიის სამხრეთ რეგიონებში ჯერ კიდევ 1016 წელს, მაგრამ, როგორც გაარკვიეს მკვლევრებმა, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. რეალურად სელჩუკები კავკასიაში უნდა გამოჩენილიყვნენ 1032-1034 წლებში. იხ.: **С. Г. Агаджанов, К. Н. Юзбашьян.** К истории тюркских набегов на Армению в XI в. – *Палестинский сборник*, 13(76) (1965), გვ. 145-158; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო.., გვ. 165-170.

აქ არსებულ პოლიტიკურ ერთეულებზე, მათ შორის საქართველოზე.

ითვლება, რომ საქართველო-სელჩუკების ურთიერთობები – ეს მხოლოდ და მხოლოდ განუწყვეტელი სამხედრო დაპირისპირებაა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამგვარი შეფასება მთლად მართებული არაა და თვით პერმანენტული სამხედრო შეტაკებების პერიოდშიც კი ადგილი ჰქონდა ერთგვარ შერბილებას საქართველო-სელჩუკების ურთიერთობებში. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი და სელჩუკი ლიდერები პოულობდნენ საერთო ენას და შეთანხმებულად გამოდიოდნენ საერთაშორისო არენაზე. ამგვარი თანამშრომლობის ერთერთ მაგალითად მიგვაჩნია *„მატიანე ქართლისაჲდ“* წოდებულ XI ს. ქართული ქრონიკაში დაფიქსირებული ფაქტი, რომლის მიხედვითაც იკვეთება სამოკავშირეო ურთიერთობები საქართველოს მეფესა და სელჩუკთა სულთან ალფ-არსლანს შორის მანასკერტის ომის წინ.

აქვე საგანგებოდ უნდა განვმარტოთ, რომ ვარაუდი ბაგრატ IV-სა და ალფ-არსლანს შორის ალიანსის შესაძლო დამყარების შესახებ, გამოთქმული გვქონდა ჯერ კიდევ 1991 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში,[1] რომელიც წარმოადგენდა ჩვენი სადოქტორო დისერტაციის[2] III თავს. მოგვიანებით, ეს თვალსაზრისი დაფიქსირდა რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაშიც.[3] მიუხედავად ამისა, აღნიშნული ჰიპოთეზა, სამწუხაროდ, პრობლემით დაინტერესებული მკვლევრების ყურადღების მიღმა დარჩა.[4] ამ გარემოებამ გვიბიძგა, სპეციალური მოხსენებით (მას-

---

[1] **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში.* თბ., 1991, გვ. 20-24.

[2] **З. В. Папаскири.** Международное положение средневековой Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). – Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада. Тб., 1991.

[3] **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, гз. 92-95 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29903/1/OtDavidaDoDavida.pdf).

[4] ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გ. ალასანიას სტატია, რომელიც საგანგებოდ ეხება სულთან ალფ-არსლანის ლაშქრობებს საქართველოში და რომელშიც სრულიად იგნორირებულია ჩვენი კვლევის შედეგები მოცემული მიმართულებით (**გ. ალასანია.** თურქ-სელჩუკებთან ქართველების ურთიერთობების ადრეული გამოცდილება. – *ქართული წყაროთმცოდნეობა.* XII. თბ., 2010, გვ. 33-40). არადა, გარდა ზემოთდასახელებული მონოგრაფიებისა (რომლებიც ასე თუ ისე შეიძლებოდა გამორჩენოდა მკვლევარს), აღნიშნული პრობლემის ჩვენეული ხედვა დაფიქსირებულია ქართული დიპლომატიის ისტორიისადმი მიძღვნილ საკმაოდ პოპულარულ გამოცემაში (**მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998, გვ. 251).

ში ადრე გამოქვეყნებული მასალა მნიშვნელოვნადაა გადამუშავებული და შევსებული) გამოვსულიყავით სელჩუკთა პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომლიც ჩატარდა ქ. კაისერში (თურქეთის რესპუბლიკა) 2010 წლის სექტემბერში.[1] წარმოდგენილი სტატია სწორედ ამ სიმპოზიუმზე (რუსულ ენაზე) წაკითხული მოხსენების[2] (ზოგიერთი ჩამატებით) ქართული ვარიანტია.

მანასკერტის ბრძოლა სავსებით სამართლიანად ითვლება გარდატეხის ეტაპად *„არა მარტო მახლობელი აღმოსავლეთის, არამედ, რამდენადმე, თვით მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც... ამ დროს გაირკვა საბოლოოდ მახლობელ აღმოსავლეთში ძირითადი მადომინირებელი ძალის საკითხი: ასეთ ძალას, ამ დროიდან მოკიდებული საკმაო ხნის მანძილზე, თურქ-სელჩუკები წარმოადგენდნენ“.*[3] გამოჩენილი რუსი ბიზანტოლოგის ა. ვასილიევის დასკვნით, ბიზანტია ამ დროიდან უკვე არ იყო შუა საუკუნეების ხანის ზესახელმწიფო *(«с этих пор Византия перестаёт быть мировой державой средневековья»)*.[4] რუსული ბიზანტინისტიკის მეორე დიდი წარმომადგენლის, აკად. თ. უსპენსკის აზრით მანასკერტთან განცდილ სამხედრო კატასტროფას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა არა მხოლოდ საკუთრივ ბიზანტიისათვის, არამედ

---

[1] იხ.: **З. Папаскири.** Манцикертское сражение и некоторые аспекты грузино-сельджукских взаимоотношений в начале 70-х годов XI века. – *Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu*. 26–30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi. Kayseri, 2010, მოხსენებათა თეზისები რუსულ ენაზე; **Z. Papaskiri.** Malazgirt Muharebesi 11. Yüzyılın 70'li yıllarında Selçuklu-Gürcü İlişkileri. – *Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu*. 26-30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi. Kayseri, 2010, მოხსენებათა თეზისები თურქულ ენაზე.

[2] აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნებულია რუსულ და ინგლისურ ენებზე (**З. Папаскири.** Об одной загадке в грузино-сельджукских взаимоотношениях накануне Манцикертского сражения. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press®, Швеция, 2013. Т. 7, вып. 3-4, გვ. 150-162 (http://oleg-kuznetsov.ru/upload/iblock/410/41006fce885508efbe1c36a29fd4d2ae.pdf); **Z. Papaskiri.** A Question Mark in the History of Georgian-Seljuk Relations on the Eve of the Battle of Manzikert. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden, 2013. Vol. 7, Issue 3-4, გვ. 131-141 (http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-3-4/13.shtml).

[3] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. – წგნ.: ***შ. მესხია.*** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 50.

[4] **А. А. Васильев.** Лекции по истории Византийской империи. Т. I. Петроград, 1914, გვ. 348; **С. Б. Дашков.** Императоры Византии. Москва, 1996 (http://www.sedmitza.ru/text/434532.html).

მთლიანად ქრისტიანული სამყაროსათვის *(«имело важное значение не для одной Византии, но и для всего христианского мира»)*.[1] ცნობილი ფრანგი მეცნიერის პ. ვიიმარის შეხედულებითაც, ამ მარცხით ბიზანტიის იმპერიამ, როგორც ქრისტიანობის წამყვანმა ძალამ საბოლოოდ დაკარგა სახელიც, პრესტიჟიც, ავტორიტეტიც და მას უკვე არ შეეძლო ბრძოლა მუსლიმების წინააღმდეგ *(«и имя, и престиж, и авторитет в вопросе ведения дел христианства и уж совсем была не способна вести войну против мусульман»)*.[2]

მართალია, მსოფლიო ბიზატინისტიკის ზემოთდასახელებული კლასიკოსებისაგან განსხვავებით, ცალკეული მეცნიერები (კ. კაენი, ჟ. შენე, ა. მოხოვი) სულაც არ თვლიან მანასკერტთან განცდილ მარცხს ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ძლევამოსილების საბოლოო კრახად,[3] მაგრამ ეს თვალსაზრისი ნაკლებად დამაჯერებლად გვეჩვენება. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, ამიერიდან ბიზანტიის იმპერია უკვე ვერ აჩერებდა სელჩუკთა წინსვლას დასავლეთის მიმართულებით და მათაც, სულ ცოტა ხანში, ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვების სანაპიროებსაც მიაღწიეს.[4] ამავე ხანებში დასრულდა სომხური ტერიტორიების დაპყრობა, რის შედეგადაც საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთის მხრიდან უშუალოდ სელჩუკთა დიდი სასულთნო გაუმეზობლდა. პარალელურად სელჩუკებმა, დაამყარეს რა კონტროლი შირვან-დარუბანდზე, მნიშვნელოვნად განიმტკიცეს პოზიციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მთლიანად.[5]

მოვლენების ამგვარი განვითარება, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახებოდა საქართველოს სამეფოს – უძლიერესი მაჰმადიანური იმპერიის პირისპირ მდგარი რეგიონში ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოს – საერთაშორისო მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, ლოგი-

---

[1] **Ф. И. Успенский.** История крестовых походов. СПб, 1900-1901 (http://enoth.narod.ru/Crusades/Crusade_Usp01.htm).

[2] **П. Виймар**. Крестовые походы миф и реальность священной войны. Пер. ***Д. А. Журавлевой.*** С.-Петербург, 2003. (http://krotov.me/history/12/misho/vijmar.html).

[3] **Cl. Cahen.** La campagne de Mantzikert d'apres les sourses musulmanes. – Byz. 1934. T. 9. გვ. 64-67; **J.-Cl. Cheynet.** Mantzikert: un desastre militaire? – Byz. 1980. T. 50. გვ. 432-434. მითითებულია: **А. С. Мохов.** Византийская армия в правление Романа IV Диогена (1068-1071 гг.). – *Античная древность и средние века***.** 2003. Вып. 34, გვ. 292-293.

[4] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 269.

[5] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 302; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975, გვ. 132.

კურად, საქართველოს სამეფო კარი ყოველნაირად უნდა ცდილიყო, მაქსიმალურად მხარში ამოდგომოდა ბიზანტიის იმპერიას და არ დაეშვა სელჩუკების შემდგომი გაძლიერება. მაგრამ, როგორც ირკვევა, მანასკერტის ბრძოლის წინ სულთან ალფ-არსლანსა და ბაგრატ IV-ს შორის საკმაოდ მეგობრული ურთიერთობები დამყარებულა. *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობით, *„მოგზავნა სულტანმან სარანგი ალხაზი, და მისითა შუა-მდგომლობითა და სიტყჳთა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონ, და გაგზავნა საჴელმწიფოსა თჳსსა განძას. და წარჰყვა სარანგი თანა. და მოართუნეს გაგით კლიტენი, და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი“*.[1] ანუ სელჩუკთა სულთანმა არა თუ არ წამოიწყო დამსჯელი ექსპედიცია ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ, რომელმაც შეიპყრო სულთნის მთავარი მოკავშირე და ვასალი – განძის ამირა ფადლონ II,[2] არამედ რატომღაც თვალი დახუჭა საქართველოს მეფის ამ აშკარად გამომწვევ ქმედებაზე და, უწყალობა რა ბაგრატ მეფეს გაგის ციხე-ქალაქი, ფაქტობრივად, მასთან ერთგვარ გარიგებაზე წავიდა.

რითი უნდა აიხსნას სელჩუკთა ძლევამოსილი სულთნის ამგვარი ლოიალური რეაქცია საქართველოს მეფის მიერ სელჩუკთა ერთგული მსახურის დატყვევებაზე. წყაროებში არ მოგვეპოვება არავითარი მინიშნება სულთნის მხრიდან „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის მიმართ გამოჩენილი დიდსულოვნების მოტივებზე. ბოლო დრომდე, არც ისტორიოგრაფიაში ყოფილა ალფ-არსლანის ამ ერთგვარი დიპლომატიური რევერანსის მიზეზების გარკვევის მცდელობა. ერთადერთი ახსნა, რომელიც შეიძლება მოეძებნოს სელჩუკთა დიდი სულთნის ნაბიჯს, ჩვენის აზრით უნდა ვეძიოთ მანასკერტის ომის – ორ იმპერიას შორის გადამწყვეტი შეტაკების – წინ ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე შექმნილ ვითარებაში. მაგრამ სანამ ამ საკითხს უშუალოდ შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ საკუთრივ საქართველო-სელჩუკების სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების პერიპეტიები XI ს. 60-იანი წლებსა და 70-იანი წლების დამდეგს.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სელჩუკების გამოჩენამ დიდ პოლიტიკაში მნიშვნელოვანწილად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში. სელჩუკთა სასულთნოს სახით, რომელიც ძირითადად გაფორმდა ყოფილი სასანიდური ირანისა და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიებზე XI ს. 40-50 წლებში, შეიქმნა უძლიერესი ზესახელმწიფო, რომელიც, ერთი ხანობა, გადამწყვეტ როლს თამაშობდა საერთაშორისო ურთიერთობებში. სელჩუკების გავლენა საკუთრივ სა-

---

[1] *მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 313-314.

[2] ფადლ II აბუ-ლ-ასვარ შაბურ I (1067-1073).

ქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე შესამჩნევი გახდა ჯერ კიდევ XI ს. 30-იანი წლებიდან. პირველად ეს მკაფიოდ დაფიქსირდა 1037-1038 წლებში, როდესაც არაბი ავტორის იბნ ალ-ასირის ცნობით, სწორედ თურქ-ოღუზთა შემოსევის საფრთხემ აიძულა ბაგრატ IV მოეხსნა თბილისის ალყა.[1]

სელჩუკებისაგან მომდინარე საფრთხე კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა XI ს. 40-იანი წლებიდან, მას მერე რაც მომთაბარეთა თავდასხმებმა სომხეთსა და აზერბაიჯანზე სისტემატიური ხასიათი მიიღო. საქართველოს სამეფო კარი, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა გულგრილი ამ მოვლენების მიმართ და, შესაძლებლობისამებრ, ცდილობდა გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები სელჩუკთა შემდგომი ექსპანსიის შესაჩერებლად. 1040 წელს ბაგრატ IV-მ 4000-იანი ლაშქარი გაუგზავნა ტაშირ-ძორაგეტის მეფეს დავით „უმინწაწყლოს“ და დაეხმარა მას დვინის ემირის აბულ-ასვარის[2] მოგერიებაში.[3] თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ცნობილია, აქტიურად იყო ჩართული ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ხატოვანი გამოთქმით *„ყოველს დიდს ლაშქრობაში, რომელიც-კი ბერძნებს აღმოსავლეთით შემთხვევიათ, ბიზანტიელების მოკავშირედ ... იყო“*.[4] ბიზანტიელთა მხარეს ერთ-ერთ ლაშქრობაში (1048-1049 წწ.) მონაწილეობა მიიღო თვით ბაგრატ IV-მაც.[5]

XI ს. 40-50-იანი წლების მიჯნაზე გახშირდა სელჩუკთა თავდასხმები უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებთან, კერძოდ მათ არაერთხელ მოარბიეს „იბერიის“ თემი – თავის დროზე (1001

---

[1] **П. Жузе.** Материалы по истории Азербайджана из Тарих-аль-Камиль (полного свода истории) Ибн-Аль-Асира. Баку, 1940, გვ. 115; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 174.

[2] განჯა-არანის მმართველი აბუ-ლ-ასვარ შაბურ ბ. ფადლი (1049-1067).

[3] **Р. М. Бартикян.** «Хронография» Матфея Эдесского о Грузии и грузинах. – *ბიზანტიოლოგიური ეტიუდები.* ეძღვნება აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს. თბ., 1978, გვ. 143; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 176.

[4] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. II, თბ., 1983, გვ. 146. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 179-195.

[5] *მატიანე ქართლისა,* გვ. 313-314. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 254; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, გვ. 195; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III. თბ., 1979, გვ. 145; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 202.

წელს) იმპერატორ ბასილი II-ის მიერ მიტაცებული დავით III დიდი კურაპალატის სამფლობელოს (იმიერ-ტაო) ბაზაზე შექმნილი ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული.[1] უფრო მეტიც, ამ პერიოდში, ზოგიერთი წყაროს მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ სელჩუკთა ცალკეული რაზმების შემოჭრას უშუალოდ საქართველოს სამეფოს ფარგლებში, სამცხის ტერიტორიაზე და მანგლისის სანახებში.[2] მიუხედავად ამისა, სელჩუკები ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ საქართველოსთვის სერიოზულ

---

[1] ისტორიოგრაფიაში, ამ მოვლენების გაშუქებისას, არც თუ იშვიათად, არასწორადაა გაგებული ბიზანტიური წყაროების (მიხეილ ატალიატე, გიორგი კედრენე და ა.შ.) „იბერია“, რომელიც ზოგჯერ გაიგივებულია მთლიანად საქართველოსთან. თუ ეს არაა ძნელი ასახსნელი არაქართველი მეცნიერების მხრიდან – ისინი ვერ არიან ჯეროვნად ჩახედული საქართველოს ისტორიაში (მათ შორის ისეთი აღიარებული მკვლევარიც კი, როგორიცაა აკად. თ. უსპენსკი, უშვებდა უხეშ შეცდომას, როდესაც სკილიცე-კედრენეს ერთ-ერთი ცნობის კომენტირებისას, რომელშიც ლაპარაკია იმაზე თუ როგორ დაშალა ბიზანტიის იმპერატორმა *„იბერიული ჯარი დაახლოებით ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი“* /იხ.: **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა,* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. V. თბ., 1963, გვ. 82/, დაუფიქრებლად წერდა, რომ *„უწინ **საქართველო ინახავდა 50-ათასიან ჯარს** აზიელი მტაცებლების წინააღმდეგ საომრად“ /«**Грузия содержала прежде 50 тысяч войска** с целью защиты против азиатских хищников»*. იხ.: **Ф. И. Успенский.** История Византийской империи, т. 4, гл. III, http://rikonti-khalsivar.narod.ru/Usp4.3.htm, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**/), ვერაფრით ვერ გავამართლებთ ამგვარ მიდგომას ქართველი მეცნიერების მხრიდან. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ. შენგელიას უაღრესად ფასეული, კაპიტალური გამოკვლევა, რომელშიც მკვლევარი ზემოთდასახელებულ ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს სელჩუკთა მიერ იბერიის აწიოკების შესახებ აზოგადებს საქართველოზე (**ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 199-201), რაც ჩვენის აზრით მიუღებელია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი კედრენესა და მიხეილ ატალიატეს იმ ცნობებში, რომელიც მოჰყავს ნ. შენგელიას საქართველოს მიმართ სელჩუკთა გააქტიურების საჩვენებლად, ტერმინ „იბერიის“ ქვეშ იგულისხმება ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის“ თემი და არა საკუთრივ საქართველო. ამდენად, იქ მიმდინარე მოვლენები ვერ გამოდგება საქართველოს სახელმწიფოში „შექმნილი ვითარების“ დასახასიათებლად, თუმცა სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ მეცნიერს, რომ ზოგადად *„სელჩუკთა ასეთი გრანდიოზული ექსპედიციები **საქართველოს მეზობელ ქვეყნებში** არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ასახულიყო ქართულ სინამდვილეში“* (**ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 206, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამის შესახებ უფრო დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე.., გვ. 6-7.

[2] **Ф. Д. Жордания.** К материалам по истории Грузии XI-XII вв. Москва, 1895, გვ. 7; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 200, 206-207.

საფრთხეს. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მაშინ (XI ს. 50-იან წლებში) სელჩუკების ფაქტორი, რამდენადმე, ხელს უწყობდა კიდეც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას, კერძოდ, ურთიერთობების დარეგულირებას ბიზანტიის იმპერიასთან.[1]

ვითარება მნიშვნელოვანწილად შეიცვალა XI ს. 60-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც ბაგრატ IV-მ, ფეოდალურ ოპოზიციაზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვების შემდეგ, განაახლა აქტიური მოქმედებები აღმოსავლეთ საქართველოში და დაიწყო ზრუნვა თბილისისა და კახეთ-ჰერეთის შემოსამტკიცებლად. ამ დროიდან ნებისმიერი მისი ნაბიჯი ამ მიმართულებით სელჩუკების უკიდურეს გაღიზიანებას იწვევდა. პირველად ეს ნათლად გამოვლინდა 1062 წელს, როდესაც ბაგრატს ჰქონდა მორიგი მცდელობა დაუფლებოდა თბილისს.[2] საქართველოს მეფის კონტროლის დამყარებას თბილისზე უმალ გამოეხმაურნენ მეზობელი მაჰმადიანური გაერთიანებების ლიდერები, რომლებიც არაბი ავტორის იბნ ალ-ფაკიხის ცნობით განსაკუთრებით დააფიქრა ბაგრატ IV-ის გადაწყვეტილებამ მთებში გზების გაფართოების შესახებ. მათი აზრით, საქართველოს მეფე ამას აკეთებდა იმისათვის, რომ *„გაადვილებოდათ ურწმუნოებს* (ანუ ქრისტიან-ქართველებს – **ზ.პ.**) *იქიდან გადასვლა ისლამის ქვეყნებში“*.[3] ე.ი. აღნიშნული ფაქტი სელჩუკთა სასულთნოს მესვეურების თვალში სავსებით სამართლიანად განიხილებოდა როგორც სამზადისი საქართველოს მეფის მხრიდან სელჩუკთა წინააღმდეგ მიმართული ახალი სამხედრო აქციებისათვის. ვფიქრობთ, სწორედ ამ დროიდან იქცა საქართველო სელჩუკების მთავარ მოწინააღმდეგედ ამიერკავკასიის დაპყრობის გზაზე.

1064 წელს სულთანმა ალფ-არსლანმა პირველად ილაშქრა საქართველოში, რომლის დროსაც მან მოაოხრა სამხრეთ საქართველოს ცალკეული რეგიონები და აიღო ახალქალაქი.[4] მეტის მიღწევა სელჩუკებმა ამ ეტაპზე, ვერ შეძლეს. როგორც ჩანს, სელჩუკთა უძლეველი მმართველი არ ელოდა ქართველების ასეთ მედგარ წინააღმდეგობას და მან საქართველოს მეფესთან დაზავება არჩია. მართალია, ზოგიერთი არაბული წყარო (მაგ., სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინი, იბნ ალ-ასირი) მიუ-

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა.., გვ. 261-266; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა.., გვ. 203, 209.

[2] **რ. კიკნაძე.** XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან. *აღმოსავლური წყაროების მიხედვით. – ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* V, ნაკვ. I. თბ., 1960, გვ. 114; **შ. მესხია.** საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. – წგნ.: ***შ. მესხია.*** საისტორიო ძიებანი, ტ. I. თბ., 1982, გვ. 240.

[3] **რ. კიკნაძე.** XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან.., გვ. 113-114.

[4] *მატიანე ქართლისა,* გვ. 306. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 219-225.

თითებს ბაგრატ IV-ის მიერ სულთნის უზენაესობის აღიარებასა და მისი მხრიდან ჯიზიის გადახდის ვალდებულების აღებაზე,[1] მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარება არა თუ არ ადასტურებს ამას, არამედ, ფაქტობრივად გამორიცხავს საქართველოს მეფის რაიმე ვალდებულებებს სულთნის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ბაგრატ IV-ისა და ალფ-არსლანის შეთანხმებას საქართველოს მეფის დისწულის (და არა ქალიშვილის, როგორც წერს არაბი ავტორი ალ-ბუნდარი[2]) სულთნისათვის მითხოვების თაობაზე,[3] ეს ფაქტი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დათმობა ბაგრატ მეფის მხრიდან. უფრო მეტიც, ეს ქორწინება საქართველოს ლიდერის ერთგვარ დიპლომატიურ წარმატებადაც კი უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც მან ხელი შეუწყო „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას ამიერკავკასიაში. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს იმ მოვლენების ანალიზი, რომლის ფონზეც განახორციელა სულთნისათვის მიცემული პირობის რეალიზაცია საქართველოს ხელმწიფემ.

როგორც *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობიდან ირკვევა, ბაგრატ IV-ის დისშვილის სულთნისათვის მითხოვების წინააღმდეგ გამოსულა მისი მეორე ბიძა (მამის ძმა), ტაშირ-ძორაკეთის მეფე კვირიკე.[4] საქართვე-

---

[1] **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения ***З. М. Буниятова***. Москва, 1980, გვ. 50 (http://www.vostlit.info/ Texts/rus /Selguk/frames2.htm); **П. Жузе.** Материалы по истории Азербайджана из Тари-аль-Камиль.., გვ. 121. სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობით ეს მომხდარა სელჩუკთა სულთნის არ-რუმში გალაშქრების დროს – 1064 წ. თებერვლის მესამე დეკადაში (**Садр ад-дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукиййа. Издание текста, перевод.., გვ. 48, მაგრამ, ცალკეულ პუბლიკაციებში, რატომღაც 1067 წელს უთითებენ. იხ.: **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки. Баку, 2010, გვ. 166.

[2] **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. Издание текста., გვ. 190; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 226.

[3] *მატიანე ქართლისა,* გვ. 307-308. ის, რომ სულთანმა საქართველოს მეფეს ნამდვილად დისშვილის (და არა ქალიშვილის) ხელი სთხოვა დასტურდება მეორე არაბი ავტორის სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობითაც (**Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. Издание текста, перевод.., გვ. 190. კიდევ ერთი არაბი ავტორის ბარ ჰებრაის მონაცემებითაც სულთანმა შეირთო „საქართველოს ხელმწიფის“ დისშვილი (იხ.: **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო საქართველო XI საუკუნეში, გვ. 226).

[4] სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის ცნობით პრინცესა, რომელის მიათხოვეს სულთანს იყო ტაშირ-ძორაკეთის მეფის ასული და არა ძმისწული. ამასთან, სომეხი მემატიანე რატომღაც დუმს ამ პროცესში საქართველოს მეფის მონაწილეობაზე (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 152-153; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 226).

ლოს მეფემ, გამოიყენა რა საბაბად კვირიკეს ეს ობსტრუქციული ქმედება, დაძრა ჯარები ტაშირ-ძორაკეთისკენ, დაიკავა სამშვილდე, *„იურვა სახლად თჳისად“* და იქ სრული კონტროლი დაამყარა *(„და ეგრეთ-ვე მონებდეს სომეხნი“)*.[1] მიჩნეულია, რომ ეს იყო კიდევ ერთი ნაბიჯი მიმართული ისტორიულად ქართული ხუნანი-სამშვილდის ტერიტორიების საქართველოს სახელმწიფოსთვის შემომტკიცების გზაზე.[2] გარდა იმისა, რომ სამშვილდის დაკავებით ბაგრატ IV-მ განიმტკიცა პოზიციები აღნიშნულ რეგიონში, საქართველოს მეფის ეს აქცია, ზოგადად, ქართული სახელმწიფოს ძლიერების ერთგვარი დემონსტრაციაც იყო, რაც არ შეიძლებოდა მოსწონებოდა სელჩუკთა ძლევამოსილ სულთანს, რომელმაც, როგორც ჩანს, დაუყონებლივ გადადგა ნაბიჯები ბაგრატ IV-ის ამბიციების მოსათოკად.

სავარაუდოა, რომ ჯაფარიდი ამირას ხელისუფლების აღდგენა თბილისში, რომელიც, როგორც ფიქრობენ, სელჩუკთა სულთნის ინიციატივითა და ხელშეწყობით განხორციელდა,[3] სწორედ პასუხი იყო საქართველოს მეფის გამომწვევ ქმედებებზე ტაშირ-ძორაკეთში. „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობის აღკვეთას ისახავდა მიზნად განძის ამირა აბულ ასვარის მოულოდნელი შემოჭრა საქართველოში.[4] იმ აბულ ასვარისა, რომელსაც სულთანმა ალფ-არსლანმა ფაქტობრივად ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების კურირება დაავალა.[5] ბაგრატ IV-ს უპასუხოდ არ დაუტოვებია განძის ამირას ეს გამოხდომა. არაბი ავტორის სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობით 1067-1068 წლებში *„აფხაზის მეფემ სახელად ბაკრატმა განახორციელა თავდასხმა ალ-ბარდაზე... ერთ-ერთ ქალაქზე მუსლიმთა ქვეყანაში“*.[6] ამან კი წონასწორობიდან გამოიყვანა მრისხანე სულთანი და ის სასწრაფოდ დაიძრა საქართველოსაკენ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, 1064-1068 წლებში – საქართველოში სელჩუკთა პირველ და მეორე ლაშქრობებს შორის პერიოდში –

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 307-308.

[2] **თ. პაპუაშვილი.** რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.). თბ., 1982, გვ. 247.

[3] **შ. მესხია.** საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 242.

[4] **რ. კიკნაძე.** XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან.., გვ. 115.

[5] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 237.

[6] *«...царь Абхаза по имени Бакрат совершил набег на ал-Барда'а ... один из городов в стране мусульман».* იხ.: **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа.., გვ. 55. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ნ. შენგელია.** სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. – *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან.* ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ***ნიკო ბერძენიშვილის*** დაბადების 80 წლისთავს. თბ., 1976, გვ. 192; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო.., გვ. 238.

ბაგრატ IV სულაც არ ყოფილა სულთნის მორჩილი ვასალი და არ მიდიოდა რაიმე კომპრომისებზე ალფ-არსლანთან ურთიერთობებში, როგორც ამას ასკვნის ნ. შენგელია.[1] პირიქით, საქართველოს მეფე ამ დროს საკმაოდ დამოუკიდებელ აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა და თანმიმდევრულად ამტკიცებდა თავის გავლენას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. შემთხვევითი არ არის, რომ სელჩუკთა მეორე შემოსევის წინ ის დაკავებული იყო კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებით.[2] მხოლოდ თურქთა შემოსვლამ აიძულა ის „აეკრა გუდა-ნაბადი“ და უკან მობრუნებულიყო. არაა გამორიცხული, რომ სელჩუკთა ასე ოპერატიული გამოჩენა მოხდა სულაც კახეთის მეფის აღსართანის ინიციატივით. ამაზე უნდა მიუთითებდეს *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობა, რომლის თანახმადაც *„აღსართან მიერთო სულტანსა მიუძღუანა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცჳთა წინა, აღუთქუა ხარაჯა“*.[3] აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფის წინააღმდეგ დაძრული სელჩუკთა სულთნის ბანაკში აღსართან კახთა მეფის გარდა, იმყოფებოდნენ ტაშირ-ძორაკეთის მეფე კვირიკე და თბილისის ამირა,[4] რაც იმაზე მიუთითებს, რომ, იმჟამად, ერთადერთ რეალურ ძალას, რომელიც ღიად გამოდიოდა სელჩუკების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ერთიანი ქართული სახელმწიფო წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ სრულიად უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ ზოგიერთი მკვლევრის მცდელობა უკრიტიკოდ აღიქვას ცალკეული არაბი ავტორების (სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის, იბნ ალ-ასირის) ცნობა ბაგრატ IV-ის მიერ ალფ არსლანის უზენაესობის აღიარებისა და ჯიზიის გადახდის ვალდებულების აღების თაობაზე[5] და ხელაღე-

---

[1] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 390.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 308-309.

[3] *მატიანე ქართლისა*, გვ. 308-309.

[4] *მატიანე ქართლისა*, გვ. 310.

[5] გ. ალასანია, *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობასთან შედარებით (მასში არაფერია ნათქვამი ბაგრატ IV მიერ ჯიზიის გადახდის ვალდებულების აღებაზე), უფრო დამაჯერებლად მიიჩნევს არაბული წყაროების (სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინი, იბნ ალ-ასირი) მონაცემებს და ეჭვს გარეშე აყენებს ჯიზიის გადახდის თაობაზე შეთანხმების არსებობის ფაქტს. აქვე აღვნიშნავთ, რომ მკვლევარი ბოლომდე არ არის დარწმუნებული *„თუ რამდენად ასრულებდა ... ამ შეთანხმებას“* საქართველოს მეფე – მისი განმარტებით, *„ამის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია“,* თუმცა ეს ხელს არ უშლის მას განაცხადოს, *„1067/8 წლამდე, ალფ-არსლანის მეორედ შემოსვლამდე,* ***მშვიდობა შენარჩუნებული იყო, ხოლო მშვიდობისათვის „ხარაჯის“ გადახდა,*** *როგორც ჩანს,* ***სასურველი პირობა იყო“*** (**გ. ალასანია.** თურქ-სელჩუკებთან ქართველების ურთიერთობების ადრეული გამოცდილება, გვ. 38, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ვფიქრობთ, პატივცემული კოლეგა, რომ გაცნობოდა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ არგუმენტებს (**ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო.., გვ. 20-24; **З. В. Папаскири.** От Давида.., გვ. 92-95), ის ასე თავდაჯერებით ვერ ისაუბრებდა „მშვიდობის შენარჩუნებასა“

ბით ამტკიცოს ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობის დამყარება საქართველოს მეფესა და სელჩუკთა სულთანს შორის.[1] არა თუ პირველი შემოსვლის დროს, არამედ მეორე, გაცილებით უფრო დამანგრეველი ლაშქრობის შედეგადაც, როდესაც სულთანმა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველო მოაოხრა არამედ ლიხს იქითაც, არგვეთში გადავიდა და იქაურობა *„ვიდრე სუერის-ციხემდე“* დაარბია,[2] სელჩუკთა სულთანმა ვერ მოახერხა საქართველოს მეფის დამორჩილება. მართალია, ბაგრატ IV-მ *„მიგზავნა მოციქულად ივანე, ძე ლიპარიტისი ... ძიებად მშჳდობისა. ხოლო სულტანმან შეაქცია იგი აფხაზეთად ბაგრატისა, სთხოვა ხარაჯა და უქადა მშჳდობა“*,[3] მაგრამ საქართველოს მეფემ ისარგებლა იმით, რომ სულთანმა *„სიფიცხლისაგან ზამთრისა ვერ-ღა-რა მოილოდინა და წარვიდა ქართლით“*,[4] თავიდან აიცილა ხარაჯის გადახდა. მაქსიმუმი, რასაც ამ ეტაპზე ალფ-არსლანმა მიაღწია პოლიტიკური თვალსაზრისით იყო ის, რომ მან *„ჩამავალმან წარუღო ტფილისი და რუსთავი, და მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა“*.[5]

მკვლევართა სავსებით დამაჯერებელი დასკვნით თბილისისა და რუსთავის გადაცემა განძის ამირა ფადლონისათვის განპირობებული იყო არა იმით, რომ სულთანი ბოლომდე არ ენდობოდა ამ ქალაქების მფლობელებს – ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ მას,[6] არამედ იმით, რომ სწორედ განძის ამირა მიაჩნდა ალფ-არსლანს ყველაზე ძლიერ და საიმედო მმართველად, რომელსაც ხელეწიფებოდა დაპყრობილი ქართული ტერიტორიების კონტროლი.[7] ბაგრატ IV, რასაკვირველია, ვერ შეეგუებოდა ამგვარ მარცხს, მით უფრო *„ამპარტავანებასა და ურჯუებასა“* ფადლონისა და მან უმალ შეუტია თბილისში მდგარ განძის ამირას. ფადლონმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეს და იძულებული შეიქმნა თბილისს გასცლოდა, მაგრამ გზად ის შეიპყრეს და აღსართან კახთა მეფეს მიჰგვარეს თელავში. ამ უკა-

---

და ამის სანაცვლოდ ბაგრატ IV-ის მხრიდან „ხარაჯის“ პირობის შესრულებაზე.

[1] ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს ცნობილი აზეგაიჯანელი ისტორიკოსი, სელჩუკთა ისტორიის აღიარებული მკვლევარი რ. ჰუსეინ-ზადე, რომელიც ახლახან გამოცემულ წიგნში სრულიად უაპელაციოდ აცხადებს, რომ *„დიდმა სულთანმა ალფ-არსლანმა მიიღო საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ვასალობის ფიცი“ («Великий султан Алп-Арслан принял ... вассальную присягу грузинского царя Баграта IV»* (**Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки, გვ. 167. იხ. აგრეთვე: გვ. 72, 229).

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 309.

[3] *მატიანე ქართლისა*, გვ. 309-310.

[4] *მატიანე ქართლისა*, გვ. 309-310.

[5] *მატიანე ქართლისა*, გვ. 309-310.

[6] **შ. მესხია.** საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 242.

[7] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 244.

ნასკნელმა კი *„რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა“*, გადაწყვიტა ბოჭორმისა და უჯარმის სანაცვლოდ დაეთმო მისთვის შეპყრობილი განძის ამირა.[1] არაა გამორიცხული, რომ აღსართანის ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ მას არანაკლებ

---

[1] *მატიანე ქართლისა,* გვ. 312-313. ამ მოვლენებზე მსჯელობისას არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ზოგიერთ გადაცდომებს, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეულ პუბლიკაციებში. კერძოდ, არასწორადაა გაგებული XI-XIII საუკუნეების ისტორიის ამსახველ არაბულ-სპარსულ წყაროებში დაფიქსირებული ტერმინები: „აფხაზეთი“ და „აფხაზი“. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიქცია რუსი მეცნიერის კ. რიჟოვის შადადიდების დინასტიისადმი მიძღვნილმა განმაზოგადებელმა სტატიამ, რომელშიც ავტორი ფადლონის საქართველოში ყოფნისა და მისი დატყვევების ფაქტის გადმოცემისას, ყოველგვარი კომენტარების გარეშე, წერს, რომ *„1068 წელს სულთნის მოთხოვნით ფადლონმა მოაწყო წარუმატებელი ლაშქრობა **აფხაზეთში**, დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. **აფხაზებმა** ტყვე გადასცეს **საქართველოს მეფეს ბაგრატ IV-ს**, რომელმაც აიძულა ფადლონი უარი ეთქვა თბილისზე, რუსთავზე და სხვა **ქართულ** ქალაქებზე, რომლებიც მის კუთვნილებაში იყო“ («В 1068 г. по требованию султана Фадл предпринял неудачный поход **в Абхазию,** был разбит и попал в плен. **Абхазцы** передали пленника **грузинскому царю** Баграту IV**,** который заставил Фадла отказаться от Тбилиси, Рустави и других принадлежавших ему **грузинских** городов»*. იხ.: **К. В. Рыжов.** Шаддадиды. – წგნ.: **К. В. Рыжов.** Все монархи мира: *Мусульманский Восток. VII-XV вв.* Справочник. Москва, 2004, http://bwbooks.net/index.php?id1=4&category=history&author=rijov-kv&book=2004&page=234, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ე. ი. გამოდის, რომ (ყოველი შემთხვევისათვის ეს ასე მოეჩვენება გაუთვითცნობიერებელ მკითხველს) **„აფხაზეთი“**, სადაც შეიჭრა განძა-არანის მმართველი და **„აფხაზები“,** რომლებმაც შეიპყრეს ფადლონი, ეს ერთი ქვეყანა და ერთი ხალხია, ხოლო **„საქართველოს მეფე“** («**грузинский царь»**) ბაგრატ IV წარმოადგენს სხვა ქვეყანას და სხვა ხალხს. სინამდვილეში კი **ბაგრატ IV სწორედ „აფხაზთა“ მეფეა** (სხვას, რომ თავი დავანებოთ, ამას აფიქსირებს თვით სადრად-დინ ალ-ჰუსეინი, რომელიც პირდაპირ განმარტავს «**царь Абхаза** по имени **Бакрат**» (იხ.: **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа.., გვ. 55 /ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**/. XI-XIII სს. აღმოსავლურ წყაროებში ტერმინების: „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ მნიშვნელობის სწორი გაგებისათვის დაწვრილ. იხ.: **გ. ჯაფარიძე.** ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. – კრებ. *„საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“.* თბ., 1993, გვ. 132-134). აღსანიშნავია, რომ კ. რიჟოვი არასწორად გადმოსცემს მთელ ამ ისტორიას. ფადლონი „აფხაზებს“ არ გადაუციათ „საქართველოს მეფისათვის“ (როგორც ამას შეცდომით წერს რუსი მკვლევარი). ის ხელში ჩაუვარდა *„ისაკ ტოლობელის ძესა, აზნაურსა **მესხსა“,*** რომელმაც, თურმე *„არა იწსენა მკჳდრობა აფხაზთა მეფისა, რომელ–მცა აფხაზთა მეფისაგან გაქცეული ფადლონ შეიპყრა, და შეგუარა ბოჭორმას ბაგრატისთჳს. არამედ მსწრაფლ წარიყვანა და მიჰგუარა აღსართანს თელავს“.* როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ აღსართანმა გადასცა ფადლონი ბაგრატს *(მატიანე ქართლისა,* გვ. 312-313, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

აშინებდა თვით ფადლონი, რომელიც, როგორც *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობიდან ირკვევა, კახთა მეფის კუთვნილ ზოგიერთ ტერიტორიას (ხორნაბუჯისა და არადეთის სანაპირო ოლქებს) დაპატრონებია.[1] ყოველივე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ტრადიციულმა კონფრონტაციამ განძის ამირასთან, რომელიც ერთმანეთთან აახლოებდა ქართველ და სომეხ ლიდერებს (ამასთან დაკავშირებით, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ამ მოვლენებში არ ფიგურირებს ტაშირ-ძორაკეთის მეფე კვირიკე, რომელიც, როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ისათვის სასურველ ნეიტრალიტეტს იცავდა), ამჯერადაც შეარიგა კახეთის მმართველი „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფესთან.

ფადლონის დატყვევების შემდეგ, ბაგრატ IV-მ უმალვე დაიკავა თბილისი, თუმცა ვერ მოახერხა ქალაქის „თავისად დაჭერა“ და იძულებული გახდა გარკვეულ კომრომისზე წასულიყო. მან *„დმანისს დატყვევებული სითლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი“*.[2] გარდა ამისა, საქართველოს მეფემ *„თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი, და ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი, და მძევალნი ძმის-წული მისი, ძე მანუჩასი, და სამთა თავადთა განძისათა“*.[3] როგორც ფიქრობენ მემატიანის მიერ ჩამოთვლილი ციხე-ქალაქები ძირითადად ქვემო ქართლში – სომხითში – მდებარეობდნენ[4] და თბილისის იმ „სასაზღვრო რაიონს“ შეადგენდნენ, რომლებიც ალფ-არსლანმა ფადლონს გადასცა.[5] საქართველოს მეფის ამ თამამმა სამხედრო-პოლიტიკურმა აქციებმა სრულიად ნათელი გახადა, რომ ბაგრატ IV-მ კვლავ ხელთ იგდო ინიციატივა და თანმიმდევრულად შეუდგა პოზიციების განმტკიცებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ფადლონის დატყვევება და თბილისზე საქართველოს მეფის კონტროლის აღდგენა სერიოზული დარტყმა იყო ალფ-არსლანის ავტორიტეტისათვის. აქედან გამომდინარე, მას, თითქოს, ჭკუა უნდა ესწავლებინა გათავხედებული ბაგრატ IV-ისათვის. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, მრისხანე სელჩუკთა სულთანმა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის წინააღმდეგ სადამსჯელო ექსპედიციის მოწყობის ნაცვლად, სრულიად მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა – გამოგზავნა საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი სარანგი ალხაზი, მისი პირით დაუზავდა ბაგრატს

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 311-312.
[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 312.
[3] *მატიანე ქართლისა*, გვ. 312.
[4] ამ ციხეების ადგილმდებარეობის შესახებ დაწვრ. იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. *აგარანი. – საქართველოს ისტორიის საკითხები,* ტ. I. თბ., 1964, გვ. 308; **დ. ბერძენიშვილი.** ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.* II. თბ., 1964, გვ. 42.
[5] **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური.., გვ. 199.

და ფადლონის განთავისუფლების სანაცვლოდ საქართველოს მეფეს გაგის ციხე-ქალაქი გადასცა.[1] ე.ი. სულთანმა ბაგრატი კი არ დასაჯა, არამედ მასთან ერთგვარი გარიგება დადო და გაგის ციხის გადაცემით კიდევ უფრო განავრცო მისი გავლენა სომხეთის მიმართულებით. და მაინც, რა მოხდა, რითი იყო განპირობებული სულთნის ასეთი გულუხვობა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გავაანალიზოთ მანასკერტის ომის წინ ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე შექმნილი სიტუაცია, რომელიც, ჩვენის აზრით, ნათელს მოჰფენს ამ საიდუმლოს.

XI ს. 60-იანი წლების შუა ხანებიდან, თურქ-სელჩუკებმა, როგორც ცნობილია, გააძლიერეს შეტევა ბიზანტიის სამფლობელოების მიმართულებით. განსაკუთრებით აქტიურად მიიწევდნენ წინ ისინი ანატოლიისკენ. სწორედ ამ დროიდან იწყებენ სელჩუკები დაფუძნებას ამ მხარეში.[2] ამან აიძულა ბიზანტიის ხელისუფლება მთელი ყურადღება გადაეტანა აღმოსავლეთის ფრონტისკენ. რომანოზ IV დიოგენემ, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება 1067 წელს, მოახერხა ძალების სრული მობილიზება, არმიაში მკაცრი დისციპლინის დამყარება და რამდენიმე წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩატარების შემდეგ სელჩუკთა ევფრატის მარჯვენა სანაპიროებიდან განდევნა.[3] იგრძნო რა ანატოლიაში პოზიციების დაკარგვის საფრთხე, ალფ-არსლანი ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი დიდი სამხედრო კამპანიის სამზადისს შეუდგა. ეს გადაწყვეტილება დააჩქარა აგრეთვე ეგვიპტეში ამტყდარმა შიდა არეულობამ, რომლის დროსაც ხელისუფლებისათვის მებრძოლმა ერთმა დაჯგუფებამ სელჩუკთა სულთანი ნილოსის ნაპირებისკენ მიიწვია.[4] 1070 წელს სელჩუკთა დიდი ლაშქარი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან დაიძრა დასავლეთისაკენ და ერთ დღეში დაიკავა მანასკერტი. ასე დაიწყო გრანდიოზული კამპანია, რომელიც დამთავრდა სელჩუკთა სრული ტრიუმფით 1071 წ. 24 აგვისტოს.[5]

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XI ს. 60-იანი წლების მიწურულს, როდესაც ბაგრატ IV ახორციელებდა თავის შეტევით ოპერაციებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ალფ-არსლანი დაკავებული იყო უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებით – ბიზანტიის წინააღმდეგ გენერალური შეტევის მომზადებით. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ აიძულა სელჩუკთა

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 312-313.

[2] **Г. Г. Литаврин**. Внутриполитический кризис в конце XI в. и внешнеполитический разгром. – *История Византии*, т. II. Москва, 1967, გვ. 283-284; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 248.

[3] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, გვ. 250.

[4] **Раис Тамара Т.** Сельджуки. Кочевники.., გვ. 31-32; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო.., გვ. 250.

[5] დაწვრილებით იხ.: **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო.., გვ. 253-265.

სულთანი, გამოეჩინა გარკვეული სიფრთხილე გაძლიერებული საქართველოს ლიდერის მიმართ. გარდა იმისა, რომ ბაგრატ მეფის დასჯა არც ისე ადვილი იყო (რაშიც ის, ალბათ, დაარწმუნა ქართველების შეუპოვარმა წინააღმდეგობამ საქართველოში პირველი და მეორე ლაშქრობის დროს), ალფ-არსლანს არ შეიძლება არ გაეთვალისწინებინა საქართველოს მეფის შესაძლო გამოსვლა იმპერიის მხარეზე ბიზანტიასთან კარს მომდგარ ომში. ცხადია, ასეთ ვითარებაში კონფრონტაცია ბაგრატ IV-სთან ნამდვილად სერიოზული დიპლომატიური შეცდომა იქნებოდა.

მართლაც, ერთი შეხედვით, საქართველო-ბიზანტიის ერთობლივი გამოსვლა სელჩუკების წინააღმდეგ სავსებით რეალური მოჩანდა. ჯერ კიდევ XI ს. 50-იანი წლების მიწურულიდან კონსტანტინოპოლთან საქართველოს სახელმწიფოს, ფაქტობრივად, თანასწორუფლებიანი, პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანწილად, პირველ რიგში, სწორედ სელჩუკებისაგან მომდინარე საფრთხემ განაპირობა. XI ს. 60-იანი წლების შუა ხანებიდან კი ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა დინასტიური ქორწინებით – იმპერატორ კონსტანტინე X დუკას ვაჟის, მიხეილ დუკას ბაგრატ IV-ის ასულ მარიამზე დაქორწინებით.[1] მართალია, წყაროები არ იძლევიან კონკრეტულ ცნობებს საქართველო-ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ XI ს. 60-იანი წლების მიწურულს, მაგრამ, ამის გამო, საერთო მტრის წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედებების მთლიანად გამორიცხვა (როგორც ამას უშვებს ვ. კოპალიანი[2]) მთლად გამართლებულად არ გვეჩვენება.

რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია, რომ რომანოზ IV დიოგენემ შეიტანა გარკვეული კორექტივები ბაგრატ IV-სა და კონსტანტინე დუკას შორის არსებულ ურთიერთობებში – ახალი იმპერატორი უბრალოდ ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა მიხეილ დუკასა და ბაგრატ სებასტოსის[3] ნათესაური ურთიერთობა და ის საფრთხე, რომელიც შე-

---

[1] ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **И. М. Нодия.** Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Мариам. – *ბიზანტიოლოგიური ეტიუდები.* ეძღვნება სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს. თბ., 1978, გვ. 146-155.

[2] **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური.., გვ. 279.

[3] იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ხნის მანძილზე (ვიდრე ალექსი I კომნენოსამდე) სებასტოსად მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენ (**ლ. თავაძე.** სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. – *ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის შრომები,* II. თბ., 2011, გვ. 165), ამ უმაღლესი ტიტულის მინიჭება საქართველოს მეფისათვის უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამით, ჩვენის აზრით, ოფიციალურმა კონსტანტინოპოლმა ფაქტობრივად აღიარა საქართველოს სახელმწიფოს თანასწორობა ორმხრივ ურთიერთობებში.

იძლებოდა შექმნოდა დაქვრივებილი დედოფლის – ევდოკიას მეორე ქმარს ხელისუფლების შენარჩუნების საქმეში. კერძოდ, მოსალოდნელი იყო, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში საქართველოს მეფე ყოველნაირად ეცდებოდა თავისი გვირგვინოსანი სიძის – მიხეილ დუკას დახმარებას. მიუხედავად ამგვარი ქვედინებებისა, სელჩუკთა მზარდი საფრთხის პირობებში, რომანოზ IV, ალბათ, გამოიჩენდა გარკვეულ სიფრთხილეს და მოერიდებოდა ურთიერთობების გართულებას საქართველოს სამეფოსთან, მით უფრო, რომ ობიექტურად საქართველო, ასე თუ ისე, მაინც განიხილებოდა პოტენციურ მოკავშირედ სელჩუკებთან დიდ დაპირისპირებაში.

თავის მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სამეფო კარიც ყურადღებით აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას კონსტანტინოპოლში. კერძოდ, დაპირისპირებას ახალ იმპერატორსა და მის გვირგვინოსან[1] გერს – მიხეილ დუკას შორის. ის, რომ რომანოზ IV-ს ნამდვილად ჰყავდა ძლიერი ოპოზიცია დუკების საგვარეულოს სახით არავითარ ეჭვს არ იწვევს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომანოზ დიოგენეს გაიმპერატორების შემდეგ დუკებისა და მათი ლიდერის კონსტანტინე X-ის უმცროსი ძმის – იოანე კესაროსის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა და ისინი თანდათანობით გაირიყნენ სამოქალაქო ადმინისტრაციიდან, მაგრამ მათი გავლენა მთლიანობაში ბოლომდე არ იყო შერყეული.[2] უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, საიმპერატორო კარზე

---

[1] ისტორიოგრაფიაში სავსებით საფუძვლიანადაა მითითებული, რომ კონსტანტინე X დუკას გარდაცვალების შემდეგ ქვრივმა დედოფალმა ევდოკიამ მოახერხა შეენარჩუნებინა თავისი უფროსი ვაჟის მიხეილისათვის უფლებები სამეფო ტახტზე, ხოლო უმცროსი ვაჟებისათვის თანამმართველის სტატუსი. რომანოზ დიოგენი იყო იმპერატორთაგან მხოლოდ ერთი, მისი უპირატესობა კონსტანტინე დუკას მცირეწლოვან შვილებზე იურიდიულად შემაგრებული არ ყოფილა (**А. С. Мохов.** Византийская армия в правление Романа.., გვ. 277). ანუ მიხეილ დუკა მამის – კოსტანტინე X დუკას გარდაცვალებისთანავე ითვლებოდა იმპერატორად, ხოლო დედამისის ახალი თანამეცხედრე – რომანოზ IV დიოგენე, ფატობრივად, მხოლოდ მისი თანამმართველი იყო. მიჩნეულია, რომ (**J.-Cl. Cheynet.** Des traces de dictature a l'epoque meso-byzantin. – *Actes de la Table Roude reunie*. Paris, 27-28 sept. 1984. P., 1988, გვ. 110, მითითებულია: **А. С. Мохов.** Византийская армия в правление Романа IV Диогена, გვ. 277) რომანოზ დიოგენეს იმპერატორად გამოცხადება იყო ერთგვარი გაგრძელება ძველი ბიზანტიური ტრადიციისა, რომლის მიხედვით გარეშე მტრების შემოსევის საფრთხის არსებობისას მცირეწლოვან ტახტის მემკვიდრეებს უნიშნავდნენ გამოცდილ და ავტორიტეტულ სამხედროებს და ამ თვალსაზრისით ავლებენ პარალელს ნიკიფორე ფოკასა (963-969) და იოანე ციმისხის (969-975) მმართველობასთან (**А. С. Мохов.** Византийская армия в правление Романа IV.., გვ. 277).

[2] **А. С. Мохов.** Византийская армия в правление Романа IV Диогена, გვ. 277.

რომანოზ IV-ს სხვა არაკეთილმოსურნენიც ჰყოლია, რომლებიც დროთა განმავლობაში შეეკვრნენ იოანე კესაროსის გარემოცვას და დიოგენის ტახტიდან ჩამოგდების მიზნით შექმნეს პარტია.[1]

მკვლევარებში ეჭვს არ იწვევს, რომ ცალკეული მხედართმთავრების (პირველ რიგში, ანდრონიკე დუკასა და ნიკიფორე ვრიენოსის, რომლებმაც ყველაზე კრიტიკულ მომენტში, გახურებული ბრძოლისას გამოიყვანეს თავიანთი ნაწილები ბრძოლის ველიდან) ღალატი მანასკერტის ბრძოლის გადამწყვეტ სტადიაში, რომანოზ IV დიოგენეს ტახტიდან ჩამოგდების წინასწარ დაგეგმილი შეთქმულების შემადგენელი რგოლი იყო.[2] აღნიშნულიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ რომანოზ IV-ის დამხობით საქართველოშიც იქნებოდნენ დაინტერესებულნი – სასწორზე ხომ საქართველოს მეფის სიძის პოლიტიკური მომავალი იდო.[3] ამ გარემოებას ნამდვილად შეეძლო ერთგვარი დისონანსი შეეტანა ბაგრატ IV-ისა და რომანოზ IV დიოგენეს ურთიერთობებში,[4] რაც

---

[1] **А. С. Мохов.** Византийская армия.., გვ. 278, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **А. С. Мохов.** Византийская армия в правление Романа IV Диогена, გვ. 293,

[3] როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური წრეები არაერთხელ ჩარეულან ბიზანტიის შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებში და მხარი დაუჭერიათ ამა თუ იმ კანდიდატისათვის საიმპერატორო ტახტზე. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც დავით III დიდი კურაპალატის მიერ სამხედრო ძალის ორჯერ (979 და 989 წლებში) გაგზავნა ბიზანტიაში (ამის შესახებ დაწვრილ. იხ. **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა.., გვ. 27-37, იქვე, შესაბამისი ლიტერატურა), აგრეთვე გიორგი I-ის მონაწილეობა ბასილი II-ის წინააღმდეგ მიმართულ აქციებში (**ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა.., გვ. 117-118, 121-123).

[4] ჩვენს ამ დასკვნას არ ეწინააღმდეგება ზოგიერთ წყაროში დაფიქსირებული ფაქტი ქართველთა მონაწილეობისა მანასკერტის ბრძოლაში. ჯერ ერთი, ბიზანტიური წყაროებიდან (არადა სწორედ მათ უნდა მიენიჭოს უპირატესობა მანასკერტის ომის მონაწილე ბიზანტიური შენაერთების ეთნიკური შემადგენლობის დადგენისას) მხოლოდ მიხეილ ატალიატე ახსენებს *„იბერიელ სტრატიოტთა ლაშქარს“* (ამის შესახებ იხ.: **А. С. Мохов.** Византийская армия в правление Романа IV Диогена, გვ. 294, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**), რომელთაც ვერაფრით ვერ ჩავთვლით საქართველოს მეფის ნაწილებად – ისინი უდავოდ ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულის „იბერიის“ თემიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი. რაც შეეხება არაბი ავტორის ალ-ბუნდარის ცნობას ბიზანტიის იმპერატორის მიერ ხაზარებთან, რუსებთან, ყივჩაყებთან, ქართველებთან ერთად „აფხაზების“ (ესენი კი ნამდვილად ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ქვეშევრდომებად უნდა მოვიაზროთ) მოწვევის შესახებ (იხ.: **Садр ад-дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукиййа. Издание текста, перевод.., გვ. 194, მე-18 თავის მე-16 შენ.), ის აშკარად ამოვარდნილია საერთო კონიუნქტურიდან და წინააღმდეგობაში მოდის სხვა არაბულ წყაროთა მონაცემებთან. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ზუსტად უნდა მივიჩნიოთ სადრ

უთოდ ხელს აძლევდა იმპერიის წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისში მყოფ სელჩუკთა სულთანს, რომელიც, თავის მხრივ, ყოველნაირად იქნებოდა დაინტერესებული ბიზანტიასთან გადამწყვეტი შეტაკების წინ არ დაეშვა საქართველო-ბიზანტიის ანტისელჩუკური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა. როგორც ჩანს, სწორედ ამის გათვალისწინებით მიიღო ალფ-არსლანმა ერთი შეხედვით მეტად უცნაური გადაწყვეტილება და ძირეულად შეცვალა დამოკიდებულება საქართველოს ლიდერთან – თავის გუშინდელ დაუძინებელ მტერთან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ალფ-არსლანის დიპლომატიური რევერანსი ბაგრატ IV-ის მიმართ მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოს გამოთიშვას ბიზანტია-სელჩუკების დიდი დაპირისპირებიდან და სულ ცოტა მისი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას იმპერიასთან მომავალ ომში. ანუ ალფ-არსლანის პასიურობა (მეტი რომ არა ვთქვათ) ბაგრატ IV-ისა და განძის ამირა ფადლონს შორის არსებულ მწვავე კონფლიქტში, განპირობებული იყო მახლობელ აღმოსავლეთში არსებული საერთო პოლიტიკური ვითარებით, პირველ რიგში კი, ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე სიტუაციის უკიდურესი გამწვავებით.

სელჩუკთა სულთნის ამგვარმა პოზიციამ ხელ-ფეხი გაუხსნა საქართველოს მეფეს და მანაც განაახლა შეტევითი ოპერაციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. თავისი მეფობის ბოლო წლებში ის კვლავ გამოვიდა განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, რომელმაც *„გატეხნა ფიცნი და შუა–მდგომელობანი დიდისა სულტანისანი, და მოიპარა ქავაზინი...და აგარანი“*.[1] საქართველოს მეფემ უმალვე დაიბრუნა აგარანი, ხოლო მოგვიანებით *„გამოიყვანა დორღოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა, და წარუძღუანა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოჴრა განძა, და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხჳ, და გაგზავნა თავის სამეფოდ“*.[2]

ამ ძლევამოსილი სამხედრო ოპერაციის შედეგად, რომელსაც ასევე არ გამოეხმაურა სულთანი ალფ-არსლანი, საქართველოს მეფის ავ-

---

ად-დინ ალ ჰუსეინის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბიზანტიური ჯარი შედგებოდა სომხების, სპარსელების, პაჭანიკების, ღუზებისა და ფრანკებისაგან *(«из ... армян, персов, печенегов, гузов и франков»* იხ.: **Садр ад-Дин Али ал -Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа, გვ. 58) და სიბტ იბ ალ-ჯაუზის, რომელიც აფიქსირებს აშკარად იბერიის თემის მკვიდრ მკვიდრ მკვიდრ 100 ათას ქართველს («100 тысяч грузин */джурджи/*» (**Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа, გვ. 194, მე-18 თავის მე-16 შენ.). როგორც ვხედავთ, არც ერთ ამ წყაროში „აფხაზები“ ნახსენები არ არიან.

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 314.

[2] *მატიანე ქართლისა*, გვ. 315.

ტორიტეტმა ერთი-ორად აიწია.[1] ოვსთა მეფე დორღოლელის აქტიური მონაწილეობა განძის ამირას წინაამღდეგ სამხედრო კამპანიაში, მიუთითებს იმაზე, რომ ოვსეთის სამეფო – ყველაზე ძლიერი გაერთიანება ჩრდილოეთ კავკასიაში – უშუალოდ იყო ჩართული საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაში. ამასთან, ამ ფაქტმა ნათლად გამოავლინა, რომ სწორედ საქართველოს სამეფო იყო ანტისელჩუკური ფრონტის მთავარი ორგანიზატორი კავკასიაში. ყოველივე ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფო, მიუხედავად სელჩუკთა დამანგრეველი შემოსევებისა, კვლავ რჩებოდა წამყვან პოლიტიკურ ძალად, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას ჰეგემონობაზე საერთოკავკასიური მასშტაბით.

[1] ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მას მერე, რაც სელჩუკებმა განიმტკიცეს პოზიციები ამიერკავკასიაში, ისინი არ საჭიროებდნენ შადადიანთა მხარდაჭერას და ამდენად უკვე არ იყვნენ დაინტერესებულები მათი შემდგომი გაძლიერებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს მეფის მიერ ფადლონისათვის მიყენებული დარტყმები, რომლებიც ასუსტებდნენ არანშაჰთა სახელმწიფოს, სელჩუკთათვის სავსებით მისაღები იყო (**К. В. Рыжов.** Шаддадиды...). ეს ახსნა შეიძლება არ იყოს მთლად საფუძველს მოკლებული, თუმცა ჩვენ მაინც უფრო რეალურად მიგვაჩნია, სელჩუკთა სულთნის „პასიურობის“ ალფ-არსლანის ბიზანტიურ პოლიტიკასთან დაკავშირება.

XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ. *ზოგიერთი შენიშვნა რაუფ ჰუსეინ ზადეს მონოგრაფიაზე: „კავკასია და სელჩუკები“*[*]

2010 წელს, ბაქოში რუსულ ენაზე გამოიცა ცნობილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსის, სელჩუკოლოგის, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის, პროფესორ რაუფ ჰუსეინ-ზადეს (ადრე – ჰუსეინოვის) მონოგრაფია: *„კავკასია და სელჩუკები“*.[1] ეს ნაშრომი წარმოადგენს ფუნდამენტალურ და რამდენადმე განმაზოგადებელ გამოკვლევას, რომელშიც შეჯამებულია მეცნიერის მრავალწლიანი დაკვირვებები ისტორიული სელჩუკთმცოდნეობის სფეროში. მონოგრაფიაში არის მცდელობა სელჩუკთა სამყაროს ურთიერთობის გაშუქებისა კავკასიის ქვეყნებთან XI-XII საუკუნეებში. როგორც რედაქტორის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ეს არის პირველ გამოცემა სერიიდან, რომელიც მიეძღვნება სხვადასხვა იმპერიათა შემადგენლობაში შემავალი კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ისტორიას.

ამ წამოწყების ინიციატორი და განმახორციელებელია კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი). ინსტიტუტის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რ. ჰუსეინ-ზადეს წიგნს უნდა მოჰყვეს სხვა გამოცემებიც: *„კავკასია და ბიზანტია“, „კავკასია და არაბთა სახალიფო“ „კავკასია და მონგოლთა იმპერია“, „კავკასია და ოსმალეთის იმპერია“, „კავკასია და რუსეთის იმპერია“*. მათში პროექტის ხელმძღვანელის, ცნობილი აზერბაიჯანელი მეცნიერის, მეწარმისა და მეცენატის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის, პროფესორ ელდარ ისმაილოვის მტკიცებით, ამომწურავად იქნება გაშუქებული კავკასიის ხალხების ურთიერთობები *„დიდი ზესახელმწიფოების შემადგენლობაში, რომლებმაც არსებითი როლი ითამაშეს რეგიონის, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირებაში“*.[2]

---

[*] დაიბეჭდა: *საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები.* აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი, 21-24 ივნისი, 2012) ***მასალები.*** თბ., 2012, გვ. 161-170. იბეჭდება მცირეოდენი რედაქციული და ტექნიკური ხასიათის ჩასწორებებით.

[1] **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки. Баку, *«Кавказ»*, 2010.

[2] *«… в составе великих держав, сыгравших существенную роль в формировании региона как единого социально-экономического пространства…»*. იხ.: **Э. М. Исмаилов**. От научного редактора. – **Рауф А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки. Баку, *«Кавказ»*, 2010, გვ. 7.

ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგების მიერ დასახული მიზნის აქტუალობა და მეცნიერული მნიშვნელობა, რასაკვირველია, არანაირ ეჭვს არ იწვევს და მოცემული ინიციატივა ნამდვილად იმსახურებს ყოველმხრივ მხარდაჭერას. ამასთან, დაგეგმილი კვლევების მასშტაბები, მასში შემავალი თემების მრავალფეროვნება მეტად სათუოს ხდის აღნიშნული პრობლემატიკის სათანადო დონეზე შესწავლას ერთი ცალკე აღებული ისტორიკოსის მხრიდან და საჭიროებს ისტორიკოს-კავკასიოლოგების გარკვეული წრის – შესაბამისი მიმართულებების მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების ჩართვას. ამ დასკვნამდე ჩვენ მივედით მას შემდეგ, რაც გავეცანით პროფესორ რ. ჰუსეინ-ზადეს მონოგრაფიას.

ის, რომ პროფ. რ. ჰუსეინ-ზადე არის თანამედროვეობის ერთ-ერთი აღიარებული სელჩუკოლოგი, ძნელია ვინმემ ეჭვის ქვეშ დააყენოს. უცილობელია მისი სამეცნიერო ავტორიტეტი აგრეთვე შუა საუკუნეების აზერბაიჯანის ისტორიის მეცნიერული შესწავლის სფეროშიც. შე**იძლება ითქვას, რომ მოცემული მონოგრაფია კიდევ ერთი დადასტურებაა მისი მაღალი სამეცნიერო კვალიფიკაციისა. ის მართლაც არის ფართო პროფილის ისტორიკოსი-მედიევისტი, კავკასიისა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ამსახველი სხვადასხვაენოვანი პირველწყაროებისა და მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის მცოდნე.** მით უფრო საწყენია ის ცალკეული უზუსტობანი, რომლებიც დაშვებულია მეცნიერის მიერ საკვლევი პერიოდის საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებისას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ოპერატიულად გამოვეხმაურეთ აზერბაიჯანელი ისტორიკოსის ამ მონოგრაფიას და საკმაოდ ვრცელი კრიტიკული შენიშვნები (რუსულ ენაზე) გავაგზავნეთ ბაქოში.[1] ამ შენიშვნებიდან ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ერთ პრინციპულ საკითხზე: რ. ჰუსეინ-ზადეს მხრიდან XII-XIII საუკუნის დამდეგის კავკასია-ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებში საქართველოს სახელმწიფოს, როგორც წამყვანი ანტისელჩუკური ძალის როლის სრულ იგნორირებაზე. აზერბაიჯანელი ისტორიკოსის ნაშრომში სრულიად უსაფუძვლოდ ეჭვს ქვეშაა აქვს დაყენებული საქართველოს სახელმწიფოს ჰეგემონობა იმჟამინდელ კავკასიაში და ვითარება ისეა წარმოჩენილი, რომ მთავარ პოლიტიკურ ფიგურანტს რეგიონში წარმოადგენდა ილდენიზიდე-

[1] აღნიშნული მასალა გამოქვეყნებულია: **З. Папаскири.** Об одной попытке игнорирования роли и места грузинского государства на международной арене в XII веке. Некоторые замечания на книгу Рауфа А. Гусейн-Заде: *«Кавказ и Сельджуки»*. – *Кавказ и мир.* Международный научный журнал, №14. Тб., 2012, გვ. 60-83 (http://iberiana2.wordpress.com/caucasus/papaskiri). იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*. Тб., 2012, გვ. 363-398 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf).

ბის აზერბაიჯანის ათაბაგთა სახელმწიფო, რომელიც ფაქტობრივად ცვლიდა სელჩუკთა დიდ სულტანატს და, რომლის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული საქართველოს სახელმწიფო. თანმიმდევრულად მივყვეთ პატივცემული კოლეგის მსჯელობებს.

რ. ჰუსეინ-ზადეს მონოგრაფიაში არასწორადაა აღნიშნული, რომ სელჩუკთა ახალი სახელმწიფოს, – ერაყის სასულთნოს (შეიქმნა 1118 წელს), – შემადგენლობაში, *„შედიოდნენ აზერბაიჯანი, საქართველო, ფარსი და სხვა ტერიტორიები“* (*«входили ... Азербаиджан, Грузия, Фарс и ряд других территории»*).[1] მთელი დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას – და ამას თვით აზერბაიჯანელი მკვლევრებიც არ უარყოფენ, რომ 1118 წლისთვის სელჩუკები არა მარტო მთლიანად იყვნენ გაძევებული საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებიდან, არამედ, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა, ჯერ კიდევ 1117 წელს გაგზავნა რა თავისი ვაჟი და მემკვიდრე, უფლისწული დემეტრე ძლიერი არმიით შირვანში, მიიღო ენერგიული ზომები სელჩუკთა განსადევნად საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან.[2] 1120 წელს უკვე თვით დავით მეფე ორჯერ დაესხა სელჩუკებს შირვანში და როგორც წერს სრულიად სანდო სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი *„მახვილის ძალით წაართვა ირანელებს მრავალი მნიშვნელოვანი ადგილი? მათ შორის შირვანი, შაქი და შამქორი“* (*«... силою меча отобрал у иранцев много важных местностей, в том числе Ширван, Шеки и Шамхор»*).[3]

თავისი მონოგრაფიის სხვა ადგილას რ. ჰუსეინ-ზადე კიდევ უფრო შორს მიდის და უშვებს აზრს (მართალია, ოდნავ შეფარვით) XII საუკუნეში საქართველოს ყოფნის შესახებ სელჩუკთა სასულთნოს შემადგენლობაში ვასალური სახელმწიფოს სტატუსით. ასე, მაგალითად 164-ე გვერდზე ის აღნიშნავს რა, რომ *„სელჩუკთა ზესახელმწიფოს შექმნის მომენტიდან სამფლობელოების სისტემა, ანუ ფედერალიზმის პრინციპი, იქცა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ნორმად“ («с момента создания сельджукской державы система уделов, то есть принцип федерализма, стала нормой государственно-политического устройства»)*, ამ თეზისს ავრცელებს საქართველოზეც. მისი მტკიცებით, *„ახსნა იმისა, თუ რატომ არ ახლეს ხელი სელჩუკებმა კავკასიაში შირვანის სახელმწიფოსა და საქართველოს სამეფოს და დაკმაყოფილდნენ შირვანშაჰებისა და ბაგრატიდების მხრიდან ვასალური დამოკიდებუ-*

---

[1] **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки, გვ. 87.

[2] **С. Ашурбейли.** Государство Ширваншахов (VI-XVI вв.). Баку, 1983, გვ. 126; **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана. *1136-1225 годы*. Баку, 1978, გვ. 148 (http://www.elibrary.az/docs/atabeki.pdf).

[3] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 148-149.

ლების ფიცითა და სიმბოლური ხარკის გადახდის ვალდებულებით“ (*«объяснение того, почему Сельджукиды не тронули на Кавказе Ширванское государство и Грузинское царство, ограничившись вассальной присягой и обязательством уплаты ширваншахами и Багратидами символической дани»*) უნდა ვეძებოთ იმაში, რომ *„XII საუკუნის მანძილზე ფედერალიზმმა ფართო გავრცელება ჰპოვა ცენტრალურ და წინა აზიაში“* (*«В течение XII века федерализм получил широкое распостранение в Центральной и Передней Азии»*). ამიტომაც აგრძელებს ავტორი *„კავკასიის ამ სახელმწიფოებში შენარჩუნდა თავიანთი დინასტიები, საკუთარი ადმინისტრაცია, მონეტა და სუვერენობის სხვა ატრიბუტები“* (*«в этих кавказских государствах сохранились свои династии, собственная администрация, монета и другие атрибуты суверенности»*).

გარკვეულწილად აღნიშნული თეზისის განვითარებაა რ. ჰუსეინ-ზადეს განცხადება იმის შესახებ, რომ *„დიდი სელჩუკები ითვლებოდნენ კავკასიის სიუზერენებად“* (*«великие Сельджукиды считались сюзеренами Кавказа»*), მათ შორის *„საქართველოს სახელმწიფოსიც“* (*«... и Грузинского государства»*) და რომ ბაგრატიონები ისევე დებდნენ სელჩუკი სულთნებისადმი ერთგულების ფიცს, როგორც შირვანშაჰები, შადადიანი ამირები და რავადიანები.[1] სინამდვილეში ისტორიამ იცის მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც საქართველოს სახელმწიფომ ოფიციალურად აღიარა სელჩუკთა სულთნის უზენაესობა.

ეს, როგორც ცნობილია, მოხდა XI ს. 80-იანი წლების დამდეგს, როცა სელჩუკთა გამუდმებული გამანადგურებელი თავდასხმებით („დიდი თურქობა“) უკიდურესად ქანცგაწყვეტილი საქართველოს მეფე გიორგი II იძულებული შეიქმნა ხლებოდა დიდ სულთან მალიქ-შაჰს ისპაჰანში, ეცნო მისი სიუზერენობა და ეკისრა ხარაჯა.[2] ასეთი სიტუაცია

---

[1] **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки, გვ. 168-169.

[2] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 321; *ცხორებაჲ მეფეთ–მეფისა დავითისი. – ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი ***როინ მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 304-305; **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. თბ., 1972, გვ. 24-25; **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1968, გვ. 310-317; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XIს. 80-იანი წლებიდან XIIს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III. თბ., 1979; გვ. 208; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв. – *Вопросы истории Грузии феодальной эпохи,* II. Тб., 1979, გვ. 94-95; **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი (ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა). თბ., 1990, გვ. 64-70; **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო–*

გაგრძელდა 1099 წლამდე, როცა დავით აღმაშენებელმა, ისარგებლა რა ჯვაროსანთა ლაშქრობის (იერუსალიმისა და ანტიოქიის აღება) შედეგად ახლო აღმოსავლეთში ძალთა თანაფარდობის შეცვლით, *„არღარა მისცა სულტანსა ხარაჯაჲ“*.[1] სრული კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ამის შემდგომ საქართველო არასდროს ყოფილა სელჩუკთა სულთნის ვასალი და მოხარკე.

რ. ჰუსეინ-ზადეს წიგნის გაცნობისას თვალში საცემია ავტორის მისწრაფება მაქსიმალურად დაამცროს საქართველოს ჰეგემონური როლი XII ს. II ნახევრის პოლიტიკურ მოვლენებში. ყველაზე მკაფიოდ ეს მოჩანს შამქორის ცნობილი ბრძოლის პერიპეტიებზე თხრობისას. თანახმად ჩვენი პატივცემული კოლეგის მტკიცებისა, გამოდის, რომ თამარ მეფემ მხოლოდ ჯარი დაახმარა აზერბაიჯანის ათაბაგის ტახტისთვის მებრძოლ ამირან უმარს, რის შემდეგაც 1194 წ. ივნისში შამქორის ახლოს, სწორედ ამირან უმარმა დაამარცხა აბუ-ბექრი (გვ. 105).

სინამდვილეში კი ყველასთვის ცნობილია, რომ შამქორის ბრძოლა უწინარეს ყოვლისა, არის შეტაკება საქართველოსა და ადარბადაგანს შორის აღმოსავლეთ კავკასიაში ჰეგემონობისათვის, რომელშიც სწორედ საქართველოს სახელმწიფომ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება, რის შემდეგაც ქართველები სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობით მთლიანად დაეუფლნენ არანის ქვეყანას[2] და დიდი ხნის განმავლობაში არ უშვებდნენ ხელიდან ინიციატივას. ეს დასკვნა უნდა გამოვიტანოთ არა მხოლოდ თამარ მეფის ისტორიკოსის საკმაოდ ვრცელი მონათხრობიდან,[3] რომელსაც, სხვათა შორის, ანგარიშს უწევენ თვით აზერბაიჯანელი ისტორიკოსებიც კი, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისეთი სარწმუნო არაბი ავტორის ცნობებიდან, როგორიცაა აღწერილი მოვლენების თითქმის თანამედროვე – სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინი.[4]

ის, რაც ამ ბატალიებში მკაფიოდ იკვეთება, არის საქართველოს, როგორც კავკასიაში წამყვანი სახელმწიფოს ჰეგემონური როლი აზერბაიჯანის პოლიტიკურ გაერთიანებებთან მიმართებაში. პირველ რიგში, ეს

პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60–80–იან წლებში. თბ., 1991, გვ. 43-49; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв. Тб., 2001, გვ. 106 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29903/1/OtDavidaDoDavida.pdf).

[1] *ცხორებაჲ მეფეთ–მეფისა დავითისი. – ქართლის ცხოვრება…* 2008, გვ. 309.

[2] **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. Издание текста, перевод, введение, приммечания и приложения ***З. М. Буниятова***. М., 1980, გვ. 161 (http://www.vostlit.info/Texts/rus/Selguk/frames3.htm).

[3] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 62-78.

[4] **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа.., გვ. 157-161; **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 96-100.

ეხება შირვანს. და ეს სულაც არ არის ქართული ისტორიოგრაფიის სუბიექტური აზრი. ამ თვალსაზრისს ემხრობოდა და ასაბუთებდა გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, აკადემიკოსი ზია ბუნიატოვი, რომელმაც შეადარა ქართველი მემატიანისა და ზემოხსენებული არაბი ავტორის – სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობები და მივიდა დასკვნამდე, „*ამ* ***ორი სხვადასხვა ენოვანი და, რაც მთავარია ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკის კუთვნილი წყაროს*** *მონაცემები ... ცალკეული უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით,* ***იმეორებენ და ავსებენ ერთმანეთს“*** და, რომ *„შუა საუკუნეების* ***ქართველი ავტორების ცნობები საკვლევი პერიოდის შირვანის ვასალური დამოკიდებულების შესახებ არ არის ცალმხრივი და დასტურდება არაბი ავტორების მიერ“***.[1]

ამ თვალსაზრისით, არანაკლებ ინტერესს იწვევს აგრეთვე მეცნიერის სხვა დასკვნა: *„საკვლევ პერიოდში* ***შირვანი პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჩამოცილებული იყო არანიდან და აზერბაიჯანიდან და სხვებზე მეტად განიცდიდა გაძლიერებული საქართველოს გავლენას, რომელიც, სარგებლობდა რა შინაური შუღლით ათაბეგების აზერბაიჯანის სახელმწიფოში, ერეოდა მეზობელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში. ამ გავლენით დაინტერესებულნი იყვნენ შირვანის დინასტიის წარმომადგენლებიც,*** *რადგან საქართველოს შეეძლო მხარი დაეჭირა შირვანის მფლობელობისათვის სამხრეთ დაღესტანში.* ***მხოლოდ საქართველოსთან მშვიდობისა და და მოკავშირეობის (რომელშიც შირვანს ეკავა დაქვემდებარებული მდგომარეობა) გზით შეიძლებოდა უზრუნველყოფილიყო მშვიდობა შირვანშაჰების სამფლობელოების დასავლეთ საზღვარზე“***.[2]

---

[1] *«Из сопоставления сведений этих* ***двух источников, разноязычных и, что особенно важно, принадлежащих к противостоящим друг другу лагерям, видно, что они,*** *за исключением незначительных деталей,* ***повторяют и дополняют друг друга»*** *и что* ***«сведения о вассальной зависимости Ширвана изучаемого периода, приводимые грузинскими средневековыми авторами не являются односторонними, а подтверждаются и арабским автором»*** იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков.., გვ. 161; **З. М. Буниятов.** Некоторые сведения Садр ад-Дина ал-Хусайни о Грузии. – *მაცნე,* ისტორიის... სერია, №1, 1971.

[2] ***«Ширван*** *в изучаемое время* ***был политически и экономически отделен от Азербайджана и Аррана*** *и* ***более других испытывал на себе влияние усилившейся Грузии, которая, пользуясь междоусобицами в государстве атабеков Азербайджана, стала вмешиваться во внутренние дела соседних государств. В этом влиянии были заинтересованы и представители ширванской династии,*** *поскольку Грузия могла поддержать владычество Ширвана в Южном Дагестане.* ***Только путем мира и союза (в котором Ширван играл подчиненную роль) с Грузией можно было обеспечить мир на западной границе владений ширваншахов»***. იხ.: **М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 159; **Р. В. Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века (XII век).

Тб., 1995, გვ. 33. უნდა აღინიშნოს, რომ შირვანის ვასალურ დამოკიდებულებას საქართველოს სახელმწიფოსადმი უპირობოდ აღიარებდა ისეთი დიდი მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, როგორიც იყო აკად. ვ. ბარტოლდი. მისი განმარტებით: *„შირვანშაჰები ფაქტობრივად იყვნენ მათ* (იგულისხმებიან საქართველოს მეფეები – **ზ.პ.**) *დაქვემდებარებაში... თვით საქართველოს მეფეები ასევე იწოდებოდნენ შირვანშაჰებად“ («**Ширваншахи фактически были подчинены им**... Сами грузинские цари тоже называли себя ширваншахами»*. იხ.: **В. В. Бартольд.** Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. – *Сочинения в 9-ти томах*. Т. II, ч. I. М., 1963, გვ. 692; **Р. В. Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века.., გვ. 31; **Р. В. Метревели.** Дипломатия Давида Строителя на Кавказе. – *Научная мысль Кавказа*. №4. Ростов-на-Дону, 1996, გვ. 62, курсив наш – **З.П.** ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ან კიდევ: *„სინამდვილეში **იმჟამად შირვანი მთლიანად იყო დამოკიდებული საქართველოს მეფეებისადმი, რომლებმაც თვითონ მიიღეს შირვანშაჰის ტიტული**“ («На самом же деле **Ширван находился тогда в полной зависимости от грузинских царей, которые сами приняли титул «Ширваншах»***. იხ.: **В. В. Бартольд.** Ширваншах. – *Сочинения в 9-ти томах*. Т. II, ч. I. М., 1963, გვ. 877; **Р. В. Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века.., გვ. 31-32; **Р. В. Метревели.** Дипломатия Давида Строителя на Кавказе, გვ. 62, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). აკად. ვ. ბარტოლდის ამ სტატიიდან უფრო მრავლისმეტყველია სხვა პასაჟი: *„მანუჩარ II-ის ვაჟიშვილი და მემკვიდრე აღსართანი ბაქოსთან რუსულ ფლოტზე თავის გამარჯვებას და შირვანისა და დარუბანდის შემომტკიცებას უნდა უმადლოდეს თავის მძლეთამძლე ნათესავს, მოკავშირესა და უზენაეს მბრძანებელს – მეფე გიორგი III-ს“ («Сын и преемник Менучехра II, Ахситан, пожалуй, должен был быть обязан своей победой над русским флотом под Баку, а также отвоеванием Ширвана и Дербента своему **могущественному родственнику, союзнику** и **верховному повелителю – царю Георгию III»***. იხ.: **В. В. Бартольд.** Ширваншах, გვ. 877, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამასთან დაკავშირებით, ძნელი არ დაეთანხმო აკად. რ. მეტრეველს იმის შესახებ, რომ „ეს ეპითეტები „მძლეთამძლე“ და „უზენაესი მბრძანებელი“ – *მთლიანად შეესაბამებოდა საქართველოსა და მისი მეფის ავტორიტეტს წინა აზიასა და კავკასიაში XII საუკუნეში“ («Эти эпитеты – «могущественный» и «верховный повелитель» – полностью соответствовали авторитету Грузии и её царя в Передней Азии и на Кавказе в XII столетии»*. იხ.: **Р. В. Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века.., გვ. 49). აღსანიშნავია, რომ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის ე. ბერტელსის აზრით, *„სავსებით შესაძლებელია, რომ **შინაურ გარემოში შირვანშაჰები საუბრობდნენ ქართულ ენაზე**“ («вполне вероятно, что **в домашней обстановке многие ширваншахи говорили на грузинском языке**»*. იხ.: **Е. Э. Бертельс.** Избранные труды. Том 2. *Низами и Фузули*. М., 1962, გვ. 35; **ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. წერილი I. XII საუკუნის პირველი ნახევარი. – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები*, თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 8, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

დასკვნას არ უჭერენ მხარს სხვა აზერბაიჯანელი მკვლევრები და აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ საკმაოდ მყარადაა ფეხმოკიდებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, შირვანს საქართველოსთან ჰქონდა თანასწორუფლებიანი, სამოკავშირეო ურთიერთობა. თავის დროზე აღნიშნულ საკითხში განსაკუთრებით გამოირჩა აკად. ა. ალი-ზადე, რომელმაც ვ. მინორსკის მონოგრაფიის წინასიტყვაობაში კატეგორიულად უარყო დიდი რუსი მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნის დასკვნა საქართველოს სახელმწიფოსადმი შირვანის ვასალური დამოკიდებულების შესახებ XII საუკუნეში[1] და მოუწოდა მას უარეყო თავისი შეხედულება.[2]

ა. ალი-ზადეს პუბლიკაციას მოყვა ქართველი ისტორიკოსების რეაქცია, რომელთაც სათანადო წერილობითი წყაროების, მათ შორის აღმოსავლელი ავტორების, ცნობათა კრიტიკული ანალიზის, საფუძველზე, დამაჯერებლად აჩვენეს აღნიშნულ პერიოდში შირვანის საქართველოსადმი ვასალური დამოკიდებულების შესახებ არსებული თვალსაზრისის სისწორე.[3] მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს რ. ჰუსეინ-ზადეს მონოგრაფიიდან, რომელშიც აგრეთვე მთლიანად უარყოფილია საქართველოს სახელმწოფოსადმი შირვანის ვასალური დამოკიდებულება XII საუკუნეში, ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებს შორის დღემდე გრძელდება როგორც წამყვან ქართველ მეცნიერთა დასკვნების იგნორირება, ასევე ისეთი დიდი ავტორიტეტებისა, როგორებიც იყვნენ ვ. მინორსკი, აკად. ვ. ბარტოლდი, აკად. ზ. ბუნიატოვი და სხვ.

მაგრამ დავუბრუნდეთ XII საუკუნეში საქართველოს სელჩუკთა სასულთნოზე დამოკიდებულების საკითხს. რ. ჰუსეინ-ზადე ცდილობს ყოველნაირად დაარწმუნოს მკითხველი, რომ საქართველო არ თამა-

---

[1] **В. Ф. Минорский**. История Ширвана и Дербента X-XI веков. М., 1963, გვ. 176-180. XII საუკუნეში შირვანის საქართველოსადმი ვასალურ დამოკიდებულებას აღიარებდა შუა საუკუნეების აზერბაიჯანის კიდევ ერთი ცნობილი მკვლევარი ე. პახომოვი (**Е. А. Пахомов.** Краткий курс истории Азербайджана с приложением экскурса по истории ширваншахов в XI-XII вв. Баку, 1923, გვ. 33-36, 47).

[2] **А. А. Али-заде.** От ответственного редактора. – **В. Ф. Минорский**. История Ширвана и Дербента X-XI веков. М., 1963, გვ. 8-12; **А. А. Али-заде.** Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1966, გვ. 357; **А. А. Али-заде.** К вопросу об освещении ширвано-грузинских отношений в XI-XII веках. *Статья первая*. – *Известия АН Азербайджанской ССР*. Серия истории, философии и права, №4, 1977, გვ. 73-85.

[3] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 107; **ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში.., გვ. 8-16; **Р. В. Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века, გვ. 31-33; **R. Metreveli**. Foreign Policy of Georgia in the middle Ages. *12th Century*. Tbilisi, 1997, 31-33.

შობდა ჰეგემონურ როლს აღმოსავლეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ, აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივ გაერთიანებებთან მიმართებაში, არამედ, პირიქით, თვითონ იყო „***დამოკიდებული მუსლიმურ სამყაროზე,*** *მათ შორის* ***აზერბაიჯანზე, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც***“.[1] და ეს XII საუკუნეში, როდესაც ისტორიამ არ იცის არცერთი ფაქტი, რაიმე სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური წარმატებისა მუსლიმური სამყაროსი საქართველოს მიმართულებით. პირიქით, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დაწყებული 1104 წლიდან, როცა საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელმა სელჩუკებს მიაყენა გამანადგურებელი მარცხი ერწუხის ბრძოლაში და გადავიდა სელჩუკთა საქართველოს საზღვრებს გარეთ გაძევების დამაგვირგვინებელ ეტაპზე, რაც ძლევამოსილად დაასრულა „ძლევაჲ საკვირველით“ დიდგორის ბრძოლაში 1121 წელს და თბილისის განთავისუფლებით 1122 წელს, საქართველო ყოველთვის გამოდიოდა, როგორც შემტევი მხარე და არ აძლევდა მოსვენებას აზერბაიჯანის მუსლიმ მმართველებს, მათ შორის ილდენიზიდებსაც, რომელთა ძლევამოსილებაც აშკარად გაზვიადებულადაა შეფასებული რ. ჰუსეინ-ზადეს მონოგრაფიაში.

ავითარებს რა თავის თეზისს ათაბეგთა აზერბაიჯანის სახელმწიფოს ლამის მთელ კავკასიაში ჰეგემონობის შესახებ, რ. ჰუსეინ-ზადე უაპელაციოდ გვამცნობს, რომ ათაბექ-ილდენიზიდებმა შეძლეს *„არა მხოლოდ წინააღმდეგობა გაეწიათ საქართველოს მეფეთა სამხედრო-პოლიტიკური გააქტიურებისათვის კავკასიის რეგიონში, არამედ ერეოდნენ საქართველოს სამეფოს საშინაო საქმეებში და აართვეს ბაგრატიონებს რიგი ტერიტორიები. მთლიანობაში, XII ს. II ნახევარში ილდენიზიდებმა ბოლო მოუღეს საქართველოს მეფეების სამხედრო ლაშქრობებს კავკასიის ფარგლებში. ამიტომ კანონზომიერია, რომ სწორედ ილდენიზიდები და არა ბაგრატიონები თამაშობდნენ თვალშისაცემ როლს შირვანის სახელმწიფოს ისტორიაში“.*[2] ერთადერთ არგუმენტად ასე

---

[1] *«**зависела от мусульманского мира,** в том числе **от Азербайджана, не только политически, но и экономически**»*. იხ.: **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки, გვ. 120, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«… не только воспрепятствовать военно-политической активизации грузинских царей в Кавказском регионе, **но и вмешивались во внутренние дела Грузинского царства и отняли у Багратидов ряд территорий**. В целом, во второй половине XII века Ильденизиды **положили конец военным походам грузинских царей в пределах Кавказа**. Поэтому закономерно и то, что **именно Ильденизиды, а не грузинские Багратиды играли заметную роль в истории Ширванского государства**»*. იხ.: **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки, გვ. 118-119, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

შორს მიმავალი დასკვნის დასასაბუთებლად მეცნიერს მოჰყავს ის ფაქტი, რომ შამს ად-დინ ილდენიზის ძალისხმევით *„შირვანშაჰმა აღსართანმა თავისი წინაპრების ტახტი დაიკავა, რის გამოც აღიარა ერაყის სულთნის, ანუ ილდენიზიდების ფორმალური ვასალობა“*.[1] რადგანაც სხვა რამე ფაქტი საქართველოს საშინაო საქმეებში ილდენიზიდების ჩარევის შესახებ რ. ჰუსეინ-ზადეს არ მოყავს, გამოდის, რომ შამს ად-დინ ილდენიზის სიზერენიტეტის დამყარება შირვანშაჰ ახსიტანზე (ქართული აღსართანი), *„რომლის დედა ამასთან საქართველოს სამეფო გვარის იყო“*,[2] ავტორის მიერ განიხილება, როგორც საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა. ამით ის ძალაუნებურად აღიარებს შირვანს ქართველი ბაგრატიონების გავლენის სფეროდ.

შირვანზე საქართველოს უზენაესობის საკითხი აშკარად ტენდენციურადაა გაშუქებული ჩვენი პატივცემული კოლეგის ზოგიერთ სხვა პუბლიკაციაშიც.[3] არადა ყველაფერი სწორედ რომ სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. თვით გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერის აკად. ზ. ბუნიატოვის აბსოლუტურად სამართლიანი შენიშვნით, საქართველომ, ისარგებლა რა ათაბეგთა აზერბაიჯანის სახელმწიფოში მიმდინარე შიდა არეულობით, დაიწყო ჩარევა მეზობელ სახელმწიფოთა, პირველ რიგში, შირვანის სამეფოს საშინაო საქმეში.[4] ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მთელი XII ს. განმავლობაში მხოლოდ ერთხელ 1163 წელს ლორეს მიდამოებში მუსლიმთა კოალიციამ, იგივე შამს ად-დინ ილდენიზის მეთაურობით შეძლო მიეყენებინა სერიოზული დარტყმა ქართული სამხედრო ძალისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი III,[5] რის შედეგადაც ქართველებმა რაღაც დროით და-

---

[1] *«Ширваншах Ахситан сумел занять трон своих предков, почему и признал себя формальным вассалом иракского султана Сельджукида, то есть фактически Ильденизидов»*. იხ.: **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки, გვ. 119.

[2] *«...чья мать, к тому же, была грузинского царского рода»*. იხ.: **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки, გვ. 119.

[3] მაგალითად, თავის ადრინდელ ერთ-ერთ სტატიაში, რ. ჰუსეინ-ზადე სრულიად უაპელაციოდ აცხადებს, რომ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც საქართველო-შირვანის ურთიერთობები «были паритетными» (**Р. А. Гусейнов.** Историография истории Закавказья в XI-XII вв. – *Тюркологический сборник*. М., 1976, გვ. 34). აზერბაიჯანელი მკვლევრის ეს დასკვნა სავსებით მართებულად გააკრიტიკა აკად. რ. მეტრეველმა (**Р. В. Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века.., გვ. 32-33).

[4] **М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 34; **Р. В. Метревели.** Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века.., გვ. 32-33.

[5] **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს. პირველ მესამედში. თბ., 1995, გვ. 108.

კარგეს კონტროლი სომხურ ქალაქ დვინზე. დანამდვილებით შეიძლება ითვას, რომ ხორეზმშაჰ ჯალალ ად-დინის 1226 წლის შემოსევამდე არანაირ შეღწევას მუსლიმთა შეიარაღებული ძალებისა ქართული ტერიტორიების სიღრმეში ადგილი არ ჰქონია.

და ეს იმ ფონზე, როცა საქართველო იმყოფებოდა პერმანენტულ საომარ ვითარებაში, არა მარტო საქართველოსა და სხვადასხვა მუსლიმურ ერთეულებს შორის სადაო სომხური ტერიტორიების, არამედ უშუალოდ ათაბეგთა კონტროლირებადი და აზერბაიჯანის მფლობელობაში მყოფი განძის საამიროს გამოც. პირველი სერიოზული დარტყმა განძის მმართველთა ამბიციებს დავით აღმაშენებელმა ჯერ კიდევ 1104 წელს მიაყენა, როცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ცნობილ ერწუხის ბრძოლაში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა თვით სულთან მუჰამედის მიერ შეკრებილ მუსლიმთა კოალიციურ ჯარებს. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ამ ბრძოლაში დაღუპულთა შორის იყო თვით განძის ათაბაგი.[1] ზოგიერთი არაბული წყაროს (კერძოდ, იბნ ალ-კალანისი) მიხედვით, დავით აღმაშენებელი 1109-1110 წლებში გამოვიდა სულთან მუჰამედის წინააღმდეგ და დროებით დაიკავა განძა.[2] მიუხედავად იმისა, რომ არაბი ავტორი საუბრობს სულთან მუჰამედის ეფექტურ საპასუხო მოქმედებებზე, კერძოდ ქართველთა ჯარის დევნისა და მათი ქვეყნის აოხრების შესახებ,[3] მკვლევრები თვლიან ამას გაზვიადებად[4] და უფრო ენდობიან სადრ ად დინ ალ ჰუსეინის ცნობას, რომელიც აღნიშნავს რა ქართველთა შეჭრას განძის მიდამოებში, წერს მხოლოდ იმას, რომ *„სულთანმა მათ წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა, რომელმაც ხელი შეუშალა მათ ბოროტებას“*.[5]

სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, მათეოს ურჰაეცი, იბნ ალ-კალანისი) მკვლევარები აფიქსირებენ დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულ სამხედრო ოპერაცი-

---

[1] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 328; **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო.., გვ. 25.

[2] **М. М. Альтман.** Исторический очерк города Ганджи, ч. I. Баку, 1949, გვ. 32-33; **ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა.., გვ. 25; **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის.., გვ. 27.

[3] **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო.., გვ. 29; ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **გ. ჯაფარიძე.** დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. *განჯაზე ლაშქრობა 1110 წ. – მაცნე,* ისტორიის... სერია, №4, 1992, გვ. 84-89.

[4] **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის.., გვ. 29-30.

[5] *«Султан направил против них войско, которое воспрепятствовало их злу»* იხ.: **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа.., გვ. 83.

ას არანის მხარეში დიდგორის ბრძოლის წინ.[1] თვით დიდგორის ბრძოლაც, რომელიც, როგორც ცნობილია, დასრულდა სელჩუკთა კოალიციური ჯარების განადგურებით, უპირველეს ყოვლისა განძის მმართველის, მძლავრი ანტიქართული კოალიციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორისა და ორგანიზატორის თოღრულ ბ. მუჰამედის ამბიციური გეგმების სრული კრახი იყო.[2] არაა გასაკვირი, რომ 1123 წელს დავით აღმაშენებელმა მიაყენა მორიგი მძლავრი დარტყმა თოღრულ ბ. მუჰამედს, დაესხა რა თავს მძლავრი მიწისძვრით დანგრეულ განძას.[3]

დაპირისპირების ახალი ეტაპი საქართველოსა და არანს შორის დაიწყო 1139 წელს, როცა, ისარგებლა რა სტიქიური უბდურებითა და განჯის მაცხოვრებელთა დაბნეულობით, ქართულმა ჯარმა დემეტრე მეფის სარდლობით ილაშქრა განჯაში.[4] მათ დაუნდობლად გაუპარტახებიათ ქალაქი.[5] სამხედრო ნადავლის სახით დემეტრე I-ს წამოუღია ქალაქის რკინის ალაყაფი, დამზადებული ჯერ კიდევ განჯის მმართველის აბუ-ლ-ასვარ აბუ'ლ-ფადლ შაბურ I (1048-1067) ხანაში, 1063 წელს.[6] მიმიუხედავად იმისა, რომ სულთან ყარა-სონყურის მოხელე (наместник) უსწრაფესად მოვიდა ჯარით და განძასთან ბრძოლაში დაამარცხა ქართველები და უკუაქცია ისინი,[7] სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს

---

[1] **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის.., გვ. 39-40.

[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. – წგნ.: ***შ. მესხია.*** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 84-85; **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო.., გვ. 41-42.

[3] ცნობა ამ აქციის შესახებ მოეპოვება არაბ ავტორს ალ-ფარიკის (**V. Minorsky.** Caucasica in the History of Mayyafariqin. – *Bulletin of the School of Oriental and African Studies*. 13, №1. London, 1949, გვ. 34; *История Азербайджана*, т. I, Баку, 1958, გვ. 142; **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ., 1974, გვ. 87, 90). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქართველი მკვლევარი არ ენდობა ალ-ფარიკის ცნობას და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს 1139 წლის მიწისძვრა (**ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში.., გვ. 41; **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIIIს. პირველ მესამედში. თბ., 1995, გვ. 53-54).

[4] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 192-193.

[5] **Мхитар Гош.** Албанская хроника. Предисловие, перевод и коментарии ***З. М. Буниятова***. Баку., 1960, გვ. 13; **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 192-193.

[6] **Киракос Гандзакеци.** История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий ***Л. А. Ханларян***. М., 1976, გვ. 96; **М. М. Альтман.** Исторический очерк города Ганджи, გვ. 33-35; **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 192-193.

[7] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 192-193. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ წყაროში (მაგ. სომეხი ისტორიკოსის სამუელ ანეცის თხ-

მეფე მაინც სარგებლობდა გარკვეული ავტორიტეტით რეგიონში.

სხვანაირად რთულია აიხსნას ქალაქის თავთა სურვილი, საშველად უხმონ საქართველოს მეფეს – დემეტრეს, რათა მან დაიცვას განძა ემირ ერგიშისგან[1] 1146-1147 წლებში, *„რომელმაც ყოველგვარი მითითების გარეშე მოინდომა განძის სამფლობელოს დაკავება, რადგან მისი ასული უნდა გამხდარიყო სულთნის ცოლი. მას ერქვა რუზუგანი* (ანუ რუსუდანი – **ზ.პ.**) *და* ***ეს იყო ფასი მისთვის... ის აძლევდა მათ განძაკს. ამ მიზეზით საქართველოს მეფემ გააგზავნა არმია და გაქცეული ერგიში დაბრუნდა... სპარსეთში****“*.[2]

იმის შესახებ, რომ საქართველო ამ დროს სრულად აკონტროლებდა სიტუაციას განძა-არანის შემოგარენში, უნდა მოწმობდეს სადრ ად-დინ ალი ალ-ჰუსეინის ცნობა, რომლის თანახმადაც: *„ათაბაგმა ილდეგიზმა* (შამს ად-დინ ილდენიზი/ელდიღუზი – განძა-არანის ათაბაგი 1137-1160 წლებში, აზერბაიჯანის ათაბაგი 1160-1174 წლებში – **ზ.პ.**) *გადაწყვიტა დაბრუნებულიყო აზერბაიჯანსა და არანში, რადგან გაიგო იმის შესახებ, რომ* ***ქართველებს ჰქონიათ განზრახვა შეჭრილიყვნენ ისლამის ქვეყნებში და უკვე გაუძარცვავთ დვინი და შეუპყრიათ ისინი ვინც იქ იმყოფებოდა****... როდესაც ათაბაგი დაბრუნდა აზერბაიჯანში, მაშინ ქართველებმა გაუგზავნეს მას წერილი, რომელშიც აუწყეს შემდეგი:* ***„ჩვენ გვეკუთვნის ხარკი განძიდან და ბაილაყანიდან, რომელიც ყოველწლიურად შემოდის ჩვენი მეფის ხაზინაში. მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ხაზინაში ხარკის შემოსვლა შეწყდა და ჩვენ გვსურს, რომ შენ შეიტანო ეს ფული****“*.[3]

ზულებაში) ლაპარაკია ქართული ჯარის დევნაზე გაჩიანამდე (**გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური.., გვ. 94) და იმაზეც კი, რომ ყარა-სონყური გაემართა *„საქართველოს ქვეყნისკენ... ორჯერ დაატეხა საშინელებები და შიშის ზარი დასცა მათ, დაიპყრო მათი სიმაგრეები და დაიმორჩილა ისინი და დაბრუნდა გეგას მთიანი ოლქის გავლით“* (*«в страну Грузию первый, а затем и второй раз и вверг их в ужас и заставил их трепетать, захватил их укрепленные места и подчинил их и вернулся оттуда дорогой через горную область Гега»*. იხ.: **Мхитар Гош.** Албанская хроника.., გვ. 13-14).

[1] მკვლევართა აზრით არდებილის მმართველი (იხ.: **Мхитар Гош.** Албанская хроника. Предисловие.., გვ. 16, შენიშვნ. 78; **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო.., გვ. 95).

[2] *«... который безо всякого указания султана вознамерился захватить владение Ганджак ибо его дочь должна была стать женой султана. Её звали Рузуган* ***и, как плата за неё ..., он отдавал им Ганджак****. По этой причине* ***царь Грузии послал армию, и Эргиш, обращенный в бегство, вернулся в персидские пределы»****.* იხ.: **Мхитар Гош.** Албанская хроника.., გვ. 16, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *«Атабек Ил-Дегиз решил вернуться в ... Азербайджан и Арран, так как он услышал о том, что* ***грузины прельстились [намерением] вторгнуться в стра-***

ის, რომ აღნიშნულ დროს მთავარი საფრთხე განძა-არანს და მთელ აზერბაიჯანს მოელოდა საქართველოს მხრიდან და რომ სწორედ საქართველო იყო შემტევი მხარე (და არა სელჩუკთა სახელმწიფოზე ვასალურად დამოკიდებული ქვეყანა) არ უნდა იწვევდეს ეჭვს. რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ ქართველ მემატიანეებზე, თვით არაბი ავტორის დამოწმებით, 1161 წლის აგვისტოში *„**საქართველოს ჯარები მეფე გიორგი III-ის მეთაურობით შეიჭრნენ აზერბაიჯანში** და „დაიკავეს რა ქალაქი ანისი, არანის ქვეყანაში“,... ამოწყვიტეს უამრავი ხალხი. ალყაშემორტყმული ქალაქის დახმარება სურდა სულთნის ვასალს ხლათის შაჰარმენს სეიფ ად-დინ ბეკ-თემურს, მაგრამ ის **განადგურებულ იქნა ქართველების მიერ** და თვითონაც ძლივს გადაურჩა დატყვევებას. ქართველებმა „ხმლით აკუწეს ისეთი სიმრავლე მტრის ჯარისა, რომ არავის არ შეეძლო მათი რაოდენობის დადგენა, მაგრამ ტყვედ აყვანილთა რიცხვი იყო 41 ათასი“.*[1]

მცირე შესვენების შემდეგ *„**30 ათასიანი ქართული ჯარი „კვლავ შეიჭრა ისლამის ქვეყანაში** და დაიპყრო დვინი, ეს არის ქალაქი აზერბაიჯანის ქვეყნის კიდეზე, არ-რუმის მახლობლად... რამდენიმე ხნის შემდეგ **საქართველოს ჯარი ისევ შეიჭრა აზერბაიჯანში, დაიპყრო ქალაქი განძა,** გაძარცვა ის, ტყვედ აიყვანა დ გაიტაცა უამრავი მცხოვრები, ხელთ იგდო დიდძალი ნადავლი“.*[2]

***ны ислама и уже ограбили Двин, захватив тех, кто там находился**... Когда атабек прибыл в Азербайджан, то грузины послали ему письмо, в котором излагали следующее: «**Нам причитается харадж с Ганджи и Байлакана, который ежегодно поступает в казну [нашего] царя. Однако вот уже несколько лет, как поступления в казну прекратились, и мы желаем, чтобы ты внёс эти деньги**»* იხ.: **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа.., გვ. 137, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[1] *«**Грузинские войска под командованием царя Георгия III ... вторглись в Азербайджан** и «овладев городом Ани, что в стране Арран» ... перебили здесь множество жителей. Осажденному городу хотел помочь вассал султана – владетель Хилата шах-арман Сайф ад-Дин Бек-Тимур, но **он был разбит грузинами** и едва избежал плена. Грузины «предали мечу такое множество неприятельского войска, что никто не мог определить его числа, но взятых в плен была 41 тыс»*. იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 53-54 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] *«**30-тысячное грузинское войско „вновь вторглось в страну ислама** и захватило Двин, а это – город на краю страны Азербайджан, поблизости от страны ар-Рум ... Через некоторое время **грузинские войска вновь вторглись в Азербайджан, захватили город Гянджу,** разграбили его, взяли в плен множество жителей и угнали их, увезя также множество трофеев»*. იხ.: **З. М. Буниятов.**

აღნიშნულმა დიდმა გამარჯვებებმა, როგორც ჩანს მოადუნა საქართველოს მეფის გიორგი III-ის ყურადღება. თავის მხრივ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმმა მმართველებმა შამს ადდინ ილდენიზის მეთაურობით, მოახერხეს დიდი ძალების მობილიზება და, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ბოლოსდაბოლოს მიაყენეს საგრძნობი დარტყმა გიორგი III-ს ლორეს მიდამოებში.[1] ქართველები მალე მოვიდნენ გონს და უკვე 1164 წ. აპრილში კვლავ მოაწყვეს მარბიელი ლაშქრობა ანისზე, თუმცა ათაბაგმა ილდენიზმა განდევნა ისინი ქალაქიდან.[2]

ცოტა მოგვიანებით, 1166 წელს ქართველთა დიდი ლაშქარი კიდევ ერთხელ შეიჭრილა აზერბაიჯანში, განძამდე ჩასულა და აუკლია იქაურობა.[3] 1174 წლის იანვარში ქართველებს კვლავ გაულაშქრიათ განძა-არანის მიმართულებით. ათაბექის მეომრებს, მიუხედავად თავს დამტყდარი შავი ჭირისა, ნახიჭევანის ციხე-სიმაგრესთან წინააღმდეგობა გაუწევიათ ქართველებისთვის და, მოუხერხებიათ მათი შეჩერება. უფრო მეტიც, მუსლიმები თვითონ გადასულან იერიშზე *„აფხაზთა მეფის წინააღმდეგ“ («против царя абхазов»),* რომლის შემდეგაც მობრუნებულან ნახიჭევანში.[4]

1174 წ. ოქტომბერში საქართველოს ჯარებს რამდენიმე დღის ალყის შემდეგ დაუპყრიათ ანისი, გაუძარცვავთ ის და დაუნიშნავთ თავიანთი მოხელე (наместник). ილდენიზ ათაბაგს გაუგზავნია თავისი ჯარი ანისის მფლობელ შაჰანშაჰის დასახმარებლად, მაგრამ „დიდი ბრძოლის“ შემდეგ დამარცხებულა ქართველებთან. რამდენიმე ხნის შემდეგ ილდენიზს შეუკრებია ახალი ჯარი და კვლავ დაძრულა ქართველების წინააღმდეგ. მოწინააღმდეგენი შეყრილან ველზე დვინის მახლობლად, მაგრამ ბრძოლა არ შემდგარა, რის შემდეგაც ილდენიზს უკან დაუხე-

---

Государство атабеков Азербайджана.., გვ. 53-54 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამ მოვლენების შესახებ დაწვრილ. იხ. აგრეთვე: **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო.., გვ. 99-107.

[1] ზ. ბუნიატოვის დაკვირვებით, თითქმის ყველა წყარო ქართველთა მარცხს ხსნის რომელიღაც ქართველის ღალატით, რომელიც გადასულა ილდენიზის მხარეს და მიუწოდების მისთვის მონაცემები ქართველთა ჯარის განლაგების შესახებ. იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 54-59).

[2] *«… снова совершили налет на город Ани и опустошили его», хотя «подоспевший атабек Ил-Дениз изгнал их из города…».* იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 58-59.

[3] *«… большое грузинское войско вторглось в Азербайджан и достигло Гянджи где учинило разбой и грабежи».* იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 58-59.

[4] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 58-59.

ვია ნახიჭვნისკენ.[1] პატარა რევანშს მიაღწია ილდენიზმა 1175 წ. აგვისტოში, როდესაც მუსლიმ მმართველთა გაერთიანებული არმია მოულოდნელად თავს დაადგა გიორგი III, რომელიც მცირე ამალით ნადირობდა ლორესა და დმანისის მთებს შორის.[2] მაგრამ, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ამის შემდეგ ინიციატივა გადავიდა ილდენიზიდების ხელში, პირიქით, როგორც გვიჩვენა XII ს. 90-იანი წლების მოვლენებმა,[3] საქართველოს სახელმწიფოს პოზიციები არანის მიმართულებით, საკმაოდ მყარი იყო.

XII ს. ბოლოსა და XIII ს. დამდეგს სახეზეა ქართული სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერება და მისი გავლენის შემდგომი გაფართოება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. შემთხვევითი არ არის, რომ შამქორის ბრძოლაში გამანადგურებელი დამარცხებით ფაქტობრივად იწყება ილდენიზიდების სახელმწიფოს დაღმასვლა, ხოლო მისი ლიდერი *„ჩაეფლო ლოთობასა და დროს ტარებაში“ («был поглощён попойками и увеселениями»)*. 1204-1206 წლებში ქართველები ორჯერ შესევიან აზერბაიჯანის საზღვრებს – ხლათისა და არჯიშის ოლქებს *(«…в округ Хилата и Арджиша»)*.[4]

1210-1211 წლებში საქართველოს ჯარებმა განახორციელეს ***„ერთერთი ყველაზე მასშტაბური ლაშქრობა აზერბაიჯანის ტერიტორიის მიმართულებით“ («один из самых крупных походов на территорию Азербайджана»)***. ისინი შესულან მარანდში და მისი მორბევის შემდეგ ალყა შემოურტყამთ თავრიზისთვის. ქართველთა ჯარს აუკლია თავრიზის მიმდებარე მხარეები (волости). თავდაპირველად მათ შეუტევიათ ნახიჭევნისთვის, მაგრამ ვერ აუღიათ ის, რის შემდეგაც გაუწევიათ ჯულფასკენ და *„იმდენი ხალხი აუყვანით ტყვედ, რომ თვით ალაჰისა გარდა არავის არ ცოდნია მათი რაოდენობა“ («и увели столько людей в плен, что их числа, кроме Аллаха, никто не знает»)*.[5]

---

[1] *«… грузинские войска в течение нескольких дней осаждали Ани и, захватив город, разграбили его и назначили здесь своего наместника.* ***Атабек Ил-Дениз*** *бросил свои войска на помощь владетелю Ани Шаханшаху, но после «великого сражения»* ***был разбит грузинами.*** *Через некоторое время* ***Ил-Дениз****, собрав новые силы,* ***вновь выступил против грузин.*** *Противники сошлись на равнине близ Двина,* ***однако сражение не состоялось, и Ил-Дениз отвёл войска в Нахичеван****».* იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 60-61.

[2] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 59-60.

[3] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 95-100.

[4] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 102-103.

[5] **З. М. Буниятов.** Государство атабеков.., გვ. 103, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**.

თავრიზიდან ნაწილი ქართველი მეომრებისა გაემართა მიანისკენ. ქალაქის მმართველს, რომელმაც გაითვალისწინა თავრიზის მაგალითი, *„ოქროთი, ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით“ («золотом, серебром и драгоценными камнями»)* გამოუსყიდია თავი ქართველთაგან, რის შემდეგაც *„დიდძალი სიმდიდრით დატვირთულ“ («набравши всякого богатства»)* ქართველებს მიანა დაუტოვებიათ. შემდგომ ქართველთა ლაშქრის ამ შენაერთს გაუწევია *„პატარა ქალაქ ზანგანისკენ (ზენჯანი)“*. ჯარი შესულა ქალაქში და დაურბევია. შემდეგ ალყა შემოურტყამთ ყაზვინისა და აბსარისთვის. ორივე ქალაქს სუსტი წინააღმდეგობა გაუწევია და ისინიც განადგურებულან *(«подверглись разгрому»),* ქართველებს კი დიდძალი ქონება დარჩენიათ. ამასთან, ხალხისთვის ზიანი არ მიუყენებიათ *(«Людям не вредили»)*, მხოლოდ მამაკაცები და ბიჭები აუყვანიათ ტყვედ.[1]

ქართული ჯარის სხვა კოლონა არდებილის მიმართულებით წასულა. გზად ალყა შემოურტყამთ ქალაქ უჩანისთვის, მაგრამ უჩანელებს *„უთვალავი საჩუქრებით“ («бессчетными подарками»)* თავი დაუხსნიათ. შემდეგ ქართველებს უკვე არდებილი მოუქცევიათ ალყაში. ქართული ცხენოსანი ჯარი ქალაქში შეჭრილა, დაუკავებია ის და ქალაქის მმართველი და მისი ოჯახი ტყვედ აუყვანია. ქართველები ქალაქის მთელ ქონებას *(„მარგალიტებს, ძვირფას ქვებს, ოქროს, ვერცხლისა და ოქროს ჭურჭლეულობას.., ხალიჩებს“* და ა.შ.) დაუფლებიან. მათვე წაუსხამთ ალაფით დატვირთული უამრავი ცხენი, ვირი, აქლემი. ამოუწყვეტიათ 12 ათასი ქალაქის მცხოვრები. უკან მობრუნებისას ქართველებს დაუკავებიათ ციხეების უმრავლესობა და ხარკი დაუდვიათ ნახიჭევნისა და ბაილაყანისთვის. დვინის ოლქისა და იქაური ციხეების აღების შემდეგ, ქართველები ისევ დასხმიან თავს მარანდს, ამოუხოციათ მამაკაცები ქალები კი ტყვედ წამოუყვანიათ.[2]

ამ მასშტაბური სამხედრო-პოლიტიკური აქციის შედეგად *„აზერბაიჯანის მფლობელი და სპარსეთის ერაყის ნომინალური მმართველი აბუ-ბაქრ ათაბაგი“* (*«владетель Азербайджана и номинальный правитель Персидского Ирака атабек Абу Бакр»*) სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა. საქმე იქამდე მისულა, რომ აბუ ბექრი *„ლოთობასა და გარყვნილებაში გადავარდნილა“* და თავისი ხელქვეითებისთვის უბრძანებია, არაფერი ეცნობებინათ ქართველთა ქმედებებზე. ქართველები კი, ხედავდნენ რა, რომ არავინ იყო წინააღმდეგობის გამწევი, კიდევ უფრო გათამამებულან, მიმოფანტულან ქვეყანაში და ალყაში მოუქცევიათ ციხე-

[1] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 103.

[2] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 103.

სიმაგრეები მანამ, სანამ მთლიანად არ დაუკავებიათ არანის ქვეყანა.[1]

ცნობილია, რომ სწორედ ასეთ მდგომარეობაში გარდაიცვალა აბუ ბექრ ათაბაგი 1211 წელს.[2] აჯამებს რა მის ოცწლიან მმართველობას, აკად. ზ. ბუნიატოვი აღნიშნავს: *„აბუ ბაქრს არ გააჩნდა საკმარისი ძალები საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ, ამასთან, ის მუდმივად უფრთხოდა თავის აღმოსავლელ მეზობლებსა და მეამბოხე ვასალებს“*.[3] აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერი ასკვნის, რომ აბუ ბექრმა, მთლიანობაში, სრული კრახი განიცადა საქართველოსთან დაპირისპირებაში.

ასეთია საერთო სურათი ქართული სახელმწიფოს დაპირისპირებისა აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროსთან და ძალთა თანაფარდობისა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში XII საუკუნესა და XIIIს. დამდეგს. ყოველგვარი ზედმეტი დაეჭვების თავიდან ასაცილებლად ჩვენ საგანგებოდ დავალაგეთ მთელი ეს მასალა აკად. ზ. ბუნიატოვის ფუნდამენტური ნაშრომის მიხედვით, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით მთლიანად აქარწყლებს აღნიშნულ ხანაში რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს სამეფოს წამყვანი როლის დაკნინების მცდელობებს და ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს საქართველოს სამეფოს სელჩუკთა სამყაროსა, მით უფრო აზერბაიჯანის ათაბეგთა სახელმწიფოსადმი ვასალური დამოკიდებულების მტკიცების სრულ უაზრობას და უსაფუძვლობას.

ამით ვასრულებთ რ. ჰუსეინ-ზადეს მონოგრაფიის განხილვას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის მხოლოდ ერთი ნაწილი ჩვენი კრიტიკული შენიშვნებისა – მთლიანობაში ის საკითხთა გაცილებით უფრო ვრცელ წრეს მოიცავს. განხილული მასალიდან სრულიად ნათლად იკვეთება, რომ საქმე გვაქვს XII – XIII ს. დამდეგის პოლიტიკურ მოვლენებში საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის მიჩქმალვის და ამ ფონზე აზერბაიჯანის საათაბაგოს გაზვიადებულად წარმოჩენის მცდელობასთან აზერბაიჯანელი ისტორიკოსის მხრიდან, რომლის უპასუხოდ დატოვება არაფრით არ შეიძლებოდა.

---

[1] «*... предавался разврату, беспробудно пьянствуя в обществе гулямов ..., приказал хаджибам и эмирам* ***ничего не сообщать о действиях грузин. Грузины же, видя, что никто не собирается оказывать им сопротивление, ещё больше осмелели, растеклись по стране и осаждали крепости до тех пор, пока полностью не овладели страной Арран****»*. იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков.., გვ. 106-107, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана.., გვ. 108-109.

[3] ***«Абу Бакр не располагал достаточными силами для борьбы с Грузинским царством****, к тому же ему постоянно приходилось опасаться своих восточных соседей и мятежных вассалов»*. იხ.: **З. М. Буниятов.** Государство атабеков.., გვ. 108-109, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ა ფ ხ ა ზ ე თ ი — ტ კ ი ვ ი ლ ი ჩ ვ ე ნ ი
ისტორია, პოლიტიკა, კულტურა, იდეოლოგია

ცრუ ისტორია:
რეცენზია ოლეგ ბღაჟბას და სტანისლავ ლაკობას „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოზე*

2006 წ. სოხუმში გამოვიდა ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას წიგნი *„აფხაზეთის ისტორია“*, უძველესი დროიდან დღემდე. წიგნი დამტკიცებულია 10-11 კლასების სახელმძღვანელოდ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების განათლების სამინისტროს მიერ.[1] მოგვიანებით, 2007 წელს კი, გამოვიდა ამ წიგნის უკვე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის განკუთვნილი ვარიანტი,[2] რომლის ტექსტი პრაქტიკულად იდენტურია.

ორივე ავტორი სამეცნიერო წრეებში კარგად არის ცნობილი. **ოლეგ ბღაჟბა** – არქეოლოგი, იკვლევს აფხაზეთის ძველი და შუა საუკ-

---

* ამ გამოხმაურების პირვანდელი (საგაზეთო) ვერსია გამოქვეყნდა გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკაში“* (№81-84, 24, 25, 28, 29 აპრილი, 2009). მოგვიანებით დაიბეჭდა სრული ვერსია. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ცრუ ისტორია. *რეცენზია ოლეგ ბღაჟბას და სტანისლავ ლაკობას „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოზე. – შრომათა კრებული.* აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ტ. 2. თბ., 2010, გვ. 18-48 (https://iberiana. word press.com/afxazeti/papaskiri-recenzia). გამოქვეყნებულია ამ რეცენზიის რუსული ვარიანტიც (Так не пишется история. Некоторые замечания по поводу т. н. «учебника» Истории Абхазии» «О. Х. Бгажба и С. З. Лакоба. – *Кавказ и мир*. Международный научный журнал, №8, 2010, გვ. 69-90, https://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia-ru). აღნიშნული პუბლიკაციის ჩასწორებული და ოდნავ შევსებული ვერსია იხ.: წგნ. **З. Папаскири.** Абхазия: *История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010 გვ. 455-491. (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhaziaIstoriaBezFalsifikacii.pdf), იგივე მასალა შესულია აგრეთვე წიგნში: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*. Тб., 2012, გვ. 321-362 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf). ამჟამად იბეჭდება საბოლოო რუსული ვერსიის მიხედვით, მცირეოდენი (ტექნიკური ხასიათის) ჩასწორებებით.

[1] **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней.* 10-11 классы. Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухуми, 2006.

[2] **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней*. Сухуми, 2007.

უნეების ხანის არქეოლოგიას. **სტანისლავ ლაკობა** აფხაზეთის XIX-XX საუკუნეების ისტორიის მკვლევარია, ის იყო სულისჩამდგმელი და რედაქტორი 1991 წელს სოხუმში გამოცემული *„აფხაზეთის ისტორიის“* ე.წ. დამხმარე სახელმძღვანელოსი[1] (ამ წიგნის ავტორთა შორის ო. ბღაჟბაცაა) ბოლო დრომდე აქტიურად მოღვაწეობდა პოლიტიკურ ასპარეზზე – ეკავა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა.

პირველი რაც თვალში საცემია *„აფხაზეთის ისტორიის“* ე.წ. სასკოლო სახელმძღვანელოში ესაა ავტორთა მცდელობა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ჩამოაცილონ აფხაზეთი და აფხაზობა საერთოქართულ ეთნოკულტურულ და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ სამყაროს და რეგიონის ისტორიული წარსული საერთო-ქართული ისტორიისაგან სრულიად მოწყვეტით წარმოაჩინონ. ვის არ ნახავთ *„აფხაზეთის ისტორიის“* ბღაჟბალაკობასეულ ვერსიაში: პროტოხეთებს, ძველ ბერძნებს, რომაელებს, ბიზანტიას, გოთებს, სომხებს, ხაზარებს, ოსებს, რომ არაფერი ვთქვათ თურქებსა და რუსებზე. მხოლოდ ქართველებისათვის და საქართველოსათვის არ დარჩა ადგილი მასში. ერთადერთი პერიოდი, რომელსაც ვერ აუარეს გვერდი სახელმძღვანელოს ავტორებმა XI-XIII ს. პირველი ნახევარია, როდესაც მათი მტკიცებით არსებობდა ერთიანი ქართულ-აფხაზური სახელმწიფო – ე.წ. *„აფხაზთა და ქართველთა სამეფო“ («Царство абхазов и картлийцев»).*

უაღრესად ტენდენციურია ავტორთა მსჯელობა აფხაზთა ეთნოგენეზზე. წიგნში აღნიშნულია, რომ აფხაზურ-ადიღური ენების ჯგუფი აღმოსავლურ კავკასიურ (ვაინახურ და დაღესტნის) ენებს ენათესავება და ორივე ეს ჯგუფი კავკასიურ ენათა ოჯახს ქმნის. ამასთან, ავტორები შეგნებულად უმალავენ მკითხველს, რომ მეცნიერებაში (მათ შორის, აფხაზ მკვლევართა შორისაც) ამ ბოლო დრომდე სრულიად ურყევი იყო თვალსაზრისი კავკასიურ ენათა ერთიანი ოჯახის შესახებ, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სახელითაა ცნობილი და რომელშიც ქართველური, აფხაზურ-ადიღეური და ვაინახურ-დაღესტნური ენები იგულისხმება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს, მიმდინარეობს ამ მოსაზრების ერთგვარი რევიზია და მკვლევართა ერთი ნაწილი (გ. მაჭავარიანი, ი. დიაკონოვი, თ. გამყრელიძე, ს. ნიკოლაევი და ს. სტაროსტინი, ჰ. ფენრიხი) ამჟამად ფაქტობრივად უარყოფს ქართველური ენების გენეტიკურ ერთობას ჩრდილო კავკასიურ ენებთან, ჯერ-ჯერობით ეს საკითხი საბოლოოდ სულაც არაა გადაწყვეტილი და ასე ხელაღებით კავკასიურ ენათა ოჯახიდან ქართველურის ამოგდება და იბერიულ-კავ-

[1] *История Абхазии.* Учебное пособие. Гл. ред. ***С. Лакоба.*** Сухуми, 1991. ამ წიგნის ხელმეორე გამოცემა განხორციელდა 1993 წელს გუდაუთაში.

კასიური ენობრივი ერთობის უარყოფა ნაჩქარევია. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ავტორებს ჯიუტად არ სურთ ქართულთან რაიმე სიახლოვის აღიარება ან, უბრალოდ, ტერმინ „იბერიულის“ გამოყენება.

ცალმხრივი და სუბიექტურია მსჯელობა დასავლეთ კავკასიის ძველი მოსახლეობის ეთნო-კულტურულ კავშირებზე მცირე და წინა აზიის ხალხებთან, ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან, რომლის ერთ-ერთ დადასტურებად მიაჩნიათ „მაიკოპისა“ და „ეშერის“ ეპიგრაფიკული ძეგლები. ამასთან დაკავშირებით, აქცენტი კეთდება ე. წ. მაიკოპის ფილის „მონაცემებზე“ (გვ. 4-5), რომელიც სენსაციების მოყვარულმა ლენინგრადელმა მეცნიერმა გ. ტურჩანინოვმა კავკასიის უძველეს დამწერლობად მიიჩნია და თანამედროვე აფხაზური ენის საფუძველზე „გაშიფრა“.[1] მკვლევარმა „მაიკოპის ფილა“ ძვ. წ. XIII საუკუნით დაათარიღა (მოგვიანებით – XX ს. 80-იან წლებში გ. ტურჩანინოვმა „მაიკოპის წარწერა“ სულ ცოტა 1000 წლით დააძველა). მისი შორსმიმავალი დასკვნით, მსოფლოში უძველესად მიჩნეული ფინიკიური ანბანური დამწერლობა აფხაზური წარმოშობისაა და მის შექმნაში თურმე ძველ აფხაზ ტომებს მიუძღვით წვლილი.

აღსანიშნავია, რომ, თავის დროზე, ძველი აღმოსავლეთისა და კავკასიის ისტორიის კომპეტენტურმა სპეციალისტებმა, არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა, ლინგვისტებმა – ე. კრუპნოვმა, ი. დიაკონოვმა, პ. აუტლევმა, ლ. ლავროვმა, ნ. ლომოურმა, გ. ლორთქიფანიძემ, თ. გამყრელიძემ, გრ. გიორგაძემ და სხვ. დამაჯერებლად აჩვენეს გ. ტურჩანინოვის „თეორიის“ აბსურდულობა და ის მთლიანად ავტორის ფანტაზიის ნაყოფად გამოაცხადეს.[2]

რაც შეეხება ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მოსახლე ტომების ეთნიკურ ვინაობას, ამ საკითხის გარკვევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უძველეს წერილობით ინფორმაციას, რომელიც მოგვეპოვება ანტიკური ხანის ბერძენი ავტორების: ჰეკატაიოს მილეტელის (ძვ. წ. VI ს.), ფსევდოსქილაკს კარიანდელის (ძვ. წ. IV ს.) თხზულებებში, რომელთა მიხედვითაც ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ანუ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია – როგორც მთისწინა რეგიონი, ისე ზღვისპირა ზოლი – მაინცდამაინც დასავლურ-ქართველურ ტომებს: კოლებს, კორაქსებს,

---

[1] **Г. Ф. Турчанинов.** Памятники письма и языки народов Кавказа и Восточной Европы. Л., 1971.

[2] გ. ტურჩანინოვის ფანტასტიკური „აღმოჩენების“ შესახებ იხ.: **Г. Г. Гиоргадзе.** Истина превыше всего. – გაზ. *«Заря Востока»*, 9 апреля, 1989 г.; **Э. В. Хоштария-Броссе.** История и современность. *Абхазская проблема в конфликтологическом аспекте*. Тб., 1996, გვ. 6-16. იქვე შესაბამისი ლიტერატურა.

კოლხებს (შესაძლოა, „მოსხ“-მესხებსაც) ეკავათ.[1] თუნდაც, რომ შემოგვედავონ კოლებისა და კორაქსების ქართველურობაში, რა ვუყოთ კოლხებს, თვით ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას აღიარებით, *„ძველ ქართველურ ტომებს“ («древнекартвельские племена»* – გვ. 63), რომლებსაც ზემოთ ნახსენები ფსევდოსქილაკს კარიანდელის უაღრესად სანდო ცნობით ეკავათ ტერიტორია დიოსკურიიდან (დღევანდელი სოხუმი) მდ. აფსაროსამდე (მდ. ჭოროხი).[2]

ჰენიოხები ერთმნიშვნელოვნად გამოცხადებული არიან აფხაზურ ტომებად, რომელთაც, ძვ.წ. I ათასწლეულში, თურმე, არც მეტი არც ნაკლები *„თითქმის მთელი დასავლეთ ამიერკავკასია და მისი მიმდებარე მხარეები“ («почти всё Западное Закавказье и прилегающие области»* – გვ. 68) ეკავათ. აქ არ შეიძლება არ დაგებადოს სრულიად ბუნებრივი კითხვა: თუ მთელი დასავლეთი ამიერკავკასია „აფხაზ“-ჰენიოხებით იყო დასახლებული, ძველმა ბერძნებმა რატომ დაარქვეს ამ მხარეს მაინცდამაინც „კოლხეთი“ და არა დავუშვათ „ჰენიოხეთი“.

„სახელმძღვანელოში“ ასევე უპირობოდ ძველ აფხაზურ ტომებადაა გამოცხადებული „სანიგები“, (გვ. 95) ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას ამ მტკიცებას (ეს თვალსაზრისი სათავეს ზ. ანჩაბაძიდან იღებს[3] და თავის დროზე მას მხარს შ. ინალ-იფა უჭერდა,[4] ამჟამად კი სანიგთა ეთნიკური წარმომავლობის აფხაზური ვერსიის დაცვით გამოდის გ. ანჩაბაძე[5]) მთლიანად აქარწყლებს ის გარემოება, რომ ეთნონიმ „სანიგში“ *„ადვილად გამოიყოფა ძირი სანი, რომელიც სრულიად კანონზომიერად ბერძნულად გადმოსცემს სახელწოდებას ჭანი“*, რაც უდავოდ ამ ტომის მეგრულ-ჭანურ წარმომავლობაზე მეტყველებს (ნ. ლომოური). მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, დიოსკურია-სებასტოპოლისის უძველესი ქართული სახელწოდება „ცხუმიც“, რომელსაც, როგორც ცნობილია, ახსნა მხოლოდ ქართულ ენობრივ სამყაროში (სვანურად „რცხილა“) ეძებნება. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ დიოსკურია-სებას-

---

[1] **М. П. Инадзе.** Вопросы этнополитической истории древней Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 61; **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус Абхазии в Грузинской государственности. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 115.

[2] **М. П. Инадзе.** Вопросы этнополитической истории древней Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 61.

[3] **З. В. Анчабадзе.** История и культура древней Абхазии. М., 1964, გვ. 136-137.

[4] **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976, გვ. 188.

[5] **Г. З. Анчабадзе.** Изучение вопросов этнической истории абхазов на фоне грузино-абхазского конфликта. – *Аспекты грузино-абхазского конфликта.* Выпуск 2. Ирвайн, 2000, გვ. 29-30 (http://library.khpg.org/files/docs/1322570886.pdf).

ტოპოლისის, რომელიც ახ. წ. II ს. ავტორის ფლავიუს არიანეს თითქმის დოკუმენტური განმარტებით, სანიგთა განსახლების ფარგლებში იყო, სვანური (შესაძლოა, მეგრული; შეად. მეგრული „ცხიმური“, ან „თხუმუ“) სახელწოდება შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ ახ. წ. I ს. წინარე ხანაში, როდესაც ძველი ბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის, ჩვენი აზრით, მეტად სანდო ცნობის თანახმად, დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებში ზემოთ კავკასიონის მწვერვალები ეპყრათ სვანებს. ხოლო მეორე არანაკლებ კომპეტენტური ბერძენი გეოგრაფოსის, კლავდიუს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) ცნობით, „კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვართან, დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ბზიფის (პტოლემაიოსის კორაქსი) გასწვრივ“ უნდა ეცხოვრათ „სუანო-კოლხებს“, რომელთა სახელწოდებაც მკვლევართა (ნ. ლომოური) ავტორიტეტული დასკვნით, უდავოდ მეტყველებს „მათ შერეულ, სვანურ-კოლხურ“ წარმომავლობაზე.[1]

სრულიად არასწორად ესმით „სახელმძღვანელოს“ ავტორებს აფხაზებში ქრისტიანობის გავრცელების ისტორია. მათი მტკიცებით VI ს. შუა ხანებისათვის დასრულდა აფხაზების გაქრისტიანების პროცესი, რასაც თითქოს ხელი შეუწყო ენობრივი ბარიერის შესუსტებამ, ვინაიდან ამ პერიოდში თურმე *„ადგილობრივ მოსახლეობაში ბევრნი შესანიშნავად მეტყველებდნენ ბერძნულად“ («среди местного населения ... многие прекрасно изияснялись ... по гречески»)*. უფრო მეტიც, ავტორთა აზრით, ამ პროცესს აჩქარებდა ისიც, რომ ამ დროს, მართალია, არა ღვთისმსახურება, მაგრამ ***„ქადაგება შეიძლება მიმდინარეობდა აფხაზურადაც“ /«проповедь могли проводить и на абхазском»*** (გვ. 115, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). საინტერესოა, თუ აფხაზობა VI საუკუნეში ასე ინტენსიურად ეწაფებოდა ქრისტეს მოძღვრებას თავის მშობლიურ ენაზეც კი, როგორ მოხდა, რომ, პოლიტიკური აღზევების ფონზე, მან ვერ შეძლო ქრისტიანობის ეროვნულ ნადაგზე საბოლოოდ მოქცევა, საეკლესიო ღვთისმსახურების აფხაზურ ენაზე გადაყვანა და ეროვნული ქრისტიანული წიგნიერების შექმნა, რაც ადრეულ შუა საუკუნეებში მოახერხეს ქართველებმა, სომხებმა სლავებმა და ა.შ.? ან რამ აიძულა „აფხაზთა“ სამეფოს მესვეურები, რომლებმაც იმთავითვე განაცხადეს პრეტენზია საერთო-ქართულ სამყაროში პოლიტიკურ ჰეგემონობაზე, თავიანთი „აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს“ ოფიციალური საქმის წარმოებისა და ქრისტიანული ღვთისმსახურების ენად მაიმცდამაინც ქართული ექციათ?

რასაკვირველია, ყოველივე ამაზე „სახელმძღვანელოს“ ავტორები პასუხის გაცემას არც კი ცდილობენ. არადა, ამის ახსნა სულაც არაა ძნელი. თანაც ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია ისტორიოგრაფია-

---

[1] **ნ. ლომოური.** ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 33.

ში და, რაც მთავარია, ეს გააკეთა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით ყველაზე ავტორიტეტულმა აფხაზმა ისტორიკოსმა ზურაბ ანჩაბაძემ, რომელმაც ერთნიშნად მიუთითა იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობეს ქართული სალიტერატურო ენის გადაქცევა ღვთისმსახურებისა და სახელმწიფო საქმის წარმოების ენად. ზ. ანჩაბაძის მართებული დასკვნით, *„ქართული ენის საყოველთაო გავრცელება დამწერლობისა და კულტურის ენად“* მთელი „აფხაზთა“ სამეფოს მასშტაბით, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში სწორედ ***„ქართველური ელემენტი წარმოადგენდა მოსახლეობის ... უმრავლესობას“*** და მას ***„ტერიტორიულადაც უმეტესი და წამყვანი ნაწილი ეკავა.*** *გარდა ამისა,* ***ქართველური ელემენტი აღმოჩნდა უფრო განვითარებული*** *სოციალურ-ეკონომიკური* და ***კულტურული თვალსაზრისითაც“***.[1] აი ამ უცილობელ ჭეშმარიტებას უმალავენ ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა თავიანთ თანამემამულეებს.

ჩვენ, ამჯერად მოვერიდებით იმის გარკვევას, თუ რატომ იყო აფხაზეთის ერისთავის ლეონ II-ის მიერ VIII ს. მიწურულს შექმნილი ე.წ. „აფხაზთა“ სამეფო იმთავითვე არა აფხაზური „ნაციონალური სახელმწიფო“, არამედ ისეთივე წმინდა ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება, როგორიცაა ბაგრატოვანთა „ქართველთა“ სამეფო ტაოკლარჯეთში (ეს პრობლემა დიდი ხანია გადაწყვეტილია ისტორიოგრაფიაში, მათ შორის, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის შრომებში), მაგრამ მცირე კომენტარს მაინც გავაკეთებთ. ის ფაქტი, რომ ლეონ II-მ თავის თავს „აფხაზთა“ მეფე უწოდა, ხოლო აქედან გამომდინარე, მის სახელმწიფოსაც „აფხაზთა“ სამეფო ანუ „აფხაზეთი“ დაერქვა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „აფხაზეთის ერისთავმა“ მოახდინა ეგრისის ანექსია, შეუერთა ის „თავის“ აფხაზეთს და შექმნა ახალი აფსუა-აფხაზთა ნაციონალური სახელწიფო, რომელსაც თითქოს არაფერი არ აკავშირებდა ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, როგორც ეს წარმოუდგენიათ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევრებს, მათ შორის, ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ისტორიაში გვაქვს არაერთი პრეცედენტი, როდესაც ქვეყნის (სახელმწიფოს) სახელწოდება გამომდინარეობს ერთი ეთნოსის სახელწოდებიდან, ხოლო პოლიტიკურ-კულტურულად ეს სახელმწიფო მთლიანად სხვა ეთნოსის კუთ-

---

[1] ***«Картвельский элемент составлял значительное большинство населения, а также занимал большую и ведущую часть… царства в территориальном отношении.*** *Кроме того,* ***картвельский элемент оказался более развитым*** *в социально-экономическом и* ***культурном отношениях»).*** იხ.: **З. В. Анчабадзе** Из истории средневековой Абхазии. (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 106-107, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ნილებაა. ასე, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელწოდება „ბულგარეთი“ დღევანდელმა ბულგარეთის სახელმწიფომ მიიღო მისი ფუძემდებლის, ე.წ. „ვოლგის ბულგარეთიდან“ წამოსული (თურქული მოდგმის ეთნოსის) ხანის ასპარუხისაგან,[1] მაგრამ განა ვინმეს თავში მოუვა სერიოზულად ამტკიცოს, რომ ასპარუხის მიერ შექმნილი სახელმწიფო იყო (და დღესაც არის) არა სლავური, არამედ თურქული სახელმწიფო?![2]

ან ავიღოთ, ძველი რუსეთის მაგალითი. დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ძველი რუსული სახელმწიფოს სახელწოდების მიმცემი „რუსთა“ ტომი ნორმანულ-სკანდინავიურ ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნებოდა და თვალსაზრისი ამ ტომის ვითომ სლავური წარმომავლობის შესახებ თვით წამყვანი რუსი მკვლევრების მიერ გამოცხადებულია „ისტორიოგრაფიულ მითად“.[3] მაგრამ **ე.წ „ნორმანული თეორიის“ ყველაზე თავგამოდებული მომხრეც კი ვერ უარყოფს, რომ ვარიაგი კონუნგის რიურიკის მიერ შექმნილი კიევის რუსეთი მხოლოდ და მხოლოდ სლავური სახელმწიფო იყო** და არა ნორმანულ-სკანდინავიური. იგივე შეიძლება ითქვას „ესპანურ პრეცენდენტზეც“. განა საფრანგეთის დიდი მეფის ლუი XIV-ის შვილიშვილის, ანჟუს ჰერცოგის ესპანეთის სამეფო ტახტზე (ფილიპე V-ის სახელით)[4] ასვლით ესპანური სახელმწიფო ფრანგული გახდა?!

ის, რომ მმართველი დინასტიის ეთნო-ტომობრივი წარმომავლობა არაა გადამწყვეტი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის განსაზღვრისას დასტურდება საკუთრივ ქართული პოლიტიკური პრაქტიკიდანაც. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ „რანთა და კახთა მეფის“ კვირიკე III-ის გარდაცვალების (დაახლ. 1039 წ.) შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა მისმა დისწულმა ტაშირ-ძორაკეთის სომხური დინასტიის წარმომადგენელმა გაგიკმა,[5] მაგრამ ამის გამო კახეთის ქართული სამეფო სულაც არ გადაქცეულა სომხურ სახელმწიფოდ.

---

[1] ამის შესახებ იხ.: **С. Никитин.** Аспарух**.** Образование болгарского народа и возникновение болгарского государства. – *Вестник МГУ,* 1952, № 1.

[2] აღსანიშნავია, რომ ეს მაგალითი „აფხაზთა“ სამეფოს ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საჩვენებლად თავის ლექციებსა და საჯარო გამოსვლებში მოჰყავდა გამოჩენილ აფხაზ ისტორიკოსს ზურაბ ანჩაბაძეს.

[3] **В. Я. Петрухин.** Славяне, варяги и хазары на юге Руси. К проблеме формирования территории древнерусского государства. – *Древнейшие государства Восточной Европы.* 1992-1993. М., 1995 (http://norse.ulver.com/articles/petruhin/slavs.html), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] *Испанские короли.* Под ред. ***В. Л. Бернекера.*** Ростов-на-Дону, 1998. Интернет-версию см.: http://www.world-history.ru/persons_about/46.html.

[5] *მატიანე ქართლისა*, გვ. 297; **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 562.

არანაკლებ საგულისხმოა ის გარემოება, რომ საკუთრივ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ მოგვცა ზუსტი განმარტება, თუ როდის და რატომ ეწოდა ისტორიულ ეგრისს აფხაზეთი. აი, რას წერს ამის შესახებ შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნების გიგანტი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის ნაშრომში – *„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“*: *„ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი, რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თჳსთა ხუდა წილად ქუეყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ* (ე. ი. სტეფანოზ-არჩილის სახლის – **ზ.პ.**) *გარდავლინებამდე. ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს... ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თჳსსა, და* ***მოიღო საერისთოსა*** *თჳსსა* ***სახელი ეგრისსა ზედა“***.[1]

თუ ე.წ. „აფხაზური“ დინასტია ისტორიული ლაზიკა-ეგრისის სამეფოში მართლაც მოვიდა, როგორც „გარეშე დამპყრობელი“, რომელმაც ძალით დაიკავა მეზობელი ქვეყნის ტერიტორია და იქაურ ქართულ მოსახლეობას თავს მოახვია მისთვის „უცხო“ აფხაზურ-აფსუური სახელმწიფოებრიობა, მაშინ სრულიად გაუგებარი რჩება, რატომ მიიღო შუა საუკუნეების ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცნობიერებამ „აგრესიის“ ეს ფაქტი ასე მშვიდად და უმტკივნეულოდ? ხომ საყოველთაოდ ცნობილია (ამისთვის ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ზედაპირული გაცნობაც კი კმარა), თუ როგორ მოწიწებასა და კეთილგანწყობას ამჟღავნებს ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის წარმომადგენლების მიმართ უკლებლივ ყველა ქართველი მწერალი და მემატიანე, რომელსაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია „აფხაზ“ მეფეებთან. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც *„მატიანე ქართლისაჲდ“* წოდებული ქრონიკა, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს ერთადერთ წერილობით წყაროს, რომელშიც გადმოცემულია „აფხაზთა“ სამეფოს მეტ-ნაკლებად სრული ისტორია. განა ვინმე შეიძლება დაეჭვდეს იმაში, რომ *„მატიანე ქართლისაჲ“*, გაერთიანებული საქართველოს სამეფო კარზე შექმნილი (XI ს. 70-იანი წლები) თხზულება, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ხაზს ვუსვამთ – **ქართული** (და არა აფსუურ-აფხაზური), კონიუნქტურის ამსახველი ნაწარმოებია, დაუშვებდა იმ „აფხაზ“ მეფეთა „ქებათა-ქებას“, რომლებიც ჩვენი აფხაზი კოლეგების სრულიად უსაფუძვლო მტკიცებით, თურმე კი არ აერთიანებდნენ საქართველოს, არამედ, არც მეტი, არც ნაკლები, იპყრობდნენ მას.

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა.., გვ. 742, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ერთადერთი ახსნა ქართველ მწერალთა და მემატიანეთა ლოიალობისა და კეთილგანწყობისა „აფხაზი“ მეფეების ე.წ „დამპყრობლური“ პოლიტიკისადმი შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რომ ისინი მათში „უცხოელ დამპყრობლებს“ კი არ ხედავდნენ, არამედ ისეთივე ქართველ ლიდერებს, როგორადაც მიაჩნდათ, მაგალითად, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრიობა „აფხაზთა“ სამეფოს ცალსახად განიხილავდა, როგორც საერთო ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს ნაწილს, რომელშიც დაწინაურდა ე.წ. „აფხაზური“ დინასტია.[1]

მართალია, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია გამოკვეთილი პასუხი დასავლეთ საქართველოს „აფხაზ“ მეფეთა ეთნო-ტომობრივ წარმომავლობაზე, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამას აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან **ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ „აფხაზთა“ მეფეები ეთნო-ტომობრივად** (თუნდაც ისინი მართლაც იყვნენ აფხაზურ-აფსუური წარმოშობისა, რაც, ჩვენი აზრით, ნამდვილად არ არის გამორიცხული), **ისინი თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდნენ საერთო-ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს – აშენებდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს „საქართველოს“ და არა აფსუა-აფხაზთა ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას – „აფსნის“.**

ის, რომ ლეონ II და მისი მემკვიდრენი აშენებდნენ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ, და არა აფხაზურ (აფსუურ) სახელმწიფოს, ყველაზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა „აფხაზ“ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ „ლეონიდები“, როგორც ცნობილია, აქტიურად შეუდგნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყვანისათვის ზრუნვას. სრულიად ნათელი იყო, რომ ბიზანტიის გავლენის სფეროდან საბოლოოდ გამოსვლა შეუძლებელი იქნებოდა მანამ, სანამ არ მოხდებოდა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო-იდეოლოგიური მარწუხებიდან თავის დაღწევა და ჭეშმარიტად ეროვნული იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა. „აფხაზთა“ მეფეთა ეს თანმიმდევრული ბრძოლა საეკლესიო სუვერენიტეტის მოსაპოვებლად წარმატებით დაგვირგვინდა დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის – „აფხაზეთის“ საკათალიკოსოს შექმნით.

---

[1] დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხისათვის. – *გივი წულაია – 80*. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული, მიძღვნილი ***გივი წულაიას*** დაბადებიდან 80-წლისთავისადმი. 2014, გვ. 151-186.

„აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსების ზუსტი თარიღის დადგენა, როგორც ცნობილია, დღემდე რჩება ქართული ისტორიოგრაფიის გადაუჭრელ პრობლემად. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მეცნიერი შეეცადა ნათელი მოეფინა აღნიშნული საკითხისათვის, შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო მიზანი ჯერჯერობით მიღწეული არ არის. ყველაზე დასაბუთებულად ჩვენ მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს დაარსება უნდა მომხდარიყო IX ს. 80-90-იან წლებში.[1] ჩვენი აზრით, „აფხაზთა“ სამეფოს მიერ საეკლესიო სუვერენიტეტის მოპოვება მოხდა „აფხაზური“ მხარის „თხოვნით“ IX ს. 80-იან წლებში, როდესაც „აფხაზთა“ სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის დამყარებული კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების[2] ფონზე და ეს იყო ოფიციალურ ქუთაისსა და კონსტანტინოპოლს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი რეალური ნაყოფი.

თუ „აფხაზ“ მეფეებს ჩაფიქრებული ჰქონდათ აფსუა-აფხაზთა ნაციონალური სახელმწიფოს აშენება, მაშინ ისინი უბრალოდ ვალდებულნი იყვნენ, ეზრუნათ საკუთრივ აფხაზური (აფსუური) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაზე, რაც, პირველ რიგში, სათანადო აფხაზური (აფსუური) წერილობითი ტრადიციისა და წიგნიერი კულტურის შექმნას გულისხმობდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამგვარი მიზანი „აფხაზ“ მეფეებს არ დაუსახავთ. მათ ბერძნულ-ბიზანტიურ იდეოლოგიას რატომღაც ქართული ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც ქართული ეკლესია განასახიერებდა, დაუპირისპირეს. აი, რატომ მიჰყვეს ხელი დიდ საეკლესიო აღმშენებლობას „აფხაზმა“ მეფეებმა დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რითაც რეგიონში ქართული წერილობითი კულტურისა და ქართული ქრისტიანული წიგნიერების ფართოდ დანერგვის პირობები შექმნეს.

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. *ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.* – წგნ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III. თბ., 1966, გვ. 45; **ბ. კუდავა.** კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.) – *ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული. მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი. თბ., 2000, გვ. 47; **ბ. კუდავა.** აფხაზთა საკათოლიკოსოს ისტორიიდან (IX-XIII სს.). – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 9. თბ., 2002, გვ. 565; **თ. ქორიძე.** აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორია (IX-XVI სს.). *ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის* ***ავტორეფერატი.*** თბ., 2003, გვ. 9-10.

[2] ამის შესახებ დაწვრილ იხ.: **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – *ქართული დიპლომატია.* წელიწდეული, ტ. 6. თბ., 1999, გვ. 325-335.

დასავლეთ საქართველოში, მათ შორის საკუთრივ აფხაზეთში, ამ პროცესს თან სდევდა ძველი ბერძნული ეპარქიების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული საეპისკოპოსო კათედრების დაფუძნება, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითება გვაქვს ქართულ მატიანეებსა[1] და სხვა წერილობით ძეგლებში. სწორედ საეკლესიო სფეროში „აფხაზთა“ მეფეების ამგვარი მტკიცე ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი იყო ის, რომ უკვე X ს. დამდეგისათვის დასავლეთ საქართველო ანუ „აფხაზთა“ სამეფო მთლიანად ქართული წერილობითი კულტურისა[2] და წიგნიერების ქვეყნად იქცა, დასავლეთ საქართველოს ეკლესია კი ორგანიზაციულად მცხეთის საკათალიკოსოს შეერწყა.[3] ერთადერთი ახსნა, თუ რატომ მოიქცნენ ასე ე.წ. „აფხაზი“ მეფეები, შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ **ჯერ კიდევ გამეფებამდე დიდი ხნით ადრე ლეონ II და მისი წინაპრები** (რომ არაფერი ვთქვათ მემკვიდრეებზე) **ეთნო-ტომობრივი წარმომავლობის მიუხედავად, თავს ერთმნიშვნელოვნად საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ.[4] მათთვის ქართის ენა, რომელიც საფუძვლად**

---

[1] *მატიანე ქართლისა*, გვ. 265, 270.

[2] ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ყველაზე ადრინდელი ქართული წარწერა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არა სადმე ზემო იმერეთში, არამედ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე – გუდაუთის რაიონში. ესაა მსიგხუას ეკლესიის ასომთავრული წარწერა, აღმოჩენილი აფხაზი მეცნიერის ანატოლი კაციას მიერ (იხ.: **А. К. Кация.** Памятники архитектуры в долине Цкуара. – *Материалы по археологии Абхазии.* Сухуми, 1967), რომელსაც სპეციალისტები IX-X საუკუნეების მიჯნით ათარიღებენ (*ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIIIსს.), შეადგინა და გამოსაცემად მომაზადა ***ვ. სილოგავამ.*** თბ., 1980, გვ. 31-32; **ვ. სილოგავა**. აფხაზეთისა და სამეგრელოს ეპიგრაფიკა. თბ., 2004, გვ. 258-259; **Л. В. Ахаладзе.** Эпиграфические памятники Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тб., 1999, გვ. 364; **ლ. ახალაძე.** აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I. *ლაპიდარული და ფრესკული წარწერები.* თბ., 2005, გვ. 140-146.

[3] **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 146; **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств, გვ. 289.

[4] ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა იმ გარემოებას, რომ საკუთრივ „აფხაზეთის საერისთავოს“ ტერიტორია და მისი მოსახლეობა მანამდე თითქმის 1500 წლის მანძილზე მოქცეული იყო ერთიან დასავლურ ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში და ჰქონდა ქართულ სამყაროსთან ისტორიული თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. თავდაპირველად ეს იყო კოლხეთის სამეფო, რომლის დაცემის შემდეგ ახ. წ. I-II საუკუნეებში აღმოცენდნენ რომის იმპერიისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული აფსილიისა და აბაზგიის „სამეფოები“. IV საუკუნის მიწურულიდან ეს რეგიონი კვლავ მოექცა ერთიანი დასავლური ქართული სახელმწიფოებრიობის

დაედო ლიტერატურულ ქართულს, და ქართული ქრისტიანული კულტურა ისეთივე მშობლიური გახდა, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართული მოსახლეობისათვის, მათ შორის მეგრულ-ჭანური და სვანური ტომებისათვის, რომლებიც, როგორც ცნობილია, მეტყველებ-დნენ (და დღესაც მეტყველებენ) **ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ ენა-დიალექტებზე.**

არანაკლებ დამახინჯებულადაა გაშუქებული XI-XII საუკუნეების ისტორია. კერძოდ, ავტორები სრულიად არასწორ ინფორმაციას აწვდიან მკითხველს თითქოს გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დროს აფხაზურ სეპარატიზმს ჰქონდა ადგილი (გვ. 161). სრული კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ წყაროებში არ მოგვეპოვება ოდნავი მინიშნებაც კი აფხაზი ფეოდალების ანტისამთავრობო, მით უფრო სეპარატისტულ განწყობილებებზე, რომლებიც თითქოს უკმაყოფილონი იყვნენ „აფხაზთა“ სამეფოს ე.წ. „გაუქმებით“, როგორც ამას ფიქრობდა თავის დროზე შ. ინალ-იფა. ჯერ ერთი, 978 წელს „აფხაზთა“ სამეფო არავის გაუუქმებია (არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ აღნიშნული სამეფო, მისი წარმოქმნის დღიდანვე იყო არა საკუთრივ ეთნიკურ აფხაზთა /აფსუათა/ „ნაციონალური“ სახელმწიფო, არამედ **ქართული** პოლიტიკური გაერთიანება), ამდენად საკითხის ასე დაყენება საფუძველშივე მცდარია. მეორეც, პრაქტიკულად ყველა ანტისამთავრობო გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XI-XII საუკუნეებში, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში, მიზნად ისახავდა არა რომელიმე მხარის საქართველოს სახელმწიფოსაგან მოწყვეტას, არამედ ამა თუ იმ მონარქის ჩამოგდებას და სამეფო ტახტზე ამბოხებულთათვის სასურველი პრეტედენტის დასმას. როგორც სავსებით სამართლიანად ასკვნიდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, მოცემულ პერიოდში, ფეოდალური ოპოზიციის მთავარ მიზანს სამეფო კარზე თავისი გავლენის განმტკიცება, პოლიტიკური კურსის კონკრეტული მიმართულებით შეცვლა წარმოადგენდა.

ასე იყო დემეტრე უფლისწულის ამბოხების დროსაც, როდესაც ეს უკანასკნელი შეეცადა ბიზანტიის დახმარებით ჩამოეგდო ტახტიდან თავისი გვირგვინოსანი ნახევარძმა ბაგრატ IV. მართალია, ამ მოვლენის გაშუქებისას *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი აზნაური მხარს უჭერდა ანაკოფიაში გამაგრებულ უფლისწულს (XI ს. 30-იანი წლების დამდეგი), მაგრამ არა გვაქვს არავითარი საფუძველი მივიჩნიოთ ისინი მაინცდამაინც ეთნიკურ აფხაზებად, მით უფრო გამოვაცხადოთ ეს გამოსვლა აფხაზ ფეოდალთა სეპარატისტულ ამბოხად,

---

(ამჯერად უკვე გაძლიერებული ლაზიკა-ეგრისი სამეფოს) არეალში. ამის შესახებ იხ.: **З. Папаскири.** О национально-государственном облике.., გვ. 13-16.

როგორც ამას აკეთებდა ზ. ანჩაბაძე.[1] *„მატიანე ქართლისაჲს“* (ფაქტობრივად ერთადერთი წყაროს, რომელიც გვაწდვის ინფორმაციას ამ დაპირისპირების შესახებ) მასალების ზერელე გადათვალიერებაც კი საკმარისია, დავასკვნათ, რომ დემეტრე უფლისწულის მომხრეები იბრძოდნენ არა საქართველოს სახელმწიფოსაგან რომელიმე ოლქის გამოყოფისათვის, არამედ თავიანთი პრეტენდენტის ერთიანი ქართული მონარქიის სათავეში მოსაყვანად.

ე.ი ამ შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელშიც სულაც არ იყო აუცილებელი მხოლოდ აფხაზ (ეთნიკურად) აზნაურთა მონაწილეობა. უფრო მეტიც, როგორც შემდგომმა (XI ს. 40-იანი წლების) მოვლენებმა ცხადყვეს, დემეტრე უფლისწულის გამეფებას ძირითადად მხარს უჭერდა ფეოდალური ოპოზიცია აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან. მაშინ როდესაც ბაგრატ მეფე, შეიძლება ითქვას, მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას დასავლეთ საქართველოში,[2] მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, რასაკვირველია, ანაკოფიის გამოკლებით, რომელიც ჯერ კიდევ XI ს. 30-იან წლებში გადასცა ბიზანტიის იმპერიას კონსტანტინოპოლში გაქცეულმა მეამბოხე უფლისწულმა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XI ს. 40-იან წლებში ანაკოფიის ციხის განთავისუფლება ბაგრატ IV-მ დაავალა „აფხაზეთის ლაშქარს“ ოთაღო ჭაჭას-ძის (სავარაუდოდ აფხაზეთის საერისთავოს ხელმძღვანელის) მეთაურობით, რომელსაც, ზოგიერთი მკვლევარი (შ. ინალ-იფა) ლამის შარვაშიძეთა – მოგვიანებით აფხაზეთის მმართველი საგვარეულოს – მამამთავრად მოიაზრებს, მაშინ საუბარი მოცემულ პერიოდში აფხაზების მხრიდან რაიმე სეპარატისტული ქმედებების შესახებ აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

„აფხაზთა“ სამეფოსა და XI-XII სს. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ისტორიის გაშუქებისას არაერთ ზღაპარს შევხვდებით, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სახელმძღვანელოს“ ავტორთა ფანტაზიები ლეონ II-ის პიროვნების ფორმირებაში მისი ხაზარი დედის განსაკუთრებულ როლზე, რომლის შედეგადაც თითქოს ლეონი *„იყო ნაკლებად მგრძნობიარე ქრისტიანობისადმი“ («был менее подвержен христианству»* – გვ. 132). ან რად ღირს ამგვარი მყვირალა ამბიციური განცხადება: *„აფხაზებმა და ხაზარებმა ... თავის დროზე შექმნეს ძლიერი ადრეფეოდალური სახელმწიფოები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებს და შეაჩერეს მათი წინსვლა ევროპისაკენ; მარტო ესეც კი*

---

[1] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, გვ. 178.

[2] **გ. ანჩაბაძე.** „შიდა ლაშქრის“ („შიდა სპას“) მნიშვნელობის გარკვევისათვის. – „*მაცნე*“, №1, 1987, გვ 85-86. ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 188-189.

საკმარისია იმისათვის, რომ ამ ხალხებმა დაიმკვიდრონ მყარი და ღირსეული ადგილი მსოფლიო ისტორიის ფურცლებზე“ («абхазы и хазары ... создали в своё время могущественные раннефеодальные государства, которые противостояли арабам и остановили их продвижение в Европу; одного этого достаточно, чтобы обеспечить этим народам прочное и достойное место на страницах всемирной истории» – გვ. 133).

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არაბებზე მოპოვებული ყველაზე დიდი გამარჯვების (ანაკოფიის ბრძოლა) მთავარი შემოქმედნი, რატომღაც ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი იყვნენ (როგორც ცნობილია, აფხაზეთის ერისთავ ლეონს ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა არც კი მიუღია, თუმცა აფხაზთა 2000-იანი რაზმი აქ იბრძოდა), კავკასიისათვის ხაზარ-არაბთა დაპირისპირებაში საბოლოოდ ხაზარები გამარჯვებულები ნამდვილად არ ყოფილან. აქვე გვინდა მოვუწოდოთ ჩვენს აფხაზ კოლეგებს, რომ „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იერ-სახეზე მსჯელობისას თუ ქართულ ისტორიოგრაფიას (რომლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი აფხაზი ზურაბ ანჩაბაძეც იყო) არა, ანგარიში გაუწიონ კავკასიის (ასევე ხაზარების) ისტორიის ისეთ კომპეტენტურ მკვლევარს, როგორიც იყო გამოჩენილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე ანატოლი ნოვოსელცევი, რომელიც „აფხაზთა“ სამეფოს ერთნიშნად მიიჩნევდა ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებად. მისი განმარტებით ***„აფხაზთა“ სამეფო „IX საუკუნეში,*** *მას მერე რაც ცენტრი დასავლეთ საქართველოში იქნა გადატანილი,* ***არსებითად გადაიქცა დასავლურქართულ სახელმწიფოდ, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში“***.[1]

ასევე ზღაპარია აგრეთვე მტკიცება იმის შესახებ, რომ IX ს. 80-იანი წლებიდან მწვავდება წინააღმდეგობა */«нарастает соперничество»/* – აფსუა-აფხაზურ აფხაზეთის სამეფოსა და ბაგრატუნთა სომხეთის სამეფოს შორის *„ქართლის სამთავროს გამო“ («из за княжества Картли»* – გვ. 143). სინამდვილეში კი ამ დროიდან ახალ ფაზაში შედის ბრძოლა ქართლის მეფეთა და ერისმთავართა დომენად მიჩნეულ შიდა ქართლის

---

[1] ***«В IX в. Абхазское царство,*** *центр которого был перенесен в Западную Грузию,* ***стало, по сути дела, западногрузинским государством, игравшим важную роль в истории Грузии»***. იხ.: *Комментарий 17 к главе 42.* – წგნ.: **Константин Багрянородный**, «Об управлении империей». Текст, перевод, комментарии. Под. ред. ***Г. Г. Литаврина, А. П. Новосельцева***. М., 1989, გვ. 401, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** (http://oldru.narod.ru/biblio/kb–k30–43.htm#42). სხვათა შორის, „აფხაზთა“ სამეფო ქართულ სახელწიფოებრივ გაერთიანებად მიაჩნდათ სხვა არანაკლებ ცნობილ რუს კავკასიოლოგებს, მათ შორის ვ. მინორსკის. ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის.., გვ. 151-153.

(და არა არარსებული „ქართლის სამთავროს“) ხელში ჩასაგდებად, რომელშიც „აფხაზთა“ მეფეებთან და „ქართველთა“ სამეფოს ბაგრატიონ ლიდერებთან ერთად, ამჯერად აქტიურად ჩაერთო ანისის სამეფო ტახტიც. სწორედ ამ შიდა ქართლის (და არა ისტორიული ქართლის) მმართველი იყო X ს. 70-იანი წლების მიწურულს გურანდუხტ დედოფალი – ძლევამოსილი „აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ის (922-957) ასული, „ქართველთა“ მეფის ბაგრატ II-ის (958-994) ვაჟის გურგენ ბაგრატიონის თანამეცხედრე, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის დედა. ამასთან, აბსოლუტურად მცდარია აზრი იმის შესახებ თითქოს გურანდუხტი *„**პირველად** გახდა ქართლის მმართველი“ («**в первые** становится правителницей Картли»* – გვ. 147 ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). გურანდუხტი სულაც არ იყო „ქართლის“ პირველი „აფხაზი“ მმართველი. მანამდე შიდა ქართლში ქუთაისის ტახტის ხელისუფლებას ახორციელებდნენ სხვა „აფხაზი“ უფლისწულები, პირველ რიგში სამეფო ტახტის მემკვიდრეები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გურანდუხტ დედოფლის ძმები: კონსტანტინე და ლეონი.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სულ ტყუილად მიაჩნიათ „სახელმძღვანელოს“ ავტორებს გურანდუხტ დედოფალი თავისი ვაჟის – ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ცენტრალიზატორული კურსის აქტიურ მხარდამჭერად და ერთიანი *„აფხაზთა და ქართველთა სამეფოს“ («Царство абхазов и картлийцев»)*-ის შექმნის მებაირახტრედ. პირიქით, ყველა მონაცემით, გურანდუხტ დედოფალი (რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოს ეს ვინმეს) სწორედ რომ ქუთაისის ტახტის ტრადიციულ მოწინააღმდეგე ქართლის აზნაურთა კრეატურა იყო და შიდა ქართლში ადგილობრივ სეპარატისტულ ხელისუფლებას განასახიერებდა. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც X ს. 80-იანი წლების დამდეგს ბაგრატ „აფხაზთა“ მეფემ ჩაახშო ქართლის აზნაურთა მორიგი ამბოხი, მიზანშეწონილად ჩათვალა ეს რეგიონი დედისათვის ჩამოერთმია და ეს უკანასკნელი აქაურობისთვის საერთოდ მოეშორებინა. ეს საკითხი დიდი ხანია გარკვეულია საისტორიო მეცნიერებაში[1] და დასანანია, რომ „სახელმძღვანელოს“ ავტორები დღემდე სრულ ისტორიოგრაფიულ ბურანში იმყოფებიან.

მორიგი ზღაპარი, რომელსაც აწვდიან „სახელმძღვანელოს“ ავტორები მკითხველს, არის მტკიცება იმის შესახებ თითქოს თამარის ეპოქაში ადგილი ჰქონოდეს ცხუმისა და ბედიის საერისთავოების გაერთიანებას თანაც იმ მოტივით, რომ ორივე ამ საერისთავოს მოსახლეობა იყო ეთნიკურად ერთფეროვანი – აფხაზურ-აფსუური (გვ. 150). ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ზ. ანჩაბაძის მოძველებული თვალსაზრისის დამახინჯებულ ინტერპრეტაციასთან. ამ უკანასკნელის აზრით

[1] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს.., გვ. 68-71.

თამარის ეპოქაში მოხდა ცხუმისა და **აფხაზეთის** საერისთავოების (და არა ცხუმისა და **ბედიის**, როგორც წერენ ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა) შერწყმა, რაც თითქოს ეთნო-ტომობრივი ფაქტორით იყო განპირობებული, ანუ იმით, თითქოს იმჟამად ორივე საერისთავოს – **აფხაზეთისა** და ცხუმის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ეთნიკურად ერთგვაროვანი აფხაზური (აფსუური) ტომები. მაგრამ აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ზ. ანჩაბაძის ეს დასკვნა გადაისინჯა და თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულების უფრო სრული ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ თამარის დროს აფხაზეთისა და ცხუმის საერისთავოების არავითარ გაერთიანებას ადგილი არ ჰქონია.[1] ამდენად, ზემოაღნიშნული საერისთავოების მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნების საკითხი უნდა მოიხსნას.

„აფხაზთა“ სამეფოსა და XI-XII საუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოზე მსჯელობისას ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას ნაცოდვილარში ვხვდებით კიდევ ერთ მოძველებულ ზღაპარს, რომლისაც სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ ისტორიკოსთა და პოლიტიკოსთა გარდა უკვე ნამდვილად არავის არ სჯერა. ესაა ე.წ. „ობეზების“ ყბადაღებული თემა. როგორც ცნობილია, ძველ რუსულ მატიანეებსა და ზოგიერთ სხვა წერილობით ძეგლში XI-XII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ ერთი სახელწოდებით – «Обези» („ობეზი“ – „აბაზას“ ძველი რუსული ფორმა, იგივე „აფხაზეთი“) – იცნობენ. თავის დროზე, ზოგიერთმა რუსმა და აფხაზმა მკვლევარმა (მ. სკრიპილი, შ. ინალ-იფა და სხვ.) სცადა რუსული წყაროების «Обези», გაეაზრებინა, როგორც საკუთრივ აფხაზეთი (დღევანდელი გაგებით).

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე გაკეთდა არაერთი სრულიად დამაჯერებელი კომენტარი, ზოგიერთი აფხაზი მკვლევარი ჯიუტად განაგრძობს ამ თემით სპეკულირებას (ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ა. პაპასკირი, რომლის „მეცნიერული აბდა-უბდა“, თავის დროზე, გააცამტვერა თვით ჩვენს მიერ ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენებმა გამოჩენილმა აფხაზმა ისტორიკოსმა ზ. ანჩაბაძემ). ამის გამოვლინებაა „სახელმძღვანელოს“ ავტორების მხრიდან იმის მტკიცება, რომ ძველი

---

[1] **გ. ცქიტიშვილი.** „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 222-227). **ილ. ანთელავა.** მასალები „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის. – წგნ.: **ილ. ანთელავა.** XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988, გვ. 142-147; **З. В. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XV вв. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тб., 1999, გვ. 179; **მ. ბახტაძე.** ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 245-247; **დ. გოგოლაძე.** „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი. თბ., 1995, გვ. 12-14).

რუსული მატიანის ცნობაში «Обези»-ს მეფის ასულზე იზიასლავ მსტისლავის ძის (კიევის დიდი მთავარი 1146-1154 წლებში) დაქორწინების შესახებ, უპირობოდ ნაგულისხმევია აფხაზ-აბაზინების მთავრის ასული და რომ კიევ-პეჩორის მთავარი ტაძრის მომხატველი ოსტატები «Обези»-დან იყვნენ აფხაზ-აბაზინები (გვ. 171).

ისტორიოგრაფიაში, მათ შორის, წამყვან რუს (აკად. მ. ტიხომიროვი[1]) და უკრაინელ (მ. კოტლიარი[2]) მეცნიერთა ნაშრომებში სავსებით ნათლად და არგუმენტირებულადაა ნაჩვენები სრული უსუსურობა და აბსურდულობა აფხაზ ავტორთა მცდელობისა ძველი რუსული მწერლობის ძეგლების «Обези», «Обежанин»-ში („ობეჟანინ“) იგულისხმონ ამჟამინდელი „აფხაზეთი“ და „აფხაზები“. მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დღეისათვის ცნობილ უკლებლივ ყველა ძველ რუსულ ძეგლში ტერმინ «Обези»-ს ქვეშ მოიაზრება „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ მხოლოდ ფართო გაგებით, ანუ ერთიანი ქართული სახელმწიფო და მისი მოსახლეობა.[3]

ასევე უაღრესად ტენდენციური და მეცნიერულად სრულიად უსუსურია „სახელმძღვანელოს“ ავტორთა მცდელობა თანამედროვე აფხაზეთის მატერიალური კულტურა შუა საკუნეებში მთლიანად მოწყვიტონ დანარჩენ საქართველოს. საუბრობენ აფხაზეთის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე ბიზანტიური სკოლის გავლენაზე (გვ. 200), და უაპელაციოდ მიაკუთვნებენ მათ მითიურ „აფხაზურ-ალანურ სკოლას“ (გვ. 137, 200). არადა საკუთრივ აფხაზეთს, რომ თავი დავანებოთ, იგივე ალანია-ოსეთი მოფენილია ქართული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებით, რომელთა უმრავლესობის აგებას თვით ოსები თამარ მეფეს მიაწერენ, თუმცა, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, თავის დროზე, ალანია-ოსეთის სიძველეების აღიარებული მკვლევარი ვ. პფაფი, ასეთი რაოდენობის ეკლესია-მონასტერი წარმოუდგენელია, რომ მხოლოდ თამარის მეფობის ჟამს აეგოთ.[4] დროა, ბოლოს და ბოლოს ყველამ გაიგოს, რომ შუა საუკუნეებში არავითარი საკუთრივ აფხაზური ნაციონალური ცივილიზაცია აფხაზური არქიტექტურული სტილითა და ფრეს-

---

[1] **М. Н. Тихомиров.** Киевская Русь. – წგნ. **М. Н. Тихомиров.** Древняя Русь. М, 1975, გვ. 36-37.

[2] **Н. Ф. Котляр.** Грузинские сюжеты древнерусских летописей. – *Из истории украинско-грузинских связей,* III. Тб., 1975, გვ. 7-19.

[3] ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 116-123; **Г. Г. Пайчадзе** Названия Грузии в русских письменных исторических источниках. Тб., 1989, გვ. 11-60.

[4] **В. Б. Пфаф.** Материалы для древней истории Осетии. – *Сборник сведений кавказских горцев.* Вып. IV, Тифлис, 1870, გვ. 31-32.

კული ფერწერით არ არსებობდა და რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად საერთო-ქართული ქრისტიანული სამყაროს ორგანული ნაწილი იყო.

ამიტომაცაა, რომ 1300 წელს გადაწერილი ე.წ. *„მოქვის სახარება“*, რომლითაც, სხვათა შორის, თავს იწონებენ „სახელმძღვანელოს“ ავტორები (გვ. 197), ქართული წიგნიერების ნიმუშია და არა აფხაზურ-აფსუურის. ამიტომაცაა, რომ ე.წ. „აფხაზეთის“ საკათოლიკოსოს – ქართული (და არა აფხაზურ-აფსუური) საეკლესიო ორგანიზაციის (რომლის იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა) საჭეთმპყრობლის რეზიდენცია (სულ ცოტა XVI ს. შუა ხანებამდე) იყო ბიჭვინთაში. ამიტომაცაა, რომ მიუხედავად გვიან შუა საუკუნეებში მომხდარი ეთნოდემოგრაფიულ ცვლილებებისა, რომელიც გამოწვეული იყო განვითარების დაბალ სტადიაზე მყოფ მთიელ ჯიქ-აფხაზთა ახალი ნაკადის ბარში ჩამოწოლით და, რომელმაც სერიოზულად შეცვალა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული იერ-სახე, ქართული სალიტერატურო ენა განაგრძობდა სახელმწიფო ენის ფუნქციის შესრულებას. ის იყო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენა. ამის დასტურია არაერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გამოსულია შარვაშიძეთა საგვარეულოს ისეთი აგრესიული (მეზობელი ოდიშის სამთავროს მიმართ) წარმომადგენლების კანცელიარიიდან, როგორებიც იყვნენ ყვაპუ შარვაშიძე და ქელეშბეი შარვაშიძე. აფხაზეთის მთავრები კვლავინდებურად თვლიდნენ „აფხაზეთის“ კათალიკოსებს თავიანთ სულიერ მამებად და ა.შ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უნდა ასახულიყო აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოში, მაგრამ განა ასეთი „წვრილმანებით“ შეიწუხებდნენ თავს ჩვენი აფხაზთა „ნაციონალური“ ისტორიის გამომზეურებით დაინტერესებული, კოლეგები?

ს. ლაკობა და ო. ბღაჟბა საქართველოს სამეფოს დაშლას და აფხაზთა სამთავროს წარმოშობას XIII საუკუნით ათარიღებენ. მაშინ, როდესაც ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებით, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა XV ს. მიწურულით თარიღდება. XIII-XV საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ყოფილი ცხუმისა და ბედიის საერისთავოები – ანაკოფია-ახალ ათონამდე მაინც – მთლიანად სამეგრელო-ოდიშის მმართველ დადიანთა ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში იყო. უფრო მეტიც, არა ქართული, არამედ უცხოური დოკუმენტური წყაროები სრულიად მკაფიოდ ადასტურებენ, რომ XIII-XV საუკუნეებში (გიორგი II დადიანის, ვამეყ I-ის, ვამეყ II-ის, ლიპარიტ და შამადავლა დადიანების დროს) ცხუმი-სოხუმი, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სებასტოპოლისის (სოხუმის) კათოლიკე ეპისკოპოსის პეტრე გერალდის (XIV ს. 30-იანი წლები) დოკუ-

მენტური დამოწმებით ქართველები შეადგენდნენ,[1] სამეგრელო-ოდიშის მთავრის რეზიდენცია იყო, სადაც ეს უკანასკნელი საკუთარ მონეტას ჭრიდა. რაც შეეხება საკუთრივ აფხაზური ტომებით (ძირითადად) დასახლებულ აფხაზეთის საერისთავოს [დაახლოებით ანაკოფია-ახალი ათონიდან ნიკოფსიამდე (თანამედროვე ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთით)], რომელსაც სათავეში შარვაშიძეთა საგვარეულო ედგა, ისიც გაძლიერებული ოდიშის ხელისუფალთა გავლენის ქვეშ იყო.

ტენდენციურადაა გაშუქებული XIX საუკუნის ისტორიაც. ავტორებს (ეს ძირითადად ს. ლაკობას დამსახურებაა) სრულიად უსაფუძვლოდ შეაქვთ ეჭვი ასლანბეი შარვაშიძის მიერ მამის – ქელეშბეი შარვაშიძის მოკვლაში და ამ ბრალდებას მთლიანად სამეგრელოს სამთავროს მმართველის ნინო დადიანი-ბაგრატიონის მიერ „შეთითხნილად“ მიიჩნევენ. ამასთან, ისინი არ უწევენ ანგარიშს იმ დიდ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის, რომლის ფონზეც დატრიალდა ტრაგედია აფხაზეთის სამთავრო სახლში. სწორედ ამ დაპირისპირებას, რომლის დროსაც ოსმალეთის კრეატურა ასლანბეი ღიად დაუპირისპირდა საკუთარ მამას, შეეწირა რუსეთის იმპერიისკენ გადახრილი, ოდესღაც „ჭეშმარიტ მუსლიმად“ მიჩნეული, ქელეშბეი შარვაშიძე და არა ოდიშის მთავრის ქვრივის ინტრიგებს.[2]

ისე, ამ მოვლენებზე მსჯელობისას „სახელმძღვანელოს“ ავტორები, ჩვენდა გასაკვირად და რამდენადმე მოულოდნელადაც (დღევანდელი რუსულ-აფხაზური სრული „ჰარმონიის“ ფონზე) ერთ უდავოდ სწორ დასკვნას აკეთებენ, როდესაც აღნიშნავენ, რომ 1810 წ. 10 ივლისის აქტს (აფხაზეთის სამთავროს შესვლას რუსეთის იმპერიის მფარველობაში) ***„არაფრით არ შეიძლება დაერქვას აფხაზეთის რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთება.*** *სოხუმ-კალეს სამხედრო გზით დაკავება – მხოლოდ* ***პირველი ნაბიჯი იყო ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკისა აფხაზეთში“*** და რომ *„აქ რუსეთის ახალი ხელისუფლების გამყარებას* ***დასჭირდა კიდევ ნახევარსაუკუნოვანი ომი აფხაზ ხალხთან“ («никак нельзя назвать добровольным присоединением Абхазии к России.*** *Военный захват Сухум-Кале – это лишь* ***первый шаг завоевательной политики царизма в Абхазии…*** *для укрепления здесь новой власти России* ***понадобилась ещё полувековая война с абхазским народом»*** – გვ. 220, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). საერთოდ, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა აშკარად

---

[1] **ვ. კიკნაძე.** ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, – *თსუ შრომები*, ტ. 243. თბ., 1983, გვ. 104.

[2] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სხვა ადგილას (გვ. 220) ავტორები მართებულად მიუთითებენ რუსულ-ოსმალური დაპირისპირების გადამწყვეტ როლზე აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში.

თანაუგრძნობენ აფხაზი და ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმური მოსახლეობის გამათავისუფლებელ ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, რაც ნამდვილად მისასალმებელია. ასევე სწორადაა შეფასებული აფხაზთა მუჰაჯირობის რუსული ინტერესი და განმარტებულია, რომ ***„ცარიზმს სჭირდებოდა აფხაზეთი უაფხაზებოდ“*** ***(«царизму нужна была Абхазия без абхазов»*** – გვ. 240, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

„სახელმძღვანელოში“ მთლიანად თავდაყირადაა დაყენებული ე.წ. „სამურზაყანოს საკითხი“. ავტორები ყოველნაირად ცდილობენ სამურზაყანო გამოაცხადონ ისტორიულად აფხაზების მკვიდრ ტერიტორიად. არადა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ XVIII ს. დამდეგამდე ამ ტერიტორიაზე (დღ. გალის რაიონი) აფხაზთა განსახლების არავითარი ნაკვალევი არ ჩანს და აქ მათი დაფუძნება მოხდა მას შემდეგ, რაც ის ოდიშის მთავრებს წაართვეს შარვაშიძეებმა XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. დამდეგს. საბოლოოდ სამურზაყანო როგორც ცალკე ფეოდალური სამფლობელო გაფორმდა მურზაყან შარვაშიძის დროს, რომლის სახელიც ეწოდა კიდეც ამ რეგიონს.

ამ დროიდან 1840 წლამდე სამურზაყანო წარმოადგენდა შარვაშიძეთა და დადიანთა ცილობის საგანს, რომლის დროსაც წარმატებას ხან შარვაშიძეები აღწევდნენ, ხან კიდევ დადიანები. სამეგრელოს სამთავრო სახლის უპირატესობა ამ დაპირისპირებაში გამოიკვეთა XIX ს. დამდეგიდან. 1805 წ. 9 ივლისს სოფ. ბანძაში ლევან V დადიანი რუსეთის იმპერატორის ნებით დაამტკიცეს სამეგრელოს მთავრად. ამ ცერემონიალში ოდიშის თავადაზნაურობასთან ერთად მონაწილეობდნენ სამურზაყანოს სამთავრო სახლის წარმომადგენლები ლევან და მანუჩარ შარვაშიძეებიც, რომლებმაც, ოფიციალურად დაადასტურეს რა, რომ ოდითგანვე იყვნენ „სამეგრელოს თვითმპყრობელის თავადის დადიანის“ კუთვნილება,[1] ასევე დაიფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ეს ნიშნავდა სამურზაყანოს, როგორც სამეგრელოს ნაწილის, შესვლას რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში.

სწორედ ამ უცილობელ ფაქტს არ აღიარებენ „სახელმძღვანელოს“ ავტორები და, შეგნებულად აყალბებენ რა ისტორიას, საქმეს ისე მოაჩვენებენ, თითქოს ლევან და მანუჩარ შარვაშიძეები დამოუკიდებლად იქნენ მიღებული რუსეთის იმპერიის მფარველობაში, სამეგრელოს მთავარი კი მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებდა. სრული სიცრუე აგრეთვე მათი მტკიცება, თითქოს 1840 წელს *„აფხაზეთის მთავარმა დაამტკიცა თავისი უფლებები ამ მხარეზე* (იგულისხმება სამურზაყანო – **ზ.პ.**) *და ამ დროიდან ის წარმოადგენდა ცალკე საბოქაულოს“* (*«владетель*

[1] *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею*. Под ред. ***А. Берже***, т. II. Тифлис, 1868, გვ. 527.

Абхазии доказал свой права на эту область и с этого времени она являлась отдельным приставством» – გვ. 245) სინამდვილეში კი (და ეს საყოველთაოდ ცნობილია) 1840 წელს რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანო ლევან V დადიანისაგან გამოისყიდა და ის აფხაზეთის მთავარს – მიხეილ შარვაშიძეს კი არ გადასცა (რომლის იმედი ამ უკანასკნელს ჰქონდა), არამედ იქ ცალკე საბოქაულო – უშუალოდ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი დაქვემდებარებული რუსული ადმინისტრაციული ერთეული შექმნა. უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლების ამ „უსამართლო“ გადაწყვეტილებით განაწყენებულმა მიხეილ შარვაშიძემ პროტესტის ნიშნად 1847 წელს იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე ოფიციალურად დასვა მისი მთავრის ტახტიდან გადადგომის საკითხი.

აშკარად დაბნეულები არიან „სახელმძღვანელოს“ ავტორები 1877 წლის აფხაზთა უპრეცედენტო ანტირუსული ამბოხის გაშუქებისას. სწორად აღნიშნავენ რა, რომ რუსეთ-თურქეთის მორიგი ომის დაწყების შემდეგ აფხაზეთში გადმოსხმული ე.წ. „თურქული დესანტი“ ძირითადად აფხაზ მუჰაჯირთაგან იყო შემდგარი (გვ. 256), არაფერს ამბობენ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის პროტესტის მასშტაბებზე, რომ სოხუმი (სხვათა შორის ოჩამჩირეც) სწორედ აჯანყებულმა აფხაზებმა გადაწვეს და არა უბრალოდ „თურქულმა დესანტმა“. არასწორია მათი დასკვნა იმის შესახებ, თითქოს სამურზაყანოს გადარჩენა რუსული ადმინისტრაციის რეპრესიებისაგან გამოწვეული იყო იმით, რომ ამ რეგიონს რუსები მტკიცედ იცავდნენ (გვ. 259). სინამდვილეში, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამურზაყანოს მოსახლეობა (მათ შორის, აფხაზური წარმოშობის თავადაზნაურობა) არათუ არ უჭერდა მხარს აჯანყებას, არამედ, პირიქით, რამდენადმე უფრთხოდა კიდეც აჯანყებულთა გამოჩენას. ამას მოწმობს თუნდაც ბედიის თემის მოსახლეობის საქციელი, რომელმაც *„მტრის წინაშე პირველი შიშით გამოწვეული შთაბეჭდილებების ქვეშ დაიწყო გაქცევა ენგურისაკენ“*.[1] უფრო მეტიც, სამურზაყანოელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზთა ამბოხის ჩახშობაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღნიშნავდნენ „სამურზაყანოელთა ასეულის“, რომელსაც ბათა ემუხვარი მეთაურობდა, დამსახურებას. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, რომელშიც რუსულ რეგულარულ ნაწილებს გრიგოლ შარვაშიძე სარდლობდა, სწორედ ბათა ემუხვარის ასეულმა დაამარცხა ამბოხებულთა რაზმი და შეიპყრო ანტირუსული აჯანყების ბელადი ხერიპს მარშანია.[2] ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა

---

[1] *«… под впечатлением первого страха перед неприятелем, начало бежать к Ингуру»*. იხ.: *Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг.* Т. V. Тифлисъ, 1909, გვ. 341.

[2] *Материалы для описания русско-турецкой войны..*, გვ. 331.

აფხაზ აზნაურთა, კერძოდ, ალმასხიდ და ჩაგუ მარშანიების რაზმებიც.

სამურზაყანოსა და სამურზაყანოელებს უკავშირდება კიდევ ერთი გაყალბება, რომელიც გვხვდება „სახელმძღვანელოში“. მხედველობაში გვაქვს, ავტორთა მიერ აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის ამსახველი ე.წ. *„სტატისტიკური მასალები“*, რომლის მიხედვით თურმე 1886 წლის აღწერით აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 69 ათასს, მათგან აფხაზობა ითვლიდა 58,963 ადამიანს (საერთო რაოდენობის 85%), ხოლო *„მეგრელები, ლაზები და ქართველები“ /«мегрелы, лазы и грузины»/* მხოლოდ – 4,116 ადამიანს, რაც მათი გამოთვლით მხოლოდ 6%-ს შეადგენს (გვ. 263-264). ეს არის ს. ლაკობას მიერ ჯერ კიდევ XX ს. 80-იან წლებში წამოწყებული ფალსიფიკატორული დემაგოგიის გაგრძელება, რომელსაც ის წიგნიდან წიგნში ავითარებს.[1]

ქართველმა მეცნიერებმა (ა. თოთაძემ, ს. ლეკიშვილმა და სხვ.) კარგა ხანია ამხილეს ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეთა მონაჭორი ამ საკითხზე და კონკრეტული ციფრების მოშველიებით დამაჯერებლად აჩვენეს, თუ როგორ იცვლებოდა რეალურად აფხაზთა რაოდენობა აღწერიდან აღწერამდე. ასე მაგალითად, 1886 წელს საკუთრივ აფხაზური მოსახლეობა შეადგენდა 28323 კაცს, სამურზაყანოელთა კი – 30640-ს, მაგრამ აფხაზთა საერთო რაოდენობა უდრიდა 58963 კაცს. როგორც ვხედავთ, ეს საბოლოო ციფრი მიღებული იყო აფხაზთა და სამურზაყანოელთა ელემენტარული არითმეტიკული მიმატების გზით. მაგრამ არსებობს სხვა სტატისტიკაც, რომლის შესახებაც დუმს ს. ლაკობა. ესაა 1883 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც აფხაზთა რაოდენობა უდრის 27526 კაცს, სამურზაყანოელთა – 25424-ს, 1914წ. აფხაზები 42073 იყვნენ. 1917 წელს ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირდა და გაუტოლდა 38121-ს, ხოლო 1923 წელს – 36816-ს.[2]

აფხაზთა რაოდენობის შემცირების პარალელურად იზრდებოდა ქართული მოსახლეობის რაოდენობა. თუ 1886 წელს (როდესაც აფხაზებს მიათვალეს სამურზაყანოელები) ქართველები ითვლიდნენ მხოლოდ 25873 კაცს, 1923წ. მათი რაოდენობა გაიზარდა 71181-მდე. მაგრამ ყველაზე საინტერესო ფაქტი მოხდა 1926 წელს, როდესაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 36816-დან გაიზარდა 55918-მდე. ამასთან, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ს. ლეკიშვილი, არც 1897-1923 წლებში იყო განსაკუთრებით არახელსაყრე-

---

[1] **С. З. Лакоба.** В чем провинился учитель? – გაზ. *„სახალხო განათლება“*, 14 ივნისი, 1990, გვ. 8; **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 41-43 და სხვ.

[2] მასალა მოტანილია: **ს. ლეკიშვილი** პასუხად ისტორიკოს ს. ლაკობას. – გაზ. *„სახალხო განათლება“*, 14 ივნისი, 1990, გვ. 14.

ლი დემოგრაფიული ფაქტორები (ემიგრაცია, რეპრესიები, ეპიდემია და ა.შ.) მოსახლეობის შემცირებისათვის და რაც მთავარია, არც 1923-1926 წლებში შექმნილა შესაფერისი პირობები დემოგრაფიული ბუმისათვის, რომლის შედეგადაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 20000 კაცით გაზრდილიყო.[1]

ცხადია, რომ ამ ერთი შეხედვით უცნაურ ციფრობრივ აღრევას ერთადერთი ახსნა აქვს – სამურზაყანოელებით მანიპულირება. 1886, 1897 და 1826 წლების აღწერისას სამურზაყანოელები მიათვალეს აფხაზებს, ხოლო 1914, 1917 და 1923 წლებში – ქართველებს. საინტერესოა, რომ თვით აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული ლიდერი ნესტორ ლაკობა 1926 წელს ოფიციალურად აღიარებდა, რომ *„აფხაზები დიდი-დიდი 57-60 ათასი სული იყოს. რატომ...? – იმიტომ, რომ რამდენიმე ათასი კაცი თავს კი მიათვლის აფხაზობას, მაგრამ მათი ენა არა აფხაზური, არამედ მეგრულია“*. ნ. ლაკობა იმასაც აღიარებდა, რომ მეგრელები ქართველები იყვნენ და თვლიდა, რომ ისინი ქართველობას უნდა მიკუთვნებოდნენ.[2]

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ნებისმიერი მცდელობა სამურზაყანოს მკვიდრი მოსახლეობის აფხაზებად გამოცხადებისა და ამის საფუძველზე აფხაზთა რაოდენობის გაზრდისა XIX საუკუნეში, არის ისტორიული ჭეშმარიტების უხეში გაყალბება, რომელიც მთლიანად მიმართულია აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული ისტერიის გაღვივებისაკენ.

ამავე მიზანს ემსახურება „სახელმძღვანელოში“ განვითარებული თეზისიც მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში ქართველთა „მასობრივი ჩასახლების“ შესახებ (გვ. 261). აქცენტი კეთდება აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ გაშალა ამ დროს ქართულმა სამღვდელოებამ ფართო საქმიანობა აფხაზეთში და როგორ ახვევდნენ თავს აფხაზობას ღვთისმსახურებას, მისთვის გაუგებარ ქართულ ენაზე (გვ. 264). და ეს იმ ფონზე, როდესაც ავტორები კრინტს არ ძრავენ არც რუსულ და სომხურ კოლონიზაციაზე და არც მთავრობის მიერ მხარეში გატარებულ სრული რუსიფიკაციის კურსზე, რაც კავკასიის რუსული პოლიციური რეჟიმის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით, არც მეტი, არც ნაკლები, საჭირო იყო ***„აფხაზების იმპერიის მოსახლეობასთან სრული შერწყმისათვის“***.[3]

---

[1] **ს. ლეკიშვილი** პასუხად ისტორიკოს ს. ლაკობას, გვ. 9.

[2] *«Абхазцев с большой натяжкой около 57-60 тысяч душ. Почему большой натяжкой? Потому, что несколько тысяч человек причисляют себя к абхазской народности, но язык у них не абхазский, а мингрельский»*. იხ.: **Н. А. Лакоба.** Статьи и речи, Сухуми, 1987, გვ. 213.

[3] *«...**для полного слияния абхазцев с населением империи**»*. იხ.: **ა. სილაგაძე, ვ. გურული.** ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები. თბ., 2001, გვ. 325, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას „სახელმძღვანელოში“ უაღრესად ტენდენციურადაა გაშუქებული XX ს. ისტორია, განსაკუთრებით 1917-1921 წლების მოვლენები. ისინი ვერ ფარავენ თავიანთ ღია სიძულვილს იმ აფხაზი პოლიტიკური ლიდერებისადმი, რომელთაც აფხაზეთის მომავალი ერთიან ქართულ სახელმწიფოში წარმოედგინა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სახელმძღვანელოს ავტორებისათვის დღესაც კი „მშობლიური გარემო“ რუსული საბჭოურ-კომუნისტური სივრცეა. ამიტომაცაა, რომ ისინი აღფრთოვანებით წერენ მენშევიკებისაგან *(«от меньшевиков»)* ბოლშევიკური რაზმების მიერ სოხუმის „განთავისუფლებაზე“ (არადა, ამ დროს სოხუმი ბოლშევიკებმა მენშევიკებს კი არ წაართვეს, არამედ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“, რომელიც მაშინ რეგიონის ხელისუფლებას განასახიერებდა) და იქ საბჭოური რეჟიმის დამყარებაზე (გვ. 293-294); ამიტომაა, რომ ისინი მწარედ განიცდიან იმას, რომ *„საბჭოთა რუსეთს პოლიტიკური გარემოებების გამო (ხელშეკრულება გერმანიასთან ბრესტში და სხვ.) არ ჰქონდა შესაძლებლობა აფხაზეთისათვის შეიარაღებული დახმარება გაეწია“ («Советская Россия в силу политических обстоятельств /договор с германией в Бресте и др./ не имела возможности оказать вооружённую помощь Абхазии»* – გვ. 294).

ამასთან, „სახელმძღვანელოს“ ავტორები მკითხველს უმალავენ იმას, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის (და არა საქართველოს) შეიარაღებული რეგულარული ნაწილები, რომლებმაც აღკვეთეს ბოლშევიკური ავანტიურა, აფხაზეთში შევიდნენ არა საკუთარი ინიციატივით, არამედ თავის დროზე აფხაზი ხალხის მიერ არჩეული *„აფხაზთა სახალხო საბჭოს“* ოფიციალური თხოვნის საფუძველზე. თან გაუგებარია, რატომ უნდა იყოს გამართლებული რუსეთის შეიარაღებული ჩარევა აფხაზეთში არსებული ხელისუფლების, რომელსაც იმჟამად აფხაზური მოსახლეობის (ხაზს ვუსვამთ მხოლოდ **აფხაზური** და არა რეგიონის მთელი მოსახლეობის) სრული ნდობა ნამდვილად ჰქონდა, დასამხობად და რატომაა დასაძრახი ის, რომ *„აფხაზთა სახალხო საბჭომ“*, რომელიც ლეგიტიმურობის რაღაც ხარისხის მატარებელი იყო (ყოველ შემთხვევაში მას, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნდობის მანდატი მაინც ჰქონდა) დახმარებისათვის მიმართა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას?!

„სახელმძღვანელოს“ ავტორები ატყუებენ მკითხველს მაშინაც, როდესაც წერენ, რომ *„საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობის შემდეგ მენშევიკებმა აქ სამხედრო დიქტატურის რეჟიმი დაამყარეს“ («После подавления советской власти в Абхазии меншевики установили здесь режим военной диктатуры»* – გვ. 295). ჯერ ერთი, არავითარი სამხედრო დიქტატურა არ ყოფილა. პირიქით, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბ-

ლიკის შეიარაღებულმა ნაწილებმა, და არა ქართველმა მენშევიკებმა, როგორც წერენ ავტორები (გვ. 297) 1918 წ. მაისში აღადგინეს *„აფხაზთა სახალხო საბჭოს“* ხელისუფლება (სხვათა შორის, ამას აღიარებენ კიდეც ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა). ასევე თითიდან გამოწოვილია მტკიცება იმის შესახებ თითქოს აფხაზეთში ამ დროს ადგილი ჰქონდა მასობრივ ტერორსა და რეპრესიებს (გვ. 296). ის ფაქტი, რომ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „სოხუმის ოკრუგში ბოლშევიკური გამოსვლის“ გამო და „სახელმწიფო ღალატში“ დადანაშაულებულ იქნენ რუსეთის აგენტი ბოლშევიკი ავანტიურისტები, ნამდვილად ვერ ჩაითვლება სამხედრო დიქტატურის გამოვლინებად. მით უფრო, რომ არ არსებობს არც ერთი ფაქტი რომელიმე ბოლშევიკი ლიდერის დასჯისა. ის კი არადა, ცნობილია, რომ თვით ნესტორ ლაკობა – აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული წინამძღოლი, ერთი პერიოდი, თანამშრომლობდა კიდეც 1919 წელს არჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოსთან და მისი დავალებით ასრულებდა კომისრის მოვალეობას ოჩამჩირეში.[1]

„სახელმძღვანელოს“ ავტორები ურცხვად ცრუობენ, როდესაც აცხადებენ, რომ 1917 წ. 20 ოქტომბერს აფხაზეთი მიღებულ იქნა ე.წ. *„კაზაკთა ჯარების, კავკასიის მთიელთა და სტეპების თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-დასავლეთის კავშირში“ («Юго-Восточный Союз казачьих войск, горцев Кавказа и вольных народов степей»).* სიმამდვილეში კი „სამოკავშირეო ხელშეკრულებაში“ სრულიად ნათლად და გარკვევით წერია, რომ „კავშირში“ შედის მხოლოდ *„სოხუმის* ***მხარის მთის ხალხი (აფხაზები)“***.[2]

ასევე სრულ სიყალბეზეა აგებული „სახელმძღვანელოში“ განვითარებული თვალსაზრისი ე.წ „ქართული ოკუპაციის“ შესახებ. სასაცილოა, რომ ამ შემთხვევაში მათ მთავარ არგუმენტად მოჰყავთ გენერალ ა. დენიკინის დემაგოგიური განცხადებები (გვ. 323-324). ეს ის დენიკინია, რომლის მთავარ მიზანს როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის აღდგენა და რომელსაც ამ დიადი მისიის განხორციელებაში მხარში ედგნენ თვით დიმიტრი გულიას მიერ *„აფხაზეთის იუდად“* (*«Иуда Абхазии»)* შერაცხული ცნობილი სეპარატისტი ლიდერი ალექსანდრე შარვაშიძე და მისი თანამზრახველნი. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ე.წ. „აფხაზი ხალხის“ პეტიცია „მოხალისეთა არმიის“ სარდლობისადმი, რომელშიც მო-

---

[1] **А. Ментешашвили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 61.

[2] *«... **горский народ** Сухумского края **(абхазцы)**».* დოკუმენტი იხ. წიგნში: *აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917–1988).* პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ***თამაზ დიასამიძე.*** თბ., 2004, გვ. 212. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ცემული იყო თხოვნა *„საქართველოს განდევნაში დახმარებისა და* ***სოხუმის ოკრუგის რუსეთთან შეერთების შესახებ****“ («О помощи в изгнании Грузии и* ***присоединении Сухумского округа к России****»)*, აგრეთვე დაპირება აფხაზთა მხრიდან მხარდაჭერისა „მოხალისეთა არმიის“ *„ლაშქრობაში ამიერკავკასიის წინააღმდეგ“ («в походе против Закавказья»)*,[1] შეთითხნილი იყო სწორედ გენ. ა. დენიკინის კარნახით.

ასევე სიცრუე მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სრულიად უსამართლოდ ძალის გამოყენებით გარეკა *„აფხაზთა სახალხო საბჭო“* (გვ. 321-322). სინამდვილეში კი, უშუალოდ მოხალისეთა არმიის“ სარდლობის (მ. ალექსეევი, ა. დენიკინი) ინსპირირებით სოხუმში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ პუტჩს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის სათავეში იდგნენ აფხაზეთის საქმეების მინისტრი პოლკოვნიკი რ. ჩქოტუა და საოლქო კომისარი ი. მარღანია. პუტჩისტებს მხარს უჭერდნენ *„აფხაზთა სახალხო საბჭოს“* ყოფილი დეპუტატები (დ. მარშანია, გ. თუმანოვი და სხვ.), *„რომლებიც ადრე ადგნენ პროთურქულ ორიენტაციას, ახლა ალექსეევისკენ გადაიხარნენ“*.[2] 1918 წ. 9 ოქტომბერს აფხაზ ცხენოსანთა რაზმი საოლქო კომისრის ივანე მარღანიას მეთაურობით, პოლკოვნიკ რ. ჩქოტუას *„აფხაზთა ასეულთან“ («Абхазская сотня»)* ერთად შეიჭრა *„აფხაზთა სახალხო საბჭოს“* შენობაში, სადაც მიმდინარეობდა სხდომა და ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გადაყენება. მაგრამ ვარლამ შარვაშიძემ მოახერხა დროულად დაკავშირება სამთავრობო ჯარების სარდლობასთან და აფხაზეთში განთავსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების შტაბის უფროსის პოლკოვნიკ თუხარელის ოპერატიული მოქმედებების შედეგად სახალხო საბჭოს შენობა განთავისუფლებულ იქნა მომხვდურთაგან, ხოლო შეთქმულების ხელმძღვანელები: რ. ჩქოტუა, ი. მარღანია, ვ. ჩიჩბა, გ. აჯამოვი და სხვ. – დააპატიმრეს და თბილისში, მეტეხის ციხეში მოათავსეს.

1918 წ. 10 ოქტომბერს თბილისში, პირდაპირი ხაზით გადაიცა სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის, აგრეთვე სახალხო საბჭოს წევრების: დ. ემუხვარის, ი. გოგელაშვილის, ი. ფაშალიდის, პ. გელოვანისა და სხვ. მიერ ხელმოწერილი ერთგვარი თხოვნა-წარდგინება, რომელშიც ითხოვდნენ *„აფხაზთა სახალხო საბჭოს“* დათხოვნას

---

[1] **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 436. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«... прежде державшихся турецкой ориентации и в настоящее время переменивших ориентацию на Алексеева»*. იხ.: **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии..., გვ. 85.

„დროებით, რეალური, საყოველთაო საარჩევნო უფლების საწყისებზე არჩეული, სახალხო წარმომადგენლობის მოწვევამდე“ («временно, впредь до созыва подлинного народного представительства, созванного на началах всеобщего избирательного права»).

ამასთან, სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე და მისი თანამოაზრენი მოითხოვდნენ საქართველოს მთავრობისაგან *„ალექსეეველთა საინიციატივო ჯგუფის“* დაპატიმრებას. ასეთ ფეთქებადსაშიშ სიტუაციაში ვ. შარვაშიძეს და მის მომხრე დეპუტატებს, რომლებიც „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ უმრავლესობას შეადგენდნენ, აუცილებლად მიაჩნდათ, *„დაუყოვნებლივ დანიშვნა სამთავრობო უფლებით აღჭურვილი საოლქო კომისრისა.., რომელიც ენერგიულად უნდა შეუდგეს სახელმწიფო მმართველობის დამყარებას“ («немедленное назначение правительственной власти окружного комиссара.., который энергично должен взяться за водворение государственного правления»)*. ისინი საქართველოს ხელისუფლებას აუცილებელ ღონისძიებად სთავაზობდნენ აგრეთვე, მიეცათ შტაბისთვის მითითებები *„გადამჭრელი ზომების მიღების თაობაზე ალექსეევის მხრიდან შესაძლო ავანტიურის აღსაკვეთად“ («о принятии решительних мер предотвращения могущих быть вновь разыграться алексеевской авантюры»)*.[1]

ამრიგად, აქ მოტანილი მასალა პირდაპირ და არაორაზროვნად მიუთითებს მ. ალექსეევის შტაბის უშუალო კავშირზე რ. ჩქოტუასა და ი. მარღანიას ავანტიურასთან, რომლის მიზანი იყო ვ. შარვაშიძისა და მისი გუნდის დამხობა და აფხაზეთში პრორუსული მარიონეტული რეჟიმის დამყარება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზთა ერთი ნაწილის თანამშრომლობას „მოხალისეთა არმიასთან“ ადასტურებს არა სხვა ვინმე, არამედ ს. დანილოვი, რომლის *პასკვილი: „აფხაზი ხალხის ტრაგედია“* (*«Трагедия абхазского народа»* – გამოიცა 1951 წელს მიუნხენში), უკანასკნელ ხანს აქტიურად გამოიყენება ერთ-ერთ იდეოლოგიურ არგუმენტად აფხაზი სეპარატისტების მიერ თავიანთ ანტიქართულ პროპაგანდაში. და აი, ამ ავტორის აღიარებით, *„ბევრი აფხაზი, ოფიცრები და მხედრები, ფარულად წავიდა აფხაზეთიდან და შეუერთდა გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმიას“*.[2] ასე, რომ რ. ჩქოტუა და მისი მომხრენი სულაც არ დაუდანაშაულებიათ უკანონოდ და დღესავით ნათელია, რომ ამ დროს აფხაზეთში ნამდვილად ჰქონდა ადგილი ანტისახელმწიფოებ-

---

[1] **Дж. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии..., გვ. 85-86.

[2] *«... немало абхазцев, офицеров и всадников, тайком ушло из Абхазии и вступило в ряды Добровольческой армии ген. Деникина»*. იხ.: *Материалы по истории Абхазии*. Вып. 1. Сухуми, 1990, გვ. 9.

რივ ამბოხს, რაზეც ხელისუფლების რეაქცია, მოსწონს თუ არა ეს ჩვენს აფხაზ კოლეგებს, რომლებიც დღესაც მისტირიან „მოძმე“ რუსეთს, სრულიად ლეგიტიმური იყო.

სრული სიცრუე აგრეთვე „სახელმძღვანელოს“ ავტორთა მტკიცება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები 1919 წ. 13 თებერვალს ჩატარდა დემოკრატიის დარღვევით, ქართული ოკუპაციის პირობებში, რის შედეგად თითქოს *„აფხაზები, ძირითადად დამოუკიდებლების სახით წარმოდგენილნი, შეადგენდნენ უმცირესობას (8 დეპუტატი)“ («Абхазы, представляющийе в основном независимцев, составляли меншинство 8 депутатов/... »* – გვ. 330). ეს მტკიცება, როგორც ჩანს, ეფუძნება იმთავითვე მცდარ ინფორმაციას, მოცემულს 1919 წ. 29 სექტემბრით დათარიღებულ ე.წ. *„აფხაზეთის სახალხო საბჭოს 14 დეპუტატისაგან შემდგარი ჯგუფის განცხადებაში საქართველოს მთავრობისადმი“*. ამ „განცხადებაში“ დეპუტატები „დამოუკიდებელი სოციალისტების“ ფრაქციიდან: ა. ჩუკბარი, მ. ტარნავა, მ. ცაგურია, რ. კაკუბა, დ. ალანია, ს. ჭანბა და სხვ. – ადანაშაულებდნენ საგანგებო კომისარს ბენია ჩხიკვიშვილს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა თითქოს *„ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა* (აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისას **– ზ.ჰ.**), *შეიყვანა რა საბჭოში უმეტესწილად არააფხაზური მოსახლეობის წარმომადგენლები, რომლებიც არანაირად არ იყვნენ დაკავშირებული მხარის ინტერესებთან“*.[1]

ის, რომ ბ. ჩხიკვიშვილისადმი სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მოღვაწეთა და მათ მომხრეთა მიერ წაყენებული ეს ბრალდება, ისევე, როგორც ს. ლაკობასა და ო. ბღაჟბას მონაჩმახი 1919 წლის 13 თებერვალს ჩატარებული არჩევნების არადემოკრატიულობის შესახებ, არც მეტი არც ნაკლები, მტკნარი სიცრუე და ისტორიული წარსულის უხეში ფალსიფიკაციაა, ცალსახად მტკიცდება ახლადარჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის უბრალო თვალის გადავლებით. აი, როგორ გამოიყურებოდა, მაგალითად, ეთნიკური თვალსაზრისით ე.წ. „ქართული“ (მენშევიკური) უმრავლესობა აფხაზეთის პარლამენტში: 1. ნ. ავდალბეკიანი, 2. ნ. კ. აქირთავა, 3. დ. ბ. ბაზბა, 4. კ. ს. ბარციცი, 5. ლ. დ. გვალია, 6. ვ. გ. ღურჯუა, 7. დ. (არზაყან) კ. ემუხვარი, 8. დ. ვ. ზახაროვი, 9. გ. მ. ზუხბაი (ზუხბაია), 10. მ. ი. ტარნავა, 11. ტ. კ. კვარაცხელია, 12. მ. კობახია, 13. გ. ვ. კოროლიოვი, 14. ა. გ. მარტინი, 15. ა. ი. ნოდია, 16. ი. ი. რამიშვილი, 17. მ. ს.

---

[1] *«... блестяще выполнил свою задачу проведя в Совет по преимуществу представителей неабхазского населения, совершенно не связанных ни какой области с интересами края»* (სტ. დაცულია – **ზ.ჰ.**). იხ.: **Р. Ходжаа.** Документы и материалы Абхазского Народного Совета. 1918-1919гг. Сухуми, 1999, გვ. 23.

უბირია, 18. ი. ნ. ფაშალიდი, 19. დ. შარვაშიძე, 20. ა. ქირია, 21. ა. წვიჟბა, 22. პ. ი. ჩაჩავა, 23. ა. ჩუკბარი, 24. მ. ა. წულუკიძე, 25. დ. ხ. ცკუა, 26. ლ. მ. ტუმარკინი, 27. მ. ნ. ცაავა.[1] ე. ი. 27 დეპუტატიდან 12 იყო აფხაზი, ქართველი – დაახლოებით 10 (დეპუტატების ეთნიკური კუთვნილების უფრო ზუსტ დადგენას აძნელებს სამურზაყანოელ დეპუტატთა – მაგალითად, ნ. აქირთავა, გ. ზუხბაი და ა.შ. ეთნიკური წარმომავლობის გაურკვევლობა, თუმცა „სახელმძღვანელოს“ ავტორები არ უარყოფენ მათ ეთნიკურ აფხაზობას). დანარჩენი 5 სხვადასხვა ეროვნების (რუსები, ბერძნები, სომხები და ა.შ.) წარმომადგენელი იყო. გარდა ამისა, აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატები გახდნენ აფხაზები: 1. ვ. ტ. ანჩაბაძე, 2. დ. ი. ალანია, 3. ი. მარღანია, 4. მ. ცაგურია, 5. ს. ი. ჭანბა, 6. რ. ჩქოტუა, 7. ვ. შარვაშიძე, 8. დ. ი. გულია.[2]

ამრიგად, ახლადარჩეული აფხაზეთის პარლამენტის 40 წევრიდან, რომელიც თითქოს არჩეულ იქნა ე.წ. „ქართული საოკუპაციო რეჟიმის“ მხრიდან მოსახლეობაზე უხეში ზეწოლის პირობებში, 18 დეპუტატი აფხაზი იყო, ქართველი (უკეთეს შემთხვევაში) – მხოლოდ 16, დანარჩენი 6 კი სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი. უფრო მეტიც, ქართველ დეპუტატთაგან სულ მცირე 2 (მ. ს. უბირია და რაჟდენ კაკუბავა) მოგვიანებით სეპარატისტულად განწყობილ დეპუტატთა (ე.წ. „დამოუკიდებელ სოციალისტთა“) ბანაკში გადაბარგდა. ისმის სავსებით დასაბუთებული კითხვა: როგორ შეიძლება დავადანაშაულოთ ე.წ. „ქართული საოკუპაციო რეჟიმი“ და პირადად ბენია ჩხიკვიშვილი არჩევნების ფალსიფიკაციაში, თუ მათ ისიც ვერ მოახერხეს, რომ არ დაეშვათ პარლამენტში დემოკრატიული საქართველოს ისეთი პირწავარდნილი მოწინააღმდეგეების არჩევა, როგორებიც იყვნენ 1918 წ. 9-10 ოქტომბრის ანტისახელმწიფოებრივი პუტჩის ხელმძღვანელები: რ. ჩქოტუა, ი. მარღანია, დ. ალანია და სხვ., აგრეთვე ალექსეევისა და დენიკინის აგენტი ა. ა. დემიანოვი. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ კიდევ ერთ გარემოებაზე. „სახელმძღვანელოს“ ავტორები აფხაზი ხალხის ისეთ ღირსეულ წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ ვარლამ შარვაშიძე, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, ვიანორ ანჩაბაძე, დიმიტრი გულია, გიორგი ზუხბაი, ვასილ ღურჯუა და ა.შ., რომლებიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური მოწყობის მოთხოვნით, არათუ არ მიიჩნევენ აფხაზური მოსახლეობის ინტერესების გამომხატველებად, არამედ ფაქტობრივად ეჭვქვეშ აყენებს მათ აფხაზურ წარმომავლობას. და ეს მაშინ, როდესაც

---

[1] **დ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. *აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917–1921 წლებში.* თბ., 2006, გვ. 270.

[2] **დ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი.., გვ. 271.

თვალსაჩინო აფხაზ მოღვაწეთა შორის სიამაყით მოიხსენებიან ისეთი სახელები, როგორებიცაა: დიმიტრი ალანია, მიხეილ ტარნავა, მიხეილ ცაგურია, ალექსანდრე უბირია და სხვ. ისმის კითხვა: როდიდანაა, რომ ძველი წარჩინებული აფხაზური საგვარეულოების წარმომადგენლები – შარვაშიძეები, ანჩაბაძეები, ემუხვარები და ა.შ. – აღარ ითვლებიან აფხაზებად და მათ ადგილს იკავებენ ვიღაც ალანიები, ცაგურიები, უბირიები და სხვ., რომელთა აფხაზური წარმომავლობა უბრალოდ ღიმილის მომგვრელია. აი, როგორ ავტორიტეტებზე აგებენ თავიანთ ფალსიფიკაციას ს. ლაკობა, ო. ბღაჟბა და მათი თანამოაზრენი.

„სახელმძღვანელოში“, როგორც მოსალოდნელი იყო განვითარებულია თეზისი იმის შესახებ, რომ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ 1921-1931 წლებში წარმოადგენდა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე 1921 წ. 16 დეკემბერს გაერთიანდა საქართველოს სსრ-ისთან. ამ პერიოდში თურმე აფხაზეთის სსრ *„თავისი სტატუსით იყო არა ავტონომიური, არამედ არსებითად მოკავშირე რესპუბლიკა – სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის მქონე“ («по своему статусу являалась не автономной, а по сути союзной республикой, имевшей статус суверенного государства»).* მათი აზრით ეს სტატუსი კონსტიტუციურად გააფორმა 1925 წ. აპრილში ჩატარებულმა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ (გვ. 342). ეს არის სრული სიცრუე, რომლითაც აგერ უკვე 3 ათეული წელია, რაც აბრიყვებენ ჩვენ აფხაზ თანამემამულეებს სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგები, რომელთა შორის საპატიო ადგილი, რასაკვირველია, ს. ლაკობასაც უკავია. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მთელი დამაჯერებლობით აჩვენა აფხაზური სეპარატიზმის ამ ყალბი პოსტულატის აბსურდულობა და დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით სრულიად მკაფიოდ დაადასტურა უდავო ფაქტი – მიუხედავად იმისა, რომ 1921 წ. 16 დეკემბერს თბილისში დადებული ხელშეკრულებით, აფხაზეთი, ფორმალურად, თითქოს ითვლებოდა სამოკავშირეო რესპუბლიკად, „დე-ფაქტო“ ის ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენდა.

აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში (და არა ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტის – საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ის გაერთიანება ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოში) დადასტურებული იყო აფხაზეთის სსრ-ის (1927 წ.), საქართველოს სსრ-ის (1922 წ.) კონსტიტუციებით. სსრკ-ის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში **აფხაზეთი არ იყო ნახსენები ამ ახალი გაერთიანების – სსრკ-ის – დამოუკიდებელ სუბიექტად** (ასეთი საქართველოს სსრ-ც კი არ იყო) და **ის ფიგურირებდა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის.** აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, ოფიციალურადაა დაფიქსირებული სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში:

*„აჭარისა და **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები** სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბახის და ნახიჭევნის ავტონომიური ოლქები აგზავნიან ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს“.*[1] ის, რომ აფხაზეთის სსრ იმთავითვე იყო საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური ერთეული, ჩანს იქიდანაც, რომ მისი ბიუჯეტი იყო საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი, ხოლო აფხაზეთის სამთავრობო უწყებები და პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, პარტიული სტრუქტურები კი – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე.

ყოველივე ეს აღიზიანებდა იმ ძალებს, რომლებიც თავის დროზე დემაგოგიურად ჰპირდებოდნენ სეპარატისტულად განწყობილ აფხაზობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას. სწორედ ამ ძალებმა მოინდომეს თბილისსა და სოხუმს შორის 1921-1925 წლებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის რევიზია. მათი ზეწოლით მომზადდა აფხაზეთის სსრ-ის პირველი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ 1925 წელს. მაგრამ ეს მცდელობა საქართველოსა და ამიერკავკასიის ზემდგომი პარტიული ინსტანციების ჩარევის შედეგად ჩავარდა.

ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ინსტანციების, პირველ რიგში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) მიერ ჩატარებული „აღმზრდელობითი მუშაობის“ შედეგები შეჯამდა 1926 წ. 27 ოქტომბერს აფხაზეთის საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიაზე. **იხელმძღვანელა რა საქართველოს ცაკის III სესიის პირდაპირი მითითებით, აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია,** რომელიც საბოლოოდ დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ 1927 წ. მარტში. 1927 წლის აფხაზეთის სსრ-ის კონსტიტუციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა აფხაზეთის სსრ-ის ყოფნა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. 1931 წ. აპრილში კი უკვე აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ სათანადო შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი უკვე ოფიციალურადაც გამოცხდდა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში.

ასეთია ისტორიული სიმართლე ე.წ. „სუვერენული“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ 1921-1931 წლებში,

---

[1] *«...**автономные республики** Аджарии и **Абхазии**, Юго-Осетинская, Нагорно-Карабахская и Нахичеванская автономные области посылают в Совет Национальностей по одному представителю»*. იხ.: **Л. Тоидзе.** К вопросу о политическом.., გვ. 303, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

რომელიც ფორმალურად იწოდებოდა რა ე.წ. *„ხელშეკრულებით რეს-პუბლიკად“ («Договорная республика»)*, სინამდვილეში, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოფიციალურად შედიოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და „დე-ფაქტო“ უკვე მაშინ წარმოადგენდა მის ავტონომიურ ერთეულს. ასე რომ, ყოველგვარი მტკიცება იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთის სსრ-ს 1921-1931 წლებში ჰქონდა საქართველოსაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის – მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი, რომელიც მან დაკარგა 1931 წელს „ყოვლისშემძლე ქართველების“ ი. სტალინისა და ლ. ბერიას ვერაგული ქმედებების შედეგად, მხოლოდ პოლიტიკური ინსინუაციაა, რომლის მიზანია ერთი მხრივ, აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების გაღვივება, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო თანამეგობრობის შეცდომაში შეყვანა.[1]

„სახელმძღვანელოს“ ავტორები, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ ტოვებენ ე.წ. „ქართველთა მასობრივი ჩასახლების“ ყბადაღებულ თემას, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX ს. 40-იან 50-იანი წლების დამდეგს და ოსტატურად იყენებენ მას აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების გასაღვივებლად (გვ. 356-358). ძირითადად იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში XX ს. 40-იან წლებში. ეს პროცესი, როგორც ცნობილია, სეპარატისტთა მტკიცებით, იყო საქართველოს კომუნისტური ხელისუფლე-

[1] ამ შესახებ უფრო ვრცლად იხ.: **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ყალბი ისტორიოგრაფიული პოსტულატის შესახებ. *1921-1931 წლებში აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხისათვის. – აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*. შრომათა კრებული. ტ. 3. თბ., 2014, გვ. 7-38 (http://www.scribd.com/doc/171370596/1921-1931); **З. Папаскири.** Ещё раз об одном ложном историографическом постулате абхазской сепаратистской идеологии. *К вопросу о политико-государственном статусе Абхазии в 1921-1931гг. – Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция, 2012. Т. 6, вып. 2, гз. 191-204 (http://cyberleninka.ru/article/n/esche-raz-ob-odnom-lozhnom-istoriograficheskom-postulate-abhazskoy-separatistskoy-ideologii-k-voprosu-o-politiko-gosudarstvennom); **Z. Papaskiri.** Another Look at One of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology. *On the Question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931. – The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). Vol. 6, Issue 2. CA&CC Press®, Sweden, 2012, гз. 168-180 (http://cyberleninka.ru/ article/n/another-look-at-one-of-the-false-historical-postulates-of-the-abkhazian-separatist-ideology-on-the-question-of-abkhazias-political-state).

ბის მხრიდან აფხაზთა ეთნიკური ინდივიდუალობის მოშლისა და აფხაზეთის გაქართველების მიზანმიმართული აქცია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან XX საუკუნემდე ქართული მოსახლეობა მუდამ სჭარბობდა აფხაზურს. ასე რომ, ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის დემაგოგიური მტკიცება, თითქოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნიკური უმრავლესობა გაჩნდა მხოლოდ XX ს. 30-40-იან წლებში ქართველთა ე.წ. „მასობრივი ორგანიზებული ჩასახლების“ შედეგად, უბრალოდ სიცრუე და ისტორიის უხეში გაყალბებაა. რასაკვირველია, რომ არა აფხაზი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედია – მუჰაჯირობა, რომლის ინსპირატორი და ნამდვილი შემოქმედი რუსეთის იმპერია იყო, აფხაზური მოსახლეობა XX ს. 30-40-იან წლებში რაოდენობრივად უფრო მეტი იქნებოდა.

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მას მერე, რაც XIX ს. 60-70-იან წლებში აფხაზთა ერთმა ნაწილმა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა მშობლიური მხარე და ოსმალეთში გადაიხვეწა, მათი საცხოვრებელი ადგილები მართლაც დაიკავეს სხვა ერების წარმომადგენლებმა: რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და, რასაკვირველია, ქართველებმა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან). ამასთან, ცნობილია ისიც, რომ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა, არ დაეშვა ქართველთა მასობრივი დასახლება აფხაზეთში და ხელი შეეშალა მხარის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში მოქცევისათვის. ამისათვის კი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი რუსი მოხელის, სოხუმის „ოკრუგის“ ადმინისტრაციის უფროსის პოლკოვნიკ ბრაკერის განმარტებით (1995 წ.), აუცილებელი იყო *„**სოხუმის ოკრუგში** უცხო ელემენტის, **ჩასახლება** დაშვებული ადრე... **აუცილებელია შეწყდეს დაუყოვნებლივ, განსაკუთრებით მეგრელების. სასურველია შემოინახოს რაც შეიძლება მეტი ფონდი თავისუფალი მიწებისა მხოლოდ და მხოლოდ ძირძველი რუსების ჩასასახლებლად**“*.[1]

„მხარის რუსულ კოლონიზაციას, – წერდა მოგვიანებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გერშელმანი, – *პოლიტიკური თვალსაზრისით აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.* ***აფხაზები... დღემდე წარმოადგენენ უკიდურესად დაბალი კულტურის ხალხს, განუვი-***

---

[1] *«**Вселение в Сухумский округ** иноземного элемента допушенное в начале ... **необходимо прекратить** теперь же, **в особенности вселение мингрельцев. Желательно сберечь возможно большой фонд свободной земли для водворения исключительно коренных русских людей**».* იხ.: **С. З. Лакоба.** Очерки политической истории.., გვ. 340, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

თარეხელს როგორც გონებრივად ისე ზნეობრივი კუთხით, არამყარი რელიგიურის მრწამსით, რომლებმაც ამასთან არაერთხელ გამოამჟღავნეს თავიანთი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა. ყოველივე ეს იწვევს მათდამი ყურადღების გამახვილების აუცილებლობას. საქმის გამოსწორება შეიძლება მხარეში რუსული მოქალაქეობის შეტანით ... საუკეთესო საშუალება კი ამის განხორციელებისა, უნდა ვაღიაროთ, არის მხარის კოლონიზაცია მხოლოდ და მხოლოდ რუსული მოსახლეობით“.[1] ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალისა, რომლიდანაც სრულიად ნათლად ჩანს, თუ ვინ ცდილობდა აფხაზთა ეროვნული თვითმყოფადობის მოშლას და აფხაზეთის ჩვეულებრივ რუსულ პროვინციად გადაქცევას.

საკითხავია, რატომ ივიწყებენ ყოველივე ამას ჩვენი ის აფხაზი კოლეგები, რომლებიც ასე სკრუპულოზურად ითვლიან არითმეტიკულად რამდენი ქართველი როდის ჩასახლდა არა სხვა სახელმწიფოში, არამედ თავისივე ქვეყნის, საქართველოს ძირძველ კუთხეში – აფხაზეთში. დიახ, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ვალდებული ვართ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ყველას: **აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი, სამშობლო არა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა, არამედ, პირველ რიგში, სწორედ (და უფრო მეტადაც) ქართველთა.** ასე რომ, ქართველების ადგილგადანაცვლება საცხოვრებლად თავისივე ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, სულაც არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აქცია. რასაკვირველია, ეს ეხება 1937-1953 წლებსაც, როდესაც სახელმწიფო დონეზე მართლაც მოხდა ქართველთა მასობრივი ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში.

ბოლოსდაბოლოს, დროა, ყველამ შეიგნოს: ეს იყო ერთი ქვეყანა, ერთი სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა – „საქართველოს სსრ“-დ, ხოლო „აფხაზეთის ასსრ“ მისი შემადგენელი ნაწილი იყო. მოსახლეობის მიგრაციის გამოცხადება კი ერთი სახელმწიფოს ტერიტო-

---

[1] *«Русская колонизация округа, имеет большое государственное значение в политическом отношении.* ***Абхазцы... до сих пор представляют из себя народность крайне малокультурную, мало развитую как в умственном, так и в нравственном отношении, шаткую в своих религиозных убеждениях и не раз уже проявившую свою политическую неблагонадежность. Все это вызывает необходимость особого внимания к ним. Помочь делу можно внесением в край русской гражданственности... Лучшим средством к осуществлению ся надо бесспорно признать колонизацию края русским населением****»*. იხ.: *Доклад Кутаисского военного губернатора по военно-народному управлению,* 2 сентября 1900 года. – წგნ.: **ა. სილაგაძე, ვ. გურული.** ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები, გვ. 309, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

რიის შიგნით დანაშაულად, უბრალოდ, ელემენტარული ლოგიკის ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ჯდება. უფრო მეტიც, არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სსრ კავშირის არსებობის პერიოდში იყო ერთიანი მოქალაქეობა: თითოეულ ადამიანს პასპორტში ეწერა არა საქართველოს სსრ-ის (მით უფრო, აფხაზეთის ასსრ-ის) მოქალაქე, არამედ **„სსრ კავშირის მოქალაქე“**. აქედან გამომდინარე, **ამ ერთიანი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო თავისი სურვილისამებრ აერჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი** (ერთგვარი შეზღუდვა ამ მხრივ ჩაწერის ინსტიტუტის არსებობის გამო დიდ ქალაქებს ჰქონდა). რაც შეეხება „ორგანიზებულ გადასახლებას“ (მხედველობაში არა გვაქვს ზოგიერთი „დამნაშავედ“ მიჩნეული ხალხის ძალით აყრა თავიანთი მიწა-წყლიდან), მას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც და, პირველ რიგში, მოტივირებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით. ამისათვის თუნდაც ყაზახეთის მაგალითის გახსენება იკმარებდა, როდესაც ყამირი მიწების ასათვისებლად ამ რესპუბლიკაში ჩასახლდა ასეულ ათასობით რუსული ოჯახი. განა ასევე რუსული მოსახლეობის დიდი მასის „გადასროლა“ არ ახლდა თან მრეწველობის გიგანტების მშენებლობას ამა თუ იმ ნაციონალურ რესპუბლიკაში? შორს რომ არ წავიდეთ, რად ღირს თუნდაც ენგურის ქაღალდკომბინატისა და ენგურჰესის მშენებლობები, რომლის დროსაც ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებში მთელი რუსული დასახლებები აღმოცენდა.

რატომ აღელვებთ ჩვენს აფხაზ ოპონენტებს რამდენიმე ათეული ათასი ქართველის ჩასახლება აფხაზეთში და რატომ არ იმაღლებენ ხმას, მაგალითად, იმის გამო, რომ **1886 წლიდან 1989 წლამდე რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა, არც მეტი არც ნაკლები, 70-ჯერ (!?)** (დაახლოებით ამდენჯერვე გაიზარდა სომხური მოსახლეობაც). ან რა ზიანი მიაყენა აფხაზეთს იქ ჩასახლებულმა ქართველობამ? იქნებ ის, რომ გაპარტახებული და გავერანებული რაიონები ნამდვილ წალკოტად აქცია.

დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, თუ ვინ იყო აფხაზეთში მატერიალური კეთილდღეობის ნამდვილი შემქმნელი და თუ როგორი „შემოქმედებითი შრომა-საქმიანობა“ ძალუძთ მხარის „ერთადერთ აბორიგენებს – აფხაზებს“. ისტორიამ უკვე მეორეჯერ მოუწყო მათ გამოცდა. პირველად ეს იყო გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც მთიდან დაძრულმა ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელმა ჯიქ-აფხაზთა ტალღამ ერთიანად წალეკა ცივილიზებულ ქრისტიან ქართველ-აფხაზთა მიერ საუკუნეების მანძილზე დიდი რუდუნებით შექმნილი აყვავებული ქვეყანა, განვითარებული ფეოდალური ეკონომიკითა და მოწინავე ქრისტიანული კულტურით და აქცია ის ჩამორჩენილ, ველურ პროვინციად. ისმის კითხვა: იქნებოდა კი საერთოდ ამჟამინდელი აფხაზი ერი, თავისი ნაციონალური კულტურით, რომ არა გააფხაზებული ქართველები, რომლებმაც

თავიანთი შემოქმედებით სწორედ რომ საფუძველი დაუდეს აფხაზურ ეროვნულ-კულტურულ თვითშეგნებას?

მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ აფხაზური ეროვნულ-კულტურული თვითშეგნების შემქმნელი ინტელექტუალური ელიტის პირველ ხუთეულში შედიან სწორედ ის მოღვაწენი, რომელთა ქართულ (მეგრულ) წარმომავლობაში წარმოუდგენელია ვინმემ ეჭვი შეიტანოს. ესენი არიან: აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი და ამავე დროს აფხაზური ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი **დიმიტრი გულია**; საყოველთაო აღიარებით აფხაზური პროზის პატრიარქად მიჩნეული **ივანე პაპასქირი**; აფხაზური პოეზიის კლასიკოსი **იუა კოლონია**; გამოჩენილი აფხაზი მეცნიერ-პედაგოგი **ანდრია ჭოჭუა**; გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი **გიორგი ძიძარია**.

რასაკვირველია, აფხაზური კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში არაერთმა სხვა მოღვაწემაც შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ **ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი ერის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული ბიძგი სწორედ ამ „დიდმა ხუთეულმა“ მისცა**. ამაში ნამდვილად ძნელია ვინმე მათ პირველობას შეეცილოს. აი, როგორი „შევსება“ მისცა ქართველობამ მოძმე აფხაზ ხალხს. და რაოდენ სავალალოა, რომ ყოველივე ამას ივიწყებენ არა მარტო რუსულ იმპერიულ ანტიქართულ პროპაგანდას აყოლილი აფსუა-აფხაზები, არამედ ისტორიულ მეხსიერებაზე დამბლადაცემული ამჟამად გააფხაზებული, გუშინდელი ტომით ქართველები.

„სახელმძღვანელოში“, როგორც მოსალოდნელი იყო, მთლიანად გატარებულია ე.წ. „აფხაზი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის“ სეპარატისტული ხედვა, რაც აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში მთლიანად ქართული მხარის დამნაშავედ გამოყვანას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, საგანგებოდაა ხაზგასმული დაპირისპირება ისტორიოგრაფიის სფეროში (გვ. 370-376).

„სახელმძღვანელოში“ ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი ე.წ. *„1992–1993 წლების აფხაზეთის ხალხის სამამულო ომი“ («Отечественная война народа Абхазии 1992-1993 годов»)*, რომელშიც, ბუნებრივია, ყველაფერი ბრალდება ქართულ მხარეს. ავტორები იმეორებენ მითს იმის შესახებ, თითქოს 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილების გადაადგილება **საქართველოს სახელმწიფოს** (რომლის სუვერენიტეტი – საქართველოს სსრ-ის 1991 წლის საზღვრებში – აღიარებული იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ) **შიგნით – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე** იყო ინტერვენცია. არადა, სრულიად აშკარაა, რომ სამართლებრივი

თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, არავითარ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. დანაშაული მოხდა მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის კოლონას ოჩამჩირის რაიონის სოფ. ოხურეისთან ე.წ. „აფხაზური გვარდიის“ (თავისთავად უკანონო სამხედრო ფორმირების) „ბოევიკებმა“ მოულოდნელად ცეცხლი გაუხსნეს. სხვათა შორის, „აფხაზური გვარდიის“ მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, რომელსაც მოჰყვა კონფლიქტის ინსპირირება, მოულოდნელი აღმოჩნდა, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის გადაადგილების საკითხი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული პირადად ვ. არძინბასთან. ის, რომ შეთანხმება (მართალია, სიტყვიერი) თბილისსა და სოხუმს შორის სამხედრო ნაწილების აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ ნამდვილად არსებობდა, ეს ამ რამდენიმე წლის წინ ოფიციალურად დაადასტურა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით დღევანდელი სეპარატისტული რეჟიმის მეორე პირმა („ვიცეპრეზიდენტმა“), იმჟამად აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა.[1]

„სახელმძღვანელოს“ ავტორები ყოველნაირად ცდილობენ მკითხველი დაარწმუნონ იმაში, რომ „სამამულო ომი“ მოიგო აფხაზმა ხალხმა, „მოძმე“ ჩრდილოკავკასიელი და კაზაკი „მოხალისეების“ დახმარებით“. სინამდვილეში კი მთავარ დამრტყმელ ძალას, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა შეიარაღებული დაპირისპირების შედეგზე, წარმოადგენდა ოფიციალური რუსული სამხედრო მანქანა, თავისი არტილერიით, ავიაციითა და სამხედრო ფლოტით, ხოლო სამხედრო ოპერაციებს უშუალოდ წარმართავდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი.[2] ეს თუ მანამდე ვინმეს ეეჭვებოდა, დღეს უკვე (მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ ჩაიდინა 2008 წ. აგვისტოში), ცხადზე უცხადესი გახდა თუ ვინ იყო ნამდვილი ინსპირატორი და მთავარი სულისჩამდგმელი 1992-1993 წლებში საქართველოში მოწყობილი სეპარატისტული ამბოხებებისა, ვინ აწარმოებდა „ჯვაროსნულ“ ომს ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ვინ დგას აფხაზი სეპარატისტების მიერ 1993 წელს მოპოვებული „დიადი გამარჯვების“ უკან.

დაბოლოს, ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას ე.წ. *,,აფხაზეთის ისტორიის“* „სახელმძღვანელოზე“ მსჯელობისას არ შეიძლება არ აღინიშნოს XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის კულტურული ცხოვრებიდანაც ყოველი-

---

[1] *«Александр Анкваб отвечает – Историю Абхазии нельзя скроить из президентских мифов и небылиц».* – გაზ.: *«Аитаира»,* №10, 25.VI.2003. მასალა მოყვანილია გაზეთიდან: *«Свободная Грузия»,* №198-199, 18.VII. 2003.

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ. **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთის კონფლიქტის რაობა და მისი მონაწილენი. *ანუ ვინ ებრძოდა საქართველოს. – საისტორიო ძიებანი.* წელიწდეული, II. თბ., 2006, გვ. 368-378.

ვე ქართულის სრული იგნორირება. ნებისმიერი გაუთვითცნობიერებელი მკითხველი ამ „სახელმძღვანელოს“ გაცნობის შემდეგ უთუოდ დაასკვნის, რომ აფხაზეთში არასოდეს ყოფილა არც ქართული მწერლობა, არც ქართული თეატრი, რომ აქ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზები. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქართველ მოღვაწეთაგან დასახელებულნი არიან მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მუშაკები: ალ. გრიგოლია, ნ. რუხაძე, ნ. შუბლაძე, პ. ჯაფარიძე, აგრეთვე მეცნიერი-ისტორიკოსები: სიმონ ჯანაშია, არველოდ კუპრავა და გიორგი ანჩაბაძე, თუმცა ეს უკანასკნელნი გამოცხადებულნი არიან *„აფხაზი ხალხის წიაღიდან“ («из среды абхазского народа»)* გამოსულებად (გვ. 361). „სახელმძღვანელოს“ ავტორთა „გულმავიწყობა“ იქამდეც კი მიდის, რომ მათ გამორჩათ ისეთი მოღვაწენი, როგორიცაა აფხაზური ენის აღიარებული მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მირიან ციკოლია – იგივე ცნობილი ქართველი პოეტი მირიან მირნელი, რომელმაც არაერთი აფხაზი პოეტის ნაწარმოები ააჟღერა ქართულად, ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევარი და აფხაზური კულტურის დიდი მოამაგე პროფ. ოთარ ჭურღულია, ცნობილი ენათმეცნიერი-აფხაზმცოდნე ბაგრატ ჯანაშია და ათეულობით ღირსეული ქართველი მწერალი, ხელოვანი და მეცნიერი.

ასეთია, ჩვენი ზოგადი შთაბეჭდილებები ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას ე.წ. *„აფხაზეთის ისტორიის“* „სახელმძღვანელოზე“. როგორც ვხედავთ, საერთო შთაბეჭდილება მეტად დამთრგუნველია. პირველი შეგრძნება, რომელიც ეუფლება კაცს ამ გამოცემის გაცნობის შემდეგ, არის ავტორთა არაპროფესიონალიზმით გამოწვეული გაწბილება. ისინი, სამწუხაროდ, დარჩნენ შორეულ წარსულში, როგორც მეცნიერულ-ინფორმაციული თვალსაზრისით, ისე მეთოდოლოგიურ-იდეოლოგიური კუთხითაც. მაგრამ ეს არაა მთავარი – უფრო გულსატკენი მათი არაკეთილსინდისიერება და ტენდენციურობაა, რომლის მიზეზი არის პათოლოგიური ზიზღი და სიძულვილი ყოველივე ქართულის მიმართ (ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს). ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ მშობლიური ისტორია შეუძლებელია დაწერო გარკვეული ემოციური „დატვირთვის“ გარეშე, მაგრამ განა ეს უნდა გვაძლევდეს უფლებას მთლიანად თავდაყირა დავაყენოთ ისტორიული რეალობა და მოვექცეთ გამოგონილი ფანტაზიების ტყვეობაში. **ისტორია ასე არ იწერება.**

გულწრფელად ვიტყვი, ჩემთვის ფრიად მტკივნეულია ყოველივე ამაზე საუბარი იმის გამოც, რომ სტანისლავ ლაკობას და განსაკუთრებით ოლეგ ბღაჟბას მიმართ ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ვიყავი განწყობილი. ს. ლაკობა, უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ადამიანია ჩვენ აფხაზ კოლეგებს შორის. ნამდვილი ერუდიტი, მებრძოლი, აფხაზი ხალხის ნაციონალური ინტერესების აქტიური დამ-

ცველი (ეს მან ამასწინათ თვალნათლივ წარმოაჩინა ცნობილ რუს შოვინისტ პოლიტიკოსთან კონსტანტინე ზატულინთან პოლემიკისას). და მოულოდნელად ასეთი ინტელექტუალური და ადამიანური კოლაფსი.

იგივე შემიძლია ვთქვა ოლეგ ბღაჟბაზე, რომელთანაც, ამასთან, მე თბილი მეგობრული ურთიერთობებიც მაკავშირებდა. ვისგან, ვისგან და ოლეგ ბღაჟბასგან – დიდი ნიჭისა და ინტელექტის ადამიანისგან, რაფინირებული ინტელიგენტისგან, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მაღალი პროფესიონალიზმით და არასოდეს აძლევდა თავს უფლებას გამოეტანა ნაჩქარევი დაუფიქრებელი დასკვნები – გამოჩენილი აფხაზი მეცნიერის, ჭეშმარიტი რაინდის ხუხუტი ბღაჟბას, ვისაც, ზოგიერთებისგან განსხვავებით, არასოდეს არ გაუცვლია თავისი მაღალი მეცნიერული ავტორიტეტი იაფფასიან პოპულიზმზე, შვილისგან არაფრით არ მოველოდი ამდენ ღვარძლს, სუბიქტურობას და აშკარა სიცრუეს. აი სწორედ ესაა **სამწუხარო, ძალზე სამწუხარო.**

მაგრამ მე მაინც არ ვკარგავ იმედს და დარწმუნებული ვარ წყენა (არაფერს ვამბობ სიძულვილზე, რომელსაც არასოდეს არავისთვის არ მოუტანია სიკეთე), დროთა განმავლობაში ჩაივლის, ჩვენი აფხაზი მეგობრები, ბოლოს და ბოლოს, გამოვლენ ცრუ ეიფორიიდან, გაერკვევიან ვინ მოყვარეა და ვინ მტერი და სხვანაირად შეაფასებენ მოვლენებს, ჩვენი ხალხების მიერ ერთად განვლილ ისტორიულ გზას.

ღმერთმა ქნას!

P.S. იმ დროისათვის, როდესაც მზადდებოდა ამ რეცენზიის რუსული ვერსია, აფხაზეთში დიდი ვნებათა ღელვა ატყდა. უკვე რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ე. წ. „აღიარების“ მეორე წლისთავის წინ მოსკოვმა, კრემლის ამჟამინდელი რეჟიმის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი აპოლოგეტი „ექსპერტის“ პირით, ღიად განაცხადა თავის ჭეშმარიტ ზრახვებზე და ჩვენს აფხაზ თანამემამულეებს ერთნიშნად აგრძნობინა, თუ ვინაა „აფხაზეთის განთავისუფლების“ რეალური ავტორი, რას წარმოადგენს ე.წ. „სუვერენული აფხაზეთი“ და ვის ხელშია მისი შემდგომი ბედი.

ასე, რუსული პოლიტიკური ანალიტიკის ერთ-ერთი ახლად მოვლენილი „გენიოსის“ ანდრეი ეპიფანცევის (რომელიც ამ ბოლო დროს სერიოზულადაა დაკავებული ე.წ. „საქართველოს საკითხით“),[1] მტკიცე-

[1] ამის ნათელი დადასტურებაა მისი ბოლოდროინდელი ზღვარგადასული ბოღმითა და ღვარძლით გაჟღენთილი ანტიქართული პუბლიკაციები. იხ.: **Андрей Епифанцев.** Была ли Грузия союзником России? Политическая модель выживания грузинского государства. Проект Института национальной стратегии. – *Агентство политических новостей* (27.01.2009). http://www.apn.ru/publications/article21261.

ბით, ***„აფხაზეთის რეალური დამოუკიდებლობა ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა კუთხით... არის წმინდა წყლის ბლეფი, სარეკლამო სლოგანი, ფოჩიანი კანფეტი“ («... в экономическом, политическом и во всех иных отношениях реальная независимость... Абхазии ... – это чистый блеф, рекламный слоган, красивый фантик»)*** და რომ სინამდვილეში ე.წ. „დამოუკიდებელი აფხაზეთი“ არის მხოლოდ ***„ტერიტორია, რომელიც ცხოვრობს რუსეთის წყალობით და რუსეთის ხარჯზე“ (Абхазия – это территория, которая живет благодаря России и за счет России»)***.[1]

უფრო მეტიც, ა. ეპიფანცევი სულაც არ მალავს, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ *„საერთაშორისო აღიარება ხდება ან რუსეთის ფულით, ან რუსეთის ფასდაკლებებით, ან რუსეთის კონტრაქტებით“ («**происходит либо за российские деньги, либо за российские скидки, либо за российские контракты**»)*. ამასთან ის აღშფოთებულია *„აფხაზური კანონმდებლობის ველურობისა და ნაციონალურ-დისკრიმინაციული ხასიათის გამო“ («**дикости и национально-дискриминационного характера абхазского законодательства**»)*, და იმის გამოც, რომ აფხაზეთში იქმნება *„სახელმწიფოს ეთნოცენტრისტული ტიპი, აფხაზი ეთნოსის დომინირებით“ («**этноцентрический тип государства с доминирующим абхазским этносом**»)*. სრულიად აშკარაა, რომ რუსეთი სულაც არ აპირებს დიდხანს ითმინოს „თავნება ცოლის“ («своенравной жены» – შედარება ა. ეპიფანცევისეულია) ხუშტურები, *„რომელმაც **პასპორტში შტამპის***

---

htm; **Андрей Епифанцев.** Национальные окраины Грузии. Условия распада. – *Агентство политических новостей* (26.01.2010). http://www.apn.ru/publications/article22327.htm; **Андрей Епифанцев.** Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. – *Агентство политических новостей* (22.09.2009). http://www.apn.ru/publications/article21981.htm (ამ უკანასკნელი პასკვილის შესახებ იხ. ჩვენი კრიტიკული წერილი: **Зураб Папаскири**. О новых антигрузинских инсинуациях радетелей «независимой» Абхазии.*По поводу Статьи А. Епифанцева: Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. – Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии.* Гл. редактор: акад. ***Давид Мусхелишвили***. Издат.: *«Универсал»*. Тб., 2011, გვ. 25-60, http://iberiana.wordpress. com/afxazeti/papaskiri-2). 2014 წელს აშშ-ში გამოქვეყნდა ამ პუბლიკაციის ინგლისური ვერსიაც იხ.: **Zurab Papaskiri.** On New Anti-Georgian Insinuations of Supporters of “Independent” Abkhazia. – *Certain Aspects of Georgia-Russian Relations in Modern Historiography*. Caucasus Region Political, Economical, and Security Issues. *NOVA* publishers. New York, 2014, გვ. 9-28.

[1] **А. Епифанцев.** Абхазия: необъяснимая щедрость бытия. – *Агентство Политических Новостей*. 4.12.2010 (http://www.apn.ru/publications/article22606.htm). ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ჩარტყმის – იურიდიული აღიარებისა და რუსეთის სხვა გარანტიების – შემდეგ ქმრისადმი გარეგნული მოჩვენებითი მორჩილებისა და ერთგულების ფონზე დაიწყო მოქცევა სულ უფრო თამამად და ცდილობს მიაღწიოს თავის ოჯახურისაგან განსხვავებულ მიზანს, ერთი სიტყვით, იყოს თავისთვის“ *(которая* ***после штампа в паспорте – юридического признания и российских гарантий – при показной внешней покорности и верности мужу начала вести себя увереннее, преследовать свои цели, отличные от семейных и, в общем-то, быть самой собой».***[1]

ამგვარი ბრალდების შემდეგ ა. ეპიფანცევს სრულიად მოურიდებლად გამოაქვს უმკაცრესი და ამასთან თავხედური განაჩენი: *„**რუსეთი,** რომელიც **მთლიანად არჩენს აფხაზეთს, უფლებამოსილია ჰქონდეს გარკვეული საპასუხო ნაბიჯების, მის მიმართ გარკვეული რევერანსების მოლოდინი“** («**Россия, содержащая с потрохами Абхазию, вправе рассчитывать на некие возвратные шаги, некие реверансы в свою сторону…**»)* და, *„თუ რომელიღაც მომენტში გაირკვევა, რომ ამის **მიღწევა შეიძლება მხოლოდ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის შეწყვეტის პირობებში, მაშინ ამაზეც იქნება წასასვლელი“** («…если в какой-то момент станет понятно, что это можно будет сделать только* ***при прекращении государственности Абхазии, то на это тоже надо будет идти»****).*[2]

როგორც იტყვიან, ყველაფერი დღესავით ნათელია და კარგია, რომ ამას, როგორც იქნა, ხვდებიან თვით ჩვენი აფხაზი კოლეგები, რომლებმაც უკვე დაიწყეს ხმის ამოღება (მართალია, ჯერ-ჯერობით მთლად გაბედული ვერა) გუშინდელი თავიანთი „მფარველების“ იმპერიული ინფორმაციულ-იდეოლოგიური შეტევის წინააღმდეგ.

---

[1] **А. Епифанцев.** Абхазия: необъяснимая щедрость.., ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **А. Епифанцев.** Абхазия: необъяснимая щедрость.., ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

განასხვავებდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი ეთნიკურად ე.წ. „ძველ“ და „ახალ“ აფხაზებს*

ამ ბოლო დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი მოიკიდა ცნებამ – „ძველი“ და „ახალი“ აფხაზები,[1] რომლითაც ცდილობენ გამიჯნონ ეთნიკურად გვიან ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფშილ“-„აფხაზები“ თანამედროვე ეთნონიმის „აფსუა“-„აფხაზის“ მატარებელი ხალხისაგან. ამ თვალსაზრისით, ე.წ. „ძველი“ აფხაზები, ანუ ბერძნულ-ბიზანტიური „აბაზგ“-„აფსილები“ და შუა საუკუნეების ქართული წყაროების „აფხაზები“ ეთნიკურად ქართველურ ტომებად, ხოლო თანამედროვე „აფსუა-აფხაზთა“ წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან (XVI-XVII საუკუნეებში) მოსულებადაა გამოცხადებული. თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ეთნიკური ვინაობისა და ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დამკვიდრების ეს შეხედულება არახალია. ის, როგორც ცნობილია, გაჩნდა XX ს. 50-იანი წლების I ნახევარში და მისი ავტორია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ძველი ქართული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარი პავლე ინგოროყვა, რომელმაც 1954 წელს გამოსცა გახმაურებული მონოგრაფია გიორგი მერჩულეზე.[2]

თავის დროზე ოფიციალურმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, მაშინდელი მისი ლიდერის აკად. ნიკო ბერძენიშვილის სახით, არ გაიზიარა პ. ინგოროყვას ეს შეხედულება და საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა ის.[3] მოგვიანებით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული ისტორიოგრაფიის ერთნიშნა პოზიცია არაერთხელ დაფიქსირდა XX ს. 50-80-იან წლებში გამოცემულ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სხვა განმაზოგადებელი ხასიათის გამოცემებში,

---

* პირველად დაიბეჭდა: *მაცნე*, №1, 2014, გვ. 165-175. აღნიშნული სტატია (ოდნავ შევსებული სახით) გამოქვეყნებულია აგრეთვე რუსულ ენაზეც. (იხ.: **З. Папаскири.** Находил ли Иванэ Джавахишвили этническое различие между т.н. «древними» и «новыми» абхазами. – *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* ტ. X, თბ., 2016, გვ. 372-387. ამჟამად იბეჭდება ბოლო შევსებული რუსული ვერსიის მიხედვით, მცირეოდენი (ტექნიკური ხასიათის) ჩასწორებებით.

[1] შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე თავგამოდებით ამ ცნებებს ამკვიდრებდა აწგანსვენებული გერონტი გასვიანი. იხ. **გ. გასვიანი.** აფხაზეთი. *ძველი და ახალი აფხაზები.* თბ., 1998.

[2] **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან. თბ. 1954, გვ. 118-189.

[3] **ნ. ბერძენიშვილი.** პავლე ინგოროყვას წიგნის — „გიორგი მერჩულეს“ გამო. — *მნათობი*, №12, 1956, გვ. 125-131.

რომელთა შორის საგანგებოდ უნდა გამოვყოთ: *„საქართველოს ისტორიის“* დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის (მთ. რედაქტორი აკად. **ნიკო ბერძენიშვილი**); *„აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები“* (მთ. რედაქტორი **გიორგი ძიძარია**) და, რაც მთავარია, *„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“* რვატომეული (მთ. რედაქტორი აკად. **გიორგი მელიქიშვილი**), რომლებშიც არ გამხდარა სადავო აბაზგ-აფსილთა აფხაზურ-ადიღური ეთნიკური წარმომავლობა. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი, უკიდურესად გაღიზიანებული სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ თავხედური თავდასხმებით საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე (რაც, ბუნებრივია, სავსებით გასაგებია), ყოველნაირად ცდილობს და ერთგვარი აგრესიულობითაც მოითხოვს ქართველი ისტორიკოსებისაგან პ. ინგოროყვას თვალსაზრისის უპირობო აღიარებას.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი კოლეგები არც თუ იშვიათად მიმართავენ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის კორიფეების მაღალ ავტორიტეტს და მიაწერენ მათ პ. ინგოროყვას თანამოაზრეობას. საქმე იქამდეც მიდის, რომ თვით სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილიც კი გამოცხადებულნი არიან თანამედროვე „აფსუა-აფხაზთა“ წინაპრების დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში გამოჩენის თვალსაზრისის მომხრეებად. ანალოგიურ სიტუაციაში მოხვდა დიდი ივანე ჯავახიშვილიც. უფრო მეტიც, ზოგიერთი ჩვენი კოლეგის მტკიცებით, გვიან ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფშილ“-„აფხაზთა“ ქართველური წარმომავლობის თვალსაზრისი სწორედ მისგან იღებს სათავეს, რომელიც შემდეგ თითქოს დაადასტურეს ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და პ. ინგოროყვამ.[1]

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სრული გაუგებრობა, რომელიც ეფუძნება სახელოვანი მეცნიერის ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე (1913 წელს) გამოთქმულ ერთ მოსაზრებას, მის მიერვე მოგვიანებით უარყოფილს. მხედველობაში გვაქვს შემდეგი პასაჟი *„ქართველი ერის ისტორიის“* პირველი წიგნის მეორე გამოცემიდან: *„... **კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია**: ლაზ-მეგრელებს, **აფშილ-აფხაზებს** და სვანებს“*.[2] აი სწორედ ივ. ჯავახიშვილის ამ შეხედულების სისწორე, როგორც გვარწმუნებს ზურაბ რატიანი, *„შემდგომში **გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის** და, განსაკუთრებით, პავლე ინგოროყვას საფუძვლიანი გამოკვლევებით კვლავ და კვლავ დადასტურდა... მაგრამ საბჭოთა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ მიჩქმალა ისტორიული სიმართლე და წამოატივტივა ყოვლად უხამსი სიყალბე, – თითქოს **აფშილ-აფხაზი ქარ-***

[1] **ზ. რატიანი.** წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო. თბ., 1995, გვ. 3.
[2] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. 1-2. ტფ., 1913, გვ. 55.

თველი კი არა, აფსუა იყოს, თითქოს აფსუა უხსოვარი დროიდან იყოს აფხაზეთის მკვიდრი და თითქოს აფხაზეთი საქართველოს ნაწილი კი არა, უცხო ქვეყანა იყოს“.[1]

იმავე თვალსაზრისს ავითარებდა თეიმურაზ მიბჩუანიც, რომელიც ასევე აფშილ-აფხაზთა ქართველთა სამ შტოსადმი კუთვნილების შესახებ ზემოთმოყვანილ პასაჟზე დაყრდნობით, კატეგორიულად აცხადებდა, რომ *„აკად. ივ. ჯავახიშვილი აფშილებს და აფხაზებს ქართველურ ტომად მიიჩნევდა“* და ამას ასაბუთებდა იმით, რომ *„დიდი მეცნიერი უსაფუძვლოდ არაფერს ამბობდა. კავკასიის ხალხების ისტორიაშიც მასზე უფრო ღრმად არავინ ერკვეოდა“.*[2] აქვე, თ. მიბჩუანი აღნიშნავს რა პ. ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილისა და ცნობილი აფხაზი მეცნიერის ხუხუტი ბღაჟბას ღვაწლს *„აფხაზთა ეთნიკური ვინაობის გარკვევაში“*, საგანგებოდ მიუთითებს, რომ ***„ყველა მათგანის დასკვნა ემთხვევა აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს აფშილებისა და აფხაზების წარმომავლობის შესახებ“***, რის გამოც *„ყველა ეს მეცნიერი აფხაზმა სეპარატისტებმა ანათემას მისცეს“.*[3]

პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი და ხ. ბღაჟბა, რომ „აფხაზმა სეპარატისტებმა ანათემას“ გადასცეს (სხვადასხვა „დოზით“), ეს, რასაკვირველია, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ხ. ბღაჟბას მოხსენიება ამ კონტექსტში. გამოდის, რომ ხ. ბღაჟბა პ. ინგოროყვას თანამოაზრე ყოფილა, რაც სრული აბსურდია. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, განა სწორედ ეს მეცნიერი არ გამოვიდა აფშილ-აბაზგთა და აფხაზთა ეთნიკური კუთვნილების პ. ინგოროყვასეული ხედვის მწვავე კრიტიკით?![4]

ივანე ჯავახიშვილის წარმოჩენას აფშილ-აბაზგთა და ადრეშუასაუკუნეების აფხაზთა ქართველური წარმომავლობის მომხრედ ცდილობს თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ეთნიკური ვინაობისა და ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი დამკვიდრების პ. ინგოროყვასეული შე-

---

[1] **ზ. რატიანი.** წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, გვ. 3. ამავე ნაშრომში ასევე ვკითხულობთ: *„როგორც აღვნიშნე, ეს დიდი ხანია გაარკვიეს ივანე ჯავახიშვილმა,* ***სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა*** *და პავლე ინგოროყვამ,* ***ისევე როგორც ის, რომ ძველი, ნამდვილი აფხაზები ქართველები იყვნენ, ხოლო აფსუები გადამთიელები არიან, ივ. ჯავახიშვილის დასკვნა და ს. ჯანაშიას დაკვირვებანი*** *ზემოთ დავიმოწმე“.* **ზ. რატიანი.** წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, გვ. 41, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **თ. მიბჩუანი.** ვინ არიან აფხაზები? — *ჯვარი ვაზისა,* №1, 1995, გვ. 47.

[3] **თ. მიბჩუანი.** ვინ არიან აფხაზები? გვ. 47, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] **Х. С. Бгажба.** Некоторые вопросы этнонимики и топонимики Абхазии (В связи с работой Павле Ингороква «Георгий Мерчуле»). – *Труды Абхазского Института Языка, Литературы и Истории АН Грузинской ССР*. Сухуми, XXVII, 1956, გვ. 279-303.

ხედულების კიდევ ერთი აქტიური დამცველი ჯემალ გამახარიაც. მეცნიერის მტკიცებით, ივანე ჯავახიშვილმა, მართალია, რამდენადმე დაზუსტა თავისი შეხედულებები, მაგრამ არასოდეს არ უარყვია მის მიერ 1913 წელს გამოთქმული თვალსაზრისი აფშილ-აბაზგთა ქართული ეთნიკური წარმომავლობის თაობაზე.[1] ივ. ჯავახიშვილი ე.წ. „ძველ“ აფხაზთა ქართველური ეთნიკური კუთვნილების მომხრედ გამოყვანილია აფხაზეთის პრობლემატიკისადმი მიძღვნილ სხვა არაერთ ნაშრომში.[2]

ჩვენ ამჯერად თავს შევიკავებთ იმის გარკვევისაგან თუ რა „მიჩქმალა“ და როგორ „წამოატივტივა“ *„საბჭოთა იმპერიულმა ისტორიოგრაფიამ... ყოვლად უხამსი სიყალბე, – თითქოს* ***აფშილ-აფხაზი ქართველი კი არა, აფსუა იყოს...“*** და უშუალოდ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისის განმარტებას შევუდგებით. დავიწყოთ იმით, რომ დიდი მეცნიერის ზემოთმოყვანილი დასკვნა აკადემიკოსებს სიმონ ჯანაშიას და ნიკოლოზ ბერძენიშვილს[3] (ხ. ბღაჟბაზე რომ არაფერი ვთქვათ) არა თუ არ განუ-

---

[1] **ჯ. გამახარია.** თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე. – *ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან.* აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 67; **Дж. Гамахария**. Территория нынешней Абхазии с I века н.э. до середины VIII в. – *Очерки из истории Грузии*. Абхазия. *С древнейших времен до наших дней*. Тбилиси 2009, გვ. 97.

[2] ამ მხრივ ბოლოდროინდელი ნაშრომებიდან გამოვყოფდით ს. ალექსაიას სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც, სამწუხაროდ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს (**ს. ალექსაია.** აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ბათუმი, 2013 (http://www.bsu.edu.ge/humanities/upload/sadoqtoro_sulxan_aleqsaia_2013.pdf).

[3] ამასთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს ცალკეულ ქართველ ისტორიკოსთა მცდელობები, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ნ. ბერძენიშვილი წარმოაჩინონ პ. ინგოროყვას თანამოაზრედ. განსაკუთრებით ამ კუთხით სცოდავს გერონტი გასვიანი (იხ.: **გ. გასვიანი.** ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ. თბ., 2003, გვ. 53-80). თავის დროზე ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ ამ საკითხს და, ვფიქრობთ, საკმაოდ მკაფიოდ ვაჩვენეთ, რომ **ნ. ბერძენიშვილი,** ფაქტობრივად, **არსად** და **არასდროს** არ საუბრობდა **ადრეშუასაუკუნეების ხანის აფხაზთა ქართველური ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილებაზე,** და რომ მეცნიერს არ აეჭვებდა ადრეშუასაუკუნეების პერიოდის „აბაზგ“-„აფშილთა“-„აფხაზთა“ ეთნიკური ერთობა თანამედროვე აფსუა-აფხაზებთან. ამ მხრივ რას ნიშნავს თუნდაც მეცნიერის რეპლიკა: *„ერთ-ერთი* ***ხელის შემწყობი პირობათაგანი იმისა, რომ მთიელმა აფხაზებმა*** (იგულისხმება გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ აფხაზ-ადიღთა ახალი ტალღა — **ზ.პ.**) ***შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხდური თანამოძმენი, იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა*** [აქ კონტექსტის მიხედვით, ნ. ბერძენიშვილს აშკარად მხედველობაში ჰქონდა არა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად, არამედ მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოსი. ამ საერისთავოს სამხრეთი საზღვარი XVI საუკუნეში დაფიქსირებულია ანაკოფია-ახალი ათონის მიდამოებში, რომლის შემ-

ვითარებიათ და დაუდასტურებიათ, არამედ ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით ივ. ჯავახიშვილმავე უარყო. ეს მან გააკეთა უკვე *„ქართველი ერის ისტორიის“* მომდევნო შევსებულ გამოცემაში,[1] რომელშიც მას

დეგ იმჟამად (XVI ს. 30-იანი წწ.) რეგიონში მყოფი თურქი რეზიდენტის დოკუმენტური ცნობით იწყებოდა „დადიანის ქვეყანა“ *(თურქული წყაროები XVI ს. I ნახევრის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის*. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ***ც. აბულაძემ.*** თბ., 1983, გვ. 57), ანუ ოდიშის მთავრის სამფლობელოები, დასახლებული ქართველური (უმეტესწილად მეგრულ-ზანური) ტომებით], ***ხალხის ფართო მასა ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას“*** (იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 616, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამასთან, ნ. ბერძენიშვილი ერთნიშნად ასკვნიდა, რომ **ადრეშუასაუკუნეების ხანის აფხაზები** „კულტურულ-ისტორიულად“, ხაზს ვუსვამთ — **„კულტურულ-ისტორიულად“,** და **არა ეთნო-ტომობრივად იყვნენ ისეთივე ქართველები,** როგორც: „ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი“ და რომ **„აფხაზი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი“ იყო“** (**ნ. ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. — *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. III. თბ., 1966, გვ. 278, ხაზგასმა ავტორისაა). რაც შეეხება აწინდელი აფხაზეთის სოციალურ-კულტურული იერ-სახის შეცვლას გვიან შუა საუკუნეებში, ნ. ბერძენიშვილი ამას ნამდვილად უკავშირებდა ეთნო-დემოგრაფიულ ცვლილებებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიიდან „ახალი“ (მთიელი) აფხაზების გადმოსვლას. მისი განმარტებით, ახალმოსულებმა მოარყიეს განვითარებული ფეოდალური საზოგადოების საფუძვლები და კვლავ წარმართობისაკენ მოაქციეს დამხვდური ცივილიზებული აფხაზობა, იგივე „კულტურულ-ისტორიული“ ქართველები (**ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე).* თბ., 2004, გვ. 90-94 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29913/1/Narkvevebi_I.pdf); ნაკვ. II. თბ., 2007, გვ. 161-164 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29915/1/Nakveti_II.pdf); **3. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 78, 284-287 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhaziaIstoriaBezFalsifikacii.pdf). აღნიშნულ საკითხზე იხ. აგრეთვე: **გ. როგავა.** აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი აფხაზთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. – წგნ.: **გ. როგავა.** აფხაზები და აფხაზეთი. *საისტორიო ეტიუდები.* თბ., 2014, გვ. 21-29.

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. I. ტფ., 1928. საყურადღებოა, რომ ეს გამოცემა, თვით ავტორისავე განმარტებით, მეორისაგან *„გეგმითაც* და ***შინაარსითაც თვალსაჩინოდ განსხვავდება****. იგი* ***ძალზე შევსებულია და გადამუშავებული****. ამ წიგნის* ***ორ მესამედზე მეტი სრულებით ახალია*** *... გეგმა იმ მხრივ არის შეცვლილი,* – აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, – *რომ წინა გამოცემის ორივე წიგნის პირველი თავი, რომელშიაც საქართველოს საისტორიო გეოგრაფია და* ***ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები*** *იყო განხილული,* ***გამოცალკევებულია და მთლიან წიგნად არის გამოყოფილი, რომელიც „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალი წიგნი იქმნება*** *და რომელშიაც საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის გარდა* ***მცირე აზიისა, კავკასიისა და საქართველოს ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები იქმნება განხილული****. ამ პრობლემების დიდ მნიშვნელოვანებამ და სირთულემ თანაც გამოკვლევათა და თეორიების სიმრავლემ ასეთი გამოყოფა ... აუცილებელი გახადა“* (**ივ. ჯავახიშვილი.** მესამე

დასჭირდა კომენტარის გაკეთება აკად. ნიკო მარის შენიშვნაზე.[1] აი რას წერს მეცნიერი თავის კომენტარში: *„... აკად. ნ. მარრი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ...*[2] ***აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ.*** *რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს, და დავამატებ ჭანებსაც, მათ*

გამოცემის წინასიტყვაობა. – *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. I. თბ., 1979, გვ. 39, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ე.ი. მე-3 გამოცემაში მეცნიერმა შეგნებულად არ შეიტანა *„**მცირე აზიისა, კავკასიისა და საქართველოს ძირითადი ეთნოლოგიურ-ლინგვისტიკური პრობლემები**“*, რომლებიც მან მოგვიანებით საგანგებოდ დაამუშავა და შეავსო (**ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. — *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. XII. თბ., 1998, გვ. 5-18, 20). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ *„ქართველი ერის ისტორიის“* I წიგნიდან შეგნებულად ამოღებული ნაწილი *„ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და ბინადრობა“*, *„ქართველი ერის ისტორიის“* I ტომის მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ განხორციელებულ გამოცემებში დამატების სახით შეიტანა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. I. თბ., 1951, გვ. 392-434; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. I. თბ., 1960, გვ. 401-441). ს. ყაუხჩიშვილისაგან განსხვავებით ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულის სარედაქციო კოლეგიამ თავი შეიკავა *„ქართველი ერის ისტორიის“* I წიგნში ნარკვევის *„ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და ბინადრობა“* დაბეჭდვისაგან.

[1] ნ. მარი 1915 წელს აფხაზთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისადმი მიძღვნილ ნაშრომში მაღალ შეფასებას აძლევს რა ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებებს ქართულ წარმართობაზე, საყვედურობს მეცნიერს იმის გამო, რომ მის ნარკვევში *„საერთოიაფეტური უნებლიედ საღდება ქართულად, ის ყოველთვის იწოდება ქართულად და თვით **თავს**, რომელიც **წარმოადგენს იაფეტური რელიგიის შესანიშნავ დახასიათებას**, სათაურად აქვს — „ქართველების წარმართობის შესახებ“. ამიტომაც ბუნებრივია, რომ **ქართველებადაა მიჩნეული** არა მარტო **მეგრელები, სვანები** და **აფხაზები**, არამედ პონტოსა და ფრიგიის ხალხებიც“ («общеяфетическое невольно выдаётся за грузинское, всё время оно называется грузинским, да и сама глава, **представляющая собою прекрасный опыт характеристики яфетической религии**, имеет надпись «язычество грузин». Естественно потому, что **грузинами оказываются не только мингрельцы, сваны и абхазы,** но народы Понта и Фригии»*. იხ.: **Н. Я. Марр.** О религиозных верованиях абхазов. – *Христианский восток*, Т. IV, в. I, 1915, გვ. 121, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

[2] უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარის ზემოთმოყვანილი დასკვნის ბოლო ფრაგმენტი მთლად ცალსახად აღსაქმელი არ არის. მკითხველი ერთბაშად ვერ გაიგებს ნ. მარს ეეჭვება მხოლოდ პონტოსა და ფრიგიის მოსახლეობის ქართველობა, თუ ასევე მეგრელების, სვანებისა და აფხაზების. მაგრამ მისი შემდგომი მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ მეგრელებს (Мингрелы или эгрцы), სვანებს და აფხაზებს, ჩერქეზებთან, ჩეჩნებთან, ინგუშებთან და ა.შ. ის ქართველებისგან განსხვავებულ „სხვა ხალხებად“ («другие народы») მოიაზრებს (**Н. Я. Марр.** О религиозных верованиях абхазов, გვ. 122]. ასე რომ ივ. ჯავახიშვილმა სწორად გაიგო ნ. მარის შენიშვნა და ამიტომაც მოახდინა მასზე რეაგირება.

მართლა ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ“.[1]

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი სრულიად გარკვევით წერს, რომ აფხაზები მას „**ქართველთა მონათესავე**“ ხალხად მიაჩნია და **არა საკუთრივ ქართველებად**. არ გვესმის, რა საჭიროა დიდი მეცნიერის ამ მეტად პრინციპული დაზუსტების იგნორირება.[2] განა ამ დაზუსტების შემდეგ ის ერთადერთი „არგუმენტი“, რომლითაც თითქოს მტკიცდება ივ. ჯავახიშვილის აფშილ-აბაზგთა ქართული ეთნიკური წარმომავლობის მომხრეობა, „ძალადაკარგულად“ არ უნდა ჩაითვალოს?!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იქნებ დიდი მეცნიერის მრავალფეროვან ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობაში არის სხვა რაიმე ხელმოსაკიდი მასალა, რომელიც გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ის აფშილ-აბაზგებში ქართველურ ტომებს მოიაზრებდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი სახის მასალა ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაში არ მოგვეპოვება. პირიქით, მეცნიერის რიგ ნაშრომებში (განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ-ეთნოლოგიურ და ენათმეცნიერულ ძიებებში) გვხვდება უამრავი კომენტარი-დასკვნა, რომელიც ერთნიშნად ადასტურებს, რომ მეცნიერი (პ. ინგოროყვასა და მისი მიმდევრების თვალსაზრისის საპირისპიროდ) სულაც არ ანსხვავებდა ე.წ „ძველ“ და „ახალ“ აფხაზებს. მას ოდნავადაც არ ეეჭვებოდა „აფსუა“-„აფსარ“-„აფსილისა“ და „აფხაზის“ იდენტურობა და გვიან ანტიკური

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. I. ტფ., 1928, გვ. 104, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს არ ეხება ჯ. გამახარიას, რომელიც, მართალია, ამახვილებს ყურადღებას ივ. ჯავახიშვილის ამ დაზუსტებაზე, მაგრამ იქვე აკეთებს მეტად უცნაურ დასკვნას: *„შემდგომ ივ. ჯავახიშვილმა რამდენადმე შეიცვალა აღნიშნული შეხედულება, მაგრამ* ***მას არასოდეს უარყვია ზემოთ მოყვანილი მნიშვნელოვანი დასკვნა… ავტორი,*** *როგორც ჩანს,* ***შეგნებულად არ აკონკრეტებს, ვისზეა საუბარი – თანამედროვე აფხაზებზე, რომელთაც არავინ თვლის ქართველებად, თუ ისტორიულ აფსილ-აბაზგებზე“*** *(«Впоследствии И. Джавахишвили несколько уточнил свои взгляды,* ***но он никогда не отказывался от приведенного важного научного заключения… Автор, как видно, сознательно не конкретизирует о ком идет речь – о нынешних абхазах, которых грузинами никто не считает, или исторических апсил-абазгах»***. იხ.: **Дж. Гамахария**. Территория нынешней Абхазии с I века н.э. до середины VIII в., გვ. 97 /ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**/. იხ. აგრეთვე: **ჯ. გამახარია.** თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე, გვ. 67). ისმის კითხვა, თუ ივ. ჯავახიშვილი „შეგნებულად არ აკონკრეტებდა“, რომელ აფხაზებს („ძველს“ თუ „ახალს“) გულისხმობდა ის, მაშინ, საერთოდ, რა აზრი ჰქონდა ამ დაზუსტებას?! ნ. მარმა ხომ სრულიად გარკვევით გააკეთა შენიშვნა სწორედ იმ პასაჟზე, სადაც მაინც და მაინც აფშილ-აბაზგებზეა საუბარი და არა ზოგადად აფხაზებზე?

და ადრე შუასაუკუნეების ხანის აბაზგებისა და აფსილ-აფშილების, აგრეთვე ქართული „აფხაზების“ ქვეშ ერთნიშნად თანამედროვე აფხაზ-აფსუათა წინაპრებს გულისხმობდა.

ამ მხრივ, რაოდენ არ უნდა გაგვიკვირდეს, პირველ რიგში, *„ქართველი ერის ისტორიის“* იმავე მეორე (1913 წ.) გამოცემა უნდა დავასახელოთ. ივ. ჯავახიშვილი სწორედ იმავე თავში (*„ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და ბინადრობა“),* რომელშიც საუბრობს ლაზ-მეგრელების, **აფშილ-აფხაზებისა** და სვანების ქართველურობაზე, სრულიად გარკვევით მიანიშნებს, რომ **აფშილ-აფხაზები** თანამედროვე აფსუა-აფხაზების ენაზე მეტყველებდნენ. *„საფიქრებელია,* – წერს მეცნიერი, – *რომ პირველად კავკასიაში ის **ქართველი ტომები** უნდა მოსულიყვნენ, რომელნიც ისტორიულად კარგად ცნობილ დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით ბინადრობენ. მაშასადამე ჯერ **აფხაზები-აფშილები**, სვანები, თუშები და სხვა მთიულები, შემდეგ კი კოლხები და კასხები. ამისდა მიხედვით, რასაკვირველია, **აფხაზთა, აფშილთა** და დანარჩენ ზემოაღნიშნულ ტომთა **მოსახლეობა თავდაპირველად კავკასიაშიც ეხლანდელზე სამხრეთით იქნებოდა,** როცა სხვა ქართული ტომები მეგრელ-ლაზები და ქართები მტრებისაგან დევნილნი, მიაწვებოდნენ სამხრეთისაკენ, მაშინ ისინიც იძულებულნი იქმნებოდნენ ჩრდილოეთისაკენ დაეხიათ. **საქართველოს საგეოგრაფიო სახელებში აფხაზების და სხვათა წინანდელ ვრცელი მოსახლეობის კვალი,** რასაკვირველია, **უნდა შენახულიყო** და ვინც ამ საგანს გულდასმით შეისწავლის, ის უეჭველია, საყურადღებო მასალას შეგროვებს. ჯერჯერობით შეიძლება ორიოდე მაგალითი იყოს დასახელებული. **გურიაში არსებობს სოფ. „დვაბზუ“, რომლის სახელი ნაწარმოებია იმგვარადვე, როგორც ტუაფსე** (დო-აბზუ – ტუ-აფსე). ორსავე შემთხვევაში „დო“ და „ტუ“ მეგრული თავსართია ადგილის აღმნიშვნელი, **ხოლო „აბზუ“ და „აფსე“ უდრის აფსუას, ესე იგი აფხაზს**. მაშასადამე **ორივე სიტყვა აფხაზთა მოსახლეობას და სოფელს ჰნიშნავს და ეს გვიჩვენებს, რომ ერთ დროს ეხლანდელი გურიის მიწაწყალი აფხაზებს სჭერიათ**. ამას გარდა პროკოპი კესარიელის სიტყვით ჭანეთში შავი ზღვის ნაპირას იყო დაბა „აფსჷრტ-ოს“. თუ ამ სიტყვას ჩვეულებრივ ბერძნულ ნაკვეცს „ოს“ მოვაშორებთ, დაგვრჩება „აფსჷრტ“, რომელიც უდრის „აფსჷრტა“-ს, **ხოლო „აფსჷრ-ტა“ ჰნიშნავს აფხაზთა ადგილს.** მაშასადამე **ეს საგეოგრაფიო სახელიც აფხაზთა წინანდელი ბინადრობის შერჩენილ კვალად უნდა ჩაითვალოს“**.[1]

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი თავისი ნაშრომის ამ მონაკვეთშიც იმ **ქართველურ ტომებს შორის**, რომლებიც კავკასიაში *„ისტო-*

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. 1-2. ტფ., 1913, გვ. 66-67, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

რიულად კარგად ცნობილ დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით“ ბინადრობდნენ, **აფხაზებსა და აფშილებსაც მოიხსენიებს**, მაგრამ არც ერთი იმ ისტორიკოსთაგანი, რომელიც ცდილობს ივ. ჯავახიშვილი ე.წ. „ძველი“ აფხაზების (აფხაზ-აფშილების) ქართველურობის თვალსაზრისის მომხრედ წარმოაჩინოს, რატომღაც არ უთითებს ამ მეორე „არგუმენტს“. და ეს არაა შემთხვევითი, ვინაიდან, მეცნიერის შემდგომი მსჯელობა, კერძოდ კი, ტოპონიმების – „დვაბზუ“-„ტუაფსე“-სა და პროკოპი კესარიელისეული „აფსჯრტოს“ – თანამედროვე აფსუა-აფხაზთა ენაზე ახსნა, მთლიანად აქარწყლებს მის მიერვე ოდნავ ზემოთ აფხაზ-აფშილების ქართველურ ტომებად გამოცხადებას. ანუ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა ამ ნაწილში აშკარად წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, მას ძველი დროის აფხაზ-აფშილები ქართველური მოდგმის ხალხად მიაჩნია, თუმცა მათ სამეტყველო ენად მიიჩნევს ამჟამინდელ აფსუა-აფხაზურს, რომელიც მისი აზრით მხოლოდ *„ქართლის **მონათესავე** ენაა“*, განსხვავებით „ქართ-მეგრულ-ჭანური-საგან“. ეს ენები ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, *„უფრო ახლოს სდგანან ერთიერთმანერთზე, **აფხაზური კი უფრო განმარტოებულად სდგას**“*.[1] ერთი სიტყვით, სრულიად ნათელია, რომ 1913 წელს და უფრო მოგვიანებითაც,[2] ივ. ჯავახიშვილს მთლად მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდა აფხაზ-აფშილების ეთნიკურ კუთვნილებაზე. 1928 წლისთვის კი მან, როგორც ჩანს, დააზუსტა თავისი შეხედულებები და ამ დროიდან არცერთ მის გამოქვეყნებულ ნაშრომში არაა ხსენება აფხაზ-აფშილების ქართველურობაზე.

ივ. ჯავახიშვილისთვის ე.წ. „ძველი“ აფხაზები, რომ თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრები იყვნენ პირდაპირ თუ ირიბად დასტურდება მეცნიერის სხვა პუბლიკაციებშიც. ასე მაგალითად, ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ნაშრომში, მოგვითხრობს რა ანდრიას ქადაგებაზე საკებთან და სოგდიანაში *„საცა „არის ზღუდე აფსარი“*, ავტორი იძლევა ასეთ განმარტებას: **„*აფსარი* — *აფხაზების სახელი* *ციხედ გაუხდიათ*“**.[3] ე.ი. ივ. ჯავახიშვილისთვის „აფსარი“ იგივე „აფხაზია“. ასევე ერთია მეცნიერისთვის „აფსუა“ და „აფსილი“. ამას ადასტურებს მისი მსჯელობა აფსილების აჯანყებაზე ეგრისში

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. 1-2. ტფ., 1913, გვ. 13, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ ზემოთმოყვანილი პასაჟი მეცნიერს თითქმის უცვლელად აქვს შეტანილი 1917 წელს გამოცემულ განმაზოგადებელ ნაშრომში (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის მოკლე ისტორია. წ. I. უძველესი დროიდან I ს-მდე ქ.შ. ქუთაისი, 1917, გვ. 45-46).

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში. — *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. XII. თბ., 1998, გვ. 50, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

„დიდი ომიანობის“ პერიოდში. *ქართველი ერის ისტორიის* პირველ წიგნის 1908 წლის გამოცემაში ეს ეპიზოდი დასათაურებულია შემდეგნაირად: ***„აფსუების აჯანყება“***. მასში პროკოპი კესარიელის თხზულებაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ იმ პერიოდში (VI ს. შუა ხანები) **აფსუას ტომი**, *„აფხაზებსა და ლაზებს შორის ბინადრობდა და იმთავითვე ლაზებს ემორჩილებოდა... ბიზანტიელი ჯარი შევიდა* ***აფსუების ქვეყანაში (აფსილია)*** *და მშვიდობიანი მოლაპარაკებით იგი ისევ გუბაზს დაუმორჩილა“*.[1] სხვა (ისტორიულ-ეთნოლოგიური ხასიათის) გამოკვლევაში ივ. ჯავახიშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს აფშილები (იგივე აფსუა-აფსილები) *„ამიერკავკასიაში საისტორიო ასპარეზზე ქ. შ. პირველ საუკუნეში ჩნდებიან“*.[2]

„აფსუა“-„აფსარ“-„აფსილისა“ და „აფხაზის ეთნიკური კუთვნილების თაობაზე საინტერესო მასალას ვხვდებით ნაშრომში *„საქართველოს საზღვრები“*. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა აფხაზეთთან დაკავშირებით. *„სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე,* – წერს მეცნიერი, – ***აბხაზეთი იყო და ეხლაც*** *იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას.* ***ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა...*** *მოსამზღვრე ხაზად* ***მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა...*** *ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი წაწეული, რომ* ***მაშინ ჯიქეთი*** *და ალანთა ქვეყანაც* ***აბხაზეთს ეკუთვნოდა.*** *თუ* ***ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას...“***.[3]

იქვე მეცნიერი აფხაზურ-ადიღურ ეთნო-ტომობრივ სამყაროს უკავშირებს ტოპონიმ ტუაფსეს, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, მას „დოაბზე“-„დოაბზუ“-ს ვარიანტად მიაჩნია: *„მაინცადამაინც ცხადია, რომ* ***დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფიო სახელი სწორედ ამასა ნიშნავს“***.[4] აფხაზ-ადიღთა ნაკვალევს ხედავდა ივ. ჯავახიშვილი აგრეთვე ჰიდრონიმ „სუფსა“-შიც. მეცნიერის დაკვირვებით, ეს **ჰიდრონიმი ადიღური წარმოშობისაა და უნდა მიანიშნებდეს *„აბხაზეთსა და სამეგრელოზე უფრო სამხრეთით მდებარე მიწაწყლის ძველის-ძველი მოსახლეობის“* ტომობრივ ვინაობაზე**. ივ.

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. I. ტფ., 1908, გვ. 160, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

[2] **ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 122.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს საზღვრები. — *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. 12. თბ., 1998, გვ. 460,

[4] **ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს საზღვრები, გვ. 460, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

ჯავახიშვილის აზრით, *„ამ მდინარის მარტო ბოლოკიდური წყლის აღ-მნიშვნელი* ***ფსა-კი*** ***არ ამჟღავნებს მის ადიღეურობას,*** *არამედ თვით ამ სახელის პირველი* ***სუფ*** *ნაწილიც: ყუბანის ერთ შემდინარეთაგანს, რომელიც კავკასიის უღელტეხილის ჩრდილო ფერდობისაგან გამოდის და შაფსუგების მიწაწყალს აბაძეხების თემისაგან საზღვრავს, სწორედ* ***სუფ*** *ეწოდება“.*[1] იგივე დასკვნაა განვითარებული ივ. ჯავახიშვილი მიერ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ისტორიის განყოფილების სხდომაზე 1939 წელს წაკითხულ მოხსენებაშიც.[2]

და ბოლოს, ივანე ჯავახიშვილს რომ ოდნავადაც არ აეჭვებდა აფშილ-აბაზგთა აფხაზურ-აფსუური ეთნიკური წარმომავლობა მკაფიოდ ვლინდება მის კომენტარში **VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ერთ ცნობაზე.** ნარკვევში *„ქართველების წარმართობა“*, რომელიც შესულია *ქართველი ერის ისტორიის* I ტომში, **იხილავს რა „ხეთა მსახურების“** არსებობის საკითხს ძველ საქართველოში, მეცნიერს ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს პროკოპი კესარიელის ცნობა იმის შესახებ, რომ **„აფშილები და აფხაზები *„ჩვენ დრომდის*** (იგულისხმება პროკოპი კესარიელის ეპოქა – VI ს. – **ზ.პ.**) *თაყვანსა სცემენ ტყეებსა და ხეებსა, იმიტომ რომ მათ ხეები გულუბრყვილოდ ღვთაებად მიაჩნიათ“.*

ამ ცნობაში ასახული ფაქტის რეალურობის პირდაპირ დადასტურებად ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია ის გარემოება, რომ უკვე თანამედროვე *„**აფხაზებს, ეს რწმენა ბოლო დრომდის მტკიცედა ჰქონდათ დაცული და დიდი მოწიწებით სცემდნენ თაყვანს ხეებსა და მუხებსა... ისინი ეხლაც მოწიწებით უფრთხილდებიან საღმრთოდ განკუთვნილ „ხატის“ ტყეებს და ღვთაებასავით შეჰლაღადებენ მუხის ხეს. ამასთანავე მათ ეხლაც მტკიცედა სწამთ ტყეების ღმერთი, რომელსაც ისინი უწოდებენ „მიზიტხუ“-ს.*** *ყოველ გაზაფხულზე* ***მთიელი აფხაზები დიდი ამბით პირველ ყვავილობას ... დღესასწაულობდნენ ხოლმე. სახლები მწვანე ბალახითა*** *და ყვავილებით ჰქონდათ მორთული. წინა ღამეს ახალგაზრდა ქალები მოხუცებულ დედაკაცთა მეთაურობით სიმღერითა და თოფის სროლით მიდიოდნენ ტყეში ხუთყურა ყვავილის საპოვნელად, ყმაწვილი ბიჭები კი ხაზინის საძებნელად მიდიოდნენ. მზე ამოანათებდა თუ არა, ყველანი სიმღერითა, დიდებითა და საგანგებო წესით ყვავილებით მორთულ სოფელში ბრუნდებოდნენ. წინ მოუძღოდათ მოხუცი, თავზე მუხის ფოთლების გვირგვინით შემკული, რომელიც საზვარაკო ირემზე იჯდა, უკან*

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გვ. 51, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

[2] **И. А. Джавахишвили.** Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи. – *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. 12. თბ., 1998, გვ. 235.

ქალები და კაცები მოსდევდნენ. ყოველ ქალს თან ყვავილი, ან ხის ტოტი უნდა მიეტანა და იმ სამსხვერპლოს ფეხთით დაედო, რომელზედაც ***„მი-ზიტხუ“ ღმერთისათვის ზვარაკი უნდა შეეწირათ.*** *შესაწირავს მოჰყვებო-და ხოლმე ჯირითობა და ყაბახი და, ვინც გაიმარჯვებდა, იმას სამ-სხვერპლოსთან მდებარე ყვავილი ერგებოდა.*

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე, – განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, – ***აფხაზური დღესასწაული „ამშაპ“, რომელიც აპრილის დამდეგს იცოდნენ.*** *16 დღის განმავლობაში დღესასწაულის წინათ ხალხი მარხულობდა და ღვინოსაც კი აღარ იკარებდა, თანაც ცდილობდა ზნე-ობრივადაც განსპეტაკებულიყო. სამი დღით წინ ცოდვათა მონანიება იწყებოდა. წინა ღამეს მთელი სოფელი ღამიანად აიშლებოდა მამასახ-ლისის მეთაურობით და ტყისაკენ მიეშურებოდა იქითკენ, სადაც ყვე-ლასაგან სათაყვანებელი საღმრთო მუხა იდგა. ლოცვის წარმოთქმის შემდგომ მამასახლისი ნაბადს წამოიხურავდა ისე, რომ არავინ დაენახა, ხოლო – ხალხი, ჯერ ქალები, მერმე ვაჟები, რიგ-რიგობით მიდიოდა მუ-ხასთან, აკოცებდა ხანჯალს და დაასობდა მუხას. მერმე ლოცულობდა და ემთხვეოდა მუხას, შემდეგ კი მამასახლისს მიუბრუნდებოდა და აღ-სარებას ამბობდა ხოლმე. როცა ხალხი აღსარებას გაათავებდა, სო-ფელში ბრუნდებოდა და მამასახლისი თითოეულს პატარა ნაჭერ წმიდა სანთელს აძლევდა...“.*[1]

ჩვენ ამჯერად ნაკლებად გვაინტერესებს საკუთრივ პროკოპი კესა-რიელის ზემოთმოყვანილი ცნობისა და მის ირგვლივ ივ. ჯავახიშვილის მსჯელობის ეთნოგრაფიული ასპექტები, რომელიც თავისთავად უდავოდ საინტერესოა და ძველ დროში ქართველთა და აფხაზთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ახლობლობაზე მიუთითებს. **ჩვენთვის მთავარია, რომ დიდმა მეცნიერმა პროკოპი კესარიელის ხანის აფსილ-აბაზგები მიიჩ-ნია თანამედროვე აფხაზთა წინაპრად** – ეს სრულიად აშკარაა.

ივანე ჯავახიშვილის შრომებიდან კიდევ შეიძლება არაერთი მასა-ლის მოტანა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ავტორის დამო-კიდებულებაზე განსახილველი თემის მიმართ და ერთნიშნად ადასტუ-რებს, რომ სახელოვანი მეცნიერისთვის არავითარი „ძველი“ და „ახალი“ აფხაზების პრობლემა არ არსებულა, მაგრამ ამჯერად ამით შემოვი-ფარგლოთ.

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. I. — *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. I. თბ., 1979, გვ. 133-134, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

თანამედროვე აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული იერსახე უძველესი დროიდან დღემდე. *ზოგადი მიმოხილვა*[*]

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ეთნიკურად ყოველთვის წარმოადგენდა ურთულეს რეგიონს. დღეს უკვე ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ დაახლ. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან, როდიდანაც ხერხდება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ეთნოტომობრივი ვითარების შესახებ კონკრეტული წერილობითი ინფორმაციის მოძიება ძველ ბერძნულ საისტორიო წყაროებში, ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორია ეკავათ მხოლოდ კოლხურ (მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ქართველურ ტომებს: კოლებს, კორაქსებს, საკუთრივ კოლხებს, ჰენიოხებს, შესაძლოა, „მოსხ"-მესხებსაც.[1] ამასთან, „კოლხებს" კრებითი მნიშვნელობაც ჰქონდა და არაა გამორიცხული, რომ მათში ზოგიერთი არაქართველური (შესაძლოა, აფხაზურ-ადიღეური) ტომიც იგულისხმებოდა.[2]

ახ. წ. I-II საუკუნეებიდან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩნდებიან ახალი ტომები: სანიგები (ძვ. წ. I საუკუნიდან), აფსილები, აბაზგები, მოგვიანებით მისიმიანები. აღნიშნული ტომებიდან სანიგთა და მისიმიანთა, ისევე როგორც ლაზების, რომლებიც ამ დროს ასევე იყვნენ განსახლებულნი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, როგორც სამხრეთ, ისე, შესაძლოა, ჩრდილოეთ ნაწილშიც, ქართველური წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება აფსილ-აბაზგებს, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ისინი თანამედროვე აფხაზ-აფსუათა უშუალო წინაპრები იყვნენ. ამასთან, „აფსილ"-„აბაზგებს" თავდაპირველად (ახ. წ. I-II სს.) ეკავათ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (დაახლ. მდ. ღალიძგა-მოქვიდან

---

[*] გამოქვეყნდა კრებულში: *ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური ურთიერთობები საქართველოში:* ისტორია და თანამედროვეობა. რეგიონალურ-რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. თბ., 2013, გვ. 86-99. ამჟამად იბეჭდება მცირეოდენი ტექნიკური ხასიათის ჩასწორებებით.

[1] **მ. ინაძე** ძველი აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორიის საკითხები. – *მაცნე.* ისტორიის... სერია, №1, 1992, გვ. 8; **М. П. Инадзе**. Вопросы этнополитической истории древней Абхазии. – *Разыскания по истории Абхазии/ГрузияI,* Тб., 1999, გვ. 61, 67; **Д. Л. Мусхелишвили**. Исторический статус Абхазии в Грузинской государственности. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия,* Тб., 1999, გვ. 115.

[2] **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 31 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29913/1/Narkvevebi_I.pdf).

მდ. კელასურამდე), **რეგიონის ძირითად მოსახლეობას კი უდავოდ ქართველური (მეგრულ-ჭანური, სვანური) ტომები: ლაზები, სანიგები და მისიმიანები შეადგენდნენ.** აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: იმის მიუხედავად, აფსილ-აბაზგები ნამდვილად იყვნენ თუ არა ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები, ხოლო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მათი პირველსაცხოვრისი, ერთი რამ სრულიად ცხადია – **დღევანდელი აფხაზობის, როგორც ეთნოსის ფორმირება მოხდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე – აფხაზეთში და ის წარმოადგენს ერთგვარ ნაჯვარს ადიღურ-ჩერქეზული მოდგმისა და ქართველური (ძირითადად მეგრული) ტომებისა.**

შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზეთი ეთნიკურად მეტ-ნაკლებად ჭრელი რჩებოდა, თუმცა ძირითად მოსახლეობას მაინც ქართველური ტომები წარმოადგენდნენ. „აფხაზთა“ სამეფოს არსებობის პერიოდში, რომელიც მიუხედავად ამ პოლიტიკური ერთეულის მეთაურთა მიერ საკუთარი პერსონის მაინცდამაინც „აფხაზთა“ მეფეებად წარმოჩენისა, სულაც არ წარმოადგენდა **საკუთრივ ეთნიკურ აფხაზთა ნაციონალური სახელმწიფოს,** როგორც ამას სრულიად უსაფუძვლოდ იჩემებენ ჩვენი აფხაზი კოლეგები. თავისი არსით ის იმთავითვე იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეროვნული სახელმწიფო. უფრო მეტიც, **„აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა თვისებრივად ახალი ეტაპი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ის თავისი შინაარსით, ფაქტობრივად, პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფო იყო დასავლეთ საქართველოში, ქართული ეროვნული ქრისტიანული იდეოლოგიითა და ქართული სახელმწიფო ენით. ლეონ II და მისი მემკვიდრენი, მიუხედავად ეთნოტომობრივი წარმომავლობისა** (თუნდაც ისინი ეთნოტომობრივად ნამდვილად ყოფილიყვნენ აფხაზურ-აფსუური წარმომავლობის) **თავიანთი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურული მრწამსით მხოლოდ ქართველები იყვნენ. ისინი აშენებდნენ ერთიან ქართულ** (და არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით) **სახელმწიფოს – „საქართველოს“ და არა აფხაზურ ეროვნულ სახელმწიფოს – „აფსნის“.**[1]

ამ „აფხაზთა“ სამეფოდ წოდებულ დასავლურ-ქართულ სახელმწიფოში, რომელიც რეალურად ძველი კოლხეთისა და მოგვიანო პერიოდის ლაზიკა-ეგრისის სამეფოების სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ლეონ II-ის – „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის – დროიდან (IX ს. დამდეგი) ფიქსირდება 3 ადმინისტრაციული ერთეული – საერისთავო, რომელთაგან

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ. **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხისათვის. – *გივი წულაია – 80.* თბ., 2014, გვ. 151-186.

მხოლოდ ერთი ატარებდა სატომო სახელს – აფხაზეთი (ზურაბ ანჩაბაძის დაკვირვებით – დაახლოებით ანაკოფია-ახალი ათონიდან ნიკოფსიამდე – თანამედროვე ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთით),[1] რაც უეჭველად იმის ნათელი დადასტურებაა, რომ აფხაზური ტომები უმთავრესად სწორედ ამ საერისთავოს ტერიტორიაზე სახლობდნენ. სავსებით სწორად შენიშნავდა ამასთან დაკავშირებით აკად. ნიკო ბერძენიშვილი, რომ *„ფეოდალური ხანის ადმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს – შექმნისათვის ამოსავალი პრინციპი ტომობრივი მომენტი იყო“*.[2]

ისტორიოგრაფიაში, საკმაოდ კარგა ხანს, *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ერთი ცნობის არასწორი (აკად. კორნელი კეკელიძიდან მომდინარე და შემდგომ სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გაზიარებული) წაკითხვის საფუძველზე, ფეხი მოიკიდა მცდარმა თვალსაზრისმა თამარ მეფის დროს ცხუმისა და აფხაზეთის საერისთავოების შერწყმის შესახებ, რაც, თითქოს ეთნიკური ფაქტორით – ორივე საერისთავოს ტერიტორიაზე ეთნიკურად ერთგვაროვანი აფხაზური (აფსუური) ტომების განსახლებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.[3] მხედველობაში გვაქვს ამ მატიანეში დაფიქსირებული საერისთავოების ჩამონათვალი: *„და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანის-ძე – სუანთა ერისთავი; კახაბერი კახაბერის-ძე – რაჭისა და თაკუერის – ერისთავად; და* ***ოთალო შარვაშის-ძე – ცხუმის ერისთავად; ამანელის-ძე – [არგუეთის ერისთავად]***“.[4] მაგრამ შემდგომ, თამარის მატიანის მონაცემების უფრო სრული ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად მკვლევრებმა[5] სავსებით საფუძვლიანად დაასკვნეს, რომ ამანელის-ძე უნდა ყოფილიყო არა არგვეთის ერისთავი, როგორც ეს ივარაუდა კ. კეკელიძემ, არამედ ცხუმი-

---

[1] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 177.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. – *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. III. თბ., 1966, გვ. 278.

[3] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии.., გვ. 177-178.

[4] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 33-34, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[5] **გ. ცქიტიშვილი.** „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 222-227; **ილ. ანთელავა.** მასალები „ისტორიანი და აზმათა“ ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის. – წგნ.: **ილ. ანთელავა**. XI-XIVსს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 42-47; **დ. გოგოლაძე.** „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი. თბ., 1995, გვ. 12-14; **მ. ბახტაძე.** ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 45-49.

სა.[1] აღნიშნულიდან გამომდინარე, არავითარი შერწყმა ორი საერისთავოსი – აფხაზეთისა და ცხუმის – მოცემულ პერიოდში არ მომხდარა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საერისთავოების მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნების საკითხი უნდა მოიხსნას.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზებს არ შეეძლოთ საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებს გარეთ ცხოვრება, მათ შორის ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა რეგიონში. მაგრამ ის ფაქტი, რომ „აფხაზთა“ სამეფოში „ლეონიდების“ ხანაშიც (IX-X სს.) და ბაგრატ III-ის მემკვიდრეების მმართველობის პერიოდშიც – ე. ი. გაერთიანებულ ქართულ სამეფოში – სახელწოდება „აფხაზეთი“ ერქვა კონკრეტულ ოლქს – თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილს, რომელშიც არ შედიოდა ცხუმის საერისთავოს ტერიტორია, აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ძირითადად სწორედ აღნიშნულ (ე. ი. აფხაზეთის) საერისთავოში იყვნენ განსახლებულნი. იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური აფხაზები მართლაც სახლობდნენ ცხუმის საერისთავოს ტერიტორიაზეც და ეს ფაქტორი განსაზღვრავდა ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას, მაშინ გაუგებარია, რატომ არ მოხდა ორი ეთნიკურად ერთგვაროვანი საერისთავოს ამგვარი შერწყმა თავიდანვე, ჯერ კიდევ ლეონ II-ის – „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის ხანაში, რომელსაც მიაწერს კიდეც ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია[2] ქვეყნის საერისთავოებად დაყოფას.

XVI-XVII საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებულმა პროცესებმა ძირეულად შეცვალა რეგიონის ეთნოსოციალური და კულტურულ-ეკონომიკური იერ-სახე. მოკლე დროში აწინდელი აფხაზეთი, მაღალგანვითარებული ფეოდალური მხარიდან, სადაც აყვავებას განიცდიდა ქართული ქრისტიანული კულტურა და წიგნიერება, ერთბაშად გადაიქცა ჩამორჩენილ პროვინციად, პრიმიტიული პატრიარქალური წყობითა და რეანიმირებული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით. აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ყოფაში მომხდარ ცვლილებებს ისტორიოგრაფიაში სავსებით და-

---

[1] მიუხედავად ამისა, *„ქართლის ცხოვრების“* უახლეს გამოცემაში, სამწუხაროდ არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ მკვლევართა სავსებით დამაჯერებელი და არგუმენტირებული კონიექტურა და უკრიტიკოდ გადმოტანილია *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ჩვენთვის საინტერესო პასაჟის კეკელიძე-ყაუხჩიშვილისეული ვერსია (იხ.: *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008 გვ. 408).

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის.*** მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 780.

საბუთებულად უკავშირებენ გვიან შუა საუკუნეებში მიმდინარე ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს, კერძოდ, მონათესავე მთიელ ტომთა ახალი ტალღის გამოჩენას რეგიონში. ქართულმა ისტორიულმა ცნობიერებამ მკაფიოდ დააფიქსირა ამ ახალმოსულ ჯიქ-აფხაზთა მიერ ოდიშის ტერიტორიის დაკავება ***„ვიდრე ეგრისის მდინარემდე“*** და იქ მათი დაფუძნება *(**„დაეშენებოდენ თჳთ აფხაზნი“**)*.[1]

XVII საუკუნის მიწურულისათვის, როდესაც აფხაზეთის სამთავროს საზღვარმა მდ. ენგურის ნაპირებამდე მიაღწია, აფსუა-აფხაზებმა თანდათანობით ფეხი მოიკიდეს და იწყეს დაფუძნება მდ. ღალიძგას სამხრეთითაც. ერთი გადმოცემის თანახმად, რომელიც უდავოდ ისტორიული რეალობის ამსახველია, ყვაპუ შარვაშიძემ თავის სამფლობელოში (მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის ტერიტორია) ბზიფის აფხაზეთიდან ჩამოასახლა თავად-აზნაურთა რამდენიმე ოჯახი, მათ შორის ანჩაბაძეთა, ემუხვართა, ინალ-იფა-ინალიშვილების, მარღანიების, ზვანბაიების, ლაკერბაიების, აქირთავებისა და სხვ.[2] თვით ყვაპუმ კი სათავე დაუდო სამურზაყანოელ შარვაშიძეთა შტოს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თავადაზნაურთა ოჯახებისა, ჩამოსახლდნენ აფხაზ გლეხთა ოჯახებიც. ყოველივე ამის შედეგად რამდენადმე შეიცვალა რეგიონის ეთნოდემოგრაფიული იერ-სახე. მიუხედავად ამისა, ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის მოსახლეობა ძირითადად მაინც ქართული (მეგრული) იყო. რაც შეეხება აწინდელი აფხაზეთის სხვა მხარეებს, განსაკუთრებით რეგიონს ცხუმი-სოხუმსა და მდ. ღალიძგას შორის, აქაური მკვიდრი ქართული (ძირითადად მეგრული) მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული შეიქნა აყრილიყო და სამეგრელო-ოდიშის ცენტრალურ რაიონებში გადასახლებულიყო, ნაწილი დაატყვევეს და მონებად გაყიდეს, ხოლო სხვები ბზიფის მხარეში გადაასახლეს.

არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ბზიფი-გუდაუთის რაიონში ამჟამად მცხოვრებ აფხაზთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთაც ქართული (ძირითადად მეგრული) გვარები დღემდე შერჩათ, სწორედ იმ ქართველთა (მეგრელთა) შთამომავლები არიან, რომლებიც ძალით აყარეს თავიანთი სამკვიდრებელიდან და ჩაასახლეს ბზიფის აფხაზეთში (ამასთან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გუდაუთა-ბიჭვინთის ზონაში მანამდე საერთოდ არ ცხოვრობდნენ ქართველური ტომები). იგივე შეიძლება ითქვას ოჩამჩირე-ტყვარჩელის ზონაში მცხოვრები იმ აფხაზების მიმართაც, რომლებიც ასევე ატარებენ ქართულ (მეგრულ) გვარებს, თუმცა მათ შორის საკმაოდ ბევრნი არიან ისეთებიც, რომლებმაც თავიანთი ქართული ფესვები „დაივიწყეს“ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ აფხაზეთში ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა.., გვ. 780, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**
[2] **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 116-117.

რეჟიმის პარპაშის (XX ს. 20-30-იანი წლების I ნახევარი) პერიოდში, აგრეთვე 60-80-იან წლებში, როდესაც კვლავ იძალა მკვეთრად გამოხატულმა პროაფხაზურმა ნაციონალისტურ-სეპარატისტულმა კონიუნქტურამ.

ასე რომ ჩვენი აფხაზი კოლეგების (ბოლო დროს ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა თეიმურაზ აჩუგბა[1]) სრულიად უაპელაციო გაცხადებები თითქოს აფხაზ-აფსუები[2] ისტორიულად წარმოადგენდნენ თანამედროვე აფხაზეთის (ფსოუდან ენგურამდე) ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას მტკნარი სიცრუეა და მეცნიერული თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.[3] სეპარატისტულად განწყობილ ისტორიკოს-პოლიტიკოსთა მხრიდან განსაკუთრებით აქტიურად მიდის სპეკულირება აფხაზეთში მუჰაჯირობის შემდგომ შექმნილი ეთნოდემოგრაფიული სიტუაციით, რომელსაც იყენებენ ანტიქართული ისტერიის გასაღვივებლად. ამ „ბრძოლის“ ავანგარდში დგას სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი მებაირახტრე, სტანისლავ ლაკობა, რომელმაც თავისი ინსინუაციები ამ თემაზე დაიწყო ჯერ კიდევ 1990 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში,[4] ხოლო შემდეგ განავრცო სხვა პუბლიკაციებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პასკვილი იაკობ გოგებაშვილის საგაზეთო პუბლიკაციაზე: *«Кем заселить Абхазию» („ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“)*,[5] რომელსაც ის მიიჩნევს პირ-

---

[1] **Т. А. Ачугба.** О проблемах национального самосознания населения юго-восточной Абхазии. Сухуми, 2006. http://www.abkhaziya.org/books/samurzaqan.html); **Т. А. Ачугба.** Этническая история абхазов XIX–XX вв. Этнополитические и миграционные аспекты. Сухуми, 2010 (http://apsnyteka.org/file/Achugba_Etnicheskaya_istoriya_abkhazov_19-20_.pdf).

[2] ტერმინ აფსუას გამოყენება ამ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ზოგადად ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრები, რომელთა შორის ქართველური (ძირითადად მეგრული) მოდგმის ტომებიც იგულისხმებიან და საკუთრივ ადიღურ-აფხაზური წარმომავლობის აფხაზურ-აფსუური მოსახლეობა.

[3] ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** სამურზაყანოელთა ვინაობა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემა. – კრებ.: *ნოდარ შენგელია – 75*. თბ., 2010; **ი. კვაშილავა**. აფხაზური ისტორიოგრაფიის მითოლოგემა სამურზაყანოს შესახებ (http://expertclub.ge/portal/cnid__10876/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx); **მ. თორია.** ეთნიკური წმენდის თეორიული დასაბუთება თანამედროვე აფხაზურ ისტორიოგრაფიაში (http://expertclub.ge/portal/cnid__10378/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx); **კ. კვაშილავა.** ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი. თბ., 2011, გვ. 9-11.

[4] **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990.

[5] *Тифлисский вестник* №209, 210, 243, 244, 245, 246, 248, 249) сентябрь-ноябрь 1877 г. (http://abkhazia.narod.ru/gogeba.htm).

ველ საპროგრამო ნაშრომად. ს. ლაკობას მტკიცებით, ი. გოგებაშვილის სტატიამ, რომელშიც მოცემულია ქართველ-მეგრელებით აფხაზეთის კოლონიზაციის დასაბუთება, არც მეტი არც ნაკლები, სათავე დაუდო ე.წ. „ასწლოვან ომს“ ქართველებისა აფხაზების წინააღმდეგ.[1]

ქართველი მკვლევრებმა, პირველ რიგში ს. ლეკიშვილმა, იმავე სტატისტიკურ მონაცემთა (რომლითაც აპელირებდა აფხაზი ისტორიკოსი), აგრეთვე სხვა დოკუმენტური მასალის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მკაფიოდ აჩვენეს XIX ს. მიწურულისა და XX ს. I ნახევრის აფხაზეთის ს. ლაკობას მიერ დახატული ეთნოდემოგრაფიული სურათის სრული აბსურდულობა.[2] უკანასკნელ წლებში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ზოგიერთი მანამდე უცნობი დოკუმენტური მასალა, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება ქართველთა (ძირითადად მეგრელთა) მოსახლეობა XIX ს. 60-70-იან წლებამდე (XIX ს. 30-იან წლებში) არა მხოლოდ დღევანდელი აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში, არამედ მდინარე გუმისთის ჩრდილოეთითაც, გუდაუთისა და ბიჭვინთის მიდამოებში.[3] ის რომ ქართველები შეადგენდნენ ძირითად მოსახლეობას სოხუმში 1866 წლის მუჰაჯირობამდე ნათლად დასტურდება ზოგიერთი სხვა მასალიდანაც.

ასე მაგალითად, კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ოფიციოზის – გაზეთ *„კავკაზის“ («Кавказ»)* ცნობით, 1866 წ. 3 მარტს სოხუმში გაუხსნიათ ქალთა სასწავლებელი, სადაც სხვებთან ერთად ჩაურიცხავთ 5 აფხაზი. *„მე გავიგე,* – წერს კორესპონდენტი, – *რომ ბევრ აფხაზ მშობელს სურს თავისი ქალიშვილი გაამწესოს სასწავლებელში, მაგრამ ამას ვერ ახერხებს უსახსრობისა და უბინაობის გამო. რადგან* ***მუდმივი მცხოვრებლები ადგილობრივთაგან*** (იგულისხმებიან აფხაზები – **ზ.პ.**) ***სოხუმში საერთოდ არ არიან,*** *ხოლო მათ დაბინავებას რუსებთან, ან* ***ვაჭარ-მეგრელებთან*** *ერიდებიან“.*[4] ე. ი. ამ პუბლიკაციიდანაც სავსებით მკაფიოდ ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1866 წლის აჯანყებამდეც ქ. სოხუმის მუდმივი მცხოვრებლები იყვნენ არა აფხაზები, არამედ მეგრელ-ქარ-

---

[1] **С. З. Лакоба.** Столетная война Грузии против Абхазии. Гагра, 1993.

[2] **ს. ლეკიშვილი.** პასუხად ისტორიკოს ს. ლაკობას. – გაზ. *„სახალხო განათლება“*, 14 ივნისი, 1990, გვ. 9, 14.

[3] **გ. გასვიანი**. აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზები. თბ., 1998, გვ. 153-161; **ბ. ხორავა**. 1867 წლის აფხაზთა მუჰაჯირობა. თბ., 2004, გვ. 123-170.

[4] *«Я слышал, что многие родители абхазцы желают отдать своих дочерей в училище, затрудняются только в помещении и содержании их, потому что* ***постоянных жителей из туземцев в Сухуме вовсе нет****, а отдавать к русским или* ***купцам-мингрельцам*** *они не решаются или по своей несостоятельности, или же по религиозным предразсудкам».* იხ.: Газ. *«Кавказ»*, 1 июня, 1866 г. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

თველები. ამ მხრივ არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე დოკუმენტი, რომლის მიხედვით 1864 წელს ქალაქ სოხუმის მოსახლეობას შედგენდნენ *„ა. ადგილობრივნი:* ***მეგრელები 450,*** *ბერძნები 217, სომხები 78, რუსები 25. ბ. გარედან მოსულნი: უცხოელები 320, ოფიცრები 42, ჩინოვნიკები 42, ვაჭრები 5. არც ერთი თურქი* და ***არც ერთი აფხაზი ქალაქში არ ჩასახლებულა“***.[1]

XIX ს. ბოლო მეოთხედისა და XX ს. დამდეგის აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული ვითარების ჩვენებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ კიდევ ერთ „მეცნიერულ“ სპეკულაციას ე.წ. „სამურზაყანოელთა“ ეთნიკურ ვინაობასთან დაკავშირებით. აფხაზი მკვლევრები (პირველ რიგში ს. ლაკობა და თ. აჩუგბა) სამურზაყანოელებს უაპელაციოდ მიაკუთვნებენ აფხაზურ ეთნოსს და ცდილობენ ამ გზით ხელოვნურად გაზარდონ აფხაზური მოსახლეობის ხვედრითი წილი. მათი ეს მტკიცება მთლიანად აგებულია ცალკეული (სანდოობის თვალსაზრისით მეტად საეჭვო) სტატისტიკური მასალის (კერძოდ, 1886 და 1897 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის, რომლებშიც სამურზაყანოელები თვითნებურად მიათვალეს ეთნიკურ აფხაზობას) მონაცემებზე.

ქართველმა მეცნიერებმა (ა. თოთაძემ, ს. ლეკიშვილმა და სხვ.) კარგა ხანია ამხილეს ს. ლაკობასა და მის თანამოაზრეთა მონაჭორი ამ საკითხზე და კონკრეტული ციფრების მოშველიებით დამაჯერებლად აჩვენეს, თუ როგორ იცვლებოდა რეალურად აფხაზთა რაოდენობა აღწერიდან აღწერამდე. ასე მაგალითად, 1886 წელს საკუთრივ აფხაზური მოსახლეობა შეადგენდა 28323 კაცს, სამურზაყანოელთა კი – 30640-ს, მაგრამ აფხაზთა საერთო რაოდენობა უდრიდა 58963 კაცს. როგორც ვხედავთ, ეს საბოლოო ციფრი მიღებული იყო აფხაზთა და სამურზაყანოელთა ელემენტარული არითმეტიკული მიმატების გზით. მაგრამ არსებობს სხვა სტატისტიკაც, რომლის შესახებაც დუმს ს. ლაკობა. ესაა 1883 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც აფხაზთა რაოდენობა უდრის 27526 კაცს, სამურზაყანოელთა – 25424-ს, 1914 წელს აფხაზები 42073 იყვნენ. 1917 წელს ეს ციფრი კიდევ უფრო შემცირდა და გაუტოლდა 38121-ს, ხოლო 1923 წელს – 36816-ს.[2]

აფხაზთა რაოდენობის შემცირების პარალელურად იზრდებოდა ქართული მოსახლეობის რაოდენობა. თუ 1886 წელს (როდესაც აფხაზებს მიათვალეს სამურზაყანოელები) ქართველები ითვლიდნენ მხოლოდ 25873 კაცს, 1923 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 71181-მდე.

---

[1] **ს. ლეკიშვილი.** პასუხად ისტორიკოს ს. ლაკობას.., გვ. 14, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **ს. ლეკიშვილი.** პასუხად ისტორიკოს ს. ლაკობას.., გვ. 9.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ფაქტი მოხდა 1926 წელს, როდესაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 36816-დან გაიზარდა 55918-მდე. ამასთან, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ს. ლეკიშვილი, არც 1897-1923 წლებში იყო განსაკუთრებით არახელსაყ-რელი დემოგრაფიული ფაქტორები (ემიგრაცია, რეპრესიები, ეპიდემია და ა.შ.) მოსახლეობის შემცირებისათვის და რაც მთავარია, არც 1923-1926 წლებში შექმნილა შესაფერისი პირობები დემოგრაფიული ბუმი-სათვის, რომლის შედეგადაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზ-თა რაოდენობა 20000 კაცით გაზრდილიყო.[1] ამ ერთი შეხედვით უცნა-ურ ციფრობრივ აღრევას ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – სა-მურზაყანოელებით მანიპულირება. 1886, 1897 და 1826 წლების აღწე-რისას სამურზაყანოელები მიათვალეს აფხაზებს, ხოლო 1914, 1917 და 1923 წლებში – ქართველებს. საინტერესოა, რომ თვით აფხაზ ბოლშე-ვიკთა აღიარებული ლიდერი ნესტორ ლაკობა 1926 წელს ოფიციალუ-რად აღიარებდა, რომ *„აფხაზები დიდი-დიდი 57-60 ათასი სული იყოს. რატომ...? – იმიტომ, რომ რამდენიმე ათასი კაცი თავს კი მიათვლის აფ-ხაზობას, მაგრამ მათი ენა არა აფხაზური, არამედ მეგრულია“*. ნ. ლა-კობა იმასაც აღიარებდა, რომ მეგრელები ქართველები იყვნენ და თვ-ლიდა, რომ ისინი ქართველობას უნდა მიკუთვნებოდნენ.[2]

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენ არ შეიძლება უარვყოთ, რომ XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ნამდვილად ჰქონდა ადგილი ქარ-თული (ძირითადად მეგრული) მოსახლეობის ჩასახლებას აფხაზეთში დასავლეთ საქართველოს მეზობელი რაიონებიდან. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ამას მეტ-ნაკლებად ლოიალურად ეკიდებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში შეამჩნია რა *„სოხუმის ოკ-რუგში რუსული მოქალაქეობისა და რუსული კურსის მიმართ ძლიერი წინააღმდეგობა ქართველების, უპირატესად მეგრელთა მხრიდან“*,[3] კავკასიის რუსული ადმინისტრაცია წინ აღუდგა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან გლეხების აფხაზეთის შიდა რაიონებში გადასახლებას. ცნო-ბილია, რომ ჯერ კიდევ 1872 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამ-

---

[1] **ს. ლეკიშვილი.** პასუხად ისტორიკოს ს. ლაკობას.., გვ. 9.

[2] *«Абхазцев с большой натяжкой около 57-60 тысяч душ. Почему большой натяжкой? Потому, что несколько тысяч человек причисляют себя к абхазской народности, но язык у них не абхазский, а мингрельский»*. იხ.: **Н. А. Лакоба.** Статьи и речи, Сухуми, 1987, გვ. 213.

[3] *«... сильное противодействие развитию русской гражданственности и русскому направлению в Сухумском округе со стороны грузин, преимущественно мингрельцев»*. იხ.: **ა. სილაგაძე, ვ. გურული.** ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევე-ბი. თბ., 2001, გვ. 309.

ტკიცა განსაკუთრებული „წესები“ («Правила»), რომლებიც არ დაუშვებდნენ დასავლეთ საქართველოდან გამოსულთა აფხაზეთში დამკვიდრებას.[1] ეს „წესები“ იყო ერთგვარი დამატება 1870 წელს შემუშავებული *„დებულებისა“*, რომლის მიხედვითაც მთავრობა *„საბოლოოდ დამკვიდრებულთა“ («окончательно водворившиеся»)* სტატუსს აძლევდა მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც 1865 წ. 1 იანვრამდე ცხოვრობდნენ აფხაზეთში, სხვები კი *„დროებით მაცხოვრებელებლად“ («временно проживающими»)* ითვლებოდნენ. ისინი, ვინც ამ წესს დაარღვევდნენ, სათანადოდ ისჯებოდნენ. ამასთან დაკავშირებით აფხაზ ისტორიკოსს ს. ლაკობას მოჰყავს იმდროინდელ ქართულ პრესაში *(„სასოფლო გაზეთი“)* დაფიქსირებული ფაქტი, იმის შესახებ, თუ როგორ გააძევა სოხუმის განყოფილების უფროსმა ოჩამჩირის „ოკრუგიდან“ იქ ჩასახლებული მეგრელი გლეხები.[2]

XIX ს. 90-იანი წლებიდან იმპერიის ხელისუფლება უკვე ღიად წავიდა დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებაზე ქართველების მიმართ. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა *„სამახსოვრო ბარათი სოხუმის ოლქის კოლონიზაციის შესახებ“ («Памятная записка о колонизации в Сухумском округе»),* შედგენილი სოხუმის „ოკრუგის“ (ანუ აფხაზეთის) ადმინისტრაციის უფროსის პოლკოვნიკ ბრაკერის მიერ 1895 წელს. მასში ნათქვამია: *„**სოხუმის ოკრუგში** უცხო ელემენტის, **ჩასახლება** დაშვებული ადრე... **აუცილებელია შეწყდეს დაუყოვნებლივ, განსაკუთრებით მეგრელების. სასურველია შემოინახოს რაც შეიძლება მეტი ფონდი თავისუფალი მიწებისა მხოლოდ და მხოლოდ ძირძველი რუსების ჩასასახლებლად**“*.[3]

აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიულ პროცესებთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, მეტად აქტუალურია XX ს. 30-50-იანი წლების დამდეგს აფხაზეთში ე.წ. „ქართველთა მასობრივი ჩასახლების“ თემაც, რომელსაც ყოველთვის ეკავა ცენტრალური ადგილი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგიურ არსენალში. აქ ძირითადად იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ორგანიზებული ჩასახლე-

---

[1] *«.... препятствовали закреплению на абхазских землях выходцев из Западной Грузии»*. იხ.: **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии, გვ. 340.

[2] **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии, გვ. 340.

[3] *«**Вселение в Сухумский округ** иноземного элемента допушенное в начале ... **необходимо прекратить** теперь же, **в особенности вселение мингрельцев. Желательно сберечь возможно большой фонд свободной земли для водворения исключительно коренных русских людей**»*. იხ.: **С. З. Лакоба.** Очерки политической истории.., გვ. 340, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ბა აფხაზეთში. ეს პროცესი, სეპარატისტთა მტკიცებით, იყო საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის გაქართველების მიზანმიმართული აქცია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან XX საუკუნემდე ქართული მოსახლეობა მუდამ სჭარბობდა აფხაზურს. ასე რომ, ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის დემაგოგიური მტკიცება, თითქოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნიკური უმრავლესობა გაჩნდა მხოლოდ XX ს. 30-40-იან წლებში ქართველთა ე.წ. „მასობრივი ორგანიზებული ჩასახლების“ შედეგად, უბრალოდ სიცრუე და ისტორიული რეალობის უხეში გაყალბებაა. რასაკვირველია, რომ არა აფხაზი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედია – მუჰაჯირობა, რომლის ინსპირატორი და ნამდვილი შემოქმედი რუსეთის იმპერია იყო, აფხაზური მოსახლეობა XX ს. 30-40-იან წლებში რაოდენობრივად უფრო მეტი იქნებოდა. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მას მერე, რაც XIX ს. 60-70-იან წლებში აფხაზთა ერთმა ნაწილმა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა მშობლიური მხარე და ოსმალეთში გადაიხვეწა, მათი საცხოვრებელი ადგილები მართლაც დაიკავეს სხვა ერების წარმომადგენლებმა: რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და, რასაკვირველია, ქართველებმა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან).

ჩვენი აფხაზი კოლეგები რატომღაც ივიწყებენ, რომ 1886 წლიდან 1989 წლამდე რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა, არც მეტი არც ნაკლები, 70-ჯერ (დაახლოებით ამდენჯერვე გაიზარდა სომხური მოსახლეობაც) და სკრუპულოზურად ითვლიან არითმეტიკულად მხოლოდ იმას, თუ რამდენი ქართველი როდის ჩასახლდა არა სხვა სახელმწიფოში, არამედ თავისივე ქვეყნის, საქართველოს ძირძველ კუთხეში – აფხაზეთში. დიახ, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ვალდებული ვართ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ყველას: **აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი, სამშობლო არა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა, არამედ, პირველ რიგში, სწორედ (და უფრო მეტადაც) ქართველთა.** ასე რომ, ქართველების ადგილგადანაცვლება საცხოვრებლად თავისივე ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, სულაც არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აქცია. რასაკვირველია, ეს ეხება 1937-1953 წლებსაც, როდესაც სახელმწიფო დონეზე მართლაც მოხდა ქართველთა მასობრივი ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში.

აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს იყო ერთი ქვეყანა, ერთი სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა – „საქართველოს

სსრ“-დ, ხოლო „აფხაზეთის ასსრ“ მისი შემადგენელი ნაწილი იყო. მოსახლეობის მიგრაციის გამოცხადება კი ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით დანაშაულად, უბრალოდ, ელემენტარული ლოგიკის ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ჯდება. უფრო მეტიც, არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სსრ კავშირის არსებობის პერიოდში იყო ერთიანი მოქალაქეობა: თითოეულ ადამიანს პასპორტში ეწერა არა საქართველოს სსრ-ის (მით უფრო, აფხაზეთის ასსრ-ის) მოქალაქე, არამედ **„სსრ კავშირის მოქალაქე“**. აქედან გამომდინარე, **ამ ერთიანი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო თავისი სურვილისამებრ აერჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი** (ერთგვარი შეზღუდვა ამ მხრივ ჩაწერის ინსტიტუტის არსებობის გამო დიდ ქალაქებს ჰქონდა). რაც შეეხება „ორგანიზებულ გადასახლებას“ (მხედველობაში არა გვაქვს ზოგიერთი “დამნაშავედ“ მიჩნეული ხალხის ძალით აყრა თავიანთი მიწა-წყლიდან), მას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც და, პირველ რიგში, მოტივირებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით. ამისათვის თუნდაც ყაზახეთის მაგალითის გახსენება იკმარებდა, როდესაც ყამირი მიწების ასათვისებლად ამ რესპუბლიკაში ჩასახლდა ასეულ ათასობით რუსული ოჯახი. განა ასევე რუსული მოსახლეობის დიდი მასის „გადასროლა“ არ ახლდა თან მრეწველობის გიგანტების მშენებლობას ამა თუ იმ ნაციონალურ რესპუბლიკაში? შორს რომ არ წავიდეთ, რად ღირს თუნდაც ენგურის ქაღალდკომბინატისა და ენგურჰესის მშენებლობები, რომლის დროსაც ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებში მთელი რუსული დასახლებები აღმოცენდა.

1992-1993 წლებში აფხაზეთში დატრიალებულმა უბედურებამ, რომლის ყველაზე ტრაგიკული შედეგი ეთნოწმენდა – აფხაზეთიდან მკვიდრი ქართული მოსახლეობის გამოდევნა – იყო, ძირეულად შეცვალა რეგიონის ეთნოდემოგრაფიული სურათი. საკუთრივ სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2011 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით აფხაზეთში ამჟამად მუდმივად ცხოვრობს 240.705 კაცი, აქედან აფხაზები – 122.175 /50,8%/; ქართველები – 46.499 /19,3%/; სომხები – 41.907 /17,4%/; რუსები – 22.064 /9,2%/ სხვ დანარჩენი – 5.167 /1.21%/.[1] ამ სტატისტიკაში, რასაკვირველია, ბევრი რამაა საეჭვო, თუმცა აფხაზთა ასეთი „დემოგრაფიული ბუმი“ ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. სხვათა შორის ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ რუს ექსპერტებსაც კი, რომლებიც გაკვირვებულები არიან აფხაზური მოსახლეობის ასეთი რეკორდული ზრდით და დოკუმენტურად ადასტურებენ სათანადო აფხაზური სამსახურების სიყალბეს. ასე მაგალითად, ცნობილი რუსი ჟურნალისტის ა. ეპიშევის დაკვირვებით, *„საბჭოური უძრაობის*

[1] *Население Абхазии* (http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html).

ხანაში – 1959-1989 წლებში, ე.ი. ***30 წლის განმავლობაში აფხაზთა ზრდამ შეადგინა 31000, ანუ საშუალოდ 1000 კაცზე ოდნავ მეტი წელიწადში. მძიმე ომისშემდგომ პერიოდში კი, 8 წლის განმავლობაში – 2003-2011 წლებში ზრდამ შეადგინა 28 ათასი, ანუ საშუალოდ 3500 წელიწადში. განა ეს რეალურია?“*** – სვამს სავსებით კანონზომიერ კითხვას ჟურნალისტი.[1]

2011 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებთან სრულ წინააღმდეგობაში მოდის აგრეთვე საკუთრივ აფხაზი სპეციალისტების დასკვნებიც. ცნობილი აფხაზი ეკონომისტის ბესლან ბარათელიას დაკვირვებით პოსტკონფლიქტური პერიოდის აფხაზეთში *„ყოველწლიურად საშუალოდ იბადება 47 ბავშვით ნაკლები“ («В среднем ежегодно в Абхазии рождается на 47 детей меньше»).*[2] ასეთ ვითარებაში, ცხადია, აფხაზთა რაოდენობის ეგზომ „არაბუნებრივ“ ზრდას, რაზედაც, სხვათაშორის, ყურადღებას ამახვილებენ თვით ანტიქართულად განწყობილი აფხაზი ექსპერტებიც,[3] ერთადერთი მიზეზი (რასაკვირველია, თუ ციფრები ხელოვნურად არაა „გაბერილი“) შეიძლება ჰქონდეს – ქართველების მორიგი „ტოტალური“ ჩაწერა აფხაზებად.

ასეთია ძალზე სქემატური სურათი თანამედროვე აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული ვითარებისა უძველესი დროიდან დღემდე.

---

[1] *«В застойные советские времена с 1959 по 1989 годы, т.е.* ***за 30 лет прирост абхазов составил около 31 000, т.е. в среднем чуть более 1000 человек в год. А вот в тяжёлые послевоенные времена, за 8 лет, с 2003 по 2011 годы прирост составил почти 28 тысяч, т.е. в год в среднем 3 500. Это реально?****».* **А. Епишев.** Хватит кормить Абхазию! (http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **А. Кучуберия.** Каждый год в Абхазии рождается на 47 детей меньше, чем в предыдущий. – *Кавказский узел*. 25.12.2007 (http://www.kavkaz-uzel.ru/articles/131606).

[3] **В. Шария.** Политическая демография. – *Эхо Кавказа*. 03.01.2012 (http://www.ekhokavkaza.com/content/article/24441325.html).

აფხაზთა ქრისტიანული მენტალობის საკითხისათვის*

აფხაზთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ისტორიოგრაფიაში. პირველი დაკვირვებები აფხაზთა რელიგიურ იერ-სახეზე ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაჩნდა (პროკოპი კესარიელი,[1] არქანჯელო ლამბერტი,[2] ევლია ჩელები,[3] ჯოვანი და ლუკა,[4] იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი,[5] ანტიოქიის პატრიარქი მაკარი ანტიოქიელი,[6] პავლე ალეპოელი,[7] ჟან შარდენი,[8] ვახუშტი ბაგრატიონი,[9]

---

* გამოქვეყნდა კრებულში: *თეიმურაზ მიბჩუანი – 70.* თბ., 2008-2010, გვ. 304-320. იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებებით.

[1] **პროკოფი კესარიელი.** De bello gothico. – *გეორგიკა.* ტ. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა***. მეორე შევს. გამოც. თბ., 1965, გვ. 133-135.

[2] **არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ***ა. ჭყონიასი***. მეორე გამოცემა, ***ლ. ასათიანის*** წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1938, გვ. 116.

[3] *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“.* თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო ***გ. ფუთურიძემ.*** ნაკვ. I. თბ., 1971; **გ. ანჩაბაძე.** ევლია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ. – *საისტორიო კრებული.* VI. თბ., 1976.

[4] *დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა სამეგრელოზე.* – წგნ.: **ი. ტაბალუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 170.

[5] *Путешествие патриарха Досифея с религиозным и политическим состоянием Грузии до* XVII века. – წგნ.: **М. Селезнев.** Руководство к познанию Кавказа, кн. I. СПб., 1847.

[6] **მაკარი ანტიოქიელი.** ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა ***თ. მარგველაშვილმა.*** – კრებ. *„არმაღანი“.* III. თბ., 1982; **П. Жузе.** Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария. – *ПС (Православный собеседник)*. 1905. Ч. 2. № 1, 3, 5.

[7] *მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. საქართველოს აღწერილობა* შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ***ნ. ასათიანმა.*** თბ., 1973.

[8] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში.* (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ***მ. მგალობლიშვილმა***. თბ., 1975, გვ. 105, 212.

[9] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. IV, თბ., 1973. გვ. 787.

გიულდენშტედტი[1] და სხვ.). XIX-XX საუკუნეებში მასალა აფხაზთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე შეივსო ახალი მონაცემებით (ს. ზვანბა,[2] მ. ბროსე,[3] მ. სელეზნიოვი,[4] ეპისკოპოსი გაბრიელი,[5] პ. უსლარი,[6] ა. ვედენსკი,[7] ნ. მურზაკევიჩი,[8] ლ. კაველინი,[9] პ. ჭარაია,[10] მ. ჯანაშვილი,[11] კ. მაჭავარიანი,[12] ვ. მილერი,[13] ნ. ჯანაშია,[14] ა. ვეკუა,[15] გ. ჩურსინი,[16] დ. გულია[17] და სხვ.). აფხაზთა რწმენა-წარმოდგენების საკითხი არ დარჩე-

---

[1] *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ***გ. გელაშვილმა,*** ტ. II. თბ., 1964, გვ. 51.

[2] **С. Т. Званба.** Абхазские этнографические этюды. Сухуми, 1982.

[3] **М. Броссе.** О религиозном и политическом состоянии Грузии до XVII в. Пер. с фран. ***М. Селезнева***. – *ЖМНП (Журнал Министерства народного просвещения)* 1843. Ч. 40. СПб., 1843.

[4] **М. Селезнев.** Руководство к познанию Кавказа. В 3-х книгах. СПб., 1847.

[5] **Гавриил, еп. Имеретинский.** Обозрение абхазских и самурзаканских приходов – *ПО (Православное обозрение).* 1868. Т. 27. №11.

[6] **П. К. Услар.** Начало христианства в Закавказье и на Кавказе. – *ССКГ («Сборник сведений о кавказских горцах»).* Вып. 2. Тифлис, 1869.

[7] **А. И. Введенский.** Религиозные верования абхазцев. – ССКГ. Вып. 5. Тифлис, 1871.

[8] **Н. Мурзакевич.** Древнейший Пицундский православный храм на восточном берегу Черного моря. Одесса, 1877.

[9] **Леонид (Кавелин), архим.** Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь. М., 1885.

[10] **პ. ჭარაია (პ. გიორგაძე).** აფხაზეთი და აფხაზნი. – გაზ. *„ივერია“*, №16, 1888.

[11] **М. Джанашвили.** Абхазия и абхазцы. – *Записки кавказского отдела императорского Русского географического общества.* Кн. XVI. Тифлис, 1894.

[12] **К. Мачавариани.** Религиозное состояние Абхазии.– *Кутаисские губернские ведомости.* 1889, № 16; **К. Д. Мачавариани.** Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу. В 2-х ч. Сухум, 1913.

[13] **А. А. Миллер**. Разведки на Черноморском побережье Кавказа в 1907 году. – *Известия Императорской Археологической Комиссии* (*ИИАК*). Вып. 33. СПб., 1909; **А. А. Миллер**. Из поездки по Абхазии в 1907г. – *Материалы по этнографии России*. Т. I. СПб., 1910.

[14] **Н. С. Джанашиа.** Статьи по этнографии Абхазии. Сухуми, 1960.

[15] **А. Векуа.** Из жизни и обычаев абхазцев. – გაზ.: *Закавказье.* 1912. № 133.

[16] **Г. Ф. Чурсин.** Материалы по этнографии Абхазии. Сухуми, 1956.

[17] **Д. И. Гулиа.** История Абхазии. Этнография. – *Собрание сочинений*. Т. 6. Сухуми, 1986.

ნილა ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა ყურადღების მიღმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ივ. ჯავახიშვილის,[1] ნ. ბერძენიშვილის,[2] ბ. ლომინაძის,[3] ე. ხოშტარია-ბროსეს,[4] კ. გრიგოლიას,[5] მ. ლორთქიფანიძის,[6] დ. მუსხელიშვილის,[7] ნ. ლომოურის,[8] ს. ოქრუაშვილი-ბახიას,[9] ბ. ხორავას,[10] გ. როგავას,[11] ჯ. გამახარიას,[12] ზ. პაპასქირის[13] და ა.შ. პუბლიკაციები. საკმაოდ კარგადაა ეს პრობლემა შესწავლილი თანამედროვე მეცნიერულ აფხაზმცოდნეობაში. მას საგულდაგულოდ იკვლევდნენ აფხაზური სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლები – წამყვანი აფხაზი ისტორიკოსები და ეთნოგრაფები, კერძოდ, ზ. ანჩაბაძე,[14] შ. ინალ-იფა,[15]

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. I. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. I. თბ., 1979.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990.

[3] **ბ. ლომინაძე.** ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. I. თბ., 1966.

[4] **Э. В. Хоштария-Броссе.** История и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте. Тб., 1996; **ე. ხოშტარია-ბროსე.** აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში. თბ., 2000.

[5] **კ. გრიგოლია.** ზოგიერთი მოსაზრება პავლე ინგოროყვას ნაშრომის – „გიორგი მერჩულეს“ გამო. – *მნათობი*. №3, 1990.

[6] **მ. ლორთქიფანიძე.** აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990.

[7] **დ. მუსხელიშვილი.** ისტორიული სიმართლისათვის. – გაზ. *„კომუნისტი“*. 1989, 5 აპრილი; **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус Абхазии в Грузинской государственности. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999.

[8] **ნ. ლომოური.** ძირძველი ქართული მხარის – აფხაზეთის ისტორიისათვის. თბ., 2008.

[9] **С. Бахиа-Окруашвили.** Абхазы. *Этнографический очерк*. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999. **С. Бахиа-Окруашвили.** Абхазы. *Этнографический очерк*. (http://www.kolhida.ru/index.php3?path=_etnography/arts/&source=03); **ს. ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2006.

[10] **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996.

[11] **გ. როგავა.** რელიგია და ეკლესია აფხაზებში, თბ., 2004.

[12] **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და ქართული მართლმადიდებლობა (IIს. – 1921წ.). თბ., 2005.

[13] **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*. თბ., 2004.

[14] **З. В. Анчабадзе.** История и культура древней Абхазии. М., 1964; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII века). Сухуми, 1959.

[15] **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы (историко-этнографические очерки). Сухуми, 1965; **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976.

ხ. ბღაჟბა,[1] გ. ამიჩბა,[2] ლ. აკაბა,[3] ე. აჯინჯალი,[4] ვ. არძინბა,[5] დ. დბარი[6] და ა.შ.). ამ უკანასკნელ ხანს, აფხაზთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებით დაინტერესდნენ რუსი მეცნიერები, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა გამოვყოთ სეპარატიზმის თეორეტიკოსად აღიარებული ა. კრილოვი.[7]

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ, ბუნებრივია, ვერ მოვახერხებთ აფხაზთა სარწმუნოებრივ იერ-სახესთან დაკავშირებული ყველა გლობალური პრობლემის გაანალიზებას – ჩვენი ამოცანა გაცილებით უფრო მარტივია, გვიან შუა საუკუნეებში აფხაზთა რელიგიური მეტამორფოზის მიზეზების წარმოჩენა, იმის დაზუსტება, თუ რა ადგილი ეკავა წარმართობასა და ქრისტიანობას აფხაზებში.

საისტორიო (როგორც ქართული, ისე არაქართული) ტრადიციის თანახმად, ქრისტიანობა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებას იწყებს ახ.წ. I საუკუნიდან და მას ძველი ქართული ტრადიცია ქრისტეს მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მოღვაწეობას უკავშირებს: *„წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი.*

---

[1] **Х. С. Бгажба.** Н. С. Джанашиа – краевед Абхазии. – *ТАИЯЛИ (Труды Абхазского института языка, литературы и истории).* Т. 25. Сухуми, 1954.

[2] **Г. А. Амичба** Культура и идеология раннесредневековой Абхазии (V-X вв.). Сухум, 1999.

[3] **Л. Х. Акаба.** О пережитках древнейших верований в культе кузницы у абхазов. – *Известия Абхазского института языка, литературы и истории (АИЯЛИ)*. Вып. II, Тб., 1973; **Л. Х. Акаба.** Исторические корни архаических ритуалов абхазов. Сухуми, 1984.

[4] **Е. К. Аджинджал.** К вопросу проникновения христианства в Абхазию. – *Труды АГМ*. Вып. 5. Сухуми, 1980; **Е. К. Аджинджал.** Об одном аспекте ранневизантийской дипломатии на Кавказе. – *Вестник древней истории (ВДИ).* 1987. № 3; **Е. К. Аджинджал.** Из истории христианства Абхазии. Сухум, 2000.

[5] **В. Г. Ардзинба.** К истории культа железа и кузнечного ремесла (почитание кузницы у абхазов). – *Древний Восток: этнокультурные связи.* М., 1988.

[6] **Д. Дбар.** Религиозные тенденции в современной Абхазии. (Сборник статей). М., 1999; **Д. Дбар.** История христианства в Абхазии в первом тысячелетии. Работа опубликовано в Новом Афоне издательством Абхазской Епархии *«Стратофил»* в 2005 году (http://www.anyha.info/ru/Histor/kdO.htm).

[7] **А. Б. Крылов.** Религия и традиции абхазов. *По материалам полевых исследований 1994-2000 гг.* М., 2001 (http://www.kolhida.ru/index.php3?path=_etnography/book&source=krilov_religiya_abhazov; **А. Б. Крылов.** Религия современных абхазов: реликт прамонотеизма (http://www.abkhaziya.org/server-articles/article-8394d0a879884f4a214c6cb4f3d0941b0.html).

და უქადაგეს სიტყუა ღვთისა, და მრავალთა შეიწყნარეს. და მუნ დაუ-ტევა ნეტარმან ანდრია სიმონ კანანელი სხუათა თანა მოწაფეთა და თა-ვადი ჯიქეთისა ქუეყანად აღვიდა. ხოლო კაცნი მის ქუეყანისანი ჯიქნი იყვნეს კაცნი ფიცხელნი გულითა და საქმეთა შინა ბოროტთა განფრ-დილნი, ურწმუნონი და უმღებნი. რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკლვა მისი. ხოლო მადლმან ღვთისამან დაიცვა და იხილა რა მიუდრეკელობა მათი და პირუტყუებრივი გონება. დაუტევა და წარვიდა. ამისთჳსცა ვიდრე აქამომდე ურწმუნოებასა შინა არიან. ხოლო სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმიდა სჳმონ კანანე-ლი. ხოლო კუალად განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფ-ხაზნი და წარვიდა სკჳთედ“.[1] ინფორმაცია ანდრია პირველწოდებულის დასავლეთ საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთში ყოფნის შესახებ მოიპოვება ქრისტიანობის ისტორიკოსთა: ეპიფანე კვიპროსელის (გარდ. 401 წ.), ეპიფანე იერუსალიმელის (VIII-IX სს.) თხზულებებში.[2]

IV საუკუნისთვის ქრისტიანობამ საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი აბაზგია-აფხაზეთში (მოგვიანო პერიოდის აფხაზეთის საერისთავო), რი-სი დადასტურებაცაა აქ ბიჭვინთის საეპისკოპოსოს არსებობა, რომლის წინამძღოლი სტრატოფილე 325 წელს გამართული ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე იყო.[3] მიუხედავად ამისა, როგორც ირკვე-ვა, აბაზგ-აფხაზებში იმ პერიოდში მაინც ბარბაროსულ-წარმართული მენტალიტეტი ჭარბობდა. ამიტომაც, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინია-ნე I (527-565 წწ.) აბაზგიაში მთელი რიგი ღონისძიებების გატარება დასჭირვებია, რაც განუხორციელებია კიდეც კონსტანტინოპოლიდან იმ-პერატორის მიერ საგანგებო მისიით გამოგზავნილ საჭურის ევფრატას

---

[1] **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართველთა მეფეთა.., – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 43.

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ. **С. В. Петровский**. Сказания об апостольской проповеди по северо-восточному Черноморскому побережью. Очерк из истории древнехристианской литературы. – *Записки императорского одесского общества истории и древности (ЗИООИД)*. Т. 20. Одесса, 1897; **С. В. Петровский**. Сказания об апостольской проповеди по северо-восточному Черноморскому побережью. – *ЗИООИД*. Т. 21. Одесса, 1898; **Д. Дбар.** История христианства в Абхазии в первом тысячелетии. Работа опубликовано в Новом Афоне издательством Абхазской Епархии *"Стратофил"* в 2005 году (http://www.anyha.info/ru/Histor/kdO.htm).

[3] *ნიკეის პირველი მსოფლიო კრება. – გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტესქტები ქართული თარგმანითურთ გამოს-ცეს და განმარტებები დაურთეს ***ალ. გამყრელიძემ*** და ***ს. ყაუხჩიშვილმა***. ტ. I. თბ., 1961, გვ. 3.

– წარმოშობით აბაზგს. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: *„აფსილებისა და ნახევარმთვარა ნაპირის შემდეგ მეორე ნაწილში ზღის პირას აბაზგები მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილები კავკასიონის მთებამდე გრძელდება. აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ... ეს ბარბაროსები ჩვენს დრომდისაც თაყვანს სცემდნენ ჭალებსა და ტყეებს. ხეები ბარბაროზს, რაღაც გულუბრყვილობის გამო ღმერთებად წარმოუდგენია... იუსტინიანეს მეფობისას აბაზგების მდგომარეობა შეიცვალა, უმჯობესი გახდა. იმათ მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა, ტომით აბაზგი, სახელად ევფრატა... იუსტინიანე მეფემ აბაზგების ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარიც ააშენა და მათ მღდელთმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები“.*[1]

პროკოპი კესარიელის აღნიშნულ ცნობაში გადმოცემული ამბავი გვხვდება სხვა ბიზანტიელ ავტორთა თხზულებებშიც,[2] აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქ მაკარისთან.[3] ძველი ქართული საისტორიო ტრადიციაც იცნობდა პროკოპი კესარიელის მიერ გადმოცემულ ამბავს ევაგრი სქოლასტიკოსის თხზულების მიხედვით: *„ხოლო აფხაზთათჳს ევაგრე ეპიფანესი საეკლესიოსა მოთხრობასა შინა თჳსსა აღსწერს ოცდამეორესა თავსა შინა და იტყჳს ესრეთ: მათვე ჟამთა შინა ისტჳნიანეს მეფობისათა აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად და ქრისტეანობისაჲ შეიწყნარეს ქადაგებაჲ, რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანე მეფისასა იყო ვინმე საჭურისი, აფხაზი ნათესავით და ევფრატა სახელის დებით,* ***რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა*** *და აღთქუმად, ვითარმედ ამიერითგან არცა ერთიღა ვინ ნათესავისა მათისაგანი, განჴუცჳულ იქმნეს მამაკაცობისაგან რკინისა მიერ იძულებითა ბუნებისაჲთა. რამეთუ მრავალნი იყვნეს მათგანნი მსახურ სამეუფოჲსა საწოლისა, რომელთაჲ სა-*

---

[1] **პროკოფი კესარიელი.** De bello gothico. – *გეორგიკა.* ტ. II. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა***. მეორე შევს. გამოც. თბ., 1965, გვ. 133-135.

[2] **ევაგრი სქოლასტიკოსი.** საეკლესიო ისტორია. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა***. ტ. III. ტფ., 1936, გვ. 297; **იოანე ზონარა.** ისტორია. – *გეორგიკა.* ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ***მ. კახაძემ.*** ტ. VI, თბ., 1966, გვ. 228-230; **ნიკიფორე ქსანტოპულოსი.** საეკლესიო ისტორია. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა***. ტ. VII. თბ., 1967, გვ. 117-118.

[3] **მაკარი ანტიოქიელი.** ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 90.

ჭურის იცის წოდებაჲ ჩუᲩულებამან. ვინაჲცა იუსტინიანე ტაძარ წმიდისა ღმრთის მშობლისაჲ აღაშენა აფხაზეთს შინა და მღდელნი დაადგინნა მას შინა, რაჲთა უგანცხადებულესად ასწავებდენ შჯულსა ქრისტეანობისასა“.[1]

ქრისტიანული რწმენა აფხაზებში კიდევ უფრო უნდა განმტკიცებულიყო VIII-X საუკუნეებში, როდესაც დასრულდა აფხაზთა ინტეგრირება საერთო დასავლურ-ქართულ ქრისტიანულ სივრცეში. VIII ს. 80-იანი წლებისათვის *(„აბო ტფილელის მარტვილობა“)* აფხაზეთი (იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველო) სარკინოზთაგან „კრძალულ“ ქვეყნად, დევნილ ქრისტიანთა თავშესაფრად განიხილებოდა.[2] „აფხაზთა“ სამეფოს (IX-Xსს.) არსებობის პერიოდში ივარაუდება აფხაზთა (ბარის აფხაზობის მაინც) საბოლოო „მოქცევა“ და მათი კულტურულ-სარწმუნოებრივი „გაქართველება“, რისი დადასტურებაც უნდა იყოს გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულა *„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.*[3] XI-XII საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთი, მათ შორის აფხაზური ტომებით დასახლებული „აფხაზეთის საერისთავო“, რომლის ფარგლებში იყო ბიჭვინთა – დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) კათალიკოსის რეზიდენცია – ქართული ქრისტიანული სამყაროს ერთგვარი ფორპოსტი.

გვიან შუა საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებულმა პროცესებმა ძირეულად შეცვალა რეგიონის ეთნო-სოციალური და კულტურულ-ეკონომიკური იერ-სახე. მოკლე დროში აწინდელი აფხაზეთი, მაღალგანვითარებული ფეოდალური მხარიდან, სადაც აყვავებას განიცდიდა ქართული ქრისტიანული კულტურა და წიგნიერება, ერთბაშად გადაიქცა ჩამორჩენილ პროვინციად, პრიმიტიული პატრიარქალური წყობითა და რეანიმირებული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით. როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროები საკმაოდ ზუსტად აფიქსირებენ იმდროინდელი აფხაზეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ყოფაში მომხდარ ამ ცვლილებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა *„მცნება სასჯულოს“* – იოვაკიმეს „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად კურთხევასთან (1470-1474 წწ.) დაკავშირებით შედგენილი დოკუმენტის – ხაზგასმა აფხაზთა

---

[1] **ეფრემ მცირე.** უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენებების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ***თ. ბრეგაძემ.*** თბ., 1959, გვ. 11, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **იოანე საბანისძე.** აბო ტფილელის მარტვილობა, – *ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,* ***ილ. აბულაძის*** *რედაქტორობით.* ტ. I. თბ., 1963, გვ. 59.

[3] **გიორგი მერჩულე.** გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. – *ქართული პროზა.* წ. I. თბ., 1982, გვ. 279-280.

ქრისტიანობისაგან განდგომისა და „წარმართად მიქცევაზე“: *„აფხაზეთი ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“.*[1]

მართალია, ამ ბოლო დროს ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი დაჟინებით ცდილობს *„მცნება სასჯულოს“* „აფხაზეთში“ მთლიანად დასავლეთ საქართველო იგულისხმოს და ამით თითქოს დაასაბუთოს ამჟამინდელ აფხაზთა გვიან (XVI-XVII სს.) ჩამოსახლება დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე,[2] მაგრამ ეს მცდელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში აფხაზეთში ნამდვილად იგულისხმება აფხაზეთი ვიწრო გაგებით, ანუ იმჟამინდელი აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორია, რომლის სამხრეთი საზღვარი სადღაც ანაკოფიასთან (თანამედროვე ახალი ათონი) გადიოდა.[3] ამას პირდაპირ ადასტურებს ლევან II დადიანის მიერ თავის სიგელში მოყვანილი შამადავლე დადიანის მიერ ხობის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი ბოძებული შეწირულობის წიგნის ფრაგმენტი: *„ესე ვითარცა დადიან გურიელისა, სულკურთხეულისა სამადავლსაგან გარიგებული სიგელი ვნახეთ,* – წერს ლევან II, – *ესრედ ეწერა და გაერიგა: ძუელითგანი იადგარი გარყუნილიყო და დაკარგულიყო ხოფისა ღთისმშობელისაო,* ***მას ჟამსა უღმთოდ და უსჯულოებად მიიქცეს აფხაზნიო,*** *და აღვიყვანეთ იოვაკიმ კაცი ღირსი ნეტარებისა, დავსვით კათალიკოზადო,* ***რომელი აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა,*** *ხოლო ჩვენ მარჯუენითა ქრისტეს საფლავისათაო და იერუსალემისა და ანტიოქის პატრიარქისა მიხაილის ნებით დართვითა გავარიგეთ ჯუარითა და ონფორითა“.*[4]

ის, რომ *„მცნება სასჯულო“*-ში დაფიქსირებული ვითარება მაინცდამაინც აფხაზეთის საერისთავოს და იქ მცხოვრებ აფხაზებს ეხება დასტურდება მოგვიანო ხანის უცხოელ თუ ქართველ ავტორთა მონაცემებით. ასე, მაგ., იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის, რო-

---

[1] *მცნება სასჯულო – ქართული სამართლის ძეგლები.* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ი. დოლიძემ,*** III, თბ., 1970, გვ. 222.

[2] **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და ქართული.., გვ. 164-166.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 258; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 74.

[4] **ე. თაყაიშვილი.** საქართველოს სიძველენი. ტ. I. მეორე გამოცემა. ტფ., 1920, გვ. 26; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 55. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით სრულიად არადამაჯერებელია ჯ. გამახარიას მიერ არგუმენტად მიტროპოლიტ ანანიას მეტად საეჭვო დასკვნის მოტანა, რომლის მიხედვითაც ლევან დადიანის კომენტარი აფხაზთა „უღმთოდ და უსჯულოებად“ მიქცევაზე XVII ს. ვითარების ამსახველია და არა XV ს. 70-იანი წლების (**ან. ჯაფარიძე**. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. III. თბ., 1999, გვ. 328-329).

მელიც გარკვეული პერიოდი (XVII ს. შუა ხანები) ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში, დაკვირვებით, აფხაზები, ისევე, როგორც ალანები, ჩერქეზები, ჯიქები და ყარაჩაელები, *„მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, თორემ არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით მათ ქრისტიანობა სრულებით არ ეტყობოდათ“*.[1] მეორე მისიონერი ჯოვანი და ლუკა ასევე მიუთითებს, რომ *„აფხაზებს ცხოვრების წესი ისეთივე აქვთ, როგორც ჩერქეზებს. დაწერილი კანონები მათ არა აქვთ, მათთვის უცნობია თვით დამწერლობის კულტურა, არ ასრულებენ არავითარ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები“*.[2] პატრიარქ დოსითეოსის ცნობით: *„რელიგიურობით აფხაზები ბაძავენ ალანებს და ზიხებს“*.[3]

გიულდენშტედტის (XVIII ს. მიწურული) დაკვირვებითაც, ცხოვრების წესით აფხაზები სხვებზე მეტად ჰგვანან ჩერქეზებს.[4] აფხაზთა ყოფითი კულტურის მსგავსებაზე ჩერქეზებთან და სხვა ჩრდილო კავკასიურ მთიელ ტომებთან ამახვილებდა ყურადღებას ვახუშტი ბატონიშვილიც, რომლის მიხედვითაც *„აფხაზნი არ მონობენ სჯულსა და სარწმუნოებასა“* და რომ ისინი *„სარწმუნოებით არიან ქრისტიანენი, არამედ აღარა რისა მეცნიერნი და ირიცხებიან ვითარცა კერპნი“*.[5] აფხაზთა ურწმუნოებაზე მიუთითებს პატრიარქი მაკარი (XVII ს. შუა ხანები). მისი თქმით აფხაზების მხოლოდ მცირე ნაწილმა თუ იცოდა პირჯვარის გამოსახვა, *„მათ არ ჰყავდათ მღვდლები და არც არავინ ცდილობდა ესწავლებინა მათთვის ქრისტიანული წეს-ჩვეულებები“*.[6]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიან შუა საუკუნეებში მომხდარ მეტამორფოზას, კერძოდ აფხაზთა ქრისტიანობისაგან „მიდრეკის“ („განშორების“) პროცესს სავსებით სამართლიანად უკავშირებენ „მთის ჩამოწოლას“, რომელიც ძირითადად XIV-XVII საუკუნეებში მიმდინარეობდა.[7] განვითარების დაბალ სტადიაზე

---

[1] **არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა.., გვ. 116; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 83.

[2] **გ. როგავა.** რელიგია და ეკლესია აფხაზებში, თბ., 2004, გვ. 27; წყაროს უახლესი ქართული გამოც. იხ.: *დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი და ლუკას ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოზე.* – წგნ.: ***ი. ტაბაღუა.*** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. III, თბ., 1987, გვ. 170.

[3] **გ. როგავა.** რელიგია და ეკლესია აფხაზებში.., გვ. 28.

[4] *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში..*, გვ. 51; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის.., გვ. 85.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 787.

[6] **П. Жузе.** Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария.., გვ. 44; **გ. როგავა.** რელიგია და ეკლესია აფხაზებში.., გვ. 28.

[7] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 593, 615-616; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой.., გვ. 292, 300; **ბ. ლომინა-**

მყოფ მთიელთა ჩამოწოლა ბარში, როგორც ცნობილია, ადრეც ხდებოდა. უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ ეს პროცესი არც არასდროს შეწყვეტილა. მაგრამ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების და მკაცრი სახელმწიფო მართლწესრიგის პირობებში ქართული ფეოდალური საზოგადოება უმტკივნეულოდ ართმევდა თავს პირველყოფილობის შემოტევას. მთიელი ტომები, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, თანდათანობით ერწყმოდნენ საერთო-სახელმწიფოებრივ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას და იქცეოდნენ ქართული ფეოდალური საზოგადოების ორგანულ ნაწილად. სრულიად განსხვავებული ვითარება იქმნებოდა მაშინ, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახერხებდა სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ასეთ სიტუაციაში ხელისუფლების კონტროლიდან, პირველ რიგში, გამოდიოდა მთიანი რეგიონები, სადაც მაშინათვე იწყებდა გამოცოცხლებას პირველყოფილი, „ბარბაროსული“ ყოფის რეციდივები.

მთიელ ტომთა გააქტიურება შესამჩნევი გახდა XIII საუკუნეში, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო სერიოზულად დადგა „ოვსთა“ საფრთხის წინაშე. მაგრამ XIV ს. I მესამედში გიორგი V ბრწყინვალემ შეძლო ოვსთა თარეშის ალაგმვა და შიდა ქართლში სახელწიფოებრივი წესრიგის აღდგენა. მთიელ ტომთა ახალი ტალღის მოწოლას ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჯიქ-აფხაზები, რომლებმაც თანდათანობით (XIV ს. მიწურულიდან) ფეხი მოიკიდეს აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე. სამეგრელო-ოდიშის მმართველები, რომლებიც აკონტროლებდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, არაერთხელ გამხდარან იძულებულნი, მიეყენებინათ პრევენციული დარტყმები ჯიქ-აფხაზებისათვის და ამ გზით შეეჩერებინათ მათი შემოღწევა აწინდელი აფხაზეთის სიღრმეში. მაგრამ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ აფხაზეთის საერისთავოს მართვა, თავიანთ ბრძოლაში ოდიშის მთავართა წინააღმდეგ სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ ჯიქ-აფხაზებს და თვითონ გამოდიოდნენ მათი აფხაზეთში დაფუძნების ინიციატივით.

ეს ახალმოსული ჯიქ-აფხაზები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებოდნენ აფხაზეთის საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობისაგან. თუ ადგილობრივი „აფხაზობა“ (არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ იყვნენ ისინი ეთნიკურად) წარმოადგენდა

ძე. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან.., გვ. 231; **კ. გრიგოლია.** ზოგიერთი მოსაზრება პავლე ინგოროყვას ნაშრომის.., გვ. 130-131; **მ. ლორთქიფანიძე.** აფხაზები და აფხაზეთი.., გვ. 12-13; **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус.., გვ. 132-135; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის.., გვ. 54; **გ. როგავა.** რელიგია და ეკლესია აფხაზებში.., გვ. 22; **ნ. ლომოური.** ძირძველი ქართული მხარის., გვ. 78-79; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 89.

მაღალგანვითარებული ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილს, ზოგადქართული ქრისტიანული იდეოლოგიითა და წიგნიერი კულტურით, მოსული ჯიქ-აფხაზნი პირველყოფილი თემური წყობილების წიაღიდან გამოსული „ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელი დამანგრეველი ძალა იყო, რომელიც თავის გზაზე პირწმინდად ანადგურებდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს.

სწორედ ადრინდელ და გვიანდელ აფხაზთა საზოგადოებრივ-კულტურული იერ-სახის ასეთმა მკვეთრმა განსხვავებამ აფიქრებინა პ. ინგოროყვას, რომ XVI-XVII საუკუნეების აფხაზები არ შეიძლება ყოფილიყვნენ ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფსილთა“ (ქართული წყაროების აფხაზთა) შთამომავლები, იმ აფხაზებისა, რომლებმაც წამყვანი როლი შეასრულეს ახალი დასავლურქართული სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს ფორმირებაში და რომლის ჰეგემონობითაც აღმოცენდა ერთიანი ქართული სახელმწიფო. მეცნიერის აზრით, ადრეული შუა საუკუნეების „აბაზგ“-„აფსილ“-„აფხაზები“ ეთნიკური ქართველები იყვნენ, გვიანი შუა საუკუნეების აფხაზები კი – ადიღეურ-აფხაზური ეთნიკური სამყაროს წარმომადგენლები, რომელთა ჩამოსახლება აფხაზეთის ტერიტორიაზე XVI-XVII საუკუნეებში მოხდა.[1]

პ. ინგოროყვას ეს თვალსაზრისი თავის დროზე არ მიიღო ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ქართული საისტორიო სკოლის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მკაფიოდ გამოხატა მისმა მაშინდელმა თავკაცმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა,[2] რომლის შეხედულებების ერთგვარი შეჯამება მოცემულია მისი თხზულებების მე-8 ტომში.[3] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი მკვლევრის მხრიდან ადგილი აქვს აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისის არასწორ ინტერპრეტაციას. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ნ. ბერძენიშვილი ადრეული შუა საუკუნეების აფხაზებს, პ. ინგოროყვას მსგავსად, ეთნიკურ ქართველებად თვლიდა.[4] ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ნ. ბერძენიშვილის შრომები არ იძლევა არავითარ საბაბს ამგვარი დასკვნისათვის. მეცნიერს არსად და არასოდეს უთქვამს გადაჭრით რაიმე ადრეული შუა საუკუნეების აფხაზთა ეთნიკურ ქართველობაზე. ის

---

[1] **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე.., გვ. 118-189.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** პ. ინგოროყვას წიგნის – „გიორგი მერჩულეს“ გამო. – *მნათობი,* №12. თბ., 1956, გვ. 125-131.

[3] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 588-621.

[4] ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს გერონტი გასვიანი. იხ.: **გ. გასვიანი.** ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ. თბ., 2003, გვ. 53-80.

ყველგან ლაპარაკობდა აფხაზთა ისტორიულ-კულტურულ ქართველობაზე. ამასთან, მას არ აეჭვებდა გვიან შუა საუკუნეების მთიელი აფხაზებისა და დამხვდური მოსახლეობის (იგულისხმება მხოლოდ აფხაზეთის საერისთავოსა და არა მთლიანად აწინდელი აფხაზეთის მოსახლეობა) ეთნიკური ნათესაობა.

ამჯერად ჩვენ არ გვაქვს საშუალება ფართო მსჯელობა გავმართოთ ამ საკითხზე,[1] მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ერთი ადგილი აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებიდან, რომლიდანაც სრულიად არაორაზროვნად ჩანს მეცნიერის დამოკიდებულება ძველი და ახალი აფხაზების ეთნიკური ნათესაობისადმი: ***„ერთ-ერთი ხელის შემწყობი პირობათაგანი იმისა,*** – წერს ნ. ბერძენიშვილი, – ***რომ მთიელმა აფხაზებმა შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხდური თანამოძმენი, იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა, ხალხის ფართო მასა ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას“***.[2]

ერთი სიტყვით, ნ. ბერძენიშვილი თვლიდა, რომ გვიან შუა საუკუნეებში მოხდა აწინდელი აფხაზეთის ეთნო-დემოგრაფიული განახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულ „ახალ“ (მთიელ) აფხაზთა ხარჯზე. ახალმოსულებმა მოარყიეს განვითარებული ფეოდალური საზოგადოების საფუძვლები და კვლავ წარმართობისაკენ მოაქციეს დამხვდური ცივილიზებული აფხაზობა, იგივე „კულტურულ-ისტორიული“ ქართველები. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ აკად. ნ. ბერძენიშვილის ამ თვალსაზრისს და ვთვლით, რომ სრულიადაც არ არის აუცილებელი აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული იერ-სახის ცვლილებების მიზეზები ვეძიოთ ახალი, რეგიონისათვის მანამდე სრულიად უცხო ჩრდილო-კავკასიური ტომის აფსუა-აფხაზთა ჩამოსახლებაში, როგორც ამას ფიქრობდა პ. ინგოროყვა. მაგრამ ამავე დროს ჩვენ სულაც არ უარვყოფთ გვიან შუა საუკუნეებში მიმდინარე მთიელ ტომთა ეთნო-დემოგრაფიულ ექსპანსიას და აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ყოფაში მომხდარ მკვეთრ, თვისებრივ ცვლილებებს ასევე ვუკავშირებთ ჯიქ-აფხაზთა ახალი ტალღის ჩამოწოლას ბარში. უბრალოდ, ჩვენ სავსებით რეალურად გვეჩვენება (ისევე, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილსა და ქართულ ისტორიოგრაფიას ზოგადად, ზოგიერთი მკვლევრის გამოკლებით)

---

[1] უფრო ვრცლად იხ. **ზ. პაპასქირი.** ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე. *რეცენზია გურამ გაბუნიას სადოქტორო დისერტაციაზე: „საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XI ს. დასაწყისში“ (საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრობლემური საკითხები). – საისტორიო ძიებანი*, 6. თბ., 2003, გვ. 316-319; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II. 1917-1993. თბ., 2007, გვ. 161-164.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები.., გვ. 616.

გვიან მოსულ ჯიქ-აფხაზთა და დამხვდური აფხაზობის (აფხაზეთის საერისთავოს მოსახლეობის) ეთნიკური ნათესაობა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ შუა საუკუნეების ქართულმა საისტორიო ტრადიციამ რატომღაც ვერ დააფიქსირა ეთნო-ნათესაური განსხვავება ძველსა და ახალ აფხაზებს შორის. ნიშანდობლივია, რომ ზემოთ ნახსენებ *„მცნება სასჯულოში“* ლაპარაკია არა ძველი აფხაზ-ქართველების განდევნაზე და მათი სამფლობელოს უცხო ტომელთა (აფსუა-აფხაზთა) მიერ მიტაცებაზე, არამედ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობის *„ქრისტეანობისაგან სრულიად“* მიდრეკაზე. და ეს იმ ფონზე, როდესაც ქართულმა ისტორიულმა ცნობიერებამ მშვენივრად იცის აფხაზთა ექსპანსიის შესახებ ანაკოფიის სამხრეთით (სამეგრელო-ოდიშის მთავართა კონტროლირებად ტერიტორიაზე). ამაზე მეტყველებს თუნდაც ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგი ცნობა: *„გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ჴმელითა და სტყუევნიდიან,* ***დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდენ თჳთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“.***[1]

ე. ი. ვახუშტი ბატონიშვილმა იცის, რომ აფხაზები (მისთვის ეს აფხაზეთის საერისთავოს მოსახლეობაა) მოდიან და იკავებენ ოდიშს ეგრისწყლამდე (მდ. ღალიძგა) და ფუძნდებიან თანამედროვე აფხაზეთის (მაშინ სამეგრელო-ოდიშის) ამ ნაწილში. მსგავს რამეს საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს მიმართ არც ვახუშტი და არც სხვა რომელიმე წყარო არ ამბობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას ადგილობრივ აფხაზებსა და მოსულ ჯიქ-აფხაზთა შორის ადგილი ნამდვილად არ ჰქონია, განსხვავებით ცხუმის საერისთავოს ტერიტორიისგან, რომელიც ჯიქ-აფხაზთა პერმანენტული რბევა-თარეშის ობიექტი გახდა. ყოველივე ეს და აგრეთვე ის ფაქტიც, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომლებიც ისტორიულად საერთოქართულ პოლიტიკურ ელიტაში შედიოდნენ, თვითონ ედგნენ სათავეში აფხაზთა ექსპანსიას სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, აშკარად მიუთითებს აფხაზეთის საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობისა (აფხაზების) და გვიან შუა საუკუნეებში მოწოლილ ჯიქ-აფხაზთა ეთნიკურ ნათესაობაზე.

ის, რომ გვიან შუა საუკუნეებში ნამდვილად ჰქონდა ადგილი მთიელ ტომთა ექსპანსიას ჩრდილოეთ კავკასიიდან აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, დასტურდება ადიღეელებში არსებული გადმოცემებით, რომლებიც თავის დროზე (XIX საუკუნეში) ჩაიწერა ცნობილმა ადიღეელმა განმანათლებელმა შ. ნოგმოვმა. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემის თანახმად, ადიღეელთა წინამძღოლმა ინალმა (XV ს. დამდეგი) შეკრიბა თა-

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა.., გვ. 845, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ვისი თანატომელნი და ანაპის მიდამოებიდან ჯერ ყაბარდოს მიმართულებით დაიძრა, ხოლო შემდეგ იქიდან აბაზა მთავრებთან აშე და შაშესთან ერთად აფხაზეთში გადმოვიდა. *„აფხაზეთის დაპყრობის შემდეგ,* – როგორც მიუთითებს შ. ნოგმოვი, – *ძიბაზე* (სპეციალისტების აზრით, მდ. ბზიფი) *ყოფნისას, სადაც აწარმოებდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს აფხაზურ ტომებთან, ის (მას მერე, რაც მორჩა ყველა ამ საქმეს) გარდაიცვალა (1427 წელს)... მისი გვამი დაფლეს აღნიშნულ მიწაზე და მისი საფლავი დღესაც ცნობილია ინალ–კუბას სახელით“* (აბაზურად „ინალის საფლავი“). გადმოცემის თანახმად, ინალის საფლავი – ინალ-კუბა მდებარეობს მაღალ მთაზე, სოფელ ფსხუს მიდამოებში.[1] მოგვიანებით ინალის საფლავი აფხაზებისა და აბაზებისათვის წმინდა ადგილად გადაიქცა, სადაც იმართებოდა ხალხმრავალი დღესასწაული.[2]

ისტორიოგრაფიაში პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევს, რომ აბაზა მთავრებში – აშე და შაშე-ში იგულისხმებიან აჩბებისა და ჩაჩბების აფხაზური თავადური საგვარეულოები.[3] მკვლევართა აზრით, ამ გადმოცემაში აირეკლა აბაზურ ტომთა, კერძოდ, მთიელ აბაზა-აშხართა, ფართომასშტაბიანი გადმოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე.[4] აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან მონათესავე აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომების გადმოსახლებას აფხაზეთში გვიან შუა საუკუნეებში არ უარყოფენ თვით ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი აფხაზი მეცნიერებიც. ასე მაგალითად, აფხაზური სეპარატისტული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მამამთავარი შ. ინალ-იფა ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევდა, რომ ისტორიულ გადმოცემებში *„ხშირად მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გადმოდიოდნენ აფხაზეთში საიდანღაც ჩრდილოეთიდან მთების გადაღმიდან ერთი მეორის მიყოლებით მთელი საგვარეულოები“*.[5] ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ გადმოცემით აჩბების (ანჩაბაძეთა) საგვარეულო აფხაზეთში მართლაც ფსხუს მიდამოებიდან შემოვიდა. იმავე მონაცემების თანახმად, ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ფსხუს

---

[1] **Ш. Б. Ногмов.** История адыгейского народа. *По Кабардинским преданиям.* Нальчик, 1982, გვ. 76-78; **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус.., გვ. 133.

[2] **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус.., გვ. 133.

[3] **Л. И. Лавров.** Проблемы этногенеза кавказских горцев. – წგნ.: *„Историко-этнографические очерки Кавказа“,* Л., 1978, გვ. 46; **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус.., გვ. 133.

[4] **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус.., გვ. 133.

[5] *«... часто рассказывается о том, как приходили в Абхазию один за другим целые роды или отдельные лица откуда-то с Севера из-за гор».* იხ.: **Ш. Д. Инал-ипа.** Страницы исторической этнографии абхазов, Сухуми, 1971, გვ. 141; **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус.., გვ. 133.

გზით არიან მოსულნი აგრეთვე ისეთი გვარები, როგორიცაა: აშუბა, ადლეიბა, ინაფშბა და ა.შ.[1]

XVI-XVIII საუკუნეებში „უსჯულოებად მიქცეულმა“ აფხაზობამ ერთიანად წალეკა ადრინდელი ქრისტიანული სიწმინდეები. აფხაზეთის კათალიკოსი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა ბიჭვინთა და საკათალიკოსო ტახტი გელათში გადაეტანა. მოიშალა დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპარქიები. მიუხედავად აღნიშნულისა, აფხაზობაში (არა მარტო წარჩინებულებში, არამედ უბრალო ხალხშიც) მაინც იყო შემორჩენილი ქრისტიანული ღვთისმოშიშობა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ჟან შარდენის მიერ მოყვანილი ფაქტი: *„ერთხელ ჩვენს გემზე მოვიდა მაღალი წოდების აფხაზი, შვიდი თუ რვა კაციანი ამალით, ... მრავალნაირ საქონელს შორის იყო ხატის ვერცხლის ჩარჩო. ჩვენს შეკითხვაზე, სად იყო თვით ხატი, მათ გვიპასუხეს, რომ ხატი ეკლესიაში დატოვეს, ვერ გაბედეს მისი წამოღება, რადგან შეეშინდათ, ხატს არ დაეხოცა“.*[2] აფხაზები კვლავინდებურად თაყვანს სცემდნენ ილორის (ელირ-ნიხ), ქიაჩის (ქიაჩ-ნიხ), ლიხნის (ლიხ-ნიხ), ბიჭვინთის, ლაშკენდარის ქრისტიანულ სიწმინდეებს.[3] უფრო მეტიც, XVIII ს. შუა ხანებში, როდესაც განსაკუთრებით იძალა ოსმალეთმა, აფხაზებმა ქრისტიანობის, როგორც აფხაზთა პოლიტიკური სუვერენიტეტის (ოსმალეთისაგან) უმთავრესი ატრიბუტის დემონსტრირება მოახდინეს – მათ ოსმალეთში, სულთნის ბრძანებით გამუსლიმებული ზურაბ შარვაშიძე ილორში კვლავ ქრისტიანად მონათლეს და აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს.[4]

XIX ს. დამდეგიდან, აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევის შემდეგ, აფხაზობა არც თუ ერთბაშად შემობრუნდა ქრისტიანობისაკენ (ამას სერიოზულად აფერხებდა ოსმალეთის იმპერია). თვით მთავრებიც კი (მაგ. გიორგი /მონათვლამდე საფარბეი/ შარვაშიძე და მისი ვაჟი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ /ჰამუტბეი/ შარვაშიძე), რომლებიც თითქოს ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულნი იყვნენ, ცალკეულ შემთხვევებში ივიწყებდნენ რუსეთის ხელისუფლებისადმი მიცემულ პირობას, *„განდგომოდნენ მთიულურ ღვთისშეურაცხმყოფელ ჩვეულებებს“ («Оставить горския богомерзкия обычаи»)*[5] და მოურიდებლად არღვევდნენ ქრისტიანული მორალის ნორმებს.

---

[1] **Д. Л. Мусхелишвили.** Исторический статус.., გვ. 133.

[2] *ჟან შარდენის მოგზაურობა..*, გვ. 212; **ჯ. გამახარია.** აფხაზეთი და.., გვ. 260.

[3] **Г. Ф. Чурсин.** Материалы.., გვ. 27-36; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы.., გვ. 527,

[4] **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის.., გვ. 131.

[5] *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею (АКАК),* т. VIII. Тифлисъ, 1881, გვ. 447.

შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის საკითხისათვის*

შარვაშიძეთა სამთავრო სახლი მრავალი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა აფხაზეთს, თავდაპირველად ერისთავის სტატუსში, ხოლო მოგვიანებით (XVII საუკუნიდან) კი მთავრის რანგში. ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი ამ საგვარეულოს წარმომავლობისა და მისი დაწინაურების დროის თაობაზე. შარვაშიძეთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი – დოთაღოდ შარვაშიძე (აფხაზეთის ერისთავი) მოხსენიებულია (XII ს. 80-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით) *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“*-ს თხზულებაში.[1] მკვლევართა ერთი ნაწილის (მ. ბროსე, დ. გულია, ზ. ანჩაბაძე, გ. ანჩაბაძე და ა.შ.) აზრით, ისინი უნდა იყვნენ შთამომავლები შარვანშაჰთა სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლისა, რომელიც დავით აღმაშენებელმა აფხაზეთში გადაიყვანა ანისის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ.[2] მაგრამ არსებობს მოსაზრება (ნ. ბერძენიშვილი) რომლის მიხედვითაც,

---

* პირველად დაიბეჭდა: *სპეკალი*. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი (http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/1/8). აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნებულია აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. იხ.: **Z. Papaskiri.** On National, Political and Cultural Self-Identity of the Sharvashidze Princedom. – *სპეკალი*. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი (http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/viewArticle/1/8); **Z. Papaskiri.** Zur Frage der nationalstaatlichen Mentalität des Herrscherhauses Scharvaschidse in Abchasien. – *Georgica*. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geshichte Georgiens und Kaukasiens. 31 Jahrgang 2008. SHAKER VERLAG. Aachen, გვ. 64-74 (https://iberiana.wordpress.com/afxazeti/scharwaschidse/); **З. Папаскири.** К вопросу о национально-государственной и культурной самоидентификации Абхазского владетельского дома Шарвашидзе. – *აფხაზეთის მოამბე*. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული ორგანო. №1(8) თბ., 2012, გვ. 5-17. იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებებით.

[1] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი. – ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. II. თბ., 1959, გვ. 33-34.

[2] **მ. ბროსე.** საქართველოს ისტორია, ***ნიკო ღოღობერიძის*** გამოცემა, ნაწ. I. ტფ., 1895, გვ. 154; **დ. გულია.** История Абхазии, т. I, Тифлис, 1925, გვ. 138, 208; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 192; **გ. ანჩაბაძე.** შარვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XI. თბ., 2006, გვ. 72-80.

შესაძლოა, შარვაშიძეთა წინაპრები აქტიურ როლს თამაშობდნენ აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში ჯერ კიდევ XI ს. შუა ხანებში.[1] კერძოდ, *„მატიანე ქართლისაჲ“*-დ წოდებულ ქრონიკაში მოხსენიებულია ვინმე ქუაბულელი ჭაჭას-ძე – ოთაღო, რომელიც *„მოაყენა* (ბაგრატ IV-მ – **ზ.პ.**) *ანაკოფიას გარე... აფხაზეთისა ლაშქრითა“*.[2] ამ შემთხვევაში ყურადღება მიექცა XII ს. მიწურულს მცხოვრები ერისთავის (შარვაშიძის) სახელის – დ-ოთაღოდ – მსგავსებას ქვაბულელ ჭაჭას-ძის სახელთან – ოთაღო, რის საფუძველზეც ზოგიერთ მკვლევარს (შ. ინალ-იფა) „ჭაჭას-ძე“, საერთოდ, საგვარეულო სახელის – „ჩაჩბას“ ქართულ ფორმად წარმოუდგენია.[3]

ვთვლით რა სავსებით დასაშვებად „ჭაჭას-ძე“ – „ჩაჩბას“ შორის იგივეობას, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება დავუკავშიროთ „ჭაჭას-ძე“-„ჩაჩბა“ „შარვაშიძეს“. როგორც სავსებით სწორად მიუთითა ზ. ანჩაბაძემ, აფხაზ თავად-აზნაურთა გვარების ქართული ფორმები უშუალოდ გამომდინარეობენ შესაბამისი აფხაზური გვარებიდან: მარშანია-ამარშანი, ინალიშვილი-ინალ-იფა, ანჩაბაძე-აჩბა, ძიაფშიშვილი-ძიაფშიფა, მარღანია-მაანი და ა.შ. რაც შეეხება შარვაშიძეს, ის ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს. ამ გვარის აფხაზურ ფორმას (აჩაჩბა) არაფერი აქვს საერთო მის ქართულ ფორმასთან – შარვაშიძე. ზ. ანჩაბაძის აზრით, შარვაშიძის ძველი ქართული ფორმა – „შარვაშა(ი)ს-ძე სიტყვასიტყვით ნიშნავს „ში(ა)რვანშაჰის შვილს“.[4]

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია გამოკვეთილი პასუხი შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომავლობაზე, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ისინი ეთნო-ტომობრივად თავიანთ თავს ერთნიშნად აფხაზ-აფსუებად მოიაზრებდნენ. მაგრამ აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლმა შექმნა ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროსაგან მოწყვეტილი საკუთრივ აფხაზური ნაციონალური სახელმწიფო. პირიქით ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მიუხედავად ერთგვარი გაუცხოებისა, რაც გამოწვეული იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან მოძმე ჯიქ-აფხაზთა მთიელი ტომების ახალი ტალღის მოწოლითა და მათი თავდაპირველად აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში, ხოლო მოგვიანებით უფრო სამხრეთი-

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** წერილი რედაქტორს. – *„ლიტერატურული გაზეთი“*, 8.II.1957, №6.

[2] *მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 295.

[3] **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976, გვ. 141.

[4] **З. В. Анчабадзе.** Из истории.., გვ. 194; **З. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XV вв. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 179.

თაც დამკვიდრებით, აფხაზეთი გვიან შუა საუკუნეებში, ძირითადად, მაინც რჩებოდა საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანულ ნაწილად და შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლები ერთნიშნად მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს საერთო-ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას.

ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ნაწილად მოიაზრებდა აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეებს გვიან შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრიც. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოვლინდა XVII ს. ქართველი პოეტის ფეშანგი ხითარიშვილის პოემაში *„შაჰნავაზიანი“*. პოემის მიხედვით გადამწყვეტ მომენტში სოლომონ შარვაშიძე არ გამოეხმაურა ოდიშის დედოფლის ელენე გურიელის თხოვნას, დახმარებოდა მას და ეს იმით ახსნა, რომ მეფეს „ვერ შეებრძოლებოდა“.[1] სავსებით სწორადაა შენიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ სოლომონ შარვაშიძის თვალში ვახტანგ V მხოლოდ ქართლის მეფედ არ მოიაზრებოდა. ის მისთვის სრულიად საქართველოს მეფეთა ადგილზე მჯდომი და, ამდენად, მისი სიუზერენი იყო.[2]

აფხაზეთის მთავრები, მიუხედავად იმისა, რომ მათ რამდენადმე მიივიწყეს ქრისტიანული ცხოვრების წესი, ამ პერიოდშიც პატივს მიაგებდნენ „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსებს და ერთმნიშვნელოვნად თვლიდნენ მათ თავიანთ სულიერ მამებად. და ეს მაშინ, როდესაც „აფხაზეთის“ კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში იყო გადმოტანილი. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ყვაპუ შარვაშიძის (XVII ს. მიწურული XVIII ს. დამდეგი) მიერ „აფხაზეთის“ კათალიკოს დავით ნემსაძისადმი დაწერილი ფიცის წიგნის ფრაგმენტი: *„დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ შარვაშიძემან ბატონმან ყვაპუ და ჩემმან ძმამ ქერექიმ თქუენ ჩრდილოისა და აფხაზეთისა კათალიკოზსა დავითს...“*.[3] შემორჩენილია სხვა ფიცის წიგნებიც, მათ შორის, *„საფიცრის წიგნი“*, რომელიც მიართვა ყვაპუ შარვაშიძემ და მისმა ვაჟმა ავთანდილმა „კათალიკოზს ბატონს გრიგოლს“ (გრიგოლ ლორთქიფანიძე – **ზ.პ.**).

აფხაზეთი, მიუხედავად პირველყოფილობისკენ მობრუნებისა, რომელმაც ნამდვილად გამოიწვია რეგიონის საერთოკულტურული დონის დაცემა, ამ პერიოდში მაინც რჩებოდა ქართული წერილობითი კულტუ-

---

[1] **ფეშანგი.** შაჰნავაზიანი. ***გ. ლეონიძის*** და ***ს. იორდანიშვილის*** რედაქციით, ტ. I. თბ., 1935, გვ. 73-74; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 104.

[2] **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 103; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 101.

[3] **ს. კაკაბაძე.** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I. ტფ., 1921, გვ. 88; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 117; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე.., გვ. 106.

რისა და წიგნიერების არეალში. ამის თავისებური მანიშნებელია „ფიცის წიგნები“ და აფხაზეთის მთავრის „კანცელარიიდან“ გამოსული სხვა ოფიციალური ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ქართულ ენაზე. ეს მასალები ერთმნიშვნელოვნად მოწმობს იმას, რომ ამ პერიოდში სახელმწიფო საქმის წარმოების ენა აფხაზეთში მხოლოდ ქართული იყო. XVIII ს. II ნახევარშიც კი, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ გააძლიერა ზეწოლა აფხაზეთზე და შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ცალკეული წარმომადგენლები აიძულა, მიეღოთ ისლამი, აფხაზეთი არ იყო ამოვარდნილი საერთო-ქართული ენობრივ-კულტურული სივრციდან. არაა შემთხვევითი, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა უმრავლესობა მათ შორის ისინიც კი, ვინც იძულებით გაამაჰმადიანეს (მაგ. როსტომ, მანუჩარ და ზურაბ შარვაშიძეები – XVIII ს. II ნახევარი), ქართული სამყაროსათვის ტრადიციულ სახელებს ატარებდნენ. უფრო მეტიც, ქართული სახელები გვხვდება აფხაზების მონათესავე უბიხებშიც. ასე მაგალითად XIX ს. I ნახევარში უბიხთა წინამძღოლები ყოფილან **ლევან ცანუბაია**[1] („ცანბას“ მეგრული ტრანსკრიპცია) და **ზურაბ** ხამიში.[2]

აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა მიერ ორგანიზებული ჯიქ-აფხაზთა შემოჭრა და დაფუძნება ისტორიული ოდიშის ტერიტორიებზე, მიუხედავად გარკვეული თავისებურებებისა, მთლიანად ჯდებოდა ფეოდალური შუღლისა და შინაომის ფარგლებში. შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლები, აფართოებდნენ რა სამეგრელო-ოდიშის ტერიტორიების ხარჯზე თავიანთ სამფლობელოებს, როგორც უკვე აღინიშნა, სულაც არ ფიქრობდნენ, შეექმნათ საერთო-ქართული სახელწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემიდან მოწყვეტილი რაღაც აფხაზურ-აფსუური ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მათი მთავარი მიზანი (ისევე, როგორც ოდიშელ დადიანთა და გურიის მთავარ გურიელთა) იყო, დაწინაურებულიყვნენ სწორედ რომ შიდაქართულ პოლიტიკურ არენაზე და დაეკავებინათ წამყვანი პოზიციები საერთოქართულ სახელმწიფობრივ-პოლიტიკურ სივრცეში, ანუ შარვაშიძეთა სახლს ვერ წარმოედგინა თავი ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსაგან მოწყვეტით.

პირიქით, შარვაშიძეები ყოველნაირად ცდილობდნენ პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინათ როგორც დადიანთა ადგილის, ისე თვით იმერეთის სამეფო ტახტის დასაკავებლად. ამას თვალნათლივ ადასტურებს თუნდაც სორეხ შარვაშიძის მიერ ოდიშის სამთავრო ტახ-

---

[1] *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею* (შემდგომ — *АКАК*). Под ред. **А. Берже,** IV.Тифлис, 1870, გვ. 426, 429, 953.

[2] *АКАК*, т. IX, ч. I. Тифлис, 1884, გვ. 505.

ტის დაკავების მცდელობა XVIII ს. 80-იანი წლების დამდეგს.[1] შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები რომ სულაც არ აპირებდნენ ენგურზე შეჩერებას და სამეგრელოს ცენტრალურ რაიონებში შეჭრასაც გეგმავდნენ, ჩანს ყვაპუ შარვაშიძის ქმედებებიდან. მან გადმოლახა მდ. ენგური, დაიკავა სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტი – რუხი და ის ფაქტობრივად თავის რეზიდენციად აქცია.[2] ცნობილია, რომ ყვაპუ შარვაშიძე სწორედ რუხში გარდაიცვალა 1704 წელს. საინტერესოა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით გელათიდან საგანგებოდ ჩამოვიდა „აფხაზეთის“ კათოლიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელმაც ჭირისუფლის ოჯახისაგან „ნიშანი“ (ანუ სპეციალური გადასახადი ეკლესიის სასარგებლოდ: გარდაცვლილის პირადი ნივთიარაღი, შეკაზმული ცხენი, ყმა-მამული) აიღო.[3]

ნათელ დადასტურებად იმისა, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლები ერთნიშნად მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს, გარდა ყვაპუ შარვაშიძის ზემოთნახსენები საფიცრის წიგნებისა, შეიძლება მივიჩნიოთ ქელეშ-ბეი შარვაშიძისა და მისი მემკვიდრეების: გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძისა და მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მათი კანცელარიიდან გამოსული სხვა ოფიციალური დოკუმენტები. დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ეს მთავრები თავიანთ ოფიციალურ და არაოფიციალურ მომოწერას მხოლოდ ქართულ ენაზე აწარმოებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამას ადასტურებენ თვით კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები. კერძოდ, მიხეილ შარვაშიძის კარზე მყოფი რუსი გენერლის კოცებუს განცხადებით *„მთავარ შარვაშიძეთა გვარში მიღებული წერილობითი ენა ქართულია“*.[4]

ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ქელეშ-ბეი შარვაშიძის მიერ შედგენილი ხელწერილი (დათარიღებულია 1806 წლის 20 მაისით), რომელიც მან მისცა თავის ძმისწულს სოსრანბეგს: *„ესე ხელწერილს გაძლევ შენ, ჩემს ძმისწულს ბექირბექის შვილს სოსრანბეგს, ასე*

---

[1] **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 114.

[2] **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 121.

[3] *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***ი. დოლიძემ.*** ტ. III, თბ., 1970, გვ. 670; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა.., გვ. 122.შ

[4] *«В фамилии князей Шарвашидзе употребительний письменный язык грузинский»*. იხ.: **შ. ჩხეტია.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. 1853-1855 წწ. – *საისტორიო მოამბე*, №15-16, თბ., 1963, გვ. 154. ფრაგმენტები აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა ოფიციალური და არაოფიციალური მიმოწერიდან იხ.: **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის.., გვ. 105-108, 120, 122, 126-127, 129-130, 166-170, 186.

რომ მე და შენ შევგულძვირდით და ღენერალ–მაიორ რიქხოფს და ბატონ დედოფალს (სამეგრელოს მთავრის ქვრივი ნინო ბაგრატიონი-დადიანი – **ზ.პ.**) *ეახელი; აწ ამათმან უგანათლებულესობამ ინება ჩვენი და შენი გარიგება და თავათ დედოფალი მობრძანდა... და გაგვარიგეს, ასე რომ რაც მამა შენს ბექირბეგს ადგილ–მამული, ყმა და მოსამსახურე ჰყავდა, ან რაც ჰქონდა, სრულათ ოთხივე ძმებისათვის მოგვიცემია მამიშენისეული ადგილ–მამული; კიდეც როგორც რიგი არის ბატონყმობისა, ისე თავის ყმა იმსახურე და შენდა ნებად გყვანდეს, და ჩემგან არც სიკვდილით, არც დაჭერით, არც კაცის შეჩენილობით ფიქრი არ გქონდეს, თუ ცხადად შენგან ვნება არ გამოცხადდეს რა...“.*[1]

ქელეშ-ბეი შარვაშიძის ეს ხელწერილი ინტერესს იწვევს სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის შედგენილია შუა საუკუნეების საქართველოში გამომუშავებული დიპლომატიკური ნორმების მიხედვით. გარდა ამისა საყურადღებოა ის, რომ ეს ხდება არა სამურზაყანოში, რომელიც მეტად იყო ინტეგრირებული დანარჩენ საქართველოსთან, არამედ ე.წ. „უშინაგანეს“ აფხაზეთში, იმ მთავრის კარზე, რომელიც ითვლებოდა „მართლმორწმუნე მუსლიმად“. აი, ეს აფხაზეთიც ცხოვრობდა იმ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის („რიგი ბატონყმობისა“) პირობებში, რომელიც საყოველთაო იყო მთელი საქართველოსათვის. ყოველივე ეს აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მიუხედავად გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ერთგვარი „გაბარბაროსებისა“, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, გამოწვეული იყო მონათესავე მთიელ ტომთა ახალი ტალღის ჩამოწოლით, ეს რეგიონი მაინც ქართული ფეოდალური სამყაროს ნაწილად მოიაზრებოდა, ხოლო სამთავროს ოფიციალურ ენად კვლავ ქართული რჩებოდა.

შარვაშიძეთა სამთავრო სახლის საერთო-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური მენტალიტეტი ყველაზე მკაფიოდ მაინც გამოვლინდა აფხაზეთის რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ შესვლის თაობაზე გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის მიერ თავისი ოფიციალური დოკუმენტის – ე.წ. *„სათხოვარი პუნქტების“* ქართულ ენაზე შედგენაში.[2] სავსებით სწორადაა შენიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ, *„სათხოვარი პუნქტების“* მომზადებისა და წარდგენის პროცედურაში,[3] უდავოდ იდო გარკვეული პოლიტიკური

---

[1] *АКАК*. Под ред. ***А. Берже,*** т. II. Тифлис, 1868, გვ. 190; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები.., გვ. 129-130.

[2] სრული ტექსტი იხ.: გაზ. *„სახალხო განათლება“*, 1989 წ. 31 მაისი.

[3] *„სათხოვარი პუნქტების“* ტექსტი თავდაპირველად შეუქმნიათ რუსეთის საგარეო სამინისტროში, შემდეგ ის უთარგმნიათ ქართულად და როგორც **ორიგინალი,** გიორგი შარვაშიძის ხელმოწერითა და ბეჭდით, აგრეთვე აფხაზეთის თავადთა ხელმოწერებით დამოწმებული რუსული ტექსტის დართვით, წარუდ-

აზრი.[1] ანუ თავისი დოკუმენტის, რომლის თანახმადაც, აფხაზეთი ოფიციალურად ამყარებდა ურთიერთობებს რუსეთის სახელმწიფოსთან, მაინცდამაინც ქართულ ენაზე გაფორმებით, აფხაზეთის მთავარი რუსულ მხარეს (და მთელ მსოფლიოს) ცალსახად უჩვენებდა, თუ რომელ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სამყაროს წარმოადგენდა აფხაზეთის სამთავრო საერთაშორისო ურთიერთობებში XIX ს. დამდეგს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის თაობაზე თავიანთ თხოვნას შარვაშიძეთა სახლის წარმომადგენლები, როგორც წესი, ისტორიული გარემოებებით ასაბუთებდნენ. აი, რას წერდა მაგალითად, ამასთან დაკავშირებით გენ. პავლე ციციანოვს სამურზაყანოს მთავარი მანუჩარ შარვაშიძე: *„ადრიდანვე უფლის დადიანის გრიგოლის დამორჩილებულ ვიყავ და ბრძანებითა მისითა პუნკტსა თქვენ მიერ წარმოგზავნილსა ხელი მოვაწერე... **ვინადგან ქვეყანა ჩვენი იყო ზედმოკიდებულ დადიანისა კერძო ვიდრე აშლილობისა ჟამამდე და არა აქვინდა უფლება, არ-ცა უწინარეს** და არცა ამას ჟამსა, არც პორტსა ათმანისა და არც ქელაშ-ბეგსა“.*[2]

და ბოლოს, ყველაზე, მნიშვნელოვანი არგუმენტი იმისა, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლი სრულიად გარკვევით მიიჩნევდა თავს საერთო-ქართული ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს განუყოფელ ნაწილად არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე და მისი ვაჟი – გიორგი შარვაშიძე დაკრძალეს მოქვის ტაძარში და მათი საფლავის ეპიტაფია ამოკვეთილია ქართული ასომთავრულით. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წ.) შემდეგაც შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები გამომწვევად უსვამდნენ

გენიათ რუსეთის ხელისუფლებისათვის. **Г. Г. Пайчадзе.** Абхазия в составе Российской империи. 1810-1917 гг. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* Тб., 1999, გვ. 217.

[1] **Г. Г. Пайчадзе.** Абхазия в составе Российской империи.., გვ. 217.

[2] *АКАК,* т. II.., გვ. 536 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.).** ამასთან დაკავშირებით არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აფხაზეთის შემოერთებისას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება თვითონაც ყოველნაირად უკეთებდა რეკლამას ე.წ. „ისტორიულ გარემოებებს“ და ხაზგასმით აფიქსირებდა, აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ისტორიულ ერთიანობას. ამას ნათლად ადასტურებს გენ. პავლე ციციანოვის სანქტ-პეტერბურგში გრაფ ა. ვორონცოვისადმი 1803 წ. 27 ოქტომბრით დათარიღებული შეტყობინება, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ ქელეშ-ბეი შარვაშიძე და მისი სამფლობელო XV საუკუნეში წარმოადგენდა ივერიის პროვინციას (*АКАК,* т. II.., გვ. 463). ისტორიულად ქართულ ქრისტიანულ სამყაროს აკუთვნებდა აფხაზეთს საქართველოს კიდევ ერთი მთავარმართებელი გენ. გუდოვიჩიც (*АКАК*, т. III. Тифлис, 1869, გვ. 208-209).

ხაზს იმას, რომ ისინი ქართველი თავადები იყვნენ.[1]

შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური თვითშეგნების შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება საგანგებოდ არ შევჩერდეთ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟისა და მემკვიდრის, XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის – გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობაზე.

გიორგი შარვაშიძე უდავოდ ტრაგიკული პიროვნებაა. მას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას მოუწია თავისი თანამემამულეების მძლავრი ანტირუსული ამბოხების (1866 წლის აფხაზთა აჯანყება) მედროშის როლში გამოსვლამ, რის გამოც თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა დევნას რუსეთის იმპერიული რეჟიმის მხრიდან. ქართული ფეოდალური არისტოკრატიის საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა გიორგი შარვაშიძემ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა როგორც მშობლიური აფხაზეთის, ისე თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს, რომელსაც ის ხშირად ივერიას უწოდებდა, სიყვარული და ერთგულება. ის, რომ გიორგი შარვაშიძე თავის სამშობლოდ პირველ რიგში მიიჩნევდა საქართველოს მთლიანად და არა საკუთრივ აფხაზეთს, არავითარ ეჭვს არ იწვევს. თუმცა ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას, ეჭვი შევიტანოთ მის, ისევე როგორც საერთოდ გვიან შუა საუკუნეების შარვაშიძეთა საგვარეულოს აფხაზობაში ეთნო-ტომობრივად. გიორგი შარვაშიძეს, რომელიც უდავოდ იყო ქართველი ისტორიულ-კულტურულად, სავსებით ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი ეთნო-ტომობრივი აფხაზობა. ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც მისი პოეტური შედევრი *„ვარადა“*, რომელშიც ის მთელი გრძნობით გამოხატავს სურვილს, რომ არ მოწყდეს თავის აფხაზურ ფესვებს:

„განგებავ! ამას ნუ მიწყენ,
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან წავიღულუნო
მამაპაპური ვარადა“ (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

სწორად აღნიშნავს აკად. სიმონ ჯანაშია, რომ *„მშობლიური თავისებურების დიდი გრძნობის წიაღში შეიძლებოდა მხოლოდ დაბადებულიყო ისეთი შედევრი, როგორიცაა... აფხაზური სიმღერა „ვარადა“* –

[1] ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ალექსანდრე შარვაშიძის ცნობილი რეპლიკა: *„მე არა აფხაზი, არამედ **ქართველი** თავადი ვარ“ («Я не абхазский, а **грузинский** князь»).* იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 611, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

უშინაგანესი ლირიკული მღელვარების პოეტური შენივთება“.[1]

და ეს აფხაზი, მშობლიურ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებული, თავისი კუთხისა და აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნე,[2] ამავე დროს იყო თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს ჭეშმარიტი შვილი და გულანთებული პატრიოტი, რომელიც ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, მედგრად დამდგარიყო საქართველოს სადარაჯოზე, დაეცვა მისი ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა და საკადრისი პასუხი გაეცა მისი დიდი სამშობლოს არაკეთილმოსურნეებისათვის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გიორგი შარვაშიძის წერილი გერმანული გაზეთის *„Berliner Tagebladt“*-ის რედაქტორისადმი, პასუხად აღნიშნულ გაზეთში კორესპონდენტ ლორენცის მიერ გამოქვეყნებული სტატიისა. ამ სტატიაში კორეპონდენტი მკითხველებს მოუთხრობდა მისი ყოფნის შესახებ გაგრაში პრინც ოლდენბურგის მიწვევით. კორესპონდენტის მტკიცებით, წვეულების დროს *„ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სუფრას“*, თურმე *„ერთ-ერთი სტუმრისათვის პალტო მოუპარავთ“*. ასევე ერთგვარი ზიზღით წერდა ლორენცი თბილისზეც, იგი აღნიშნავდა, რომ *„აქ ადამიანები და ცხოველები ერთნაირ მდგომარეობაში არიან“*.

პასუხობდა რა ამ პასკვილს, გიორგი შარვაშიძე წერდა: *„დიახ,* ***ჩვენ*** *ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ევროპული ცივილიზაციის სიმაღლეებს... და ამგვარი ჩამორჩენა შეიძლება გვამსგავსებს კიდეც სპილენძის ხანის ადამიანებს, მაგრამ ამის გამო არ ვწუხვართ, რადგან ვთვლით, რომ არაა აუცილებელი აითვისო ყველანაირი ნაგავი, ზოგიერთების მიერ პროგრესად მიჩნეული.* ***ჩვენ*** *ვცდილობთ მისგან გამოვარჩიოთ, ვითარცა მარგალიტი, ლიტერატურისა და ხელოვნების უთვალსაჩინოესი ნაწარმოებები, თვალს ვადევნებთ სიახლეებს მეცნიერებაში. ერთი სიტყვით ვიღებთ მხოლოდ იმას, რომელსაც ვთვლით სასარგებლოდ ... საზოგადოებისათვის. ასე უეშმაკოდ ვცხოვრობთ* ***ჩვენ*** *და ბ-ნი ლორენცი მეტად რომ ჩაწვდომოდა ყოფით მხარეებს, ის გაიგებდა ამას და ბევრ სხვასაც. გაიგებდა, რომ* ***ამ ხალხს,*** *რომლის მიმართაც ის ზიზღით განეწყო,* ***აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული;*** *რომ* ***ქართველები-რაინდები,*** *რომლებიც* ***ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიდიოდნენ პირველქრისტიანობის დასაცავად, იდგნენ კავკასიის კარიბჭესთან თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არა იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებში შეჭრილიყვნენ და სხვისი ქონება მიეტაცათ, არამედ მამულის დასაცავად, ქრისტიანული კულტურის და სამოქალაქო ყოფის დასაცავად;*** *გაიგებდა ასევე, რომ* ***ქართვე-***

---

[1] **ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე. *კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. – შრომები,* ტ. VI, თბ., 1988, გვ. 22.

[2] **ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე.., – *შრომები..*, გვ. 22.

ლებს აქვთ უმდიდრესი ძველი ეპიკური ლიტერატურა — მსოფლიო (დონის) ნაწარმოებების დარი; *გაიგებდა, რომ* ***ქართველ მეფეთა იერარქიაში*** *და* ***ხალხში გვხვდება არაჩვეულებრივი გმირებისა და გენიალური სიბრძნის ადამიანთა სახელები*** *და ა. შ. შეიძლება კიდევ ბევრი რამ თქმულიყო, მაგრამ ამ ხალხის წარსულის ოქროს ფურცლები, ერის ცრემლითა და სისხლით ნაპკურები, შეუძლებელია გადმოიცეს საგაზეთო წერილში. და, სიმართლე ითქვას, არც ღირს".*[1]

ამ წერილიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძისათვის აფხაზები და აფხაზეთი ქართველებისა და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეს არის ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი სამყარო. სწორედ ქართველთა და აფხაზთა ამ საერთო სამშობლოთი ამაყობს ის. აი, რატომაა, რომ 1917 წელს, როდესაც გამოიკვეთა ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების კონტურები, გიორგი შარვაშიძე მთელი არსებით მიესალმა ახალი ეპოქის დადგომას. ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს მისი წერილი,

---

[1] *«Да,* ***мы*** *ещё не дошли до европейской высоты цивилизации.., и такая отсталость может и делает нас похожими на людей медного века, но об этом не сожалеем, находим, что не следует усваивать себе... весь хлам, именуемый некоторым прогрессом, а* ***мы*** *стараемся выбирать из него, как жемчужины, выдающиеся произведения литературы и исскуства, следим за открытиями в науке, словом берём лишь то, что считаем с пользой применимым к жизни и обществу. Так бесхитростно* ***мы*** *живем, и если бы г. Лоренц больше вникнул в бытовые стороны, он бы понял все это и многое другое; узнал-бы, что* ***этот народ,*** *к которому он отнёсся презрительно,* ***имеет блестящее историческое прошлое;*** *что* ***грузины-рыцари, ходившие в крестовый поход поборниками первого христианства, стояли у врат Кавказа... в течение пятнадцать веков не для того, чтобы врываться в чужие страны и расхищать чужое добро, а для защиты отечества, – для охраны христианской культуры и гражданского быта,*** *узнал бы также, что у* ***грузин*** *есть богатейшая древняя эпическая литература, сравниваемая с мировыми произведениями; узнал бы, что в иерархии* ***грузинских царей и народа встречаются имена необыкновенных героев и людей гениальной мудрости*** *и т.п. Можно бы еще многое сказать,* ***но золотые страницы прошлого этого народа, омытые слезами и кровью всей нации,*** *нельзя передать в газетном столбце. По правде говоря и не стоит...».* იხ.: *Письмо светлейшего князя Г. М. Шервашидзе, посланное им в ред. Газ. «Berliner Tageblatt».* – გაზ.: *«Закавказская речь»*, №146, 1911. ტექსტი მოტანილია: **ს. ლეკიშვილი.** გიორგი შარვაშიძე. *დოკუმენტური მასალები. – საქართველოს მოამბე*, №31-32, თბ., 1975, გვ. 85-286 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). რუსული ტექსტის ქართულად თარგმნისას ნაწილობრივ გამოყენებულია ოთარ ჭურღულიას თარგმანი. იხ.: **ო. ჭურღულია.** გიორგი შარვაშიძე. – ***გიორგი შარვაშიძე.*** თხზულებანი ორ ტომად. ტ. 2. ქუთაისი, 2006, გვ. 88-90.

გამოქვეყნებული გაზეთ *„საქართველოს“* (1917 წ. 25-29 ივნისი) ფურცლებზე: *„მართალია,* ***ჩვენს სამშობლოს ივერიას*** *ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ* ***ჩვენი*** *წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკულმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც კი ვიქნებოდით* ***ჩვენ*** *დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მოვიტანეთ* ***ჩვენი*** *კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდი, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკულმართად დატრიალდა ერის არსება. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ქონება-შეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში... ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელგულდაკრეფილი, იდგა საფლავებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკივლა ვაშა, ვაშა!“* და ასეთი ეროვნული გამოღვიძების ფონზე გიორგი შარვაშიძეს გულს უკლავს მავანთა შეძახილები: *„ჩვენ არა გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას, ხალხი ქვეყნიერობისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხოლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთე-შეღავათი. ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურიგდეს მიწათ მუშებს, ძირს წოდება და მიწათპატრონობა და სხ... აგრე – სოფლურ ანგარიშზე ჩამოქვეითდა ბრწყინვალე მზე ერის განთავისუფლებისა და გამოცოცხლებისა“.*[1] მართლაც ძნელია არ აღფრთოვანდე გიორგი შარვაშიძის ამ დიდი ეროვნული, ჭეშმარიტად ილიასეული შემართებით.

გიორგი შარვაშიძის, როგორც საქართველოს დიდი პატრიოტის, მამულიშვილის, მშობლიური ქვეყნის ჭირ-ვარამზე მუდმივად მაფიქრალი კაცის ეროვნული სატკივარი შესანიშნავადაა გადმოცემული ლექსში *„პასუხი ვ.ო.“*, რომელიც მას დაუწერია ბათუმში 1883 წ. გაზეთ *„დროებაში“* (№1, 1883წ.) გამოქვეყნებული ვახტანგ ორბელიანის ლექსის –

---

[1] **გ. შერვაშიძე.** სოციალიზმი და საქართველო. – გაზ.: *„საქართველო“*, №137-140, 1917 წ.; ***გიორგი შარვაშიძე.*** *თხზულებანი ორ ტომად.* ტ. I. ქუთაისი, 2006, გვ. 306-307, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

„ამერ-იმერს“ წაკითხვისაგან მიღებული შთაბეჭდილებების ფონზე.[1] ამ ლექსში (ის ცენზურის ზეწოლის შედეგად ვერ დაბეჭდა *„დროებამ“*) გიორგი შარვაშიძე უერთდება მეგობარი პოეტის პატრიოტულ სულისკვეთებას და გულისტკივილით იგონებს იმ დროს, როდესაც საქართველო იყო ერთიანი:

„...დიაღ, მოგასწროს ის ბედნიერი
დღე, როცა ხალხში შეერთებული,
ძველებურათა ძველი ივერი
შეიქმნას მძლე და სახელ-ქებული

და საქართველოს ყოველ კუთხიდამ
ლხინის საყვირთა გვესმას ტკრციალი;
იმერთა მღერა მთისა ლიხიდამ,
ამერს დასძახდეს იარი-იალალი!..

დე, ნუღარ ვიყო მაშინ ცოცხალი
და ნუღარცა სცემს ტანჯული გული,
ეხლავ წინდაწინ ოცნებით მთვრალი
შენთან გახლავარ, ძმავ ალლა-ვერდი!“[2]

გიორგი შარვაშიძე მწარედ განიცდის, რომ ქართველობაში დაიკარგა ერთიანობის შეგრძნება, ქვეყანა მოიცვა შურმა და დაპირისპირებამ.

„რაღაც პაწია დასები, აზრები აჭრელებულნი,
ვაჰმე სად არი ქართველი ძველის ძველიდან ქებული!
ყაყანი, ლანძღვა, ჭორები, შურიანობით სნეული,
კალმის და ხანჯლის პრიალი, ორივე დაჩლუნგებული.
ვაჰმე, იმერი სად არი გონება დამიწებული!..
სად არის ვახტანგ მტერთ მეხი, მათგანვე ლომ წოდებული,
მხარგრძელი, სარდალთ სარდალი, ათასი წლისა ქებული,
ვახუშტი ბრძენი, რუსთველი ღვთაებით ამაღლებული,
და დავით მირონცხებული, არ ხედავს ის დიდებული,
რომ ყოველივე დაინგრა, რა ჰყო მან აღშენებული!“[3]

ამჯერად ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო თავს შევიკავებთ გიორგი შარვაშიძის ამ ბრწყინვალე ნაწარმოების ყოვლისმომცველი სრულ-

---

[1] ეს ლექსი მოიძია და გამოქვეყნა ს. ლეკიშვილმა. იხ.: **ს. ლეკიშვილი.** გიორგი შარვაშიძე.., გვ. 256-257.
[2] **ს. ლეკიშვილი.** გიორგი შარვაშიძე.., გვ. 256-257.
[3] **ს. ლეკიშვილი.** გიორგი შარვაშიძე.., გვ. 256-257.

ფასოვანი ანალიზისაგან, ვფიქრობთ, ეს სპეციალისტების საქმეა. ვიტყვით მხოლოდ, რომ გ. შარვაშიძის ეს ლექსი თამამად შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში ქართული პატრიოტული ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს.

გიორგი შარვაშიძეზე, როგორც ქართველ მოღვაწეზე, საქართველოზე, ქართულ ენაზე, **მშობლიურ** ქართულ მწერლობაზე მაფიქრალ და მზრუნველ კაცზე წარმოდგენა არ იქნება მეტ-ნაკლებად სრული, თუ არ შევეხებით მწერლის კიდევ ერთ პუბლიკაციას: *„ქართული ენის გარშემო“*,[1] რომელშიც ის ქართული სამწიგნობრო ტრადიციების აქტიური დამცველის როლში გვევლინება. მას არ მოსწონს *„სხვათა ენიდან უხეშად თარგმნა სიტყვისა და მიბაძვით გადმოლაგება სხვათა გონებრივი ვინაობისა“*. გიორგი შარვაშიძის აზრით, ეს *„**სამშობლო ენის** გადაგვარებისადმი“* მისწრაფების გამოხატულებაა.[2] ის მეტად შეწუხებულია აგრეთვე ქართულში უცხო სიტყვების უსისტემო მომრავლებით. მწერლის აზრით უცხო სიტყვებს და ტერმინებს *„უნდა მივმართოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრისა შინაარსი... დიაღ, საჭიროა ვეცადოთ **ჩვენს ენას** შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გადავაშენოთ, გარდავაგვაროთ“*.[3] როგორც ვხედავთ, აქაც ჭეშმარიტად ილიასებურ ზრუნვას იჩენს გიორგი შარვაშიძე მისი მშობლიური სამწერლობო ენისადმი.

დასასრულს, გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-პოლიტიკურ თვითშეგნებაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მის გამოსვლას ე.წ. *„აფხაზი ხალხის ყრილობაზე“*, 1917 წლის 8 ნოემბერს. ანტიქართულად განწყობილი აფხაზი ნაციონალისტი ლიდერების მიერ მოწვეულმა ამ თავყრილობამ ფეხქვეშ გათელა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრება და აფხაზი ხალხის მომავალი ცალსახად დაუკავშირა ე.წ. *„კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირს“*. „ყრილობის“ მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა პათოსმა და მიმართულებამ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პროტესტი გამოიწვია. როგორც აღნიშნავს თავისი სეპარატისტული განწყობილებებით ცნობილი მიხეილ ტარნავა, ყრილობაზე გამოცხადდა აკაკი ჩხენკელი – რუსეთის (IV) სათათბიროს დეპუტატი, *„ოზაკომის“* (*«Особый Закавказский комитет» – „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“* – ამიერკავკასიაში რუსეთის დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი ორგანო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ) წევრი, აგრეთვე სხვა ცნობილი პიროვნებები, რომელთა შორის გიორგი შარვაშიძეც იყო.

---

[1] გაზ. *„საქართველო“*, №169, 1915.

[2] გაზ. *„საქართველო“*, №169, 1915; **ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე.., – *შრომები..*, გვ. 20.

[3] გაზ. *„საქართველო“*, №169, 1915; **ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე, გვ. 20-21.

გიორგი შარვაშიძემ აფხაზურ ენაზე მიმართა „ყრილობის“ მონაწილეებს, აუხსნა მათ რუსეთში განვითარებული მოვლენების არსი, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და ქართველ ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა: *„თქვენ თქვენს უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში“.* ამ განცხადების შემდეგ, თანამოძმეთა ანტიქართული დემარშით გაწბილებულმა გიორგი შარვაშიძემ დატოვა დარბაზი და შემდგომ არც მობრუნებულა.[1]. სულ რაღაც სამ თვეში კი – 1918 წ. 19 თებერვალს – მთელი საქართველო შეძრა სოხუმიდან მოსულმა ცნობამ დიდი მამულიშვილის გარდაცვალების შესახებ.

გიორგი შარვაშიძის – აფხაზური თავადაზნაურული ელიტის ამ უკანასკნელი მოჰიკანის, ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის ნამდვილი ბურჯის, უეცარი გარდაცვალება 1918 წლის დამდეგს, როდესაც ახლადმოვლენილი აფხაზი ლიდერები ყოველნაირად ცდილობდნენ მისი მშობლიური კუთხის დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტას, რამდენადმე სიმბოლურიც კი იყო. თავისი დიდი სამშობლოს – საქართველოს – მხურვალე პატრიოტის, რომელმაც ჭეშმარიტად მამულიშვილური, შეურიგებელი პოზიციის გამო არაერთხელ იწვნია რუსეთის ხელისუფლების რისხვა, გულმა ვერ აიტანა თანამოძმეთა ღალატი. სავსებით ნათელი იყო, რომ ახალ აფხაზ ლიდერებს სრულიად განსხვავებული იდეალები ჰქონდათ. მათ უკვე არ შეეძლოთ და არც სურდათ გიორგი შარვაშიძის ნაკვალევზე სვლა. ამისთვის არ აღუზრდია ისინი „დედა-რუსეთს“.

სხვათა შორის, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელი ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. კერძოდ, აი რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ ნიკო თავდგირიძემ გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე: *„შენი ხალხისათვის თავისუფლების მოპოების ხმამაღლა აღიარების გამო იმ დროს, როცა ყველა წრის ჩვენ საზოგადოებას ღვთის წყალობად მიაჩნდათ რუსის მთავრობის ყურადღება, შენ აკრძალული გქონდა შენს სამშობლოში – აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება, მხოლოდ 1905 წლის შეკვეცილ უფ-*

[1] ეს მასალა გამოქვეყნებულია ბერლინში გამომავალ ქართულ გაზეთში *„თეთრი გიორგი“* 1931წ. იხ.: *გაუცხოების დასაწყისი (1917-1920). – „თეთრი გიორგი“*, ბერლინი, 1931. მითითებულია წიგნიდან: **დ. ჩიტაია.** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბ., 2006, გვ. 125-126.

ლებათა მოპოების შემდეგ შესძელ დაუბრკოლებლად აქ გეცხოვრა; და-უყონებლივ მოაშურე შენს ქვეყანას, მაგრამ რა დაგხვდა? ***იმ აბხაზებმა, რომლების ღირსებას უცხოელები შენით პატივს გცემდნენ, რომლების თავისუფლებისათვის შენ შესწირე მთელი შენი დიდებული კარიერა, ყოველივე შენი ქონება, სიმდიდრე, შენი აქ ჩამოსვლა ვერც კი შეამჩნიეს... შენი აქ ყოფნით ვერ ისარგებლეს. თუ ეს გარემოება მოსათმენი იყო ამ ორი წლის წინეთ, ეხლა ამ უკანასკნელ დროს,*** *როცა ყველა ეროვნებას მიენიჭა თავისუფლად ამოსუნთქვის უფლება,* ***შენდამი უყურადღებობა სწორედ დანაშაულება იყო...*** *რა უსამართლობა, რა ირონია ცხოვრების:* ***მთელი შენი მშვენიერი, მომხიბლავი ახალგაზრდობის ძალა, არა ჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით აღსავსე გარემოება მსხვერპლად შესწირე იმას, რომ შენს პატარა, მაგრამ შენთვის ცხოვრებაში ერთადერთ საფასურ-განძს – აბხაზეთს თავისუფლება მოვლინებოდა და შენ უკანასკნელი თავის ძალით, როგორც ბიბლიური სიმონი მიჰგებებოდი მას, მაგრამ შენმა სიყვარულმა ხალხმა-აბხაზებმა გვერდი აგიხვია, ვერ შეგამჩნია შენ და იმ რუსის აღზრდა-აზროვნება-მიმართულებით გაჟღენთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთა შორის აღიარებული ბედნიერება შესწირე*".[1]

ასეთია ჩვენი დაკვირვებები შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-პოლიტიკურ მენტალიტეტზე. რასაკვირველია აქ მოტანილ მასალას არ შეიძლება ჰქონდეს მოცემული პრობლემის სრულად და ამომწურავად გაშუქების პრეტენზია, თუმცა ამ მცირედითაც სავსებით ნათელია, რომ შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და მოგვიანებითაც (აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე და შემდგომაც) ერთმნიშვნელოვნად ანსახიერებდნენ საერთოქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროს და თავიანთ თავს მოიაზრებდნენ ქართული პოლიტიკური ელიტის განუყოფელ ნაწილად.

---

[1] ჟურნ.: *„თეატრი და ცხოვრება"*, №10; წგნ.: ***გიორგი შარვაშიძე.*** *თხზულებანი ორ ტომად.* ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 39-40, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. *კავკასიური ომი XIX საუკუნეში და მისი შედეგები*[*]

კავკასია რუსული პოლიტიკური სამყაროს ინტერესების სფეროში მოხვდა ჯერ კიდევ კიევის რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე (IX ს. II ნახევრიდან), როდესაც ცალკეული რუსული (რუს-ნორმან-ვარიაგთა) რაზმები ლაშქრობდნენ კასპიისპირეთში.[1] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ლაშქრობები, ერთი შეხედვით, ნადავლის მოსაპოვებლად გამიზნული მეკობრული (ვარიაგ-ნორმანებისათვის დამახასიათებელი) ხასიათისა იყო, მეცნიერებაში თითქმის დადგენილად ითვლება, რომ IX-XI ს. I მესამედში კასპიისპირეთში განხორციელებულ სამხედრო აქციებს გარკვეული პოლიტიკური მოტივაციაც გააჩნდა და მათ უკან ახლად აღმოცენებული კიევის სახელმწიფო იდგა, რომელსაც სკანდინავიიდან მოსული რუს-ვარიაგი მთავრები განაგებდნენ.[2]

---

[*] გამოქვეყნდა კრებულში: *მარი ბროსე – 210*. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბ., 2012, გვ. 123-132 (ინტერნეტვერსია იხ. „ექსპერტთა კლუბის ვებგვერდზე: *Expert club* 11.07.2012. http://expertclub.ge/portal/cnid__12208/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx). ამ ნაშრომის რუსული ვერსია იხ. „ექსპერტთა კლუბის ვებგვერდზე: **З. Папаскири.** Некоторые аспекты имперской политики России на Кавказе. *Кавказская война и ее последствия* (http://rus.expertclub.ge/portal/cnid__12208/alias__Expertclub/lang__ru/tabid__2546/default.aspx). აღნიშნული პუბლიკაცია გამოქვეყნებულია აგრეთვე წგნ.: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*. Тб., 2012, გვ. 429-438 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf).

[1] ამის შესახებ ვრცლად იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 25-27; **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი.** საქართველო და ძველი რუსეთი. IX-XI საუკუნეების I მესამედი. – *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, ტ. XIV. თბ., 2010, გვ. 57-86.

[2] უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი მკვლევარი იქითკენაც, რომ აღნიშნული ლაშქრობები განხორციელებული იყო ძველი რუსეთის სხვა ცენტრებიდან – ჩერნიგოვიდან და აზოვისპირეთიდან. იხ.: **В. М. Бейлис.** О значении сведений средневековых арабских авторов для изучения внешней политики Древней Руси. – *Внешняя политика Древней Руси:* Юбилейные чтения, посвященные 70-летию со дня рождения чл.-корр. АН СССР ***В. Т. Пашуто***. Москва, 19-22 апреля 1988 г. Тезисы докладов. М., 1988, გვ. 10; **В. Я. Петрухин.** Походы Руси на Царьград: К проблеме достоверности летописи. – *Восточная Европа в древности и средневековье:* Международная договорная практика Древней Руси. IX Чтения памяти чл.-корр. АН СССР ***В. Т. Пашуто.*** Москва, 16-18 апреля 1997 г. Материалы к конференции. М., 1997, გვ. 68-69.

ძველი რუსული მატიანეები გვაწვდიან ცნობებს ცალკეულ რუს მთავრებსა და ჩრდილოეთ კავკასიელ ტომთა დაპირისპირების შესახებაც. კერძოდ, მათში მოთხრობილია კიევის დიდი მთავრის სვიატოსლავის მიერ „კოსოგებსა“ (ადიღები) და „იასებზე“ (ოსები) მოპოვებულ (965 წ.) გამარჯვებაზე; ტმუტარაკანის მთავარ მსტისლავ ვლადიმირის ძის გალაშქრებაზე (XI ს. 20-იან წლებში) „კოსოგების“ (ადიღების) წინააღმდეგ და ადიღთა ბელად რედედისთან მის ორთაბრძოლაზე[1] (ეს ფაქტი ცნობილია ადიღური გადმოცემებითაც).[2] იმავე რუსული მატიანის ცნობით, ალანია-ოვსეთის საზღვრამდე მისდია ყივჩაყებს 1116 წელს იაროპოლკ ვლადიმირ მონომახის ძემ, სადაც დაქორწინდა კიდეც ოსთა მთავრის ასულზე.[3]

მაგრამ რუსეთი, როგორც აქტიური პოლიტიკური მოთამაშე კავკასიაში რეალურად გამოჩნდა XVI ს. შუა ხანებიდან, მას მერე რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიანი რუსული სახელმწიფო და მისი ხელმწიფე – მოსკოვის დიდი მთავარი – ივანე IV 1547 წელს საზეიმოდ ეკურთხა მეფედ. ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) სახანოების დაპყრობის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო მოადგა კავკასიას. 1557 წელს დაიდო პირველი სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება მოსკოვსა და ყაბარდოს მთავარ თემურყვას (თემრიუკ იდაროვს) შორის, რომელიც დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოზიციები რუსეთმა სუნჯასა და თერგის შესართავთან (1567 წ.) და თერგის დელტაში (1588 წ.) ციხე-სიმაგრეების აგებით გაამყარა. უფრო მეტიც, სწორედ ამ პერიოდში (1564-1571 წწ.) ლევან კახთა მეფის ინიციატივით რუსულმა სამხედრო ნაწილებმა კავკასიონი გადმოლახეს და კახეთში ჩადგნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა XVI ს. 80-იან წლებში უკვე იურიდიულად გააფორმა თავისი პროტექტორატი კახეთის სამეფოზე, იმჟამად რუსეთი არ აღმოჩნდა მზად უფრო აქტიურად ჩართულიყო კავკასიის საქმეებში. მთელი XVII ს. მანძილზე მოსკოვის სახელმწიფო, მართალია, იჩენდა გარკვეულ დიპლომატიურ აქტიურობას ქართული პოლიტიკური ერთეულების მიმართ, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით რაიმე სერიოზული ნაბიჯები კავკასიის მიმართულებით არ გადაუდგამს. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, რუსეთი მეტ-ნაკ-

---

[1] *Повесть временных лет* по Лаврентьевской летописи 1377 г. Текст и перевод. Подготовка текста ***Д. С. Лихачева,*** пер. ***Д. С. Лихачева*** и ***Б. А. Романова*** под ред. ***В. П. Адриановой-Перетц.*** М.-Л., 1950, ч. I, გვ. 9.

[2] **Ш. В. Ногмов.** История адыгейского народа. Нальчик, 1958, გვ. 120-122.

[3] *Ипатьевская летопись*. – *Полное собрание русских летописей* (*ПСРЛ)*. Т. II. М., 1962, გვ. 284.

ლები წარმატებით ახერხებდა ცალკეული თემებისა და დაღესტნის ზოგიერთი სახანოს აყვანას მფარველობაში, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსეთის მყარ დამკვიდრებას რეგიონში.

მხოლოდ XVIII ს. 20-იან წლების დამდეგს პეტრე I-მა მოინდომა ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან კავშირში გადამწყვეტი დარტყმის მიყენება სპარსეთისთვის, მაგრამ ე.წ. „ლაშქრობა სპარსეთში“, რომლის მთავარი მიზანი იყო დასავლეთ კასპიისპირეთის რუსეთის სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოქცევა და სრული გავლენის დამყარება მთელ კავკასიაზე, წარუმატებელი აღმოჩნდა და კავკასიაში სტატუს-ქვო შენარჩუნდა. რუსეთის ხელისუფლება გადამწყვეტ შეტევაზე კავკასიის მიმართულებით გადავიდა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც მან გაგზავნა სამხედრო კონტინგენტი საქართველოში და ქართველ პოლიტიკურ ლიდერებთან – ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან ერთად პირველად განახორციელა სამხედრო მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ.

1774 წელს დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა პირველად შეიტანა მცირე კორექტივი ოსმალეთის პოლიტიკაში იმერეთის სამეფოს მიმართ. 1774 წელს ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემების (მეოთხე თემი – დიგორი იმჟამად ყაბარდოს ფარგლებში იყო და რუსეთს 1787 წელს შეუერთდა) წარმომადგენლების მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლებასთან დამთავრდა ამ თემების, და არა მითიური „ერთიანი“ ოსური სახელმწიფოს (ასეთი რამ იმჟამად საერთოდ არ არსებობდა), რომელიც თითქოს მოიცავდა ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსეთს“, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლით. 1774-1781 წლებში რუსეთმა შეიერთა აგრეთვე ჩეჩნური და ინგუშური თემები

1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატით, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა, რუსეთმა კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოზიციის განსამტკიცებლად. მაგრამ რუსეთის მფლობელობის დამყარებას წინ აღუდგა ჩრდილოეთ კავკასიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც წამოიწყო „საღვთო ომი“ („ჰაზავათი“) „ურჯულოების“, ანუ ქრისტიანების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ყოფილი მწყემსი უშურმა, რომელსაც ეწოდა შეიხი მანსური (არაბულად – „გამარჯვებული“). მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ აქედან უნდა დაიწყოს კავკასიის ომის ათვლა. რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ XVIII ს. 90-იანი წლების დამდეგს შეძლო ამ მოძრაობის ჩახშობა. მწვავე ანტირუსულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი დიდ ყაბარდოში 1794-1804 წლებში, სადაც ადრე ლოიალურად განწყო-

ბილი ადგილობრივი მუსლიმური ელიტა მოთმინებიდან გამოიყვანა კავკასიის გამაგრებული ხაზის მშენებლობამ. ყაბარდოელთა ეს აჯანყება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყარაჩაელები, ბალყარელები, ინგუშები, ოსები, სისხლში ჩაახშვეს. 1802 წელს გენ. კ. კნორინგმა გაატარა უმკაცრესი ზომები ურჩი თაგაურელი ოსების მიმართ და გადაწვა ოსური სოფლები.

ქართლ-კახეთისა (1801 წ.) და იმერეთის (1810 წ.) სამეფოების გაუქმებითა და საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებით რუსეთის ხელისუფლებამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და მთლიანად გამოაშკარავა თავის იმპერიული ზრახვები არა მხოლოდ ერთმორწმუნე საქართველოს, არამედ ზოგადად კავკასიის მიმართ. 1804 წლის მთიულეთის, 1810 წლის იმერეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებები იყო ქართველი ხალხის პასუხი რუსული იმპერიული რეჟიმის მიმართ. თანდათანობით მკაცრდებოდა რუსული რეჟიმი ჩრდილოეთ კავკასიაში, რამაც უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასა და მთიელ ხალხებს შორის.

ამ დროიდან ფორმულა *«Покорение Кавказа»* (კავკასიის დამორჩილება) ოფიციალური დოქტრინის რანგში იყო აყვანილი. ამ ამოცანის გადაჭრას ენერგიულად შეუდგა „კავკასიის რისხვად“ აღიარებული გენ. ალექსი ერმოლოვი (საქართველოს მთავარმართებელი – 1816-1827 წწ.), რომლის მოღვაწეობითაც იწყება ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის ახალი ეტაპი. მან უმკაცრესი ზომები გაატარა ჩეჩნების (მის სახელს უკავშირდება რუსული ციხე-სიმაგრის გროზნოს დასრულება) მიმართ, რომელთა დაშოშმინების შემდეგ ყაბარდოც დააწყნარა. ა. ერმოლოვმა პრინციპულად უარი თქვა მთიელთა ცალკეული ლიდერების მიმართ ყოველგვარ დათმობებსა და მოსყიდვის პოლიტიკაზე და კურსი ერთნიშნად მათი იარაღის ძალით მორჯულებაზე აიღო.[1]

ა. ერმოლოვის პოლიტიკა გააგრძელა მისმა შემცვლელმა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, გენ. ივანე პასკევიჩმა, რომელმაც პირდაპირი მითითება მიიღო იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მხრიდან საბოლოოდ დაემორჩილებინა მთიელი ხალხები, ან „გაეჟლიტა ურჩნი“: *„დაასრულებთ რა ამგვარად ერთ **სასახელო საქმეს,** – წერდა იმპერატორი, – **შეუდგებით მეორეს**, ჩემს თვალში **ასევე სასახელოს**... სარგებლიანობის თვალსაზრისით კი **უფრო მნიშვნელოვანს** – **მთიელი ხალხების სამარადჟამოდ დამორჩილებას, ან ურჩთა ამოწყვეტას**...“*.[2]

---

[1] **В. А. Потто.** Кавказская война. Т. 2. Ермоловское время. 2007, გვ. 10-11.

[2] *«Кончив, таким образом, одно **славное дело** предстоит вам другое, в моих глазах столь же **славное**, а в рассуждении прямых польз **гораздо важнейшее** – **усмирение навсегда горских народов или истребление непокорных...** ».* იხ.: **В. А. Потто.** Кавказская война. Т. 1. Вып. 1. СПб., 1897, გვ. 54, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ამან კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში და მალე იქ ახალი ძალით აზვირთდა კავკასიელ მთიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც 1834 წლიდან სათავეში შამილი ჩაუდგა. შეიქმნა იმამატის სახელმწიფო, რომელმაც თავდაპირველად დაღესტანი და ჩეჩნეთი მოიცვა, ხოლო მოგვიანებით მისი ხელისუფლება ჩერქეზებზეც გავრცელდა. 25 წელი გრძელდებოდა შამილის ბრძოლა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ის დასრულდა 1859 წ. აგვისტოში შამილის დატყვევებით. რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია – ჩეჩნეთ-დაღესტანი დაიპყრო, ურჩი მოსახლეობა (დაახლ. 100 000-მდე ჩეჩენი და დაღესტნელი) ოსმალეთში მუჰაჯირების სტატუსით გააძევა და მათ ადგილას რუსული დასახლებები შექმნა.[1]

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსული იმპერიული მანქანის რისხვა დასავლეთ კავკასიის ადიღურ (ჩერქეზულ) და აბაზურ მოსახლეობას დაატყდა, რომელიც აგრძელებდა თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას შამილის თანამებრძოლი მუჰამედ ემინი მეთაურობდა. მაგრამ კავკასიელ მთიელთა ეს თავგანწირული ბრძოლაც მარცხით დამთავრდა. 1859-1860 წლებში რუსებმა დაიმორჩილეს აბაძეხები, მუჰამედ ემინმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და დანებდა.[2] 1860 წ. იანვარში რუსულმა რეგულარულმა ნაწილებმა კონტროლი დაამყარეს ნათხვაჯებით, მახვაშებით, ბესლენეებით დასახლებულ ტერიტორიებზე.[3]

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს ჩანს იქიდან, რომ 1861 წ. სექტემბერში საომარი მოქმედებების ზონაში ჩავიდა თვით ალექსანდრე II, რომელმაც დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომთა – აბაძეხების, შაფსუღების, უბიხების და სხვათა წარმომადგენლებს ულტიმატუმი წარუყენა: ან გადასახლებულიყვნენ ყუბანისპირა დაბლობზე, სადაც სამუდამო მფლობელობაში მიიღებდნენ მიწებს, შეინარჩუნებდნენ თავიანთ სახალხო წყობილებასა და სასამართლოს, ან გადასახლებულიყ-

---

[1] **ბ. ხორავა.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთი. — *საისტორიო ძიებანი,* VII. თბ., 2004, გვ. 109-132 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2004); **მ. ტყავაშვილი.** დაღესტნელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ნაწილი I (იხ. *ექსპერტთა კლუბის* ინტერნეტრესურსი http://expertclub.ge/portal/cnid__10020/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx).

[2] *Акты, собранные Кавказской археографической комиссией* (შემდეგში – *АКАК*). Т. XII, ч. II. Тифлис, 1904, №705, გვ. 827-829, **ბ. ხორავა.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის.., გვ. 109-110.

[3] *АКАК,* т. XII, ч. II, №723, gv. 844; **Т. Макаров.** Племя адыгэ. III. – გაზ.: *«Кавказ»*, 1862, №31, **ბ. ხორავა.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის.., გვ. 110.

ვნენ თურქეთში.[1] მთიელებმა არ მიიღეს იმპერატორის შეთავაზება და ომი განაახლეს. ამასთან, მათ დელეგაცია გაგზავნეს სტამბოლსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში, მათ შორის ლონდონში, სადაც შეხვედრა ჰქონდათ პრემიერ-მინისტრ პალმერსტონთან, მაგრამ ყოველივე ამას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. მთიელები გაიწირნენ. მათ ისღა დარჩენოდათ, რომ ერთიანად ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ.

ამის შემდეგ მოვლენები მთლიანად რუსული სცენარით წარიმართა. რუსეთის ხელისუფლება, რომლის მთავარი მიზანი სწორედ ურჩი მთიელი «туземц»-ებისაგან კავკასიის გაწმენდა, გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე რუსული დასახლებების შექმნა და ამ გზით მხარის სრული გარუსება წარმოადგენდა, გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. 1864 წ. მაისში, თანამედროვე კრასნაია პოლიანას (ადრინდელი კბაადა) მიდამოებში რუსებმა საბოლოოდ დაამარცხეს ადგილობრივი აფხაზურ-ადიღური თემები და მათი სისხლით მორწყულ მინდორზე მოწყობილი გამარჯვების აღლუმით (1864 წ. 21 მაისს) საზეიმოდ გამოაცხადეს კავკასიის ომის დასრულება.[2]

კავკასიის ომის დროს რუსულმა სამხედრო მანქანამ გაწყვიტა ათეული ათასობით კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა. რუსეთის ჯარი მოქმედებდა შეუბრალებლად. ადგილი ჰქონდა ვანდალიზმის ფაქტებს. ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც ის თუ როგორ აჭრიდნენ თავებს მოკლულ მთიელებს რუსი ჯარისკაცები და გარკვეული საფასურის სანაცვლოდ აბარებდნენ მას სარდლობას, რომელიც ამ „მასალას“ უგზავნიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას?! ამას ფაქტობრივად დოკუმენტურად ადასტურებს რუსეთის არმიის ოფიცერი გრიგორი ფილიპსონი: *„ამ დღის* ***ნადავლს წარმოადგენდა მთიელთა რამდენიმე გვამი, რომელთაც თავები მოაჭრეს, ტილოში შეახვიეს და გაკერეს. თითოეული თავისათვის ველიამინოვი იხდიდა თითო თუმანს და თავის ქალებს აგზავნი-***

---

[1] *Записки М. Я. Ольшевского.* Кавказ с 1854 по 1866 гг. – *«Русская старина»*, 1895, т. 84, №10, გვ. 141; **В. Солтан.** Военныя действия в Кубанской области с 1861-го по 1864-й год. – *Кавказский сборник*, т. V. Тифлис, 1880, გვ. 355-359; *Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны.* Исторический очерк. Составил ***С. Эсадзе***. Тифлис, 1914, გვ. 119; **ბ. ხორავა.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა.., გვ. 115.

[2] *Известия о последних военных действиях на Западном Кавказе.* – გაზ.: *«Кавказ»*, 1864, 11/25 июня, №44; *Ахчипсху.* – გაზ.: *«Кавказ»*, 1864, №49; **В. Солтан.** Военныя действия.., გვ. 467-469; **С. З. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 23-24; **ბ. ხორავა.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის.., გვ. 127-128; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ, 177 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29913/1/Narkvevebi_I.pdf).

და მეცნიერებათა აკადემიაში. *ამიტომაც თითოეული მთიელის თავისათვის იყო შეუპოვარი ჩხუბი...* ***გვამებისა და თავების მოჭრის გამო ჩხუბი კავკასიის ჯარებში ჩვეულებად იქცა...*** *ზასმა, ჩვეულებისამებრ, ბრძანა მოკლულთათვის თავები მოეჭრათ და ამ ნადავლით დაბრუნდა ის თავის პროჩნი ოკოპში. ერთი წლის შემდეგ, მე შევხვდი გენერალ ზასს სტავროპოლში. ის მარხილით მგზავრობდა, მას მოჰყვებოდა სხვა მარხილები... „საით გაგიწევიათ თქვენო აღმატებულებავ და რა მიგაქვთ? – „მივდივარ... შვებულებაში და ველიამონოვისთვის ხურდად მიმაქვს გადაწყვეტილი საქმეები“.* ***ამ სიტყვებით, მან გახსნა ტილო, და მე ერთგვარად ზიზღმორეულმა დავინახე ორმოცდაათი შიშველი თავის ქალა. ველიამინოვმა ის გადააგზავნა მეცნიერებათა აკადემიაში“.***[1]

ომის დროს იყენებდნენ ე.წ. *„გადაბუგული მიწის“ («Выжженная земля»)* ტაქტიკას, რომელიც ითვალისწინებდა დაკავებული ტერიტორიების გადაწვას, რათა აყრილ მოსახლეობას არ გასჩენოდა მშობლიურ კარ-მიდამოში მობრუნების სურვილი. ამ თვალსაზრისით ნამდვილად გულისშემძვრელია რუსი ოფიცრის ივანე დროზდოვის აღწერილობა: *„თებერვლის მიწურულს* ***პშეხის რაზმი დაიძრა მდინარე მარტესკენ, რათა თვალყური მიედევნებინათ მთიელთა გასახლებისათვის და თუ საჭირო შეიქმნებოდა ძალით განედევნათ ისინი... გამაოგნებელი სურათი დაგვიდგა თვალწინ გზაში: ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მომოფანტული გვამები – ძაღლების მიერ დაგლეჯილი და ნახევრად შეჭმული... ცოცხლებს და ჯანმრთელებს იმის თავი არ ჰქონდათ, რომ მომაკვდავთ მიშველებოდნენ...*** *თურქი შკიპერები სიხარბის გამო როგორც ტვირთს აყრიდნენ ერთი მეორეზე ჩერქეზებს... ზედმეტებს კი ავადმყოფობის პირველივე გამოვლინებისთანავე აგდებდნენ გემბანიდან. ტალღები ანატოლიის ნაპირებზე გამორიყავდნენ ამ უბედურთა ცხედრებს... თურქეთს მიმავალთაგან ნახევარმა თუ მიაღწია დანიშნულ ადგილამდე.* ***ასეთი გასაჭირი უბედურება***

---

[1] ***«Трофеями этого дня были несколько трупов горцев, у которых отрубили головы, завернули и зашили в холст. За каждую голову Вельяминов платил по червонцу и черепа отправлялись в Академию Наук.*** *Поэтому за каждого убитого горца была упорная драка...* ***Драка за трупы и отрезывание голов вошли в нравы и обычаи Кавказских войск*** *... Засс, по обычаю, приказал отрезать головы убитых и с этим трофеем возвратился в свой Прочный Окоп. Через год после того, я встретил генерала Засса в Ставрополе. Он ехал на санях, а другие сани, закрытые полостию, ехали за ним. «Куда это, ваше превосходительство, и что вы везете»? – «Еду, земляк, в отпуск и везу Вельяминову в сдачу решенные дела».* ***С этим словом он открыл полость, и я не без омерзения увидел штук пятьдесят голых черепов. Вельяминов отправил их в Академию Наук»***. იხ.: *Воспоминания Григория Ивановича Филипсона*. М., 1885, გვ. 102, 127, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

იშვიათად თუ განუცდია კაცობრიობას; მაგრამ მხოლოდ საშინელებით შეიძლებოდა ზემოქმედება თავზეხელაღებულ ველურებზე და მათი განდევნა მთების მიუვალი გამოქვაბულებიდან... ამჟამად ყუბანის მხარის მთებში შეიძლება შეხვდე დათვს, მგელს, მაგრამ არა მთიელს“.[1]

ამ არაადამიანური მეთოდებით რუსეთის იმპერიამ მიაღწია დასახულ მიზანს: მშობლიური მიწა-წყლიდან აიყარა და მუჰაჯირობაში წავიდა ასეული ათასობით ადიღი (ჩერქეზი). იმჟამინდელი რუსული ოფიციალური მონაცემებით 1858-1865 წლებში ოსმალეთში გადასახლდა 493194 ადამიანი.[2] თვით ყველაზე ანტიკავკასიურად განწყობილი თანამედროვე რუსი ექსპერტ-ანალიტიკოსების აღიარებით კავკასიაში მხოლოდ ადიღების (ჩერქეზების) 5% დარჩა სამშობლოში.[3] მუჰაჯირობა შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა და ძირითადად 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დასრულდა. რასაკვირველია, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიელ მთიელთა ამ უდიდეს ტრაგედიაში გარკვეული წვლილი ნამდვილად ოსმალეთის მმართველ წრეებს, რომლებიც ეწეოდნენ აქტიურ ისლამისტურ პროპაგანდას და აგრეთვე „მთიელთა წინააღმდეგობის“ მაშინდელ ლიდერებსაც მიუძღვით, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ მისი მთავარი ავტორი და შემოქმედი მაინც რუსეთის იმპერიის ხელისუფლება იყო.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრი ადიღი (ჩერქეზი) ხალხებისაგან გაწმენდის შემდეგ, 1866 წელს რუსეთის ხელისუფლებამ დაკა-

---

[1] *«В конце февраля* ***пшехский отряд двинулся к речке Мартэ, чтобы наблюдать за выселением горцев, а если понадобится, то и силой выгонять их... Поразительное зрелище представилось глазам нашим по пути: разбросанные трупы детей, женщин, стариков, растерзанные, полуобъеденные собаками... Живым и здоровым некогда было думать об умирающих****... турецкие шкиперы, из жадности, наваливали, как груз, черкесов, нанимавших их кочермы до берегов Малой Азии, и, как груз выбрасывали лишних за борт при малейшем признаке болезни. Волны выбрасывали трупы этих несчастных на берега Анатолии... Едва ли половина отправившихся в Турцию прибыла к месту.* ***Такое бедствие и в таких размерах редко постигало человечество; но только ужасом и можно было подействовать на воинственных дикарей и выгнать их из неприступных горных трущоб****...* ***Теперь в горах Кубанской области можно встретить медведя, волка, но не горца****...».* იხ.: **И. Дроздов**. Последняя борьба с горцами на Западном Кавказе. – *Кавказский сборник*. Тифлис, 1877. Т. 2. გვ. 457, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **Ад. П. Берже.** Выселение горцев с Кавказа. – *Русская старина*, № 1. 1882, გვ. 168 (http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1840-1860/Berze/text2.htm).

[3] **А. Епифанцев.** Причины поражения адыгов в Кавказской войне. Кто был прав в будущем? (http://www.apn.ru/publications/article21543.htm).

ვებული ტერიტორიის ერთი ნაწილი ყუბანის ოლქის, ხოლო მეორე ნაწილი – შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო – შავი ზღვის ოკრუგის შემადგენლობაში მოაქცია, რომელიც 1896 წელს ყუბანის ოლქს გამოეყო და შავი ზღვის გუბერნიად გადაკეთდა.[1]

კავკასიის ომი მტკივნეული აღმოჩნდა საქართველოსათვის. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა რუსული იმპერიული რეჟიმის წინააღმდეგ პრინციპულად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა მიერ წარმოებული „საღვთო ომისაგან“. უკლებლივ ყველა ანტირუსული გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX ს. I მესამედში, მიზნად ისახავდა არა სრულ მოწყვეტას რუსეთისაგან, არამედ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერთგვარი ავტონომიის სახით.

უფრო მეტიც, კავკასიის ომში აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის რეგულარულ არმიაში მომსახურე ქართველი ოფიცრობა, ხოლო ქართული არისტოკრატიის პოზიცია მკაფიოდ გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა, იმჟამად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლმა თავის ადრესში კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი, რომელშიც მთელი წოდების სახელით მიულოცა (1864 წ. 9 ივნისს) მთავარსარდალს „კავკასიის დამორჩილება“ და ეს უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიარა: *„თქვენო საიმპერატორო უმაღლესობავ! თქვენ დაასრულეთ კავკასიის დამორჩილება და ამით შეიტანეთ ისტორიაში თქვენგან განუყოფელი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა. საქართველოს თავადაზნაურობის არჩეულები გილოცავთ თქვენს საიმპერატორო უმაღლესობას მთელი წოდების სახელით...“*.[2] თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველობა, ზოგადად, მათ შორის ისინიც კი ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთიელთა დამორჩილებაში (მაგ. გრიგოლ ორბელიანი), თანაუგრძნობდა მოძმე კავკასიელებს და მათი მშობლიური მიწა-წყლიდან გასახლების მიზეზად რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მთიელთა უკიდურეს შევიწროვებას ასახელებდა.[3]

ერთადერთი რეგიონი, რომელიც უშუალოდ აღმოჩნდა ჩათრეული იმიერკავკასიაში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებში, იყო აფხაზეთი.

---

[1] **ბ. ხორავა.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის.., გვ. 130-131.

[2] *«Ваше Императорское Высочество! Вы довершили покорение Кавказа и тем внесли в историю неразлучное с Вашим именем событие громадной важности. Избранные грузинским дворянством, приносим Вашему Императорскому Высочеству поздравление от имени всего сословия...».* იხ.: *Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны*, გვ. 181-182.

[3] **მ. ტყავაშვილი.** დაღესტნელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ნაწილი I (იხ. ინტერნეტ-ვერსია: http://expertclub.ge/portal/cnid__10020/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx).

ამას თავისი ახსნა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა სახლი, მთლიანობაში, პრორუსულ ორიენტაციას ადგა, აფხაზეთში, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, საკმაოდ ძლიერი იყო ანტირუსული განწყობილებები, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდა „ბრწყინვალე პორტა“. ოსმალთა პოლიტიკურ და, რაც მთავარია, რელიგიურ-იდეოლოგიურ გავლენას აფხაზეთზე ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა გვიან შუა საუკუნეებში მომხდარმა ეთნო-დემოგრაფიულმა ცვლილებებმა, რომელიც განიცადა რეგიონმა მონათესავე ჯიქ-აფხაზთა მთიელი ტომების ახალი ტალღის მოწოლის შედეგად. ამ ტომებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ოდესღაც განვითარებული ქრისტიანული მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული იერ-სახე. იძალა წარმართობამ და, რაც მთავარია, აფხაზური მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილმა ნაწილმა მიიღო ისლამი, რითაც ის თანდათანობით მოექცა ოსმალეთის პოლიტიკის ფარვატერში. აქედან გამომდინარე, აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ატარებდა მკვეთრად გამოხატულ ანტაგონისტურ ხასიათს და შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე „საღვთო ომის“ („ჰაზავათი“) შემადგენელი ნაწილი იყო.

კავკასიის ომის დამთავრებისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთისათვის მოიცალა და უმალვე გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, ხოლო მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთში გადაასახლა, სადაც 1866 წელს გარდაიცვალა. ეს გახდა მთავარი მიზეზი აფხაზთა მასშტაბური ანტირუსული გამოსვლისა, რომელიც იმპერიულმა რეჟიმმა სისხლში ჩაახშო. აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ იმავე სცენარი გაითამაშა, რეჟიმით უკმაყოფილო აფხაზები დედა-ბუდიანად აყარა მშობლიური მიწა-წყლიდან და მუჰაჯირებად აქცია. ეს იყო აფხაზთა პირველი დიდი მუჰაჯირობა. ამ დროს აფხაზეთი დატოვა და თურქეთში ჰპოვა თავშესაფარი 20 ათასამდე ადამიანმა. როგორც სავსებით სწორად შენიშნავს აფხაზი ისტორიკოსი სტ. ლაკობა, რუსეთს „აფხაზეთი სჭირდებოდა უაფხაზებოდ“.[1] მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ურჩ აფხაზთა ასალაგმავად.

XIX ს. 70-იან წლებში აფხაზეთში რუსული იმპერიული რეჟიმის მკვეთრად გამოხატული კოლონიური პოლიტიკის ფონზე გამოცოხლდნენ პროთურქული ძალები, რომლებიც აფხაზურ მოსახლეობაში მუდმივად აღვივებდნენ ანტირუსულ განწყობილებას. განსაკუთრებით გააქტიურდნენ მუჰაჯირები. სწორედ მათ მოახდინეს მძლავრი ანტირუ-

[1] **О. Х. Бгажба, С. З. Лакоба.** История Абхазии. *С древнейших времён до наших дней. 10-11 классы.* Учебник для общеобразовательных учебных учреждений. Сухуми, 2006, გვ. 240.

სული ამბოხის ინსპირირება, რომელსაც ფაქტობრივად ერთიანად აჰყვა გუდაუთისა და კოდორის უბნების აფხაზობა. ხელისუფლებამ მოახდინა დასავლეთ საქართველოში და ყუბანის მხარეში განთავსებული რეგულარული ნაწილების სრული მობილიზაცია და შეძლო აფხაზთა მორიგი შეიარაღებული გამოსვლის ჩახშობა. 1877 წლის აჯანყება იყო აფხაზთა ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოსვლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და ბუნებრივია, ის არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დაუსჯელი. მთავრობას უკვე არაფერი უშლიდა ხელს, სისრულეში მოეყვანა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ერთ-ერთი სატრაპთაგანის დ. სვიტოპოლკ-მირსკის მიერ აფხაზების თურქეთში გადასახლების ჯერ კიდევ 1877 წელს შემოთავაზებული გეგმა. ოსმალეთში ამ დროს სულ გადასახლდა დაახლოებით 30 ათასამდე აფხაზი, რომელთა ერთი ნაწილი უკან მობრუნდა. ხელისუფლება უფრო შორსაც წავიდა. 1880 წ. 31 მაისს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე II-ს ბრძანება, რომლის თანახმადაც დარჩენილი აფხაზობა ოფიციალურად გამოცხადდა *„დამნაშავე მოსახლეობად“ («виновное население»)*.

ამ მძიმე პერიოდში პირველი ვინც გამოექომაგა აფხაზ ხალხს იყვნენ მოწინავე ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი, იონა მეუნარგია და სხვ. აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ამ უდიდეს ტრაგედიაში ქართველი მოღვაწეები ერთმნიშვნელოვნად ადანაშაულებდნენ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას. ქართული საზოგადოებრიობა ყოველნაირად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა დიდ გასაჭირში მყოფ მუჰაჯირ-აფხაზებს და დახმარების ხელი გაეწვდინა მათთვის. ცნობილია არაერთი ფაქტი ამგვარი თანადგომისა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პოლკოვნიკ დიმიტრი ჭავჭავაძის (იმჟამად ბზიფის ოლქის უფროსის) საქმიანობა 1866 წლის აჯანყების შემდეგ, როდესაც მან გადააფიქრებინა აფხაზებს მუჰაჯირობაში წასვლა: *„ამ საგანზე ძლიერი ქება გვესმის აფხაზებისგანაც და სხვა გარეშე პირთაგანაც ბზუფუს მაზრის უფროსზედ თ. დიმიტრი ჭავჭავაძეზედ. მან გააგებინაო ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და მამობრივი მზრუნველობით აუხსნა მათი ახლანდელი და შემდგომი მდგომარეობა, რომ რუსეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნა სჯობიაო ოსმალეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნას. მთელი ბზუფუს მაზრა დარჩაო გადაუსახლებელი გარდა ერთი სოფლისა,.. ასე ამბობენ აფხაზები, ხალხი მას უმადლის“*.[1]

[1] გაზ. *„დროება“*, №23, 21 ივნისი, 1867 წ.

აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან. ზოგადი ხედვა*

20 წელი გავიდა 1993 წ. 27 სექტემბრის ტრაგედიიდან. 20 წელია, რაც ქართულმა სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი მის ძირძველ კუთხეზე, რომელიც ისტორიულად ყოველთვის იყო საერთოქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი. ამ 20 წლის მანძილზე ბევრი რამ გადახდა საქართველოს, იყო ჩავარდნები, წინსვლაც. ქართული სახელმწიფო, მიუხედავად ცალკეული წარუმატებლობისა, განსაკუთრებით კი 2008 წლის ყოველგვარ ზღვარსგადასული რუსული აგრესიისა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ე.წ. „დამოუკიდებლობის“ „დაკანონების“ უბადრუკი მცდელობისა, მაინც შედგა და საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მნიშვნელოვან მოთამაშედაც რჩება – არა მხოლოდ კავკასიის მასშტაბით.

ყველაზე მოუშუშებელი იარა, რასაკვირველია, აფხაზეთია. 20 წლის მანძილზე ქართული სახელმწიფოს ყველა მცდელობა, საერთო ენა ეპოვა ჩვენს აფხაზ თანამემამულეებთან, სამწუხაროდ, რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ჯერ კიდევ გადაულახავია იდეოლოგიური დაპირისპირება. მაშინ, როდესაც ქართული საზოგადოება 1992-1993 წლების კონფლიქტს სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ტრაგედიად, ძმათამკვლელ ომად, რომლიდან გამოსავალი აფხაზებმა და ქართველებმა ერთად უნდა იპოვონ, აფხაზური საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ტრაგედიას ერთნიშნად აფასებს, როგორც საქართველოსა და ქართველი ხალხის მიერ ჩადენილ დანაშაულს აფხაზი ხალხის წინაშე.

და მაინც რა მოხდა აფხაზეთში? რა შეიცვალა ბოლო 20 წლის განმავლობაში? რა გეოპოლიტიკური რეალიები მივიღეთ კონფლიქტის სამხედრო ეტაპის დასრულებიდან დღემდე? როგორია 90-იანი წლების დამდეგის მოვლენების და პოსტკონფლიქტური პერიოდის ხედვა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან? როგორია აფხაზური და ქართული საზოგადოებების დღევანდელი აღქმა 1992-1993 წლების ტრაგედიისა? რასაკვირველია, ერთ სტატიაში ძნელია ყველა ამ პრობლემაზე ამომწურავი პასუხის გაცემა, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით, ზოგადად წარმოვაჩინოთ ძირითადი ტენდენციები.

პირველი: რა მოხდა აფხაზეთში 20 წლის წინ და როგორ აფასებენ 27 სექტემბერს ენგურს გაღმა და გამოღმა. როგორც ცნობილია,

---

* გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერიოდული ორგანოში – *მაცნე*. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. 2013, გვ. 5-23. ამჟამად იბეჭდება მცირეოდენი რედაქციული და ტექნიკური ჩასწორებებით.

სეპარატისტული რეჟიმის მესვეურები და იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ, დაარწმუნონ აფხაზური საზოგადოება იმაში, თითქოს 1993 წლის 27-30 სექტემბერს აფხაზმა ხალხმა მოიპოვა ისტორიული გამარჯვება ე.წ. *„აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“*. ეს თეზისი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. განა სრული უაზრობა არაა, გამოაცხადო თავი გამარჯვებულად ყბადაღებულ ***„აფხაზეთის ხალხის სამამულო ომში“ («Отечественная война народа Абхазии»)***, რომლის „ძლევამოსილი დასრულების“ შედეგადაც ამ „აფხაზეთის ხალხის“ თითქმის 2/3 აიყარა მშობლიური კუთხიდან და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ეს 2/3 არ იყო „აფხაზეთის ხალხის“ ნაწილი, რაც სრული აბსურდია და ვერავითარ სამართლებრივ ნორმებში ვერ ჯდება. და განა ამის შემდეგ კიდევ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ ვინ არის მთავარი დამნაშავე აფხაზეთის ტრაგედიაში? განა ეს რასისტული მიდგომა არ ახდენს სრულ ლუსტრაციას იმისა, თუ ვინ როგორ უყურებდა და უყურებს აფხაზეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს? საბედნიეროდ, დღეს არა მარტო ცივილიზებულმა მსოფლიომ, არამედ თვით იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილმა რუსმა ექსპერტ-პოლიტიკოსებმა დაინახეს სეპარატისტთა ნაციონალისტურ-შოვინისტური (რასისტულიც კი) სახე და ღიად დაიწყეს მათი მხილება.

ამ მიმართულებით უკვე ძალიან ბევრი რამ იბეჭდება რუსულ პრესაში. მათგან გამოვარჩევ ცნობილი რუსი ექსპერტ-ანალიტიკოსის, კავკასიურ თემატიკაში საკმაოდ გათვითცნობიერებული პუბლიცისტის ანდრეი ეპიფანცევის შეფასებებს. ეს ის ა. ეპიფანცევია, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინ თავი გამოიჩინა ბინძური ანტიქართული პუბლიკაციებით,[1] ხოლო ბოლო დროს უკვე აფხაზებსაც გადაწვდა და შესაშური

---

[1] **Андрей Епифанцев.** Была ли Грузия союзником России? Политическая модель выживания грузинского государства. Проект Института национальной стратегии. – *Агентство политических новостей* (27.01.2009). http://www.apn.ru/publications/article21261.htm; **Андрей Епифанцев.** Национальные окраины Грузии. Условия распада. – *Агентство политических новостей* (26.01. 2010). http://www.apn.ru/publications/article22327.htm; **Андрей Епифанцев.** Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. – *Агентство политических новостей* (22.09.2009). http://www.apn.ru/publications/article21981.htm (ამ უკანასკნელი პასკვილის შესახებ იხ. ჩვენი კრიტიკული წერილი: **Зураб Папаскири**. О новых антигрузинских инсинуациях радетелей «независимой» Абхазии.*По поводу Статьи А. Епифанцева: Грузинская церковь. Павл, становящийся Савлом. Церковный вопрос. – Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии.* Гл. редактор: акад. ***Давид Мусхелишвили***. Издат.: *«Универсал»*. Тб., 2011, გვ. 25-60, http://iberiana.wordpress. com/afxazeti/papaskiri-2). 2014 წელს

მონდომებით მათი ნაციონალისტურ-შოვინისტური ბუნების მხილებას შეუდგა, რის გამოც ის დღეს აფხაზეთში, არც მეტი არც ნაკლები, Persona non grata-დაა გამოცხადებული. მარტო მისი პუბლიკაციების სათაურები რად ღირს – *„აფხაზეთი: აუხსნელი ყოფითი ხელგაშლილობა “ («Абхазия: необъяснимая щедрость бытия»); „ისევ აფხაზეთი. როგორ აქცევენ ხელისუფლებას მონოეთნიკურად“ («Опять Абхазия. Как власть делают моноэтничной»); „აფხაზეთში უკვე კლასიკური ეთნოკრატიაა“ («В Абхазии уже построена классическая этнократия»)* და ა.შ.[1] რუსული იმპერიული პოლიტიკის ამ ცნობილი რუპორის განცხადების თანახმად, ***„თანამედროვე აფხაზეთი – ეს არის შუა საუკუნეების ბანდიტურ-ეთნიკური პროექტი, რომელსაც დღევანდელი საზოგადოების პირობებში დიდხანს სიცოცხლე არ უწერია... ეს არის „ეთნიკურ-ბანდიტური ნაკრძალი“, რომლის არსებობის გადაფარვა რიტუალებით დამოუკიდებლობის თაობაზე და რაღაც „განსაკუთრებულ პროექტზე“, შეუძლე-***

აშშ-ში გამოქვეყნდა ამ პუბლიკაციის ინგლისური ვერსიაც იხ.: **Zurab Papaskiri.** On New Anti-Georgian Insinuations of Supporters of “Independent” Abkhazia. – *Certain Aspects of Georgia-Russian Relations in Modern Historiography*. Caucasus Region Political, Economical, and Security Issues. *NOVA* publishers. New York, 2014, გვ. 9-28.

[1] **Андрей Епифанцев.** Абхазия: необъяснимая щедрость бытия. Грузинский вопрос. – *Агентство политических новостей*. 12.04.2010. – http://www.apn.ru/publications/article22606.htm; **Андрей Епифанцев.** Опять Абхазия. Как власть делают моноэтничной. – http://kon-budenogo.livejournal.com/343081.html?thread=5344041; **Андрей Епифанцев.** В Абхазии уже построена классическая этнократия. – http://www.iarex.ru/articles/30547.html; **Андрей Епифанцев.** Опять к вопросу об этнократии в Абхазии. – *Эхо Кавказа*. 05.11.2012. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/24761473.html; **Андрей Епифанцев.** Абхазские выборы в условиях апартеида. – http://kavpolit.com/abxazskie-vybory-v-usloviyax-aparteida/?print. ა. ეპიფანცევის ამ „ანტიაფხაზურ“ დემარშებს, როგორც მოსალოდნელი იყო, უმწვავესი რეაქცია მოჰყვა აფხაზეთში და იქ ის, ფაქტობრივად, აფხაზი ხალხის მტრად გამოაცხადეს. მაგ. იხ.: **Виталий Шария.** Польза как от горького лекарства. В отношениях России и Абхазии закончился медовый месяц. – *Эхо Кавказа*. 17.05.2010. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/2044565.html; **Якуб Лакоба**. Злобная статья злобного автора. – *Кьараз*. Официальный саит Народной Партии Абхазии. – http://kiaraz.org/page219/; **Анатолий Отырба.** Государство – это вам не паравоз. – გაზ.: *«Новый день»*. №15 (276), 23.04.2010 და სხვ. **Теймураз Ачугба.** Очередные нападки на абхазский народ. – გაზ.: «*Нужная»*, #33, 31.08.2010 (ელექტრონული ვერსია: იხ.: *Материк*. Информационно-аналитический портал. – http://www.materik.ru/problem/detail.php?ID=10595; **Виталий Шария.** К вопросу об «этнократии» в Абхазии. – *Эхо Кавказа*. 01.11.2012. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/24758169.html და სხვ.

ბელია... ეს ჩიხია“ .[1]

არანაკლებ მწვავე შეფასებებს შეიცავენ სხვა ცნობილი ანალიტიკოსების პუბლიკაციები, რომლებშიც, ამასთან, უკვე ღიადაა საუბარი კრემლის კავკასიური პოლიტიკის კრახზეც.[2] აი ერთ-ერთი მათგანის ანდრეი ეპიშევის დასკვნა: «*რა მივიღეთ ჩვენ? მხოლოდ სამხედრო ბაზები. და რისთვის გვჭირდება ისინი, საქართველოს წინააღმდეგ? გამოდის ჩვენ ვომობდით საქართველოსთან აფხაზებისა და ოსებისთვის. იქნებ შევცდით?* ***განა უფრო მომგებიანი არ იქნებოდა გვემეგობრა საქართვე-***

---

[1] *«...**Нынешняя Абхазия «это средневековый бандитско-этнический проект, который не может существовать долго в условиях современного общества... «это этническо-бандитский заповедник», существование которого прикрывать «камланиями о независимости и о каком-то «особом проекте» невозможно»...«Это тупик».*** იხ.: **Андрей Епифанцев.** Опять Абхазия. Как власть делают моноэтничной. 28.04.2012 (http://kon-budenogo.livejournal.com/343081.html) (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] **Сергей Маркедонов**. Границы, дачи, здравый смысл. – *ПОЛИТКОМ.RU*. Информационный сайт политических комментариев. 10.12.2010. – http://politcom.ru/11162.html; **Дмитрий Стешин, Юлия Алехина.** Абхазия и Россия: Сладкая горечь в конце «медового месяца»**.** – *Комсомольская правда*. 17.08.2011. – http://www.kp.ru/daily/25737/2726014/; **Афанасий Глебов.** Записки из «Страны мертвецов». გამოქვეყნებულია ამ სერიის 7 წერილი. – იხ.: http://in-sider.org/politic/item/67-zapiski-iz-strani-mertvecov.html; http://in-sider.org/politic/item/69-zapiski-iz-strani-mertvecov-2.html; http://in-sider.org/politic/item/77-zapiski-iz-strani-mertvecov-3.html; http://in-sider.org/politic/item/81-zapiski-iz-strani-mertvecov-4.html; http://in-sider.org/politic/item/83-zapiski-iz-strani-mertvecov-5.html; http://in-sider.org/politic/item/87-zapiski-iz-strani-mertvecov-6.html; http://in-sider.org/politic/item/90-zapiski-iz-strani-mertvecov-7.html; **Афанасий Глебов.** Абхазию по распоряжению президента Багапша «зачищают» от русскоязычного населения. – http://www.iapm.ru/showpage.php?id=150&h=9; **Александр Росляков**. Абхазский дебош. Абхазия обкакалась в свои национальные штанишки, мы – в свои. – http://www.roslyakov.ru/cntnt/verhneemen/noviepubli/abhazski_d.html. 13.07.2011; **Антон Кривенюк**. Россия – Абхазия: сговор коррумпированных чиновников? – *Caucasus Times*. 27.6.2011. – http://www.caucasustimes.com/article.asp?id=20904; **Андрей Епишев.** Хватит кормить Абхазию! – http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html; *Абхазия – Россия: патронат или партнерство? – Апснынпресс*. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 4.04.2011. – http://apsnypress.info/news/2888.html; **Владимир Мишин.** Карманный посол. Абхазия как она есть. – *Агентство политических новостей*. 19.09.2011. – http://www.apn.ru/publications/article24922.htm; **Андрей Николаев, Виктор Ядуха.** Чисто абхазское убийство. – *ИА «Росбалт»*. 20.09.2013. – http://www.rosbalt.ru/exussr/2013/09/20/1177827.html და ა. შ.

ლოსთან და მოკავშირედ გვყოლოდა მთელი კავკასია“.[1] უფრო შორს მიდის სხვა (ამჯერად უკვე ბელორუსი) ანალიტიკოსი, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ *„თვით ეს* ***ომი*** (იგულისხმება 2008 წლის აგვისტოს რუსული ავანტიურა – **ზ.პ.**)... ***იყო შეცდომა. რუსეთს სჭირდება მოკავშირე საქართველო*** *და არა აფხაზეთი, ან სამხრეთ ოსეთი“*.[2]

სწორედ აქ მივადექით კიდევ ერთ პრობლემას აფხაზეთისადმი, ზოგადად საქართველოსადმი ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულების საკითხს. დიახ, ნამდვილად უფრო მომგებიანი იქნებოდა მეგობრობა საქართველოსთან და მოკავშირედ მთელი კავკასიის ყოლა. ანუ უკვე რუსი ანალიტიკოსებიც მიხვდნენ ვ. პუტინის სტრატეგიულ შეცდომას. სწორედ საქართველოა მთლიანად „კავკასიის გასაღები“ (ასე იყო ისტორიულად) და არა სომხეთი, რომ არაფერი ვთქვათ აფხაზეთსა და კომიკურ „სამხრეთ ოსეთზე“. სამწუხაროდ, რუსეთის სახელისუფლებო ელიტა, ჯერჯერობით, ვერაფრით ვერ ითავისებს ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას და საკუთარი გაუთვლელი და უგუნური პოლიტიკური კურსის მძევლად რჩება. ოფიციალური მოსკოვის გაუთავებელი მოწოდებები მსოფლიომ აღიაროს კავკასიაში 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილი ე.წ. „ახალი რეალობა“ პრაქტიკულად მთლიანად ბოიკოტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და ამ საკითხში რუსეთი სრულ დიპლომატიურ იზოლაციაშია მოქცეული.

რუსული დიპლომატიის სრული კრახი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოავლინა კრემლის მიერ ინიცირებულმა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ყბადაღებული „დამოუკიდებლობის აღიარების“ პროექტის ჩავარდნამ. როგორც ცნობილია, ამ „პროექტს“ მხოლოდ თითოოროლა (ფულით მოსყიდულმა[3]) კვაზიდიქტატორულმა რეჟიმებმა (ვე-

---

[1] *«А что имеем мы? Только лишь военные базы. А для чего они нам, против грузин?* ***Так с Грузией мы воевали из-за абхазов и осетин. Может быть мы ошиблись? Дешевле было бы дружить с Грузией и иметь в союзники весь Кавказ»***. იხ.: **А. Епишев.** Хватит кормить Абхазию! – *Новости России*. http://news-ru.blogspot.com/2012/02/blog-post_19.html (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] *«Сама та* ***война... была ошибкой. России нужна союзная Грузия,*** *а не Абхазия или Южная Осетия...»*. იხ.: **Вадим Гигин.** За Родину! За Путина! – *Новости Беларуси*. Белорусское телеграфное агентство. 27.02. 2012 – http://www.belta.by/ru/blogs?art_ID=140&auth_ID=16 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] რუსეთ-ვენესუელის საქმიანი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის ვ. სემაგოს ავტორიტეტული დასკვნით, *„კარაკასისათვის კრედიტით იარაღის მიყიდვა არის გადასახადი ვენესუელის მიერ აფხაზეთისა და სამხეთ ოსეთის აღიარებისათვის“* (*«продажа Каракасу оружия в кредит* ***является платой за признание Венесуэлой Абхазии и Южной Осетии****...»*. იხ.: **Александр Ъ-Габуев.** Уго Чавес не промахнулся мимо цели. Президент Венесуэлы рассказал народу, как ловко он занял у России

ნესუელა, ნიკარაგუა) და ოკეანეთის ჯუჯა-სახელმწიფოებმა (ნაურუ, ტუვალუ, ვანუატუ) აღმოუჩინა „დიპლომატიური თანადგომა“. თუ რა ტრაგიკომიკურ სახეს იღებს ს. ლავროვის უწყების დიპლომატიური მანიპულაციები აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარების „ფრონტზე“ და როგორ აკნინებს ეს რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე, ნათლად გამოავლინა ვანუატუს მაგალითმა, რომელმაც მოკლე დროში რამდენიმეჯერ შეიცვალა პოზიცია. ეს არის აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ სრული დისკრედიტაცია მსოფლიო თანამეგობრობის თვალში. სხვათა შორის, სწორედ ამგვარი დისკრედიტაციის საფრთხე ჰქონდა მხედველობაში „სუვერენული“ აფხაზეთის აწგარდაცვლილ „პრეზიდენტს“ სერგეი ბაგაფშს, როდესაც აცხადებდა, რომ მას არ სურს, რომ აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ *„აღიაროს, ვთქვათ, პაპუა-ახალმა გვინეამ, ზიმბაბვემ და კიდევ რომელიღაც ეგ ზოტიკურმა ქვეყნებმა“*.[1]

და ეს იმ ფონზე, როდესაც არათუ წამყვანმა სახელმწიფოებმა, არამედ თვით დსთ-ში შემავალმა რუსეთის ისეთმა სატელიტმა ქვეყნებაც კი, როგორიცაა ბელორუსი და სომხეთი, შორს დაიჭირეს თავი 2008 წ. აგვისტოს შემდეგ შექმნილი ე.წ. „ახალი რეალობის“ აღიარებისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია მეზობელი სომხეთის მაგალითი, რომლის ლიდერმა მეტად გამომწვევი ანტიმოსკოვური ნაბი-

---

$2,2 млрд и получил еще $1 млрд. – გაზ.: *«Коммерсантъ»,* #170 (4225), 15.09.2009. – http://kommersant.ru/doc/1237465, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). აღსანიშნავია, რომ თვით ანტიქართულად განწყობილი რუსი ანალიტიკოსებიც კი აღიარებენ, რომ „სუვერენული“ აფხაზეთის საერთაშორისო აღიარება ხდება *„ან რუსული ფულის, ან ფასდაკლების, ან კიდევ რუსული კონტრაქტების სანაცვლოდ“ («... либо **за российские деньги,** либо за российские скидки, либо за российские контракты... ».* იხ.: **Андрей Епифанцев.** Абхазия: необъяснимая щедрость бытия...).

[1] *«...признавала, скажем, Папуа – Новая Гвинея, Зимбабве, еще какие-то страны экзотические...».* იხ.: *Интервью с гостем радиостанции «Эхо Москвы» – Гости: Багапш Сергей*. 15.07.2009. http://www.echo.msk.ru/programs/beseda/605593-echo/. აღსანიშნავია, რომ ს. ბაგაფშს ამ განცხადების გამო აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტის ოპოზიციური ნაწილის კრიტიკის რისხვა დაატყდა თავს (იხ.: *Совместное заявление политических партий и общественных организаций*. – http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=23403) და მისი იმპიჩმენტის საკითხიც კი დაისვა (http://kiaraz.org/page123/). ამასთან, ბაგაფშის ოპონენტებმა „პრეზიდენტის“ განცხადებაში სავსებით სამართლიანად დაინახეს რუსეთის უპატივცემლობა და მიუთითეს, რომ *„ამ ტიპის გამონათქვამები ზიანს აყენებენ … მოსკოვის ავტორიტეტს, რომელმაც აიღო თავის თავზე აფხაზეთის მფარველის მისია“ («...подобные высказывания **наносят ущерб ... авторитету Москвы,** взявшей на себя роль покровителя Абхазии....* იხ.: *Совместное заявление политических партий и общественных организаций*. – http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=23403.

ჯი გადადგა. მან 2009 წ. ივნისში განსაკუთრებული პატივით მიიღო ერევანში ვიზიტად ჩასული საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც კრემლი ღიად დებდა ბრალს ე.წ. „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულში“[1] და, არც მეტი, არც ნაკლები, დააჯილდოვა ის სომხეთის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – ღირსების ორდენით,[2] ხოლო ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს პრეზიდენტს საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა.[3] აი, სწორედ ეს არის საქართველოს მიმართ გატარებული რუსული იმპერიული პოლიტიკის სრული დისკრედიტაცია და კრახი.

მიუხედავად ამისა, დღევანდელი კრემლის რეჟიმი, ჯერ კიდევ შორსაა მოვლენების ადექვატური შეფასებისაგან და არაფრით არ ეხსნება თავის იმპერიულ სწრაფვას, რადაც არ უნდა დაუჯდეს კვლავ დაეუფლოს საქართველო-კავკასიას. დღეს უკვე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვმა ამ მიზნის მისაღწევად სრულიად მცდარი გზა აირჩია. მან ვერ გათვალა საქართველოს როლი და ადგილი რეგიონის გეოპოლიტიკურ განლაგებაში, გეზი აიღო საქართველოს როგორც სახელმწიფოს მოსპობაზე და თბილისზე კონტროლის დამყარებით დანარჩენი სამხრეთ კავკასიის შემომტკიცებაზე. სეპარატისტული ამბოხებები აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ ამ გეგმის განხორციელების საშუალებები იყო. მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ მოცემული გეგმის პირველი ნაწილი თითქოს „წარმატებით“ შეასრულა – „გაიმარჯვა“ მის მიერვე პროვოცირებულ ომში და ურჩ საქართველოს დროებით მოწყვიტა ისტორიული კუთხეები – მაგრამ ვერ

---

[1] *Россия будет настаивать на привлечении М. Саакашвили к уголовной ответственности за совершенное преступление*. Заявление председателя Совета Федерации ***Сергея Миронова***. – http://www.garant.ru/news/14219.

[2] მოსკოვისათვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელი აღმოჩნდა „ორდენის დებულების“ ის ნაწილი, რომლის თანახმადაც აღნიშნული ჯილდო ენიჭებათ: „**მნიშვნელოვანი წვლილისათვის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებაში *(«за значительный вклад в дело укрепления мира между народами»)***. – *Армения наградила Саакашвили орденом* Чести. – http://news.mail.ru/politics/2689163/. აღსანიშნავია, რომ სერჟ სარგსიანის ეს დემარში რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში შეფასდა, როგორც არამეგობრული, რუსეთისადმი „შეურაცხმყოფელი“ ნაბიჯი, რომელსაც ***„შეუძლია შექმნას არაჯანსაღი ატმოსფერო რუსეთ-სომხეთის ურთიერთობებში“ («может создать непростую атмосферу в российско-армянских отношениях»)***. იხ.: **Владимир Гусев**: Наградив Саакашвили Орденом Чести, Армения оскорбила Россию. – *Новости федерации*. 26.06.2009. http://regions.ru/news/2223706/, (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] *Михаил Саакашвили стал почетным доктором Ереванского госуниверситета. – РИА НОВОСТИ* (http://ria.ru/world/20090625/175404739.html).

მიაღწია მთავარს, ვერ დააჩოქა საქართველო, ხოლო სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარებით სრულ დიპლომატიურ ჩიხშიც მოექცა. ამიტომაა მიჩნეული 2008 წლის აგვისტოს ომში რუსეთის გამარჯვება „პიროსის გამარჯვებად“.[1]

ამჟამად რუსეთი, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაშია. მას სამხრეთ კავკასიაში ჰყავს ერთადერთი მოკავშირე – სომხეთი, იქ განთავსებული რუსული სამხედრო ბაზით, რომლის შენახვა მოსკოვს ძალზე ძვირი უჯდება. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სატელიტი „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ რეგიონში ზოგადი გეოპოლიტიკური ბალანსის თვალსაზრისით რუსეთს არა თუ არაფერს აძლევს, არამედ საერთოდ წამგებიანია, რადგან გარკვეულ პრობლემებს უქმნის თვით ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც, ფაქტობრივად, სახეზეა რუსული სახელმწიფოებრიობის კოლაფსის ნიშნები.[2] უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში მოსკოვს სერიოზული პრობლემები შეექმნა თვით აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთშიც“.

ბუნებრივია, ასეთი სიტუაცია დიდ ხანს ვერ გასტანს. მართალია, კრემლში ჯერ კიდევ ეიფორიაში არიან და სჯერათ, რომ დღეს თუ ხვალ მაინც მოახერხებენ საქართველოზე სრული კონტროლის აღდგენას, მაგრამ, რაც დრო გადის, ეს იმედები სულ უფრო ილუზორული ხდება. აშკარაა, რომ ერთადერთი საშუალება, რომლითაც რუსეთი შეძლებს თავისი გავლენის აღდგენას საქართველო-კავკასიაში ეს ღია სამხედრო აგრესია და ქვეყნის ანექსიაა. სხვა მექანიზმები საქართველოს რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნებისა, მით უფრო სოხუმსა და ცხინვალში რუსეთის საელჩოების არსებობის ფონზე, უბრალოდ წარმოუდგენელია. რაც არ უნდა შეცვალოს რიტორიკა საქართველოს

---

[1] ეს ფორმულა ამ მოვლენასთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა აშშ-ის იმჟამინდელმა თავდაცვის მდივანმა რობერტ გეიტსმა. რადიოსადგურ *„თავისუფლების“* ინფორმაცია: იხ.: *The Georgian Times* (http://www.geotimes.ge/index. php?m=home&newsid=14647&lang=geo); **ზურაბ პაპასქირი.** საქართველო-რუსეთის ომი და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივები. – წგნ.: **ზურაბ პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 215. აღნიშნული სტატია სრულად იხ. აგრეთვე: http://iberiana.wordpress.com/afxazeti/perspeqtiva/.

[2] ამ მხრივ მეტად საშიში ვითარებაა დაღესტანში, რომელიც ჩეჩნეთის მოჩვენებითი „მორჯულების“ შემდეგ ყველაზე ცხელი წერტილია „რუსულ“ კავკასიაში. კრიტიკულ ნიშნულს უახლოვდება (მოახლოებული სოჭის ოლიმპიადის ფონზე) ვნებათა ღელვა ადიღე-ჩერქეზეთშიც, სადაც მოსკოვს სულ უფრო უჭირს აუხსნას ფედერაციის 3 სუბიექტში გადანაწილებულ ერთი (ადიღურ-ჩერქეზული) მოდგმის ხალხს, თუ რატომ შეიძლება „დამოუკიდებელობა“ ჰქონდეთ აფხაზებსა და ე.წ. „სამხრეთ ოსებს“, ხოლო ჩერქეზებს არ ჰქონდეთ ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თუნდაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

დღევანდელმა (თუ ნებისმიერმა მომავალმა) მთავრობამ და რაც არ უნდა დამთმობი გახდეს ის მოსკოვის მიმართ, პრაქტიკულად შეუძლებელია ოფიციალური თბილისი ოდესმე წავიდეს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის მოშლის იურიდიულ გაფორმებაზე.

ასეთ ვითარებაში, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთში ერთ დროს მართლაც გონს მოეგონ და გადასინჯონ თვით რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის აბსოლუტურად საზიანო კურსი. ანუ სავსებით შესაძლებელია, რუსეთის ხელისუფლებამ შეწყვიტოს სეპარატისტული რეგიონებით მანიპულირება, გაწიროს ისინი და ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანი სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარების გზით მეტ-ნაკლებად აღიდგინოს თავისი გავლენა კავკასიაში. ეს იქნებოდა სწორი გეოპოლიტიკური გათვლა, რომელიც რუსეთს გაცილებით მეტ პოლიტიკურ (და არა მხოლოდ პოლიტიკურს) დივიდენდებს მოუტანს, როგორც ქვეყნის შიგნით (პირველ რიგში, ჩრდილოეთ კავკასიაში), ისე საერთაშორისო არენაზე.

სხვათა შორის, ამის პირველი ნიშნები გამოჩნდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე დიპლომატიური ბატალიებისას. იმისათვის, რომ მოსკოვს თანხმობა მიეღო ქართული მხარისაგან და ამით დაეძლია უკანასკნელი ბარიერი მსო-ში გაწევრიანების გზაზე, რუსეთის ხელისუფლებას მოუნია მის მიერვე „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად „აღიარებული“ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „სუვერენიტეტის“ შემლახველი პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება. კერძოდ, კრემლმა 2008 წ. 26 აგვისტოს (სწორედ ამ დღეს მოხდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად ცნობა) შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტში პირველად დააფიქსირა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრო პუნქტებად ფსოუ და როკი, ხოლო აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ე.წ. „სუვერენული სახელმწიფოების“ ტერიტორია „სავაჭრო კორიდორებად“ გამოაცხადა, რამაც აფხაზური საზოგადოების პატრიოტულად განწყობილი ნაწილის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია.

ასე მაგალითად, მთავარი ოპოზიციური ძალის – რესპუბლიკური პარტიის *„აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“* ოფიციალურ განცხადებაში ღიადაა დაფიქსირებული, რომ რუსულ-ქართული შეთანხმება რუსეთის მსო-ში გაწევრიანების თაობაზე *„წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს აფხაზეთის სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, მის რეალიზაციას შეუძლია კონფლიქტის ზონაში, მთლიანად რეგიონში დაძაბულობის ესკალაციამდე მიყვანა.* ***აფხაზეთის დამოუკიდებელი სტატუსის, მისი სუვერენიტეტის ძირის გამოთხრის მცდელობა,*** *ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს,* ***უნდა შეფასდეს როგორც სერიოზული***

დანაშაული აფხაზეთის მთელი მრავალეროვანი ხალხის წინაშე. ამ შეთანხმება შეუძლია სერიოზული დარტყმა მიაყენოს აფხაზეთ-რუსეთის განვითარებად ურთიერთობებს“.[1]

აფხაზი ექსპერტები ღიად აცხადებენ, რომ *„რუსეთ-საქართველოს ორმხრივი შეთანხმება – არის პრეცენდენტი, როდესაც პირველად 2008 წლის შემდეგ რუსეთის მიერ დადასტურებულია საქართველოს უფლება ჩვენი საზღვრების მონიტორინგზე და, აქედან გამომდინარე, იურისდიქცია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე... საქართველომ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ვაჭრობა რუსეთთან აფხაზეთის საზღვრებისა და ტერიტორიის იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია. პირველად აღიარების შემდეგ რუსეთი ფაქტობრივად ახდენს დეზავუირებას აფხაზეთის იურისდიქციისა მის საზღვრებსა, ტერიტორიასა და მის სუვერენიტეტზე“* (**ლეილა ტანია**).[2]

*„რუსეთ-საქართველოს შეთანხმების მომზადების შედეგად **ჩვენ გავხდით სერიოზული კოპრომისის საგანი**. რუსეთის ამ ნაბიჯმა აჩვენა, რომ კომპრომისები საერთოდ შესაძლებელია“* (**ირინა აგრბა**).[3] აფხაზუ-

---

[1] *«... представляет собой серьезную угрозу национальной безопасности Абхазского государства, его реализация способна привести к эскалации напряженности в зоне конфликта, в регионе в целом.* ***Попытка подрыва,*** *от кого бы она ни исходила,* ***независимого статуса Абхазии, ее суверенитета, может быть расценена как серьезное преступление против всего многонационального народа Абхазии. Данное соглашение способно нанести серьезный ущерб развивающимся абхазо-российским отношениям****».* იხ.: *Заявление республиканской партии «Форум Народного Единства Абхазии». – Апснышпресс за 7 ноября* http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=30941 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] *«Двустороннее Соглашение России и Грузии – прецедент, когда* ***фактически впервые после 2008 г. Россией подтверждается право Грузии на мониторинг и контроль нашей границы, а, следовательно, и юрисдикцию над всей абхазской территорией... Грузия продемонстрировала, что торг с Россией в отношении юрисдикции над границами, а, следовательно, и над территорией Абхазии возможен. Впервые после признания Россия фактически дезавуирует юрисдикцию Абхазии над своей границей, а, следовательно, и ее суверенитет****...* იხ.: *»Вступление России в ВТО – выгоды и риски. Абхазская точка зрения*. – http://abkhaz-auto.ru/news/6/586/ (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] *«В результате подготовки российско-грузинского соглашения* ***мы оказались предметом серьезного компромисса.*** *Этот шаг России показал, что компромиссы вообще возможны».* იხ.: *Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО.* – http://www.apsnypress.info/news/abkhazskie-eksperty-obsuzhdayut-posledstviya-dlya-respubliki-rossiysko-gruzinskogo-soglasheniya-po-v/ (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

რი ოპოზიციის აღიარებული ლიდერი რაულ ხაჯიმბა განაწყენებულია იმით, რომ „*შეთანხმებაში* ***აფხაზეთი მოხსენიებულია „სავაჭრო დერეფნად“,*** *რითაც* ***იგნორირებულია*** *ჩვენი* ***სახელმწიფოს სახელწოდება“.***[1] კიდევ უფრო შორს მიდის ცნობილი აფხაზი საველე მეთაური, „აფხაზეთის გმირი“, ამჟამად სეპარატისტული პარლამენტის – „*აფხაზეთის სახალხო კრების*“ წევრი **ასლან კობახია**, რომლის კომენტარში ღია მუქარის ტონიც კი შეინიშნება: ***„ჩვენი ქვეყანა მოხსენიებულია „სავაჭრო დერეფნად“,*** *რომელიც გადის სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე. ხომ არ დადგება ამ „სავაჭრო დერეფნის“ დაცვის საკითხი, თუ აფხაზეთი არ დაუშვებს მის არსებობას თავის ტერიტორიაზე? როგორ შეიძლება ლაპარაკი რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობაზე აფხაზეთის ტერიტორიის გავლით?* ***იქნებ განვაცხადოთ, რომ ჩვენ არავითარი დერეფანს არ დავუშვებთ?“.***[2]

ცნობილი აფხაზი ჟურნალისტი **ინალ ხაშიგი**, აჯამებს რა აფხაზური საზოგადოების რეაქციას რუსეთის მსო-ში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით რუსულ-ქართული შეთანხმების გამო აღნიშნავს: „*ხელისუფლება ჩუმად იგინება, ხოლო* ***საზოგადოება უკიდურესად აღშფოთებულია.*** *ეს როგორ,* ***რუსეთმა არც კი გაგვაფრთხილა, თუნდაც ზრდილობისათვის, აიღო და შეუთანხმდა საქართველოს მსო-ში მიღებასთან დაკავშირებით, რითაც მის მიერვე აღიარებული აფხაზეთი, შეურაცხმოყოფელ ტერმინად „სავაჭრო დერეფანი №1“ აქცია“.***[3]

არანაკლებ მწვავე იყო თვით რუსი ექსპერტების შეფასებებიც, რომლებმაც ღიად დაგმეს ოფიციალური მოსკოვის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის პირობების მიღებასთან დაკავშირებით, რომლებმაც ფაქტობრივად დაგმეს რუსეთის ხელისუფლების

---

[1] *«В соглашении* ***Абхазию называют «торговым коридором», игнорируя название*** *нашего* ***государства****»*. იხ.: *Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО...* (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] *«****Наша страна названа «торговым коридором»****, который проходит по железной и автомобильной дороге. Не встанет ли вопрос защиты «торгового коридора», если Абхазия не допустит на своей территории его существования? Какая речь может быть о торговле между Россией и Грузией через территорию Абхазии?* ***Может, нам стоит заявить о том, что никакого коридора мы не допустим****?»* იხ.: *Абхазские эксперты обсуждают последствия для республики российско-грузинского соглашения по ВТО...* (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] *«Власть втихую матерится, а* ***общественность до предела возмущена.*** *Как же так, даже не предупредив, хотя бы приличия ради,* ***Россия взяла и согласилась в своих договоренностях с Грузией по поводу принятия ее в ВТО обезличить ею же признанную Абхазию до обидного термина «торговый коридор №1»****.* **И. Хашиг.** Застенчивые «коридорные». http://www.ekhokavkaza.com/content/blog/24408769.html. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

მხრიდან აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელი სტატუსის ეჭვს ქვეშ დაყენება.[1]

ყოველივე ამის ფონზე სრულიად ცხადი ხდება, რომ ე.წ. კრემლის მერ შემუშავებულმა „აფხაზურმა პროექტმა“ მთლად არ გაამართლა და აფხაზობა სულაც არ აპირებს მოსკოვის ნებისმიერ სურვილს მორჩილად შეხვდეს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის პრობლემები, რომლებიც დრო და დრო თავს იჩენენ ოფიციალურ მოსკოვსა და მის მიერვე „სუვერენულ სახელმწიფოდ“ აღიარებულ აფხაზეთს შორის და რომელმაც აპოგეას მიაღწია 2011 წელს. ესაა კონფლიქტები აფხაზთა მხრიდან რუსი ეროვნების მოქალაქეების კუთვნილი სახლებისა და ბინების „ექსპროპრიაციის“ ფაქტების გამო,[2] რომელსაც, როგორც

---

[1] **Андрей Епифанцев.** Компромисс с Грузией по вступлению в ВТО должен быть отклонен Россией. – ИА REGNUM. Информационное агентство. 30.10.2011. – http://www.regnum.ru/news/polit/1461492.html; **Андрей Епифанцев.** Аудит границы России с Абхазией и Южной Осетией – сдача национальных интересов. – ИА REGNUM. Информационное агентство. 03.11.2011. – http://www.regnum.ru/news/1463449.html; **Андрей Епифанцев.** Продается Абхазия за ВТО. – http://astina.ru/forum/viewtopic.php?f=2&t=2697, 04.11.2011; **Андрей Епишев.** ВТО: позорное поражение России. – http://news-ru.blogspot.com/2011/11/blog-post.html, 07.11.2011. **Сергей Маркедонов**. Молчание Москвы играет на руку Саакашвили. – *НОВАЯ ПОЛИТИКА*. Интернет-журнал. 07.11.2011. – http://www.novopol.ru/-molchanie-moskvyi-igraet-na-ruku-saakashvili-text111942.html; **Феликс Станевский.** Стыдоба. – *Материк*. Информационно-аналитический портал. 10.11.2011. – http://www.materik.ru/rubric/detail.php?ID=14172 და სხვ.

[2] **Марина Перевозкина**. Абхазия обрела независимость от... РФ. *В новом государстве русскоязычное население оказалось самым бесправным*. – *Московский Комсомолец*, №25270, 04.02.2010 – http://www.mk.ru/politics/article/2010/02/03/423511-abhaziya-obrela-nezavisimost-ot-rf.html; **Марина Перевозкина**. Самозахват Сухума. *Россия и Абхазия разошлись по квартирам*. – *Московский Комсомолец*, №25434, 27.08.2010. – http://www.mk.ru/politics/article/2010/08/26/525397-samozahvat-suhuma.html; **Марина Перевозкина**. Трудности перевода. *Поссорит ли Россию и Абхазию „квартирный вопрос“?* – *Московский Комсомолец*, №25472, 11.10.2010. – http://www.mk.ru/politics/article/2010/10/10/535488-trudnosti-perevoda.html; **Марина Перевозкина**. Абхазский ответ на квартирный вопрос. *Стали известны первые результаты работы абхазо-российской комиссии.* – *Московский Комсомолец*, №25627, 26.04.2011. – http://www.mk.ru/politics/sng/article/2011/04/25/584009-abhazskiy-otvet-na-kvartirnyiy-vopros-.html; **Марина Перевозкина**. Абхазию испортил квартирный вопрос. *Русскоязычные жители республики по-прежнему не могут вернуть себе захваченное жилье*. – *Московский Комсомолец*, №26129, 27.12.2012. – http://www.mk.ru/daily/newspaper/article/2012/12/26/792852-abhaziyu-isportil-kvartirnyiy-vopros.html; **Марина Перевозкина**. Для Абхазии готовится свой «список Магнитского»? Захватчики «русских квартир» могут стать невъездными в

ჩანს, უკავშირდება ამ დღეებში სოხუმში მომხდარი მაღალჩინოსანი რუსი დიპლომატისა და მისი მეუღლის მხეცური მკვლელობა; არანაკლებ მწვავედ დგას ზოგადად უძრავი ქონების (პირველ რიგში, ადრე საკავშირო დაქვემდებარებაში არსებული ობიექტების) მფლობელობის პრობლემა;[1] ბოლო დროს თავი იჩინა სასაზღვრო დავამ სოფ. აიბგას კუთვნილების ირგვლივ;[2] წინა პლანზე წამოიწია ისტორიოგრაფიულმა

РФ. – *Московский Комсомолец*, №26286, 22.07.2013. – http://www.mk.ru/social/article/2013/07/21/887172-dlya-abhazii-gotovitsya-svoy-spisok-magnitskogo.html; **Владимир Ворсобин.** Первые плоды независимости: Абхазы забирают квартиры у русских**. –** *Комсомольская Правда*, 07.09. 2010. – http://www.kp.ru/daily/24553/729388/; **Владимир Ворсобин.** Абхазия объявила русским квартирную войну. – *Комсомольская Правда*, №103, 31.07.2013. – http://www.kp.ru/daily/26114.4/3008645/; **Владимир Ворсобин**. Абхазия снова борется за независимость. Теперь от России? – *Комсомольская Правда*, 18.05.2011 – http://kp.ru/daily/25687/891281/. **Антон Кривенюк.** Квартирный вопрос, который испортил Абхазию. – http://www.echo.msk.ru/blog/krivenyuk/1158300-echo/; **Григорий Кубатьян.** Кто спасет русских в Абхазии от участи изгоев? *Кавказский вопрос*. – *Агентство политических новостей*, 2013-06-26.06.2013. – http://www.apn.ru/publications/article29458.htm და სხვ.

[1] **Эмма Ходжаа.** Сухумский военный санаторий – территория сделки? – *АИААИРА*. Информационно-аналитический сайт Абхазии. 27.04.2011. – http://aiaaira.com/index.php/society/1915-2011-04-27-18-38-45.html; *Заявление РПП «Форум народного единства Абхазии» и группы ветеранов Отечественной войны Народа Абхазии 1992-1993 гг. – Информационное агентство НатПресс*. 03.05.2011. – http://www.natpress.ru/index.php?newsid=6437; **Сергей Ищенко.** Абхазы ищут у президента России защиты от Сердюкова. Российских офицеров из санатория «Сухум» было велено выкинуть за два часа. – *Свободная Пресса*. Российское общественно-политическое интернет-издание. 13.05.2011. – http://svpressa.ru/society/article/43233/; *Будущее санатория Сухум*. – *Официальный сайт Партии ЭРА*. 04.07.2011. – http://era-abkhazia.org/news/index.php?ELEMENT_ID=4364; *В Абхазии разгорелся конфликт между сотрудниками санатория „Сухум“ и Минобороны РФ. Санаторий может отойти Сухуми*. – http://www.sertolit.ru/realty/sme_v_abhazee_razgorelsja_konflekt_mezhdu_sotrudnekame__sanatoreja_quotsuhumquot_e_menoborony_rf_sanatoree_mozhet_otoete_suhume.html; **Марианна Котова**. Сухумское «народное восстание». – *Эхо Кавказа*. 30.06.2011. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/24251836.html; *„Дачный вопрос“: Помогает ли Россия Абхазии безвозмездно? – ИА REGNUM*. Федеральное информационное агентство. 28.03.2011. – http://www.regnum.ru/news/1388221.html; **Зураб Аргун**. Почему бы Италии не заявить о своих правах на крепости в Абхазии? – *Эхо Кавказа*. 19.11.2010. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/2224229.html.

[2] **Виталий Шария.** Абхазия – Россия: грядут территориальные споры? – *Эхо Кавказа*. 16.03.2011. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/2340401.html; **Анаид Гогорян**. «Территории мало у России, нужно нашей отщипнуть?». **–** *Эхо Кавказа*.

კოლიზიებმა (პოლემიკა ისტორიოგრაფიულ საკითხებზე ცნობილ რუს პოლიტიკოს კონსტანტინე ზატულინსა და სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. „უშიშროების საბჭოს“ აწ უკვე ყოფილ მდივანს სტ. ლაკობას შორის);[1] ძალზე სერიოზულ დაპირისპირებას აქვს ადგილი საეკლესიო

22.03.2011. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/2346549.html; *Заявление представителей общественности Абхазии*. – *Абхазия - страна души*. 28.03. 2011. – http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=28522; **Марина Перевозкина**. Ни пяди абхазской земли! *Между РФ и Абхазией при активном участии Тбилиси разгорается территориальный* спор. – *Московский Комсомолец*, №25604, 30. 03.2011. – http://www.mk.ru/politics/article/2011/03/29/576745-ni-pyadi-abhazskoy-zemli.html; **Алексей Василивецкий.** 160 километров как яблоко раздора. – *Апсны-пресс*. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 31.03. 2011 – http://apsnypress.info/smi/2851.html; *Сергей Багапш за селом в карман не полез.* Россия и Абхазия не могут поделить территорию. – Газ.: *„Коммерсантъ“*, №65 (4606), 14.04.2011 – http://kommersant.ru/doc-y/1620848; *Испытание землей: Абхазия не хочет отдавать России часть себя*. – http://www.echo.msk.ru/blog/cknot/765156-echo, 11.04.2011; *Багапш обещал турецким абхазам не отдавать России ни метра***.** – *Росбалт*. Федеральное информационно-аналитическое агентство. 12.04.2011. – http://www.rosbalt.ru/exussr/2011/04/12/838644.html; **Федор Туча.** Абхазия не делится. – *Росбалт*. Федеральное информационно-аналитическое агентство. 18.04.2011. – http://www.rosbalt.ru/main/2011/04/18/840582.html; *Российская пресса признала абхазское село российской территорией*. – http://www.caucasustimes.com/; **Игорь Темин.** Государственная граница посреди села. *Спор о границе между Россией и Абхазией.* – 19.07.2011 – http://kuban.mk.ru/article/2011/07/19/606774-gosudarstvennaya-granitsa-posredi-sela.html; **Андрей Серенко.** Пограничная Аибга жалуется Дмитрию Медведеву. – *Независимая газета*. 01.08.2011. – http://www.ng.ru/regions/2011-08-01/100_aibga.html; **Изида Чаниа**. «Референдум» двадцати шести. За что воевали?. – გაზ.: *„Нужная“*, – http://atarba.livejournal.com/121019.html; **Владимир Рябцев**. Кому принадлежит Аибга: стоит ли России ссориться с Абхазией из-за маленького клочка земли? – *Научное Общество Кавказоведов*, 09.09.2011, http://www.kavkazoved.info/news/2011/09/09/komu-prinadlezhit-aibga-0909.html. **Юрий Рокс.** Урочище противоречий. – *Независимая газета,* 01.04.2011. – http://www.ng.ru/cis/2011-04-01/1_abhazia.html.

[1] რუსულ-აფხაზური დაპირისპირება ისტორიოგრაფიის სფეროში დაიწყო 2010 წ. 3 აპრილს სოხუმში გამართულ სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე: *„რუსეთი – აფხაზეთი, 200 წელი ერთად“ («Россия – Абхазия, 200 лет вместе»)*, რომლის დროსაც კ. ზატულინმა „დატუქსა“ ს. ლაკობა მის მიერ (ო. ბღაჟბასთან ერთად) მომზადებულ და გამოცემულ „სასკოლო სახელმძღვანელოში“ გატარებული თვალსაზრისის გამო (იხ.: **Виталий Шария.** О чем поспорили Константин Затулин и Станислав Лакоба? – *Эхо Кавказа*. 26.10.2010. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/2202002.html; *В Абхазии идут споры вокруг истории российско-абхазских отношений*. – *ИА REGNUM*. Федеральное информационное агентство. 22.12.2010. – http://www.regnum.ru/news/1359409.html). შემდეგ პო-

სფეროში.[1] სერიოზული პოლიტიკური გართულებები მოჰყვა მოსკოვის

ლემიკამ გადმოინაცვლა პრესის ფურცლებზე. ჯერ იყო და კ. ზატულინმა გააკრიტიკა აფხაზი ისტორიკოსი მოვლენების არასწორ შეფასებაში *(К. Затулин: „Лакоба интерпретирует совместную историю России и Абхазии как мрачный период российского засилья“*. Интервью Антону Кривенюку. – *Материк*. Информационно-аналитический портал. 07.10.2010. – http://www.materik.ru/problem/detail.php?ID=11083), რომელსაც მოჰყვა ს. ლაკობას პუბლიკაცია მეტად გამომწვევი დასათაურებით: *„ზატულინიზმი“* (*«Затулинизм»* – გაზ.: *«Нужная»*, №41, 28.10.2010, ელექტრონული ვერსია იხ.: http://guralyuk.livejournal.com/1584673.html; http://www.irontimes.com/archives/16763). თავის მხრივ, კ. ზატულინმაც არ დაახანა და ერთგვარი შემაჯამებელი სტატია გამოაქვეყნა (იხ.: **Константин Затулин.** Яд или противоядие – что выбрать умам в Абхазии? – *Материк*. Информационно-аналитический портал. 31.01.2011. – http://materik.ru/rubric/detail.php?ID=11734), რომელსაც უმალვე უპასუხა ს. ლაკობამ (იხ.: **Станислав Лакоба.** Политика вокруг «Истории Абхазии». – გაზ.: *«Нужная»*, №6, 2011, ელექტრონ. ვერსია იხ.: *Информационное агентство НатПресс*. 19.02.2011. – http://www.natpress.net/index.php?newsid=6096). ამ პოლემიკას საგანგებო წერილით გამოეხმაურა კ. ზატულინის „დერჟიმორდული“ გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რუსეთის ფედერაციის ყოფილი ელჩი საქართველოში ფელიქს სტანევსკი (**Феликс Станевский.** Комментарий к комментариям (об откликах в Абхазии на статью К. Ф. Затулина). – *Материк*. Информационно-аналитический портал. 18.02.2011. – http://materik.ru/rubric/detail.php?ID=11907&print=Y).

[1] *Председатель совета Священной митрополии Абхазии архимандрит ДОРОФЕЙ (Дбар): «Внутренне я готов к полному разрыву с РПЦ МП»*. – http://www.portal-credo.ru/site/?act=authority&id=1674; *Автокефалию Абхазской церкви может даровать патриарх Константинопольский либо Грузинский, но не РПЦ*. – *ИА REGNUM*. Федеральное информационное агентство. 11.05.2011. – http://www.regnum.ru/news/polit/1403084.html; **Ольга Алленова**. Теологическая война. – *Коммерсантъ Власть*, №24 (928), 20.06.2011. http://www.kommersant.ru/doc/1659846; **Андрей Кураев.** Абхазский узел церковной политики. – http://www.profile.ru/items_27714,1512.2008; **Якуб Лакоба, С. Векшин.** Политический провокатор от церковной мафии: ай да профессор, ай да дьякон Кураев! – *Кьараз*. Официальный саит Народной Партии Абхазии. – http://kiaraz.org/page273/; **Андрей Кураев**. Бред, порожденный нашей логикой. – http://diak-kuraev.livejournal.com/156176.html?thread=22683664,15.01.2011. **Беслан Кобахия.** Ответ дъякону Кураеву. «…Не судите – судимы не будете…». 23.01.2012 – http://aiaaira.com/index.php/obshchestvo/3006-5171882.html; **Гурам Ладария.** Дьякону Кураеву, кавалеру ордена „Миротворец“, патриоту России, Абхазии и прочая... 25.01.2012 – http://aiaaira.com/index.php/obshchestvo/3018-8349053.html; **Андрей Кураев.** Ясные желания абхазского социолога. – http://diak-kuraev.livejournal.com/,24.01.2012; **Андрей Кураев.** Сектанты в Новом Афоне. Последняя нить с Русской Православной Церковью порвана! – http://diak-kuraev.livejournal.com/342835.html,24.06.2012; **Виталий Шария.** Монахи сжигают мосты. – *Эхо Кавказа*. 29.06.2012. – http://www.ekhokavkaza.com/content/article/24630613.html; **Андрей Мельников, Владислав Маль-**

მცდელობას გაეკონტროლებინა აფხაზეთისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები, კერძოდ, კი მოსკოველი „რევიზორის“, რუსეთის ფედერაციის საანგარიშო პალატის ხელმძღვანელის, ქვეყნის ყოფილი პრემიერ მინისტრის სერგეი სტეპაშინის ვოიაჟს აფხაზეთში. ეს უკანასკნელი აფხაზმა ნაციონალისტებმა, არც მეტი არც ნაკლები, *„პოლიტიკურ ინტრიგანად, პროვოკატორად და შანტაჟისტად“* გამოაცხადეს.[1]

цев. Новый Афон отошел к Константинополю. – *НГ-Религии* (*Независимая газета*), 04.07.2012. – http://nvo.ng.ru/events/2012-07-04/5_afon.html; **Николай Долгачев.** Новый Афон оказался в центре церковных споров. 20.07.2013 **–** http://www.aiaaira.com/index.php/obshchestvo/5684-informatsionnye-tanki-protiv-svyashchennoj-mitropolii-abkhazii.html; **Виталий Шария.** „Информационные танки“ против Священной митрополии Абхазии. – *Эхо Кавказа*. 19.07.2013. – http://www.ekhokavkaza.mobi/a/25051544.html; **Виталий Шария.** Ответ РПЦ – это не ответ. – *Эхо Кавказа*. 08.08.2013. – http://morigin.ekhokavkaza.org/a/25070436.html; **Павел Мартынов.** Абхазия: вера и политтехнологии. – *Вестник Кавказа*. 05.08.2013. http://www.vestikavkaza.ru/articles/Abkhaziya-vera-i-polittekhnologii.html; *Абхазский внутрицерковный конфликт может быть урегулирован путем конструктивного диалога, – считают участники круглого стола "Россия и Абхазия в едином духовном пространстве“* (http://apsny.ru/news/?ID=5959, 25.10.2013) და სხვ. საეკლესიო სფეროში რუსულ-აფხაზური დაპირისპირების ანალიზი იხ.: **ზურაბ პაპასქირი.** აფხაზეთში ეკლესიურად ორხელისუფლებიანობაა. – http://www.pirweli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=81279&Itemid=1; **Зураб Папаскири.** В Абхазии церковное двоевластие (http://abkhazeti.info/news/1320455877.php). რუსული ვერსია იხ. აგრეთვე: **Зураб Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания и Размышления. Тб., 2012, გვ. 455-461.

[1] **Дмитрий Родионов.** Абхазия: Полигон для модернизации или черная дыра российского бюджета? Хотели как лучше. Получилось ещё замечательнее. – *Агентство Политических Новостей*. 26.08.2010. – http://www.apn.ru/publications/article23107.htm; **Анатолии Отырба.** На правах бедного родственника. – გაზ.: *«Нужная»*, № 34, 07.09.2010. – http://era-abkhazia.org/data/ng/ng_34.pdf. იხ. აგრეთვე: http://www.abkhaziya.org/server-articles/article-47a09e5008f9c5785a4c69d8368b84a6.html; *Заявление Общественного движения «Ахьяца» (Абхазия)*. – *Информационное агентство НатПресс*. 15.01.2011. – http://www.natpress.net/index.php?newsid=5854; იხ. აგრეთვე: გაზ.: *«Новый день».* №2 (308), 17.01.2011. – http://www.noviden.info/pdf/92.pdf; **Якуб Лакоба**. «Феномен» и синдром Степашина: политический интриган, провокатор и шантажист. – *Кьараз*. Официальный саит Народной Партии Абхазии. 15.01.2011. – http://kiaraz.org/page279/; **Якуб Лакоба.** Эпопея «Степашин и Ко» продолжается. – *Кьараз*. Официальный саит Народной Партии Абхазии. – http://kiaraz.org/page281/; **Рауль Хаджимба.** Индульгенция на продолжение. – გაზ.: *«Новый день».* №2 (308), 17.01.2011. – http://www.noviden.info/pdf/92.pdf; იხ. აგრეთვე: http://www.irontimes.com/archives/16955; **Емма Ходжаа.** Кто-то должен говорить правду. – გაზ.: *«Новый день».* №2 (308), 17.01.

იყო სხვა პრობლემებიც.[1]

ერთი სიტყვით, სრულიად აშკარაა, რომ რუსულ-აფხაზურ „იდილიურ“ ურთიერთობებში პირველად ბოლო 100 წლის განმავლობაში აშკარად გაჩნდა ბზარი და, რომ, საჭიროების შემთხვევაში (როდესაც ამას რუსეთის ეროვნული ინტერესები მოითხოვენ), მოსკოვი ნამდვილად გაწირავს აფხაზეთს (ე.წ. „სამხრეთ ოსეთზე“, რომ არაფერი ვთქვათ) და შეეცდება გადასინჯოს თავისი კონფრონტაციული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ანუ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს თუ ხვალ, მოსკოვი იძულებული გახდება გადასინჯოს საქართველოსთან კონფრონტაციული კურსი, უარი თქვას ე.წ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მის მიერ დეკლარირებულ ყბადაღებულ „ახალ რეალობაზე“, აღიაროს ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და დაამყაროს მასთან კეთილმეზობლური, კონსტრუქციული ურთიერთობა.

როგორც ჩანს, აფხაზური საზოგადოების ნაციონალისტურად განწყობილი წრეებიც არ გამორიცხავენ მოვლენების ამგვარ განვითარებას და ერთგვარ პრევენციულ ნაბიჯებსაც დგამენ. სრულიად აშკარაა, რომ მზარდი ანტიაფხაზური რუსული ინფორმაციულ-იდეოლოგიური ექსპანსიის ფონზე, რომელზედაც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, სავსებით მოსალოდნელია, რომ კრემლის პოლიტიკით უკმაყოფილო

2011. – http://www.noviden.info/pdf/92.pdf; **Марина Перевозкина.** Клеветникам России посвящается. *За критику Степашина в Абхазии посадили оппозиционера*. – *Московский Комсомолец*, №25551, 24.01.2011. – http://www.mk.ru/politics/article/2011/01/23/559924-klevetnikam-rossii-posvyaschaetsya.html; *Как Сергей Степашин потушил коррупционный скандал в Абхазии*. – *ИА REGNUM*. Федеральное информационное агентство. – http://www.regnum.ru/news/1364659.html; **Татьяна Шалимова.** Эксперты: Деньги, выделяемые Абхазии, уходят налево. – *РБК daily*. Ежедневная аналитическая газета. 18.03.2011. – http://www.rbcdaily.ru/politics/562949979884278; *„Индульгенции“ Степашина усилили антироссийские настроения в Абхазии?* – *ИА REGNUM*. Федеральное информационное агентство. 20.01. 2011. – http://www.regnum.ru/news/fd-abroad/polit/1366571.html#ixzz1Bbj6mduO; **Анатолий Отырба.** Компрадоры – руки прочь от Якуба Лакоба. – http://otyrba.livejournal.com/109871.html და სხვ.

[1] რუსულ-აფხაზური დაპირისპირების შესახებ იხ.: **ზურაბ პაპასქირი.** აფხაზები კრემლს ძალიან გაუთამამდნენ, თუმცა 2014 წლის ოლიმპიადამდე მოსკოვი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას მოერიდება (http://www.pirweli.com.ge/old/index.php?option=com_content&task=view&id=85955&Itemid=52&ccdate=4-2011); **Зураб Папаскири.** Абхазы слишком осмелели в отношении Кремля. – http://abkhazeti.info/news/1325813715.php. რუსული ვერსია იხ. აგრეთვე: **Зураб Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания и Размышления. Тб., 2012, გვ. 462-475.

ჭეშმარიტად პატრიოტ აფხაზებში გაჩნდეს გაწბილების შეგრძნება, რამაც შეიძლება შექმნას ხელსაყრელი ფონი აფხაზურ-ქართული დიალოგისათვის. ეტყობა, სწორედ მოვლენების ამგვარი განვითარება აშფოთებთ ნაციონალისტურად განწყობილ ძალებს, პირველ რიგში კი რაულ ხაჯიმბას პარტიას *„აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმს“*, რომელმაც პოლიტიკური ბრძოლის მთავარ იარაღად ზღვარგადასული ნაციონალიზმი აქცია.[1] აი, ამ პოლიტიკის პროპაგანდისტულ უზრუნველყოფას ემსახურება ახალი, ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად აუხსნელი ანტიქართული ტალღის აგორება აფხაზეთის მკვიდრი 26 ათასი ქართველისათვის ე.წ. „აფხაზური პასპორტების“ გაცემის ირგვლივ. როგორც ბოლო დღეებში განვითარებულმა პროცესებმა აჩვენეს ალექსანდრე ანქვაბი კუთხეშია მიმწყვდეული და თუ ის ნაციონალისტების მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს და არ მოახდენს 26 ათასი ქართველის ე.წ. „აფხაზური პასპორტების“ გაუქმებას, არავინ იცის ამას რა მოჰყვება.

რა შეიძლება ამაზე ითქვას. როგორც ვხედავთ, სახეზეა აპარტეიდისა და ფაშიზმის „ზეიმი“. და ეს ყოველივე XXI ს. დამდეგს. ყველაზე სავალალო კი ისაა, რომ დღევანდელ აფხაზურ პოლიტიკურ ელიტას არ ესმის, თუ რა საშიში თამაში (სხვათა შორის იგივე ყბადაღებული „აფხაზური სახელმწიფოს სუვერენიტეტის საფრთხის“ კუთხით) წამოიწყო ამ სრულიად უგუნური კამპანიით. როგორც იტყვიან, ამით ისინი „ჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან“, რადგან იმ სიტუაციაში, როდესაც რუსები დღეს თუ ხვალ აუცილებლად ჩაატარებენ „რეფერენდუმს“ ისედაც მოსკოვის სრულ კმაყოფაზე მყოფი უმადური აფხაზეთის რუსეთთან შეერთების საკითხზე, 26 ათასი ქართველისათვის ხმის უფლების წართმევა კატასტროფულ გავლენას მოახდენს ე.წ. „რეფერენდუმის“ საბოლოო შედეგზე. ესაა რეალობა, რომელსაც ვერ ხედავენ სიძულვილს აყოლილი ჩვენი ბედოვლათი თანამემამულენი.

არის კიდევ არაერთი სხვა პრობლემა, რომელმაც ჩიხში შეიყვანა თანამედროვე აფხაზური პოლიტიკური ისტებლიშმენტი და ზოგადად საზოგადოება. რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკის სრულ მოშლასა და კრიმინალურ განუკითხაობაზე, პირველ რიგში, ესაა ურთიერთობების გამწვავება მოძმე ადიღ-ჩერქეზებთან, რომლებიც ვერაფრით ვერ პატიობენ სოხუმის მმართველ რეჟიმს ოფიციალური მოსკოვის „დაკრულზე ცეკ-

[1] *„აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმისა“* და მისი ლიდერის ეს ზღვარგადასული ნაციონალიზმი, რომელიც ტრადიციულ ანტიქართულთან ერთად სულ უფრო ანტირუსულ შეფერილობასაც იძენს, უკვე აღიზიანებთ მოსკოვში. ამის დადასტურებაა თუნდაც სულ ახლახან გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც რ. ხაჯიმბა „უნტერ-ფიურერად“ არის მოხსენიებული. იხ.: **Станислав Скорцевич**. Абхазский унтер-фюрер. – http://in-sider.org/politic/item/233-abhazskij-unter-furer.html.

ვას“ და მათთვის აფხაზეთის მოქალაქეობაზე უარის თქმას.[1]

კიდევ ბევრ რამეზე შეიძლება დაფიქრება 1993 წლის სექტემბრის ტრაგედიიდან 20 წლის გადასახედიდან, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლოთ.

---

[1] **Авраам Шмулевич**. Абхазо-черкесские отношения: «братство навек» или «развод в коммунальной квартире»? Интервью с Русланом Кешевым, Председателем Черкесского Конгресса КБР. – *Агентство политических новостей*. 10.12.2010. – http://www.apn.ru/publications/article23437.htm; *Черкесы и абхазы – Прошлое, Настоящее, Будущее*. – *Адыги. RU*. Информационный портал. 14.06.2011. – http://adygi.ru/index.php?newsid=8790; *Черкесы возмущены поведением абхазов*. – *Кавказ Online*. Информационно-аналитический портал. 23.01.2012. – http://kavkasia.net/Georgia/2012/1327365069.php; **Арда Инал-Ипа.** Черкесский вопрос и Абхазия – исторические моменты и современные вызовы. – კრებ.: *«Некоторые аспекты взаимоотношений между Северным Кавказом и Абхазией»*. –*Апсныпресс*. Государственное информационное агентство Республики Абхазия. 25.05. 2012. – http://apsnypress.info/analytic/6357.html; **Артур Бороков.** Абхазия убила черкешенку! – http://shimerli.livejournal.com/1131122.html, 20.07.2013; **Руслан Кеш.** Еще раз о черкесо-абхазских отношениях по статье Б. Кобахия. – *Черкесский культурный центр*. 15.06.2012. – http://circassiancenter.org/general/6136-.html; *Виртуальный Круглый стол ИА «Голос Черкесии». Выпуск №4. О вопросах фарисейства о спекуляции*. – *ИА «Адыгэ Хэкум и макъ. Голос Черкесии»*. 02.04.2013. – http://hekupsa.com/mnenie/kruglyj-stol/102-virtualnyj-kruglyj-stol-ia-adyge-khekum-i-mak-golos-cherkesii-vypusk-4-o-voprosakh-farisejstva-o-spekulyatsii; **Авраам Шмулевич**. Напомнить Абхазскому правительству, чем закончилась в 19 веке игра в автономию. – http://www.liveinternet.ru/users/avrom/post286111114/, 03.08.2013; **Руслан Кеш.** Очередное воровство черкесской истории: Абхазия, 21 мая. – *ИА Адыгэ Хэкум и макъ. Голос Черкесии*. 21.05.2013. – http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/856-ocherednoe-vorovstvo-cherkesskoj-istorii-abkhaziya-21-maya; **Руслан Кеш.** Еще раз к вопросу «общей истории». – *ИА Адыгэ Хэкум и макъ. Голос Черкесии*. 29.06.2013. – http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/998-r-kesh-eshche-raz-k-voprosu-obshchej-istorii; **Руслан Кеш.** О статье Маркедонова «Абхазия и Черкесия. *Единство и противоречия»*. – *ИА Адыгэ Хэкум и макъ. Голос Черкесии*. 07.07.2013. – http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/1014-r-kesh-o-state-markedonova-abkhadiya-i-cherkesiya-edinstvo-i-protivorechiya; **Руслан Кеш.** О речи Президента Абхазии А. Анкваба. – *ИА Адыгэ Хэкум и макъ. Голос Черкесии*. 30.09.2013. – http://hekupsa.com/mnenie/r-kesh/1478-r-kesh-o-rechi-prezidenta-abkhazii-a-ankvaba; **Сергей Маркедонов.** Абхазия и «черкесский мир»: единство и противоречия. – *ПОЛИТКОМ.RU*. Информационный сайт политических комментариев. 04.07.2013. – http://www.politcom.ru/16008.html; **Гурам Шария.** Черкесские националисты пытаются втянуть Абхазию в игры с Тбилиси. – *Научное Общество Кавказоведов*. 29.08.2013. http://www.kavkazoved.info/news/2013/08/29/cherkesskie-nacionalisty-pytajutsja-vtjanut-abhaziu-v-igry-s-tbilisi.html.

ისტორიოგრაფიული ეტიუდები

ДИДГОРИС ЕПОПЕИС ПИРУТИВНЕЛИ МАТИАНЕ. *შოთა მესხიას „ძლევაჲ საკვირველი“**

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ისტორია არასოდეს ყოფილა მეცნიერების განყენებული დარგი, რომელიც უბრალოდ სწავლობს ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის წარსულს – ის ბევრად მეტია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისტორია არის ცოდნის სფერო, რომელიც, როგორც არც ერთი სხვა დარგი, სძენს ადამიანს მოქალაქეობრივ შეგნებას, აქცევს მას მოქალაქედ. ამ კუთხით, კიდევ უფრო მეტი დატვირთვა აქვს მშობლიური ისტორიის ცოდნას – ის არის საფუძველთა-საფუძველი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა, იგია განმსაზღვრელი პიროვნების ამა თუ იმ ქვეყნისადმი მოქალაქეობრივი კუთვნილებისა. ანუ, სწორედ მშობლიური ისტორია აქცევს ადამიანს კონკრეტული ქვეყნის (რომელსაც ის სამშობლოდ მიიჩნევს) მოქალაქედ.

სწორად ბრძანებდა დიდი ილია, რომ *„არც **ერთობა ენისა**, არც **ერთობა სარწმუნოებისა** და **გვარ-ტომობისა** ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც **ერთობა ისტორიისა**...“*,[1] რადგან *„ისტორია... დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წაუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი...“*.[2] ამიტომ მოუწოდებდა ერის მამა თანამემამულეებს, გაფრთხილებოდნენ ამ *„საშვილიშვილო ანდერძს“*, ვინაიდან, მისი ღრმა რწმენით, *„ერის პირქვე დამხობა გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. **დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა,***

---

* წარმოდგენილი ნაშრომი წინასიტყვაობის სახით ერთვის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ შოთა მესხიას *„ძლევაჲ საკვირველის“* უახლეს, საიუბილეო გამოცემას. იხ.: **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. თბ., 2016, გვ. 5-36.

[1] **ილია ჭავჭავაძე.** ოსმალოს საქართველო. – ***ილია ჭავჭავაძე***. ექვსტომეული. ტ. 4. თბ., 2012, გვ. 3, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **ილია ჭავჭავაძე.** ერი და ისტორია. *დიმ. ბაქრაძის ნაშრომის გამო ისტორიაზე.* – ***ილია ჭავჭავაძე***. ექვსტომეული. ტ. 4. თბ., 2012, გვ. 32.

დარღვევისა და მთლად წარწყმედისაცა...“.[1]

დიახ, შეიძლება ადამიანმა (ადამიანთა ჯგუფმა) იცოდეს მშობლიური ენა, მეტ-ნაკლებად ჰქონდეს შენარჩუნებული მამაპაპური სარწმუნოება, მაგრამ იმის გამო, რომ მან დაკარგა საერთოისტორიული მეხსიერების კოდი, ანუ მოწყდა (უფრო სწორედ, მოწყვიტეს) თავის ისტორიულ ფესვებს, იგი ამოვარდა ეროვნული სხეულიდან და თავისივე სამშობლოს მტერიც კი გახდა. მაგალითისათვის შორს წასვლა არაა საჭირო – აფხაზეთის ტრაგედია, ძმათამკვლელი ომი აფხაზებსა და ქართველებს შორის, ამის ნათელი დადასტურებაა.

მშობლიური ისტორიის გადამწყვეტი როლი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირების პროცესში მშვენივრად ესმოდათ საბჭოური კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის მესვეურებს. ამიტომ ებრძოდა ასე ხმალამოღებით ყბადაღებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ფარისევლურ ლოზუნგს ამოფარებული იმპერიული იდეოლოგია ეროვნულობის ისეთი მამოძრავებელი მუხტის პროპაგანდას, როგორიც მშობლიური ისტორიაა. ამის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა ყოვლად გაუმართლებელი, ნაციონალური ღირსების უკიდურესად შემლახველი პოლიტიკა ისტორიის სწავლების სფეროში, რომლის მთავარი დანიშნულება ეროვნულობის მთლიანად მოშლა და „ველიკორუსულ“ ისტორიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ახალი ერთობის – საბჭოთა ადამიანის – ფორმირება იყო.

ამ უტოპიური იდეის ხორცშესხმას ემსახურებოდა ერთიანი საბჭოური საგანმანათლებლო (როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი) სისტემა, რომლის იდეოლოგიურ ქვაკუთხედს კომუნისტური პარტიისა და „საბჭოთა სამშობლოს“ ისტორიის სწავლება წარმოდგენდა. მთელი პარადოქსი მდგომარეობდა იმაში, რომ ეს. ე.წ. „საბჭოთა სამშობლო“, რომლის ისტორიის (ოფიციალური სახელწოდება – *„სსრკ ისტორია“*) შესწავლა სავალდებულო იყო მთელი უკიდეგანო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სხვა არაფერი იყო, თუ არა „დედა-რუსეთის“ ისტორია.

ამ ფონზე სავალალო მდგომარეობა იყო შექმნილი რეალურად მშობლიური ისტორიის სწავლების სფეროში. საქართველოს ისტორია ფაქტობრივად ფაკულტატური საგნის დონეზე ისწავლებოდა. შედარებისათვის კმარა თუნდაც ის ფაქტი, რომ ე.წ. *„სსრკ ისტორია“* (ფაქტობრივად, რუსეთის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია) გადმოცემული იყო ოთხ საკმაოდ სქელტანიან სასკოლო სახელმძღვანელოში, მაშინ როდესაც სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს (საკუთარი სამშობლოს) ისტორიას ქართველი მოსწავლეები ეუფლებოდნენ მცირე მოცულობის ერთადერთი სახელმძღვანელოს

[1] **ილია ჭავჭავაძე.** ერი და ისტორია...., გვ. 29, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

მეშვეობით. ამასთან, თუ *„სსრ კავშირის* (ანუ რუსეთის) *ისტორიას“* გაჩნდა სტაბილური დატვირთვა (თითოეული ტომი ისწავლებოდა ერთი წლის მანძილზე), *„საქართველოს ისტორიის“* ერთი სახელმძღვანელოს მასალა გადანაწილებული იყო სამ თუ ოთხ სასწავლო წელზე.

შედეგად, რიგითი ქართველი ახალგაზრდა, როგორც წესი, გაცილებით მეტ ცოდნას იღებდა რუსეთის ისტორიაში, ვიდრე საკუთარი სამშობლოს – საქართველოს ისტორიულ წარსულზე. უფრო მეტიც, მას ზუსტად იმდენივე უნდა სცოდნოდა, მაგალითად, ცნობილ რუს მოღვაწეთა – კიევისა და მოსკოვის დიდ მთავართა და მეფეთა (იაროსლავ ბრძენის, იური დოლგორუკის, ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, პეტრე I-ისა და ა.შ.) თუ სახალხო გმირების (მინინისა და პოჟარსკის და ა.შ., არაფერს ვამბობთ საბჭოთა საზოგდოების კუმირებად მიჩნეულ ე.წ. „გლეხთა ომების“ წინამძღოლებზე: ივან ბოლოტნიკოვზე, სტეფან რაზინსა და ემელიან პუგაჩოვზე), რამდენიც მის მოსკოველ და ლენინგრადელ თანატოლებს.

მშობლიური ისტორიის, ეროვნული გმირებისა და ფასეულობების იგნორირება-უგულებელყოფის პოლიტიკა მჟღავნდებოდა იმაშიც, რომ რესპუბლიკებს, ფაქტობრივად, აკრძალული ჰქონდათ თავიანთი ეროვნული მოღვაწეებისათვის პატივის მიგება. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბჭოთა საქართველოში, სადაც თითქმის ყველა ქალაქი და რაიონული ცენტრი მოფენილი იყო „პროლეტარიატის დიდი ბელადის“, სინამდვილეში კი – **მეზობელი სახელმწიფოს (რუსეთის ფედერაციის)** ლიდერის[1] ძეგლებითა და ბიუსტებით, არ იდგა თვით დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ძეგლები.[2] და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა პერიოდში ხელი არ უხლიათ სანკტ-პეტერბურგში მდგარი, თვით კომუნისტური კონიუნქტურისათვის სრულიად მიუღებელი „ტირანი“ მეფის – ნიკოლოზ I-ის ძეგლისთვისაც კი. გამოდის, რომ „ექსპლუატატორული კლასებისა“ და მათი ბელადი მეფე-მონარქების მგმობელი კომუნისტური იდეოლოგიის მებაირახტრე რუსეთს ჰქონდა უფლება ძეგლები დაედგა (ან არ მოეშალა) რუსი მეფე-მთავრებისათვის, ხოლო საქართველოს ეს ეკრძალებოდა.

თუ როგორ ებრძოდა კომუნისტური იდეოლოგია ეროვნულ (განსაკუთრებით არარუსი ხალხების) ისტორიას, მკაფიოდ გამომჟღავნდა XX ს. 70-იანი წლების დამდეგს, როდესაც ქვეყნის უმაღლესი პოლიტი-

---

[1] მართალია, ვ. ლენინი 1922 წლის მიწურულიდან ოფიციალურად ახლადშექმნილი (1922 წ. 30 დეკემბერს) სსრ კავშირის მთავრობის მეთაურადაც ითვლებოდა, მაგრამ, როგორც ცნობილია, რეალურად მას, ავადმყოფობის გამო, ამ ფუნქციის შესრულება არ მოუწია.

[2] საქართველოს დიდი მეფეებიდან ძეგლის დადგმის პატივი ერგოთ მხოლოდ ერეკლე მეორეს (როგორც რუსულ-ქართული მეგობრობის სიმბოლოს) და ვახტანგ გორგასალს – როგორც თბილისის დამაარსებელს.

კური ორგანოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა (შემდგომ მიხეილ გორბაჩოვის *„პერესტროიკის“* ცნობილმა „არქიტექტორმა“) ალექსანდრე იაკოვლევმა პირდაპირ „ჯვარს აცვა“ ნაციონალური რესპუბლიკების სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების ის წარმომადგენლები, რომლებიც, მისი აზრით, გატაცებული იყვნენ წარსულის იდეალიზაციით და ქება-დიდებას ასხამდნენ ცალკეულ მეფე--მთავრებს (მათ შორის, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს,[1] თემურლენგს და ა.შ.[2]

ყოველივე ზემოთქმულზე ყურადღების გამახვილება იმიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა იდეოლოგიური ბარიერების გადალახვა უწევდათ ქართველ ისტორიკოსებს საბჭოთა პერიოდში და როგორი გამბედაობა სჭირდებოდა მეცნიერს, რომ, ასეთი უმკაცრესი პოლიტიკურ-იდეოლოგიური წნეხის პირობებში, მოეხერხებინა შთამომავლობის მიერ ეროვნულ გმირებად შერაცხულ ქართველ მეფეთა თუ სხვა ერისკაცების „დიდთა საქმეთა“ მაღალ პროფესიონალურ დონეზე ობიექტურად წარმოჩენა და პოპულარიზაცია. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ ვითარებაში ყველა როდი ბედავდა ხმის ამოღებას, გამოკვეთილად ეროვნულ-პატრიოტული დატვირთვის შემცველი თემების წინ წამოწევასა და პროპაგანდას. ეს მხოლოდ გამონაკლისებს შეეძლოთ.

ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ქართველ ისტორიკოსთაგან, ვინც ოდნავადაც არ უშინდებოდა ოფიციალურ კონიუნქტურას და მედგრად იდგა ეროვნული ფასეულობებისა და მშობლიური ისტორიის სადარაჯოზე, დღენიადაგ ეწეოდა მის პოპულარიზაციას, იყო გამოჩენილი მეცნიერი და მამულიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **შოთა მესხია**.

---

[1] ამ კუთხით მაღალი რანგის პარტიული „ბოსი“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი) განსაკუთრებით გაუღიზიანებია მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ისტორიკოსის (ამჟამად აკადემიკოსის) როინ მეტრეველის, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარ და უპრეტენზიო პუბლიკაციას, რომელშიც ხაზგასმული იყო თამარის განსაკუთრებული პოპულარობა, ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული და მოწიწება დიდი მეფისადმი (**რ. მეტრეველი.** ქვეყნის თვალი, მზისა დარი... /თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში/. – *ცისკარი,* №4, 1966; **Р. Метревели.** Образ царицы Тамары в грузинском народном творчестве. – *Литературная Грузия,* 1970, №8). ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. **ზ. პაპასქირი.** ერთიანი საქართველოს ისტორიის მკვლევარი. – *ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები.* აკადემიკოს როინ მეტრეველის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 2014, გვ. 155-159.

[2] **А. Яковлев.** Против антиисторизма. – *Литературная газета,* 15 ноября 1972 г. (http://www.ctvr.ru/lentad/2005/10/31/2.htm). აღსანიშნავია, რომ ეს ერთგვარი „პროგრამული“ სტატია ოპერატიულად ითარგმნა და გამოქვეყნდა ქართულადაც. იხ.: **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ. – *მნათობი,* №2, 1973, გვ. 3-25.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოსარჩევია მეცნიერის წიგნი: *„ძლევაჲ საკ-ვირველი“*, რომლის ხელახალ პუბლიკაციასაც ვთავაზობთ მკითხველს.

შოთა მესხიას ეს ნაშრომი, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, წარმოადგენს ქართველთა ყველაზე დიდი გამარჯვების – თანამედროვეთა მიერ ძლევაი საკვირველად აღქმული დიდგორის სახელოვანი ეპოპეის – ჭეშმარიტად პირუთვნელ მატიანეს, პირველად ამ ნახევარი საუკუნის წინ (1965 წელს) გამოიცა და უმალვე იქცა სამაგიდო წიგნად არა მხოლოდ სპეციალისტი ისტორიკოსებისათვის. საზოგადოების ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ავტორმა გადაწყვიტა მისი ახალი გამოცემის მომზადება. *„დიდგორის ბრძოლის“* (სწორედ ასე ერქვა 1965 წელს გამოცემულ წიგნს) ახალი რედაქცია, რომელიც უკვე *„ძლევაჲ საკ-ვირველის“* სახელწოდებით 1972 წელს გამოვიდა, არ იყო ადრინდელის უბრალო გამეორება. შოთა მესხიამ ამჯერად მკითხველს შესთავაზა სერიოზულად გადამუშავებული და შევსებული ნაშრომი, რომელიც, არსებითად, დასრულებულ მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენდა.

შოთა მესხიას *„ძლევაჲ საკვირველის“* გამოსვლა, რომელიც დიდგორის ბრძოლის 850 წლისთავს მიეძღვნა, იმთავითვე გასცდა საკუთრივ ისტორიული მეცნიერების აკადემიურ ჩარჩოებში მოქცეული მოვლენის (თუნდაც საეტაპო) ფარგლებს და ზოგადეროვნული მნიშვნელობის ფაქტად იქცა. ამ მნიშვნელობას წიგნს სძენდა ის, რომ მასში ყველასთვის გასაგები, პოპულარული ენით განხილული ურთულესი ისტორიოგრაფიული პრობლემების ფონზე, შესაშური პატრიოტული (თუმცა არა გადამეტებული) პათოსით ნაჩვენები იყო დიდგორზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვების მთელი სიდიადე, დავით აღმაშენებლის საქართველოს წამყვანი როლი და ადგილი კავკასიასა და წინა აზიაში. დასანანია, რომ უკურნებელი სენით შეპყრობილი მისი ავტორი ისე გარდაიცვალა, რომ თვალიც კი ვერ შეავლო თავისი ნაღვაწის სასიგნალო ეგზემპლარს და ვერ მოესწრო წიგნის საყოველთაო, ჭეშმარიტად სახალხო აღიარებას. ის ამ ქვეყნიდან 1972 წ. მაისში, შემოქმედებითი გაფურჩქვნის ასაკში – 56 წლისა – წავიდა.

მიუხედავად ხანმოკლე ცხოვრებისა, შოთა მესხიამ ძალიან ბევრი მოასწრო. ის არ იყო უბრალოდ წარმატებული მეცნიერი-ისტორიკოსი – თავისი დროის (XX ს. 40-70-იანი წლების დამდეგი) ქართული საისტორიო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი და ლიდერი, რომლის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა ფასდაუდებელი შენაძენია არა მხოლოდ საკუთრივ საისტორიო მეცნიერებისათვის, არამედ მას ზოგადეროვნული კულტურული მნიშვნელობაც გააჩნია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შოთა მესხია თავისი მაღალი ინტელექტითა და ერუდიციით, გარეგნული და შინაგანი არისტოკრატიზმით, კაცური კაცობით, მშობლიური ქვეყნისადმი უსაზღვრო სიყვა-

რულითა და მისი ისტორიული მონაპოვრების დაცვისთვის თავგადადებული ზრუნვით, დიდი ზნეობრივი მაგალითი იყო თანამედროვეთათვის.

უაღრესად ფართო იყო შ. მესხიას მეცნიერული ინტერესების წრე. ის არის ავტორი ფუნდამენტური საეტაპო გამოკვლევებისა შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო წყობაზე, სახელმწიფო წყობის, სამოხელეო სისტემისა და საშინაო პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე და ა.შ. არაერთი ორიგინალური დაკვირვებითა და პრინციპული ხასიათის მეცნიერული მიგნებებით გამორჩეულია მეცნიერის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. თაობები გაიზარდნენ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოზე, რომლის ავტორები შოთა მესხია და ვიქტორ გუჩუა იყვნენ.

შოთა მესხია იყო პატრიოტი ისტორიკოსი. მისი ყოველი ნაშრომი გამსჭვალულია მშობლიური ქვეყნისა და მისი ისტორიისადმი ამაღლებული სიყვარულით. იგი ყოველთვის აქტიურად იბრძოდა საქართველოს ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ და მედგრად იდგა ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე. მისი კრიტიკა, დიახაც, იყო „გამოსარჩლებითი“, თუმცა არა „ურაპატრიოტული“. ის წინა პლანზე, პირველ რიგში, მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და ობიექტურობას აყენებდა. ამ მხრივ, შოთა მესხია დიდი ივანე ჯავახიშვილისა და თავისი უშუალო მასწავლებლის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ღირსეული მემკვიდრე იყო.

ყოველივე ეს (რასაკვირველია, მეცნიერის მაღალ ინტელექტთან ერთად) ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა სწორედ წიგნში *„ძლევაჲ საკვირველი“*, რომლის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა ურყევია დღესაც – გამოქვეყნებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ. მაინც რითია გამორჩეული შოთა მესხიას ეს ნაშრომი და რატომაა აქტუალური მისი ხელახალი გამოცემა?

პირველი, რის გამოც დღის წესრიგში დგება ამ წიგნის გამოქვეყნება, რასაკვირველია, არის მასში ასახული მოვლენისა და მთლიანად დავით აღმაშენებლის ეპოქის მასშტაბურობა. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ დიდგორის ომში გამარჯვებამ და ამ გამარჯვების უშუალო შედეგმა – თბილისის შემოერთებამ, არა მხოლოდ დააგვირგვინა თითქმის საუკუნენახევრიანი ბრძოლა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად, არამედ ეს გახდა ერთგვარი ათვლის წერტილი ქართული პოლიტიკური სამყაროს შემდგომი (მანამდე სრულიად უპრეცედენტო) გაძლიერების გზაზე, რომელმაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველოს სამეფო აქცია კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის წამყვან სახელმწიფოდ, რომლის ლიდერები საქვეყნოდ აცხადებდნენ თავიანთ ამბიციებს მთლიანად საქრისტიანოს მესვეურობაზე.

დღეს, როდესაც საქართველო, ფაქტობრივად, პირველად ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში (თუ არ ჩავთვლით 1918-1921 წლების წა-

რუმატებელ მცდელობას), რეალურად დაადგა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზას და მსოფლიო თანამეგობრობის საკმაოდ წონად სუბიექტად იქცა, როგორც არასდროს, აქტუალურია ყველას – შინ და გარეთ – შევახსენოთ, თუ როგორ ისტორიულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული თანამედროვე ქართული სახელმწიფო და რატომ აქვს მას პრეტენზია კვლავ მოიპოვოს თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს შორის. სწორედ ამიტომაა საჭირო საქართველოს ისტორიის გმირული ეპოპეის ამსახველი მოვლენებისა და მათი შემოქმედი დიდი მოღვაწეების კიდევ ერთხელ წარმოჩენა და შემდგომი პოპულარიზება.

მეორე გარემოება, რის გამოც უნდა განხორციელდეს *„ძლევაჲ საკვირველის“* მორიგი (ფაქტობრივად, მესამე[1]) გამოცემა, არის თვით საკუთრივ შ. მესხიას ნაშრომის მეცნიერული ღირებულება. დიდგორის ბრძოლას არასოდეს მოკლებია მკვლევართა ყურადღება, მაგრამ ამ თემაზე მსჯელობა ძირითადად დავით აღმაშენებლის ეპოქისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ[2] ნაშრომებში მიმდინარეობდა და ის საგანგებო, ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის ობიექტი არ ყოფილა. 1965 წელს გამოცემული შოთა მესხიას *„დიდგორის ბრძოლა“* ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ამ ხარვეზის შევსების პირველი ცდა იყო, რომლის გადამუშავებულ და შევსებულ ვარიანტს, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს 1972 წელს გამოცემული *„ძლევაჲ საკვირველი“*.

შოთა მესხიას ზემოაღნიშნულმა პუბლიკაციებმა, რომელიც თვისობრივად ახალი ეტაპი იყო დიდგორის ეპოპეის მეცნიერული შესწავლის სფეროში, ცხოველი ინტერესი გააღვივა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი და ახალი იმპულსი შესძინა მის შემდგომ დამუშავებას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ცნობილმა ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ, შ. მესხიას *„დიდგორის ბრძოლის“* გამოცემის „ცხელ კვალზე“, სახელდახელოდ გაამზადა საკმაოდ ვრცელი ნაშრომი, რომელიც უკვე მეცნიერის გარდაცვალების (1967 წ.) შემდეგ გამოქვეყნდა.[3] 1973 წელს გამოიცა ქველი ჩხატარაიშ-

---

[1] 1986 წელს აღნიშნული ნაშრომი შევიდა შ. მესხიას თხზულებების III ტომში. იხ.: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1986, გვ. 5-139.

[2] აღსანიშნავია, რომ XX ს. 60-იანი წლებისათვის დავითის ეპოქა არც კი იყო სიღრმისეულად, მონოგრაფიულად დამუშავებული. როგორც ცნობილია, პირველი ასეთი კვლევა ჩაატარა როინ მეტრეველმა, რომლის შედეგები გამოქვეყნდა 1965 წელს. იხ.: **რ. მეტრეველი.** დავით აღმაშენებელი. სახელმწიფოებრივი რეფორმები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში. თბ., 1965.

[3] **ს. კაკაბაძე.** დიდგორის ომი. თბ., 1982. როგორც აღნიშნავს წიგნის რედაქტორი იოსებ მეგრელიძე, სარგის კაკაბაძეს თავისი ნაშრომი დაუწერია 1966 წ. ოქტომბერ-დეკემბერში, მისივე *„ქართველი ხალხის ისტორიის“* გამოუქვეყნებელი ნაწილის საფუძველზე და დიდგორის მიდამოების დათვალიერება-შესწავლის შე-

ვილისა და ივანე შაიშმელაშვილის ერთობლივი ნაშრომი დიდგორის ომზე, რომელშიც ყურადღება გამახვილდა სამხედრო ასპექტებზე.[1]

ამ ბოლო დროს დიდგორის ომსა და ზოგადად დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე საკმაოდ ამბიციური მონოგრაფია გამოაქვეყნა აწგანსვენებულმა მკვლევარმა სოსო მარგიშვილმა,[2] რომელშიც ავტორმა საქართველოს სახელმწიფოს ბრძოლა სელჩუკურ სამყაროსთან XI ს. მიწურულსა და XII ს. I მეოთხედში განიხილა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ-რელიგიური დაპირისპირების ფართო ჭრილში და შეეცადა, რამდენადმე ეჭვის ქვეშ დაეყენებინა (ხშირ შემთხვევაში სრულიად უსაფუძვლოდ)[3] დიდგორის ეპოპეისა და ზოგადად დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობის მასშტაბები და მნიშვნელობა, ანუ სწორედ ის, რაც ასე ხაზგასმითაა წარმოჩენილი შოთა მესხიას *„ძლევაჲ საკვირველში“*.

რასაკვირველია, ამ ფორმატის წერილში ძნელია და შეიძლება არცაა აუცილებელი ვრცლად საუბარი შოთა მესხიას *„ძლევაჲ საკვირველის“* ღირსებებზე, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით, გამოვყოთ ზოგიერთი ასპექტი, რითაც გამორჩეულია ეს ნაშრომი და რის გამოც მიგვაჩნია მისი ხელახლა გამოცემა (პირველი პუბლიკაციიდან 50 წლის შემდეგაც) მიზანშეწონილად.

დავიწყოთ პირველივე თავით, რომელშიც მოკლედ, მაგრამ ავტორისათვის ჩვეული სკრუპულოზურობით გაანალიზებულია დიდგორის ომისა და ზოგადად დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ამსახველი საისტორიო წყაროები და პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა. თითქოს რა უნდა იყოს განსაკუთრებული ამ, ერთი შეხედვით, სრულიად უპრეტენზიო წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ნარატივში, გარდა იმისა, რომ ამგვარი მიმოხილვა პირველად (იმ დროისათვის) გაკეთდა? მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა გარემოებამ – ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში არ „მოიძებნა“ ადგილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების არცერთი იდეოლოგიური ტირადისათვის. და ეს მაშინ, როდესაც ოფიციალურ კონიუნქტურას თითქმის კანონის რანგში ჰქონდა აყვანილი მოთხოვნა, ნებისმიერი კვლევა დაფუძნებული ყოფილიყო ყბადაღებულ „მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე“ და ეს აუცილებლად ფორმა-

---

დეგად“. იხ. **ს. კაკაბაძე.** დიდგორის ომი, გვ. 5.

[1] **ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი.** დიდგორის ბრძოლა. თბ., 1973.

[2] **ს. მარგიშვილი.** მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. *ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ*. თბ., 2006.

[3] ამის შესახებ იხ.: **ჯ. სამუშია.** რამდენიმე მოსაზრება სოსო მარგიშვილის ნაშრომის შესახებ (რეცენზია). – *მესხეთი*. საისტორიო კრებული. თბილისი-ახალციხე, 2008, გვ. 157-166.

ლურადაც უნდა ასახულიყო ნაშრომში.[1]

შოთა მესხიამ სწორედ ამ კონიუნქტურული მოთხოვნის იგნორირება მოახდინა და არ ჩათვალა საჭიროდ *„ძლევაჲ საკვირველისთვის“* დართული ისტორიოგრაფიული მიმოხილვა „შეეფუთა“ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების იდეოლოგიური „მითითებებით“. თუმცა მეცნიერს მაინც მოუხდა გარკვეულწილად „ვალის მოხდა“ ოფიციალური კონიუნქტურისათვის, მაგრამ ეს მან ძალზე ოსტატურად და დიპლომატიურად გააკეთა. ნაშრომის ძირითად ნაწილში – იქ, სადაც ჯვაროსნული ლაშქრობების დამპყრობლურ არსზე და აღმოსავლეთში მათი ქმედებების ნეგატიურ მხარეებზეა მსჯელობა – მოყვანილია კ. მარქსის სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორ *„გააშმაგა აღმოსავლეთის მთელი მაჰმადიანური მოსახლეობა“* ევროპელთა მიერ იერუსალიმის აღებისას გამოჩენილმა სისასტიკემ.[2] ეს ციტატა მოტანილია კ. მარქსის *„ქრონოლოგიური ჩანაწერებიდან“*,[3] რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის ფუძემდებლის ერთგვარ კონსპექტს ისტორიაში და მას ფაქტობრივად არა აქვს იდეოლოგიური დატვირთვა. თანაც, დასკვნა იმის შესახებ, რომ ევროპელი ჯვაროსნები სულაც არ იყვნენ „უცოდველი კრავები“ და რომ ისინი აღმოსავლეთში ნამდვილად არ მოსულან მხოლოდ „ქრისტეს საფლავისა“ და სხვა „წმინდა ადგილთა“ „უწმინდურთაგან“ გასათავისუფლებლად (სწორედ ამ დებულების შესამაგრებლად მოჰყავს შ. მესხიას მარქსიზმის თეორეტიკოსის ციტატა), ისტორიოგრაფიაში ისედაც საკმაოდ მყარადაა დამკვიდრებული და, რომ არა არსებული კონიუნქტურა, კ.

---

[1] მაგალითად, ყველა დისერტანტი (პოლიტიკისა და იდეოლოგიისაგან აბსოლუტურად დაშორებულ დარგებშიც კი) უბრალოდ ვალდებული იყო თავისი საკვალიფიკაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში საგანგებოდ მიეთითებინა, რომ ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა (კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ვლადიმირ ლენინის) თხზულებები, ხოლო ნაშრომისთვის დართული ბიბლიოგრაფია აუცილებლად უნდა დაეწყო რუბრიკით: *„მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები“*, რომელშიც ჩამოთვლილი იყო მათი ცალკეული ნაშრომები. ეს ასე იყო მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში, თვით „პერესტროიკის“ წლებშიც (მაგალითისათვის იხ.: **Б. А. Семеновкер.** Библиографические памятники Византии. Автореферат диссертации на соискание учёной степени доктора педагогических наук. Москва, 1989, გვ. 9 (http://tekhnosfera.com/view/436866/a#?page=14).

[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. თბ., 1972, გვ. 72.

[3] *«Злодеяния крестоносцев. На 3-й день гарнизон крепости сдался под условием свободного отступления, за что войско должно было быть вознаграждено новой резней жителей; поведение крестоносцев в Иерусалиме* ***привело в ярость все магометанское население Востока..****»*. **К. Маркс.** Хронологические выписки. – *Архив Маркса и* Энгельса, т. V. Под редакцией ***В. Адоратского***. Москва, 1938, გვ. 125, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ**.

მარქსის (თუნდაც ყოველგვარი იდეოლოგიური შტამპებისაგან დაცლილი) ციტატის (რომელშიც მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია იყო და სხვა არაფერი) „მიბმა“ ამ დასკვნასთან სულაც არ იქნებოდა აუცილებელი.

და მაინც, ის ფაქტი, რომ *„ძლევაჲ საკვირველში“* მხოლოდ ერთხელაა ნახსენები მარქსიზმის კლასიკოსი და ისიც ასეთ ქრესტომათიულ კონტექსტში ნათლად აჩვენებს მისი ავტორის მაქსიმალურ დისტანცირებას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან (სხვათა შორის, ეს ჩანს შოთა მესხიას სხვა ნაშრომებშიც). აი, ეს არის მთავარი ამ შემთხვევაში.

სანამ დავასრულებდეთ საუბარს *„ძლევაჲ საკვირველის“* წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ნაწილის ირგვლივ, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი პასაჟის შ. მესხიასეულ ინტერპრეტაციას, რომელსაც ვხვდებით უკვე ძირითად ნაწილში. მხედველობაში გვაქვს ფრაგმენტი, სადაც *„ცხოვრება მეფეთ–მეფისა დავითისის“* ავტორი წერს: *„...რამეთუ **გლეხთა იხილემ-ცა,** ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რამცა გჳნდოდა თქმად“.*[1] შ. მესხიას ეს ფრაგმენტი შემდეგნაირად ესმის: *„**გლეხებმაც კი ნახეს,** როცა **ქართველ მოლაშქრეებს არაბთა მეფეები მოჰყავდათ ტყვედ,** ხოლო ტყვედ წამოყვანილ სხვა გოლიათებზე სიტყვის თქმა რაღა საჭიროაო“.*[2] თითქოს ყველაფერი გარკვეულია და შ. მესხიას ინტერპრეტაცია ორიგინალის ადექვატურია.

მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ ცნობის სხვანაირი გაგებაც არსებობს. აკად. მზექალა შანიძემ მოახდინა ტექსტის ერთგვარი კორექტირება, რის შედეგადაც მივიღეთ აკად. ს. ყაუხჩიშვილისაგან (რომლის გამოცემითაც ხელმძღვანელობდა შ. მესხია) განსხვავებული რედაქცია: *„რამეთუ **გლეხთა, – იხილემცა, ოდეს –** არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ; და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რაჲმცა გჳნდოდა თქუმად!“.*[3]

შედეგად, ეს პასაჟი მ. შანიძემ ისე გაიგო, რომ **გლეხებმა კი არ იხილეს,** თუ როგორ მოჰყავდათ (სხვებს) *„არაბთა მეფენი ... ტყუედ“,* არამედ **თვით გლეხებს მოჰყავდათ** დატყვევებული მეფეები. სწორედ ასეა წარმოდგენილი ეს პასაჟი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების რუსულ *(«**Видел бы ты,** как **крестьяне вели пленных арабских царей;** а о других богатырях и нет нужды говорить что-либо!»)*[4] და ინგლისურ

---

[1] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 341-342, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 115, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] *ცხორებაჲ მეფეთ–მეფისა დავითისი. – ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 325, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[4] *Жизнь царя царей Давида. – Картлис цховреба.* Главный редактор ***Р. Метревели***. Тб., 2008, გვ. 192 (თარგმანი ეკუთვნის მ. შანიძეს), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

(***You should have seen*** *how* ***peasants were driving the captured Arabian kings,*** *how could you tell now that they had been great fighters*) თარგმანებში.[1] მ. შანიძის ამ წაკითხვას თითქოს ამართლებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ასევე წერს: *„არამედ გეხილამცა ოდეს არაბთა და სპარსთა მთავარნი. ჩუენთა გლეხთა მოჰყვანდათ წინაშე დავით მეფისა“.*[2]

მიუხედავად ისეთი სერიოზული არგუმენტისა, როგორიცაა ვახუშტის ვერსია, ზოგადი კონტექსტიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამ ცნობის შ. მესხიასეული წაკითხვა უფრო მართებული და ლოგიკურია. ჩვენი აზრითაც, მემატიანეს იმის თქმა სურდა, რომ დატყვევებული (ქართული ჯარის მიერ) არაბთა მეფეები თვით გლეხებმაც კი საკუთარი თვალით იხილეს. აბა რა დასაჯერებელია, რომ უბრალო გლეხ მოლაშქრეებს (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ნამდვილად მონაწილეობდნენ დიდგორის ბრძოლაში, რაც რამდენადმე სათუოა[3]) დაეტყვევებინათ არა რომელიმე ერთი წარჩინებულთაგანი, არამედ ზოგადად მოწინააღმდეგის მთელი სამხედრო ელიტა – „არაბთა მეფეები“ (ვახუშტისეული *„არაბთა და სპარსთა მთავარნი“*).

გაცილებით უფრო ადვილად წარმოსადგენია, რომ აქ ჩვენ საქმე გვქონდეს საქართველოს ხელისუფლების ერთგვარ „პიარ-აქციასთან“, რომლის მიზანი იყო მთელ ქვეყანას – სამეფოს ყველა მოსახლეს – გაეგო, თუ რა დიდი გამარჯვება იქნა მოპოვებული დიდგორზე (დაახლოებით ისეთ ღონისძიებასთან, როგორიც სტალინმა მოაწყო 1944 წ. 17 ივლისს, როდესაც მოსკოვის ქუჩებში ჩამოატარეს 57 ათასამდე დატყვევებული გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი).[4]

უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა შოთა მესხიას დაკვირ-

---

[1] *The Life of David, King of Kings*. – *Kartlis Tskhovreba*. Editor in Chief **R. Metreveli.** თბ., 2014, გვ. 181, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 160.

[3] დავითის ისტორიკოსის ამ ცნობაზე დაყრდნობით, მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ არაბი მეფეები გლეხთა ტყვეები იყვნენ. (**ან. ჯაფარიძე.** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. III. თბ., 2013, გვ. 754). უფრო მეტიც, ეს ცნობა მიჩნეულია იმის დასტურად, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქაში გლეხობას მოლაშქრეობა ევალებოდა (იხ.: **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 74; **მ. წურწუმია.** შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700). ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება ისტორიის დოქტორის /PhD/ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2014, გვ. 33).

[4] *«Большой вальс» Иосифа Сталина: Шествие побежденных в Москве* (http://www.m24.ru/articles/46603).

ვებები ერთიანი ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე ბაგრატ III-იდან დავით აღმაშენებლამდე. ავტორი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-მ თავისი ხელისუფლების ქვეშ მოაქცია ძირითადი ქართული რეგიონები და იმერ-ამერი (ბიზანტიის მიერ მიტაცებული იმიერტაოსა და თბილისის საამიროს ტერიტორიის გამოკლებით) ერთიან სახელმწიფოდ შეკრა, სამეფო კარს ბიზანტიასთან ურთიერთობის გადასინჯვისათვის უნდა ეზრუნა – იმპერიას *„უნდა ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ეღიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა“*.[1]

ასევე სწორ შეფასებას აძლევს მეცნიერი გიორგი I-ის – ბაგრატ მესამის *„მგზნებარე, მაგრამ წარუმატებელი მემკვიდრის“* ნაბიჯებს ამ მიმართულებით და მიუხედავად განცდილი მარცხისა, სულაც არ თვლის მის ქმედებებს გაუმართლებელ ავანტიურად. შ. მესხიას დასკვნით, გიორგი I-ის თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია, *„იმპერიამ ნათლად დაინახა, რომ საქართველოს სახით მის მეზობლად იზრდებოდა ძლიერი, არა მარტო თანატოლობისათვის, არამედ პირველობისათვის მებრძოლი სახელმწიფო“*.[2]

ამიტომაც იყო, რომ კონსტანტინოპოლმა კიდევ უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადადგა მზარდი ქართული სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერების შესაჩერებლად და იმპერიის კონტროლიდან გამოსული ბაგრატ IV-ის მორჩილებაში მოსაყვანად. მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლების თითქმის 20-წლიანმა პერმანენტულმა მცდელობებმა, მაქსიმალურად შეეზღუდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ქუთაისის ტახტი მთლიანად იმპერიული პოლიტიკის ფარვატერში მოექცია, კონსტანტინოპოლს სასურველი შედეგი ვერ მოუტანა. ეს ბრძოლა, პრინციპში, ბაგრატ IV-ის წარმატებით დამთავრდა. საიმპერატორო კარი იძულებული გახდა სევასტოსის პატივში აყვანილი საქართველოს მეფე ფაქტობრივად თანასწორ პარტნიორად და მოკავშირედ ეღიარებინა, რაც დინასტიური ქორწინებითაც იქნა განმტკიცებული.

დავით აღმაშენებლის რეფორმების ანალიზისას ყურადღებას იპყრობს შ. მესხიას მსჯელობა ახალი სამოხელეო ინსტიტუტის – „მოსაკარგავეობისა“ და „მოსაკარგავე აზნაურების“ როლსა და ადგილზე ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების საქმეში, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოს აღმავლობის პროცესში. მეცნიერის აზრით, *„საკარგავი“ მეფის მიერ განსაგებლად, სამართავად გაცემულ ტერიტორიას, ქვეყანას ეწოდებოდა, „მოსაკარგავე“ კიდევ მეფის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიის, ქვეყნის მხოლოდ გან-*

[1] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 23.
[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 23.

მგებლად, მმართველად დანიშნულ მოხელეს“, რომელიც *„მთლიანად დამოკიდებული იყო სამეფო ხელისუფლებაზე“* და გასამრჯელოს ფულადი სარგოს სახით სამეფო ხაზინიდან იღებდა.[1]

სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ვაზირის სახელოს შემოღება. აღნიშნავს რა, რომ ამ ტიპის ინსტიტუცია ფუნქციონირებდა *„იმდროინდელი აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოებშიც“*, შ. მესხია ყურადღებას ამახვილებს იმ თავისებურებაზე, რომელიც პრინციპულად განასხვავებდა საქართველოს სამეფოს ვაზირს მეზობელი *„ქვეყნების ამავე სახელწოდების ხელისუფალთაგან“*. ეს განსხვავება გამომდინარეობდა იქიდან, რომ საქართველოში ვაზირი, *„როგორც საეკლესიო ხელისუფალი (ჭყონდიდელი ეპისკოპოსი), უმემკვიდრო იყო და საკუთარი სამემკვიდრო ქონების, „მამულის“ უქონელიც“*. ამდენად, *„სამამულო“ ე. ი. სამემკვიდრო ვერ იქნებოდა მისი თანამდებობაც“*. აღნიშნული გარემოების გამო *„ვაზირის თანამდებობისათვის უცხო იყო ყველა სხვა თანამდებობისათვის (სახელოსათვის) ასე დამახასიათებელი... მემკვიდრეობითობა... სამეფო კარის ამა თუ იმ მაღალი თანამდებობის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა“*.[2]

არანაკლებ საყურადღებოა შ. მესხიას მსჯელობა სახელმწიფო მმართველობის სხვა ინსტიტუციების (მანდატურთუხუცესის, ამირსპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის სახელოების) ირგვლივ. დამაჯერებელია მეცნიერის აზრი, რომ ამ სახელოებისა და ზოგადად *„სრულყოფილი ცენტრალური სამოხელეო აპარატის“* ფორმირება ძირითადად სწორედ დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება.[3]

შოთა მესხიამ საგანგებოდ გამოყო დავით აღმაშენებლის რეფორ-

---

[1] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 31. შოთა მესხიას ეს დასკვნა და ზოგადად „საკარგავის“ ინსტიტუტის შესახებ *„ძლევაჲ საკვირველიში“* მოცემული ანალიზი ეფუძნება მეცნიერის გამოკვლევას, რომელიც მოხსენების სახით წაკითხულ იქნა 1966 წელს თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო სესიაზე, ხოლო მოგვიანებით გამოქვეყნდა XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ კრებულში (იხ.: **შ. მესხია.** XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიიდან. *საკარგავის მნიშვნელობისათვის. – XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 171-210. იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ., 1982, გვ. 324-374).

[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 33-34.

[3] აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ კუთხით *„ძლევაჲ საკვირველში“* წარმოდგენილი მსჯელობა და დასკვნები არის ერთგვარი ანოტაცია შ. მესხიას უკანასკნელი ფუნდამენტური მონოგრაფიისა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა და დღემდე რჩება საეტაპო გამოკვლევად XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში. იხ.: **შ. მესხია.** საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979.

მატორული მოღვაწეობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი – სამხედრო სფერო, რომლის ცენტრალურ ღონისძიებას წარმოადგენს სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მომთაბარე ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლება და მათგან მუდმივი ცხენოსანი ჯარის შექმნა. ის ყურადღებას ამახვილებს თავისი მასშტაბურობით იმდროისათვის თითქმის უპრეცედენტო აქციის დიპლომატიურ უზრუნველყოფაზე და სწორად შენიშნავს, რომ საქართველოს სამეფო კარს ამ გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელებისათვის დიპლომატიური სამზადისი დიდი ხნით ადრე უნდა დაეწყო.

ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების დიპლომატიურ ასპეტებთან დაკავშირებით ცხოველი ინტერესი გამოიწვია შოთა მესხიას ჰიპოთეზამ, რომლის მიხედვით მკვლევარი, XVII ს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის პავლე ალეპოელის ცნობაზე[1] დაყრდნობით, დასაშვებად მიიჩნევდა საქართველოს სამეფო კარის გარკვეულ დიპლომატიურ კონსულტაციებს (ყივჩაყეთში წარგზავნილი „კაცნი სარწმუნონის“ მეშვეობით) კიევის დიდ მთავარ ვლადიმირ მონომახთან (1113-1125).

მიუხედავად იმისა, რომ შ. მესხიას ამ თვალსაზრისს[2] მოჰყვა კრიტიკული გამოხმაურება ცალკეული მკვლევრების (ი. ცინცაძე,[3] ნ. ნაკაშიძე[4]) მხრიდან, ისტორიოგრაფიაში მას მხარდამჭერებიც არ მოჰკლებია.[5]

---

[1] ამ ცნობის თანახმად, თითქოს დავით აღმაშენებლისათვის სამხედრო ძალა გამოუგზავნიათ კიევის რუსეთიდან და საქართველოს მეფეს ამ ძალის დახმარებით განუდევნია თავისი ქვეყნიდან სარკინოზები (იხ.: **ნ. ასათიანი.** მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. „საქართველოს აღწერილობა“ შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ***ნ. ასათიანმა***, თბ., 1973, გვ. 73).

[2] აღსანიშნავია, რომ ეს თემა პირველად ნ. ასათიანმა წამოსწია (იხ.: **ნ. ასათიანი.** ახალი ცნობები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან. – *საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი და საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ისტორიის სექციის სამეცნიერო სესიის თეზისები.* თბ., 1965).

[3] **ი. ცინცაძე.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის. – *მაცნე*, №5. თბ., 1968, გვ. 211-214. ი. ცინცაძის კრიტიკას შ. მესხიამ უპასუხა სპეციალური წერილით, რომელშიც მან მოიყვანა ახალი არგუმენტები თავისი ჰიპოთეზის გასამყარებლად (იხ.: **შ. მესხია.** შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან /პროფ. იასე ცინცაძის წერილის გამო/. – *მნათობი*, №1. თბ., 1970, გვ. 143-149).

[4] **Н. Т. Накашидзе.** Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тб., 1968, გვ. 206.

[5] **Н. Ш. Асатиани.** Страницы истории русско-грузинских взаимоотношений. – *Литературная Грузия*, №8, 1975, გვ. 78; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია. – *ქართული დიპლო-*

ოფიციალურ ქუთაისსა და კიევს შორის ამგვარი დიპლომატიური კონ-ტაქტების შესაძლო არსებობის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად (რომელ-ზეც საგანგებოდ მიუთითებდა შ. მესხიაც), მიჩნეულია ის ფაქტი, რომ ძველ რუსეთში საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი, თუ რომელ ქვეყანას შეაფარეს თავი ვლადიმირ მონომახის მიერ დევნილმა ყივჩაყებ-მა. ამის ნათელი დადასტურებაა ვოლინელი მემატიანის ცნობა ვლადი-მირ მონომახის მიერ ყივჩაყთა ერთ-ერთი ურდოს მეთაურის ოტროკის (იგივე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისეული ათრაქა შარაღანის ძე) განდევნის შესახებ საქართველოში *(«...во Обезы , за Желѣзныя врата»)*.[1]

ვფიქრობთ, ასევე შეუვალია ყივჩაყებთან დაკავშირებული სხვა პრობლემური საკითხების შ. მესხიასეული ხედვა. პირველ რიგში, მხედ-ველობაში გვაქვს ყივჩაყთა განსახლების ადგილმდებარეობის საკითხი. მკვლევარმა განავითარა აკად. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი, რომ-ლის მიხედვითაც *„იმიერკავკასიითგან გადმოყვანილი“* ყივჩაყები საქარ-თველოს სამეფო კარს *„გარეშე მტრის, სელჩუკიანი თურქების, შემოსე-ვების წყალობით“* მოსახლეობისაგან დაცლილ ქართლში უნდა ჩაესახლე-ბინა.[2] ამასთან, შ. მესხიამ კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნია ცნობილი სომეხი მეცნიერის აკად. სურენ ერემიანისა და ქველი ჩხატარაიშვილის მოსაზრება ყივჩაყთა სომხეთის ტერიტორიაზე განსახლების თაობაზე.[3]

მეცნიერის აზრით, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, დავით აღმაშენებელს ყივჩაყები იქ უნდა ჩაესახლებინა, სადაც მათი

მატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1998, გვ. 265-267; **Р. В. Метревели.** Внешняя политика Грузии в средние века XII век. *Некоторые вопросы внешней политики Грузии в средние века.* Тб., 1995, გვ. 6-7; **R. Metreveli**. Foreign Policy of Georgia in the Middle Ages. *12th Century*. თბილისი, 1997, გვ. 6; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 103-105.

[1] გალიჩ-ვოლინის მატიანე – XIII ს. ძველი რუსული საისტორიო თხზულება, რომელშიც გადმოცემულია ამ სამთავროს ისტორია XIII საუკუნეში, შესულია იპატის ნუსხის სახელით ცნობილ მატიანეში *(Полное собрание русских летописей – ПСРЛ.* Том 2. Ипатьевская летопись. Издание второе. С.-Петербургъ, 1908). ამჟამად ჩვენ ვსარგებლობთ ამ მატიანის უახლესი გამოცემით (იხ.: *Галицко-Волынская летопись*. Подготовка текста, перевод и комментарий ***О. П. Лихачевой.*** – *Памятники литературы Древней Руси: XIII век*. Москва, 1981, გვ. 236).

[2] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. II. თბ., 1983, გვ. 209.

[3] **С. Т. Еремян.** Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках. – *Научные труды Ереванского государственного университета*, т. XXIII. Ереван, 1946, გვ. 393-394; **С. Т. Еремян.** Агарцинская надпись 1184 г. – *Исследования по истории культуры народов Востока.* Сборник в честь акад. ***И. А. Орбели.*** М.-Л., 1960, გვ. 85-86; **ქ. ჩხატარაიშვილი.** უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 170-173.

გაქართველების უკეთესი პირობები იქნებოდა, ასეთ რაიონებად კი შ. მესხიამ მიიჩნია შიდა და ქვემო ქართლი, და არა სომხეთის ტერიტორია, რომელიც ყივჩაყთა „არმენიზაციას“ უფრო შეუწყობდა ხელს, ვიდრე მათ გაქართველებას. რაც შეეხება ს. ერემიანისა და ქ. ჩხატარაიშვილის მიერ მოხმობილ სომხურ ეპიგრაფიკულ მასალას (რომლითაც ისინი ასაბუთებდნენ ყივჩაყთა მოსახლეობას სომხეთში), ის შ. მესხიას სავსებით არგუმენტირებულად *„ახალ (XIII-XIV საუკუნეებში ჩამოსახლებულ) ყივჩაყთა“* ნაკვალევად მიაჩნია.[1]

არანაკლებ პრინციპულია შ. მესხიას მიერ ს. ერემიანის მხრიდან ყივჩაყთა როლის გაზვიადების მცდელობის[2] კრიტიკაც. ამასთან, მეცნიერი სულაც არ უარყოფს, რომ ყივჩაყებისაგან შემდგარმა ჯარმა მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალი, თუმცა, მისი აზრით, ის ფაქტი, რომ დიდგორის ომში, როდესაც, ფაქტობრივად, ქვეყნის ბედ-იღბალი წყდებოდა, მან 40000 ყივჩაყიდან ბრძოლის ველზე მხოლოდ 15 ათასი მეომარი გამოიყვანა, აშკარად იმაზე მეტყველებს, რომ დავითის საქართველოს მიერ მოპოვებული სამხედრო წარმატებების მთავარი შემოქმედი საკუთრივ ქართული ჯარი იყო.

სამხედრო რეფორმასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შ. მესხიას კიდევ ერთ უაღრესად საყურადღებო მიგნებას. მხედველობაში გვაქვს მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, რამაც გადააწყვეტინა დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა გადმოსახლება და მათგან ჯარის შევსება, იყო მატერიალური დოვლათის მთავარი შემქმნელი მასის – გლეხთა – მიწისაგან არ მოწყვეტა და გლეხური მეურნეობის გაძლიერება, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლის საწინდარი იქნებოდა.[3]

ზემოთ უკვე ნაწილობრივ შევეხეთ შოთა მესხიას დაკვირვებებს საქართველოს სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე XI – XII ს. დამდეგს. ეს თემატიკა განსაკუთრებით რელიეფურადაა გაშუქებული პარაგრაფში: *„საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა დიდგორის ბრძოლის წინ“*, რომელშიც მკაფიოდაა ნაჩვენები საქართველოს სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური აქტიურობის მასშტაბები, მისი როლი და ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში.

ამ კუთხით, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების ანალიზი. შ. მესხიამ სავსებით დამაჯერებლად აჩვენა, რომ საქართველოს სახელმწიფო ევროპელი ჯვაროსნების თვალში განიხილებოდა როგორც მთავარი მოკავშირე თურქ-სელჩუკთა

---

[1] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი.., გვ. 40-43.

[2] **С. Т. Еремян.** Юрий Боголюбский.., გვ. 391.

[3] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 38.

წინააღმდეგ „საღვთო ომში“. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ შ. მესხიას მიერ ამ დასკვნის შესამაგრებლად მოტანილი მასალები მთელი დამაჯერებლობით აჩვენებენ, რომ საქართველო და მისი სწორუპოვარი ლიდერი ჯვაროსნული კამპანიის აქტიურ სუბიექტებს წარმოადგენდნენ და რომ სელჩუკების წინააღმდეგ დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ მასშტაბურ აქციებს მნიშვნელოვანი კორექტივები შეჰქონდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გლობალურ დაპირისპირებაში, რომელსაც ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა დაუდეს სათავე.[1]

ჩვენ ამას საგანგებოდ ვუსვამთ ხაზს იმის გამოც, რომ ბოლო დროს ადგილი აქვს სრულიად გაუგებარ და, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად დაუსაბუთელ მცდელობას, გადაისინჯოს შ. მესხიას ეს დასკვნა, რომელიც საყოველთაოდ გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.[2] ამგვარი მცდელობა მოცემულია ს. მარგიშვილის ზემოთ ნახსენებ მონოგრაფიაში, რომელშიც ავტორი არათუ გამორიცხავს საქართველო-ჯვაროსნებს შორის „პოლიტიკურ თანამშრომლობას“ დავით აღმაშენებლის ეპოქაში, არამედ საერთოდ ფიქრობს, რომ იმჟამად რაიმე პარტნიორობა-მოკავშირეობისათვის *„პოლიტიკური მოტივაცია (და პოლიტიკური ნება)“* უბრალოდ არ არსებობდა.[3] წერილის ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ ამჯერად მოკლებული ვართ შესაძლებლობას წარმოვად-

---

[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს როლსა და ადგილზე ჯვაროსანთა და თურქ-სელჩუკთა დაპირისპირებაში მანამდე ყურადღება გაამახვილეს ზურაბ ავალიშვილმა, რომლის ნაშრომი (**ზ. ავალიშვილი.** ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი ისტორიული ნარკვევი. პარიზი, 1929, გვ. 13-73) ერთგვარად საეტაპო იყო ამ მიმართულებით და აკად. სიმონ ჯანაშიამ (შესაბამისი მასალა წარმოდგენილია ს. ჯანაშიას მიერ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის დაწერილ პარაგრაფში: *„ქართული ფეოდალური მონარქია XII საუკუნეში“*. იხ.: **ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია.** საქართველოს ისტორია. ნაწ. I. *უძველესი დროიდან XIX საუკუნის* დამდეგამდე. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის. მეორე, შესწორებულ-შევსებული გამოცემა. თბ., 1946, გვ. 224-225; **ს. ჯანაშია.** შრომები. ტ. V. თბ., 1987, გვ. 162-164). შ. მესხიამ განავითარა, შეავსო და დასრულებული სახე მისცა მის წინამორბედთა შეხედულებებს.

[2] **ვ. კოპალიანი.** საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან XI-XII სს. მიჯნაზე. – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები,* თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 83-121; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველო XI ს. ბოლოს და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. III. თბ., 1979, გვ. 248-249; **შ. ბადრიძე.** საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973, გვ. 12-21; **რ. მეტრეველი.** ჯვაროსნული ომები და საქართველოს სამეფო. – *სამეცნიერო პარადიგმები.* თბ., 2010, გვ. 388-416; **R. Metreveli.** Les relations de la Georgie avec la Byzance et les croises au XII-ieme siecle. – *Caucasica*. *The Journal of Caucasian Studies, Vol*. 3. თბ., 1998 და სხვ.

[3] **ს. მარგიშვილი.** მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ.., გვ. 104.

გინოთ ამ ძირშივე მცდარი დებულების ამომწურავი კრიტიკა, მაგრამ მცირე შენიშვნას მაინც გავაკეთებთ.

ს. მარგიშვილის, უდავოდ ნიჭიერი და ერუდირებული მკვლევრის (ძალზე საწყენია მისი უდროო გარდაცვალება) მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას ამ კონკრეტულ შემთხვევაში პარტნიორობა-მოკავშირეობა ვერ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე. ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფოს ევროპელ ჯვაროსნებთან არ ჰქონდა გაფორმებული ორმხრივი, ასე ვთქვათ, „ჩარჩო ხელშეკრულება“ (ყოველ შემთხვევაში ამგვარი დოკუმენტი არ შემოგვრჩა), სულაც არ გამორიცხავს სელჩუკთა წინააღმდეგ მებრძოლ ამ ორ სუბიექტს შორის დიპლომატიურ და სამხედრო თანამშრომლობას.

განა ძალზე მიამიტური არ იქნება იმის დაშვება, რომ სელჩუკთა წინააღმდეგობის აღიარებულმა ლიდერმა ნეჯმ ად დინ ილ-ღაზიმ, რომელმაც ჯვაროსნებთან ომებში *„დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, როგორც უნარიანმა მხედართმთავარმა და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწია“*,[1] ყველაფერი მიატოვა, მოხსნა თავისი ძალები იერუსალიმი-ანტიოქიის ფრონტიდან და ერთიანად დაიძრა აღმოსავლეთისაკენ მხოლოდ იმისათვის, რომ უბრალოდ საქართველოს მეფის მიერ შევიწროებულ თბილელ და დმანელ მუსლიმებს მიშველებოდა?!

რა დიდი დაფიქრება უნდა იმას, რომ სელჩუკთა ასეთი ფართო კოალიციის მობილიზაცია, რომელსაც სათავეში მაინცდამაინც იმჟამად მთელ ისლამურ სამყაროში ყველაზე სახელოვანი მხედართმთავარი ჩაუყენეს, აშკარად გაცილებით უფრო მასშტაბური ამოცანის გადაჭრას ემსახურებოდა და ეს ამოცანა, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ დაჩოქება და ამ გზით რეალურად არსებული „მეორე ფრონტის“ მოშლა იყო.

ან რატომ არ უნდა გავუწიოთ ანგარიში დიდგორის ომში ჯვაროსანთა რაზმის უშუალო მონაწილეობის ფაქტს, რომელსაც არა მხოლოდ ძალზე კომპეტენტური (თუმცა „დაინტერესებული“) ავტორი, ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერი ვალტერ გოტიე,[2] არამედ, მისგან დამოუკიდებლად, სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეციც აფიქსირებს?[3] როგორ შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი გარკვეულ პოლიტიკურ-დიპლომატიურ ჭრილში არ განვიხილოთ?

---

[1] **ს. მარგიშვილი.** მითები და რეალობა.., გვ. 67.

[2] **ზ. ავალიშვილი.** გარშემო ერთი ომისა. 1121. – *ჯვაროსანთა დროიდან.* ოთხი ისტორიული ნარკვევი, გვ. 46.

[3] **ლ. დავლიანიძე.** მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 246; **Р. М. Бартикян.** Хронография Матфея Эдесского о Грузии и грузинах. – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები.* თბ., 1978, გვ. 144.

რაც შეეხება ს. მარგიშვილის მოსაზრებას, რომ დიდგორის ბრძოლის „ორას ფრანგ მეომარში“ (ვ. გოტიე) ჯვაროსნები კი არ უნდა დავინახოთ, არამედ *„ქვეყნიდან ქვეყანაში მოსიარულე, იღბლისა და სამხედრო სამსახურის მაძიებელი“* ჩვეულებრივი მოქირავნეები,[1] ეს სრული გაუგებრობა და მეცნიერის მიერ აკვიატებული თვალსაზრისის – საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობების პოლიტიკურ-დიპლომატიური შემადგენლის უარყოფის უსუსური მცდელობაა.[2]

ს. მარგიშვილი იმდენად გაიტაცა საქართველო-ჯვაროსნებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობების კატეგორიულად უარყოფამ, რომ წმინდა საფლავის კანტორის ანსელუსის ცნობილ წერილში ასახული ფაქტი (მის მიერ დავით ქართველთა მეფის ნაქონი ჯვრის შეძენის შესახებ) მხოლოდ სავაჭრო ურთიერთოების ამსახველად ჩათვალა[3] და არაფრად ჩააგდო ამავე წერილში მოცემული უაღრესად მნიშვნელოვანი განმარტება, რომლის მიხედვითაც დავითის *„ქვეყანა და სამეფო მიდიელთა და სპარსთა წინააღმდეგ“* ბრძოლაში ჯვაროსან-ევროპელთა „წინა ბურჯადაა“ გამოცხადებული.[4]

ს. მარგიშვილის ნაშრომში არის კიდევ არაერთი მცდარი დებულება, მათ შორის უშუალოდ დიდგორის ბრძოლის სამხედრო ასპექტების ირგვლივ, რომლებშიც ეჭვს ქვეშ დგება დიდგორზე მოპოვებული „ძლევაჲ საკვირველის“ გრანდიოზულობა. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ **ავტორი ყოველნაირად ცდილობს, დაამცროს დავით აღმაშენებლის რეფორმატორული მოღვაწეობისა და საქართველოს სახელმწიფოს მიერ საგარეო არენაზე მოპოვებული გამარჯვებების მასშტაბები და ამით გაამართლოს თავისი ნაშრომის სათაური – *„მითები და რეალობა...“*.**

ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ აპრიორი თავი შევიკავოთ წყაროთა მონაცემების უფრო კრიტიკული გააზრებისა და ამის საფუძველზე ისტორიული მოვლენების ირგვლივ არსებულ ტრადიციულ ხედვებში გარკვეული კორექტივების შეტანისაგან – ეს ჩაკლავს მეცნიერებას, მაგრამ განა სიახლისა და ორიგინალურობის ძიების სურვილმა უნდა გვიბიძგოს იქითკენ, რომ, სათანადო დასაბუთების გარეშე, ერთი ხელის მოსმით, უარვყოთ და მითებად გამოვაცხადოთ საქართველოს ისტორიის საამაყო ეპიზოდები.

---

[1] **ს. მარგიშვილი.** მითები და რეალობა.., გვ. 111.

[2] აღსანიშნავია, რომ თავის დროზე „ფრანგების“ მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში უარყოფდნენ ს. ერემიანი (**С. Т. Еремян.** Юрий Боголюбский.., გვ. 350) და ქ. ჩხატარაიშვილი (**ქ. ჩხატარაიშვილი.** უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში, გვ. 178). შ. მესხიამ სავსებით სამართლიანად მიუთითა ამ თვალსაზრისის მცდარობაზე (იხ.: **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი.., გვ. 107).

[3] **ს. მარგიშვილი.** მითები და რეალობა.., გვ. 104.

[4] **ზ. ავალიშვილი.** ერთი ჯვარის გარშემო. 1108-9. – *ჯვაროსანთა დროიდან.* ოთხი ისტორიული ნარკვევი, გვ. 17-18.

ეროვნული ისტორია მეტად სათუთი სფეროა, რომელიც ვერ ითმენს რყევებს და მეცნიერის მხრიდან მოითხოვს მაქსიმალურ სიფრთხილეს. ქართული ისტორიოგრაფიის მამებს (ვახუშტი ბაგრატიონი, ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი...) ეს მშვენივრად ესმოდათ. ისინი არასოდეს აძლევდნენ თავს უფლებას აჰყოლოდნენ ეროვნულ გრძნობებს და, სათანადო არგუმენტაციის გარეშე, დაუმსახურებლად განედიდებინათ ცალკეული მოღვაწეები. მაგრამ, ამასთან, მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო მოჭარბებული ნიჰილიზმი და ეროვნული ისტორიის სახელოვანი ფურცლების ზედმეტად კრიტიკული აღქმა. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ზოგადად (რასაკვირველია, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა) ერთგულად მიჰყვება ამ მაგისტრალურ ხაზს, ცდილობს დაიცვას ერთგვარი „ოქროს შუალედი“ და არ დაუშვას გადახრა არც ერთი მიმართულებით. შოთა მესხიას *„ძლევაჲ საკვირველი“* სწორედ ამ „ოქროს შუალედის“ სანიმუშო დემონსტრირებაა.

ამ თვალსაზრისით შოთა მესხიას *„ძლევაჲ საკვირველი“* მნიშვნელოვანი და სამაგალითოა იმითაც, რომ მასში მეცნიერი უპასუხოდ არ ტოვებს ცალკეულ უცხოელ მკვლევართა მხრიდან ტენდენციურ მიდგომებს, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო როლის დამცრობის მცდელობებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილ რუს ნუმიზმატ ევგენი პახომოვიდან მომდინარე თვალსაზრისის (რომლის მიხედვითაც დემეტრე I-ის მონეტაზე ხალიფასა და სულთნის სახელების მოხსენიების საფუძველზე XII საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო მუსლიმური სამყაროს ვასალად ცხადდებოდა)[1] რეანიმაციის ფაქტებზე (ვლადიმირ მინორსკისა და განსაკუთრებით ოლეგ ვილჩევსკის მხრიდან)[2] ყურადღების გამახვილება და ამ შეხედულების ამომწურავი კრიტიკა.[3]

---

[1] **Е. А. Пахомов**. Монеты Грузии. Ч. 1. *Домонгольский период*. СПб., 1910. ამ ნაშრომის ხელახალი გამოცემა იხ.: **Е. А. Пахомов**. Монеты Грузии. Тб., 1970, გვ. 32. ე. პახომოვის ამ თვალსაზრისის კრიტიკა იხ.: **И. А. Джавахишвили.** Е. А. Пахомов. Монеты Грузии. – *Христианский Восток*. т. I, вып. I. СПб., 1912, გვ. 104-117.

[2] **V. Minorsky**. Caucasica in the History of Mayyafariqin. – *Bulletin of the School of Oriental (and African) Studies (BSOAS)*, 1953, გვ. 31 (http://www.jstor.org/stable/609061); **О. Л. Вильчевский.** Ода Хакани грузинскому царю Димитрию I. – *Исследования по истории культуры народов Востока*. Сборник в честь академика **И. А. Орбели**. М.-Л., 1960, გვ. 60.

[3] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი.., გვ. 147-151. შ. მესხიას არგუმენტაცია და დასკვნები ამ საკითხზე აქტუალობას ინარჩუნებს დღესაც, რადგან ბოლო დროს ზოგიერთი აზერბაიჯანელი მკვლევარი ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველო XII საუკუნეში დამოკიდებული იყო მუსლიმურ სამყაროზე (მათ შორის აზერბაიჯანზე) პოლიტიკურად და ეკონომიკურად *(«Грузия **зависела** от мусульманского мира, в том числе **от Азербайджана, не только политичес-***

აღსანიშნავია აგრეთვე შ. მესხიას რეპლიკა[1] აზერბაიჯანელი ისტორიკოსის აკად. აბდულქერიმ ალი-ზადეს მცდელობაზე, უარყოს საქართველოს სიუზერენიტეტი შირვანშაჰთა სახელმწიფოზე XII საუკუნეში.[2]

„ძლევაჲ საკვირველის“ ცენტრალური თემა, რასაკვირველია, საკუთრივ დიდგორის ბრძოლაა. შ. მესხია სათანადო პირველწყაროებზე დაყრდნობით მეტად საინტერესოდ შლის ამ თემას. აანალიზებს მის მიზეზებს, აზუსტებს სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის, რაოდენობას, შემადგენლობასა და მეთაურთა ვინაობას, ასევე ქართული ჯარის რიცხოვნობას და შემადგენლობას. მკვლევარს სავსებით მართებულად შეაქვს ეჭვი სელჩუკთა ლაშქრის რაოდენობის მათეოს ურჰაეცისეულ (560 000) და კანცლერ გოტიეს (600 000) მონაცემებში და ამ ციფრებს გაზვიადებულად მიიჩნევს. მისი აზრით, *„ნახევარმილიონიანი თუ ექვსასათასიანი ლაშქარი თრიალეთ–მანგლის–დიდგორის სანახებში არათუ ვერ გაიშლებოდა საბრძოლველად, ვერც კი დაეტეოდა“.* ამასთან, მეცნიერი სავსებით ლოგიკურად ასკვნის, რომ *„მოწინააღმდეგის ლაშქარი*

ки, но и экономически»). იხ.: **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки. Баку, 2010, გვ. 120, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** ამ ნაშრომში განვითარებული ტენდენციური მიდგომების შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ. *ზოგიერთი შენიშვნა რაუფ ჰუსეინ ზადეს მონოგრაფიაზე: „კავკასია და სელჩუკები“. – საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერესპექტივები.* აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი, 21-24 ივნისი, 2012) ***მასალები.*** თბ., 2012, გვ. 161-170; **З. Папаскири.** Об одной попытке игнорирования роли и места грузинского государства на международной арене в XII веке. Некоторые замечания на книгу Рауфа А. Гусейн-Заде: «Кавказ и Сельджуки». – *Кавказ и мир.* Международный научный журнал. №14. Тб., 2012, გვ. 60-83 (http://iberiana2.wordpress.com/caucasus/papaskiri).

[1] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი.., გვ. 142.

[2] **А. А. Али-заде.** От ответственного редактора. – წგნ.: **В. Ф. Минорский**. История Ширвана и Дербента X-XI веков. Москва, 1963, გვ. 8-12; **А. А. Али-заде.** Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв. Баку, 1966, გვ. 357. მიუხედავად იმისა, რომ ა. ალიზადეს ამ თეზისის უსაფუძვლობა მკაფიოდ აჩვენეს როგორც ქართველმა (**ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. წერილი I. XII საუკუნის პირველი ნახევარი. – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები,* თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 8-16, ისე თვით აზერბაიჯანელმა (**З. М. Буниятов.** Некоторые сведения Садр ад-Дина ал-Хусайни о Грузии. – *მაცნე,* ისტორიის... სერია, №1, 1971) მეცნიერებმა, ა. ალი-ზადემ მოგვიანებით მაინც განაგრძო თავისი თვალსაზრისის ტირაჟირება (**А. А. Али-заде.** К вопросу об освещении ширвано-грузинских отношений в XI-XII веках. Статья первая. – *Известия АН Азербайджанской ССР*. Серия истории, философии и права, №4, 1977, გვ. 73-85).

ბევრად, რამდენიმეჯერ აღემატებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ ამ ბრძოლაში გამოყვანილ ლაშქარს".

ასე რომ, შ. მესხია (და ზოგადად ქართული ისტორიოგრაფია) ნამდვილად არაა „მითებს" აყოლილი და სულაც არ ენდობა ბრმად მათეოს ურჰაეცისა და გოტიეს „გაბერილ" ციფრებს, რაშიც მას უსამართლოდ ადანაშაულებს ს. მარგიშვილი.[1] რაც შეეხება, თვით ს. მარგიშვილის ტენდენციას, მაქსიმალურად „ჩამოწიოს" დაბლა მოწინააღმდეგეთა ლაშქრის რიცხოვნობა (ფაქტობრივად, ამით ის ერთგვარად აკნინებს, დიდგორის ეპოპეის მნიშვნელობას), ეს, სულ ცოტა, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ლაშქრის რაოდენობაზე, რომლის ციფრობრივ მონაცემებში ვერაფერს დაუჯერებელს ვერ ვხედავთ.

უაღრესად საინტერესოა მსჯელობა სელჩუკთა ლაშქრის მარშრუტსა და თვით ბრძოლის ველის ადგილმდებარეობაზე; კვალიფიციურადაა გაანალიზებული საბრძოლო მოქმედებები სამხედრო-ტაქტიკური კუთხით. ამ მხრივ, მკვლევარი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს წყაროების მიერ დაფიქსირებულ მოულოდნელობის ეფექტზე, რომელიც გამოუყენებია დავით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლაში. მხედველებაში გვაქვს ორასკაციანი მეწინავე რაზმის (იბნ ალ-ასირის მიხედვით, ყივჩაყებისაგან, ხოლო გოტიეს ცნობით „ფრანგებისაგან" შემდგარი) შეგზავნა მოწინააღმდეგის ბანაკში, რომელთა უეცარმა თავდასხმამ სელჩუკთა ლაშქრის სრული დაბნეულობა გამოიწვია. შ. მესხიას სავსებით დასაშვებად მიაჩნია დავით აღმაშენებლის მიერ ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენება, თუმცა მას ეეჭვება, რომ საქართველოს მეფეს ასეთი *„დიდმნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელიც ქვეყნის და მეფისათვის თავგანწირვას მოითხოვდა, ყივჩაყებისათვის და, მით უფრო „ფრანგებისათვის" (ჯვაროსნებისათვის) მიენდო".*[2]

ამ თემაზე მსჯელობისას, არ შეიძლება არ აღინიშნოს შ. მესხიას კრიტიკული შენიშვნა ზოგიერთი მეცნიერის (სარგის კაკაბაძე) თვალსაზრისზე დიდგორის ომში „ფრანგების" (ჯვაროსნების) გადამწყვეტი როლის შესახებ.[3] მკვლევარი სწორად აღნიშნავს, რომ არა *„ორასმა მძი-*

---

[1] **ს. მარგიშვილი.** მითები და რეალობა.., გვ. 79, 243.

[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი.., გვ. 113-114.

[3] **ს. კაკაბაძე.** დავით აღმაშენებლის ორი დიდი ომი. – *ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები.* IV. თბ., 1942, გვ. 217. აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძე გამოეხმაურა შ. მესხიას ამ კრიტიკას (ის მას იცნობდა *„დიდგორის ბრძოლის"* პირველი – 1965 წლის გამოცემიდან) და განმარტა, რომ მძიმედ შეარაღებულ რაინდებში, რომელმაც, მისი აზრით, გადაწყვიტა დიდგორის ბრძოლის ბედი, მან იგულისხმა არა მხოლოდ გოტიეს მოხსენიებული „ორასი ფრანკი", არამედ მათთან ერთად საკუთრივ ქართველი მძიმედ შეარაღებული 1000-2000 მეომარი (იხ.: **ს. კაკაბაძე.** დიდგორის ომი. თბ., 1982, გვ. 11-14.

მედ შეიარაღებულმა ფრანგმა“, არამედ ***„საქართველოს ლაშქრის თავ-განწირვამ, მოლაშქრეთა მარჯვედ მოქნეულმა ხმალმა.., მამაცი ლაშქრის გონიერმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო დიდი გამარჯვება დიდგორის გადამწყვეტ ბრძოლაში“***.[1]

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას შ. მესხიას *„ძლევაჲ საკვირველ-ლის“* ღირსებებზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულიც სავსებით საკ-მარისია, რომ ის მივიჩნიოთ სრულიად გამორჩეულ ნაშრომად, რომელიც თავისი მეცნიერული ღირებულებით (არაფერს ვამბობთ ფართო მკით-ხველისათვის გასაგებ, პოპულარულ ენაზე მასალის მიწოდების მაღალ კულტურაზე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია) დღესაც – დიდგორის ომზე 1972 წლის შემდეგ გამოსულ პუბლიკაციათა ფონზეც – უპირო-ბოდ რჩება საეტაპო კვლევად ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამიტომა-ცაა აქტუალური ამ შესანიშნავი წიგნის კიდევ ერთხელ გამოცემა.

„ძლევაჲ საკვირველი“ იბეჭდება იმ სახით, როგორც ის გამოვიდა გამოვიდა ავტორის ხელიდან – 1972 წელს. ძირითად ტექსტს არავითა-რი აზრობრივი ცვლილება არ განუცდია, ჩასწორდა მხოლოდ წიგნის გამოცემისას გაპარული ზოგიერთი კორექტურული ხარვეზი. ნაშრომში მთლიანად შენარჩუნებულია ავტორისეული სტილი. ამ მხრივ მოხდა მხოლოდ უმნიშვნელო „ჩარევა“ (მაგ. სიტყვა: „ფაქტიური“ შეიცვალა „ფაქტობრივი“-თ, „მუსლიმანი“ – „მუსლიმით“ და ა.შ.).

და ბოლოს, 2016 წელი საიუბილეო თარიღია – 27 აპრილს შოთა მესხიას დაბადებიდან 100 წელი უსრულდება. ასეთ ვითარებაში უთუ-ოდ მისასალმებელი და მოსაწონია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა *„ძლევაჲ საკვირ-ველის“* ახალი გამოცემით პატივი მიაგოს უმაღლესი სასწავლებლის პროფესურის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, ქართული ისტორიოგრაფიის ჭეშმარიტ რაინდს, გამოჩენილ ისტორიკოსს, მამუ-ლიშვილს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიე-რებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, წლების მანძილზე თსუ სა-ქართველოს ისტორიის კათედრის გამგესა (აკადემიკოსების ივანე ჯავა-ხიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის შემდეგ) და ისტორიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ შოთა მესხიას.

[1] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი.., გვ. 120, ხაზგასმა ავტორისაა.

ერთიანი საქართველოს ისტორიის მკვლევარი. *აკადემიკოსი როინ მეტრეველი**

აკადემიკოს როინ მეტრეველის, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლისა და მისი თავკაცის, მრავალფეროვან სამეცნიერო მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი უკავია ერთიანი საქართველოს – უპირატესად XI-XIII ს. დამდეგის – ისტორიის პრობლემების კვლევას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძნელია მოიძებნოს მეორე ისტორიკოსი, რომელსაც ასე ნაყოფიერად ეღვაწოს ამ მიმართულებით და შეექმნას ფუნდამენტური გამოკვლევები ოქროს ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაზე.

XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემების კვლევა რ. მეტრეველმა დაიწყო ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, როდესაც ის თავისი დიდი მასწავლებლის, გამოჩენილი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, პროფ. შოთა მესხიას ხელმძღვანელობით შეუდგა დავით აღმაშენებლის ეპოქის მეცნიერულ შესწავლას. თქმა იმისა, რომ ახალგაზრდა მკვლევარს დახვდა ერთგვარი ყამირი, რომელზეც პირველი ხნულის გავლება სწორედ მას მოუწევდა, რასაკვირველია, არ იქნებოდა მართებული. იმ დროისათვის ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკოსებისა (ივ. ჯავახიშვილი,[1] ს. ჯანაშია,[2] ნ. ბერძენიშვილი[3]) და სხვა ისტორიკოსთა შრომებში საკმაოდ საფუძვლია-

---

* გამოქვეყნებულია აკადემიკოს როინ მეტრეველის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში: *ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები.* თბ., 2014, გვ. 135-163. ამჯერად იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებებით.

[1] ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ბუნებრივია, უნდა დასახელდეს *„ქართველი ერის ისტორიის“* შესაბამისი ტომი. იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. II. თბ., 1983, გვ. 183-220.

[2] მხედველობაში გვაქვს შესაბამისი პარაგრაფები *(„დავით აღმაშენებელი“; „ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარება დავით III-ის დროიდან დავით IV-მდე“) საქართველოს ისტორიის* სახელმძღვანელოდან (**ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია.** საქართველოს ისტორია. თბ., 1946, გვ. 178-197, 224-225; აღნიშნული მასალა იხ.: **ს. ჯანაშია.** შრომები. ტ. V. თბ., 1987, გვ. 137-164), აგრეთვე: აკად. ს. ჯანაშიას ბოლოსიტყვაობა დართული კონსტანტინე გამსახურდიას რომანის *„დავით აღმაშენებელი“* რუსული გამოცემისათვის (**Константин Гамсахурдия.** Давид Строитель. Т. I. Москва, 1945, გვ. 349-357. აღნიშნული პუბლიკაცია ასევე იხ. წგნ.: **ს. ჯანაშია.** შრომები. ტ. V. თბ., 1987, გვ. 356-365).

[3] **ნ. ბერძენიშვილი.** დავით IV აღმაშენებელი. – წგნ.: **ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი.** საქართველოს ისტორია.

ნად იყო გაანალიზებული საქართველოს ყველა დროის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის დიდნი საქმენი, მაგრამ ეს, ძირითადად, სახელმძღვანელოებსა და სხვა განმაზოგადებელი ხასიათის პუბლიკაციებში გაფანტული ნარკვევები იყო,[1] რომელთაც ყოველმხრივი სიღრმისეული კვლევის პრეტენზია არც ჰქონდა. პირველი მეცნიერი კი, რომელმაც საგანგებოდ, მონოგრაფიულად შეიწავლა დავით აღმაშენებლის ეპოქა, სწორედ რ. მეტრეველი გახლდათ. თავისი კვლევის შედეგები ამ ეტაპზე ახალგაზრდა მეცნიერმა წარმოადგინა საკანდიდატო დისერტაციაში, რომელიც ცალკე მონოგრაფიად გამოიცა 1965 წელს.[2]

მოგვიანებით, რ. მეტრეველმა განაგრძო მუშაობა დავით აღმაშენებლის ეპოქაზე და ახალი დაკვირვებებით შეავსო თავისი ადრინდელი ნაფიქრალი – დროთა განმავლობაში ზოგი რამ დაიხვეწა, ზოგიც გადაისინჯა.[3] შედეგად მივიღეთ დასრულებული მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც ნამდვილად საეტაპოა ეროვნული ისტორიოგრაფიისათვის. ამასთან, ნაშრომების ამ ციკლში რ. მეტრეველმა წინ წამოსწია და ახლებურად გააშუქა XI – XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ისტორიის არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. რასაკვირველია, წარმოდგენილი სტატიის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ რ. მეტრეველის მიერ განხილული თითოეული ამ საკითხის სიღრმისეული ისტორიოგრაფიული ანალიზი,[4] ჩვენ მხოლოდ ცალკეულ თემებზე გავამახვილებთ ყურადღებას და

I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე. დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 1958, გვ. 154-170.

[1] **ნ. ურბნელი.** დავით აღმაშენებელი და მისი დრო. ტფ., 1894; **აბ. კიკვიძე.** დავით აღმაშენებელი. თბ., 1942; **ს. მაკალათია.** დავით აღმაშენებელი. თბ., 1945 და სხვ. დავით აღმაშენებლის ეპოქისა და დიდი მეფის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის ამსახველი პუბლიკაციებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოთ შ. მესხიას დიდგორის ომისადმი მიძღვნილი ვრცელი ნარკვევი. იხ.: **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. – წგნ.: ***შ. მესხია.*** საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ., 1986.

[2] **რ. მეტრეველი.** დავით აღმაშენებელი. სახელმწიფოებრივი რეფორმები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში. თბ., 1965.

[3] ამ კვლევის შედეგები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა. იხ.: **რ. მეტრეველი.** დიდნი საქმენი (XI საუკუნის მეორე ნახევრის და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი). თბ., 1978; **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი. ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა. თბ., 1986; **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა (II გამოცემა). თბ., 1990; **რ. მეტრეველი.** დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. თბ., 2002.

[4] ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: **ა. კოხრეიძე.** დავით აღმაშენებლის აპოლოგია. – *კრიტიკა*, №4, 1988, გვ. 17-26; **დ. ქუმსიშვილი**. ძეგლი დავით IV აღმაშენებელისა. – *მნათობი*, №5, 1988, გვ. 170-173.

ამ ფონზე შევეცდებით წარმოვაჩინოთ მეცნიერის წვლილი დავით აღ-მაშენებლის ეპოქის მეცნიერულ შესწავლაში ზოგადად.

დავიწყებთ ერთიანი საქართველოს მეფეთა ნუმერაციის საკით-ხით: რ. მეტრეველი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ ქვეყნის გაერთიანების შემდეგ „მეფეთა რიგის ათვლის“ ახლიდან დაწყება უფ-რო უპრიანი იქნებოდა. ამ პრინციპით, დავით აღმაშენებელი დავით I-ად უნდა ჩაითვალოს და არა დავით IV-დ.[1] მართლაც, ძნელია არ დაე-თანხმო რ. მეტრეველის ამ მიდგომას, თუნდაც იმიტომ, რომ ერთიანი ქართული მონარქიის გვირგვინოსნები, მიუხედავად იმისა, რომ დინას-ტიურად წარმოადგენდნენ ტაო-კლარჯეთის („ქართველთა“ სამეფოს) ბაგრატიონთა სახლს,[2] სახელმწიფოებრივად, პირველ რიგში, „აფხაზთა“ სამეფოს მმართველი „ლეონიდების“ დინასტიის სამართალმემკვიდრენი იყვნენ (ამიტომაც იდგა მათ ტიტულატურაში პირველ ადგილზე მაინც და მაინც „მეფე აფხაზთა“) და გაცილებით უფრო ლოგიკური იქნებოდა გაერთიანებული სამეფოს ლიდერების ნუმერაცია სწორედ „აფხაზთა“ მეფეთა „რიგს მისადაგებოდა“ – დავით აღმაშენებელი ამ შემთხვევაშიც დავით I იქნებოდა. დღეს კი გვაქვს, ცოტა უხერხული სიტუაცია: ბაგ-რატ-დავითების ნუმერაცია ბაგრატიონი დინასტების „რიგს“ მიჰყვება, რის გამოც საქართველოს მეორე მეფე – გიორგი პირველადაა მიჩნეული და არა მესამედ,[3] ამით კი ჩაკარგულია ქუთაისის ტახტზე მისი დიდი წი-ნამორბედების, „აფხაზთა“ მეფეების – გიორგი I „აღწეფელად“ წოდებუ-ლის (დაახლ. 861-868) და გიორგი II-ის (922-957) ღვაწლი ერთიანი ქარ-თული სახელმწიფოს მშენებლობაში. რ. მეტრეველისელი ხედვა ამ სა-კითხისა სავსებით მისაღებია და დასანანია, რომ მეცნიერი არ შეეცადა

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 9-10.

[2] ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თვალსაზრისით, დავით I-ად მიჩნეულია ბაგრატ აშოტის ძე ბაგრატიონის ვაჟი დავით კურაპალატი (876-881), რომე-ლიც, სხვათა შორის, ოფიციალურად არც კი ატარებდა მეფის ტიტულს. დავით II (923-937) კი იყო ამ უკანასკნელის შვილიშვილი – ადარნასე II-ის (როგორც ცნობილია, სწორედ ადარნასე დავითის ძეა პირველი ბაგრატიონი, რომელიც იწოდა „მეფედ ქართველთა“ იყო) ძე. დავით III კი იგივე დავით დიდი კურაპა-ლატია (978-1001). **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 10.

[3] ამ მხრივ ერთგვარად პრობლემურია საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ბაგრატ III-ის ნუმერაციაც, რომელსაც დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახ-ტზე უსწრებდა ბაგრატ I (881-893). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ აფხაზურ პუბლიკაციაში ამის გამო ბაგრატ III გამოცხადებულია ბაგრატ II-დ, თუმცა იმა-ვე პუბლიკაციების ავტორებს ავიწყდებათ ეს, როდესაც საუბრობენ ბაგრატ IV-ზე და უცვლელად ტოვებენ მის ნუმერაციას (*Летопись Абхазских царей. – Официальный интернет-ресурс Национального Новоафонского историко-культурного заповедника «Анакопия»*. http://afon-abkhazia.ru/popular_science_publications/travel_kingdom/annals_of_abkhazian_kings/).

მის მიერ შემოთავაზებული ნუმერაციის დამკვიდრებას.

უაღრესად საინტერესოა ტახტის მემკვიდრეობის წესზე დავით აღმაშენებლის ანდერძის მონაცემების ანალიზი, რომლის შედეგად მკვლევარი აკეთებს მეტად საყურადღებო დასკვნას. რ. მეტრეველის აზრით, *„დავითის ანდერძის ის ნაწილი“*, რომლის მიხედვითაც დიდი მეფე ერთგვარად ცვლის ტახტის მემკვიდრეობის წესს და *„უშვებს უმცროსი შვილის, ამ შემთხვევაში ცუატას იგივე ვახტანგის გამეფების შესაძლებლობას“*, არ უნდა ყოფილიყო *„შემდგომში სამეფო ტახტის მემკვიდრეთა განსაზღვრის“* ნორმა და მას მხოლოდ „კერძო ხასიათის“ აქტად მიიჩნევს, რომელიც ერთ, *„კონკრეტულ პიროვნებას ცუატას ეხება“*.[1] აქვე მეცნიერი აზუსტებს საკუთრივ ანდერძის დაწერის თარიღს და მას (მანამდე საყოველთაოდ მიღებული 1123 წლის ნაცვლად) *„1124 წელს – საქართველოს მეფის შირვანზე გალაშქრების წინ“* შედგენილად მიიჩნევს.[2]

გარდა დავით აღმაშენებლის ანდერძის შედგენის თარიღის დადგენისა, რ. მეტრეველმა დააზუსტა და გამართა XI-XII საუკუნეების მიჯნის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია.[3] პირველ რიგში, ამ მხრივ უნდა გამოვყოთ, სელჩუკებისადმი ხარკის მიცემის შეწყვეტის თარიღი, რომელიც მკვლევარს ისტორიოგრაფიაში ადრე მიღებული 1097 წლის ნაცვლად გადააქვს 1099 წლისათვის.[4] მისივე დაკვირვებით, ზედაზნის ციხეზე – *„კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლისას სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონე“* პუნქტზე საქართველოს მეფის კონტროლის დამყარება *„მოხდა არა 1001 წელს, არამედ 1003 წელს“*.[5] არანაკლებ მნიშვნელოვანია რ. მეტრეველის მიერ ე.წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების თარიღის დაზუსტებაც. უშუალოდ მეფის ინიციატივით მოწვეული ქართული სამღვდელოების ამ თავყრილობას, რომელსაც მკვლევარი სავსებით მართებულად დიდი საეკლესიო კრებას უწოდებს, ის 1004 წლით ათარიღებს.[6] ეს თარიღები დღეს საყოველთაოდაა გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 21.

[2] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 23-26. ეს დათარიღება ახალი არგუმენტებით შეამაგრა ვ. სილოგავამ. იხ.: **ვ. სილოგავა.** ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი. თბ., 2003, გვ. 29-35.

[3] **რ. მეტრეველი.** საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის დათარიღებისათვის. – *მნათობი.* №6, 1970; **რ. მეტრეველი.** ქრონოლოგიის საკითხები. თბ., 2002.

[4] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 84; **რ. მეტრეველი.** ქრონოლოგიის.., გვ. 3-8.

[5] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 84-85; **რ. მეტრეველი.** ქრონოლოგიის.., გვ. 8-10.

[6] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 121; **რ. მეტრეველი.** ქრონოლოგიის.., გვ. 21-25; **რ. მეტრეველი.** 2004 წელი – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავი. თბ., 2002, გვ. 10-15.

დავით აღმაშენებლის ეპოქისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში, რ. მეტრეველი საგანგებოდ ჩერდება წინა პერიოდის პოლიტიკური ისტორიის ცალკეულ საკითხებზეც, რომელთაგან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს გიორგი II-ის მოღვაწეობის მისეული შეფასება. მკვლევარმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში ამ საკითხს საგანგებო სტატია[1] მიუძღვნა, რომელშიც განავითარა და ახალი არგუმენტებით შეამაგრა ცნობილი ისტორიკოსის ნოდარ შენგელიას მცდელობა მოეხდინა გიორგი II-ის რეაბილიტაცია.[2] როგორც ცნობილია, ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში გიორგი II-ის პიროვნების მიმართ ერთნიშნად ნეგატიური დამოკიდებულება იყო, რომელიც სათავეს ძირითადად ივ. ჯავახიშვილის შეფასებიდან იღებდა.[3]

ამ შემთხვევაში უმთავრეს „კომპრომატად" მიჩნეულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ თუ როგორ *„მოეკსენა"* გიორგი II-ს (ალყაშემორტყმული ვეჯინის ციხისთვის ბრძოლის დროს, როდესაც ის ის იყო, რომ ციხე დაცემულიყო და საქართველოს მეფეს კახეთის საბოლოოდ შემოერთების საქმე წარმატებით დაესრულებინა) მოულოდნელად *„ნადირობაჲ აჯამეთისაჲ, არღარას ზრუნვიდა სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისა და კახეთისასა; არამედ ლაშქართა თურქთა რომელნი ჰყვეს, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანაჲ იორის პირისაჲ კუხეთი, რომელი მოოჴრდა მოდღენდელად დღედმდე. ხოლო თჳთ გარდავლო მთაჲ ლიხთაჲ და შთავიდა აფხაზეთად".*[4] ნ. შენგელიამ სწორედ დავით აღმაშენებლის მემატიანის ამ ცნობის ახლებური გაგება შემოგვთავაზა. მკვლევრის დაკვირვებით, გიორგი II-მ შეგნებულად თქვა უარი კახეთის შემომტკიცებაზე, რადგან *„მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კახეთის ციხე-სიმაგრეები სელჩუკთა მიერ დაკავების შემდეგ, მან ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ იმაში პოვა, რომ გაცლოდა მათ და კახეთის აოხრებაში მონაწილეობა არ მიეღო".*[5]

ნ. შენგელიას შეხედულება ამ საკითხზე მთლიანად გაიზიარა რ.

---

[1] **რ. მეტრეველი.** გიორგი მეორის მოღვაწეობის შეფასების საკითხი. – წგნ.: **რ. მეტრეველი.** ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1972, გვ. 29-60.

[2] **ნ. შენგელია.** სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1968, გვ. 316-317.

[3] დიდ მეცნიერს გიორგი II მიაჩნდა *„მეტად რბილი და სუსტი ხასიათის კაცად"*, რომელსაც *„ჰკლებია ის სიდინჯე და საქმიანობა, რომელიც ქვეყნის ბატონისთვის აუცილებლად არის საჭირო... ვერც თავგასულს დიდგვარიან აზნაურებს უწევდა ღირსეულ წინააღმდეგობას, ვერც გათამამებულ გარეშე მტერს იგერიებდა".* **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია. წ. II.., გვ. 159.

[4] *ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. – ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 305.

[5] **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო.., გვ. 316-317.

მეტრეველმა, რომელმაც სრულიად დაუჯერებლად მიიჩნია დავითის ისტორიკოსის კონცეფცია ვეჯინის ალყის მოხსნისა და „აფხაზეთში გადასვლის“ შესახებ.[1] მეცნიერი უფრო შორს წავიდა და *„ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისის“* ზემოთმოყვანილი ვერსია, ფაქტობრივად, ავტორის ტენდენციურობით ახსნა: *„რაოდენ დიდია სურვილი ისტორიკოსის მიერ გიორგი II-ის პიროვნების დამცრობისა,* – აღნიშნავს რ. მეტრეველი, – *რომ სახელმწიფო ცხოვრების ისეთი რთული და სერიოზული საკითხის გადაჭრის გადადება, როგორიც ვეჯინის აღება და კახეთის შემოერთება იყო, ნადირობის მიზეზით აქვს ახსნილი“*.[2] ამასთან, რ. მეტრეველი აანალიზებს იმ პერიოდში შექმნილ ურთულეს საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას და ასკვნის, რომ *„გიორგი II-ს აუგად მოხსენიება ... უმართებულოა“* და რომ *„მისი როგორც პიროვნებისა და მეფის მოღვაწეობა განხილული უნდა იქნეს ეპოქის იმ პირობების გათვალისწინებით რომელშიც მას მოუხდა საქართველოს მეფის მძიმე უღლის ტარება“*.[3] უნდა აღინიშნოს, რომ რ. მეტრეველის ეს დასკვნა ძირითადად გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში,[4] თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც.[5]

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 68. ვეჯინის ციხისათვის ალყის მოხსნას გიორგი II-ის მხრიდან სელჩუკთა მიმართ გაკეთებულ ერთგვარ საბოტაჟად მიიჩნევს შ. ბადრიძე (**შ ბადრიძე**. კეთილად შესახვედრი წიგნი (რეცენზია რ. მეტრეველის წიგნზე „ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიიდან“). – *ცისკარი.* №9, 1972, გვ. 110). მ. ლორთქიფანიძის აზრითაც, გიორგი II-მ შეგნებულად თქვა უარი სელჩუკთა ძალებით კახეთ-ჰერეთის აღებაზე (**მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. III. თბ., 1979, გვ. 208).

[2] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 68.

[3] **რ. მეტრეველი**. დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 70.

[4] **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, გვ. 208; **M. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских взаимоотношений (70-е годы XI в.). – *Византийский временник,* т. 40. Москва, 1979, გვ. 94-95; **ილ. ანთელავა.** ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ. – წგნ.: **ილ. ანთელავა.** XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 97.

[5] **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში.* თბ., 1991, გვ. 45-48; **ზ. პაპასქირი.** დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობის სანდოობის საკითხისათვის. – *საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები.* საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994, გვ. 27-28; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, გვ. 107-109.

საყურადღებოა აგრეთვე რ. მეტრეველის მსჯელობა გიორგი II-ის როლზე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დავით აღმაშენებლის გამეფების შემდეგ. მკვლევარი აკრიტიკებს თ. ჟორდანიას დასკვნას იმის შესახებ, თითქოს გიორგი II გადადგომის შემდეგ გარდაცვალებამდე (1112 წ.) ყოფილიყო *„დავითთან ერთად სახელმწიფოს“* სათავეში და მის მართვაშიც წამყვანი როლი შეესრულებინოს. რ. მეტრეველი უშვებს, რომ გიორგი II-ს, მართლაც, 1112 წლამდე ეცოცხლა, *„მაგრამ მის ესოდენ უზარმაზარ ავტორიტეტსა და როლს დავითის მოღვაწეობის დროს“* სავსებით მართებულად გაზვიადებულად და არასწორად მიიჩნევს.[1] ის მთლიანად გამორიცხავს გადამდგარი მეფის ჩარევას *„სახელმწიფო საქმეებში ... 1089 წლის შემდგომ“*, რაც არ უნდა *„უმნიშვნელო ყოფილიყო იგი“*. რ. მეტრეველის აზრით, დავითის გამეფება *„განპირობებული იყო ერთის მხრივ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, ხოლო მეორეს მხრივ სამეფო ხელისუფლების მწვავე კრიზისით“* და ის *„არ შეიძლებოდა მშვიდად მომხდარიყო, როგორც ამას დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემს...“*.[2]

მკვლევარი დარწმუნებულია იმაში, რომ *„ეს იყო გადატრიალება, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა ერთი გარკვეული ჯგუფის მონდომებითა და აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა“*, ხოლო *„დავითი თვითონ იყო აქტიური მებრძოლი სამეფო ხელისუფლების სათავეების მთლიანად ხელში აღებისა“*. უფრო მეტიც, რ. მეტრეველი არ გამორიცხავს, რომ *„ამ სურვილის აღსრულება სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად საკუთარი მამის მეტად მძიმე შეურაცყოფის სანაცვლოდ მოხდა“*. მისი ვარაუდით, *„ეს კონფლიქტი მამასა და შვილს შორის იმდენად მწვავე“* უნდა ყოფილიყო, *„რომ დავითს საკუთარი მამის წინაშე მოქმედება უდიდეს ცოდვად მიაჩნდა და იგი არაერთგზის იგონებდა მას“*. ამის დამადასტურებელ მასალად რ. მეტრეველს მოჰყავს *„გალობანი სინანულისანიში“* და შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემულ ანდერძში დაფიქსირებული მეფის მიერ სიყრმეში ჩადენილი შეცოდებები, რომელთა გამოც ის პატიებას შესთხოვდა უფალს. *„სწორედ ეს გალობანი სინანულისანი და ბრალნი მისნი სიყრმისანი ცთომილებისანი გიორგი II-ს წინაშე ჩადენილი მძიმე მოქმედების, ალბათ მისი ტახტიდან გადაგდების გამო* – შენიშნავს რ. მეტრეველი, – *მიუძღოდა დავითს და ამიტომ მოითხოვდა ამ ცოდვათა მიტევებას ღმერთისაგან“*.[3]

ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ ე.წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დათარიღების საკითხს, მაგრამ საქართველოს ეკლესიისა და ზოგადად ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 93.
[2] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 93.
[3] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 93-94.

ირგვლივ აკად. რ. მეტრეველს სხვა არაერთი მეტად საინტერესო დაკვირვება აქვს, რომელთაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია, საერთოდ, ქართველ მღვდელ-მსახურთა ამ საეტაპო თავყრილობას ეწოდოს *„რუის-ურბნისის საეკლესიო კრება“*. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია კრების *„ძეგლის წერის“* განმარტებას იმის შესახებ, რომ კრება შედგა ***„სანახებსა ქართლისათა მახლობლად*** *ორთა საეპისკოპოსოთა* ***რუისისა და ურბნისისა“*** (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). მას მიაჩნია, რომ *„ზუსტი ადგილი კრების მოწვევისა მინიშნებული არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ არც რუისსა და არც ურბნისში იგი არ ჩატარებულა“*.[1] აქედან გამომდინარე, რ. მეტრეველის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა მეფეს *„ამ ღონისძიებებისათვის ეწოდებინა დიდი საეკლესიო კრება, ეს სახელწოდება რეალურად გამოხატავს კრების მნიშვნელობასა და მასშტაბს, რადგან აღნიშნული კრება საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა იყო, იგი მსოფლიო კრების დონეზე ჩატარდა“*.[2] ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მეცნიერის არგუმენტაციას ამ საკითხში და ასევე ვთვლით, რომ მის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი კრების სახელწოდებისა აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს ისტორიოგრაფიაში.

უაღრესად საყურადღებო და გასათვალისწინებელია აგრეთვე რ. მეტრეველის შემაჯამებელი დასკვნები 1104 წელს ჩატარებული დიდი საეკლესიო კრების მნიშვნელობაზე. ის სავსებით სწორად მიუთითებს, რომ *„XII ს. I მეოთხედის საქართველოში სახელმწიფომ თავისი გავლენა მკვეთრად მოახვია ეკლესიას“* და რომ *„დავითის საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ დიდი სამეფისკარო პოლიტიკისა ქვეყნის ცენტრალიზაციას და კულტურულ წინსვლას რომ ემსახურებოდა, წარმატებით გადაჭრის ჩარჩოებში მოექცა“*.[3] მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ *„საქართველოს სამეფოსათვის... ეკლესიის დამორჩილებასა და სახელმწიფოსადმი მის დაქვემდებარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა... ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობის გაერთიანებამ საბოლოოდ ჩასცა ლახვარი ეკლესიის თავგასულ მესვეურებს და ისინი საქართველოს სამეფო ხელისუფლების ნებას დაუმორჩილა. ეს კი მეტად კეთილსასურველ პირობებს უქმნიდა საქართველოს სამეფოს როგორც გარეშე ისე შინაურ მტრებთან საბრძოლველად“*.[4]

აკად. რ. მეტრეველს საინტერესო დაკვირვებები აქვს „შიდა სპის“ რაობასთან დაკავშირებით. მეცნიერი არ ეთანხმება კ. გრიგოლიას მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ამ ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 118-119.
[2] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 119.
[3] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 130.
[4] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 137-138.

ქვეყნის შიდა რეგიონების (შიდა ქართლი, შიდა კახეთი, შიდა მონღოლეთი და ა შ.) ლაშქარი[1] და დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ „შიდა სპა“ იყო *„სამხედრო შენაერთი.., რომლის სახელწოდება გეოგრაფიულმა გარემომ... კი არ განსაზღვრა არამედ მისი როგორც დანაყოფის ფუნქციამ... სავარაუდებელია, რომ შიდა სპის ადგილი ამ ლაშქრის სიღრმეში იყო და სახელიც აქედან მიიღო“*. ამასთან, რ. მეტრეველი სულაც არ გამორიცხავს აღნიშნულ შენაერთში საკუთრივ ქართლელების ყოფნასაც.[2] მეცნიერის აზრით, შესაძლებელია, *„შიდა სპა... მონა-სპის შემადგენლობაში“* ირიცხებოდა *„და... რიცხობრივადაც უფრო ნაკლები იყო... თავისი რაოდენობით და მაღალგაწვრთნილობით ქმნიდა საშუალებას, რომ მუდმივად მეფეს ხლებოდა“*.[3] სწორად მიგვაჩნია რ. მეტრეველის დასკვნა „შიდა სპისა“ და „შიდა ლაშქრის“ იგივეობის შესახებაც.[4]

შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ისტორიის თემატიკასთან უშუალოდაა დაკავშირებული დავით აღმაშენებლის მიერ იმიერკავკასიიდან საქართველოში გადმოსახლებული ყივჩაყებისაგან შემდგარი შენაერთის როლის შეფასების საკითხი XII ს. 20-იანი წლების სამხედრო წარმატებებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ყივჩაყებს არავინ უკარგავს ქართული სახელმწიფოს წინაშე გაწეულ ღვაწლს, თუმცა დაუშვებლად არის მიჩნეული მათი როლის გაზვიადება,[5] რომლის მცდელობაც გვხვდება ცალკეულ პუბლიკაციებში.[6] ერთ-ერთ ასეთ პუბლიკაციას გამოეხმაურა რ. მეტრეველი. ეს გახლავთ თვალსაჩინო ყაზახი მწერლის ოლჟას სულეიმანოვის წიგნი: *«Аз и Я»*, რომლის პირველი ნა-

---

[1] **კ. გრიგოლია.** „დავითის ცხოვრებაში“ დამოწმებული ერთი ტერმინის განმარტებისათვის. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*. III. თბ., 1971, გვ. 117-122.

[2] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 163-164.

[3] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 164-165.

[4] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 165.

[5] ამის შესახებ დაწვრილ. იხ. **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 200, 214-216; **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი, გვ. 46-47; **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1990, გვ. 181; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბ., 1979, გვ. 227-228; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношении. Тб., 1982, გვ. 98; **ი. ჯიჭონაია.** „ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ. თბ., 2012, გვ. 100-101 და სხვ.

[6] ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავდა ცნობილი სომეხი ისტორიკოსი აკად. ს. ერემიანი. იხ.: **С. Т. Еремян.** Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках. – *Научные труды Ереванского государственного университета*, т. XXIII. Ереван, 1946, გვ. 391.

წილი ეძღვნება ცნობილ ძველრუსულ ეპოსს *„ამბავი იგორის ლაშქრობისას“ /«Слово о полку Игореве»/* (პირველად გამოიცა 1975 წელს).[1] აღსანიშნავია, რომ ყაზახი მწერლის ამ წიგნმა მასში თურქულ-სლავური ურთიერთობების „ზედმეტად ორიგინალურ“ ჭრილში წარმოჩენისა და ნაციონალისტური „შეფერილობის“ გამო იმთავითვე დიდი აურზაური გამოიწვია.[2] ყაზახი მწერლის ამ პუბლიკაციას გამოეხმაურნენ ცნობილი რუსი მეცნიერი-სლავისტები, ძველი რუსული წერილობითი კულტურის აღიარებული სპეციალისტები,[3] მათ შორის თვით აკად. დიმიტრი ლიხაჩოვი,[4] აგრეთვე რუსული ლიტერატურული კრიტიკის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები.[5]

აი, სწორედ ო. სულეიმანოვის მეტად საეჭვო ღირებულების ოპუსში გვხვდება უკიდურესად ნეგატიური (შეურაცხმყოფელიც კი) პასაჟები დავით აღმაშენებელსა და ქართულ სახელმწიფოზე და ყივჩაყები, არც

---

[1] **Олжас Сулейменов.** Аз и Я. Алма-Ата, 1975.

[2] ო. სულეიმანოვის წიგნის ირგვლივ ატეხილი ვნებათა ღელვის შესახებ დაწვრილ. იხ.: *Обсуждение книги Олжаса Сулейменова*. – *Вопросы истории*, 1976, № 9, გვ. 147-154; **Л. Фризман.** Возмутитель спокойствия. Книга О. Сулейменова «Аз и Я» под огнем идеологической критики. – *НЛО* (Новое литературное обозрение). Независимый филологический журнал. №55, 2002 (http://magazines.russ.ru/nlo/2002/55/friz.html).

[3] პირველი მეცნიერი, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ყაზახი მწერლის პუბლიკაცია იყო ცნობილი რუსი ისტორიკოსი, ძველი რუსული მატიანეების მკვლევარი აპოლონ კუზმინი. იხ.: **А. Г. Кузьмин.** Точка в круге, из которой вырастает репей. – *Молодая гвардия*. № 12, 1975, გვ. 270-280. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავის მხრივ ა. კუზმინის კრიტიკული შენიშვნები არ გაიზიარა აღმოსავლეთ ევროპის მომთაბარე ტომების ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ლევ გუმილიოვმა, რომელმაც, ფაქტობრივად, დაიცვა ყაზახი პოეტი და მისი „ნოვაციები“ რატომღაც უწყინარ პოეტურ ფანტაზიებად გამოაცხადა, რომელსაც არ უნდა წამოგებოდა პროფესიონალი რუსი ისტორიკოსი (იხ.: **Л. Н. Гумилев.** Спор с поэтом. *По поводу статьи А. Кузьмина «Точка в круге, из которой вырастает репей»* [журнал *«Молодая гвардия»* 1975. No12]. – წგნ.: **Л. Н. Гумилев.** Древняя Русь и Великая Степь. 2. Москва, 1997, გვ. 519-524 (http://gumilevica.kulichki.net/articles/Article02.htm). ბოლო დროს შეინიშნება ო. სულეიმანოვის თურქულ-ნაციონალისტური „გადახრების“ გამართლების სრულიად მიუღებელი ტენდენცია, რისი გამოხატულებაცაა ლ. ფრიზმანის ზემოთმითითებული სტატია (იხ.: **Л. Фризман.** Возмутитель спокойствия…).

[4] **Д. С. Лихачев.** Гипотезы или фантазии в истолковании темных мест «Слова о полку Игореве». – *Звезда*, №6, 1976, გვ. 203-2l0.

[5] **Ю. Селезнев.** Мифы и истины. – *Москва*. № 3, 1976, გვ. 201-208; **Л. Дмитриев, О. Творогов.** «Слово о полку Игореве» в интерпретации О. Сулейменова. – *Русская литература*. №1, 1976, გვ. 251-258 და სხვ.

მეტი არც ნაკლები, გამოცხადებულია საქართველოს გადამრჩენლებ-ლად. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ო. სულეიმანოვის ისტორიული რეა-ლობისაგან სრულიად მოწყვეტილი განცხადება იმის შესახებ, რომ თურმე 1124 წელს საქართველოს მეფე დავით IV-ს დაუკარგავს თავისი სამეფო (ის ამ დროს – ანუ 1124 წელს?! – არაბებსა და სელჩუკებს ჰქონიათ დაპყრობილი?!), და რომ მას მაშინ ტიტულისა და თავისი ია-ვარყოფილი მიწის გამო გარდა მწუხარებისა არაფერი გააჩნდა.[1] რ. მეტრეველმა თავის გამოხმაურებაში ყველაფერს თავისი სახელი დაარ-ქვა და სათანადო წყაროების მონაცემთა მოშველიებით მკაფიოდ აჩვე-ნა ყაზახი მწერლის სრული უვიცობა და ტენდენციურობა.[2] საწყენია მხოლოდ, რომ მეცნიერის ეს კრიტიკული წერილი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს ავტორის მაღალი პროფესიონალიზმი და შესაშური პოლემიკური ნიჭი, დაიბეჭდა მხოლოდ ქართულად და არ მივიდა ადრესატამდე.

აკად. რ. მეტრეველი უპასუხოდ არ ტოვებს XII საუკუნის საქარ-თველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის დამც-რობის, საერთაშორისო არენაზე მისი როლისა და ადგილის იგნორირე-ბის სხვა მცდელობებსაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია, მეცნიერის კრიტი-კული შენიშვნები ცნობილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსის რ. ჰუსეინო-ვის (ჰუსეინ-ზადეს) პუბლიკაციებზე, რომლებშიც ტენდენციურადაა გა-შუქებული საქართველო-შარვანის ურთიერთობები და უარყოფილია სა-ქართველოს გავლენა შარვანზე. რ. მეტრეველი ავითარებს ქართველ მკვლევართა თვალსაზრისს დავით აღმაშენებლის ეპოქაში შარვანის სა-ქართველოს გავლენის ქვეშ მოქცევის თაობაზე, რისი გამოხატულებაც იყო შარვანშაჰის ტიტულის მიღება[3] და მსოფლიო აღიარების ავტორი-ტეტულ აღმოსავლეთმცოდნეთა – მათ შორის ცნობილი აზერბაიჯანე-ლი მეცნიერის აკად. ზ. ბუნიატოვის – შრომებზე[4] დაყრდნობით, დამა-

---

[1] ***«В 1124 году грузинский царь Давид IV, потерявший царство*** *(Грузия захвачена арабами и сельджуками)...* ***едва ли у Давида оставалось что-либо кроме титула и скорби по поруганной земле своей. Захватчики подвергли поголовной мусульманизации население Кутаиси и Тбилиси.*** *Непокорных истребляли, наполняли христианской кровью бассейны и плавали в них»*. **О. Сулейменов.** Аз и Я. (http://www.opentextnn.ru/man/?id=711#_ftn1), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **რ. მეტრეველი.** ერთი წიგნის გამო (რეცენზია ო. სულეიმანოვის წიგნზე: *«Аз и Я»*). – *ლიტერატურული საქართველო“*, №52 (1999), 26.12.1975, გვ. 2.

[3] **ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნე-ში. წერილი I. XII საუკუნის პირველი ნახევარი. – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები*, თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 8-16; **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. თბ., 1972, გვ. 107 და სხვ.

[4] **В. В. Бартолъд.** Место прикаспийских областей в истории мусульманского мира. – *Сочинения в 9-ти томах*. Т. II, ч. I. Москва, 1963, გვ. 692; **В. В. Бартолъд.** Ширван-

ჯერებლად აჩვენებს XII საუკუნეში შარვანის საქართველოსადმი ვასალური დამოკიდებულების შესახებ არსებული თვალსაზრისის სისწორეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს კრიტიკული შენიშვნები შესულია მეცნიერის არა მხოლოდ ქართულ,[1] არამედ უცხოენოვან პუბლიკაციებში.[2]

აქვე არ შეიძლება დანანებით არ აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამ საკითხში ქართველ (ნ. ასათიანი, შ. მესხია, რ. მეტრეველი) და არაქართველ (ვ. ბარტოლდი, ზ. ბუნიატოვი)[3] მკვლევართა არგუმენტირებული მტკიცებისა, თანამედროვე აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში ბოლომდე არაა დაძლეული თავის დროზე აკად. ა. ალი-ზადეს მიერ დამკვიდრებული მცდარი შეხედულება, რომლის მიხედვითაც კატეგორიულადაა უარყოფილი საქართველოს სახელმწიფოსადმი შირვანის ვასალური დამოკიდებულება XII საუკუნეში.[4] ამის დადასტურებაა თუნდაც ამ ბოლო დროს გამოცემული ცნობილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსის რ. ჰუსეინ-ზადეს მონოგრაფია სელჩუკების ურთიერთობებზე კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან,[5] რომელშიც მთლიანად იგნორირებულია ზემოთ

шах. – *Сочинения в 9-ти томах*. Т. II, ч. I. Москва, 1963, გვ. 877; **З. М. Буниятов.** Некоторые сведения Садр ад-Дина ал-Хусайни о Грузии. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №1, 1971; **З. М. Буниятов.** Государство атабеков Азербайджана. *1136-1225 годы*. Баку, 1978, გვ. 159-161 და სხვ.

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., 1986, გვ. 288-289.

[2] **Р. В. Метревели.** Внешняя политика Грузии в средние века. *XII век*. Тб., 1995, გვ. 31-33; **R. Metreveli**. Foreign Policy of Georgia in the middle Ages. *12th Century*. Tbilisi, 1997, გვ. 31-33.

[3] XII საუკუნეში შირვანის საქართველოსადმი ვასალურ დამოკიდებულებას აღიარებდნენ აგრეთვე შუა საუკუნეების აზერბაიჯანის კიდევ ერთი ცნობილი მკვლევარი ე. პახომოვი (**Е. А. Пахомов.** Краткий курс истории Азербайджана с приложением экскурса по истории ширваншахов в XI-XII вв. Баку, 1923, გვ. 33-36, 47) და დიდ ბრიტანეთში მოღვაწე გამოჩენილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე ვ. მინორსკი (**В. Ф. Минорский**. История Ширвана и Дербента X-XI веков. Москва, 1968, გვ. 176-180).

[4] **А. А. Али-заде.** От ответственного редактора. – წგნ.: **В. Ф. Минорский**. История Ширвана и Дербента X-XI веков. Москва, 1963, გვ. 8-12; **А. А. Али-заде.** Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв. Баку, 1966, გვ. 357; **А. А. Али-заде.** К вопросу об освещении ширвано-грузинских отношений в XI-XII веках. Статья первая. – *Известия АН Азербайджанской ССР*. Серия истории, философии и права, №4, 1977, გვ. 73-85.

[5] **Р. А. Гусейн-Заде.** Кавказ и Сельджуки. Баку 2010. აზერბაიჯანელი მეცნიერის ამ პუბლიკაციის კრიტიკა იხ.: **ზ. პაპასქირი.** XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ. *ზოგიერთი შენიშვნა რაუფ ჰუსეინ ზადეს მონოგრაფიაზე: „კავკასია და სელჩუკე-*

დასახელებულ წამყვან აღმოსავლეთმცოდნეთა დასკვნები და, ფაქტობრივად, გამეორებულია საქართველო-შარვანის ურთიერთობების ალიზადესეული ხედვა.[1]

აკად. რ. მეტრეველის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს საგარეოპოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიური პრაქტიკის მეცნიერულ შეწავლას. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს მეცნიერის მოღვაწეობა XX ს. 90-იან წლებში, როდესაც მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა (1992 წ.) *„ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია“* (მოგვიანებით მას ეწოდა: *„ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი*). ამ სამეცნიერო-კვლევითი უჯრედის ამოცანა იყო საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სფეროში ქართული პოლიტიკური სამყაროს ისტორიული მემკვიდრეობის წარმოჩენა და მეცნიერულად დასაბუთებული, ობიექტური სურათის შექმნა საქართველოს საგარეო ურთიერთობებზე, მის როლსა და ადგილზე საერთაშორისო ურთიერთობებში მთელი ისტორიის მანძილზე. ამგვარი მასშტაბური სამუშაოს შესრულება ეპოქის მოთხოვნა იყო – XX ს. 90-იან წლებში საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამ და მისი როგორც სუვერენული სახელმწიფოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლამ სრულიად ნათელი გახადა საერთაშორისო ურთიერთოებისა და დიპლომატიის სფეროში ქართული გამოცდილების წარმოჩენის აუცილებლობა.

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი იმთავითვე შეუდგა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხების გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ კვლევას. ამ კვლევის შედეგები აისახა

ბი“. – საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერესპექტივები. აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი, 21-24 ივნისი, 2012) ***მასალები.*** თბ., 2012, გვ. 161-170; **З. Папаскири.** Об одной попытке игнорирования роли и места грузинского государства на международной арене в XII веке. Некоторые замечания на книгу Рауфа А. Гусейн-Заде: *«Кавказ и Сельджуки»*. – *Кавказ и мир.* Международный научный журнал. №14. Тб., 2012, гв. 60-83 (http://iberiana2.wordpress.com/caucasus/papaskiri).

[1] ერთ-ერთ ადრინდელ ერთ-ერთ პუბლიკაციაში, რ. ჰუსეინ-ზადე ასევევ სრულიად უაპელაციოდ აცხადებდა, რომ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომლის თანახმადაც საქართველო-შირვანის ურთიერთობები «были паритетными» (**Р. А. Гусейнов.** Историография истории Закавказья в XI-XII вв. – *Тюркологический сборник*. Москва, 1976, გვ. 34).

ცენტრის შრომების წელიწდეულ კრებულებში: *„ქართული დიპლომატია“*.[1] ამით დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი საქართველოს საგარეო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის მეცნიერულ კვლევაში. ცენტრის თანამშრომელთა მიერ გაწეული ნაყოფიერი მუშაობის ერთგვარ შეჯამებად იქცა პირველი *„ქართული დიპლომატიური ლექსიკონის“* (ტ. I, თბ., 1997; ტ. II, თბ., 1999) შექმნა და, რაც მთავარია, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომის *„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“* (ტ. I, II, 1998) მომზადება და გამოცემა. 2003 წელს კი აღნიშნული გამოცემის ბაზაზე უკვე მომზადდა *„ქართული დიპლომატიის ისტორიის“* პირველი დამხმარე სახელმძღვანელო *„საერთაშორისო სამართლის“*, *„საერთაშორისო ურთიერთობების“*, *„საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის“*, *„პოლიტოლოგიის“* სპეციალობების სტუდენტებისათვის. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის სფეროში სასწავლო მეთოდური ლიტერატურის შექმნის კუთხით არანაკლებ მნიშვნელოვანია ამავე ცენტრის მიერ გამოცემული *ქართული დიპლომატიის ისტორიის ქრესტომათია* (თბ., 2004). ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ყველა ამ პროექტის იდეის ავტორი, სულისჩამდგმელი და გამოცემათა მთავარი რედაქტორი გახლავთ აკად. როინ მეტრეველი.

ამავე დროს რ. მეტრეველი ავტორია *„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევებისა“* და *„ქართული დიპლომატიის ისტორიის“* სახელმძღვანელოს შესაბამისი თავებისა, რომლებშიც სკრუპულოზურადაა გაანალიზებული XI ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია. თავის ამ და სხვა პუბლიკაციებში მას აქვს არაერთი საინტერესო მოსაზრება წამოყენებული საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებზე XI-XII საუკენეებში. ამ მხრივ, ჩვენ გამოვყოფდით მეცნიერის ანალიზს *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობისა ვარანგთა სამათასიანი რაზმის საქართველოში ყოფნის შესახებ. ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების მონაცემებზე დაყრდნობით, რ. მეტრეველმა დამაჯერებლად დაასაბუთა იმ მკვლევართა (ი. ცინცაძე, ზ. პაპასქირი და სხვ.) თვალსაზრისის სისწორე, რომლებიც თვლიან, რომ ვარანგები საქართველოში ბაგრატ IV-მ მოიწვია და სასირეთის ბრძოლაშიც სწორედ მის მხარეს იბრძოდნენ და არა ლიპარიტ ბაღვაშის მხარეს, როგორც ამას მიიჩნევდა

[1] 1994-2005 წლებში გამოვიდა აღნიშნული გამოცემის 12 ტომი. 2007 წლიდან *„ქართული დიპლომატიის“* წელიწდეული გამოდის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის გრიფით.

მეცნიერთა მეორე ნაწილი (ნ. მარი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.).[1] აქვე მან, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ვარაუდს, ამ ვარანგთა კიევის რუსეთიდან შესაძლო მოსვლის თაობაზე.[2] ამის ირიბ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რ. მეტრეველმა საქართველო-ძველი რუსეთის ურთიერთობებისადმი მიძღვნილ სტატიას სათაურად სწორედ ვარანგებზე *„მატიანე ქართლისაჲს“* ზემოთნახსენები ცნობიდან ფრაზა – *„და მოვიდეს ვარანგნი“* – წარუმძღვარა, რითაც არაორაზროვნად მიანიშნა იმაზე, რომ ვარანგების მოსვლას საქართველოში ისიც საქართველო-კიევის რუსეთის ურთიერთობების ჭრილში განიხილავს.[3]

საქართველო-კიევის რუსეთს შორის შესაძლო დიპლომატიური კონტაქტების დამყარებას ვარაუდობს რ. მეტრეველი XII ს. 10-იან წლებში – საქართველოში ყივჩაყთა ურდოს გადმოსახლების წინ. ეს ჰიპოთეზა პირველად გაჩნდა XX ს. 60-იან წლებში[4] და ის ეყრდნობა XVII

---

[1] მიუხედავად ამისა, რ. მეტრეველმა, მაინც თავი შეიკავა *„მატიანე ქართლისაჲს“* აღნიშნული პასაჟის ს. ყაუხჩიშვილისეულ ვარიანტში კორექტივის შეტანისაგან *(ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 300) და ქრონიკის მის მიერ რედაქტირებული ტექსტის ინგლისურ თარგმანში უცვლელად დატოვა ბერძენიშვილი-ყაუხჩიშვილისეული რედაქცია (იხ.: *Matiane Kartlisa.* Editor of the volume ***Roin Metreveli***. თბ., 1996, გვ. 46), თუმცა ქრონიკის ამ პასაჟისადმი დართულ კომენტარში საჭიროდ ჩათვალა თავისი პოზიციის დაფიქსირება (*Matiane Kartlisa..,* გვ. 73).

[2] **З. В. Папаскири. «Варанги» грузинской «Л**етописи Картли» и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке. – *История СССР*, N3, 1981, გვ. 164-172; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 34-43; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 179-201.

[3] **რ. მეტრეველი.** და მოვიდეს ვარანგნი. – *ლიტერატურული საქართველო,* 09.I0.1981. იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **რ. მეტრეველი.** და მოვიდეს ვარანგნი... (ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები). თბ., 1988, გვ. 72-86.

[4] **ნ. ასათიანი.** ახალი ცნობები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან. – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი და საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ისტორიის სექციის სამეცნიერო სესიის *თეზისები.* თბ., 1965; **ნ. ასათიანი.** პავლე ალეპოელის „საქართველოს აღწერილობა“ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის კათედრათა გაერთიანებული სამეცნიერო სესიის *თეზისები,* თბ., 1965 (აღნიშნული მასალა იხ. აგრეთვე: **ნ. ასათიანი.** მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. „საქართველოს აღწერილობა“ შედგენილი პავ-

ს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის პავლე ალეპოელის ცნობას, რომლის მიხედვითაც თითქოს დავით აღმაშენებლისათვის სამხედრო ძალა გამოუგზავნიათ კიევიდან. ამ ძალის დახმარებით საქართველოს მეფეს განუდევნია თავისი ქვეყნიდან სარკინოზები.[1] მკვლევართა (მათ შორის რ. მეტრეველის) აზრით, პავლე ალეპოელის ამ ცნობაში შეიძლება აისახა დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყთა 200 ათასიანი ურდოს გადმოყვანის ფაქტი. კერძოდ, ივარაუდება, რომ ამ აქციის განხორციელების წინ საქართველოს სამეფო კარის მიერ ყივჩაყეთში დიპლომატიური მისიით გაგზავნილი „კაცნი სარწმუნონი" შესაძლებელია, კიევშიც ჩასულიყვნენ და იქ სათანადო მოლაპარაკებები ჰქონოდათ დიდ მთავარ ვლადიმირ მონომახთან.[2]

ძველი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა რ. მეტრეველის მსჯელობა ცნობილი ქართველი ირანისტის მაგალი თოდუას მიერ გამომზეურებულ XII-XIII საუკუნეებში მახლობელი აღმოსავლეთის სულთნების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერაში[3] *„აფხაზის პატრონად სახელდებულ მეფე დავითის"* ტიტულატურაში დაფიქსირებული „რუსთა მეფეთ-მეფის", „რუსის მარზპანისა" და „ხაზარის მეფეთა მეფის" ტი-

---

ლე ალეპოელის მიერ. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ***ნ. ასათიანმა,*** თბ., 1973, გვ. 87-88); **შ. მესხია.** დიდგორის ბრძოლა. თბ., 1965, გვ. 86-88; **შ. მესხია.** შოთა რუსთაველის ეპოქა. *საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში. – შოთა რუსთველს.* თბილისის უნივერსიტეტი. საიუბილეო კრებული. თბ., 1966, გვ. 22-23 (აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: ***შ. მესხია.*** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 158-159; **შ. მესხია.** შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. იასე ცინცაძის წერილის გამო). – *მნათობი,* №1, თბ., 1970, გვ. 143-149 (იხ. აგრეთვე: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 172-185); **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. თბ., 1972, გვ. 62-65 (იხ. აგრეთვე **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 55-58).

[1] **ნ. ასათიანი.** მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის.., გვ. 73.

[2] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. – წგნ.: ***შ. მესხია.*** საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 55-58; **ნ. ასათიანი.** მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის.., გვ. 87-88; **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი. თბ., 1986, გვ. 275-276; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები,* ტ. I. თბ., 1998, გვ. 265-267; **Р. В. Метревели.** Внешняя политика Грузии в средние века.., გვ. 6-7; **R. V. Metreveli.** Foreign Policy of Georgia in the Middle Ages.., გვ. 6-8; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических.., გვ. 103-105.

[3] **მ. თოდუა.** XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები. – წგნ.: ***მ. თოდუა.*** ქართულ-სპარსული ეტიუდები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 26-27.

ტულების ირგვლივ. მეცნიერის დასკვნით, „აფხაზის პატრონად სახელ-დებულ მეფე დავითი“ სწორედ დავით აღმაშენებელია. ამასთან რ. მეტ-რეველი იზიარებს მ. თოდუას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ აღნიშ-ნულ ტიტულატურაში დაფიქსირებული „რუსის“ ქვეშ უნდა იგულისხმე-ბოდეს არა კიევის რუსეთი მთლიანად, არამედ იმიერკავკასიაში და-ფუძნებული გარკვეული ერთეული, რუსთა გარკვეული შტო, რომელიც *„მოწყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან ემე-ზობლებოდა საქართველოს“*. ეს „რუსი“ XII საუკუნეში, *„როგორც ჩანს, ბაგრატიონთა სამეფო სახლის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული* და *ამი-ტომაც აისახა ის „ქართველ მეფეთა ტიტულატურაში“*.[1]

XI ს. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავში-რებით საგანგებოდ უნდა შევეხოთ რ. მეტრეველის (გ. ლორთქიფანი-ძესთან ერთად) საგაზეთო პუბლიკაციას, რომელიც ეძღვნება ცნობილი სპარსელი პოეტის ნასირი ხოსროუს ერთ მეტად საინტერესო და ამავე დროს საიდუმლოებებით მოცულ ცნობას 1047 წელს ნილოსის არხისა გახსნის ცერემონიალზე ქართველი უფლისწულების დასწრების თაობა-ზე.[2] აღსანიშნავია, რომ ეს იყო ნასირი ხოსროუს ცნობის პირველი პუბლიკაცია, რომელმაც უმალ მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება და სათანადო ასახვა ჰპოვა მოცემული პერიოდის საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობების კვლევისას.[3]

XI-XII საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო იერ-სახის ჩვე-ნებისას რ. მეტრეველი დიდ ყურადღებას უთმობს ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან[4] ურთიერთობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მეცნიერი ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობებს განიხილავს ზო-

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი. თბ., 1986, გვ. 277-278.

[2] **რ. მეტრეველი, გ. ლორთქიფანიძე.** ტაჯიკი მეცნიერის საინტერესო ცნობის შე-სახებ. – *ლიტერატურული საქართველო,* 1963, ”№17.

[3] ამის დადასტურებაა თუნდაც ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნის ვ. გაბაშვილის 1968 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი (იხ.: **ვ. გაბაშვილი.** საქართვე-ლო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.). – *XII საუკუნის საქარ-თველოს ისტორიის საკითხები,* თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 69-71). მოგვიანებით ამ ცნობის წყაროთმცოდნეობით ანალიზი წარმოადგინა გ. ჟორ-ჟოლიანმა, რომელსაც, როგორც ჩანს, გამორჩა რ. მეტრეველისა და გ. ლორთ-ქიფანიძის ზემოხსენებული საგაზეთო პუბლიკაცია და ჩათვალა, რომ ნასირი ხოსროუს *„ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში* ***პირველად*** *მოიხმო... ვ. გაბაშ-ვილმა“* (იხ.: **გ. ჟორჟოლიანი.** ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“. – *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები.* წ. II. თბ., 1979, გვ. 53, ხაზ-გასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[4] ამ ბოლო დროს გამოვიდა მეცნიერის ერთგვარი შემაჯამებელი სტატია, რო-მელშიც მოცემულია საქართველო ჯვაროსნების ურთიერთობების ზოგადი მი-მოხილვა. იხ.: **რ. მეტრეველი.** ჯვაროსნული ომები და საქართველოს სამეფო. – *სამეცნიერო პარადიგმები.* თბ., 2010, გვ. 388-416.

გადად კონსტანტინოპლის საგარეო პოლიტიკის ფართო ჭრილში, თანაც უცხოენოვან გამოცემებში.[1] ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ქართული ისტორიული ბიზანტინისტიკის მეცნიერული პროდუქცია ძირითადად ქართულენოვანია, რის გამოც ის ნაკლებად ხელმისაწვდომია ფართო საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის. ის თითო-ოროლა უცხოენოვანი (ძირითადად რუსული) პუბლიკაცია[2] ნამდვილად ვერ ქმნის ამინდს და ქართული საისტორიო სკოლა ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს სათანადო პასუხი გასცეს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს და საერთაშორისო არენაზე საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების რეალური სურათის წარმოჩენას. ამიტომაცაა მეტად საშური აქტიური გასვლა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, რასაც წარმატებით აკეთებს აკად. რ. მეტრეველი თავისი პუბლიკაციებით.

აკად. რ. მეტრეველის, როგორც ერთიანი საქართველოს ისტორიის წამყვანი მკვლევრის შემოქმედებაში დავით აღმაშენებლის გვერდით დიდი ადგილი უკავია თამარის ეპოქის მეცნიერულ შესწავლას. მისი მონოგრაფიები *„შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.)* (თბ., 1973) და *„მეფე თამარი“* (თბ., 1991), სავსებით სამართლიანად, ასევე ითვლება საეტაპო ნაშრომებად, რომელიც დიდი ხანია სამაგიდო წიგნებადაა გადაქცეული XII საუკუნის საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევრისათვის.

პირველი ამ ნაშრომთაგანი წარმოადგენს მეცნიერის სადოქტორო

---

[1] **R. Metreveli.** Der byzantinisch-bulgarische Krieg 1014-1018 und Georgien. – *Georgica*, Heft 11, Yena-Tbilisi, 1988; **R. Metreveli.** Die byzantinisch-georgischen Beziechungen im 11. Jahrhundert. – *Georgica*, Heft 17. Universitatsverlag. Konstanz, 1994; **R. Metreveli.** Les relations de la Georgie avec la Byzance et les croises au XII-ieme siecle. – *Caucasica. The Journal of Caucasian Studies, Vol.* 3. თბ., 1998.

[2] ამ მხრივ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ჯერ კიდევ 1969 წელს ქართველ ისტორიკოსთა ერთობლივი კრიტიკული წერილი (იხ.: **Н. Ш. Асатиани, В. И. Копалиани, Ш. А. Месхия, Э. В. Хоштария**. Некоторые замечания ко второму тому «История Византии». – *Вопросы истории*, № 9, 1969, გვ. 179-180), აგრეთვე ნ. ლომოურისა და მ. ლორთქიფანიძის პუბლიკაციები (**Н. Ю. Ломоури.** К истории восстания Варды Склира. – *თსუ შრომები*, ტ. 67. თბ., 1957, გვ. 29-31; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских взаимоотношении на грани на грани X-XI вв. – *Actes des XIV-e Congres International des Etudes Byzantines*. II. Editura Academiei Republici Socialiste România, 1975; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских взаимоотношении (70-е годы X в.). – *Византийский Временник.* Т. 40. Москва, 1979, გვ. 92-96; **М. Д. Лордкипанидзе.** О византийско-грузинских культурных взаимоотношениях в VII-XIII вв. – *Византийские очерки*. Москва, 1982; **M. Lordkipanidze.** Zur periodisierung des buzantinisch-georgiesch Kulturellen Wechselbeziehungen. – *Georgica*. Jena, 1982 და სხვ.).

დისერტაციას, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1974 წელს. მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი XII საუკუნის საქართველოს შინაპოლიტიკური ისტორიის ურთულესი საკითხები, კერძოდ, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ფეოდალური არისტოკრატიის გამოსვლები. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი გადასახედიდან, შეიძლება ამ გამოკვლევაში დასმული პრობლემის თეორიული ხედვა – მისი აქცენტირებულად კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის კონტექსტში განხილვა (რაც, იმ დროისათვის არსებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური კონიუნქტურით იყო განპირობებული, რომელსაც, სამწუხაროდ, გვერდს ანალოგიურ თემატიკაზე მომუშავე ვერცერთი მკვლევარი ვერ აუვლიდა) – ერთგვარად მოძველებულად მოჩანდეს, მაგრამ ეს ვერ ახდენს გავლენას ნაშრომის შინაარსობრივ მხარეზე.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რ. მეტრეველის ეს მონოგრაფია იძლევა სრულ და ამომწურავ ინფორმაციას XII საუკუნეში სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვნებს შორის მიმდინარე უმწვავეს შიდაპოლიტიკურ ბრძოლებზე, ამ თვალსაზრისით აღნიშნული ნაშრომი, საზოგადოდ, ერთგვარი გზამკვლევიცაა.[1] თანაც არც იმის ხელაღებით მტკიცება შეიძლება, რომ იგივე მარქსისტულ მოძღვრებაში მიღებული ყველა დებულება საბოლოოდ მოძველდა და მას აუცილებლად უნდა გავემიჯნოთ. ამ მხრივ, პირველ რიგში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფრიდრიხ ენგელსის ცნობილი ფორმულა სამეფო ხელისუფლების პროგრესულობისა და მისი მაორგანიზებელი როლის შესახებ ფეოდალურ ანარქიაში,[2] რომელიც, ჩვენი აზრით, დღესაც უნდა დარჩეს სახელმძღვანელო დებულებად ზოგადად ფეოდალიზმის ხანის სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ანალიზისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. მეტრეველის დასკვნა იმის შესახებ, რომ სამეფო ხელისუფლების გამარჯვება ფეოდალურ ოპოზიციაზე XI-XII საუკუნეებში (ბაღვაშთა საგვარეულოზე, აბულეთისძეთა წარმომადგენლებზე, ეკლესიაში მოკალათებულ დიდგვაროვნებზე, ორბელებზე და ა.შ.) პროგრესული მოვლენა იყო და ზოგადად საქართველოს სახელმწიფოს წინსვლა-გაძლიერების საქმეს ემსახურებოდა, უდავოდ სწორი და მისაღებია.

---

[1] რ. მეტრეველის ამ მონოგრაფიის სრულფასოვანი ანალიზი იხ: **ნ. შენგელია** საინტერესო მონოგრაფია შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხებზე. – *მნათობი*. №12, 1975, გვ. 183-188.

[2] *«Во всей этой **всеобщей путанице королевская власть была прогрессивным элементом**… **Она была представительницей порядка в беспорядке**, представительницей образующейся нации в противовес раздробленности на мятежные вассальные государства»*. **Ф. Энгельс.** О разложении феодализма и возникновении национальных государств. – წგნ.: **К. Маркс** и **Ф. Энгельс.** Сочинения. Издание второе, т. 21. Москва, 1961, გვ. 411, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

თამარის მეფობის პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი პრობლემების გაშუქებისას რ. მეტრეველს ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს გერმანელი მეცნიერის ფელიქს ჰოლდაკის ნაშრომი[1] და მის ფონზე იხილავს XII ს. 80-იანი წლების შუა ხანების ზოგიერთ პოლიტიკური მოვლენას (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა და ა.შ.).[2] ყუთლუ-არსლანის საპროტესტო მოძრაობის ანალიზისას, რ. მეტრეველი ძირითადად ავითარებს და ახალი არგუმენტებით ამყარებს თავისი მასწავლებლის შოთა მესხიას თვალსაზრისს და ასევე თვლის, რომ ამ მოძრაობის უკან ძირითადად იდგნენ მოქალაქეთა ზედა ფენები – მსხვილ ვაჭარ-მევახშეთა და ფინანსისტთა წრეები, აგრეთვე ფეოდალური არისტოკრატიის განაწყენებული ფრთა.[3] ასევე, შ. მესხიას ხაზს მიჰყვება მეცნიერი XII ს. 80-იანი – 90-იანი წლების დამდეგის პოლიტიკური კრიზისის სხვა მოვლენების (მათ შორის იური ანდრიას ძის პოლიტიკური რეაბილიტაციის მიზნით მოწყობილი დასავლეთ საქართველოს არისტოკრატიის ამბოხების) შეფასებისას.[4] ამასთან, რ. მეტრეველი თითოეულ საკითხზე მსჯელობისას სკრუპულოზურად აანალიზებს წყაროთა მონაცემებს, აზუსტებს ცალკეულ ფაქტებს, იძლევა მათ ახლებურ გააზრებას, მისი დასკვნები არგუმენტირებული და დამაჯერებელია.

აკად. როინ მეტრეველმა, როგორც საქართველოს ოქროს ხანის ისტორიის ერთ-ერთმა მთავარმა მემატიანემ პირნათლად მოიხადა ვალი თამარ მეფის – საქართველოს ისტორიის ამ უპოპულარულესი პერსონაჟის – წინაშე და თავისი ფუნდამენტური გამოკვლევით სერიოზულად წასწია წინ საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი ეპოქის კვლევა. ამ შემთხვევაშიც მეცნიერს საკმაოდ სოლიდური ისტორიოგრაფიულიული მემკვიდრეობა დახვდა. თამარ მეფის ხანის მეცნიერული შესწავლა ყოველთვის იყო ქართული მედიევისტიკის (არა მარტო მეცნიერ-ისტორიკოსთა, არამედ სხვა ქართველოლოგიური დარგების – ფილოლოგთა /კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე ლოლაშვილის, სარგის ცაიშვილის და სხვ./, ფილოსოფოსთა /შალვა ნუცუბიძე, მოსე გოგიბერიძე, შალვა ხიდაშელი და სხვ./, სამართალმცოდნეთა (ივანე სურგულაძე, ვახტანგ აბაშმაძე და სხვ./, ხელოვნებათმცოდნეთა /შალვა ამირანაშვილი და სხვ./) პრიორი-

---

[1] **F. Holldak.** Von der Zage und dem Reich der grusinischer Königin Tamara. Leipzig, 1906.

[2] აღსანიშნავია, რომ გერმანელი მეცნიერის ამ პუბლიკაციას რ. მეტრეველმა სპეციალური სტატიაც მიუძღვნა. იხ.: **რ. მეტრეველი.** გერმანელი მეცნიერი – საქართველოს ისტორიის მკვლევარი (ფელიქს ჰოლდაკი). – *ცისკარი,* №5, 1973.

[3] **რ. მეტრეველი.** შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.). თბ., 1973, გვ. 150-152.

[4] **რ. მეტრეველი.** შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში.., გვ. 170-211.

ტეტული ამოცანა.

თამარ მეფის ეპოქის შესწავლა რ. მეტრეველმა ჯერ კიდევ XX ს. 60-იან წლებში დაიწყო. მისმა პირველმავე, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარმა და უპრეტენზიო პუბლიკაციამ, რომელშიც ხაზგასმული იყო თამარის განსაკუთრებული პოპულარობა, ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული და მოწიწება დიდი მეფისადმი,[1] მოულოდნელად „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ რისხვა გამოიწვია. 1972 წ. 15 ნოემბერს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პერიოდულმა ორგანომ *«Литературная газета»*-მ, დაბეჭდა გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ ცნობილი „არქიტექტორის“, იმჟამად კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების შეფის,[2] ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე იაკოვლევის ამბიციური წერილი *„ანტიისტორიზმის წინააღმდეგ“*.[3] მასში ავტორი (რამდენადაც გასაკვირად არ უნდა მოგვეჩვენოს დღეს ეს)[4] მკვეთრად გამოხატული ორთოდოქსული მარქსისტულ-ლენინური კლასობრივი პოზიციებიდან ილაშქრებდა ისტორიული წარსულის გაზვიადებისა და „ექსპლოატატ-

---

[1] **რ. მეტრეველი.** ქვეყნის თვალი, მზისა დარი... (თამარ მეფის სახე ხალხურ შემოქმედებაში). – *ცისკარი,* №4 1966. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **რ. მეტრეველი.** ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1972, გვ. 169-184.

[2] ოფიციალურად მას იმ პერიოდში ეკავა განყოფილების გამგის მოადგილის თანამდებობა, თუმცა, ფაქტობრივად, განყოფილების გამგის მოვალეობას ასრულებდა.

[3] **Александр Яковлев.** Против антиисторизма. – *Литературная газета*, 15 ноября 1972 г. (http://www.ctvr.ru/lentad/2005/10/31/2.htm).

[4] მოგვიანებით, ა. იაკოვლევი, აღიარებდა რა თავის იდეოლოგიურ „მეტამორფოზას“, წერდა: *„დიდი ხნით ადრე, 40-ზე მეტი წლის წინ, მე გავერკვიე, რომ* ***მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერება კი არ არის, არამედ პუბლიცისტიკაა – კაციჭამიური…*** *რამდენადაც მე ვცხოვრობდი და ვმუშაობდი რეჟიმის უმაღლეს „ორბიტაზე“, მათ შორის ყველაზე ზემოთ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში გორბაჩოვის დროს – მე კარგად მესმოდა, რომ* ***ყველა ეს თეორიები და გეგმები ბოდვა იყო“*** *(«Давным-давно, более 40 лет назад, я понял, что* ***марксизм-ленинизм – это не наука, а публицистика – людоедская и самоедская.*** *Поскольку я жил и работал в высших «орбитах» режима, в том числе и на самой высшей – в Политбюро ЦК КПСС при Горбачеве, – я хорошо представлял, что* ***все эти теории и планы – бред****…»*. იხ.: **А. Н. Яковлев.** Большевизм – социальная болезнь XX века (Вступительная статья). – წგნ: **С. Куртуа, Н. Верт, Ж.-Л. Панне, А. Пачковский, К. Бартошек, Ж.-Л. Марголен.** Черная книга коммунизма. *Преступления, террор, репрессии* (перевод с французского). 2-е издание. Москва, 2001 (http://www.agitclub.ru/gorby/ussr/blackbook1.htm), ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ორული კლასების წარმომადგენელ“ მეფე-მთავართა განდიდების წინააღმდეგ; ეჭვქვეშ აყენებდა საერთო ეროვნული რუსული თვითშეგნების არსებობას XIX საუკუნეშიც კი[1] და აკრიტიკებდა იმათ, ვინც ქადაგებდა კლასობრივ ჰარმონიას ამ ეპოქაში;[2] ვისაც მიაჩნდა რუსული სოფელი თავისი პატრიარქალურობით *(«домостроевскими нравами») „უმთავრეს ეროვნულ ფასეულობად“ («основной национальной ценностью»)*,[3] ვინც *„ტაძრისა და ჯვრის სევდას მისცემია“* (*«тоскует по храмам и крестам») და ვინც „ცხენებს მისტირის... მამლის ყივილზე ვიშვიშებს“ («заливается плачем по лошадям... голосит по петухам»)*.[4]

ა. იაკოვლევი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმ ისტორიკოსთა მიმართაც, რომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა *„ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ზოგიერთი წარმომადგენლის გამართლებისა და შელამაზების“* ცდებს, *„რომლებიც გამოვლინდა ბევრ პუბლიკაციაში უკრაინულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებზე, ქართველ მენშევიკებზე, სოციალისტ-ფედერალისტებზე, სომეხ დაშნაკებზე“* (*«приукрасить, обелить некоторых представителей буржуазного национализма, что обнаружилось в ряде публикаций об украинских буржуазных националистах, о*

---

[1] ამის დასტურია ა. იაკოვლევის წუხილი იმის გამო, რომ ცალკეულ პუბლიკაციებში *„არ არის ელემენტარული გაგებაც კი იმისა, რომ „ეროვნული გრძნობა“, „ეროვნული სული“ დეკაბრისტებისა და ნიკოლოზ I, ჩერნიშევსკისა და კატკოვისა, პლეხანოვისა და პობედონოსცევისა ყოვლად შეუთავსებელია ერთმანეთთან, რომ* ***კლასობრივ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ყველასათვის ერთიანი „ეროვნული თვითშეგნება“*** *(«Нет понимания элементарного – того, что «национальное чувство», «национальный дух» декабристов и Николая I, Чернышевского и Каткова, Плеханова и Победоносцева несовместимы,* ***что в классовом обществе нет и не может быть единого для всех «национального самосознания»****.* იხ.: **Александр Яковлев.** Против антиисторизма.., ქართული ტექსტი მოტანილია ა. იაკოვლევის სტატიის ქართული თარგმანის მიხედვით. იხ.: **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ. – *მნათობი*, №2, 1973, გვ. 10, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] ამ მხრივ ა. იაკოვლევის გაღიზიანება გამოიწვია ცალკეული ავტორების *„არაისტორიულმა, არაკლასობრივმა მიდგომამ“ («Внеисторический, внеклассовый подход»)*, რაც იმაში გამოიხატა, რომ ისინი ცდილობენ 1812 წლის სამამულო ომი წარმოაჩინონ, როგორც *„კლასობრივი ზავის, რაღაც ეროვნული ჰარმონიის“* პერიოდი *(«период классового мира, некоей национальной гармонии».* **Александр Яковлев.** Против антиисторизма... **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ, გვ. 10).

[3] **Александр Яковлев.** Против антиисторизма... **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ, გვ. 7.

[4] **Александр Яковлев.** Против антиисторизма...

грузинских меньшевиках, социал-федералистах, об армянских дашнаках»). სკკპ ცკ-ს მაღალჩინოსნის მიერ შერისხულ მკვლევართა შორის, რომლებიც „ამიერკავკასიის ეროვნული განვითარების პრობლემების“ ანალიზისას „უგულვებელყოფდნენ“ „მკაფიო კლასობრივ კრიტერიუმებს“ (*«четких классовых критериев в подходе к проблемам национального развития Закавказья»)*, აღმოჩნდნენ ცნობილი ქართველი ისტორიკოსი უშანგი სიდამონიძე და სომეხი მეცნიერი არამაის მნაცაკანიანი. ამასთან, ა. იაკოვლევმა დადებით ფაქტად მიიჩნია, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა *„სრულიად საფუძვლიანად გააკრიტიკა უ. სიდამონიძის წიგნი „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917–1921 წწ.)“, ხოლო სომხეთის პარტიულმა პრესამ – ა. მნაცაკანიანის წიგნი „ლენინი და ეროვნული საკითხის გადაჭრა სსრ კავშირში“ («Тбилисский горком КП Грузии вполне обоснованно подверг критике книгу У. Сидамонидзе «Историография буржуазно-демократического движения и победы социалистической революции в Грузии (1917-1921 гг.)», а партийная печать Армении – книгу А. Мнацаканяна «Ленин и решение национального вопроса в СССР»)*.[1]

მაგრამ ა. იაკოვლევის განსაკუთრებული კრიტიკა დაატყდა თავს ნაციონალური რესპუბლიკების სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების იმ წარმომადგენლებს – ვინც, მისი აზრით, გატაცებული იყო წარსულის იდეალიზაციით. მაგალითად, ის ერთგვარი დაცინვით მოიხსენიებდა სომეხ პოეტებს,[2] რომლებიც დაკავებულნი იყვნენ *„ქვებზე, ნანგრევებზე, მონასტრებზე ოხვრა-გოდებით“* (*«Вздохами о камнях, развалинах, монастырях…»)*;[3] უკრაინელ მწერალს არ პატიობდა კიევის მთავრის ბოგდან გატილოს განდიდებას,[4] გამოთქვამდა საყვედურს მეფე დავითის, თემურ-ლენგის, მოლდავეთისა და ყირგიზეთის მოღვაწეებისა და სხვათა ქება-დიდების გამო. ამ კუთხით ა. იაკოვლევის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოუწვევია პუბლიკაციას საქართველოს რუსულენოვან ჟურნალში *«Литературная Грузия»*, რომლის ავტორს ის არ ასახელებს. ეს გახლავთ სწორედ თამარ მეფისადმი მიძღვნილი რ. მეტ-

---

[1] **Александр Яковлев.** Против антиисторизма... **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ, გვ. 24.

[2] *Поэты Армении*. – *Новый мир*, № 6, 1972.

[3] **Александр Яковлев.** Против антиисторизма... **ა. იაკოვლევი.** ანტისტორიზმის წინააღმდეგ, გვ. 11.

[4] იგულისხმება ცნობილი უკრაინელი მწერლის ივან ბილიკის გახმაურებული რომანი *«Меч Арея»* (1972), რომელიც უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით ამოღებულ იქნა გაყიდვიდან.

რეველის ზემოხსენებული სტატიის რუსული ვარიანტი.[1]

როგორც ირკვევა, ა. იაკოვლევის წერილი სკკპ უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობასთან მთლად შეთანხმებული არ უნდა ყოფილიყო. ყოველი შემთხვევისათვის ამ წერილს სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროსა და პირადად მიხეილ სუსლოვის – იმ პერიოდში საბჭოურ-კომუნისტური იდეოლოგიური მანქანის „მესაჭის“ – გაღიზიანება გამოუწვევია. მიუჩნევიათ, რომ თითქოს ეს არ იყო „ჩინის შესაბამისი“ *(«не по чину!»)*. ანუ ამ დონის „პოლიტიკურ-თეორიული დარიგებანი“ არ უნდა გაეხმოვანებინა ცენტრალური კომიტეტის რიგით (თუნდაც საკმაოდ მაღალი რანგის) ჩინოვნიკს.[2] გარდა ამისა, ა. იაკოვლევის წერილის პათოსი და მასში განვითარებული ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება საკუთრივ რუსული ისტორიული წარსულისადმი (ნაციონალური რესპუბლიკების ისტორია არავის აინტერესებდა) მიუღებელი აღმოჩნდა იმჟამინდელი რუსული აკადემიური[3] და შემოქმედებითი ელიტის ცალკეული წარმო-

---

[1] **Р. Метревели.** Образ царицы Тамары в грузинском народном творчестве. – *Литературная Грузия*. 1970, №8.

[2] **Анатолий Салуцкий.** Эволюция или мутация? *К 30-летию статьи А. Яковлева*: А. Яковлев. «Против антиисторизма» (1972 г.) – *Литературная газета,* №50-51 (5905) 18-24 декабря 2002 (http://zinoviev.info/wps/archives/230).

[3] ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი. სადღაც 1973 წლის მაის-ივნისი იქნებოდა. მე – იმჟამად მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი – ჩემმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა აკად. ბორის რიბაკოვმა მიმიწვია თავის საჯარო ლექციაზე მოსკოვის „მეცნიერთა სახლში“ (დღეს: *Центральный Дом учёных Российской академии наук*). ლექციის თემა იყო *„ანდრია ბოგოლიუბსკი“*. თავისი ლექცია აკად. ბ. რიბაკოვმა, რომელიც იმ დროს თავისი ოფიციალური რეგალიებითა და ავტორიტეტით ითვლებოდა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ თავკაცად (სხვადასხვა დროს მას ეკავა სსრ კავშირის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის /ერთი პერიოდი აგრეთვე სსრ კავშირის ისტორიისაც/, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნისა და სხვ. ხელმძღვანელი თანამდებობები), ჩემთვის სრულიად მოულოდნელად დაიწყო ა. იაკოვლევის პუბლიკაციის მწვავე კრიტიკით. ბ. რიბაკოვმა დაგმო ნიჰილისტური მიდგომები შუა საუკუნეების ისტორიული პიროვნებებისადმი და საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ სწორედ ა. იაკოვლევის მკრეხელურმა სტატიამ უბიძგა მას გამოსულიყო საჯარო ლექციების ციკლით: *„ისტორიული პორტრეტები“* „მეცნიერთა სახლში“ (ეს იყო მისი მეორე ლექცია აღნიშნული ციკლიდან, პირველი, თუ არ ვცდები, ეძღვნებოდა ვლადიმირ მონომახს). აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მე სწორედ ამ ლექციაზე გავიგე ა. იაკოვლევის დემარშის შესახებ, მოგვიანებით კი გავეცანი მის პუბლიკაციას უკვე ჟურნალ *„მნათობში“* (იხ.: **ა. იაკოვლევი.** ანტისტორიზმის წინააღმდეგ. – *მნათობი*, №2, 1973, გვ. 3-25).

მადგენლებისთვისაც,[1] რომლებმაც ღიად დაგმეს კიდეც ამბიციური პარტიული მუშაკის ეს პოლიტიკურ-იდეოლოგიური დემარში. შედეგად, ყოველივე ეს დასრულდა ა. იაკოვლევის განთავისუფლებით დაკავებული თანამდებობიდან და მისი 10 წლიანი „გადასახლებით“ კანადაში – სსრ კავშირის ელჩად.

მაგრამ მოვუბრუნდეთ ა. იაკოვლევის „დარიგებანის“ ქართულ „სეგმენტს“, რომელშიც, როგორც უკვე აღინიშნა, ფიგურირებს სწორედ რ. მეტრეველის ზემოხსენებული რუსული პუბლიკაცია. მას საგანგებოდ მოჰყავს ციტატა მაინცდამაინც, *«Литературная Грузия»*-ში დაბეჭდილი სტატიიდან: *„საქართველოს ისტორიაში თამარ მეფის სახელი შემკულია განსაკუთრებული შარავანდედით“. „თამარ მეფის ნათელმა პიროვნებამ, მისმა ძლევამოსილმა მეფობამ, შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ და გამჭრიახობამ, რაც დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, – ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ აყვავებას, ყოველივე ამან საყოველთაო-სახალხო სიყვარული მოუპოვა მას, სწორედ ამიტომ შექმნა ხალხმა სახოტბო ჰიმნები თავის სიამაყეზე – თამარ მეფეზე... ხალხის აზრით, თამარი ისეთი კეთილი ხელმწიფე იყო, რომ ადამიანები მის ხელქვეითობაზე ოცნებობდნენ“.*[2]

ა. იაკოვლევი გმობს ქართველი მეცნიერის ამგვარ მიდგომას და კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია, როდესაც ამ და სხვა მსგავს პუბლიკაციებში: *„წარსულს განგებ აიდეალებენ, თანაც გაურკვეველი სოციალური პოზიციებიდან, მაშინ წარმოიშობა უაზრო კამათი, თუ ვისი მეფე უკეთესია, ხოლო ამა თუ იმ მოღვაწეთა დამსახურებას გადამეტებით აზვიადებენ“.*[3] *„ყოველგვარი ჰიპერბოლიზაცია,* – გვმოძღვრავს მა-

---

[1] როგორც ჩანს, ა. იაკოვლევის წინააღმდეგ გაილაშქრა თვით მიხეილ შოლოხოვმაც კი (იხ.: **Вячеслав Огрызко.** Крайности сходятся. – *Литературная Россия* №29. 22.07.2011 (http://litrossia.ru/2011/29/06376.html); **А. И. Байгушев.** Партийная разведка. Москва, 2007 (http://www.rulit.me/books/partijnaya-razvedka-read-222711-20.html).

[2] **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ, გვ. 17 *(«В грузинской истории имя царицы Тамары окружено особым ореолом»; «Светлая личность царицы Тамары, ее победоносное царствование, дальновидная политика и проницательность – сегодня это уже ясно для всех – способствовали политическому и культурному процветанию Грузии. Все это и снискало ей любовь народную, благодаря этому и сложил народ гимны в честь своей гордости – царицы Тамары... Тамара, по мнению народа, была настолько добрым правителем, что люди мечтали ходить у нее в подчинении...»*. **Александр Яковлев.** Против антиисторизма...).

[3] **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ, გვ. 17 *(«нарочито идеализируется прошлое, да еще при нечетких социальных позициях, возникает нелепый*

ღალი რანგის პარტიული „ბოსი“, – *შესაძლებელია გახდეს* ***ეროვნული გადმონაშთების გაცოცხლების დასაყრდენი წერტილი...“*** *(«Всякая гиперболизация ... может стать одной из отправных точек* ***для оживления националистических предрассудков!»)***. და ვერ ფარავს კმაყოფილებას იმის გამო, რომ ***„ასეთი გამოვლინებები სათანადოდ შეაფასეს რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა“*** (***«эти проявления получили соответствующую оценку со стороны партийных организаций республик»)***.[1]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომპარტიის იმჟამინდელმა (1972 წ. სექტემბრის ბოლოს განხორციელებული „სასახლის გადატრიალების“ შედეგად მოსულმა) ხელმძღვანელობამ, პირადად ედ. შევარდნაძემ, რომლის გეგმებში ისედაც შედიოდა რ. მეტრეველის პარტიულ-პოლიტიკური რენომეს „დისკრედიტაცია“,[2] მართლაც, უმალ გამოიყენა ზემდგომი ორგანოს[3] მიერ მოწოდებული ეს „არგუმენტი“[4] და წერტილი დაუსვა საშიში მეტოქის პოლიტიკურ კარიერას. მაგრამ ხელისუფლებამ ვერ აღკვეთა როინ მეტრეველის – მეცნიერი-ისტორიკოსისა და პატრიოტის აკადემიური აქტიურობა, რომლის ერთ-ერთი მთავარი შედეგი სწორედ ზემოხსენებულ თამარ მეფის მოღვაწეობის ირგვლივ „კრამოლურ“ სტატიაში წამოყენებული იდეების შემდგომი განვრცობა-განვითარება იყო, რაც ასე მკაფიოდ წარმოჩინდა ზემოხსენებულ მონოგრაფიაში *„მეფე თამარი“*.

აღნიშნულ მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თამარის საშინაო-პოლიტიკის საკვანძო საკითხების ანალიზს. მეცნიერი ავითარებს მის ადრინდელ ნაშრომებში (პირველ რიგში სადოქტორო დისერტაციაში) წამოყენებულ დებულებებს და ახალი არგუმენტებით

спор, чей царь лучше, а заслуги тех или иных деятелей доводятся до превосходных степеней». ...». **Александр Яковлев.** Против антиисторизма...).

[1] **ა. იაკოვლევი.** ანტიისტორიზმის წინააღმდეგ, გვ. 16-17; **Александр Яковлев.** Против антиисторизма, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**.

[2] საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1972 წლის სექტემბერში, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა დაიკავა ედ. შევარდნაძემ, მის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად განიხილებოდა სწორედ რ. მეტრეველი, რომელსაც ვასილ მჟავანაძის ადმინისტრაციაში მეტად საკვანძო ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილება ებარა და საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელის მემკვიდრედაც მოიაზრებოდა.

[3] თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მთლად სკკპ ცკ-ს ოფიციალური დირექტივა არ ყოფილა და ა. იაკოვლევი უფრო საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა.

[4] შემთხვევითი არ იყო, რომ აშკარად საქართველოს ახალი პარტიული ხელმძღვანელობის ინიციატივით, ა. იაკოვლევის წერილი სასწრაფოდ ითარგმნა ქართულად და გამოქვეყნდა ჟურნალ *„მნათობში“*.

ამყარებს მათ. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ რ. მეტრეველის თვალსაზრისი ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის პოლიტიკური შედეგების შეფასების ნაწილში. ის სავსებით სამართლიანად ემიჯნება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას (ნ. ბერძენიშვილი, პ. ინგოროყვა და სხვ.),[1] თითქოს ყუთლუ-არსლანის დასს, მიუხედავად მარცხისა, მაინც მიეღწიოს გარკვეული წარმატებისათვის – ე. წ. „თანადგომისა და ერთნებობის“ პრინციპის შემოღების გზით მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვისათვის და შ. მესხიას უკანასკნელ მონოგრაფიაში[2] წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ***„მეცნიერთა მიერ სამეფო ხელისუფლების დასუსტება-შეზღუდვად მიჩნეული ფორმულა არის ზოგადი ფრაზა, რომელიც სამეფო ხელისუფლების ბრძანებათა და ერთსულოვნად, უყოყმანოდ მიღებას, სამეფო ხელისუფლებასთან მათი „თანადგომისა“ და მეფეთა ბრძანებისადმი ერთი ნების გამოხატვას ემსახურებდა“***.[3] ჩვენის აზრით, მესხია-მეტრეველის ეს დასკვნა გადასინჯვას არ საჭიროებს.

გარდა საშინაო-პოლიტიკური პრობლემებისა, ნაშრომში არანაკლებ სკრუპულოზურადაა განხილული საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე და ნაჩვენებია ქვეყნის როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე. მეცნიერი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს იმ მეცნიერებს, რომლებიც უარყოფენ საქართველოს როლს მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რ. მეტრეველის კრიტიკა ვლადიკავკაზში მოღვაწე ცნობილი რუსი ისტორიკოსისა დ არქეოლოგის ვლადიმირ კუზნეცოვის ტენდენციური მიდგომებისა.[4]

---

[1] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 110-116.

[2] იხ.: **შ. მესხია.** საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979, გვ. 63-70 და სხვ.

[3] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 116.

[4] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 204. რ. მეტრეველს მხედველობაში ჰქონდა ვ. კუზნეცოვის ნაშრომი ბიზანტია-ალანიის ურთიერთობებზე (იხ.: **В. А. Кузнецов.** Алания и Византия. – *Археология и традиционная этнография Северной Осетии*. Орджоникидзе, 1985, გვ. 59-61), რომელშიც სრულიად იგნორირებული იყო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული კულტურის გავლენა ცენტრალურ და დასავლეთ იმიერკავკასიაზე. ამ სტატიის მწვავე კრიტიკით გამოვიდა მეორე რუსი მეცნიერი (ამჯერად უკვე გროზნოში მოღვაწე) ვიტალი ვინოგრადოვი, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს ჰეგემონური როლი ჩრდილოეთ კავკასიაში X-XIII საუკუნეებში (იხ.: **В. Б. Виноградов.** О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе в X-XIII вв. – *მაცნე* №2, 1988, ისტორიის არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, გვ. 162-169. ამ ბოლო დროს, ვ. ვინოგრადოვის ეს სტატია, თავისი აქ-

უაღრესად საინტერესოა პასაჟები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ იერ-სახეზე. მეცნიერი სავსებით მართებულად უარყოფს თვალსაზრისს XII საუკუნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების არამდგრადობის შესახებ, თითქოს საქართველოს სამეფოს „ეკონომიკური ძლიერების ძირითად წყაროს სამხედრო ნადავლი და ხარკი შეადგენდა“, რის გამოც ერთიანი ქართული სახელმწიფო „ეფემერული გაერთიანება“ ყოფილიყოს.[1] გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების: ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, შ. მესხიას, ვ. გაბაშვილისა და სხვ. შრომებზე დაყრდნობით, რ. მეტრეველი ანვითარებს ერთადერთ სწორ დებულებას და აღნიშნავს, რომ XII საუკუნის *„საქართველოს ფეოდალური მონარქია არ ყოფილა ეფემერული გაერთიანება. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანა მომწიფებულია. შემდგომი ეკონომიკური აღმავლობის პირობებში სოციალურად ზრდასრული საზოგადოების (ფეოდალური) კანონზომიერი კრიზისი უნდა დაწყებულიყო – გვიანფეოდალური ხანა უნდა დამდგარიყო, მაგრამ კონკრეტულმა ისტორიულმა საგარეო-პოლიტიკურმა ფაქტორმა ეკონომიკური რეგრესი გამოიწვია და მივიღეთ საწინააღმდეგო პროცესი: განვითარებული ფეოდალიზმის ხელოვნური გახანგრძლივება და პოლიტიკური დაშლილობა“.*[2]

ნაშრომის ამ ნაწილში რ. მეტრეველი იძლევა სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარების საკმაოდ სრულ სურათს; საგანგებოდ ჩერდება სამეფო ხელისუფლების ფინანსურ-მონეტარულ პოლიტიკაზე და იძლევა საკვლევი პერიოდის ნუმიზმატიკური მასალის შთამბეჭდავ ანალიზს.[3] სოციალურ ვითარებაზე მსჯელობისას ამახვილებს ყურადღებას ფეოდალური საზოგადოების დაბალი ფენების მდგომარეობაზე და ამ მხრივ გამოყოფს გლახაკთა ფენას[4] (აღსანიშნავია, რომ გლახაკთა თემას რ. მეტრეველმა ცალკე სპეციალური ნაშრომიც მიუძღვნა).[5] ამომწურავადაა გაშუქებული სამოხელეო წყობის საკითხებიც. მკვლევარი იზიარებს შ. მესხიას დებულებას და ასევე მიუთითებს, რომ *„მეფე თამარის დროს ... არსებითად არ შეცვლილა გიორგი III-ის*

ტუალობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დაიბეჭდა (იხ.: **В. Виноградов.** О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе в X-XIII вв. – *ზურაბ პაპასქირი – 60.* „ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტისა მეტყუელება არს“. თბ., 2010-2013, გვ. 201-209 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/27363/1/Zurab_Papaskiri%20_%2060.pdf).

[1] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 215.

[2] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 216.

[3] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 231-240.

[4] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 246-270.

[5] **რ. მეტრეველი.** დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XII სს.). თბ., 1976.

საშინაო-პოლიტიკური გეზი; დიდგვაროვან ფეოდალთა მოთხოვნით გადაყენებულ „უგვაროთა... (ყუბასარი, აფრიდონი) თანამდებობები ძირითადად კვლავ გიორგი III-ის „გაზრდილებმა“ დაიკავეს“.[1] საინტერესოა მსჯელობა ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით. რ. მეტრეველი სწორად აღნიშნავს, რომ ივანე მხარგრძელის ეს ინიციატივა შორსმიმავალ მიზანს ისახავდა და ჭყონდიდელ-მწიგნობარ-თუხუცესის სახელოსთან გათანაბრების მცდელობა იყო.[2]

თამარ მეფისადმი მიძღვნილ მონოგრაფიის დასკვნით ნაწილში მიმოხილულია ქართული კულტურის მიღწევები XII საუკუნეში. საგანგებოდაა აღნიშნული ქართული კულტურის გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების საქმეში,[3] სამეფო კარის წარმართველი როლი „განათლებისა და კულტურა-ხელოვნების წინსვლის“ საქმეში.[4]

ასეთია ძალზე სქემატურად თამარის ეპოქის ირგვლივ აკად. რ. მეტრეველის მიერ ჩატარებული კვლევის ძირითადი შედეგები. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ კვლევას უდავოდ საეტაპო მნიშვნელობა აქვს და მისი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ძლიერების ზენიტში მყოფი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური პროცესების შემდგომი მეცნიერული დამუშავება.

ამით ვასრულებთ ჩვენს ისტორიოგრაფიულ მიმოხილვას, რომელშიც შევეცადეთ ზოგად შტრიხებში გადმოგვეცა აკად. როინ მეტრეველის წვლილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის სფეროში. რასაკვირველია, წარმოდგენილ ნარკვევს არ შეიძლება ჰქონდეს რ. მეტრეველის მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ყოველმხრივი, გამოწვლილვითი ანალიზის პრეტენზია, მაგრამ, ვფიქრობთ, თუნდაც ამ სახით ის გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას ღვაწლმოსილი მეცნიერის მიერ მოცემული მიმართულებით ჩატარებული ნაყოფიერი კვლევა-ძიების მასშტაბებსა და მის მეცნიერულ ღირებულებაზე, რომლის უფრო ღრმა და ამომწურავი შესწავლა მომავლის საქმეა.

---

[1] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 275.
[2] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 276.
[3] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 290.
[4] **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი, გვ. 298.

ქართული „ისტორიული სეგმენტის“ დამახინჯებისა და იგნორირების შესახებ ბიზანტინოლოგიურ ენციკლოპედიურ გამოცემაში*

საქართველოს ისტორიის ცალკეული ფაქტების დამახინჯება და ზოგადად ქართული „ისტორიული სეგმენტის“ იგნორირება სამწუხარო ტრადიციადაა დამკვიდრებული მსოფლიო ბიზანტინოლოგიურ ლიტერატურაში. შეიძლება მოვიძიოთ არაერთი ფაქტი თვით მსოფლიო ბიზანტინისტიკის კორიფეების სამეცნიერო მემკვიდრეობიდან, რომლებშიც ვლინდება ავტორთა ზერელე დამოკიდებულება ბიზანტიის ისტორიასთან დაკავშირებული ქართული ნარატივისადმი, აგრეთვე საქართველოს ისტორიის ზედაპირული ცოდნა. ამის კლასიკური ნიმუშია თუნდაც ცალკეული პასაჟები დიდი რუსი მეცნიერის აკად. თევდორე უსპენსკის კაპიტალური გამოცემიდან: *„ბიზანტიის იმპერიის ისტორია“*, რომელშიც, XI ს. I მეოთხედის მოვლენების (იმპერატორ ბასილი II-ის აღმოსავლური კამპანიის) გაშუქებისას, ავტორს დავით კურაპალატი *„საქართველოს მეფედ“ («царь **Грузии**»),* ხოლო გიორგი I *„აფხაზეთის მეფედ“ («Гиоргий I царь **Абхазии**»)* წარმოუდგენია. სხვა ადგილას კი საუბარია იმაზე, თუ როგორ სურდა ბასილი კეისარს (1022 წ. გაზაფხულზე) *„დაესრულებინა **აფხაზეთისა** და **საქართველოს** დაპყრობა“* (*«докончить завоевание **Абхазии и Грузии**»*).[1] ანუ თ. უსპენსკისათვის იმდროინდელი „საქართველო“ და „აფხაზეთი“ სხვადასხვა ქვეყნებია, რაც სრული ნონსენსია.

ანალოგიური ხასიათის გაუგებრობასთან გვაქვს საქმე *„ბიზანტიის ისტორიის“* ცნობილ რუსულ სამტომეულში, რომელიც XX ს. 60-იან წლებში მოამზადეს წამყვანმა რუსმა ბიზანტინოლოგებმა და დღემდე უმთავრეს აკადემიურ გამოცემად ითვლება. ამ ნამდვილად სოლიდური განმაზოგადებელი ნაშრომის II ტომში იგივე გიორგი I (1014-1027) ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოხსენიებულია – *«Георгий **Абхазский**»*-დ *(„გიორგი აფხაზი“)*, ხოლო ერთიანი ქართული სახელმწიფოს დიდე-

---

* გამოქვეყნდა *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*. XIII. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. თბ., 2015, გვ. 357-368 (http://sou.edu.ge/files/Kvashilava/AA_SSU_Proceedings_XIII_-_2015.pdf). ამჯერად იბეჭდება მცირეოდენი ჩასწორებით.

[1] **Ф. И. Успенский.** История Византийской империи. Глава XXIV. *Походы на Сирию и Армению Западные границы империи. Последние представители династии*. გამოაქვეყნა ო. ცქიტიშვილმა. იხ.: *მაცნე*. №4, 1968, გვ. 130. აკად. თ. უსპენსკის თხზულების ეს მონაკვეთი შესულია წგნ.: **Ф. И. Успенский.** История Византийской империи. Т. 3. М., 2005 (https://www. litmir.co/br/?b=146313&p=141).

ბულთა წრე – «***Абхазская** знать»*-ად *(„აფხაზეთის წარჩინებულები“)*,[1] რაც უთუოდ დამაბნეველია გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვის, რადგან ის ამ „აფხაზების“ ქვეშ, უდავოდ, იგულისხმებს არა ქართულ, არამედ საკუთრივ აფხაზურ (თანამედროვე გაგებით) სამყაროს. ასეთსავე მიდგომას ვხედავთ ამავე ტომის იმ მონაკვეთშიც, რომელშიც საუბარია გიორგი I-ის კავშირზე ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან 1022 წელს: *„როგორც ჩანს, შეთქმულებს შორის იყო აფხაზეთის მთავარი გიორგი. მზად იყვნენ საჩქაროდ ამოდგომოდნენ მხარში ამბოხებულებს ზოგიერთი მცირე აზიელი არისტოკრატებიც, რომლებიც მონაწილეობდნენ ბასილის ლაშქრობაში **აფხაზეთში**“*.[2]

ასეთ ავტორიტეტულ მეცნიერთა, არა მხოლოდ რუსული, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო ბიზანტინისტიკის კლასიკოსთა, ამგვარი გადაცდომები შემთხვევითი არ არის. ის ბიზანტიურ (ნაწილობრივ ასევე სომხურსა და აღმოსავლურ) წერილობით წყაროებში გატარებული შეხედულების უკრიტიკოდ გაზიარების შედეგია, რომლის მიხედვითაც XI-XII საუკუნეების საქართველო „აფხაზეთად“ („აბაზგია“), ხოლო საქართველოს მეფეები – „აფხაზეთის“ („აბაზგიის“) მთავრებადაა მიჩნეული.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა არაერთხელ მიუთითეს რუს ბიზანტინისტთა ამ და სხვა შეცდომებზე,[3] ბიზანტიის ისტორიის „ქართული სიუჟეტების“ დამახინჯებისა და იგნორირების ტრადიცია ბიზანტინისტურ ლიტერატურაში კვლავაც გრძელდება. ამის მორიგი დემონსტრირებაა *„დუმბარტონ ოკსის“ (Dumbarton Oaks)* სახელით ცნობილი მსოფლიო ბიზანტინისტიკის სათავო კვლევითი დაწესებულების ამბი-

---

[1] *«Ослабление военной мощи империи отразилось и на отношениях с полунезависимыми княжествами Кавказа. В 1027 г. **Абхазская** знать предъявила претензии на земли, приобретенные Василием II в Асфарагане. Роману III удалось заключить мир с наследником Георгия **Абхазского** Багратом, женив его на своей племяннице. Но тотчас после смерти Романа, Баграт порвал договор и вернул себе уступленные крепости»*. ***Г. Г. Литаврин.*** Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг. – *История Византии*, т. II. М., 1967, გვ. 270, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *«В сговоре с ними, по-видимому, состоял и князь Абхазии Георгий**.** Готовы были бежать к мятежникам некоторые малоазийские аристократы, участвовавшие в походе Василия в **Абхазию**»)*. იხ.: **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X – первой четверти XIв. – *История Византии*, т. II, გვ. 222, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

[3] ამ მხრივ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ქართველ ისტორიკოსთა მეტად საყურადღებო შენიშვნები *«История Византии»*-ის II ტომში დაშვებულ ცალკეულ უზუსტობებზე. იხ.: **Ш. А. Месхия, Н. Ш. Асатиани, В. У. Копалиани, Э. В. Хоштария.** Некоторые замечания ко второму тому «История Византии». – *Вопросы истории*, №9, 1969, გვ. 178-180.

ციის მქონე სამეცნიერო ცენტრის მიერ მომზადებული ენციკლოპედიური გამოცემა: *„ბიზანტიის ოქსფორდის ლექსიკონი“* (*The Oxford Dictionary of Byzantium*. 3-Volume Set. Edited By ***Alexander P. Kazhdan.*** Prepared at Dumbarton Oaks, Washington. New York–Oxford, Oxford University Press, 1991).

მართალია, ამ *„ლექსიკონის“* გამოსვლიდან 20 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მისი „ქართული ნაწილი“ ჯერჯერობით, არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი. არადა, გამოცემაში მოთავსებული მასალები შეიცავენ საქართველოს ისტორიის ცალკეული ფაქტების უხეშ დამახინჯებას. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია ამერიკაში მოღვაწე ცნობილი სომეხი ბიზანტინისტის, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ნინა გარსოიანის (Nina G. Garsoian) მიერ მომზადებული მასალები, რომლებშიც, გარდა ფაქტოლოგიური ლაფსუსებისა, ვხვდებით ტენდენციურ მიდგომებს და მთელი რიგი „საერთო“ თემების „სომხური რაკურსით“ წარმოჩენის მცდელობებს.

დავიწყოთ ფაქტოლოგიური ხასიათის უზუსტობებით. ამ მხრივ გამოირჩევა სტატია: „აფხაზეთი“ („აბასგია“) («Abchasia»/*Αβασγια*), რომელშიც საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ბაგრატ III-ის მამა გურგენი „ქართლის კუროპალატადაა“ გამოცხადებული – *«Bagrat III, son of Gurgan,* ***kourapalates*** *of K‘art‘li...».*[1] სრულიად აშკარაა, რომ ამ განმარტების ავტორს წარმოდგენა არა აქვს იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ იერ-სახეზე. ბაგრატ III-ის მამა გურგენი, როგორც ცნობილია, არასოდეს ყოფილა „ქართლის კუროპალატი“, ის იყო ე.წ. „ქართველთა“ მეფის ბაგრატ II „რეგუენის“ ძე, რომელიც მამის გარდაცვალების (994 წ.) შემდეგ იწოდა არა „ქართლის მეფედ“, არამედ ზოგადად **„მეფედ-მეფედ“**.[2]

ნ. გარსოიანმა უბრალოდ არ იცის, რომ იმ პერიოდში „ქართლი“, როგორც ცალკე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ერთეული, საერთოდ არ არსებობდა და ის, რაც „ქართლად“ იწოდებოდა იყო მხოლოდ შიდა ქართლი, რომელიც იმხანად „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს ფარგლებში იყო მოქცეული და მასზე ტაოელ ბაგრატიონებს ხელი არ მიუწვდებოდათ. სამწუხაროდ, ამერიკელი მეცნიერის ეს უხეში შეცდომა

---

[1] *The Oxford Dictionary of Byzantium* (3-Volume Set). Edited By ***Alexander P. Kazhdan*.** Prepared at Dumbarton Oaks,Washington. Vol. I. New York-Oxford, *Oxford University Press,* 1991, გვ. 3.

[2] შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ტრადიცია, წარმოდგენილი სუმბატ დავითის ძის თხზულებაში, სავსებით გასაგებად ხსნის ამ ფაქტს იმით, რომ მანამდე მისი ძე ***„ბაგრატ,*** *დედით აფხაზთა მეფისა დისწული, დემეტრესი და თევდოსესი...* ***მეფე იქმნა აფხაზეთს...“***. **სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. — *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 369, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

არაა გამონაკლისი. უცხოელ (მათ შორის, ნ. გარსოიანზე გაცილებით ავტორიტეტულ მკვლევართა) პუბლიკაციებში არცთუ იშვიათად ვხვდებით ცნებების: „ქართველთა სამეფო“ და „ქართლის (იბერიის) სამეფო“ აღრევას. მაგალითისათვის მოვიყვანთ ქართული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი კავკასიოლოგის კირილე თუმანოვის (თუმანიშვილი) მიერ კემბრიჯის შუა საუკუნეების ისტორიისათვის დაწერილ თავს *„სომხეთი და საქართველო“*, რომელშიც, სწორედ 975-978 წლების მოვლენების განხილვისას, ავტორი გურგენს ასევე უწოდებს „იბერიის (ანუ ქართლის) მეფეს“ («Gurgen ... **King of Iberia**»), ხოლო ქართლის (შიდა ქართლის) ერისთავს იოანე მარუშისძეს „იბერიის ვიცემეფედ“ მოიხსენიებს («John Marushidze, **viceroy of Iberia**»), რომელმაც თურმე დავით კურაპალატს „იბერია გადასცა“: *«**Bagrat was** the son of Gurgen and **the grandson of the titular King of Iberia, Bagrat II** the Simple; his mother was Gurandukht, sister of Theodosius III, king of Abasgia and (de facto) **of Iberia**. The boy was thus the potential heir of three crowns. As Theodosius III was unpopular with the nobility, John Marushidze, **viceroy of Iberia**, came to an understanding with David and with Smbat II in 975, and ceded **Iberia to** David. Since Bagrat was under age and **his grandfather in his dotage**, it was the boy's father **Gurgen who became King of Iberia**».*[1].

როგორც ვხედავთ, კ. თუმანოვის ნაშრომიდან მოტანილ ამ პასაჟში ტერმინი „იბერია“ გამოყენებულია უკომენტაროდ, რაც დიდ გაუგებრობას იწვევს. გამოდის, რომ ბაგრატ II იყო „იბერიის მეფე“, ხოლო „იბერიის ვიცემეფე“ იოანე მარუშის ძე – მისი ქვეშევრდომი, რაც სრული აბსურდია. ამასთან, „იბერიის ვიცემეფე“ იოანე მარუშის ძე გადასცემს იგივე „იბერიას“ დავით კურაპალატს, რომლის მეფე ხდება გურგენი!!![2]

---

[1] **C. Toumanoff.** Armenia and Georgia. – *The Cambridge Medieval History.* Vol. IV. The Byzantine Empire, part I. Chapter XIV. Cambridge, 1966, გვ. 617 (http://rbedrosian.com/Ref/cmh3.htm, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**).

[2] ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ დასანან უზუსტობას, რომელსაც ვხვდებით აკად. ზ. ალექსიძის სტატიაში. ესაა მეცნიერის განმარტება იმის შესახებ, თითქოს გურგენი ყოფილიყოს „ქართლის მეფე“ (**З. Алексидзе.** «Мнимое упоминание» одного топонима в армянской надписи Атенского Сиона. – *ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ტ. 327: აღმოსავლეთმცოდნეობა. თბ., 1998, გვ. 79, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) – **“du roi de Kartli”** ფრანგულ ტექსტში (**Z. Aleksidze.** La Mention imaginare d'un toponime dans l'Inscriptions Armenienne de Sioni d'At'eni. – *Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes*, #5, 1989. Association de la Revue des Etudes Georgiennes et Caucasiennes. Paris, გვ. 229, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** გურანდუხტ დედოფლის როლის შეფასებისათვის გამაერთიანებელ მოძრაობაში. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.*

ნ. გარსოიანმა არც ის იცის, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მამას – გურგენ ბაგრატიონს არასოდეს უტარებია კუროპალატის ტიტული. აქ, ეტყობა, ამერიკელი მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა ცნობილმა ბრიტანელმა ქართველოლოგმა უილიამ ალენმა, რომელმაც საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ ფუნდამენტურ გამოცემაში გურგენ ბაგრატიონი რატომღაც „ქართლის კუროპალატად" ("kuropalates of Kartli") გამოაცხადა.[1] არადა, დანამდვილებითაა ცნობილი, რომ მას (დავით კუროპალატის გარდაცვალების /1001 წ./ შემდეგ) ებოძა მაგისტროსის ტიტული, რაც იმდროინდელმა ქართულმა საზოგადოებამ იმპერატორ ბასილი II-ის ვერაგულ ხრიკად აღიქვა, რომელიც გამიზნული იყო მამა-შვილის ერთმანეთთან წასაკიდებლად.

ეს მკაფიოდ აისახა ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრისა და მემატიანის, აშკარად XI ს. I მესამედის ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლის სუბატ დავითის ძის[2] თხზულებაში, რომელშიც ხაზგასმულია თუ რა მიზანი ამოძრავებდა ძლევამოსილ კეისარს მაშინ, როდესაც ის შვილს – ბაგრატ „აფხაზთა" მეფეს – კუროპალატის მაღალ საკარისკაცო ტიტულს ანიჭებდა, ხოლო მამისათვის – გვარში უფროსისათვის – დემონსტრაციულად უფრო დაბალ – მაგისტროსის ტიტულს იმეტებდა: *„...მოსცა ... ბასილი მეფემან **პატივი – გურგენს მაგისტროსობაჲ და ბაგრატს კურაპალატობაჲ, რაჲთამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა.** ხოლო **გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკვთა** ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებითა".*[3]

ტ. XI. 2013-2014. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, გვ. 373 (http://sou.edu.ge/files/samecniero mushaobis koordinacia/Proceedings _of_SSU_(Humanities...),_XI.pdf).

[1] **W.E.d. Allen.** A History of the Georgian People. *From the beginning down to the russian conquest in the nineteenth century*. London, 1971, გვ. 84.

[2] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: ***ზ. პაპასქირი.*** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 144-149 (http://dspace. nplg.gov.ge/bitstream/1234/30493/1/ ErtianiQartuliFeodaluriSaxelmwifos.....pdf).

[3] **სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. — *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 370 (ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**). XI ს. ისტორიკოსის ეს შეხედულება თითქმის უკრიტიკოდ არის გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II. — წგნ.: ***ივ. ჯავახიშვილი.*** თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ., 1983, გვ. 131; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 75; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართვე-

არაა მართებული სტატიაში ბაგრატ III-ის დედის გურანდუხტ დედოფლის მოხსენიება ანჩაბაძედ. აქაც, როგორც ჩანს, ნ. გარსოიანი მოექცა იმავე უ. ალენის გავლენის ქვეშ, რომელიც, ყოველგვარი განმარტების გარეშე წერს, რომ ბაგრატ უფლისწული იყო ძე *„გურანდუხტ **ანჩაბაძის** – აფხაზეთის მეფის თევდოსი II-ის ასულისა“ (“Bagrati was the son ... by Gurandukht **Anchabadze, daughter of Thewdos II**, King of Abkhazeti...”)*.[1] მართალია, ამგვარი თვალსაზრისი ისტორიოგრაფიაში ნამდვილად არსე-

---

ლოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება XI-ს. 80-იანი წლებიდან XII-ს. 80-იან წლებამდე. — *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III. თბ., 1979, გვ. 172). მართლაც, ერთი შეხედვით, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სუმბატ დავითის ძემ, როგორც თავისი ეპოქის წარმომადგენელმა, ამგვარი ახსნა მისცა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის ბიზანტიური ტიტულების ბოძების ზემოაღნიშნულ ფაქტს. მაგრამ, ამასთან, ჩვენ გვიჭირს ბასილი კეისრის მიერ „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III-ისათვის უფრო მაღალი საკარისკაცო ტიტულის — კურაპალატის — მინიჭება მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის ვერაგული ზრახვებით ავხსნათ. ჩვენი აზრით, ბასილი II ქართველი მეფეებისათვის ბიზანტიური ტიტულების ბოძებისას, პირველ რიგში, ითვალისწინებდა საქართველოში შექმნილ ახალ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ რეალობას. კერძოდ, ბიზანტიის ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ ამ დროისათვის სწორედ ბაგრატ III, როგორც ყველაზე ვრცელი და ძლიერი სახელმწიფოს — „აფხაზთა“ სამეფოს — მეთაური და ამასთან, „ქართველთა“ სამეფო სახლის ერთადერთი მემკვიდრე, წარმოადგენდა მთავარ ფიგურას ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის, მაშინ, როდესაც გურგენ „მეფეთ-მეფე“, სინამდვილეში მხოლოდ ერთი პატარა მხარის — ამიერ-ტაოს მფლობელიღა იყო. ერთი სიტყვით, კონსტანტინოპოლის მმართველი წრეების თვალში ბაგრატ „აფხაზთა“ მეფე უფრო ანგარიშგასაწევი ძალა იყო, ვიდრე მისი მამა „მეფეთ-მეფე“ გურგენ. მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ ბაგრატ III-ს კურაპალატის ტიტული ერგო როგორც დავით კურაპალატის შვილობილსა და მემკვიდრეს. ბიზანტიის მთავრობა ამ აქტს განიხილავდა როგორც ერთგვარ პოლიტიკურ კომპენსაციას იმ დანაკარგისათვის, რომელიც განიცადა გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ თავისი მამობილის სამფლობელოს — იმიერტაოს — დაკარგვით. ამით კონსტანტინოპოლი, რასაკვირველია, არაფერს კარგავდა. პირიქით, „აფხაზთა“ მეფის ბაგრატ III-ისათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭებით, ბიზანტიის იმპერატორი უფრო იფართოებდა თავის გავლენის სფეროებს და იძენდა (ფორმალურად მაინც) ძლიერ ვასალს. ასე რომ, ვფიქრობთ, ბიზანტიის კეისარს მხოლოდ მამა-შვილის ურთიერთწაკიდების მიზნით არ უბოძებია ბაგრატ „აფხაზთა“ მეფისათვის კურაპალატის ტიტული. ეს აქტი გაცილებით უფრო სერიოზული პოლიტიკური მომენტებით იყო განპირობებული და სუმბატ დავითის ძის მიერ მოყვანილ მოტივს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. (**ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 73-74).

[1] **W.E.d. Allen.** A History of the Georgian People.., გვ. 84, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.** აქ ჩვენ საგანგებოდ მივუთითებთ უ. ალენის კიდევ ერთ უხეშ შეცდომაზე: გურანდუხტი, როგორც ცნობილია, იყო არა **ასული** თევდოსისა არამედ მისი **და**.

ბობს და ის სათავეს იღებს აფხაზურ ფოლკლორში შემორჩენილი ანდაზებიდან (რომელთაგან განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ გამონათქვამზე: *„აჩბა უმჰᲲაკუა, ჩაჩბა უზჰᲲომ“*[1] – *„ჯერ აჩბა ახსენე და შემდეგ ჩაჩბაო“*[2]), მაგრამ ცალკეულ ავტორთა მხრიდან ამ სახის ფოლკლორული მასალით აპელირება და მხოლოდ მასზე დაყრდნობით (წერილობითი წყაროების სრული დუმილის ფონზე) ლეონ II „აფხაზთა“ მეფისა და მისი შთამომავლების ანჩაბაძეთა საგვარეულოსადმი მიკუთვნება[3] მთლად დამაჯერებელი არ არის.

---

[1] **ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე. *კულტურულ-ისტორიული ნარკვევი.* — წგნ.: ***ს. ჯანაშია.*** შრომები. ტ. VI. თბ., 1988, გვ. 28.

[2] **გ. ანჩაბაძე.** შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ. — *ქართული წყაროთმცოდნეობა.* XI. თბ., 2006, გვ. XI. თბ., 2006, გვ. 75 (http://eprints.iliauni.edu.ge/usr/share/eprints3/ data/1865/1/CaCba-ServaSiZe.pdf).

[3] რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად ეს ჰიპოთეზა გაკვრით გაჩნდა აფხაზებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პუბლიკაციაში (*Абхазцы (Азега).* По поводу сочинения г. Дубровина «Очерк Кавказа и народов, его населяющих». – *Сборник сведений о кавказских горцах.* Т.VI. Тфл., 1872, გვ. 29-30), რომლის ავტორად აპოლონ ვედენსკის მიიჩნევენ (**გ. ანჩაბაძე.** შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ, გვ. 79). მოგვიანებით, ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია (**Д. И. Гулиа.** История Абхазии. Т. I. Тфл., 1925, გვ. 207-210), რომელმაც ახალი არგუმენტებით შეამაგრა მოსაზრება „ლეონიდების“ ანჩაბაძეობის შესახებ. აფხაზი ავტორებიდან ამ შეხედულებისკენ იხრებოდა შალვა ინალ-იფა (**Ш. Д. Инал-ипа.** О содержании термина «апсха» – царь Абхазии. – *Труды абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия*. Вып. 33-34. Сухуми, 1963, გვ. 175; **Ш. Д. Инал-ипа.** Страницы исторической этнографии абхазов. Сухуми, 1971, გვ. 229, 250-252). უცხოელ ავტორთა შორის ამ თვალსაზრისის ტირაჟირებას (სრულიად უკრიტიკოდ) ახდენენ ცნობილი ბრიტანელი ქართველოლოგი უილიამ ალენი (**W. Ed. Allen.** A History of the Georgian People.., გვ. 81, 83-84) და ზემოთნახსენები კ. თუმანოვი (**C. Toumanoff**. Studies in Christian Caucasian history. Georgetown University press, 1963, გვ. 256, 269). თავის დროზე, ამ საკითხს გაკვრით შეეხო აკად. ს. ჯანაშია, რომელმაც არ გამორიცხა („საგულვებლად“ მიიჩნია), რომ „ჩაჩბებზე ადრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში... ყოფილიყო“ (**ს. ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე.., გვ. 28), თუმცა მას არაფერი უთქვამს საკუთრივ „ლეონიდთა“ ანჩაბაძეობაზე. რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილს, არსებობს ცნობა, რომლის თანახმად თითქოს ივ. ჯავახიშვილს პირად საუბარში დიმიტრი გულიასთვის ეთქვას, რომ *„აფხაზეთის მეფეები არა ბაგრატიონები არიან, როგორც ამას კანონიკურად მიიჩნევდნენ, არამედ, ალბათ, აჩბები“ («абхазские цари не Багратиды, как это канонически утверждалось, а, пожалуй, Ачба»* იხ. **Г. Д. Гулиа.** Дмитрий Гулиа. *Повесть о моем отце*. М., 1965, გვ. 181; **გ. ანჩაბაძე.** შერვაშიძეთა გვარის წარმოშობის შესახებ, გვ. 80).

„ლექსიკონში“ თვალში საცემია. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ამსახველი საკმაოდ გახმაურებული ფაქტების, მოვლენების, ქართველი პერსონაჟების მიჩქმალვა და სრული იგნორირება. და ეს ხდება „სომხური მემკვიდრეობის“ მოჭარბებულად მოწოდების ფონზე, რაც, უდავოდ, იმავე ნ. გარსოიანისა და აგრეთვე თვით ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელის, რუსულ-საბჭოური ბიზანტინისტიკის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის, თავისი „არმენოფილური განწყობილებებით“ ცნობილი ალექსანდრე კაჟდანის დამსახურებაა.[1]

ასე მაგალითად, სტატიაში *„ბაგრატიონები“ (“Bagratids”)*, რომლის ავტორი, რასაკვირველია, იგივე ნ. გარსოიანია, ეს დინასტია ერთნიშნად გამოცხადებულია სომხურ ფეოდალურ საგვარეულოდ (“Armenian feudal family”), რომელთა დომენს წარმოადგენდა სპერი *„ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში“ (“The original Bagratid domain lai in Sper in northwestern Armenian”),* ბაგრატიონთა ქართული სამეფო დინასტია კი ამ ბაგრატიდთა სომხური სახლის „გვერდით შტოს“ (“secondary branches”) წარმოადგენდა.[2] ანუ ქრესტომათიულ ჭეშმარიტებადაა წარმოჩენილი ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმოშობის სომხური ვერსია, ხოლო ისტორიული ქართული პროვინცია სპერი,[3] სტატიის ავტორის განმარტებით, უტყუარად სომხეთის ნაწილია.

ამ ტიპის ტენდენციურობას ვხვდებით სტატიაში: *„სომხები“ (“Armenians”* – ავტორი: ალ. კაჟდანი), რომელშიც ტაოელი წარჩინებული საგვარეულოები ე.წ. „თორნიკიანები“ (იოანე-თორნიკეს სახლი) და ბაკურიანები ერთნიშნად სომხურ (Armenian) და სომხურ-ქართულ (Armeno-Georgian) საგვარეულოებად არიან გამოცხადებული.[4] ესაა სტატიის ავტორისა და ზოგადად პროექტის ხელმძღვანელის ალ. კაჟდანისა[5] და სომეხ

---

[1] კერძოდ, ეს ალ. კაჟდანმა მკაფიოდ გამოავლინა ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწე სომხური წარმომავლობის არისტოკრატიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (იხ.: **А. П. Каждан.** Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI-XII вв. Ереван, 1975).

[2] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. I, გვ. 244.

[3] ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ტ. I. თბ., 1977, გვ. 58-60, 69, 79, 80, 95, 146, 162, 163; 1980: 101, 163, 201, 243. იქვე შესაბამისი სპეციალური ლიტერატურა.

[4] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. I, გვ. 182.

[5] ალ. კაჟდანმა ამ საკითხზე ყურადღება საგანგებოდ გაამახვილა ზემოთნახსენებ მონოგრაფიაში, რომელშიც ე.წ. „თორნიკიანები“ და ბაკურიანების მიმართ გამოიყენა ფორმულირება:. „სომხურ-ქართული“ («армяно-ивирские») საგვარეულოები. იხ.: **А. П. Каждан.** Армяне в составе господствующего класса.., გვ. 48-50.

მკვლევართა[1] თვალსაზრისის ტირაჟირებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრების მორიგი მცდელობა. ამგვარი ტენდენცია (ოღონდ ოდნავ შერბილებულად) იგრძნობა აგრეთვე სტატიაში: *„ქართველები“ (“Georgians”* – ავტორი: რობერტ ტომპსონი), რომელშიც იოანე-თორნიკე და გრიგოლ ბაკურიანი მოხსენიებულია *„სომხური* ***ან*** *ქართული წარმოშობის“ (“...nobles of Georgian* ***or*** *armenian descent”)* მოღვაწეებად.[2] იგივე ხაზია გატარებული სტატიებში: *„ბაკურიანი“ (“Pakourianos”* – ავტორი: ნ. გარსოიანი)[3] და „თორნიკიანები“ *(“Tornikios”* – ავტორი: ალ. კაჟდანი).[4]

სრულიად გაუგებარი და აუხსნელია *„ლექსიკონში“* საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ქართველი პერსონაჟების „არ შეშვება“. ქართველი პოლიტიკური ლიდერებიდან *„ლექსიკონის“* შემქმნელთა ყურადღების პატივი ხვდა მხოლოდ იმიერტაოს ხელმწიფეს დავით III კურაპალატს (“David of Tayk‘/Tao” – ავტორები: ნ. გარსოიანი, ჩარლზ ბრანდი /Charles M. Brand/, ენტონი კატლერი /Anthony Cutler/)[5] და თამარ მეფეს (“Tamara of Georgia” – ავტორი: ჩარლზ ბრანდი).[6] ეს მაშინ, როდესაც მათ გამოტოვებული არ ჰყავთ არცერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი სომეხი მონარქი, დაწყებული პირველი არშაკიდებიდან, გაგიკ I-ით, იოანე-სმბატითა და გაგიკ II-ით დამთავრებული (მათი ავტორი, ძირითადად, ბუნებრივია, ნ. გარსოიანია).

დავუშვათ *„ლექსიკონის“* შემდგენლები გამოცემაში შესატანი მეზობელი ქვეყნების ლიდერების შერჩევისას ხელმძღვანელობდნენ ამა

---

[1] ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ იბერიელ (ივერიელ) მოღვაწეთა მაინც და მაინც სომეხ ქალკედონიტებად (ანუ ქართული მართლმადიდებლური წიაღიდან გამოსულთა) მიჩნევის ნამდვილ „იდეოლოგად“ იქცა ცნობილი სომეხი მეცნიერი ვიადა არუთიუნოვა-ფიდანიანი. იხ.: *Типик Григория Пакуриана*. Введение, перевод и комментарии **В. А. Арутюновой-Фиданян**. Ереван, 1978, გვ. 47-64; **В. А. Арутюнова-Фиданян.** Армяне-халкидониты на восточных границах Византийской империи (XI в.). Ереван, 1980; **В. А. Арутюнова-Фиданян.** Армяно-византийская контактная зона (X-XI вв). М., 1994, გვ. 56-92 და ა.შ. ე.წ. „თორნიკიანებისა“ და სხვა ტაოელ წაჩინებულთა საგვარეულოების ეთნოკონფესიონალური იდენტობის სომხურ-ქართული ხედვების ანალიზი იხ.: **В. П. Степаненко.** Чортванели, Торники и Тарониты в Византии (к вопросу о существовании т.н. тайкской ветви Торникянов). – *Античная древность и средние века*. Вып. 30. Екатеринбург, 1999, გვ. 130-148.

[2] *The Oxford Dictionary of Byzantium*..., vol. II, გვ. 841, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

[3] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. III, გვ.1553.

[4] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. III, გვ. 2097.

[5] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. I, გვ. 590.

[6] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. III, გვ. 2008-2009.

თუ იმ პოლიტიკური ფიგურის ცნობადობით თვით ბიზანტიურ სამყაროში. ანუ მათ არ ჩათვალეს მიზანშეწონილად ცალკეული ავტორიტეტული ქართველი მეფე-მთავრების (ვახტანგ გორგასალი, გუარამ კურაპალატი, აშოტ კუროპალატი, ბაგრატ III, თვით გიორგი II კესაროსი და დავით IV აღმაშენებელი და ა.შ.) შეტანა ენციკლოპედიურ გამოცემაში, რომელთა მოღვაწეობა, მართალია, ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, მჭიდროდაა დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიასთან, მაგრამ ბიზანტიურმა წყაროებმა მათ შესახებ არაფერი იციან.[1]

თუ ეს ასეა, ისმის კითხვა, რატომ არ ვრცელდება ეს „შეზღუდვა“ სომეხ მეფე-მთავრებზე?! რით დაიმსახურეს მათ პრივილეგია – დიდიან-პატარიანად წარმოჩენილიყვნენ საეტაპო ბიზანტიურ ენციკლოპედიურ გამოცემაში – მათი უმრავლესობაც ხომ სრულიად უცნობია ბიზანტიური წიგნიერი სამყაროსთვის?! ან რა დააშავეს იმ ქართველმა ლიდერებმა, რომელთა მოღვაწეობის ცალკეულმა ეტაპებმა ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსების, პოლიტიკოსებისა თუ დიპლომატების „თვალწინ გაიარა“ და საკმაოდ მრავლისმეტყველი ასახვა ჰპოვა მათ თხზულებებში?! რით ვერ „მოერგო“, მაგალითად, ბიზანტიისადმი მიძღვნილ საცნობარო გამოცემას ლაზიკა-ეგრისის მეფეები გუბაზ I (V ს. შუა ხანები) და გუბაზ II (VI ს. 30-50-იანი წლები), რომელთა პოლიტიკურმა აქტიურობამ სერიოზული კორექტივები შეიტანა არა მხოლოდ ბიზანტია-ლაზიკის ურთიერთობებში, არამედ ზოგადად იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში?! ამის შესახებ ინფორმაციას (სრულიად უნიკალურს, რომლის გარეშე ჩვენ საერთოდ არაფერი გვეცოდინებოდა დასავლეთ საქართველოს ისტორიულ წარსულზე V-VI საუკუნეებში) ხომ სწორედ თანადროული ბიზანტიელი ავტორები (პრისკე პანიონელი,[2] პროკოპი კესარიელი,[3] აგათია სქოლასტიკოსი[4] და

---

[1] ამ ლოგიკით მათ, ალბათ, არც ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები *("Euthimios the Iberian"* – ავტორი: ალ. კაჟდანი */The Oxford Dictionary of Byzantium*, vol. II, გვ. 757/; *"George Mtacmindeli"* – ავტორი: რ. ტომპსონი */The Oxford Dictionary of Byzantium..*, vol. II, გვ. 837/) და არც იოანე პეტრიწი *("John Petric'i"* – ავტორი: რ. ტომპსონი */The Oxford Dictionary of Byzantium*, Vol. II, გვ. 1067/) უნდა შეეტანათ.

[2] **პრისკე პანიონელი**. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ***ალ. გამყრელიძემ*** და ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. I, თბ., 19561, გვ. 254-256, 259.

[3] **პროკოპი კესარიელი.** De Bello Persico. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. II. მეორე შევსებული გამოცემა. თბ., 1965, გვ. 72-87, 92-117; **პროკოპი კესარიელი.** De Bello Gothico. – *გეორგიკა.* ტ. II, გვ. 118-137, 143-211.

[4] **აგათია სქოლასტიკოსი**. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები სა-

ა.შ.) გვაწვდიან?! ან რით ვერ დაიმსახურა ჩვენი „ყოვლისმცოდნე“ ბიზანტინოლოგ-კავკასიოლოგების ყურადღება დასავლეთ საქართველოს ისეთმა ავტორიტეტულმა ლიდერმა, როგორიც იყო „აფხაზთა“ მეფე გიორგი II (922-957), რომლის საერთაშორისო ავტორიტეტი აღიარებული იყო თვით ოფიციალური კონსტანტინოპოლის მიერ. ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ იმდროინდელი (X ს. 20-იანი წლები) ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური ელიტის წამყვანი ფიგურა, პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი „ჭკუას ეკითხებოდა“ გიორგი II-ს და მასთან მომოწერაში არჩევდა ბიზანტია-ბულგარეთის ურთიერთობების უმწვავეს საკითხებს.[1]

ან განა სრული კურიოზი არა არის ცალკე სტატიები (საკმაოდ მოცულობითი) მიუძღვნა ზემოთნახსენებ სომეხ მეფეებს გაგიკ I-ს (989/990-1017[2]),[3] იოანე-სმბატს (1017-1041)[4] და გაგიკ II-ს (1041-1045)[5] და ამ ფონზე, მოახდინო გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის, გიორგი I-ის სრული იგნორირება – იმ აშკარად მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის ლიდერისა, რომელიც იმჟამად ბიზანტიის იმპერიასთან მთავარ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა თვით ანისის (აგრეთვე ვასპურაკანის) სამეფო სახლის ბიზანტიურ პოლიტიკას. ამის შესახებ ხომ ცნობილია, არა მხოლოდ ქართულ,[6] სომხურ,[7] არაბულ,[8] არამედ საკუთრივ ბიზან-

---

ქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. III. ტფ., 1936, გვ. 26-187.

[1] **ნიკოლოზ მისტიკოსი.** – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა.*** ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 216-217, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] **К. Н. Юзбашян.** К хронологии правления Гагика I Багратуни. – *Античная древность и средние века*. Вып. 10. Свердловск, 1973, გვ. 195-197.

[3] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. II, გვ. 813-814 (ავტორი: **ნ. გარსოიანი**).

[4] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. II, გვ. 1068 (ავტორი: **ნ. გარსოიანი**).

[5] *The Oxford Dictionary of Byzantium*.., vol. II, გვ. 814 (ავტორი: **ნ. გარსოიანი**)

[6] *მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 284-285; **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. – *ქართლის ცხოვრება.* ტ. I, გვ. 383-384.

[7] **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ***ე. ცაგარეიშვილმა.*** თბ., 1974, გვ. 42; *«Повествование» вардапета Аристакэса Ластивертци*. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения ***К. Н. Юзбашяна***. М., 1968, გვ. 66-71 (http://vostlit.info/Texts/ rus2/Aristakes/frametext1.htm).

[8] **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. – *მაცნე,* №4, 1968, გვ. 127; **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები სა-

ტიურ[1] წყაროებში?!![2]

იგივე შეიძლება ითქვას გიორგი I-ის მემკვიდრე ბაგრატ IV-ზე (1027-1072), რომლის აქტიურობა ბიზანტიის მიმართულებით შეუმჩნეველი არ დარჩენია ბიზანტიელ ისტორიკოსებსა[3] და სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეებს.[4] ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ის უნიკალური მასალა, რომელიც გვამცნობს დევნილი ქართველი მეფის კონსტანტინოპოლში ყოფნისა და მისი მოლაპარაკებების შესახებ უმაღლეს დონეზე, რომელიც აშკარად ბაგრატ IV-ის სრული ტრიუმფით დასრულდა – ბიზანტიის იმპერატორი იძულებული შეიქმნა გაეწირა თავისი მთავარი მოკავშირე და დასაყრდენი ლიპარიტ ბაღვაში და ეცნო საქართველოს გვირგვინოსანი მეფის უზენაესობა მის ურჩ ვასალზე.[5]

„ბიზანტიის ოქსფორდის ლექსიკონიდან“ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ეს მასალა არის მხოლოდ მცირედი ნაწილი, რომელშიც ბიზანტიის ისტორიის „ქართული სიუჟეტები“ სრულიად არაკომპეტენტურად და ტენდენციურადა წარმოჩენილი. მომავალში შევეცდებით კიდევ უფრო განვავრცოთ დაკვირვებები ამ მიმართულებით და შესაძლებლობისამებრ გამოვავლინოთ *„ლექსიკონის“* ავტორ-შემდგენელთა სხვა გადაცდომებიც. სამწუხაროდ, „სამკალი ფრიად არს“, თანაც მიგვაჩნია, რომ თემატიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ითხოვს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების (პირველ რიგში, ხელოვნებათმცოდნეების) ჩართვასაც.

ქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X ს. ბოლო მეოთხედსა და XI ს. პირველ მეოთხედში. – *ქართული წყاროთმცოდნეობა.* VI. თბ., 1986, გვ. 116; **В. Розен.** Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антохийского. Издал, перевел и объяснил барон ***В. Розен***. СПб., 1883, გვ. 63.

[1] **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა.* ტ. V. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა***. თბ., 1963, გვ. 46-47, 59.

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და.., გვ. 107-112. იქვე შესაბამისი ლიტ.

[3] **იოანე ზონარა.** ისტორია. – *გეორგიკა.* ტ. VI. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად დაამზადა და გამოკვლევა დაურთო ***მ. კახაძემ.*** თბ., 1966, გვ. 235; **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია, გვ. 67-68.

[4] **ნიკიფორე ვრიენოსი.** საისტორიო მასალები. – *გეორგიკა.* ტ. V, გვ. 306.

[5] **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია, გვ. 68.

მეტად საინტერესო და საჭირო გამკვლევა ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიაში

რეცენზია **მამუკა წურწუმიას** მიერ ისტორიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე: **„შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700). *ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“.***[*]
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ საქართველოს ისტორია ეს არის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის გმირული ეპოპეა. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ქართული პოლიტიკური სამყარო მუდამ იყო მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების ორბიტაში და მას თითქმის პერმანენტულად თავს ატყდებოდა სხვადასხვა ეპოქაში მიმდინარე გლობალური კატაკლიზმები. ის რომ ამ გამოწვევებს საქართველო მეტ-ნაკლები წარმატებით გაუმკლავდა და დღემდე მოიტანა ეროვნული მეობა, სახელმწიფოებრიობა უპირატესად ქართველი ხალხის მხედრულმა შემართებამ, მეომრულმა სულმა და მაღალმა სამხედრო კვალიფიკაციამ განაპირობა. მსოფლიო იმპერიებისა და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ ომებში დაგროვდა საკმაოდ სოლიდური გამოცდილება სამხედრო სფეროში, რომლის სიღრმისეული მეცნიერული შესწავლის საქმეში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართულ ისტორიოგრაფიას სერიოზული ჩამორჩენა აქვს. სწორედ ამ ჩამორჩენის ნაწილობრივი დაძლევის ცდად უნდა ჩაითვალოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის **მამუკა წურწუმიას** მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი.

დისერტანტს კვლევის ობიექტად აღებული აქვს სამხედრო ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამასთან ნაკლებად დამუშავებული მიმართულება – ქართული ლაშქრის ორგანიზაცია, ტაქტიკისა და შეიარაღების საკითხები. აღნიშნული თემატიკის შესწავლის სირთულე განპირობებულია იმით, რომ, როგორც სავსებით მარ-

[*] მასალა წარმოადგენს ავტორის – ოფიციალური ოპონენტის რეცენზიას მამუკა წურწუმიას სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე. დაბეჭდილია: *საისტორიო ძიებანი*. წელიწდეული, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ტ. XII. თბ., 2013-2015, გვ. 405-415 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2013-2015).

თებულად მიუთითებს თვით მ. წურწუმია, ის მოითხოვს ერთდროულად სხვადასხვა დარგის (ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ლინგვისტიკის და ა.შ.) მონაცემების ანალიზს, აგრეთვე მოცემულ სფეროში მსოფლიო გამოცდილების კაპიტალურ ცოდნას. პირველი რაც თვალში საცემია სადისერტაციო ნაშრომის გაცნობისას არის სწორედ ავტორის მაღალი განსაწავლულობა და საკვლევი პრობლემების ირგვლივ არსებული მსოფლიო მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძვლიანი ათვისება. მას ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოაქვს და კრიტიკულად აქვს გააანალიზებული უცხოელ მკვლევართა ათეულობით ნაშრომი, რომლებშიც ფუნდამენტურადაა დამუშავებული მეზობელი (და არა მხოლოდ მეზობელი) ქვეყნების გამოცდილება და ამ ფონზე სკრუპულოზურად აქვს განხილული საკუთრივ ქართული ლაშქრის ორგანიზაციის, ტაქტიკისა და შეიარაღების საკითხები.

გარდა სამხედრო ისტორიის თემატიკისა, სადისერტაციო ნაშრომში გაშუქებული და დაზუსტებულია სოციალური ურთიერთობების ცალკეული საკითხები. ამ მხრივ, პირველ რიგში გამოვყოფდით მსჯელობას *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობის *„გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნის“* ირგვლივ. დისერტანტი სამართლიანად აკრიტიკებს აკად. ე. ხოშტარია-ბროსეს თვალსაზრისს, თითქოს ამ პასაჟში *„ქუეყანისა მოქმედნი“* აღნიშნავდეს ძველი „ერის“ წარმომადგენლებს – „მდაბიორ-მოლაშქრეებს“ და სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ *„ქუეყანისა მოქმედნი“* იგივე გლეხებია (ამავე აზრის იყო ივ. ჯავახიშვილი), *„რომლებიც სამხედრო სამსახურის წყალობით გახდნენ აზნაურნი“*. ე. ხოშტარია-ბროსეს ამ „მცდარი დასკვნის“ მიზეზად კი მ. წურწუმია მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ *„მკვლევარი კატეგორიულად გამორიცხავდა XII საუკუნეში გლეხობის ომში მონაწილეობას, და შესაბამისად, გააზნაურების საშუალებას“* (გვ. 35). ასევე უდავოდ სწორია დისერტანტის დებულება, რომლის მიხედვითაც ქვეითი ჯარის (რომელიც მისივე განმარტებით *„ქართული ფეოდალური ლაშქრის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა“),* კონტინგენტი, სწორედ საზოგადოების *„ყველაზე დაბალი ფენიდან (წვრილი ერი, გლეხობა)“* გამოსული მეომრებისაგან იყო დაკომპლექტებული (გვ. 35).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე დისერტანტის მსჯელობამ ტაძრეულის სოციალურ იერსახესა და რიცხოვნობაზე. მ. წურწუმია აღნიშნავს, რომ *„ტაძრეული წარმოდგება სიტყვიდან ტაძარი და სიტყვასიტყვით „სასახლისეულს“ ნიშნავს“* და რომ ეს იყო ფეოდალის (მეფის, დიდებულის) სამხედრო რაზმი, *„რომელიც შედგებოდა როგორც ფეოდალური სახლის წევრებისაგან, ასევე მსახურთაგან.., რომელთაც ბრძოლებში მონაწილეობით დაწინაურების კარგი შანსი ეძლეოდათ“*

(გვ. 38-39). აქვე მ. წურწუმია ცდილობს დააზუსტოს ტაძრეულის რიცხოვნობა და ამასთან დაკავშირებით მოჰყავს შესაბამისი მასალა იოვანე საბანისძის *„აბო ტფილელის მარტვილობიდან“*, რომელშიც VIII საუკუნის შუახანებში ხაზარეთში წასულ ნერსე ერისთავს თან ახლავს 300 მამაკაცი. ამ და სხვა წყაროთა (სუმბატ დავითის ძე, სტეფანოს ორბელიანი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ხელმწიფის კარის გარიგება, ძეგლი ერისთავთა) ცნობების მიხედვით დისერტანტი ასკვნის, რომ *„ტაძრეულის რიცხოვნობა საკმაოდ მცირე იყო“* და ის მერყეობდა 300-დან 1500-მდე.

ამ დასკვნის საწინააღმდეგო, პრინციპში, ჩვენ არაფერი გვაქვს, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ეს მასალები შეიძლება შეივსოს ჯუანშერ ჯუანშერიანის მონაცემებით. კერძოდ, იმ ფრაგმენტით სადაც მემატიანე აფიქსირებს მურვან ყრუს მიერ ქართლიდან განდევნილი და აფხაზეთს შეფარებული ქართლის ერისმთავრების მირის და არჩილის ამალის რაოდენობას: *„და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და პატიახშთა,* ***ათასი ოდენ...“***.[1] მართალია, აქ მითითებული რიცხვი[2] გარდა ტაძრეულისა მოიცავს ნათესავებს *„ერისთავთა და პატიახშთა“*, მაგრამ ამ ციფრით მაინც შეიძლება აპელირება ტაძრეულის რიცხოვნობის დადგენისას. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში გაპარულ ერთ, ჩვენის აზრით, მექნიკურ შეცდომას – ნერსე ერისმთავარი ხაზარეთში გაემგზავრა არა **„VIII საუკუნის შუახანებში“,** როგორც წერს დისერტანტი, არამედ VIII საუკუნის **70-იანი წლების შუა ხანებში.** ასევე მექანიკურ შეცდომად გვეჩვენება არჩილის მიერ ტაძრეულის აზნაურის ხარისხში აყვანა **VII საუკუნეში** (გვ. 40). რასაკვირველია, **აქ უნდა იყოს VIII ს.**

უდავოდ მისაღებია დისერტანტის კრიტიკა ისტორიოგრაფიაში გამოთქმული (ნ. ბერძენიშვილი, დ. გოგოლაძე) თვალსაზრისისა, თითქოს „მონასპა ტაძრეულში შედიოდა და მის ერთ ნაწილს შეადგენდა“. მ. წურწუმია, ჩვენის აზრით, სავსებით სწორად მიუთითებს, რომ *„ტაძრეული და მონასპა აბსოლუტურად განსხვავებული ნაწილებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან დაკომპლექტების პრინციპით, პირად წევრთა შემადგენლობითა და სოციალური წარმომავლობით, მო-*

---

[1] **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 237, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *ქართლის ცხოვრების* უახლეს გამოცემაში სახელდება 3 ათასი: *„და იყო მათ თანა სიმრავლე მცირედი ტაძრეულისა მათისაჲ და ნათესავი ერისთავთა და პატიახშთაჲ* ***სამი ათასი“.*** **ჯუანშერი.** ცხორებაჲ ვახტანგ გორგასლისა. – *ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი. ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, გვ. 237, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ტივაციითა და ანაზღაურების მეთოდებით“ (გვ. 41). ასევე სწორია დისერტანტის დასკვნა იმის თაობაზე, რომ მონასპის ინსტიტუტი არსებობდა არა მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს (როგორც ამას ვარაუდობს გ. ალასანია), არამედ უფრო მოგვიანებითაც გიორგი III-ის მმართველობის პერიოდშიც.

იგივეს ვერ ვიტყვით დისერტანტის დაკვირვებებზე მონასპის ეთნო-ტომობრივი შემადგენლობის, შექმნის დროისა და რიცხოვნობის შესახებ. მას არადამაჯერებლად მიაჩნია გ. ანჩაბაძისა და გ. ალასანიას დასკვნა მონასპის 1111-1119 წლებში შექმნის შესახებ და ამ ინსტიტუტის გაჩენას ყივჩაღთა გადმოსახლებას უკავშირებს. მთავარი არგუმენტი ამ შემთხვევაში არის ის, რომ *„დავითის ისტორიკოსი მონასპას პირველად 1118 წელს ყივჩაღების გადმოყვანის შემდეგ ახსენებს“* და საომარ მოქმედებებშიც მხოლოდ *„ყივჩაღთა გადმოყვანის შემდეგაა“* დაფიქსირებული (გვ. 42). მ. წურწუმია არ ეთანხმება აგრეთვე აზრს იმის შესახებაც, რომ მონასპა დაკომპლექტებული იყო *„სხვადასხვა ეროვნების ტყვეთაგან, ძირითადად ოღუზ-თურქებისაგან და შესაძლოა ჩრდილოკავკასიელებისაგან“* (გ. ანჩაბაძე). დისერტანტს საეჭვოდ მიაჩნია მუსლიმ ტყვეთა (ოღუზ-თურქთა) „სწრაფი გაქრისტიანება“ (*„საქართველოში მუსლიმთა მიმართ განხორციელებული მასობრივი პროზელიტიზმის მაგალითები არ მოგვეპოვება“* – შენიშნავს ის). აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. წურწუმია მხარს უჭერს აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნას და ასევე თვლის, რომ მონასპა მხოლოდ ყივჩაღებისაგან შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო (გვ. 43).

თავის დროზე, ჩვენ გაკვრით შევეხეთ მონა-სპის ეთნო-ტომობრივი შემადგენლობის საკითხს და, ფაქტობრივად, გამოვრიცხეთ (ნ ბერძენიშვილისა[1] და ქვ. ჩხატარაიშვილის კვალდაკვალ[2]) ამ გვარდიული შენაერთის ყივჩაყებით დაკომპლექტება. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება მივაქციეთ თვით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას: *„მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ **ხუთი ათასი კაცი“,*** იყვნენ *„ყოველნი **ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა“.***[3] ე. ი. როგორც ვხედავთ, მემატიანე სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ მონასპის მებრძოლნი უკლებლივ ყველა („ყოველნი“) ქრისტიანები იყვნენ (თუმცა, როგორც ჩანს,

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. თბ., 1974, გვ. 49-52.

[2] **ქვ. ჩხატარაიშვილი.** უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 164.

[3] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. I. თბ., 1955, გვ. 337 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

არაქართველნი) და **ბრძოლებში გამოცდილნი.** ასეთებად კი ყივჩაყთა ჯარის შექმნის დროისთვის თვით ყივჩაყები ვერ ჩაითვლებოდნენ. ამას ადასტურებს თუნდაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის განმარტება, რომელიც უშუალოდ მოსდევს ზემოთ მოყვანილ ცნობას მონა-სპაზე: *„**და თჳთ ყივჩაყნიცა** უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა“.*[1] მოყვანილ პასაჟში ფრაზა *„**და თჳთ ყივჩაყნიცა**“* სრულიად ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ზემოთ მონა-სპის მებრძოლები სხვა ტომის ხალხია და არა ყივჩაყები.[2] ამის კონტრარგუმენტად ვერ გამოდგება *„ზურტაკეტში ყივჩაღის სამარ-ხში ნაპოვნი ოქროს მონეტა“*, რომელიც მ. წურწუმიას აზრით, *„შესაძლე-ბელია, სწორედ მონასპის გასამრჯელოს ამსახავი იყოს“* (გვ. 44). სა-კითხავია, რატომ არ შეიძლება, რომ ოქროს მონეტა ნებისმიერი (და არა მაინცდამაინც მონა-სპის მებრძოლი) ყივჩაყისთვის ჩაეყოლებინათ?!

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერც მონასპის ინსტიტუტის შექმ-ნას დავათარიღებთ 1118 წლის შემდგომი პერიოდით და, ვფიქრობთ, რომ ამ რაზმის ფორმირება მართლაც უფრო ადრე უნდა დაწყებული-ყო. არანაკლებ სადავოა დისერტანტის მცდელობა ეჭვი შეიტანოს და-ვით აღმაშენებლის მემატიანის მიერ დაფიქსირებული მონა-სპის რაო-დენობაში, მხოლოდ იმიტომ, რომ *„5 000 მონასპის შესანახ ხარჯს სა-ქართველო ვერ გაიღებდა“*. ის ეყრდნობა ს. მარგიშვილის დაკვირვე-ბებს ამ კუთხით (ზოგიერთი დაზუსტებით) და ასევე თვლის, რომ მო-ნასპის რაოდენობა 5000-ზე საგრძნობლად ნაკლები უნდა ყოფილიყო (გვ. 43).

ამ დასკვნის დამატებით არგუმენტად მ. წურწუმიას მოჰყავს 1123 წლის შარვანის სამხედრო კამპანიისას მონა-სპის მიერ აყ-სონყურის 4 ათასიანი რაზმის დამარცხება. დისერტანტი რატომღაც ვარაუდობს, რომ ამ ოპერაციაში მონაწილე მეფის „მონათა“ რაოდენობა 1500-2000 კაცს არ აღემატებოდა (გვ. 43-44). ჩვენი აზრით, ეს მაგალითი ვერ გა-მოდგება ერთგვარ „ირიბ ინდიკატორად“, რომლის მიხედვითაც შეგვიძ-ლია ვიმსჯელოთ მონასპის რიცხოვნობაზე, როგორც ამას წერს დისერ-ტანტი. დავუშვათ, დავით აღმაშენებელი ამ კონკრეტულ შეტაკებაში, მართლაც, 1500-2000 მეომრით გაუმკლავდა 4 ათასიან ლაშქარს (თუმცა ამის დამადასტურებელი მასალა არ გაგვაჩნია), რატომ უნდა ნიშნავდეს ეს იმას, რომ მონასპის რაოდენობა ამ ციფრს არ აღემატებოდა? იქნებ

---

[1] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი.., გვ. 337 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 94. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ი. ჯიჭონაია.** „ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთი-ერთობების შესახებ. თბ., 2012, გვ. 91-92.

მონასპა სრული შემადგენლობით არც მონაწილეობდა აღნიშნულ ბრძოლაში. გარდა ამისა, რაში უნდა დასჭირვებოდა მემატიანეს ამ რიცხვის გაბერვა? განა რა პრინციპული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას, 1500 მეომარს დააფიქსირებდა მემატიანე თუ 5000-სს.

სადისერტაციო ნაშრომში ძირითადად გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისი (ქვ. ჩხატარაიშვილი, ს. მარგიშვილი) *„მოლაშქრეობის სოციალურ არსზე და მის პრივილეგირებულობაზე“*, რომელიც არ ითვალისწინებდა გლეხთა მონაწილეობას *„ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციაში“*, თუმცა აქვე სავსებით მართებულადაა მითითებული, რომ ამგვარი მიდგომა *„ზედმეტად მაქსიმალისტურია და არ ითვალისწინებს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: ქვეითთა ფაქტორს შუა საუკუნეების არმიებში“* (გვ. 31). დისერტანტი განასხვავებს გლეხის მოლაშქრეობას ომში მონაწილეობისაგან. *„მოლაშქრეობა* – წერს მ. წურწუმია, – *ნიშნავდა ცხენზე ამხედრებულად ბრძოლას, ომში მონაწილეობა კი ქვეითადაც შეიძლებოდა“*. ამასთან დაკავშირებით მკვლევარი იზიარებს აკად. ნ. ბერძენიშვილის დასკვნას იმის შესახებ, რომ *„გლეხის ლაშქრობა მარტივი იყო. ის ქვეითი იყო და ბატონის უშუალო მომსახურეობას ეწეოდა...“* (გვ. 34). მთლიანობაში დისერტანტის მსჯელობა გლეხთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის თაობაზე უდავოდ სწორი და დამაჯერებელია, დასანანია მხოლოდ ის, რომ სადისერტაცო ნაშრომის ამ მონაკვეთში ასახვა ვერ ჰპოვა აკად. შ. მესხიას უაღრესად საყურადღებო დასკვნამ, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, რამაც გადააწყვეტინა დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა გადმოსახლება და მათგან მუდმივი ჯარის შექმნა სწორედ მატერიალური დოვლათის მთავარი შემქმნელი მასის – გლეხთა – მიწისაგან არ მოწყვეტა და გლეხური მეურნეობის გაძლიერება იყო.[1]

სწორი და დამაჯერებელია მსჯელობა მონაპირე ერისთავის ინსტიტუტის გაჩენის დროის შესახებ (გვ. 52-53). დისერტანტი იზიარებს შ. მესხიას შეხედულებას მონაპირეთა სისტემის დავით აღმაშენებლის დროს შექმნის თაობაზე და მას ამყარებს დიდი მეფის მემატიანის ცნობით: *„კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი“*. მ. წურწუმიას ვარაუდით, *„შესაძლოა, სწორედ ამ პროცესს გადმოგვცემდეს და მასში იგულისხმებოდეს საზღვრისპირა ადმინისტრაციის (მონაპირეთა) შექმნა („ნაპირთა ჭირვანი“) და მათ მიერ წარმოებული მარბიელი ლაშქრობანი („კიდეთა პყრობანი“)“*.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მასში

[1] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი. – *საისტორიო* ძიებანი. ტ. III. თბ., 1986, გვ. 35.

საქართველოს სამხედრო ისტორიის მთელი რიგი საკითხები შესწავლილია შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნების სფეროში მსოფლიო გამოცდილების ფონზე. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო და საჭირო მასალაა წარმოდგენილი II თავში.: ***„ქართული ლაშქრის ტაქტიკა შუა საუკუნეებში“.*** პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მსჯელობა *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის ხერხზე, რომელსაც დისერტანტის დაკვირვებით *„ქართველები X საუკუნეში მაინც უნდა გასცნობოდნენ ბიზანტიისაგან...“* (გვ. 58). ამ თემის გაშუქებისას საკუთრივ ბიზანტიური მასალის გვერდით ის აანალიზებს ქართულ მასალასაც (მარტვილის ტაძრის X საუკუნის რელიეფი). წაგრძელებული შუბით განხორციელებული ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის ქართული პრაქტიკის საილუსტრაციოდ ძალზე მნიშვნელოვანია მ. წურწუმიას მიერ *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიდან“* მოყვანილი პასაჟი ქართველთა სპარსეთში ლაშქრობის შესახებ. ვფიქრობთ, ეს მასალა და მისი დისერტანტისეულ ანალიზი აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფართო (პირველ რიგში უცხოელი) სამეცნიერო წრეებისათვის, რათა ქართულმა გამოცდილებამ ამ სფეროში ასახვა ჰპოვოს ზოგადად სამხედრო ხელოვნების ისტორიაში.

დისერტანტი სავსებით მართებულად აკრიტიკებს თვალსაზრისს (ს. მარგიშვილი) ჰოროლისა და ხელშუბის იგივეობის თაობაზე და ამგვარი დასკვნა მიუღებლად მიაჩნია (გვ. 64). მას არგუმენტად მოჰყავს სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: *„ოროლი არს, ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი“*. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა სუმბატ დავითის ძის ცნობის მოყვანაც, რომელშიც ირიბად ხაზგასმულია ჰოროლის სიგრძე: *„მაშინ უბრძანა ბასილი მეფემან დამოკიდებაჲ* ***წუერსა ჰოროლისასა*** *დაწერილი მათი, რომელნი მისად დაეწერნეს გიორგი მეფესა ჩუენსა სიმტკიცისა და ზავისანი. და ესრეთ ბასილი მეფემან* ***ჰოროლისა წუერითა*** *ამართნა იგინი. მიუპყრა ღმერთსა და თქუა: „იხილე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა ან იქმან“.*[1]

სამხედრო ხელოვნებისა და შეიარაღების სფეროში ბიზანტიურ-ქართული პარალელების კუთხით უაღრესად საინტერესო მასალაა წარმოდგენილი აბჯართან დაკავშირებით, რომელიც მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ბიზანტიურ-ქართული აბჯრის სიახლოვესა და მსგავსებაზე. კერძოდ, აანალიზებს რა XII საუკუნეში კასტორიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გამოსახულ წმ. ნესტორის ფრესკაზე ლამელარით აღჭურვილი წმინდანის ხატს (გვ. 100), მ. წურწუმია პარალელს უძებნის ამ ტიპის ბიზანტიურ აბჯარს (X ს. დასასრულის საკაოს წმ. გიორგის ხატი, ადი-

[1] **სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთაჲ. – *ქართლის ცხოვრება*. მთ. რედაქტორი **რ. მეტრეველი**. თბ., 2008, გვ. 372.

შის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადზე გამოსახული წმ. თევდორე და წმ. გიორგის აბჯრები, აგრეთვე XI ს. ლანჩვალის და სეტის ხატების წმ. გიორგის აბჯრებიც). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბიზანტიურ აღჭურვილობაზე ქართული ზეგავლენის დამადასტურებელი იკონოგრაფიული მასალის ანალიზი. დისერტანტი იზიარებს მ. პარანის მიერ XI ს. ხიდისთავის, სუჯუნის და ბოჭორმის წმ. გიორგის ხატებზე წმინდანების აბჯრებზე დაკვირვების შედეგად გამოთქმულ თვალსაზრისს ბიზანტიაში (XII ს.) ახალი ტიპის ქერცლოვანი აბჯრის საქართველოდან შეღწევის თაობაზე და ახალი არგუმენტებით ამყარებს ამ დასკვნას (გვ. 101-102). იფრარის ეკლესიის 1096 წლით დათარიღებულ მთავარანგელოზ მიქაელის, XII ს. ფავნისის წმ. მეომრისა და XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ტიმოთესუბნის წმ. მეომრის აბჯრების ანალიზი მკვლევარს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აბჯრის ეს ტიპი *„უფრო მეტად იყო გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში და დროში წინ უსწრებდა ბიზანტიას“* (გვ. 101-102). ამ დაკვირვებაზე დაყრდნობით დისერტანტი სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას: *„ხომ არ იქონია საქართველომ გავლენა ბიზანტიური ლამელარული აბჯრის შემუშავებაზე?“* და იქვე პასუხობს: *„მართლაც, ძნელია იპოვო ისეთი ბიზანტიური აბჯარი, რომლის შესატყვისიც საქართველოში არ მოიპოვებოდეს, პირიქით კი ცოტა განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე“* (გვ. 103).

დისერტანტი ამასაც არ სჯერდება და საუბრობს „ბიზანტიის და მისი კავკასიელი მეზობლების (კერძოდ, საქართველოს) ურთიერთმიმართებაზე შეიარაღების საკითხებში“. ის სავსებით ლოგიკურად ასკვნის, რომ ბიზანტიის *„საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა“* საქართველოსთან სხვა კავკასიელ მეზობლებთან *„სამხედრო ტექნოლოგიების მიმოცვლას შეუწყობდა ხელს“*. მართალია დისერტანტი იმაშიც, რომ *„ბიზანტიური სამხედრო მანქანა დიდ გავლენას ახდენდა მის მეზობლებზე“*. ამასთან, მ. წურწუმია სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ *„საწინააღმდეგო ხასიათის მოვლენაც შეინიშნება. საქართველოს, თავისი მდებარეობის წყალობით, ბიზანტიაზე უფრო ადრე ჰქონდა შეხება ჩრდილოეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის ნომადებთან, რომელთა შეიარაღების სიახლეები, პირდაპირ თუ ტრანსფორმირებული, სწორედ საქართველოს გავლით შეიძლება მოხვედრილიყო ბიზანტიაში...“* (გვ. 103).

სადისერტაციო ნაშრომში გვხვდება სხვა არაერთი საინტერესო დაკვირვება სამხედრო საქმესა და შეიარაღების სფეროში ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთთანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებაზე. უდავოდ სწორია დისერტანტის დებულება, რომ *„XII საუკუნემდე ქართულ სამხედრო საქმეზე დიდ გავლენას ახდენდა ბიზანტიური სამხედრო ხელოვნება. ქართულ–ბიზანტიური კავშირები განსაკუთრებით*

ინტენსიური იყო X–XI საუკუნეებში, ხასიათდებოდა არაბებთან ერთობლივი ბრძოლებით, ქართველების მონაწილეობით ბიზანტიურ სამოქალაქო ომებში და, ბოლოს, XI საუკუნეში მიმდინარე მძაფრი ურთიერთდაპირისპირებით. ბიზანტიურ-ქართული სიახლოვე ამ პერიოდის შეიარაღების მრავალ ასპექტში ჩანს" (გვ. 184-185). ამგვარი სიახლოვის გამოიხატულებად დისერტანტს მიაჩნია თუნდაც ქართველების მხრიდან ბიზანტიური სამხედრო-თეორიული ნაშრომების ცოდნა, რომლის დამადასტურებელ მასალას ის ეძებს ქართულ იკონოგრაფიულ მემკვიდრეობაში (XI საუკუნის ბოჭორმის წმ. გიორგის ხატი, ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურები), აგრეთვე მოჰყავს საკმაოდ თვალსაჩინო მასალა სხვადასხვა წერილობითი წყაროებიდან (იოანე დრასხანაკერტცი, არისტაკეს ლასტივერტცი, მიხეილ ატალიატე).

აქვე მ. წურწუმია ჩვენი აზრით ზედმეტად დელიკატურად მიუთითებს ზოგიერთი უცხოელი კოლეგის (D. Nicolle) არაკორექტულ მცდელობაზე საკუთრივ ბიზანტიურ შეიარაღებაზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ მოიყვანონ მეზობელი ქვეყნის – საქართველოს იკონოგრაფიული მასალა (ნიკორწმინდის ეკლესიაზე გამოსახული წმინდა მეომრების მძიმე შეიარაღება). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დისერტანტი შეიძლებოდა უფრო მკაცრიც ყოფილიყო. მართალია, ქართული პოლიტიკური სამყარო ზოგადად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის იმპერიასთან და კულტურულ-პოლიტიკურად ერთგვარი „ბიზანტიური თანამეგობრობის" ნაწილადაც განიხილებოდა სულ ცოტა ოფიციალური კონსტანტინოპოლის მხრიდან მაინც,[1] მაგრამ ეს არავის აძლევს უფლებას საქართველო საერთოდ ბიზანტიის იმპერიის ნაწილად მიიჩნიოს.

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში" (X საუკუნის I ნახევარი). – *ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ***როინ მეტრეველის*** დაბადების 70 წლისთავისადმი. თბ., 2009, გვ. 158-180; **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия. _ *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция, 2011. Т. 5, вып. 3-4, гз. 147-168 (http://cyberleninka.ru/article/n/vizantiyskoe-sodruzhestvo-natsiy-i-mezhdunarodnoe-polozhenie-gruzinskih-politicheskih-obrazovaniy-v-pervoy-polovine-x-stoletiya); **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. _ *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden, 2011. Vol. 5, Issue 3-4, гз. 126-144 (http://cyberleninka.ru/article/n/the-byzantine-commonwealth-and-the-international-status-of-the-georgian-political-units-in-the-first-half-of-the-10th-century).

ასეთია, ზოგადად, მამუკა წურწუმიას სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხების ძირითადი თემატიკა და დისერტანტის მიერ გაკეთებული დასკვნები. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ნაშრომის სახით ჩვენ საქმე გვაქვს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე შესრულებულ სერიოზულ მონოგრაფიულ გამოკვლევასთან, რომელშიც ფუნდამენტურადაა გაანალიზებული ქართული სამხედრო ხელოვნების აქტუალური (ამავე დროს ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილი) პრობლემები; ახლებურადაა გააზრებული და დაზუსტებული საკვლევი თემის არაერთი საკვანძო საკითხი.

დისერტანტი ამჟღავნებს სიღრმისეულ ცოდნას საკვლევ სფეროში. ეს ჩანს არა მხოლოდ ნაშრომის ძირითად ნაწილში, არამედ განსაკუთრებით სქოლიოში გატანილ კომენტარებში, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ცალკე სამეცნიერო ნაშრომს წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ ყველა ეს კომენტარი თავის ადგილზეა და მეტად საჭიროა, ის აჩვენებს დისერტანტის ფართო ერუდიციას. ესაა აგრეთვე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ჩავრთოთ მსოფლიო გამოცდილება საქართველოს რეალობის ანალიზში და პირიქით, როგორ მოვაქციოთ ქართული გამოცდილება მსოფლიო სამეცნიერო არეალში. დისერტანტი შესანიშნავად ფლობს მეცნიერული კვლევის ხერხებს და მეთოდიკას, აქვს წერის მაღალი კულტურა.

მართალია, ნაშრომისადმი გვაქვს ცალკეული შენიშვნა-სურვილები, რომელთა ნაწილი ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აკნინებს მის მეცნიერულ ღირებულებას. აღძრული საკითხების მრავალფეროვნებითა და მასშტაბებით, მათ ირგვლივ ჩატარებული დაკვირვებებისა და მიღებული დასკვნების სიახლით და დამაჯერებლობით, ვფიქრობთ, მამუკა წურწუმიას მონოგრაფია არა თუ პასუხობს საძიებელი დონის საკვალიფიკაციო ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, არამედ ბევრად სცილდება მას. უფრო მეტიც, არ შემეშინდება ვთქვა, რომ წარმოდგენილი გამოკვლევა ეროვნული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი წინგადაგმული ნაბიჯია და ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის მიმართულებით საეტაპო ნაშრომადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ვიშუამდგომლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომ **მამუკა წურწუმიას** სადისერტაციო ნაშრომისათვის: **„შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700). *ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება“*** მიანიჭოს ისტორიის დოქტორის აკადემიური (PhD) ხარისხი.

ახალი გამოკვლევა საქართველო-სელჩუკების ურთიერთობებზე*

რეცენზია **ვასილ მოსიაშვილის** ისტორიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე:
***„თურქ-სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის
ლაშქრობები საქართველოში“.***
საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი),
ისტორიის მიმართულება

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა გავლენა მოახდინა თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ოღუზ-სელჩუკთა მომთაბარე ტომებმა მას მერე რაც დატოვეს თავიანთი პირველსაცხოვრისი ცენტრალურ აზიაში და თანდათანობით გადაადგილდნენ დასავლეთის მიმართულებით, უკვე XI ს. შუა ხანებისათვის შექმნეს უძლიერესი სახელმწიფო – დიდ სელჩუკთა სასულთნო, რომელიც სულ ცოტა ხანში გაბატონდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთზე და იქცა მთავარ პოლიტიკურ მოთამაშედ რეგიონში. საქართველო იმთავითვე მოექცა სელჩუკთა სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების არეალში. ეს ინტერესი სულ უფრო მზარდი გახდა XI ს. 60-იანი წლებისათვის, მას შემდეგ, რაც სელჩუკები მოადგნენ სამხრეთ კავკასიას და თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები. სწორედ ამ დროიდან იქცა საქართველოს სახელმწიფო თურქ-სელჩუკთა მთავარ სამიზნედ.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ურთიერთობები სელჩუკურ სამყაროსთან XI – XIII ს. I ნახევარში საკმაოდ საფუძვლიანადაა დამუშავებული და ამაში სრულიად განსაკუთრებულია პროფ. ნოდარ შენგელიას ღვაწლი, რომელმაც შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები ამ მიმართულებით. ეს ნაშრომები – უპირველეს ყოვლისა კი კაპიტალური მონოგრაფია საქართველო-სელჩუკების ურთიერთობებზე XI საუკუნეში – უდავოდ საეტაპო მნიშვნელობისაა და მთავარი გზამკვლევია ამ პრობლემით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევრისთვის. საინტერესო დაკვირვებებს და უაღრესად საყურადღებო დასკვნებს საქართველო-სელჩუ-

---

* მასალა წარმოადგენს ავტორის – ოფიციალური ოპონენტის რეცენზიას ვასილი მოსიაშვილის სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე. გამოქვეყნებულია: *შრომათა კრებული.* აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ტ. 3, თბ., 2014, გვ. 222-230. ამჯერად იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებით.

კების ურთიერთობების ცალკეულ საკითხებზე ვხვდებით შოთა მესხიას, რევაზ კიკნაძის, ჯემალ სტეფნაძის, როინ მეტრეველის, გოჩა ჯაფარიძის და სხვა მკვლევართა შრომებში. ეს ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა მყარი საფუძველია XI-XIII ს. I ნახევრის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის სწორად გააზრებისათვის.

აღნიშნული, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების თემა ამოწურულია, დაკარგა აქტუალობა და მის შემდგომ კვლევას არ ჰქონდეს მეცნიერული პერსპექტივა. პირიქით, ამ ბოლო დროს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში გაჩნდა ცალკეული პუბლიკაციები, რომლებშიც სრულიად იგნორირებულია საქართველოს სახელმწიფოს, როგორც წამყვანი ანტისელჩუკური ძალის როლი XII – XIII საუკუნის დამდეგის კავკასია-ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ პროცესებში და ეჭვს ქვეშაა დაყენებული მისი ჰეგემონობა იმჟამინდელ კავკასიაში. პირველ რიგში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცნობილი აზერბაიჯანელი მეცნიერის, სელჩუკოლოგის რაუფ ჰუსეინზადეს (ბოლო დრომდე ჰუსეინოვის) 2010 წელს ბაქოში გამოცემული მონოგრაფია: *„კავკასია და სელჯუკები“* (*«Кавказ и сельджуки»),* რომელშიც, ფაქტობრივად, მთავარ პოლიტიკურ ძალად კავკასიაში XII საუკუნეში გამოცხადებულია აზერბაიჯანის ათაბაგთა სახელმწიფო – დიდ სელჩუკთა სასულთნოს ერთგვარი „სამართალმემკვიდრე“, რომლის დაქვემდებარებაში თითქოს იყო მთელი კავკასია, მათ შორის ერთიანი ქართული სახელმწიფო. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგის უაპელაციო განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო XII საუკუნეში თვითონ იყო „***დამოკიდებული მუსლიმურ სამყაროზე,*** *მათ შორის* ***აზერბაიჯანზე, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც*** *“*.[1]

ამ და ზოგიერთი სხვა პუბლიკაციის ფონზე, ვასილ მოსიაშვილის მიერ საკვალიფიკაციო თემად საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების ერთ-ერთი მონაკვეთის არჩევა უთუოდ დროულად და გამართლებულად მიგვაჩნია.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის 8 თავისა და შემაჯამებელი დასკვნებისაგან. წესისამებრ, ნაშრომს ერთვის გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის სია.

შესავალში ნაჩვენებია საკვლევი თემის აქტუალობა და მისი დამუშავების აუცილებლობა. ცალკე თავებადაა გამოყოფილი საისტორიო

---

[1] *«… **зависела от мусульманского мира,** в том числе **от Азербайджана, не только политически, но и экономически»***. იხ.: **Р. А. Гусейн-заде.** Кавказ и сельджуки. Баку, 2010, გვ. 120, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

წყაროებისა და პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის მიმოხილვა. სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილები ძირითადად კვალიფიციურადაა შესრულებული, თუმცა იგრძნობა ზედმეტი გატაცება საკმაოდ მოზრდილი ციტატების მოყვანისა ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან. მაგ. ერთ ადგილას (გვ. 39-40) გვერდის თითქმის ¾ უკავია ერთი შეხედვით ქრესტომათიული ხასიათის მსჯელობას ივ. ჯავახიშვილის *„ქართველი ერის ისტორიიდან“.* ისტორიოგრაფიულ მიმოხილვაში არ არის დაცული პროპორციულობა. ზოგიერთი მკვლევრის წვლილი საკვლევი პრობლემის დამუშავებაში ზედმეტად ვრცლად და, ცოტა არ იყოს, რამდენადმე გაზვიადებულადაც კია წარმოჩენილი, მაშინ, როდესაც სხვა გაცილებით უფრო ავტორიტეტული მეცნიერები საერთოდ გამორჩენილია. ასე მაგალითად, დისერტანტმა რატომღაც არ ჩათვალა აუცილებლად მოკლედ მაინც დაეფიქსირებინა პროფ. შ. მესხიას (სხვას რომ თავი დავანებოთ, *„ძლევაჲ საკვირველის“* ავტორის) უაღრესად საყურადღებო დაკვირვებები და დასკვნები საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების (მათ შორის XI ს. 60-იანი წლებში) მთელ რიგ საკითხებზე. ამ ფონზე, რამდენადმე უხერხულადაც კი გვეჩვენება ჩვენი მოკრძალებული წვლილის თითქმის 3 გვერდზე გაშლა.

ნაშრომში თანმიმდევრულადაა გაშუქებული თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორია. ცალკეა განხილული ახლად შექმნილი დიდ სელჩუკთა სასულტნოს აქტიურობა სამხრეთ კავკასიის მიმართულებით. სწორადაა აღნიშნული, რომ სელჩუკთა საფრთხემ სერიოზული კორექტივები შეიტანა ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში და უფრო რეალისტური გახადა ის საქართველოს მიმართ. ასევე სრულიად მართებულია დისერტანტის მიერ სელჩუკთა სამხრეთ კავკასიაში გამოჩენისას რეგიონის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერ-სახის რ. ჰუსეინ-ზადესეული ხედვის – კერძოდ, მისი მხრიდან სომხური სამყაროს სრული იგნორირების – კრიტიკა..

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი – სულტან ალფ-არსლანის შემოსევები გაშუქებულია 4 თავში. დისერტანტი პირველწყაროებზე დაყრდნობით საკმაოდ ამომწურავად აანალიზებს ალფ-არსლანის პირველი შემოსევის წინ არსებულ ვითარებას და თვით სამხედრო კამპანიის პერიპეტიებს, განსაკუთრებით ახალქალაქისათვის გამართულ ბრძოლას. სავსებით სწორად ასკვნის ვ. მოსიაშვილი, რომ სელჩუკთა ძლევამოსილმა სულტანმა, მიუხედავად მოპოვებული სამხედრო წარმატებისა, მაინც ვერ მოახერხა საქართველოს მეფის დაჩოქება. ამასთან დაკავშირებით, ის არ ეთანხმება სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინისა და ზოგიერთი სხვა აღმოსავლური წყაროს მონაცემების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას იმის შესახებ, თითქოს ალფ-არსლანს მიეღწიოს დასახული პოლიტიკური მიზნისათვის, საბოლოოდ გაეტეხოს საქართველოს

მეფე და მოხარკედ ექციოს ის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრი საკმაოდ ფეხმოკიდებულია და არა მხოლოდ არაქართველ მკვლევართა (ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს ზემოთნახსენები რ. ჰუსეინ-ზადე) შრომებში. ბოლო დროს ამ თვალსაზრისს მომხრეები ქართველ მეცნიერთა შორისაც გამოუჩნდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ბოლო პუბლიკაციაში, პროფ. გ. ალასანია მიუთითებს, რომ *„1067/8 წლამდე, ალფ-არსლანის მეორედ შემოსვლამდე,* ***მშვიდობა შენარჩუნებული იყო, ხოლო მშვიდობისათვის*** *„ხარაჯის“* ***გადახდა,*** *როგორც ჩანს,* ***სასურველი პირობა იყო“.***[1]

ამ კუთხით არანაკლებ ფასეულია ვ. მოსიაშვილის დაკვირვებები სელჩუკთა სულტნის ბაგრატ IV-ის დისწულზე დაქორწინების პერიპეტიებზე. დისერტანტი სწორად მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი არ გამოდგება საქართველოს მეფის მხრიდან ალფ-არსლანის უზენაესობის აღიარების დამადასტურებელ არგუმენტად. თავის დროზე, ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება ამ საკითხზე და მივუთითეთ, რომ ბაგრატ IV-ისა და ალფ-არსლანის შეთანხმება საქართველოს მეფის დისწულის სულთნისათვის მითხოვების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დათმობა ბაგრატ მეფის მხრიდან. უფრო მეტიც, ჩვენის აზრით, ეს ქორწინება საქართველოს ლიდერის ერთგვარ დიპლომატიურ წარმატებადაც კი უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მან ხელი შეუწყო „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას ამიერკავკასიაში. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა იმ მოვლენების ანალიზი, რომლის ფონზეც განახორციელა სულთნისათვის მიცემული პირობის რეალიზაცია საქართველოს ხელმწიფემ. მხედველობაში გვაქვს *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობა ბაგრატ IV-ის მასშტაბური სამხედრო აქციის შესახებ ტაშირ-ძორაკეთში, რომლის დროსაც საქართველოს მეფემ დაიკავა სამშვილდე, *„იურვა სახლად თჳსად“* და იქ სრული კონტროლი დაამყარა *(„და ეგრეთ-ვე მონებდეს სომეხნი“).*[2] როგორც ვხედავთ, სამშვილდის დაკავებით ბაგრატ IV-მ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები აღნიშნულ რეგიონში. გარდა ამისა, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საქართველოს მეფის ეს აქცია, ზოგადად, ქართული სახელმწიფოს ძლიერების ერთგვარი დემონსტრაციაც იყო, რაც არ შეიძლებოდა მოსწონებოდა სელჩუკთა ძლევამოსილ სულთანს, რომელმაც, როგორც ჩანს, დაუყონებლივ გადადგა ნაბიჯები ბაგრატ IV-ის ამბიციების მოსათოკად. სავარაუდოა, რომ ჯაფარიდი ამირას ხელისუფლების

---

[1] **გ. ალასანია.** თურქ-სელჩუკებთან ქართველების ურთიერობების ადრეული გამოცდილება. – *ქართული წყაროთმცოდნეობა.* XII. თბ. 2010, გვ. 38, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[2] *მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***სიმონ ყაუხჩიშვილის*** მიერ. I. თბ. 1955, გვ. 307-308.

აღდგენა თბილისში, რომელიც, როგორც ფიქრობენ,[1] სელჩუკთა სულთნის ინიციატივითა და ხელშეწყობით განხორციელდა, სწორედ პასუხი იყო საქართველოს მეფის გამომწვევ ქმედებებზე ტაშირ-ძორაკეთში.

ასევე სრულადაა გაშუქებული სადისერტაციო ნაშრომში ალფ-არსლანის მეორე ლაშქრობა საქართველოში. დისერტანტს განხილული აქვს ამ სამხედრო კამპანიასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ყველა საკითხი. მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას მოწინააღმდეგეთა ლაშქრის შემადგენლობაზე და ცდილობს დააზუსტოს ცალკეული წყაროების მონაცემები. ამ ასპექტში იხილავს ის მაგალითად სადრ ად დინ ალ-ჰუსეინის ცნობას ფრანკ-ფარანჯებზე და ეხმიანება ზ. ბუნიატოვის დასკვნას იმის შესახებ, რომ მათში შეიძლება ვიგულისხმოთ *„მატიანე ქართლისაჲსეული“* „ვარანგები“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ. ბუნიატოვის ეს დასკვნა, რომელიც აგებულია ვ. ვასილევსკის დაკვირვებებზე, მაინც და მაინც დამაჯერებლად არ გამოიყურება. საერთოდ, ცოტა ზედმეტად გვეჩვენება ამასთან დაკავშირებით განმარტებების მიცემა ვარანგების შესახებ *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობის ტექსტოლოგიური პრობლემების ირგვლივ.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილშიც ვ. მოსიაშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს ცალკეულ გადაცდომებს, რომლებიც გვხვდება იმავე რ. ჰუსეინ-ზადეს ზემოთდასახელებულ მონოგრაფიაში. კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ ბაგრატ IV-ის ქართლის მეფედ გამოცხადებას და ა.შ. აქვე ჩვენ ვისურვებდით, რომ ვ. მოსიაშვილს ყურადღება გაემახვილებინა აზერბაიჯანელი მეცნიერის მიერ ტერმინების „აფხაზეთისა“ და „აფხაზების“ წყაროებიდან უკომენტაროდ გადმოტანის ფაქტებზე და ამ ტერმინების საქართველოსთან პარალელურ რეჟიმში გამოყენებაზეც. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ სავალალო სიტუაცია გვაქვს, რადგან აღმოსავლეთმცოდნეობით სამეცნიერო პუბლიკაციებში (ასევე ბიზანტინისტთა შრომებშიც), არცთუ იშვიათად ვხვდებით ტერმინების „აფხაზეთისა“ და „აფხაზების“ არასწორი გაგების ფაქტებს, რითაც სპეკულირებენ ჩვენი აფხაზი კოლეგები. სხვას რა უნდა მოვთხოვოთ, როდესაც ამგვარ ლაფსუსებს უშვებდა ისეთი ავტორიტეტული მეცნიერი, საქართველოს დიდი მეგობარი, აკად. ზია ბუნიატოვი.

მაგალითად, მოჰყავს რა არაბი ავტორის ალ ბუნდარის ცნობა იმის შესახებ, რომ *„ალფ-არსლანმა აიძულა **აბხაზის** მეფე ბაგრატი ძე გიორგისი ეთხოვა ზავი და მისთვის მიეთხოვებინა თავისი ასული, და მიიღო რა მისგან ძღვენი... შემდეგ მიათხოვა **ქართველი პრინცესა** ნიზამ ალ-მულქს“ («Алп-Арслан вынудил царя **Абхаза** Баграта сына Георгия*

[1] **შ. მესხია.** საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. – *საისტორიო ძიებანი.* I. თბ., 1982, გვ. 242.

просить мира и выдать свою дочь за него и, приняв его подношения … затем он выдал ***грузинскую принцессу*** *за Низам ал-Мулка»),* ზ. ბუნიატოვი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში ***„აბხაზს“ ეთნიკური მნიშვნელობა არ გააჩნია“ («Абхаз» этнического значения не имеет»),*** მაგრამ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ამ განმარტების მისეული ახსნა. თურმე ბაგრატ IV „აფხაზად“ იმიტომ იხსენიება, რომ *„975 წელს მთავარმა ბაგრატმა* ***(მისი დედა იყო აფხაზი)*** *მემკვიდრეობით მიიღო* ***აფხაზეთის*** *ტახტი. 1008 წელს მან დაიკავა* ***საქართველოს ტახტი*** *და გააერთიანა ორივე სამეფო.* ***ამ დროიდან მისი დინასტია იწოდებოდა აფხაზურად“*** *(«в 975 г. князь Баграт /****его мать была абхазкой****/ унаследовал престол* ***Абхазии****. В 1008 г. он занял* ***престол Грузии*** *и объединил оба царства.* ***С тех пор его династия именовалась Абхазской»).***[1] ანუ ამ კომენტარიდან გამოდის, რომ 975 წელს (ესეც შეცდომაა – უნდა იყოს 978 წ.) ბაგრატ უფლისწულმა, რომელსაც აკად. ზ. ბუნიატოვი რატომღაც მთავრად იხსენიებს, მემკვიდრეობით დაიკავა აფხაზეთი და მხოლოდ 1008 წელს საქართველოს ტახტი. ე.ი. აფხაზეთი, თავისი სატახტო ქალაქ ქუთაისით – ძირძველი ქართული ქალაქით და შიდა ქართლით – ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული ცენტრით – სხვა ქვეყანაა, საქართველო კი სხვა!?

ალფ-არსლანის მეორე ლაშქრობის გაშუქებისას დისერტანტი საგანგებოდ ჩერდება სვერის ციხის ლოკალიზაციის საკითხზე და ჩვენის აზრით სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ სადრ ად დინ ალ-ჰუსეინის თხზულებაში დაფიქსირებული სალიბის ციხე და *„მატიანე ქართლისაჲსეული“* სვერის ციხე სხვადასხვაა და რომ ეს უკანასკნელი ალფ-არსლანის ჯარს არ აუღია. სწორად ასკვნის დისერტანტი, რომ ალფ-არსლანმა ვერც მეორე ლაშქრობის შედეგად მიაღწია გადამწყვეტ წარმატებას. ბაგრატ IV-მ ამჯერადაც შეძლო კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლა და არ აღიარა სულტნის უზენაესობა.

უფრო მეტიც, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ალფ-არსლანი საერთოდ ერიდებოდა ურთიერთობების გამწვავებას საქართველოს მეფესთან. ამ თვალსაზრისით უდავოდ ნიშანდობლივია სულტნის, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარი რეაქცია ბაგრატ მეფის მიერ ალფ-არსლანის ერთგულ მსახურად მიჩნეული განძის ამირა ფადლონის დატყვევებაზე. იმის მაგივრად, რომ სელჩუკთა ძლევამოსილ სულტანს სამაგალითოდ დაესაჯა ურჩი ბაგრატი, მან რატომღაც თვალი დახუჭა საქართველოს მეფის ამ აშკარად გამომწვევ, შეიძ-

[1] **Садр ад-Дин Али ал-Хусайни.** Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения ***З. М. Буниятова***. М., 1980, გვ. 190, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ლება ითქვას, თავხედურ ქმედებაზე, და ფადლონის განთავისუფლების სანაცვლოდ უწყალობა რა ბაგრატ მეფეს გაგის ციხე-ქალაქი, ფაქტობრივად, მასთან ერთგვარ გარიგებაზე წავიდა. თავის დროზე ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება ამ ფაქტზე და დიდი სელჩუკი სულტნის ეს დიპლომატიური რევერანსი ბაგრატ IV-ის მიმართ მანაზკერტის ომის წინ ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე არსებულ ვითარებას დავუკავშირეთ. კერძოდ, ჩავთვალეთ, რომ ალფ-არსლანი თავისი ამ სვლით მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოს გამოთიშვას ბიზანტია-სელჩუკების დიდი დაპირისპირებიდან და სულ ცოტა მისი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას იმპერიასთან მომავალ გადამწყვეტ შეტაკებაში. დისერტანტი კარგად იცნობს ჩვენს დაკვირვებებს ამ თემის ირგვლივ[1] და ზოგადად იზიარებს კიდეც მას, თუმცა ამასთან თვლის, რომ არ არის აუცილებელი 1069 წ. ზაფხულ-შემოდგომის მოვლენის (ასე ათარიღებს ის ფადლონის დატყვევებას) მაინც და მაინც უშუალოდ მანაზკერტის ბრძოლისათვის (1071 წ. აგვისტო) მზადებასთან დაკავშირება.

ასეთია, მოკლედ ვასილ მოსიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი. შესრულებულია საკმაოდ სოლიდური სამუშაო. მთავარი ამოცანა – მონოგრაფიული გამოკვლევის შექმნა შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ერთ მეტად მნიშვნელოვან ეპიზოდზე – მიღწეულია. სახეზე გვაქვს ალფ-არსლანის საქართველოში ლაშქრობების შესახებ მეცნიერულად გამართული მატიანე, რომელშიც მეტ-ნაკლებად ამომწურავი პასუხია გაცემული საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხზე და ნაჩვენებია საქართველოს სახელმწიფოს როგორც კავკასიაში ანტისელჩუკური ფრონტის მეთაურის ჰეგემონური როლი XI ს. 60 – 70-იანი წლების დამდეგის საერთაშორისო ურთიერთობებში. დისერტანტი ამჟღავნებს საისტორიო წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ღრმა ცოდნას. დისერტაციის მაცნე ასახავს სადისერტაციო ნაშრომის შინაარსს, თუმცა მასში რატომღაც გამორჩენილია ინფორმაცია აპრობაციის თაობაზე.

---

[1] **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60–80-იან წლებში.* თბ., 1991, გვ. 20-24; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, გვ. 92-95). ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა აღნიშნული თემისადმი მიძღვნილი სტატია, რომელშიც ახალი არგუმენტებითაა შემაგრებული ჩვენი თვალსაზრისი (იხ. **ზ. პაპასქირი.** მანასკერტის ბრძოლა და საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი XI ს. 60-იანი წლებსა და 70-იანი წლების დამდეგს. – *საისტორიო კრებული,* ტომი 1. თბ., 2011, გვ. 26-45) და სასურველი იყო ისიც ასახულიყო წარმოდგენილ ნაშრომში.

არადა, ჩემთვის ცნობილია, რომ სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული ფრაგმენტები მოხსენებების სახით წაკითხულ იქნა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, მათ შორის სელჩუკთა I საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც გაიმართა თურქეთის ქალაქ კაისერში 2010 წ. სექტემბერში.

რასაკვირველია, ნაშრომი ნამდვილად არ არის უნაკლო. მასში არის არაერთი სუსტი ადგილი, რომელთა შესახებაც ნაწილობრივ უკვე გვქონდა მსჯელობა. ყველაზე თვალში საცემ ხარვეზად მაინც მიგვაჩნია გამეორებები. ერთ და იმავე საკითხზე ზოგჯერ მიდის მსჯელობა შესავალ თავებში, ძირითად ნაწილში და დასკვნაშიც თანაც თითქმის ერთი და იმავე ტექსტით – წყაროების მონაცემების ციტირებით. დახვეწას მოითხოვს ლიტერატურის მითითების წესი, განსაკუთრებით ინტერნეტ-რესურსების გამოყენებისას. სამწუხაროდ, ნაშრომში გაპარულია უამრავი კორექტურული შეცდომა. მიუხედავად ამ და სხვა ნაკლებად შესამჩნევი ნაკლოვანებებისა, წარმოდგენილი სადისერტაციო შრომა, მთლიანობაში, შესრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე და ის პასუხობს სადოქტორო დისერტაციისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ, ვიშუამდგომლო სადისერტაციო კომისიის წინაშე, რათა **ვასილ მოსიაშვილს** სადისერტაციო ნაშრომისათვის: ***„თურქ-სელჩუკთა სულთნის ალფ-არსლანის ლაშქრობები საქართველოში“*** მიენიჭოს ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

შტრიხები
პორტრეტებისათვის

ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა*

როგორც ცნობილია, დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (იუნესკო) 2013 წელი, ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა და ის საერთაშორისო მნიშვნელობის საიუბილეო თარიღების ნუსხაში შეიტანა. ეს პატივი დიდ ქართველ ეროვნულ მოღვაწეს, გამოჩენილ მეცნიერს, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანს ერგო ერისა და სამშობლოს წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისა და თავდადებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ეს ყველაზე ავტორიტეტული მსოფლიო ორგანიზაცია (განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში) პატივს მიაგებს საქართველოს წარმომადგენელს, ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას. თავის დროზე იუნესკოს საგანგებოდ აღუნიშნავს სხვა ქართველ მოღვაწეთა, აგრეთვე კულტურის ძეგლთა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და ასევე უღიარებია ცალკეული საიუბილეო თარიღები საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად. ასე, მაგალითად: ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იუნესკომ 1979-1983 წლებში მსოფლიო მასშტაბით აღნიშნა *„შუშანიკის წამების“* 1500 წლისთავი; 2011 წელი – ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავის იუბილეს გამო იუნესკომ ვაჟა-ფშაველას წლად გამოაცხადა, ხოლო 2012 წელი – შოთა რუსთაველის წლად (*„ვეფხისტყაოსნის“* პირველი გამოცემიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით).

და მაინც, ვინ არის ექვთიმე თაყაიშვილი და რატომაა ის ასე გამორჩეული? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს ადვილიც არის და, ამავე დროს, რთულიც. ადვილი იმიტომ, რომ მოიხსნა საქართველოსათვის თავსმოხვეული კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის კონიუნქტურული პოლიტიკურ-იდეოლოგიური მარწუხები და შესაძლებელი გახდა „კეისარს კეისრისა მივუზღოთ“. თავის დროზე, სწორედ ამ ანტიეროვნული მარიონეტული რეჟიმის წყალობით, ქართველ ხალხს, ფაქტობრივად, აეკრძალა ღირსეული დატირება და ჯეროვანი პატივის მიგება ერის სინდისად აღიარებული სამშობლოსათვის თავდადებული რაინდი-

* დაბეჭდილია: *საისტორიო ძიებანი*. წელიწდეული, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ტ. XII. თბ., 2013-2015, გვ. 15-34 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2013-2015).

სათვის – 1953 წ. 21 თებერვლის სუსხიან დღეს ექვთიმე თაყაიშვილს, ამ მართლაც ღვთისკაცს, რომლის მოწამეობრივი ცხოვრება საუკუნოდ დარჩება დიდ ზნეობრივ მაგალითად ქართველობისათვის, უკანასკნელ გზაზე სულ რაღაც 40-45 კაცი მიაცილებდა (!!!). ძნელია, წარმოიდგინო ეროვნული ღირსების შელახვისა და ფეხქვეშ გათელვის, ერის „დასაჭურისების“ ამაზე მკაფიო ფაქტი. წლები გახდა საჭირო იმისათვის, რომ ქართულ საზოგადოებას (თავდაპირველად ერთგვარი მოკრძალებით) სათანადოდ დაეფასებინა დიდი ექვთიმეს ღვაწლი და მისთვის ერის მთავარ სავანეში – მთაწმინდაზე მიეჩინა კუთვნილი ადგილი.

ექვთიმე თაყაიშვილის „დიდთა საქმეთა“ წარმოჩენა რთული კი იმიტომაა, რომ თვით ის არის ტიტანური პიროვნება და, ამდენად, მისი ნაღვაწის სრულფასოვანი ამომწურავი ანალიზი და შეფასება გარდა სათანადო კომპეტენციისა, დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. მართალია, ბოლო 50 წლის მანძილზე ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ათეულობით ნაშრომი მიეძღვნა,[1] მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. იმედია, ექვთიმე თაყაიშვილის სახელის ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გატანა ახალ იმპულსებს შესძენს ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწის როლისა და ადგილის კიდევ უფრო მასშტაბურ წარმოჩენას ერის სამეცნიერო-ინტელექტუალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთი დიდი საერთო-ეროვნული მნიშვნელობის მოღვაწე ჰყოლია, მაგრამ ყველას არ რგებია პატივი გამხდარიყო კონკრეტულ ეპოქაში ერისა და ქვეყნის ერთგვარი სახე-სიმბოლო. გასაგები მიზეზების გამო უმეტესწილად შთამომავლობას ამ მხრივ ძირითადად სახელმწიფო და პოლიტიკური ლიდერები ამახსოვრდებოდა. ამიტომაცაა, მაგალითად, რომ ძვ. წ. IV-III საუკუნეები ასოცირდება ფარნავაზისა და ქუჯის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან და სწორედ ისინი მოიაზრებიან

[1] შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით პირველი „ხნული“ გაავლეს იმჟამად ახალგაზრდა ისტორიკოსებმა (ჯერ კიდევ სტუდენტებმა) შოთა ბადრიძემ და როინ მეტრეველმა, რომლებმაც 1962 წელს გამოაქვეყნეს ნაშრომი ექვთიმე თაყაიშვილზე. იხ.: **რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1962. მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ არაერთი ნაშრომი გამოიცა. მათ შორის სპეციალური კრებული მეცნიერის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966. იხ. აგრეთვე: **ა. სურგულაძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. *ცხოვრება და მოღვაწეობა.* თბ., 1977; **ი. მეგრელიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. *ცხოვრება და მოღვაწეობა.* თბ., 1989; **გ. ლომთათიძე.** ქართული კულტურის მემატიანე: *ექვთიმე თაყაიშვილი.* თბ., 1990 და სხვ. ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი ნაშრომების სრული სია იხ.: *ექვთიმე თაყაიშვილი.* 1863-1953. ბიობიბლიოგრაფია. შემდგენლები: ***ვ. გოგილაშვილი, ც. კვაჭაძე.*** თბ., 2010.

ქვეყნისა და ერის სიმბოლურ სახედ მოცემულ ეპოქაში. ასევე საერთოეროვნულ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის გამო აღიქმება ახ. წ. V საუკუნე ვახტანგ გორგასლის ეპოქად; X ს. ბოლო მესამედი და XI საუკუნე – საქართველოს გამაერთიანებლების, დავით III დიდი კურაპალატისა და ბაგრატ III-ის საუკუნედ; XII საუკუნე კი – დავითისა და თამარის საუკუნეა, ხოლო XIV საუკუნე გიორგი V ბრწყინვალესთან ასოცირდება. მომდევნო პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იყო ცალკეული გამონათებები, რომლის ტონის მიმცემები სახელმწიფო და პოლიტიკური ლიდერები იყვნენ (ალექსანდრე I დიდი, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II, სოლომონ I...), სამწუხაროდ, საქართველოს არ ჰყოლია იმ დონის საერთოეროვნული მასშტაბის მოღვაწე, რომელსაც შთამომავლობა ერთნიშნად ეპოქის სახედ აღიქვამდა.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგ – ადგილობრივი ეროვნული სახელისუფლებო სტუქტურების არარსებობის პირობებში – ერის წინამძღოლობა იტვირთა ქართულმა ინტელექტუალურმა ელიტამ, რომელმაც გამოიყენა დაშლილ-დანაწევრებული საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) სივრცეში მოქცევა და მყარი იდეოლოგიური საფუძველი ჩაუყარა მომავალში საერთოქართული სახელმწიფოს აღდგენას. ამ ელიტის აღიარებული ლიდერი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ქართველმა ხალხმა უყოყმანოდ უგვირგვინო მეფედ აღიარა. ამიტომაც სწორედ დიდი ილია აღიქმება XIX საუკუნის საქართველოს სიმბოლურ სახედ.

XX საუკუნეში – 1918-1921 წლებსა და 90-იან წლებში, მართალია, საქართველომ შესძლო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ ეპოქის რომელიმე პოლიტიკურმა ლიდერმა შეძლო ისეთი კვალის დატოვება ქვეყნის ცხოვრებაში, რომ ის გატოლებოდა ზემოთ ჩამოთვლილ დიდ მოღვაწეებს. და მაინც, XX საუკუნეში საქართველოს ჰყავდა ისეთი გიგანტები, რომლებიც თავიანთი დიდი ეროვნული მოღვაწეობითა და თავგანწირვით ეპოქის სიმბოლოებად მოიაზრებიან.

პირველ რიგში, ეს არის დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ჭეშმარიტად ილიაობა გასწია და კომუნისტურ საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის ნამდვილ მედროშედ და ბურჯად მოგვევლინა. ამიტომაც გახდა ის ბოლშევიკური რეჟიმის მთავარი სამიზნე. განა, დიდი დაფიქრება სჭირდება იმას, რომ მისი ე.წ. საჩვენებელი „გაკიცხვა-გასამართლებები“ 1930 და 1936 წლებში, რომელმაც კინაღამ შეიწირა დიდი ერისკაცი,[1] ფაქტობ-

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ. *ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე.* დოკუმენტები და მასალები (XX საუკუნის 20-30-იანი წლები). გამოსაცემად მო-

რივად, ქართული ეროვნული სულისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გასამართლება იყო.

ასევე ქართული ეროვნული სულისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის საბოლოო დასამარებას ისახავდა მიზნად მეორე დიდი მოღვაწის, რუსულ-საბჭოური იმპერიის კლანჭებიდან საქართველოს გამოხსნისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის შეუპოვარი მებრძოლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსი აღმსარებლის (ხელაიას) გასამართლება.

და იყო ზოგად-ეროვნული მასშტაბის კიდევ ერთი წამებული ღმერთკაცი – ექვთიმე თაყაიშვილი – დიდი ილიას ბუდიდან აფრენილი და მისი შარავანდედით ნათელმოსილი მამულიშვილი, რომელმაც მართლაც ილიასეული პათოსითა და შეუპოვრობით განაგრძო საქართველოს ინტელექტუალური, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სულიერი გაჯანსაღება-აღორძინების საქმე. უდავოდ სიმბოლურია, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება – ეს ჭეშმარიტად პირველი ეროვნული აკადემია, რომელმაც სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა მშობლიური კულტურისა და მეცნიერების განვითარების, ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეში,[1] ექვთიმე თაყაიშვილმა მაინცა და მაინც დიდი ილიას ტრაგიკული აღსასრულით გამოწვეული საერთო-ეროვნული გლოვის ფონზე – 1907 წ. 20 სექტემბერს[2] დააფუძნა. ეს იყო ერთგვარი მინიშნება, რომ ილიას გარდაცვალებით მის მიერ წამოწყებული დიდი ეროვნულ-კულტურული აღმშენებლობა არ შეწყდებოდა და შემდგომ გაგრძელებას ჰპოვებდა.

ამზადეს, შესავალი წერილი დაურთეს ***მ. ვაჩნაძემ*** და ***ვ. გურულმა.*** თბ., 2004.

[1] **რ. მეტრეველი.** სააკადემიო საქმიანობის სათავე. – *საისტორიო ძიებანი.* X-XI. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 2008, გვ. 13-28 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2007-2008). უფრო სრულად იხ. **რ. მეტრეველი.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბ., 1982.

[2] მართალია, საზოგადოების წესდება 1907 წ. 30 ივნისს (ილიას გარდაცვალებამდე 2 თვით ადრე) დაუმტკიცებიათ, მაგრამ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ოფიციალური დაარსება და მის თავმჯდომარედ ექვთიმე თაყაიშვილის არჩევა 20 სექტემბერს მომხდარა (**ე. თაყაიშვილი.** მცირე უწყება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მოღვაწეობის პირველი ათი წლის განმავლობაში (1907-1917). წაკითხული საზოგადოების კრებაზე 1917 წლის 16 დეკემბერს. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი.* ცხოვრება და მოღვაწეობა. სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 191; **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 39; **ლ. გოდერიძე.** კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები). თბ., 2005, გვ. 289.

ის, რომ ამ მასშტაბის ეროვნული საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი სწორედ ექვთიმე თაყაიშვილი იყო სულაც არ იყო შემთხვევითი. ამ დროისათვის მას სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მეტად შინაარსიანი გზა ჰქონდა გამოვლილი და ქართული ინტელექტუალური ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლებოდა. ეს გზა კი დაიწყო 1863 წლის 5 იანვარს,[1] სოფელ ლიხაურში (იმჟამად ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა), როდესაც ადგილობრივი აზნაურის სიმონ თაყაიშვილისა და ნინო ნაკაშიძის (მაკვანეთელი თავადის გიტული ნაკაშიძის ასულის) ოჯახში[2] დაიბადა ახალი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება მას ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში მიუღია, სადაც იმ პერიოდში ნიკო მარიც სწავლობდა. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ორი დიდი მეცნიერის მეგობრობას. 1875-1883 წლებში ექვთიმე სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის წარჩინებით (ვერცხლის მედალზე) დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1887 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა ასევე წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი და, მიუხედავად იმისა, რომ მას სანკტ-პეტერბურგში წარმატებული საუნივერსიტეტო კარიერის პერსპექტივა ჰქონდა, სამშობლოს მოაშურა. აქ ის პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1894-1904 წლებში ექვთიმე თაყაიშვილი სათავადაზნაურო გიმნაზიის ხელმძღვანელია. მისი მმართველობის პერიოდში ეს სასწავლებელი, რომელიც, თვით ექვთიმეს თქმით, *„კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს“* (იმპერიული საგანმანათლებლო სტრუქტურის) თვალში ისედაც *„ქართული ნაციონალიზმისა და ანტირუსული მიმართულების ბუდე იყო“*,[3] კიდევ უფრო გაძლიერდა და ქართული ეროვნული განათლების ერთგვარ ფლაგმანად იქცა.

გარდა ამისა, ის აქტიურად ჩაერთო *„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“* მუშაობაში, რომლის გამგეობის წევრად, დაუსწრებლად, 1888 წელს აურჩევიათ.[4] სწორედ ამ საზოგადოების ხაზით ახალ-

---

[1] ზოგიერთი მონაცემებით 1862 წლის 5 იანვარს. იხ. **გ. შარაძე.** „...ასე იწყებოდა ექთიმე ღვთისკაცი – თაყაიშვილი“. თბ., 2005, გვ. 13 (http://zneobrivigmiri.blogspot.com/2013/02/blogpost_8872.html).

[2] *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი.* გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ***გ. ლომთათიძემ***. – წგნ.: ***ექვთიმე თაყაიშვილი***. რჩეული ნაწერები. ტ. I. გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ***ალ. ბარამიძემ***. თბ., 1968, გვ. 189.

[3] **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 21.

[4] *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..*, გვ.

გაზრდა ისტორიკოსი იწყებს აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების მოძიებისა და გამომზეურების სფეროში. სანამ მოვახდენდეთ ამ პერიოდის ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო-წყაროთმოცოდნეობითი მოღვაწეობის შეფასებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ის ფონი, რომელიც დახვდა მას ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და საქართველოს სიძველეთა შესწავლის საქმეში. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ერთი ფაქტი.

1963 წ. 15 იანვარს გაიმართა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა, რომელზეც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა თავისი შესავალი სიტყვა ერისკაცის ღვაწლზე სრულიად მოულოდნელად ილია ჭავჭავაძის *„გლახის ნაამბობიდან“* შემდეგი პასაჟით დაიწყო:

„... – წაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას?“... წავაყვედრე მე.

– ჰმ! – ჩაიცინა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშაგებში მშვიდობით წევსო: – ამით გათავდა შენი შერმადინობა?

– „როგორიც ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე“.[1]

„გლახის ნაამბობის“ ამ ტრაგიკული ფინალის საოცრად მახვილგონივრული მოხმობით და მასზე აქცენტის გაკეთებით ნიკო ბერძენიშვილმა მიანიშნა, *„თუ რამდენად ჩამორჩებოდა ქართული ისტორიოგრაფია მოწინავე ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას მხატვრული ლიტერატურის სახით, განსაკუთრებით, რომ ასე ბრწყინვალედ წარმოსდგა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში...“*.[2] ამ მაგალითზე, დაყრდნობით მეცნიერი სავსებით მართებულად ასკვნიდა, რომ იმჟამინდელმა ქართულმა *„მხატვრულმა ლიტერატურამ განუზომლად გაუსწრო ქართულ ისტორიოგრაფიას“*,[3] რომელიც XIX ს. 60-იან წლებსა და მოგვიანებითაც „საზოგადოებრივი განვითარების საკითხში“ კონცეპტუალურად *„ქართლის ცხოვრებისა“* და *„ვეფხისტყაოსნის“* იდეებს ვერ გასცდა.[4]

მაგრამ ქართული საისტორიო აზროვნება არა მხოლოდ იდეოლოგიურ-კონცეპტუალური თვალსაზრისით ჩამორჩებოდა ეპოქას, არა-

---

135; **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 36.

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე 1963 წლის 15 იანვარს. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 5; **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V. თბ., 1971, გვ. 128.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V, გვ. 128.

[3] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V, გვ. 128.

[4] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V, გვ. 129.

მედ ის ინტელექტუალურად და მეთოდოლოგიურადაც შუა საუკუნეებში იყო ჩარჩენილი. მართალია, ვახუშტი ბატონიშვილმა თვისობრივად ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში[1] და ის თითქოს საერთოევროპულ დონეს მიუახლოვა, მაგრამ შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებმა ვერ შეძლეს მისი ნაღვაწის შემოქმედებითი განვითარება და XIX ს. 60-70-იან წლებამდე საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა, ფაქტობრივად, მხოლოდ საწყის სტადიაზე იყო. უფრო მეტიც, თუ პლატონ იოსელიანს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პროფესიონალი ისტორიკოსი არც იყო.[2] სწორედ ამან ათქმევინა, როგორც ჩანს, მოსე ჯანაშვილს, რომ იმ პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ *„სიბნელე, წყუდიადი, მასალების უქონლობა: მატიანეთა, სიგელთა, გუჯართა, ზღაპარ-თქმულებათა გამოუკვლეველობა, კრიტიკულად განუხილველობა“* სუფევდა.[3]

ასეთ ფონზე გამოჩნდა პროფესიონალ-ისტორიკოსთა პლეადა,

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლზე ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ.: **ზ. პაპასქირი.** ვახუშტი ბაგრატიონი – შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფიის გიგანტი. – *საისტორიო ძიებანი.* I. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 1998, გვ. 239-250. იქვე საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურა. იგივე პუბლიკაცია იხ.: აგრეთვე წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 381-392 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf).

[2] აღსანიშნავია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი, საგანგებოდ აღნიშნავდა რა პლატონ იოსელიანის ღვაწლს ისტორიოგრაფიაში, წერდა: *„... ბაქრაძემდე კი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას, ხოლო თუ სცდებოდა, პატიოსნად სცდებოდა; ოღონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერხებოდა!..“* (**ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება. – *ქართული ემიგრანტული ლიტერატურა.* დაბრუნება. მრავალტომეული 1. **ექვთიმე თაყაიშვილი.** ემიგრანტული ნაშრომები. ***გურამ შარაძის*** საერთო რედაქციით. თბ., 1991, გვ. 439. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8727/1/Emigrantuli_Nashromebi.pdf). ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე სულხან ბარატოვი (ბარათაშვილი), რომელმაც დაგვიტოვა საკმაოდ საინტერესო დაკვირვებები საქართველოს ისტორიულ წარსულზე უძველესი დროიდან მონღოლთა ბატონობის დამყარებამდე. იხ. **С. Г. Баратов.** Исторія Грузіи. Тетр. I. СПб., *1865. История Грузии князя С. Баратова*. Тетр. II-III. История средних веков. СПб., 1871. სულხან ბარათაშვილის ისტორიოგრაფიული თვალსაწიერისა და მისი ადგილის შესახებ ისტორიოგრაფიაში დაწვრილ. იხ.: **Г. Натадзе.** Сулхан Баратов как историк. Тифлис, 1934; **გ. ნადირაძე.** ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიიდან. თბ., 2000.

[3] **ვ. დონდუა.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 61.

რომელთა თავდადებული შრომის შედეგად XIX ს. 80-იან წლებსა და XX ს. დამდეგს შეიქმნა მყარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ამ ბაზის კრიტიკულმა ათვისებამ და შემდგომმა შევსებამ კი უკვე მოგვიანებით თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარს ივანე ჯავახიშვილს მისცა საშუალება *„ქართველი ერის ისტორიის“* მრავალტომეულის სახით პირველად წარმოედგინა ეპოქის მოთხოვნების დონეზე გამართული საქართველოს მეცნიერული ისტორია. ამ ფართო მასშტაბის წყაროთმცოდნეობითი (არა მხოლოდ წერილობითი წყაროების, არამედ მატერიალური ძეგლების) კვლევა-ძიების სათავეებთან მარი ბროსესთან ერთად იდგა დიმიტრი ბაქრაძე, მაღალი დონის პროფესიონალი ისტორიკოსი, რომელმაც თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო აზროვნებას და ის თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა.[1] დიმიტრი ბაქრაძის მიერ წამოწყებული ეს დიდი ეროვნული საქმე წარმატებით გააგრძელეს თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა...

სწორედ დიმიტრი ბაქრაძე იყო გზისგამკვალავი სანკტ-პეტერბურგიდან ახალ დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილისთვის ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლის საქმეში. ამ სფეროში ახალგაზრდა ისტორიკოსის საქმიანობის პირველი შედეგები ქართულმა საზოგადოებამ გაიცნო 1890 წელს, როდესაც მან *„ივერიაში“* გამოაქვეყნა *„საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“* წიგნთსაცავებში არსებულ ხელნაწერთა აღწერილობები[2] და გამოსცა *„სამი ისტორიული ხრონიკა“*.[3] ამ დროიდან დაწყებული ექვთიმე თაყაიშვილი სისტემატურად აქვეყნებდა მის მიერ მოძიებულ სხვადასხვა სიგელ-გუჯრებსა და ნარატიულ ძეგლებს, რომელთაც ურთავდა კვალიფიციურ წყაროთმცოდნეობით მიმოხილვას.[4]

---

[1] დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში იხ.: მ. **დუმბაძე.** ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა). ბათუმი, 1950; **გ. ანჩაბაძე.** დიმიტრი ბაქრაძე, როგორც წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. თბ., 1982; **თ. ქორიძე.** დიმიტრი ბაქრაძე. – *თსუ შრომები,* ტ. 338. თბ., 2001 და სხვ.

[2] გაზ.: *„ივერია“,* 1890, №3, №4, №6, №8, №9, №11, №13, №14, №15, №20, №28, №29, №46, №57, №58.

[3] *სამი ისტორიული ხრონიკა.* ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა, გამოცემული ვრცელის წინასიტყვაობით და შედარებით ქართლის ცხოვრებასთან და სხვა ხრონიკებთან ***ექვთიმე თაყაიშვილის*** მიერ. ტფ., 1890.

[4] საკუთრივ ექვთიმე თაყაიშვილი ზედმეტად მოკრძალებით აფასებდა თავის წყაროთმცოდნეობით ძიებებს და მას მხოლოდ „მასალის შეკრებად“ მიიჩნევდა. მის ამგვარ დამოკიდებულებას არ ეთანხმებოდა აკად. ნიკო მარი, რომელიც ე. თაყაიშვილის კაპიტალური გამოცემის (*Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“,* Т. 1, вып 1-4. Тифлис, 1902-

მეტად შთამბეჭდავია ამ პერიოდში (XIX-XX სს. მიჯნა) ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნუსხა. ესაა ათეულობით გამოქვეყნებული სიგელ-გუჯრები,[1] მატიანეები (რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 1884 წელს დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღმოჩენილი *„ქართლის ცხოვრების“* კრებულის ე.წ. მარიამისეული ხელნაწერის – პირველი ვახტანგამდელი ნუსხის – პუბლიკაცია 1906 წელს[2]), შუა საუკუნეების ქართული საერო მწერლობის ცალკეული ნიმუშები (*„ვეფხისტყაოსნით“* დაწყებული აღორძინების ხანის ნათარგმნი ლიტერატურის ძეგლებით დამთავრებული)[3] და სხვ.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მიკვლეულ და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ საისტორიო წყაროთა შორის საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ე.წ. *„აფხაზთა მეფეთა დივანი“*,[4] ანუ „აფხაზთა“ მეფეთა სია,

---

1904; Т. II. Вып. 1. Тифлис, 1906. მოგვიანებით გამოიცა აღნიშნული კორპუსის II ტომი. იხ.: *Описание рукописей „Общества распределения грамотности сред грузинского населения“,* Т. 2, вып. 1-4. Тифлис, 1906-1912) შესახებ წერდა: *„აბა ეს როგორი აღწერილობაა“,* ***ეს ხომ ნამდვილი გამოკვლევაა“ («Какое это описание, ведь это настоящее исследование»***. იხ.: *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..*, გვ. 138; **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და.., გვ. 24; **ალ. ბარამიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი – ქართული მწერლობის მკვლევარი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 140, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) აღსანიშნავია, რომ ამ *„აღწერილობის“* პირველი ტომისათვის ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მარის წარდგინებით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1907 წელს ოქროს მედლით დააჯილდოვა (**გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და.., გვ. 28) ასეთივე აღიარება ერგო რამდენიმე წლის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის მეორე ნაშრომს: *„მასალები კავკასიის არქეოლოგიისთვის“*, რისთვისაც მეცნიერი რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დიდი მედლით დააჯილდოვეს (**რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა). – *ექვთიმე თაყაიშვილი.* 1863-1953. ბიობიბლიოგრაფია. შემდგენლები: ***ვ. გოგილაშვილი, ც. კვაჭაძე.*** თბ., 2010, გვ. 11).

[1] სიგელ-გუჯრების წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ დიდი მეცნიერის ერთ ფრთიან გამოთქმას: *„მატიანენი და ქრონიკები მარტო ჩონჩხია ისტორიისა“*, ხოლო სიგელ-გუჯრები *„სისხლი და ხორცი“. – საქართველოს სიძველენი.* I. ***ექვთიმე თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1899, გვ. IV; **ივ. სურგულაძე**. ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული სამართლის ისტორია. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 186.

[2] *ქართლის ცხოვრება.* მარიამ დედოფლისეული ვარიანტი. (სამი დამატებითურთ). ***ე.თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1906.

[3] ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის შესახებ აღნიშნული მიმართულებით დაწვრილ. იხ.: **ალ. ბარამიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი – ქართული.., გვ. 139-146.

[4] *რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა, რომ–*

რომელიც შეუდგენიათ საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ბაგრატ III-ის კანცელარიაში. ეს არის უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელიც ავსებს *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეებისა და სხვა წერილობითი ძეგლების ცნობებს „აფხაზთა“ სამეფო დინასტიის წარმომადგენლებზე.

მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილი არ იყო ოდენ რიგითი მკვლევარი-წყაროთმცოდნე. ის გახლდათ საქართველოს ისტორიის წყაროების მოძიებისა და გამომზეურების, ზოგადად წყაროთმცოდნეობითი კვლევის დიდი ორგანიზატორი. პირველად ეს ექვთიმემ მკაფიოდ გამოავლინა 1899 წელს, როდესაც გამოსცა *„საქართველოს სიძველენის“* პირველი ტომი.[1] მოგვიანებით, უკვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების შექმნის შემდეგ, მეცნიერმა ფართოდ გაშალა თავისი ნაყოფიერი საქმიანობა ამ მიმართულებით და საზოგადოების ეგიდით გამოსცა იმავე *„საქართველოს სიძველენის“* კიდევ ორი ტომი,[2] აგრეთვე დაარსა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების პერიოდული გამოცემა *„ძველი საქართველო“*.[3]

და მაინც, ექვთიმე თაყაიშვილის ლიდერობა და პოპულარობა იმჟამინდელ ქართულ ინტელექტუალურ სამყაროში, რომლის დადასტურებაც იყო საერთოეროვნული მასშტაბის აკადემიური სტრუქტურის – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების[4] თავმჯ-

---

ლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში. – ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II. ***ე. თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1913, გვ. 28-54.

[1] *საქართველოს სიძველენი.* I. ***ექვთიმე თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1899.

[2] *საქართველოს სიძველენი.* II. ***ექვთიმე თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1909; III. ***ექვთიმე თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1910. 1911 წელს დაუბეჭდიათ აღნიშნული სერიის IV ტომის მხოლოდ პირველი თაბახი, რომელიც მოგვიანებით გამოუცია ს. ჯანაშიას როგორც *„საქართველოს სიძველენის“* III ტომის დამატება. იხ.: *საქართველოს სიძველენი.* ტ. III, დამატება. რედაქტორი ***ს. ჯანაშია.*** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა. ტფ., 1926.

[3] სულ გამოიცა 4 ტომი: *ძველი საქართველო.* საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. I. ***ე. თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1909. *ძველი საქართველო.* საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. II. ***ე. თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1913; *ძველი საქართველო.* საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. III. ***ე. თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1913-1914; *ძველი საქართველო.* საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. IV. ***ე. თაყაიშვილის*** რედაქტორობით. ტფ., 1914-1915.

[4] საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება იშვა *„საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“* წიაღში. ცნობილია, რომ „დედა“ საზოგადოების მესვეურებს არ მოსწონებიათ ახალი საზოგადოების შექმნის იდეა. მათი არგუმენტაცია მეტად მრავლისმთქმელია და ნათლად ადასტუ-

დომარედ არჩევა, მხოლოდ მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობით არ იყო განპირობებული. ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოსათვის უკვე იმ დროს იყო ბევრად მეტი, ვიდრე ერთი თუნდაც წარმატებული მეცნიერი-ისტორიკოსი. ექვთიმე ილიას იდეოლოგიური დასის აქტიურ წევრად და მის უახლოეს თანამებრძოლად მოიაზრებოდა.

ამჯერად, წარმოდგენილი ნაშრომის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას თუნდაც ძალზე სქემატურად მიმოვიხილოთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ექვთიმე თაყაიშვილისადმი და ამ ორი ბუმბერაზი პიროვნების ურთიერთობების მხოლოდ ერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილი (იმჟამად უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი) ილიას პირველად შეხვედრია 1885 წელს სანკტ-პეტერბურგში, ვასო მაჩაბლის ბინაზე, ხოლო უშუალოდ ილიას საახლობლო წრეში ექვთიმე მოხვედრილა 1890 წლიდან, მას შემდეგ, რაც *„ივერიასთან“* თანამშრომლობა დაუწყია. სწორედ ამ დროიდან ხდება ის ილიას ცნობილი „ხუთშაბათობების“[1] მონაწილე.

ახალგაზრდა ისტორიკოსის მაღალმა პროფესიონალიზმმა იმთავითვე მიიპყრო ილია ჭავჭავაძის ყურადღება და ის მალე მისი ერთგვარი კონსულტანტი გამხდარა საისტორიო საკითხებში. ამასთან, უაღრესად საგულისხმოა, რომ, რიგ შემთხვევებში, ე. თაყაიშვილი საკმაოდ თამამად – თითქმის შენიშვნის დონეზე – აძლევდა რჩევას თვით ილიას. ასე მომხდარა მაგალითად, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი ამზადებდა თავის გახმაურებულ კრიტიკულ წერილს *„ქვათა ღაღადი“*. როგორც ცნობილია, ეს წერილი მიმართული იყო სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხური წარმოშობის პროფესორის, ნიკო მარის მასწავლებლის ქეროპე პატკანოვისა *„და აგრეთვე ზოგი სხვა ავტორების წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ლამობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას...“*.[2] თავისი წერილის პირვანდელი ვარიანტი ილიას წაუკითხავს ახლობლების წრეში (ნიკო ცხვედაძე, ნიკო

რებს ექვთიმეს მაღალ რეიტინგსა და ორგანიზატორულ ნიჭს იმჟამინდელ ქართულ ინტელექტუალურ წრეებში: *„ე. თაყაიშვილი მხნე კაცია, ახალ საზოგადოებას მალე დააწინაურებს და ძველი ჩამოგვირჩებაო“*. თუმცა შემდგომ უკან დაუხევიათ და თვითონაც აქტიურად ჩაბმულან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში. იხ.: **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი.., გვ. 38.

[1] სისტემატიური შეკრება-საღამოები ილია ჭავჭავაძის ბინაზე რედაქციისა და ბანკის თანამშრომლებისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ ილიას სხვა მეგობრებიც. როგორც თვით ე. თაყაიშვილი იხსენებდა, *„იმ საღამოებზე ხშირად კითხულობდნენ პოეტებისა და ლიტერატორთა ახალ ნაწარმოებებს, სტატიებს; იყო მსჯელობა იმდროული ქართული საკითხების შესახებ. ყოველი საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომლისთვისაც ღვინო ილიას მუდამ საგურამოს მამულიდან“* მოჰქონდა. – **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე.., გვ. 403.

[2] **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება.., გვ. 437.

ხიზანიშვილი-ურბნელი, ვლადიმერ /პროკოფი/ მიქელაძე...), რომელთა შორის ყოფილა ექვთიმე თაყაიშვილიც.

ილიას წაკითხული ყველას ერთხმად მოუწონებია და *„ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის განუცხადებია“*, რამაც ექვთიმე თურმე ძლიერ გააკვირვა: *„სხვებს თუ არა, – იხსენებს მეცნიერი, – ნიკო ხიზანიშვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ, მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ ილია ზოგ რამეში ცდებოდა. მეტი გზა აღარ იყო და შევეკითხე,*

- თავადო ილია, თუ გაქვთ-მეთქი წაკითხული პატკანოვის წერილი? მიპასუხა, არ წამიკითხავს, მაგრამ ხელთა მაქვს დიმიტრი ბაქრაძის პასუხი იმ წერილზე და იქიდან ამოვკრიბე ყველაფერიო. მერე ვუთხარი: „რასაკვირველია, თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენ წინააღმდეგ მომართულს... ასეთი მჭევრმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვას არავის გამოუმჟღავნებია; შესანიშნავია თქვენი სტილიცა და იუმორიც, მაგრამ ფაქტების აღნუსხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოგედავებიან მოწინააღმდეგენი, რადგან ზოგან მათ იმას მიაწერთ, რაც ნამდვილად არ უთქვამთ-მეთქი.

ილიამ მომიგო: „მე ხომ ვიმოწმებ და ვიყენებ ბაქრაძის პასუხს, მე კი მას ვენდობი და დარწმუნებული ვარ, ის არასოდეს უსწოროს არ იტყვის! (**«Ведь я же ссылаюсь и пользуюсь ответом Бакрадзе, а я его знаю и уверен, что он никогда неправды не скажет!»**) *მე ვუთხარი: „ბაქრაძე, რასაკვირველია, უსწოროს არ იტყვის, მაგრამ თქვენ იმას, რასაც ის ლაპარაკობს ზოგადად „ქართლის ცხოვრების“ უსამართლო კრიტიკის შესახებ, მიაწერთ პატკანოვს. და ეს წვრილმანი აუცილებელია გასწორდეს. მე მაქვს პატკანოვის სტატიის ამონაბეჭდი... მას მოგართმევთ და როდესაც გაეცნობით, თვითონ დარწმუნდებით, რომ თქვენს სხვა მხრივ შესანიშნავ ნაწარმოებში არის თითო-ოროლა ფაქტოლოგიური ხასიათის გაუგებრობა“* (**«Бакрадзе, конечно, неправды не говорит, но то, что он говорит вообще о несправедливой критике «Картлис Цховреба», Вы приписываете Патканову. И эти мелочи необходимо исправить. У меня есть оттиск статьи Патканова, я Вам предоставлю его и когда Вы с ним ознакомитесь, сами убедитесь, что есть кое-какие недоразумения фактического характера в Вашем, в других отношениях замечательном произведении»**).

ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა? მივეცი პატკანოვის წერილი! რასაკვირველია, მადლობა გადამიხადა და გამოიყენა, გაასწორა, მაგრამ მაინც მითხრა, „მე ქართველებისათვისა ვწერ და არა მეცნიერთათ-

ვისაო“. აბა, ილია რომ ამას იტყოდა, სხვებისაგან რაღა იყო მოსალოდ-ნელი? ასე იყო თუ ისე, როდესაც „ქვათა ღაღადი“ (ექვთიმეს შეფასე-ბით – *„შესანიშნავი, ოსტატური პოლემიკური ნაწარმოები, მწვავე სა-ტირითა და იუმორით აღსავსე“) დაიბეჭდა, აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყოლია თან“.*[1]

ექვთიმე თაყაიშვილი თავს იმის უფლებასაც აძლევდა, რომ ზოგ-ჯერ ერთგვარი (რასაკვირველია, მორიდებითა და ტაქტის დაცვით) საყვედური გამოეთქვა ილიას ამა თუ იმ ქმედების გამო. ასე მაგალი-თად, როდესაც (XX ს. დამდეგს) ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი დასმულა, ამ იდეის ინიციატორებს, რომელთა შორის განსა-კუთრებით აქტიურობდა ექვთიმე თაყაიშვილი, გადაუწყვეტიათ ხლე-ბოდნენ კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მეთაურს, მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს. აურჩევიათ საგანგებო დელეგაცია, რო-მელშიც ექვთიმე თაყაიშვილისა და მისი თანამებრძოლების დაჟინებული მოთხოვნით ილია ჭავჭავაძეც შეუყვანიათ. თავდაპირველად თურმე *„ილია უარზე იდგა... – მაგ თქვენი „კეფალიისა“ (ასე უწოდებდა ირონი-ულად ავტოკეფალიას) არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგ ზავნეთო. მაგ-რამ ჩვენ,* – იგონებს ექვთიმე თაყაიშვილი, – *რასაკვირველია, არ მოვეშ-ვით და ბოლოს ვაიძულეთ ილია დათანხმებულიყო. თან, რაც შეგვეძლო, ვუხსნიდით და ვუმარტავდით საქმის არსს.*

ბოლოს ილია წავიდა მეფისნაცვალთან.[2] *დიდხანს ესაუბრნა მას-თან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა, დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მა-შინ დაგიჭერთ მხარსო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საჭი-როც არის და სასარგებლოცაო. მერმე შექნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოგვიტანა ამბავი: „ამ ვორონცოვმა ყველა გარემოება ჩვენზე უკეთ იცის და პირში ბურთი ჩაგვჩარაო; მითხრა, ეკლესია ღმერთს ეხ-ვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებუ-ლი ერთობის დაშლა გსურთო; განა გაგონილა, ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?“ ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე:*

– *„ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი სამარ-თლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინეპოლისა, იერუსალიმისა, ანტი-*

---

[1] **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება.., გვ. 437–438.

[2] ეს შეხვედრა შედგა 1905 წ. 11 ოქტომბერს. – **ლ. ტყეშელაშვილი.** საქართვე-ლოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ისტორიის (აკა-დემიური) დოქტორის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტა-ცია. ქუთაისი, 2012, გვ. 197. იქვე შესაბამისი ლიტ. (http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_tkeshelashvili.pdf).

ოქიისა და ალექსანდრიის-მეთქი?“ ამაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომ-ხედა თვალებში და მიპასუხა:

– „აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და ნუ გამგზავნით-მეთქი?!“ საერთოდ არ ეხალისებოდა აღიარება, თუ რამე-ში შეცდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გამოტყდა...“.[1]

ექვთიმე თაყაიშვილი უკვე ილიას სიცოცხლეში იმ დონის ავტორი-ტეტი იყო, რომ არ ერიდებოდა კამათს ერის უგვირგვინო მეფესთან და ეს უკანასკნელიც ანგარიშს უწევდა თავისი ახალგაზრდა თანამებრძო-ლის აზრს. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია, ექვთიმეს მსჯელობა ილიას წრეში იმ ხმაურთან დაკავშირებით, რომელიც მოჰყოლია ალექსანდრე ცაგარლის *«Мингрельские этюды»*-ის[2] გამოქვეყნებას. ექვთიმე შეუწუ-ხებია იმ ფაქტს, რომ *„ჩვენი საზოგადოება, ილია ჭავჭავაძიდან მოკიდე-ბული, ერთხმად აუმხედრდა და კინაღამ შეჭამეს: მოღალატეა, უნდა მეგ-რელები ჩამოაშოროს საქართველოსაო...“.*[3]

„ერთხელ, – იხსენებს ექვთიმე თაყაიშვილი, – *ილია ჭავჭავაძე, ნი-კო ღოღობერიძე და მე ვბრუნდებოდით საიდანღაც ერთად და ვუთხარი:*

– „ეგ რა გამოდის. გინდათ, რომ მეცნიერმა მეცნიერულად არ იმუშაოს? მეცნიერებაში პოლიტიკა როგორ უნდა გაურიოთ მეთქი?“

– „მეო – მიპასუხა ილიამ – მაგაში არ ვერევიო; ცაგარელის ნაშ-რომი მეცნიერულად როგორია, არ ვკითხულობ, მაგრამ ძალიან კი გვავ-ნო, იანოვსკიმ და სხვებმა დაიხვიეს ხელზე და მოთხრა დაგვიპირესო!“.[4]

ამ თემის ირგვლივ მსჯელობა გაგრძელებულა დავით სარაჯიშ-ვილთან სადილზე, როდესაც ნიკო ღოღობერიძეს წამოუწყია საუბარი ალ. ცაგარელზე.

– „რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში მეცნიერებამ, რასაც მეცნი-ერული თვალით ხედავს, იგი აღიაროს, თუ დამალოსო?“ – უკითხავს ნ. ღოღობერიძეს. ამის საპასუხოდ ექვთიმეს შემდეგი კომენტარი გაუ-კეთებია:

– „თუ კი მეცნიერება რასმე უჩვენებს, როგორ უნდა მოიტყუოს და პოლიტიკა გამოურიოს...? ახლა მარსაც ასე აუხირდენ, ცილს წამე-ბენ და ეს კი არაა სწორი...“.

– „მე არ ვიცი, მეცნიერულად როგორაა ცაგარელის მოსაზრება, – ჩარეულა საუბარში ილია, – *მაგრამ ის კი ვიცი, რომ მაგან ძალიან გვავ-ნო, თითქმის ერთიანად ჩამოგვაშორა სამეგრელოო. კარგია, რომ თითონ*

---

[1] **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება.., გვ. 409.

[2] იგულისხმება ალ. ცაგარლის ცნობილი გამოცემა: *Мингерельские этюды*. Первый выпуск. Мингрельские тексты. С переводом и обяснениями. Собранные и изданные ***Ал. Цагарели.*** СПб., 1880.

[3] **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება.., გვ. 444.

[4] **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება.., გვ. 444.

იქაურმა ხალხმა არ მიიღო, სამღვთო წერილი რომ გადაუთარგმნეს, ად-გნენ და გამოვიდნენ ეკლესიიდან, როცა მეგრულად დაიწყო წირვაო...“.[1]

იმ დროს ქართული საზოგადოება არანაკლებ პოლიტიზირებული იყო და ხშირად იდგა ერთგვარი დილემის წინაშე – რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მეცნიერულ ჭეშმარიტებას თუ პოლიტიკურ მიზანშეწონილობას. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მისი კომენტარიდან ჩანს, აშკარად წინააღმდეგი იყო ამა თუ იმ მეცნიერული პრობლემის ზედმეტი პოლიტიზირების. ზუსტად ასეთივე პოზიცია ეკავა ამ საკითხში ივანე ჯავახიშვილსაც, რომელსაც, როგორც ვნობილია, მოუწია ღია პოლემიკის გამართვა თვით იაკობ გოგებაშვილთან.[2] ყოველივე ეს, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს ნაკლებად მიჰქონდათ გულთან ეროვნული სატკივარი. პირიქით, მთელი მათი მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო სწორედ რომ სამშობლოს სატკივარითა და როგორ უნდა იდგე მედგრად ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. ქართველობის ეს მისია მკაფიოდააა გამოხატული ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართვაში (1922 წლის 26 მაისი), რომლის ერთ-ერთი ავტორი ექვთიმე თაყაიშვილიც იყო: ***„ერი ყოველ წუთს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი გუშაგი უნდა ფხიზლობდეს... და ასე განუწყვეტლივ გრძელდებოდეს ბრძოლა საქართველოს გათავისუფლებამდის!“.***[3]

სამშობლოზე ზრუნვისა და საქვეყნო საქმისათვის თავდადების ამ ილიასეული სულისკვეთებით გამსჭვალული შეუდგა ექვთიმე თაყაიშვილი მისივე რუდუნებით შექმნილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელობას, რომელმაც გაშალა ფართო სამუშაოები საქართველოს სიძველეთა შესასწავლად. ექვთიმე თაყაიშვილი იყო ინიციატორი და სულისჩამდგმელი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ განხორციელებული პროექტებისა, რომელთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი.

ამ სფეროში პირველი „ნათლობა“ ექვთიმეს ჯერ კიდევ XIX ს. 80-იანი წლების მიწურულს მიუღია, როდესაც დიმიტრი ბაქრაძის დავალებითა და საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის ნებართვით (1889

---

[1] **ექვთიმე თაყაიშვილი.** ილია ჭავჭავაძე. მოგონება.., გვ. 444–445.

[2] **ივ. ჯავახიშვილი.** მამულიშვილობა და მეცნიერება. – *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. XII. თბ., 1996, გვ. 64–87.

[3] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქმ. № 1305, ფურც. 17; **ო. ჯანელიძე.** ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ., 2002, გვ. 436-437; **ო. ჯანელიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე. – *ექვთიმე თაყაიშვილი – 150.* კრებულის ავტორი და შემდგენელი ***ბ. კობაძე***. თბ., 2013, გვ. 906-907, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

წელს) გათხრითი სამუშაოები ჩაუტარებია მცხეთაში – ბაგინეთში.[1] 1894 წელს საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ მას შესთავაზა ნიკო მარის მიერ დებედას ხეობაში – სოფელ ვორნაკში დაწყებული წინაქრისტიანული სასაფლაოს გათხრითი სამუშაოების გაგრძელება, რომელიც ძალზე წარმატებული გამოდგა[2] და მას დიდი გამოცდილება შესძინა.[3] ასე, თანდათანობით, ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი არქეოლოგი. უფრო მეტიც, თვით ე. თაყაიშვილის აღიარებით, „1917 წლის რევოლუციამდე“ სწორედ ის ყოფილა „თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც (რუსეთის) არქეოლოგიური კომისიის დავალება-ნებართვით“ აწარმოებდა „თხრას საქართველოში“.[4]

შემდგომ იყო კიდევ ერთი დიდი ეროვნული წამოწყება – ქართული უნივერსიტეტის დაარსება, რომელშიც სრულიად განსაკუთრებულია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი. უთუოდ სიმბოლურია, რომ უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველ შეკრებას, რომელიც შედგა 1917 წ. 12 მაისს თბილისში, ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა.[5] ამაშიც წარმოჩინდა ექვთიმეს, როგორც იმდროინდელი ქართული ინტელექტუალური ელიტის აღიარებული თავკაცის ავტორიტეტი. სწორედ ამ შეკრებაზე დაარსდა *„ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“* საზოგადოება, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

უნივერსიტეტის დაარსებით იწყება ექვთიმე თაყაიშვილის აკადემიური მოღვაწეობის ახალი ეტაპი. ის იმთავითვე არჩეულ იქნა ახლადგახსნილი უნივერსიტეტის პროფესორად, ხოლო 1918 წ. მაისში უნივერსი-

---

[1] **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 101;

[2] აღნიშნული სამუშაოების აღწერა იხ. ექვთიმე თაყაიშვილის თანაშემწის დავით ქუთათელაძის *„რაპორტში“*, რომელიც გამოაქვეყნა გ. ლომთათიძემ. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 117-119.

[3] **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი, გვ. 103; **რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა), გვ. 15-16.

[4] *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..*, გვ. 374; **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი როგორც მთხრელი არქეოლოგი. – *აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა.* სტატიების კრებული. თბ., 1966, გვ. 104.

[5] *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და..*, გვ. 416-417; **ე. ლილუაშვილი.** ქართული კულტურა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918-1921 წლებში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ., 2006, გვ. 37 (http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000071/e.liluaSvilis%20disertacia.pdf).

ტეტის საბჭომ მას დისერტაციის დაუცველად (Honoris causa) დოქტორის ხარისხიც მიანიჭა.[1] ექვთიმეს საუნივერსიტეტო პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი სფერო არქეოლოგია იყო, თუმცა მისი სასწავლო კურსი მოიცავდა აგრეთვე უძველეს წარწერებს; ქართული მწერლობის სხვა ნაშთებს – ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს; საქართველოს ეკლესია-მონასტრების მოკლე ისტორიას და ა.შ.[2]

1918 წლის 26 მაისს აღსრულდა ქართველი ერის ნანატრი ოცნება – აღსდგა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლის წინა ხაზზე აღმოჩნდა. იგი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, რომლის იდეოლოგიური მრწამსი და მოქმედების პროგრამა თვით ილიას მიერ იყო შემუშავებული, დამფუძნებელი წევრი და მისი ერთ-ერთი პოლიტიკური სახე, გახდა საყოველთაოდ არჩეული პირველი ქართული პარლამენტის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატი და მისი თავმჯდომარის მოადგილე.

შემდეგ კი იყო პოლიტიკური ემიგრაციის თითქმის 25-წლიანი მოწამეობრივი ცხოვრება, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნება სიცოცხლეშივე ლეგენდად აქცია. მან უმძიმეს პირობებში – დიდ მატერიალურ სიდუხჭირეში – უპატრონა ეროვნულ საგანძურს და არ დაუშვა, რომ საქართველოს დაჰკარგვოდა თავისი საუნჯე. ეს იყო თავგანწირული ბრძოლა შეუდრეკელი ერისკაცისა, რომელიც ჭეშმარიტ გუშაგად მოევლინა ეროვნულ სიწმინდეებს. ვინ არ გადაეღობა მას ამ გზაზე. მსოფლიოს სახელგანთქმული ნიუ იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმები ცდილობდნენ, დაუფლებოდნენ განძის მცირე ნაწილს მაინც.[3]

„ქართული საგანძურის უიარაღო მცველი მტკიცე უარით ისტუმრებდა ყოველ მოვაჭრეს და პასუხობდა: *„ქართული ისტორიული განძი წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნულ საკუთრებას და ყოველი ყუთი დალუქულია საქართველოს სახელმწიფო და სამუზეუმო ბეჭდებით; მე კი ... ამ ნივთებზე მცველ-მეთვალყურის მოვალეობას ვასრულებ და მესაკუთრის უფლებით არ ვარ აღჭურვილი“*.[4] ყველაზე დიდი საფრთხე ეროვნულ საგანძურს კი დამუქრებია 1934 წ. მარტში, როდე-

---

[1] **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 45. აღსანიშნავია, რომ ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილს დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება ოფიციალურად დაუმტკიცა სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1949 წ. 17 სექტემბერს. **გ. ლომთათიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 51.

[2] **რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და ...), გვ. 12.

[3] *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..*, გვ. 408–409; **რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და.., გვ. 21.

[4] **გ. ამირანაშვილი.** ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური. – გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* 13.07.2013.

საც სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკო დადიანის ასულს სალომე დადიანი-ობოლენსკაიას განუცხადებია პრეტენზია სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან გატანილ განძეულობაზე. მაგრამ ფრანგულმა სასამართლომ გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის დეკრეტის საფუძველზე სამეგრელოს მთავრის ნიკო დადიანის მოძრავი და უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა, უარი უთხრა მოსარჩელეს.[1]

ემიგრაციის წლები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ექვთიმე თაყაიშვილისათვის სამეცნიერო კუთხით. მან მოიძია და გამოაქვეყნა საფრანგეთის საცავებში შემონახული ქართული ხელნაწერები.[2] სხვა პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია მასალები არქეოლოგიურ ექსპედიციებზე ლეჩხუმ-სვანეთსა[3] და კოლა-ოლთისში[4] და ა.შ. გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა არაერთი საინტერესო წერილი საქართველოს ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე სხვადასხვა ფრანგულ და ინგლისურ სამეცნიერო გამოცემებში.[5] ექვთიმე თაყაიშვილის მაღალი ავტორიტეტი სათანადოდ იქნა დაფასებული საფრანგეთის სამეცნიერო წრეების მიერ. 1922 წელს ის არჩეულ იქნა პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების, 1925 წელს კი საფრანგეთის სააზიო საზოგადოების ნამდვილ წევრად. მან დაარსა და 1937-1939 წლებში ხელმძღვანელობდა *„ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდს“*, იყო ლონდონში გამომავალი ქართველოლოგიური სამეცნიერო პერიოდული გამოცემის *“Georgica”*-ს სარედაქციო საბჭოს წევრი.

ემიგრაციის მძიმე წლებმა ვერ გასტეხა დევნილი მეცნიერი. მან არა ერთ დარტყმას გაუძლო. განსაკუთრებული ტკივილი მიაყენა ექვთიმეს საყვარელი მეუღლის ნინო პოლტარაცკაიას – ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობრის ივანე პოლტარაცკის ასულის (თავის დროზე სწორედ ილია იყო მათი დაქორწინების ინიციატორი) – გარდაცვალებამ 1931 წელს. ასე დადგა 1944 წ. ნოემბერი, როდესაც გამოიკვეთა მეორე მსოფლიო ომის დასრულების კონტურები. ანტიჰიტლერულ კოალიციაში აქტიურად ჩართული საფრანგეთი და მისი ენერგიული ლიდერი გენერალი შარლ დე გოლი ემზადებოდა სტალინთან შესახვედრად. ასეთ ვითა-

---

[1] *ექვთიმე თაყაიშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და მოგონებანი..*, გვ. 409–410; **რ. მეტრეველი.** ექვთიმე თაყაიშვილი (სამეცნიერო და ..., გვ. 21.

[2] **ექვთიმე თაყაიშვილი.** პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. პარიზი, 1933.

[3] **ექვთიმე თაყაიშვილი.** არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.

[4] **ექვთიმე თაყაიშვილი.** არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი, 1938.

[5] სრული სია იხ.: *ექვთიმე თაყაიშვილი.* 1863-1953.., გვ. 70–73.

რებაში ექვთიმე თაყაიშვილმა ჩასთვალა, რომ შეიქმნა ხელსაყრელი ფონი საქართველოს ეროვნული საგანძურის სამშობლოში დაბრუნებისათვის და ამ საკითხის ზონდირებისათვის აუდიენცია სთხოვა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ალექსანდრე ბოგომოლოვს. მან აუხსნა ელჩს საქმის ვითარება და გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ დე გოლის სახელზე.

მართლაც, დე გოლის მოსკოვში ვიზიტისას (1944 წლის 2-10 დეკემბერს) ამ საკითხზე სათანადო გადაწყვეტილება მიუღიათ და მალე საფრანგეთში სპეციალური დელეგაცია გაემგზავრა პარტიული ფუნქციონერის, იმჟამად იდეოლოგიის დარგში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პეტრე შარიასა და ქართული ხელოვნების აღიარებული მკვლევრის, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის შემადგენლობით, რომელიც თავის დროზე (ჯერ კიდევ სტუდენტი) ეხმარებოდა თავის მასწავლებელს – ექვთიმე თაყაიშვილს საზღვარგარეთ გასატანი სამუზეუმო ნივთების აღწერასა და ჩალაგებაში. ქართულმა დელეგაციამ პარიზში წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მისიას და უზრუნველყო ეროვნული საგანძურის სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება. ამასთან, პეტრე შარიასა და შალვა ამირანაშვილის[1] სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან ვიაჩესლავ მოლოტოვთან მიღწეული შეთანხმების შედეგად მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება საგანძურის მცველის ექვთიმე თაყაიშვილის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე.[2]

და აი, 1945 წ. 11 აპრილს თბილისის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომელსაც ეროვნულ საგანძურთან ერთად ჩამოჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი. საქართველოს დაუბრუნდა მისი მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი დიდი მამულიშვილი, რომელმაც თავის სამშობლოს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. საბჭოთა საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავდაპირველად სათანადო პატივი მიაგო ექვთიმე თაყაიშვილს. უკვე 1945 წ. მაისში ის კვლავ ხდება თბილისის სახელმწიფო უნი-

---

[1] აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აკად. შალვა ამირანაშვილის განსაკუთრებული წვლილი ქართული საგანძურის დაბრუნების საქმეში. ეს მან, იმჟამად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის „მეტეხის“ დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, 1944 წლის 22 ოქტომბერს (მოსკოვში, აკადემიის სამეცნიერო სესიაზე ყოფნისას) წერილი გაუგზავნა სტალინს, რომელშიც თხოვდა საბჭოთა ლიდერს დე გოლთან შეხვედრის დროს აღეძრა საკითხი „საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ქართველი ერის საკუთრების, ისტორიული სამუზეუმო განძეულობის საქართველოში დაბრუნების შესახებ“. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **შ. ამირანაშვილი.** საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეულო განძეულობა და მისი დაბრუნება. თბ., 1968; **გ. ამირანაშვილი.** ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური. – გაზ. *„საქართველოს რესპუბლიკა“.* 13.07.2013.

[2] **გ. ამირანაშვილი.** ქართველი ხალხის ისტორიული საგანძური...

ვერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1946 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

თითქოს ყველაფერი ლოგიკურად მიდიოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ ეძინა. საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმი ჯერ კიდევ მძლავრობდა და რეპრესიული მანქანაც ძველებურად მუშაობდა. კაცთმოძულე რეჟიმმა მაინც ვერ იგუა ექვთიმეს დონის ეროვნული მოღვაწე, რომელიც სავსებით სამართლიანად ზნეობრივ გმირად აღიქვა ქართულმა საზოგადოებამ. დაიწყო ექვთიმეს დევნა. იგეგმებოდა მის ფიზიკური განადგურება. 90 წელს მიტანებულმა ზეკაცმა ვერ გაუძლო ამ არადამიანურ რეპრესიულ წნეხს და 1953 წ. თებერვალში ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლა.

„წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...“ – ასე შეაფასა გენიოსმა პოეტმა ილია ჭავჭავაძის წასვლა ამ ქვეყნიდან.[1] თამამად შეიძლება იგივეს გამეორება ექვთიმესთან დაკავშირებითაც. მართლაც მისი გარდაცვალებით დასრულდა ეპოქა დიდი – ეპოქა ღმერთკაცის ექვთიმე თაყაიშვილისა. სწორად ბრძანებდა მეორე გენიოსი: *„სამმა დიდმა მამულიშვილმა კიდევ ერთხელ დაამშვენა ჩვენი საქართველო. ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს ძველ ეპოქებში რომ ეცხოვრათ, მათ უეჭველად წმინდანებად შერაცხდა ჩვენი ხალხი და ჩვენი ტაძრების ძვირფას ფრესკებს მიემატებოდა სამი სათაყვანებელი ხატება“*.[2]

დიდოსტატ კონსტანტინეს ეს სიტყვები ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მადლიერმა შთამომავლობამ ექვთიმე თაყაიშვილს სამარადჟამოდ მიუჩინა კუთვნილი ადგილი საქართველოსათვის დამაშვრალ გმირ მამულიშვილთა[3] გალერეაში და „ჩვენი ტაძრების ძვირფასი ფრესკები“ მართლაც დაამშვენა საქართველოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხული ილია მართლისა და ექვთიმე ღვთისკაცის სათაყვანებელმა ხატებმა.

---

[1] **გალაკტიონ ტაბიძე.** წიწამურში რომ მოკლეს ილია. – *გალაკტიონ ტაბიძის ხუთტომეული.* ტ. I. *პოეზია.* თბ., 2011, გვ. 201.

[2] **კონსტანტინე გამსახურდია.** საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. – *რჩეული თხზულებანი.* ტ. VII. თბ., 1965, გვ. 305.

[3] 2013 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით ექვთიმე თაყაიშვილი, სხვა გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად, რომელთა შორისაა კათოლიკოსი ამბროსი ხელაიაც, ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს ეროვნულ გმირად.

კაცი – თანადგომის იშვიათი უნარით. *აკადემიკოსი როინ მეტრეველი*[*]

ამ რამდენიმე წლის წინ განათლების საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიმიწვია თავის ღონისძიებაზე წყნეთში. ეს იყო რაღაც სემინარის მსგავსი, რომელშიც უცხოელებიც (ძირითადად აშშ-იდან) მონაწილეობდნენ. ღონისძიების ფორმატით გათვალისწინებული იყო ვიდეო-ინტერვიუების ჩაწერა. ინტერვიუ ჩამომართვეს მეც (დაახლ. 45 წუთი). ინტერვიუს თემა ძირითადად იყო ჩემი საგანმანათლებლო საქმიანობა. ინტერვიუორი გახლდათ ამერიკელი. ერთ-ერთი პირველი კითხვა, რომელიც მან დამისვა, ეხებოდა სტუდენტობის პერიოდს. კერძოდ, ამერიკელმა სპეციალისტმა მკითხა: როგორც მომავალ ისტორიკოსს, მყავდა თუ არა მისაბაძი პიროვნება-კუმირი არჩეული დარგის წარმატებული ახალგაზრდებიდან. თავდაპირველად მე შევყოვნდი, მაგრამ უმალ მოვეგე გონს და რიხიანად, ცოტა არ იყოს ერთგვარი თავის მოწონებითაც, ვუპასუხე: *„დიახ, მყავდა, ეს გახლავთ ამჟამად ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომელიც მაშინ ქართველი ახალგაზრდობის აღიარებული ლიდერი იყო და ამავე დროს წარმატებული მეცნიერი“.*

მართლაც, არამარტო ჩემთვის, არამედ XX ს. 60-იანი წლების II ნახევრის თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა დიდი უმრავლესობისათვის, როინ მეტრეველი ნამდვილად იყო კუმირი. ცოდვა გამხელილი სჯობს, ჩვენ მაშინ ყველას (ყოველი შემთხვევისათვის მე, რომელიც თავს ჯერ კიდევ „ჭეშმარიტ კომკავშირლად“ ვთვლიდი)[1] გვხიბლავდა მისი წარმატებული პოლიტიკური კარიერა და გვეამაყებოდა, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი თსუ ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყო და, როგორც აღმოჩნდა, ამავე დროს მშობლიურ უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ფაქტი: 1967 წ. 17

---

[*] გამოქვეყნებულია აკადემიკოს როინ მეტრეველის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში: *ქვეყნის სიყვარულში განვლილი წლები.* თბ., 2014, გვ. 227-255. ამჯერად იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებებით.

[1] საბედნიეროდ, ეს „საყმაწვილო სენი“ მე უკვე I კურსზევე „მოვიხადე“, მყარად ანტიკომუნისტურ „პატრიოტულ რელსებზე“ შევდეგი და „სხვაგვარად მოაზროვნე“ («инокомыслящий») გავხდი (თუმცა „დისიდენტი“ არასოდეს ვყოფილვარ და მოგვიანებით – ახალგაზრდას მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარის რანგში – უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრობასაც არ ვთაკილობდი). ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამაში გადამწყვეტი როლი ჩვენმა იმჟამინდელმა პროფესურამ ითამაშა.

სექტემბერია, მე, ისტორიის ფაკულტეტის *„ხელოვნების ისტორიის“* სპეციალობის I კურსის სტუდენტი,[1] პირველად გავეშურე უნივერსიტეტში. საღამოს 7 საათი ხდებოდა,[2] საცაა ლექცია უნდა დაიწყოს (ახლაც კარგად მახსოვს: ეს იყო პროფ. ოთარ ჯაფარიძის ლექცია *„არქეოლოგიის საფუძვლებში“*), მაგრამ მოულოდნელად შუქი ჩაქრა და იმ საღამოს მეცადინეობები ჩაიშალა, რამაც მე გული ძალიან დამწყვიტა. გიხუმრია, 17 წლის ყმაწვილი, რაიონიდან ჩამოსული, გახარებული იმით, რომ ის ქვეყნის პირველი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა და ასეთი გაწბილება – პირველივე დღე ჩაუმწარდა. და აი, აქ, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის I სართულზე, ვხედავ, დეკანატის მიმართულებით მოდის, არც მეტი არც ნაკლები, თვით როინ მეტრეველი, რომელსაც, როგორც ჩანს, ასევე ლექციაზე მიეჩქარებოდა. მაშინ პირველად ვნახე ცოცხალი როინ მეტრეველი (მანამდე საგაზეთო სურათებში და ტელევიზიიდან თუ მენახა). ამან ერთგვარად გამომიყვანა დათრგუნული მდგომარეობიდან.

მაგრამ ბატონი როინის ისტორიკოსობის ამბავი მე უფრო ადრიდან ვიცოდი. მასზე სიამაყით საუბრობდა მისი დიდი მასწავლებელი, ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იმჟამად თსუ ისტორიის ფაკულტეტის დეკანი და საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფ. შოთა მესხია,[3] რომელსაც მაგალითად

---

[1] ეს ჯგუფი პირველად 1967 წელს გაიხსნა ისტორიის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. შოთა მესხიას ინიციატივით და თავდაპირველად მე სწორედ ამ სპეციალობაზე მოვხვდი. თუმცა ისე გამოვიდა, რომ *„ხელოვნებათმცოდნეობის“* სპეციალობაზე ერთი დღეც არ მისწავლია, ვინაიდან *„ისტორიის“* სპეციალობაზე ჩარიცხული ერთ-ერთი სტუდენტი (რეზო ეგაძე – შემდგომში ცნობილი კინომცოდნე, ჟურნალისტი) იმთავითვე გადავიდა ახლადგახსნილ განყოფილებაზე, ხოლო მისი ადგილი მე დავიკავე.

[2] როგორც ცნობილია, სწავლების პირველ წელს *„ხელოვნებათმცოდნეობის“* სპეციალობა საღამოს განყოფილების რეჟიმში ფუნქციონირებდა.

[3] აქ უნდა განვმარტო, რომ ჩემი ისტორიკოსობა გადაწყდა მესხიების ოჯახში, რომელშიც მე (ბატონი შოთას შორეული ნათესავის „სტატუსით“ – ჩემი გამზრდელი ბებია მესხია იყო და მისი მამის, სამსონ მესხიასა და ამბაკო /ბ-ნი შოთას მამის/ მესხიას ოჯახებს დიდი ახლობლობა აკავშირებდა ობუჯიდან) შევდგი ფეხი 1967 წლის გაზაფხულზე. ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: **ზ. პაპასქირი.** დიდი მეცნიერის გახსენება. შოთა მესხია. – *საისტორიო ძიებანი.* VIII-IX. წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. თბ., 2006, გვ. 44-47 (http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006). აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 575-577 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf).

მოჰყავდა თავისი სახელოვანი მოწაფის წარმატებული საქმიანობა სამეცნიერო ასპარეზზე. რ. მეტრეველის ავტორიტეტი ერთი-ორად ამაღლდა ჩემში, როდესაც გავიგე, რომ ის დავით აღმაშენებლის ეპოქას იკვლევდა და უკვე წიგნიც ჰქონდა გამოცემული.[1] ჩემზე არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე კიდევ ერთმა ფაქტმა: როინ მეტრეველს თურმე თავის თანაკურსელთან – შოთა ბადრიძესთან (შემდგომში ასევე ცნობილი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)[2] ერთად, – ჯერ კიდევ სტუდენტს, – გამოუქვეყნებია წიგნი ექვთიმე თაყაიშვილზე.[3] იმ დროისათვის ეს იყო მეტად არაორდინარული მოვლენა, ერთგვარი სენსაცია, რომელმაც სტუდენტი ისტორიკოსების მომდევნო თაობებისათვის კარგა ხნის მანძილზე (ჩემი სტუდენტობის პერიოდში ნამდვილად ასე იყო) ორივე ეს პიროვნება ნადვილ კუმირებად აქცია. აქ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახალგაზრდა ისტორიკოსების ეს მოკრძალებული ნაშრომი, ფაქტობრივად, იყო პირველი პუბლიკაცია მანამდე ხელისუფლების მიერ შერისხული დიდი ერისკაცის მოწამეობრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს კი იმდროინდელი კომუნისტურ-ტოტალიტარული იდეოლოგიური კონიუნქტურის პირობებში ინტელექტთან ერთად უდავოდ გარკვეულ მოქალაქეობრივ გამბედაობასაც მოითხოვდა. გარდა ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ დამწყებ ისტორიკოსთა ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტიოგრაფიული ღირებულება.

შემდეგ, ერთი პერიოდი, როინ მეტრეველი ჩემი ჰორიზონტიდან თითქოს გაქრა, თუმცა მის კარიერულ წინსვლას ალალად ვგულშემატკივრობდი. მის კაცობაზეც ბევრი რამ კარგი მესმოდა. ამაში მე თვითონაც დავრწმუნდი 1972 წ. გაზაფხულზე პროფ. შოთა მესხიას ავადმყოფობის პერიოდში. ბატონმა როინმა, რომელსაც მაშინ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა და უკვე გავლენიან ფიგურას წარმოადგენდა საქართველოს პარტიულ-პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მისი ძვირფასი მასწავლებლის მიმართ სამედიცინო პერსონალს გამოეჩინა მაქსიმალური ყურადღება და მას არ მოკლებოდა საჭირო (მათ შორის დეფიციტური, ძვირადღირებული) მედიკამენტები. ის თვითონაც მოდიოდა საავადმყოფოში და ამხნევებდა თავის აღმზრდელს. მეც მომიკრავს თვალი

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით აღმაშენებელი. სახელმწიფოებრივი რეფორმები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში. თბ., 1965.

[2] შ. ბადრიძის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** შოთა ბადრიძის გახსენება. – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 596-600.

[3] **რ. მეტრეველი. შ. ბადრიძე.** ექვთიმე თაყაიშვილი. *ცხოვრება და მოღვაწეობა.* თბ., 1962.

ბატონი როინისთვის – „ლეჩკომბინატის“ ეზოში მაშინ, როდესაც შოთა მესხია უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ვაგლახ, რომ ყოველივე ეს ამაო გამოდგა. თავისი მადლიერება უდროოდ გარდაცვლილი მასწავლებლისადმი მისმა უსაყვარლესმა მოწაფემ, გამოხატა გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნით,[1] რომელშიც მან გარდა იმისა, რომ მაღალ აკადემიურ დონეზე გაანალიზა შ. მესხიას მრავალფეროვანი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, უდიდესი პატივისცემა და ადამიანური სითბოც ჩააქსოვა.

ამ ტრაგიკულ დღეებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, სადღაც 1971 წ. დამდეგს „შედგა“ ჩემი „ნაცნობობა“ როინ მეტრეველთან, როგორც მეცნიერი-ისტორიკოსთან. IV კურსის სტუდენტი ვიყავი. დავინტერესდი დემეტრე (დემნა) უფლისწულის პიროვნებით და ამ თემაზე სტუდენტური კონფერენციისათვის მოხსენების მომზადება გადავწყვიტე. ჩემი ეს განზრახვა გავანდე ბატონ შოთა მესხიას. მან მომიწონა და მირჩია, პირველ რიგში, გავცნობოდი ამ საკითხისადმი მიძღვნილ როინ მეტრეველის ნაშრომს, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალ *„მნათობში“*.[2] ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი (დღევანდელი გადასახედიდანაც), რომ ეს პუბლიკაცია იყო ნამდვილი გზამკვლევი, რომელიც იძლევა სრულ ინფორმაციას XII საუკუნის საქართველოს შინაპოლიტიკური ისტორიის ამ ურთულეს პრობლემაზე, მისი შესწავლის წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ბაზაზე. მე, შეძლებისდაგვარად, თავი მოვუყარე რ. მეტრეველის სტატიაში მითითებულ მასალებს და მართლაც მოვამზადე ნაშრომი, რომელიც უკეთეს შემთხვევაში იყო საკმაოდ კვალიფიციურად გაკეთებული კომპილაცია სწორედ ბატონი როინის ზემოხსენებული პუბლიკაციისა (ყოველი შემთხვევისათვის, ბატონმა შოთამ, რომელმაც წაიკითხა ჩემი „ნაცოდვილარი“, ის მოიწონა და ნება დამრთო გამეტანა სტუდენტთა კონფერენციაზე). მე დღესაც ვამაყობ იმით, რომ ჩემი სამეცნიერო შრომების ნუსხა სწორედ ამ სტუდენტური მოხსენების გამოქვეყნებული თეზისებით იწყება.[3]

მოგვიანებით, უკვე საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის პერი-

---

[1] **რ. მეტრეველი.** შოთა მესხია. თბ., 1976.

[2] **რ. მეტრეველი.** ერთი ფურცელი ფეოდალური საქართველოს შინაკლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან (ორბელთა ამბოხება). – *მნათობი.* №4, 1969.

[3] **ზ. პაპასქირი.** დემეტრე უფლისწულის აჯანყების შეფასების საკითხისათვის. – *თსუ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის (XXXIII) მოხსენებათა თეზისები.* თსუ გამომცემლობა. თბ., 1971. სხვათა შორის, ეს პუბლიკაცია თემატურად ახლოს იყო ჩემს საკანდიდატო დისერტაციასთან და ამიტომაც ავტორეფერატშიც კი მივუთითე. იხ.: **З. В. Папаскири.** Грузия и Восточная Европа в XI-XII вв. *Из истории международных отношений.* Автореферат кандидатской диссертации. Изд. МГУ. М., 1978, გვ. 27.

ოდში მე ასევე „მივეჯაჭვე“ ბატონი როინის შემოქმედებას. ამჯერად, ჩემი საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, მომიწია თამარ მეფის პირველი თანამეცხედრის, რუსი მთავრის იური ანდრიას ძის პოლიტიკური რეაბილიტაციის მიზნით მოწყობილი აჯანყების პერიპეტიებისადმი მიძღვნილი ნარკვევის[1] (რომელიც შესულია მეცნიერის სადოქტორო დისერტაციაში)[2] დამუშავება. ამ შემთხვევაშიც რ. მეტრეველის ეს ნაშრომი (პროფ. იასე ცინცაძის მონოგრაფიასთან[3] ერთად) იქცა ჩემს მთავარ გზამკვლევად მოცემული მიმართულებით კვლევა-ძიებისას. გარდა ამისა, მე საკვალიფიკაციო ნაშრომში გავატარე შოთა მესხიასა და როინ მეტრეველის თვალსაზრისი იური ანდრიას ძის აჯანყების მამოძრავებელ ძალებსა და მისი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის შესახებ, რამაც იმ პერიოდში მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის (ფეოდალიზმის ხანის) კათედრის (რომლის ასპირანტიც მე გავხდი 1972 წ. დეკემბერში) თვით იმ წამყვან სპეციალისტთა მოწონებაც კი გამოიწვია, რომლებიც თავიდან სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ჩემთვის საკადიდატო დისერტაციის თემად XII საუკუნის საქართველო-ძველი რუსეთის ურთიერთობების შერჩევისადმი. მათ განსაკუთრებით ესიამოვნათ, რომ იური ანდრიას ძეს საქართველოში სულაც არ უჭერდნენ მხარს მხოლოდ და მხოლოდ „რეაქციული ძალები“, არამედ მის უკან პროგრესული იდეების მატარებელი საქალაქო წრეებიც იდგნენ.[4]

---

[1] **რ. მეტრეველი.** სოციალური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ფეოდალურ საქართველოში (იური ანდრიას ძეს აჯანყება). – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №4, 1973.

[2] **რ. მეტრეველი.** შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.). თბ., 1973.

[3] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან. *X–XVI საუკუნეები.* თბ., 1956.

[4] ეს ინიციატივა მოდიოდა ჩემი პირველი მეცნიერ-ხელმძღვანელის, გამოჩენილი რუსი ისტორიკოსისა და არქეოლოგის, კიევის ეპოქის რუსეთის ისტორიის აღიარებული მკვლევრის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. ბორის რიბაკოვისაგან (ის იმჟამად, შეთავსებით, მოსკოვის უნივერსიტეტის ზემოხსენებული კათედრის პროფესორიც იყო). მან პირველი შეხვედრისთანავე შემომთავაზა მუშაობა გიორგი რუსზე (აღსანიშნავია, რომ ბატონმა ბორისმა ეს აზრი მეტად საინტერესო ფორმით გამოხატა – *„მოდით, დავწეროთ გიორგი რუსზე“ («Будем писать о Георгие Руси»)*, ანუ რუსულად კი არ თქვა, დავუშვათ: «о Георгие Русском», არამედ რუსული – «Русский»-ს ნაცვლად იხმარა ქართული – **«Руси»**, რამაც მე იმთავითვე სიმპატიურად განმაწყო ჩემი მომავალი ხელმძღვანელისადმი). კათედრის წევრთა ერთი ნაწილი ამ იდეას არ მიესალმა. მათ შორის იყო ანატოლი სახაროვი, ავტორიტეტული მეცნიერი (შემდგომ ამავე კათედრის გამგე), რო-

როინ მეტრეველისა და ჩემი სამეცნიერო ინტერესებისა და, რაც მთავარია, შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ცალკეული პრობლემებისადმი მიდგომების თანხვედრა ამის შემდეგაც გაგრძელდა. ამჯერად უკვე ჩემი ნაშრომი მოექცა ბატონი როინის თვალთახედვის არეში და უკვე მისი მხრიდან მოჰყვა პოზიტიური შეფასება. 1981 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში – ჟურნალ «*История СССР*»-ში გამოქვეყნდა ჩემი წერილი მიძღვნილი ვარანგთა სამათასიანი რაზმის საქართველოში ყოფნის შესახებ *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობის ინტერპრეტაციისადმი.[1]

როგორც ცნობილია, ქართული ქრონიკის ამ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ურთულესი პასაჟის შინაარსის გაგების საკითხთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში დღემდე არ წყდება პოლემიკა. კერძოდ, მკვლევრები ვერ თანხმდებიან, თუ ვინ მოიწვია ვარანგები საქართველოში და ვის მხარეზე გამოდიოდნენ ისინი ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის კონფლიქტში. ზემოხსენებულ სტატიაში მე შევეცადე ახალი არგუმენტებით გამემყარებინა *„მატიანის“* ამ ფრაგმენტის ვახუშტი-მარი ბროსე-იასე ცინცაძისეული წაკითხვა, რომლის მიხედვითაც ვარანგები ბაგრატ IV-ს მოკავშირეებად მოიაზრებიან. ამასთან, წამოვაყენე ჰიპოთეზა ვარანგთა რაზმის კიევის რუსეთიდან შესაძლო მოსვლის შესახებ და ეს ფაქტი საქართველო-კიევის რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ჭრილში განვიხილე.

რ. მეტრეველი, როგორც იტყვიან, „ცხელ კვალზე“ გამოეხმაურა ჩემს ამ „საჭოჭმანო“ პუბლიკაციას და უკვე იმავე წლის ოქტომბერში გაზეთ *„ლიტერატურულ საქართველოში“* გამოქვეყნებულ სტატიაში

მელმაც პირდაპირ განაცხადა: *„რა საჭიროა გიორგი რუსზე წერა, მას ხომ საქართველოში მხოლოდ რეაქციული წრეები უჭერდნენ მხარს“*. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში თემა მაინც ბ. რიბაკოვის ფორმულირებით დაამტკიცეს – *„რუსეთი და საქართველო XII საუკუნეში“* (*«Русь и Грузия в XII веке»*). მოგვიანებით, უკვე ახალმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა, ცნობილმა რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ და კავკასიოლოგმა (შემდგომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა), პროფ. ანატოლი ნოვოსელცევმა მაინც შეიტანა პრინციპული კორექტივი თემის დასახელებაში და ქრონოლოგიური ჩარჩოებიც გააფართოვა (*„საქართველო და აღმოსავლეთი ევროპა XI-XII საუკუნეებში“* /«Грузия и Восточная Европа в XI-XII вв.»/). აი სწორედ აქ გამომადგა ძალიან მესხია-მეტრეველის კონცეპტუალური ხედვა, რომელიც უპირობოდ გავიზიარე და განვავითარე კიდეც ჩემს ნაშრომში (დაწვრილ. იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 136-145).

[1] **З. В. Папаскири.** «Варанги» грузинской «Летописи Картли» и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке. – *История СССР*, N3, 1981, გვ. 164-172.

საქართველო-ძველი რუსეთის ურთიერთობებზე[1] გააკეთა მეტად პრინციპული კომენტარი *„მატიანე ქართლისაჲს“* ზემოაღნიშნული ცნობის გაგების საკითხთან დაკავშირებით. მეცნიერმა საგანგებოდ მოიხსენია ჩემი სტატია, საინტერესოდ მიიჩნია მასში მოცემული წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიური დაკვირვებები და ასევე მხარი დაუჭირა ვარანგების ბაგრატ IV-სთან მოსვლის ვერსიას. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ისიც, რომ მან, ფაქტობრივად, გაიზიარა დასკვნა ვარანგთა რაზმის კიევის რუსეთიდან შესაძლო მოსვლის შესახებაც, რის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს თვით სტატიის (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად სწორედ საქართველო-ძველი რუსეთის ურთიერთობებს ეხებოდა) დასახელებაც – *„და მოვიდეს ვარანგნი“*.

ყოველგვარი ზედმეტი პათეტიკის გარეშე აღვნიშნავ: ისეთი მაღალი რეიტინგის მქონე მეცნიერის მხრიდან, როგორიც მაშინ უკვე იყო როინ მეტრეველი, თუნდაც ერთი რიგითი პრობლემის ირგვლივ გამოთქმული თვალსაზრისის მოწონება თავისთავად ფრიად ღირშესანიშნავი მოვლენა იყო „ახლადგამომცხვარი“ მეცნიერებათა კანდიდატისთვის. მაგრამ ბატონი როინის ამ შეფასებას სხვა დატვირთვაც ჰქონდა: იმ დროს აფხაზურ სეპარატისტულ წრეებში უკვე დაწყებული იყო (ჯერ კიდევ 1977 წ. მარტიდან, როდესაც ღიად გავაკრიტიკე აფხაზი ნაციონალისტების კუმირად აღიარებული ცნობილი აფხაზი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის პროფ. შალვა ინალ-იფას წიგნი აფხაზთა ეთნოგენეზის საკითხებზე[2]) და „ძალას იკრებდა“ ჩემი როგორც მეცნიერი-ისტორიკოსის დისკრედიტაციის კამპანია, რომელმაც პიკს 1982-1983 წლებში მიაღწია.[3] ასეთ ვითარებაში სეპარატისტული კონიუნქტურის მიერ შერისხული ახალგაზრდა ისტორიკოსის პროფესიონალიზმისა და მეცნიერული კომპეტენტურობის ნებისმიერი ფორმით აღიარება თანაც ისეთი ავტორიტეტული პიროვნების (აფხაზთა თვალში არა მხოლოდ მეცნიერული კუთხით, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურითაც), როგორიც როინ მეტრეველია, ჩემთვის ნამდვილად დიდი მხარდაჭერა იყო.

თუ კარგად მახსოვს, ბატონ როინს პირველად სწორედ იმ ხანებ-

---

[1] **რ. მეტრეველი.** და მოვიდეს ვარანგნი. – *ლიტერატურული საქართველო*, 09.10.1981. იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **რ. მეტრეველი.** და მოვიდეს ვარანგნი... (ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები). თბ., 1988, გვ. 72-86.

[2] **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976. ამ წიგნის განხილვის მოკლე ანგარიში იხ.: *За глубокое научное изучение истории Абхазии*. – გაზ.: *«Советская Абхазия»*, 14 мая 1977. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: წგნ. **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*. Тб., 2012, გვ. 586-592. ელექტრონ. ვერსია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf.

[3] ამის შესახებ ვრცლად იხ.: **З. Папаскири.** Моя Абхазия, გვ. 20-42.

ში შევხვდი და გავეცანი – ბორჯომში ჩატარებულ ისტორიკოსთა ერთ-ერთ თავყრილობაზე, სადაც აკად. მარიამ ლორთქიფანიძის, პროფ. გურამ ლორთქიფანიძისა (იმჟამად უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის) და თსუ ისტორიის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ნოდარ ასათიანის, ინიციატივით გადაწყდა მოეწყოთ ჩემი შეხვედრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან გურამ ენუქიძესთან და ამ თხოვნით მათ მიმართეს მეცნიერებისა და განათლების განყოფილების გამგის მოადგილეს ბ-ნ მინდია უგრეხელიძეს. ამ დროიდან მოყოლებული არასოდეს მომკლებია ბატონი როინის ყურადღება. მე ყოველთვის ვგრძნობდი მის თანადგომას, ვგრძნობდი, თუ როგორ გულშემატკივრობდა ის ჩემს „უთანასწორო ბრძოლას“ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სეპარატისტული ხედვის იდეოლოგებთან.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი შეხვედრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში. ეს იყო 1988-1989 წლების მიჯნაზე (თვე ზუსტად არ მახსოვს). პროფ. გიორგი ძიძარია გარდაცვლილი იყო და ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა უკვე ვლადისლავ არძინბას ეკავა. ინსტიტუტს სტუმრობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია, რომელსაც წარმოადგენდა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე და როინ მეტრეველი, რომელიც ეს ეს იყო შეუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შესრულებას. მათ ახლდნენ აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჟორდანია, და იმჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ანჩაბაძე. ეს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის ერთგვარი „საინსპექციო“ ვიზიტი, რომელსაც უნდა დაეზუსტებინა ურთიერთობა აკადემიასა და მის სტრუქტურაში შემავალ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას შორის ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ და, ამასთან უნდა გამართულიყო „აზრთა გაცვლა-გამოცვლა“ ისტორიის სფეროში ქართულ-აფხაზურ აფხაზურ ურთიერთობებში არსებული პრობლემების ირგვლივ.

ისე მოხდა, რომ ამ შეხვედრის შესახებ მე ოდნავ გვიან გავიგე ჩემი კათედრის გამგის, პროფ. არველოდ კუპრავასგან, რომელიც შეთავსებით აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელიც იყო. მან შემომთავაზა გავყოლოდი ინსტიტუტში. თავიდან ვიუარე – თავს ცოტა შეუძლოდ ვგრძნობდი და ზედმეტ ნერვიულობას მოვერიდე, თანაც წესიერად ისიც არ ვიცოდი, თუ რა შეხვედრა იყო და ვინ ესწრებოდა მას. მაგრამ მცირე ყოყმანის შემდეგ, მაინც გადავწყვიტე გადასვლა ინსტიტუტში. მე რომ მივედი

სხდომათა დარბაზში უკვე გახურებული „დებატები“ მიდიოდა. თურმე „ვნებათა ღელვის“ მთავარ თემად ზემოთნახსენები ჩვენი კოლეგის შოთა ბადრიძის პუბლიკაცია გამხდარიყო.

ეს გახლდათ სტატია „აფხაზთა“ სამეფოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ იერ-სახეზე, რომელიც გამოქვეყნდა პროფ. ზურაბ ანჩაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებულში, რუსულ ენაზე.[1] მასში იყო ერთი „უხერხული“ დასკვნა, რომლიდანაც ისე ჩანდა, თითქოს „აფხაზთა“ სამეფოში მხოლოდ ქართველურ ტომებს ეცხოვრათ. მე, ალბათ, ერთ-ერთმა პირველმა სოხუმში, შევამჩნიე ეს „გადაცდომა“ და უმალ დავუკავშირდი ბატონ შოთას, რომელთანაც დიდი ხნის (ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან) მეგობრობა მაკავშირებდა და მოვთხოვე „ახსნა-განმარტება“. მან თავი იმით „იმართლა“, რომ ქართული ტექსტის თარგმნისას თითქოს, გაიპარა ტექნიკური ხასიათის შეცდომა. მე იმთავითვე ვგრძნობდი, რომ ეს ამბავი „უხმაუროდ“ არ ჩაივლიდა და ყოველგვარი ზედმეტი გართულების თავიდან ასაცილებლად, შევეცადე, პირად საუბრებში სეპარატისტულად განწყობილ ცალკეულ აფხაზ მეცნიერებთან, აგრეთვე თანამდებობის პირებთან (მათ შორის, პირველ რიგში, აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორთან, პროფ. ალეკო გვარამიასთან) ამ „გადაცდომისათვის“ ახსნა მომეძებნა. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ ჩემი ახსნა არ მიიღეს და დიდი ხმაური ატეხეს „ქართველი პროფესორის შოთა ბადრიძის მიერ დაშვებული ისტორიის ფალსიფიკაციის“ გამო.

სხდომა მიჰყავდა ვ. არძინბას. მის გვერდით, პრეზიდიუმში, იჯდა უნივერსიტეტის რექტორი ა. გვარამია (რომელმაც, როგორც უკვე აღინიშნა, უშუალოდ ჩემგან იცოდა საქმის რეალური ვითარება). ბუნებრივია, იქვე იყვნენ ბატონი ანდრია და ბატონი როინი (აგრეთვე ო. ჟორდანია და გ. ანჩაბაძე, რომლებიც „თავაუღებლად“ იწერდნენ სხდომის მიმდინარეობას). ინსტიტუტის თანამშრომლებმა – სეპარატისტული მოძრაობის „აქტივისტებმა“ პირდაპირ „ჯვარს აცვეს“ შ. ბადრიძე. მე შევეცადე, დამეცვა ბ-ნი შოთა და კიდევ ერთხელ გამეცნო მათთვის ყბადაღებული „ფალსიფიკაციის“ ავტორისეული ახსნა. ამან წონასწორობიდან გამოიყვანა სეპარატისტების მომავალი ბელადი, მან ჯიქურ შემომიტია და პირდაპირ დამადანაშაულა „პოლიტიკანობაში“. არძინბას პათოსი უმალ „აიტაცეს“ ჩემმა „კეთილმოსურნეებმა“, რომელთაც რატომღაც აჰყვა აფხაზეთის ინსტიტუტში მოღვაწე ერთადერთი ქართველი ისტორიკოსი გრიგოლ ლეჟავა (ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს ამ

[1] ***Ш. А. Бадридзе***. Некоторые вопросы политического и социально-экономического строя Абхазского царства. – *Вопросы истории народов Кавказа.* Тб., 1988, გვ. 36-146.

გზით ცდილობდა ახალი დირექტორისათვის თავის მოწონებას)[1] და დაიწყეს ჩემი „დამუშავება“. თუმცა ამან ვერ შემაჩერა და სათქმელი მაინც ბოლომდე ვთქვი.

ვხედავდი, თუ როგორი მღელვარებით აკვირდებოდა ბატონი როინი ამ „პოლემიკას“, თუმცა გარეგნულად ამას არ იმჩნევდა და უშუალოდ ჩარევისაგანაც თავი შეიკავა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის შეაჩერა ბატონმა ანდრიამ,[2] რომელმაც თავის თავზე აიღო „მოჩხუბართა გაშველება“. შემაჯამებელ სიტყვაში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ძალზე დიპლომატიურად შეძლო კონფლიქტური სიტუაციის ჩაცხრობა. მან მხარი დაუჭირა ჩემს წინადადებას საქართველო-აფხაზეთის ისტორიის ე.წ. „სადავო“ პრობლემების ირგვლივ დიალოგის გამართვის თაობაზე, თანაც ამისათვის საკმაოდ მრავლისმთქმელი ფორმა გამონახა – *«Предложение Зураба»* და არა, დავუშვათ, ოფიციალურად: *«Предложение доцента Папаскири»),* რითაც ყველას აგრძნობინა, რომ მე „მათი წრიდან“ ვიყავი და ის და მისი კოლეგები ჩემს თავს ასე ადვილად არავის „დაარჩაგვრინებდნენ“.

1989-1991 წლებში ბატონი როინი ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს სამეცნიერო აქტიურობას და ყოველნაირად ცდილობდა მხარდაჭერას. ამის გამოვლინება იყო თუნდაც ის, რომ მან უყოყმანოდ განაცხადა თანხმობა ყოფილიყო ოფიციალური ოპონენტი ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე. მისი რეცენზია, გარდა ნაშრომის მაღალი შეფასებისა, შეიცავდა უაღრესად მახვილგონივრულ მიგნებებს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ცალკეულ საკითხებზე.[3] არასოდეს დამავიწყდება ბატონი როინის გულისხმიერება და კაცური საქციელი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის (შედგა 1991 წ. 24 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) დღეს.

---

[1] სხვათა შორის, გრ. ლეჟავას ამგვარი „თავგამოჩენა“ შეუმჩნეველი არ დარჩენია ბატონ როინს, რომელსაც მოგვიანებით არაერთხელ გამოუთქვამს წუხილი იმის გამო, რომ მე იქ – სოხუმში – აფხაზებთან ერთად ზოგიერთი ქართველიც მიპირისპირდებოდა.

[2] აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ეს იყო ახლად დანიშნული აკადემიკოს-მდივნის პირველი ოფიციალური მისვლა ინსტიტუტში და მთლად გამართლებული არ იქნებოდა იმთავითვე მისი მხრიდან ღია კონფრონტაციაში ჩართვა.

[3] სამწუხაროდ, ეს რეცენზია მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა. იხ.: **რ. მეტრეველი.** რეცენზია ზურაბ ვალერიანის ძე პაპასქირის სადისერტაციო ნაშრომზე *„შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე“.* – წგნ.: *ზურაბ პაპასქირი – 60.* ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს. თბ., 2010-2013, გვ. 79-84. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/27363/1/Zurab_Papaskiri %20_%2060.pdf.

მან, როგორც კი წაიკითხა თავისი რეცენზია და მოისმინა ჩემი საპასუხო გამოსვლა, ბოდიში მოიხადა და დატოვა აუდიტორია. მე უმალ „გამოვეკიდე“ და დიდი მორიდებით ვთხოვე მოსულიყო „სადესერტაციო“ ვახშამზე ჩვენი ახლო ნათესავის სახლში. მან მიიღო მოპატიჟება და მისამართიც გამომართვა, თანაც დააყოლა, რომ შეიძლებოდა ცოტა დაგვიანებოდა. მართალი გითხრათ, მე მისი დაპირება ვალის მოხდად ჩავთვალე და გულში გავივლე: აბა ეს რას მოვა მეთქი.

და აი, „ლხინის“ დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, როდესაც სუფრის წევრები უკვე გარკვეულ „კონდიციამდე“ იყვნენ მისული და მეგრული ჰანგებიც ისმოდა, კარებზე ზარის ხმა გაისმა. კარი ჩემმა მეუღლემ გააღო. დღესაც თვალწინ მიდგას მისი სასიამოვნო მოულოდნელობისაგან შემცბარი გამოხედვა. *„ბატონი როინი მობრძანდა“* – გამომძახა მან და ძვირფასი სტუმარი ერთად შემოვიპატიჟეთ. სწორედ ამ დროს თავიანთი მაღალი მუსიკალური ტალანტით ცნობილმა პროფესორებმა ვალერიან მაჭარაძემ და ლევან თოიძემ *„დიდოუ ნანა“* წამოუძახეს. ბატონმა როინმა წაიხუმრა: *„ხედავთ, რა დრო დადგა – გურულები როგორი მონდომებით მღერიან მეგრულ სიმღერასო“*, რითაც თითქოს მიანიშნა იმაზე, რომ ხელისუფლების სათავეში „მეგრელი“ ზვიად გამსახურდია იყო.

იმ პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით მქონია სხვა შეხვედრებიც ბატონ როინთან. ერთ-ერთი მათგანი შედგა მის კაბინეტში – მეცნიერებათა აკადემიაში (თარიღი ზუსტად არ მახსოვს). ქართველი ისტორიკოსები ემზადებოდნენ ბიზანტინოლოგთა XVIII საერთაშორისო კონგრესისათვის, რომელიც უნდა გამართულიყო მოსკოვში 1991 წ. 8-15 აგვისტოს. იყო ინფორმაცია, რომ ამ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის ტრიბუნის გამოყენება სურდათ ჩვენს აფხაზ კოლეგებს თავიანთი ფალსიფიკატორული დებულებების პოპულარიზაციისათვის და საჭირო იყო თადარიგის დაჭერა მათთვის იქვე საკადრისი პასუხის გასაცემად. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ წამყვანი ქართველი ისტორიკოსები მათ შორის თვით აკად. გიორგი მელიქიშვილი, აგრეთვე აკად. ედიშერ ხოშტარია-ბროსე, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვ. სხდომაზე, რომელიც აკადემიკოს-მდივნის რანგში მიჰყავდა რ. მეტრეველს, დაისვა აფხაზებთან ისტორიოგრაფიული კონტრპროპაგანდის წარმოების არაერთი პრობლემური საკითხი. დაგვევალა სათანადო მასალების მომზადება საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების იმ თემების ირგვლივ, რომლითაც სპეკულირებდნენ აფხაზი და რუსი მკვლევრები.

ერთ-ერთ ასეთ საკითხზე: ტერმინების „აბაზგია“ და „აბაზგების“ მნიშვნელობის შესახებ ბიზანტიურ წყაროებში (IX-XII სს.) მასალები მე უნდა მომემზადებინა. მაგრამ სწორედ 1991 წ. აგვისტოს პირველ ნახევარში მომიწია სხვა – სეპარატისტთა ზღვარგადასული ანტიქართული

ისტორიოგრაფიული პროპაგანდის მხილების კუთხით – არანაკლებ აქ-ტუალური სამუშაოს შესრულება: სასწრაფოდ მომიხდა პასუხის გაცემა აფხაზეთში მოღვაწე ცნობილი რუსი არქეოლოგის, იმჟამად უკვე სერი-ოზულ პოლიტიკურ ფიგურად ქცეული იური ვორონოვის პასკვილზე, რომელიც მიძღვნილი იყო მარიამ ლორთქიფანიძის ცნობილი პუბლიკა-ციის *„აფხაზები და აფხაზეთი“*[1] კრიტიკისადმი.[2] ჩემი პასუხი ი. ვორო-ნოვის ამ თავხედურ გამოხდომაზე დაიბეჭდა აფხაზეთის ასსრ ოფიცი-ალურ სახელისუფლებო ორგანოში[3] და მას დიდი (თუმცა არა ერთნიშ-ნა)[4] გამოხმაურება მოჰყვა აფხაზურ სეპარატისტულ წრეებში. აღნიშ-ნული გარემოების გამო, მაშინ მე ბატონი როინის დავალება ვერ შე-ვასრულე და, სამწუხაროდ, ვერ მივიღე მონაწილეობა ბიზანტინოლო-გების საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში.

მაგრამ ეს სხდომა სხვა მხრივაც იყო საინტერესო. იქ მე გამოვ-თქვი წუხილი იმის გამო, რომ იმ დროს, როდესაც ცალკეული ქართვე-ლი ისტორიკოსები ცდილობენ დაიკავონ პრინციპული პოზიცია და ეწევიან საქართველო-აფხაზეთის ისტორიული წარსულის სეპარატის-ტული ხედვის პირუთვნელ კრიტიკას, რის გამოც, არც მეტი არც ნაკ-ლები ცხადდებიან „აფხაზი ხალხის მტრად“ (მახსოვს, დავასახელე მა-რიამ ლორთქიფანიძე), სხვები არა თუ არ გამოთქვამენ პროტესტს ის-ტორიოგრაფიის სფეროში სეპარატისტების ინფორმაციულ-იდეოლოგი-ური თარეშის გამო, არამედ ღიად თანამშრომლობენ მათთან.

მე მხედველობაში მქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემი-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე.** აფხაზები და აფხაზეთი. თბ., 1990.

[2] **Ю. Н. Воронов.** Ядовитые уроки госпожи Мариам. – გაზ. *«Абхазия»,* 16. 07.1991.

[3] იხ. **ზ. პაპასქირი.** ინტერფრონტის ლიდერის ახალი „გმირობანი“. ანუ იმის შე-სახებ თუ როგორ გააკრიტიკა ი. ვორონოვმა პროფ. მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზები და აფხაზეთი“. – გაზ.: *„აფხაზეთის ხმა“* 16.08.1991, 17.08.1991. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წგნ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართვე-ლოა. თბ., 1998, გვ. 56-80. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ი. ვორონო-ვის ამ ცილისმწამებლურ დემარშს საკადრისი პასუხი გასცა თვით ქ-ნმა მ. ლორთქიფანიძემაც (იხ.: გაზ.: *«Заря Востока»,* 7.08.1991, 8.08.1991).

[4] აფხაზურ სამეცნიერო და შემოქმედებით წრეებში იმ პერიოდში იური ვორო-ნოვისადმი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი (პოზიტიური) აზრი და ზოგიერთებს მისი მეცნიერული აქტიურობა, იმის გამო, რომ თავის ადრინ-დელ ნაშრომებში ის ანტიკური პერიოდის აფხაზეთის მატერიალურ კულტუ-რაში ადგილობრივ (მათი მტკიცებით, რასაკვირველია, აფხაზურ) კომპონენტს, ფაქტობრივად, გამორიცხავდა, მაინც და მაინც თვალში არ მოუდიოდა. ამი-ტომ იყო, რომ ზოგიერთი აფხაზი ჩემს მწვავე კრიტიკულ გამოხმაურებას თურმე ერთგვარი მოწონებითაც კი შეხვედრია.

სტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის „ვოიაჟი“ სოხუმში და მონაწილეობის მიღება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. ეს მაშინ, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალში მოღვაწე ისტორიკოსები, მათ შორის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომლები, რომელთაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში უშუალოდ ბატონი ზურაბის (აღნიშნული კათედრის პირველი გამგის) ხელმძღვანელობით უწევდათ მუშაობა, ფაქტობრივად, “Persona non grata”-დ იყვნენ გამოცხადებულნი.[1] რა დასამალია და თბილისელი კოლეგების ეს ნაბიჯი ჩვენ – „იქაურებმა“ აღვიქვით, როგორც ერთგვარი „შტრეიკბრეხერობა“ და საყვედურიც კი გამოვთქვით ამის გამო.

გარდა სამეცნიერო თემატიკისა, 1989-1991 ბობოქარ წლებში ბატონ როინთან მქონია საუბრები ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებაც. მიხაროდა, რომ ჩვენი აზრები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ერთმანეთს ემთხვეოდა. ამ მხრივ მინდა გავიხსენო ჩვენი შეხვედრა 1990 წ. მაისში – საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დღეებში. მოხდა ისე, რომ საქართველოს კომპარტიის ამ უკანასკნელი ყრილობის დელეგატებს შორის მეც აღმოვჩნდი. მთავარი მოტივი, რის გამოც აქტიური მონაწილეობა მივიღე საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატების წინასაარჩევნო კამპანიაში იყო სურვილი, მომხდარიყო საქართველოს ხავერდოვანი გადასვლა კომუნისტურ-ტოტალიტარული წყობიდან ეროვნულ-დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ პროცესში თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომუნისტური პარტიის პოზიციას.

1989 წ. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ სწორად გათ-

[1] აქვე საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მხრიდან ნამდვილად იყო მცდელობა ზურაბ ანჩაბაძის იუბილე გამოგვეყენებინა აფხაზურ მხარესთან კონფრონტაციის შესარბილებლად და ახლო პარტნიორული ურთიერთობების განსაახლებლად. სწორედ ამას ისახავდა მიზნად ბატონი ზურაბის საფლავის გვირგვინით შემკობა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში მისი დაბადების დღეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ეს კეთილი ნება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურამ და სტუდენტობამ (ისინი შენობიდან თვალს გვადევნებდნენ) აბუჩად აიგდო. ჩვენი წამოსვლიდან ნახევარ საათში ბატონი ზურაბის საფლავზე დადებული გვირგვინისთვის ქართული წარწერიანი ლენტი უკვე მოეშორებინათ (ეს მე პირადად შევამოწმე) და გვირგვინი ეულად დარჩენილიყო.

ვალა, რომ „მარად უკვდავი“ მარქსისტულ-ლენინური დოგმებით[1] ფონს ვერ გავიდოდა და მთავარ ლოზუნგად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენა გამოაცხადა. ამ თვალსაზრისით უდავოდ საეტაპო მოვლენა იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს XIII რიგგარეშე სესია, რომელიც შედგა 1990 წ. 9 მარტს და რომელზეც მიღებულ იქნა ისტორიული დადგენილება *„საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“*, რაც, ფაქტობრივად, პირველი ნაბიჯი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის გზაზე.[2] მაგრამ ეს არ იყო საქართველოს იმჟამინდელი კომუნისტური ხელისუფლების ანტისაბჭოური ამბოხის ერთადერთი შემთხვევა. საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ოფიციალურად გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესებისადმი და ფაქტობრივად აუკრძალა საქართველოს წარმომადგენლობას სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, მონაწილეობა მიეღო ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე საპარლამენტო დებატებში. ეს იყო ძალზე თამამი, კომუნისტური კონიუნქტურისათვის კატეგორიულად მიუღებელი ქმედებები.

აი, ასეთ ფონზე მოწვეულ იქნა საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობა, რომელსაც უნდა მიეღო პარტიის ახალი პროგრამა, რომლის პროექტი წინასწარ გამოქვეყნდა. ფაქტობრივად, ეს იყო ლიბერალურ-დემოკრატიული მიმართულების ეროვნული პარტიის პროექტი, რომელიც მთლიანად დაცლილი იყო მარქსისტულ-ლენინური ორთოდოქსული კლასობრივი იდეოლოგიური პოსტულატებისაგან. ასეთ ვითარებაში მე (ისევე როგორც ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ფორმალურად ირიცხებოდნენ კომუნისტური პარტიის რიგებში) ჩავთვალე, რომ საჭირო იყო პარტიის განახლების ამ პროცესის აქტიური მხარდაჭერა. ამიტომაც გავიარე ყველა აუცილებელი „პროცედურა“[3] და მოვხვდი

---

[1] თუ მართლები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს კომუნისტების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით სამეცნიერო-შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები უკვე დიდი ხანი (სულ ცოტა XX ს. 60-იანი წლებიდან მაინც) იყო, რაც იდეურად განთავისუფლდნენ ამ უტოპიისაგან და ნამდვილად არ განეკუთვნებოდნენ „კომუნისტურ სამოთხეზე“ ბრმა მეოცნებეთა რიცხვს.

[2] სესიიის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები იხ.: *რეგიონული კონფლიქტები საქართველოში*. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005): პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი ***თამაზ დიასამიძე***. თბ., 2005, გვ. 13-14.

[3] ჩემი არჩევა ყრილობის დელეგატად მოხდა საქართველოს საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის დელეგატთა აფხაზური ფრთა ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა მკვეთრად გამოხატული ქართული ეროვნული პოზიციის გამომ-

ყრილობაზე.

თბილისში ჩამოსვლისთანავე მეცნიერებათა აკადემიაში ვეწვიე ბატონ როინს (ვიცოდი, რომ ის ასევე იყო ყრილობის დელეგატი) და გავუზიარე წინასაყრილობო განწყობილებები. მან მოიწონა ჩემი ოპტიმიზმი და დამიდასტურა, რომ ყრილობის შემდეგ ეს მართლაც სულ სხვა პარტია იქნებოდა. საუბარში მკითხა: *„პროგრამის პროექტი თუ წაიკითხეო“? „დიახ, წავიკითხე მეთქი“* – ვუპასუხე. *„მაშინ, ალბათ, შეამჩნევდი, რომ კომუნისტური პარტიის პროგრამაში საერთოდ არაა ნახსენები ლენინის სახელი, ხოლო ცნება „სოციალიზმი“ მხოლოდ ერთ ადგილას ფიგურირებს და ისიც სიტყვათა შეხამებაში – „დემოკრატიული სოციალიზმი. ეს, ფაქტობრივად, არის არა კომუნისტური პარტიის, არამედ ეროვნულ პოზიციაზე მდგარი, ასე ვთქვათ, „ჰუმანისტურ-დემოკრატიული პარტიის“ პროგრამაო“* – დაასრულა ბატონმა როინმა. მართალი გითხრათ, მე ეს ნიუანსი ნამდვილად არ შემიმჩნევია და ამ ინფორმაციამ კიდევ უფრო დამარწმუნა ჩემი, ერთი შეხედვით „საჩოთირო“, გადაწყვეტილების[1] სისწორეში. თანაც მივხვდი, რომ ბატონ როინს თვითონ ჰქონდა აქტიური მონაწილეობა მიღებული პარტიის პროგრამის პროექტის შექმნაში. და ეს არ იყო შემთხვევითი. ახალ პო-

---

ხატველი სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლების არჩევა, მე (პროფ. ლეონიდე ჯახაიასთან ერთად) მაინც გავედი II ტურიდან (სულ ჩატარდა სამი ტური) და მოვხვდი იმ 9 დელეგატს შორის, რომელიც აირჩია სოხუმის საქალაქო ორგანიზაციამ.

[1] ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ „ჭეშმარიტი კომუნისტი“. უფრო მეტიც, სტუდენტურ აუდიტორიებში (განსაკუთრებით ქართულ სექტორზე, აფხაზურ და რუსულ სექტორებზე, გასაგები მიზეზების გამო, „ნაკლები დოზით“) ვეწეოდი ანტიკომუნისტურ, ანტიმპერიულ პროპაგანდას (რის გამოც სათანადო ორგანოებთან გარკვეული პრობლემებიც მქონდა). მაგრამ პარტიის წევრი მაინც გავხდი, რადგან პარტიის წევრობა იმ დროს, ფაქტობრივად, „პოლიტიკური მოქალაქეობის“ მიღებას ნიშნავდა, რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო ელემენტარული კარიერული წინსვლა სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროშიც კი (თუნდაც ისტორიის პროფილის კათედრის გამგის თანამდებობის დაკავება, არაფერს ვამბობ ფაკულტეტის დეკანობასა და უფრო მაღალ საუნივერსიტეტო პოსტებზე). აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს გაწევრიანებას სკკპ-ის რიგებში ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა სხვა კუთხითაც – ამის წინააღმდეგ კატეგორიულად გამოდიოდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სეპარატისტულად განწყობილი პროფესურა. რა ხრიკებისთვის არ მიუმართავთ ჩემს „კეთილმოსურნეებს“ ამ „ფრონტზე“ (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ.: **З. Папаскири.** Моя Абхазия.., გვ. 88-89), მაგრამ ყველა საშუალება რომ ამოეწურათ (თანაც ქვეყანაში დაწყებული *„პერესტროიკის“* ფონზე ეს უკვე ისე აქტუალურიც არ იყო), იძულებულნი გახდნენ ფარ-ხმალი დაეყარათ. ასე 6-7 წლიანი „ბრძოლის“ შემდეგ, როგორც იქნა, 1987 წელს „მოვიპოვე“ პარტიის წევრის მანდატი და გავხდი „სრულუფლებიანი მოქალაქე“.

ლიტიკურ რეალობაში, პარტიის გადარჩენა და მისი გარდაქმნა თუნდაც ევროპული ყაიდის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ ძალად სწორედ როინ მეტრეველისთანა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის მქონე პიროვნებებს შეეძლოთ.

ეს რომ ლიტონი სიტყვები არაა, გამოჩნდა უკვე მოგვიანებით, როდესაც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მიუხედავად განცდილი მეტამორფოზისა, მაინც მარცხი იწვნია პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში და დათმო ხელისუფლება. საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დასკვნით ეტაპზე, რომელიც სწორედ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ გაიმართა,[1] ყრილობის დელეგატებმა თითქმის ერთხმად მოითხოვეს პარტიის ლიდერად როინ მეტრეველის არჩევა. აღსანიშნავია, რომ ამ წინადადებას აქტიურად უჭერდნენ მხარს აფხაზი დელეგატები. ერთ-ერთ მათგანს (თუ არ ვცდები, ცნობილ აფხაზ მოღვაწეს ენვერ კაპბას) ყრილობის ტრიბუნიდან ოფიციალურად განუცხადებია, რომ ერთადერთი პიროვნება, რომელსაც აფხაზი კომუნისტები დაუჭერენ მხარს, არის როინ მეტრეველიო. ბატონი როინი უარზე დამდგარა. არც მისი უფროსი კოლეგების, მათ შორის აკად. ანდრია აფაქიძის, ჩარევამ გამოიღო შედეგი. ამ უკანასკნელს უთქვამს: *„რას ჩადი, როინ, ვერ ხედავ აფხაზები მხოლოდ შენ გიჭერენ მხარსო“*. მაგრამ ვერც ამ არგუმენტმა გაჭრა და ყრილობამ პარტიის თავმჯდომარედ სხვა პიროვნება აირჩია. მაშინ მე ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, ვთვლი (და ეს ბატონი როინისთვისაც გამიმხელია), რომ ეს იყო შეცდომა. მიმაჩნია, რომ როინ მეტრეველის დაბრუნებას დიდ პოლიტიკაში (თუნდაც მისი პიროვნული ავტორიტეტიდან გამომდინარე აფხაზებსა და ოსებში) იმ პერიოდში ბევრი რამის დაბალანსება შეეძლო და იქნებ 1992-1993 წლების ტრაგედიაც აგვეცილებინა.

ცალკე თემაა როინ მეტრეველი და სოხუმის ქართული უნივერსიტეტი – 1989 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაყოფის შედეგად შექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება,[2] რომელიც 1989-2007 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ სოხუმის ფილიალის სტატუსით არსებობდა და იურიდიულად დედა-

[1] ამ დროისათვის მე უკვე პროტესტის ნიშნად (იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტია არ გამოვიდა სკკპ-იდან, უფრო მეტიც, მისი ლიდერი ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრიც გახდა) დავტოვე კომუნისტური პარტია და, ბუნებრივია, არც ყრილობის მეორე ეტაპს დავსწრებივარ.

[2] აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნიკურ ნიშნით გაყოფის მიზეზებზე იხ.: **ზ. პაპასქირი.** ერთხელ კიდევ 1989 წ. აფხაზეთის კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესახებ. – წგნ.: ***ზ. პაპასქირი.*** და აღმოცისკრდა საქართველო.., გვ. 293-294. http://iberiana.wordpress.com/afxazeti/krizisi/.

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული იყო. პირველი დღიდან, რაც კი ბატონი როინი თსუ-ის რექტორი გახდა (1991 წ. ოქტომბერი), ის, თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, აქტიურად იყო ჩართული ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ამ დროიდან გახშირდა ჩემი კონტაქტებიც მასთან.

ჩვენი პირველი შეხვედრა ბატონ როინთან რექტორის რანგში მოხდა 1991 წ. 27 ნოემბერს. როგორც უკვე აღინიშნა, 1991 წ. ივნისში მე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თსუ საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, ანუ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სსრ კავშირი არ იყო დაშლილი და აღნიშნული სადისერტაციო საბჭოც ანგარიშვალდებული იყო საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის *(Высшая Атестационная комиссия – ВАК)* წინაშე, სადაც, როგორც ცნობილია, იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ და ამას სათანადო დიპლომით ადასტურებდნენ. ჩემი დაცვა, ბუნებრივია, ჩატარდა ამ სტრუქტურის მიერ დადგენილი წესების მიხედვით და მეც შევუდექი მოსკოვში გასაგზავნი ოფიციალური დოკუმენტაციის (დაცვის სხდომის ოქმისა და ოპონენტთა რეცენზიების რუსული ვერსიის) მომზადებას. მაგრამ 1991 წ. 19 აგვისტოს პუტჩის შემდგომ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით (მიუხედავად სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის პროფ. მარიამ ლორთქიფანიძის დაჟინებული მოთხოვნისა) პრინციპულად უარი განვაცხადე დაშლის პირას მყოფი იმპერიის საატესტაციო კომისიაში სადისერტაციო მასალების გაგზავნაზე. ჩემს ამ პოზიციას მთლიანად იზიარებდა ფილიალის დირექტორი, პროფ. ფელიქს ტყებუჩავა, რომელსაც ამ დროს, პარალელურად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში კავშირგაბმულობის მინისტრის პოსტი ეკავა. მან მირჩია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მომეტანა ცნობა გერბიანი ბეჭდით, რომელიც დაადასტურებდა ჩემთვის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

მეც ავიღე *ВАК*-ის მიერ გაცემული მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი და მისი ჩანაწერის მიხედვით სახელდახელოდ გავამზადე ცნობის ვარიანტი, რომელიც გამოდგებოდა თსუ-ის მიერ მინიჭებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტად. ამ ცნობით „შეიარაღებული“ 1991 წ. 27 ნოემბერს ჩავფრინდი თბილისში, ვეახელი უნივერსიტეტის რექტორს და ვთხოვე გაეცა შესაბამისი განკარგულება. ბატონი როინს ერთბაშად გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება და ქ-ნი მარიამი გამოიძახა. ჩემი პოზიციის დაცვა გამიადვილა ერთმა ფრიად მნიშვნელოვანმა გარემოებამ: ზუსტად წინა დღით – 1991 წ. 26 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის

სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოში (რომელიც ასევე *ВАК*-ის ეგიდით ფუნქციონირებდა) შედგა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სადოქტორო დისერტაციის დაცვა „Honoris Causa"-წესით (რომელსაც, სხვათა შორის, არ სცნობდა საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისია) და მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამ არგუმენტმა გასჭრა და ბატონმა როინმაც გასცა ბრძანება შესაბამისი ცნობის მომზადების თაობაზე. ასე, თსუ რექტორის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტით, რომელიც ადასტურებდა და აღიარებდა თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ 1991 წ. 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას, ხელდამშვენებული ჩამოვედი სოხუმში და მშვიდად შევუდექი მუშაობას.

მაგრამ ეს ისტორია ამით არ დასრულებულა. 1992 წ. გაზაფხულზე, უკვე სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა საქართველოს ისტორიის დარგში ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ ახალი სადისერტაციო საბჭოს შექმნის საკითხი. გაჩნდა აზრი ამ საბჭოში ჩემი, როგორც თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, შეყვანის თაობაზე. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მე ოფიციალურად არ მქონდა მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი (ბუნებრივია, ВАК-ის მიერ გაცემული). ამის გამო ქ-ნმა მარიამმა კვლავ შემომთავაზა გამეგზავნა მასალები მოსკოვში. თითქოს დამითანხმა კიდეც. ცდუნება დიდი იყო, განა უბრალო ამბავია, შეიძლება დაკარგო ქვეყნის პირველი უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრობა, რაც ნებისმიერი (მით უმეტეს პროვინციაში მოღვაწე) მეცნიერისთვის უდიდესი პატივია, მხოლოდ იმიტომ, რომ უარს ამბობ მოსკოვის მიერ გაცემულ დიპლომზე. ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე გამეგზავნა დაცვის მასალები მოსკოვში. მე და ჩემი კოლეგა ავთანდილ კილასონია ტელეფონით ოპერატიულად დავუკავშირდით ВАК-ის ერთ-ერთ „მაღალჩინოსანს" – ისტორიის მეცნიერებების კურატორს, სერგეი პოგოდინს (მასთან ავთანდილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა) და ავუხსენით საქმის ვითარება. მოსკოველმა „ჩინოვნიკმა" დიდი სიხარულით მიიღო ჩვენი გადაწყვეტილება და დაგვპირდა, რომ 2-3 კვირაში უკვე დიპლომი მზად იქნებოდა. მოსკოველი კოლეგის მაშინდელი „ენთუზიაზმი" სრულიად გასაგები იყო: სსრ კავშირი დაშლილია ოფიციალურად, ასეთ ვითარებაში კი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა მაინც აფიქსირებს (თანაც ნებაყოფლობით) თავის „მიჯაჭვას" იმპერიულ სტრუქტურასთან და ამას აკეთებს ჩემი მეშვეობით. რა გასაკვირია, რომ ამან დამთრგუნველად იმოქმედა ჩემზე და ბოლოს მაინც უარი ვთქვი დოკუმენტაციის მოსკოვში გაგზავნაზე.

აქ უკვე ნამდვილად შეიქმნა ჩიხური სიტუაცია, რომლიდანაც გამოსავალი ისევ უნივერსიტეტის რექტორმა იპოვა. როდესაც მე ბატონ როინს ავუხსენი თუ რატომ ვერ ვასრულებ ქ-ნ მარიამის თხოვნას და არ ვაგზავნი დოკუმენტაციას მოსკოვში, მან ეს გაგებით მიიღო და მითხრა (ეს იყო სატელეფონო საუბარი – 1992 წ. ივნისში) – *„არა უშავს, ამ პრობლემის გადაწყვეტა სხვანაირადაც შეიძლებაო: ახლადშექმნილი საბჭო თავისი წევრებიდან გამოყოფს ექსპერტებს, რომლებიც შეისწავლიან დაცვის მასალებს და მათი დასკვნის საფუძველზე სამეცნიერო ხარისხსაც დაგიმტკიცებთ და საბჭოს შემადგენლობაშიც შეგიყვანთო“*. მართლაც, გამოიყო ორი ექსპერტი: აკად. დავით მუსხელიშვილი და პროფ. ნოდარ ასათიანი. მათ 1993 წ. დამდეგს სადისერტაციო საბჭოს წარუდგინეს დასკვნები, რომელთა საფუძველზე მე ოფიციალურად დამიდასტურეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაშიც შემიყვანეს. მოგვიანებით, უკვე 1994 წ. დამდეგს, როდესაც 100-დღიანი „აფხაზური ტყვეობის“ შემდეგ სამშვიდობოს გამოვაღწიე, გადმომეცა საქართველოს ექსპერტთა საბჭოს (ამასობაში ასეთი სტრუქტურაც – რაღაც მოსკოვური ВАК-ის ანალოგი – შეიქმნა) ოფიციალური დოკუმენტი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიპლომი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პირველი დიპლომი, გაცემული საქართველოს ექსპერტთა საბჭოს მიერ, რაც ჩემთვის უაღრესად საამაყოა.

ყოველივე ეს კი არ მოხდებოდა, რომ არა როინ მეტრეველის დიდი ადამიანური გულისხმიერება, კაცური თანადგომა და, მე ვიტყოდი, ბრძნული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციაც. ამით ღიად დაფიქსირდა, რომ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს სულაც არ სჭირდება რუსეთის – უკვე უცხო სახელმწიფოს – ოფიციალური დამოწმება აქ მინიჭებულ სამეცნიერო ხარისხებზე (უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიასა და სხვა ქართველოლოგიურ დარგებში ეს მანამდეც სრული ნონსენსი იყო).

1992 წელი თსუ სოხუმის ფილიალისთვის მეტად რთული პერიოდი იყო, რაც ძირითადად, გამოწვეული იყო 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შექმნილი სამოქალაქო დაპირისპირებით, რომელმაც აფხაზეთიც მოიცვა. ამ პროცესებში აქტიურად ჩართული აღმოჩნდა ჩვენი უმაღლესი სასწავლებელიც, რომლის ხელმძღვანელი პროფ. ფელიქს ტყეებუჩავა, როგორც უკვე აღინიშნა, ზ. გამსახურდიას მთავრობის წევრი იყო. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ერთმნიშვნელოვნად დაიკავა დამხობილი ხელისუფლების მხარე და გამოუცხადა დაუმორჩილებლობა სამხედრო საბჭოსა და დროებით მთავრობას. ყოველივე ეს კი გამოიხატა იმაში, რომ თითქმის ოთხი თვის განმავლობაში შეწყდა

სასწავლო პროცესი და, ფაქტობრივად, ფილიალმა, როგორც უმაღლესმა სასწავლებელმა ფუნქციონირება შეწყვიტა. ე. ი. ის, რაც ვერ შეძლეს აფხაზმა სეპარატისტებმა, ამას ქართველები ჩვენივე ხელით ვაკეთებდით – ვაუქმებდით სისხლით მოპოვებულ ქართულ უნივერსიტეტს.

აი, ასეთ ვითარებაში, მე და ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ აქტიურად დავიწყეთ ფიქრი შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან უნივერსიტეტის გამოსაყვანად. მიგვაჩნდა, რომ ამისათვის აუცილებელი იყო ფილიალის ხელმძღვანელობის შეცვლა. დაიწყო „კონსულტაციები", რომლის დროსაც მე წამოვაყენე პროფ. ოთარ ჟორდანიას კანდიდატურა ფილიალის დირექტორის პოსტზე. კოლეგები დამეთანხმნენ და დამავალეს, მემოქმედა ამ მიმართულებით. 1992 წ. გაზაფხულზე შედგა ჩემი რამდენიმე სატელეფონო საუბარი ბატონ როინთან, რომელიც უყოყმანოდ დაეთანხმა ო. ჟორდანიას კანდიდატურას და დაგვპირდა ამ საკითხის დადებითად გადაჭრას. მაგრამ მაშინ ამგვარი საკადრო გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი გახდა – ფ. ტყებუჩავას მომხრეები აღმოაჩნდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობაში. რექტორმა მხოლოდ 1993 წ. შემოდგომაზე მოახერხა ო. ჟორდანიას დანიშვნა უკვე დევნილობაში მყოფი სოხუმის ფილიალის დირექტორად.

ამ დროიდან ბატონი როინი უშუალოდ იყო ჩართული ფილიალის საქმიანობაში, მაგრამ ამას ყოველთვის დელიკატურად აკეთებდა – ის არასოდეს ახვევდა თავს ფილიალს თავის ნებას და არ ერეოდა შიდა საქმეებში (შეიძლება, მაშინაც კი, როდესაც ეს, ჩემი გადასახედიდან, აუცილებელიც კი იყო). რექტორს მშვენივრად ესმოდა (და ხშირად ოფიციალურადაც განუცხადებია), რომ სოხუმის ფილიალი, ფაქტობრივად დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი იყო და თსუ მხოლოდ ქუდი იყო, რომელიც მას სჭირდება დევნილობაში. დევნილობის პირველი წლები უმძიმესი იყო სოხუმის ფილიალისთვის. ქალაქის სხვადასხვა უბანში გაფანტული ფაკულტეტების თავშეყრის მთავარი ადგილი უნივერსიტეტის პირველი კორპუსი იყო, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი, რომელსაც ყოველთვის დიდსულოვნად გვითმობდა უნივერსიტეტის რექტორი სხვადასხვა „შიდა საფილიალო" ღონისძიებების ჩასატარებლად, ჩვენთვის მშობლიურ „სახლად" იქცა. თვით ბატონი როინიც სისტემატიურად ესწრებოდა ამ ღონისძიებებს და გვამხნევებდა თავისი თანადგომით.

დედა-უნივერსიტეტი და მისი რექტორი ყველაფერს აკეთებდნენ სოხუმის ფილიალის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. დევნილი უმაღლესი სასწავლებლის ათეულობით თანამშრომელმა და კურსდამთავრებულმა გაიარა ასპირანტურის კურსი და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თსუ-იში. ჩვენს თანამშრომლებს (ამ შემთხვევაში სტატუსიდან გამოდინარე) ანიჭებდნენ თბილისის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტის პროფესორისა და დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიურ წოდებებს, რაც განსაკუთრებული პატივი იყო თითოეული ჩვენთაგანისათვის. სოხუმის ფილიალის არაერთი დევნილი თანამშრომელი დასაქმდა (პარალელურად, შეთავსებით) თსუ-ის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და ლაბორატორიებში.

ამ მხრივ, არ შემიძლია საგანგებოდ არ აღვნიშნო ის მზრუნველობა, რომელიც ბატონმა როინმა გამოიჩინა პირადად ჩემს მიმართ. 1994 წელს მან მიმიწვია მეცნიერ-თანამშრომლად მისივე ინიციატივით გახსნილ (1992 წ. მიწურულს) *„ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიაში“* (მოგვიანებით: *„ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“).* იმ პერიოდში იქ მზადდებოდა *„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“* ორ-ტომეული – პირველი ფუნდამენტური განმაზოგადებელი ნაშრომი საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიაში. მე დამევალა (აკად. მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად) შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი პერიოდის – IX-XI საუკუნეების საგარეო-პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის საკითხების დამუშავება, რომელსაც წარმატებით გავართვი თავი.[1] ბატონმა როინმა მოიწონა ჩემი ნამუშევარი. უფრო მეტიც, მან მთხოვა ორტომეულის რედაქტირებაშიც მიმეღო აქტიური მოაწილეობა. შედეგად მერგო პატივი ამ მეტად სოლიდური გამოცემის სატიტულო გვერდზე დავფიქსირებულიყავი მთავარი რედაქტორის (ანუ თვით რ. მეტრეველის) მოადგილის რანგში.

შემდეგ იყო სხვა მნიშვნელოვანი პროექტები: *„ქართული დიპლომატიური ლექსიკონი“* (ტ. I, თბ., 1997; ტ. II, თბ., 1999); **„ივანე ჯავახიშვილი“.** *ენციკლოპედიური ლექსიკონი* (თბ., 2002); *„ქართული დიპლომატიის ისტორიის“* პირველი დამხმარე სახელმძღვანელო (თბ., 2003). რომელთა განხორციელებაში მე ასევე მივიღე აქტიური მონაწილეობა,[2] ვი-

---

[1] **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX-X ს. I ნახევარი). – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* თსუ გამომცემლობა, ტ. I. თბ., 1998, გვ. 183-206; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* თსუ გამომცემლობა, ტ. I. თბ., 1998, გვ. 206-225; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* თსუ გამომცემლობა, ტ. I. თბ., 1998, გვ. 226-262.

[2] ამ ენციკლოპედიური გამოცემებში შესულია ჩემი 200-მდე დასახელების სტატია. აქვე დიდი მადლიერებით მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ბატონი როინის თანხმობით *„ქართული დიპლომატიური ლექსიკონისათვის“* ცალკეული სტა-

ყავი ამ გამოცემების სარედაქციო კოლეგიის წევრი. ამავე დროს ბატონმა როინმა შემიყვანა *ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის* შრომების პერიოდული გამოცემის, წელიწდეულის: *„ქართული დიპლომატია“* სარედაქციო კოლეგიაშიც. გარდა საკუთრივ ცენტრის ეგიდით გამოსული პუბლიკაციებისა, ბატონი როინის წყალობით საშუალება მომეცა მომემზადებინა მასალები ცალკეული მაღალრეიტინგული სამეცნიერო კრებულებისათვის, რომელთა რედაქტორიც თვითონ იყო.[1] მაგრამ ჩემი, როგორც მეცნიერი-ისტორიკოსის, საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის სპეციალისტის, ყველაზე დიდი დაფასება როინ მეტრეველის მხრიდან იყო დანიშვნა თსუ *ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის* ხელმძღვანელის მოადგილედ.[2]

მეამაყება, რომ ბატონი როინი არ თაკილობს ჩემს თანაავტორობას. ეს თანამშრომლობა დაიწყო 2003 წელს, როდესაც მოვამზადეთ სტატია მიძღვნილი ზემოთახსენები ჩემი მოსკოველი მეცნიერ-ხელმძღვანელის, ბატონი როინის დიდი მეგობრის, პროფ. ანატოლი ნოვოსელცევის ხსოვნისადმი.[3] ასევე ერთად ვიმუშავეთ *„ქართული დიპლომატი-*

ტიების მომზადება დაევალა ჩემს ვაჟს – თეიმურაზ პაპასქირს, რომელიც იმჟამად თსუ სოხუმის ფილიალის მასწავლებელი იყო, ხოლო ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი *ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის* – ჩემი (თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის) კათედრის ახალგაზრდა დოცენტს ბეჟან ხორავას.

[1] იხ.: **З. Папаскири.** Территория Абхазии в XI-XV вв. – *Разыскания по истории Абхазии/Грузия.* გამომც.: *„მეცნიერება“.* თბ., 1999, გვ. 177-204; **ზ. პაპასქირი.** ბაგრატიონები საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე. – კრებ.: *„ბაგრატიონები. სამეცნიერო-კულტურული მემკვიდრეობა“.* გამომც.: *„ნეოსტუდია“.* თბ., 2003, გვ. 118-143; *დიდნი საქმენი.* პროექტის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი ***რ. მეტრეველი.*** გამომც.: *„არტანუჯი“.* თბ., 2011 (ამ გამოცემაში შესულია ჩემი 7 ნარკვევი მიძღვნილი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერსონაჟებისადმი (ლეონ II, დავით დადიანი, ნიკო დადიანი – დიდი ნიკო, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი, ნინო ჭავჭავაძე, ნიკო დადიანი. გიორგი შარვაშიძე).

[2] აქვე, დიდი სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მე ამგვარი, ასე ვთქვათ, „რექტორის მოადგილეობა“ (ანუ არა უნივერსიტეტის მასშტაბით, არამედ ცალკე სტრუქტურაში, რომელსაც რექტორი შეთავსებით უძღვებოდა) ადრიდანვე „დამებედა“: 1980-1983 წლებში ვასრულებდი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობას, რომელსაც განაგებდა (ასევე შეთავსებით) უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ზურაბ ანჩაბაძე.

[3] **Р. Метревели, З. Папаскири.** Видный ученый, большой друг Грузии. – გაზ. *«Свободная Грузия».* 9.VIII. 2003. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: *ქართული დიპლომატია*, ტ. 11. თბ., 2004, გვ. 724-729.

ის ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილზე,[1] აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიებზე.[2] ჩემთვის არანაკლებ დიდი პატივია ის, რომ აკად. როინ მეტრეველი არის დევნილობაში გამოცემული თითქმის ყველა ჩემი წიგნის რედაქტორი.[3]

გარდა ამისა, მისი, როგორც ცალკეული პერიოდული სამეცნიერო გამოცემების (*ქართული დიპლომატია*, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*) მთავარი რედაქტორისა და აგრეთვე საერთაშორისო ჟურნალების (*The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus /Baku, Azerbaijan/. CA&CC Press®, Sveden. – გამოდის რუსულ და ინგლისურ ენებზე) სარედაქციო კოლეგიის წევრის, რეკომენდაციითა და უშუალო რედაქტირებით გამოქვეყნდა არაერთი ჩემთვის მეტად ფასეული სტატია. იყო შემთხვევები, როდესაც ბატონ როინს ჩემთვის პირდაპირ „შეუკვეთია“ კონკრეტული მასალის მომზადება ისტორიოგრაფიული კონტრპროპაგანდის კუთხით. ასე იშვა განმაზოგადებელი სტატია აფხაზეთის ეთნოპოლიტიკურ იერსახეზე უძველესი დროიდან 1993 წლამდე, რომელიც გამოქვეყნდა რუსულ და ინგლისურ ენებზე[4] და პოლემიკური წერილი

---

[1] **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი.** შესავალი. – *ქართული დიპლომატიის ისტორია*, თსუ გამომცემლობა. თბ., 2003, გვ. 3-21.

[2] **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი.** საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის ისტორიოგრაფია. – წგნ.: *საქართველოს ისტორიის კათედრა*. თბ., 2010, გვ. 193-208; **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი.** საქართველო და ძველი რუსეთი. *IX-XI საუკუნეების I მესამედი. – ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, XIV. თბ., 2011, გვ. 57-86.

[3] **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998; **З. Папаскири.** О национально-государственном облике Абхазии/Грузия. *С древнейших времен до 1993 г.* Тб., 2003; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროდან 1917 წლამდე. თბ., 2004; **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009; **З. Папаскири.** Абхазия. История без фальсификации. Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010.

[4] **З. Папаскири.** Абхазия и абхазы в общегрузинском этнокультурном и политико-государственном пространстве. Часть I. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа. Т. 2. Вып. 2, 2008. CA&CC Press, Швеция, гз. 120-139 (http://cyberleninka.ru/article/n/abhaziya-i-abhazy-v-obschegruzinskom-etnokulturnom-i-politiko-gosudarstvennom-prostranstve). Часть II. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа. Т. 2. Вып. 4, 2008. CA&CC Press, Швеция, гз. 107-121 (http://cyberleninka.ru/article/n/

ერთიანი ქართული სახელმწიფოს როლსა და ადგილზე საერთაშორისო არენაზე XII საუკუნეში.[1] აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონი როინი დიდსულოვნად ეხმაურება ჩემს თხოვნას და აქვეყნებს სტატიებს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის პერიოდულ გამოცემაში: *„საისტორიო ძიებანი“*, რომელსაც მე ვრედაქტორობ.[2]

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი: რომ არა აკად. როინ მეტრეველის უშუალო ხელმძღვანელობითა და მისი თანადგომით შესრულებული ნაშრომები (რომლებზედაც, შეიძლება, ცოტა ზედმეტადაც გავამახვილე ყურადღება), ჩემი მოკრძალებული მეცნიერული შემოქმედება გაცილებით უფრო მწირი იქნებოდა. ამიტომაც მეუბნებიან ხშირად ჩემი სოხუმელი მეგობრები: *„ქართული დიპლომატიის ისტორიის ცენტრში საქმიანობამ ძალზე გაალამაზაო შენი ბიოგრაფია“*-ო. ზედმეტია იმის თქმა, რომ ყოველივე ამას მე, პირველ რიგში, სწორედ ბატონ

---

abhaziya-i-abhazy-v-obschegruzinskom-etnokulturnom-i-politiko-gosudarstvennom-pro stranstve-chast-ii). **Z. Papaskiri.** Abkhazia and the Abkhazians in the common Georgian ethno-cultural, political, and state expanse. Part I. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2, Issue 2, 2008. CA&CC Press®, Sweden, გვ. 105-121 (http://cyberleninka.ru/article/n/abkhazia-and-the-abkhazians-in-the-common-georgian-ethno-cultural-political-and-state-expanse). Part II. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 2, Issue 4, 2008. CA&CC Press®, Sweden, გვ. 95-107 (http://cyberleninka.ru/article/ n/abkhazia-and-the-abkhazians-in-the-common-georgian-ethno-cultural-political-and-state-expanse-1).

[1] **З. Папаскири.** Об одной попытке игнорирования роли и места грузинского государства на международной арене в XII веке. Некоторые замечания на книгу Рауфа А. Гусейн-Заде: *«Кавказ и Сельджуки»*. – *Кавказ и мир.* Международный научный журнал. №14. Тб., 2012, გვ. 60-83. http://iberiana2.wordpress.com/caucasus/papaskiri; **ზ. პაპასქირი.** XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ. – *საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერესპექტივები*. აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი, 21-24 ივნისი, 2012) *მასალები*. თბ., 2012, გვ. 161-170.

[2] იხ.: **რ. მეტრეველი.** ცხოვრება და ღვაწლი სახელოვანი მეცნიერისა. – *საისტორიო ძიებანი*. წელიწდეული. ტ. VIII-IX. თბ., 2006, გვ. 15-30. – https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2005-2006 (სტატია ეძღვნება შოთა მესხიას დაბადებიდან 90-ე წლისთავს); **რ. მეტრეველი.** სააკადემიო საქმიანობის სათავე. – *საისტორიო ძიებანი*. წელიწდეული. ტ. X-XI. თბ., 2008, გვ. 13-28 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2007-2008) (სტატია ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების დაარსებიდან მე-100 წლისთავს).

როინს ვუმადლი. არ შევცდები თუ ვიტყვი იმასაც, რომ ის ნამდვილად არის ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი და მოძღვარი.

მაგრამ როინ მეტრეველი ზურაბ პაპასქირისთვის ბევრად მეტია, ვიდრე მასწავლებელი და ხელმძღვანელი, ის არის დიდი მფარველი და ქომაგი, რომლის თანადგომამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდში: რომ არა მისი, როგორც უნივერსიტეტის რექტორის, აქტიურობა, ძნელი სათქმელია დავაღწევდი თუ არა თავს „აფაზთა ტყვეობას“. ბატონი როინი პირველი იყო, ვინც ოფიციალურად ხმა აღიმაღლა ჩემს დასაცავად. მან ჯერ კიდევ 1993 წ. 23 ოქტომბერს გაუგზავნა დეპეშა სეპარატისტული რეჟიმის ლიდერს ვლადისლავ არძინბას. ეს დეპეშა გამოაქვეყნა გაზეთმა *„საქართველოს რესპუბლიკამ“* (№231, 23.10.1993):

კატეგორიულად მოვითხოვთ!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** გუდაუთაში გაგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

ჩვენამდე მოვიდა ცნობა, რომ თქვენს სამხედრო ფორმირებებს დატყვევებული ჰყავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ პაპასქირი და ზოგიერთი სხვა პედაგოგი. ამ ფაქტზე კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიგვაჩნია. თსუ პროფესორ-მასწავლებელთა სახელით კატეგორიულად მოვითხოვთ მიიღოთ ზომები, რათა დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ზურაბ პაპასქირი, სხვა პედაგოგები და მისცეთ მათ სამშვიდობოზე გამოსვლის საშუალება.

როინ მეტრეველი,
რექტორი, აკადემიკოსი[1]

სწორედ ამ დეპეშით გაიგო ფართო საზოგადოებამ ჩემი დატყვევების ამბავი და დაიწყო ტყვეობიდან ჩემი გამოხსნის კამპანია. ამ საქმის მოთავე და ძირითადი წარმართველი უნივერსიტეტის რექტორი იყო. ბატონი როინი აწუხებდა ყველას, ვისაც კი შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია ამ საქმეში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შეხვედრა და საუბარი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან პროფ. ალეკო გვარამიასთან ქ. აშხაბადში მიმდინარე ევრაზიის უნივერსიტეტთა ასოციაციის V ყრილობაზე (1993 წლის 11-13 ნოემ-

[1] დეპეშის ტექსტი იხ. აგრეთვე: წგნ.: *ზურაბ პაპასქირი – 60..*, გვ. 156.

ბერი). *„ალეკო, ნუთუ შენ არაფერი გაგიგია ზურაბის დაპატიმრების შესახებ?“* – ჯიქურ, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე (მათ დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდათ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კომკავშირიდან), უკითხავს ბატონ როინს[1] თავისი სოხუმელი კოლეგისთვის. ეს უკანასკნელი შემცბარა – თითქოს პირველად ესმოდა ამის შესახებ[2] და იქვე მიუცია პირობა, რომ ყველაფერს იღონებდა ჩემს გასანთავისუფლებლად. *„როინ ვიქტორის ძევ,* – უთქვამს ა. გვარამიას, – *მე როგორც კი ჩავალ, მაშინათვე მივალ სლავიკთან* (იგულისხმება ვლადისლავ არძინბა – **ზ.ჰ.**) *და ჩვენ აუცილებლად გავათავისუფლებთ ზურაბს“*. არავინ იცის ალეკო გვარამია ამ საკითხთან დაკავშირებით ნამდვილად შეხვდა თუ არა სეპარატისტების ლიდერს,[3] თუმცა ფაქტია, რომ ჩემი გამოსვლა ამას არ მოჰყოლია და ბატონი როინი იძულებული გახდა კვლავ მიემართა ვლადისლავ არძინბასთვის. ეს დეპეშაც გამოქვეყნა გაზეთმა *„საქართველოს რესპუბლიკამ“* (24.12.1993):

ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელი!

გუდაუთა. ვლადისლავ არძინბას.

მიუხედავად საქართველოს საზოგადოებრიობის, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და პროფესორ-მასწავლებელთა არაერთგზის მოთხოვნისა, დღემდე არ არის განთავისუფლებული ტყვეობიდან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის

---

[1] ეს ამბავი თვითონ ბატონმა როინმა მომიყვა.

[2] ამ შემთხვევეაში ჩემი ძველი მეგობარი ალეკო გვარამია, რომლის გუნდის აქტიური წევრიც ვიყავი უნივერსიტეტის გაყოფამდე, აშკარად ცრუობდა. მას არ შეიძლებოდა ამ დროს – **11-13 ნოემბერს** – არ ცოდნოდა ჩემი დაპატიმრების შესახებ. საქმე იმაშია, რომ უკვე დაპატიმრებიდან (**1993 წ. 7 ოქტომბერი**) მესამე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში, სადაც განთავსებული იყო დროებითი დაკავების იზოლატორი, მე შემთხვევით მნახა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, დოცენტმა რაულ ხონელიამ. ის სამინისტროში, სადაც, თუ არ ვცდები, სამხედრო კომენდატურის „ოფისიც“ იყო (სეპარატისტული რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი აგრბა, პარალელურად, ქ. სოხუმის სამხედრო კომენდანტიც იყო) ავტომანქანის საშვის ასაღებად ყოფილა მოსული. მე, როგორც კი შევამჩნიე, საგანგებოდ მივუახლოვდი და დემონსტრაციულად მივესალმე მოულოდნელობისაგან სახტად დარჩენილ აფხაზ კოლეგას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს რ. ხონელიას უნივერსიტეტის რექტორისთვის „ოპერატიულად“ არ ემცნო. გარდა ამისა, დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემს განთავისუფლებას დიდი მონდომებით ცდილობდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ამიჩბა.

[3] მოგვიანებით, როდესაც ა. გვარამია უკვე ათენსა თუ იალტაში (ქართული და აფხაზური მხარეების ორმხრივი დიალოგის ფორმატში) შეხვდა ბატონ როინს მას ერთგვარი თავის მოწონებით „უპატაკნია“ მისთვის, რომ თავისი (აშხაბადში მიცემული) პირობა პირნათლად შეასრულა და დიდი წვლილი შეიტანა ჩემს გათავისუფლებაში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი ზურაბ პაპასქირი. ჩვენთვის გაუგებარია საზოგადოებრივი აზრის ასეთი უგულებელყოფა. მიღებული ცნობებით, ზურაბ პაპასქირის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. ვფიქრობთ, მეცნიერის ბედისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ტყვეობიდან პროფესორი ზურაბ პაპასქირი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით

როინ მეტრეველი,
რექტორი, აკადემიკოსი[1]

უნივერსიტეტის რექტორის ზრუნვა გასაჭირში მყოფ კოლეგაზე მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა და თავის მაღალ ავტორიტეტს სხვა მიმართულებითაც იყენებდა. კერძოდ, როგორც ირკვევა (ესეც უშუალოდ ბატონი როინისგან ვიცი), ის სისტემატურად ახსენებდა პირადად სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს ჩემი ტყვეობის ამბავს და თხოვდა მას ძალ-ღონე არ დაეშურებინა ამ პრობლემის გადასაწყვეტად. არანაკლებ აღსანიშნავია, ის დიდი ყურადღება და გულისხმიერება, რომელიც მან გამოიჩინა ჩემი მეუღლის მიმართ, როდესაც ეს უკანასკნელი ეახლა მას და თხოვა დახმარება. ბატონ როინს უთქვამს: *„არ მოგერიდოთ, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მომმართოთ, გნებავთ აქ მობრძანდეთ, გნებავთ დამირეკოთ“* – თვითონაც არაერთხელ დაურეკავს და მოუკითხავს. რექტორის, სამეცნიერო წრეების (მათ შორის წამყვან რუს ისტორიკოსთა – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების წევრთა, რომლებმაც ოფიციალური წერილით მიმართეს ვ. არძინბას),[2] სახელისუფლებო სტრუქტურების, საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა ამ მონდომებამ შედეგი გამოიღო და 1994 წ. 14 იანვარს 100 დღიანი პატიმრობის შემდეგ, როგორც იქნა, გამოვედი სამშვიდობოს. ასე დამთავრდა ჩემი „აფხაზთა ტყვეობიდან“ გამოხსნის „ეპოპეა“, რომელშიც ლომის წილი სწორედ როინ მეტრეველმა შეიტანა. ის რაც ბატონმა როინმა ჩემს მიმართ გააკეთა არის დიდი ჰუმანურობისა და კაცური კაცობის გამოვლენა, რომელსაც, ბუნებრივია, მე და ჩემი ოჯახი არასოდეს დავივიწყებთ.[3]

---

[1] დეპეშის ტექსტი იხ. აგრეთვე: წგნ.: *ზურაბ პაპასქირი – 60..*, გვ. 156-157.
[2] იხ. წგნ.: *ზურაბ პაპასქირი – 60..*, გვ. 158-159.
[3] სადღაც წამიკითხავს: მემუარული ხასიათის ნაწარმოებს ყოველთვის თან

და ეს არაა გამონაკლისი. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ მიაქვს გულთან როინ მეტრეველს გასაჭირში მყოფი ნებისმიერი ადამიანის – ახლობლისა, თუ არაახლობლის მდგომარეობა და როგორ უდგას მხარში ის ყველას, ვისაც ეს სჭირდება. ამის მოწმეები არიან მისი მეგობრები, კოლეგები, მოწაფეები, უბრალო ადამიანები. მას გააჩნია თანადგომის იშვიათი უნარი. ჩემი ღრმა რწმენით, ის არის კაცი, რომელსაც უბრალოდ მტრობა არ შეუძლია და მხოლოდ სიკეთეს სთესავს, ამიტომაცაა ასე სითბოთითა და საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი.

ვულოცავ გამოჩენილ მეცნიერს, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის თავკაცს, სასიქადულო მამულიშვილს, აკადემიკოს როინ მეტრეველს სახელოვან იუბილეს, ვუსურვებ მას ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ეროვნული მეცნიერებისა და მშობლიური ქვეყნის სადიდებლად...

მრავალჟამიერ... ბატონო როინ!

სდევს ერთი ფრიად თვალშისაცემი უხერხულობა, მასში ავტორი გვერდს ვერ აუვლის საკუთრივ მის მიერ გავლილ გზას. სამწუხაროდ, ვერც მე დავძლიე ეს ცდუნება და შეიძლება მკითხველი მოვაწყინე კიდეც ჩემი ცხოვრებიდან ცალკეულ დეტალების გადმოცემით, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

ზოგიერთი შტრიხი გივი წულაიას მეცნიერული და მოქალაქეობრივი იერსახისათვის*

1975 წლის ადრე გაზაფხული იდგა. მე – იმჟამად მიხეილ ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი – გამალებით ვმუშაობდი საკანდიდატო დისერტაციაზე, რომლის ცენტრალური თემა XI-XII საუკუნეების საქართველო-ძველი რუსეთის ურთიერთობები იყო.[1] ამ დროს სრულიად შემთხვევით წავაწყდი ჩემი თემისათვის უაღრესად საინტერესო პუბლიკაციას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემაში: *«Советская этнография»*. სტატია, რომლის ავტორი მაშინ ჩემთვის სრულიად უცნობი პიროვნება – გივი წულაია იყო, ეძღვნებოდა ძველ რუსულ წერილობით ძეგლებში დაფიქსირებული ხალხისა და ქვეყნის აღმნიშვნელი ტერმინის – «*Обезы*»-ის მნიშვნელობის გარკვევას.[2] ეს იყო მეტად პრინციპული საკითხი, რომელიც, მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი ისტორიკოსის იასე ცინცაძის მიერ თითქოს გადაიჭრა, მაგრამ მისი ქართულენოვანი პუბლიკაციები[3] ფართო სამეცნიერო წრეებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახლდათ,[4] რითაც სარგებლობდნენ სხვადასხვა ჯურის საქართველოს ისტორიის გამყალბებლები.

პრინციპული კი ეს პრობლემა იმიტომ იყო, რომ ზოგიერთი აფხაზი და რუსი მეცნიერი ცდილობდა ტერმინი «*Обезы*» გაეზრებინა, როგორც აფხაზეთი თანამედროვე ეთნო-პოლიტიკური შინაარსით და ამაზე დაყრდნობით ესაუბრა საკუთრივ ეთნიკურ აფხაზთა და ამჟამინდელი აფხაზეთის მაღალ ავტორიტეტზე საერთაშორისო არენაზე IX-XII საუკუნეებში.[5] არადა, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ,

---

* გამოქვეყნდა კრებულში: *გივი წულაია – 80*. თბ., 2014, გვ. 18-34.

[1] **З. В. Папаскири.** Грузия и Восточная Европа в XI-XIIвв. *Из истории международных отношений*. Автореферат кандидатской диссертации. Изд. МГУ. М., 1978.

[2] **Г. В. Цулая.** Обезы по русским источникам. – *Советская этнография.* № 2. 1975, გვ. 99-105.

[3] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVIსს.). თბ., 1956, გვ. 65-67; **ი. ცინცაძე.** ძველი რუსული მასალები (XI-XVI სს.) საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1962, გვ. 25-26.

[4] ამ მხრივ გ. სულავას ერთგვერდიან რუსულენოვან სტატიას (**Г. Г. Сулава.** Что понимали в Древней Руси под названием «Обезь». – *История СССР*, №2, 1957, გვ. 158) არსებითად არაფერი შეუცვლია.

[5] სხვადასხვა დროს «*Обезы*»-ს, «Обежанин»-ს თანამედროვე აფხაზეთსა და ეთნიკურ აფხაზებთან აიგივებდნენ: ს. ბასარია, მ. სკრიპილი, შ. ინალ-იფა, ვ. კოჟინოვი და სხვ. **С. Басария.** Абхазия в географическом, этнографическом и этнокультурном отношении. Сухум-Кале, 1923, გვ. 6; **М. О. Скрипиль.** Сказание о Ва-

რომ დღეისათვის ცნობილ უკლებლივ ყველა ძველ რუსულ ძეგლში ტერმინ «*Обезы*»-ს ქვეშ მოიაზრება „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ მხოლოდ ფართო გაგებით, ანუ ერთიანი ქართული სახელმწიფო და მისი მოსახლეობა რომელთა შორის, ბუნებრივია, იგულისხმებიან საკუთრივ აფხაზები.[1] გივი წულაიამ თავის სტატიაში მნიშვნელოვანწილად შეავსო ი. ცინცაძის შენიშვნები[2] და სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე მთლიანად გააქარწყლა მოსაზრება იმის შესახებ, რომ «*Обезы*»-ს ქვეშ შეიძლება იგულისხმებოდნენ დღევანდელი აფსუა-აფხაზები და აფხაზეთი.

მე ბუნებრივია, დავამუშავე გ. წულაიას ეს სტატია და შევიტანე კიდეც ჩემს სადისერტაციო ნაშრომში, რომელშიც საგანგებოდაა განხილული „ობეზების“ პრობლემა. აქვე უნდა შევნიშნო ისიც, რომ ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება იყო ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელის, ცნობილი რუსი ისტორიკოსის (შემდგომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუ-

---

вилоне граде. – *Труды* отделения древнерусской литературы, т. IX. М., 1953, გვ. 130-135; **Ш. Д. Инал-ипа.** Абхазы. Сухуми. 1965, გვ. 158; **Ш. Д. Инал-ипа.** Вопросы этнокультурной истории абхазов. Сухуми, 1976, გვ. 53; **В. Кожинов.** Южная Русь и Абхазия. – გაზ. *«Абхазия»*, 13 августа 1991, გვ. 3. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს აფხაზი ფილოლოგი ა. პაპასქირი (**А. Л. Папаскири.** Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей. – *Труды Абхазского государственного университета*, т. VI. Сухуми, 1988, გვ. 114-129; **А. Л. Папаскир.** Обезы и их грузинские истолкователи. Сухуми, 2002; ; **А. Л. Папаскир.** Обезы в древнерусской литературе и проблемы истории Абхазии. Сухуми, 2005; ამ ავტორის „ნააზრევის“ ამომწურავი კრიტიკა იხ.: **Г. Г. Пайчадзе.** Название Грузии в русских письменных исторических источниках. Тб., 1989, გვ. 11-60.

[1] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან გვ. 65-67; **ი. ცინცაძე.** ძველი რუსული მასალები.., გვ. 15-26; **Г. Г. Сулава.** Что понимали в Древней Руси под названием «Обезь», გვ. 158; **Ш. А. Месхия, Я. З. Цинцадзе.** Из истории русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв. Тб., 1958, გვ. 12; **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 171-177; **Н. Ф. Котляр.** Грузинские сюжеты древнерусских летописей (О взаимоотношении между Дрвней Русью и Грузией XI-XIII в.) – *Из истории украинско-грузинских связей*, т. 3. Тб., 1975, გვ. 7-19; **З. В. Папаскири.** К вопросу о международной роли Грузии в XI – первой половине XII века. – *Проблемы истории СССР»*, V. Изд. МГУ. М., 1976, გვ. 121-123; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 116-123; **Г. Г. Пайчадзе.** Названия Грузии в русских письменных исторических источниках, გვ. 11-60.

[2] უნდა აღინიშნოს, რომ ი. ცინცაძეს გამორჩა მთელი რიგი მკვლევარები, მათ შორის ლ. ლავროვი (**Л. И. Лавров.** «Обезы» русских летописей. – *Советская этнография*. № 4б 1946, გვ. 161-170), მ. სკრიპილი და სხვ.

ტის დირექტორის) ანატოლი ნოვოსელცევის ინიციატივა, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალა ამ თემის წინ წამოწევა. მაშინ მე ეს ცოტა ზედმეტად მომეჩვენა, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ი. ცინცაძემ ამოწურა ეს საკითხი და მას აქტუალობა დაკარგული ჰქონდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი და ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი მართალი იყო.

ეს განსაკუთრებით მაშინ ვიგრძენი, როდესაც (1976 წელს) სამსახური დავიწყე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. როგორც გაირკვა, ნაციონალისტურად განწყობილ აფხაზ მეცნიერებსა და ინტელიგენციის ფართო წრეებში ძალზე პოპულარული ყოფილა თვალსაზრისი, რომ ტერმინი «*Обезы*» არა მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთისა და აფხაზების (დღევანდელი გაგებით) აღმნიშვნელი ცნება ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემი პირველი დაპირისპირება აფხაზურ ნაციონალისტურ წრეებთან სწორედ «*Обезы*»-ს მნიშვნელობის აფხაზური ვერსიის საჯარო კრიტიკას მოჰყვა.

ეს იყო 1977 წ. მარტში, როდესაც მე მომიწია გამოსვლა (ეს თვით ინსტიტუტის რექტორის პროფ. ზურაბ ანჩაბაძის ინიციატივით მოხდა) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში გამართულ სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის, სეპარატისტული წრეების კუმირის, პროფ. შალვა ინალ-იფას გახმაურებული მონოგრაფიის: *«Вопросы этно-культурной истории абхазов»* განხილვას.[1] მოგვიანებით, როდესაც ჩემი დაკვირვებები ამ საკითხზე (შ. ინალ-იფას წიგნის განხილვისას გამოთქმული შენიშვნებითურთ) შევიდა 1982 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში,[2] ამან სეპარატისტების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია და მათ, ფაქტობრივად, აფხაზეთში "Persona non grata"-დ გამომაცხადეს. აფხაზი ნაციონალისტებისათვის ასევე მიუღებელი იყო «*Обезы*»-ის მნიშვნელობის გივი წულაიასეული ახსნა და მისი ზემოხსენებული სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ისიც მოექცა მათი კრიტიკის ქარცეცხლში. ასე ვიქეცით მე და ბატონი გივი თანამოაზრეებად.

1975 წ. მიწურულს მე დავასრულე ასპირანტურის კურსი და წარ-

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: *За глубокое научное изучение истории Абхазии*. – გაზ.: *«Советская Абхазия»*. 14 мая 1977 г. ეს პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წიგნში: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*. Тб., 2012, გვ. 586-592 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf). ამ განხილვის პერიპეტიებზე იხ. აგრეთვე იქვე: **З. Папаскири.** Моя Абхазия.., გვ. 20-23.

[2] იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Изд. ТГУ. Тб., 1982.

ვადგინე საკადიდატო დისერტაცია, რომელიც ძირითადად მოწონებულ იქნა (საჭირო იყო მხოლოდ მცირე შესწორებების შეტანა) და მიეცა რეკომენდაცია დასაცავად. დადგა ოფიციალური ოპონენტების გამოყოფის საკითხი. ჩემმა მეცნიერ-ხელმძღვანელმა კათედრას ერთ-ერთ ოპონენტად გივი წულაიას კანდიდატურა წარუდგინა (მეორე ოპონენტად მოწვეულ იქნა გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი-ბიზანტინისტი, შემდგომ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გენადი ლიტავრინი). მთავარ არგუმენტად, რომლის გამოც შეირჩა ეთნოლოგ გივი წულაიას კანდიდატურა სწორედ ზემოხსენებული პუბლიკაცია და, ამასთან, მისი ღრმა განსწავლულობა ძველი და შუა საუკუნეების საქართველო-კავკასიის ისტორიის სფეროში იყო – ის უკვე მაშინ ითვლებოდა ავტორიტეტულ მეცნიერად კავკასიოლოგიაში. მაგრამ ვინ იყო ეს ქართველი გივი წულაია და საიდან იყო ის, იმ დროს ჩემთვის მაინც უცნობი დარჩა.

და აი, ჩამოვედი სოხუმში, შევუდექი საქმიანობას პედაგოგიურ ინსტიტუტში სსრ კავშირის ისტორიის კათედრაზე. ერთ-ერთი პირველი კითხვა, რომელიც კათედრის გამგემ, პროფ. ირაკლი ახალაიამ დამისვა შეეხებოდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პერსპექტივას. მკითხა ვინ იყო მეცნიერ-ხელმძღვანელი, ოფიციალური ოპონენტები. როდესაც ვახსენე გივი წულაია, ბატონმა ირაკლიმ კმაყოფილება ვერ დაფარა და სიხარულით თქვა: *„როგორ? ეს ხომ ჩვენი გივია“*. მაშინ გავიგე, რომ გივი წულაია იყო სოხუმელი, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის კურსდამთავრებული, რომელმაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტი – Институт этнологии и антропологии им. Н. Н. Миклухо-Маклая РАН) და დისერტაციის დაცვის შემდეგ იქვე დაიწყო სამეცნიერო საქმიანობა.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ ჩვენ უკვე პირადად შევხვდით ერთმანეთს. ეს იყო იმავე 1976 წ. მაისში. ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი ირაკლი ახალაია მიბარებს და მეუბნება: *„შენს მომავალ ოპონენტს გივი წულაიას მამა გარდაეცვალა და მე ახლა მივდივარ მის სახლში სამძიმარზე, იქნებ შენც წამოხვიდეო“*. მე, ბუნებრივია, უმალ დავეთანხმე. ბატონმა ირაკლიმ ჩამსვა თავის მანქანაში და ჩვენ ერთად მივადექით წულაიების სახლს ყაზბეგის ქუჩაზე. ბატონ გივის ძალზე ესიამოვნა ჩემი გაცნობა. მითხრა, მე სულ სხვანაირად წარმომედგინე, ზუგდიდელს (მას ეს ა. ნოვოსელცევისაგან სცოდნია) არაფერი მიგიგავსო.

1978 წ. 11 აპრილს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ჩემი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, რომელმაც ყოველგვარი მოუ-

ლოდნელობების გარეშე ჩაიარა და მე ერთხმად მომანიჭეს საძიებო ხარისხი. ამაში ოფიციალური ოპონენტების გენადი ლიტავრინისა და გივი წულაიას მაღალმა ავტორიტეტმაც ითამაშა გარკვეული როლი. დაცვის შემდეგ იმდროისათვის საკმაოდ პრესტიჟულ რესტორან *„მეტროპოლ-ში“* მოვაწყვე მცირე ბანკეტი. იმჟამად „სადესერტაციო“ სუფრებზე მისვლა კატეგორიულად ეკრძალებოდა სადისერტაციო საბჭოს წევრებს და ოფიციალურ ოპონენტებს. ბატონ გივის ძალიან უნდოდა რესტორანში წამოსვლა, რაც იმითაც იყო გამოწვეული, რომ იქ მისი სოხუმელი მეგობრებიც – პროფ. ირაკლი ახალაია, დოც. მურმან ბერია, აგრეთვე გიორგი სახეიშვილი – უნდა ყოფილყვნენ (სხვათა შორის დაცვას და ბანკეტს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა აკად. მარიამ ლორთქიფანიძის დასწრებამ, რომელიც იმ დროს „საქმიანი ვიზიტით“ იმყოფებოდა მოსკოვში), მაგრამ ბოლოს მაინც შეიკავა. რამდენიმე დღეში მე და მამაჩემმა, რომელიც „მეორე ნაწილის“ მთავარი „ორგანიზატორი“ იყო, მაინც მოვახერხეთ ამ „ხარვეზის“ გამოსწორება და ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ცალკე დავპატიჟეთ ოფიციალური ოპონენტები რესტორან *„ჩერიომუშკებში“*.

ამ დროიდან მე და ბატონი გივი ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ეს უმეტესწილად სოხუმში იყო, სადაც ის ზაფხულობით ჩამოდიოდა. მე გაოცებული ვიყავი მისი სოხუმური ბიბლიოთეკის მრავალფეროვნებით, თუმცა არანაკლებ აღფრთოვანებული დავრჩი მისი მოსკოვური ბიბლიოთეკის ხილვითაც. განსაკუთრებით გამაკვირვა იმან რომ მას ორივე ბიბლიოთეკაში ჰქონდა უამრავი ერთი და იგივე წიგნი. ანუ ეს არცთუ ისე შეძლებული (ფინანსური კუთხით) ადამიანი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის (მას ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ჯიუტად არ აძლევდა უფრო მაღალ სტატუსს შესაბამისი – ბევრად უფრო მაღალი – სახელფასო სარგოთი), ფაქტობრივად, მიზერული ხელფასით ცხოვრობდა, თავისი მწირი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ერთგვარი „საბიბლიოთეკო ფუფუნების“ მოწყობას ახმარდა.

სწორედ წიგნებისადმი და წიგნიერებისადმი ამგვარმა, მე ვიტყოდი, ფანატიკურმა ლტოლვამ აქცია გივი წულაია ისტორიკოსთა „საძმოში“ ერთ-ერთ ყველაზე მრავალმხრივ განათლებულ და ერუდირებულ მეცნიერად, რომელიც ყველას ანცვიფრებდა და დღესაც ანცვიფრებს თავისი კოლოსალური ნაკითხობით არა მხოლოდ საქართველო-კავკასიის წყაროთმცოდნეობასა და ეთნოლოგიაში, არამედ მომიჯნავე დარგებში (არაფერს ვამბობ მის ლიტერატურულ გატაცებებზე), განსაკუთრებით ბიზანტინისტიკაში. უფრო მეტიც, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მას როგორც მეცნიერს სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი ქართულ-ბიზანტიური ისტორიულ-კულტურული კავშირ-ურთიერთობების

კვლევაში. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო დრომდე სწორედ გივი წულაია იყო ერთადერთი ქართველი მკვლევარი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისეულ ფორმულაზე და შეეცადა დაედგინა ქართული სამყაროს ადგილი და მნიშვნელობა „ბიზანტიური კულტურული წრის“ ქვეყნებს შორის.[1]

70-იანი წლების მიწურულიდან დაიწყო ჩვენი სამეცნიერო-თანამშრომლობაც. იმჟამად ბატონი გივი აქტიურად შეუდგა ძველი ქართული მატიანეებისა და სხვა წერილობითი ძეგლების თარგმნას რუსულ ენაზე. 1979 წელს მან გამოსცა *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყისი მატიანის ცალკეული ფრაგმენტების თარგმანი,[2] რომელსაც ერთვოდა უაღრესად საყურადღებო წინასიტყვაობა-გამოკვლევა და სიღრმისეული კომენტარები. ბატონმა გივიმ მისახსოვრა თავისი ახალი გამოცემა და მთხოვა ყურადღებით წამეკითხა ის. მას განსაკუთრებით აინტერესებდა მატიანის რუსული თარგმანის შესატყვისობა ორიგინალთან. ეს არ იყო მაინც და მაინც იოლი ამოცანა, ვინაიდან იმჟამად მე, მართალია, ტექსტოლოგიურად კარგად მქონდა დამუშავებული *„ქართლის ცხოვრების“* კრებულის ის ქრონიკები, რომლებშიც ასახული იყო XI-XII საუკუნეები – ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ეპოქა, მაგრამ ლეონტი-ჯუანშერის ნაწილზე ჯერ კიდევ საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენა მქონდა. არ დავიზარე და საკმაოდ ოპერატიულად შევასრულე ეს დავალება. აღმოჩნდა, რომ ტყუილად არ გავრჯილვარ. თარგმანში, რომელიც, მთლიანობაში, უდავოდ მაღალ დონეზე იყო შესრულებული, მართლაც გაპარულიყო თითო-ოროლა უზუსტობა.

ერთმა ასეთმა პასაჟმა გამოიწვია გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა ჩემსა და ბატონ გივის შორის. მახსოვს, ჩვენს ამ წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიურ „დავას“ (ეს ხდებოდა სოხუმში – უნივერსიტეტში) შემთხვევით შეესწრო პროფ. ბორის კვარაცხელია, რომელიც, თავისი სპეციალობით (ის უახლესი პერიოდის ისტორიას იკვლევდა) ძალზე შორს იყო ძველი ქართული მატიანეების პრობლემებისაგან. გვისმინა ბატონმა ბორისმა, გვისმინა და, მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ასეთი კომენტარი გააკეთა: *„ესაა, ძმაო, ნამდვილი მეცნიე-*

---

[1] ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი გამოკვლევა ადრეფეოდალური საქართველოს ისტორიული პროცესის ეთნო-კულტურულ ასპექტებზე: იხ.: **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса в раннефеодальной Грузии (V-X вв.). – *Кавказский этнографический сборник.* IX. М., 1989 (http://user docs.ru/geografiya/8457/index.html?page=5#430790).

[2] **Леонти Мровели.** Жизнь Картлийских царей. Извлечения об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана. Перевод с Древнегрузинского, предисловие и комментарии ***Г. В. Цулая***. М., 1979.

რებაო“. მე და ბატონი გივი მაინც ვერ შევთანხმდით და გადავწყვიტეთ „საქმეში ჩაგვერთო“ უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ზურაბ ანჩაბაძე, რომელიც, როგორც საქართველო-კავკასიის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის კომპეტენტური მკვლევარი *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეების ბრწყინვალე მცოდნე იყო. ბატონი ზურაბი ერთი თვალის გადავლებით ჩაწვდა ქართულ ტექსტს და დაადასტურა „სადავო“ ადგილის ჩემეული წაკითხვის მართებულობა.

იმ დღიდან ბატონი გივი კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განეწყო ჩემს მიმართ და აქტიურად ჩამრთო თავის მთარგმნელობით საქმიანობაში. ლეონტი მროველის ქრონიკას მოჰყვა *„მატიანე ქართლისაჲსა“,*[1] და ჯუანშერ ჯუანშერიანის ქრონიკის[2] ბრწყინვალედ შესრულებული თარგმანები. მე ხელნაწერში გავეცანი ორივე ამ თარგმანს და შევიტანე ცალკეული (ფრიად უმნიშვნელო) კორექტივები. ამიტომაცაა, რომ ორივე ამ გამოცემის რეცენზენტად ვარ დაფიქსირებული სატიტულო გვერდებზე. ჩვენი ამგვარი თანამშრომლობა გრძელდებოდა შემდგომაც. სულ ახლახან (ამჯერად უკვე თბილისში) კვლავ მომიწია გ. წულაიას მორიგ თარგმანზე მუშაობა – რეცენზენტის რანგში.[3]

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეებისა[4] და ძველი ქართული აგიოგრაფიული თხზულებების *(„ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“,*[5] *„ილარიონ ქართველის ცხოვრება“*[6] და ა.შ.) გივი წულაიასეული რუსული თარგმანები და ამ ძეგლების ირგვლივ მის მიერ ჩატარებული წყაროთმცოდნეობითი (ისტორიოგრაფიულიც) კვლევა[7] მეცნიერული ქართველოლოგიის მნიშვ-

---

[1] *Летопись Картли*. Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая***. Тб., 1982.

[2] **Джуаншер Джуаншериани.** Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая***. Тб., 1986.

[3] **Бэри Эгнаташвили.** Новая история грузии. Перевод со старогрузинского и исследование ***Гиви В. Цулая*.** Комментарии ***Бежана Хорава*.** Тб., 2013.

[4] გ. წულაის ეკუთვნის აგრეთვე XIV ს. ჟამთააღმწერლის თხზულების თარგმანიც. იხ.: *Анонимный грузинский «Хронограф» XVI века (Жамтаагмцерели)*. Перевод со старогрузинского ***Г. В. Цулая***. М., 2005.

[5] **Г. В. Цулая.** Страсти св. Евстафия Мцхетского. – *Святые и мученики в истории Грузии*. Критический анализ, перевод на русский язык. М., 2006, გვ. 28-64.

[6] *Житие и деяния Илариона Грузина*. Перевод с древнегрузинского, введение, примечания ***Г. В. Цулая*.** Издание второе, дополненное. М., 1998.

[7] ამ მხრივ საგანგებოდ უნდა გამოვყოთ გ. წულაიას სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა *„ქართლის ცხოვრების“* ადრეული ციკლის ეთნოკულტურული პრობლემების ანალიზს (იხ.: **Г. В. Цулая**. Ранний цикл свода грузинских летописей «Картлис цховреба». *Анализ этнокультурной проблематики*. Автореферат диссертации на соискание учёной степени доктора исторических на-

ნელოვანი შენაძენია. გ. წულაიას, როგორც *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეების უბადლო მთარგმნელისა და კომპეტენტური მკვლევრის აღიარებაა ის, რომ ახლახან გამოსულ *„ქართლის ცხოვრების“* რუსულ გამოცემაში შესულია მეცნიერის მიერ შესრულებული ორი მატიანის (ჯუანშერ ჯუანშერიანის ქრონიკა, ჟამთააღმწერლის თხზულება) თარგმანი.[1] ასეთი პატივი ერგო მხოლოდ აკად. მარიამ ლორთქიფანიძეს, რომლის ორი თარგმანიც *(„მატიანე ქართლისაჲსა“* და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის) შესულია აღნიშნულ გამოცემაში.

აქვე საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ არა ბატონ გივისთან ამგვარი თანამშრომლობა, ვინ იცის მე როდის მოვიცლიდი *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეების სიღრმისეულად შესწავლისათვის. უფრო მეტიც, თავის დროზე (XX ს. 80-იანი წლების დამდეგს) სწორედ მის თარგმანებზე მუშაობამ მიბიძგა საგანგებოდ დამემუშავებინა ცალკეული მატიანეები, მათ შორის ის თხზულებები, რომლებთანაც ადრე მეცნიერული თვალსაზრისით მაინც და მაინც შეხება არ მქონია (ლეონტი მროველის თხზულება, ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულება) და მომემზადებინა *(„ისტორიის“* სპეციალობის რუსულენოვანი ჯგუფებისათვის) სპეც-კურსი: *„ქართლის ცხოვრება“, როგორც ძველი და შუა საუკუნეების ხანის საქართველოს ისტორიის წყარო“.*

ვხვდებოდით მე და ბატონი გივი ძირითადად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე წულაიების სახლში, ყაზბეგის ქუჩაზე, სადაც საკუთარ ეზოში მოყვანილი „იზაბელასაგან“ დაყენებული ჩინებული ღვინოთი გვიმასპინძლდებოდა მისი დედა – სათნოებით გამორჩეული ქალბატონი თამარი. ნამყოფი ვარ ბატონი გივის მეუღლის, ქ-ნ ნათელა გიგინეიშვილის ოჯახში – სვანიძის ქუჩაზე, სადაც ოჯახის უფროსმა – ბატონმა ზურაბმა დიდი ნადიმი გადაიხადა სიძის მეგობრების პატივსაცემად. ასევე მახსოვს ძალზე თბილი მეგობრული ვახშამი ბ-ნი გივის დის ოჯახშიც – „ჭანბაზე“. ბატონი გივი არაერთხელ ყოფილა ჩემთანაც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მისი სტუმრობა ჩვენს ოჯახში 1983 წ. ზაფხულში. იმჟამად სოხუმში ისვენებდა ჩემი მოსკოველი სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფ. ანატოლი ნოვოსელცევი. მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და გავმართე სადილი მის პატივსაცემად, რომელზეც მოვიწვიე უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. ზურაბ ანჩაბა-

---

ук. М., 1988), აგრეთვე დაკვირვებები ცალკეულ აგიოგრაფიულ ძეგლებზე (**Г. В. Цулая.** Святые и мученики в истории Грузии. Критический анализ, перевод на русский язык. М., 2006).

[1] **Джуаншер Джуаншериани**. Жизнь Вахтанга Горгасала. – *Картлис цховреба* (История Грузии). Главный редактор ***Роин Метревели*.** Тб., 2008, გვ. 75-133; *Столетняя летопись* (Анонимный хронограф XIV в.). – *Картлис цховреба* (История Грузии). Главный редактор ***Роин Метревели*.** Тб., 2008, გვ. 331-411.

ძე და სხვა კოლეგები, მათ შორის ბატონი გივიც. ჩვენი ეს მოლხენა უფრო ვიწრო წრეში (ა. ნოვოსელცევი, გ. წულაია და ჩემი აფხაზი მეგობარი, ისტორიკოსი რეზო კაცია – ასევე ა. ნოვოსელცევის მოწაფე) გაგრძელდა მეორე დღეს.

გივი წულაიას დიდ პატივს სცემდნენ აწგანსვენებული გამოჩენილი აფხაზი სწავლულები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ზურაბ ანჩაბაძე და გიორგი ძიძარია. მე თვითონ ვიყავი მოწმე თუ როგორი ყურადღებით უსმენდნენ ისინი ბატონი გივის მეტად საინტერესო მოხსენებას ისტორიულ ანთროპონიმიკაზე სოხუმში მიმდინარე წყაროთმცოდნეთა საკავშირო სამეცნიერო სესიაზე.[1] გივი წულაია ითვლება ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის აფხაზეთის ისტორიის ერთ-ერთ წამყვან მკვლევრად. მისი დაკვირვებები ამ სფეროში შეჯამებულია მონოგრაფიაში აფხაზეთისა და აფხაზების როლსა და ადგილზე საერთო-ქართულ ისტორიაში.[2] მასში ავტორი ავითარებს ქართული ისტორიოგრაფიის მაგისტრალურ ხაზს, რომლის მიხედვითაც აფხაზური ეთნიკური სამყარო არის საერთო-ქართული ისტორიული პროცესის სუბიექტი.

ამ კუთხით მე და ბატონი გივი თანამოაზრეები, უფრო მეტიც, სეპარტისტული ისტორიოგრაფიული ხედვის მხილების საქმეში თანამებრძოლებიც ვართ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ცალკეული კონკრეტული საკითხების გაშუქებისას გვაქვს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაც, რომელიც აბსოლუტურად არ ახდენს გავლენას ჩვენს მეგობრულ ურთიერთობებზე. მახსოვს, ამასწინათ, მას მივართვი *„სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების“* მორიგი ტომი, რომელშიც გამოქვეყნებულია ჩემი სტატიაც.[3] ამ შეხვედრას ესწრებოდა პროფ. ლე-

---

[1] **Г. В. Цулая**. Отрок Шарукан – Атрака Шарганис-дзе. *К вопросу об антропонимическом источниковедении народов Кавказа*. – *Актуальные проблемы изучения и издания письменных источников*. Всесоюзная научная сессия. Тезисы докладов. Издат. *«Мецниереба»*. Тб., 1982; მოხსენების ტექსტი სრულად დაიბეჭდა კრებულში: *«Кавказский этнографический сборник»*, т. VIII (М., 1984). მეცნიერის დაკვირვებები ისტორიული ანთროპონიმიკის სფეროში ასახულია აგრეთვე მის პუბლიკაციებში: **Г. В. Цулая**. Об абхазской антропонимии. – *Этнография имен*. М., 1971, გვ. 70-76; **Г. В. Цулая**. Из грузино-абхазской антропонимии. – *Этнографическое обозрение*. №1, М., 1999, გვ. 125-136.

[2] **Г. В. Цулая.** Абхазия и абхазы в контексте истории Грузии. *Краткие очерки*. Домонгольский период. М., 1995.

[3] **ზ. პაპასქირი.** გურანდუხტ დედოფლის როლის შეფასებისათვის გამაერთიანებელ მოძრაობაში. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. XI. თბ., 2013-2014, გვ. 352-380.

ონიდე ჯახაია, რომელთან საუბარში „წამომცდა“, რომ ამ სტატიაში გაკრიტიკებული მყავს არაერთი ჩემი უფროსი მეგობარი და კოლეგა, დაწყებული გივი წულაიათი დამთავრებული მარიამ ლორთქიფანიძით. ბატონ გივის ეს ოდნავადაც არ წყენია, პირიქით, ძალიან თბილად მიიღო და გადაიხარხარა კიდეც.

ბატონი გივი და მე თანამებრძოლები ვართ არამარტო თანამედროვე აფხაზეთის ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ ბატალიებში, არამედ ჩვენ „ერთიანი ფრონტით“ გამოვდივართ საქართველოს ისტორიის სხვა პრობლემური საკითხების არასწორი ხედვის კრიტიკით. ამ მხრივ განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩვენი დამოკიდებულება XX ს. 70-იან წლებში აკად. გიორგი მელიქიშვილის „ნოვაციებისადმი“ ფეოდალური ურთიერთობების განვითარებისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, 1973 წელს აკად. გ. მელიქიშვილმა გამოსცა მეტად ამბიციური წიგნი, რომელშიც პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ეჭვს ქვეშ დააყენა მანამდე ერთხმად აღიარებული თვალსაზრისი, დავით კურაპალატის, როგორც ქართული მიწების გაერთიანების ინიციატორისა და განმახორციელებელის როლის შესახებ.[1] მეცნიერის განცხადებით, იმიერ-ტაოს მმართველს, როგორც ბიზანტიის ვასალს – საიმპერატორო კარის კურაპალატს – არ შეეძლო საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოსვლა. მისი აზრით ეს უნდა განეხორციელებინა კონსტანტინოპოლისაგან სრულიად დამოუკიდებელ ძალას და, რაც მთავარია, ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო ბიზანტიასთან კონფრონტაციის რეჟიმში. ასეთ ძალად კი მკვლევარი მოიაზრებდა მხოლოდ და მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს.[2]

გ. მელიქიშვილი უფრო შორს წავიდა და მიიჩნია, რომ იმიერტაოს ხელმწიფის პოზიცია 975 წელს, როდესაც მან თავისი შვილობილი ბაგრატ უფლისწული დასვა შიდა ქართლის მმართველად, შეესაბამებოდა ბიზანტიის პოლიტიკურ კურსს და შეიძლება სანქცირებულიც კი ყოფი-

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. II. თბ., 1983, გვ. 123-128; **ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი.** საქართველოს ისტორია. I. *უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე.* დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 1958, გვ. 132-133; **ნ. ბერძენიშვილი.** კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. II. თბ., 1965, გვ. 23-24; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 476-489 და ა.შ.

[2] **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 12-17.

ლიყო საიმპერატორო კარის მიერ. მოგვიანებით კი – 978 წელს ბაგრატ უფლისწულის „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) სამეფო ტახტზე აღზევებას, გ. მელიქიშვილის აზრით, ოფიციალური კონსტანტინოპოლის მხრიდან ნეგატიური რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. მეცნიერის უცნაური ლოგიკით ამაზე უნდა მეტყველებდეს დავით კურაპალატის მიერ (საიმპერატორო კარის მითითებით) ბაგრატის აფხაზეთში გამეფების სანაცვლოდ მძევლების აყვანის მოთხოვნა. ერთი სიტყვით, მთელი ამ მსჯელობიდან გამოდიოდა, რომ დავით კურაპალატი სულაც არ იყო საქართველოს გაერთიანების მესაძირკვლე, არამედ პირიქით ის, ფაქტობრივად, ხელს უშლიდა ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

აკად. გ. მელიქიშვილის მიერ დავით კურაპალატის – საყოველთაოდ აღიარებული დიდი ეროვნული მოღვაწის – „დისკრედიტაციის“ ეს სრულიად გაუმართლებელი მცდელობა მოულოდნელობა აღმოჩნდა სპეციალისტებისათვის. თითქმის ყველა წამყვანი ქართველი ისტორიკოსი-მედიევისტი (მათ შორის მარიამ ლორთქიფანიძე და ზურაბ ანჩაბაძე)[1] ეჭვის თვალით შეხვდა (რბილად ნათქვამია) მეცნიერის ამ და ნაშრომში განვითარებულ სხვა დებულებებს, პირველ რიგში, საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების გ. მელიქიშვილისეულ ხედვას, თუმცა იმჟამად მათზე რაიმე სერიოზულ გამოხმაურებას ადგილი არ ჰქონია.

კოლეგები ერიდებონენ სახელოვანი მეცნიერის, მათი უფროსი მეგობრისა და ხელმძღვანელის განაწყენებას და მხოლოდ იმას სჯერდებოდნენ, რომ „კულტურულად“ გამიჯვნოდენ მის თვალსაზრისს XI-XII საუკუნეების საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების დონის საკითხთან დაკავშირებით. ამის მკაფიო დადასტურებაა თუნდაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გამართული სპეციალური სამეცნიერო სესია (1978 წ. 27 თებერვალი – 3 მარტი), რომელიც, ფაქტობრივად, იყო ერთგვარი გამოხმაურება გ. მელიქიშვილის მონოგრაფიაში წამოჭრილ პრობლემებზე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მომხსენებელი და კამათში გამომსვლელი (თითო-ოროლას გარდა) აფიქსირებდა გ. მელიქიშვილისაგან განსხვავებულ პოზიციას, არც ერთ მათგანს არ მოუცია გ. მელიქიშვილის დებულებების საგნობრივი კრიტიკა. ამ მხრივ რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ მთავარ (საკმაოდ ვრცელ) მოხსენებაში, რომლითაც სესიაზე წარსდგა დარგის ერთ-ერთი ლიდერი, ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მამია დუმბაძე, საერ-

[1] მათი აზრი ჩემთვის ცნობილი იყო პირადი საუბრებიდან.

თოდ არ იყო ნახსენები აკად. გ. მელიქიშვილის ხსენებული მონოგრაფია.[1] იმავე პერიოდის ცალკეულ პუბლიკაციებში, რომლებშიც განვითარებული იყო გ. მელიქიშვილისაგან განსხვავებული თვალსაზრისი, ასევე არ იყო მოცემული ამ უკანასკნელის ნაშრომის კრიტიკული ანალიზი და ავტორები (მათ შორის ავტორიტეტული სპეციალისტები) მხოლოდ მისი მოხსენიებით (ძირითადად სქოლიოში) კმაყოფილდებოდნენ.[2]

პირდაპირ ვიტყვი, მე, ჯერ კიდევ ასპირანტი, იმთავითვე „ზედმეტად კრიტიკულად" განვეწყვე გ. მელიქიშვილის ამ ახალი მიდგომებისადმი. განსაკუთრებით არ მომწონდა მისი მცდელობა XI-XII საუკუნეები ჩაეთვალა მხოლოდ გარდამავალ ეტაპად ადრინდელიდან განვითარებულ ფეოდალიზმში.[3] ჩემთვის ურყევ ჭეშმარიტებად ითვლებოდა (ეს დღესაც ასეა) აკად. ნიკო ბერძენიშვილის დებულება, რომლის მიხედვითაც XIII ს. დამდეგისათის საქართველოში ფეოდალიზმმა ამოწურა აღმავალი განვითარების რესურსები და ამიერიდან ქვეყნის *„შემდგომი განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ზრდის ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვის ნიშნის ქვეშ"* იყო

---

[1] **მ. დუმბაძე.** საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია (XV საუკუნემდე). – *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები.* ტ. 3. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. თბ., 1980, გვ. 5-44.

[2] **ზ. ანჩაბაძე.** შესავალი. ეპოქის ზოგადი დახასიათება. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. 3. თბ., 1979, გვ. 5-6; **რ. მეტრეველი.** სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის საკითხი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. 3. თბ., 1979, გვ. 79-81; **გ. ჯამბურია.** ბატონყმობის საკითხისათვის. – *მაცნე.* ისტორიის, არქეოლოგიის. ეთნოგრაფიისა და ხელვნების ისტორიის სერია. №4. 1979, გვ. 180; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაციისათვის. – *მაცნე.* ისტორიის, არქეოლოგიის. ეთნოგრაფიისა და ხელვნების ისტორიის სერია. №2. 1980, გვ. 144-164; **Д. Л. Мусхелишвили.** Основные этапы исторического развития Грузии IV-X вв. – *Очерки истории Грузии,* II.Тб., 1988, გვ. 10-18 და სხვ. ერთადერთი მეცნიერი, რომელმაც კრიტიკულად გაანალიზა გ. მელიქიშვილის მოსაზრებები ამ კუთხით იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი კონსტანტინე გრიგოლია, მაგრამ მისი სტატია იმჟამად (1974 წელს) დაბლოკილ იქნა და ის მხოლოდ 90-იან წლებში გამოქვეყნდა (იხ.: **კ. გრიგოლია.** რეცენზია წიგნისა: გიორგი მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. – გაზ.: *„ლიტერატურული საქართველო"*, 11 მარტი, 1994). აღსანიშნავია რომ ამ კრიტიკულ მასალას ოპერატიულად გამოეხმაურა თვით ადრესატი, რომელმაც იმავე *ლიტერატურულ საქართველოში* დაბეჭდა საპასუხო წერილი (იხ.: **გ. მელიქიშვილი.** ისევ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შესახებ. – გაზ.: *„ლიტერატურული საქართველო"*, 1 აპრილი, 1994).

[3] **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა.., გვ. 77-78 და სხვ.

შესაძლებელი.[1] გ. მელიქიშვილის დასკვნა კი ანგრევდა ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებულ ამ თვალსაზრისს.

მახსოვს, ჩემი კრიტიკული შენიშვნები გ. მელიქიშვილის ამ დასკვნის ირგვლივ გავუზიარე სამეცნიერო ხელმძღვანელს ა. ნოვოსელცევს. მან ყურადღებით მომისმინა და არ მირჩია ამ შენიშვნების სადისერტაციო ნაშრომში ასახვა[2] (დაცვამდე მაინც). მე გავუძალიანდი. ჩვენი კამათისას გაირკვა, რომ თვითონ ა. ნოვოსელცევი მთლიანად იზიარებდა გ. მელიქიშვილის ხედვას და ასევე თვლიდა, რომ XII საუკუნის საქართველო ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული ფეოდალიზმის ქვეყანა, მით უფრო შემდგარი „წინაბურჟუაზიული განვითარების ზღურბლზე“, როგორც ამას აცხადებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი. ზუსტად არ მახსოვს მაშინ გავითვალისწინე თუ არა მეცნიერ-ხელმძღვანელის რჩევა,[3] მაგრამ ერთი რამ მაინც გავაკეთე – სადისერტაციო ნაშრომის წიგნად გამოცემისას (1982 წ.), ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დავაფიქსირე ჩემი კრიტიკული პოზიცია გ. მელიქიშვილის თვალსაზრისისადმი.[4]

კიდევ უფრო „აგრესიულად“ ვიყავი განწყობილი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში დავით კურაპალატის როლის გ. მელიქიშვილისეული შეფასებისადმი, თუმცა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას ამ საკითხზე ყურადღება არ გამიმახვილებია და მასზე „იერიშის მისატანად“ მხოლოდ დისერტაციის დაცვის შემდეგ მოვიცალე. გავამზადე საკმაოდ ვრცელი (25 გვერდზე) წერილი, რომელშიც კრიტიკულად გავაანალიზე გ. მელიქიშვილის მიერ მოტანილი ყველა არგუმენტი და დავასაბუთე მისი შეხედულების უსაფუძვლობა.

იმჟამად (XX ს. 70-იანი წლების მიწურული), როგორც ცნობილია,

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, V, თბ., 1971, გვ. 160; უფრო ვრცლად ამ საკითხზე იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974.

[2] აქ ერთი განმარტებაა საჭირო: მართალია, ჩემს სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეძღვნებოდა საქართველოს საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობებს, ერთი შეხედვით, თითქოს არ უნდა ჰქონოდა უშუალო შეხება სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკასთან, მაგრამ იქ იყო ცალკეული საკითხები (პირველ რიგში, რუსი უფლისწულის, თამარ მეფის პირველი თანამეცხედრის, იური ანდრიას ძის საქართველოში მოწვევისა და განსაკუთრებით მის სასახლეში დასაბრუნებლად მოწყობილი დიდი აჯანყების სოციალურ-პოლიტიკური მოტივაცია), რომლის ანალიზისას, მიზანშეწონილი იყო გარკვეული პოზიციის დაფიქსირება.

[3] სამწუხაროდ ამის გადამოწმება არ შემიძლია იმის გამო, რომ ჩემი სადისერტაციო ნაშრომის პირები სოხუმში დარჩა, ხოლო თითო-თითო პირი ინახება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკებში.

[4] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических.., გვ. 142, 144.

საქართველოს ისტორიის პროფილის სამეცნიერო ჟურნალები ნაკლებად იყო. ფაქტობრივად, ერთადერთი სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, რომელშიც შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ჩემი კრიტიკული წერილი, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია). მაგრამ ამ გამოცემაში სტატიის დაბეჭდვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ორი გარემოების გამო: პირველი – ჟურნალის მთავარი რედაქტორი გახლდათ თვით აკად. გ. მელიქიშვილი და ეს გარემოება გარკვეულ უხერხულობას მიქმნიდა, და მეორე – *მაცნეში* წარსადგენ წერილს აუცილებლად სჭირდებოდა მეცნიერებათა აკადემიის წევრის ან წევრ-კორესპონდენტის (ბუნებრივია, შესაბამისი პროფილის) რეკომენდაცია, რაც არცთუ ისე ადვილი იყო.

მე მაინც გადავწყვიტე ბედი მეცადა და ჩემს მიერ მომზადებული მასალა გავაცანი იმჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს მარიამ ლორთქიფანიძესა და ზურაბ ანჩაბაძეს. ისინი მთლიანად დაეთანხმნენ მასში გამოთქმულ შენიშვნებს და მთლიანობაში წერილიც მომიწონეს, მაგრამ რეკომენდაციის მოცემისაგან გასაგები მიზეზების (მათ ძალიან თბილი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ გ. მელიქიშვილთან და თანაც ორივე მათგანი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც თვით ბატონი გიორგი იყო) გამო თავი შეიკავეს. ისღა დამრჩენოდა სხვა გამოცემა მომეძებნა.

პირველ რიგში, როგორც ახალგაზრდა მეცნიერი, მივაკითხე ჟურნალ *„ცისკრის“*[1] რედაქციას და წერილი ჩავაბარე პასუხისმგებელ მდივანს, ოტია პაჭკორიას, რომელმაც თავის მხრივ ის დასკვნისათვის გადაუგზავნა სარედაქციო კოლეგიის წევრს, უკვე იმ დროისათვის ცნობილ მეცნიერს პროფ. რისმაგ გორდეზიანს. ბატონმა რისმაგმა, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი, ყურადღებით წაიკითხა ჩემი წერილი, პრაქტიკულად ყველაფერში დამეთანხმა და დამპირდა გამოქვეყნებას. მაგრამ გავიდა ერთი თუ ორი წელი და წერილი მაინც არ გამოქვეყნდა. ცოტა განაწყენებულმა გადავწყვიტე მიმემართა უკვე „დიდების“ (ასაკით – ამ ორ წელიწადში მეც ხომ „გავიზარდე“) ჟურნალ *„მნათობისათვის“* და ოი, საკვირველება! აქაც არ დამხვდა იგივე ოტია პაჭკორია – თანაც იმავე პასუხისმგებლი მდივნის რანგში. მან წერილი დასკვნისათვის ამჯერად ქ-ნ თამარ ანდღულაძეს გადასცა.

[1] როგორც ცნობილია, ჟურნალი *„ცისკარი“* ახალგაზრდა შემოქმედთა ორგანო იყო, რომელშიც წერილებს აქვეყნებდნენ ჰუმანიტარული პროფილის ახალგაზრდა მეცნიერებიც.

არასოდეს დამავიწყდება ამ მეტად სათნო და კეთილშობილი ქალ-ბატონის, რომელიც პროფესიონალური თვალსაზრისითაც საკმაოდ კომპეტენტური იყო, დაბნეული და შეწუხებული სახე. მან მითხრა: *„ზურაბ, შვილო, ძალიან გვიჭირს შენი ნაშრომის პუბლიკაცია, გ. მელი-ქიშვილი ამხელა პიროვნებაა, აკადემიკოსი, ინსტიტუტის დირექტორი“, იქნებ სხვაგვარად მოგეგვარებინა ეს საქმე, მართლაც ხომ არ აჯობებს მისსავე ჟურნალში მიიტანო“*. მეც ავიღე ჩემი წერილი და დროებით უჯრაში შევინახე. თუმცა ამ გაწამაწიაში, რომელიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა, ერთი რამ მაინც მოვახერხე – სტატიაში განვითარებუ-ლი დასკვნები თეზისების სახით გამოვაქვეყნე,[1] რითაც ერთგვარად ჩე-მი „საავტორო უფლება“ დავაფიქსირე. მოგვიანებით კი წერილი კიდევ უფრო გადავამუშავე, გავაღრმავე (მასალა თითქმის გაორმაგდა) და უპრობლემოდ შევიტანე 1990 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში,[2] რომე-ლიც საფუძვლად დაედო ჩემს სადოქტორო დისერტაციას.[3]

ყოველივე ამაზე ასე დაწვრილებით კი იმიტომ შევჩერდი, რომ მას უშუალო კავშირი აქვს გივი წულაიას შემოქმედებასთან. საქმე იმა-შია, რომ, როგორც გაირკვა, გ. მელიქიშვილის მოსაზრებებს საქართვე-ლოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში დავით კურაპალატის როლსა და იმ პერიოდის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ხა-სიათზე ასევე კრიტიკულად შეხვედრია ბატონი გივი, რაც აისახა კი-

---

[1] იხ.: **З. В. Папаскири.** О некоторых вопросах политической деятельности Давида Куропалата. – V (XLII) научная сессия профессорско-преподовательского состава Абхазского государственного университета им. А. М. Горького. Тезисы докладов. Сухуми, 1984; **ზ. პაპასქირი.** დავით კურაპალატი და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. – *ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლი-კური კონფერენციის მასალები.* თსუ გამომცემლობა. თბ., 1986.

[2] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თსუ გამომცემლობა. თბ., 1990, გვ. 11-62 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/30493/1/ErtianiQartuliFeodaluriSaxelmwifos.....pdf). აქვე აღვნიშნავთ, რომ ამით ჩემი მხრიდან გ. მელიქიშვილის ამ მცდარის მოსაზრების კრიტიკა არ დასრუ-ლებულა, მან შემდგომი განვითარება ჰპოვა 1999 წელს გამოქვეყნებულ ნაშ-რომში. იხ.: **ზ. პაპასქირი.** „აფხაზთა“ სამეფოს საგარეო პოლიტიკური ორიენ-ტაციის დაზუსტების საკითხისათვის. – *ქართული დიპლომატია,* წელიწდეული, თსუ გამომც., ტ. VI. თბ., 1999, გვ. 325-335. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგ-რეთვე წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუ-ბანდამდე. გამომც.: *„მერიდიანი“.* თბ., 2009, გვ. 184-195 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf).

[3] **З. В. Папаскири**. Международное положение средневековой Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). – Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада. Тб., 1991.

დეც მეცნიერის ნარკვევში *„მატიანე ქართლისაჲ“ და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ზოგიერთი საკითხი“*, რომელიც დართული აქვს აღნიშნული ქრონიკის მისეული რუსული თარგმანის შესავალ წერილს.[1] ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უმაღლეს დონეზე შესრულებული დამოუკიდებელი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელშიც პირველად მიეცა კრიტიკული შეფასება აკად. გ. მელიქიშვილის საეჭვო დებულებებს და *„მატიანე ქართლისაჲსა“*, აგრეთვე სხვა წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით მკაფიოდ იქნა ნაჩვენები დავით კურაპალატისა და ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური სპექტრის წამყვანი როლი გამაერთიანებელ მოძრაობასა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის კულტურულ-იდეოლოგიური საფუძვლების შემზადებაში.[2]

გ. წულაია (გ. მელიქიშვილის თეზისის საწინააღმდეგოდ, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა დავით ბაგრატიონის კურაპალატობას, რის გამოც თითქოს მას არ შეეძლო საქართველოს გაერთიანების პროცესს გაძღოლოდა), სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ვასალური დამოკიდებულება ბიზანტიის საიმპერატორო კარისადმი, სულაც არ ნიშნავს მათ უსიტყვო მორჩილებას სიუზერენისადმი და რომ ეს გარემოება ვერ გამოდგება არგუმენტად იმიერტაოს ლიდერის როლის რევიზიისათვის გამაერთიანებელ მოძრაობაში.[3]

საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ამგვარი ხედვა არ ყოფილა ახალი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც აკად. ივანე ჯავახიშვილის ცნობილი შენიშვნა იმის შესახებ, რომ *„კეისრის უფლება საქართველოში არასდროს მაინც უბრალო მფარველობისა და გავლენის ზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს **შინაურ საქმეებში გარევის** უფლება არა ჰქონია“*.[4] ან კიდევ აკად. ს. ჯანაშიას დასკვნა, რომ აშოტ ბაგრატიონის (რომელსაც იმპერატორმა, როგორც ცნობილია, კურაპალატის ტიტული უბოძა) მემკვიდრეები თანდათანობით, ფაქტობრივად, განთავისუფლდნენ იმპერიისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან და X საუკუნეში „სიუზერენ მმართველებად“ იქცნენ, ადრინდელი ბიზანტიური ტიტულების, პირველ რიგში კურაპალა-

---

[1] **Г. В. Цулая**. «Летопись Картли» и некоторые вопросы истории политического объединения Грузии. – *Летопись Картли*. Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая***. Тб., 1982, გვ. 7-23.

[2] **Г. В. Цулая**. «Летопись Картли» и некоторые вопросы истории.., გვ. 12.

[3] **Г. В. Цулая**. «Летопись Картли» и некоторые вопросы истории.., გვ. 13.

[4] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II. – *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. II. თბ., 1983, გვ. 112, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ტის ტიტულის შენარჩუნებით.[1]

გ. წულაიამ ახალი არგუმენტებით შეამაგრა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ეს დასკვნა და მის საფუძველზე უჩვენა გ. მელიქიშვილის მიდგომის უსაფუძვლობა. ეს კი იმ პერიოდში, როდესაც ოფიციალური ქართული ისტორიოგრაფია, ფაქტობრივად, დუმდა,[2] ხოლო გ. მელიქიშვილის კრიტიკის მცდელობა, როგორც უკვე ზემოთ ვაჩვენეთ, გადაულახავ წინააღმდეგობებს აწყდებოდა,[3] გმირობის ტოლფასი იყო. მართალია, ბატონი გივი ჩემსავით „დაუნდობელი“ არ ყოფილა გ. მელიქიშვილის თვალსაზრისის კრიტიკაში, (თუმცა არც მე გავცილებივარ აკადემიური კრიტიკის ჩარჩოებს და მეცნიერული ეთიკის ნორმები არ დამირღვევია) მაგრამ ის, რაც მან გააკეთა ნამდვილი გარღვევა იყო – რაც მთავარია, ის იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც გაბედა აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრებების კრიტიკა.

გივი წულაია, როგორც ფართო ერუდიციის ისტორიკოსი, მედგრად და შეუპოვრად დგას ისტორიოგრაფიული კონტრპროპაგანდის

---

[1] იხ. **С. Н. Джанашия.** Об одном примере искажения исторической правды. *По поводу книги Н. Токарского: Архитектура древней Армении»*. Тб., 1947, გვ. 22. ამ პერიოდის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ხასიათის შესახებ დაწვრილ. იხ. **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). – *ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ***როინ მეტრეველის*** დაბადების 70 წლისთავისადმი. გამომც. *„არტანუჯი“*. თბ., 2009, გვ. 158-180; **З. В. Папаскири**. Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция, 2011. Т. 5, вып. 3-4, გვ. 147-168; **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden, 2011. Vol. 5, Issue 3-4, გვ. 126-144.

[2] უფრო მეტიც, წამყვან ქართველ მედიევისტთა ამ დუმილის ფონზე (მიუხედავად მათი თითქმის ერთსულოვანი ნეგატიური დამოკიდებულებისა გ. მელიქიშვილის მონოგრაფიისადმი) ამ უკანასკნელს 1976 წელს აღნიშნული ნაშრომისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო – ივანე ჯავახიშვილის პრემიაც კი მიენიჭა (?!).

[3] აქვე სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ *საქართველოს ისტორიის ნარკვევების* რუსულ გამოცემაში აკად. მ. ლორთქიფანიძემ ამომწურავად გააშუქა დავით კურაპალატის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და მოხსნა ყოველგვარი ეჭვები ამ ლიდერის მიმართ, თუმცა მანაც აარიდა თავი გ. მელიქიშვილის ნაშრომის საგნობრივ კრიტიკას. იხ.: **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств – *Очерки истории Грузии*, II.Тб., 1988, გვ. 327-339.

ავანგარდში და ხმალამოღებული ებრძვის საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს. ამ მხრივ სამაგალითოა მისი შენიშვნები ცნობილი ადიღი ისტორიკოსი სამირ ხოტკოს ნაშრომზე ჩერქეზთა ისტორიისადმი მიძღვნილ განმაზოგადებელ ნაშრომზე,[1] რომელშიც თავდაყირაა დაყენებული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორია და სრულიად იგნორირებულია ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების ქართული შინაარსი.[2]

გივი წულაია ერთგული მეგობარია, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს გასჭირში ჩავარდნილი ახლობლის (და არა მხოლოდ ახლობლის) დასახსნელად. ეს კეთილშობილური თვისება მან ნათლად გამოავლინა ჩემს მიმართაც, უმძიმესი განსაცდელის ჟამს. როგორც ცნობილია, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ – 1993 წ. ოქტობერში, მე აღმოვჩნდი სეპარატისტების საპყრობილეში – სოხუმში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც გავატარე ზუსტად 100 დღე.[3] მაშინ ჩემი გამოხსნა „აფხაზთა ტყვეობიდან“ მოხერხდა საზოგადოების ფართო წრეების, სამეცნიერო ინტელიგენციის (მათ შორის, რუსეთის მეცნიერ-ისტორიკოსთა), საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სახელისუფლებო სტრუქტურების გამოქომაგების შედეგად.

ამ კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული გივი წულაია. ეს მისი და ზემოთ არაერთხელ ნახსენები ჩემი მოსკოველი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფ. ანატოლი ნოვოსელცევის უშუალო ინიციატივით მომზადდა ოფიციალური წერილი-მიმართვა ვლადისლავ არძინბასადმი, რომელსაც ხელს აწერდნენ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილების წევრები, აკადემიკოს-მდივნის ივანე კოვალჩენკოსა და რუსეთის ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტის

---

[1] **С. Хотко.** Очерки истории черкесов: этногенез, античность, средневековье, новое время, современность. Изд-во С.-Петербургского университета, 2001.

[2] **Г. В. Цулая**. вступительная заметка. – წგნ.: **Г. В. Цулая.** Силуэты Грузии, т. 1. М., 2007, გვ. 3-17.

[3] ამის შესახებ იხ.: **ალეკო ასლანიშვილი.** ზურაბ პაპასქირის ასი მძიმე დღე. – გაზ.: *„საქართველოს რესპუბლიკა“*, 12.02.1994. აღნიშნული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: წიგნში: *ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს.* ზურაბ პაპასქირი – 60. თბ., 2010-2013, გვ. 142-147 (ელექტრონ. ვერსია: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/27363/1/Zurab_Papaskiri%20_%2060.pdf); **ლალი პაპასქირი.** აფხაზი ოპონენტების მიერ გადარჩენილი ქართველი ისტორიკოსი. – ჟურნ. *„გზა“*, №44, ნოემბერი, 2011. იგივე მასალა იხ აგრეთვე: წგნ.: *ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს.* ზურაბ პაპასქირი – 60. თბ., 2010-2013, გვ. 148-155. უფრო სრულად ჩემი პატიმრობის პერიპეტიები გადმოცემულია წიგნში: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*, გვ. 177-240.

აკად. სერგეი ტიხვინსკის მეთაურობით.[1] მასში ავტორები სთხოვდნენ სეპარატისტების ლიდერს გამოეჩინა ადამიანური გულისხმიერება დატყვევებული მეცნიერის მიმართ და გაეთავისუფლებინა ის. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილმა (სხვა გარემოებებთან ერთად, რასაკვირველია), იქონია გავლენა ჩემი განთავისუფლების გადაწყვეტილებაზე, რომლის მიღებაში, როგორც ამ ბოლო დროს გავარკვიე, ვ. არძინბა უშუალოდ მონაწილეობდა.[2] ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ არა გივი წულაიას მონდომება და მისი დიდი ავტორიტეტი უმაღლესი რანგის რუსეთის მეცნიერ-ისტორიკოსთა წრეებში, ეს წერილი-მიმართვა არ შედგებოდა.

დღეს ბატონი გივი – მოსკოვში თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის შემდეგ სამშობლოში მობრუნებული – უკვე ჩვენს გვერდით განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, რისი დასტურია მისი ბოლოდროინდელი პუბლიკაციები.[3] მას ძალიან უყვარს თავისი *Alma mater*-ი – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ყოველთვის დიდი სიხარულით მოეშურება ჩვენსკენ, სადაც არაერთი ძველი და ახლად შეძენილი მეგობარი ჰყავს. ის განსაკუთრებით ამაყობს სოხუმის უნივერსიტეტში მოღვაწე ისტორიკოსთა ახალი თაობის წარმომადგენლებთან (ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა და ა.შ.) მეგობრობით და აქტიურად თანამშრომლობს მათთან. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ბერი ეგნატაშვილის თხზულების რუსული თარგმანისათვის დართული კომენტარების მომზადება მან სთხოვა ბ. ხორავას.[4] ბატონი გივი სისტემატიურად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს სოხუმის უნივერსიტეტში ჩატარებულ სამეცნიერო და სხვა სახის ღონისძიებებში. არც სოხუმის უნივერსიტეტი რჩება ვალში. 2010 წელს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით მოეწყო მეცნიერის ორტომეულის *„საქართველოს სილუეტების“*[5] პრეზენტაცია. კიდევ უფრო მასშტაბური იყო გივი წულაიას დაბადებიდან 80-წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც გაიმართა 2014 წლის 20 იანვარს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

---

[1] წერილი გამოქვეყნებულია წგნ: **З. Папаскири.** Моя Абхазия.., გვ. 225-226; აგრეთვე: *ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს..*, გვ. 158-159.

[2] ეს, ამასწინათ Facebook-ის მეშვეობით მთელი დამაჯერებლობით დამიდასტურა ერთ-ერთმა აფხაზმა ახალგაზრდამ, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ გათვითცნობიერებულია და ფლობს სარწმუნო ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით.

[3] **Бэри Эгнаташвили.** Новая история грузии...; **Г. В. Цулая.** Бэри Эгнаташвили, его время и исторический труд. Тб., 2014.

[4] **Бэри Эгнаташвили.** Новая история грузии. Перевод со старогрузинского ...

[5] **Г. В. Цулая.** Силуэты Грузии, т. 1. М., 2007; т. 2. М., 2008.

ვუსურვებ ჩემს გულითად მეგობარს, ქართული ისტორიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ღირსეულ პიროვნებას, ჭეშმარიტ მამულიშვილს გივი წულაიას საიბილეო თარიღს და ვუსურვებ ახლო მომავალში მშობლიურ ფუძეზე დაბრუნებას.

მრავალჟამიერ ბატონო გივი...

სოხუმი – 1993:
შეხვედრები ჟიული შარტავასთან[*]

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ეროვნული მეობისა და სამშობლოს ერთიანობის გადარჩენისათვის თავგანწირული ბრძოლის ჭეშმარიტად გმირული ეპოპეაა. თითქმის ყველა ეპოქაში საქართველოს ჰყავდა მამულისათვის თავგადადებული რაინდები, რომლებიც თავიანთი პატრიოტული შემართებითა და მოწამეობრივი აღსასრულით დიდ ზნეობრივ მაგალითს აძლევდნენ შთამომავლობას. საქართველო დღემდე სწორედ ქვეყნისათვის დამაშვრალ ამ დიდ მამულიშვილთა გაუტეხელმა სულმა და თავდადებამ მოიყვანა. სწორედ ისინი მოსავენ განსაკუთრებული შარავანდედით ჩვენი ერის სიდიადეს და დღესაც გვამხნევებენ, გვაძლევენ სტიმულს ქართული სახელმწიფოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეში. სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა ამ ბრწყინვალე გალერეას XX ს. მიწურულს კიდევ ერთი დიდი სახელი შეემატა – **ჟიული შარტავა...**

ჟიული შარტავაზე უკვე ბევრი რამ დაიწერა, უფრო მეტიც დაიწერება. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მცირე მოგონება მომავალ ეროვნულ გმირთან 1993 წ. ზაფხულში სოხუმური შეხვედრებიდან მიღებული შთაბეჭდილებებია.

მართალია, მე იმ თაობის კომკავშირელი ვარ (თანაც ერთი ხანობა, როგორც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის წევრიც კი ვიყავი), როდესაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ჟიული შარტავა ხელმძღვანელობდა, მაგრამ იმ პერიოდის სხვა კომკავშირელი ლიდერებისაგან (იოსებ ორჯონიკიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე...) განსხვავებით, მას არასოდეს შევხვედრივარ და პირადი ნაცნობობა არ მქონია. მიუხედავად ამისა, ჟიული შარტავაზე, როგორც ახალგაზრდობის ენერგიულ და ნიჭიერ თავკაცზე გარკვეული წარმოდგენა მქონდა და მის მიმართ ერთგვარი სიმპატიებით ვიყავი განწყობილი. რამდენადაც მახსოვს ის იყო ინიციატორი ქართულ-აფხაზური ახალგაზრდული ზეიმებისა, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობოდა რუხში და რომლის უცვლელი მონაწილე მეც გახლდით.

შემდეგ იყო მოღვაწეობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სა-

---

[*] დაბეჭდილია: *საისტორიო ძიებანი*. წელიწდეული, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. ტ. XII. თბ., 2013-2015, გვ. 396-404 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2013-2015).

დაც, როგორც იტყვიან, ჟიული შარტავა იმჟამინდელი საქართველოს პარტიული ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის „მარჯვენა ხელი“ იყო და უფრო მეტიც, მის სავარაუდო „მემკვიდრედაც“ მოიაზრებოდა. მაგრამ ჟ. შარტავას კარიერული წინსვლა შეაჩერა ხელისუფლების ცვლამ 1985 წელს. მას მოუწია ცენტრალური კომიტეტიდან წასვლამ და პარტიული მუშაობა რუსთავში გააგრძელა, სადაც ნაყოფიერი საქმიანობით დაამახსოვრა თავი რუსთაველებს. ამიტომაც იყო, რომ 1992 წელს რუსთაველებმა ის საქართველოს პარლამენტის წევრად აირჩიეს. და აი 1993 წ. 18 ივლისს აფხაზეთში გახურებული სამხედრო მოქმედებების დროს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ მანამდე თითქოს ერთგვარად ჩრდილში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ჟიული შარტავა სრულიად მოულოდნელად ფრონტის წინა ხაზზე გააგზავნა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა.

ეს იყო აფხაზეთის ომის უკიდურესად მწვავე პერიოდი. 1993 წ. ივლისის დამდეგს ტამიშთან განცდილი მარცხის მიუხედავად, მოწინააღმდეგე მაინც ინარჩუნებდა უპირატესობას ფრონტებზე. სეპარატისტთა ფორმირებები რუსეთის სამხედრო სტრუქტურების აქტიური მხარდაჭერით აგრძელებდნენ შეტევას სოფ. შრომის მიმართულებით და თანდათანობით სულ უფრო უახლოვდებოდნენ სოხუმს. ქართულმა მხარემ ამჯერადაც ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა და იძულებული გახდა, კვლავ გაეაქტიურებინა სამშვიდობო დიალოგი. ასეთ ვითარებაში აფხაზეთში საჭირო გახდა ახალი ლიდერი, რომელთანაც როგორც აფხაზები, ისე რუსებიც მეტი ენთუზიაზმით მიუსხდებოდნენ მოლაპარაკების მაგიდას. ამიტომ თბილისში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პოსტებიდან თამაზ ნადარეიშვილის განთავისუფლებისა და ამ თანამდებობებზე ჟიული შარტავას დანიშვნის შესახებ.

მთავარი მოტივაცია, რის გამოც არჩევანი ჟიული შარტავას კანდიდატურაზე გაკეთდა იყო მისი კომკავშირული წარსული. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ პარტიულ და კომკავშირულ სტრუქტურებში მოღვაწეობის პერიოდში მას ახლო კავშირები ჰქონდა როგორც აფხაზ ლიდერებთან, ისე კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან ბორის პასტუხოვთან. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, მაშინ როდესაც ჟ. შარტავა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ამდენად მისი „ხელქვეითი“ იყო.

ჟ. შარტავა საკმაოდ აქტიურად შეუდგა თავის მოღვაწეობას აფ-

ხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის რანგში. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ჩემი პირველი შეხვედრა-გაცნობა ბატონ ჟიულისთან. ეს იყო ალბათ სოხუმში მისი ჩამოსვლის პირველივე კვირას. იმჟამად მე ვმსახურობდი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-2 საარმიო კორპუსის შტაბში, პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების უფროს ოფიცრად. მახსოვს, შუადღე იყო, მე, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი – ჩემი განუყრელი „პაპკით“ გამოვედი *„კომპოზიტორთა სახლის“* (იქ იყო განთავსებული ჩვენი განყოფილება) ეზოდან და ქალაქის ცენტრისკენ ფეხით გავუყევი თბილისის გზატკეცილს. მოულოდნელად ჩემს წინ ჩერდება ავტომანქანა *(„ჟიგული“-2106)* და მძღოლი მიღებს უკანა კარს. მე ეს ჩვეულებრივ მოვლენად ჩავთვალე, ვიფიქრე, რომ რომელიმე ნაცნობია და ზედმეტი მოპატიჟების გარეშე ჩავჯექი მანქანაში. გავიხედე, მანქანას მართავს ბატონი ვასილ კადინეცი, ყველასათვის ცნობილი და პატივსაცემი პიროვნება, რომელსაც იმ დროს მაღალი თანამდებობა ეკავა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროებით მთავრობაში. მის გვერდით კი – ჩემსკენ ზურგით – ზის ვიღაც მამაკაცი, რომლის სახეს მე ვერ ვხედავ. მისალმების შემდეგ ვ. კადინეცმა მიმართა გვერდით მჯდომს: *„ბატონო ჟიული, გაიცანით, ეს გახლავთ პროფესორი ზურაბ პაპასქირი. სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი“.* უცნობი მობრუნდა თბილად მომესალმა, მე ადგილზე გავშრი – ჩემს წინაშე თვით ჟიული შარტავა იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ბატონ ვასილსა და ბატონ ჟიულის ახლო მეგობრობა აკავშირებდათ, რომელსაც სათავე, როგორც ჩანს, ვ. კადინეცის საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობისას – ის ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი იყო – ჩაეყარა. როგორც შემდეგ გავიგე, ბატონი ჟიული ვ. კადინეცის სახლში (ქალაქიდან მოშორებით – „კაშტაკში“) დაბინავებულა და მთელი ომი იქიდან დადიოდა სამსახურში.

ეს მაშინაც და მით უფრო დღევანდელი (საყოველთაო „ჯიპომანიის“) გადასახედიდან გაუგონარი ამბავი იყო. ავტონომიის მთავრობის მეთაური და ამავე დროს (ადგილზე) უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირი – გენერალი, ქალაქში გადაადგილდებოდა არა შავი *„ვოლგით“* და დაცვის თანხლებით, არამედ, როგორც ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქე. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამას ბატონი ჟიული კონსპირაციის მიზნით აკეთებდა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს ფაქტი მის უბრალოებაზე მეტყველებს.

აქ მცირე განმარტებაა საჭირო იმის თაობაზე, თუ რატომ წარმადგინა ბატონმა ვასილიმ მე უნივერსიტეტის რექტორად. საქმე იმაშია, რომ სადღაც 1993 წ. მაის-ივნისში, როდესაც ფრონტზე ერთგვარმა სიმშვიდემ (მოჩვენებითმა) დაისადგურა და ქართული ხელისუფლების პოზიციები რამდენადმე განმტკიცდა (15-18 მარტის სამხედრო

წარმატების შემდეგ), ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა წამოსწია 1989 წელს ცნობილი მოვლენების შედეგად გახლეჩილი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ერთიან საუნივერსიტეტო ცენტრად გაერთიანებისა და ფუნქციონირების განახლების ჩემს მიერ ჯერ კიდევ 1992 წლის დეკემბერში ინიცირებული იდეა.

მომზადდა სამთავრობო განკარგულების პროექტი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმში დარჩენილი ნაწილისა და თსუ სოხუმის ფილიალის გაერთიანების ბაზაზე ახალი ერთიანი საუნივერსიტეტო კომპლექსის – ზურაბ ანჩაბაძის სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე, რომელიც ერთობლივი გადაწყვეტილებით (ეს შეთანხმებული იყო საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან) დაამტკიცა კიდეც თავდაცვის საბჭომ და მინისტრთა საბჭომ. ამავე გადაწყვეტილებით მე დავინიშნე გაერთიანებული უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელად. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ვ. კადინეცს, როდესაც ის აცნობდა ჩემს თავს ბატონ ჟიულის უნივერსიტეტის რექტორად. მაგრამ მალე ვითარება ფრონტზე კვლავ დაიძაბა და უნივერსიტეტისათვის არავის ეცალა, ხოლო 1993 წ. 27 ივლისის სოჩაში დადებული შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტების გაერთიანების იდეამ საერთოდ აზრი დაკარგა. მიუხედავად ამისა, მოგვიანებითაც, როდესაც მე (ძირითადად როგორც ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრი) ვმონაწილეობდი ცალკეულ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის კომიტეტში, ბატონი ჟიულის თვალში კვლავ ვრჩებოდი „უნივერსიტეტის რექტორად“.

მინდა გავიხსენო ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა-თათბირი, რომელიც გაიმართა მთავრობის სახლში უშუალოდ 27 ივლისის სოჩის შეთანხმების ხელმოწერის წინ. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში ვითარება გუმისთის მიმართულებით ქართული მხარისათვის დამძიმდა. გაჩნდა სოხუმის დაკარგვის რეალური საფრთხე. ასეთ ვითარებაში ჟ. შარტავას ხელმძღვანელობით სოხუმში შედგა თავდაცვის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები (მათ შორის, მეც). ა. ცქიტიშვილმა, II საარმიო კორპუსის მეთაურმა გენ. ზაურ უჩაძემ, აფხაზეთის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა გენ. იური კეშელავამ, სხვა კომპეტენტურმა პირებმა ფრონტებზე (განსაკუთრებით გუმისთის მიმართულებით) შექმნილი მდგომარეობა შეაფა-

სეს, როგორც უკიდურესად მძიმე და ერთადერთ გამოსავლად *„აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“* შეთანხმების ხელმოწერა მიიჩნიეს. ამ მოსაზრების წინააღმდეგ სხდომის არცერთი მონაწილე (მათ შორის, არც თავისი რადიკალიზმით ცნობილი, ეროვნული ერთიანობის საბჭოს ლიდერი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბორის კაკუბავა) არ გამოსულა. ასე, სამხედროების, პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თანხმობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხელი მოეწერათ 1993 წ. 27 ივლისის ყბადაღებული სოჩის შეთანხმებისათვის. მე კარგად მახსოვს, თუ როგორი დამუხტული იყო ჟიული შარტავა. სხდომის მსვლეოლობისას ის რამდენიმეჯერ გავიდა თავის კაბინეტში სოჩაში მიმდინარე მოლაპარაკებების მსვლელობის თაობაზე ახალი ინფორმაციების მისაღებად, რომელსაც იქვე გვაცნობდა.

დაწყებული 1993 წ. ზაფხულიდან დღემდე არ წყდება კამათი პოლიტიკოსებსა და ექსპერტ-სპეციალისტებს შორის ამ შეთანხმების დადების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით. ანალიტიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნულ შეთანხმებას მიიჩნევს კაპიტულანტურად საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ ე. შევარდნაძემ და მისმა გარემოცვამ თითქოს წინასწარგანზრახვით მოაწერა ხელი შეთანხმებას და ამით მოამზადა ნიადაგი აფხაზეთის ჩაბარებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო წასვლა ამგვარ ღალატზე. ყოველი შემთხვევისათვის, ასეთ შორსმიმავალ დასკვნას ძალზე სერიოზული, სათანადო დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული არგუმენტაცია სჭირდება.

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვუხსნით პასუხისმგებლობას ე. შევარდნაძესა და მის გუნდს იმ კატასტროფული შედეგებისათვის, რაც მოჰყვა სოჩის შეთანხმებას, მაგრამ ჩვენ საქართველოს ხელისუფლებას დანაშაულად ვუთვლით არა იმას, რომ მან მოაწერა ხელი წამგებიან დოკუმენტს (როგორც უკვე აღინიშნა, იმჟამად სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობდა), არამედ იმას, რომ მან ქვეყანა მიიყვანა ამ იძულებითი ნაბიჯის გადადგმამდე. რასაკვირველია, სოჩის შეთანხმება არ იყო იდეალური ქართული მხარისათვის, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის აბსოლუტურად წამგებიანი (თანაც ისეთ უმძიმეს ვითარებაში, როგორიც შეიქმნა ივლისის მიწურულისათვის), მით უფრო, მოღალატეობრივი დოკუმენტი იყო. მართალია, შეთანხმების მიხედვით ქართულ შეიარაღებულ ფორმირებებს უნდა დაეტოვებინათ აფხაზეთის ტერიტორია და მომხდარიყო რეგიონის საერთო დემილიტარიზაცია, მაგრამ ქართულ მხარეს ეძლეოდა შინაგანი ჯარის შენაერთის ყოლის უფლება, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, უნდა გაერთიანებულიყო

შინაგანი ჯარის აფხაზურ პოლკთან და მათ ერთად უნდა დაეცვათ მართლწესრიგი ავტონომიურ რესპუბლიკაში. ერთი შეხედვით, ამ თითქმის უტოპიური იდეის რეალიზაცია იმ პერიოდში ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ მხარეების კეთილი ნების შემთხვევაში მისი მთლიანად გამორიცხვაც არ შეიძლება.

არანაკლებ უტოპიური იყო იმ პუნქტის რეალიზაციაც, რომელიც ითვალისწინებდა ხელისუფლების კანონიერი სტრუქტურების საქმიანობის განახლებას, რაც გულისხმობდა ვ. არძინბასა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზური დეპუტაციის, აგრეთვე მთავრობის გუდაუთაში გახიზნული ნაწილის დაბრუნებას სოხუმში და მათ ერთობლივ მუშაობას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის ქართულ ნაწილთან. პირველ რიგში, ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ქართული საზოგადოებრიობა, რომელსაც, ყოველივე მომხდარის შემდეგ, ვერ წარმოედგინა ცხოვრება ვ. არძინბას რეჟიმის ქვეშ.

ამრიგად, სოჩის 1993 წ. 27 ივლისის შეთანხმებაში ასე პირდაპირ საქართველოს სუვერენიტეტის შემლახველი პუნქტები თითქოს არ იყო დაფიქსირებული. მისი მთავარი ნაკლი იყო ის, რომ აღნიშნული შეთანხმება არ შეიცავდა მისი შესრულების კონტროლის რეალურ მექნიზმებს და რომ ის, ისევე როგორც მოსკოვის 1992 წ. 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი, არ შესრულდა და ფარატინა ქაღალდად იქცა. გარდა ამისა, არავითარი გამართლება არა აქვს საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან გამოჩენილ მიამიტობასა და დოყლაპიობას. 1992 წ. სექტემბერ-ოქტომბრის მწარე გამოცდილების შემდეგ ე. შევარდნაძე და მისი გარემოცვა მხოლოდ სიტყვაზე არ უნდა ნდობოდა კრემლს და მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან მომავალი „სამშვიდობო“ ინიციატივების მიმართ. სწორედ ამის პატიება არ შეიძლება და არა იმის, რომ მან მაინც მოაწერა ხელი სოჩის შეთანხმებას.

მაგრამ მოვუბრუნდეთ შეხვედრებს ჟიული შარტავასთან. 27 ივლისის „სოჩის შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ აფხაზეთში ვითარება თითქოს დამშვიდდა. მხარეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იცავდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. უფრო მეტიც, სოხუმის რაიონის მაღალმთიან სოფელ ლინდავაში, ფრონტის ხაზზე, ქართველ და აფხაზ მეომრებს შორის საფეხბურთო მატჩიც კი შედგა. სოხუმში მიდიოდა მზადება სასწავლო წლის დასაწყებად. დღეს ზოგიერთები დანაშაულად უთვლიან საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას იმას, რომ 1 სექტემბერს სოხუმის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესი განახლდა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ამაში საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის და გადაწყვეტილება სასწავლო პრო-

ცესის განახლების თაობაზე სოხუმში მიიღეს. ამ შემთხვევაში ინიციატივა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებიდან (მათ შორის იყო ამ სტრიქონების ავტორიც) მოდიოდა. თვით ჟიული შარტავა სიფრთხილეს იჩენდა და დიდხანს წინააღმდეგი იყო სწავლის დაწყებისა.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთგვარი „საკონსულტაციო“ შეხვედრა მის კაბინეტში, რომელშიც ვმონაწილეობდით განათლების მინისტრი ჯანო ჯანელიძე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი პროფ. ვახტანგ ფრუიძე, თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორი თეიმურაზ მიბჩუანი და მე. ჩვენ შევეცადეთ დაგვერწმუნებინა მთავრობის მეთაური 1993 წლის 1 სექტემბერს სასწავლო პროცესის დაწყების მიზანშეწონილობაში. ხაზს ვუსვამდით, რომ ამ აქტს ჰქონდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. სწავლის დაწყება, ჩვენი აზრით, მხნეობას შეჰმატებდა ქართულ მოსახლეობას, აამაღლებდა მის მორალურ სულისკვეთებას. თანაც, ამით ქართული მხარე მთელ მსოფლიოს აჩვენებდა თავის სამშვიდობო განწყობას, სურვილს ყოველგვარი პანიკის გარეშე შესდგომოდა მშვიდობიან ცხოვრებას, რომლისკენაც მოუწოდებდა აფხაზ თანამოძმეებსაც. ბატონი ჟიული დაეთანხმა ჩვენს არგუმენტებს და გადაწყვეტილება სწავლის დაწყების შესახებ სოხუმში მიღებულ იქნა. და დღეს, ვინც რაც არ უნდა თქვას, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. სხვა საკითხია, რომ ოპტიმიზმი და იმედები იმ ადამიანებისა, რომელთაც გვჯეროდა სამშვიდობო პროცესის შეუქცევადობისა და ამიტომაც გამოვდიოდით ასე აქტიურად სასწავლო პროცესის დაწყების ინიციატივით, არ გამართლდა. აფხაზი სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ და სულ სხვა გეგმებს აწყობდნენ.

და ბოლოს, განსაკუთრებული გულისტკივილით მინდა მოვიგონო კიდევ ერთი შეხვედრა ბატონ ჟიულისთან. კარგად ვერ ვიხსენებ ზუსტად ეს როდის იყო, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ სადღაც აგვისტოს ბოლოსკენ, ან სექტემბრის დასაწყისში. ბატონი ჟიული რამდენიმე დღით დედაქალაქში ბრძანდებოდა. სოხუმში ვითარება გაურკვეველი იყო, ხალხიც აღელვებული ჩანდა – ეტყობა, ვგრძნობდით მოსალოდნელ ღალატს სეპარატისტების მხრიდან. არ მახსოვს, რა მიზეზით, მაგრამ დილიდან განათლების მინისტრის ჯანო ჯანელიძის კაბინეტში თავი მოვიყარეთ ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებმა შალვა წულეისკირმა (იმჟამად ასევე მთავრობის მინისტრმა), მე და გივი მეშველიანმა. ბატონმა ჯანომ გვითხრა, რომ ჟ. შარტავა საცაა უნდა ჩამოვიდეს თბილისიდან, ალბათ, ახალ ამბებს ჩამოიტანს და ხომ არ შევხვდეთო. ავედით თავმჯდომარის მისაღებში. მალე ბატონი ჟიული გამოჩნდა, საკმაოდ ცივად მოგვესალმა – აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაცით გაღიზიანებული იყო. მინისტრებმა მოახსენეს, რომ დალაპარაკება სურდათ. გა-

დის დრო –1 საათი, 2, მაგრამ თავმჯდომარე არ გვღებულობს.

ბატონმა გივი მეშველიანმა ვერ მოითმინა, ჩვეული პირდაპირობით მიეჭრა თანაშემწეს და კატეგორიულად მოსთხოვა შეეხსენებინა ბატონი ჟიულისთვის ჩვენი იქ ყოფნა. თანაშემწე შევიდა კაბინეტში და მალე თავმჯდომარესთან ერთად გამოვიდა. ჟ. შარტავა ამჯერად კიდევ უფრო გაღიზიანებული გვეჩვენა და გაბრაზებულმა საყვედურით გვითხრა – *„რა მოხდა? რა არის ასეთი გადაუდებელი, რომ ამიკელითო“.* ამაზე უკვე ჩვენ „ავფეთქდით“. ბატონმა ჯანომ არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ მიახალა: *„რას ქვია აგიკელით, ჩვენ აქ დილიდან გელოდებით, ერთი სული გვაქვს გავიგოთ, რაიმე სასიკეთო ამბავი თუ ჩამოიტანა თბილისიდან, თქვენ კი ზედაც არ შემოგვხედეთო“.* თან დაამატა: *„ბატონო ჟიული? თქვენ უნდა გაგვიგოთ, ჩვენ აქ 30 წელია ვიხარშებით ამ უბედურებაში...“. „აი, სწორედ იმიტომ, რომ 30 წელია იხარშებით და უკეთ ერკვევით აფხაზეთის ვითარებაში,* – უმალ მოუჭრა ბატონმა ჟიულიმ, – *თქვენ უნდა უძღვებოდეთ აქაურ საქმეებს და არა მე. რატომ არ ჩამოვედი ამდენ ხანს თუ იცით? 2 დღე ვეხვეწებოდი შევარდნაძეს როგორმე შევეცვალე და აღარ გამოვეშვი სოხუმში, მაგრამ არაფრით არ ქნაო...“* . ეს თქვა და ჩვენი „წყენა“ ერთბაშად გაქრა. გივი მეშველიანმა კი ერთგვარი საყვედურით წარმოსთვა: *„ბატონო ჟიული, ეგ როგორ გაივლეთ გულში, ასეთი გაჭირვების ჟამს ჩვენი მიტოვება რამ გაფიქრებინათ? განა არ იცით, რომ ჩვენთვის მთავარი იმედი ხართ – მთელი აფხაზეთი თქვენ შემოგყურებთ“.* ეს იმდენად ემოციურად გამოუვიდა გ. მეშველიანს, რომ ბატონი ჟიული ერთბაშად მოლბა, მადლობა გადაგვიხადა თანადგომისათვის და უკვე ჩვეული შემართებით დაიწყო საუბარი განსახორციელებელ ღონისძიებებზე.

დღემდე ვერ ამიხსნია, რა იყო ეს სასოწარკვეთილი განცხადება. ნუთუ იყო რაღაც შინაგანი წინათგრძნობა მოსალოდნელი საფრთხისა და მოახლოებული ტრაგიკული აღსასრულისა. არ ვიცი. მაგრამ ვიცი ის, რომ ჟიული შარტავამ ბოლომდე ღირსეულად ატარა მძიმე ჯვარი და ზვარაკად მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე. ეს კი რჩეულთა ხვედრია.

შემდეგ კი იყო სოხუმის დაცვის გმირული ეპოპეა, რომლის შუა გულში გენერალი ჟიული შარტავა იდგა. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სრულიად საქართველო დაერაზმა მომხვდურთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მოწოდებები ყველამ როდი შეისმინა. და ბოლოს – ტრაგიკული 27 სექტემბერი, თავგანწირული ბრძოლა, როგორც იტყვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რომელმაც შეინირა ჟიული შარტავა და მისი გმირი თანამებრძოლები.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო დიალოგი ჩემს ყოფილ სტუდენტ ბესლან კობახიასთან (იმჟამად არძინბას ხელისუფლების მი-

ნისტრთან), რომელმაც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ დაურ ბარგანჯიასთან და დაურ მარღანიასთან (ასევე ჩემი სტუდენტი, იმ დროს სოხუმის სამხედრო კომენდანტის მოადგილე) ერთად მომინახულა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში 1993 წ. 19 ოქტომბერს. ჩემს საყვედურზე – თუ რატომ დახვრიტეს ჟიული შარტავა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა დაპირისპირებულ მხარეთა შესარიგებლად, – ბესლანმა თავი დახარა და ერთგვარი დარცხვენით მითხრა – *«Война, Зураб Валерьянович...» („ომია, ზურაბ ვალერიანის ძევ“)*...

აფხაზ-ქართველთა საერთო შვილი სწორუპოვარი რაინდი მარუშიანთა ჯილაგისა. *ლორიკ მარშანია*[*]

კიდევ ერთი ბერმუხა გამოაკლდა დიდ ქართულ-აფხაზურ საძმოს, კიდევ ერთი ბუმბერაზი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან. აღარ არის ლორიკ მარშანია, აფხაზური სიდარბაისლითა და პეწით გამორჩეული, ჭეშმარიტად რაინდული ბუნებისა და სულის ბრძენკაცი, თანამედროვე საქართველოს ერთი გმირთაგანი, რომლის ცხოვრება და ღვაწლი უდიდესი ზნეობრივი მაგალითია როგორც თანამედროვეთათვის, ისე აფხაზთა და ქართველთა მომავალი თაობებისათვის.

დიახ, ლორიკ მარშანია ნამდვილად არის გმირი. მან ჩვენი სამშობლოსათვის გადამწყვეტ ჟამს, როდესაც რუსულმა იმპერიულმა მანქანამ წამოიწყო „ჯვაროსნული“ ომი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, უანგაროდ გადადო თავი მშობლიური აფხაზეთის, სრულიად საქართველოს გადასარჩენად და ბოლომდე ღირსეულად ატარა ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის ბურჯისა და მებაირახტრის უაღრესად საპატიო და, ამასთან, შექმნილ ვითარებაში, მძიმე ჯვარი.

დიახ, ლორიკ მარშანიას ისტორიამ მეტად რთული მისია დააკისრა. ის აღმოჩნდა აფხაზთაგან უპირველესი, რომელსაც კრიტიკულ მომენტში ეყო სიბრძნე და გამბედაობა თვალი აეხილა თავის გზას აცდენილი თანამოძმეთათვის, ხმა აღემაღლებინა ვ. არძინბასა და მისი თანამოაზრეების ანტიქართული, სეპარატისტული კურსის წინააღმდეგ და უყოყმანოდ დამდგარიყო მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის სადარაჯოზე, იმ ერთობისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ და ადუღაბებდნენ აფხაზი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილები.

ბატონი ლორიკის ეს თავდადება სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. სხვანაირად ვერ მოიქცეოდა ჭეშმარიტი აფხაზი, დალი-წებელდის მფლობელი მარშანიების სახელოვანი საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი, რომელმაც მშვენივრად იცოდა, თუ რა დიდი უბედურება დაატეხა აფხაზ ხალხს „მოძმე“ რუსეთმა. აკი, სწორედ მისი წინაპრები ედგნენ სათავეში აფხაზი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის იმ-

---

[*] ეს წერილი – ერთგვარი გამოსათხოვარი ნეტარხსენებული ლორიკ მარშანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით თავდაპირველად გამოქვეყნდა გაზეთ *„საქართველოს რესპუბლიკაში“* (№153, 18.08.2010 – http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2010&art=17921). მოგვიანებით ის დაიბეჭდა: *შრომათა კრებული*. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ტ. 2. თბ., 2010, გვ. 269-270.

პერიის წინააღმდეგ XIX საუკუნეში.

ლორიკ მარშანია იმ გორისა იყო, ვინც მუდამ ერთგულად ადგა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლების დიდი ლეონ მეფისა და ბაგრატ III-ის მიერ გაკვალულ გზას. ბატონ ლორიკს ხშირად ახსენებდნენ, რომ მისი გვარი, შესაძლოა, მარუშიანთა ცნობილ საგვარეულოს უკავშირდებოდეს, რომლის წარმომადგენელი იოანე მარუშის ძე იყო ინიციატორი და ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ბაგრატ III-ის ხელისუფლების ქვეშ სრულიად საქართველოს გაერთიანებისა.

მართალია, ისტორიოგრაფიაში მარშანია-მარუშიანთა იდენტურობის საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე გადაწყვეტილი ნამდვილად არ არის და თვით ბატონი ლორიკიც ერთგვარი ეჭვით უყურებდა მას (ის უფრო მარშანიების ჩრდილოეთ კავკასიური წარმომავლობისკენ იხრებოდა), მაგრამ ერთი რამ უდავოა, თავისი მამულიშვილური შემართებით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით ლორიკ მარშანია ნამდვილად რომ მარუშიანთა ჯიშისა და ჯილაგის იყო. ის გახლდათ ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელი „დიდთა საქმეთა“ გიორგი შარვაშიძისა და თავისი უფროსი მეგობრის, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, ასევე მშობლიური აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს მხურვალე პატრიოტის ზურაბ ანჩაბაძისა. სხვათა შორის, მე როგორც პირად საუბარში, ისე საჯაროდაც, არაერთხელ განმიცხადებია ეს, რაც ბატონ ლორიკს ძლიერ სიამოვნებდა.

წავიდა ლორიკ მარშანია. წავიდა გულმართალი კაცი, პიროვნება, რომელიც იყო განსახიერება ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისა, აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს მშვენება. კაცი – მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მამულიშვილი, ნამდვილი რაინდი. წავიდა ისე, რომ ვერ მოესწრო თავისი მთავარი მიზნისა და ნატვრის აღსრულებას, ვერ შეასრულა თავისი დანაპირები – აფხაზეთში დაბრუნებისას ეთამადა ენგურიდან ფსოუმდე გაშლილ ერთიან სუფრაზე.

ვაგლახ, რომ წავიდა...

ცნობილი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე – *თეიმურაზ მიბჩუანი*[*]

თეიმურაზ მიბჩუანი, მეცნიერი-ისტორიკოსი საკმაოდ ფართო დიაპაზონით, რომელმაც არაერთი საყურადღებო ნაშრომით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია; შესანიშნავი პედაგოგი, რომელიც ძალიან უყვარდათ სტუდენტებს; პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი; საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთში არაერთი ეროვნული წამოწყების მოთავე; სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი, რომელიც თავის კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად ბოლომდე იცავდა ცხუმ-აფხაზეთს და ჭუბერის გოლგოთაც გამოიარა; შესანიშნავი მეოჯახე, მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი მამა და ბაბუა. აი ზოგადი სახე ღვაწლმოსილი კაცისა, რომელიც ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

თეიმურაზ მიბჩუანის სახელი ჩემთვის ცნობილი გახდა 1976 წლის გაზაფხულზე, როდესაც, მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ განაწილებით მოვხვდი სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. იმჟამად მას, საკმაოდ სტაჟიან სკოლის პედაგოგს, ნიჭიერ ისტორიკოსს, უკვე დამთავრებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურა კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიის სპეციალობით და კითხულობდა ლექციებს პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ეს იყო საკმაოდ მძიმე პერიოდი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ცხოვრებაში. ყოველწლიურად მიდიოდა პროფესორ-მასწავლებელთა (მათ შორის ისტორიის კათედრებზე) შემცირება. ასეთ ვითარებაში, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ ჩემი, სრულიად უცხო კაცის, წარგზავნა სოხუმში, თანაც საგანგებოდ გამოყოფილი საშტატო ერთეულით, რამდენადმე გამაღიზიანებლად მოჩანდა. სხვათა შორის, ამის გამო ღიად გამოთქვა პროტესტი სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგემ, პროფ. ირაკლი ახალაიამ, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, პროფ. ზურაბ ანჩაბაძემ ჩემთვის საათების მოძიება დაავალა. მან რექტორს განუცხადა, რომ იმ ფონზე, როდესაც კათედრის ზოგიერთი თანამშრომელი გადაყვანილი იყო 0,5 საშტატო განაკვეთზე და, გარდა ამისა, კათედრას ჰყავდა საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლები, მათ შორის თ. მიბჩუანი, ახალი მასწავლებლის სამსახურში აყვანა მიზანშეუწონლად მიაჩნია. აი სწორედ მაშინ გავიგე პირველად თ.

---

[*] გამოქვეყნდა კრებულში: *თეიმურაზ მიბჩუანი – 70.* თბ., 2008-2010, გვ. 38-43. იბეჭდება მცირეოდენი დაზუსტებებით.

მიბჩუანის სახელი. მოგვიანებით შედგა ჩვენი ურთიერთგაცნობაც.

ამ დროიდან დაწყებული 2006 წლამდე, როდესაც ბატონმა თემურმა უდროოდ დატოვა წუთისოფელი, ჩვენ ერთად ვეწეოდით ჭაპანს მის და უკვე ჩემთვისაც მშობლიურად ქცეულ უნივერსიტეტში, ერთად გვიხდებოდა ბრძოლა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ, აფხაზეთში საერთო-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად, და არა მხოლოდ სამეცნიერო ასპარეზზე. ჩვენ ყოველთვის ვედექით მხარში ერთმანეთს. არასოდეს დამავიწყდება მისი გაბედული ნაბიჯი 1982 წელს, როდესაც მან გაზეთ: *„საბჭოთა აფხაზეთში“* გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია ჩემს მონოგრაფიაზე *«У истоков грузино-русских политических взаимоотношений», („საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების სათავეებთან“)* რომელშიც მაღალი შეფასება მისცა აღნიშნულ ნაშრომს. არადა, იმ დროს სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთმა ნაწილმა სწორედ ამ წიგნის გამო გამომაცხადა „აფხაზი ხალხის მტრად“ და, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი აფხაზეთიდან გაძევება მოითხოვა. კოლეგასა და მეგობარს სამაგიერო უკვე 1987 წელს გადავუხადე, როდესაც იმავე გაზეთ: *„საბჭოთა აფხაზეთში“* ასევე საკმაოდ ვრცელი რეცენზია გამოვაქვეყნე მის მონოგრაფიაზე: *„მეგობრობის სათავეებთან“*.[1] აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში ბატონ თემურს არანაკლებ ატყდებოდა სეპარატისტთა რისხვა და მასაც სჭირდებოდა თანადგომა.

ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი ბატონ თემურზე, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთზე შევაჩერებ ყურადღებას. როგორც უკვე აღინიშნა, თ. მიბჩუანი აქტიურად იყო ჩაბმული სეპარატისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ისტორიოგრაფიულ „ომში“. მისი მოხსენებები დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემურ საკითხებზე, როგორც წესი, აფხაზი კოლეგების ცხოველ ინტერესს იწვევდა. მახსენდება, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ერთ-ერთი სამეცნიერო სესია, რომელზეც ბატონმა თემურმა წაიკითხა უაღრესად საინტერესო მოხსენება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებზე, რომელშიც ის ცალკეულ ტოპონიმებს ახსნას სვანურ ენობრივ სამყაროში უძებნიდა და ამით ასაბუთებდა ქართველურ ტომთა განსახლებას აფხაზეთში უძველეს დროში. აფხაზებს, ბუნებრივია, არ მოეწონათ ეს და თავიანთი მხრივ, ისინი შეეცადნენ აღნიშნული ტოპონიმები აფხაზურად აეხსნათ. ბატონმა თემურმა ტაქტიანად გასცა პასუხი მათ კითხვა-კომენტარებს და მოკრძალებულად აღნიშნა, რომ

[1] აღნიშნული რეცენზია გამოქვეყნდა ჟურნალ: *„მნათობშიც“* (№8, 1987, გვ. 173-176).

მის მიზანს მხოლოდ სვანური მასალის მნიშვნელობის ჩვენება წარმოადგენდა და არა პრობლემის ერთი ხელის მოსმით გადაჭრა. ამან ჩვენი ოპონენტები ერთგვარად დაამშვიდა. აქვე მინდა აღვნიშნო, თ. მიბჩუანი ყოველთვის პატივისცემით ექცეოდა აფხაზ კოლეგებს და მაქსიმალურად ცდილობდა დაეფასებინა მათი ნაღვაწი. ამის დადასტურებაა თუნდაც მისი გამოხმაურება ცნობილი აფხაზი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის პროფ. შალვა ინალ-იფას ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ნაშრომზე, რომელიც გაზეთ *„საბჭოთა აფხაზეთში“* დაიბეჭდა.

პირველი დიდი ხმაური თ. მიბჩუანის ირგვლივ სეპარატისტებმა მაინც 1988 წელს ატეხეს, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა გამოსცეს ქართული ხელნაწერი ჟურნალი *„ცხუმი“*. სტუდენტების თხოვნით ბატონმა თემურმა აღნიშნული ჟურნალისათვის მოამზადა ერთგვარი მოწინავე წერილი, რომელშიც ღიად და სავსებით დამაჯერებლად მიუთითა ქ. სოხუმის უძველესი სახელწოდების – *„ცხუმის“* სვანურ წარმომავლობაზე. ამის საფუძველზე ავტორმა გააკეთა სრულიად ლოგიკური დასკვნა, რომ ამ სახელწოდების მიცემა აღნიშნული პუნქტისათვის შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ იქ განსახლებულ ქართველურ (სვანურ) ტომებს. სეპარატისტები, ბუნებრივია, ძლიერ გააღიზიანა ამ თვალსაზრისმა. სეპარატისტულად განწყობილი პროფესურის დაჟინებული მოთხოვნით, უნივერსიტეტის რექტორმა ვიწრო წრეში მოაწყო ჟურნალის განხილვა, რომლის მთავარი მიზანი იყო ქართველ სტუდენტთა ამ ინიციატივის ძირშივე მოშთობა, მაგრამ მაშინ სეპარატისტებმა ვერც ჟურნალის აკრძალვა მოახერხეს და ვერც მისი სახელწოდების შეცვლა. ეს იყო აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სერიოზული გამარჯვება და ის მიღწეულ იქნა, პირველ რიგში, ისტორიის კათედრების თანამშრომელთა, მათ შორის, თეიმურაზ მიბჩუანის მიერ დაკავებული აქტიური პოზიციის შედეგად.

XX ს. 90-იანი წლების დამდეგისათვის, როდესაც უკიდურესად გამწვავდა ვითარება აფხაზეთში, კიდევ უფრო წარმოჩინდა თ. მიბჩუანის, როგორც პატრიოტის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების აქტიური დამცველის როლი და დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა მას ეროვნულ-პატრიოტულ ძალებში. ამის ნათელი დადასტურება იყო თუნდაც მისი არჩევა აფხაზეთის ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის დარბაზის თავმჯდომარედ.

აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირების პერიოდში თ. მიბჩუანმა, 50 წელს გადაცილებულმა კაცმა, რომელსაც იმ პერიოდში გულმაც „შემოუტია“, ხელში იარაღი აიღო და მედგრად დადგა სამშობლოს ერთიანობის სადარაჯოზე. თეიმურაზ მიბჩუანს, ზოგიერთებისგან განსხვავებით, შესანიშნავად ესმოდა პატრიოტი ქართველის მისია –

თავის დადება მისთვის საფიცარი საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის. დიახ, პროფესორი თეიმურაზ მიბჩუანი და მისი თანამებრძოლები, მათ შორის, მისი აღზრდილი სტუდენტები აფხაზეთში იცავდნენ თავიანთ სამშობლოს და **იცავდნენ მას არა იმდენად გზასაცდენილი აფხაზი თანამოძმეებისაგან, რამდენადაც მეზობელი სახელმწიფოს ფარული თუ ღია აგრესიისაგან.** დროა ახლა მაინც, მას შემდეგ, რაც საქართველოს თავს დაატყდა 2008 წ. აგვისტოში, ყველამ გაიგოს, რომ **1989-1993 წლებში აფხაზეთში, ჩვენ, არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს გვართმევდნენ. და გვართმევდა მას ის ბოროტების იმპერია, რომელსაც ვერაფრით ვერ მოუნელებია საქართველოს დაკარგვა და დღესაც ყოველნაირად ცდილობს, როგორმე დაგვაბრუნოს „ძმურ ოჯახში“.**

აფხაზეთის ომის პერიოდში თ. მიბჩუანს არაერთხელ მიეცა საშუალება მკაფიოდ და პირუთვნელად ეთქვა სიმართლე აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაზე. ამ დროს მან ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა ვრცელი ნარკვევი სათაურით *„შეთქმულება“*, რომელშიც მოკლედ მიმოიხილა უძველესი დროიდან ბოლო პერიოდამდე აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური პროცესები და გაამახვილა ყურადღება სხვადასხვა ეპოქაში მეზობელი იმპერიების, განსაკუთრებით კი რუსული იმპერიული მანქანის დესტრუქციულ როლზე. ის ღიად და დაუფარავად ამხელდა რუსეთის ფედერაციის იმპერიულ ზრახვებს ცალკეულ რუს პოლიტიკოსებთან პირისპირ პოლემიკაშიც. ამ მხრივ არ შეიძლება არ გავიხსენო მისი მწვავე გამოსვლა ქართული საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრაზე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწესთან, რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელთან კონფლიქტის ზონაში ბორის პასტუხოვთან, რომელიც შედგა სოხუმში 1993 წ. ივნისში. მან სხვა გამომსვლელებთან (რომელთა შორის იყო ამ სტრიქონების ავტორიც) ერთად მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის ხელისუფლების ქმედებები, ერთნიშნად დაადანაშაულა მოსკოვი ნეიტრალიტეტის დარღვევაში და მთელი პასუხისმგებლობა აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში რუსულ მხარეს დააკისრა.

თ. მიბჩუანი არ ერიდებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კრიტიკასაც. იმავე 1993 წ. ზაფხულში, როდესაც აფხაზეთში უაღრესად მძიმე ვითარება შეიქმნა, როგორც ფრონტებზე, ისე ზურგში, სოხუმში ჩამოვიდა სახელმწიფოს მეთაური ედ. შევარდნაძე. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში შედგა მისი შეხვედრა ავტონომიური რესპუბლიკისა და თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელობასთან, რომელსაც ესწრებოდნენ ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. ამ შეხვედრაზე ედ. შევარდნაძეს არაერთი მწარე სიმართლის მოსმენა მოუხდა. მათ შორის, ერთ-ერთი მათგანი, რომლის გამოსვლამაც განსაკუთრებით გააღიზიანა სახელმწიფოს პირველი პი-

რი, თეიმურაზ მიბჩუანი იყო.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ასევე ედ. შევარდნაძის სოხუმში ყოფნას უკავშირდება და რომელსაც ადგილი ზემოთაღნიშნული შეხვედრიდან ორი თუ სამი კვირის შემდეგ ჰქონდა. მე და ბატონ თემურს ხშირად გვიწევდა ერთად ყოფნა მთავრობის სახლში სხვადასხვა ღონისძიებებზე. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების დასრულების შემდეგ, როდესაც ჩვენ ორნი გამოვდიოდით მინისტრთა საბჭოს შენობიდან, მოულოდნელად შევეფეთეთ ედ. შევარდნაძესა და ალექსანდრე კავსაძეს, რომლებიც გადმოვიდნენ მანქანიდან და აუყვნენ საკმაოდ გრძელ კიბეს. ჩვენ მოვერიდეთ სახელმწიფოს მეთაურს და განზე გავუხვიეთ. აქ უცნაური რამ მოხდა – ბატონმა ედუარდმა მიატოვა დაცვა და ჩვენსკენ გამოემართა, თბილად მოგვიკითხა (თითქოს არც კი ახსოვდა მკაცრი კრიტიკა, რომელიც მას თავს დაატყდა თემურისგან და ჩემგან ზემოთნახსენებ შეხვედრაზე). ჩვენც ზოგიერთი იმ პერიოდისათვის აქტუალური საკითხი წამოვჭერით. საუბარმა დაახლოებით 2-3 წუთი გასტანა. არადა მთლად უხიფათო არ იყო – მდგარიყავი ქალაქის შუა გულში, მთავრობის სახლის წინ, რომელიც სისტემატიურად იბომბებოდა თანაც უმაღლეს მთავარსარდალთან ერთად (ცნობილია, თუ როგორ ნადირობდნენ სეპარატისტები სახელმწიფოს მეთაურზე და რა თავგამოდებით უშენდნენ ჭურვებს სწორედ მისი გადადგილების მარშრუტს). მაგრამ მაშინ მე და თემურს ამაზე არ გვიფიქრია, ეს საშიშროება მხოლოდ მოგვიანებით გავიაზრეთ.

ასევე ნაკლებად ფიქრობდა თეიმურაზ მიბჩუანი საკუთარ თავზე, როდესაც უშიშრად გადიოდა ფრონტის წინა ხაზზე და თავის კოლეგებთან და მეგობრებთან (ჯანო ჯანელიძესთან, გივი მეშველიანთან და სხვ.) ერთად ამხნევებდა მებრძოლებს. ასე იყო სოფ. თავისუფლებაში, სოფ. ლინდავაში, თუ სხვაგან, სადაც ჩვენ ერთად მოგვიხდა ყოფნა. თ. მიბჩუანს ერთი წუთითაც არ მიუტოვებია სოხუმი. ის ბოლომდე მედგრად იდგა ქალაქის გმირ დამცველთა შორის და მხოლოდ 27 სექტემბერს დატოვა ის.

აფხაზეთის ტრაგედიამ და მშობლიური კუთხის დატოვებამ, მართალია, ძლიერ იმოქმედა ბატონ თემურზე, მაგრამ ის მაინც არ გატყდა. პირიქით, დევნილობაში თ. მიბჩუანმა ორმაგი ენერგიითა და შემართებით გააგრძელა თავისი შემოქმედებითი საქმიანობა და ახალი მწვავე პუბლიკაციებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმისა და მისი მოსკოველი მფარველების მიერ ორგანიზებული აღვირახსნილი ფალსიფიკატორული ისტორიოგრაფიული კამპანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. თ. მიბჩუანის მეცნიერული ღვაწლის ერთგვარი აღიარება იყო მისი არჩევა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.

თეიმურაზ მიბჩუანმა, ცნობილმა ისტორიკოსმა, მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, აფხაზეთის ქართველობის ერთ-ერთმა კოლორიტულმა წარმომადგენელმა თავისი მრავალფეროვანი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით უდავოდ დაიმკვიდრა ადგილი ქვეყნისათვის დამაშვრალ მოღვაწეთა შორის.

სიკეთით აღსავსე კაცი – *პროფესორი ვალერიან ჭანია*[*]

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის – 1979 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის – ქართველ პროფესურას არაერთი კოლორიტული ფიგურა ჰყავდა. მათ შორის, უთუოდ გამოსარჩევია, ცნობილი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან (ვალერი) ჭანია. მან თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით, მაღალი ზნეობით, კაცური კაცობით ნამდვილად დაამახსოვრა თავი საზოგადოებას.

ვალერიან ჭანია პირველად ვნახე 1976 წ. 16 აპრილს სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის რექტორის, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის კაბინეტში. ასე ზუსტად ეს თარიღი იმიტომ დამამახსოვრდა, რომ სწორედ იმ დღეს დავინიშნე მასწავლებლის თანამდებობაზე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იმთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ იყო მთლად ჩვეულებრივი ამბავი. ამას წინ უძღოდა გარკვეული „ბატალიები“ ჩემსა და საქართველოს სახელისუფლებო წრეებს (უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და თვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს) შორის. საქმის ვითარება შემდეგში მდგომარეობდა: 1975 წელს მას შემდეგ, რაც დავამთავრე მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვერ მოახერხა ჩემი დაკმაყოფილება სამსახურით. არადა, სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლიდან ვიყავი გაზავნილი მიზნობრივ ასპირანტურაში და ამდენად, იმჟამად არსებული კანონმდებლობით, ჩემს დასაქმებაზე, პირველ რიგში, თსუ-ს უნდა ეზრუნა.

დახმარებისათვის მივმართე ზემდგომ უწყებას – საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მაგრამ იქიდან კონკრეტული პასუხი ვერ მივიღე. მაშინ თხოვნა-საჩივრის წერილი ვაახლე რესპუბლიკის პარტიულ ლიდერს – საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პირველ მდივანს ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს. თხოვნა-საჩივარში აღძრული საკითხის გადაწყვეტა დაევალა იდეოლოგიის დარგში ცენტრალური კომიტეტის მდივანს, ქ-ნ ვიქტორია სირაძეს, რომელიც კურირებას უწევდა განათლებისა და მეცნიერების სფეროს. თავის მხრივ, ვ. სირაძემ, თხოვნა-საჩივრის წერილი შესაბამისი რეზოლუციით გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს აკად. გიორგი ჯიბ-

---

[*] დაიბეჭდა: *ბედია*, სამეცნიერო-პუბლიცისტური ჟურნალი. ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, №8-9. თბ., 2010, გვ. 11-18.

ლაძეს. გამომიძახეს მინისტრთან. მასთან საუბარში წამოიჭრა ჩემი სამუშაოდ სოხუმში გაგზავნის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ინიციატივა ჩემგან მოდიოდა. მინისტრი უმალვე გამოეხმაურა ამ წინადადებას და იქვე პირდაპირი ხაზით ესაუბრა რექტორს, ბ-ნ ზ. ანჩაბაძეს, რომელსაც ჰკითხა – სამინისტროს რეზერვიდან საშტატო განაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში – გამოიძებნებოდა თუ არა ინსტიტუტში სასწავლო დატვირთვა ახალგაზრდა სპეციალისტისათვის შესაბამისი სპეციალობით, თანაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. სირაძის დავალება იყო. როგორც ჩანს, სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ იქონია გადამწყვეტი გავლენა ბატონ ზურაბზე და მან თანხმობა მისცა მინისტრს. სასწრაფოდ გააფორმეს სათანადო დოკუმენტაცია (მიმართვა, საშტატო განაკვეთი) და გამაგზავნეს სოხუმში.

რექტორმა საკმაოდ თბილად მიმიღო, თუმცა, შევამჩნიე, რომ ჩემი ჩამოსვლა მისთვის რამდენადმე მოულოდნელი იყო. როგორც ჩანს, მას ვერ წარმოედგინა აპრილში – შუა სემესტრში – საშტატო განაკვეთის (თუნდაც 0.5 ს/ე) გამოყოფა, მაგრამ რას იზამდა, მინისტრისათვის მიცემულ პირობას ხომ ვერ გადაუვიდოდა. ამიტომაც სასწრაფოდ გამოიძახა ინსტიტუტის პრორექტორი პროფ. შოთა ბასილაია და სსრ კავშირის ისტორიის (სწორედ ამ სპეციალობით მქონდა დამთავრებული ასპირანტურა) კათედრის გამგე, პროფ. ირაკლი ახალაია. ბ-ნი შოთა გაგებით შეხვდა თბილისიდან მოსულ „თხოვნა-მითითებას“. მისგან განსხვავებით, ბ-ნი ირაკლიმ, როგორც იტყვიან „ქვა ააგდო და თავი შეუშვირა“ და უარი განაცხადა ჩემთვის სასწავლო დატვირთვის გამოყოფაზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ იმ ვითარებაში კათედრის გამგის ამ პოზიციას სრული გამართლება ჰქონდა, ვინაიდან სწორედ იმ დროს ინსტიტუტში მიმდინარე შტატების შემცირების გამო, მის კათედრაზე თანამშრომლები გადაყვანილი იყვნენ ე.წ. „მცოცავ გრაფიკზე“ და ზოგიერთ მათგანს არასრული საშტატო განაკვეთი ჰქონდა. ასეთ პირობებში კი ახალი თანამშრომლის მიღება და ისიც იმავე სამინისტროს „მოთხოვნით“, რომლის მითითებითაც ხორციელდებოდა შტატების შემცირება, მართლაც ძალზე გამომწვევად მოჩანდა.

რექტორსა და ბ-ნ ირაკლის შორის საკმაოდ მწვავე პოლემიკა გაიმართა, რომელშიც მოულოდნელად ჩაერია იქ დამსწრე ჩემთვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა კაცი (დიახ, ის მე ძალიან ახალგაზრდად მომეჩვენა), რომელმაც, მდგომარეობის განსამუხტად, ბატონ ზურაბს ჩემი მის კათედრაზე დასაქმების იდეა შესთავაზა. როგორც შემდეგ გავარკვიე ეს პიროვნება, არც მეტი არც ნაკლები, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის თეორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან

ჭანია აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მხიბლავდა (მით უფრო, რომ ამისთვის არც სათანადო კომპეტენცია გამაჩნდა) მეცნიერული კომუნიზმის თეორიის მიმართულებით მუშაობის პერსპექტივა, მე იმთავითვე დიდი პატივისცემით განვიმსჭვავლე ბატონი ვალერის მიმართ, რადგან მისი სურვილი, მხარში ამოდგომოდა მისთვის სრულიად უცნობ ახალგაზრდა მეცნიერს ნამდვილად იყო დასაფასებელი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია განვაცხადო, რომ ბატონი ვალერის ჩარევამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა პროფ. ირ. ახალაიას პოზიციის შერბილება, კონფლიქტური სიტუაცია რექტორსა და კათედრის გამგეს შორის განიმუხტა და სულ რამდენიმე წუთში ბატონი ირაკლი (უკვე მის კაბინეტში) ჩემთვის სასწავლო დატვირთვის მოძიებას შეუდგა. ერთი სიტყვით, ის რომ მე მოვხვდი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში უდავოდ ბატონი ვალერის დამსახურებაცაა, რის გამოც მუდამ მისი მადლიერი ვიყავი.

თანდათანობით, ბატონ ვალერის უფრო დავუახლოვდი. ბევრი რამ გავიგე მის შესახებ. კერძოდ, აღფრთოვანებული ვიყავი მისი მეცნიერული მიღწევებით. მართლაც სახუმარო საქმე ხომ არაა, ისტორიის დარგში 38 წლის ასაკში შექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები (სხვათა შორის, საკუთრივ რუსეთის ისტორიის პრობლემატიკაზე, კონკრეტულად, 1905-1907 წლების რევოლუციაზე), გახდე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (იმჟამად ეს იშვიათობა იყო), პროფესორი. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოკვლევები პარტიული კონიუნქტურის სრული გათვალისწინებით იყო შექმნილი, მათ ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, რადგან პროფ. ვ. ჭანიას შრომებში თავმოყრილია მდიდარი ფაქტოლოგიური (უმეტესწილად სარქივო) მასალა, რომელიც ამჟამადაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევრებს.

ჩემთვის ასევე სრულიად ცხადი გახდა, რომ ოფიციალურად კომუნისტურ-პარტიული იდეოლოგიის სამსახურში მდგარი (მეცნიერული კომუნიზმის თეორიის კათედრის გამგე) პროფ. ვ. ჭანია, შინაგანად არასოდეს ყოფილა ორთოდოქსი მარქსისტი-ლენინელი. ის ყოველთვის მიესალმებოდა თავისუფალ აზრს და „ნამეტნავად“ პატრიოტიც იყო. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც მისი შვილების – ვახტანგისა და ლადოს – გამოკვეთილი, იმ დროისათვის რამდენადმე მიუღებელი, ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერება, რომელმაც ისინი მოგვიანებით (XX ს. 80-იანი წლების II ნახევრიდან) აფხაზეთში ქართული ეროვნული ინტერესების დაცვის ავანგარდში დააყენა. სხვათა შორის, ის რომ პროფ. ვ. ჭანია ნამდვილად „მოიკოჭლებდა“ იდეოლოგიური კუთხით, მე შევამჩნიე მის ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე (ჯერ კიდევ *„პერესტროიკამდე“* დიდი ხნით ადრე), როდესაც მან ისე ოსტატურად მიმოიხილა იმჟამინდე-

ლი საერთაშორისო ვითარება, რომ ერთი საქებარი სიტყვა არ დასცდენია პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის მისამართით.

მე ყოველთვის ვგრძნობდი ჩემდამი თბილ დამოკიდებულებას და მხარდაჭერას ბატონი ვალერის მხრიდან, რაც მის კეთილშობილებასთან ერთად განპირობებული იყო იმითაც, რომ მე ვმეგობრობდი მის ვაჟებთან, განსაკუთრებით ვახტანგთან, რომლის ლექტორიც ერთ ხანს ვიყავი. ეს მხარდაჭერა და თანაგრძნობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მისი პრორექტორობის დროს. როგორც ცნობილია, პროფ. ვ. ჭანია უმაღლესი სასწავლებლის მეორე პირის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე უშუალოდ რექტორის, ბ-ონ ზურაბ ანჩაბაძის რეკომენდაციით დაინიშნა პროფ. შოთა ბასილაიას გარდაცვალების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. შ. ბასილაია შეცვლა არ იყო მთლად ადვილი საქმე, ვინაიდან შეიძლება ითქვას, ის ჭეშმარიტად ლეგენდარულ პიროვნებად იყო მიჩნეული, რომელსაც, თუ არ ვცდები, ეკუთვნოდა რეკორდი მთელი სსრ კავშირის მასშტაბით – მას 30 წელზე მეტ ხანს ეკავა პრორექტორის თანამდებობა. მაგრამ არც რექტორის გადაწყვეტილება იყო შემთხვევითი, ბატონი ზურაბი მაღალი აზრის იყო პროფ. ვ. ჭანიას მოღვაწეობაზე და მას თავისი გუნდის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრად მიიჩნევდა. სწორედ ამან და აგრეთვე პირადმა მეგობრულმა ურთიერთობებმა განაპირობა რექტორის არჩევანი.

ეს იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ცხოვრებაში მეტად რთული და გარდამტეხი პერიოდი. ავტონომიურ რესპუბლიკას ახალი გადატანილი ჰქონდა (1977-1978 წწ.) მწვავე პოლიტიკური კრიზისი. ვნებები მეტ-ნაკლებად ჩაცხრა და უმაღლესი სასწავლებელი ემზადებოდა სტატუსის შესაცვლელად. მართლაც, 1979 წ. 5 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის შესახებ. მოხდა ისე, რომ იმ დროს, როდესაც მოსკოვში მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება, რექტორი სოხუმში არ ყოფილა და მის მოვალეობას ბატონი ვალერი ასრულებდა. ამიტომ სწორედ მას უპასუხია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ვიაჩესლავ ელიუტინის ზარისთვის. გახარებული ბატონი ვალერი, მაშინათვე დაკავშირებია ბატონ ზურაბს და სასწრაფოდ უთხოვია მისთვის სოხუმში ჩამოსვლა, მაგრამ საიდუმლო არ გაუმხელია, მხოლოდ ისღა უთქვამს რომ სასიამოვნო სიურპრიზი ელოდებოდა. ბატონი ზურაბი იმავე საღამოსვე გამოფრენილა სოხუმში და პირდაპირ ჭანიების სახლში მისულა. ეზოში შესულს, ბატონი ვალერი დახვედრია და ღიმილნარევი საყვედურით უათქვამს: *„ბატონო ზურაბ! სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს არ გეკადრება ჩემს სახლში ხელცარიელი შემოსვლაო“*. სასიამოვნო ინფორმაციით ერთ-

გვარად შეცბუნებულ რექტორს სასწრაფოდ მანქანა დაუძრავს და რამ-დენიმე წუთში ორი ყუთი შამპანურით ხელდამშვენებული უკან მობრუ-ნებულა. იმ ღამეს მთელ სოხუმში სტუმართმოყვარეობით განთქმული ჭანიების ოჯახში დიდი „გრიალით“ აღუნიშნავთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება.

კიდევ ერთი ფაქტი ზურაბ ანჩაბაძისა და ვალერი ჭანიას მეგობ-რული ურთიერთობების საჩვენებლად. ახლადშექმნილ სოხუმის სახელ-მწიფო უნივერსიტეტს თავდაპირველად თურმე *„სამართალმცოდნეო-ბის“* სპეციალობის გახსნაზე (მოსკოვის მითითებით) უარი ეთქვა. ამით შეწუხებულ რექტორს თავისი პირველი მოადგილისთვის (სწორედ ასე-თი იყო ვ. ჭანიას – სასწავლო დარგში პრორექტორის სტატუსი) თბი-ლისში ჩასვლა და იქ, სამინისტროში, ამ საქმის მოგვარება დაუვალე-ბია. ეს იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ბატონ ვალერის თბილი, მე-გობრული ურთიერთობა ჰქონია იმჟამინდელ მინისტრთან, პროფ. და-ვით ჩხიკვიშვილთან, რომლის შესახებაც იცოდა ბატონმა ზურაბმა.

მართლაც, მეორე დღეს სამინისტროში მისულ ბატონი ვალერის (მას თან ხლებია თავისი ვაჟი – ვახტანგი) მინისტრი მეტად თბილად და მეგობრულად დახვედრია და რჩევაც მიუცია, თუ როგორ გამოსუ-ლიყვნენ (მოსკოვის გვერდის ავლით) შექმნილი მდგომარეობიდან. კერ-ძოდ, მინისტრის რჩევით, ბატონი ვალერი მისულა თბილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტის პრორექტორთან საღამო და დაუსწრებელი სწავ-ლების დარგში, პროფ. ზურაბ ფორაქიშვილთან, რომელსაც ბატონი ვა-ლერი ნაცნობა სტუდენტობისა და ასპირანტობის პერიოდიდან. პროფ. ზ. ფორაქიშვილს გულთან ახლოს მიუტანია სოხუმიდან წამოსული თხოვნა და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საღამოს განყოფილები-სათვის განკუთვნილი კონტინგენტიდან უპრობლემოდ მოუხსნია 25 ად-გილი და სოხუმის უნივერსიტეტისათვის გადაუცია, ამასთან, სტუდენ-ტობის დროინდელი მეგობრისა და მისი ვაჟის პატივსაცემად კარგი პუ-რობაც გაუმართავს. ბატონ ვალერის იმავე ღამეს ტელეფონით მოუხ-სენებია რექტორისთვის მიღწეული შედეგის შესახებ და თანაც ხუმრო-ბით დაუმატებია: „ხელცარიელი არ დამხვდეო“. მართლაც, მეორე დი-ლით თბილისიდან მობრუნებულ მამა-შვილს ეზოში სასიამოვნო სიურ-პრიზი – ხეზე მიბმული დიდი თხა – დახვედრია.

როგორც უკვე აღინიშნა, პროფ. ვალერიან ჭანია არასოდეს ყო-ფილა რეტროგრადული აზროვნების პიროვნება, ის მუდამ ახლის ძიე-ბაში იყო. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც XX ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე მარქსიზმ-ლენინიზმის „უკვდავი“ იდეების „სიდიადე“ წარსულს ჩაბარდა და ქვეყნის (როგორც მთლიანად სსრ კავშირის, ისე საკუთრივ საქართველო-აფხაზეთის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ძი-რეული გარდაქმნების პროცესმა მოიცვა, მან უმტკივნეულოდ მიიღო

ძველი სტერეოტიპების ნგრევა და ენთუზიაზმით აუწყო ფეხი განახლების პროცესს. სწორედ ამ დროს მან, საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა, დაარსა არასახელმწიფო დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი – შემდგომ ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, რომელმაც გარკვეულ ეტაპზე უდავოდ შეასრულა პოზიტიური როლი საქართველოში უმაღლესი განათლების თვისობრივად განახლების საქმეში. მან გამოიყენა თავისი ცოდნა და გამოცდილება და მოახერხა მისი სწორად რეალიზება ახალ ვითარებაში. ამის ნათელი მაგალითია მისი ბოლო დროინდელი მეცნიერული მოღვაწეობა, რომელიც პოლიტოლოგიის შესანიშნავი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს[1] გამოცემით დააგვირგვინა. სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონმა ვალერიმ, კიდევ ერთხელ გაგვაოცა მრავალმხრივი ნიჭით და, ყველასათვის მოულოდნელად, თავი მეტად საინტერესო რომანებითა და სხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებებით დაგვამახსოვრა. ამ მხრივ არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს მისი მოგონებების წიგნი *„ჩემი აფხაზეთი“* (თბ., 2001) და იუმორისტული ჩანახატები, რომელშიც პატივი მიაგო თავის „ოდაბადეს“ და შემოიტანა ნაკიფუელის – ჭანიების მშობლიური სოფლის ნაკიფუს მკვიდრის (წალენჯიხის რ-ნი) კოლორიტული სახე.

85 წელი შესრულდა პროფ. ვალერიან ჭანიას დაბადებიდან. მან ღირსეულად იცხოვრა ამ ქვეყანაზე. იყო ცნობილი მეცნიერი-ისტორიკოსი, რომლის ნაშრომებს იცნობდნენ და აფასებდნენ მთელ სსრ კავშირში, უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მოღვაწე, გულისხმიერი პედაგოგი, სიკეთით აღსავსე კაცი, რომელმაც აღზარდა თაობები. ბატონი ვალერი იყო სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კაცი, რომელიც ყველგან და ყოველთვის ქადაგებდა საქართველოს სიყვარულს. ბატონი ვალერი იყო შესანიშნავი მეოჯახე, სანიმუშო მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა. სამაგალითო იყო მისი დამოკიდებულება რძლებისადმი, რომლებიც, თავიანთი მხრიდან, ჭეშმარიტად მამა-შვილური სიყვარულით პასუხობდნენ მას. არასოდეს დამავიწყდება მისი უფროსი რძლის – ვახტანგის მეუღლის – ნანას (ჩემი ოჯახის ახლო ნათესავის) ნათქვამი ბატონი ვალერის დაკრძალვის დღეს: *„ის ჩემთვის არა მხოლოდ მამამთილი, არამედ ნამდვილი მამა იყოო“*...

[1] **ვ. ჭანია.** პოლიტოლოგიის საფუძველები. თბ., 1998.

იშვიათი შემართებისა და ბოგოქარი სულის ადამიანი – *პროფესორი ირაკლი ახალაია*[*]

100 წელი შესრულდა თვალსაჩინო მეცნიერი-ისტორიკოსის, ათეული წლების მანძილზე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის) კათედრის გამგის, ამ უმაღლესი სასწავლებლის პირველი ქართველი რექტორის (1937-1938 წწ.), XX ს. II ნახევრის აფხაზეთის ქართული სამეცნიერო ინტელიგენციის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლისა და ლიდერის, პროფ. ირაკლი ახალაიას დაბადებიდან.

ირაკლი ახალაიას შესახებ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, პირველად გავიგე, 1969 წლის ზაფხულში, როდესაც ვისვენებდი სოხუმში. იმჟამად ჩემი თანაკლასელი (ზურაბ ხაბურზანია) მისაღებ გამოცდებს აბარებდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში, *„ისტორიის“* სპეციალობაზე. სწორედ მისგან გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ სსრ კავშირის ისტორიაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო პროფ. ირ. ახალაია. ეს მე კარგად დამამახსოვრდა ერთი ფრიად საინტერესო გარემოების გამოც. საღამო ხანი იყო, მე და ჩემი სკოლის მეგობარი მივსეირნობდით სანაპიროზე და ვსაუბრობდით მის მომავალ გამოცდაზე, ზოგადად ისტორიკოსობაზე. ამ დროს შემთხვევით წავაწყდით რუს ტურისტთა მცირე ჯგუფს, რომელსაც ადგილობრივი გიდი (შესამჩნევი სლავური გარეგნობის) მეტად ემოციურად უყვებოდა ქალაქისა და ზოგადად აფხაზეთის ღირსშესანიშნაობების შესახებ.

ჩვენ დავინტერესდით მისი საუბრით. თავისი ექსკურსი აფხაზეთის ისტორიაში გიდმა დაასრულა ქილიკური განცხადებით იმის შესახებ, თუ როგორ მოუღო ბოლო საბჭოთა ხელისუფლებამ *„ქართველი მენშევიკების ბატონობას“* რეგიონში და *„მოისროლა ისინი ისტორიის სანაგვეში“*. იმ დროისათვის მე უკვე კარგა ხნის „მოხდილი“ მქონდა (თსუ ისტორიის ფაკულტეტზე სწავლების I კურსიდანვე – 1967-1968 წწ.) *„კაცობრიობის დიადი მომავლის – კომუნიზმის“* ერთგულების „საყმაწვილო სენი“ და მყარად ანტიკომუნისტურ „პატრიოტულ რელსებზე“ შემდგარი, რამდენადმე *„სხვაგვარად მოაზროვნედ“* (*«инокомыслящий»*) ვგრძნობდი თავს. ამიტომაც ვერ მოვითმინე და გიდს მკვახე რეპლიკით ვუპასუხე, რაც საკმაოდ მწვავე პოლემიკაში გადაიზარდა. მახსოვს,

[*] წარმოდგენილი მოგონება იბეჭდება პროფ. ირაკლი ახალაიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: *„ირაკლი ახალაია – 100“*, რომელიც მოამზადა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

გიდმა, რატომღაც მკითხა, ხომ არ ვიყავი მე *„ფაჩულიას სტუდენტი“ («Не у Пачулия Вы учитесь?»)*. ფაჩულიას გვარი მაშინ ჩემთვის არაფრისმთქმელი იყო[1] და გიდს ერთგვარი სიამაყით მივუგე: *„მე ვსწავლობ არა სოხუმში, არამედ თბილისის უნივერსიტეტში, ცნობილ პროფესორ შოთა მესხიასთან“ («Я учусь не в Сухуми, а в ТГУ, у известного профессора Шота Месхия»)*. ჩემი ეს „გამოხდომა“ არ მოეწონა რუს ტურისტებს და მათაც „შემომიტიეს“, თუმცა არც ეს დამიტოვებია უპასუხოდ.[2]

შემდეგ ირაკლი ახალაიას გვარი, როგორც მეცნიერი-ისტორიკოსისა, ჩემს ცხოვრებაში ამოტივტივდა 1972 წ. მაისში, როდესაც ვამუშავებდი თემას: *„სსრ კავშირის შექმნა და საქართველო“* საჯარო ლექციისთვის (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელის „დავალებით“[3]). ამ თემაზე მუშაობის-

---

[1] როგორც შემდეგ გავარკვიე, გიდს მხედველობაში ჰყავდა ვიანორ ფაჩულია, ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი, არაერთი მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ნარკვევის – ტურისტული გზამკვლევის – ავტორი, რომელიც ერთი პერიოდი (XX ს. 60-70-იან წლებში) სოხუმში ფუნქციონირებად ტურიზმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, უკვე აფხაზეთში გადასვლის შემდეგ, მე მას გავეცანი და ჩვენს შორის საკმაოდ თბილი ურთიერთობა (მიუხედავად მისი ცალკეული „გადაცდომებისა“ აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაშუქებისას) ჩამოყალიბდა.

[2] **З. Папаскири.** Моя Абхазия. Воспоминания и размышления. Тб., 2012, გვ. 20 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf).

[3] სხვათა შორის ეს „დავალება“ მე „მივიღე“ მეტად არაორდინარულ სიტუაციაში. 1972 წლის აღდგომის წინა ღამე იყო. ჩემს ორ მეგობართან (თემურ კაჭარავასთან და ოთარ ჭეჟიასთან) ერთად მოვხვდი სიონის ტაძარში, სადაც ესვენა ახლად გარდაცვლილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ნეშტი. ეკლესიიდან გამოსულებს აგვედევნენ უცნობი ახალგაზრდები, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ე.ნ. „კომკავშირულ რეიდს“ ატარებდნენ. მათ დელიკატურად იქვე, ერთ შენობაში (ტაძრის სიახლოვეს) „შეგვიპატიჟეს“. მოვხვდით რომელიღაც კაბინეტში, სადაც ჩვენსავით „აყვანილ“ ახალგაზრდებს „ინსტრუქტაჟს“ უტარებდნენ იმჟამინდელი კომკავშირული ელიტის წარმომადგენლები საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნუგზარ ფოფხაძისა და თბილისის კომიტეტის მეორე მდივნის გივი აბდუშელიშვილის მეთაურობით. მე ვიგრძენი მოსალოდნელი „საფრთხე“ და ჩემს „კამანდას“ მეგრულად გადავულაპარაკე: *„იქ „ცეკას“ მდივანი ზის და ჩვენ სანთლები არ აგვინთია“* (არადა სანთლები ნამდვილად ავანთეთ). თავდაპირველად ვფიქრობდი, იქით „შემეტია“ და „პასუხი მომეთხოვა“, *„ადამიანის უფლებების* (ამ შემთხვევაში „რწმენის თავისუფლების“) *დარღვევის გამო“*. მაგრამ როდესაც ვნახე, როგორ შეახსენეს ჩვენს წინ „განსასჯელის სკამზე“ მსხდარ ახლაგაზრდა წყვილს კომკავშირის წესდების ნორმა, რომლის თანახმადაც **კომკავშირელი იღებდა ვალდებულებას** *„ებრძოლა რელიგიურ ცრურწმენების“* წინააღმდეგ და დაემუქრნენ (მართალია, შეფარვით) კომკავშირიდან გარიცხვით, მე ტაქტიკა უმალ შე-

ას წავაწყდი ირ. ახალაიას მიერ გამოცემულ საქართველოს რევკომის საქმიანობის ამსახველი მასალების კრებულს,[1] რომელშიც თავმოყრილია იყო არაერთი ჩემთვის საინტერესო დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ ირ. ახალაიას ეს კრებული[2] იმჟამად სამაგიდო წიგნი იყო ამ პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართათვის და შემთხვევითი არ არის, რომ მან სათანადო ადგილი დაიკავა *„საქართველოს ისტორიის ნარკვე-*

ვცვალე („ცოდვა გამხელილი სჯობია“, მიუხედავად „სხვაგვარად აზროვნებისა“, იმჟამად ნადვილად არ ვიყავი მზად კომკავშირთან „გამოთხოვებისათვის“) და აქცენტი ჩემს ისტორიკოსობაზე გადავიტანე. ვთქვი, რომ მე, როგორც ისტორიკოსს (V კურსის სტუდენტს), რომელიც მუშაობს შუა საუკუნეების პრობლემატიკაზე (მართლაც დავით აღმაშენებლის ხანაზე ვწერდი სადიპლომო ნაშრომს) მაინტერესებს, თუ რა ცერემონიალი ტარდება ეკლესიაში აღდგომის წინა ღამეს. კომკავშირულ „ბოსებთან“ კამათისას (განსაკუთრებით აქტიურობდა გ. აბდუშელიშვილი), „ცეკას“ მდივანმა ნ. ფოფხაძემ მოულოდნელად შემომთავაზა ახალგაზრდულ აუდიტორიებში ლექციებით გამოსვლა „ათეისტურ თემატიკაზე“ (ეს ჩემს გამოსაცდელად გააკეთა). მეც „რა მექნა“, თანხმობა მივეცი და რამდენიმე დღეში უშუალოდ მას ვეახელი ცენტრალურ კომიტეტში. ნ. ფოფხაძემ იქვე დაიბარა „ცეკას“ ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი და დაავალა მას ჩემი „ლექტორთა ჯგუფში“ ჩართვა. თან ასე დაამატა: *„ეს დიდი პატივია, შენ ხარ ერთადერთი სტუდენტი ამ ჯგუფში“*. მეც „დავიმშვენე“, მაგრამ „ათეისტურ თემატიკას“ თავი „დიპლომატიურად“ ავარიდე და იმის მომიზეზებით, რომ 1972 წელი იყო საიუბილეო (50 წელი სსრ კავშირის შექმნიდან), უფრო „ნეიტრალური“ თემა – *„სსრ კავშირის შექმნა და საქართველო“* – შევარჩიე. ჩემი ტაქტიკა გამართლებული აღმოჩნდა, რადგან ამ თემის გაშლისას მაქსიმალურად ყურადღება გავამახვილე ქართველ კომუნისტთა ერთი ჯგუფის (ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტების“) თავგანწირულ მცდელობაზე მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ საქართველოს სსრ-ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და, ფაქტობრივად, ბოლშევიკური რეჟიმის ერთგვარად „მამხილებელი“ მოხსენება გამომივიდა. თუმცა ჩემი „შრომა“ სულ ფუჭი გამოდგა. მე არ მომიწია ლექცია-მოხსენებების წაკითხვამ „ახალგაზრდულ კოლექტივებში“, რადგან თსუ-ის დამთავრების შემდეგ მოსკოვში აღმოვჩნდი, სადაც გავაგრძელე სწავლა ასპირანტურაში მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

[1] *Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской Власти* (февраль 1921 г. – март 1922 г.). Сб. документов и материалов. Состав. ***И. Ахалая***. Сухуми, 1963.

[2] არანაკლებ მნიშვნელოვანია ირ. ახალაიასა და მისი მოწაფეების მიერ მომზადებული სხვა კრებულებიც: იხ.: *Революционные комитеты Абхазии в борьбе за установление и упрочение Советской власти* (Февр. 1921 г. – февр. 1922 г.) Сборник документов и материалов. Состав.: ***И. Д. Ахалая, Ф. М. Галустян, Д. Н. Нинуа***. Сухуми, 1961; *Революционные комитеты Аджарии в борьбе за становление и упрочение Советской власти* (Март 1921 г. – Январь 1922 г.). Сборник документов и материалов. Сост.: ***И. Д. Ахалая, Н. И. Константиниди, В. В. Шарашидзе***. Сухуми, 1963.

ვების“ შესაბამის ტომში.[1]

ამ გამოცემაში მისი რედაქტორი და ერთ-ერთ-წამყვანი ავტორი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის აღიარებული მკვლევარი, აკად. იური კაჭარავა თავის კოლეგებთან ერთად, რევკომების თემის გაშუქებისას საგანგებოდ მიუთითებდა, *„რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რევკომების როლისა და ხასიათის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი (ი. კაჭარავა, გ. ერემოვი, ნ. სუმბაძე და სხვ.) საქართველოს რევოლუციურ კომიტეტებს განიხილავს როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას. სხვები (ვ. მერკვილაძე,* ***ი. ახალაია,*** *ლ. თოიძე, უ. ბახტაძე და სხვ.) რევკომებს არ თვლიან პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სახელმწიფოებრივ ფორმად და მას მიიჩნევენ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საგანგებო ორგანოებად“.*[2] ირ. ახალაიას ამ დასკვნას და ზოგადად მის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომელიც შეჯამდა მეცნიერის სადოქტორო დისერტაციაში[3] (ცალკე მონოგრაფიად გამოიცა 1968 წელს[4]), დღესაც ვერ აუვლის გვერდს პრობლემით დაინტერესებული მკვლევარი. საგანგებოდ შევნიშნავ, რომ მეც მქონდა უშუალოდ შეხება ამ მასალებთან ერთ-ერთ ბოლო დროინდელ ნაშრომზე მუშაობისას.[5]

ირაკლი ახალაია ნამდვილად იყო XIX-XX სს. საქართველოს ის-

---

[1] **ი. კაჭარავა.** საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მეურნეობის აღდგენა საქართველოში (1921-1925 წწ.). – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, VII. თბ., 1976, გვ. 164-165 და სხვ.

[2] **ა. ათანელიშვილი, ქ. თოიძე, ი. კაჭარავა.** ძირითადი წყაროები და ისტორიოგრაფია. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, VII. თბ., 1976, გვ. 47.

[3] **И. Д. Ахалая**. Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февр. 1921 – март 1922 гг.). Автореф. дис. на соискание учен. степ. докт. ист. наук. Тб., 1966.

[4] **И. Д. Ахалая**. Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (февраль 1921 г. – март 1922 г.). Сухуми, 1968.

[5] **ზ. პაპასქირი.** საბჭოთა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ 1921-1922 წლებში. *ანუ იმის შესახებ თუ როგორ მოუღეს ბოლო ლენინმა და სტალინმა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს. – ელდარ მამისთვალიშვილი – 75.* თბ., 2015, გვ. 385-420 (https://iberiana2.wordpress.com/georgia/z_papaskiri/); **З. Папаскири.** О т. н. «Праве нации на самоопределение» и имперской политике большевистской России на Южном Кавказе (1921 г.). – *Южный Кавказ: Истоки сепаратизма, разрешение конфликтов, долговременный мир.* Материалы международной научно-практической конференции, посвящённой 90-летию Дипломатической службы Азербайджана (Тбилисский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили, 20 ноября 2009 года). Тб., 2009 (http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri/).

ტორიის ავტორიტეტული მკვლევარი. ხალასი ნიჭით, მაღალი აკადემიური მომზადებით, რომელიც მიიღო ისტორიის პროფილის სსრ კავშირის მასშტაბით უპირველეს უმაღლეს სასწავლებელში – მოსკოვის ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში (*Московский институт философии, литературы и истории – МИФЛИ),* ის იმთავითვე გამორჩეული იყო თავის თაობაში. *МИФЛИ,* როგორც ცნობილია, იყო მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთგვარი „ადგილმონაცვლე“ – ის ჩამოყალიბდა 1931 წელს მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოყოფილი (სპეციალური სამთავრობო გადაწყვეტილებით) შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე. სწორედ აქ, იმდროინდელი რუსულ-საბჭოური ისტორიოგრაფიის კორიფეების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების: ვიაჩესლავ ვოლგინის, იური გოტიეს, ევგენი კოსმინსკის, მიხეილ პოკროვსკის, სერგეი სკაზკინის, მიხეილ ტიხომიროვის, სერგეი ბახრუშინის, აგრეთვე პროფესორების: კონსტანტინე ბაზილევიჩის, ილია გალკინის და სხვ. ხელში მიიღო ირაკლი ახალაიამ წრთობა და უკვე სტუდენტობის პერიოდში ჩამოყალიბდა იმედისმომცემ მეცნიერ-მკვლევრად.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ერთი შეხვედრა, რომელიც მოუწყვეს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ირაკლი ახალაიამ და ჩვენმა სასიქადულო მეცნიერ-ისტორიკოსებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. გიორგი ძიძარიამ, ინსტიტუტის პრორექტორმა, პროფ შოთა ბასილაიამ და მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგემ, პროფ. ვახტანგ ადამიამ – ასევე მოსკოვის ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა – თავიანთ მასწავლებელს, გამოჩენილ რუს მეცნიერს, ათეული წლების მანძილზე (1953-1980) მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგეს, პროფ ილია გალკინს. ეს იყო ძალზე შინაარსიანი და ახალგაზრდა ისტორიკოსებისათვის ბევრის მომცემი შეხვედრა, რომლის სული და გული სწორედ ბატონი ირაკლი იყო. როგორც ამასწინათ ჩვენმა კოლეგამ შოთა ახალაიამ (ბატონი ირაკლის ვაჟმა) მითხრა, ამ შეხვედრის შემდეგ ე.წ „მეორე განყოფილება“ მათ ოჯახში შემდგარა, სადაც ოჯახის თავკაცს საპატიო სტუმრისა და მასწავლებლის პატივსაცემად „სამეფო სუფრა“ გაუშლია და თვითონაც სანაქებოდ უთამადია.

რადგან თამადობაზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ირაკლი ახალაიას თამადობის პატივი მეც მერგო. ეს იყო 1978 წ. 11 აპრილს მოსკოვში, რესტორან *„მეტროპოლში“*, ჩემს „სადესერტაციო სუფრაზე“, რომელსაც ზოგიერთ სოხუმელ კოლეგასთან (მურმან ბერია, გიორგი სახეიშვილი – ისინი მაშინ მოსკოვის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში გადიოდნენ ე.წ. „კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს“, ამავე მისიით იმყოფებოდა მოსკოვში ბატონი ირაკლიც) ერთად, ესწრებოდნენ ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. ანატოლი ნოვოსელცევი (შემდგომ ცნობილი ისტორიკოსი-კავკასიათმცოდნე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ერთი პერიოდი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი) და აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, რომელიც იმჟამად რომელიღაც სამეცნიერო ფორუმზე იყო ჩამოსული მოსკოვში.

თავდაპირველად, მე თამადობა ბატონ მურმანს შევთავაზე. ამ შემთხვევაში ვითვალისწინებდი მის „რეიტინგს“ და „გამოცდილებას“ ამ სფეროში (თან მეჩვენებოდა, რომ ბატონი ირაკლი თავს არიდებდა „ქეიფებს“). მაგრამ მ. ბერიამ ზრდილობიანად იუარა და მითხრა, რომ „აკადემიური სუფრის ფორმატს“ ისეთი ცნობილი მეცნიერის, როგორიც ირაკლი ახალაიაა, თამადობა გაცილებით უფრო მოუხდებოდა. მართლაც, ბატონმა ირაკლიმ შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ „მისიას“ და მე და ჩემს ოჯახს (პირველ რიგში, მამაჩემს, რომელიც „მასპინძელი“ და სუფრის „ორგანიზატორი“ იყო) დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. თუმცა ეს არაა მთავარი. უფრო მნიშვნელოვანი იყო პროფ. ირაკლი ახალიას ყოფნა თვით სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩემთვის ის და აკად. მ. ლორთქიფანიძე, რომელიც ასევე სპეციალურად მოვიდა სხდომაზე დასასწრებად, ერთგვარ „მხარდაჭერის ჯგუფს“ («группа поддержки») წარმადგენდნენ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ (განსაკუთრებით ქ-ნი მარიკა) ჩაბმულიყვნენ დისკუსიაში. საბედნიეროდ, ამის აუცილებლობა არ შეიქმნა, დაცვამ ყოველგვარი „გაუგებრობის“ გარეშე ჩაიარა და მე ერთხმად მომენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

მაგრამ, ვატყობ, ქრონოლოგიას ავცდი. ყოველივე ეს იყო მოგვიანებით, როდესაც მე უკვე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საკმაოდ „მოშინაურებული“ ვიყავი და ბატონ ირაკლისთანაც ძალზე თბილი კოლეგიალური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. მანამდე კი იყო 1976 წ. 16 აპრილი, როდესაც პირველად მოვხვდი სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ „ბოძებული“ მასწავლებლის საშტატო განაკვეთით (0.5 ს/ე) წარვუდექი ინსტიტუტის რექტორს პროფ. ზურაბ ანჩაბაძეს. სწორედ ამ დღეს გავიცანი ირაკლი ახალაია. თუმცა ჯერ იმის შესახებ, თუ როგორ მოვხვდი მე სოხუმში საერთოდ.

1975 წ. დაკემბერში დავასრულე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის სრული კურსი და მოვაშურე *Alma mater*-ს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც ევალებოდა ჩემი სამსახურში აყვანა სსრ კავშირის ისტორიის კათედრის მასწავლებლის

თანამდებობაზე. ეს ვალდებულება უნივერსიტეტს ეკისრებოდა იმის გამო, რომ, თავის დროზე – 1972 წელს სწორედ ამ კათედრის მიერ ვიყავი წარგზავნილი მოსკოვში – მიზნობრივ ასპირანტურაში და ამდენად, იმჟამად არსებული კანონმდებლობით, ჩემს დასაქმებაზე, პირველ რიგში, კათედრას უნდა ეზრუნა. მაგრამ ვერც კათედრამ და ვერც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა ჩემი სამსახურში აყვანა. მაშინ მივმართე „ზემდგომ ორგანოებს". დაიწყო ხანგრძლივი „ბატალიები" ჩემსა და საქართველოს სახელისუფლებო წრეებს (უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს) შორის, რომლის დროსაც თხოვნა-საჩივრის წერილი გავუგზავნე თვით რესპუბლიკის პირველ პირს – საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს. ახლაც კი უემოციოდ ვერ ვიხსენებ, თუ როგორ „დავუდარაჯდი" მას ჩიტაძის ქუჩაზე, „ცეკას" მთავარ შესასვლელთან (მე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ პირველი მდივნის მანქანა მაინცადამაინც აქედან მოადგებოდა შენობას) და ვცდილობდი პირადად გადამეცა წერილი („ხელიდან ხელში") ე. შევარდნაძისთვის, რითაც მისი დაცვის სამსახური გვარიანად ავაფორიაქე.

ეს წერილი „გადამისამართდა" და მოხვდა იდეოლოგიის დარგში ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ქ-ნ ვიქტორია სირაძის (განათლებისა და მეცნიერების სფეროს კურატორის) „ოფისში". ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ, თხოვნა-საჩივრის წერილი შესაბამისი რეზოლუციით გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს აკად. გიორგი ჯიბლაძეს. მინისტრმა ყურად იღო „მითითება ზემოდან" და საკმაოდ თბილი შეხვედრა მომიწყო. შევუდექით რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებას. სჯა-ბაასის დროს, მე მივანიშნე მინისტრს, რომ არ ვიქნებოდი (რადგან ჩემი დასაქმება თბილისში ვერ ხერხდებოდა) წინააღმდეგი სოხუმში, პედაგოგიურ ინსტიტუტში სამსახურზე, სადაც ფუნქციონირებდა *„ისტორიის"* სპეციალობა. ამ შემთხვევაში ჩემთვის მიმზიდველი იყო ის, რომ მე – ზუგდიდის მკვიდრი – ახლოს ვიქნებოდი სახლთან. გარდა ამისა, მხიბლავდა გამოჩენილი ისტორიკოსის ზურაბ ანჩაბაძის (რომლის შემოქმედებასთან, როგორც მედიევისტს, მეცნიერულად უშუალო გადაკვეთა მქონდა) გვერდით და მისი ხელძღვანელობით მუშაობა.

გ. ჯიბლაძე უმალ ჩაეჭიდა ჩემს იდეას და იქვე პირდაპირი ხაზით დაუკავშირდა ბატონ ზურაბს. რექტორმა აუხსნა, რომ დიდი სიამოვნებით მიიღებდა ახალგაზრდა სპეციალისტს, მაგრამ მას თავისუფალი საშტატო განაკვეთი არ ჰქონდა. ამის პასუხად მინისტრმა მიუგო, რომ მთავარია თავისუფალი საათები იყოს, საშტატო განაკვეთს კი ჩვენ (ე.ი. სამინისტრო) გამოვყოფთო, თან საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ეს დავალება უშუალოდ ცენტრალური კომიტეტის მდივნი-

საგან მოდიოდა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა გარემოებამ გაჭრა და ზ. ანჩაბაძეს ისღა დარჩენოდა დათანხმებულიყო. მართლაც, იმავე დღეს სამინისტროში ოპერატიულად გააფორმეს სათანადო დოკუმენტაცია (მიმართვა, საშტატო განაკვეთი – 0.5 ს./ე.) და „მაფრინეს“ სოხუმში.

როდესაც რექტორთან გამოვცხადდი, ის მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა, ეტყობა, მაინც არ ელოდა, რომ აპრილში – II სემესტრის „შუაგულში“ – სამინისტრო მასწავლებლის შტატს გამოყოფდა. მან იქვე უხმო თავის მოადგილეს – პრორექტორს სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფ შოთა ბასილაიას და აუხსნა საქმის ვითარება. მასთან კონსულტაციის შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდა სსრ კავშირის ისტორიის კათედრის (სწორედ ამ სპეციალობით მქონდა დამთავრებული ასპირანტურა) გამგეს, პროფ. ირაკლი ახალაიას და დაავალა მას სასწავლო საათებით ჩემი უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი კატეგორიულ უარზე დადგა. სატელეფონო საუბარი მწვავე პოლემიკაში გადაიზარდა და ბატონმა ზურაბმა გაბრაზებულმა დააგდო ყურმილი. ცოტა ხანში კი კარი გაიღო და რექტორის კაბინეტში შემოიჭრა (უფრო ზუსტად *„შემოჯლიგინდა“* – მეგრულად იტყვიან – *„გამნოსოფუ“*) საშუალო სიმაღლის მკვრივი აგებულების სულ მთლიანად ჭაღარა მამაკაცი (ამის გამო მე ის გაცილებით ასაკოვანი მეჩვენა, არადა, თურმე მაშინ სულ რაღაც 62-63 წლის ყოფილა), რომელმაც ყოველგვარი მორიდების გარეშე მიახალა რექტორს და პრორექტორს,[1] რომ ისინი უკანონოდ იქცევიან, როდესაც მოითხოვენ მისგან საათების გამოყოფას. ეს იყო ირაკლი ახალაია.

კათედრის გამგის გაცეცხლებას თავისი გამართლება ჰქონდა. ცოტა ხნის წინ ინსტიტუტში მომხდარა აკადემიური პერსონალის შტატების შემცირება, რის გამოც მისი კათედრის ზოგიერთი წევრი გადაყვანილ იქნა ე.წ. „მცოცავ გრაფიკზე“ («скользящий график») – მათ არასრული საშტატო განაკვეთი (0.75 ს/ე.) ჰქონდათ. განა საკითხავია, რომ ასეთ ვითარებაში, ახალი თანამშრომლის მიღება და ისიც იმავე სამინისტროს „თხოვნით“, რომლის მითითებითაც ხორციელდებოდა შტატების შემცირება, ნამდვილად დიდი უსამართლობა იყო. კამათი კიდევ ერთ ხანს გაგრძელდა, ბოლოს მაინც მიღწეულ იქნა შეთანხმება და ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა შოთა ბასილაიამ, რომელმაც დაარწმუნა ბატონი ირაკლი, რომ ზურაბ ანჩაბაძე არაფერ შუაში იყო და რომ რექტორი მას ვიღაც „თავის კაცს“ (თანაც „თბილისელს“) კი არ „ტენიდა“, არამედ უბრალოდ ასრულებდა „ცეკასა“ და სამინისტროს „თხოვ-

[1] ამ საუბარს ესწრებოდა კიდევ ერთი პიროვნება – ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩემდა გასაკვირად (თავისი სტატუსისათვის ის მე, მართლაც, ძალზე ახალგაზრდად მომეჩვენა) აღმოჩნდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის თეორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ჭანია.

ნას“. თან ისიც დაამატა, რომ მე ნამდვილად „უპატრონო“ ვჩანდი და ჩემთვის დახმარების ხელის გაწვდენა სამადლო საქმე იქნებოდა.

ირ. ახალაია თანდათანობით დაცხრა, მერე „მომკიდა ხელი“ და თავისთან, კათედრაზე წამიყვანა. დღევანდელ დღესავით მახსოვს, ჭოჭუას ქუჩის კორპუსის (ადმინისტრაცია მაშინ იქ იყო განთავსებული) მიშენებულ ნაწილს გავდიოდით, როდესაც ბატონმა ირაკლიმ მკითხა, თუ სადაური ვიყავი (ჩემს გვარს, როგორც ჩანს, არ დაჰკვირებია). *„ზუგდიდელი ვარ“*, – ვუპასუხე მე. *„მეგრელი ხარ ბიჭო?* – უკვე ერთგვარი გაკვირვებით ჩამეკითხა ის. *„დიახ მეგრელი ვარ“*, – მშვიდად მივუგე. *„მერე ვერ მითხარი აქამდე...“*. ეს იყო და კაცი, როგორც იტყვიან, „180 გრადუსით“ შემობრუნდა ჩემსკენ. აღმოჩნდა, რომ მას აბსოლუტურად ჯანსაღი „კუთხური პატრიოტიზმის“ განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა და ყოველთვის ცდილობდა მხარში ამოდგომოდა თავისი კუთხის (ოდიშ-აფხაზეთის) მკვიდრთ. იმ წუთიდან მე არავითარი პრობლემა არ შემქმნია, კათედრის გამგემ საათებიც ოპერატიულად გამომიყო და შევუდექი კიდეც ჩემი პროფესიული მოვალეობის შესრულებას.

თავდაპირველად მე გადმომეცა „მცოცავ გრაფიკზე“ გადაყვანილი დოც. ალექსანდრე სოფიას სასწავლო დატვირთვიდან „გამოთავისუფლებული“ საათები *„საქართველოს ისტორიაში“*. უნდა ითქვას, რომ ეს ჩემთვის მაინც და მაინც საუკეთესო ვარიანტი არ იყო, რადგან ასპირანტურაში მე მამზადებდნენ ე.წ. *„სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის“* (სინამდვილეში რუსეთის ისტორიის) სპეციალობით და სათანადო კვალიფიკაცია სწორედ ამ სფეროში გამაჩნდა. მაგრამ იმჟამად კათედრაზე ამ „პრესტიჟულ“ დისციპლინაში (ეს იყო ძირითადი საგანი *„ისტორიის“* სპეციალობაზე და ისწავლებოდა მთელი 4 წლის მანძილზე) ვაკანტური საათები არ აღმოჩნდა. ამიტომაც არჩევანი „მეორეხარისხოვან“ *„საქართველოს ისტორიაზე“*[1] შეჩერდა, რომელიც დოცენტ ალ.

[1] აქ საჭიროდ მიმაჩნია მეტი სიცხადის შეტანა. უმაღლესი განათლების საბჭოური სისტემა, როგორც ცნობილია, ისევე როგორც სასკოლო განათლება, მთლიანად იდგა იმპერიული პოლიტიკის სამსახურში და მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ახალი, ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი, საბჭოური მენტალიტეტის ადამიანის – Homo Sovieticus-ის ფორმირება. XX ს. 70-იან წლებში კრემლის კომუნისტურ-ტოტალიტარულმა რეჟიმმა უკვე ოფიციალურად გამოაცხადა მიზანი ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის ფორმირება, რომელიც, ბუნებრივია, უნდა მომხდარიყო რუსებისა და რუსულის ბაზაზე. თვით სსრ კავშირის ჰიმნშიც კი გაჟღერდა იმპერიული ლოზუნგი: ***«Союз нерушимый республик свободных Сплотила навеки великая Русь»***. ამ მიზნის განხორციელების გზაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახალგაზრდობის აღზრდას რუსულ-საბჭოურ ისტორიულ ფასეულობათა აღქმა-ათვისების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, როგორც საშუალო სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელშიც (*„ისტორიის“* სპეციალობაზე) ძირითად და სავალდებულო საისტორიო დისციპლინად რჩებოდა

სოფიას მიჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ მე თსუ ისტორიის ფაკულ-ტეტი *„საქართველოს ისტორიის“* სპეციალიზაციით მქონდა დამთავრე-

---

„სსრკ ისტორია“, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა რუსეთის ისტორია. სწორედ ეს საგანი – ე.წ. *„სსრკ ისტორია“* ისწავლებოდა საშუალო სკოლებში ერთიანი პროგრამით მთელი ქვეყნის მასშტაბით 5-6 წლის განმავლობაში – დაწყებული IV კლასიდან X-XI კლასებით დამთავრებული (არ ისწავლებოდა მხოლოდ V-VI კლასებში). შექმნილი იყო სრულიად პარადოქსული სიტუაცია, როდესაც საქართველოს (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის) მოსწავლე ახალგაზრდობას (წნორის საშუალო სკოლა იქნებოდა ეს თუ დიხაზურგას) მოეთხოვებოდა რუსეთის (ე. ი. სხვა ქვეყნის) ისტორიის ზუსტად იმ დოზითა და მოცულობით ცოდნა, როგორც ეს იყო გათვალისწინებული მოსკოვის საუკეთესო სკოლების მოსწავლეებისათვის, რომელთათვის ეს საგანი არა უცხო ქვეყნის, არამედ მშობლიური ისტორია იყო. და ეს მაშინ, როდესაც იმავე წნორისა თუ დიხაზურგას სკოლებში (ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სკოლაში) მშობლიური საქართველოს ისტორია ფაქტობრივად ფაკულტატური საგნის დონეზე ისწავლებოდა. შედარებისათვის კმარა თუნდაც ის ფაქტი, რომ ე.წ. რუსეთის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია გადმოცემული იყო 4 საკმაოდ სქელტანიან (სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის) ტომში, მაშინ როდესაც 3-ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს (საკუთარი სამშობლოს) ისტორიას ქართველი ახალგაზრდობა ეუფლებოდა მცირე ფორმატის ერთადერთი სახელმძღვანელოს მეშვეობით. ამასთან, თუ *„სსრ კავშირის* (ანუ რუსეთის) *ისტორიას“* გააჩნდა სტაბილური დატვირთვა (თითოეული ტომი ისწავლებოდა ერთი წლის მანძილზე), *„საქართველოს ისტორიის“* ერთი (საკმაოდ მცირე ზომის) სახელმძღვანელოს მასალა გადანაწილებული იყო ოთხ სასწავლო წელზე (VII-X კლასები). კიდევ უფრო სავალალო იყო მდგომარეობა უმაღლეს სკოლაში, კერძოდ, პედაგოგიურ ინსტიტუტებში, სადაც სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად მიმდინარეობდა საშუალო სკოლის პედაგოგ-ისტორიკოსთა მომზადებაც. *„ისტორიის“* სპეციალობის სასწავლო გეგმებში საქართველოს ისტორია შედიოდა სპეციალურ გრაფაში: *„მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებიდან გამომდინარე სასწავლო დისციპლინები“*, რომლებშიც, პირველ რიგში, იგულისხმებოდა მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია. ამ დისციპლინისათვის გამოყოფილი იყო სასწავლო საათების მიზერული რაოდენობა: უკეთეს შემთხვევაში 4 აკადემიური საათი (დღევანდელი 2 საათი) 2 სემესტრის განმავლობაში. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ *„ისტორიის“* სპეციალობის სასწავლო გეგმაში ეროვნულ ისტორიას არცთუ იშვიათად სვამდნენ მხოლოდ დამამთავრებელ (IV ან V კურსებზე) და ამ საგანში იყო მხოლოდ ერთი გამოცდა. და ეს მაშინ, როდესაც ძირითადი საისტორიო დისციპლინა – ე.წ. *„სსრკ ისტორია“* (ანუ რუსეთის ისტორია) ისწავლებოდა განუწყვეტლივ 8 სემესტრის (I-IV კურსებზე) განმავლობაში და ყოველი სასწავლო წლის (თუ სემესტრის არა) ბოლოს მთავრდებოდა გამოცდით. აფხაზეთის სინამდვილეში საქართველოს ისტორიისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებული იყო, ვინაიდან საათების გარკვეული ნაწილი ეთმობოდა საკუთრივ ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის შესწავლას. ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** 20 წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში. – *საისტორიო ძიებანი*, წელიწდეული, ტ. IV. თბ., 2001, გვ. 10-12 (https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2001).

ბული, ასპირანტურის წლებში მთლიანად რუსეთის ისტორიაზე ვიყავი გადართული და საკუთრივ საქართველოს ისტორია გვარიანად მივიწყებული მქონდა (ერთადერთი პერიოდი, რომელიც ასე თუ ისე კარგად ვიცოდი, სადისერტაციო ნაშრომის[1] სპეციფიკიდან გამომდინარე, XI-XII საუკუნეები იყო). ამიტომაც *„საქართველოს ისტორიის“* კურსის წაყვანა, ბუნებრივია, დამწყებ ლექტორს უდავოდ გარკვეულ „დისკომფორტს“ მიქმნიდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა. ასე დაიწყო ჩემი სალექტორო კარიერა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

მე მუდამ ვგრძნობდი ირაკლი ახალაიას გულისხმიერებას, თანადგომას, გულშემატკივრობას. მახსოვს, სამსახური ახალი დაწყებული მქონდა. ინსტიტუტის „კადრების განყოფილებაში“ დახასიათება მოითხოვეს. ბუნებრივია, კათედრის გამგეს მივმართე. *„შენ თვითონ დაწერე და მე ხელს მოგიწერო“*, – მომიგო ბატონმა ირაკლიმ. მე მომერიდა, თან არც ვიცოდი რა ფორმით უნდა დამეწერა. შემდეგ ზოგი რამ გამომკითხა, ჩაინიშნა და მეორე დღეს გამზადებული მოიტანა. რომ წავიკითხე, ცოტა შევცბი, თითქოს დავირცხვინე კიდეც. *„რაო, კარგი ბიჭი ყოფილხარო“?* – ღიმილით მკითხა. აბა, მადლობის მეტი რა მეთქმოდა. ბატონი ირაკლის თანადგომა არც მაშინ მომკლებია, როდესაც მე (სამინისტროდან უკვე ხელმეორედ „მოპოვებული“ საშტატო განაკვეთით) მსოფლიო ისტორიის კათედრაზე „განმაწესეს“, სადაც იძულებული ვიყავი 4 წლის განმავლობაში ლექციები ჩემთვის სრულიად „უცხო“ დისციპლინებში *(„ძველი აღმოსავლეთის ისტორია“, ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია“)* წამეკითხა.

მიუხედავად იმისა, რომ მე მყოფნიდა აღნიშნული დისციპლინებისათვის გამოყოფილი სასწავლო საათები საშტატო განაკვეთის შესავსებად, ბატონი ირაკლი დამატებით მაინც მაძლევდა სასწავლო დატვირთვას საქართველოს ისტორიაში (ძირითადად რუსულ სექტორზე, რადგან ალ. სოფიას – საგნის ძირითად სპეციალისტს – არ შეეძლო ამ კურსების წაყვანა). ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მომავალში სწორედ მე ვესახებოდი წამყვან სპეციალისტად ამ სფეროში და ჩემი მუშაობა მსოფლიო ისტორიის კათედრაზე დროებითად მიაჩნდა. ეს განწყობა მას აშკარად იმის შემდეგ გაუჩნდა, რაც 1977 წ. მარტში საკმაოდ მკაფიოდ წარმოვაჩინე ჩემი „კომპეტენტურობა“ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში გამართულ სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსისა და ეთნოლოგის, პროფ. შალვა ინალ-იფას გახმაურებუ-

[1] **З. В. Папаскири.** Грузия и Восточная Европа в XI-XII вв. *Из истории международных отношений.* Автореферат кандидатской диссертации. Изд. МГУ. М., 1978.

ლი მონოგრაფიის განხილვას.[1]

ამ სხდომაზე მე აღმოვჩნდი ერთადერთი ქართველი ისტორიკოსი, ვისაც მოუწია კრიტიკული შენიშვნებით გამოსვლა (ეს ინსტიტუტის რექტორის, პროფ. ზ. ანჩაბაძის ინიციატივით მოხდა) შ. ინალ-იფას წიგნში განვითარებული ზოგიერთი მცდარი თეზისის ირგვლივ,[2] რომელმაც სეპარატისტულად განწყობილი აფხაზური აუდიტორიის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია, მე კი „სახელი გამითქვა". სწორედ ამ დღეს შედგა ჩემი, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსის, „საბრძოლო ნათლობა" ისტორიოგრაფიული „ომში" სეპარატისტებთან. ირაკლი ახალაიას, რომელიც თვითონაც ყოველთვის საბრძოლოდ იყო შემართული და შემთხვევას არ უშვებდა საკადრისი პასუხი არ გაეცა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების მხრიდან წამოსული ინსინუაციებისათვის, არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა ჩემი აქტიური პოზიცია და არ გამოეხატა თავისი მხარდაჭერა.

დიახ, პროფ. ირაკლი ახალაია, როგორც მეცნიერი და მოქალაქე, პატრიოტი, გამორჩეული იყო თავისი პირდაპირობითა და შეუპოვრობით. ის სხვებისგან განსხვავებით,[3] არასდროს არ „მიმალულა ბუჩქებში",

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: *За глубокое научное изучение истории Абхазии*. – გაზ.: *«Советская Абхазия»*. 14 мая 1977 г. ეს პუბლიკაცია იხ. აგრეთვე წიგნში: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*. Тб., 2012, გვ. 586-592 (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf). ამ განხილვის პერიპეტიებზე იხ. აგრეთვე იქვე: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*, გვ. 20-23.

[2] მოგვიანებით შ. ინალ-იფას წიგნის განხილვისას გამოთქმული შენიშვნები შევიდა 1982 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში (იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Изд. ТГУ. Тб., 1982, გვ. 106-109; 116-123; აღნიშნული მასალა იხ. აგრეთვე: **З. Папаскири.** Моя Абхазия. *Воспоминания и размышления*, გვ. 593-600).

[3] მე არაერთხელ მითქვამს და დამიწერია, რომ, სამწუხაროდ, აფხაზეთის ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა) ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, როდესაც საქმე საქართველოს-ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას ეხებოდა და გაჩუმებას ამჯობინებდნენ. ისინი თავიანთი დუმილით აფხაზებთან „ქულების ჩაწერას" ცდილობდნენ და ამ გზით კარიერულ წინსვლასა და ცხოვრებისეულ კომფორტს უზრუნველყოფდნენ. ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთის ტრაგედია. *მიზეზები და გაკვეთილები*. – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 200-205; **ზ. პაპასქირი.** ერთხელ კიდევ 1989 წ. აფხაზეთის კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესახებ. – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 287-292. (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf).

ყოველთვის ენერგიულად იცავდა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს და არა მხოლოდ ისტორიოგრაფიის სფეროში. ამ მხრივ არ შეიძლება არ მოვიგონო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთ-ერთი კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელზეც ბატონი ირაკლიმ გააკეთა მოხსენება 1921-1931 წლებში ე.წ. აფხაზეთის სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ამ საკითხს ყოველთვის ჰქონდა „სასიცოცხლო მნიშვნელობა“ აფხაზ სეპარატისტთა ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიურ არსენალში და მას ისინი დღემდე იყენებენ პოლიტიკური სპეკულაციებისათვის. მათი მტკიცებით, თურმე 1921 წ. გაზაფხულზე გამოცხადებული ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ («ССР Абхазия»), რომელიც იმავე წლის დეკემბერში საგანგებო ხელშეკრულების საფუძველზე იურიდიულად მოექცა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, წარმოადგენდა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას. 1931 წელს ეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა სტალინისა და ბერიას მეცადინეობით ჩამოაქვეითეს ავტონომიურ რესპუბლიკად და მიუერთეს საქართველოს სსრ-ს. ქართველმა ისტორიკოსებმა კარგა ხანია ამხილეს სეპარატისტთა ეს „მითი“ და სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ («ССР Абхазия») 1921-1931 წლებში, ფორმალურად, მართალია, იწოდებოდა „ხელშეკრულებით რესპუბლიკად“ *(«Договорная республика»)*, მაგრამ რეალურად მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოფიციალურად შედიოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და „დე-ფაქტო“ (რამდენადმე „დე იურედაც“) უკვე მაშინ წარმოადგენდა მის ავტონომიურ ერთეულს.[1]

---

[1] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ყალბი პოსტულატის შესახებ. *1921–1931 წლებში აფხაზეთის პოლიტიკურ–სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხისათვის. – შრომათა კრებული.* აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ტ. 3. თბ., 2014, გვ. 7-38 (http://www.scribd.com/doc/171370596/1921-1931); **З. Папаскири.** Ещё раз об одном ложном историографическом постулате абхазской сепаратистской идеологии. *К вопросу о политико-государственном статусе Абхазии в 1921-1931 гг. – Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press®, Швеция, 2012. Т. 6, вып. 2, გვ. 191-204 (http://cyberleninka.ru/article/n/esche-raz-ob-odnom-lozhnom-istoriograficheskom-postulate-abhazskoy-separatistskoy-ideologii-k-voprosu-o-politiko-gosudarstvennom); **Z. Papaskiri.** Another Look at One of the False Historical Postulates of the Abkhazian Separatist Ideology.*On the Question of Abkhazia's Political-State Status in 1921-1931. – The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®, Sweden, 2012. Vol. 6, Issue 2, გვ. 168-180 (http://cyberleninka.

დღეს ამ ქრესტომათიული ჭეშმარიტების აღიარება, რასაკვირველია, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ XX ს. 80-იანი წლების დამდეგს (ეს სხდომა, თუ არ ვცდები, 1981, ან 1982 წელს ჩატარდა) აფხაზურ აუდიტორიაში ქართველი ისტორიკოსის მხრიდან ეჭვის შეტანა სტალინ-ბერიას „დანაშაულებრივ ქმედებებში“ და თუნდაც ირიბად იმის განცხადება, რომ აფხაზეთის სსრ არ წარმოადგენდა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა რესპუბლიკას (რომელიც თითქოს სტალინმა და ბერიამ „დაასამარეს“), გაუგონარ „მკრეხელობად“ ითვლებოდა და მისი ავტორი „ჩასაქოლად“ გამზადებული იყო. მაგრამ ირაკლი ახალაია ის პიროვნება არ იყო, რომ ამის შეშინებოდა და აფხაზებისთვის მათთვის სასურველი თეზისი განევითარებინა. მან თავის მოხსენებაში ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და ძალზე დიპლომატიურად აუწყა აუდიტორიას, რომ 1931 წლამდე დიდი ხნით ადრე, არა „მტარვალმა“ სტალინმა და ბერიამ, არამედ თვით „აფხაზი ხალხის საყვარელმა შვილმა – სერგო ორჯონიკიძემ“ (ახლაც ყურში ჩამესმის ბატონი ირაკლის მრავლისმეტყველი ფრაზა – *«Любимый сын абхазского народа – Серго Орджоникидзе»*) დაასაბუთა ე.წ. „აფხაზეთის სსრ-ის“ დანარჩენი საქართველოსაგან „დამოუკიდებლად“ არსებობის შეუძლებლობა.

აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება. ირაკლი ახალაის მშვენივრად ესმოდა თუ რას აკეთებდა და შეგნებულად მიდიოდა თემის ირგვლივ კამათის პროვოცირებაზე, რათა მისცემოდა საკითხის უფრო ვრცლად გაშლისა და თავისი აზრის უფრო მკაფიოდ დაფიქსირების შესაძლებლობა. ამ მიზნით, სხდომის დაწყებამდე მან წინასწარ მოამზადა კითხვები და მე და ბატონ მურმან ბერიას გვთხოვა მათი დაყენება მოხსენების წაკითხვისას. ჩვენ „პირნათლად“ შევასრულეთ დაკისრებული „მისია“ და მართლაც მოვახდინეთ თემის აქტუალიზაცია. ბატონმა ირაკლიმ დინჯად და აუღელვებლად უპასუხა დასმულ კითხვებს. მახსოვს, მას რაღაც საკითხის დასაზუსტებლად დასჭირდა რომელიღაც დოკუმენტის ციტირება. მან იქვე სხდომის პრეზიდიუმიდან (თავისი საყვარელი მიმართვით – «Дочка») უხმო ბიბლიოთეკის გამგეს შულია გვარამიას და სთხოვა მოეტანა მისივე (ირ. ახალაიას) დოკუმენტების კრებული. ქ-ნმა შულიამ მართლაც ოპერატიულად ამოიტანა საჭირო წიგნი ბიბლიოთეკიდან და ბატონმა ირაკლიმ ომახიანად წაიკითხა ფრაგმენტი სერგო ორჯონიკიძის გამოსვლიდან, რითაც წერტილი დაუსვა აფხაზთა მცდელობებს არ დაეშვათ მათთვის არასასურველი დებულებების ტირაჟირება. ვიმეორებ, ამგვარ

---

ru/article/n/another-look-at-one-of-the-false-historical-postulates-of-the-abkhazian-separatist-ideology-on-the-question-of-abkhazias-political-state).

„ვა-ბანკზე“ წასვლა მაშინ ყველას არ შეეძლო.[1] ეს მხოლოდ ირაკლი ახალაიასთანა უშიშარ და გაბედულ ადამიანებს ხელეწიფებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ირაკლი ახალაია მუდამ იჩენდა ჩემდამი გულისხმიერებას, მაძლევდა რჩევებს, ზრუნავდა ჩემს პროფესიულ ზრდაზე. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა 1980-1981 წლებში, როდესაც უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ანჩაბაძე შეუდგა თავისი დიდი ხნის ჩანაფიქრის აღსრულებას – საქართველო-აფხაზეთის ისტორიის კათედრის გახსნას. ამ პროცესის დასაწყებად საჭირო იყო მოსამზადებელი ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, რომელიც რექტორმა მიანდო სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგეს, რადგან მანამდე სწორედ ეს კათედრა კურირებდა საქართველო-აფხაზეთის ისტორიის სწავლებას. ბატონმა ირაკლიმ მაშინათვე მიხმო და მთხოვა, დავხმარებოდი მას ამ სამუშაოს შესრულებაში. იგი ითვალისწინებდა იმას, რომ ალ. სოფიასთან ერთად მე, ფაქტობრივად, უკვე ვიყავი საქართველოს ისტორიის ძირითადი სპეციალისტი, თუმცა ოფიციალურად, როგორც უკვე აღინიშნა, ვირიცხებოდი მსოფლიო ისტორიის კათედრაზე.

ვერ ვიტყვი, რომ ბატონი ზურაბი ჩემს ჩართვას კათედრის ფორმირების ორგანიზაციულ საქმეებში აღფრთოვანებით შეხვდა (შეიძლება მას ამ მიმართულებით სხვა გეგმები ჰქონდა), მაგრამ ბატონმა ირაკლიმ ეს ისე დიპლომატიურად მოაწყო, რომ რექტორი ფაქტის წინაშე დააყენა და მასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში არც თუ უმნიშვნელო როლი ითამაშა ჩემმა „გამოცდილებამაც“, კერძოდ იმან, რომ მე კარგად ვიცნობდი თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის (საქართველოში ერთადერთის, რომლის ანალოგიც უნდა შეგვექმნა სოხუმში) სტრუქტურას და მუშაობას (მე ხომ ამ კათედრის კურსდამთავრებული ვიყავი).

მომზადდა კათედრის სამუშაო დოკუმენტაცია, შედგა კათედრის დისციპლინათა ნუსხა. გარდა საქართველოს ისტორიის საუნივერსიტე-

[1] ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენო კიდევ ერთი სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც თავისი მკვეთრი ანტიქართული განწყობილებებით ცნობილმა აფხაზმა პოეტმა და მეცნიერმა, კათედრის გამგემ, აწ განსვენებულმა ბორის გურგულიამ XIX ს. აფხაზეთის პოლიტიკური პროცესებისადმი მიძღვნილი გიორგი გულიას ნაწარმოებების განხილვისას, უდიერად მოიხსენია საქართველოს ხელისუფლება და ქართველი მეცნიერები. ამ მოხსენების წაკითხვისას მე აღმოვჩნდი სსრ კავშირის ისტორიის კათედრის წამყვანი პროფესორის, XIX საუკუნის სპეციალისტის, ფრიად პატივსაცემი პიროვნების გვერდით, რომელიც ჩემთან საუბარში აღშფოთებას ვერ მალავდა ბ. გურგულიას თავხედური განცხადებების გამო. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მას, სამწუხაროდ, არ ყოფნიდა გამბედაობა (თუმცა ამ საკითხზე გაცილებით უფრო კომპეტენტური იყო, ვიდრე დილეტანტი გურგულია), რათა კათედრაზე ასულიყო და იქიდან საჯაროდ ემხილებინა „ყოვლისმცოდნე“ ფილოლოგი.

ტო კურსისა, რომელიც ისწავლებოდა *„ისტორიის“* სპეციალობის I და II კურსებზე (3 სემესტრის განმავლობაში, ისევე როგორც თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე), კათედრას მიჰყავდა *„აფხაზეთის ისტორია“, „არქეოლოგიის საფუძვლები“, „ეთნოგრაფიის საფუძვლები“, „დამხმარე ისტორიული დისციპლინები“*. იმის გამო, რომ კათედრას დაევალა აგრეთვე საქართველო-აფხაზეთის ისტორიის პროფილით სპეციალიზაციის დისციპლინების წაყვანა, რაც გულისხმობდა სპეცკურსებისა და სპეცსემინარების ჩატარებას *„ისტორიის“* სპეციალობის III-V კურსებზე საჭირო შეიქმნა სპეციალიზაციის დისციპლინების ნუსხის შედგენაც, რაც ასევე მოყვანილ იქნა სისრულეში.[1]

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ბატონ ირაკლისთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით ახალი კათედრის ფორმირებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საქმეებზე მუშაობა ჩემთვის იყო დიდი სკოლა, რომელიც ძალზე გამომადგა შემდგომ საქმიანობაში ჯერ კათედრის გამგის მოადგილის, ხოლო შემდგომ კათედრის გამგის თანამდებობებზე. თვით ის ფატი, რომ ბატონმა ზურაბმა (რომელმაც შეითავსა ახლადგახსნილი კათედრის გამგის მოვალეობა) თავის მოადგილედ მე – ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, „ახლადგამომცხვარი“ დოცენტი – მოდგილედ ამიყვანა მნიშვნელოვანწილად სწორედ ბატონი ირაკლის „ლობირებამ“ განაპირობა, რისთვისაც მუდამ მისი მადლიერი დავრჩები.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ირაკლი ახალაია იყო საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი, რომელმაც შექმნა თავისი სამეცნიერო სკოლა. მისი ხელმძღვანელობით არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ (მურმან ბერია, როზალინა შვეცოვა, თენგიზ ანთელავა, მურმან ოკუჯავა, ფაინა გალუსტიანი და ა.შ.) გაიკვალა გზა მეცნიერებაში. ამ ფაქტს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ არა თუ პერიფერიაში, არამედ თვით მსხვილ სამეცნიერო ცენტრებშიც (მოსკოვი, თბილისი...) კი თითო-ოროლა წარმატებული მეცნიერი-ისტორიკოსი თუ ახერხებდა სკოლის შექმნას. ირაკლი ახალაიამ იცოდა მეცნიერების ფასი. ამიტომაც ყოველთვის ხაზს უსვამდა მეცნიერული ღვაწლის დაფასების აუცილობლობას სახელმწიფოს მხრიდან. მაგალითად, ის სწუხდა იმის გამო, რომ ნაადრევად გარდაცვლილ ცნობილ აფხაზ არქეოლოგს მიხეილ თრაფშს (1917-1968) არ ჰქონდა მინიჭებული საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, არაერთხელ წამოუჭრია ეს საკითხი ზურაბ ანჩაბაძისა და გიორგი ძიძარიას წინაშე და უთხოვია მათთვის, აღეძრათ შუამდგომლობა სათანადო სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე.

[1] ამის შესახებ ვრცლად იხ.: **ზ. პაპასქირი.** 20 წელი ეროვნული.., გვ. 17-21.

და ბოლოს, ირაკლი ახალაია, ძალზე დააკლდა აფხაზეთის ქართულ საზოგადოებას. განსაკუთრებით ეს ვიგრძენით 1988-1989 წლიდან, როდესაც აფხაზები „ტოტალურ შეტევაზე“ გადმოვიდნენ და გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყეს აფხაზეთის დანარჩენის საქართველოსაგან ჩამოსაშორებლად, რაც ასე ტრაგიკულად დასრულდა. დარწმუნებული ვარ, რომ იმ უმძიმეს პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყოფნა არ ყოფნის საკითხი წყდებოდა, ირაკლი ახალაია უყოყმანოდ დადგებოდა „ფრონტის“ წინა ხაზზე და თავისი შესაშური ენერგიითა და შემართებით, მაღალი აკადემიურობით, მამულიშვილობით, ლიდერის გამოკვეთილი თვისებებით დიდ სამსახურს გაუწევდა სამართლიანობისათვის და სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლ აფხაზეთის ქართველობას, სრულიად საქართველოს.

მის ბობოქარ, უდრეკ ბუნებას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო...

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან 3

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო

„აფხაზთა“ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხისათვის 5

გურანდუხტ დედოფლის როლის შეფასებისათვის გამაერთიანებელ მოძრაობაში 45

საბჭოთა რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ 1921-1922 წლებში. *ანუ იმის შესახებ თუ როგორ მოუღეს ბოლო ლენინმა და სტალინმა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს* 76

კიდევ ერთხელ აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ყალბი ისტორიოგრაფიული პოსტულატის შესახებ: *1921–1931 წლებში აფხაზეთის პოლიტიკურ–სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხისათვის*.....114

ქ ა რ თ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა მ ყ ა რ ო ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ა რ ე ნ ა ზ ე

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიის კვლევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 149

კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში 170

ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობის“ არსისა და ამ თანამეგობრობაში ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ადგილის გარკვევის საკითხისათვის 194

ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო IXს. I მეოთხედში. *ტაო–კლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა* 207

ქართული პოლიტიკური სამყარო *„ბიზანტიურ თანამეგობრობაში“*. X ს. I ნახევარი 212

საქართველო-ბიზანტია, საქართველო-რუსეთი. *ერთი ისტორიული პარალელის გააზრებისათვის* 241

საქართველო და ძველი რუსეთი. *IX–XI საუკუნეების I მესამედი* 262

მანასკერტის ბრძოლა და საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი XI ს. 60-იან წლებსა და 70-იანი წლების დამდეგს 289

XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს როლისა და ადგილის იგნორირების ერთი მცდელობის შესახებ. *ზოგიერთი შენიშვნა რაუფ ჰუსეინ ზადეს მონოგრაფიაზე: „კავკასია და სელჩუკები“* 309

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი ისტორია, პოლიტიკა, კულტურა, იდეოლოგია

ცრუ ისტორია: რეცენზია ოლეგ ბღაჟბას და სტანისლავ ლაკობას *„აფხაზეთის ისტორიის“* სახელმძღვანელოზე 327

განასხვავებდა თუ არა ივანე ჯავახიშვილი ეთნიკურად ე.წ. „ძველ“ და „ახალ“ აფხაზებს 368

თანამედროვე აფხაზეთის ეთნოდემოგრაფიული იერსახე უძველესი დროიდან დღემდე. *ზოგადი მიმოხილვა* 380

აფხაზთა ქრისტიანული მენტალობის საკითხისათვის 393

შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის საკითხისათვის 408

კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. *კავკასიური ომი XIX საუკუნეში და მისი შედეგები* 423

აფხაზეთის კონფლიქტი 20 წლის გადასახედიდან. *ზოგადი ხედვა* 434

ისტორიოგრაფიული ეტიუდები

დიდგორის ეპოპეის პირუთვნელი მატიანე. *შოთა მესხიას „ძლევაჲ საკვირველი“* 453

ერთიანი საქართველოს ისტორიის მკვლევარი. *აკადემიკოსი როინ მეტრეველი* 476

ქართული „ისტორიული სეგმენტის“ დამახინჯებისა და იგნორირების შესახებ ბიზანტინოლოგიურ ენციკლოპედიურ გამოცემაში 505

მეტად საინტერესო და საჭირო გამკვლევა ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიაში 517

ახალი გამოკვლევა საქართველო-სელჩუკების ურთიერთობებზე 527

შტრიხები პორტრეტებისათვის

ცხოვრება და ღვაწლი ექვთიმე თაყაიშვილისა 535

კაცი – თანადგომის იშვიათი უნარით. *აკადემიკოსი როინ მეტრეველი* 555

ზოგიერთი შტრიხი გივი წულაიას მეცნიერული და მოქალაქეობრივი იერსახისათვის 583

სოხუმი – 1993: *შეხვედრები ჟიული შარტავასთან* 603

აფხაზ-ქართველთა საერთო შვილი სწორუპოვარი რაინდი მარუშიანთა ჯილაგისა. *ლორიკ მარშანია* 612

ცნობილი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე – *თეიმურაზ მიბჩუანი* 614

სიკეთით აღსავსე კაცი – *პროფესორი ვალერიან ჭანია* 620

იშვიათი შემართებისა და ბობოქარი სულის ადამიანი – *პროფესორი ირაკლი ახალაია* 626

ზურაბ პაპასქირი

საქართველო
ისტორიული წარსული და თანამედროვეობა

ZURAB PAPASKIRI

GEORGIA
Historical Past and Present

გარეკანზე – **საქართველოს პრეზიდენტის სასახლე**
ფოტო – **მზია საგანელიძე/რადიო თავისუფლება**

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

ზურაბ ვალერიანეს ძე პაპასქირი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის სამსახურის უფროსი, **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების** (პუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია) მთავარი რედაქტორი, ეკონომიკა თავადიშვილის სახელობის საქართველოს ისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამავე ორგანიზაციის პერიოდული სამეცნიერო გამოცემის **„ისტორიო ძიებანის"** მთავარი რედაქტორი, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსთაველის სტიპენდიანტი (2010).

არის 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის (მათ შორის 12 მონოგრაფიისა და ნიგნის) ავტორი. მას განსაკუთრებული აღიარება მოუტანა მონოგრაფიებმა და ნიგნებმა: ***«У истоков грузино-русских политических взаимоотношений»*** (1982), **„ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეოპოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი"**; **„აფხაზეთი საქართველოა"** (1998), **„ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან"** (ნაკვ. I. 2004, ნაკვ. II. 2007); **„და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე"** (2009) ***«Абхазия. История без фальсификации»*** (2010); ***«Моя Абхазия. Воспоминания и размышления»*** (2012) არის თანაავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი ისეთი სოლიდური გამოცემებისა, როგორიცაა: **ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები"** (ორტომეული, 1998), **„ქართული დიპლომატიის ისტორიის"** საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო (2003), აგრეთვე ენციკლოპედიური ლექსიკონებისა: **„ქართული დიპლომატიური ლექსიკონი** (ტ. I, 1997, ტ. II, 1999) და **„ივანე ჯავახიშვილი.** ენციკლოპედიური ლექსიკონი (2002), მათში შესულია მეცნიერის მიერ მომზადებული 200-მდე დასახელების მასალა.